

ფიოდორ დოსტოევსკი

დანაშაული და სასჯელი

„თუ პირდაპირობაში იოტის ტოლა სიყალბე მაინც შეეპარა ადამიანს, მაშინვე ყველაფერი ირღვევა და იღუპება... მლიქვნელობა კი, თუნდ მასში ყველაფერი ყალბი იყოს, მაინც საამო მოსასმენია. რაგინდ უხამსი და მოურიდებელი იყოს მლიქვნელობა, ნახევარი მაინც სიმართლედ ეჩვენება ადამიანს.

თ. დოსტოევსკი

ნაწილი პირველი

I

ივლისის დამდეგი იყო. სიცხე-პაპანაქებაში, საღამო ჟამს, თავისი ვიწრო და პატარა ოთახიდან გამოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ს-ის ქუჩის შესახვევში ცხოვრობდა, და მძიმედ, თითქოს ყოყმანით კ-ის ხიდისაკენ გასწია.

კიბე მშვიდობიანად ჩაიარა, დიასახლისს თვალი არ მოუკრავს. მისი ოთახი ხუთსართულიანი სახლის ჩარდახქვეშ იყო მოთავსებული და კარადას უფრო წააგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. თვითონ ბინის დიასახლისი, რომლისაგანაც ეს ოთახი ჰქონდა ნაქირავები სადილითა თუ მომსახურებით, ცალკე ცხოვრობდა, ერთი კიბით დაბლა. ახალგაზრდას ისე არ შეეძლო ჩასვლა, რომ სამზარეულოს მუდამ ღია კარიდან არ დაენახა დიასახლისს. ყოველთვის, როგორც კი სამზარეულოს გაუვლიდა ახალგაზრდა, რაღაც ავადმყოფური შიშის გრძნობა დაურბენდა ხოლმე ტანში, რომლისაც კიდეც რცხვენოდა და კიდეც ებრაზებოდა. დიასახლისის ვალში იყო ყელამდე და მასთან შეხვედრისა ეშინოდა.

არ ითქმოდა, მშიშარა და ბეჩავი ახალგაზრდააო, პირიქით; მაგრამ ამ ბოლო ხანებში იპოქონდრიის მსგავსი რამ მოუსვენრობა და დამაბულობა შეეპარა. იქამდე იყო დაფიქრებული და განაპირებული, არა მარტო დიასახლისს, თითქმის ყველას ერიდებოდა. სიღარიბისაგან მიწასთან იყო გასწორებული; თუმცა ამ ბოლო დროს აღარც გაჭირვებული მდგომარეობა აგრძნობინებდა რასმე. თავის ყოველდღიურ საქმეებზედაც სულ მთლად აიღო ხელი, აღარას აკეთებდა. სწორედ რომ ვთქვათ, აღარც დიასახლისის შიში ჰქონდა; არას დაგიდევდა, რაც უნდა ექნა. მაგრამ ეს კიბეზე შეჩერება და მოსმენა ამ უთავბოლო ყოველდღიური აბდაუბდისა, რომელსაც თვითონ მისთვის აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა, ეს მუდამ ერთნაირი ჩაცემა და მუქარა-ჩივილი ფულის გადახდის თაობაზე, ეს მუდმივი თავის დაძვრენა, ბოდიშები და სიცრუე სწორედ რომ მობეზრდა. უკეთესი იყო ისე შეუმჩნეველად ჩაპარულიყო კიბეზე, არავის დაენახა.

მაგრამ მევალის შეხვედრის შიშმა იმჟამად თვითონვე გააკვირვა, ქუჩაში რომ გამოვიდა. „გულში რა განზრახვა მაქვს და ამისთანა უბრალო რამისა კი მეშინია! - გაიფიქრა და უცნაურად გაეღიმა. - ჰმ... ყველაფერი კაცის ხელთ არის და ვერა

გაურიგებია რა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია... კი, ნამდვილად ასეა... საყურადღებოა, რისი უფრო მეტად ეშინია ხალხს? ყველაზე მეტად ახალი ნაბიჯისა და ახალი საკუთარი სიტყვისა... მაგრამ ბევრს ვყბედობ მეტად. კიდევ იმიტომ აღარას ვაკეთებ, რომ ვყბედობ. მაგრამ შეიძლება იმიტომაც ვყბედობდე, რომ არას ვაკეთებ. ამ ბოლო თვეს მივეჩვიე სწორედ ყბედობას, მთელი დღეობით რომ ვწევარ და ვფიქრობ რაღაც უაზრო რამეზე. არა, რად მივდივარ ახლა? ნუთუ მართლა შემიძლია ეს ჩავიდინო? ნუთუ ეს მართლა მოხდება? არა, არა, ტყუილია. ისე, ვოცნებობ მხოლოდ, თავს ვიტყუებ; თავის შექცევას და სხვა არაფერი! დიახაც, რომ თავის შექცევას!“

ქუჩაში საშინლად ცხელოდა; ჰაერი შეხუთული იყო; ყველგან კირი, აგური, ხე-ტყე ეყარა და მტვრის ბული იდგა. ირგვლივ ის თავისებური ზაფხულის მყრალი სუნი ტრიალებდა, რომელსაც აგარაკად წასვლის საშუალებას მოკლებული პეტერბურგელი ასე კარგად იცნობს. ყველაფერმა ამან ისედაც აჩოჩქოლებული ნერვები უარესად შეურყია ახალგაზრდას. სამაგელსა და გულისშემადონებელ საერთო სურათს ქუჩისას ზედ ერთვოდა აუტანელი სიმყრალე სასმელების დუქნებისა, რომელთა რიცხვიც ქალაქის ამ ნაწილში მრავალზე უმრავლესია. ფეხის ყოველ გადადგმაზე გაღეჭებული ხალხი ირეოდა, თუმცა დღე სამუშაო იყო. ახალგაზრდა კაცის ნაზ სახეზე ერთ წამს ღრმა ზიზღი გამოიხატა. თვითონ მართლაც შესანიშნავად ლამაზი შეხედულებისა იყო: მშვენიერი შავი თვალები ჰქონდა, მუქი წაბლისფერი თმა, ტანად საშუალოზე მაღალი იყო, ნატიფი და კარგად მოყვანილი. მაგრამ მალე იგი რაღაც ღრმა ფიქრს მიეცა, სწორედ რომ ვთქვათ, უფრო თავდავიწყებას და ისე მიდიოდა, გარშემო აღარაფერს ხედავდა, არც უნდოდა დაენახა. იშვიათად მხოლოდ რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის, მონოლოგებს ჩვეული, და სწორედ ახლა გამოუტყდა თავს, რომ ეს მონოლოგები დასჩემებოდა. თვითონვე გრძნობდა იმჟამად, რომ ზოგჯერ აზრები ერეოდა. მეტად სუსტად იყო: მეორე დღეა გემოთი თითქმის არა ენახა რა.

იმდენად ღარიბულად ეცვა, რომ სიღარიბეს ნაჩვევი კაციც კი დაირცხვენდა და ასეთი ძონძებით დღისით გარეთ არ გამოვიდოდა, თუმცა იმ უბანში ჩაცმულობით ვერავის გააკვირვებდი. სენის სიახლოვე, დუქნებისა და მსგავსი გასართობი ადგილების სიმრავლე, განსაკუთრებით კი პეტერბურგის ამ შუაგულ ქუჩებსა და შესახვევებში მჭიდროდ მოსახლე ამქრები და მუშა-ხელოსანი ხალხი ისე აჭრელებდნენ საერთო სურათს და დროდადრო აქ ისეთი ხალხი ირეოდა, რომ სხვარიგად ჩაცმული კაცის დანახვა არავის გააკვირვებდა. მაგრამ იმდენ ბოროტ ზიზღს დაეხუდებინა ახალგაზრდის გულში, რომ ზოგჯერ, გადამეტებული ყმაწვილური თავმოყვარეობის მიუხედავად, თითქმის აღარ ეჩოთირებოდა და აღარც კი რცხვენოდა თავისი ძონძებისა. სულ სხვა იყო, თუკი ნაცნობებს ან ძველ ამხანაგებს შეხვდებოდა, რაც მართლა არ უყვარდა... მაგრამ როცა უშველებელი ცარიელი ფორნიდან თვალი მოჰკრა ვიღაც მთვრალმა, რომელიც კაცმა არ იცის სად და რატომ მიჰყავდათ ამ დროს ქუჩაში, და უცბად შეუყვირა: „ეი, შენ, ნემეცურ ქუდიანო!..“ თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიღრიალა და ხელი მისკენ მოაშვირა, - ახალგაზრდა უცბად შედგა და აკანკალებული ხელი ქუდზე იტაცა. თავზე ეხურა მთლად გახუნებული, დახვრეტილი და გაქონილი, მაღალი, მრგვალი, ციმერმანისეული ქუდი, რომელსაც გარშემო ფარფლები სულ აღარ ჰქონდა და გვერდზე უგვანოდ გადაწოლილიყო. მაგრამ უფრო შიშისა იყო, ვიდრე სირცხვილისა ის გრძნობა, რომელმაც იმჟამად ახალგაზრდა მოიცვა.

- ვიცოდი, ასე იქნებოდა! - ბუტბუტებდა შემკრთალი, - განა არა, ვფიქრობდი! ეს არის ყველაზე უარესი! აი ასე, უბრალო რამ წვრილმანსა და სისულელეს შეუძლია მთელი განზრახვა ჩაგიშალოს! მართალია, ადვილი შესამჩნევი ქუდია... სასაცილოა და იმიტომ... ჩემს მონძებს უბრალო რამ ქუდი სჭირდება, თუნდაც სოკოსავით გატყაპნილი და არა ეს ყვავების საფრთხობელა. არავის ასეთი ქუდი არ ხურავს, მთელ ვერსზე შეგნიშნავენ და დაგიხსომებენ... ჰოდა, მოაგონდებათ მერე, და ჰა მამხილებელი საბუთიც. აქ საჭიროა რაც შეიძლება შეუმჩნეველი იყო... წვრილმანებია უმთავრესი, წვრილმანები!.. დალუპვითაც სწორედ ეს წვრილმანები ღუპავენ ხოლმე ყოველთვის ყველაფერს...

ბევრი აღარა ჰქონდა გასავლელი; იცოდა კიდეც, თავისი ალაცაფის კარიდან რამდენი ნაბიჯი იყო: სწორედ შვიდას ოცდაათი. ერთხელ ოდესღაც დაეთვალა, ოცნებაში გართულს. თვითონაც არა სჯეროდა რა მაშინ ამ ოცნებებისა და მხოლოდ მათი უგვანო, მაგრამ მაცდური კადნიერება აღელვებდა ხოლმე. ახლა კი, ერთი თვის შემდეგ, სულ სხვა თვალთ დაუწყო ცქერა და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ უძლურებასა და გაუბედაობაზე მუდამ ყურებში უწიოდა საკუთარივე წამასისინებელი მონოლოგები, ამ უგვან ოცნებას როგორღაც უნებურად ნამდვილ საქმედა თვლიდა, თუმცა ჯერ კიდევ თავისი თავის რწმენა არა ჰქონდა. ახლა მიდიოდა იმის საცდელად, შეძლებდა თუ არა განზრახვის შესრულებას და თითოეულ ფეხის გადადგმაზე მღელვარება თანდათან ემატებოდა.

გულის ფანცქალითა და ცახცახით მიადგა უზარმაზარ სახლს, რომლის ერთი კედელი არხს გადაჰყურებდა, მეორე კი - ვ-ს ქუჩას. სახლი პატარ-პატარა ბინებად იყო დაყოფილი, რომლებშიაც, ვინ იცის, რა ხელობის ხალხი არა ცხოვრობდა: თერძები, ზეინკლები, მზარეული ქალები, ნაირნაირი ჯურის გერმანელები, თავისი ხელობით მცხოვრები გოგოები, წვრილი მოხელეები და სხვ. შემსვლელ-გამომსვლელნი ერთმანეთში ირეოდნენ ორსავე ეზოსა და ეზოს კარებში. სახლს სამი თუ ოთხი მეეზოვე ჰყავდა. ყმაწვილი მეტად კმაყოფილი დარჩა, რომ არც ერთი მათგანი არ შეეჩეხა. ეზოს კარიდან მაშინვე შეუმჩნეველად მარჯვნივ მიუხვია კიბისაკენ. კიბე ბნელი და ვიწრო იყო, „საჯალაბო“, მაგრამ ახალგაზრდას კარგად ჰქონდა შესწავლილი და მოსწონდა კიდეც, რადგანაც სიბნელეში ცნობისმოყვარე თვალის კი ვერაფერს გაარჩევდა. „თუ ახლავე ასე მეშინია, რა იქნება მაშინ, მართლა რომ საქმის შესრულება მოვინდომო?...“ - გაიფიქრა უნებურად, მეოთხე სართულზე რომ ავიდა. აქ უცბად გზა გადაუღობეს ნაჯარისკაცალმა მეზარგეებმა, რომლებსაც ერთ-ერთი ბინიდან ავეჯი გამოჰქონდათ. ახალგაზრდამ წინათვე იცოდა, რომ აქ ერთი გერმანელი იდგა ოჯახით, მოხელე კაცი: „ჩანს, ეს გერმანელი ახალ ბინაზე გადადის და, მაშასადამე, მეოთხე სართულზე, ამ კიბეზე და დერეფანში რამდენიმე ხანს მარტოდმარტო ერთი ბებრუხანას ბინადა იქნება დაჭერილი... ეს კარგია... ყოველი შემთხვევისათვის...“ - გაიფიქრა მან ისევ და ბებრუხანას ბინის ზარი დარეკა. ზარმა ოდნავ დაიჟღარუნა, თითქოს თუნუქისაა და არა სპილენძისაო. ამგვარი სახლების თითქმის ყველა პატარა ბინას ასეთი ზარი აქვს. დაავიწყდა კიდეც ამ ზარის ხმა და ახლა მისმა თავისებურმა ჟღარუნმა უცბად თითქოს რაღაც სხვა მოაგონა და ნათლად წარმოუდგინა... შეხტა თითქმის, ისე დასუსტებოდა ნერვები. პატარა ხნის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო: მოსულს როგორღაც უნდობლად სინჯავდა ღრიჭოდან ბებერი; ბნელაში მხოლოდ მისი მოელვარე თვალები მოჩანდა. მაგრამ დერეფანში რომ სხვა ხალხიც დაინახა, გამხნევდა და კარი მთლად გამოაღო. ახალგაზრდამ ფეხი გადადგა

ბნელ შესასვლელში, რომელიც ტიხრით იყო გადაღობილი. ტიხარს უკან პაწია სამზარეულო იყო მოთავსებული. მოხუცი ჩუმად იდგა და გაკვირვებით შეჰყურებდა. ეს იყო პატარა ტანის, გამხდარი სამოცი წლის ბებრუხანა, რომელიც ბოროტ თვალებს აკვესებდა; თხელი და წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა. უთავშლოდ იყო. ოდნავ ჭადარაშერეულ ქერა თავზე ზეთი უხვად ჰქონდა წასმული, ქათმის ფეხის მსგავს წვრილსა და გრძელ ყელზე რაღაც თივთიკის ჩვარი ჰქონდა დახვეული, მხრებზე კი, თუმცა ცხელოდა, დამონძილი და ჩაყვითლებული ბეწვის წამოსასხამი მოეგდო. ბებრუხანა ერთთავად ახველებდა და ხრიწინებდა. ახალგაზრდამ უთუოდ როგორღაც სხვანაირად შეხედა, რაკი ბებერს თვალეში უცბად ისევ უნდობლობა აღებეჭდა.

- სტუდენტი რასკოლნიკოვი, გახსოვთ, ამ ერთი თვის წინათ ვიყავი თქვენთან, - ჩაიბუტბუტა საჩქაროდ ახალგაზრდამ და ოდნავ თავი დაუკრა, რახან მოიგონა, რომ თავაზიანად უნდა მოპყრობოდა.

- მახსოვს, კარგად მახსოვს, რომ იყავით, - ჩაილაპარაკა გარკვევით ბებრუხანამ, მაგრამ თვალს კი მაინც არ აშორებდა წინანდებურად და თითქოს ეკითხებოდა, რა გნებავთო.

- ასე რომ... ისევ იმ საქმისათვის გეახელით... - განაგრძობდა რასკოლნიკოვი, თუმცა ცოტა არ იყოს შეაკრთო და გააკვირვა ბებრუხანას უნდობლობამ.

„ვინ იცის, იქნებ სხვა დროსაც ასეთია, მაგრამ მაშინ არ შემინიშნავს“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა და რაღაც უსიამოვნება იგრძნო.

ბებრუხანა პატარა ხანს გაჩუმდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, მერე განზე გადაგა, ოთახის კარზე მიუთითა, სტუმარი წინ გაატარა და უთხრა: - მიბრძანდით!

ყვითელშპალერიანი მომცრო ოთახი, რომელშიაც ახალგაზრდა შევიდა და რომლის ფანჯრებიც ყვავილებით და მარმარილოს ფარდებით იყო მორთული, ჩამავალი მზის სხივებს უხვად გაენათებინა... „ალბათ, მაშინაც ასე იქნება მზისაგან გაკამკამებული აქაურობა!..“ - გაივლო უნებურად გულში რასკოლნიკოვმა და ოთახი სასწრაფოდ მიათვალ-მოათვალა, რომ მისი მოწყობილობა შეძლებისდაგვარად შეესწავლა და დაეხსომებინა. მაგრამ საიმისო ოთახში არა იყო რა. ავეჯს შეადგენდა ხის ძველი დივანი, რომელსაც უშველებელი, გამობერილი ხის საზურგული ჰქონდა, დივანის წინ მდგომი ძველივე მოგრძო, მრგვალი მაგიდა, ფანჯრებში კედელზე სარკიანი ტუალეტი, კედლებთან ჩამორიგებული სკამები, ყვითელ ჩარჩოებში ჩასმული ორისამი იაფფასიანი სურათი, რომლებზედაც გერმანელი ახალგაზრდა ქალები იყვნენ ხელში ჩიტებით გამოხატული, - და სხვა არაფერი. კუთხეში, პატარა ხატის წინ, კანდელი ენთო. მაგრამ ყველაფერი სუფთა იყო: ავეჯსაც და იატაკსაც კრიალი გაჰქონდა. „ლიზავეტას ხელი ეტყობა“, - გაიფიქრა ახალგაზრდამ. არსად მთელს ბინაში მტვრის ნატამალი არ მოიპოვებოდა. „ბებერ ბოროტ ქვრივებს სჩვევიათ ასეთი სისუფთავე“, - ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი. ცნობისმოყვარეობით გაჰხედა ჩითის ფარდას, რომელიც მეზობელი პაწია ოთახის კარს ჰქონდა ჩამოფარებული: იქ იდგა ბებრუხანას კამოდი და ლოგინი და მხოლოდ იქ არ შეეხედა ჯერ ახალგაზრდას. მთელ ბინას ეს ორი ოთახი შეადგენდა.

- რა გნებავთ? - დაეკითხა მკაცრად ბებრუხანა, შევიდა თუ არა ოთახში, და ისევ წინ დაუდგა, რომ პირდაპირ თვალებში ეცქირნა.

- აი, გირაო მოგიტანეთ! - და ჯიბიდან ძველი, ბრტყელი ვერცხლის საათი ამოიღო. საათის მეორე მხარეზე გლობუსი იყო გამოხატული; ჯაჭვი ფოლადისა ჰქონდა.

- მერე, იმ წინანდელსაც ხომ ვადა გაუვიდა. თვე სწორედ გუმინწინ შესრულდა.

- ერთი თვის სარგებელს კიდევ მოგცემთ. მომითმინეთ.

- ეგ კი ჩემი ნებაა, მოვითმენ თუ ახლავე გავყიდი თქვენს ნივთს.

- საათში რას მომცემთ, ალიონა ივანოვნა?

- უბრალო რამეები მოგაქვს, თითქმის სულ არა ღირს რა. ამ წინაზედაც ბეჭედში ორი მანეთი მოგეცით, ოქრომჭედელთან კი, სულ ბევრი, მანეთნახევრად შეიძლებოდა ახლის ყიდვა.

- ოთხი მანეთი მაინც მომეცით, მამისეულია, გამოვისყიდი. მალე ფულს მივიღებ.

- გინდათ, მანეთ-ნახევარს მოგცემთ, მაგრამ სარგებელს წინდაწინვე ავიღებ.

- მანეთ-ნახევარს! - შეჰყვირა ახალგაზრდამ.

- თქვენი ნებაა. - ბებრუხანამ საათი უკანვე გაუწოდა. გაჯავრებულმა ახალგაზრდამ საათი გამოართვა და უნდოდა წამოსულიყო, მაგრამ მოაგონდა უცბად, რომ მეტი გზა არ იყო, ამას გარდა სხვა საქმეც ჰქონდა, და შედგა.

- მოიტათ! - შეუძახა მკვახედ.

ბებრუხანამ გასაღების ამოსაღებად ხელი ჯიბეში ჩაიყო და ფარდის უკან, მეორე ოთახში გავიდა. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა ცნობისმოყვარეობით უგდებდა ყურს და საზრობდა. მოესმა, როგორ გაიღო კამოდი. „უთუოდ ზევითა უჯრაა“, - ფიქრობდა თავისთვის. „გასაღებებს, მაშ, მარჯვენა ჯიბეში ინახავს... ყველა ერთად აქვს ფოლადის რგოლზე ასხმული. მაგრამ იმათში ერთი ყველაზე დიდია, დაკბილული წვერი აქვს; ეჭვი არ არის, კამოდისა არ იქნება... ეტყობა, ცალკე კოლოფი ან ჩასაწყობი რამ სკივრი კიდევ სხვა აქვს... ეს საყურადღებოა. ამნაირ სკივრებს უთუოდ ასეთი გასაღებები აქვთ ხოლმე... მაგრამ, ოჰ, რა სამაგლობაა ყველა ეს...“

ბებრუხანა დაბრუნდა.

- აი, თუ ორ შაურობაზე ვიანგარიშებთ მანეთს, თვეში მაშინ მანეთ-ნახევარში სამი შაური მერგება, წინანდელ ორ მანეთშიც იმავე ანგარიშით - აბაზი. სულ შვიდი შაური. საათში, მაშ, მანეთი და სამი შაურიღა გერგებათ. აი, მიიღეთ.

- როგორ! მანეთი და სამი შაური მარტო?

- დიახ, მაგდენი.

ახალგაზრდას არ უკამათნია, აიღო და გამოართვა ფული. მაგრამ ჯერ წასვლას არა ჩქარობდა, იდგა და ბებერს შეჰყურებდა, თითქოს კიდევ რაღაც აქვს სათქმელი, მაგრამ თვითონაც არ იცის, სახელდობრ რაო...

- იქნებ, ალიონა ივანოვნა, ამ დღეებში ერთი ნივთი კიდევ სხვა მოგიტანოთ... ვერცხლისაა... კარგი რამ არის... საპაპიროსე... დავიბრუნებ თუ არა მეგობრისგან... - მაგრამ შეკრთა და გაჩუმდა.

- მაგაზე, როცა მოიტანო, მაშინ ვილაპარაკოთ.

- მშვიდობით... სულ აგრე მარტოკა ზიხართ? დაია სად არის? - დაეკითხა აგდებულად, სწორედ იმ დროს, ოთახიდან რომ გამოდიოდა.

- მერე, დასთან რა გესაქმებათ?

- საიმისო არაფერი, ისე ვიკითხე. თქვენ კი მაშინვე... მშვიდობით, ალიონა ივანოვნა!

მთლად შემკრთალი გამოვიდა რასკოლნიკოვი. თანდათან მეტად ერეოდა ეს გრძნობა. კიბეზე რომ ჩამოდიოდა, თოფნაკრავივით უცბად რამდენჯერმე შედგა. ბოლოს, ქუჩაში, გულიდან აღმოხდა: „ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა ყველაფერი! ნუთუ, ნუთუ მე... არა, სისულელეა! - დასძინა გადაწყვეტით. - ნუთუ შესაძლებელი იყო, ასეთი საზარელი რამ თავში გამეველო? მაინც რა ბინძური გული მქონია! უმთავრესი კი ის არის, რომ ყველაფერი ეს სამაგლობაა, საზიზღრობა, საზიზღრობა!.. მე კი მთელი თვე...“

მაგრამ ვერც სიტყვით, ვერც ამოძახილებით თავისი მღელვარების გამოთქმა ვერ შეძლო. უზომო ზიზღის გრძნობამ, რომელმაც ჯერ ისევ ბებერთან მისვლამდე აურია გული, ახლა უკიდურესობამდე მიაღწია და ისე ნათლად გამოიხატა, აღარ იცოდა, გულზე შემოწოლილ ნაღველს სად გაჰქცეოდა. ქუჩის ფილაქანზე მთვრალივით მიდიოდა, გამვლელ-გამომვლელებს თითქმის ვეღარ ამჩნევდა; აქ ამას აწყდებოდა, იქ იმას. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, მეორე ქუჩაზე რომ გავიდა. მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ სასმელების დუქნის გვერდით იდგა. დუქანი ქვედა სართულში იყო და ჩასავალი კიბე ფილაქნიდან ჰქონდა. დუქნის კიბიდან სწორედ ამ დროს ორმა მთვრალმა ამოჰყო თავი, რომლებსაც ხელი-ხელს გადაეხვიათ და ერთმანეთს ამკობდნენ ლანძღვით. რასკოლნიკოვს დიდხანს აღარ უფიქრია, ადგა და მაშინვე დუქანში ჩავიდა. აქამდე არასოდეს შესულა იგი სასმელების დუქანში, მაგრამ ახლა თავი როგორღაც უბრუოდა და თანაც საშინლად სწყუროდა. ცივი ლუდი მოუნდა, მით უმეტეს, რომ ასე უცებ დასუსტებას დიდი ხნის შიმშილს ამიზეზებდა. მიუჯდა ერთ ჭუჭყიანსა და ბნელ კუთხეში გალიპულ მაგიდას, მოითხოვა ლუდი და პირველი ჭიქა ხარბად დალია. მაშინვე გულზე მოეშვა და აზრიც გაუნათლდა.

„ყველაფერი სისულელეა, - ჩაილაპარაკა იმედიანად, - არცთუ არის რა შესაძრწუნებელი! მოშლილი ვარ და სხვა არაფერი! ერთი ჭიქა უბრალო ლუდი და ნაჭერი ხმელა პური საკმარისი იყო, რომ უცბად გონება და აზრი გამნათლებოდა, განზრახვა ისევ გამმტკიცებოდა! ფუ! რა არარაობაა ყველა ეს!..“ მაგრამ, მიუხედავად ამ ზიზღით გაფურთხებისა, მაინც მხიარულად გამოიყურებოდა, თითქოს ეს არის მძიმე რამ ტვირთი ჩამოჰხსნიაო; გარშემო მყოფთაც მეგობრულად გადახედა. მაგრამ ამ წუთსაც კი გუმანით გრძნობდა, რომ ეს უკეთესისადმი მიდრეკილებაც ავადმყოფური რამ იყო.

დუქანში იმჟამად ხალხი ცოტადა ჩანდა. კიბეზე რომ გაღებულელები შემოხვდნენ, მათ შემდეგ გარმონის ჭყვიტინით ხუთი კიდევ სხვა ავიდა, რომლებსაც თან ქალიც ჰყავდათ. მერე კი ხალვათობა და სიწყნარე ჩამოვარდა. დუქანში დარჩნენ ერთი ცოტა შეზარხოშებული, გარეგნობით მდაბიო მოქალაქე, რომელსაც წინ ლუდით სავსე ჭიქა ედგა, და მისი ვეებერთელა, სქელ-სქელი ამხანაგი, ციმბირულ ჯუბაში გამოწყობილი, წვერჭადარა და ძალიან მთვრალი, რომელსაც იქვე ჩაეთვლიდა, დროგამოშვებით მხოლოდ თითებს დაატკაცუნებდა, წელს ზემოთ ტანსა და მხრებს შეათამაშებდა და რაღაც სულელური სიმღერის გახსენებას ცდილობდა.

ვეალერსე ცოლს მთელი წელი, ვეალერსე მთელი წელი...

ან გამოედვიძებოდა უცბად და დაუმატებდა: პოდიაჩესკით წაველი, იქ ვიპოვე ჩემი ძველი...

მაგრამ მის ბედნიერებას არავინ იზიარებდა: ჩუმად მჯდომი ამხანაგი ყველაფერ ამას თითქმის რომ მტრულად და უნდობლად უყურებდა. იმათ გარდა იყო ერთი სხვა კაციც, გარეგნობით სამსახურიდან გადამდგარი მოხელე. უჯდა ცალკე ბოთლს, იშვიათად მოსვამდა და გარშემო იყურებოდა. იმასაც თითქოს რაღაც აღელვება ეტყობოდა.

II

რასკოლნიკოვი არ იყო ხალხს მიჩვეული, პირიქით, როგორც ვთქვით, გაურბოდა კიდეც საზოგადოებას, მეტადრე ამ ბოლო დროს. მაგრამ ახლა გულით მოენატრა ხალხი. რაღაც ცვლილება შეეტყო და ხალხთან ყოფნა მოსწყურდა. ისე მოდალა მთელი თვის ღრმა წუხილმა და შავზნელ გრძნობათა ღელვამ, რომ მოუნდა წუთიერად სხვა გარემოსა და ხალხში ყოფნა, რა გვარიც უნდა ყოფილიყო ეს ხალხი. ამიტომაც არად იჩნევდა ამ სიბინძურეს და სიამოვნებით იჯდა დუქანში.

დუქნის პატრონი სხვა ოთახში იყო, მაგრამ მთავარ განყოფილებაში ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა კიბე-კიბე, ამიტომ ჯერ მისი გაპრიალებული, წითელ ტყავშემოკვერებული, ყელგანიერი წაღები გამოჩნდებოდა ხოლმე. ტანთ მოკლე, უსახელო ჩასაცმელი ეცვა, ზემოდან შავი, საშინლად გაქონილი ატლასის ჟილეტი უყელსახვევოდ; პირისახეც მთლად უპრიალებდა, გეგონებოდათ, ბოქლომივით დაუზეთავთო. დახლთან იდგა თოთხმეტი წლის ბიჭი, მეორე, უფრო პატარა კი, სტუმრებს ემსახურებოდა - მიჰქონდა მათთვის, რასაც მოითხოვდნენ. დახლზე ეწყო წვრილად დაჭრილი კიტრის წნილი, გამომხმარი შავი პური, წვრილადვე დაჭრილი თევზი და ყველაფერი საშინლად ჰყარდა. ირგვლივ ჰაერი არყის სუნს იქამდის გაეჟღინთა, რომ, ვგონებ, მარტო ეს ჰაერიც საკმარისი იყო, ხუთ წუთში გაებრუებინა ადამიანი.

შეხვდება ზოგჯერ ადამიანი სრულიად უცნობს, რომელიც პირველ ნახვაზევე უცბად მიიპყრობს მის ყურადღებას. სწორედ ასე იმოქმედა რასკოლნიკოვზე მოშორებით მჯდომმა სტუმარმა, სამსახურიდან გადამდგარ მოხელეს რომ ჰგავდა. ახალგაზრდამ მერეც რამდენჯერმე მოიგონა ეს პირველი შთაბეჭდილება და წინათგრძნობასაც კი მიაწერა იგი. უცქეროდა ერთთავად, თუმცა შეიძლება იმიტომაც, რომ თვითონ ისიც თვალს არ აშორებდა და, ეტყობოდა, ძალიან უნდოდა გამოლაპარაკებოდა. დანარჩენებს კი, თვითონ დუქნის პატრონსაც, ჩვეული თვალითა და მოწყენითაც კი

უყურებდა, თან თითქოს არად აგდებდა, როგორც დაბალსა და განუვითარებელ ხალხს, რომლებთანაც სალაპარაკო და საერთო სულ არა ჰქონდა რა. ეს იყო ორმოცდაათ წელს გადაცილებული, საშუალო ტანის, ჯმუხი, ჭადარაშერეული გამელოტებული კაცი, რომელსაც ლოთობისაგან სახე ყვითელ-მწვანედ ჰქონდა დასიებული და ქუთუთოები აბებრებული, საიდანაც დაწითლებული, მაგრამ საკმაოდ ცოცხალი პატარა თვალები გამოიყურებოდნენ. მაგრამ რაღაც ჰქონდა მეტად უცნაური. თვალებში თითქოს აღტაცებაც ეხატებოდა, - ასე გასინჯეთ, აზრი და გონებაც, - მაგრამ ამავე დროს თითქოს უგუნურებაც უკრთოდა. ტანთ ძველი, მთლად დაგლეჯილი შავი ფრაკი ეცვა, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი ღილიღა შერჩენოდა შესაკრავად და ზრდილობის დასაცავად. ჟილეტქვეშ მთლად დაჭმუჭნილი, გათხუპნილი და დალაქავებული პერანგი უჩანდა. პირი, მოხელეთა ჩვეულებისამებრ, გაპარსული ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა, კარგა ხნის წინათ და მსხვილ ლეგა ჯაგარს უკვე ამოეყარა ხშირად. თვითონ მოქმედებაც როგორღაც დინჯი ჰქონდა, როგორც მოხელე კაცს შეშვენის. ეს კია, მოუსვენრობდა, თმას იბურძმენიდა, დროდადრო შეწუხებული ორსავე ხელს თავზე იტაცებდა და გამოფლეთილი იდაყვებით ჭუჭყიან, გალიპულ მაგიდას ეყრდნობოდა. ბოლოს შეხედა პირდაპირ რასკოლნიკოვს და ხმამაღლა, მტკიცედ წარმოთქვა: - შემძლია თუ არა, მოწყალეო ხელმწიფევ, მოგმართოთ წესიერად? მართალია, ჩაცმულობა საამისოდ ხელს არ გიწყობთ, მაგრამ გამოცდილებით გატყობთ, რომ განათლებული და სასმელს მიუჩვეველი უნდა იყოთ. მე მუდამ პატივს ვცემდი განათლებას, გულითად გრძნობებთან შეერთებულს, გარდა ამისა, თვითონაც ტიტულიანი სოვეტნიკი გახლავართ. ტიტულიანი სოვეტნიკი მარმელადოვი, იქნებ გაგიგონიათ. ნება მიბოძეთ დაგვიტოხოთ: მსახურობთ სადმე თუ არა?

- არა, ვსწავლობ... - მიუგო განცვიფრებულმა რასკოლნიკოვმა, რომ ასე ბრტყელ-ბრტყელად და ჯიქურ მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს წუთია ხალხთან რაიმე ერთობას ნატრობდა, მაინც, პირველსავე გამოლაპარაკებაზე, ჩვეულებრივი უსიამოვნო ზიზღის გრძნობა აეშალა. ასე ემართებოდა მუდამ, როცა უცხო ვინმე მისი პირადობის შეხებას მოიწადინებდა.

- სტუდენტი ყოფილხართ, ან არადა ნასტუდენტარი! - შესძახა მოხელემ, - განა არა, მაშინვე ვიფიქრე! დიდი რამ არის, მოწყალეო ხელმწიფევ, გამოცდილება, მერე ისიც მრავალგზისი! - და ნიშნად მოწონებისა თითი შუბლზე მიიღო. - სტუდენტად იყავით, თუ სამეცნიერო რამ ნაწილს გადიოდით! ჰმ, ნება მომეცით... - წამოდგა, წაიბარბაცა, დაავლო ხელი ბოთლსა და ჭიქას და გვერდით, ცოტა ცერად მიუჯდა ახალგაზრდას. კარგა ლამაზად გახლდათ გადაკრული, მაგრამ ლაპარაკით მაინც ცოცხლად ლაპარაკობდა, მხოლოდ დროგამოშვებით იბნეოდა და აჭიანურებდა სათქმელს. ისე ხარბად ეცა რასკოლნიკოვს, თითქოს იმასაც მთელი თვეა აგერ არავისთვის ხმა არ გაუციაო.

- მოწყალეო ხელმწიფევ, - დაიწყო თითქმის დიდებულად, - მოგეხსენებათ, სიღარიბე საძრახისი არ არის. ვიცი ისიც, რომ არც ლოთობაა მოსაწონი მით უმეტეს. მაგრამ გლახაკობა კი დასაძრახია, მოწყალეო ხელმწიფევ, დასაძრახი. სიღარიბეში შეიძლება კიდევ შეინარჩუნოთ თანდაყოლილი კეთილშობილური გრძნობები, მაგრამ გლახაკობაში ვერასოდეს ვერავინ ვერ შეინარჩუნებს. გლახაკს ჯოხითაც კი არ აღირსებენ გაგდებას, პირდაპირ ნაგავს ატანენ, რომ მეტი შეურაცხყოფა მიაყენონ. მართალიც არის, რადგან, როგორც გლახას, მე თვით პირველი შეურაცხყოფი ჩემს

თავს. ლოთობაც აქედან წარმოსდგება! ერთი თვის წინათ, მოწყალეო ხელმწიფევ, მეუღლე გამილახა ბ-მა ლებეზიატნიკოვმა; მე და ჩემი მეუღლე კი ერთნი არა ვართ! ხომ გესმით? ნება მომეცით, კიდევ გკითხოთ, თუნდ ისე, უბრალო ცნობისმოყვარეობით: გინებებიათ ოდესმე ნევაზე, თივის ბარკებში ღამის გათევა?

- არა, არ შემთხვევია, - მიუგო რასკოლნიკოვმა, - რაზე ამბობთ მაგას?

- აბა, მე კი აგერ მეხუთე ღამეა, იქ ვათენებ.

გაივსო ჭიქა, გადაჰკრა და ჩაფიქრდა. მართლაც, თმასა და ტანისამოსზე აქა-იქ თივის მტვერი და ღერები ეყარა... ნამდვილად ეტყობოდა, რომ ხუთ ღამეს არც ტანთ გაეხადა, არც პირი დაეხანა. განსაკუთრებით ხელები ჰქონდა ჭუჭყიანი, გაქონილი, დაწითლებული, ფრჩხილები კი ჩაშავებული.

ეტყობა, მისმა ლაპარაკმა ყველას ყურადღება მიიპყრო. დახლს უკან ბიჭები ხითხითებდნენ. დუქნის პატრონიც თითქოს განგებ ჩამოვიდა ზევიდან, რომ ამ ლაზღანდარასთვის ყური დაეგდო; დაჯდა შორიახლოს და ზარმაცად იწყო მთქნარება. ეტყობოდა, მარმელადოვი აქ დიდი ხნის ნაცნობი უნდა ყოფილიყო და ამ ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკსაც ალბათ იქიდან მიჩვეული, რომ დუქანში მოსიარულე უცნობებს ხშირად ესაუბრებოდა ასე. ზოგიერთ მსმელს მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული ელაპარაკოს ვისმე, მეტადრე თუ შინ სასტიკად ეპყრობიან და ჩაგრავენ. ამიტომაც ცდილობს, მუდამ თავი იმართლოს ღვინის სმის დროს და, თუ შეიძლება, პატივისცემაც დაიმსახუროს.

- ლაზღანდარა! - წამოიძახა ხმამაღლა დუქნის პატრონმა, - მერე რატომ არა მუშაობ, რატომ არა მსახურობ, თუ მოხელე ხარ?

- რატომ არ ვმსახურობ, მოწყალეო ხელმწიფევ, - ჩამოართვა სიტყვა მარმელადოვმა და რასკოლნიკოვს მიმართა, თითქოს ის დაჰკითხებოდა, - რატომ არ ვმსახურობ? მერე განა მე არ მტკივა გული, რომ ასე დავძრწივარ უქმად? ერთი თვის წინათ რომ ბ-ნმა ლებეზიატნიკოვმა მეუღლე გამილახა, მე კი მთვრალი ვეგდე მაშინ, არ ვიტანჯებოდი განა? მოითმინეთ, ყმაწვილო კაცო, შეგმთხვევიათ კი... ჰმ! აი, თუნდ ფული გესესხოთ უიმედოდ?

- შემთხვევია... ესე იგი, როგორ უიმედოდ?

- ისე, სრულიად უიმედოდ, ესე იგი, ადრევე გცოდნოდეთ, რომ თხოვნისაგან არა გამოვა რა. აი, იცით, მაგალითად, წინათვე, რომ ესა და ეს დარბაისელი და დიდად სასარგებლო მოქალაქე არაფრის გულისათვის ფულს არ მოგცემთ, ვინაიდან, კაცმა რომ თქვას, რად უნდა მოგცეს, როცა იცის კარგად, რომ არასოდეს არ დაუბრუნებ უკან? იმიტომ, რომ ვებრალები? მაგრამ ბ-ნი ლებეზიატნიკოვი ახალ აზრებს მისდევს და კიდევაც ამიხსნა ამას წინაზე, რომ შებრალება ჩვენს დროში მეცნიერებისგანაც კი აკრძალულია; რომ ასეა, მაგალითად, ინგლისში, სადაც პოლიტიკური ეკონომიაა. რად მომცემს, მაშ, გეკითხებით? იცით წინათვე ამრიგად, რომ არას მიიღებთ, მაგრამ მაინც დაადგებით გზას და...

- რათა, რისთვის? - დაეკითხა რასკოლნიკოვი.

- მაშ, თუ მეტი ხსნა აღარა გაქვს! არა, ხომ საჭიროა, რომ ადამიანს უთუოდ მიესვლებოდეს სადმე, იმიტომ რომ, სადმე მაინც ხომ უნდა წავიდეს. მხოლოდმობილმა ასულმა ჩემმა ყვითელი ბილეთი რომ მიიღო და პირველად წავიდა, მეც მაშინ წაველ (დიახ, ყვითელი ბილეთითა ცხოვრობს ჩემი ასული...), - დასძინა განსამარტებლად და თან რაღაც მღელვარებით დაუწყო ახალგაზრდას ცქერა. - არა უშავს რა, მოწყალეო ხელმწიფევ, არა უშავს რა! - მიატანა იმავე წუთს დამშვიდებით, რაკი შენიშნა, რომ დახლს უკან ორთავე ბიჭმა ჩაიფრუტუნა და დუქნის პატრონსაც გაელიმა. - არა უშავს რა! ასე თავის ქნევა სულაც ვერ შემაკრობს, ვინაიდან ყველამ უწყის უკვე ყოველივე ესე და საიდუმლოებაცა ყველა გამოცხადებულ იქნების; და არა ზიზღით, არამედ სიმდაბლით მივიღებ ამას. დეე, დეე! „ესე არს კაცი“! მომითმინეთ, ყმაწვილო კაცო: შეგიძლიათ კი... მაგრამ არა, უფრო უკეთ და მტკიცედ უნდა ვთქვა: შეგიძლიათ კი, გაბედავთ კი ჩემი მაცურებელი და იტყვიტ დაბეჯითებით, რომ ღორი არა ვარ?

ახალგაზრდას ხმა არ გაუცია.

- კი, ბატონო, - განაგრძო ორატორმა უფრო მეტი სიღინჯითა და ღირსებით მას შემდეგ, რაც ოთახში ატეხილი ხითხითი მიწყდა, - კი, ბატონო, ღორი ვიყო, ის ხომ მანდილოსანია! მე პირუტყვი ვარ, კატერინა ივანოვნა კი, ჩემი მეუღლე, განათლებული ადამიანია, შტაბოფიცრის ქალია. დეე, მე გათახსირებული ვიყო, ის ხომ კეთილშობილური გრძნობებით აღსავსე გულისაა, ის ხომ აღზრდილია ასე, მაგრამ, ოჰ... ოჰ, რომ შემიბრალებდეს! მოწყალეო ხელმწიფეო, მოწყალეო ხელმწიფეო, სადმე მაინც ხომ უნდა იყოს ისეთი კუთხე, სადაც ადამიანს იბრალებდნენ! კატერინა ივანოვნა კი, მართალია, დიდსულოვანი მანდილოსანია, მაგრამ უსამართლოა... თუმცა მევე მესმის, როცა დამქოჩრავს ხოლმე, გულმტკიცვნიულობით მოსდის (ვინაიდან, ვიმეორებ თამამად, დამქოჩრავს ხოლმე, ყმაწვილო კაცო, - დასძინა გაორკვეცილებული ღირსებით, ხითხითი რომ შემოესმა), მაგრამ... რა იქნებოდა, ღმერთო, თუნდ ერთხელაც მას... მაგრამ, არა! არა! ყოველივე ეს ამაოა და არცა ღირს ლაპარაკად! არცა ღირს ლაპარაკად!.. ვინაიდან არაერთხელ მივწევვივარ საწადელსა და არაერთხელ შევცოდებივარ, მაგრამ... ეტყობა, ასე მიწერია, ბუნებით პირუტყვი ვარ!

- ოღონდაც რომ აგრეა! - შენიშნა მთქნარებით დუქნის პატრონმა.

მარმელადოვმა მუშტი დაჰკრა მაგიდას.

- ჩანს, ასე მიწერია! ის თუ იცით, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ წინდებიც კი სასმელში გავუყიდე? ფეხსაცმელი ყოფილიყო, კიდეც ჰო, რამეს მაინც ემგვანებოდა, მაგრამ წინდები! თხის ბეწვის თავშალიც ასევე გავუყიდე, ძველი ნაჩუქარი, მისი საკუთარი და არა ჩემი. ვცხოვრობთ ცივ ბინაში. ამ ზამთარს გამიცვიდა კიდეც, ახველებს, სისხლს აღებინებს. ბავშვიც სამი გვყავს, პატარები. დილიდან საღამომდის მუშაობს კატერინა ივანოვნა, ჰბანს, ვარცხნის, ასუფთავებს, იმიტომ რომ პატარაობიდანვე სისუფთავესაა მიჩვეული; მკერდი კი სუსტი აქვს, ჭლექიანია და მეცა ვგრძნობ ამას! არა ვგრძნობ განა? რამდენადაც მეტსა ვსვამ, იმდენად მეტსა ვგრძნობ. იმიტომაც ვსვამ, რომ სმაში სიბრალულსა და გრძნობიერებას ვეძიებ... იმიტომ ვსვამ, რომ მინდა ორკვეცად ვიტანჯო! - სასოწარკვეთილმა მოხელემ თავი მაგიდაზე დახარა.

- ყმაწვილო, - განაგრძო და თავი ასწია, - სახეზე რაღაც სევდას გატყობთ. შემოხვედით თუ არა, მაშინვე შეგატყუეთ და იმიტომაც მოგმართეთ. გატყობინებთ ჩემი ცხოვრების ამბავს არა ამ უქმი ხალხის დასაცინად, რომელმაც ისედაც კარგად იცის ყოველივე, არა, მგრძნობიარე და განათლებულ კაცს ვემბ და იმიტომ. იცოდეთ მაშ, რომ ჩემს მეუღლეს კეთილშობილთა საგუბერნიო სათავადაზნაურო ინსტიტუტში უსწავლია და დამთავრებისას გუბერნატორისა და სხვა წარჩინებულ გვამთა თანდასწრებით შალით უცეკვნია, რისთვისაც ჯილდოდ ოქროს მედალი და ქების სიგელიც მიუღია. მედალი... მედალი კარგა ხანია უკვე გავყიდეთ... ჰმ!.. მაგრამ ქების სიგელი კი დღემდის სკივრში უდევს და ამწინაზე დიასახლისისათვისაც ეჩვენებინა. მართალია, დიასახლისთან დაუსრულებელი უსიამოვნება აქვს, მაგრამ მოუნდა თავი ვისმესთან მაინც მოეწონებინა და წარსულ დღეთა ბედნიერება ეცნობებინა. არცთუ ვამტყუნებ, არცთუ ვამტყუნებ იმიტომ, რომ ერთადერთი ესლა შერჩა წარსულ მოგონებათა სანუგეშოდ, დანარჩენი ყოველივე მტვრად იქცა, გაჰქრა! დიახ, დიახ! ფიცხი, ამაყი და მოუდრეკელი დედაკაცია. იატაკს თვითონ რეცხავს და მარტო შავ პურზე გადადის, მაგრამ უპატიურად მოპყრობის ნებას არავის მისცემს. ამიტომაც არ ინდომა ბ-ნ ლებეზიატნიკოვისათვის უკმეხობა ეპატიებინა და როდესაც გალახა იგი ლებეზიატნიკოვმა, ლოგინად ჩაწვა; იმდენად ცემისგან არა, რამდენადაც წყენისა და შეურაცხყოფისაგან. ქვრივი იყო უკვე, სამი, ერთიმეორის მომდევნო, პაწია შვილის პატრონი, როდესაც წამოვიყვანე. პირველად ქვეითი ჯარის ოფიცერზე იყო სიყვარულით გათხოვილი; მშობლების ნებადაურთველად გაჰყვა, გაიქცა მასთან ერთად სახლიდან. ქმარი უზომოდ უყვარდა, მაგრამ იმან ბანქოს თამაშს მიჰყო ხელი, სამართალში მისცეს და მალე მოუკვდა. ბოლო დროს სცემდა თურმე კიდევ. კატერინა ივანოვნაც, მართალია, არას უთმობდა, რაც საბუთებიდან ვუწყვი ნამდვილად, მაგრამ დღემდის მაინც მუდამ თვალცრემლიანი იგონებს და მეც მაყვედრის; მაგრამ მოხარული ვარ, მოხარული, რომ ოდესღაც წარსულში მაინც თავი ბედნიერად წარმოუდგენია... დარჩა ქმრის შემდეგ სამი მცირეწლოვანი ბავშვით მივარდნილ, შორეულ მაზრაში, ისეთ უნუგეშო სიღარიბეში, რომ მეც კი, ბევრის გადამხედს, გამიჭირდება და ვერ აგიწერთ. მეც იქ ვიყავი მაშინ. ნათესავებმა ყველამ ზურგი აქცია. ამაყიც იყო, მეტისმეტი ამაყი... მაშინ მოხდა სწორედ, მოწყალეო ხელმწიფევე, მაშინ, რომ პირველი ცოლისაგან თოთხმეტი წლის ქალის პატრონმა ქვრივმა ხელი გავუწოდე და ცოლობა ვთხოვე, იმიტომ რომ არ შემეძლო მისი ტანჯვისათვის მეცქირა. შეგიძლიათ იქიდან განსაჯოთ მისი სიღარიბე და უბედურება, რომ განათლებული და მშვენივრად აღზრდილი, ცნობილი გვარიშვილი მე გამომყვა ცოლად. ერთი სიტყვით, გამომყვა! ტიროდა და ხელებს იმტვრევდა, მაგრამ მაინც გამომყვა! იმიტომ, რომ მეტი გზა არ ჰქონდა. გესმით, მოწყალეო ხელმწიფევე, გესმით, რას ნიშნავს, ადამიანს რომ მეტი გზა და ჩარა აღარ აქვს? არა! ჯერ კიდევ არ გესმით... მთელი წელიწადი ჩემს მოვალეობას პირნათლად და წმინდად ვასრულებდი, არ მივკარებივარ ამას (თითი არაყის ბოთლს დაატაკა), იმიტომ, რომ მეც გრძნობა მაქვს. მაგრამ ვერც ამით ვაამე; ამ დროს კი უცბად ადგილიც დავკარგე, - ჩემი მიზეზით როდი, შტატები შეამცირეს. მაშინ კი... მივეტანე!.. წელიწადნახევარი იქნება მას შემდეგ, რაც, აქეთ-იქით წანწალისა და უბედურების შემდეგ, ამ დიდებულსა და მრავალზე მრავალი ძეგლით გამშვენიერებულ სატახტო ქალაქში ჩამოვედით... ადგილიც ვიშოვნე აქ... ვიშოვნე, მაგრამ ისევ დავკარგე. გესმით? ახლა კი ჩემი ბრალი იყო, იმიტომ რომ წერამ ამიტანა... ამჟამად კი ამალია ფეოდოროვნა ლიპვევხელისას ვცხოვრობთ, კუთხე გვაქვს ნაქირავები. მაგრამ რით ვცხოვრობთ ან საიდან რას ვამლევეთ, არა ვუწყვი რა.

იქვე ცხოვრობენ, ჩვენ გარდა, ბევრნი ხსვანიც... უუსაძაგლესი სოდომია... ჰმ!.. დიახ... ამასობაში პირველი ქორწინებიდან დარჩენილი ქალიც წამომეზარდა. თუ რა ტანჯვასა და ვაებას ითმენდა დედინაცვლისაგან, ამაზე არას გეტყვით. მართალია, დიდსულოვანი გრძნობების პატრონია კატერინა ივანოვნა, მაგრამ გულფიცხი და ანჩხლია, უცბად ხმას ჩაგაკმენდინებს... თუმცა რა მოსაგონარია! როგორც თქვენც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, არავითარი აღზრდა არ მიუღია სონიას. ვცადე ამ ოთხი წლის წინათ, რომ გეოგრაფია და მსოფლიო ისტორია მაინც მესწავლებინა, მაგრამ რაკი თვითონაც სუსტად გახლდით ცოდნაზე და არც სახელმძღვანელო მოგვეძებნებოდა რიგიანი, ვინაიდან, თუ რამ წიგნები იყო, ყველა... ჰმ! ახლა ხსენებაც აღარ არის მათი, ამიტომ შევწყვიტეთ მეცადინეობა. სპარსეთის მეფე კიროსზე შევკერდით[1]. მერე რომ წამოიზარდა, რომანიული შინაარსის რამდენიმე კიდეც სხვა წიგნიც წაიკითხა, ამწინაზე კიდეც ბ-ნ ლებეზიატნიკოვს მიეცა ლუისის „ფიზიოლოგია“ [2], - ხომ მოგეხსენებათ? - დიდი ყურადღებით გადაიკითხა და აქა-იქ ჩვენც გვიკითხავდა ხმამალა; ეს არის სულ სონეჩკას განათლება. მოგმართავთ ახლა, მოწყალეო ხელმწიფე, ერთი პირადი, კერძო შეკითხვით: როგორა გგონიათ, რამდენი შეუძლია იშოვნოს ღარიბმა, მაგრამ პატიოსანმა ქალმა პატიოსანი შრომით?.. სამ შაურზე მეტს დღეში ვერასოდეს ვერ აიღებს, ბატონო, თუ რომ პატიოსანია და განსაკუთრებული რამ ნიჭი არა აქვს. ისიც მხოლოდ მაშინ, თუ დღესა და დამეს გაასწორებს! იქიდანაც სტატსკი სოვეტნიკი კლოპტოკი, ივან ივანიჩი, - მოგეხსენებათ? - არამცთუ გასამრჯელოს არ აძლევს ექვსამდე ჰოლანდიური პერანგის შეკერვაში, კიდეცა შეურაცხყოფით ისტუმრებს; სულ ფეხი ებრაგუნებინა და უზრდელად რაღაც ეძახებინა იმიტომ, რომ ვითომ პერანგის საყელო გაემრუდებინა და არც ზომა იყო სწორი. ბავშვები კი მშივრები ყრიან... კატერინა ივანოვნაც ხელების მტვრევით დადის ოთახში და ლოყები წამოსწითლებია, როგორც ამგვარ ავადმყოფებს სჩვევიათ: „ცხოვრობ ჩვენთან, მუქთახორავ, ჭამ, სვამ, თბილადა ხარო“. თუმცა რასა ჭამს და სვამს, როცა ბავშვებიც კი სამ-სამი დღე პურის უნახავი არიან ხოლმე! ვიწექი მაშინ... ჰო, დიახ, ვიწექი! მთვრალი! აგერ, მესმის, ეუბნება სონია (უწყინარი და უტყვი, ლაპარაკიც წყნარი იცის... თეთრი სახე მუდამ ფერმკრთალი აქვს, გამხდარ-გამხდარი), ეუბნება: „რა ვუყო, კატერინა ივანოვნა, ასეთ საქმეს ხომ ვერ ჩავიდნო? დარია ფრანცოვნამ კი, ბოროტმა და პოლიციისაგან მრავალგზის შენიშნულმა დედაკაცმა, სამიოდჯერ დიასახლისის პირით შემოუთვალა. „მერე, რა არის, - მიუგო კატერინა ივანოვნამ და ჩაიცინა, - რა დიდი საუნჯე რამ ეგ არისო“. მაგრამ ნუ გაამტყუნებთ, მოწყალეო ხელმწიფე, ნუ გაამტყუნებთ! საღი გონების დროს ხომ არ უთქვამს, უთხრა აღელვებულმა, ავადმყოფმა, მშიერი ბავშვების ღნავილით გულგაწყალებულმა, ისიც უფრო შეურაცხყოფისათვის და არა მართალი გულით... ვინაიდან ხასიათადა აქვს კატერინა ივანოვნას, როგორც კი ბავშვები აუტირდებიან, თუნდაც შიმშილით, მაშინვე ცემას დაუწყებს. აგერ, ვხედავ, საღამოს ექვს საათზე წამოდგა სონეჩკა, მოიხვია თავშალი, მოიგდო ბურნუსი და სადღაც წავიდა. ცხრა საათზე კი უკანვე მობრუნდა. მოვიდა და კატერინა ივანოვნას წინ ჩუმად ოცდაათი ვერცხლის მანეთიანი დაუწყო. კრინტი რა არის, კრინტიც არ დაუძრავს, არც კი შეუხედნია, აიღო ჩვენი დიდი დრადედამის მწვანე თავშალი (საერთო თავშალი გვაქვს ასეთი), თავ-პირზე შემოიხვია და მიწვა ლოგინზე, პირი კედლისაკენ ქნა; ეგ არის მხოლოდ, მხრები და ტანი მთლად უცახცახებდა... მე კი ისევ ისე ვეგდე ლოგინზე... ვნახე მერე, ყმაწვილო კაცო, ვნახე, როგორ მივიდა ასევე უსიტყვოდ კატერინა ივანოვნა ლოგინთან, მთელი საღამო როგორ იდგა დაჩოქილი სონეჩკას ფერხთით, უკოცნიდა ფეხებსა და აღარ უნდოდა

ამდგარიყო. მერე ორივემ ერთად მიიძინეს ისე, გადახვეულებმა... ორივემ... ერთად... მე კი... ისევ ისე მთვრალი ვიწევი.

მარმელადოვი გაჩუმდა, თითქოს ხმა ჩაუწყდაო. სწვდა მერე უცებ ბოთლს, დაისხა, გადაჰკრა და ამოიოხრა.

- მას შემდეგ, ხელმწიფეო ჩემო, - განაგრძობდა მცირე სიჩუმის შემდეგ მარმელადოვი, - ერთი რაღაც უსიამოვნო საქმის გამო და ბოროტგანმზრახველთა დასმენით, - რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა დარია ფრანცოვნა, ვითომდა იმიტომ, რომ ჯეროვნად პატივს არ სცემდნენ, - მას შემდეგ ჩემს ქალს, სოფია სემიონოვნას, ყვითელი ბილეთი მისცეს; ამის გამო ჩვენთან აღარ ედგომებოდა, ვინაიდან დიასახლისი, ამალია ფეოდოროვნაც, წინააღმდეგი იყო (წინათ კი დარია ფრანცოვნას თვითონვე უწყობდა ხელს) და ბ-ნი ლებეზიატნიკოვიც... ჰმ!.. აი, სწორედ სონეკას გამო იყო, კატერინა ივანოვნას რომ ის ამბავი მოუხდა. პირველად თვითონვე არ ასვენებდა ეს ბატონი სონიას, მერე კი გაიჭიმა: „როგორ, მე, ასეთი განათლებული კაცი, ამისთანა გომბიოსთან ერთ ბინაზე ვიცხოვრებ განაო?“ კატერინა ივანოვნამაც არ დაუთმო, წაეკომა... და რაც მოხდა, ხომ იცით... ახლა სონეკა მხოლოდ საღამოობით მოდის. კატერინა ივანოვნას ეხმარება და რითაც შეუძლია, შველის... ბინად კი მკერავ კაპერნაუმოვთან ცხოვრობს. კაპერნაუმი თვითონ კოჭლი და ენაჩლუნგია, მრავალრიცხოვანი ოჯახიც მთლად ენაჩლუნგი ჰყავს. ცოლიც ენაჩლუნგია... ყველანი ერთ ოთახში ცხოვრობენ, სონიას კი საკუთარი ცალკე ოთახი აქვს, გადაღობილი... ჰმ! დიახ... ღარიბები არიან, ენაჩლუნგები... დიახ... ავდექი მაშინ დილით, ჩავიცვი ჩემი ძონძეები, აღვაპყარ ხელნი ზეცად და მის აღმატებულება ივან აფანასიჩთან წავედი. მისი აღმატებულება ივან აფანასიჩი ხომ მოგეხსენებათ?... არა? იცოდეთ მაშ, რომ ღვთის კაცი არა გცოდნიათ! წმინდა სანთელია და არა კაცი... სანთელი ღვთისა წინაშე, და დადნების, ვითარცა სანთელი! ცრემლიც კი მოერია, წარმოიდგინეთ, რომ მომისმინა. „აბა, მარმელადოვ, ერთხელ ხომ გამიცრუე იმედები... მაგრამ აგიყვან კიდევ ჩემი საკუთარი თავდებობითაო“, - მითხრა და დასძინა: „გახსოვდეს მაშ, და წადიო!“ ვემთხვიე ფერხთა მისთა მტვერსა, გონებით, რასაკვირველია, რაკი ნამდვილად ამის ნებას არ დამრთავდა, - ახალი განათლებული აზრებისა და მიმართულების სახელმწიფო კაცია. დავბრუნდი შინ და რომ გამოავცხადე, სამსახურში მიმიღეს და ჯამაგირიც მექნება-მეთქი, უნდა გენახათ, ღმერთო, რა ამბავი იყო...

მარმელადოვი კვლავ შედგა, მეტად აღელვებული. სწორედ ამ დროს ქუჩიდან მთელი გროვა შემოვიდა მთვრალებისა, კართან კი დაქირავებული არღნისა და შვიდი წლის ბავშვის ხრინწიანი ხმა გაისმა, რომელიც „Хуторок“ -ს დამღეროდა[3]. დუქანი ახმაურდა. დუქნის პატრონი და ბიჭები მაშინვე მოსულებს ეცნენ, დატრიალდნენ. მარმელადოვი არ აქცევდა ყურადღებას შემოსულებს, ისევ განაგრძობდა. ეტყობოდა, უკვე ძალზე დასუსტდა, მაგრამ რამდენიც მეტად ეკიდებოდა სასმელი, იმდენი უფრო მეტს ლაპარაკობდა. სამსახურში დაბრუნების გახსენებამ თითქოს როგორღაც გამოაცოცხლა და სახეც კი გაუნათლა. რასკოლნიკოვი ყურადღებით უსმენდა.

- ეს იყო, ხელმწიფეო ჩემო, ამ ხუთი კვირის წინათ... დიახ... გაიგეს თუ არა კატერინა ივანოვნამ და სონეკამ, ღმერთო, თითქოს სამოთხეში შევსულიყო. წინათ, მახსოვს, ვიწეე პირუტყვივით და მლანძღავდნენ მხოლოდ! ახლა კი თითის წვერებზე დადიან, ბავშვებს აჩუმებენ. „სემიონ ზახარიჩი სამსახურში დადლილა, ჩუ,

ისვენებსო!“ სამსახურში წასვლამდე ყავას მასმევენ, ნალებს მიდუღებენ! ნამდვილ ნალებს დაუწყეს, გესმით, საიდანღაც ზიდვა! მაგრამ არ მესმის სწორედ, ტანისამოსისათვის საიდანღა მოაკოწიწეს თერთმეტი მანეთი და ათი შაური? მიყიდეს: წალები, მშვენიერი ტილოს გულისპირი, ვიცმუნდირი, ერთი სიტყვით, მშვენივრად გამომაწყვეს თერთმეტ მანეთად და ათ შაურად. დავბრუნდი პირველ დღეს სამსახურიდან, ვნახოთ: კატერინა ივანოვნას ორი თავი საჭმელი დაუმზადებია - წვნიანი და დამარილებული საქონლის ხორცი პირშუშხათი, რაც იქამდის სიზმრადაც არ გვეზმანებოდა. თვითონ ჩასაცმელი თითქმის სულ არ გააჩნია, ახლა კი, თითქოს სადარბაზოდ მომზადებულაო, ჩაუცვამს, მოკოპწიაგებულა; მაგრამ დიდი კი არა გეგონოთ რა, ისე, თმას დაივარცხნის, რაღაც სუფთა საყელოსა და სამაჯეებს გაიკეთებს, ხედავ სულ სხვა ადამიანია, გაახალგაზრდავებული, გალამაზებული. სონეკა, ჩემი გვრიტი, მარტო ფულით ეხმარებოდა: მეო, ამბობდა, ჯერხნობით ხშირ-ხშირად არ მომესვლება, სირცხვილიაო; ბინდზე თუ შემოგივლით ხოლმე, რომ არავინა მნახოსო. გესმით, გესმით? მოვედი სადილის შემდეგ დასაძინებლად, როგორ გგონიათ მერე? ველარ მოუთმენია კატერინა ივანოვნას: იმ ერთი კვირის წინათ ლაზათიანად ეჩხუბა დიასახლისს, ამალია ფეოდოროვნას, ახლა კი ყავაზე დაუპატიჟნია. მთელი ორი საათი ისხდნენ და ჩურჩულებდნენ: „ასე, ქალოო, სემიონ ზახარიჩი ახლა სამსახურშია და ჯამაგირს იღებსო; მის აღმატებულებასთან თვითონ გამოცხადდა, მისი აღმატებულებაც თვითონ გამობრძანდა, უბრძანა ყველას მოეცადათ, სემიონ ზახარიჩს კი ხელი მოჰკიდა და კაბინეტში შეიყვანაო“. გესმით, გესმით? „რასაკვირველია, სემიონ ზახარიჩი, ეუბნება მისი აღმატებულება, მახსოვს თქვენი დამსახურებაო; მართალია, სასმელს ვერ ელევით, ცოდვა მოგდგამთ ასეთი, მაგრამ რაკი სიტყვას იძლევით და მასთან უთქვენოდ ჩვენი საქმეც რიგზე ვერ მიდის (გესმით, გესმით!), იმედი მაქვს, ამიტომ სიტყვას პატიოსნად შეასრულებთო!“ ესე იგი, ყველა ეს, მე თქვენ გეუბნებით, თვითონ შეთხზა კატერინა ივანოვნამ, მაგრამ ქარაფშუტობით კი არა, ისე, თავმოსაწონებლად! თუმცა ყველაფერი ეს თვითონა სჯერა, თავისი ოცნებით შექმნილი ამბებით ირთობს თავს, ღმერთმანი! არცთუ გავამტყუნებ!.. არა, არასოდეს ამისათვის არ გავამტყუნებ!.. როდესაც ამ ექვსი დღის წინათ პირველი ჯამაგირი - ოცდასამი მანეთი და ორი აბაზი სრულად მოვუტანე, პაწაწუნა მიწოდა: „ჩემო პაწაწუნაო!“ მარტო როცა ვიყავით, მაშინ, გესმით? მაგრამ რა სილამაზის პატრონიცა ვარ, ან რა ქმარი ვარ, წარმოგიდგენიათ? ეს არ მაკმარა, არა, ლოყაზე მიპწკინა და გამიმეორა კიდევ: „ჩემო პაწაწუნაო!“

მარმელადოვი შედგა, უნდოდა გაეღიმა, მაგრამ უცბად ნიკაპი აუთამაშდა. მალე შეიმაგრა თავი ისევ. სასმელების დუქანი, ხუთი ღამე ზედიზედ სათივე ბარკებზე გატარებული და ეს შტოფი, თან მარმელადოვის ავადმყოფური სიყვარული ცოლისა და ოჯახისადმი დავთარს უბნევდა მის მსმენელს. რასკოლნიკოვი უსმენდა ყურადღებით, მაგრამ თვითონაც იტანჯებოდა. ბოლოს ინანა კიდევ, რომ აქ შემოვიდა.

- მოწყალეო ხელმწიფე, მოწყალეო ხელმწიფე! - შესძახა მარმელადოვმა, თავი რომ შეიმაგრა. - ოჰ, ხელმწიფეო ჩემო, იქნება თქვენ სხვებივით სასაცილოდაც არ გყოფნით, რომ ჩემი შინაური ცხოველების წვრილმანი სისულელით თავს გაბეზრებთ და გაწუხებთ, მაგრამ მე როდი მესასაცილოება! ვინაიდან შემიძლია ყოველივე ეს ვიგრძნო... მთელი ის სამოთხისებური დღე და ღამე მეც ოცნებაში გავატარე, ესე იგი,

როგორ მოვაწყობდი ყველაფერს: ბავშვებს ჩავაცმევდი, კატერინა ივანოვნას მოვასვენებდი, ჩემს მხოლოდშობილ ასულსაც გარყვნილებას გამოვგლეჯდი და ოჯახს დავუბრუნებდი... ბევრ კიდეც სხვასაც შევიძლებდი. მაგრამ, ხელმწიფეო ჩემო (შეხტა თითქოს უცბად მარმელადოვი, თავი მაღლა ასწია და რასკოლნიკოვს ჯიქურ შეხედა), სწორედ მეორე დღესვე, ყველა ამ ოცნების შემდეგ (ესე იგი, ამ ხუთი დღის წინათ), საღამოთი, როგორც იყო, ეშმაკობით ხელთ ვიგდე კატერინა ივანოვნას სკივრის გასაღები და, როგორც ქურდმა ბნელ ღამეში, ამოვიღე მთლად, თუ რაიმე იყო დარჩენილი ჩემი ჯამაგირისა, მაგრამ რამდენი, ეგ აღარ მახსოვს. ჰოდა, მიცქირეთ ახლა ყველამ! მეხუთე დღეა, სახლიდან გამოვსულვარ; იქით ისინი მეძებენ, აქეთ სამსახური დავკარგე, ვიცმუნდირიც ეგვიპტის ხიდთან ძევს დუქანში, რის მაგივრადაც აი, რა ჩამაცვებს... გათავდა ამით ყველაფერი!

მარმელადოვმა შუბლში ითხლიშა მუშტი, კბილები გააკრაჭუნა, თვალები დახუჭა და იდაყვით მაგრად დაეყრდნო მაგიდას. მაგრამ ერთი წამის შემდეგ სახე უცბად შეეცვალა, რაღაც მოჩვენებითი ცბიერებითა და თავხედობით შეხედა რასკოლნიკოვს, გაიცინა და ჩაილაპარაკა: - დღეს სონიასთან ვიყავი, ნაბახუსევმა ფული ვთხოვე! ხე, ხე, ხე!

- ნუთუ მოგცათ? - შეეკითხა ვიღაც მოსულთაგანი და გულიანად გადაიხარხარა.

- აი, ეს ნახევარშტოფი სწორედ იმისი ფულით არის ნაყიდი, - მიმართა მარმელადოვმა მხოლოდ რასკოლნიკოვს. - გამომიტანა ექვსი შაური თავისი საკუთარი ხელით, უკანასკნელი, რაც ჰქონდა, თვითონა ვნახე... არა უთქვამს რა, მარტო ჩუმად გადმომხედა... ასე აქ, დედამიწაზე კი არა, იქ... სტკივათ გული ხალხისათვის, ტირიან, მაგრამ არ აყვედრიან, არა! ეს კი უფრო მტკენს გულს, როცა არ მაყვედრიან!.. დიახ, ექვსი შაური. მერე განა თვითონ კი არ სჭირდება? როგორა გგონიათ, ძვირფასო ხელმწიფეო ჩემო? მოვალეა თუ არა, თავი სუფთად შეინახოს? სისუფთავეც ფული ღირს თუ არა, აი ისეთი სისუფთავე, ხომ გესმით, ხომ გესმით? პომადაც უნდა იყიდოს, უიმისობა არ შეიძლება; გახამებული ქვედა კაბაცა და კოხტა ფეხსაცმელიც, იმიტომ რომ ტლაპოზე გადასვლის დროს ფეხი გამოუჩნდება... ხომ გესმით, ხელმწიფეო ჩემო, რას ნიშნავს ეს სისუფთავე? მერე მე, იმისმა სისხლმა და ხორცმა, მამამ, ექვსი შაური გამოსაფხიზლებლად წავგლიჯე! და ვსვამ! დავლიე კიდეც!.. არა, ჩემისთანას ვინ შეიბრალებს? ჰა? გებრალებით ახლა, ხელმწიფეო ჩემო, თუ არა? მითხარით, ბატონო ჩემო, გებრალებით თუ არა? ხე-ხე-ხე-ხე!

უნდოდა კიდეც დაესხა, მაგრამ ბოთლში აღარა იყო რა. ნახევარშტოფი ცარიელი იდგა.

- რა გაქვს შესაბრალისი? - დაჰყვირა დუქნის პატრონმა, რომელიც იმჟამად ისევ მარმელადოვისა და რასკოლნიკოვის გვერდით გაჩნდა.

გაისმა სიცილი და ლანძღვაც კი. იცინოდნენ და ილანძღებოდნენ ისინიც, ვინც სამსახურიდან გადამდგარ მოხელეს ყურს არც უგდებდა.

- რა მაქვს შესაბრალისი? - შეჰღალადა უცებ მარმელადოვმა, წამოდგა ხელგაწვდილი, აღტყინებული, თითქოს ეს არის ამ სიტყვებს უცდიდაო, - რა მაქვს შესაბრალისი, ამბობ შენ? დიახ, არა ვარ შესაბრალისი! ჯვარს უნდა მაცვან, ჯვარსა და არა შემბრალონ! მაგრამ ჯვარს აცვი, მსაჯულო, ჯვარს აცვი და შეიბრალე შემდეგ! და ჰა,

მაშინ თვითონ მე მოვალ სასჯელად, ვინაიდან მწუხარებასა და ცრემლს ვეძიებ და არა მხიარულებასა... როგორ გგონია შენ, ეი, ვაჭარო, ძალიან მეტკბილა ეს შენი ნახევარშტოვი? მწუხარებასა და ნაღველს ვეძებდი მის ძირში, ნაღველსა და ცრემლსა, ვიგემე და ვიპოვე კიდეც; ჩვენ კი შეგვიბრალებს მხოლოდ ის, ვინც შეიბრალა ყველა და ყოველივე გაიგო, იგია ერთადერთი მსაჯული. მოვა მას დღესა შიგან და იკითხავს: „სადაა ასული იგი, რომელმან თავი თვისი ბოროტისა და ჭლექიან დედინაცვლისა და სხვათა მცირეწლოვანი შვილებისათვის გასწირა? სადაა ასული იგი, რომელი მამასა თვისსა ქვეყნიერსა და უსარგებლო ლოთსა და მისსა სიმხეცესა არა შეუშინდა და რომელმან შეიბრალა იგი?“ და ეტყვის: „მოვედ! უკვე მოგიტევე ერთგზის... მოგიტევე ერთგზის... მოგეტევების აწცა ცოდვანი მრავალნი, ვინაიდან დიდ არს სიყვარული ეგე შენი...“ და მიუტევებს ჩემს სონიას, მიუტევებს; ვიცი ახლავე, რომ მიუტევებს; ვიგრძენ ეს წელან, ფულისათვის რომ ვიყავი!.. განსჯის ყველას და მიუტევებს: კეთილთაცა და ბოროტთაცა, ბრძენთაცა და დაბალთაცა... და როდესაც მორჩება ყველას, ახლა ჩვენ გვეტყვის: „წამოდექით თქვენც! ლოთნო, სუსტნო, სირცხვილეულნო“, და ჩვენც გამოვალთ ყველანი, არ დავირცხვენთ და დავდგებით. და გვეტყვის: „ღორები ხართ სწორედ! ნადირები და პირუტყვები, მაგრამ მოვედინ თქვენცა!“ და ჰრქვიან მაშინ ბრძენნი და გონიერნი: „უფალო! რასათვის მოუწოდებ მაგათ?“ და ეტყვის: „მოუწოდებ, ბრძენნო და გონიერნო, იმად, რომ არცაღა ერთი მათგანი ღირსად ამისად თავს არა ჰრაცხის...“ და აღიღებს ხელთა თვისთა ჩვენდა და დავემხვებით... და ვიტირებთ... და ყოველსავე შევისმენთ! შევისმენთ მაშინ ყოველსა!.. და სხვანიცა ყველანი შეისმენენ... კატერინა ივანოვნაც... იგიცა შეისმენს!.. უფალო, მოვედინ სასუფეველი შენი!

დასუსტებული, ძალაგამოლეული მოხელე სკამზე დაეშვა. აღარავის არ უყურებდა, გეგონებოდათ, ყველა დაივიწყა, ღრმად ჩაფიქრდაო. მისმა სიტყვებმა თითქოს რაღაცა გავლენა იქონია; ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ისევ სიცილი და ლანძღვა გაისმა წინანდებურად.

- განსაჯა!

- რომავს რაღაცას!

- მოხელეს დამიხედეთ! მოხელეს!

- წავიდეთ, ბატონო ჩემო, - წამოიძახა უცებ მარმელადოვმა, თავი მაღლა ასწია და მიმართა რასკოლნიკოვს, - შინამდე მიმაცილეთ... კოზელის სახლის ეზომდე. დროა... კატერინა ივანოვნას მივაკითხოთ...

დიდი ხანია რასკოლნიკოვს წასვლა უნდოდა; შველას კი თვითონაც ფიქრობდა. ფეხები უფრო სუსტი აღმოაჩნდა მარმელადოვს, ვიდრე ენა და მაგრად დაეყრდნო ახალგაზრდას. გასავლელი სულ რაღაც ორას-სამასი ნაბიჯი ჰქონდათ. რამდენადაც უახლოვდებოდა სახლს, იმდენად მეტი შიში იტანდა ლოთს და თრთოდა.

- კატერინა ივანოვნასი კი არ მეშინია, - დუდუნებდა ალეგვებული, - არც იმისი, რომ დამქოჩრავს. დაქოჩვრა არაფერია... სისულელეა!.. გეუბნებით! უკეთესიც კია, რომ დამქოჩროს; არა, ამისი კი არა... იმის თვალებისა მეშინია... დიახ... თვალებისა... მისი ლოყებისა მეშინია... რომ წამოუწითლდება ხოლმე... მეშინიან კიდეც იმის სუნთქვისა... გინახავს, ასეთი ავადმყოფი როგორა სუნთქავს... როცა აღელდება?

ბავშვების ტირილისაც მეშინიან... იმიტომ, რომ თუ სონიას არა უჭმევია რა, არ ვიცი სწორედ! არ ვიცი! ცემისა კი არ მეშინია... იცოდე, ბატონო ჩემო, რომ ცემა ტკივილს კი არა, სიამოვნებას მაგრძნობინებს... ვინაიდან უიმისოდ მეც ვეღარ ვძლებ. მირჩევნია მცემოს, გული მოიხოს... უკეთესია... აგერ სახლიც. კოზელის სახლი. ზეინკლისა, მდიდარი გერმანელისა... წამიყვა!

შევიდნენ ეზოში და მეოთხე სართულზე ავიდნენ. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, უფრო ბნელი იყო კიბე. თერთმეტი საათი სრულდებოდა, მაგრამ იქ მაინც ძალიან ბნელოდა, თუმცა ამ დროს პეტერბურგში ნამდვილი ღამე არ იცის.

კიბის ბოლოში, სულ მაღლა გამოჭრილი, გაჭვარტლული პატარა კარი ღია იყო. სიგრძით ათნაბიჯიან ვიწრო ოთახს ნამწვი სანთელი ანათებდა. თავით ბოლომდე მოჩანდა ოთახი გარედან. ყველაფერი არეულ-დარეული და აწეწილი იყო, განსაკუთრებით ბავშვების ჩვრები. უკანა კუთხეში აქა-იქ დახვრეტილი ძველი ზეწარი იყო გაბმული. უკან უთუოდ საწოლი ედგათ. თვითონ ოთახში მხოლოდ ორი სკამი და მუშამბაგადაკრული, დაგლეჯილი დივანი იდგა, რომელსაც წინ ფიჭვის ძველი, შეუღებავი სამზარეულო მაგიდა ჰქონდა მიდგმული. ამ გადაუფარებელი მაგიდის ერთ ნაპირზე ქონის სანთლის ნამწვი იდგა რკინის შანდლით. როგორც ჩანდა, მარმელადოვი ცალკე ოთახში ცხოვრობდა და არა კუთხეში, მაგრამ ეს ოთახი გზად გასავლელი იყო. ამაღია ლიპევეხელის ბინის დანარჩენ ოთახებში, ანუ გალიებში გამავალი კარი ღია იყო. საშინელი ხმაური და ყვირილი გამოდიოდა. ხარხარებდნენ. ეტყობოდა, ქალაღს თამაშობდნენ, ჩაისა სვამდნენ. დროდადრო ხომ მეტად მოურიდებელი სიტყვები ისმოდა.

რასკოლნიკოვმა მაშინვე იცნო კატერინა ივანოვნა. ეს იყო საშინლად გამხდარი, წვრილი და მაღალი, მოხდენილი ტანის დედაკაცი, რომელსაც ჯერ კიდევ მშვენიერი მუქი ქერა თმა ჰქონდა. ლოყები ალაგ-ალაგ ძლიერ დასწითლებოდა. ხელები გულზე დაეკრიფა და ტუჩებგამხმარი წინ და უკან გადი-გამოდიოდა თავის პაწია ოთახში, თან აჩქარებითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. თვალები ციებიანივით უელვარებდა, მაგრამ იყურებოდა სასტიკად. მიღეული ნამწვის ოდნავ გამომკრთალ სინათლეზე, მისი ჭლექიანი სახე ავადმყოფურ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რასკოლნიკოვს სულ რაღაც ოცდაათი წლის ქალად ეჩვენა კატერინა ივანოვნა, მართლაც რომ არ იყო მარმელადოვის შესაფერი... შესულნი არ შეუნიშნავს; მათი მოსვლა არ გაუგია; ეტყობოდა, არც არა ესმოდა რა და არცა რას ხედავდა. ოთახში ჰაერი შეხუთული იყო, მაგრამ ფანჯარა არ გამოეღო; კიბიდანაც საშინელი სიმყრალე ამოდიოდა, მაგრამ კარი ღია ჰქონდა. შიგნითა ოთახებში გამავალი ღია კარიდანაც თამბაქოს ბოლი სვეტ-სვეტად შემოდიოდა და ქალს ახველებდა, მაგრამ არც ის კარი მიეხურა. ყველაზე უმცროსს, ექვსი წლის გოგონას როგორღაც უცნაურად ჩაეკეცა იატაკზე, თავი დივანზე დაედო და ჩასძინებოდა. ამ პატარაზე ერთი წლით უფროსი ვაჟი კუთხეში ცახცახებდა და ტიროდა. ეტყობოდა, ის-ის იყო ეცემათ. უფროსს, ცხრა წლის გოგონას, მაღალ-მაღალსა და წკირივით წვრილს, ტანთ მხოლოდ დაფლეთილი, თხელი პერანგი ეცვა, ტიტველა მხრებზე დრადედამის ძველისძველი ბურნუსი ჰქონდა მოგდებული, ორი წლის წინათ მაინც შეკერილი, რადგან საშინლად დამოკლებოდა და მუხლებამდე ძლივსღა სწვდებოდა. იდგა პაწია ძმის გვერდით კუთხეში და ჩხირივით წვრილი ხელი მისთვის ყელზე შემოეხვია.. ეტყობოდა, უყვავებდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა, აჩუმებდა, რომ კიდევ არ ამოეშვა ტირილი, თან შეშინებული დედას ადევნებდა დიდრონ, მუქ თვალებს, რომლებიც მის გამხდარ

და შემკრთალ სახეზე უფრო დიდად მოსჩანდნენ. მარმელადოვი ოთახში არ შესულა, იქვე კარში ჩაიჩოქა, რასკოლნიკოვი კი წინ გაიგდო. ქალმა რომ უცნობი დაინახა, დაიბნა და შედგა, თითქოს წუთით გამოერკვა და ფიქრობს: რა უნდა, რისთვის შემოვიდაო? მაგრამ მაშინვე წარმოიდგინა, უთუოდ სხვებთან არისო, რადგანაც მათი ოთახი გზად გასავლელი იყო, და ყურადღება არ მიუქცევია, კარისაკენ გასწია, რომ მოეხურა. აქ კი შეჰყვირა უცბად, კარში რომ ჩაჩოქილი ქმარი დაინახა.

- აჰ, მოხვედი, - შეჰყვირა გააფთრებულმა, - კატორღელო! შეჩვენებულო!.. ფულები რა უყავ? მაჩვენე, გაქვსლა რამ ჯიბეში? ტანზე ის აღარ გაცვია, რა უყავ, რა? ფული სად არის? მითხარი... - და ეცა გასაჩხრეკად. მარმელადოვიც მაშინვე მორჩილად ხელები გაშალა, რომ ჯიბის გაჩხრეკა გაეადვილებინა. გროში რა არის, გროში აღარ მოემბნებოდა.

- ფული რა უყავ? - უყვიროდა ცოლი. - ოჰ, ღმერთო, ნუთუ სულ შექამა! თორმეტი მანეთი კიდევ იდო სკივრში!.. - და უცბად გაცოფებული თმაში სწვდა, ოთახში შეათრია, მარმელადოვიც თვითონვე უადვილებდა საქმეს და მორჩილებით მისდევდა ხოხვით.

- ეს ჩემთვის სიამოვნებაა! სი-ამ-ოვ-ნე-ბა-ა, მოწ-ყა-ლეო ხელ-მწი-ფეო, და არა ტკენა, - ყვიროდა დაჩოქილი მარმელადოვი და ერთხელ შუბლიც კი დაატაკა იატაკს. იატაკზე მიძინებულმა ბავშვმა გაიღვიძა, ტირილი მორთო. კუთხეში ატუზულმაც ვეღარ მოითმინა, შეჰყვირა და დისაკენ გაქანდა, გულგახეთქილი და ელდანაკრავი, ნამძინარევი უმცროსი ქალიც ფოთოლივით თრთოდა.

- შეუქამია! მთლად შეუქამია! - კიოდა სასოწარკვეთილი, საბრალო დედაკაცი, - ტანზეც რომ ის აღარ აცვია! ვაი, მშვივრებო! მშვივრებო! (ხელების მტვრევით ანიშნებდა ბავშვებზე). ო, დაწყველილო სიცოცხლევ! თქვენ, თქვენ კი არა გრცხვენიათ, - მივარდა უცბად რასკოლნიკოვს, - დუქნის ბოლოოწოვ! შენც იმასთან სვამდი? იმასთან სვამდი! მომშორდი აქედან!

რასკოლნიკოვიც მაშინვე გაქრა, კრინტი არ დაუძრავს. სწორედ ამ დროს შიგნიდანაც გამოიღო ყურთამდე კარი და რამდენიმე ცნობისმოყვარემ უტიფრად შემოჰყო თავი, პირში პაპიროსები და ჩიბუხები გაერჭოთ, თავზე არახჩინები ეხურათ და იცინოდნენ. ზოგს ხალათი ეცვა, ზოგი მთლად გაშილიფებულიყო უზრდელად, სხვებს სათამაშო ქალღიბი ეჭირათ ხელში. განსაკუთრებით გულიანად იცინოდნენ, როცა მარმელადოვს დაქოჩრილს მიათრევდა ცოლი, ის კი მაინც ყვიროდა, ვსიამოვნებო. ზოგი ოთახშიაც კი შემოვიდა. ბოლოს მოისმა რაღაც საზარელი წივილი: ეს გახლდათ თვითონ ბინის პატრონი ამალია ლიპევეხელი; მოარღვევდა და მოდიოდა წინ, რომ მისებურად წესიერება აღედგინა და მეასეჯერ კიდევ გაელანძლა საბრალო დედაკაცი და დამუქრებოდა, ხვალვე ბინიდან დაგითხოვო. გამოსვლის დროს რასკოლნიკოვმა ჩაიყო უცბად ჯიბეში ხელი და დუქანში დახურდავებული მანეთიდან, რამდენიც მოხვდა, შეუნიშნავად ფანჯარაზე დააწყო. მერე, კიბეზე, გადაიფიქრა ისევ და უნდოდა უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ გვიანდა იყო.

„რა სისულელე ჩავიდინე, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - ამათ კიდევ სონია ჰყავთ, მე კი თვითონ მიჭირს!“ მაგრამ რაკი უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა და არცთულა თვითონ წამოიღებდა უკან, ჩაიქნია ხელი და შინისაკენ გასწია. - „სონიასაც ხომ პომადები უნდაო, - გაიხსენა მიმავალმა მარმელადოვის სიტყვები და გესლიანად

ჩაიცინა, - ეს სისუფთავეც ხომ ფული ღირსო... ჰმ! თუმცა შეიძლება სონეჩკაც გაკოტრდეს დღეს, იქაც სათუოა... დიდ ნადირზე ნადირობს... იგივე ოქროს სარეწია... მამასადაძმე, ხვალ ყველანი მშივრები ისხდებოდნენ, მე რომ ფული არ დამეტოვებინა... აფერუმ, სონია! რა მადანი აღმოუჩენიათ და სარგებლობენ კიდევ! იტირეს, იტირეს და შეეჩვივნენ... რა საზიზღარია ადამიანი, ყველაფერს ადვილად ეჩვევა!“

- მაგრამ თუ ვიცრუე, - შეჰყვირა უნებურად, - თუ მართლა საზიზღარი არ არის ადამიანი და მთელი ადამის ტომი? ჩანს, მაშინ ყველაფერი ცრუმორწმუნეობა და განგებ შექმნილი შიში ყოფილა, არავითარი საზღვარი არ არსებულა და ყოველივე ასეც უნდა იყოს!..

III

გვიან გაიღვიძა მეორე დღეს, მაგრამ მოუსვენარმა ძილმა ძალა ვერ შეჰმატა. გაიღვიძა დაბოღმილმა და თავის სენაკს ზიზღით მოავლო თვალი. ეს იყო სიგრძით ექვსნახიჯიანი პაწია გალია, რომელსაც კედლიდან თითქმის მთლად ამძვრალი და მტვრით დაფარული ყვითელი შპალერი საცოდავ შესახედაობას აძლევდა. უზომოდ დაბალი ჭერი ოდნავ მაღალ კაცს შეაკრთობდა და აფიქრებინებდა, - აი, საცა თავს შევარტყამო. მოწყობილობაც შესაფერისი ჰქონდა: სამი დაძველებული სკამი და კუთხეში მიდგმული შეღებილი მაგიდა, რომელზედაც რამდენიმე რვეული და წიგნი იდო; სქლად დადებული მტვერი ნათლად ამტკიცებდა, რომ დიდი ხანი იყო არავის ხელი არ შეხებოდა. ამ მოწყობილობას ამთავრებდა ვეება, უშნო დივანი, რომელსაც სიგრძეზე თითქმის მთელი კედელი ეჭირა, სიგანეზე კი - ნახევარი ოთახი. ოდესმე ჩითი ჰქონოდა გადაკრული, მაგრამ ახლა ძონძების მეტი აღარა შერჩენოდა რა და რასკოლნიკოვს ლოგინობას უწევდა. ხშირად ეძინა ხოლმე ისე, გაუხდელს, უზეწროდ, ზემოდან თავის ძველ სტუდენტურ პალტოს დაიგდებდა, თავით პატარა ბალიშს ამოიდებდა, რომელსაც ქვემოდან საცვლებს ამოუწყობდა ხოლმე, - ჭუჭყიანსა და სუფთას, ყველას ერთად, - რომ აემალლებინა სასთუმალი. დივნის წინ კიდევ პატარა მაგიდა იდგა.

ამაზე მეტად კაცის მოშვება და გაბინძურება შეუძლებელია იყო, მაგრამ ახლა რასკოლნიკოვს კიდევაც სიამოვნებდა ეს, რადგან მოშორდა ყველას და კუსავით თავის ბაკანში შეძვრა. თვით მოსამსახურე გოგოს დანახვაც კი, რომელიც მხოლოდ ათასში ერთხელ შემოხედავდა ხოლმე, აბრაზებდა და ზიზღსა ჰგვრიდა. ასე ემართება ზოგიერთ მონომანს, ერთ რაიმე საგანზე უზომოდ დაფიქრებულს. ორი კვირაა უკვე, რაც ბინის დიასახლისი სადილს აღარ აძლევს, მაგრამ არც კი უფიქრია ჩასულიყო და გარემოება აეხსნა, თუმცა უსადილოდ რჩებოდა. მზარეულ გოგოს, დიასახლისის ერთადერთ მოსამსახურეს, ნასტასიას, უხაროდა კიდევ ეს და ოთახის დაგვა-დაწმენდაზე სრულიად ხელი აეღო; მხოლოდ კვირაში ერთხელა თუ მოუსვამდა ხოლმე ისე, უნებურად, ცოცხს. აგერ ახლაც იმან გამოაღვიძა.

- ადექ, რასა გძინავს! - დაჰყვირა გოგომ. - მეათე საათია, ჩაი მოგიტანე; არ გინდა? როგორ ჩამომხმარხარ!

მდგურმა თვალები გაახილა, შეკრთა, მაგრამ ნასტასია იცნო.

- დიასახლისმა გამოგზავნა? - დაეკითხა მძიმედ და დივნიდან ღრეჭით წამოდგა, თითქოს სტკივა რამეო.

- როგორ არა, დიასახლისმა!

დაუდგა წინ თავისი საკუთარი, გაბზარული ჩაიდანი უკვე ფერგამოლეული ჩაით და ორი ნაჭერი ჩაყვითლებული შაქარი დაუდო.

- წაილე, გეთაყვა, ნასტასია, აი, ფული, - ჯიბე მოიჩხრიკა მან (ისე ჩაცმულს ეძინა), - და საიკა მიყიდე. სამეხვედანაც პატარა მეხვი წამომილე, მაგრამ იაფი კი იყოს.

- საიკას ახლავე მოგიტან, მაგრამ მეხვის მაგივრად იქნება შჩი ჭამო? კარგი შჩია, გუშინდელი. გუშინვე გადავილე შენთვის, მაგრამ გვიან მოხვედი. გემრიელია.

შემოუტანა შჩი და რასკოლნიკოვიც შეუდგა ჭამას; ნასტასიამაც იქვე დივანზე მოიკალათა და მოჰყვა ყბედობას. სოფლელი დედაკაცი იყო და თანაც ძალიან ყბედი.

- პრასკოვია პავლოვნა პოლიციაში გიპირებს ჩივილს, - დაიწყო.

რასკოლნიკოვი საშინლად შეიჭმუნა.

- პოლიციაში? რაო, რა მინდაო?

- ფულს არ იძლევი და აღარც ბინიდან გადადიხარ, იმიტომ! არ იცი, რაც უნდა?

- ეჰ, დალახვროს ეშმაკმა! ეგლა მაკლდა, - კბილების ღრჭიალით ბუტბუტებდა თავისთვის რასკოლნიკოვი. - არა, ახლა სწორედ რომ არას მარგებს ეს... ტუტუცი!.. - დასძინა ხმამაღლა. - დღეს ვნახავ, მოველაპარაკები.

- ტუტუცი კი ტუტუცია, ისეთივე, როგორც მე, მაგრამ შენ რასა გდიხარ კუნძივით, ჭკუის კოლოფო, შენ რიღას მაქნისი ხარ? წინათ ამბობდი, ბავშვებს ვასწავლიო, ახლა რაღატომ არას აკეთებ?

- ვაკეთებ... - ჩაილაპარაკა უხალისოდ რასკოლნიკოვმა.

- რას აკეთებ?

- საქმეს...

- რა საქმეს?

- ვფიქრობ! - მიუგო დინჯად, მცირე სიჩუმის შემდეგ.

ნასტასია სიცილით გადაბრუნდა. ხითხითა ვინმე იყო და მაშინვე აუვარდებოდა ხოლმე სიცილი, თუკი ვინმე გააცინებდა.

- მერე, ბლომად მოიფიქრე ეს ფული? - ძლივს ამოთქვა ბოლოს.

- უწაღებოდ ბავშვების სწავლება არ შეიძლება. თუმცა ღირს განა ლაპარაკად, ფუ!

- ნუ აფურთხებ ტყუილად.

- სწავლებაში რაღაც გროშებს იძლევიან. რას გააკეთებ, აბა, ამ ფულით? - განაგრძობდა ასევე უხალისოდ ლაპარაკს. თითქოს თავისივე ფიქრებს უპასუხებდო.

- შენ კი მთელი ფული ერთად გინდოდა, ჰა?

უცნაურად გადახედა რასკოლნიკოვმა.

- დიახ, დიახ, მთელი ფული! - მიუგო მტკიცედ, მცირე დუმილის შემდეგ.

- სჯობს ისევ ცოტ-ცოტა იყოს, თორემ ხალხს შეაშინებ; საშიში რამ არის ძალიან. საიკასათვის ნუ წავალ?

- როგორც გერჩიოს!

- ჰო, მართლა, დამავიწყდა მეტქვა! გუშინ შენს სახელზე წერილი მოვიდა.

- წერილი? ჩემს სახელზე? ვისგან?

- არ ვიცი, ვისგან. ფოსტალიონს სამი კაპიკი ჩემი მივეცი. არ მომცემ?

- მოიტა, ღვთის გულისათვის, მალე მოიტა! - შეჰყვირა აღელვებულმა, - ოჰ, ღმერთო!

ერთი წუთის შემდეგ წერილი უკვე ხელში ეჭირა. ისე იყო, როგორც იფიქრა, - დედა სწერდა რ-ის გუბერნიიდან. გაფითრდა კიდეც, რომ გამოართვა. დიდი ხანია უკვე წერილი აღარ მიუღია; მაგრამ ახლა სხვა რამემ გული უცბად შეუხუთა.

- წადი, ნასტასია, ღვთის გულისათვის! აი, შენი სამი კაპიკი, ოღონდ ჩქარა წადი!

ხელი მთლად უკანკალებდა. არ უნდოდა გოგოსთან გაეხსნა: მარტოდმარტო დარჩენა ენატრებოდა. გავიდა თუ არა ნასტასია, მაშინვე საჩქაროდ ტუჩებთან მიიტანა და დაჰკოცნა. დიდხანს დასცქეროდა მისამართის ხელს, ნაცნობსა და საყვარელს, წვრილად, წაწვენიტ ნაწერს დედისას, რომელმაც ოდესღაც წერა-კითხვა ასწავლა. მაგრამ გახსნას არ ჩქარობდა; თითქოს რაღაცისა ეშინოდა კიდეც. ბოლოს გახსნა: ორი დიდი თაბახი ფოსტის ქაღალდი მთლად წვრილად იყო ჩაწიკვიკებული.

„საყვარელო როდია, - სწერდა დედა, - ორ თვეზე მეტია აგერ, არ მისაუბრია შენთან წერილით, რამაც დიდად დამტანჯა. თითქმის მთელი ღამეები არ მძინავს, სულ შენზე ვფიქრობ, მაგრამ იმეღია, არ გამამტყუნებ, რომ უნებურად ვდუმდი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ერთადერთი შენ გვყავხარ მეცა და დუნიასაც; შენა ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება. რომ იცოდე, რა ელდა მეცა, რომ გავიგე, რამდენიმე თვეა უნივერსიტეტს თავი დავანებე, რაკი ცხოვრების სახსარი არა მქონდაო და გაკვეთილებიც მომესპოო! აბა, ჩემი თორმეტთუმნიანი პენსიით წელიწადში როგორ გიშველიდი? თხუთმეტი მანეთი, ამ ოთხი თვის წინათ რომ გამოგიგზავნე, როგორც იცი, იმავე პენსიის ანგარიშში ვესესხე აქაურ ვაჭარ ვასილ ივანიჩ ვახრუშინს. კეთილი კაცია და განსვენებული მამაშენის მეგობარი. მაგრამ სანამ თხუთმეტი მანეთს ჩემი პენსიიდან ჩემ მაგივრად ის მიიღებდა და ვალს მოვიშორებდით, იქამდის ვერას მოგაშველებდი. მადლობა ღმერთს, ახლა, მგონი, შევძლებ მოგაწოდო რამე; საზოგადოდ მაინც ბედმა გაგვიღიმა, მგონი, რის შეტყობინებასაც ვისწრაფვი. ჯერ ერთი, მიძხვდარი ხარ თუ არა, ჩემო როდია, რომ შენი და თვენახევარია უკვე ჩემთან ცხოვრობს და აღარც გავშორდებით უთუოდ ერთმანეთს. მადლობა ღმერთს, მორჩა ტანჯვას; მაგრამ ყველაფერს დაწვრილებით გაიმბობ, როგორ იყო ნამდვილად ჩვენი საქმე და რას გიმალავდით აქამდის. ამ ორი თვის წინათ რომ მწერდი, ვილაცისგან გავიგე, ვითომ დუნიას სვიდრიგაილოვების სახლში ცუდად ეპყრობიანო, და ნამდვილ ცნობებსა მთხოვდი. რას მოგწერდი, აბა, მაშინ? ვიცოდდი, ნამდვილი რომ მომეწერა, მაშინვე უთუოდ თავს დაანებებდი ყველაფერს, ფეხით მაინც

წამოხვიდოდი და დის შეურაცხყოფის ნებას კი არავის მისცემდი. იმიტომ, რომ ვიცი, რა გულის და ხასიათის პატრონიცა ხარ. თვითონაც შეწუხებული და სასოებადაკარგული ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი, აბა? ნამდვილი ვითარება საქმისა მაშინ მეც კარგად არ ვიცოდი. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი კი ის იყო, რომ ბავშვების აღმზრდელად დადგომისთანავე დუნია ამ ასი მანეთი წინდაწინვე გამოართვა იმ პირობით, რომ შემდეგში თვედათვე გამოერიცხათ ჯამაგირიდან. მაშასადამე, ვალის გადახდამდე ადგილის თავდანებება შეუძლებელი იყო. ეს ფული კი (შემიძლია ძვირფასო როდია, აგიხსნა ახლა) უფრო შენთვის აიღო, რომ ექვსი თუმანი გამოეგზავნა, რომელიც იმჟამად ისე ძალიან გიჭირდა და მიიღე კიდევ შარშან. მოგატყუეთ მაშინ, გწერდით, დუნიას ჰქონდა მოგროვებული და იმას გიგზავნიო, მაგრამ მართალი არ იყო. ახლა კი გატყობინებ ნამდვილს, რაკი ღვთის წყალობით უცბად ყველაფერი სამჯობინოდ შეიცვალა; გატყობინებთ, რომ იცოდეთ, რარიგ უყვარხარ დუნიას და რა ძვირფასი, დაუფასებელი გულის პატრონია. მართალია, ბატონი სვიდრიგაილოვი პირველად მეტად ურიგოდ ეპყრობოდა და სუფრაზედაც დასცინოდა თურმე... მაგრამ არ მინდა ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვე, ტყუილად აგაღელვებს მარტო, საქმე კი უკვე წასულია. მოკლედ გეტყვი. მართალია, ბატონი სვიდრიგაილოვის მეუღლე, მარფა პეტროვნა, გულკეთილად ეპყრობოდა, აგრეთვე სხვებიც, მაგრამ დუნეჩკასთვის მაინც ძნელი იყო იქ ცხოვრება, განსაკუთრებით, როცა ბატონი სვიდრიგაილოვი გადაკრულში ბრძანდებოდა, როგორც პოლკში იცოდა ხოლმე. მაგრამ რა გამოდგა ბოლოს! წარმოიდგინე, იმ გადარეულს თურმე თვალში მოსვლია დუნია, მაგრამ ამ უდიერი ქცევითა და ზიზღით უნდოდა თავისი გრძნობის დამალვა. იქნება თვითონაცა რცხვენოდა, რომ ხანში შესული და ოჯახის პატრონი ასეთ სულელურ იმედს ემყარებოდა და ამიტომაც უნებლიეთ ბრაზობდა დუნიაზე. ან იქნებ იმიტომაც ეპყრობოდა ასე უკმეხადა და დაცინვით, რომ უნდოდა სხვებისათვის არ გაეგებინებინა ნამდვილი. მაგრამ ვეღარ მოითმინა ბოლოს და პირდაპირ განუცხადა თავისი ბინძური განზრახვა; თან საჩუქრებს თურმე ჰპირდებოდა და ეუბნებოდა, ყველაფერს მივატოვებ და სხვა სოფელში ან, თუ გინდა, საზღვარგარეთაც წაგიყვანო... წარმოიდგენ, რასაკვირველია, რა ტანჯვასაც გამოივლიდა დუნია! მაშინვე ადგილის მიტოვება კი არ შეეძლო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვალი ჰქონდა გადაუხდეელი, და მეორეც, ებრალებოდა მარფა პეტროვნა, რომელიც მაშინვე ექვს აიღებდა და, მაშასადამე, ოჯახში განხეთქილება უნდა ჩამოეგდო. თვითონ დუნეჩკასთვისაც დიდი სირცხვილი იქნებოდა; გარდა ამისა, სხვა მიზეზიც ბევრი იყო, რომელთა გამო ექვს კვირაზე ადრე იმ საზარელი სახლიდან თავის დაღწევა არ შეეძლო. რასაკვირველია, იცნობ დუნიას, იცი, როგორი ჭკვიანი და მტკიცე ხასიათისაც არის. ბევრის ატანა შეუძლია დუნეჩკას და თვით უკიდურეს შემთხვევაშიც კი დიდსულოვნებასა და ხასიათის სიმტკიცეს არ დაკარგავს. მეც კი არ მომწერა ყველაფერი, რომ არ ავეღელვებინე და შევეწუხებინე, თუმცა ხშირად კი ვიგებდით ერთმანეთის ამბავს. საქმე მოულოდნელად გამოირკვა: მარფა პეტროვნამ უნებურად მოჰკრა თურმე ყური ბაღში, რომ ქმარი ეხვეწებოდა დუნიას. ცოლმა საქმე სხვაგვარად გაიგო და ყველაფერში დუნია გაამტყუნა, ვითომ ის ყოფილიყოს მიზეზი. იქვე ბაღში საშინელი ჩხუბი და დავიდარაბა მოუხდათ. მარფა პეტროვნამ კიდევ დაარტყა თურმე დუნიას, არაფრის გაგონება არ უნდოდა, თვითონ კი მთელი საათი უყვიროდა. ბოლოს ბრძანა, მაშინვე ქალაქს წამოეყვანათ ჩემთან; შეაბმევინა გლეხის უბრალო ფორანი, ჩააყრევინა შიგ, როგორც მოხვდათ, საცვალი, კაბები და სხვა ნივთები დუნიასი, შეუკვრელი, ჩაულაგებელი და გამოგზავნა. წამოვიდა საშინელი თავსხმა წვიმა და შეურაცხყოფილმა და

შერცხვენილმა დუნია მთელი ჩვიდმეტი ვერსი ღია ფორნით გამოიარა მარტოდმარტომ, გლახთან ერთად. იფიქრე, აბა რა უნდა მომეწერა ამ ორი თვის წინათ შენგან მიღებული წერილის პასუხად? მეც თვითონ სასოწარკვეთილი ვიყავი; ნამდვილის მოწერას ვერა ვბედავდი, იმიტომ რომ შეგაწუხებდა, შეგაშფოთებდა, შველით კი, აბა, რას უშველიდი? ვაითუ თავიც დაგელუპა, ამასთან, დუნეჩკაც მიკრძალავდა. უბრალო წერილის მოწერა კი, როცა ასეთი ნაღველი და მწუხარება მაწვა გულზე, არ შემეძლო სწორედ. მთელი თვე ჭორები დადიოდა ქალაქში, ყველა ამაზე ლაპარაკობდა; იქამდის მივიდა ბოლოს საქმე, რომ საყდარშიც კი არ წაგვესვლებოდა თითქმის, იქაც კი გვაგონებდნენ. ნაცნობები შემოგვეფანტნენ, თავს აღარავინ გვიკრავდა; გავიგე ისიც, რომ ნოქრებსა და კანცელარიის ზოგიერთ მოხელეს ჩვენი შეურაცხყოფა ჰქონდათ განზრახული და უნდოდათ ჩვენი ეზოს კარი კუპრით გაეთხუპნათ. სახლის პატრონმა ბინიდან გადასვლა მოგვთხოვა ამის გამო. ყველა ამის მიზეზი კი მარფა პეტროვნა იყო, რომელმაც დამნაშავედ დუნია გამოიყვანა და ყველგან თავი მოსჭრა. ქალაქში ყველას იცნობს, თითქმის ყოველდღე ჩამოდიოდა და, რადგანაც ცოტათი ყბედია, ყველას, ვინც კი შეხვდებოდა, თავისი ოჯახის ამბებს უამბობდა, ქმარზე შესჩიოდა, რაც, რა თქმა უნდა, მეტად ცუდია; ამიტომაც უცბად მთელ ქვეყანას მოედო ეს ამბავი, არა მარტო ქალაქში, მთელს მაზრაშიაც კი. მე ავად გავხდი, დუნეჩკამ ჩემზე მაგარი ხასიათი გამოიჩინა; უნდა გენახა, როგორ ითმენდა ყველაფერს და მანუგეშებდა, მამხნევებდა! ანგელოზია ნამდვილი! მაგრამ ღვთის წყალობით, გვეშველა: მოვიდა გონს ბატონი სვიდრიგაილოვი, შეებრაღა უთუოდ დუნია და გამოუტყდა მარფა პეტროვნას, რომ დამნაშავე თვითონ იყო; თან დუნეჩკას გასამართლებელი საბუთებიც წარუდგინა, სახელდობრ, წერილი, რომელიც ადრევე, სანამ მარფა პეტროვნა მათ ბაღში ერთად ნახავდა, დუნიას მიეწერა სვიდრიგაილოვისათვის და ურჩევდა, ხელი აელო საიდუმლო შეხვედრასა და მოლაპარაკებაზე, რომელსაც ისე დაჟინებით ითხოვდა სვიდრიგაილოვი. დუნეჩკას წამოსვლის შემდეგ წერილი სვიდრიგაილოვს შერჩენოდა. წერილში ცხარედ უსაყვედურებდა და უცხადებდა აღშფოთებას მისი არაკეთილშობილური საქციელის გამო მარფა პეტროვნას მიმართ, ახსენებდა, რომ იგი იყო მამა და ოჯახის პატრონი და უპატიოსნება იქნებოდა მისი მხრივ ისეც უბედური და უმწიფო ქალიშვილის ტანჯვა და კიდევ უფრო გაუბედურება. ერთი სიტყვით, საყვარელო როდია, ისე კეთილშობილურად და გრძნობით არის დაწერილი დუნეჩკას წერილი, რომ ვქვითინებდი და ისე ვკითხულობდი; აქამდისაც ისე ვერ წამიკითხავს, რომ ცრემლად არ დავიღვარო. გარდა ამისა, მოსამსახურეებმაც ბევრი რამ გამოამჟღავნეს დუნეჩკას გასამართლებლად; ჩვეულებისამებრ, ამათ უფრო მეტი სცოდნოდათ დაფარულისა, ვიდრე თვითონ სვიდრიგაილოვს ეგონა. ელდა ეცა თურმე მარფა პეტროვნას და ლამის გული არ გაუსკდა, როგორც გამოგვიტყდა ბოლოს, მაგრამ დარწმუნდა სამაგიეროდ, რომ დუნეჩკა უბრალო და უდანაშაულო იყო. მეორე დღესვე, კვირას, ჩამოვიდა ქალაქს, მოვიდა ტაძარში და მუხლმოდრეკილი და თვალცრემლიანი ევედრა დედა ღვთისას, ძალა მიეცა ახალი სატანჯველი აეტანა და თავისი ვალი მოეხადა. ტაძრიდან მერე პირდაპირ ჩვენსა მოვიდა. გვიამბო ყველაფერი, მწარედ სტიროდა და ინანიებდა, ეხვეოდა დუნიას და დანაშაულის პატიებას სთხოვდა. იმავე დილით დაუარა ყველა ოჯახს და შეატყობინა მთელ ქალაქს, რომ დუნეჩკა უდანაშაულო, პატიოსანი ქალია; თან ტიროდა ერთთავად და აქებდა დუნიას. ეგ არ იკმარა და აკითხებდა ყველას სვიდრიგაილოვთან მიწერილ დუნიას წერილს. ზოგიერთს გადააღებინა კიდევ პირი (რაც ჩემი აზრით, სულ მეტი იყო). რაკი ზოგიერთს საწყენად დარჩა - რატომ

პირველად ჩემთან არ მოვიდაო, - ამიტომ რიგრიგობით უვლიდა ყველა ნაცნობს და იცოდნენ კიდეც ადრევე, სად და რა დღეს წაიკითხავდა მარფა პეტროვნა წერილს. ისე რომ, ყოველ წაკითხვაზე კვლავ იკრიბებოდნენ ხოლმე ისინიც კი, ვისაც უკვე რამდენჯერმე მოესმინა წერილი შინ და სხვაგანაც. ბევრი რამ, ჩემი აზრით, სულ მეტი იყო აქ, მაგრამ რას იზამ, როცა მარფა პეტროვნას ხასიათი აქვს ასეთი. სამაგიეროდ, სრულებით აღადგინა დუნეჩკას პატიოსანი სახელი და დანაშაული ამ საქმისა ბრალად მის ქმარს დაედო აღუხორცველ, სამარცხვინო ლაქად. ასე რომ მეცოდება კიდეც ის გადარეული. დუნია მაშინვე რამდენიმე სახლში მიიწვიეს გაკვეთილებზე, მაგრამ უარი თქვა. საზოგადოდ, ყველამ უცბად პატივით დაუწყო მოპყრობა. ამანვე შეუწყო უმთავრესად ხელი იმ მოულოდნელ შემთხვევას, რომლის გამოც ჩვენი ბედი სრულებით უნდა შეიცვალოს ამიერიდან. იცოდე მაშ, საყვარელო როდია, რომ დუნიას საქმრო გაუჩნდა და კიდეც მისცა სიტყვა, რის გაზიარებასაც ასე ვისწრაფვი. მართალია, საქმე შენ დაუკითხავად გათავდა, მაგრამ სასაყვედურო უთუოდ არა გექნება რა, არც ჩემსა და არცა დის მიმართ, რადგან თვითონ დაინახავ საქმის გარემოებიდან, რომ დახანება და გადადება, სანამ შენს პასუხს მივიღებდით, შეუძლებელი იყო. უნახავად კი შენც უთუოდ ყველაფერს საკმაოდ ვერ აწონდაწონიდი. აი, როგორ მოხდა. უკვე ნადვორნი სოვეტნიკია, გვარად ლუჟინი, პეტრ პეტროვიჩი, შორეული ნათესავი მარფა პეტროვნასი, რომელიც ბევრს ეცადა ამ საქმისათვის. პირველად მარფა პეტროვნას პირით გამოაცხადა სურვილი გაცნობისა; ჩვენც მივიღეთ, როგორც რიგი იყო. ყავა დავალევიეთ; მეორე დღეს, ვნახოთ, წერილი გამოგზავნა, სადაც მეტად ზრდილობიანად ითხოვდა დუნეჩკას ხელსა და გვემუდარებოდა, რაც შეიძლება მალე გადაწყვეტილი პასუხი მიგვეცა. თვითონ საქმიანი, მოუცლელი კაცია და პეტერბურგს მიემშურება, ასე რომ თითოეული წამი ძვირად უღირს. ჩვენ, რასაკვირველია, პირველად ძალიან გაკვირვებული ვიყავით, რადგან ყოველივე ეს უცბად და მოულოდნელად მოხდა. მთელი ის დღე სულ ამის ფიქრში ვიყავით, კაცი მეტად კეთილსაიმედოა, უზრუნველყოფილი, ორ ადგილას მსახურობს და უკვე თავისი თანხაც აქვს დაგროვილი. მართალია, ორმოცდახუთ წელს მიღწეულია, მაგრამ საამური შეხედულებისაა და შეიძლება კიდეც მოსწონდეს ქალებს; საზოგადოდ, დარბაისელი და წესიერი კაცია; ოღონდ ეგ არის, ცოტა უქმური და თავზვიაა თითქოს. მაგრამ იქნება პირველი შეხედვით გვეჩვენება ასე. გაფრთხილებ, ჩემო კარგო როდია, პეტერბურგს რომ ჩამოვა, რაც უთუოდ მალე მოხდება, ნუ აჩქარდები შენებურად და ნურაფერს გულფიცხად ნუ გადასწყვეტ, თუ რომ პირველად რამე არ მოგეწონოს. ამას ისე, ყოველი შემთხვევისათვის ვამბობ, თორემ დარწმუნებული ვარ, კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს შენზე. გარდა ამისა, თუ გაცნობა ვისიმე გინდა, უნდა ფრთხილად იყო და თანდათან ეცადო დაახლოებას, რომ შეცდომაში არ შეხვიდე და წინათვე ცუდი აზრი არ შეადგინო, რის გამოსწორებაც შემდგომ ძნელიდაა. პეტრ პეტროვიჩს მრავალი ნიშანი მოეპოვება იმისა, რომ პატიოსანი და პატივსაცემი ადამიანია. პირველ ნახვაზედვე გამოგვიცხადა, რომ ცხოვრებაში უკვე მტკიცედ შედგენილი აზრების კაცია, მაგრამ ზოგჯერ „თანამედროვე თაობათა აზრსაც“ იზიარებს და ყოველგვარი ცრურწმენა საშინლად სძულს. კიდეც ბევრი სხვა რამ ილაპარაკა, რადგან, ცოტა არ იყოს, პატივმოყვარე არის და ძალიან უყვარს, რომ უგონებდნენ, მაგრამ რა დიდი ნაკლი ეს არის. მე, რასაკვირველია, ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ დუნია მითხრა, ჭკვიანი და, მგონი, კეთილი კაცია, თუმცა დიდი განათლება არა აქვს მიღებულიო. ხომ იცი, როდია, შენი დის ბუნება. მტკიცე ხასიათის, კეთილგონიერი, მომთმენი და დიდსულოვანი ქალია, თუმცა გულფიცხი კი. ძალიან კარგად მყავს შესწავლილი.

რასაკვირველია, არც დუნისა და არც იმას განსაკუთრებულად არ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ, გარდა იმისა, რომ გონიერი ქალია დუნია, ანგელოზური კეთილშობილებისა და წმინდა მოვალეობად ჩათვლის, გააბედნიეროს ქმარი, რომელიც, თავის მხრივ, ეცდება ცოლის ბედნიერებას. ჯერჯერობით საბუთი არა გვაქვს ამაში ეჭვი შევიტანოთ, თუმცა, გამოგიტყდები, მეტად მალე მოეწყო საქმე, ამასთან, დიდი ანგარიშის კაციც არის, ასე რომ უთუოდ ეცდება, დუნეჩკას ცხოვრებაც ბედნიერად მოაწყოს. რაც შეეხება ხასიათის მცირედ განსხვავებას, უკვე ძველ-რბილში გამჯდარ ჩვეულებებს, თუნდაც აზრების მცირედ შეუთანხმებლობას (რაიცა უბედნიერეს ცოლ-ქმარს შორისაც კი ხშირია), ამაზე დუნია მითხრა, - ჩემი თავის იმედი მაქვს და აქ საწუხარი არა არის რაო; ბევრს მოვითმენ, თუკი შემდეგ პატიოსნად და სამართლიანად მომეპყრობაო. მეც, უნდა ითქვას, პირველად სასტიკი მეჩვენა, მაგრამ შესაძლებელია იმ მიზეზით, რომ პირდაპირი კაცია. ეს უთუოდ ასეცაა. მაგალითად, მეორე ნახვისას, თანხმობის მიღების შემდეგ, ლაპარაკში გამოთქვა, რომ წინათვე, - დუნისა გაცნობამდევე, - გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლად უთუოდ პატიოსანი, უმზითვო, სიღარიბეს ნაცადი ქალი შეერთო; იმიტომაც, რომ ქმარი არაფრით არ უნდა იყოს ცოლისაგან დავალებულიო, სჯობს, ისევ ცოლი სცნობდეს თავის კეთილისმყოფლად ქმარსო. მაგრამ უნდა დავსძინო აქვე, რომ უფრო რბილად თქვა ეს, ვიდრე მე გწერ; დამავიწყდა, რა სიტყვებით გამოთქვა ეს აზრი; მარტო აზრილა მახსოვს ნათქვამისა. გარდა ამისა, არცა ჰქონია წინასწარ განზრახული, ისე წამოსცდა ლაპარაკში; ასე რომ, ცდილობდა კიდევ, როგორმე გაესწორებინა თავისი ნათქვამი და შეერბილებინა. მე კი მაინც მკვახედ მეჩვენა და დუნისა ვუთხარი მერე. მაგრამ დუნია ამაზე წყენით მიპასუხა, „სიტყვა ჯერ კიდევ საქმეს არ ნიშნავსო“. მართლაც, ასეა. წინა ღამეს, ვიდრე თანხმობას გადაწყვეტდა, სულ არ სძინებია დუნეჩკას; ეგონა, მეძინა, ლოგინიდან ჩუმიად წამოდგა და ოთახში დადიოდა. დაიჩოქა ბოლოს ხატის წინ და დიდხანს მხურვალედ ლოცულობდა, დილით კი გამომიცხადა, თანახმა ვარო.

აკი გითხარი, პეტრ პეტროვიჩი ახლა პეტერბურგს მოდის-მეთქი. დიდი საქმეები აქვს; უნდა პეტერბურგში სავიქილო კანტორა გახსნას. დიდი ხანია, სასამართლოს საქმეებს აწარმოებს და ამ დღეებშიაც ერთი დიდი საქმე მოიგო. უფრო კი იმიტომ უნდა პეტერბურგში ჩამოსვლა, რომ სენატში ჰქონია რაღაც დიდი საქმე. ამრიგად, შეიძლება შენც დიდად გამოგადგეს, ჩემო როდია, ყველაფერში. მე და დუნია კიდევ გადავწყვიტეთ, რომ დღეიდანვე შეგიძლია გარკვეულ გზას დაადგე და შენი ბედი მომავალში გადაწყვეტილად ჩასთვალო. ოჰ, ეს რომ მოხდებოდეს, უნდა პირდაპირ ღვთის წყალობად მივიღოთ! დუნია მხოლოდ ამასლა ოცნებობს. კიდევ გავბედეთ რამდენიმე სიტყვა გვეთქვა ამაზე პეტრ პეტროვიჩთან. ფრთხილად გამოთქვა თავისი აზრი. ასე თქვა, რადგან უმდივნოდ საქმის წარმოება არ შეიძლება, სჯობს, რასაკვირველია, ჯამაგირი ნათესავს აძლიოს, ვიდრე უცხოს, თუ რომ თანამდებობის შესაფერ ნიჭს გამოიჩინოს (შენ და ნიჭი არ შეგწევდეს!), მაგრამ ეჭვიც გამოთქვა, ვაითუ უნივერსიტეტში იმდენი სამეცადინო ჰქონდეს, კანტორაში სამუშაო დრო აღარ დარჩესო. იმჟამად ლაპარაკი ამით გათავდა მხოლოდ, მაგრამ დუნია ახლა ამაზე მეტს არას ფიქრობს. აგერ რამდენიმე დღეა, გაცხარებული ადგენს გეგმებს და იმედოვნებს, რომ მომავალში ან უთუოდ პეტრ პეტროვიჩის ამხანაგად იქნები ან კომპანიონად მის სასამართლო სადავო საქმეებში, მით უმეტეს, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე ხარ. მე, როდია, სრულიად ვეთანხმები დუნისა და მის გეგმას და სავსებით ვიზიარებ მის იმედებს, რადგან შესაძლებლად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა,

რომ პეტრ პეტროვიჩი ახლა გირიდებს, თითქოს და გასაგებიც არის (იმიტომ, რომ არ გიცნობს ჯერ), დუნია მაინც მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ქმარზე თავისი კეთილი გავლენით ყველაფერს მიაღწევს. რასაკვირველია, მოვერიდეთ და პეტრ პეტროვიჩისათვის არა გვითქვამს რა ჯერ ამ ჩვენს ოცნებებზე, განსაკუთრებით იმის თაობაზე, რომ შეიძლება კომპანიონად გაუხდეს. დარბაისელი კაცია და ვაითუ გულგრილად მიეღო, მარტო ოცნებად სჩვენებოდა. არც არა გვითქვამს იმაზე მე და დუნიას, რომ მისი დიდი იმედი გვაქვს და, სანამ უნივერსიტეტში ხარ, ფულით დაგეხმარება; არ გვითქვამს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შემდეგში ეს უთუოდ თავისთავად მოხდება და თვითონვე შემოგადღევს უთქმელად (რასაკვირველია, უარს არ ეტყვის დუნეჩკას), მით უმეტეს, რომ კანტორაში მახლობელ კაცად შენ ეყოლები და მიიღებ დახმარებას, როგორც დამსახურებულ ჯილდოს შრომისას და არა როგორც წყალობას. ასე სწადია საქმის მოწყობა დუნეჩკას და მეც სრულებით ვეთანხმები; მეორეც, არ ვუთხარით იმიტომ, რომ არ მინდოდა პირველი შეხვედრისთანავე დავალებულად ეგრძნო თავი. დუნია რომ ისე აღტაცებით ელაპარაკებოდა შენზე, უპასუხა, თავისი შეხედულება ადამიანზე კაცმა მხოლოდ ახლო გაცნობის შემდეგ უნდა შეიქმნასო და მეც მხოლოდ მაშინ შევიქმნი ჩემს აზრს, როდესაც ახლო გავიცნობო. იცი რა, ძვირფასო როდია, ზოგიერთი მოსაზრებით ისე მეჩვენება (არ იფიქრო, პეტრ პეტროვიჩის ვგულისხმობდე, ისე, საკუთარი მოსაზრებით ვამბობ, ხომ იცი ბებრუხანას ახირება), უმჯობესი იქნება, რომ ქორწინების შემდეგ ისევ ისე ცალკე ვიცხოვრო, როგორც ახლა ვცხოვრობ და არა იმათთან. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ იმდენად კეთილშობილი და თავაზიანია, რომ თვითონვე მიმიწვევს უთუოდ და მთხოვს, ჩემს ქალს არ მოვშორდე; თუ აქამდე ჯერ არა უთქვამს რა, უთქმელადაც თავისთავად იგულისხმება; მაგრამ მე უარს ვეტყვი; არაერთხელ შემინიშნავს, რომ სიდედრები არაფრად ეპიტნავენათ სიძეებს, ამიტომაც არამცთუ არ მინდა ვინმე შევაწუხო, პირიქით, სანამდე ჩემთვის რაღაც ლუკმა მაქვს და ისეთი შვილები მყავხართ, როგორც შენ და დუნია, მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო. თუ შესაძლებელი იქნება, ორივეს მახლობლად დავსახლდები. ამიტომაც, ჩემო როდია, მინდოდა წერილის ბოლოში გამეხარებინე: იცოდე, მაშ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ იქნებ ძალიან ძალე სამთავემ ვნახოთ ერთმანეთი და სამი წლის უნახავნი ტკბილად გადავეხვიოთ ერთმანეთს! უკვე ნამდვილად გადაწყვეტილია, რომ მე და დუნია პეტერბურგში ჩამოვალთ, მაგრამ როდის, არ ვიცი; ყოველ შემთხვევაში, ეს იქნება ძალე, იქნებ ერთი კვირის შემდგომაც. ყველაფერი პეტრ პეტროვიჩზეა დამოკიდებული; როგორც კი მიიხედ-მოიხედავს, მაშინვე გვაცნობებს. უნდა ზოგიერთი მოსაზრებითა და ანგარიშით რაც შეიძლება დააჩქაროს ქორწინება. თუკი მოხერხდა, იქნება მარხვამდეც. თუ დრო არ ეყო და ვერ მოასწრო, მაშინ უთუოდ გახსნილებაზე. ოჰ, რა ბედნიერად ჩაგვიკრავ გულში! შენი ნახვის სიხარულმა ლამის არის გადარიოს დუნია. ერთთავად ღელავს; ისიც კი თქვა ერთხელ ხუმრობით, სხვა არა იყოს რა, თუნდ მარტო ამისათვის გავყვებოდი ცოლად პეტრ პეტროვიჩსო. ანგელოზია სწორედ, ანგელოზი! თვითონ ახლა არაფერს გწერს; მთხოვა მხოლოდ მომეწერა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი რამ აქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ ხელი ეურჩება წერას; იმიტომ, რომ ორ-სამ სტრიქონში ვერას მივწერ და მხოლოდ ტყუილად გულს დამაკლდებაო; მთხოვა აგრეთვე ჩაგეკონო მაგრად და ურიცხვჯერ გაკოცო. მიუხედავად იმისა, რომ ძალე ალბათ ვნახავთ ერთმანეთს, ამ დღეებში მაინც გამოგიგზავნი ფულს, რამდენსაც კი მოვახერხებ. ახლა, როდესაც გაიგეს, დუნეჩკა პეტრ პეტროვიჩზე თხოვდებაო, ფულს მეტად მენდობიან; ასე რომ ვიცი, ნამდვილად, აფანასი ივანიჩი თუნდა შვიდთუმანნახევრამდე მენდობა პენსიის

ანგარიშში. შეიძლება, მაშასადამე, ოცდახუთი მანეთი ან სამი თუმანიც გამოგიგზავნო. მეტსაც გამოგიგზავნიდი, მაგრამ მეშინია გზაში, არ მოგვივიდეს დიდი ხარჯი. მართალია, პეტრ პეტროვიჩმა სიკეთე გამოიჩინა და თვითონ იკისრა, ბარგსა და დიდ ზანდუკს (მგონი, ნაცნობობით ახერხებს) ჩემი ხარჯით გადაგიტანთო, მაინც პეტერბურგში ჩამოსვლას ფული უნდა, უამისოდ სატახტო ქალაქში თავის გამოყოფა, და ისიც პირველ დღეებში, შეუძლებელია. მე და დუნეჩკამ მაინც ყველაფერი დაწვრილებით ვიანგარიშეთ და გამოვიდა, რომ გზა დიდ ხარჯს არ მოითხოვს. რკინიგზამდე ჩვენგან სულ ოთხმოცდაათი ვერსია მხოლოდ; ჩვენც ყოველი შემთხვევისათვის ნაცნობ მეფორნე გლესს მოვურიგდით, ის წამოგვიყვანს; იქიდან კი მესამე კლასით ჩამოვალთ მშვიდობით. ასე რომ, იქნებ ოცდახუთის მაგივრად სამი თუმნის გამოგზავნაც მოვახერხო. მაგრამ კმარა; ორი თაბახი მთლად ავაჭრელე, აღარსად ადგილი აღარ არის. მთელი ჩვენი ისტორია აქა წერია; ბევრი რამაც მოხდა ამ ხნის განმავლობაში! ახლა, ძვირფასო როდია, ნახვამდის, ჩაგიკრავ გულში და მშობლიური სიყვარულით დაგლოცავ. გიყვარდეს, როდია, შენი და დუნია; გიყვარდეს ისე, როგორც მას უყვარხარ, და იცოდე, რომ საკუთარ თავს ურჩევნიხარ. დუნია ანგელოზია, შენ კიდეც ჩვენი იმედი და სასოება ხარ, ჩემო როდია! შენ თუ ბედნიერი იქნები, ჩვენც ბედნიერი ვიქნებით. ხომ კვლავ წინანდებურად ლოცულობ, როდია; ხომ გწამს, რომ მაცხოვარი და შემოქმედი ჩვენი დიდად მოწყალეა? მაგრამ მეშინია, ვაითუ შენც შეგეპარა ეს ახალი დროის ურწმუნოება? მე ვილოცებ მაშინ შენთვის, თუ აგრეა. მოიგონე, აბა, პატარაობა, ჯერ მამა რომ ისევ ცოცხალი გყავდა, როგორ ტიტინებდი ხოლმე ლოცვებს ჩემს კალთაში და როგორი ბედნიერები ვიყავით მაშინ ყველანი! მშვიდობით, თუმცა არა, ნახვამდის! ჩაგიკრავ მაგრად გულში და დაგკოცნი ურიცხვად.

სამარის კარამდე შენი

პულხერია რასკოლნიკოვისა“.

წერილის კითხვა დაიწყო თუ არა, ცრემლებმა მოურწყო სახე რასკოლნიკოვს. მაგრამ როცა კითხვა გაათავა, გაფითრებული და დაღრეჯილი დაურჩა; რაღაც ბოროტი და გესლიანი ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე. თავი მიდო თხელსა და გათელილ ბალიშზე და ფიქრს მიეცა. დიდხანს ფიქრობდა. ძლიერ უცემდა გული, ფიქრები თავში ერეოდა. ბოლოს სული შეეხუთა და ევიწროვა ეს კარადისა თუ სკივრის მსგავსი ყვითელი სორო. თვალი და გონება ხალვათობას თხოულობდა. დაავლო ხელი ქუდს და გამოვიდა; ახლა უკვე აღარ ეშინოდა კიბეზე ვისმე შეხვედროდა: დაავიწყდა ეს თავის შიში. ვასილის კუნძულისაკენ გასწია, ვ-ს პროსპექტით, თითქოს საქმეზე სადღაც მიეჩქარებაო, მაგრამ, როგორც სჩვეოდა, გზას ვერ ამჩნევდა, დუდუნებდა რაღაცას თავისთვის, ზოგჯერ ლაპარაკობდა კიდეც ხმამაღლა, რითაც მეტად აკვირვებდა გამვლელ-გამომვლელებს. ბევრს მთვრალი ეგონა კიდეც.

IV

დედის წერილმა საშინლად დატანჯა. მაგრამ უმთავრეს, ძირითად მუხლზე ერთ წამსაც არ დაჰბადებია ეჭვი, თვითონ წერილის კითხვის დროსაც კი. არსებითად საქმე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და თანაც საბოლოოდ: „არ მოხდება ეს ჯვრისწერა, ვიდრე ცოცხალი ვარ, დამეკარგოს ის ვიღაც ლუჟინი!“

„იმიტომ, რომ საქმე აშკარაა, - ბუტბუტებდა თავისთვის და თან ბოროტად ილიმებოდა, თავისი გადაწყვეტილების გამარჯვებას წინათვე გრძნობდა. - არა, დედა, არა, დუნია, ვერ მომატყუებთ!.. არა, რომ იბოდიშებენ კიდეც, რჩევა ვერ გთხოვთ და საქმე უშენოდ გადაწვევით! რასაკვირველია, ჰგონიათ, ვითომ საქმის ჩაშლა აღარ შეიძლება: ვნახოთ აბა, შეიძლება თუ არ შეიძლება! მიზეზიც რომ მნიშვნელოვანი გამოუძებნიათ: „ისეთი საქმიანი კაცია პეტრ პეტროვიჩი, ისეთი, რომ ჯვარი ლამის ფოსტის სადგურზე თუ რკინიგზაზე დაიწეროსო“. არა, დუნეჩკა, ვხედავ ყველაფერს და ვიცი, რისი თქმაც გინდა ჩემთვის. ვიცი ისიც, რას ფიქრობდი, ოთახში რომ დადიოდი მთელი ღამე; ან რას ევედრებოდი ყაზანის ღვთისმშობელს, დედას რომ უსვენია საძინებელში. გოლგოთაზე ასვლა ადვილი როდია. ჰმ!.. მაშ აგრე, გადაწყვეტილია უკვე: ცოლად მიჰყვებით, ავდოტია რომანოვნა, საქმიანსა და გონიერ ადამიანს, რომელსაც თავისი ფული აქვს (უკვე აქვსო, ეს კი, რასაკვირველია, ყურადღების ღირსია, ფასს ჰმატებს), ორ ადგილას მსახურობს, ჩვენი ახალი თაობის რწმენისაა (როგორც დედა იწერება) და, როგორც დუნეჩკამ შენიშნა, ვგონებ, კეთილიცო. ეს ვგონებ ხომ ყველაფერსა სჯობია! დუნეჩკა ამ ვგონებს მიჰყვება ცოლად!.. მშვენიერია!.. ჩინებულია!..

...მაგრამ საყურადღებოა მაინც, ამ „ახალ თაობებზე“ რაღად მწერს დედა? იმიტომ, რომ დამიხასიათოს, თუ სხვა რამ შორეული მიზნით, ბატონი ლუჟინის სასარგებლოდ გული მომიგოს? ოჰ, ეშმაკები! ნეტავ ერთი მაცოდინა, რამდენად გულწრფელი იყვნენ ერთმანეთთან დედა-შვილი იმ დღეს და იმ ღამეს ან შემდეგშიც? ყველაფერი პირდაპირ უთხრეს კი ერთიმეორეს, თუ ისე, უთქმელადაც მიუხვდნენ ერთურთს ფიქრსა და გულისნადებს; ამიტომაც ხმამაღლა აღარ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ტყუილუბრალოდ არაფერი წამოსცდნოდან? ეჭვი არ არის, ასე იქნებოდა უთუოდ; წერილიდან ჩანს: დედას როგორღაც უკმეხ ადამიანად ჩვენებია ცოტათი; ამიტომ გულუბრყვილოდ დუნიასთვის თავისი მოსაზრებანი მოუხსენებია. იმას კი, რასაკვირველია, გული მოსვლია და „გაჯავრებით უპასუხნია“. ასეც უნდა ყოფილიყო! ვის არ გააბრაზებს მიამიტი შეკითხვები, როდესაც საქმე ისეც აშკარაა და ყველაფერი გადაწყვეტილი. მერე რასა მწერს: „გიყვარდეს, როდია, დუნია, რომელსაც საკუთარ თავს ურჩევნიხარო“. იქნებ იდუმალად თვითონაც ტანჯავს სინდისი, რომ ვაჟის გულისთვის ქალი გასწირა? „შენა ხარ ჩვენი სასოება და ჩვენი იმედიო!“ ოჰ, დედა!.. ბრაზი თანდათან უფრო მოერია, ახლა რომ შეხვედროდა სადმე ბატონი ლუჟინი, უთუოდ ცოცხალს არ გაუშვებდა!

„ჰმ!.. მართალია, - იმეორებდა ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული, - მართალია, კაცს „ნელ-ნელა და ფრთხილად უნდა დაუახლოვდე, რომ გაიცნო“; მაგრამ ბატონი ლუჟინის პიროვნება აშკარაა. უმთავრესი ის არის, რომ „საქმიანი და, ვგონებ, კეთილი კაციაო“. ხუმრობა საქმეა განა, დიდი სკივრის გადატანა თავისი ხარჯით იკისრა! კეთილია, მაშ რა არის? თვითონ ისინი კი, საპატარძლო და დედამისი, გლახს ურიგდებიან, ჩიჩობიან ფორანს ქირაობენ (მეც ხომ თვითონ ასე მივლია)! რა უჭირთ! ოთხმოცდაათ ვერსს გაივლიან მარტო, „მერე კი მესამე კლასით გაირბენენ“ ათას ვერსს. არა, ჭკუასთან კი ახლოა: საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხი ისე გაჭიმეო. მაგრამ თქვენ, ბატონო ლუჟინო, თქვენ რასა ფიქრობთ? ეს ხომ თქვენი საცოლეა... ნუთუ არ იცოდით, რომ გზის ფულს დედა წინათვე პენსიის გირაოთი სესხულობს? რასაკვირველია, აქ თქვენ საერთო კომერციული საქმე და წარმოება გაქვთ, თანასწორპაებითა და ორთავე მხარისათვის სახეირო, მაშასადამე, ხარჯიც სანახევრო

უნდა იყოს; პურ-მარილი ზიარადო, თამბაქო კი ცალკერძადო, ანდაზისა არ იყოს. მაგრამ აქაც რომ მოატყუა ცოტა ამ საქმიანმა კაცმა: ბარგის გადატანა ხომ ნაკლები ღირს, ვიდრე მეზავრობა, იქნებ სულაც მუქთად იყოს. რაო, ვერ ხედავენ ყველანი ამას, თუ განგებ თვალეხს იხვევენ? მერე, კმაყოფილნიც რომ არიან! კმაყოფილნი! მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ღვთის წყალობაა, ზოგი ბოლოს ნახონ, რას იწვნევენ! აქ ხომ სიძუნწე და კრიჟანგობა არ არის უმთავრესი, საქმე თვითონ საქციელია. ასე უნდა მოექცეს ხომ ჯვრისწერის შემდეგაც, ამას რა მკითხაობა და წინასწარმეტყველება უნდა... არა, ნეტავი დედა რას ფიქრობს? რითი უნდა პეტერბურგში ჩამოსვლა? სამი მანეთით თუ ორი „ქალადით“, როგორც ის ბებრუხანა... ამბობს ხოლმე... ჰმ! ან მერე რითი აპირებს პეტერბურგში ცხოვრებას? რაღაც მიზეზის გამო ხომ თვითონვე მიხვედრილა, რომ ჯვრისწერის შემდეგ დუნიასთან ვერ იცხოვრებს, პირველ ხანადაც კი! უთუოდ წამოსცდა როგორმე ამ კაი კაცს და თავი გააცნო, თუმცა დედა ძალიან უარობს: „თვითონვე ვეტყვი უარსო“. მერე ვისი და რისი იმედი აქვს? რაღაც თორმეტთუმნიანი პენსიისა, რომლიდანაც აფანასი ივანოვიჩსაც უნდა ვალი გადაუხადოს? თუ იმ რაღაც საზამთრო ყელსახვევებს რომ ქსოვს და სამაჯურებს ქარგავს, თვალეხს იწყალებს? ბევრი, ბევრი, სულ ორი თუმანი მიემატოს აქედან თორმეტ თუმანს. მეტს, ხომ ვიცი, ვერ აიღებს. მაშასადამე, ჩანს, ისევ ბატონი ლუჟინის კეთილშობილების იმედი აქვს. „თვითონვე მთხოვს, არ მომეშვებაო“. როგორ არა, არას დაგაკლებთ! ასე ემართებათ ყოველთვის შილერის კეთილი გულის მეოცნებეთ. უკანასკნელ წუთამდე ისევ სულ კეთილის იმედი აქვთ და არა ბოროტისა; მართალია, ხედავენ და გრძნობენ წინათვე, ფარდის უკან რაც იმალება, მაგრამ არასოდეს სიმართლეს წინათვე არ ეტყვიან თავის თავს. მარტო ფიქრიც კი შიშის ზარსა სცემთ; ორივე ხელით სინამდვილეს იგერიებენ, სანამ გამშვენებული ადამიანი თვითონვე არ დაუნაყავს ცხვირს. საყურადღებოა, აქვს რამ ორდენი ბატონ ლუჟინს თუ არა? თუნდ სანადლეოს დავდებ, რომ ღილ-კილოში უთუოდ ანას იკეთებს, როცა ვაჭრებთან და მეიჯარადრეებთან სადილად არის დაპატიჟებული. იქნებ ჯვრისწერაზედაც გაიკეთოს! მაგრამ ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!..

ეჰ, დედაზე კიდევ რას ვიტყვი, რაც არის, არის, ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ამ დუნიას რაღა დაემართა? განა არ გიცნობ, ძვირფასო დუნეჩკა! უკანასკნელად რომ გნახე, ოცი წლისა შესრულდი უკვე: გავიგე კარგად, რა ხასიათისაც იყავი. დედა იწერება აგერ, „ბევრის ატანა შეუძლია დუნეჩკასო“. ეს ხომ უიმისოდაც ვიცოდი, ეს ხომ ამ ორწლინახევრის წინათაც ვიცოდი და ვფიქრობდი მუდამ მას შემდეგ, „ბევრის ატანა შეუძლია-მეთქი დუნეჩკას“. ჩანს, მართლაც, ბევრის მოთმენა შესძლებია, თუ ბატონ სვიდრიგაილოვისა და მისი საქციელის ატანა შეძლო. ახლა კი დედა-შვილს წარმოუდგენია, ვითომ ბატონ ლუჟინსაც გაუძლებენ, რომელიც სიღარიბიდან გამოყვანილი, ქმრებისაგან გაბედნიერებული ცოლების თეორიის უპირატესობას ქადაგებს, და ისიც თითქმის პირველი შეხვედრისთანავე. კარგით, ვთქვათ, „წამოსცდა“, თუმცა გონიერი ადამიანია (იქნებ არც კი წამოსცდა და აზრად ჰქონდა საქმის გარემოება მალე გაეცნო), მაგრამ ამ დუნიას რაღა დაემართა ნეტა? ხომ ხედავს, რა კაციცაა! როგორ აპირებს ასეთ ადამიანთან ცხოვრებას? ხომ ვიცი, ცარიელ შავ პურსა და წყალზე ამჯობინებს ცხოვრებას, მაგრამ სულს არ გაყიდის და სინდისის თავისუფლებას სიმდიდრეზე არ გასწირავს; მთელი შლეზვიგ-ჰოლშტეინი რომ მისცეს ვინმემ[4], იმაშიც კი არ გასცვლის, არამცთუ ბატონ ლუჟინში. არა, რამდენადაც ვიცნობდი, დუნია ასეთი სულაც არ იყო... რასაკვირველია, არც ახლა გამოიცვლებოდა! მძიმეა სვიდრიგაილოვების გაძლება! ძნელია ორას მანეთად

მთელი სიცოცხლე ერთი გუბერნიიდან მეორეში გუვერნანტად იწაწალო, მაგრამ ვიცი, ჩემი და რომელიმე პლანტატორის მონობას უფრო ადვილად იკისრებს[5], ან ოსტრეელი გერმანელის ყმობას არჩევს, სულს კი არ შეიგინებს, თავის ზნეობრივ გრძნობას არ შელახავს იმ უღირს კაცთან კავშირით, რომელსაც არც პატივსა სცემს და არცთუ რა აქვს საერთო, - მერე ისიც სამუდამოდ, მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის! არ იკისრებდა ბატონი ლუჟინის კანონიერ ხასობას, თუნდაც იგი ბაჯალლო ოქროდ ან ბრილიანტად ქცეულიყო! მაშ ახლა რაღად თანხმდება? საქმე რაშია? რა არის გამოსაცნობი? ეჭვი არ არის: თავისთვის, თავისი სიამოვნებისა და თუნდაც ხმისათვის თავს არ გაყიდდა, სხვისთვის კი, ხედავთ, ჰყიდის! საყვარელი და სათაყვანებელი კაცისთვის კი ჰყიდის! აი, თურმე საქმე რაშია: ძმისა და დედისთვის ჰყიდის! ყველაფერს სწირავს! აქ კი, ოჰ, თუ შემთხვევა მოგვეცა, სინდისის გრძნობასაც გავქელავთ; თავისუფლებას, სიმშვიდეს, თვით სინდისსაც კი, ყველაფერს გასაყიდად გავიტანთ. დეე, თვითონ დაილუპოს, ოღონდ ეს ჩვენი საყვარელი არსებანი ბედნიერად იყვნენ! არ ვიკმარებთ ამას, გამოვიგონებთ ჩვენს საკუთარ კაზუსტიკას, იეზუიტებს მივებარებით და დროებით იქნება ჩვენივე თავიც დავამშვიდოთ და დავარწმუნოთ, რომ კეთილი აზრი და საქმეც ამას მოითხოვს. ასეთი ვართ ჩვენ, ყველაფერი დღესავით ნათელია. ეჭვი არ არის, აქ ყველგან თავიდათავი მხოლოდ როდიონ რომანოვიჩ რასკოლნიკოვია. ამ კაცს შეუძლია გააბედნიეროს, უნივერსიტეტში შეინახოს, კანტორაში ამხანაგად გაიხადოს, მთლად უზრუნველჰყოს; შეიძლება ბოლოს მდიდარი, საპატიო და გავლენიანი კაცი გახდეს, იქნებ სასახელოც. მაგრამ დედას რას უყურებს? ნუ დაივიწყებთ, რომ ძვირფასი როდია პირმშოა მისი! რა ქნას მაშ, თუ ამ პირმშოს თუნდაც ასეთი ქალი არ ამსხვერპლოს! ოჰ, საყვარელნო, მაგრამ უსამართლო გულისანნო! რაო მერე: აქ ჩვენ არც სონეჩკას ხვედრს ვიუარებთ! კი, სონეჩკა, სონეჩკა მარმელადოვები არ გამოილევა, სანამ ეს ქვეყანა ბოგინობს! მერე მსხვერპლი ორივემ სავსებით აწონ-დაწონეთ? აგრეა განა? შეძლებთ კი? გონივრულია კი? მერე იცი, დუნეჩკა, რომ სონეჩკას ხვედრი ბატონ ლუჟინთან ცხოვრების ხვედრს არაფრით ჩამოუვარდება? „სიყვარული აქ არ შეიძლებაო“, იწერება დედა. რას იტყვის ნეტა, თუ სიყვარული კი არა, პატივისცემაც არ შეიძლება; პირიქით, აქ მხოლოდ ზიზღი, აბუჩად აგდება და ბილწობაა. მაშინ რას იტყვის? ჩანს, მაშინაც „წმინდად უნდა დაიცვას თავი“. ხომ ასეა, არა? მერე გესმით, რა არის ეს სისუფთავე? არ იცით განა, რომ ლუჟინის სისუფთავეც იგივეა, რაც სონეჩკასი, იქნება უარესიც, უფრო მეტად საზიზღარი და სამარცხვინოც; იმიტომ, დუნეჩკა, რომ შენ მაინც ცხოვრების უკეთესი მოწყობის ანგარიშით მოგდის ეს, სონეჩკა კი შიმშილით სიკვდილის შიმში აიძულა. „ძვირად გიჯდება, დუნეჩკა, ეგ სისუფთავე, ძვირად“. მერე რომ ვეღარ აიტანო და ვეღარ გაუძლო, რომ ინანო? მერე რამდენი ნაღველი და მწუხარება, რაოდენი წყევლა-კრულვა და ფარული ცრემლები მოგელის? შენ ხომ მარფა პეტროვნა არა ხარ. მერე დედას რაღა დაემართება? ახლავე რომ მოუსვენრობს და იტანჯება, მაშინ რაღას იზამს, ყველაფერს რომ დღესავით აშკარად დაინახავს? მე, მე რაღა მელის?.. ჩემზე კი იფიქრეთ განა? არ მინდა, დედა, თქვენი მსხვერპლი, არ მინდა, დაო! და არც მოხდება, ვინემ პირში სული მიდგია, არა-მეთქი! არ მივიღებ!“

უცბად გონს მოვიდა, შედგა.

„არ მოხდება? მერე რა უნდა ვქნა, რომ არ მოხდეს? აუკრძალო? უფლება მაქვს მერე ამისი? რას დაჰპირდები სამაგიეროს, რომ ასეთი უფლება მოიპოვო? მთელი შენი

მომავალი მათ ამსხვერპლო, როდესაც კურსს დაასრულებ და ადგილს იშოვნო? მაგრამ ეს ხომ დიდი ხანია გვესმის, ძველი ამბავია, შენ ახალი რამ თქვი! ახლავე დახმარება საჭირო, გესმის თუ არა? მერე რასა იქმ ახლა? რასა და იმათვე ატყავებ. ხომ ხედავ, ათთუმნიანი პენსიისა და სვიდრიგაილოვების თავდებობით ფულს სესხულობენ! მერე რითი აპირებ ბატონ სვიდრიგაილოვებისა და აფანასი ივანიჩ ვახრუშინისაგან მათ ხსნას, ჩემო მომავლო მილიონების პატრონო, მათი ბედის გამგებელი ზევსო? ათი წლის შემდეგ? ათი წლის შემდეგ ხომ ყელსახვევების ქსოვამ და ცრემლმა შეიძლება კიდევ დააბრმავოს დედა; შიმშილი ხომ მთლად ჩამოახშობს? დას კი რაღას უპირებს? იფიქრე, აბა, ათი წლის შემდეგ იმას რაღა დაემართება? თუნდ ამ ათ წელიწადში? მიხვდი?“

ისე ტანჯავდა და აგულისებდა თავის თავს მწარე კითხვებით, თითქოს სიამოვნებდესო. მაგრამ ახალი როდი იყო ეს კითხვები, არც უცაბედი; ძველი იყო და მტკივნეული. დიდი ხანია ამწარებდნენ და მთლად დაუღარეს გული. დიდი ხანია შეჰპარვოდა ეს ნაღველი და თანდათან ეზრდებოდა, უმწვავდებოდა; ამ ბოლო დროს კი დაუმწიფდა, დაგუბდა, საზარელი რამ ფანტასტიკური კითხვის სახე მიიღო. გული, გონება მთლად დაუტანჯა და ახლავე გადაწყვეტას თხოულობდა. დედის წერილი ხომ უცბად მეხვიით დაეცა. ეჭვი არ არის, წუხილით ვერას გახდება, არც უბრალო ტანჯვითა და მსჯელობით გაკეთდება რამე; საჭიროა დაუყოვნებლივ და სწრაფად დაადგეს რაიმე გზას...

„თუ ხელი ავიღო სიცოცხლეზე! - შეჰყვირა უცბად გაშმაგებულმა, - დავმორჩილდე ბედს, როგორც არის, ერთხელ და სამუდამოდ ჩავიკლა ყველაფერი, უარი ვთქვა ყველაფერზე, სიცოცხლესა და სიყვარულზე!“

„გესმით, გესმით, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, რას ნიშნავს, როცა მეტი გზა აღარა გაქვს? - მოაგონდა უცბად გუშინდელი შეკითხვა მარმელადოვისა. - ადამიანს ხომ სადმე მაინც უნდა მიესვლებოდეს...“

შეხტა უცბად; გუშინდელივით ისევ ერთმა აზრმა გაჰკრა თავში; მაგრამ იმიტომ კი არ შეხტა, რომ ამ აზრმა გაჰკრა. იცოდა, გრძნობდა წინათვე, რომ უთუოდ „გაუელვებდა“, ელოდა კიდევ და არც გუშინდელი იყო ეს აზრი. მაგრამ იმით განსხვავდებოდა მხოლოდ, რომ ერთი თვის წინათ და გუშინაც მხოლოდ ოცნება იყო, სხვა არაფერი, ახლა კი... ახლა უცბად ოცნების ნაცვლად რაღაც ახალი, მრისხანე და უცნობი სახით წარმოუდგა. ჰოდა, უეცრივ რომ მიხვდა ამას... თითქოს თავში დაჰკრესო, თვალთ დაუბნელდა.

საჩქაროდ მიიხედა-მოიხედა, რაღაცას ძებნა დაუწყო. დაჯდომა უნდოდა, მერხს ემებდა; ამ დროს იგი კ-ის ბულვარზე მიდიოდა. მერხი ას ნაბიჯზე მოჩანდა წინ. რამდენადაც კი შეეძლო, სწრაფად გაემურა, მაგრამ გზად ერთი რამ შეემთხვა, რამაც მთელი მისი ყურადღება რამდენიმე წამით მიიზიდა.

მერხის თვალიერებაში, ასე ოცი ნაბიჯის მანძილზე, შენიშნა მიმავალი ქალი, რომელსაც პირველად არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ისევე, როგორც სხვა თვალმოკრულ საგნებს. ბევრჯერ მოსვლია, მაგალითად, სახლში ისე დაბრუნებულა, რომ აღარ ხსომებია, რომელი გზით მივიდა შინ; უკვე მიჩვეული იყო ასე სიარულს. მაგრამ პირველი შეხედვითვე როგორღაც ისე უცნაურად ეჩვენა მიმავალი ქალი, რომ უნებურად, ჯერ უნდობლად და უხალისოდ, მერე კი ძლიერად და დაჟინებით

მოუნდა, უცხად გაეგო, რა ჰქონდა ამ ქალს ასეთი უცნაური? ჯერ ერთი, უთუოდ გასათხოვარი უნდა ყოფილიყო, თან ძალიან ახალგაზრდა, ამ სიცხე-პაპანაქებაში თავშიშველი, უქოლგოდ და უხელთათმანოდ მიდიოდა, თან სასაცილოდ აქნევდა ხელებს. ტანთ მსუბუქი აბრეშუმის კაბა ეცვა, ისიც ოდნავ შეკრული და უკან, წელთან, ისე ჩახეული, მთელი ვეება ნაჭერი ჩამოსთრევდა. პაწია ყელსახვევი ტიტველა ყელზე მოეგდო, მაგრამ ისიც გვერდზე მოჰქცევოდა. დასასრულ, როგორღაც ბორძიკით მიდიოდა, ხან აქეთ, ხან იქით გადადიოდა. რასკოლნიკოვის მთელი ყურადღება ბოლოს ამ ქალმა მიიპყრო, სწორედ მერხთან დაეწია. მივიდა თუ არა ქალი, იქვე დაეცა, თავი საზურგულს მიაყრდნო და თვალები დახუჭა, ალბათ მეტისმეტი დაღლილობისაგან. ჩააკვირდა თუ არა, მაშინვე მიხვდა რასკოლნიკოვი, რომ ქალი მთვრალი იყო. უცნაური და საშინელი იყო ასეთი სანახაობის ცქერა. ხომ არ ვცდებიო, ისიც კი გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. მის წინ იჯდა თექვსმეტი ან იქნებ თხუთმეტი წლის პატარა, ქერა, ლამაზი გოგო, რომელსაც სახე ასწითლებოდა და თითქოს დასიებოდა. ეტყობოდა, თითქმის აღარა ესმოდა რა, ერთი ფეხი მეორეზე შემოეგდო და ზომაზე მეტად გამოეწია წინ. ალბათ ბუნდადღა გრძნობდა, ქუჩაში იყო თუ სადმე სხვაგან.

რასკოლნიკოვი არ დაჯდა, მაგრამ წასვლაც არ უნდოდა, იდგა ისე გამტერებული. უიმისოდაც მუდამ მიყრუებულ ბულვარზე ახლა, ამ სიცხე-პაპანაქებაში, ორ საათზე, თითქმის სულ არავინ მოჩანდა. მხოლოდ ასე, თხუთმეტიოდე ნაბიჯზე, ბულვარის პირად იდგა ვიღაც ვაჟბატონი, რომელსაც, ეტყობოდა, გულით უნდოდა ქალთან მისვლა რაღაც განზრახვით. უთუოდ იმასაც შორიდან მოეკრა თვალი და დასწეოდა, მაგრამ რასკოლნიკოვმა ხელი შეუშალა. გაბრაზებული შეჰყურებდა, თუმცა ცდილობდა, ეს არ შეენიშნა რასკოლნიკოვს და მოუთმენლად უცდიდა თავის რიგს, როდის იქნებოდა და მოშორდებოდა ეს დაფლეთილ-დაგლეჯილი მეტოქე. აშკარა იყო, რაც უნდოდა. ვაჟბატონი იქნებოდა ასე ოცდაათი წლისა, ჩასუქებული, ლაჟღაჟა, წითელტუჩებიანი და პაწიაულვაშებიანი, ჯმუხი, საკმაოდ კოხტად ჩაცმული კაცი. გული მოუვიდა საშინლად რასკოლნიკოვს და უნდოდა უცხად შეურაცხყოფა მიეყენებინა ამ ჩასუქებული ფრანტისათვის. ერთ წუთს ქალს თავი გაანება და ვაჟბატონთან მივიდა.

- თქვენ ეი, სვიდრიაგილოვ! რა გნებავთ აქ? - შეუყვირა მან, მუშტები მოიმარჯვა და გაიცინა სიბრაზისაგან პირზე ქაფმორეულმა.
- ეს რაღას ნიშნავს? - დაეკითხა მოღუშვით ვაჟბატონი, თან ქედმაღლურად გაიკვირვა.
- რასა და იმას, რომ დაიკარგოთ აქედან!
- როგორ მიბედავ, მუდრეგო!.. - და წკეპლა მოუქნია. რასკოლნიკოვი მაშინვე მუშტით ეცა, ისიც არ იფიქრა, რომ ჩასუქებული ვაჟბატონი თუნდ ორს იმისთანას მოუგრებდა კისერს. მაგრამ ამ დროს სწორედ ვიღაცამ მაგრად ჩასჭიდა ხელი უკნიდან და შუაში პოლიციელი ჩაუდგა.

- კმარა, ბატონებო, ქუჩაში ჩხუბს ნუ იწებებთ. რა გინდათ? ვინა ხართ? - მიმართა სასტიკად რასკოლნიკოვს და თან მის მონძებს დაუწყო თვალიერება.

რასკოლნიკოვმაც ყურადღებით გადახედა. ეს იყო ყოჩალი ნასალდათარი, უღვაშებსა და ორად გაყოფილ ქილვაშებში ცოტათი ჭადარაშერეული, გონიერი კაცი.

- მეც სწორედ თქვენ მინდოდით, - შესძახა რასკოლნიკოვმა და მაშინვე ხელი დაუჭირა. - მე ვარ ნასტუდენტარი, გვარად რასკოლნიკოვი. თქვენთვისაც იქნებ მეტი არ იყოს, იცოდეთ ეს, - მიმართა ვაჟბატონს. - თქვენ კი მოდით, რა გიჩვენოთ...

დაუჭირა ხელი პოლიციელს და მერხთან მიიყვანა...

- უყურეთ, აბა, მთვრალია უბედური; ეს არის ბულვარზე მოდიოდა: ვინ იცის, ვინ არის, მაგრამ არ ეტყობა, რომ ხელობად ჰქონდეს გადაქცეული. უფრო ახლოა ჰკუასთან, რომ დაათვრეს სადმე და მოატყუეს... პირველია უთუოდ... გესმით? აიღეს მერე და ქუჩაში გამოაგდეს. უყურეთ, აბა, კაბა როგორ აქვს ჩამოხეული, როგორ აცვია. ეტყობა, თვითონ კი არ ჩაუცვამს, ჩაუცმევიათ და ისიც კაცის მიუჩვეველი ხელით არის ჩაცმული. შეხედეთ ახლა აი იმ კოხტა ვაჟბატონს, რომელსაც ეს არის ჩხუბს ვუპირებდი, უცნობი არის, პირველად ვხედავ; მაგრამ გზაშივე თვალში ამოიღო მთვრალი, აღარაფერი რომ აღარა ესმოდა რა; გულით უნდა ახლა, როგორმე ხელში იგდოს ასე უგონო და გაიტაცოს სადმე... მერწმუნეთ, ასეა ნამდვილად, არა ვცდები. თვითონ ვხედავდი, როგორ უთვალთვალებდა და მისდევდა, მაგრამ მე დავუშალე და იცდის, როდის მოვშორდები. შეხედეთ, აგერ, განგებ ცოტა იქით გადგა, ვითომ პაპიროსს ახვევს... როგორა ვქნათ, რომ ხელში არ ჩაუვარდეს? კარგი იქნება, როგორმე შინ გავგზავნიდეთ, იფიქრეთ, აბა!

პოლიციელმა უმალ გაიგო და მოისაზრა ყველაფერი. ჩასუქებული ვაჟბატონის საქციელს მიხვდა. ქალის ამბავი იყო ოღონდ გამოსაცნობი. პოლიციელი დაიხარა მისკენ, რომ უკეთ დაეთვალა იერებინა და გულწრფელი თანაგრძნობა აღებეჭდა სახეზე.

- ოჰ, სულ ბალღი ყოფილა ეს საცოდავი! - ჩაილაპარაკა პოლიციელმა და თავი გააქნია, - მოატყუეს უთუოდ! ყური მიგდეთ, ქალბატონო, - დაუწყო ძახილი, - სადა ცხოვრობთ?

ქალმა დაღლილი, ამღვრეული თვალები გააღო, ჩამკითხველებს როგორღაც უგონოდ გადახედა და ხელი გააქნია.

- გესმით, - უთხრა რასკოლნიკოვმა, - აი (და ჯიბეში ხელი ჩაიყო, აბაზიანი იპოვა, ამოიღო), მეეტლე დაუჭირეთ და უბრძანეთ, ბინაზე მიიყვანოს. ეს კია, მისამართი უნდა გავიგოთ როგორმე!

- ქალო, ჰა, ქალო, - ჩასძახა ისევ პოლიციელმა, რასკოლნიკოვს რომ ფული გამოართვა, - ახლავე ეტლს დაგიჭერთ და მე თვითონ მიგიყვანთ შინ. სად მიბრძანდებით? ჰა? ბინად სად ცხოვრობთ?

- მომშორდით!.. რას ჩამციებინართ!.. - წაიდუღუნა გოგომ და ისევ ხელი გააქნია.

- აბა ეს რას ჰგავს! სირცხვილია! - პოლიციელმა კვლავ თავი გააქნია; თან არცხვენდა, თან ებრალებოდა, თანაც ჯავრი მოსდიოდა. - აი ხათაბალა! - მიმართა რასკოლნიკოვს და ქურდულად ისევ თავით ფეხებამდე თვალი აავლ-ჩაავლო. უთუოდ ისიც უცნაურად ეჩვენა: ასეთს მონძებშია გახვეული და ფულს კი იძლევაო!

- შორს სადმე ნახეთ აქედან? - შეეკითხა რასკოლნიკოვს.

- ხომ გითხარით, ჩემ წინ მოდიოდა ბულვარზე-მეთქი ბარბაცით. მოვიდა თუ არა მერხთან, მაშინვე დაეცა.

- ოჰ, რა უსირცხვილობაა, ღმერთო, ამ ქვეყნად! ჯერ მიწას არ ასცილებია და მთვრალი კია! ეჭვი არ არის, მოუტყუებიათ! აგერ, კაბაც დახეული აქვს... ოჰ, რა გარყვნილია ეს ჩვენი დრო! ეტყობა, კეთილშობილი ვინმეა და ღარიბთაგანი... ბევრია ძალიან ახლა ამისთანა. გარეგნობითაც რომ ნაზია, ეტყობა კაი ოჯახის შვილია.

და ისევ ქალისაკენ დაიხარა.

იქნება თვითონაც ჰყავდა ასეთი „ნაზად აღზრდილი“ ქალები, რომელნიც ბაძავენ მაღალი წრის ქალების ჩვევებს და მოდის ფეხის ხმას აჰყოლიან.

- უნდა ვეცადოთ როგორმე, ამ გაიძვერას არ ჩავუგდოთ ხელში! - ეუბნებოდა რასკოლნიკოვი. - ხომ უარესად დასტანჯავს და შეაგინებს! აშკარაა, რა განზრახვაც აქვს; ხედავთ, რომ არ შორდება!

ელაპარაკებოდა ხმამაღლა და პირდაპირ კოხტა ვაჟბატონზე ანიშნებდა. იმანაც მოჰკრა ყური და უნდოდა კიდევ გაჯავრებულიყო, მაგრამ გადაიფიქრა და მხოლოდ ზიზღითა გადახედა; ათიოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა მიძიმედ და შედგა.

- ეგ კი შეიძლება არ დავანებოთ, - უპასუხებდა დაფიქრებული უნტერ-ოფიცერი. - საქმე ის არის, გვითხრას, სად მივიყვანოთ, თორემ... ქალო, ჰა, ქალო! - დაიხარა კვლავ პოლიციელი და დაუწყა კითხვა.

გოგომ უცხად თვალები გაახილა, ჩამკითხველს ყურადღებით დააკვირდა, თითქოს რაღაცას მიხვდაო, მერხიდან წამოდგა და გასწია ისევ იქით, საიდანაც მოვიდა.

- ფუ, უსინდისოები, არ მასვენებენ! - წაილაპარაკა, ისევ გააქნია ხელი და წინანდელივით ბარბაცით წავიდა. კოხტა ვაჟბატონიც მაშინვე უკან გაჰყვა, მხოლოდ მეორე ხეივანით; თან მიმავალს თვალს არ აშორებდა.

- ნუ სწუხართ, არ დავანებებ, - დაუძახა ულვაშა პოლიციელმა და კვალდაკვალ მიჰყვა.

- ეე, რა გარყვნილია ეს ჩვენი დრო! - გაიმეორა ხმამაღლა და ამოიოხრა.

სწორედ ამ დროს, თითქოს რაღაცამ მწვავედ უჩხვლიტაო რასკოლნიკოვს, თვალის დახამხამებაზე მთლად აირია, აიმღვრა.

- გესმით თქვენ, ეი! - მიაძახა ულვაშას.

პოლიციელი მოტრიალდა.

- თავი დაანებეთ! რა გინდათ, გაუშვით! ისიამოვნოს (ფრანტზე მიუთითა). თქვენ რაღა გინდათ?

პოლიციელს ვეღარა გაეგო რა და თვალებდაჭყეტილი იცქირებოდა. რასკოლნიკოვს გაეცინა.

- ეეჰ! - ამოიგმინა ნამსახურმა პოლიციელმა, ხელი ჩაიქნია და კოხტა ვაჟბატონსა და ქალს ფეხდაფეხ მიჰყვა, თან უთუოდ გაიფიქრა რასკოლნიკოვზე - ან გადარეულია, ან იმაზე უარესიო.

„ჩემი აბაზი წაიღო, - ჩაილაპარაკა გულმოსულმა რასკოლნიკოვმა, მარტო რომ დარჩა; - ერთ ამდენსაც იმას გამოართმევს და გოგოს მიუგდებს; აი რითი გათავდება საქმე... არა, რას ვეჩრებოდი ვითომ საშველად! ისიც მე? მაქვს კი უფლება ვისიმე შველისა? თუნდაც ცოცხლად დაუყლაპიათ ერთმანეთი, - მე რა? ან ის აბაზი როგორ გავბედე და მივეცი? ჩემი იყო განა?“

მიუხედავად ამ უცნაური სიტყვებისა, იგრძნო მაინც, რომ რაღაცამ საშინლად დაამძიმა. რასკოლნიკოვი მერხზე ჩამოჯდა. აზრები აზნეული ჰქონდა... საზოგადოდ მეტად ემძიმებოდა რაზედმე ფიქრი იმაჟამად. უნდოდა ყველაფერი დაევიწყა, გარინდებულყო, მერე ისევ გაეღვიძა, ახლად დაეწყო...

- საბრალო გოგო! - გადახედა რასკოლნიკოვმა მერხის ცარიელ კუთხეს, - გონს მოვა, მოიტირებს, მერე დედაც გაიგებს... ჯერ ერთი-ორს მიართყამს, მერე ზორბად მისჩერქვავს. იქნებ შინიდანაც გააგდოს... არ გააგდებს და სულ ერთია, დარია ფრანცოვნებს არა გამოეპარებათ რა! დაიწყებს ჩვენი გოგო აქეთ-იქით ტანტალს... მერე საავადმყოფო მოჰყვება (ასე ემართებათ ყოველთვის, როცა პატიოსანი დედების პატრონები უჩუმრად იწყებენ ემძაკობას), მერე კი... მერე ისევ საავადმყოფო... ღვინო... დუქნები... კიდეც საავადმყოფო... ორი-სამი წლის შემდეგ კი მთლად დასახიჩრდება; მაშასადამე, სულ რაღაც თვრამეტ-ცხრამეტი წლის სიცოცხლე უწერია... არ მინახავს განა ამისთანები? მერე რა აიძულებთ ხოლმე! ყველას ერთი და იგივე... ფუ! თუმცა რა ჩემი საქმეა! ამბობენ, ასე უნდა იყოსო. ყოველწლივ უთუოდ ამდენი და ამდენი პროცენტი უნდა მოგვწყდესო... რომ სხვები გადაახალისოს და მათ ხელი არ შეუშალოს. პროცენტიო! საუცხოო რამ სიტყვაა, დამამშვიდებელი, მეცნიერული. რაკი პროცენტი ითქვა, აქ საწუხარი აღარა არის რა. სხვა სიტყვა რომ იყოს, მაშინ კი იქნებ საწუხარი ყოფილიყო... მერე დუნეჩკაც რომ პროცენტში მოჰყვეს, ჰა!.. იმაში თუ არა, სხვაში მაინც!

- მაგრამ სად მივალ, სად? - გაიფიქრა უცბად. - უცნაურია სწორედ. აკი რაღაცისთვის წამოვედი. წავიკითხე თუ არა წერილი, მაშინვე წამოვედი... ვასილის კუნძულზე მივდიოდი რაზუმინთან... მართლა, ახლა მომაგონდა... ჰო, მაგრამ რისთვის? ან საიდან შემიჯდა თავში, ისიც სწორედ ახლა, რაზუმინთან წასვლის ფიქრი? საოცრებაა!

თავისი მოქმედება თვითონვე აკვირვებდა. რაზუმინი იყო ერთი მისი ნაამხანაგარი უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტში ყოფნის დროს რასკოლნიკოვს თითქმის არა ჰყოლია ამხანაგები; ყველას ერიდებოდა, არავისთან არ დადიოდა და თვითონაც უგულოდ იღებდა მათ. ამიტომაც მალე ყველა შემოეფანტა. არც საზოგადო კრებებზე, არც ლაპარაკში, არც გართობაში არასოდეს მონაწილეობას არ იღებდა. მეცადინეობდა თავგამოდებით, გულმოდგინედ და ამიტომაც ყველა პატივს სცემდა, მაგრამ არავის კი არ უყვარდა. მეტად ღარიბი იყო, ხასიათითაც ამაყი და ზვიადი, მასთან გულჩათხრობილიც; გეგონებოდა, რაღაც აქვს დაფარული და დამალულიო. ზოგიერთ ამხანაგს ასეც კი ეგონა, ვითომ ყველას ბავშვად გვთვლის და ქედმაღლურად გვიყურებსო; თითქოს ყველასათვის გაესწრო, როგორც

განვითარებით, ისე ცოდნითა და რწმენით, ხოლო მათ რწმენასა და მისწრაფებას ყურადღების ღირსად არა რაცხდა.

რაზუმინს კი როგორღაც დაუახლოვდა, დაუახლოვდა კი არა, უფრო გულს უერთებდა, არ ერიდებოდა. მაგრამ რაზუმინთან სხვა რიგი დამოკიდებულება არც შეიძლებოდა. ეს იყო მეტისმეტად მხიარული, ყველასთან გულახდილი და გულგაერთებული ყმაწვილი, უზომოდ კეთილი და უბრალო, თუმცა ამასთან, სულით ღრმა და საკუთარი ღირსების მქონე. მის საუკეთესო ამხანაგებს კარგად ესმოდათ ეს და ამიტომაც უყვარდათ. ჭკვიანი იყო, თუმცა ზოგჯერ მეტად უბრალოც. გარეგნობა გამომეტყველებელი ჰქონდა - მაღალ-მაღალი, გამხდარი, მუდამ ცუდად გაპარსული და შავთმიანი. ზოგჯერ აურზაურის ჩამოგდებაც იცოდა და ღონიერის ხმა ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ, ღამით, ამხანაგური ქეიფის დროს, ერთი დარტყმით დასცა ძირს მშვიდობიანობისა და წესიერების ზორბა დამცველი. გაუთავებელი სმა შეეძლო, მაგრამ შეეძლო სრულიად არ დაეღია; ზოგჯერ თავდაუჭყრელი გიჟმაჟობაც იცოდა, მაგრამ უამისობაც შეეძლო. კიდევ იმით იყო შესანიშნავი, რომ არავითარი მარცხი გულს არ გაუტეხდა, ვერავითარი მძიმე გარემოება ვერ დასჯაბნიდა. შეეძლო ბინად ჩარდახში ეცხოვრა და ჯოჯობეთური შიმშილი და სიცივე აეტანა. მეტად ღარიბი იყო და თავს მხოლოდ საკუთარი შრომით ირჩენდა, რაღაც-რაღაც სამუშაოებით შოულობდა ფულს. ათას სხვადასხვა წყაროს გამოძებნიდა, რომ საკუთარი შრომით თავი გაეტანა. ერთხელ მთელი ზამთარი ოთახში ცეცხლი არ აუნთია, ყველას არწმუნებდა, ასე უფრო სასიამოვნო არისო, სიცივეში ადამიანს უკეთ სძინავსო. ამჟამად ისიც იძულებული შეიქნა, უნივერსიტეტიდან გამოსულიყო, მაგრამ დიდი ხნით კი არა; ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, საქმეები გამოეკეთებინა და ისევ სწავლას შესდგომოდა. ოთხი თვე იყო უკვე თითქმის, რასკოლნიკოვი რაზუმინთან არ ყოფილა. ამან ხომ სულაც არ იცოდა რასკოლნიკოვის ბინა. ამ ორი თვის წინათ როგორღაც ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ რასკოლნიკოვმა მაშინვე პირი იბრუნა და ქუჩის მეორე მხარეზე გადაუხვია, რომ რაზუმინს არ შეენიშნა; რაზუმინმაც შენიშნა, მაგრამ გვერდი აუქცია, არ უნდოდა მეგობარი შეეწუხებინა.

V

„მართლაც, ამ წინაზე მინდოდა რაზუმინისათვის სამუშაო რამ მეთხოვა: ან გაკვეთილები ან სხვა რამ საქმე... - ფიქრობდა რასკოლნიკოვი, - მაგრამ ახლა რიღათი მიშველის? ვთქვათ, გაკვეთილებიც მიშოვა, უკანასკნელი კაპიკიც გამიზიარა, თუკი აქვს; ვთქვათ, წაღებაც ვიყიდე და ტანისამოსიც გავიახლე, რომ გაკვეთილებზე შევიძლო სიარული... ჰმ!.. მერე, მერე რა იქნება? რას ვიზამ იმ შაურებით? განა ჩემთვის ახლა ესაა საჭირო? სასაცილოა სწორედ, რომ რაზუმინთან მივდიოდი...“

რაზუმინთან წასვლის ამბავი საშინლად აწუხებდა ახლა, უფრო მეტად, ვიდრე თავად ეჩვენებოდა, და შემფოთებული რაღაც ბედით აზრს უძებნიდა ამ სრულიად ჩვეულებრივსა და უბრალო მოქმედებას.

„ნუთუ მართლა საქმის გამოკეთებას რაზუმინთან ველოდი და ერთადერთ ხსნადაც ისლა მიმაჩნდა?“ - ეკითხებოდა თავის თავს გაკვირვებული და თან შუბლს ისრესდა.

გასაოცარია სწორედ! როგორღაც უცხად, თითქმის თავისთავად, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ერთმა მეტად უცნაურმა აზრმა გაურბინა თავში.

„ჰმ... რაზუმინხინთან, რასაკვირველია, წავალ... - ჩაილაპარაკა უცხად სრულიად დამშვიდებულმა, თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტაო, - მაგრამ ახლა არა... მე იმასთან... მეორე დღეს წავალ, როდესაც იმას მოვრჩები და ყველაფერს ახლად დავიწყებ...“

და უცხად გამოერკვა.

„როდესაც მოვრჩები? - შეჰყვირა და მერხიდან წამოიწია, - მერე, ნუთუ მართლა ჩავიდენ ა მ ა ს? ნუთუ მართლა?“

წამოდგა მერხიდან და გასწია, თითქმის გაიქცა. უნდოდა, უკანვე დაბრუნებულიყო და შინ წასულიყო, მაგრამ უცხად საშინლად შეეზიზღა შინ დაბრუნება: იქ, იმ საზარელ, კოლოფის მსგავს ოთახში მთელი თვეა, აგერ ყოველივე ეს მოისაზრა და გადაწყვიტა, ამიტომაც გასწია თვითონაც არ იცოდა საით.

ნერვების თრთოლა ციებიანის ცახცახად გადაექცა. იგრძნო, რომ შეაჟრჟოლა კიდეც. ირგვლივ სიციხე იყო და მას კი სციოდა. ყოველ საგანს რაღაც ძალდატანებით, თითქმის უაზროდ აჩერდებოდა, თითქოს უნდა გაერთოსო, მაგრამ ამოდ, - ვერ ახერხებდა, რაღაც ფიქრი ართმევდა თავს. როგორც კი თავს მალა აიღებდა და ირგვლივ მიმოიხედავდა, ივიწყებდა მაშინვე, რაზეც ფიქრობდა და თითქმის იმასაც, სად მიდიოდა. ასე გაიარა მთელი ვასილის კუნძული, გავიდა მალაია ნევაზე, გადავიდა ხიდზე და კუნძულებისაკენ გაუხვია. ქალაქის მტვერს, კირსა და უშველებელ, სულისშემხუთველ სახლებს მიჩვეულ მის დაღლილ თვალებს ეს სიგრილე და მწვანე ეამა კიდეც პირველად. აღარც შეხუთული ჰაერი იყო სადმე აქ, აღარც ყროლის სუნი, აღარც წვრილი სამიკიტნოები, მაგრამ მალე ეს ახალი სასიამოვნო შეგრძნებანი ავადმყოფური და შემაწუხებელი გახდნენ. ხანდახან რომელიმე, მწვანეში ჩაფლული აგარაკის წინ შედგებოდა, გადახედავდა გალავანს, შორიდან გაჰყურებდა აივნებსა და ტერასებზე მოსეირნე კობტად მორთულ ქალებს და ბაღში მოთამაშე ბავშვებს. განსაკუთრებით ყვავილები ართობდა; ყველაზე მეტად მათ აკვირდებოდა ხოლმე. მრავალი მდიდრული ეტლიც შემოხვდა წინ, ცხენებით მოსეირნე ვაჟები და ქალებიც; ცნობისმოყვარეობით ადევნებდა ყველა ამათ თვალს, მაგრამ თვალთაგან მიფარებამდე ივიწყებდა. ერთხელ შედგა კიდეც და ფული დაითვალა: სულ რაღაც ექვსი შაური აღმოაჩნდა. „აბაზი პოლიციელს მივეცი. სამი კაპიკი - ნასტასიას, წერილისა, - ჩანს, მაგ მარმელადოვებისათვის გუშინ ან ორი აბაზი და შვიდი კაპიკი მიმიცია, ან ათი შაური“, - გაიფიქრა ანგარიშებში წასულმა, მაგრამ მალე ისიც დაავიწყდა, ფული რისთვის ამოიღო ჯიბიდან. მოაგონდა მხოლოდ მაშინ, სასმელის დუქანს რომ ჩაუარა და შიმშილი იგრძნო... შევიდა დუქანში, დალია ერთი ჭიქა არაყი და რაღაც ღვეხელი შეატანა. ისიც გზაშილა დაათავა. დიდი ხანი იყო, არაყი არ დაელია, ამიტომაც უცხად მოეკიდა, თუმცა ერთი პატარა ჭიქის მეტი არ დაუღევია. ფეხები მოეკვთა და იგრძნო, რომ ძილი ეპარებოდა. მაშინვე შინისაკენ გასწია, მაგრამ პეტრეს კუნძულს რომ მიაღწია, სრულიად დაუძლურებული შედგა; გადაუხვია გზიდან, შევიდა ბუჩქებში, ბალახზე დაეცა და იმავე წამს ჩაემინა.

როცა უქეიფოდ ხარ, სიზმრები ხშირად საოცრად მკაფიოა, ნამდვილს საშინლად ჰგავს. ზოგჯერ საზარელი რამ სურათი წარმოუდგება სიზმრად ადამიანს, მაგრამ

გარემოება და მთელი პროცესი ნანახისა იმდენად შესაძლებელი, ხოლო ამ სურათის ყველა წვრილმანი ურთიერთში ისე მხატვრულად შეთანხმებული, რომ ცხადლივ მათ გამოგონებას ვერასგზოთ ვერ მოახერხებდა სიზმრის მნახველი, თუნდაც პუშკინისა და ტურგენევის დარი ხელოვანიც ყოფილიყო. ასეთი ავადმყოფური სიზმრები დიდხანს აღარ ავიწყდება მნახველს და ადამიანის მოშლილ, აგზნებულ ორგანიზმზე დიდ შთაბეჭდილებას იქონიებს ხოლმე.

საზარელი რამ დაესიზმრა რასკოლნიკოვს. ნახა, ვითომ ბავშვია ჯერ ისევ და თავის მშობლიურ ქალაქშია. შვიდი წლისაა. ერთ უქმე დღეს, საღამო ხანს, მამასთან ერთადაა ქალაქგარეთ. უქმური ამინდია, ჰაერი ჩახუთული, ადგილიც სწორედ ისეთი, როგორც ახსოვდა; თუმცა ხსოვნით აღარც კი ახსოვდა ისე კარგად, როგორც ახლა ნახა სიზმარში. ქალაქი ხელისგულივით სწორ ადგილზეა გაშენებული. ტირიფის ხსენებაც კი არსად არის ახლომხლო. სადღაც, ძალიან შორს, ცის დასავალზე, პატარა შავი ტყე მოჩანს. ქალაქის უკანასკნელი ბოსტნის შორიახლოს, სულ რამდენიმე ნაბიჯზე, დიდი დუქანია, რომელიც მუდამ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე და შიშაც კი ჰგვრიდა, მამასთან სეირნობის დროს გვერდით რომ გაუვლიდა. იქ მუდამ ხალხი იყო ხოლმე თავმოყრილი; ღრიალებდნენ, ხარხარებდნენ, იგინებოდნენ, ხრინწიანი ხმით მღეროდნენ და ხშირად ჩხუბობდნენ კიდევ; დუქნის გარშემო მუდამ გაღებოილი და საშინელი შესახედავი ვილაციები დაძრწოდნენ. რამდენიც კი შემოხვდებოდათ ვინმე ასეთი, იმდენი შეშინებული მიეკვროდა მამას და კანკალი აიტანდა. დუქნის გვერდით სოფლის გზა გადის, მუდამ მტვრიანი, ტალახიანი, შავი. მიდის, მიიკლაკნება გზა და ასე, სამასიოდე ნაბიჯზე ქალაქის სასაფლაოსკენ უხვევს მარჯვნივ. სასაფლაოს შუაგულში ქვის საყდარი ამართული, მწვანეგუმბათიანი. წელიწადში ერთი-ორჯერ მოვიდოდა ხოლმე აქ თავისი დედ-მამით და დიდი ხნის მიცვალებული, უნახავი ბების სულის მოსახსენებლად პანაშვიდს გადაახდევინებდნენ. ახსოვს ისიც, რომ თან უთუოდ წანდილს მოიტანდნენ თეთრი ბადით, ხელსახოცში გამოკრულს. წანდილი შაქრიანი იყო, ბრინჯისა, ქიშმიშით შეზავებული, რომელიც ჯვარედინად ჰქონდა ხოლმე ზემოდან მოყრილი. ძალიან უყვარდა ეს საყდარი და მისი ძველისძველი შეჭედილი ხატებიც, თავცანცარა მოხუცი მღვდელიც. ბების ქვის საფლავის გვერდით იყო საფლავი მისი პატარა ძმისა, რომელიც ექვსი თვისა მოჰკვდომოდათ და არ ახსოვდა სრულიად, ისევე, როგორც არ ახსოვდა ბებია. მაგრამ ნათქვამი ჰქონდათ, პატარა ძმა გყავდაო, და ისიც, როგორც კი ავიდოდა სასაფლაოზე, მაშინვე მოწიწებითა და სასოებით მივიდოდა, გადაიწერდა საფლავის წინ პირჯვარს და ემთხვეოდა ხოლმე. აგერ ეზმანება: ისა და მამა სასაფლაოსკენ მიდიან, დუქანს უნდა აუარონ; მამისათვის ხელი მოუკიდია და შეშინებული დუქანს გაჰყურებს. რაღაც განსაკუთრებულმა გარემოებამ მიიზიდა მისი ყურადღება: ამჟამად იქ თითქოს სეირნობაა. სადღესასწაულოდ გამოწყობილ მდაბიო დედაკაცებს, მათ ქმრებსა და სხვა ათასი ჯურის ხალხს მოუყრია თავი. ყველა მთვრალია, ყველა მღერის; დუქნის გვერდით ფორანი დგას, მაგრამ როგორღაც უცნაურია ფორანი. ეს არის რაღაც უზარმაზარი დიდი ფორანი, რომელშიაც საჯაგავი ცხენები უბიათ და გადააქვთ საქონელი და ღვინის კასრები. მუდამ უყვარდა ამ გრძელფაფრიანი, მსხვილფეხა ცხენების ყურება, მშვიდად რომ მიდიან, ნელი ნაბიჯით, თან მთელი გორა ბარგი მიაქვთ და დაბარგული ფორანი თითქოს უფრო ემჩატებათ, ვიდრე უბარგო. მაგრამ უცნაურია, ახლა ამ ვეება ფორანში გამხდარ-გამხდარი, ჭნაკა ჩალისფერი ჯაგლაგი შეუბამთ, სწორედ ისეთი, როგორც ხშირად თივის ან შემის ფორანში უნახავს

შებმული, როცა მძიმე ტვირთისაგან წელჩაწყვეტილს, განსაკუთრებით თუ ტალახში ჩაიფლო ფორანი ან კვალში სადმე ჩაიჭედა, გლეხები უმოწყალოდ სცემენ შოლტს, ზოგჯერ პირდაპირ თავ-პირსა და თვალებში. მას კი ისე საშინლად ებრალება, ისე ეცოდება, რომ თითქმის ტირის კიდეც. დედაც არ ანებებს ცქერას და ფანჯარას ამორებს. მაგრამ, აგერ, უცბად ხმაური ატყდა: დუქნიდან სიმღერ-სიმღერით, ბალალაიკებით და ღრიანცელით გამოდიან წითელ და ლურჯპერანგა ჯუბაწამოსხმული გაღეშილი, ზორბა გლეხები. „დასხედით, ყველანი დასხედით! - ყვირის ერთი კისერგასიებული, წამოჭარხლებული ახალგაზრდა, - ყველას წაგიყვანთ, დასხედით!“

- მაგ ჯაგლაგით უნდა წაგიყვანოს! - ისმის სიცილ-ხარხარი.

- შენ ჭკუაზედა ხარ, მიკოლკა, ეგ ჭაკი ცხენი ფორანში როგორ შეგიბამს?

- როგორა გგონიათ, ძმებო, ოცი წლისა ხომ უთუოდ იქნება ეგ ჯაგლაგი!

- დასხედით-მეთქი, ყველას წაგიყვანთ! - ყვირის ისევ მიკოლკა, შეხტება ფორანზე, აიღებს სადავეს და კოფოზე დადგება. - ქურანა ბედაური წელან მათემ წაიყვანა, ეგ ჭაკი კი, ძმებო, ნაღველას მისიებს: მოსაკლავად არ დავინდობდი, ტყუილად ვაჭმევ. გეუბნებით, დასხედით-მეთქი! სულ ჭენებით წაგიყვანთ, მე და ჩემმა ღმერთმა! - და შოლტს იღებს ხელში, სიამოვნებით უპირებს ჩალისფერ ჭაკს აჭრელებას.

- დასხედით, რაღას უცქერით! - ხითხითებს ხალხი. - გესმით, ჭენებით წავაო!

- ათი წელიწადია, მგონი, არ გაჭენებულა!

- გაჭენდება.

- არ შეიბრალოთ, ძმებო, ყველამ შოლტი აიღეთ, მოემზადეთ!

- აგრე, აბა, აი! დაჰკა!

ყველანი მიკოლკას ფორნისაკენ მიიწევდნენ ხარხარითა და მასხარაობით. ექვსი კიდევაც ჩაუჯდა, მაგრამ კიდეც ჩაეტევა. ფორანში ჩაისვეს ერთი სქელი, სახელაჟღაჟა დედაკაციც. ტანთ წითელი ლეინი აცვია, ფეხთ - თექის ფეხსაცმელი, თავსამკაული მძივებით აქვს მორთული; თხილს აკნატუნებს და იღრიჭება. ხალხშიაც ყველა იცინის, მაგრამ ან კი როგორ არ გაიცინონ, როცა ამ ჯაგლაგმა ჭაკმა ამოდენა ხალხი ოთხით უნდა წაიყვანოს! ფორანში მჯდომმა ორმა ჯეელმა მაშინვე შოლტი მოიმზადა, რომ მიკოლკასათვის ეშველათ. გაისმა „აჩუ!“ და ჯაგლაგმაც გაიწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ არამც-თუ ოთხით, ნაბიჯითაც ვერ გაიარა. ძლივს მიბანცალებს, თან ქმიტინებს და სამ-სამი შოლტის სეტყვასავით ჟაპაჟუპი, წელსა სწყვეტს. ფორანში მსხდომი თუ შეგროვილი ხალხი სიცილით იხოცება, მიკოლკა კი ბრაზობს და გაცოფებული დარტყმებს უხშირებს, თითქოს ჰგონია, მართლა ოთხით წავაო.

- გამიშვით მეცა, ძმებო! - ღრიალებს ვიღაც მადაგახსნილი ჯეელი ხალხიდან.

- დასხედით! ყველანი დასხედით! - ყვირის მიკოლკა, - ყველას წაგიყვანთ. ტყავს გავადრობ ცემით! - და სცემს რაც შეუძლია. აღარც იცის სიბრაზისაგან, რიღათი სცემოს.

- მამა, მამილო, - უყვირის იგი მამას, - მამილო, რასა სჩადიან? საბრალო ცხენსა სცემენ!
- წავიდეთ, წავიდეთ! - ეუბნება მამა, - მთვრალეები არიან, გიჟები, ტუტუცები, ნუ უცქერი! - და უნდა წაიყვანოს, მაგრამ ხელიდან გაეშვება და თავდავიწყებული ცხენისაკენ გარბის. ცხენს უკვე თავისი დამართვია, სული უგუბდება, მალიმალ დგება, მერე ისევ გაიწევს, თითქმის ძლივსღა დგას ფეხზე.
- დაჰკათ, მოკალით ცემით! - ღრიალებს მიკოლკა, - რახან აგრეა საქმე!
- ღმერთი არა გწამს, თუ რა არის, შე შეჩვენებულო! - უყვირის ვიღაც მოხუცი ხალხიდან.
- გინახავთ განა, ამისთანა ჯაგლაგს ამოდენა ტვირთი მიჰქონდეს, - იძახის მეორე.
- ხომ სული ამოჰხადე! - უყვირის მესამე.
- შენთვის იყავ! ჩემი არ არის? რაც მინდა, იმას ვუზამ. დასხედით კიდეც! ყველანი დასხედით! მინდა ოთხით წავიდეს, მორჩა და გათავდა!..
- უცებ ყველას სიცილი წასკდა. ვერ აიტანა ჭაკმა ხშირი ჟუბვა და დაუძღურებულმა ტლინკები ყარა. მოხუცმაც ვედარ შეიკავა თავი და გაეცინა. მართლაცდა, ჯაგლაგი ჭაკი ფეხზე ძლივს იდგა, წიხლებს კი ყრიდა!
- ხალხიდან ორმა ჯეელმა კიდეც მოიმზადა შოლტი და ცხენისაკენ გამოემშურნენ, რომ გვერდები შეეხურებინათ.
- თავში დაჰკა, თვალეზში, თვალეზში! - ყვირის მიკოლკა.
- ვიმღეროთ, ძმებო! - იძახის ვიღაცა ფორნიდან და მაშინვე ისმის მხიარული სიმღერა, დაფის ჟღარუნი, სტვენა. დედაკაცი კი თხილს აკნატუნებს და იღრიჭება.
- ...ხედავს, რომ თვითონ ცხენის გვერდით დარბის, წინიდან უვლის; ხედავს, როგორა სცემენ პირდაპირ თვალეზში! ტირის, გული უჩუყდება, ცრემლად იცლება. ერთხელ ვიღაცის შოლტი მოხვდა კიდეც სახეში; მაგრამ როდი გრძნობს, ხელეზს იმტვრევს, ღრიალებს და ჭაღარა მოხუცისაკენ გარბის, რომელიც თავის ქნევით ჰკიცხავს ამ ამბავს. ერთი ვიღაც დედაკაცი ხელსა სტაცებს და წაყვანას ლამობს; მაგრამ გაუსხლტება და ისევ ცხენისკენ მირბის. ძალა აღარ აქვს საცოდავს, მაგრამ კიდეც იწიხლება.
- შე მგლის ლუკმავ, შენა! - ყვირის ბრაზმორეული მიკოლკა, გადააგდებს შოლტს, დაიკუზება და ფორნიდან გრძელსა და მსხვილ ხელნას გამოაძრობს. წაავლებს ბოლოში ორსავე ხელს და, რაც ძალი და ღონე აქვს, უღერებს ცხენს.
- აი ახლა კი დასცხებს! - ყვირიან ირგვლივ.
- მოჰკლავს!
- ჩემი არ არის?! - ბღავის მიკოლკა და, რაც ძალი აქვს, მოუქნევს.
- დაჰკათ, დაჰკათ! რას დადექით! - უყვირიან ხალხიდან.

მიკოლკა ახლა მეორედ მოუღერებს და უბედურ ჯაგლაგს წელში სთავაზობს. საბრალო თითქმის მთლად ჩაიკეცა წელში, მაგრამ წამოხტა და მაინც ეწევა, ეწევა, რაც შეუძლია, აქეთ-იქიდან კი ექვს შოლტს გააქვს ტყლაშატყელში და ხელნაც მესამედ ხვდება მძიმედ, მერე მეოთხედ. მიკოლკა ლამისაა გადაირიოს, რომ ერთი დაკვრით ვერ დააწვინა.

- გაუძლო, გაუძლო! - ყვირიან გარშემო.

- ახლა კი უთუოდ წაიქცევა, ძმებო, მორჩა! - იძახის ხალხიდან ვიღაც გახალისებული მაყურებელი.

- ცული მაგასა და ერთი დაკვრით გაათავე ბარემ, - ყვირის მესამე.

- აგრემც შეგჭამონ კოლოებმა, - ღრიალებს გამწარებული მიკოლკა, ხელნას ხელს უშვებს, დაიკუზება და ფორნიდან რკინის კეტს აძვრენს. - განი, განი-მეთქი! - ყვირის და, რაც ძალი და ღონე აქვს, საბრალო ცხენს უღერებს. მძლავრმა დარტყმამ წააბარბაცა ჭაკი, ჩაიკეცა, მერე დააპირა წამოწევა, მაგრამ მეორედ სდრუხეს კეტი წელში და საბრალო ცხენიც წაიქცა, თითქოს ოთხივე ფეხი უცბად დაასხიპესო.

- დაჰკათ, მოჰკალით, - ბღავის მიკოლკა და თავდავიწყებული ფორნიდან ხტება. რამდენიმე მთვრალი, წამოჭარხლებული ჯეელი, შოლტით, ვინ ჯოხით, ვინ ხელნით საბრალო მომაკვდავი ცხენისაკენ მიეშურებიან. მიკოლკა გვერდიდან მიადგება და, როგორც მოხვდება, რკინის კეტსა სცემს წელში. ჯაგლაგი თავს წინ წაიწვდის, ღრმად ამოიქშენს და კვდება.

- მოჰკლა და ეგ არის! - ყვირის ხალხი.

- რად არ წავიდა ოთხითა!

- ჩემი არ არის?! - ღრიალებს თვალეზდასისხლიანებული მიკოლკა და ხელში რკინის კეტს ატრიალებს. დგას და ნანობს თითქოს, რომ საცემი აღარავინ ჰყავს.

- ღმერთი არა გწამს, გეტყობა! - ყვირიან ხალხიდან.

მაგრამ საბრალო ბავშვსაც აღარა ახსოვს რა. შეიჭრება ხალხში, მივა ცხენთან, შემოჰხვევს დასისხლიანებულ მკვდარ თავზე ხელებს და ჰკოცნის; ჰკოცნის თვალეზში, დრუნჩში... მერე უცბად წამოხტება და გაბრაზებული მიკოლკასკენ გაქანდება მუშტებმოღერებული. სწორედ ამ დროს წამოეწევა მამა, რომელიც კარგახანია უკან დასდევდა დასაჭერად, წაავლებს ხელს და ხალხიდან გამოიყვანს.

- წავიდეთ, წავიდეთ! - ეუბნება მამა, - შინ წავიდეთ!

- მამილო! რადა... რად მოჰკლეს... საბრალო ცხენი! - ტირის გულამომჯდარი და თან სულთქმა ეკვრის, სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ყვირილით ამოსდის.

- მთვრალეები არიან... გიჟობენ... რა ჩვენი საქმეა... წავიდეთ! - ეუბნება მამა. მამას ხელებს შემოჰხვევს, მაგრამ გული მკერდში აღარ ეტევა. უნდა სული მოიბრუნოს, დაიყვიროს, მაგრამ სწორედ ამ დროს გაელვიძება.

რომ გაიღვიძა, მთლად ოფლში იყო გაცურებული, თმა დასველებოდა, ძლივსლა სუნთქავდა. შეშინებული წამოდგა.

- მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა! - თქვა გულმობრუნებულმა და ხის ძირას დაჯდა, ღრმად სუნთქავდა; - მაგრამ რას ნიშნავს ეს? ხომ არ გამაცხელა, რა საძაგელი სიზმარი ვნახე!

მთელი ტანი თითქოს მოშლილი ჰქონდა; გულდახურული და მჭმუნვარე იყო. იდაყვები მუხლებზე დაიწყო და თავით ხელებს დაებჯინა.

„ღმერთო ჩემო! - შესძახა უცბად. - ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა ცულს ავიღებ და იმით ჩავუჩქევავ თავს... თბილ სისხლში დავიწყებ ცურვას, გავტეხავ კლიტეს, მოვიპარავ და მერე სისხლში მოთხვრილი დავიმალები... ცულიანად... ნუთუ, ღმერთო?“

ამბობდა და ფოთოლივით ცახცახებდა.

- ეს რა მომდის, რას ვშვრები? - განაგრძობდა ჩაკითხვას ღრმად გაკვირვებული, - ხომ ვიცოდი, ვერ გავუძლებდი, აქამდე რაღას ვწვალობდი? აკი გუშინვე, საცდელად რომ წავედი... გუშინვე მივხვდი, ვერ ავიტან-მეთქი... მაშ ახლა რაღას ვშვრები? აქამდის რაღას ვეჭვობდი? გუშინ არ იყო, კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, თვითონა ვთქვი, საძაგლობა, საზიზღრობა და სიმდაბლეა-მეთქი... მე არ ვიყავი, მხოლოდ ცხადლივად წარმოდგენამ გული რომ ამირია და შემზარა...

- არა, ვერ მოვითმენ, ვერა! დეე, სწორი იყოს ჩემი ანგარიში; დეე, ყოველივე, რაც ამ თვეში გადავწყვიტე, დღესავით ნათელი და არითმეტიკასავით ნაღდი იყოს! ღმერთო! ხომ სულ ერთია, ვერ გავბედავ! ვერ გავუძლებ, ვერა... მაშ, აქამდე რაღას ვახანებ...

წამოდგა ზეზე, გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეოცა, აქ რა მინდაო, და ტ-ის ხიდისაკენ გასწია. გაფითრებულიყო, თვალები ანთებოდა, სხეული მთლად მოუძღვრებული ჰქონდა, მაგრამ მაინც მსუბუქად იწყო როგორღაც სუნთქვა. იგრძნო, რომ უკვე მოეშვა საზარელი ტვირთი, ამდენ ხანს რომ სულს უხუთავდა, უცბად შემსუბუქება და სიმშვიდე იგრძნო. „ღმერთო! - ევედრებოდა იგი, - მიჩვენე გზა. ვინაიდან ვგმობ ამ წყეულ ოცნებას... ჩემსას“.

ხიდზე რომ მიდიოდა, უკვე დაწყნარებული და დამშვიდებული გაჰყურებდა ნევას და წითლად გავარვარებულ დაისს. დასუსტებული იყო, მაგრამ დაღლილობას მაინც არ გრძნობდა, თითქოს მთელი თვის დაგუბებული იარა გულისა უცბად გამოერწყო. ოჰ, თავისუფლება, თავისუფლება! თავისუფალია იგი ყველა ამ ჯადოქრობა-გრძნეულებისა და ხიბლისაგან!

შემდეგში, როცა მოიგონებდა ხოლმე ამ დროს და ყოველივე იმას, რაც ამ დღეებში გადახდა, რაღაც ცრუმორწმუნე შიშს ჰგვრიდა ერთი გარემოება. თუმცა არაჩვეულებრივი არა იყო რა, მაინც მუდამ ბედისწერას მიაწერდა მას. სახელდობრ: ვერ გაეგო და ვერაფრით აეხსნა, რა მოხდა ასე, რომ დაღლილმა და დატანჯულმა შინ მოკლე და პირდაპირი გზით დაბრუნების მაგივრად, გზა გაიგრძელა, სენის მოედანზე გამოიარა, რაც სრულიად მეტი იყო, და ისე დაბრუნდა. მოსავლელი გზა დიდი არ იყო, მაგრამ აშკარად დიახაც უაზრო. რასაკვირველია, ბევრჯერ სხვა დროსაც დაბრუნებულა ისე შინ, რომ არ ხსომებია, რა ქუჩებით გამოიარა. მაგრამ რად მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი და იმავ დროს უადრესად შემთხვევითი შეხვედრა სენაზე (სადაც არც კი უნდა გაევილო) სწორედ მისი ცხოვრების ისეთ დროსა და წამს, სწორედ ისეთი სულიერი განწყობილებისას და ისეთ გარემოებაში, როცა

ამგვარ შეხვედრას შეეძლო გადაწყვეტი და საბოლოო გავლენა მოეხდინა მთელ მის ბედზე? თითქოს განგებ უცდიდაო ამ ადგილას.

ასე ცხრა საათი იქნებოდა, სენის მოედანზე რომ გაიარა. ფეხზე თუ ფარდულებში მოვაჭრენი, აგრეთვე წვრილი მედუქნეები და მეწვრილმანეები ყველანი საქონელს ალაგებდნენ და დუქნებს კეტავდნენ, შინისაკენ ეპირებოდნენ წასვლას. მყიდველებიც შეთხელებულიყვნენ. დუქან-სასადილოების დაბალ სართულებსა და ჭუჭყიან, ტალახიან, აყროლებულ სენის მოედნის ეზოებში, უფრო კი სასმელების დუქნების მახლობლად, ყველგან სხვადასხვა ჯურის მრავალი წვრილი მრეწველი და ძველძველით მოვაჭრე ირეოდა. აი, სწორედ ეს ადგილები და მათ მახლობლად მდებარე ქუჩის შესახვევები უყვარდა რასკოლნიკოს, როცა კი უმიზნოდ გამოვიდოდა ხოლმე ქუჩაში გასავლელად. იცოდა, რომ მისი მონძები აქ არავის ზვიად ყურადღებას არ მიიზიდავდა და შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე ევლო, არავისი არ შერცხვენოდა. კ-ის შესახვევთან, კუთხეში, ვიღაც მდაბიო მოვაჭრე და მისი ცოლი ვაჭრობდნენ ორ დახლზე ძაფებით, ზონრებით, ჩითის თავშლებითა და სხვ. ესენიც შინ წასასვლელად მომზადებულიყვნენ, მაგრამ ვიღაც ნაცნობ ქალს გამოლაპარაკებოდნენ და შეჰგვიანებოდათ. ეს გახლდათ ლიზავეტა ივანოვნა, ანუ, როგორც ყველა ეძახდა, ლიზავეტა, - უმცროსი და იმ კოლექსკი რეგისტრატორის ქვრივისა, მევახშე ბებრუხანა ალიონა ივანოვნასი, რომელსაც გუშინ დასაგირავებლად მიუტანა საათი რასკოლნიკოვმა და ნიადაგი მოსინჯა... დიდი ხანია ყველაფერი იცოდა რასკოლნიკოვმა ლიზავეტასი და ამანაც ცოტათი მისი. ეს იყო მაღალ-მაღალი, მოუხეშავი, მოკრძალებული და ჩუმი, თითქმის ცოტა მოჩურჩუტო ოცდათხუთმეტი წლის ქალი, რომელიც დას მთლად დამონებული ჰყავდა, იმის წინ შიშითა კრთოდა; იგი დღედაღამ ერთგულად ემსახურებოდა დას, რომელიც ხშირად კიდევაც ჰბეგავდა ხოლმე. ლიზავეტა დაფიქრებული იდგა ილღიაში ბოხჩაამოჩრილი და ცოლ-ქმარს ყურს უგდებდა, - მეტად გაცხარებულნი ელაპარაკებოდნენ რაღაცაზე. მოჰკრა თუ არა თვალი რასკოლნიკოვმა, რაღაც უცნაური რამ ღრმა განცვიფრება იგრძნო, თუმცა გასაკვირი ამ შეხვედრაში არა იყო რა.

- თქვენ უნდა თვითონ გადაწყვიტოთ, ლიზავეტა ივანოვნა, - ხმამაღლა ეუბნებოდა ვაჭარი, - ხვალ, ასე შვიდ საათზე, შემოიარეთ და ისინიც მოვლენ.

- ხვალა? - გაიმეორა ლიზავეტამ როგორღაც გაჭიანურებით და ჩაფიქრებით, თითქოს ვერ გადაუწყვეტიაო.

- აგრე როგორ დაგაშინა ალიონა ივანოვნამ! - ჩაარატრატა ვაჭრის მატაოცმა ცოლმა. - რომ გიყურებ, რაღაც პატარა ბავშვს მაგონებ. ნეტავი ღვიძლი და მაინც იყოს, ნახევარდაა და ასე კი დაუმორჩილებიხარ!

- ალიონა ივანოვნას ჯერ ნურას ეტყვიოთ, - გააწყვეტინა ქმარმა, - ნურც გააგებინებოთ, ისე შემოიარეთ. სახიერო საქმეა. თვითონ თქვენს დასაც დაუჯდება ჰკუაში მერე.

- შემოვიარო მამ?

- შვიდ საათზე, ხვალ; იმათიდანაც მოვლენ და თვითონ გადაწყვეტოთ საქმეს.

- სამოვარსაც დაგიდგამთ, - დაამატა ცოლმა.

- კარგით, მოვალ, - ჩაილაპარაკა ლიზავეტამ, ისევე ჩაფიქრებულმა, და ადგილიდან მძიმედ დაიძრა.

აქ კი უკვე რასკოლნიკოვმა გაუარა გვერდით და მეტი არა გაუგონია რა. მიდიოდა მძიმედ, ნელა, რომ ნათქვამიდან არა გამოჰპარვოდა რა. პირველი განცვიფრება ნელ-ნელა რაღაც შიშად გადაექცა, თითქოს ტანში ჟრუანტელმა დაუარაო. უცბად და სრულიად მოულოდნელად გაიგო, რომ ხვალ, სწორედ საღამოს შვიდ საათზე ლიზავეტა შინ არ იქნება, ლიზავეტას მეტი კი ბებრუხანასთან ბინაში არავინ ცხოვრობდა. მაშასადამე, საღამოს, სრულ შვიდ საათზე ბებრუხანა მარტოდმარტო იქნებოდა შინ.

თავის ბინამდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯიღა ჰქონდა გასავლელი. სიკვდილმისჯილივით დაბრუნდა შინ. არაფერზე აღარ მსჯელობდა და არცთუ შეეძლო. მაგრამ უცბად მთელი არსებით იგრძნო, რომ აღარც გონების და აღარც ნების თავისუფლება აღარ მოეპოვება და რომ უცბად ყოველივე საბოლოოდ გადაწყდა.

რასაკვირველია, თუნდა მთელი წლობითაც ეცადა მოხერხებული შემთხვევისათვის, მაშინაც არ შეიძლებოდა, ნამდვილად ჰქონოდა იმედი თავისი განზრახვის უცილობლად შესრულებისა, თანაც უფრო მეტი იმედი, ვიდრე ახლა მიეცა შემთხვევით. ძნელი იყო წინა დღითვე სარწმუნოდ და მეტი სიზუსტით, უშიშრად და უხიფათოდ გაგება იმისა, რომ ხვალ ამა და ამ საათზე, ესა და ეს ბებრუხანა, რომელსაც უბედურება მოეღის, მარტოდმარტო იქნება შინ.

VI

რასკოლნიკოვმა შემდეგ კიდევაც გაიგო, თუ რად იწვევდნენ ლიზავეტას იმ საღამოს ხელზე მოვაჭრე და იმისი ცოლი. სულ უბრალო, ჩვეულებრივი საქმე იყო და განსაკუთრებულს არას შეიცავდა: საიდანღაც ჩამოსული, გადარიბებული ოჯახობა ჰყიდდა თურმე ზოგიერთ ხაბაკ-ხუბაკს, ტანისამოსს, ერთი სიტყვით, ქალის სხვადასხვა ჩასაცმელს. რადგან ბაზარში გაყიდვა ყველაფერ ამისა სახეირო არ იქნებოდა, ვინმე გამყიდველ ქალს თურმე ეძებდნენ. ლიზავეტა კი სწორედ ამ ხელობისა იყო: კისრულობდა შუამავლობას, ყიდულობდა და ჰყიდდა და კარგი პრაქტიკაც ჰქონდა, რადგან მეტად პატიოსანი იყო მეტად და ვაჭრობის დროს მხოლოდ ბოლო ფასს ეუბნებოდა მუდამ: რასაც ეტყოდა, იმითი გაათავებდა. ლაპარაკით საზოგადოდ ცოტას ლაპარაკობდა და, როგორც უკვე ვთქვით, მეტად თვინიერი და მშიშარა იყო...

მაგრამ ამ ბოლო დროს როგორღაც ცრუმორწმუნე შეიქნა რასკოლნიკოვი, რისი ნიშნებიც შემდეგშიაც კიდევ დიდხანს და თითქმის წარუხოცველად შერჩა. ყოველივე ამაში რაღაც უცნაურობასა და საიდუმლოებას ხედავდა, რაღაც ზეგავლენასა და გარემოებათა დამთხვევას. ჯერ ისევ ზამთარში აცნობა ხარკოვში მიმავალმა სტუდენტმა პოკორევმა ლაპარაკის დროს ბებრუხანა ალიონა ივანოვნას მისამართი, ვინ იცის, იქნებ დასაგირავებელი გქონდეს რამეო. დიდხანს ფიქრადაც არ მოსვლია ბებრუხანასთან მისვლა, რადგან ამ დროს გაკვეთილები ჰქონდა და როგორღაც გაჭირვებით გადიოდა. ამ თვენახევრის წინათ კი მოაგონდა მისამართი. სულ რაღაც ორი ნივთი ჰქონდა დასაგირავებლად გამოსადეგი: მამისეული ძველი ვერცხლის საათი და პატარა ოქროს ბეჭედი სამი წითელი ქვით, გამოთხოვებისას დისგან

სახსოვრად ნაჩუქარი. გადაწყვიტა, ჯერ ბეჭედი მიეტანა. მოძებნა ბებრუხანა, მაგრამ პირველ ნახვაზევე რაღაც საშინელი ზიზღი იგრძნო, თუმცა სულ არა იცოდა რა საიმისო ბებრუხანასი. გამოართვა ორი მანეთიანი ქალღმრთლის ფული და გზად სადღაც უხეირო ტრაქტორში შეიარა. მოითხოვა ჩაი, დაჯდა და ღრმად ჩაფიქრდა. რაღაც უცნაური რამ აზრი იბუდებდა მის თავში და თანდათან მეტად და მეტად იპყრობდა მის ყურადღებას.

თითქმის მის გვერდით, მეორე მაგიდას მისხდომოდნენ სტუდენტი, რომელსაც სრულიად არ იცნობდა და არცთუ ახსოვდა, და ახალგაზრდა ოფიცერი. ბილიარდი ითამაშეს და ჩაის სმას შეუდგნენ. უცბად მოესმა რასკოლნიკოვს, რომ სტუდენტი კოლექსკი სეკრეტარის ქვრივ, მევახზე ალიონა ივანოვნაზე ელაპარაკებოდა ოფიცერს და მისამართს ატყობინებდა. მარტო ესეც როგორღაც უცნაურად ეჩვენა რასკოლნიკოვს: ეს არის თვითონ იქიდან მოდის და აქ კი ისევ იმაზე ესმის ლაპარაკი. რასაკვირველია, შემთხვევითია ეს გარემოება. მაგრამ მაშინ, როდესაც ერთი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება ვერ მოუნელებია, ახლა სწორედ თითქოს ვიღაც ეხმარება და სამსახურს უწევს: სტუდენტი უცბად ამხანაგს დაწვრილებით უამბობს ალიონა ივანოვნას ამბებს.

- კაი დედაკაცია, - ეუბნება ამხანაგს, - ფული მუდამ აქვს. ურთიერთ მდიდარია, შეუძლია ერთად თუნდ ხუთასი თუმანი მოგცეს, მაგრამ არც მანეთიან გირაოს უკადრისობს. ჩვენგან ბევრი დადის, ეს არის, გაქნილია მეტისმეტად.

მოჰყვა სტუდენტი, რა ავი და კაპასი დედაკაცია ქვრივი; როგორ ეკარგებათ დაგირავებული ნივთები, როგორც კი ვადას ერთი დღით გადააცილებენ. გირაოში მხოლოდ ღირებულის მეოთხედს იძლევა, სარგებელს კი თვეში ხუთსა და შვიდ პროცენტს იღებს და სხვა. ისიც უამბო სტუდენტმა, ბებრუხანას დაცა ჰყავს, სახელად ლიზავეტა, რომელსაც წამდაუწუმ სცემს და პატარა ბავშვივით მონობაში ჰხდის სულს, მაშინ როდესაც ლიზავეტა რვა გოჯით არის თავის გაწრიპულ, სამაგელ დაზე მაღალიო...

-აი, თუ გნებავთ ფენომენი! - შესძახა სტუდენტმა და გადაიხარხარა.

და მოჰყვნენ ლიზავეტაზე ლაპარაკს. სტუდენტი განსაკუთრებული სიამოვნებით უამბობდა და სულ იცინოდა. ოფიცერიც დიდი ყურადღებით უგდებდა ყურს და სთხოვდა სტუდენტს, საცვლების დასაკერებლად ლიზავეტა გამოეგზავნა მასთან. არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია რასკოლნიკოვს, ყველაფერი უცბად გაიგო: ლიზავეტა უმცროსი ნახევარდა იყო (დედით სხვადასხვანი ყოფილან) ბებრუხანასი: ხნით ოცდათხუთმეტი წლისა. დღე და ღამ დისათვის მუშაობდა, ის იყო სახლში მზარეულიცა და მრეცხავიც; ამას გარდა, გასასყიდადაც კერავდა, იატაკის საწმენდადაც ხშირად დადიოდა სხვებთან და, რასაც შოულობდა, ყველაფერს დას ამღევდა. ამასთან, არ შეეძლო ბებრუხანას ნებადაურთველად ან რამე სამუშაო აელო, ან რამე შეკვეთა ეკისრა. ბებრუხანას კი უკვე დაწერილი ჰქონდა ანდერძი, რომლის წყალობით ლიზავეტას მხოლოდ მოძრავი ქონება, სკამები და სხვა ამგვარი ხარახურა რჩებოდა; ფულები კი მთლიანად ნ-ის გუბერნიის ერთი რომელიღაც მონასტრისათვის შეეწირა სამარადისო სულის მოსახსენებლად. ლიზავეტა შთამომავლობით მდაბიო იყო და არა მოხელის ოჯახისა, გაუთხოვარი, მოყვანილობით საშინლად უშნო და ულაზათო, უზომოდ მაღალი და

ფეხებგამონგრეული, ფეხსაცმელი მუდამ გაცვეთილი ეცვა. თავს სუფთად ინახავდა. უმთავრესად კი ის აცინებდა და აკვირვებდა სტუდენტს, ლიზავეტა რომ წარამარა ორსულად იყო.

- შენ არა თქვი, მახინჯიაო? - შენიშნა ოფიცერმა.

- დიახ, შავგვრემანია, ქალად გადაცემულ ჯარისკაცსა ჰგავს, მაგრამ მახინჯი როდია. კეთილი სახე და თვალეები აქვს, მეტად კეთილი. დასამოწმებლად ისიც კმარა, რომ ბევრს მოსწონს. წყნარია, მშვიდი, არავის სიტყვას არ შეუბრუნებს, ყველა ადვილად დაიყოლიებს, რაზედაც უნდა. ღიმილი კი თითქმის უხდება კიდეც.

- გატყობ, შენც მოგწონს?! - გაიცინა ოფიცერმა.

- უცნაურია და იმიტომ! არა, იცი რას გეტყვი, იმ დაწყევლილ ბებრუხანას მართლა ისე მოვკლავდი და გავმარცვავდი, სინდისი იოტისოდენადაც არ შემაწუხებდა, - დასძინა სტუდენტმა მხურვალედ.

ოფიცერმა ისევ გადაიხარხარა, რასკოლნიკოვი კი შეკრთა. უცნაური იყო სწორედ!

- მოითმინე, მინდა მართლა გკითხო, - ცხარობდა სტუდენტი. - ახლა, რასაკვირველია, ვიხუმრე, მაგრამ ყური დამიგდე, აბა: ერთი მხრივ, ტუტუცი, უაზრო, ბოროტი, ყველასათვის უსარგებლო და, პირიქით, მავნე, არაფრის მაქნისი ბებრუხანა, რომელმაც თვითონაც არ იცის, რისთვისა ცოცხლობს, და დღეს არა, ხვალ უთუოდ გადაბრუნდება და მოკვდება. გესმის? გესმის?

- ჰო, მესმის, მერე? - უპასუხებდა ოფიცერი თავის ცხარედ მოსაუბრე ამხანაგს და თან ყურადღებით მისჩერებოდა.

- ყური დამიგდე მაშ; მეორე მხრივ, ახალგაზრდა, ნორჩი ძალები ათასობით იღუპებიან უშემწეოდ, ასეა ყველგან! ასი და ათასია ისეთი კეთილი საქმე და წამოწყება, რომელთაც, ვინ იცის, როგორ დაეხმარება და ფეხზე დააყენებს ბებრუხანასაგან მონასტრისათვის შეწირული ფული! შარაგზაზე ასობით და ათასობით დარჩენილ არსებას და ოჯახს იხსნის სიღარიბის, გახრწნილებისა და გარყვნილებისაგან, ვენერიული საავადმყოფოსაგან, - და ყოველივე ეს მისი ფულით გაკეთდება. მოჰკალ იგი, წაიღე ფული და მერე თავი საკაცობრიო და საზოგადო საქმეს ამსახურე! როგორ გგონია, ნუთუ ერთ პაწია დანაშაულს ესოდენ კეთილი საქმე ვერ გამოისყიდის? ერთი სიცოცხლის წილ ათასი სხვა იქნება გახრწნილებისა და გარყვნილებისაგან ხსნილი. მოკვდება ერთი, მაგრამ სამაგიეროდ ასი სხვა გამოცოცხლდება, - აქ ხომ უბრალო ანგარიშია! აბა, რას ნიშნავს ამ ჭლექიანი, ტუტუცი და ბოროტი ბებრუხანას სიცოცხლე, თუ იმას სხვების სიცოცხლესთან ერთად ავწონ-დავწონით? მკბენარისა და ნესტის ჭიის სიცოცხლეზე მეტად ხომ არა ღირს, იმიტომ, რომ ბებრუხანა მავნებელია მხოლოდ. იგი სიცოცხლეს სწოვს სხვებს: ამ წინაზედაც ლიზავეტასათვის სიბრაზით თითზე ეკბინა; ცოტას გაწყდა, მთლად არ მოაჭრეს!

- რასაკვირველია, ღირსი არ არის სიცოცხლისა, - შენიშნა ოფიცერმა, - მაგრამ ბუნებას რას უზამ.

- ეჰ, ძმაო, ბუნება არ არის, რომ ასწორებენ და, როგორც უნდათ, ისე მართავენ? უამისოდ ხომ ცრუმორწმუნეობა გვმთანთქავდა მთლად. არც ერთი დიდებული კაცის ხსენება უიმისოდ არ იქნებოდა. ამბობენ: „მოვალეობა, სინდისიო“, - არას ვიტყვი არც მოვალეობისა და არც სინდისის წინააღმდეგ, - მაგრამ ან ერთი ან მეორე როგორ გვესმის? მოიცა, ერთს კიდევ გკითხავ, ყური დამიგდე!

- არა, შენ დაიცა; მე გკითხავ ახლა. გამიგონე!

- აბა!

- აი, ხომ ლაპარაკობ და მჭევრმეტყველებ, მითხარი: შენ თვითონ მოკლავდი ბებრუხანას თუ ვერა?

- რასაკვირველია, ვერა! ისე ვამბობ, სიმართლისათვის... თორემ აქ ხომ საქმე ჩემზე არ არის...

- ჩემი აზრით კი, თუ თვითონ ვერ კისრულობ, არც სიმართლეა აქ... წავიდეთ, ერთი ხელი კიდევ ვითამაშოთ!

საშინლად დელავდა რასკოლნიკოვი. რასაკვირველია, ეს სულ უბრალო და ჩვეულებრივი, უკვე მრავალჯერ მოსმენილი ლაპარაკი იყო, რომელსაც ახალგაზრდებში ხშირად გაიგონებს ადამიანი, მხოლოდ სხვა საგანზე და სხვა ფორმით ნათქვამს. მაგრამ რაღა სწორედ ახლა გაიგონა ასეთი ლაპარაკი, როცა მის თავში უკვე ჩასახული იყო...სწორედ ასეთივე აზრები?რაღა ახლა მოისმინა ისევ ბებრუხანას ამბავი, როდესაც ეს-ესაა ბებრუხანაზე ჩაესახა რაღაც აზრი? უცნაურად ეჩვენებოდა მუდამ ეს დამთხვევა. ამ უბრალო ლაპარაკს, დუქანში განაგონს, შემდგომ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ვითარებაზე: თითქოს მართლაც ბედისწერა ან განგების რამ ჩვენება იყო...

...

დაბრუნდა თუ არა სენიდან, დივანზე დაეგდო და მთელი საათი უძრავად იჯდა. შებინდა კიდევ; სანთელი არა ჰქონდა, მაგრამ ანთება ფიქრადაც არ მოსდიოდა. ვეღარ მოეგონებინა შემდეგში: ფიქრობდა კი იმ დროს რამეზე? ბოლოს იგრძნო, რომ შეაჟრჟოლა და მიხვდა, რომ შეეძლო დივანზე მიწოლილიყო. მალე ისე მაგრად ჩაეძინა, თითქოს მაჯლაჯუნა დააწვაო.

ემინა მეტად დიდხანს; არაფერი დასიზმრებია. მეორე დღეს რომ დილის ათ საათზე ნასტასია შევიდა, მუჯლუგუნებით ძლივს გამოაღვიძა. ჩაი და პური შემოეტანა. ჩაი ისევ მონარჩენი იყო და ისევ ნასტასიას ჩაიდანში ესხა.

- ვერ ხედავთ, როგორ გასიებულა ძილით! - შეჰყვირა გაჯავრებულმა, - სულ ასე სძინავს!

როგორც იყო, ძლივს წამოიწია რასკოლნიკოვმა. თავი სტკიოდა; წამოდგა ფეხზე, შემობრუნდა და ისევ დივანზე დაეცა.

- კიდევ იძინებს! - შეჰყვირა ნასტასიამ. - რაო, ავად ხომ არა ხარ?

რასკოლნიკოვი ხმას არ სცემდა.

- ჩაი არ გინდა?

- მერე, - ჩაილულლულა ძალდატანებით და თვალები ისევ მოხუჭა. პირი კედლისკენ იბრუნა.

ნასტასია პატარახანს კიდევ ადგა თავზე.

- იქნებ მართლაც ავად არის, - ჩაილაპარაკა თავისთვის, შემობრუნდა და გავიდა.

ორ საათზე ისევ შემოვიდა, წვენი მოუტანა. რასკოლნიკოვი წინანდებურად იწვა, ჩაისთვის ხელი არ ეხლო. იწყინა კიდევ ნასტასიამ და გაბრაზებულმა ნჯღრევა დაუწყო.

- რასა სივდები ძილით! - დაჰყვირა და თან ზიზღით შეაცქერდა. რასკოლნიკოვი წამოიწია და დაჯდა, მაგრამ არა უთქვამს რა, ძირს იცქირებოდა.

- ავად ხარ თუ რა არის? - შეეკითხა ნასტასია, მაგრამ პასუხი ისევ არ ეღირსა. - ქუჩაში მაინც გახვიდოდი, - უთხრა მცირე სიჩუმის შემდეგ, - ნიავი მაინც დაგკრავდა. ჭამ რასმე თუ არა?

- მერე, - ჩაილაპარაკა სუსტად და ხელი გაუქნია. - წადი!

ნასტასია ცოტა ხანს კიდევ იდგა ისე, სიბრალულით დახედა და გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ რასკოლნიკოვმა თავი მაღლა აიღო და დიდხანს ასე უყურა ჩაისა და წვენს. აიღო მერე პური და კოვზი და ჭამა დაიწყო.

შეჭამა ცოტა, სულ რაღაც სამიოდ-ოთხი კოვზი, ისიც უმადოდ და საჩქაროდ. თავი ნაკლებად სტკიოდა. სადილის შემდეგ ისევ დივანზე დაწვა, მაგრამ ვეღარ დაიძინა, იწვა უძრავად, პირქვე და ცხვირ-პირი ბალიშში ჩაერგო. სულ რაღაც უცნაურ ოცნებაში იყო: წარმოიდგინა, ვითომ სადღაც აფრიკაში თუ ეგვიპტეშია, რომელიღაც ოაზისში. ქარავანი ისვენებს, აქლემები წყნარად წვანან თავისთვის, გარშემო სულ პალმებია, წრესავით შემორტყმიან. ყველგან სადილობენ. ის კი იქვე, გვერდზე მოჩუხჩუხე და მოცქერიალე წყაროდან წყალსა სვამს. გრილა. მშვენიერი მოლურჯო ცივ-ცივი წყალი ფერად კენჭებზე და ოქროსფრად მოელვარე წმინდა ქვიშაზე მიჩხრიალებს... უცბად ნათლად მოესმა, რომ საათმა დაჰკრა. ელდანაკრავივით შეხტა, გამოერკვა, თავი მაღლა ასწია, ფანჯარაში გაიხედა; მოისაზრა, რა დროც უნდა ყოფილიყო და გონსმოსული უცბად წამოხტა, თითქოს ძალით ვინმემ წამოჰგლიჯაო დივნიდან. თითის წვერებზე მივიდა კართან, გამოაღო ნელ-ნელა და ძირს, კიბეს, ყური მიუგდო. გული საშინლად უცემდა, კიბეზე სრული სიჩუმე იყო, თითქოს ყველას სძინავსო... უცნაურად და გაუგებრად ეჩვენა, რომ გუშინდელს აქეთ ასე მკვდარივით ეძინა და ჯერ არა გაეკეთებინა რა, არა მოემზადებინა რა... მერე იქნებ ექვსი საათიც იყო უკვე... ჰოდა, ნამძინარეზე ჩვეულებრივი ზანტობისა და უძრავობის მაგივრად რაღაც არაჩვეულებრივ ფაციფუსს შეუდგა; თუმცა მოსამზადებელი არც არა ჰქონდა რა საიმისო. ცდილობდა ყველაფერი მოესაზრა, არა დავიწყებოდა რა; გული კი ერთთავად უცემდა, თან ისეთი ძალით, რომ სუნთქვას ძლივსლა ახერხებდა. ჯერ ერთი, მარყუჭი უნდა გაეკეთებინა და პალტოზე მიეკერებინა, - წუთის საქმე იყო ეს. გადმოსწია ბალიშს და ქვეშამოდებულ საცვლებში ჭუჭყიანი პერანგი გამოძებნა. ძონძებად ქცეულ პერანგს, როგორც იყო, აარღვია ერთი

გოჯის სიგანე და რვაოდე გოჯის სიგრძე ყაითანი. ორად გადაკეცა. გაიძრო თავისი განიერი, ბამბის უბრალო ქსოვილისაგან შეკერილი ზაფხულის პალტო (ეს ერთადერთი ზემოდან ჩასაცმელი ტანისამოსი) და ორად შეკეცილი ყაითანი ბოლოებით მაგრად მიაკერა შიგნიდან პალტოს მარცხენა ილლიის ქვეშ. ხელები უკანკალებდა, მაგრამ მოახერხა და ისე მიაკერა, რომ, როცა ჩაიცვა, გარედან სრულებით არა ეტყობოდა რა. ნემსი და ძაფი დიდი ხანია დამზადებული ჰქონდა და მაგიდაზე ეწყო ქალაღდში გამოხვეული. რაც შეეხება მარყუჟს, ეს კი საკუთრივ მისი გამოგონება იყო; ცულისათვის უნდოდა. ქუჩაში ხომ ხელით არ წაიღებდა ცულს. პალტოს ქვეშაც რომ შეენახა, მაინც ხელით დასჭირდებოდა დაჭერა და შენიშნავდნენ. ახლა კი საკმარისი იყო, ცულის ტარი მარყუჟში ჩაედო და იქნებოდა თავისთვის ილლიის ქვეშ ჩამოკიდებული, ვერავინ შენიშნავდა გზაზე. თუ ჯიბეში ჩაიყოფდა ხელს, მაშინ ხომ ტარის დაჭერაც შეემლო და აღარც იქანავებდა. რაკი პალტოც ერთობ ხალვათი ჰქონდა და ტომარასავით ადგა, გარედან სულ ვერ შეატყობდნენ, თუ ჯიბიდან ხელსაც მიაშველებდა. ეს მარყუჟიც ამ ორი კვირის წინათ მოიგონა.

მორჩა ამას, შეყო თითები „თურქულ“ დივანსა და იატაკს შუა დარჩენილ ღრეჩოში, მოუსვა ხელი მარცხენა კუთხეში და დიდი ხნის მომზადებული და შენახული გირაო გამოიღო. გირაო კი არ იყო მართლა, უბრალო, სუფთად გაშალაშინებული ვერცხლის საპაპიროსეს ტოლა ხის ფიცარი გახლდათ. ეს ფიცარიც შემთხვევით ჰქონდა სეირნობის დროს ნაპოვნი ეზოში, სადაც რაღაც სახელოსნო იყო გამართული. შემდეგ ამ ფიცარს თხელი და სუფთა რკინის ნაჭერი დაამატა, რომელიც უთუოდ რისამე მონატეხი იყო და ისევე ჰქონდა ნაპოვნი, როგორც ფიცარი. ხისა და რკინის თხელი ნაჭერი, რომელთაგანაც რკინისა უფრო მომცრო იყო, ერთმანეთს მიადო და ჯვარედინად მაგრად შეკრა ძაფით; მერე აიღო, კოხტად შეახვია თეთრ ქალაღდში და ისე შეკრა ხელახლა, რომ გასახსნელად ძნელი ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ ბებრუხანას ყურადღება დროებით ამაზე მიეპყრო, ხსნას რომ დაუწყებდა, და მოხერხებულად შეერჩია დრო. რკინის ნაჭერიც იმიტომ იყო განგებ სიმძიმისათვის დამატებული, რომ პირველ ხანად მაინც არ მიმხვდარიყო ბებრუხანა, „გირაო“ რომ ხისა იყო. ყველაფერი ეს თავის დრომდე დივანქვეშ ჰქონდა შენახული. ის იყო გამოიღო გირაო, რომ ეზოში უცბად ვიღაცამ დაიძახა: - რამდენი ხანია შვიდი დაიწყო!

რამდენი ხანიაო! ღმერთო ჩემო!

ეცა კარს, ყური მიუგდო, დასწვდა ქუდს და ცამეტსაფეხურიან კიბეზე კატასავით ჩუმად ჩამოვიდა. წინ ედო მეტად სამძიმო საქმე, - სამზარეულოდან ცული უნდა მოეპარა. ის კი, რომ საქმე ცულით უნდა გაეთავებინა, დიდი ხანია გადაეწყვიტა. კიდევ საკეცი ბაღის დანაც ებადა, მაგრამ, რაკი დანისა და განსაკუთრებით თავისი ღონის იმედი არ ჰქონდა, ცული ირჩია. აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე თავისებურება იმ საბოლოო გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ამ საქმეს შეეხებოდა. ყველა მათგანს ერთი რამ უცნაური თვისება ჰქონდა: რამდენადაც საბოლოოდ წყდებოდა, იმდენად უფრო უგვანი და უაზრო ხდებოდა მის თვალში. თუმცა ერთთავად იტანჯებოდა და თავის თავს ებრძოდა, მაინც ერთ წამსაც ვერ დაეჯერებინა, თუ შეასრულებდა როდისმე თავის განზრახვას.

კიდევ რომ ოდესმე მომხდარიყო და ყველაფერი საბოლოოდ გაერკვია და გადაეწყვიტა, ისე რომ აღარავითარი ეჭვიც კი აღარ ჰქონოდა, - სწორედ მაშინ, ვგონებ, უაზრო და შეუძლებელ რამედ მოეჩვენებოდა. მაგრამ გადაუწყვეტელი და საეჭვო

კითხვა უამრავი ჰქონდა კიდევ. რაც შეეხებოდა ცულის შოვნას, ეს წვრილმანი ხომ სულაც არ აფიქრებდა, მეტად ეადვილებოდა, რადგან საღამო-საღამოობით ნასტასია წამდაუწუმ სადმე გარბოდა ხოლმე: ან მეზობლებისას, ან საწვრილმანო დუქანში და კარს მუდამ ღიასა სტოვებდა. დიასახლისთან ჩხუბის მიზეზიც მუდამ ეს იყო ხოლმე. მამასადამე, ჩუმიდ უნდა შეპარულიყო, როგორც კი დრო მოაღწევდა, აელო ცული და ერთი საათის შემდეგ (ყველაფერს რომ შეასრულებდა) ისევ შეეტანა და თავის ადგილას დაედო. მაგრამ ზოგი რამ საეჭვოც იყო. ვთქვათ, მოვიდა ერთი საათის შემდეგ, რომ ცული თავის ადგილას დადოს, მაგრამ ნასტასია შინ არის სწორედ ამ დროს, დაბრუნებულია. რასაკვირველია, უნდა გაუაროს, ვითომდა არაფერიო, და უცადოს, სანამ კიდევ წავიდოდეს სადმე. მერე, სწორედ ამ დროს ცული რომ დასჭირდეს და შექნას ძებნა, ყვირილი, - ხომ ეჭვი მიიტანეს, ხომ შემთხვევა მაინც მიეცათ, ეჭვი მიიტანონ.

მაგრამ ყველა ეს წვრილმანი იყო, რომელთა ირგვლივ ჯერ არ ეფიქრა, არცთუ ეცალა. ფიქრობდა უმთავრესზე, წვრილმანებზე ფიქრს კი შემდეგშიც მოასწრებდა, როცა ყველაფერში თვითონ დარწმუნდებოდა. მაგრამ ეს შეუძლებლად მიაჩნდა. თვითონ მაინც ასე ეგონა. არ შეეძლო არაფრის გულისათვის წარმოედგინა, მაგალითად, თუ ოდესმე შეწყვეტდა ფიქრს, წამოდგებოდა და პირდაპირ წავიდოდა... თვით უკანასკნელი ცდაც კი (ადგილის საბოლოო დასათვალიერებლად რომ მივიდა) საცდელად მოახდინა, თორემ მართლა კი არა ედო რა გულში: „მოდი, წავალ და ვცდი, რას ვოცნებობო“. მაგრამ მაშინვე მიაფურთხა და გამოიქცა საშინლად გაბრაზებული თავის თავზე. საკითხის ზნეობრივად გადასაწყვეტად მთელი ანალიზი თითქოს უკვე დასრულებული ჰქონდა: მისი კაზუსტიკა ისე გამოილესა ამასობაში, რომ აღარავითარ შეგნებულ წინააღმდეგობას აღარ ჰპოვებდა მისი მხრივ. მაგრამ მაინც აღარა სჯეროდა თავისი თავისა და დაჟინებით ეძებდა საწინააღმდეგო მიზეზს, თითქოს ძალას ატანს ვინმეო. უკანასკნელმა დღემ კი ისე მოულოდნელად დაუკრა თავი და ყოველივე უცბად გადააწყვეტინა, რომ უბრალო მანქანად იქცა: თითქოს ხელი ჩაავლო ვინმემ და გაიყოლია ისე მძლავრად, რომ საწინააღმდეგო ვეღარა გაბედა რა, თითქოს მანქანის თვალმა ჩაითრია ტანისამოსით და ჩაიხვიაო.

თავდაპირველად, - თუმცა ასე წინათაც ბევრჯერ მოსვლია, - ერთი რამ აფიქრებდა: რატომ იკვლევენ ასე ადვილად დანაშაულს და ასე აშკარა კვალს რად ტოვებს ყველა დამნაშავეო? მრავალ სხვადასხვა და საგულისხმო დასკვნას დაადგა ნელ-ნელა, მაგრამ მისი აზრით, უმთავრესი მიზეზი ისევ თვითონ დამნაშავე იყო და არა ის გარემოება, ვითომ დანაშაულის დამალვა შეუძლებელი ყოფილიყო. მისი შეხედულებით, დამნაშავეს, თუ საზოგადოდ სხვა ბოროტმოქმედს, დანაშაულის ჩადენის დროს ნებისყოფა და გონიერება სრულებით უსუსტდება, სამაგიეროდ, უვითარდება რაღაც გასაკვირველი ბავშვური დაუდევრობა; ისიც მაშინ, როდესაც ყველაზე მეტადაა საჭირო გონიერება და სიფრთხილე. რასკოლნიკოვის რწმენით, გონების დაბნელება და ნებისყოფის დაუძლურება რაღაც სენივით თანდათან უვითარდება ადამიანს და დანაშაულის ჩადენის ცოტა ხნით ადრე უმადლეს წერტილს აღწევს. ასეთივე მდგომარეობაშია ადამიანი დანაშაულის ჩადენის დროს და შემდეგაც რამდენიმე ხანს, რაც თვითონ ინდივიდუალურად დამოკიდებული. მერე კი გაუვლის, როგორც ყველა სხვა სენი. თვითონ საკითხი: სნეულების შედეგია დანაშაული, თუ თვითონ დანაშაული წარმოშობს ხოლმე ავადმყოფურ მდგომარეობას? - ჯერჯერობით ვერ გადაეწყვიტა, ძალა არ შესწევდა.

დაადგა თუ არა ასეთ დასკვნას, იქვე გადაწყვიტა, რომ პირადად მას არავითარი ასეთი ავადმყოფობა არ დაემართებოდა და გონება თუ ნება განზრახულის შესრულებისას უეჭველად შერჩებოდა იმ ერთადერთი მიზეზით, რომ მისი განზრახვა „არ არის დანაშაული...“ ავუქციოთ გვერდი პროცესს, რომელმაც უკანასკნელ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რადგან უიმისოდაც მეტად დავმორდით საგანს... დავსძინოთ მხოლოდ, რომ საქმის ფაქტიურ, წმინდა ნივთიერ დაბრკოლებას საზოგადოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მის გონებაში. „საკმარისია შევინარჩუნოთ ნება და გონიერება და თავის დროზე ყველა დაბრკოლება ძლეული იქნება, როდესაც საქმის ვითარებას სულ დაწვრილებით გავეცნობით“. მაგრამ საქმე არ იწყებოდა. თავისი საბოლოო გადაწყვეტილებისა თითქმის არა სჯეროდა და, დრო რომ დადგა, ყველაფერი სხვარიგ, უცაბედად და თითქმის მოულოდნელად მოხდა.

ვიდრე კიბეზე ჩამოვიდიოდა, ერთმა უმნიშვნელო გარემოებამ მთლად აუბნია გზაკვალი. დიასახლისის მუდამ ყურთამდე ღია სამზარეულოს კარს რომ გაუსწორდა, ფრთხილად გახედა გვერდზე: ნასტასიას შინ არყოფნისას დიასახლისი ხომ არ შესულაო, ხოლო თუ იქ არ დახვდებოდა, უნდოდა გაეგო, კარგად იყო თუ არა გამოხურული თვითონ დიასახლისის ოთახი კარი; ეშინოდა, შემთხვევით არ გამოეხედა დიასახლისს, ის რომ ცულისათვის შევიდოდა. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ მის განცვიფრებას, როცა დაინახა უცბად, რომ ნასტასია არამცთუ შინ იყო იმჟამად, საქმიანობდა კიდევ: კალათიდან სარეცხს იღებდა და თოკზე ჰფენდა! დაინახა თუ არა ნასტასიამ რასკოლნიკოვი, სარეცხის ფენას მაშინვე თავი გაანება, შემობრუნდა და სანამ არ ჩაიარა, დაჟინებით შესცქეროდა. რასკოლნიკოვმა თვალი აარიდა და ისე გაუარა, ვითომდა არაფერიაო. მაგრამ საქმე გათავებული იყო: ცული არ ჰქონდა! ელდა ეცა.

„არა, საიდან მოვიტანე, - ფიქრობდა იგი, ალაცაფის კართან რომ მოვიდა, - საიდან მოვიტანე, რომ სწორედ იმჟამად შინ არ იქნებოდა უთუოდ! რად გადავწყვიტე ასე?“ მთლად ჩაითუთქა, თითქოს დაილია, დამცირება იგრძნო. გაბოროტებულს უნდოდა ეცინა თავის თავზე... რაღაც პირუტყვული, ყრუ სიბრაზე მოერია.

ალაცაფის კართან შედგა ჩაფიქრებული. ქუჩაში გასვლა, ვითომც სასეირნოდ, არ უნდოდა, ეზიზღებოდა; შინ დაბრუნებულიყო - ესეც შეეზიზღა. „მერე რა შემთხვევა დავეკარგე სამუდამოდ!“ - დუდუნებდა იგი და მეეზოვის ნახევრად ბნელ, კარლია ოთახის პირდაპირ უაზროდ იდგა. უცბად შეკრთა. მეეზოვის ოთახიდან, რომელიც სულ ორიოდ ნაბიჯზე იყო მისგან დაშორებული, ტახტქვეშიდან, მარჯვნივ, რაღაცამ თვალეში გაუელვა... მიიხედ-მოიხედა, - არავინ ჩანდა. თითქმის წვერებზე მიუახლოვდა მეეზოვის ოთახს, ორი საფეხური ჩაიარა და ნელი ხმით დაუძახა. „ასეა სწორედ, შინ არ არის! უთუოდ ახლოა სადმე, ეზოშივე, რომ კარი მთლად ღიაა“. ეცა უცბად და ტახტქვეშიდან შემებშუა ჩადებული ცული გამოიღო. იქვე მარყუჟში ჩაიღო, ორთავე ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და გამოვიდა. არავის დაუნახავს. „თუ ჰკუამ ვერ გიშველა, ეშმაკი გიშველის!“ - გაიფიქრა და უცნაურად ჩაეცინა. ამ შემთხვევამ მეტად გაამხნევა.

გზაზე წყნარად და დინჯად მოდიოდა, არა ჩქარობდა, რომ არავის აეღო ეჭვი. გამვლელთაგანს სახეზე არავის უცქეროდა, ცდილობდა, რაც შეიძლება შეუნიშნავი დარჩენილიყო. მაგრამ უცბად თავისი ქუდი მოაგონდა. „ღმერთო ჩემო! ამ სამი დღის

წინათ ფულიცა მქონდა და ქუდი კი არ გამოვიცვალე!“ - გაიფიქრა და სულის სიღრმიდან წყევლა აღმოხდა.

შემთხვევით, ცალი თვალით, დუქანში შეიხედა და დაინახა კედლის საათზე, რომ რვისა უკვე ათი წუთი იყო. უნდა აჩქარებულიყო კიდეც და შორი გზაც მოეარა: მეორე მხრიდან შემოევლო და ისე შესულიყო სახლში...

წინათ რომ წარმოიდგენდა ხოლმე ყოველივე ამას, ხანდახან ეგონა, ვითომ ძალიან შეეშინებოდა. მაგრამ ახლა თითქმის აღარ ეშინოდა, სრულიადაც არ ეშინოდა. წამით რაღაც გარეშე ფიქრიც კი წაიღებდა ხოლმე. იუსუპოვის ბაღის გვერდით რომ გაიარა, მაღალი შადრევნების მოწყობის ფიქრმა გაიტაცა და მოჰყვა ოცნებას, - რა კარგად გააგრძელებდნენ ესენი ჰაერს მოედნებზეო. ნელ-ნელა ახლა იმ აზრს დაადგა, საუცხოო და სასარგებლო იქნება ქალაქისათვის, საზაფხულო ბაღს რომ მთლად ეჭიროს მარსის მინდორი და მიხეილის სასახლის ბაღთან იყოს შეერთებულიო. აქ კი უცბად სხვა აზრი მოუვიდა: რადაა ასე, რომ დიდ ქალაქებში ადამიანი განა მარტო ძალაუნებურად სახლდება და ცხოვრობს სწორედ ისეთ ადგილებში, სადაც არც ბაღებია, არც შადრევნები და ჭუჭყის, ყროლისა და ყოველგვარი სამაგლობის მეტი არა მოიძებნება რა, არამედ რაღაც საგანგებო მიდრეკილება აქვს ამისა. უცბად სენის მოედანზე თავისი საკუთარი სეირნობა მოაგონდა, წამით გამოერკვა. „რა სისულელეა, - გაიფიქრა. - არა, სჯობს ისევ არა ვიფიქრო რა!“

„ასე სჩადიან უთუოდ ყველანი, დასასჯელად რომ მიჰყავთ; გზად ყველა საგანს აკვირდებიან“, - გაუელვა თავში, მაგრამ მხოლოდ გაურბინა ელვასავით; თვითონვე ჩააქრო იმავე წამს ეს აზრი... მაგრამ აგერ მიუახლოვდა კიდეც, აგერ სახლიც, აგერ ალაცაფის კარიც. სადღაც უცბად საათმა ერთხელ დაჰკრა. „რა არის ეს, ნუთუ რვის ნახევარია? არა, არა, შეუძლებელია, წინ გარბის უთუოდ!“

მისდა საბედნიეროდ, ალაცაფის კარს კვლავ მშვიდობიანად ჩაუარა. პირიქით, თითქოს განგებ მოუწყვიათო, სწორედ ამ დროს თივის უშველებელი ფორანი შეგორდა ალაცაფის კარში და გავლის დროს აეფარა. გავიდა თუ არა ფორანი ეზოს შესავლიდან, რასკოლნიკოვიც მაშინვე გასხლტა მარჯვნივ. იქ, ფორნის მეორე მხარეს, ისმოდა, როგორ ყვიროდა და კამათობდა რამდენიმე კაცი. მაგრამ ის არავის შეუნიშნავს, წინ არავინ შეხვედრია. ბევრი ფანჯარა იყო ღია იმჟამად ამ ოთხკუთხა ვეება ეზოში, მაგრამ ერთხელაც არ აუღია თავი მაღლა, - ძალა არ შესწევდა. ბებრუხანასკენ ამავალი კიბეც იქვე, ალაცაფის კარის მარჯვნივ იყო. რასკოლნიკოვი უკვე კიბეზე იდგა...

სულს ძლივს იბრუნებდა. გულს დაგადუგი გაჰქონდა. ცალი ხელი გულზე მიიძო, მეორეთი ცული მოსინჯა, გაისწორა ერთხელ კიდეც და დაიწყო ფრთხილად, ნელ-ნელა კიბეზე ასვლა; თან წამდაუწუმ ყურს უგდებდა. მაგრამ იმჟამად კიბეზედაც სრულიად არავინ ჩანდა. ყველა კარი დაკეტილი იყო; არავინ შეხვედრია. მართალია, მეორე სართულის ცარიელ ბინაში კარი ღია იყო და შიგ მღებავები მუშაობდნენ, მაგრამ იმათაც არ შეუხედაიათ. შედგა პატარახანს, იფიქრა და გასწია ისევ. „რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, ესენი არა ყოფილიყვნენ აქ, მაგრამ... ამათ ზემოთ ხომ ორი სართული კიდეც სხვა არის“.

აგერ მეოთხე სართულიც, აგერ კარი, აგერ ბინაც პირდაპირ: ცარიელია. მესამე სართულზეც, ბებრუხანას ბინის ქვეშ, როგორც ეტყობა, ცარიელია ბინა; კარზე

მიკრული სადარბაზო ბარათი აუგლეჯიათ, - ჩანს, წასულან!.. სული ეხუთებოდა. ერთ წუთს გაიფიქრა კიდევ: „მოდით, უკან წავალ“, მაგრამ თავის თავს არ გასცა პასუხი და ყური მიუგდო, ბებრუხანას ბინიდან ხმა ხომ არაფერი გამოდისო: სრული სიჩუმე იყო... მერე კიდევ მიუგდო ყური ქვევით კიბეს და დიდხანს უსმენდა ასე ყურადღებით... ბოლოს მიიხედა-მოიხედა უკანასკნელად, გასწორდა, მოემზადა და ცული კიდევ მისინჯა. „ფერი ხომ არ წამივიდა... ძალიან? - ფიქრობდა. - ძლიერ ხომ არა ვღელავ? თორემ ბებრუხანა ეჭვიანია... იქნებ სჯობდეს, ცოტა შევიცადო... ვიდრე გული დამიმშვიდდებოდეს?..“

მაგრამ გული მაინც არ უდგებოდა. პირიქით, თითქოს განგებ, უფრო და უფრო მეტად უცემდა... ველარ მოითმინა ბოლოს და მძიმედ გაიშვირა ზარისაკენ ხელი, დააწკარუნა. ნახევარი წუთის შემდეგ ხელახლა ჩამოჰკრა, უფრო ღონივრად.

არავინ გამოხედა. ტყუილად ზარის რეკვას აზრი აღარ ჰქონდა და არცთუ შეჰფეროდა. ბებრუხანა, რასაკვირველია, შინ იყო, მაგრამ ეჭიანია და თანაც მარტოა. ცოტა მაინც იცის მისი ჩვეულებანი... ერთხელ კიდევ მიაღო ყური კარს. გრძნობები ჰქონდა ასე გამახვილებული (ამას ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი), თუ მართლა ძლიერ ისმოდა, ამის თქმა ძნელი იყო, მაგრამ უცბად გაარჩია, რომ ვიღაცამ ფრთხილად ხელი შეახო კარის სახელოს და თითქოს კაბამაც გაიშრიალა ზედ კართან. ვიღაც შეუმჩნევლად, ჩუმად იდგა გასაღების ჭუჭრუტანასთან და ისიც მასავით სულგანაბული ყურს უგდებდა შიგნიდან; თითქოს ყურიც მოედო კარისათვის...

რასკოლნიკოვი განგებ გაინძრა და ხმამაღლა რაღაც ჩაიდუღუნა, რა არის ეჩვენებინა ვითომ, რომ არ ემალებოდა; მერე კიდევ ჩამოჰკრა მესამედ, მაგრამ ნელა და დინჯად, აუჩქარებლად. შემდგომ რომ მოიგონებდა ხოლმე ამას, გრძნობდა, როგორ მკაფიოდ და ნათლად შთაბეჭდოდა ეს წუთი სამუდამოდ; ვერ გაეგო, საიდან მოიხმარა ამდენი ემმაკობა, მით უფრო, რომ დროდადრო თითქოს გონებაც უბნელდებოდა; საკუთარ სხეულს ხომ თითქმის სულ ვერა გრძნობდა... ერთი წამის შემდეგ მოესმა, რომ კარს ურდულსა ხსნიდნენ.

VII

როგორც მაშინ, ახლაც ცოტათი გაიღო კარი და წყვილი გამჭრიახი, უნდო თვალი ისევ ისე მიაშტერდა სიბნელიდან, როგორც მაშინ. აქ კი დაიბნა რასკოლნიკოვი და კინაღამ დიდი შეცდომა ჩაიდინა.

შემინებულმა, ვაითუ ბებრუხანამ შიში გაივლოს, რომ მარტონი ვართო, კარს ჩაავლო ხელი და თავისკენ გასწია, რათა ბებრუხანას უკანვე არ მიეკეტა. ბებრუხანა კარი აღარ მიხურა, მაგრამ არცთუ ხელი გაუშვა, ისე რომ, ცოტას გაწყდა, რასკოლნიკოვმა კარიანად გარეთ, კიბეზე არ გამოათრია იგი. რაკი ნახა, რომ ბებერი კარში ჩადგა და შიგნით აღარ უშვებდა, აიღო და პირდაპირ მიაწყდა ზედ. ბებრუხანა უკან გახტა შემინებული, უნდოდა თითქოს რაღაც ეთქვა, მაგრამ ველარ შეძლო, მხოლოდ პირდაპირ შეჰყურებდა თვალეზღვრებულს.

- გამარჯობათ, ალიონა ივანოვნა, - დაიწყო რასკოლნიკოვმა რაც შეიძლება თამამად, მაგრამ ხმა არ დაემორჩილა, ჩაუწყდა, აუკანკალდა, - მე თქვენ... ნივთი მოგიტანეთ. მაგრამ სჯობს, შიგნით შევიდეთ... სინათლეზე... - და თავი მიანება, პირდაპირ ოთახში შევიდა უთხოვნელად. ბებრუხანაც მაშინვე უკან მიჰყვა, ენა აეხსნა.

- ღმერთო! რა გინდათ? ვინა ხართ? რა გნებავთ?

- როგორ, ალიონა ივანოვნა!.. თქვენი ნაცნობი... რასკოლნიკოვი... აი, გირაო მოგიტანეთ, ამ წინაზედ რომ დაგპირდით... - და გირაო გაუწოდა.

გადახედა ბებრუხანამ გირაოს, მაგრამ მაშინვე თვალები ისევ დაუპატიჟებელ სტუმარს მიაშტერა პირდაპირ. უცქეროდა ყურადღებით, როგორღაც ბოროტად და უნდობლად. ასე განვლო ერთმა წუთმა. წარმოუდგა, რომ ბებრუხანას რაღაც დაცინვაც კი ეტყობოდა თვალებში, თითქოს ყველაფერს მიხვედრილაო. გრძნობდა რასკოლნიკოვი, რომ გონება ებნეოდა, შიშის ჟრუანტელი უვლიდა; ერთ წამს კიდევ ასე უსიტყვოდ რომ ეცქირა ბებრუხანას, უეჭველად გაიქცეოდა.

- რას მიცქერით აგრე, ვერ მიცანით? - დაეკითხა უცბად რასკოლნიკოვი გულმოდგინედ. - გინდათ აიღეთ, არადა სხვებთან წავიღებ, არა მცალია.

არც უფიქრია ამის თქმა, მაგრამ როგორღაც უცბად წამოისროლა.

ბებრუხანა გონს მოვიდა; ეტყობა, სტუმრის გაბედულმა კილომ გაამხნევა, გამოარკვია.

- მერე აგრე რას მეცი... რა არის? - დაეკითხა და გირაოს დაუწყო ყურება.

- რა და ვერცხლის საპაპიროსეა: გახსოვთ, ამ წინაზედაც გითხარით.

ბებრუხანამ ხელი გაუწოდა.

- ან აგრე რამ გაგაფითრათ? აგერ, ხელებიც გიკანკალებთ! ხომ არ გიბანავიათ?

- მაციებს, - მიუგო რასკოლნიკოვმა სხარტად. - გაფითრდები კი არა, მეტიც მოგივა... თუ საჭმელი არა გაქვს, - დასძინა მან მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ძალა ისევ ელეოდა, მაგრამ პასუხი სიძარტლედ ეჩვენა ბებრუხანას და გირაო გამოართვა.

- რა არის? - დაეკითხა იგი და ერთხელ კიდევ ყურადღებით შეავლო თვალი რასკოლნიკოვს, თან გირაოს სწონიდა ხელში.

- ნივთია... საპაპიროსე... ვერცხლისაა. ნახეთ, აბა.

- თითქოს ვერცხლისა არ უნდა იყოს... უყურე, როგორ დაუხვევია.

ზონრის გამოხსნას რომ ცდილობდა, ფანჯრისაკენ მიბრუნდა, სინათლეზე (მიუხედავად საშინელი შეხუთული ჰაერისა, ყველა ფანჯარა დახურული ჰქონდა), ასე რომ რამდენიმე წამს რასკოლნიკოვს სრულიად შეაქცია ზურგი, მიატოვა. გაიხსნა რასკოლნიკოვმა პალტო და ცული მარყუჟიდან ამოიღო, მაგრამ სულ კი არ გამოუღია. ჯერ ისევ პალტოს ქვეშ ეჭირა მარჯვენა ხელში. ხელები საშინლად დასუსტებული ჰქონდა. თვითონვე ატყობდა, თანდათან როგორ ელეოდა ძალა, უბუჟდებოდა. შიშობდა, ცული ხელიდან არ გამვარდესო... უცბად თითქოს თავბრუ დაესხა.

- რანაირად დაუხლართია! - შეჰყვირა გულმოსულმა ბებრუხანამ და მოსაბრუნებლად შეირხა.

აღარც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლებოდა. გამოიღო რასკოლნიკოვმა ცული, მოუქნია ორივე ხელით და თითქმის დაუფიქრებლად დასცხო თავში. ძალ-ღონე თითქოს არც ჰქონდა, მაგრამ დასცხო თუ არა ცული, უცბად ძალაც იგრძნო.

როგორც მუდამ, ბებრუხანა ახლაც თავშიშველი იყო; ქერა, ჭაღარაშერეულ თხელ თმაზე ჩვეულებისამებრ რაღაც ზეთი ჰქონდა წასმული და უკან პაწაწინად, რქის სავარცხლის ნატეხქვეშ ამოდებული. ცული სწორედ ზემოდან მოხვდა ქალას, რადგან ტანად დაბალი იყო. შეჰკვივლა ბებრუხანამ, მაგრამ მეტად სუსტად და მაშინვე ჩაწვა, თუმცა მოასწრო და ორივე ხელი თავისაკენ წაიღო. ცალ ხელში ისევ „გირაო“ ეჭირა. რასკოლნიკოვმა მაშინვე მეორედ და მესამედ მიაყოლა ცულის ყუა, ისევ ისე კეფაში. სისხლმა გადმოსჩქეფა, თითქოს წამოქცეული ჭიქიდან, და ბებრუხანაც გულაღმა გაიშლართა. რასკოლნიკოვი ცოტათი მოშორდა, აცალა დაცემა და მაშინვე დასახედავად დაიხარა. ბებერი უკვე მკვდარი იყო, თვალები გადმოკარკლოდა, წამოცვენაზე ჰქონდა, შუბლი და სახე დამანჭოდა.

ცული მოკლულის გვერდით, იატაკზე დადო რასკოლნიკოვმა და მაშინვე ჯიბეს ეცა; თან ცდილობდა, სისხლი არ მოსცხებოდა; სწორედ იმ მარჯვენა ჯიბეს ეცა, საიდანაც ბებერმა ამწინაზე ამოიღო გასაღებები. რასკოლნიკოვი სრულ ჭკუაზე იყო, გონება აღარ უბნელდებოდა, თავბრუ არ ესხმოდა, მაგრამ ხელები ჯერ კიდევ უკანკალებდა. მოაგონდა შემდეგ, რომ, პირიქით, დიდი ყურადღებით იქცეოდა, ფრთხილობდა და ცდილობდა, სისხლი არ მოსცხებოდა... გასაღებები მაშინვე ამოიღო; მაშინდელივით ყველა რგოლზე იყო ასხმული. გასაღებებიანად უმაღვე საწოლი ოთახისაკენ გაქანდა. ეს იყო პაწია ოთახი, რომლის ერთ კედელთან რამდენიმე ხატი ერთად ჩაემწკრივებინათ უზარმაზარ სახატეში; მეორე კედელთან იდგა მეტად სუფთა საწოლი, რომელსაც ზემოდან ფარჩისნაჭრებიანი დაბამბული საბანი ჰქონდა გადაფარებული. მესამე კედელთან კამოდი იდგა. უცნაური იყო, მაგრამ როგორც კი დაუწყო კამოდის გასაღებებს სინჯვა და მოესმა მათი ჩხაკუნი, მაშინვე თითქოს კანკალმა აიტანა. უცბად ისევ მოუხდა თავი მიენებებინა ყველაფრისათვის და წასულიყო. მაგრამ ასე იყო მხოლოდ ერთ წუთს; გვიანდა იყო წასვლა. პირიქით, ჩაეცინა კიდევ, მაგრამ უცბად მეორე აზრმა შეაშფოთა. მოეჩვენა უცბად, ვითომ ბებრუხანა ჯერ კიდევ ცოცხალია და შეიძლება გონს მოვიდეს, გასაღებებს და კამოდს თავი მიანება, გაქანდა უკან მოკლულისაკენ, დასწვდა ცულს და ერთხელ კიდევ მოუქნია ბებრუხანას, მაგრამ აღარ დაჰკრა. ნამდვილად მკვდარი იყო. დაიხარა და ახლოდან დაუწყო სინჯვა, ეტყობოდა აშკარად, რომ თავი მთლად გაჩერქვილი ჰქონდა და ცოტათი გვერდზე მოქცეულიც. უნდოდა გაესინჯა, მაგრამ ხელი სწრაფად უკან წაიღო; ისედაც ჩანდა, რომ სული ამოხდომოდა. სისხლი კი გუბესავით დამდგარიყო. უცბად ყელზე ყაითანი შენიშნა; ჩამოსწია, მაგრამ ვერ ჩამოსწყვიტა; მაგარი გამოდგა; ცოტათი სისხლშიაც დასველებულიყო. უნდოდა ახლა იღლის ქვემოდან გამოეძრო, მაგრამ რაღაცამ დაუშალა, დაიჭირა. მოუთმენლად მოუღერა ხელახლა ცული, რომ ყაითანი ზედვე გადაეჭრა ტანზე, მაგრამ ვეღარ გაბედა და რის წვალებით, ორი წუთის ჯაჯგურის შემდეგ, ძლივს გადასჭრა ყაითანი და გამოხსნა, ისე, რომ ტანისათვის ცული არ მოუხვედრებია. ცულიცა და ხელებიც სისხლში მოეთხვარა. არ მოტყუვდა - ქისა გამოდგა. ყაითანზე ორი ჯვარი იყო: კვიპაროსისა და სპილენძისა და, ამას გარდა, პაწია მინანქრის ხატი; იქვე ეკიდა ნატის გაქონილი ქისა, რომელსაც თითბრის რგოლი და ბეჭედი ჰქონდა ზედ გაკეთებული. ქისა მაგრად იყო გამოტენილი. რასკოლნიკოვმა მაშინვე გაუსინჯავად ჯიბეში უკრა თავი, ჯვრები კი

ისევ ბებრუხანას დააყარა გულზე; წამოავლო ხელი ცულს და ისევ საწოლ ოთახში გავარდა.

საშინლად ჩქარობდა; ეცა გასაღებს და ისევ დაუწყო წვალეზა, მაგრამ ამაოდ: არც ერთი მათგანი არ ადგებოდა; ხელებიც არ უკანკალებდა საიმისოდ, მაგრამ სულ ეშლებოდა; ხედავს, მაგალითად, რომ გასაღები არ ადგება, მაგრამ მაინც უკეთებს და ცდის. უცებ მოაგონდა და მოისაზრა, რომ დიდი დაკბილული გასაღები, რომელიც სხვებთან ერთად რგოლზე ეკიდა, კამოდისა არ იყო უთუოდ (როგორც წინათაც გაიფიქრა) და რომ ცალკე სკივრისა იქნებოდა, სადაც ალბათ ყველაფერს ინახავდა. კამოდს თავი გაანება და მაშინვე საწოლქვეშ ეცა, რადგან იცოდა, ბებრებს მუდამ იქ უდგათ ხოლმე სკივრი. ასე გამოდგა მართლაც: საწოლქვეშ იდგა არშინზე მეტი სიგრძის, წითელმეშგადაკრული, თავამობერილი სკივრი, რომელსაც ზემოდან თითბრის ლურსმნები ჰქონდა მრავლად დაკრული. დაკბილული გასაღები მართლა იმისი გამოდგა; გააღო. თეთრ ზეწარქვეშ კურდღლის ბეწვის ქურქი იდო, რომელსაც ზემოდან წითელი ფარჩა ჰქონდა შემოვლებული; ქურქის ქვეშ ფარჩისავე კაბა იდო, მერე შალი, სულ ქვეშ კი თითქოს ჩვრები ეყარა მარტო. ჯერ ხელებს დაუწყო წმენდა წითელ ფარჩაზე. „წითელია და სისხლი არ შეეტყობაო“, - გაიფიქრა, მაგრამ მალე მოეგო გონს: „ღმერთო! ჭკუიდან ვიშლები, თუ რა არის?“ - გაივლო გულში შეშინებულმა.

მაგრამ გაანძრია თუ არა ჩვრები, ქურქის ქვეშოდან უცბად ოქროს საათი გამოვარდა. ყველაფერი ამოაქოთა. მართლაც, ჩვრებსა და ჩვრებს შუა სულ ოქროს ნივთები ელაგა, - უთუოდ გამოსასყიდი და გამოუსყიდველი გირაოები: სამაჯურები, ძეწკვები, საყურეები, ქინძისთავები და სხვ. ზოგი მათგანი ბუდით იყო, სხვები უბრალოდ, გაზეთის ქაღალდში ფრთხილად და ლამაზად ორმაგად გახვეული და წვრილი ზონრით გადაჭერილი. აღარ დაუხანებია და დაიწყო მაშინვე გაუსინჯავად და გაუხსნელად შეკრულების ჩალაგება შარვლისა და პალტოს ჯიბეებში. მაგრამ ბევრის წამოღება მაინც ვერ მოახერხა...

მოესმა უცბად, თითქოს ოთახში, სადაც ბებრუხანა ეგდო, ვიღაცა დადის. შედგა, მკვდარივით სული განაბა. მაგრამ ჩამიჩუმი არსად ისმოდა; ეტყობა, მოეჩვენა. უცბად აშკარად მოესმა ნელი შეყვირება, თითქოს ვიღაცამ ოდნავ, ნაწყვეტად ამოიკვნესა და გაჩუმდაო. მერე კი ისევ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ასე იყო ორი-სამი წუთი. იჯდა სკივრთან ჩაცვცქული და სულგანაბული ელოდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა, წამოხტა უცბად, წამოავლო ცულს ხელი და საწოლი ოთახიდან გამოვარდა.

ოთახის შუაგულში იდგა ხელში ბოხჩამოჩრილი ლიზავეტა და მკვდარ დას გაშტერებული, მთლად განაცრისფერებული დაჰყურებდა, თითქოს აღარა აქვს ილაჯიც დაიყვიროსო. დაინახა თუ არა გამოვარდნილი რასკოლნიკოვი, ფოთოლივით ცახცახი დააწყებინა, სახე აუთრთოლდა, დაეჭყანა; ასწია ხელი და პირიც გააღო, მაგრამ ვეღარ დაიყვირა და მძიმე-მძიმედ უკან დაიხია კუთხისაკენ, თან რასკოლნიკოვს არ აშორებდა თვალს, თუმცა ხმა მაინც ვერ ამოელო და ვერ დაეყვირა, თითქოს სუნთქვა შეეკრა, ჰაერი აღარ ჰყოფნისო. რასკოლნიკოვი მაშინვე ცულობით გაქანდა ლიზავეტასაკენ: ქალს საცოდავად დაედმიჭა ტუჩები, გეგონებოდათ, პაწია ბავშვიაო, რომ შეეშინდებოდა რაღაცისა, შეჰყურებს და დაყვირებას ვეღარ ახერხებს. ისე საბრალო იყო საცოდავი ლიზავეტა, ისე დაჩაგრული და ერთხელ და სამუდამოდ დაშინებული, რომ ხელიც კი აღარ აუწევია თავ-პირის დასაფარავად,

თუმცა ერთადერთი ბუნებრივი და აუცილებელი მოძრაობა სახეზე მოღერებული ცულის წინ იმჟამად ეს უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ოდნავ ასწია მარცხენა, თავისუფალი ხელი და რასკოლნიკოვისაკენ გაიშვირა, თითქოს იგერიებოს. ცული პირდაპირ თავში მოხვდა და ნახევრად ჩააჩეხა შუბლი. ლიზავეტამ მაშინვე რახვანი მოადინა. რასკოლნიკოვი მთლად დაიბნა, ეცა ბოხჩას, მერე ისევ გადააგდო და კარის გამოსავალში გამოვარდა.

შიში სულ უფრო და უფრო ერეოდა, განსაკუთრებით ამ მეორე, მოულოდნელი მკვლელობის შემდეგ. უნდოდა, რაც შეიძლება საჩქაროდ გაქცეულიყო, მაგრამ რომ შესძლებოდა იმჟამად რისამე სწორად გაგება ან დანახვა, რომ წარმოედგინა, რამდენად დიდ გასაჭირში იყო, ან რა სასოწარკვეთილი, საძაგელი და უაზრო იყო მისი მდგომარეობა, რომ შეეგნო აგრეთვე, რამდენი გაჭირვება და იქნებ ბოროტებაც უნდა დაეძლია კიდევ, რომ აქედან თავი დაეღწია და შინ როგორმე მშვიდობით დაბრუნებულიყო, იქნებ მაშინ ყველაფრისათვის თავი დაენებებინა და თვითონვე წასულიყო, - დანაშაული გამოეცხადებინა; შიშით კი არა, - არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე ეზიზღებოდა და ესაზარლებოდა თავისი მოქმედება. წამითწამად თანდათან ეზრდებოდა ეს გრძნობა ზიზღისა და აღარაფრის გულისათვის აღარ მიუბრუნდებოდა არამცთუ სკივრს, თვით ოთახებსაც კი.

მაგრამ დაიბნა თითქოს, ნელ-ნელა ფიქრმა წაიღო! დროდადრო თითქოს თავიც ავიწყდებოდა; ავიწყდებოდა უმთავრესი, წვრილმანებს ეკიდებოდა. მაგრამ სამზარეულოში მერხზე ნახევრად წყლით სავსე ვედრო რომ დაინახა, მოისაზრა ხელები შიგ ჩაებანა და ცულიც გაერეცხა. დასისხლიანებული ხელები ერთმანეთზე ეწებებოდა. ცულის პირი შიგ ვედროში ჩააყუდა. ფანჯარაზე გატეხილი ლამბაქით საპონი დაინახა, აიღო და პირდაპირ ვედროში ჩაიბანა ხელები. დაიბანა თუ არა ხელები, ამოიღო ცული, გაურეცხა პირი და სამიოდე წუთს თვითონ ხის ტარი ხეხა მაგრად; თან დასისხლიანებულ ადგილს საპონს უსვამდა. მერე იქვე გაბმული თოკიდან გასაშრობად გაფენილი საცვლები ჩამოიღო, ცული გაწმინდა. გაამშრალა და დიდხანს ყურადღებით სინჯავდა ფანჯრის წინ. არსად სისხლის ნიშნები აღარ ეტყობოდა; მხოლოდ ტარი იყო ჯერ კიდევ სველი, აიღო და ისევ ისე ფრთხილად ჩაიღო პალტოსქვეშ მიკერებულ მარყუჟში. ახლა პალტო, შარვალი და წაღები გაისინჯა, რამდენადაც კი ჩაბნელებული სამზარეულოს სინათლე აძლევდა ამის ნებას. პირველი შეხედვით, გარედან თითქოს არა ეტყობოდა რა; მხოლოდ წაღებზე ჰქონდა პატარა ლაქები. დაასველა რაღაც ჩვარი და წაღებიც გაიწმინდა. მაგრამ იცოდა, რომ ყველაფერს უთუოდ ვერ ხედავდა: იქნებ ისეთი რამეც იყო, რაც სხვას ადვილად ეცემოდა თვალში. მაგრამ თვითონ კი ვერ ამჩნევდა. ასე დაფიქრებული ოთახის შუაგულ შედგა. შავბნელი რამ მტანჯველი ფიქრი აღედრა, - ვითომ ჰკუდიდან იშლება და აღარც მოფიქრება, აღარც თავის დაფარვა არ შეუძლია; ვითომ სხვარიგად უნდა მოიქცეს და ის კი სულ სხვას აკეთებს... „ღმერთო ჩემო! უნდა გავიქცე, განვერიდო!“ - წაიდუდუნა უცბად და გასავალი კარისაკენ გაქანდა. მაგრამ რაც აქ შიში და ელდა ელოდა, რასაკვირველია, მაგვარი რამ ნაცადი ჯერ არა ჰქონია.

იდგა რასკოლნიკოვი და უცქეროდა, მაგრამ თვალებს არ უჯერებდა; კიბიდან შემოსავალი კარი, საიდანაც წელან დარეკა ზარი და შემოვიდა, ვეებერთელაზე იყო გამოღებული: ამდენ ხანს კარი დაუკეტელი და რაზაჩაუგდებელი ყოფილიყო! ბებრუხანას არ დაეკეტა, რომ შემოეშვა, - ალბათ სიფრთხილის გულისათვის, - მაგრამ,

ღმერთო! მერე ხომ ლიზავეტაც შემოვიდა! როგორ არ მიხვდა, საიდან შემოვიდა! კედლიდან ხომ არ შემოძვრებოდა!

ეცა მაშინვე კარს და ურდული გაუგდო.

- მაგრამ არა, არც ეს ივარგებს! უნდა წავიდე, წავიდე...

გამოიღო ურდული, გამოაღო კარი და კიბეს ყური მიუგდო.

დიდხანს უგდებდა ასე ყურს. სადღაც შორს, ქვევით, უთუოდ ეზოს კართან ვიღაცების ყვირილი და წივილი ისმოდა, ორნი ჩხუბობდნენ, კამათობდნენ. „რა დამართვიათ?..“ იცდიდა მოთმინებით. ბოლოს ხმაური ერთბაშად მიწყდა. წავიდ-წამოვიდნენ. ის იყო უნდა გამოსულიყო, რომ ქვედა სართულში უცბად კარი ხმაურით გაიღო და ვიღაცა სიძლერით დაეშვა კიბეზე. „რამ ასტეხათ, რა ახმაურებთ!“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. მიხურა ისევ კარი და მოიცადა. როგორც იყო, ბოლოს მთლად მიწყდა ხმაური, ძეხორციელი არსად ჩანდა. უკვე ჩამოდგა კიბეზე ფეხი, რომ უცბად ისევ ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა.

ფეხის ხმა ძალიან შორიდან ისმოდა, კიბის მთლად ქვემოდან, მაგრამ კარგად და ნათლად აგონდებოდა შემდეგ, რომ ამ ფეხის ხმის პირველსავე გაგონებაზე ეჭვი აიღო, რომ უთუოდ აქ, ბებრუხანასთან მოდიოდნენ მეოთხე სართულზე. რათაო, რაო? ფეხის ხმა ეჩვენა საგანგებო, თუ რა იყო ისეთი? ვიღაც მოაბიჯებდა თანაბრად, მძიმედ, აუჩქარებლივ. აგერ უკვე პირველი სართული ამოიარა; ამოვიდა კიდეც; ფეხის ხმა სულ ახლო და ახლო ისმის! მოესმა, რომ ამომავალი მძიმედ ქშენდა. აგერ, მესამე სართულზე ამოვიდა. აქეთ მოდის! უცბად ეჩვენა, ვითომ გაქვავდა, თითქოს ძილშია და ეზმანება, რომ მოსდევენ, ეწვეიან, მიუახლოვდნენ, უნდათ მოკლან, ის კი თითქოს გაშეშებულია და ხელების განძრევის თავიც აღარ აქვს.

ბოლოსდა გამოფხიზლდა, სტუმარი რომ მეოთხე სართულს შეუდგა, მოასწრო სწრაფად და მარჯვედ შევარდნა უკანვე ბებრუხანას ბინაში და კარი ფრთხილად მოიხურა. წაავლო ხელი რაზას და ჩაუგდო კოჭაკს. ალღო შველოდა. გაათავა თუ არა ყველაფერი, სულგანაბული იქვე კართან მიიყუჟა. უცნობიც კარს მიადგა ამ დროს. ისევე იდგა ახლა რასკოლნიკოვი მის პირდაპირ, როგორც წელან ბებრუხანასთან, თვითონ გარედან ყურს რომ უგდებდა და შიგნიდან ბებრუხანა არ უღებდა კარს.

სტუმარმა რამდენჯერმე მძიმედ ამოისუნთქა, სული მოიბრუნა. „მსუქანი ვინმე უნდა იყოს“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა და თან ცულს მაგრად მოუჭირა ხელი. მართლაცდა, თითქოს ეზმანებოდა ყველა ეს. სტუმარმა ზარს მოჰკიდა ხელი და მაგრად ჩამოჰკრა.

დაიჭდარუნა თუ არა ზარმა, მოეჩვენა უცებ, ვითომ ოთახში ვიღაც შეიშმუშნა. რამდენიმე წუთით ყურიც კი მიუგდო ფრთხილად. უცნობმა კიდეც ჩამოჰკრა, პატარახანს მოუცადა და მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარის სახელურს დაუწყო მოუთმინლად ჯაჯგური. შიშით შეპყრობილი შეჰყურებდა რასკოლნიკოვი კოჭაკში მხტუნავ რაზას და გაშეშებული უცდიდა, აი, საცაა ამოხტებაო. მართლაცდა, თითქოს ეს შესაძლებელიც იყო, ისე მძლავრად ეწეოდა გარედან უცნობი. გაიფიქრა ერთხანად რაზა ხელით დაეჭირა, მაგრამ ვერ გახედა, მიხვდებოა. თითქოს ისევ თავბრუ დაეხვა. „აი, საცაა დავეცემი!“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, მაგრამ სწორედ ამ დროს უცნობმა ხმა ამოიღო და რასკოლნიკოვიც გონს მოვიდა.

- დასძინებიათ თუ დაახრჩო ვინმემ? წყეულ-შეჩვენებულები! - შეჰბღავლა ბუყბუყით უცნობმა. - ეი, ალიონა ივანოვნა, ბებერო კუდიანო! ლიზავეტა ივანოვნა, ენით აუწერელო მშვენებავ! კარი გამიღეთ! უჰ, სძინავთ დაწყევლილებს, თუ რა არის? - გააფთრებულმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერთი ათიოდჯერ ზედიზედ ჩამოჰკრა ზარს. ეტყობა, დაახლოებული კაცი უნდა ყოფილიყო და ამ სახლში თამამად გრძნობდა თავს. ამ დროს სწორედ იქვე, კიბეზე აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. კიდეც ვიღაცა ამოდიოდა. პირველად ვერც კი გაიგონა რასკოლნიკოვმა.

- ნუთუ შინ არავინ არის? - დაეკითხა მხიარულად და მაღალი ხმით ახალმოსული კართან მდგომს, რომელსაც ზარისათვის ხელი არ გაემშვა და ისევ აწკარუნებდა. - გამარჯობათ, კობ!

„ხმაზე ეტყობა, ძალიან ახალგაზრდა უნდა იყოს“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- ეშმაკმა იცის ამათი თავი, ლამის არის ზარი დავამტვრიო, - მიუგო კობმა. - მაგრამ საიდან მიცნობთ?

- ერთი უყურეთ! არ გახსოვთ განა, ამ სამი დღის წინათ გამბრინუსში სამი ხელი ზედიზედ მოგიგეთ ბილიარდში!

- ა-ა-ა...

- შინ არ არიან, მაშ? საკვირველია! სისულელე კია სწორედ. სად უნდა წასულიყო ნეტა? საქმე მაქვს ბებრუხანასთან.

- მეც საქმე მაქვს!

- რა ვუყოთ, მაშ? უკან დავბრუნდეთ? ეეჰ! მე კი მეგონა, ფულს ვიშოვი-მეთქი! - შეჰყვირა ახალგაზრდამ.

- მეტი რა გზა გვაქვს, მაგრამ დროს რაღად მინიშნავდა? თვითონვე მითხრა იმ კუდიანმა, ამა და ამ საათზე მოდიო. ცოტა გზა კი არა მაქვს გასავლელი. ან სად უნდა წათრეულიყო ნეტა, არ მესმის სწორედ? წლითი წლობამდე შინიდან გარეთ არ გამოდის კუდიანი, ობი ეკიდება, ფეხები სტკივა. დღეს კი, უყურეთ ერთი, სეირნობა არ მოუნდომია!

- მოდით, მეეზოვესა ვკითხოთ, ჰა?

- რა უნდა ვკითხოთ?

- სად წავიდა ან როდის მოვა?

- ჰმ!.. ფუ, ეშმაკს!.. ვიკითხოთ... ის ხომ არსად დადის... - და ერთხელ კიდეც მოსწია კარს, - რა ეშმაკი ვუყოთ, მეტი გზა არ არის, წავიდეთ!

- მოიცათ! - შეჰყვირა უცბად ახალგაზრდამ, - უტყირეთ, აბა: ხედავთ, კარი იწევა, როცა უჯაჯგურებთ.

- მერე რა არის?!

- რა არის და, ის არის, რომ რაზით არის შიგნიდან დაკეტილი და არა გასაღებით! გესმით, რაზა როგორ ჩხაკუნობს?

- მერე რაო?

- როგორ ვერ მიმხვდარხართ? შინ უნდა იყოს ვინმე. ყველანი რომ წასულიყვნენ, მაშინ ხომ გასაღებით დაკეტავდნენ და არა რაზით შიგნიდან. აქ კი, გესმით, რაზა როგორ ჩხაკუნობს? შიგნიდან კარის გადაკეტვა კი, ვინც შინ არის, იმას შეუძლია, გესმით? ჩანს, შინ არიან, მაგრამ კარს არ გვიღებენ!

- ეჰე, მართლა! - შეჰყვირა გაკვირვებულმა კობხმა. მაშ რაღა დაემართათ! - და დაუწყო კარს ძალზე ბრახუნნი და წევა.

- მოიცათ! - შეჰყვირა ისევ ახალგაზრდამ, - ნუ ეწევით! აქ უთუოდ სხვა რამ საქმეა... ხომ რეკავდით, კარს აწვებოდით - არ გიღებენ; ეტყობა, ან ორთავეს გული შეჰკლონებიათ, ან არადა...

- ანდა რაო?

- იცით, რა გითხათ! წავიდეთ, მეეზოვეს შევატყობინოთ; დეე, იმან გააღვიძოს.

- ეგრე იყოს!

ორივემ ქვევით გასწია.

- არა, მოიცათ! თქვენ აქ დარჩით; მეეზოვესთან მე ჩავიბრუნებ.

- რად დავრჩე, რაო?

- ვინ იცის, რა ამბავია!..

- მართალს ამბობთ...

- მე, იცით, სასამართლოს გამომძიებლად ვემზადები! ეჭვი არ არის, ეჭვი არ არის, რაღაცაა აქ დაფარული! - წამოიძახა ცხარედ ახალგაზრდამ და კიბეზე ჩაირბინა.

კობი მარტო დარჩა, ერთხელ კიდევ შეაქანა ზარი, - ზარმა ოდნავ დაიწკარუნა; მერე შეფიქრიანებულმა ნელა დაუწყო კარს სინჯვა. აქანებდა აქეთ-იქით კარის სახელურს, ხან თავისკენ მოსწევდა, ხან მიუშვებდა, უნდოდა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, მარტო გადარაზული იყო თუ არა. დაიღუნა მერე ქშენით და გასაღების ჭუჭრუტანაში გაიხედა, მაგრამ შიგნიდან გასაღები ჰქონდა გაკეთებული და, რა თქმა უნდა, ვერა დაინახა რა.

რასკოლნიკოვიც იდგა და ცულის ტარს მაგრად ბლუჯავდა. ბურანში იყო თითქოს. მზად იყო უკვე, როგორც კი შემოვიდოდნენ, შებრძოლებოდა. რომ უბრაგუნებდნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, რამდენჯერმე კინალამ გადაწყვიტა, დაეყვირა შიგნიდან და ყოველივე უცბად გაეთავებინა. უნდოდა ზოგჯერ ლანძღვა-გინება დაეწყო, გამოეჯავრებინა, ვიდრე კარს გამოაღებდნენ! „მალე მაინც გათავდეს“, - გაუელვა თავში.

- რა იქნა აქამდის ის წყეული...

დრო გადიოდა, წამი წამს მისდევდა, მაგრამ არავინ ჩანდა. კოხმა როგორღაც მოუსვენრად დაიწყო წრიალი.

- რა ღმერთი უწყრება!.. - მოუთმენლად შეჰყვირა უცბად კოხმა. სადარაჯოს თავი მიანება და ჩექმების ბრაგუნით საჩქაროდ ქვევით დაეშვა. ფეხის ხმა მიწყდა.

- ღმერთო, რა ვქნა!

ახსნა რასკოლნიკოვმა რაზა, გამოალო კარი, - არა ისმოდა რა, - და უცბად, აღარ უფიქრია, გამოვიდა, რაც შეიძლება მაგრად გამოიხურა კარი და ძირს დაეშვა.

სამი კიბე უკვე ჩამოიარა, რომ უცბად ქვემოდან საშინელი ხმაური მოესმა. - საით ეცეს! არსად დასამალი ადგილი არ ჩანდა. ერთი პირობა ისევ უკან გაქანდა.

- შენ ეი, ქაჯო, ეშმაკო! დაიჭი! დაიჭი!

გამოვარდა ვიღაც ქვემოთა სართულის რომელიღაც ბინიდან და გაიქცა, - გაიქცა კი არა, უცბად ჩაასკდა ძირს, კიბეზე, და თან ღრიალებდა, რაც კი შეემლო: - მიტკა! მიტკა! მიტკა! მიტკა, ეშმაკმა წავიღოს!

ყვირილი კივილით დასრულდა, უკანასკნელად ხმა უკვე ეზოში გაისმა. ყოველივე მიწყნარდა. მაგრამ სწორედ ამ დროს რამდენიმე კაცი ხმამალალი ლაპარაკითა და ხმაურით კიბეს შემოუდგნენ. სამნი თუ ოთხნი უნდა ყოფილიყვნენ. ახალგაზრდის წვრილა ხმაც მოესმა. „ისინი არიან“.

სასოწარკვეთილი დაეშვა პირდაპირ შესახვედრად: რაც იქნება, იქნება! შემაყენებენ, დავილუპები, არადა, მაინც დავილუპები: დამიხსომებენ. ის იყო უნდა შეჰყროდნენ ერთმანეთს, სულ რაღაც ერთი კიბელა ჰქონდათ ამოსავლელი, რომ უცბად ეშველა! რამდენიმე საფეხურს ქვემოთ, მარჯვნივ, კარლია ცარიელი ბინა იყო, - სწორედ ის ბინა მეორე სართულისა, რომელსაც წელან ღებავდნენ მუშები და ახლა კი, თითქოს განგებო, წასულიყვნენ!.. ესენი იქნებოდნენ უთუოდ, ასეთი ყვირილით რომ გაცვივდნენ. იატაკები კი ეს არის შეუღებიათ, ოთახის შუაგულ პაწია კასრი, საღებავი და წასასმელი ფუნჯი აწყვია. თვალის დახამხამებაზე შევარდა ღია კარში, აეკრა კედელს, გაინაბა, ძლივს კი მოასწრო: ისინი უკვე მეორე სართულის მოსაბრუნში ამოსულიყვნენ. მერე ზემოთ აუხვიეს და ხმამალლა ლაპარაკით მეოთხე სართულისაკენ შეუდგნენ კიბეს. პატარახანს კიდევ მოიცადა, თითის წვერებზე გამოვიდა და ქვევით დაეშვა.

კიბეზე არავინ შეხვედრია! არც ალაყაფის კარში. გაიარა საჩქაროდ ალაყაფის კარი და მარცხნივ გაუხვია.

იცოდა კარგად, მშვენივრად იცოდა, რომ ახლა უკვე ბებრუხანას ბინაში იქნებოდნენ; რომ უთუოდ გააკვირვებდათ კარის ღიად დახვედრა, მაშინ როდესაც ეს-ეს იყო დაკეტილი დატოვეს; რომ სინჯავენ მოკლულთა გვამებს და ერთი წუთის შემდეგ უკვე მიხვდებიან და მოისაზრებენ, რომ მკვლელი უთუოდ აქ იყო ეს წუთია და მხოლოდ დაემალათ სადმე, თავი გააღწია, გაექცათ; მიხვდებიან იმასაც ალბათ, რომ ცარიელ ბინას სწორედ იმ დროს შეაფარა თავი, როცა ესენი კიბეზე ადიოდნენ. მაგრამ ნაბიჯის მომატებასა და აჩქარებას ვერა ბედავდა, თუმცა მახლობელი ქუჩის შესახვევამდე სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯი ჰქონდა გასავლელი. „სადმე ეზოს

შესასვლელში ხომ არ შევვარდე და უცნობ ქუჩაში მოვიცადო პატარა ხანს? არა, საშიშია! ცული სადმე გადავაგდო? ეტლი დავიჭირო? არა, არა! საშიშია!“

მიადგა ბოლოს ქუჩის შესახვევსაც; შეუხვია კიდეც, მაგრამ ნახევრად მკვდარი იყო. იცოდა, რომ თითქმის გადარჩა საფრთხეს: ეჭვს ისე ადვილად ველარ მიიტანდნენ, ხალხიც ბევრი ირეოდა და ის ფეტვის მარცვალავით იკარგებოდა შიგ. მაგრამ ისე დააუძლურა ყველა ამ სატანჯველმა, რომ ძლივს და იძვროდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა; კისერი მთლად დასველებოდა. „როგორ გაღეშილა!“ - მიაძახა ვიღაცამ, არხზე რომ გავიდა.

ხეირიანად აღარა ახსოვდა რა თავისი თავისა. რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენი უარესად გრძნობდა თავს. ახსოვდა მარტო, რომ, გავიდა თუ არა არხზე, შეშინდა ერთბაშად, აქ ხალხი ცოტა მიდი-მოდის და ადვილადაც შეშინდნავენო, და უნდოდა უკანვე გაბრუნება შესახვევში. მიუხედავად იმისა, რომ ფეხებს ძლივს და მიათრევდა, შორი გზა მოუარა მაინც და შინ სულ სხვა მხრიდან დაბრუნდა.

თავისი სახლის ალაყაფის კარიც გაბრუნებულმა გაიარა და კიბეზე შედგა უკვე ფეხი, რომ აქლა მოაგონდა ცული. საქმე კი მეტად საძნელო იყო: უნდა უკანვე დაედო ცული, მაგრამ ისე, არავის შეენიშნა. რასაკვირველია, იმისი მოსაზრების თავი კი აღარ ჰქონდა, რომ ბევრად უმჯობესი იყო, სულაც აღარ დაედო თავის ადგილას და სადმე, თუნდაც მერე, სხვის ეზოში შეეგდო.

მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მეეზოვის ოთახის კარი გამოხურული იყო, თუმცა გადაკეტილი კი არა; ჩანს, შინ უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმდენად აღარ ესმოდა რა, რომ მივიდა პირდაპირ და კარი გამოაღო. მეეზოვეს რომ ეკითხა: „რა გინდაო“, ვინ იცის, იქნებ პირდაპირ ცულიც მიეწოდებინა, მაგრამ მეეზოვე შინ არ დაუხვდა. მიიტანა ცული, დადო ტახტქვეშ თავის ადგილას და, როგორც უწინ, შეშის ნაჭერიც კი მიაფარა. ისე ავიდა მერე თავის ოთახში, რომ ჭაჭანებად არავინ შემოხვდომია; დიასახლისის კარი დაკეტილი დახვდა. შევიდა თუ არა ოთახში, როგორც იყო, ისე მიეგდო დივანზე. არ ეძინა, მაგრამ გაბრუნებული იყო. იმჟამად რომ ვინმე შესულიყო მის ოთახში, წამოხტებოდა უთუოდ და მაშინვე დაიყვირებდა. რაღაც ნაწყვეტი ფიქრები უფუთფუთებდა თავში; მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გაერკვია, ვერც ერთ მათგანზე ვერ შეჩერებულიყო, თუმცა ცდით კი ძალიან ცდილობდა...

ნაწილი მეორე

I

ასე იწვა დიდხანს. დროდადრო თითქოს ეღვიძებოდა კიდეც და ატყობდა მაშინ, რომ დიდი ხნის დაღამებული იყო, მაგრამ ადგომა ფიქრადაც არ მოსდიოდა. შენიშნა ბოლოს, რომ დღესავით განათდა. დივანზე გულაღმა იწვა და ჯერ კიდეც ვერ გამორკვეულიყო, ბურანში იყო. ქუჩიდან რაღაც საშინელი ბლავილი მკვეთრად აღწევდა მის ყურს; უიმისოდაც მუდამდამ სამ საათზე ასეთი ამბები იყო ხოლმე მისი ფანჯრის ქვეშ. აი, სწორედ ამან გამოაღვიძა ახლა: „აჰა! სასმელების დუქნებიდან გამოდიან ლოთები, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - ჩანს, მესამე საათია, - და უცბად

წამოხტა, თითქოს ვიღაცამ წამოაგდო. - როგორ! მესამე საათია!“ დაჯდა ისევ დივანზე და მაშინლა მოაგონდა ყველაფერი! თვალის დახამხამებაზე ყველაფერი უცბად გაახსენდა.

ეგონა პირველ ხანად, ეგ არის ჭკუიდან შევიშლებიო. საშინელმა სიცივემ აიტანა; მაგრამ ცოტა ციების ბრალიც იყო: ძილში გააცია. ახლა კი უცბად ისე ააკანკალა, კბილს კბილზე აცემინებდა. მთლად ცახცახი გაჰქონდა. გამოალო კარი და ყური მიუგდო: სახლში ყველას ეძინა. განცვიფრებული იცქირებოდა ირგვლივ ოთახში და ვერა გაეგო რა; როგორა ჰქნა ასე, რომ გუმინ საღამოთი შემოსვლისას კარი არ გადარაზა და არათუ გაუხდელად, ქუდიანად მიეგდო. ქუდი იქვე ჩამოგორებულიყო ძირს და ბალიშის შორიახლო ეგდო იატაკზე. „რას იფიქრებდა, რომ შემოსულიყო ვინმე, ხომ მთვრალი ვეგონებოდი, თუმცა...“ ფანჯარას ეცა. საკმაოდ განათებულიყო. მაშინვე თავით ფეხამდე ტანისამოსს დაუწყო თვალიერება: ნიშნები ხომ არა მაქვს რაო? მაგრამ ასე არ იქნებოდა: ციებისაგან აცახცახებულმა გაიძრო მთლად ტანთ და დაუწყო სინჯვა. სამჯერ-ოთხჯერ გადააბრუნ-გადმოაბრუნა ყველაფერი და უკანასკნელ ძაფამდე და ნაკერამდე გადასინჯა. მაგრამ არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა თითქოს; მხოლოდ შარვლის ტოტის ჩამოდენილ ნაპირს, ფოჩივით რომ ეკიდა, სქლად შეხმობოდა სისხლი. აილო მაშინვე დიდი საკეცი დანა და ტოტს სისხლიანი ნაპირი შემოაჭრა. მეტი თითქოს არა ეტყობოდა რა. მოაგონდა უცბად, რომ ქისა და ნივთები, რომლებიც ბებრუხანას ყუთიდან ამოალაგა, აქამდე ისევ ჯიბეში ეწყო. არ მოჰგონებია, ამოელო და შეენახა! არ მოჰგონებია ახლაც კი, ტანისამოსს რომ ისინჯავდა! რასა ჰგავს ეს? უმაღვე ჯიბეებს ეცა და დაუწყო მაგიდაზე ამოლაგება. ამოალაგა ყველაფერი, გადმოაბრუნა ჯიბეები, უნდოდა გაეგო, კიდევ ხომ არა დამრჩენია რაო, და ყველაფერი ეს კუთხეში მიაგროვა. იმ კუთხეში, ძირს, ერთ ადგილას კედელს შპალერი ჰქონდა ამძვრალი. აილო მაშინვე და ყველაფერს ამ ნახვრეტში, ქაღალდქვეშ, დაუწყო ჩალაგება: „ჩაეტია! ყველაფერი მიეფარა, ქისაც კი!“ - ფიქრობდა გახარებული; წამოდგა, გახედა კუთხეს და კიდევ მეტად გამობერილ ნახვრეტს დაუწყო უაზროდ ყურება. უცბად შეხტა მთლად შეძრწუნებული: „ღმერთო ჩემო, - ჩურჩულებდა სასოწარკვეთილი, - რა მემართება? განა ეს დამალვია? განა ასე მალავს ვინმე?“

მართალია, ნივთების წამოღება ფიქრად არა ჰქონია, ეგონა, მარტო ფული იქნებოდა; ამიტომაც ადგილი არ მოუძებნა წინათვე. „მაგრამ ახლა, ახლა რა მიხარია? - ფიქრობდა რასკოლნიკოვი. - ასე მალავენ განა? მართლაცდა, გონიერებას ვკარგავ!“ ჩამოჯდა დაუძლურებული დივანზე და მაშინვე ისევ საშინელმა კანკალმა აიტანა. მიითრია გვერდით, სკამზე დადებული, სტუდენტობისდროინდელი, უკვე თითქმის ძონძებად ქცეული საზამთრო თბილი პალტო, მიიხურა და ისევ მილულა თვალი. ძილი უცებ მოერია.

მაგრამ არ გასულა ხუთი წუთი, წამოხტა ისევ ელდანაკრავივით და ტანისამოსს ეცა. „არა, როგორ დავიძინე, როცა ჯერ სრულებით არა გამიკეთებია რა! ასეა, სწორედ ასეა: ილღის ქვეშ მიკერებული მარყუჟიც აქამდე არ ამირღვევია! ასეთი მნიშვნელოვანი საქმე დამვიწყებია! დამვიწყებია ასეთი მამხილებელი საბუთი!“ გამოგლიჯა მარყუჟი, წვრილ-წვრილად დაწყვიტა და ბალიშქვეშ, საცვლებში შესტენა. „დახეული ტილოს ნაგლეჯები, ყოველ შემთხვევაში, ეჭვს არავის ააღებინებს; ასეა, ვგონებ, ასე!“ - იმეორებდა ოთახის შუაში მდგომი და გაფაცვიცებით, ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას, იატაკზე ან სხვაგან სადმე ხომ არა დამრჩა რა შესანახიო? რწმუნდებოდა,

რომ აღარა ახსოვდა რა, ვედარა მოესაზრებინა და საშინლად იტანჯებოდა. „რას ნიშნავს ეს, ნუთუ უკვე ვისჯები? კი, კი, ასეა სწორედ!“ მართლაცდა, სისხლიანი ძონძები, რომლებიც შარვლის ტოტებს ჩამოაჭრა, ოთახის შუაგულ იატაკზე ეყარა, რომ მაშინვე სცემოდა ვისმე თვალში! „რა მომდის ეს?“ - შეჰყვირა კვლავ გონებადაკარგულივით.

უცბად უცნაური რამ გაიფიქრა: იქნებ მთლად ტანისამოსიც დასისხლიანებული და დალაქავებული აქვს, მაგრამ ვერ ხედავს, ვერ შეუნიშნავს, იმიტომ რომ მოსაზრებამ უსუსტა, გონება დაუბნელდა. უცბად მოაგონდა, რომ ქისასაც ჰქონდა სისხლი მოცხებული. „ეჰ! ეტყობა, მაშ, ჯიბეშიაც უნდა მქონდეს სისხლის ნიშნები, იმიტომ რომ სველ-სველი ქისა პირდაპირ ჯიბეში ჩავიდე!“ გადმოაბრუნა იმავ წამს ჯიბე და, მართლაც, ჯიბის სარჩულს სისხლის ლაქები აჩნდა! „მაშ, გონიერება ჯერ კიდევ მთლად არ დამიკარგავს, მეხსიერება და მოსაზრება ჯერ კიდევ შემრჩენია, თუ თვითონვე გამახსენდა და მივხვდი! - გაიფიქრა ატაცებულმა და ღრმად, მხიარულად ამოისუნთქა სრული გულით. - ეს მხოლოდ ციების სისუსტე და წამიერი ბოდვა იყო“, - და შარვლის მარცხენა ჯიბეს სარჩული მთლად გამოაგლიჯა. სწორედ იმ დროს მზის სხივმა მარცხენა წაღაზე მიაშუქა: გამოგლეჯილი წალის წვერიდან გამოყოფილ წინდას თითქოს ნიშნები აჩნდა! მაშინვე გაიძრო წალა: „მართლაც ნიშნები ატყვია! მთელი წინდის წვერი სისხლით არის გაჟღენთილი“. ეტყობა, მაშინ გაუფრთხილებლობით სისხლის გუბეში ჩაუდგამს ფეხი... „მაგრამ რა ვუყო ახლა? ეს წინდა, შარვლის ნაგლეჯის ძონძი და ჯიბე სად წავილო?“

მოიგროვა ყველა ეს ხელში და იდგა ოთახის შუაში. „ღუმელში შევყარო? მაგრამ პირველად იქ დაუწყებენ ძებნას. დავწვა? მაგრამ რითი? ასანთიც არა მაქვს. არა, სჯობს ისევ წავილო და გადავყარო სადმე. დიახ! სჯობს გადავყარო, - იმეორებდა და ისევ დივანზე იკალათებდა, - ახლავ, ამავე წამს გადავყარო, დაუყოვნებლივ!..“ მაგრამ უნებურად თავი ისევ ბალიშზე მისდო; ისევ საშინელმა კანკალმა აიტანა; თბილი პალტო მიითრია და ისევ მიიხურა. დიდხანს, მთელი რამდენიმე საათი, სულ იმის ფიქრსა და ბოდვაში იყო, რომ „ახლავ, დაუყოვნებლივ სადმე უნდა წაეღო ყველაფერი და გადაეყარა, რომ საჩქაროდ თვალიდან მიეფარებინა!“ რამდენჯერმე კიდევაც წამოიწია, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ვედარ შეძლო. ბოლოს კარის ძლიერმა რახუნმა გამოაღვიძა.

- გააღე, გესმის, მკვდარი ხარ, თუ ცოცხალი? სულ როგორ გძინავს! - ყვიროდა ნასტასია და თან კარს მუშტსა სცემდა. - მთელი დღე ასე ძალღივითა სძინავს! ძალღია, აბა რა არის. არ გესმის, გააღე! თერთმეტი საათია.

- იქნებ შინ არ არის, - გაისმა ვიღაცა კაცის ხმა.

„ეჰ! ეს ხომ მეუზოვის ხმაა. რა უნდა ნეტა?..“

წამოხტა და დივანზე დაჯდა. გული ისე უცემდა, ტკივილიც კი იგრძნო.

- მაშ, რაზით ვიღამ ჩაკეტა? - მიუგო ნასტასიამ. - არა, კარის დაკეტვაც რომ დაუწყია! მე ვიცი, არ მოგიტაცონ კია! გააღე, შენ ეი, ჭკუის კოლოფო, გაიღვიძე!

„რა უნდა ნეტა? მეუზოვეს რაღა უნდა? ყველაფერი გაუგიათ, ვეწინააღმდეგო, თუ გავულო? მოხდეს, რაც მოსახდენია...“

წამოდგა, წაიხარა წინ და რაზა ამოიღო.

იქამდის პატარა იყო მთელი ოთახი, რომ შეეძლო ლოგინიდან ფეხის მოუცვლელად გამოეღო კარი.

ასე იყო სწორედ: კარში მეეზოვე და ნასტასია იდგნენ.

როგორღაც უცნაურად გადახედა ნასტასიამ. თვითონაც გულმოსულად და სასოწარკვეთილად შეხედა მეეზოვეს. მეეზოვემ ორად მოკეცილი, ბეჭედაკრული რაღაც ქაღალდი გადასცა ჩუმად.

- უწყება კანტორიდან, - დასძინა თან.

- რომელი კანტორიდან?

- პოლიციიდან, პოლიციის კანტორიდან, სხვა რომელი კანტორა იქნება.

- პოლიციიდან?... რა გვინდაო?

- რა ვიცი, რა უნდათ. გიბარებენ და უნდა წახვიდე.

მეეზოვემ ყურადღებით გადახედა, მიიხედა-მოიხედა ირგვლივ და წასასვლელად გაბრუნდა.

- ეტყობა, ავადაა! - შენიშნა ნასტასიამ და თან თვალს არ აშორებდა. მეეზოვემაც ერთ წამს პირი იბრუნა, გამოხედა. - გუშინდლიდან სიცხე აქვს, - დასძინა ისევ ნასტასიამ.

რასკოლნიკოვი პასუხს არ აძლევდა და გაუხსნელი ქაღალდი ისევ ისე ხელში ეჭირა.

- ნუ ადგები, - უთხრა გულმტკივნეულად ნასტასიამ, რომ ნახა, დივნიდან აპირებდა გადმოსვლას, - ავადა ხარ. იწევი, ქვეყანა კი არ დაიღუპება. ხელში რაღა გიჭირავს?

რასკოლნიკოვმა დაიხედა: მარჯვენა ხელში შარვლის ჩამონაჭერი ძონძები, წინდა და ჯიბის ამონახევი სარჩული ეჭირა. თურმე ასე სძინებია. მერე, როცა ამაზე ფიქრობდა, აგონდებოდა, რომ ძილ-ღვიძილშიაც, სიცხიანი მაგრად ბლუჯავდა იმათ და ისევ ასე იძინებდა.

- დახედეთ ერთი, რა ძონძები მოუგროვებია და ისე სძინავს, გეგონებათ, დიდი რამ განძი უჭირავსო...

ნასტასიამ თავისებურად, გულიანად გადაიკისკისა, ჩაბჟირდა.

იმავე წამს ყველაფერი პალტოს ქვეშ დამალა რასკოლნიკოვმა და ნასტასიას თვალებში ჩააშტერდა. მართალია, ღრმა მოსაზრებისა და ფიქრის თავი სულ აღარ ჰქონდა მაშინ, მაგრამ გრძნობდა, რომ დასაჭერ კაცს ასე არ მოეპყრობოდნენ უთუოდ. „ოღონდ ეს პოლიცია რაღაა?..“

- ჩაის დალევდი? არ გინდა? მოგიტან, დამრჩა...

- არა... წავალ; ახლავე წავალ, - წაიდუდუნა და წამოდგა.

- წახვალ კი არა, იქნებ კიბეზეც ვერ ჩააწიო.

- წავალ...

- როგორც გერჩიოს.

ნასტასია მეუზოვეს გაჰყვა ფეხდაფეხ. მაშინვე წინდას და ძონძებს ეცა რასკოლნიკოვი, დაუწყო სინათლეზე სინჯვა. „ლაქები აქვს, მაგრამ აღარ ეტყობა; ყველაფერი გაჭუჭყიანებულია, წაშლილა, ამომქრალა. თუ წინათვე არა იცის რა, ვერას გაარჩევს ადამიანი. მაშასადამე, ნასტასია შორიდან ვერას შენიშნავდა. მადლობა ღმერთს!“ ახლა კი გულის ფანცქალით გახსნა უწყება და დაუწყო კითხვა; დიდხანს იკითხა და ბოლოს, როგორც იყო, მიუხვდა აზრს. ეს იყო უბრალო უწყება, რომ დღეს დილის ათის ნახევარზე პოლიციის ნაწილში გამოცხადებულიყო, უბნის ზედამხედველის კანტორაში.

„რა უნდა იყოს? არავითარი საქმე პოლიციასთან არა მაქვს! მერე ისიც რაღა დღეს? - ფიქრობდა და იტანჯებოდა რასკოლნიკოვი, რომ მიზეზისათვის ვერ მიეგნო. - ღმერთო, ჩქარა მაინც იყოს!“ დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო, მაგრამ თვითონვე გაეცინა, - ლოცვაზე კი არა, თავის თავზე, და დაიწყო საჩქაროდ ტანთ ჩაცმა. „დავიღუპები და დავიღუპო, სულ ერთია! წინდა უნდა ჩავიცვა! - გაიფიქრა უცბად. - კიდევ უფრო გადიღესება მტვრით და აღარა შეეტყობა რა“, მაგრამ ჩაიცვა თუ არა, მაშინვე გაიძრო ზიზღითა და შიშით. გაიხადა, მაგრამ მოისაზრა, რომ მეტი აღარა ჰქონდა, და ჩაიცვა, - ისევ გაეცინა. „ყველა ეს პირობითია და შედარებითი, ყველა ეს მხოლოდ ფორმაა და სხვა არაფერი, - გაუელვა უცებ თავში და მთელი ტანით ააძაგძაგა. - ხომ ჩავიცვი! მაინც ჩავიცვი!“ მაგრამ იმავ წამს სიცილი სასოწარკვეთილებად შეეცვალა. „არა, არა, არ შემიძლია...“ - გაიფიქრა. ფეხები უკანკალებდა. „შიშისაგან მომდის“, - წაიდუღუნა თავისთვის. თავბრუ ეხვეოდა, საშინლად სტკიოდა და უხურდა თავი. „ემშაკობენ! უნდათ როგორმე ეშმაკურად მიმიტყუონ და უცბად გამომტეხონ, - ფიქრობდა თავისთვის, კიბეზე რომ ჩამოდიოდა. - ცუდია ის, რომ თითქმის ვბოდავ... შეიძლება სისულელე რამ დამაროშვინონ“...

მაგრამ კიბეზე მოაგონდა, რომ ნივთებს გამოხეულ შპალერქვეშ სტოვებდა: „მერე რომ უცბად განგებ გაჩხრიკონ უჩემოდ“, - გაიფიქრა და შედგა. მაგრამ ისეთმა სასოწარკვეთილებამ და ისეთმა, თუ შეიძლება ითქვას, დაღუპვის ცინიკურმა სურვილმა შეიპყრო, რომ ხელი ჩაიქნია და გასწია.

„მალე კი იყოს და სულ ერთია!...“

ქუჩაში ისევ საშინლად ცხელოდა; ამ ბოლო დღეებში ცვარი არ გავარდნია ცას. ისევ აგურისა და კირის მტვერი იდგა ირგვლივ. სავაჭრო და სასმელების დუქნებიდან ყროლის სუნი გამოდიოდა; წამდაუწყუმ ისევ მთვრალეები, ჩუხონელი დამტარებლები და კოფოზე გადადღლაძული მეეტლეები ხვდებოდნენ. მზემ კაშკაშით მიანათა თვალეებში, ისე რომ ატკინა კიდევ, თავბრუ დაჰხვია, -სწორედ ისე, როგორც საზოგადოდ ნაციები ადამიანი გრძნობს ხოლმე თავს, მზიან დღეში რომ გარეთ გამოვა.

გუშინდელი ქუჩის შესახვევამდე რომ მიაღწია, როგორღაც მწარედ შეშფოთებულმა გახედა ქუჩასაც და იმ სახლსაც... მაგრამ მაშინვე თვალი მოარიდა.

„რომ მკითხონ, იქნებ ვუთხრა კიდევ“, - გაიფიქრა, კანტორას რომ მიუახლოვდა.

კანტორა სულ მეოთხედი ვერსის მანძილზე იყო რასკოლნიკოვის საცხოვრებელი ბინიდან. ახლახან გადმოიტანეს ახალი სახლის მეოთხე სართულში. ძველ ადგილას რომ იყო, ახსოვს, იქ ერთხელ თითქოს კიდეცაა ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ ძალიან დიდი ხანია. შევიდა თუ არა ეზოში, მარჯვნივ კიბე შენიშნა, რომლიდანაც ილღიაში დავთარამოჩრილი გლეხი ჩამოდიოდა: „მეუზოვეა უთუოდ; ეტყობა, კანტორაც აქვე იქნება“, - გაიფიქრა და ალაბედზე პირდაპირ კიბეს შეუდგა. არ უნდოდა კითხვა და მიება დაეწყო.

„შევალ, დავიჩოქებ და ყველაფერს ვუამბობ“...- გაიფიქრა, მეოთხე სართულს რომ შეუდგა.

კიბე იყო ვიწრო, დაქანებული და მთლად ნარეცხი წყლით მოწუწული. ოთხივე სართულის ყველა ბინის სამზარეულოები ამ კიბეზე გამოდიოდა და კარი თითქმის მთელი დღე ყველას ღია ჰქონდა. ამიტომ აქ საშინელი დახშული ჰაერი და სუნი იდგა. ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ილღიაში დავთარამოჩრილი მეუზოვეები და ორთავე სქესის სხვადასხვა ჯურის ხალხი - მომჩივრები. თვითონ კანტორის კარიც ყურთამდე ღია ეგდო. შევიდა და შესასვლელ დერეფანში შედგა. აქ ვიღაც გლეხები იდგნენ და იცდიდნენ. აქაც ისევე იყო ჰაერი შეხუთული. მერალ ზეთში გარეული ახალი საღებავის სუნი ახლად შეღებილი ოთახებისა გულს ურევდა ადამიანს. პატარა ხანს შეიცადა, მაგრამ არჩია, ისევ მეორე ოთახში გასულიყო. ყველა ოთახი დაბალი და პატარა იყო. საშინელი მოუთმენლობა სულ შიგნითა და შიგნით იზიდავდა რასკოლნიკოს. არავის იგი არ შეუნიშნავს, ისე გაიარა. მეორე ოთახში ცოტა იმაზე უკეთ ჩაცმული ვიღაც მწერლები ისხდნენ და წერდნენ. შესახედავად ყველანი როგორღაც უცნაურები იყვნენ. რასკოლნიკოვმა ერთ მათგანს მიმართა.

- რაო, რა გინდა?

რასკოლნიკოვმა კანტორიდან მიღებული უწყება უჩვენა.

- სტუდენტი ხართ? - შეეკითხა მწერალი, უწყებას რომ დახედა.

- დიახ, ნასტუდენტარი გახლავართ.

მწერალმა თვალი აავლ-ჩაავლო, მაგრამ არავითარი ცნობისმოყვარეობა მის სახეს არ დასტყობია. იგი თმააბურძგნილი, უმოძრაო გამომეტყველების კაცი იყო.

„ამისგან ვერას გავიგებ, ამისთვის სულ ერთია ყველაფერი“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- აი, იქ მიდით, საქმისმწარმოებელთან, - უთხრა მწერალმა და პირდაპირ, უკანასკნელ ოთახზე მიუთითა.

რასკოლნიკოვიც ამ (რიცხვით მეოთხე) ვიწრო და ხალხით გამოტენილ ოთახში შევიდა, სადაც წინა ოთახებთან შედარებით უფრო სუფთად ჩაცმული ხალხი იყო. მათ შორის ორი მანდილოსანიც ერია. ერთი მათგანი, ღარიბულად შავებში ჩაცმული, საქმისმწარმოებლის პირდაპირ იჯდა, რაღაცას წერდა მისი კარნახით. მეორე კი, ჩასუქებული, წითლად გაღვივებული, სახედაფორაჯებული, წარმოსადეგი და ძალიან მდიდრულად ჩაცმული მანდილოსანი, გვერდზე იდგა და რაღაცას უცდიდა. გულზე ვეება, ჩაის ლამბაქისოდენა ოქროს ძვირფასი გულის ქინძისთავი ჰქონდა

გაბნეული. რასკოლნიკოვმა უწყება საქმისმწარმოებელს გადასცა. საქმისმწარმოებელმაც ცალი თვალით გადახედა უწყებას და უპასუხა: „მოიცადეთო“; თვითონ კი ისევ შავებში გამოწყობილ მანდილოსანს მიუბრუნდა.

რასკოლნიკოვმა ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. „უთუოდ იმისათვის არ მიბარებენ!“ - გაიფიქრა და ნელ-ნელა გამხნევდა, თავს ძალას ატანდა, გონს მოსულიყო.

„სულ უბრალო რამ სისულელე, სულ უბრალო რამ გაუფრთხილებლობა საკმარისია, რომ ჩემი თავი მევე გავცე. ჰმ!.. სუფთა ჰაერი მაინც იყოს, - დასძინა, - სული მეხუთება... თავი უარესად მიბრუნის... ტვინი მიხურს...“

გრძნობდა, რომ საშინლად არეული იყო და ეშინოდა, ვაითუ თავი ვერ შევიმაგროო. ცდილობდა სრულიად სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საქმისმწარმოებელი მაინც ძლიერ იზიდავდა მის ყურადღებას: უნდოდა ამოეკითხა როგორმე მის სახეზე, რასა ფიქრობდა. ეს იყო ოცდაორი წლის შავგვრემანი, ცოცხალი სახის ახალგაზრდა, მაგრამ ცოტა უფრო ხნიერი მოჩანდა. ტანთ კობტად ეცვა, მოდაზე, თავი ლამაზად გადაევარცხნა და ზედ სურნელოვანი საცხი წაესვა. თეთრსა და ლამაზად გაწმენდილ თითებზე თვლიანი ბეჭდები ჰქონდა მრავლად გაკეთებული, ჟილეტზე ოქროს ძეწკვები ეკიდა. ერთ იქ მყოფ უცხოელს ორიოდე სიტყვით ფრანგულადაც გამოელაპარაკა და საკმაოდ წმინდადაც.

- ლუიზა ივანოვნა, არ დაბრძანდებით? - გადაულაპარაკა წითლად გაღვივებულ, გამოპრანჭულ მანდილოსანს, რომელიც ფეხზე იდგა და ვერ ბედავდა თითქოს დაჯდომას, თუმცა იქვე გვერდით სკამიც იდგა.

- Jch danke[6], - მიუგო მანდილოსანმა და ფარჩის შრიალით, წყნარად დაემუა სკამზე. თეთრი მაქმანით მორთული ბაცი მტრედისფერი კაბა ჰაეროსტატივით გაიშალა და მაგიდის გარშემო თითქმის ოთახის ნახევარი დაიჭირა. იქაურობა სასხურებლების სუნით გაიჟღინთა. მაგრამ ქალს, ეტყობა, რცხვენოდა, რომ თითქმის ნახევარი ოთახი დაიკავა და ასეთი სურნელება გაავრცელა: როგორღაც მოკრძალებით და თანაც უტიფრად ილიმებოდა, მაგრამ მოუსვენრობა აშკარად ემჩნეოდა.

გაათავა ბოლოს წერა ძაძებში ჩაცმულმა მანდილოსანმა და ასადგომად მოემზადა. ამ დროს ოთახში ყოყლოჩინად და მხრების გრეხით შემოვიდა ვიღაც ოფიცერი; კაკარდიანი ქუდი მაგიდაზე დააგდო და სავარძელში გამოიჭიმა. თვალი მოჰკრა თუ არა მორთულმა მანდილოსანმა, მაშინვე სკამიდან წამოხტა და განსაკუთრებული აღტაცებით მოჰყვა რევერანსებს; მაგრამ ოფიცერმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ქალიც ველარა ბედავდა დაჯდომას. ეს გახლდათ უბნის ზედამხედველის თანაშემწე. გაფარჩხული ქერა უღვაშები და წვრილნაკვთებიანი სახე ჰქონდა, რომელიც რაღაც კადნიერების მეტს სხვას არას ამხელდა. ცოტა არ იყოს მწყრალად, გვერდზე გახედა რასკოლნიკოვს, რომელსაც ძალზე გაცვეთილი ტანისამოსი ეცვა, მაგრამ თავისი დამცირებული მდგომარეობის მიუხედავად, თავი მაინც მორთულობის შეუფერებლად ამაყად ეჭირა. რასკოლნიკოვიც გაუფრთხილებლობით მოურიდებლად და დიდხანს უყურებდა პირდაპირ, ასე რომ, იწყინა კიდევ თანაშემწემ.

- შენ რა გინდა? - შეუყვირა უთუოდ განცვიფრებულმა, რომ ასეთი დაგლეჯილ-დაფლეთილი ბედავდა აქ დგომას და შიშით არა ქრებოდა მისი თვალების ბრიალზე.

- მომითხოვეს... უწყება მომივიდა... - როგორც იყო მიუგო რასკოლნიკოვმა.

- ფულის გადახდევინებაზეა, სტუდენტია,- მიუგო საჩქაროდ საქმისმწარმოებელმა და დროებით ქაღალდებს თვალი მოაშორა. - აი, დაიჭით! - მიმართა საქმისმწარმოებელმა რასკოლნიკოვს და რვეული გადაუგდო, - წაიკითხეთ!

„ფულისა? რა ფულისა, ნეტა? - ფიქრობდა რასკოლნიკოვი, - ეტყობა მაშ, ის არ ყოფილა!“ - გაივლო გულში და სიხარულისაგან თითქმის შეხტა. უცბად მოეშვა გულზე და ეშელავათა, თითქოს ტვირთი რამ ჩამოეხსნაო.

- მერე, რომელ საათზე გიბრძანეს მოსვლა, მოწყალეო ხელმწიფეო? - შეუყვირა კვლავ პორუჩიკმა, უფრო და უფრო რაღაცათი შეურაცხყოფილმა. - გწერენ, ცხრაზე გამოცხადდეთ, ახლა კი უკვე მეთორმეტე საათია!

- მე მხოლოდ ამ თხუთმეტი წუთის წინათ მივიღე უწყება, - ოდნავ მოაბრუნა თავი და ისე უპასუხა რასკოლნიკოვმა, რომელიც ასევე უცბად გაჯავრდა და რაღაც სიამოვნებაც კი იგრძნო ამით, - ისიც კმარა, რომ სიცხიანი და ავადმყოფი გამოვცხადდი.

- ნუ ინებებთ ყვირილს!

- არა ვყვირი! პირიქით, წყნარად ვლაპარაკობ. თქვენ კი დიხაც მიყვირით; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სტუდენტი გახლავართ და ნებას არ მოგცემთ.

თანაშემწე ისე აენტო, რომ პირველად ხმა ვეღარც კი ამოიღო, მხოლოდ დორბლებს და ყრიდა პირიდან. წამოხტა მერე და დაუწყო ისევ: - გთხოვთ გა-ჩ-ჩ-უმ-დეთ! ნუ გავიწყდებათ, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში ხართ. ნუ იძლევით, ბატონო, აგრე მკვახე პასუხებს.

- ნურც თქვენ დაივიწყებთ, რომ დაწესებულებაში ხართ, - შეუყვირა რასკოლნიკოვმა, - გარდა მაგისა, რომ ყვირით, პაპიროსსაც ეწევით; ჩანს, ჩვენ ყველას არად გვაგდებთ, - უთხრა რასკოლნიკოვმა და უზომო კმაყოფილება იგრძნო.

საქმისმწარმოებელი ორივეს ღიმილით შეჰყურებდა. ეტყობა ფიცხი პორუჩიკი ცოტა შეაცბუნა რასკოლნიკოვმა.

- თქვენი საქმე არ არის ეგ! - დაუყვირა ბოლოს როგორღაც არაბუნებრივად ხმამაღლა, - სჯობს, რასაც გთხოვენ, იმის პასუხი მოგვცეთ. ალექსანდრ გრიგორიჩ, უჩვენეთ ერთი. გიჩივიან! ფულს თურმე არ იხდით! რაო, ვითომ რა წითელი კოჭი თქვენა ბრძანდებით!

მაგრამ რასკოლნიკოვი უკვე ქაღალდს დააცხრა ხარბად, უნდოდა მიზეზი მალე გამოერკვია, მაგრამ აზრი მაინც ვერ გაუგო.

- ვერ გამიგია, რა არის, - დაეკითხა საქმისმწარმოებელს.

- ფული გისესხნიათ და იმასა გთხოვენ. ან უნდა გადაუხადოთ თავისი ხარჯებით და ჯარიმებითურთ, ან არადა წერილობითი პასუხი მოგვცეთ, როდის შეიძლებთ

გადახდას; უნდა მოგვცეთ ამასთანავე პირობა, რომ ვალის გადახდამდე სატახტო ქალაქიდან არსად წახვალთ და არც თქვენი ქონებიდან გაჰყიდით და დამალავთ რასმე. მსესხებელს კი ნება აქვს, ქონებაც გაგიყიდოთ და თქვენც კანონისამებრ მოგეპყრათ.

- მაგრამ... რომ არავისი რა მმართველს!

- ეგ ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ გადასახდევინებლად მივიღეთ ვადაგასული და კანონიერად პროტესტგამოცხადებული ას თხუთმეტი მანეთის თამასუქი, ამ ცხრა თვის წინათ დაწერილი თქვენ მიერ კოლექსკი ასესორის ქვრივის ზარნიცინას სახელზე, რომელიც მას შემდგომ ნადვორნი სოვეტნიკის ჩებაროვისათვის გადაუცია. ამაზე გთხოვთ პასუხს.

- ეგ ხომ ჩემი დიასახლისია?

- რა არის მერე, რომ დიასახლისია?

საქმისმწარმოებელმა სიბრაღულით გადახედა, როგორც გამოუცდელს, თან რაღაც ნიშნის მოგებით იღიმებოდა: „რაო, როგორ გრძნობ ახლა თავსო?“ - ეუბნებოდა თითქოს. მაგრამ ან ამ თამასუქთან რაღა საქმე ჰქონდა ახლა, ან ფულის გადახდევინებასთან! ნუთუ ამასაც უნდა შეეშფოთებინა და მისი თუნდაც მცირედი ყურადღება მიეპყრო! იდგა რასკოლნიკოვი, კითხულობდა, უგდებდა ყურს, უპასუხებდა, თვითონაც კი ეკითხებოდა რაღაცას, მაგრამ ყველა ამას ანგარიშიუცემლად სჩადიოდა. მთელი მისი არსება ამჟამად მხოლოდ თავის დაცვისა და ამ საშინელი საფრთხიდან თავის დაძვრენის ფიქრს შეეპყრო. აღარაფერს დარდობდა, არ კითხულობდა. ეს იყო წმინდა პირუტყვეული სიხარულის წამი. მაგრამ სწორედ ამ დროს კანტორაში უცებ ერთი ყვირილი და ვაი-ვაგლახი ატყდა: რასკოლნიკოვისგან შეურაცხყოფილი და გაბრაზებული პორუჩიკი თავისი ღირსებისა და პატივის აღსადგენად მივარდა საბრალო „მოპრანჭულ მანდილოსანს“, რომელიც მისი შემოსვლის წამიდან აქამდე ფეხზე იდგა და სულელურად უღიმოდა გულმოსულ თანაშემწეს.

- შენა, შე ასეთ-ისეთო და იმისთანავ, - შეუყვირა უცბად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა (მგლოვიარე მანდილოსანი უკვე წასული იყო), - შენ რაღა ამბავი გქონდა ამ ღამეს? ჰა? კიდევ უწესობასა და ვაი-უშველებელს სტებ ქუჩაში? არა გრცხვენია! ისევ ჩხუბი და ლოთობა გაქვს გამართული? ვირის აბანო ხომ არ მოგენატრა! მერამდენედ არის, რომ გეუბნები და გაფრთხილებ! არ გითხარი, მეთერთმეტეჯერ აღარ გაპატიებ-მეთქი! შენ კი, შე ასეთ-ისეთო, შენსას არ იშლი!

ისე გაშტერებული და გაკვირვებული უცქეროდა რასკოლნიკოვი მოპრანჭულ მანდილოსანს, რომელსაც ასე მოურიდებლად ამკობდნენ, რომ ხელიდან ქალაღდიც კი გაუვარდა; მაგრამ უმაღვე მოისაზრა, რაში იყო საქმე, და დამშვიდდა; მოსწონდა კიდევ მთელი ეს ამბავი. ისეთი სიამოვნებით უსმენდა ყოველივე ამას, რომ გულით მოუუნდა ეხარხარა და ეხარხარა... ნერვები მთლად უთრთოდა.

- ილია პეტროვიჩ! - ჩაერია საქმისმწარმოებელი მზრუნველობით, მაგრამ შედგა და მოიცადა, რადგან იცოდა გამოცდილებით, რომ გაცხარებული პორუჩიკის შეყენება ახლა მხოლოდ ხელუბის გაკავებითა შეიძლებოდა.

რაც შეეხებოდა მოპრანჭულ მანდილოსანს, პირველად მთლად ცახცახი აუვარდა ყვირილზე; მაგრამ უცნაურია სწორედ: რამდენიც უფრო მეტსა ლანძღავდა და უყვიროდა თანაშემწე, იმდენი უფრო მომხიბვლელად და ტკბილად უღიმოდა მანდილოსანი მრისხანე პორუჩიკს, ადგილზე ტოკავდა და ერთთავად მოწიწებით იხრებოდა, თან მოუთმენლად იცდიდა, რომ ბოლოს იმასაც ღირსებოდა გაეცა პასუხი, და ეღირსა კიდევ.

- არაფერი ხმაურობა და ჩხუბი არა მქონია, ბატონო კაპიტენ, - დაიწყო ტარტარი მანდილოსანმა და მიაყარა და მიაყარა უცბად, თუმცა გერმანულ გამოთქმას კი ატანდა, - არაფერი შკანდალი არა მქონია; მთვრალი მოვიდა ისინი, მე სულ ყველაფერი გითხარი, ბატონო კაპიტენ, დამნაშავე არა ვარ... კეთილშობილი სახლი მაქვს და ქცევაც კეთილშობილი, ბატონო კაპიტენ, ამიტომაც არასოდეს შკანდალი არ მინდოდა. ისინი კი მთვრალი მოვიდა და კიდევ სამი პოთლი მოითხოვა; მერე აიწია ფეხები და ფორტეპიანო დაუკრა. კეთილშობილ სახლში ეს არ ვარგა და უნდოდა განც[7] ფორტეპიანო გაეტეხა; აქ არაფერი მანერა არ არის-მეთქი, ვუთხარი. იმან კი აიღო პოთლი და ყველას დაუწყო უკანიდან ცემა. მეც მაშინვე დვორნიკს დავუძახე და მოვიდა კარლი. აიღო იმან კარლი და თვალში დაარტყა, ჰენრიეტსაც თვალში დაარტყა, მეც ხუთჯერ ლოყაში დამარტყა. ეს კი კეთილშობილ სახლში, ბატონო კაპიტენ, კარქი არ არის და ვიყვირე მეც. იმან კი გაალო ფანჯარა არხისაკენ და პატარა ღორივით ჭყვირილი დაიწყო. სირცხვილია ეს. როგორ იქნება ქუჩაში, ფანჯარაში პატარა ღორივით ჭყვირილი. ფუჰ-ფუჰ-ფუჰ! კარლმა მაშინ ფრაკში გასწია, ფანჯარას მოაშორა და. მართალია, ბატონო კაპიტენ, ზაინ როკ[8] ჩამოახია. იყვირა მაშინ, რომ მან მუს[9] თხუთმეტი მანეთი შტრაფი გადაეხადა. და მე მივეცი თვითონ ზაინ როკ ხუთი მანეთი. კეთილშობილი სტუმარი არ იყო, ბატონო კაპიტენ, სულ შკანდალს აკეთებდა! თან ამბობდა, ერთი დიდი სატირ გედრიუქტ[10] იქნება, იმიტომ, ყველა გაზეთში შემძლია ყველაფერი დაწერო თქვენზედაო.

- მაშ, მჩხაპნელთაგანი ყოფილა, ჰა?

- დიახ, ბატონო კაპიტენ, მერე რა ბრიყვი რამ არი, ბატონო კაპიტენ, კეთილშობილ სახლში.

- აბა, აბა! კმარა! დიდი ხანია ნათქვამი მაქვს, ნათქვამი, ნათქვამი...

- ილია პეტროვიჩ! - შეეხმაურა კვლავ მრავლისმეტყველად საქმისმწარმოებელი. პორუჩიკმა სწრაფად მიიხედა და საქმისმწარმოებელმაც ოდნავ თავი დაუქნია.

- ...ასე, მაშ, პატივცემულო ლავიზა ივანოვნა, იცოდე, ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა, - განაგრძობდა პორუჩიკი, - მაგრამ თუ ერთხელ არის მოხდება რამე სკანდალი კიდევ შენს „კეთილშობილ სახლში“, იცოდე, მაშინ შენ თვითონ გიკრავ ცუგუნდერში თავს. გესმის? მაშ აგრე, ჰა, ლიტერატორმა იყო თუ მჩხაპნელმა, ხუთი მანეთი აგაგლიჯა კალთის ჩამოხევისათვის, ჰა? ვერა ხედავთ ამ მთხზველებს! - შესძახა პორუჩიკმა და რასკოლნიკოვს ზიზლით გადახედა. - ამ სამი დღის წინათ ტრაქტირშიაც აგრე ექნა ერთს: ესადილნა ლამაზად და ფულს კი თურმე არ იხდიდა. „ამისთვის სატირაში გამოგჭიმავთო!“ - ეთქვა. მეორეს კიდევ გემზე დაელანძდა წარსულ კვირას პატივცემული ოჯახობა სტატსკი სოვეტნიკისა; ცოლსა და ქალს თურმე უწმაწური სიტყვებით მიმართა. წელან კიდევ საკანდიტეროდან გამოაპანდურეს ერთი. აი, ხედავთ, რა შვილებიცა ბრძანდებიან ყველა ეს მთხზველები, ლიტერატორები,

სტუდენტები და მქადაგებლები... ფუჰ! მაგრამ წაეთრიე! თვითონ შემოგვიღი... მიფრთხილდი მაშინ! გესმის?

ლუიზა ივანოვნამაც აჩქარებით და თავაზიანად დაუწყო ყველას თავის დაკვრა და ასე მიაღწია კარამდე. მაგრამ ზურგით კარში უცბად ვიღაც წარმოსადევ ოფიცერს წააწყდა, რომელსაც საამური სახე და მშვენიერი ქერა ქილვაშები ჰქონდა. ეს იყო თვითონ უბნის ზედამხედველი ნიკოდიმ ფომიჩი. ლუიზა ივანოვნამ მაშინვე მიწამდე დაუკრა თავი და აჩქარებული კუნტრუმით კანტორიდან გავარდა.

- ისევ და ისევ გრგვინვა-ქუხილი, ისევ ელვა და ქარიშხალი! - მიმართა მხიარულად და მეგობრულად ნიკოდიმ ფომიჩმა ილია პეტროვიჩს, - ეტყობა, კიდევ გაგაჯავრათ ვინმემ და აგაღელვათ! კიბეზევე შემომესმა ხმა.

- რა ვუყო! - უპასუხა კეთილშობილური დაუდევრობით ილია პეტროვიჩმა და ქალღმერთებთან დატვირთულმა მეორე მაგიდისაკენ გასწია; თან ყოველ ნაბიჯზე, საითაც ფეხს გადადგამდა, მხარსაც იქით გადახრიდა. - თქვენ თვითონ განსაჯეთ: ბატონი შემთხვევით, სტუდენტი თუ ნასტუდენტარი, ფულს არ იხდის, თამასუქებს უწერს, ბინას არა სცლის, ერთთავად უჩივიან, აქ კი საყვედურს მიცხადებს, რომ იმის წინ პაპიროსს მოვუკიდე! თვითონ სამ-მ-აგლობს, თორემ შეხედეთ, აბა: აგერ, მისი მშვენიერება!

- სიღარიბე რა დასამრახია, მეგობარო, რა ვუყოთ მერე! რასაკვირველია, თოფისწამალი შეურაცხყოფას ვერ აიტანდა. უთუოდ თვითონ გეწყინათ რამე იმისგან და თავი ვეღარ შეიმაგრეთ, არა? - ჩაეკითხა თავაზიანად ნიკოდიმ ფომიჩი რასკოლნიკოვს, - მაგრამ ტყუილად გინებებია: უ-უ-კეთილშობილესი კაცია, უნდა მოგახსენოთ, მაგრამ ცეცხლია, ცეცხლი! თოფისწამალივით იფეთქებს და აენტება ხოლმე, მაგრამ იქვე ჩაქრება! გადაუვლის და ბოლოს მხოლოდ ოქროს გული შეგრჩებათ ხელში. პოლკშიაც ამიტომ ეძახდნენ „პორუჩიკ პოროხს“ [11].

- რა კ-კ-პოლკი იყო მერე! - შესძახა ილია პეტროვიჩმა, ნასიამოვნებმა, რომ ასე გააპატიოსნეს, მაგრამ ჯერ მაინც ცოტა ნაწყენად ეჭირა თავი.

რასკოლნიკოვს უცბად მოუნდა ყველასათვის მეტისმეტად სასიამოვნო რამ ეთქვა.

- არა, გეთაყვა, კაპიტანო, - მიმართა უცბად ცოცხლად და თამამად ნიკოდიმ ფომიჩს, - ახლა ჩემს გარემოებასაც დაუკვირდით... მზადა ვარ, თუნდ ბოდიშიც მოვიხადო, თუკი რამ დავაშავე. მე ერთი ღარიბი და ავადმყოფი სტუდენტი ვარ, სიღარიბით დაჩაგრული (ასე თქვა სწორედ: „დაჩაგრული“). ნასტუდენტარი, იმიტომ რომ შეძლება აღარა მაქვს, მაგრამ ფულს მივიღებ... დედა და და ნ-ის გუბერნიაში მყვანან... გამომიგზავნიან და... გადავუხდით. დიასახლისი კეთილი დედაკაცია, მაგრამ გამიბრაზდა, გაკვეთილები რომ დავკარგე და მეოთხე თვეა, ფული ვეღარ მივეცი, სადილსაც აღარ მაჭმევს... არ მესმის სწორედ, რა თამასუქია ეგ თამასუქი. ახლა ამ ბარათითა მთხოვს ვალის გადახდას! მაგრამ იფიქრეთ, აბა, საიდან მივცემ!..

- აბა, ეგ რა ჩვენი საქმეა... - შენიშნა კვალად საქმისმწარმოებელმა.

- მოითმინეთ, მოითმინეთ, სრულიად გეთანხმებით, რომ თქვენი საქმე არ არის, მაგრამ ნება მომეცით აგიხსნათ, - დასძინა ისევ რასკოლნიკოვმა საქმისმწარმოებლის საპასუხოდ, მაგრამ ისევ ნიკოდიმ ფომიჩს კი ელაპარაკებოდა; თანაც ცდილობდა,

იმავე დროს ილია პეტროვიჩისათვის გაეგებინებინა ნათქვამი, თუმცა იგი განგებ ქალაქებს ფურცლავდა და ზიზღით აგრძნობინებდა, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, - ნება მომეცით, აგიხსნათ, რომ დიდი ხანია, თითქმის სამი წელიწადი, რაც იმასთან ვცხოვრობ, ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც პროვინციიდან ჩამოვედი... თავიდანვე... რატომ არ უნდა გამოვტყდე ვითომ?... პირობა მივეცი, შენს ქალს შევირთავ-მეთქი, მაგრამ პირობა სიტყვიერი, თავისუფალი... ეს იყო ქალი... მომწონდა კიდევ, თუმცა შეყვარებული არა ვყოფილვარ... ერთი სიტყვით, ახალგაზრდობით მომივიდა, ესე იგი მინდა ვთქვა, რომ დიასახლისი მაშინ ბევრს მენდობოდა და მეც ცოტა თავისუფლად... ფუქსავატად ვცხოვრობდი...

- მაგისთანა საიდუმლოების გამჟღავნებას არავინ გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, და არც დრო გვაქვს თავისუფალი... - გააწყვეტინა მკვახედ ილია პეტროვიჩმა, მაგრამ გაცხარებულმა რასკოლნიკოვმა შეაყენა იგი, თუმცა უცბად ლაპარაკი ცოტათი შეზარდა: - მომითმინეთ, ნება მომეცით, ცოტათი მაინც გაგაცნოთ... როგორ არის საქმე... ჩემი მხრივ... თუმცა გეთანხმებით, სულ მეტია ეს ლაპარაკი, მაინც გაიმბობთ: ამ ერთი წლის წინათ ქალი სახადით მოუკვდა, მე კი ისევე მდგმურად დავრჩი; დიასახლისი რომ ახლანდელ ახალ ბინაზე გადმოვიდა, მითხრა... მითხრა მეგობრულად... რომ სრულიად მენდობოდა და ყველაფერშიც დამეხმარებოდა... მაგრამ... იქნება ამ ასთუთმეტი მანეთის თამასუქი მომცეო, ესე იგი, რაც ფული მემართა, იმისი. მომითმინეთ: მითხრა, რომ მივცემდი თუ არა ამ ქალადს, მაშინვე ისევე მენდობოდა, რამდენსაც კი მოვისურვებდი, და არასოდეს თავის მხრივ ამ თამასუქით არ ისარგებლებდა, - ეს მისივე საკუთარი სიტყვებია, - ესე იგი, არ გადამახდევენებდა, სანამდის თვითონ მე არ გავუსწორდებოდი... ახლა კი, როცა გაკვეთილებიც დავკარგე და საჭმელადაც აღარა მაქვს რა, უჩივლია და უნდა გადამახდევიოს. რა უნდა ვთქვა, აბა?

- ყველა ეს მგრძნობიარე წვრილმანები, მოწყალეო ხელმწიფევ, - მოუჭრა უტიფრად ილია პეტროვიჩმა, - ჩვენ არ შეგვეხება; თქვენ უნდა მოგვცეთ პასუხი და ვალდებულება, ხოლო რაც შეეხება ამ ტრაგიკულ განმარტებას და იმას, რომ ვიღაცა გყვარებიათ, ეს ჩვენ სრულიად არ შეგვეხება.

- აბა, აბა... არც აგრე სასტიკად ვარგა... - ჩაიბუტბუტა ნიკოდიმ ფომიჩმა, მიუჯდა მაგიდას და ქალაქებს დაუწყო ხელის მოწერა, თითქოს და შერცხვაო.

- დაწერეთ, - მიმართა საქმისმწარმოებელმა რასკოლნიკოვს.

- რა დავწერო? - ჩაეკითხა რატომღაც მკვახედ რასკოლნიკოვი.

- გეტყვით, რაც უნდა დაწეროთ.

რასკოლნიკოვს ისე ეჩვენა, ვითომ ამ აღსარების შემდეგ საქმისმწარმოებელიც უგულოდ და ზიზღით ეპყრობოდა, მაგრამ უცნაურია, - უცბად მთლად შეეცვალა გუნება: აღარაფრად აგდებდა, ვინ რას ეტყოდა, რას იფიქრებდა. რასაკვირველია, ცოტა რომ დაჰკვირვებოდა გარემოებას, გაიკვირვებდა უთუოდ, როგორ უამბო ასეთი რამეები, ან როგორ მოახვია თავზე საკუთარი გრძნობები? ან საიდან გაუჩნდა ეს გრძნობები? პირიქით, ახლა რომ უცბად ოთახი მისი საუკეთესო მეგობრებით გავსებულიყო და არა უბნის ზედამხედველებით, ამ მეგობრებისთვისაც კი ვერ იპოვიდა ადამიანურ სიტყვას, ისე დაუცარიელდა უცბად გული. მტანჯველი და

უსაზღვრო განმარტოების გრძნობა უცბად ცნობიერად აღიქვა მისმა სულმა. მისი აღსარებისა თუ ილია პეტროვიჩის გამარჯვების სიმდაბლემ კი არ შეუცვალა უცბად გული. ეჰ, რა ესაქმებოდა საკუთარ სამაგლობასა და პორუჩიკის თავზვიაობასთან, ან ეს გერმანელი ქალები, ფულის გადახდევინება, კანტორა და სხვა ვიღას აგონდებოდა! თუნდ მისი დაწვაც გადაეწყვიტათ ამავე წამს, მაშინაც კი ყურს არ შეიბერტყავდა და იქნება განაჩენისთვისაც არ დაეგდო რიგიანად ყური. რაღაც უცნობი, ახალი და მოულოდნელი ცვლილება შეეპარა. ვერ შეეგნო სავსებით, მაგრამ ნათლად გრძნობდა, რომ არამცთუ გრძნობები და გული არ უნდა გადაეშალა წელანდელივით, პირიქით, არც კი უნდა მიემართნა რისთვისმე ამ ხალხისათვის, თუნდაც უბნის პორუჩიკები და ზედამხედველები კი არა, მისი საკუთარი და-ძმანიც ყოფილიყვნენ; არასოდეს ეს არ უნდა ექნა. აქამდე ასეთი უცნაური და საზარელი რამ არ უგრძნია. თანაც უფრო ის სტანჯავდა, რომ ეს იყო მხოლოდ შეგრძნება და არა შეგნება თუ ცნობიერი შესმენა. ეს იყო მტანჯველზე მტანჯველი შეგრძნება ყველა იმ შეგრძნებათა შორის, რაც კი დღემდე განეცადა.

საქმისმწარმოებელმა უკარნახა, ჩვეულებრივ ამგვარ შემთხვევაში როგორ პასუხს ამღევენ ხოლმე, - ესე იგი: რომ ახლა გადახდა არ შეეძლო, რომ პირობას დებდა, ამ და ამ დროს (ოდესმე) გადაუხდიდა, ქალაქიდან არსად წავიდოდა, ქონებას არ გაყიდდა, არც გააჩუქებდა და სხვ.

- რა ამბავია, წერას ძლივს ახერხებთ, კალამი ხელიდან გვარდებათ, - შენიშნა საქმისმწარმოებელმა და ცნობისმოყვარეობით შეხედა რასკოლნიკოსს, - ავად ხომ არა ხართ?

- დიახ... თავი მიბრუს... მითხარით, კიდეც რა უნდა?

- აღარაფერი. ხელი მოაწერეთ.

საქმისმწარმოებელმა ქალაღი ჩამოართვა და სხვებს მიუბრუნდა.

რასკოლნიკომაც კალამი დაუბრუნა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ წამომდგარიყო და წასულიყო, ორთავე იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ხელები მაგრად მოიჭირა თავზე. უცნაურმა ფიქრმა გაურბინა უცბად: მისულიყო ახლავ ნიკოდიმ ფომიჩთან და გუშინდელი ამბავი ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, წაეყვანა მერე თავის ბინაზე და კუთხეში დამალული ნივთები ეჩვენებინა. ისე ძლიერი იყო ეს მოთხოვნილება, რომ განზრახვის შესასრულებლად წამოდგა კიდეც. „მაგრამ იქნებ სჯობდეს, ცოტა დავფიქრდე! - გაუელვა გუნებაში, - არა, სჯობს არ ვიფიქრო, ტვირთი უცებ მოვიშორო!“ მაგრამ უცბად გაქვავებულივით გაშეშდა. ნიკოდიმ ფომიჩი გაცხარებული ელაპარაკებოდა ილია პეტროვიჩს: - არა, ეგ შეულებელია. ორთავეს გაანთავისუფლებენ. ჯერ ერთი, რომ ყველაფერი წინააღმდეგს ამტკიცებს; იფიქრეთ, აბა: მეეზოვეს რაღად დაუძახებდნენ, რომ მართლა დამნაშავენი ყოფილიყვნენ? რაო, თვითონვე გასცემდნენ თავიანთ თავს თუ როგორ არის საქმე? ან იქნებ ეშმაკობითა ქნეს? მაგრამ არა, ეგ მეტისმეტი ეშმაკობაა! და მეორეც, სტუდენტი პესტრიაკოვი ორივე მეეზოვეს და მოქალაქის ცოლს დაენახათ ალაყაფის კართან სწორედ იმ დროს, რომ შედიოდა. სამნი მიდიოდნენ თურმე, მაგრამ ალაყაფის კართან გამოეთხოვა თავის მეგობრებს და იქვე, იმათ თვალწინ, ჰკითხა თურმე მეეზოვეს, სადა ცხოვრობსო. როგორა გგონია, იმ განზრახვით რომ მისულიყო, მეეზოვეს დაუწყებდა განა კითხვას? კოხი კი, ვიდრე ბებრუხანასთან ავიდოდა, მთელი ნახევარი საათი

მირს, ოქრომჭედელთან იჯდა თურმე და რვას რომ ჩარეჟი აკლდა, მაშინლა ავიდა ბებრუხანასთან. იფიქრეთ მაშ, აბა...

- მაგრამ მოითმინეთ, ეს წინააღმდეგობა რაღას ნიშნავს: ირწმუნებიან თვითონვე, რომ კარს უკაკუნებდნენ, მაგრამ დაკეტილი იყო, მერე კი, სამი წუთის შემდეგ რომ მეეზოვე აიყვანეს, კარი ღია დახვდათ?

- საქმეც ეგ არის: მკვლელი მაშინ შიგ იყო უთუოდ და კარი ჰქონდა გადაკეტილი; უთუოდ დაიჭერდნენ კიდეც, კოხს რომ არ ჩაედინა სისულელე და მეეზოვესთან არ წასულიყო დასაძახებლად. იმანაც ისარგებლა მისი წასვლით, ჩამოვიდა კიბეზე და გაუსხლტათ, როგორღაც გაეპარათ. ორივე ხელით პირჯვარს იწერს კოხი და იფიცავს: „რომ არ წავსულიყავი, უთუოდ გამოვარდებოდა და მეც ცულით მიმაწვენდაო“. ამბობს, რუსული პარაკლისი უნდა გადავახდევინო, - ჰე, ჰე, ჰე!..

- მერე, მკვლელი კი არავის დაუნახავს?

- საიდან დაინახავდნენ, აბა? ნოეს კიღობანს ჰგავს სახლი, - შენიშნა საქმისმწარმოებელმა, რომელიც თურმე ყურს უგდებდა ლაპარაკს.

- აშკარა საქმეა, აშკარა! - ფიცხოზდა ნიკოდიმ ფომიჩი.

- პირიქით, - დაასკვნა ილია პეტროვიჩმა.

რასკოლნიკოვმა ქუდი აიღო, კარისაკენ გასწია, მაგრამ კარამდე ვეღარ მიაღწია...

გონს რომ მოვიდა, ნახა, სკამზე იჯდა და მარჯვნივ ვიღაცა კაცს ეჭირა, მარცხნივაც სხვა კაცი ედგა გვერდით და ხელში ყვითელი წყლით სავსე რაღაც ყვითელი ჭიქა ეჭირა. ნიკოდიმ ფომიჩი კიდეც წინ დასდგომოდა და ყურადღებით ჩაშტერებოდა; რასკოლნიკოვი სკამიდან წამოდგა.

- რა არის, ავადა ხართ? - ჩაეკითხა მკვახედ ნიკოდიმ ფომიჩი.

- წელანაც, ხელს რომ აწერდა, კალამი ძლივს ეჭირა, - შენიშნა საქმისმწარმოებელმა და თავის ადგილზე დაჯდა, ისევ ქაღალდებს დაუწყო ფურცვლა.

- დიდი ხანია ავადა ხართ? - შეუყვირა ახლა ილია პეტროვიჩმა თავისი ადგილიდან და ქაღალდები გადაშალა.

რასაკვირველია, გული რომ წაუვიდა, მანაც კარგა დაკვირვებით გასინჯა ავადმყოფი, მაგრამ იმავე წამს მოსცილდა, როგორც კი ის გონს მოვიდა.

- გუშინდლიდან... - წაიდუღუნა პასუხად რასკოლნიკოვმა.

- მერე, გუშინ შინიდან არ გასულხართ?

- როგორ არა.

- ავადმყოფი?

- ავადმყოფი.

- რომელ საათზე?

- სადამოს რვა იქნებოდა.
- მაინც სად იყავით, შეიძლება გკითხოთ?
- სადა და ქუჩაში.
- ეგეც თქვენი მოკლე და ნათელი პასუხი.

რასკოლნიკოვი მკვახედ და სხარტად უპასუხებდა, მთლად გაფითრებული, და თან თავის ანთებულ შავ თვალებს ილია პეტროვიჩს არ აშორებდა.

- ფეხზე ძლივსა დგას კაცი და შენ კი... - შენიშნა ნიკოდიმ ფომიჩმა.
- არ-ა უმ-ავს-რა! - ჩამარცვლა საგანგებოდ ილია პეტროვიჩმა.

უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ნიკოდიმ ფომიჩს, მაგრამ შეხედა საქმისმწარმოებელს, რომელიც ასევე თვალს არ აშორებდა მას, და გაჩუმდა. უცბად ყველანი გაჩუმდნენ. უცნაური იყო.

- კარგით, მაშ, - დასძინა ილია პეტროვიჩმა, - შეგიძლიათ წახვიდეთ.

რასკოლნიკოვი გამოვიდა, მაგრამ გამოსვლისთანავე ყური მოჰკრა, შიგნით როგორ მოჰყვინენ ისევ ცხარე ლაპარაკს და როგორ ეკითხებოდა ხმამაღლა რაღაცას ნიკოდიმ ფომიჩი. გამოვიდა თუ არა ქუჩაში რასკოლნიკოვი, მთლად გამოერკვა.

„გამჩხრეკენ, ახლავე გამჩხრეკენ! - იმეორებდა თავისთვის და ბინისაკენ მიემშურებოდა. - ყაჩაღები! ეჭვი აიღეს!“ და წელანდელმა შიშმა ისევ თავით ფეხებამდე დაურბინა.

II

„ვაითუ გამჩხრიკეს კიდევ? შინ რომ დამიხვდნენ, რა ვქნა?“

მაგრამ აი, მისი ოთახიც, არავინა ჩანს. არავის შეუხედნია. ნასტასიაც კი არ მიჰკარებია. ღმერთო! როგორ დატოვა ყველა ეს ნივთი ამ ნახვრეტში?

ეცა კუთხეს, ჩაჰყო ხელი შპალერქვეშ და დაიწყო ყველაფრის ჯიბეში ჩალაგება. სულ რვა ცალი აღმოჩნდა: ორი პაწია კოლოფი საყურეებითა თუ სხვა რაღაც ამგვარით, - კარგად არ გაუსინჯავს; მეშის ოთხი მომცრო ბუდე. ერთი ძეწკვი უბრალოდ შეეხვიათ გაზეთის ქალაქში. კიდევ ერთი სხვა რაღაც იყო გაზეთის ქალაქში გახვეული, ვგონებ, ორდენი... ჩაილაგა ყველა ეს სხვადასხვა ჯიბეში, ზოგი შარვლის შერჩენილ ჯიბეში, ზოგი პალტოსაში, რომ ქუჩაში არ შეენიშნათ. ქისაც ჯიბეში ჩაიდო და მერე ოთახიდან გამოვიდა. კარი ახლა მთლად ღია დატოვა.

ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. მართალია, გრძნობდა, რომ მოშლილი იყო, მაგრამ გონიერება მაინც მრთელად ჰქონდა შერჩენილი. ეშინოდა, არ გამოსდგომოდნენ; ეშინოდა, რომ რაღაც ნახევარი საათის ან თხუთმეტი წუთის შემდეგ უთუოდ განკარგულებას გასცემდნენ, მისთვის ყველგან თვალყური ედევნებინათ. მაშასადამე, თავის დროზე უნდა გაექრო კვალი, უნდა ყველაფერი მოეგვარებინა, ვიდრე კიდევ შერჩენოდა ძალ-ღონე და მსჯელობა შეეძლო... მაგრამ სად წასულიყო, სად?..

დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა: ყველაფერი არხში გადაეყარა, კვალი გაექრო და სამუდამოდ მოესვენა. ასე გადაწყვიტა გუშინდამვე, სიცხიანი რომ ბოდავდა; რამდენჯერმე, გონს რომ მოვიდოდა ხოლმე, კიდევაც უნდოდა ამდგარიყო და წასულიყო: „ჩქარა, ჩქარა, გადავყარო ყველაფერიო“. მაგრამ გადაყრა ძალიან გაუძნელდა.

ნახევარი საათი და იქნებ მეტიც იხეტიალა ევატერინეს არხის ნაპირზე, ათვალიერა არხზე ჩასავალი ადგილები, სადაც კი შემოხვდა, მაგრამ განზრახვის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა: ან ტივები იდგა იქვე ჩასავალთან და ზედ მრეცხავი დედაკაცები რეცხავდნენ თეთრეულს, ანდა ნავები მიეყენებინათ ნაპირზე. ყველგან ხალხი ირეოდა. მაგრამ უამისოდაც ხომ ყველა მხრიდან შენიშნავდნენ და ეჭვს აიღებდნენ, რაკი საგანგებოდ ჩავიდოდა, გაჩერდებოდა და წყალში რაღაცებს გადაყრიდა. მერე, რომ არ ჩაძიროს და მოიტივტივოს? რა თქმა უნდა, ასე იქნება. ყველა დაინახავს. უამისოდაც სინჯავენ. - „რატომ ნეტა? ან იქნებ მე მეჩვენება ასე“, - ფიქრობდა რასკოლნიკოვი.

იფიქრა ბოლოს, იქნებ ჯობდეს, სადმე ნევის პირად წავიდეო? იქ ხალხიც ცოტაა, ვერ შემნიშნავენ და, რა თქმა უნდა, უფრო მარჯვეც არის, უმთავრესი კი ისაა, რომ აქაურ არემარეზე შორს ვიქნებიო. გაიკვირვა, როგორ მოხდა, რომ ნახევარ საათზე მეტხანს ასე შეწუხებული დამრწოდა ამ საშიშ ადგილებში და ადრევე ვერ მოიფიქრა ეს. სწორედ იმიტომ დაკარგა უაზროდ მთელი ნახევარი საათი, რომ ძილში, სიცხიანმა გადაწყვიტა ასე ბოღვის დროს! თან საშინელი გულმავიწყობა ერეოდა და ამჩნევდა კიდევ ამას. საჭირო იყო აჩქარება!

ვ-ის პროსპექტით ნევისაკენ გასწია. მაგრამ გზად უცბად სხვა აზრმა გაურბინა თავში: „რად მივდივარ ნევაზე? წყალში გადაყრა რა საჭიროა? არა სჯობია, სადმე შორს წავიდე, თუნდაც ისევ კუნძულებზე, იქ სადმე, განმარტოებულ ადგილას, ტყეში დავფლა ბუჩქის ძირას და ადგილი დავიხსომო?“ მართალია, გრძნობდა, რომ იმჟამად არ შეეძლო ყველაფერი ეს გარკვევითა და საღად მოეფიქრა, მაგრამ აზრი მაინც მოეწონა.

არ ეწერა მაინც კუნძულებზე გასვლა, სხვა რამ შეემთხვა: ის იყო ვ-ის პროსპექტიდან მოედანზე გამოვიდა, რომ უცბად მარცხნივ ყრუ კედლებით შემოზღუდული ეზოს შესავალი შენიშნა. მარჯვნივ, ეზოს შესავლიდანვე, მეზობელი ოთხსართულიანი სახლის შეუღებავი კედელი იწყებოდა და შორს ეზოში შედიოდა. მარცხნივ, ალაყაფის კარიდან მარჯვენა კედლის გასწვრივ, ფიცრული ღობე იყო ჩავლებული, ასე ოც ნაბიჯზე, და მარცხნივ უხვევდა. ეს იყო ყრუდ შემოღობილი ცარიელი ადგილი, სადაც სხვადასხვა მასალა ელაგა. ეზოს შუაში, შორს მოჩანდა კუთხე რაღაც გამჭვარტლული ქვის ფარდულისა თუ სახელოსნოსი. იქ უთუოდ ან საზეინკლო სახელოსნო იყო ან საკარეტო, ან სხვა რამ ამგვარი შენობა. თითქმის ალაყაფის კარიდანვე დაწყებული ყველგან ნახშირის მტვერი იდო ბლომად. „აი, სადა სჯობს შევაგდო და წავიდე!“ - გაიფიქრა უცბად. მაგრამ რაკი ეზოში ვერავინ შენიშნა, მაშინვე ეზოს შესავალში შეიპარა და დაინახა იქვე, სწორედ ეზოს კარის ახლოს, ფიცრულ ღობესთან ღარი იყო გამართული (როგორც ეს მუდამაა ხოლმე იმგვარ სახლებში, სადაც ქარხნებსა და არტელებში მომუშავე ხალხი და მეეტლეები ირევა ბლომად); ღარის თავზე კი, ფიცრულზე, როგორც ჩვეულებრივ იციან ხოლმე, ცარცით იყო წარწერილი: „Сдесь становитца возпрещено“. ამითაც კარგი იყო,

მაშასადამე, ეჭვს არავინ მიიტანდა, რომ შევიდა და დადგა. „მოდი, აქ დავყრი სადმე ერთად და წავალ!“

ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და ხელიც ჩაიყო ჯიბეში, რომ უცბად გარეთა კედელთან, ალაცაფის კარსა და ღარს შუა, სადაც მხოლოდ ერთი არშინის სიგანე ადგილი იყო დარჩენილი, შენიშნა ასე ფუთ-ნახევრის სიმძიმის დიდი გაუთლელი ქვა, რომელიც პირდაპირ ქუჩის პირად ნაშენ კედელთან ეგდო. კედელს იქით ქუჩა იყო; ფილაქანზე ისმოდა, როგორ მიდი-მოდოდნენ გამვლელ-გამომვლელნი, რომელთაც ყოველთვის მრავლად შეხვდებოდით აქ. მაგრამ ალაცაფის კარს მოფარებულს, ქუჩიდან ვერავინ დაინახავდა, თუ ვინმე თვითონ ეზოში არ შემოვიდოდა. ეს კი, რასაკვირველია, ადგილი შესაძლებელი იყო, ამიტომაც უნდა ერქარა.

დასწვდა ქვას, ჩასჭიდა ორივე ხელი, მოიკრიბა ძალ-ღონე და გადმოაბრუნა. ქვის ქვეშ პატარა ამოღრმავებული ადგილი აღმოჩნდა; დაუწყო მაშინვე ყველაფერს ჯიბიდან ამოლაგება და ქვის ქვეშ ჩაყრა. ქისა სულ ზემოდან მოხვდა, მაგრამ ამოღრმავებული ადგილი მაინც არ ამოვსებულა. მერე ორივე ხელით ქვა ერთი გადაწევით ისევ თავის ადგილას გადააბრუნა. ეს იყო მხოლოდ, ქვა თითქოს ცოტა მაღლა დადგა; მაგრამ აქეთ-იქიდან მიწა მიახვეტა, ფეხით მიატკეპნა და აღარაფერი ეტყობოდა რა.

გამოვიდა მერე და მოედნისაკენ გასწია. უზომოდ დიდმა სიხარულმა, როგორც წელან კანტორაში იგრძნო, გაიტაცა ერთ წამს. „მივაფარე! არა, ან კი ფიქრად ვის მოუვა, იქ, იმ ქვის ქვეშ დაუწყოს ძებნა? ვინ იცის, იქნებ რაც სახლი აუშენებიათ, სულ იქა დევს და ერთ იმდენ ხანს კიდევ იდოს. ის ქვა თუნდაც რომ იპოვნონ, ვინ იფიქრებს, რომ ჩემი გაკეთებულია? მორჩა ყველაფერი! ეჭვის მისატანი აღარა არის რა!“ გაეცინა. მოაგონდა მერე, როგორ ნერვიულად იცინოდა დიდხანს, დიდხანს, ვიდრე მოედანი არ გაიარა. მაგრამ გავიდა თუ არა კ-ის ბულვარზე, სადაც ამ სამი დღის წინათ ის გოგონა შემოხვდა, სიცილმა უცბად გადაუარა. სხვა ფიქრები აეშალა. უცბად მოეჩვენა, რომ ახლა საშინლად შეეზიზღებოდა იმ მერხის გვერდით გავლა, სადაც გოგონას წასვლის შემდეგ იჯდა და ფიქრობდა. საშინლად შეაწუხებდა იმ უღვაშიანი პოლიციელის ნახვაც, რომელსაც აბაზიანი მისცა. „ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი და ტანი!“

მიდიოდა და გარშემო როგორღაც დაფანტულად, გაბოროტებით იყურებოდა. მისი ფიქრები ახლა მთლიანად ერთ რომელიღაც მნიშვნელოვან საგანს დასტრიალებდა - თვითონვე გრძნობდა, რომ ეს საგანი მართლაც დიდმნიშვნელოვანი რამ იყო; რომ სწორედ ახლაა ამ საგანთან პირისპირ დარჩენილი, - რომ ამგვარი რამ აგერ ოთხი თვეა, ჯერ არ უგრძენია.

„ეჰ, ეშმაკმა დალახვროს! - გაიფიქრა უცბად საშინლად გაბოროტებულმა. - დაიწყო და დაიწყოს, რა ვუყო! ეშმაკმა წაიღოს ესეცა და ახალი ყოფაც! რა სისულელეა, ღმერთო!.. მერე რამდენი ვიცრუე და ვისაძაგლე დღეს! როგორ საზიზღრად ვულაქუცებდი იმ საძაგელ ილია პეტროვიჩს! თუმცა რას დავეძებ ყველა იმათ, ან იმას, რომ ველაქუცებოდი და გულის მოგებას ვცდილობდი! საქმე ეს არ არის, არა!“

მაგრამ უცბად შედგა; ახალმა, სრულიად მოულოდნელმა და მეტად უბრალო კითხვამ მთლად დავთრები დაუბნია, განაცვიფრა: „თუ ყოველივე ეს მართლა შეგნებულად ჩაიდინე და არა ტუტუცურად, თუ მართლა გარკვეული და მტკიცე რამ

აზრი გქონდა, როგორ მოხდა მაშ, რომ აქამდე ქისაში არც კი ჩაიხედე და არ გაიგე, რა მიიღე იმის სამაგიეროდ, რომ ამოდენა ტანჯვა იკისრე და ასეთი სამაგელი და საზარელი საქმე ჩაიდინე. არა, ახლა არ იყო, წყალში უპირებდი გადაყრას ქისასაც და იმ ნივთებსაც, რომლებიც აგრეთვე აქამდის არ გინახავს... როგორ მოხდა ეს?

კი, ასეა, ყველაფერი ასეა. წინათაც იცოდა, რომ ასე იქნებოდა; ახალი აქ არა არის რა მისთვის. ჯერ საღმთოთივე უყოყმანოდ და პირდაპირ გადაწყვიტა წყალში გადაეყარა, თითქოს სხვაფრივ არც შეიძლებოდა მოქცეულიყო... წინათვე იცოდა და ახსოვდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო; თითქმის გუშინვე გადაწყვიტა, სკივრთან რომ იჯდა და კოლოფებს ჯიბეებში ილაგებდა... ასეა, კი!..“

„ეს იმიტომ, რომ ძალიან ავადა ვარ, - გადაწყვიტა ბოლოს კუმტად, - თვითონვე გავიტანჯე და გავიწვალე თავი და თვითონ არ ვიცი, რას ჩავდივარ... გუშინაც, გუშინწინაც, სულ ერთთავად ვტანჯავდი ჩემს თავს... გამოვკეთდები და... აღარ ვიწვალე... მერე, რომ არ გამოვკეთდე მთლად! ოჰ, ღმერთო! როგორ მომძულდა ყველაფერი?!..“ არ შემდგარა, ისე მიდიოდა. საშინლად უნდოდა რისთვისმე გადაეყოლებინა გული, მაგრამ არ იცოდა, როგორ და რანაირად მოეხერხებინა ეს. ახალი რამ უძლეველი გრძნობა თანდათან მეტი ძალით იპყრობდა მთელ მის არსებას: ეს იყო რაღაც უსაზღვრო ზიზღი ყველაფრისა, რაც კი გარს ეხვია, ზიზღი მწვავე, გაბოროტებული, სიძულვილით აღსავსე. ეზიზღებოდა ყველა, ვინც კი შემოხვდებოდა, ეზიზღებოდა მათი სახეები, მოძრაობა, სიარული. პირდაპირ პირში შეაფურთხებდა და დაკბენდა უთუოდ, იმ დროს ვისმე ხმა რომ გაეცა...

გავიდა თუ არა პატარა ნევის პირად, ვასილის კუნძულზე, უცბად ხიდის ყურთან შედგა. „აი, აქ ცხოვრობს, ამ სახლში, - გაიფიქრა. - როგორ მოხდა? ეტყობა, მაშ, რაზუმინთან მოვსულვარ! მაშინდელი ამბავი დამემართა ისევ... არა, მაინც საყურადღებოა: თვითონ მოვედი განგებ, თუ მივდიოდი ჩემთვის და უნებურად მოვადექი ამ სახლს? სულ ერთია; ვთქვი ამ სამი დღის წინათ... მასთან იმის შემდეგ წავალ, მეორე დღეს-მეთქი! მერე რა, მივალ კიდევ! არ შემიძლია განა ახლავ ავიდე.“

რაზუმინთან ავიდა მეხუთე სართულზე.

რაზუმინი შინ დაუხვდა, თავის პაწაწინა ოთახში. რაღაცას წერდა. კარიც თვითონ გაუღო. სრული ოთხი თვე იყო, ერთმანეთი არ ენახათ. იჯდა რაზუმინი თავისი მთლად დაფლეთილი, ძონძებად ქცეული ხალათით, თმააწეწილი, პირდაუბანელი და გაუპარსავი, შიშველი ფეხები ჩუსტებში წაეყო და მუშაობდა. დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი, სახეზე განცვიფრება აღებეჭდა.

- რა ამბავია? - შეჰყვირა რაზუმინი და შესულ ამხანაგს თავით ფეხებამდე თვალიერება დაუწყო. მერე გაჩუმდა და დაუსტვინა. - ნუთუ აგრე ცუდადაა საქმე? შენ, ძმაო, მგონი, ყველას გვაჯობე, - დასძინა რაზუმინი რასკოლნიკოვის ძონძების შემხედვარემ. - დაჯექი, გეტყობა, დალილხარ ძალიან!

მუშამბაგადაკრულ თურქულ დივანზე რომ დაეშვა რასკოლნიკოვი მძიმედ, მაშინლა შენიშნა რაზუმინი, რომ იმისი სტუმარი ავად იყო.

- გეტყობა, მართლა ავად ხარ!

და მაჯის სინჯვა დაუწყო, მაგრამ რასკოლნიკოვმა ხელი გამოსტაცა.

- არ მინდა, - შეუძახა, - მოვედი... იცი, რადა? გაკვეთილები აღარა მაქვს... მინდოდა... მაგრამ არა, სულაც არ მინდა გაკვეთილები...

- იცი, რა გითხრა? შენ ბოდავ, მგონი! - შენიშნა რაზუმინინმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა.

- არა, არ ვბოდავ... - რასკოლნიკოვი დივნიდან წამოდგა. სრულებით არ უფიქრია, რაზუმინინთან რომ ადიოდა, თუ პირისპირ შეხვდებოდა, ახლა კი უცბად დარწმუნდა გამოცდილებით, რომ იმჟამად, ვისთანაც უნდა ყოფილიყო, არავისთან არ შეეძლო პირისპირ ყოფნა. შედგა თუ არა რაზუმინინის ოთახში ფეხი, კინალამ მაშინვე ბრაზმა დაახრჩო.

- მშვიდობით! - უთხრა უცბად და კარისაკენ გასწია.

- შენ ეი, ტუტუცო, მოიცა!

- არ მინდა... - გაუმეორა ისევ გაბრაზებულმა და ხელი გამოჰგლიჯა.

- თუ აგრე იყო, რაღა ეშმაკი მოგარბენინებდა. ხომ არ გაგიჟდი? ეს ხომ... საწყენიც კია. ასე არ გაგიშვებ.

- ყური დამიგდე, მაშ: შენთან იმიტომ მოვედი, რომ მეტს არავის ვიცნობ, დახმარება რომ შეეძლოს... იმიტომ, რომ შენ ყველაზე გულკეთილი და გონიერი ხარ და შეგიძლია განსაჯო... ახლა კი ვხედავ, რომ არა მინდა რა, გესმის, არა მინდა რა... არავისი დახმარება და შემწეობა არ მინდა... მე თვითონ... მარტოდ... მაგრამ, კმარა! თავი დამანებეთ!

- პატარახანს მოიცა, შენ ეი, მურიანო! სულ არ გადარეულა! როგორც გინდა, რა მენალვლება! გაკვეთილები, გესმის, არც მე მაქვს და არცთუ დავეძებ, მაგრამ „ტოლკუჩკაზე“ წიგნებით მოვაჭრე ვინმე ხერუვიმოვია, ესეც თავისებური გაკვეთილია. ამ ხერუვიმოვს ახლა ხუთ გაკვეთილზედ არ გავცვლიდი. იცი, რა გამოცემებსა და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო წიგნებს აბეჭდვინებს, ან როგორ იყიდება ეს წიგნები? მარტო სათაურები რად ღირს! აი, მაგალითად, შენ მუდამ ირწმუნებოდ, ტუტუცი ხარო, მაგრამ, ღმერთმანი, ჩემზე ტუტუცები კიდევ სხვები არიან! ახლა თითქოს მიმართულებაც აურჩევია; თვითონ, რასაკვირველია, ქვეყანაზე არა გაეგება რა, მაგრამ რა მენალვლება, ვუწონებ და ვაქეზებ. აი, აქაც ორ თაბახზე მეტი გერმანული დედანი მაქვს გადასათარგმნი; ჩემი აზრით, სულელური და თანაც შარლატანური რამ არის: ერთი სიტყვით, იმაზეა ლაპარაკი, ადამიანია ქალი თუ არა? რასაკვირველია, დიდი ამბით მტკიცდება, რომ ადამიანია. ხერუვიმოვი ამას ქალთა საკითხისათვის ამზადებს და მეც ვუთარგმნი. გასჭიმავს ამ ორ თაბახნახევარს ექვსად, ერთ ნახევარგვერდიან მაღალფარდოვან სათაურს მოვუგონებთ და ათ შაურად გავუშვებთ გასაყიდად. ივარგებს, არა უშავს რა! ნათარგმნ თაბახში ექვს მანეთს იძლევა; მაშასადამე, სულ თხუთმეტ მანეთამდე მერგება, ექვსი მანეთი წინდაწინ წამოვიღე. გავათავებთ ამას, ახლა ვეშაპებზე ვთარგმნით, მერე Confessions[12]-ის მეორე ნაწილიდან რომ რაღაც მოსაწყენი, უხალისო ჭორები ამოვინიშნეთ, იმის თარგმნას შევუდგებით. ვილაცას უთქვამს ხერუვიმოვისათვის, ვითომ რუსო რადიშჩევს ჰგავსო. რასაკვირველია, წინააღმდეგობას არ ვუწევ, დეე ეგონოს! თუ გინდა, „ადამიანია თუ არა ქალი?“-ს მეორე თაბახი გადათარგმნე? თუ გინდა, ახლავე წაიღე დედანი, კალმებიც, ქალღივიც - ყველაფერი ეს სახაზინოა - და სამი მანეთიც:

რაკი წინათვე გამოვართვი პირველისაც და მეორისაც, მაშასადამე, სამი მანეთი შენ გერგება. გაათავებ მთელ თაბახს და სამ მანეთს კიდევ სხვას მიიღებ. ოღონდაც დახმარებად კი არ მიიღო ჩემი მხრივ. პირიქით, შემოხვედი თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, რითი გამომადგებოდი. ჯერ ერთი, ორთოგრაფიაში ძლიერ სუსტი ვარ და მეორეც, გერმანულშიაც ზოგჯერ დიახაც ვკოჭლობ; ასე რომ, მეტწილად ჩემითა ვთხზავ და თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ვითომ უკეთ გამოდის. მაგრამ უკეთ გამოდის თუ არა, ეგ ვინ იცის, იქნებ უარესადაც გამოდის... წაიღებ თუ არა?

რასკოლნიკოვმა უჩუმრად აიღო გერმანული ფურცლები, სამი მანეთი და სიტყვა არ უთქვამს, ისე გამოვიდა. გაკვირვებულმა რაზუმინინმა თვალი გააყოლა, მაგრამ მივიდა თუ არა კუნძულის პირველ ქუჩამდე, რასკოლნიკოვი უცბად მობრუნდა, ავიდა ისევ რაზუმინინთან და ისევ ისე, სიტყვის უთქმელად მაგიდაზე დაუწყო გერმანული ფურცლები, სამი მანეთი და წავიდა.

- რაო, ბოდავ, თუ რა დაგემართა? - შეჰღრიალა ბოლოს გულმოსულმა რაზუმინინმა. - რასა სულელობ? ლამის არის, მეც დავთრები დამიბნო... მაშ, რიდასთვის მოეხეტებოდი?

- არ მინდა... თარგმანები... - წაიღუდუნა რასკოლნიკოვმა სწორედ იმ დროს, კიბეზე რომ ჩადიოდა.

- აბა, რა ეშმაკები გინდა? - დაჰყვირა ზემოდან რაზუმინინმა.

მაგრამ რასკოლნიკოვს აღარა უთქვამს რა, ისე ჩაიარა კიბე.

- შენ, ეი! სადა ცხოვრობ?

პასუხი არ აღირსა.

- არ გინდა და, ეშმაკმა წაგიღოს!..

რასკოლნიკოვი ამ დროს უკვე ქუჩაში გადიოდა. ერთმა მეტად უსიამოვნო შემთხვევამ ერთხელ კიდევ გამოარკვია ნიკოლოზის ხიდზე: ვიღაც მეეტლემ ზორბად გადააწნა ზურგზე შოლტი, იმიტომ რომ სამჯერ-ოთხჯერ დაუყვირა, მომეცალეო, მაგრამ მაინც კინაღამ ცხენებს ჩაუვარდა ფეხქვეშ. ისე ემწვავა შოლტი რასკოლნიკოვს, რომ იმავე წამს განზე გახტა, მოაჯირისკენ (რატომღაც ზედ შუა ხიდზე მიდიოდა, სადაც ეტლები დაიარება და არა ფეხით მოსიარულეები) და გამწარებულმა კბილებსლა დააწყებინა ღრჭიალი. რასაკვირველია, ირგვლივ ყველას სიცილი წასკდა.

- ახია მაგაზე!

- ვიღაცა მაწანწალა უნდა იყოს!

- მოიმთვრალეებს თავს, ეტლს ძალათი ჩაუვარდება და პასუხი კი შენ უნდა აგო.

- ხელობად აქვთ, ჩემო კარგო, გადაქცეული, ხელობად[13]!..

სწორედ იმ დროს, მოაჯირთან რომ იდგა და გაბოროტებული როგორღაც უგუნურად გაჰყურებდა გაქროლებულ ეტლს და თან ზურგზე ისვამდა ხელს, უცბად იგრძნო, რომ ვიღაცამ ხელში ფული ჩაუდო. შეხედა რასკოლნიკოვმა: გვერდით ედგა ხნიერი,

თბილ ქუდა და თბილ ფეხსაცმელში გამოწყობილი ვაჭრის ცოლი, რომელსაც თან ახლდა შლიაპიანი და მწვანეკოლოვანი ქალიშვილი. „მიიღე, ქრისტეს გულისათვის“. რასკოლნიკოვმა გამოართვა და იმათაც გაიარეს. აბაზიანი მიეცათ. მართალია, ტანისამოსითა და გარეგნობით ქუჩის მათხოვარს ძალიან ჰგავდა, მაგრამ აბაზიანი უთუოდ შოლტმა გამოამეტებინათ.

დაკუმმა ხელში აბაზიანი, ათიოდე ნაბიჯი გაიარა, პირი ნევისაკენ ქნა და სასახლისაკენ გაიხედა. არსად ცაზე ღრუბელი არ ჩანდა, ნევას კი ლურჯად გაჰქონდა ლაპლაპი, რაც მეტად იშვიათია ხოლმე. არსაიდან ტაძრის გუმბათი ისე მშვენივრად არ მოჩანს, როგორც ხიდიდან, სამლოცველომდე ოციოდე ნაბიჯზე. გუმბათს კრიალი გაჰქონდა, შეიძლებოდა თითოეული მისი ჩუქურთმა ცალ-ცალკე გაურჩია ადამიანს. შოლტისაგან ნატკენი ნელ-ნელა დაუამდა, დაავიწყდა თითქმის. მხოლოდ ერთი რამ მოუსვენარი და გამოურკვეველი ფიქრიღა აწუხებდა ახლა. იდგა და სადღაც შორს, შორს გაიყურებოდა; ეს ადგილი როგორღაც საგანგებოდ ეცნაურებოდა. უნივერსიტეტში რომ დაიარებოდა ხოლმე, - უფრო ხშირად კი შინისაკენ დაბრუნებისას, - ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა ამავე ადგილას და მართლაცდა საუცხოო სანახაობისათვის უცქერია. მაგრამ ყოველთვის გაუკვირვებია რაღაც გამოურკვეველსა და გამოუცნობ შთაბეჭდილებას. როგორღაც გაჰყინავდა ხოლმე თითქოს ეს დიდებული სანახაობა; არაფერს ცხოველს არ აგრძნობინებდა, უტყვი იყო ხოლმე იგი... მუდამ აკვირვებდა თავისი ასეთი დაღვრემილობა და გამოურკვეველი შთაბეჭდილება და მის ახსნასა და განმარტებას სულ სამერმისოდ ინახავდა, თავის თავს არ ენდობოდა. უცბად ნათლად მოაგონდა ყველა ეს წარსული კითხვა და მიუხვედრელობა და ეჩვენა, ვითომ უნებლიეთ არ გახსენებია ახლა ისინი. გააკვირვა და უცნაურად ეჩვენა თვითონ ის გარემოებაც, რომ წინანდელივით იმავე ადგილას შედგა, თითქოს მართლაც შესძლებოდა წარსული საგნებითა და სურათებით გატაცება, ანდა იმაზე ფიქრი, რაზედაც წინათ, სულ ახლახან შეეძლო. სასაცილოდ ეჩვენა კიდევ, მაგრამ ამავე დროს გულიც შეჰხუთა და ატკინა. სადღაც, უსაზღვროდ ღრმად, თითქმის მის ფეხთა ქვეშ გამოჩნდა მთლად მისი წარსული, წარსული ფიქრები, წარსული ამოცანები, თემები და შთაბეჭდილებანი, მთელი ეს სანახაობა და მათთან ერთად თვითონაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, ყველაფერი... მაგრამ აგერ გაფრინდა თვითონ სადღაც და ყოველივე თვალთაგან მიეფარა... როგორღაც უცბად ხელი გაიქნია უნებურად და იგრძნო, რომ მუჭაში აბაზიანი უჭირავს. გაშალა მუჭი, დააკვირდა აბაზიანს და საჩქაროდ წყალში გადაუძახა. მობრუნდა მერე და შინისაკენ გასწია. ეჩვენა, ვითომ ამ წუთს მაკრატლით მოეკვეთოს თავისი თავი ყველსაგან და ყველაფრისაგან.

სადამო ჟამი იყო უკვე, შინ რომ დაბრუნდა; მაშასადამე, მთელი ექვსი საათი ევლო. როგორ და რანაირად დაბრუნდა უკან, აღარ ახსოვდა. გაიხადა მაშინვე ტანისამოსი და ქანცგაწყვეტილი ცხენივით ამაგმაგებული მიწვა დივანზე, წაიხურა თავისი თბილი პალტო და იმავე წამს ბურანმა წაიღო.

უკვე ხშირი ბინდი იყო, რომ საშინელმა ყვირილმა გამოაღვიძა. ოჰ, ღმერთო, რა საზარელი ყვირილი იყო. ჯერ არსად სმენია ასეთი არაბუნებრივი ხმები, წივილ-კივილი, ბლავილი, ქვითინი, ცემა და ლანძღვა-გინება. ასეთ სიმხეცეს, კაცის ასეთ გაცოფებას წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენდა. ზარდაცემული წამოიწია და წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ შიშისაგან ყოველ წამს გული მისდიოდა, საშინლად იტანჯებოდა. ჩხუბი, ყვირილი და ლანძღვა-გინება თანდათან მწვავდებოდა. უცბად

კი გასაკვირველი რამ მოხდა: დიასახლისის ხმა მოესმა. წიოდა და მოთქვამდა საბრალო, ასე რომ სიტყვების გარჩევა არც კი შეიძლებოდა, მაგრამ ის კი აშკარად ჩანდა, რომ კიბეზე ვიღაცას ემუდარებოდა, - ისე უწყალოდ აღარ ეცემათ, გაეშვათ. მის მცემელს ბრაზმა და გაცოფებამ ხმა ლამის მთლად ჩაუხრინწა; მაგრამ ჩქარ-ჩქარა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხრიალით მაინც რაღაცას ამბობდა. უცბად რასკოლნიკოვს ფოთოლივით დააწყებინა ცახცახი: ეცნო ის ხმა. ეს იყო ილია პეტროვიჩის ხმა. ის არის, სწორედ ის, დიასახლისს სცემს! წიხლითა სცემს, თავს კიბეზე ახლევიანებს: - ხმაზე, ტირილზე, ცემაზე ეტყობა! რა ამბავია ეს, ქვეყანა ხომ არ გადაბრუნდა? ისმოდა, როგორ გროვდებოდა ხალხი ყველა სართულიდან, კიბეებიდან, ხმაურობდნენ და ყვიროდნენ, ადიოდ-ჩადიოდნენ, აბრაგუნებდნენ, კარებს აჯახუნებდნენ, მორბოდნენ. „მაგრამ რადა სცემს, რად, ან როგორ შეიძლება!“ - იმეორებდა თავისთვის და თან ნამდვილად ფიქრობდა, ჭკუიდან ხომ არ შევიშალო. მაგრამ არა, არა, ნათლად ესმის ყველაფერი!.. მაშ, რაკი აგრეა, ეტყობა, იმასთანაც მალე მოვლენ, „იმიტომ, რომ... გუშინდელი ამბის გამოა უთუოდ ყველაფერი... ღმერთო!“ უნდოდა კარი გადაერაზა, მაგრამ ხელი აღარ ემორჩილებოდა... თუმცა უსარგებლოც იყო! შიშმა უცბად სული შეჰყინა, გასტანჯა, გააშეშა... მაგრამ, ჰა, ჩაჩუმდა ბოლოს თითქოს მთელი ეს ხმაური, რომელიც მთელ ათ წუთს გაგრძელდა. კვნესოდა და ოხრავდა დიასახლისი, ილია პეტროვიჩი კი ისევ იმუქრებოდა და ილანძლებოდა... მაგრამ თითქოს ისიც გაჩუმდა. აღარა ისმის რა. „ნუთუ წავიდა! ღმერთო!“ აგერ დიასახლისიც მიდის, მაგრამ ჯერ ისევ კვნესის და ტირის... აგერ, კარიც მიიჯახუნა... აგერ, ხალხიც ნელ-ნელა იშლება, ყველა თავისი ბინისაკენ მიდის, - ოხრავენ, კამათობენ, ერთმანეთს ეხმაურებიან; ხან თითქოს ყვირიან, ხან კი ჩურჩულით ლაპარაკობენ. ეტყობა, ბლომად იყვნენ. მთელი სახლი იქ იყო, ვგონებ. „მაგრამ ნუთუ, ღმერთო, ყველა ეს შესაძლებელია! ან რად მოვიდა აქ, რად!..“

ფიქრში წასული, დაუძლურებული დაეცა დივანზე, მაგრამ თვალი აღარ მოუხუჭავს. მთელი ნახევარი საათი ისეთ ტანჯვასა და აუტანელ შიშსა გრძნობდა, მსგავსი რამ ჯერ არ გამოეცადა. უცბად ოთახი შუქმა გააკაშკაშა: კარი გაიღო და შემოვიდა ნასტასია, რომელსაც ხელში სანთელი და მათლაფით წვენი ეჭირა. დაკვირვებით დააცქერდა, მაგრამ რა ნახა, არა სძინავსო, სანთელი მაგიდაზე დადგა და პური, მარილი, თევში და კოვზი იქვე დაალაგა.

- ვიცი, გუშინდლიდან არა გიჭამია რა. მთელი დღე გარეთ დაეხეტებოდი, ახლა კი როგორ გაბაზანებს.

- ნასტასია... დიასახლისს რად სცემდნენ?

ნასტასიამ გაკვირვებით შეხედა.

- ვინ სცემდა დიასახლისს?

- ახლა არ იყო... ამ ნახევარი საათის წინათ, ილია პეტროვიჩი, უბნის ზედამხედველის თანაშემწე, სცემდა კიბეზე... რად სცემდა აგრე, ან რად იყო აქ?

ნასტასია ჩუმად და წარბეჭმუხნილი მიშტერებოდა. არ ესიამოვნა რასკოლნიკოვს მისი ცქერა, პირიქით, შეეშინდა კიდეც.

- რას გაჩუმებულხარ, ნასტასია? - ჩაეკითხა ბოლოს გაუბედავად, სუსტი ხმით.

- სისხლია მიზეზი, - უპასუხა ბოლოს ხმადაბლა ნასტასიამ, თითქოს თავისთვის ამბობსო.

- სისხლი!.. რა სისხლი?... ბუტბუტებდა გაფითრებული რასკოლნიკოვი და თან უკან-უკან კედლისაკენ იწევდა.

ნასტასია კი ისევ ისე ჩუმად განაგრძობდა ცქერას.

- არავისაც არ უცემია, - უპასუხა ბოლოს მტკიცედ.

შეჰყურებდა რასკოლნიკოვი და ძლივსღა სუნთქავდა.

- მე თვითონ გავიგონე... არ მძინებია... ვიჯექი, - ჩაილაპარაკა უფრო გაუბედავად, - დიდხანს ვუგდებდი ყურს... ზედამხედველის თანაშემწე მოვიდა... ყველანი კიბეზე გამოცვივდნენ ბინებიდან...

- არავინაც არ მოსულა. სისხლი გალაპარაკებს უთუოდ, აგრე იცის, როცა მარღვებში შედედდება, იმიტომაც გეჩვენება... სჭამ რასმე თუ არა?

რასკოლნიკოვი პასუხს არ აძლევდა. ნასტასიაც ერთ ადგილას იდგა და გამტერებული უყურებდა, არ მიდიოდა.

- წყალი დამალევინე... ნასტასიუშკა.

ჩავიდა ქვევით ნასტასია და ორი წუთის შემდეგ თიხის თეთრი ტოლჩით წყალი ამოუტანა; მაგრამ მერე რა მოხდა. აღარ ახსოვდა რასკოლნიკოვს. ახსოვდა მხოლოდ, რომ მოსვა ცოტათი ცივი წყალი და გულზედაც გადაისხა. მერე ისევ უგონოდ შეიქნა.

III

მაგრამ მთელი ეს ხანი, რაც ავად იყო, უგონოდ როდი ყოფილა: აციებდა და ბოდავდა, მაგრამ ნახევრად თითქმის ყველაფერსა გრძნობდა. ბევრი რამაც მოიგონა შემდეგ. ხან ეჩვენებოდა, ვითომ მის ირგვლივ ხალხი იკრიბებოდა და სადღაც უნდა წაეყვანათ, ვითომ გარეთ უნდა გაეყვანათ, სულ იმის თაობაზე ეკამათებოდნენ და ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ხან ეჩვენებოდა, მარტო იყო ოთახში, ყველანი გასულიყვნენ მისი შიშით, იშვიათად თუ გამოაღებდნენ კარს ოდნავ, რომ შეეხედნათ როგორმე, ემუქრებოდნენ, ერთმანეთში რაღაცას ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, აჯავრებდნენ. ნასტასიასაც ხშირად ხედავდა თავის გვერდით. არჩევდა კიდევ ერთ ვიღაც ნაცნობ კაცს ვითომ, მაგრამ ვინ იყო ეს კაცი, ვერ მიმხვდარიყო და ამაზე საშინლად ჯავრობდა, ტიროდა კიდევ. ხან ეგონა, ვითომ მთელი თვეა ასე წევს; სხვა დროს კიდევ - ვითომ ისევ ის დღეა. მაგრამ ის კი, - ის მთლად დაივიწყა. მხოლოდ მუდამ წამს ახსოვდა, რომ დავიწყებული ჰქონდა რაღაც, რის დავიწყებაც არ შეიძლებოდა, - და იტანჯებოდა, წვალობდა, ოხრავდა; ზოგჯერ კი ბრაზობდა და შიშობდა კიდევ საშინლად. მზად იყო ამ დროს წამომხტარიყო და გაქცეულიყო, მაგრამ იჭერდნენ მუდამ და ისიც მოეშვებოდა, უგონოდ შეიქნებოდა ხოლმე. ბოლოს სულ მთლად მოვიდა გონს.

დილის ათი საათი იყო, ეს რომ მოხდა. დილდილობით ამ დროს მზე სწორედ ოთახის მარჯვენა კედელს მიეფინებოდა ხოლმე და კარის კუთხეს გაანათებდა. ლოგინთან იდგნენ ნასტასია და კიდევ ვიღაც სრულიად უცნობი კაცი, რომელიც

დიდი ცნობისმოყვარეობით დაჰყურებდა. ამ წვერიან ახალგაზრდას რუსული ხიფთანი ეცვა, გარეგნობით რომელიმე სავაჭრო ამხანაგობის კაცს მიაგავდა. ნახევრად ღია კარიდან დიასახლისი იყურებოდა. რასკოლნიკოვი წამოჯდა.

- ეს ვინ არის, ნასტია? - იკითხა მან და ახალგაზრდაზე ანიშნა.

- ეჰე, გონს მოვიდა, - შესძახა ნასტასიამ.

- გონს მოვიდა, - გამოეხმაურა ახალგაზრდა.

მიხვდა თუ არა დიასახლისი, მობრუნდაო, ღია კარიდან ქურდულად ცქერას თავი გაანება, მაშინვე კარი მიიხურა და მიიმალა. უიმისოდაც მუდამ მოკრძალებული იყო, ლაპარაკი და ახსნა-განმარტება ძალიან უჭირდა. ხნით უკვე ორმოცისა იქნებოდა, ფაშფაშა და ჩასუქებული, შათვალწარბა; კეთილიც იყო ალბათ სიზარმაცისა და სიმსუქნისაგან, საკმაოდ ეშხიანიც, ოღონდაც მეტისმეტად მორცხვიც.

- ვინა ხართ?... ჩაჰკითხა ისევ რასკოლნიკოვმა სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელს.

სწორედ ამ დროს ყურთამდე გაიღო კარი და შემოვიდა რაზუმინი, წელში ოდნავ მოხრილი, რადგან ტანად მაღალი იყო და ისე ვერ შემოეტეოდა.

- გემის კაიუტაა თუ რა უბედურება, - შეჰყვირა, როგორც კი ფეხი შემოდგა, - უთუოდ უნდა შუბლი შევარტყა ხოლმე. ესეც ბინაა, რაღა! შენ, ძმაო, გონს მოხვედი? ეს არის პაშენკამ მითხრა.

- ეს-ეს არის გამოერკვა, - შენიშნა ნასტასიამ.

- დიახ, ეს-ეს არის, - დაადასტურა ისევ სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელმა ღიმილით.

- თქვენა, თქვენ ვილა ბრძანდებით? - მიმართა უცბად რაზუმინმა უცნობს. - მე, მაგალითად, რაზუმინი გახლავართ. რაზუმინი კი არა, როგორც ყველანი მეძახიან, ვრაზუმინი, სტუდენტი, აზნაურის შვილი. ეს კი ჩემი მეგობარია. თქვენ ვილა ბრძანდებით?

- მე ჩვენს კანტორაში ვმსახურობ მეარტელედ, ვაჭარ შელოპაევის კანტორაში და აქ სამისათვის გეახელით.

- ინებეთ, სკამზე დაბრძანდით, - თვითონ რაზუმინი კი სხვა სკამზე დაჯდა მაგიდის მეორე მხარეს. - კარგად ინებე, ძმაო, რომ გონს მოხვედი, - უთხრა რასკოლნიკოვს. - მეოთხე დღეა, ძლივსა სჭამ და სვამ. მართალს გეუბნები, კოვზით გასმევდით ჩაის. ორჯერ ზოსიმოვიც მყავდა შენთან. გახსოვს ზოსიმოვი? ყურადღებით გაგსინჯა და მაშინვე თქვა: უბრალო რამ არის, თავში რაღაც ავარდნიაო. ნერვების ოხრობა ყოფილა, თუ რაღაცა; სასმელ-საჭმელი ცუდი ჰქონდა; ლუდი და ხოხნოტა ცოტა მოუვიდა, იმიტომ დამართნია, მაგრამ არა უშავს რა, გაუვლისო. ყოჩალი რამ არის ზოსიმოვი! დიდებულად წამლობს უკვე. აბა, მე თქვენ დროს არ დაგაკარგვინებთ, - მიმართა ისევ სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელს, - ინებეთ და გაგვაგებინეთ, რისთვის გარჯილხართ? იცი, როდია, ამათი კანტორიდან ეს

მეორედ გკითხულობენ, მაგრამ წინათ სხვა იყო, ვილაპარაკეთ კიდეც. თქვენამდე ვინ იყო აქ?

- უთუოდ გუშინწინ იქნებოდა, დიახ. ალექსეი სემიონოვიჩი იქნებოდა. ისიც ჩვენს კანტორაში მსახურობს.

- ის თქვენზე უფრო მიხვედრილი და გაგებული იქნება, როგორ გგონიათ?

- დიახ; უფრო დარბაისელია...

- კარგით მაშ, აბა განაგრძეთ.

- აი, აფანასი ივანიჩ ვახრუშინისაგან, რომელიც, უეჭველია, კარგად მოგეხსენებათ, დედათქვენის თხოვნით ჩვენმა კანტორამ თქვენს სახელზე ფული მიიღო, - დაიწყო სავაჭრო ამხანაგობის კაცმა და პირდაპირ რასკოლნიკოვს მიმართა, - თუ შეგიძლიათ და გონზე ხართ, სამთუმან-ნახევარი ჩაიბარეთ, რადგან სემიონ სემიონიჩმა აფანასი ივანიჩისაგან თქვენი დედის თხოვნით წინანდელივით ცნობა მიიღო ამის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ?

- დიახ... მახსოვს... ვახრუშინი... - ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა რასკოლნიკოვმა.

- გესმით? ვაჭარი ვახრუშინი სცნობია! - შეჰყვირა რაზუმიხინმა. - როგორ არ არის გონზე? მაგრამ გატყობთ, თქვენც გაგებული კაცი ყოფილხართ. მერე, მერე! ჭკვიანური რამ მუდამ საამო გასაგონია.

- დიახ, ის არის სწორედ ვახრუშინი, აფანასი ივანიჩი, რომელმაც დედათქვენის თხოვნით ერთხელ კიდეც წინათაც გამოგიგზავნათ ასე; ახლაც არ უთქვამს უარი და სემიონ სემიონიჩისათვის შემოუთვლია, რომ სამთუმან-ნახევარი გადმოგცეთ, დიახ, უკეთესის მოლოდინში, დიახ.

- აი, სწორედ ეგ „უკეთესის მოლოდინი“ მოგივიდათ კარგად. არც „დედათქვენის“ შესახებ იყო ურიგოდ. მაინც როგორ არის ახლა, თქვენი ფიქრით, თავის ჭკუაზეა თუ არა, ჰა?

- ჩემთვის ორივე ერთია. ხელწერილს მომცემდნენ ოღონდ.

- დაჩხაპნის! არა უშავს რა. დავთარი რამ გაქვთ, თუ როგორ არის? - დიახ, დავთარი მაქვს, აი.

- მოიტათ აქ. აბა, როდია, წამოჯექ. მე დაგიჭერ; დაიჭი კალამი და მოუწერე: რასკოლნიკოვი-თქო, თორემ ხომ იცი, ძმაო, როგორ გვიჭირს ფული.

- არ მინდა, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და კალამს ხელი აუკრა.

- რა არ გინდა?

- ხელს არ მოვაწერ.

- ფუჭ, ეშმაკო, მაშ, როგორ გინდა, ხელმოუწერლად?

- ფული... არ მინდა...

- როგორ, ფული არ გინდა? არა, ძმაო, მიჰქარავ, მოწმე ვარ აგერ! ნუ სწუხართ, გეთაყვა. ისე ამბობს, თორემ... ბოდავს ისევ... თუმცა ცხადლივაც ემართება ხოლმე ასე... ვიცი, შეგნებული კაცი ხართ. ავიღებთ ჩვენც და ვუხელმძღვანელებთ, ესე იგი, მოვაწერინებთ და მორჩა, გათავდა. დაიწყეთ, აბა...

- რათა, შემძლია სხვა დროსაც შემოვიარო.

- არა, არა. რად უნდა შეწუხდეთ. შეგნებული კაცი ხართ... აბა, როდია, ნულარ აცდევინებთ სტუმარს... ხომ ხედავ, იცდის, - და მართლა მოემზადა ძალით მოეწერინებინა ხელი.

- გამიშვი, მე თვითონ... - წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა, აიღო კალამი და ხელი მოაწერა.

სავაჭრო ამხანაგობის კაცმაც მაშინვე ფული გადაუთვალა და წავიდა.

- ვაშა! ახლა რას იტყვი, ძმაო, არასა სჭამ?

- შეიძლება ვჭამო, - მიუგო რასკოლნიკოვმა.

- წვნიანი გაქვთ?

- დიახ, გუშინდელი! - მიუგო ნასტასიამ, რომელიც მთელი ეს ხანი იქვე იდგა.

- კარტოფილითა და ბრინჯით?

- დიახ.

- ზეპირად ვიცი. მოიტა, მაშ, წვნიანს და ჩაიც მოაყოლე.

- მოვიტან.

ყოველივე ამას რასკოლნიკოვი ღრმად განცვიფრებული, გაშტერებული და თითქმის შეშინებული უყურებდა, მაგრამ გადაწყვიტა გაჩუმებულიყო და ენახა, რა იქნებოდა შემდეგ? „მგონი, არ ვბოდავ, - ფიქრობდა, - მგონი, ყველაფერი ეს ნამდვილად ხდება...“

ორი წუთის შემდეგ ნასტასიამ წვნიანი შემოიტანა და გამოაცხადა, რომ ახლავე ჩაისაც მოიტანდა! წვენს მოაყოლა ორი კოვზი, ორი მათლაფა და სუფრის სხვა მოწყობილობა: სამარილე, საპილპილე, მდოგვი ხორცისათვის და სხვა, რაც დიდი ხანია ამ წესითა და რიგით არ უნახავს რასკოლნიკოვს. სურაც სუფთა იყო.

- ურიგო არ იქნება, ნასტასიუშკა, პრასკოვია პავლოვნამ ერთი-ორი ბოთლი ლუდიც წარმოგზავნოს, გეახლებოდით.

- ამას დამიხედეთ! - წაიდუდუნა ნასტასიამ და ბრძანების შესასრულებლად გავიდა.

გაშტერებული და დამაბული შეჰყურებდა კვლავ რასკოლნიკოვი. რაზუმბინი დივანზე გადაჯდა, დათვივით მოჰხვია მარცხენა ხელი თავზე, თუმცა რასკოლნიკოვს თვითონაც კარგად შეეძლო წამოწევა, წამოსვა ლოგინზე, აიღო კოვზით წვენი, რამდენჯერმე შეუბერა, რომ პირი არ დასწვოდა, და მიაწოდა. მაგრამ წვენი ოდნავ იყო თბილი. რასკოლნიკოვმა ხარბად შეხვრიპა ჯერ ერთი, მერე მეორე

და მესამე კოვზი. მაგრამ შეახვრიპა თუ არა რამდენიმე კოვზი, რაზუმინინი უცბად შედგა და გამოუცხადა, რომ მეტს ველარ აჭმევდა, ზოსიმოვს უნდა ვკითხოთო.

ნასტასიაც შემოვიდა და ორი ბოთლი ლუდი შემოიტანა.

- ჩაი არ გინდა?

- მინდა.

- მოიტა ჩქარა, ნასტასია, ჩაისაც ხომ ფაკულტეტის ნებართვა არ სჭირდება. აგერ ლუდიც! - გადაჯდა ისევ თავის სკამზე, მიდგა წვენი და ხორცი და ისე მადიანად დაუწყო ჭამა, თითქოს სამი დღეა, გემოთ არა უნახავს რაო.

- მე, ძმაო როდია, ახლა ყოველ დღე ასე ვსადილობ თქვენსა, - წაიბუტბუტა რაზუმინინმა, როგორც შეძლო, რადგან პირი ხორციტ ჰქონდა გამოტენილი. - მერე, იცი, ვისი წყალობაა? პაშენკასი, შენი დიასახლისისა; სულითა და გულით ცდილობს მასიამოვნოს. მე, რასაკვირველია, არც ძალას ვატან, მაგრამ არცთუ ვეწინააღმდეგები. აგერ, ნასტასიასაც ჩაი მოაქვს. რა მარდი ვინმეა ნასტენკა. ლუდი არ გინდა?

- ნუ მასხრობ ერთი და!

- ჩაი?

- ჩაი რატომაც არა, შეიძლება!

- დაისხი. მაგრამ არა, მოიცა, თვითონ დაგისხამ. აბა, მიუჯექ მაგიდას, - გაამზადა ყველაფერი, დაასხა ერთი ფინჯანი, მერე მეორე, გაანება თავი ჭამას და ისევ დივანზე გადაჯდა. წელანდელივით მარცხენა ხელი ისევ თავზე შემოჭხვია რასკოლნიკოვს, წამოსვა და დაუწყო კოვზით ჩაის დალევინება. თან გაცხარებული უბერავდა კოვზს, თითქოს სწორედ ეს იყო უმთავრესი და ამას შეეძლო ავადმყოფი ფეხზე დაეყენებინა. რასკოლნიკოვი ჩუმად იყო და სრულიად არ უწევდა წინააღმდეგობას, თუმცა კარგადა გრძნობდა, რომ არამცთუ წამოჯდომა და კოვზის დაჭერა, ან სხვის დაუხმარებლად ჭამა, სიარულიც კი შეეძლო. მაგრამ რაღაც უცნაური, წმინდა ცხოველური ეშმაკობით მოისურვა უცბად ყველა ეს დრომდე დაეფარა, ისე ეჩვენებინა თავი, ვითომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა, და მოესმინა და გამოერკვია, რაც კი მის გარშემო ხდებოდა. მაგრამ ვერ შეიმარა ზიზღის გრძნობა: ერთი ათიოდე კოვზი ჩაი შესვა, მერე უცბად გამოჰგლიჯა თავი რაზუმინინს, ჰკრა ხელი კოვზს და ბალიშზე მიეგდო. თავქვეშ ახლა მართლაც წმინდა ბუმბულის ბალიშები ეწყო, სუფთა საურებიანი; მან, რასაკვირველია, ესეც შენიშნა და საგულისხმოდ მიიჩნია.

- პაშენკამ დღესვე ჟოლოს მურაბა უნდა ამოგვიგზავნოს, რომ მურაბიანი წყალი დავაღვინოთ ხოლმე, - თქვა რაზუმინინმა და ისევ წვნიანს და ლუდს მიუჯდა.

- მერე, ჟოლო სად უნდა გიშოვნოს? - ჩაჰკითხა ნასტასიამ, რომელსაც გაფარჩხულ ხუთ თითზე დაედგა ლამბაქი და ისე სვამდა, შაქრის კვინტი კი პირში ჰქონდა.

- სად და დუქანში, ჩემო მეგობარო. ხედავ, როდია, უშენოდ აქ მთელი ამბავი მოხდა. გახსოვს, ისე ავაზაკურად რომ გამომექეცი და ბინაც კი არ გამაგებინე, სადა ცხოვრობდი. უცბად ისე გამაბრაზა ამან, რომ გადავწყვიტე, მაშინვე როგორმე მეპოვნე და დამესაჯე კიდევ. საქმეს იმავე დღეს შევუდექი. ვიარე, ვიარე, ყველგან ვიკითხე,

ყველას გამოვკითხე! ეს ახლანდელი ბინა სრულებით დავიწყებული მქონდა, თუმცა, მართალი რომ ვთქვა, არცთუ როდისმე

მხსომებია, იმიტომ, რომ არც ვიცოდი. წინანდელი კი მახსოვდა, რომ „ხუთ კუთხესთან“ იყო, ხარლამოვის სახლში. ვეძებე, ვეძებე ეს ხარლამოვის სახლი და გამოდგა, რომ ხარლამოვისა კი არა, ბუხისა ყოფილა; ხომ ხედავ, ზოგჯერ ბგერათა ერთხმოვანება როგორ მოატყუებს კაცს. ძალიან გავბრაზდი სწორედ. გავბრაზდი და მეორე დღეს ავიღე და სამისამართო სახლისაკენ გავსწიე. წარმოიდგინე, როდია: ორ წამში მიპოვეს, სადა ცხოვრობდი. იქა სწერიხარ.

- ვწერივარ!

- რასაკვირველია; ვიღაც გენერალი კობლევი კი ვერაფრის გულისთვის ვერ იპოვეს. მაგრამ რაღა გავაჭიანურო. მოვედი თუ არა, მაშინვე ყველა შენი საქმე გავიგე; ყველა, ძმაო! ყველაფერი ვიცი. აგერ, მოწმე; ნიკოდიმ ფომიჩიც გავიცანი, ილია პეტროვიჩიც დამანახვეს, მეუზოვეც, ბატონი ზამეტოვიც, ალექსანდრე გრიგორიევიჩიც, აქაური კანტორის საქმისმწარმოებელი და, ბოლოს, პაშენკაც გავიცანი. ამით დავაკვირვებინე საქმე; თორემ აი, ამანაც იცის...

- დაშაქრა რაღა, - წაიდუღუნა ნასტასიამ და ეშმაკურად გაიღიმა.

- რატომ შაქარს არ ჩაიგდებთ, ნასტასია ნიკიფოროვნა.

- გეყოფა, კარგი, ცეტო! - შეჰყვირა უცბად ნასტასიამ და სიცილი წასკდა. - პეტროვნა ვარ და არა ნიკიფოროვნა, - დასძინა ბოლოს, სიცილი რომ შეიმაგრა.

- გვეხსომება. მაშ ასე, ძმაო, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მინდოდა პირველადვე ელექტრონის ტალღა მიმეშვა, რომ ყველა ადგილობრივი ცრუმორწმუნეობა უცბად ამომეგდო ძირფესვიანად, მაგრამ პაშენკამ მაჯობა. არ მეგონა, ძმაო, თუ ასეთი... მიმზიდველი იქნებოდა... ჰა? შენ რას იტყვი?

რასკოლნიკოვი დუმდა, თუმცა შემფოთებული ერთ წამსაც არ აშორებდა თვალს რაზუმიხინს და ახლაც დაჟინებით მიშტერებოდა.

- ძალიან კარგი ყოფილა, - განაგრძობდა რაზუმიხინი, და თითქოს ადასტურებს პასუხსო, თამამად განაგრძობდა, - ძალიან კარგი ყოფილა, ძალიან.

- ვერა ჰყურობთ! - შეჰყვირა ნასტასიამ, რომელსაც ეტყობოდა განსაკუთრებით ეამებოდა ეს ლაპარაკი.

- ცუდი გიქნია, ძმაო, რომ საქმეს თავიდანვე არ შესდგომიხარ. ასე როდი უნდა მოჰქცეოდი. ის ხომ სრულიად მოულოდნელი ხასიათისაა! მაგრამ ხასიათის შესახებ შემდგომ... არა, როგორ მიიყვანე იქამდე საქმე, რომ სადილსაც აღარ გაჭმევდა? ან ეს თამასუქი რამ დაგაწერინა? გაგიჟდი თუ რა იყო, რომ თამასუქზე ხელს უწერდი. ან ეს განზრახული ჯვრისწერა, ქალი, ნატალია ეგოროვნა რომ ჯერ ისევ ცოცხალი ჰყავდა... ყველაფერი ვიცი, მაგრამ ვხედავ, რომ ყოველივე ეს გრძნობისა და გულის საქმეა და მე ვირი ვარ, რომ ვერევი; მაპატიე. მაგრამ, მართლა, რაკი სისულელე ვახსენე: როგორა გგონია, პრასკოვია პავლოვნა არცთუ ისე სულელია, პირველ ნახვაზე რომ ეჩვენება ადამიანს, არა?

- მართალია... - ძლივს წაილულულა რასკოლნიკოვმა და თან გვერდზე იყურებოდა, თუმცა ესმოდა, რომ საუბარში ჩაბმა მისთვის უფრო სახიერო იყო.

- ხომ აგრეა, არა? - შეჰყვირა რაზუმინინმა, თითქოს გაიხარა, რომ უპასუხესო, - მაგრამ არცთუ ჭკვიანია, ჰა? სრულიად მოულოდნელი ხასიათისაა! ცოტა არ იყოს, ძმაო, კიდეც დავიბენი, გარწმუნებ... ორმოცისა ხომ ნამდვილად იქნება. მართალია, თვითონ იმახის ოცდათექვსმეტისა ვარო, თუმცა უფლებაც აქვს. მაგრამ რა საჭიროა. გეფიცები, უფრო მეტაფიზიკურად ვმსჯელობ, გონებით იმის შესახებ; აქ, ძმაო, ისეთი ამოცანა აგვიჩნდა, რომ შენი ალგებრაც კი ვერას გახდება! არა მესმის რა! მაგრამ ყველა ეს სისულელეა. ნახა, ძმაო, რომ სტუდენტად აღარ ითვლებოდი და გაკვეთილებიც დაკარგე; ნახა, რომ ტანთაც შემოგაცვდა; ქალიც მოუკვდა, მაშასადამე, როგორც ნათესავს ისე ვედარ გიყოლიებდა სახლში და შეეშინდა. რაკი შენც მთლად განმარტოვდი და ძველი ერთობა მოსპე, მოინდომა ბინიდან დაეთხოვე. თურმე დიდი ხანია ამ განზრახვის შესრულება უნდა, მაგრამ თამასუქი ენანებოდა. მით უფრო, რომ შენ არწმუნებდი თურმე, დედა გადაგიხდისო...

- მართალია, ვეუბნებოდი, იმიტომ რომ გათახსირებული ვარ... თვითონ დედა თითქმის მოწყალებასა თხოულობს... მე კი ვცრუობდი და განგებ ვატყუებდი, რომ ბინიდან არ გავეგდე და საჭმელი ეძლია, - უპასუხა გარკვევით და ხმამაღლა რასკოლნიკოვმა.

- გონივრულადაც მოქცეულხარ. საქმე ისაა მხოლოდ, რომ ეშმაკად საიდანღაც ეგ ნადვორნი სოვეტნიკი და საქმის კაცი ბ-ნი ჩებაროვი ასჩენია. უამისოდ პაშენკა სულ ვერას მოიფიქრებდა, იმიტომ რომ მეტად მორცხვია. საქმიანი კაცი კი მოურიდებელია და, რა თქმა უნდა, მაშინვე თურმე ის იკითხა: არის რამე იმედი თამასუქის განაღდებისაო? პაშენკასაც უთქვამს: არისო; იმიტომ რომ დედას აქვს თორმეტი თუმანი პენსია და ის ისეთი ქალია, თვითონ არასა სჭამს და თავის როდიას კი გამოიხსნისო, დაც ისეთი ჰყავს, რომ მზად არის ძმისათვის თუნდაც მონობა იკისროსო. ჩებაროვსაც მეტი არა უნდოდა რა... რას იჩმუჩნები? ახლა ყველა შენი ამბავი დაწვრილებით ვიცი, ტყუილად კი არ უშლიდი სულსა და გულს პაშენკას, ნათესაობას რომ უპირებდი. მე კი მიყვარხარ და იმიტომ გეუბნები... მაშ რა გგონია: პატიოსანი და მგრძნობიარე ადამიანი გულახდილია, საქმიანი კი გისმენს და ილუკმება და ბოლოს შენც მიგაყოლებს. აილო პაშენკამაც და თამასუქი ჩებაროვს დაუთმო, ვითომდა სყიდვით; ჩებაროვმა კი უსინდისოდ მოითხოვა ვალის გადახდა. გავიგე თუ არა, სინდისის გასაწმენდად იმისთვისაც მინდოდა მეჩვენებინა სუსხი, მაგრამ, ვაი, რომ იმ დროს მე და პაშენკას უკვე სრული ჰარმონია გვექონდა; დავპირდი, თვითონვე გადაგიხდის-მეთქი. გესმის, ძმაო, შენი თავდებობა ვიკისრე! დავუძახეთ ჩებაროვს, ათიოდე მანეთი გადავაცლაპეთ და ქალაღი უკან დავიბრუნეთ. აგერ თამასუქიც, კარგად მივხიე კიდეც, დაიჭი, ახლა სიტყვითაც გენდობიან.

რაზუმინინმა ჯიბიდან თამასუქი ამოიღო. რასკოლნიკოვმა შეხედა, მაგრამ არა უთხრა რა და პირი კედლისაკენ იბრუნა. რაზუმინინსაც კი როგორღაც ეჩოთირა ეს.

- ვხედავ, ძმაო, რომ ისევ სისულელე ჩავიდინე, - წაილაპარაკა რამდენიმე წუთის შემდეგ; - მინდოდა როგორმე ყბედობით გამეხალისებინე და, მგონი, დაგანაღვლიანე მარტო.

- შენ იყავი, მაშ, ბოდვის დროს რომ ვერა გცნობდი? - შეეკითხა რასკოლნიკოვი მცირე სიჩუმის შემდეგ, ისევ ისე ზურგშექცეული.

- მე ვიყავი, ერთხელ კინალამ მთლად გადაირიე, განსაკუთრებით მაშინ, ზამეტოვი რომ მოვიყვანე.

- ზამეტოვი?... საქმისმწარმოებელი?... რატომ?

რასკოლნიკოვი სასწრაფოდ გადმოხრუნდა და თვალები რაზუმიხინს მიაშტერა.

- რაო, რა იყო, რა დაგემართა... რამ შეგაშფოთა? უნდოდა გაეცანი. თვითონვე მოინდომა, იმიტომ რომ ბევრი გვექონდა ნალაპარაკევი. აბა, ვისგან შევიტყობდი შენზე ამდენ ამბავს. მშვენიერი ახალგაზრდაა, საუცხოო... რასაკვირველია, მისებურად. ახლა უკვე მეგობრები ვართ; თითქმის ყოველდღე ერთმანეთს ვხვდებით. მეც ხომ აქეთ გადმოვედი. არ გაგიგია ჯერ? ეს არის გადმოვედი. ორჯერ ლავიზასთანაც ვიყავით მე და ის. გახსოვს ლავიზა, ლავიზა ივანოვნა?

- მერე, ვბოდავდი რასმე?

- ბოდავდი და აგრე! აღარა გაგეგებოდა რა.

- რასა ვბოდავდი?

- რა ვიცი, რასა ბოდავდი? არ იცი, რასა ბოდავენ ხოლმე... მაგრამ ტყუილად რომ დრო არ დავკარგოთ, საქმეს შევუდგეთ.

წამოდგა სკამიდან და ქუდს დასტაცა ხელი.

- რასა ვბოდავდი?

- რას ჩამაცივდი? იქნებ გგონია, საიდუმლო რამ გამოამჟღავნე? ნუ გეშინია, გრაფინიაზე არა გითქვამს რა. რაღაც ბულდოგებზე, ნიკოდიმ ფომიჩზე და ილია პეტროვიჩზეც კი, ზედამხედველის თანაშემწეზე, ბევრი რამ იყო ნათქვამი. გარდა ამისა, საკუთარ წინდაზე იწებეთ რატომღაც მეტისმეტად ბევრი ლაპარაკი! იხვეწებოდით: მომეცით და მომეცით წინდაო. თვითონ ზამეტოვი დაეძებდა ყველა კუნჭულში შენს წინდებს და სურნელოვანი წყლებით დაბანილი და ძვირფასი ბეჭდებიანი ხელით მოგაწოდა ეს სამაგლობა. მაშინლა დამშვიდდი და მთელი დღე-ღამე ხელიდან აღარ გაგიშვია; გამოგლეჯაც კი ვეღარ შევძელით. ახლაც უთუოდ საბანქვეშ სადმე გექნება ლოგინში. ეს არაფერი. ახლა კიდევ შარვლის დაძენძილი ტოტის ბოლოს თხოულობდი, მერე რა საცოდავად იხვეწებოდი! ბევრს ვეცადეთ და გეკითხებოდით: რა ძონძებიანო? მაგრამ ვერა გაგვაგებინე რა... აბა, მაშ, საქმეს შევუდგეთ! აგერ, აქ სამთუმან-ნახევარია. აქედან თუმანს წავიღებ და ანგარიშს ორი საათის შემდეგ წარმოგიდგენ. თან ზოსიმოვსაც შევატყობინებ, თუმცა უამისოდაც უნდა შემოევლო, მეთორმეტე საათია. თქვენ კი, ნასტენკა, ხშირ-ხშირად შემოჰხედეთ ხოლმე, იქნებ ან წყალი მოუნდეს, ან სხვა რამ. პაშენკას კი, რაც საჭიროა, მე თვითონ ვეტყვი ახლავე. ნახვამდის!

- ჰმ! პაშენკას ეძახის! ოი, შე ეშმაკო, შენა! - მიაძახა ნასტასიამ; გამოალო მერე კარი და ყური მიუგდო, მაგრამ ვერ მოითმინა და თვითონაც ქვევით გაქანდა.

საშინლად უნდოდა გაეგო, დიასახლისს რას ელაპარაკებოდა: ისიც კი ეტყობოდა, რაზუმინს რომ მთლად მოეხიბლა.

მოიხურა თუ არა კარი, ავადმყოფმა მაშინვე გადაიგდო საბანი და გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან. ათრთოლებული მოუთმენლად ელოდა, როდის წავიდოდნენ ორივენი, რომ საჩქაროდ შესდგომოდა საქმეს. მაგრამ რომელ საქმეს, რას? - თითქოს განგებ მთლად დაავიწყდა ახლა. „ღმერთო! გამაგებინე ერთი: ყველაფერი იციან უკვე, თუ ჯერ არა? მერე რომ იცოდნენ და მხოლოდ თავს მაჩვენებდნენ განგებ, ვითომ არა იციან რა! ვაითუ თვალთმაქობენ, მაღიზიანებენ, სანამ ლოგინში ვწევარ, მერე კი უცბად შემოვიდნენ და მითხრან: დიდი ხანია ყველაფერი ვიცით და მხოლოდ ისე, განგებ გიმალავდითო... რა ქნას ახლა? მაგრამ აი უბედურება, უცბად დაავიწყდა! თუმცა ეს-ეს იყო ახსოვდა, რა უნდა ექნა!

იღგა შუაგულ ოთახში, გარშემო იყურებოდა და ვერას მიმხვდარიყო, იტანჯებოდა; მერე კართან მივიდა, გამოაღო, ყური მიუგდო; მაგრამ, არა, ეს არ უნდოდა. უცბად მოაგონდა, ეცა კუთხეს და შპალერის ქვეშ, ნახვრეტში, ხელი შეჰყო, მიუსვ-მოუსვა, მაგრამ არც ეს უნდოდა. მივიდა ღუმელთან, გამოაღო კარი და ნაცარს დაუწყო ხელით ქექვა; შარვლის დამონძილი ნაჭერი და ჯიბის ნაგლეჯი ისევ ისე იქ ეყარა; მაშასადამე, არავის უნახავს! მოაგონდა უცბად, რაზუმინს რომ წინდაზე უამბობდა. მართლაც, აგერ დივანზე დევს საბანქვეშ, მაგრამ ისე გადალესილ და გაჭუჭყიანებულია, რომ, რასაკვირველია, ზამეტოვი ვერას გაარჩევდა.

„ვაი, ზამეტოვი!.. კანტორა!.. კანტორაში რად მეძახიან?.. უწყება სად არის? ვაი!.. ავირიე: მაშინ იყო, რომ მეძახდნენ. მაშინაც წინდას ვსინჯავდი, ახლა კი... ახლა ავად ვიყავი. მერე ზამეტოვი რაღად ყოფილა აქ? რაზუმინს რად მოუყვანია?.. - დუდუნებდა დაუძლურებული და ისევ დივანზე ჩამოჯდა, - რა არის ეს? ვბოდავ ისევ, თუ ყველაფერი ნამდვილად ხდება? ვგონებ, მართლა ხდება... ჰო, მომაგონდა: უნდა გავიქცე! ჩქარა გავიქცე, უთუოდ გავიქცე! დიას... მაგრამ სად? ჩემი ტანისამოსი სადღა? ფეხსაცმელებიც რომ არ არის! წაუღიათ! დაუმაღავთ! მესმის, მესმის! მაგრამ პალტო კი დარჩენიათ! ფულიც აი, მაგიდაზეა, მაღლობა ღმერთს! აგერ თამასუქიც... ავიღებ ფულს და წავალ, სხვა ბინას დავიჭერ, ვედარ მიპოვნინა!.. მაგრამ, ეე, სამისამართო სახლი? მიპოვნინა, მიპოვნინა! რაზუმინს მიპოვის. სჯობს, სულ გავიქცე სადმე... შორს... ამერიკაში... დეე, მეძებონ! მერე თამასუქიც ხომ ხელში მაქვს... გამომადგება... რა წავიღო კიდევ? ჰგონიათ, ვითომ ავად ვიყო. ის კი არ იციან, რომ სიარული შემიძლია, ჰე-ჰე-ჰე-ჰე!.. თვალეზე შევატყე, რომ ყველაფერი იციან! ერთი ამ კიბეს ჩავცილდე როგორმე და! მერე, დარაჯი და პოლიციელები რომ ჰყავდეთ დაყენებული! ეს რა არის, ჩაია? აგერ, ლუდიც დარჩენილა, ნახევარი ბოთლი, ცივ-ცივი!“

ეცა ბოთლს, რომელშიაც მთელი ჭიქა ლუდი კიდევ იღგა, და სიამოვნებით, სულმოუთქმელად დალია, თითქოს ცეცხლი ჩაანელა მკერდშიო. მაგრამ არ გასულა ერთი წუთი, რომ ლუდმა უცბად თავში დაჰკრა და ზურგში რაღაც სასიამოვნო ჟრუნტელმა დაურბინა. მაშინვე მიწვა და საბანი წაიხურა. უიმისოდაც არეული და სნეული ფიქრები თანდათან უფრო აებნა და მალე ნელ-ნელა სასიამოვნო ძილი მოერია. სიამოვნებით მოძებნა თავით ბალიში. ლამაზად გაეხვია დაბამბულსა და რბილ საბანში, რომელიც ახლა ძველი დაგლეჯილი პალტოს მაგივრად ეხურა, წყნარად ამოისუნთქა და მაგრად, ტკბილად ჩაეძინა.

ფეხის ხმამ გამოაღვიძა. გაახილა თვალი და დაინახა, რომ ყურთამდე ღია კარში რაზუმინიხინი დგას და აღარ იცის, შემოვიდეს თუ არა? რასკოლნიკოვი საჩქაროდ დივანზე წამოჯდა და რაზუმინის მიაშტერდა, თითქოს ცდილობს, რაღაც მოიგონოსო.

- ეჰე, არა გძინავს, აი, მეც მოვედი! ნასტასია, მოიტა ეგ ბოხჩა! - ჩასძახა რაზუმინინმა ზემოდან. - ახლავე ანგარიშსაც მიიღებ.

- რომელი საათია? - დაეკითხა რასკოლნიკოვი და შემფოთებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა.

- დიდხანს გძინებია, ძმაო! შებინდდა უკვე, ექვსი იქნება. ექვს საათზე მეტი გძინებია.

- ღმერთო ჩემო! რა დამემართა?

- რაო, რა არის? ღმერთმა შეგარგოს! სად გეჩქარება! შეხვედრას ხომ არავისთან აპირებ? მთელი დრო ახლა ჩვენ ხელთ არ არის! სამი საათია, გიცდი. ერთი-ორჯერ კიდეცაა შემოვედი, მაგრამ გეძინა. ორჯერ ზოსიმოვსაც მივაკითხე: შინ არ არის და არა! მაგრამ არა უშავს რა, მოვა... ჩემს საქმეზედაც ვიყავი სხვაგან. დღეს ბინიდან გადავედი, ბიძიაც გადავიყვანე. ახლა ბიძია იცხოვრებს ჩემთან... მაგრამ რა დროს ეს არის, საქმეს შევუდგეთ!.. ნასტენკა, ბოხჩა მოიტა. ახლავე. სხვა, თავს როგორა გრძნობ, ძმაო?

- კარგად; ავად არა ვარ... რაზუმინინ, დიდი ხანია აქა ხარ?

- გეუბნები, სამი საათია გიცდი-მეთქი.

- არა, წინათ?

- რა წინათ?

- რამდენი ხანია, რაც ჩემთან დაიარები?

- წელან არ იყო გაიმბობღი; არ გახსოვს, განა?

რასკოლნიკოვი ჩაფიქრდა, წელანდელი ყველაფერი სიზმარავით ეჩვენებოდა. თვითონ ვერაფრით ვერ მოეგონებინა და გაშტერებული შეჰყურებდა რაზუმინინს.

- ჰმ! - ჩაილაპარაკა რაზუმინინმა, - დაავიწყდა! წელანვე ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჯერ კიდევ შენს გონზე არ იყავი... ახლა ხომ გამოერკვიე ძილიდან... მართალს გეუბნები, უკეთ გამოიყურები! ყოჩაღ! აბა, საქმესაც შევუდგეთ! ახლავე ყველაფერს მოიგონებ. აბა, აქეთ მოიხედე, მეგობარო!

გახსნა დაუწყო ბოხჩას, რომელსაც, ეტყობოდა, მთლად შთაენთქა მისი ყურადღება.

- იცი, ძმაო, იქნებ არ დაიჯერო, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მაწუხებდა. იმიტომ, ძმაო, რომ საჭიროა კაცად გაქციო. შევუდგეთ მაშინ, თავიდან დავიწყოთ, ხედავ ამ ქუდს? - დაიწყო რაზუმინინმა და ბოხჩიდან საკმაოდ შნოიანი, მაგრამ იმავე დროს ჩვეულებრივი რამ უბრალო და იაფფასიანი ქუდი ამოიღო, - გასინჯე, აბა!

- მერე, მერე, - ჩაილაპარაკა რასკოლნიკოვმა და ზიზღით გააქნია ხელი.

- არა, ჩემო როდია, ნუ აიხირებ, თორემ გვიანდა იქნება; აღარც მე დამემძინება მთელ ღამეს, იმიტომ, რომ ზომა არ ვიცოდი და გაუსინჯავად ვიყიდე. ანდეთი, მშვენივრად გადგას! - შეჰყვირა გახარებულმა, - თითქოს საგანგებოდ შეუკერიათო! თავის სამკაული, ჩემო ძმაო, უმთავრესი რამ არის, პირველად ქუდით იცნობენ ადამიანს. ჩემი მეგობარი ტოლსტიაკოვი მაშინვე ჩაჩს მოიგლეჯს ხოლმე, როგორც კი სადმე დიდ შეკრებულობაში ან გამოსაჩენ ადგილას მოხვდება, სადაც ყველა სხვას ქუდი ახურავს. ყველას ჰგონია, შიშითა და მოკრძალებით მოსდისო, ის კი არა, თავისი ჩიტის ბუდესავით ჩაჩისა რცხვენია; რას იზამ, მორცხვი კაცია. აბა, ნასტენკა, ეს თავსამკაული რა უნდა ღირდეს? შეადარეთ ეს პალმერსტონი (კუთხიდან ამოაძვრინა რასკოლნიკოვის მრგვალი, დაღრეცილ-ჩაზნექილი ქუდი, რომელსაც რატომღაც პალმერსტონი უწოდა) და ეს დიდებული რამ ნამუშევარი? აბა, როდია, რას მივცემდი, როგორ გგონია? ნასტენკა, შენ რაღას იტყვი? - მიუბრუნდა ახლა ნასტიას, რომ ნახა, რასკოლნიკოვი ხმას არ იღებდა.

- აბაზს მაინც მისცემდი, - უპასუხა ნასტასიამ.

- აბაზსო, ტუტუცო! - შეჰყვირა წყნით რაზუმბინმა, - ახლა აბაზად შენც კი ვერ გიყიდი, ოთხი აბაზი მივეცი! ისიც იმიტომ მხოლოდ, რომ ნახმარი არის. მაგრამ პირობით არის ნაყიდი: ამას გასცვთ, სხვას უფასოდ მოგცემენ, ღმერთს გეფიცებით! აბა, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს შევუდგეთ, როგორც გიმნაზიაში ვეძახდით ხოლმე. მაგრამ იცოდე, შარვლით სწორედ თავი მომაქვს! - არსად ლაქა, არსად გახეული არ მოეძებნება და საკმაოდ რიგიანიც არის, თუმცა ცოტა ნახმარი კია, - და რასკოლნიკოვს წინ გაუშალა საზაფხულო თხელი შალის შარვალი; - ჟილეტიც ასეთივეა, ერთფერი, როგორც მოდა მოითხოვს! თუ იმას იტყვი, ნახმარიაო, ეს კი უნდა გითხრა, უკეთესიცაა: უფრო რბილი და ნაზია... იცი, როდია, ჩემი აზრით, თუ გინდა საზოგადოებაში ფასი და გასავალი გქონდეს, უთუოდ სეზონის შესაფერად უნდა გეცვას. თუ იანვარში სატაცურს არ მოითხოვ, რამდენიმე მანეთი ჯიბეში დაგრჩება; ასეა ჩემს ნავაჭრშიც. ახლა ზაფხულია და ამიტომაც ჩასაცმელი ზაფხულისა ვიყიდე, მით უფრო, რომ შემოდგომისათვის უფრო თბილი რამ დაგჭირდება და ესენი კი უნდა გადაყარო... თანაც იმ დროისათვის ყველაფერი ეს საკმაოდ მოძველდება, თუ უკეთესი რამ არ გაგიჩნდება, თავისთავად მაინც. აბა, დააფასე! როგორა გგონია, რა უნდა ღირდეს? - სულ ორი მანეთი და ხუთი შაური! მაგრამ გახსოვდეს, ისევ იმავე პირობით: გასცვთ, სამაგიეროდ, მერმის სხვას მუქთად მიიღებ! ფედიკის მალაზიაში ყველაფერს ასე ყიდიან; რაკი ერთხელ რასმე იყიდი, შენს სიცოცხლეში აღარა გინდა რა, იმიტომ, რასაკვირველია, რომ მეორედ თვითონაც აღარ წახვალ. აბა, ახლა წაღები ვნახოთ, - როგორებია, ჰა? რასაკვირველია, ეტყობა, რომ ნახმარია, მაგრამ ორ თვეს მაინც გატარებს, იმიტომ, რომ მასალაც და ნამუშევარიც საზღვარგარეთისაა: ინგლისის საელჩოს მდივანს გაუყიდია წარსულ კვირას ბაზარში; რაღაც ექვსი დღე უტარებია, მეტი არა, მაგრამ ფული ძალიან დასჭირვებია და... სულ მანეთ-ნახევარი მივეცი. ზორბა რამ არის, არა?

- მერე, მოუვა კი? - შენიშნა ნასტასიამ.

- მოუვაო! მერე, ეს რაღა არის? - და ჯიბიდან რასკოლნიკოვის მთლად გახროკილი, ძველისძველი, დაგლეჯილი და ტალახმემხმარი წაღა ამოიღო, - წინათვე გავწიე თადარიგი თუ არა? ამის ზომაზე ამირჩიეს. მაშ, ყველაფერი მშვენივრად მოეწყო. საცვლების შესახებ კი დიასახლისს მოველაპარაკე. სამ პერანგს შეგიკერავენ უბრალო

ტილოსას, მაგრამ ზემოდან მოდის შესაფერისად იქნება გამშვენებული... აგრე, მაშ: ოთხი აბაზი კარტუზი, ორი მანეთი და ხუთი შაური დანარჩენი ჩასაცმელი, სულ სამი მანეთი და ერთი შაური; მანეთ-ნახევარიც წაღები - იმიტომ რომ მეტად კარგებია, - სულ ოთხი მანეთი და თერთმეტი შაური. ხუთი მანეთიც მთელი საცვლები, - ერთბაშად გავურიგდი, - სულ შედგება ცხრა მანეთი და თერთმეტი შაური. ცხრა შავი შაურიანი კი, ხურდა უკან მიიღე. ამრიგად, როდია, თავით ფეხამდე გამოწყობილი ხარ, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, შენს პალტოს ჯერ კიდევ შეუძლია სამსახური და გარდა მაგისა, დიახაც კეთილშობილური შესახედაობა აქვს: ხედავ, რა არის გარმერთან ტანისამოსის შეკერვა! რაც შეეხება წინდებსა და სხვას, ეს შენთვის მომინდვია; ფულად გრჩება კიდევ მთელი ოცდახუთი მანეთი, მაგრამ პაშენკასი და ბინის ქირის დარდი ჯერ ნუ გაქვს; ნათქვამი მაქვს: რამდენსაც გინდა, გენდობიან. ახლა კი, ძმაო, ნება მომეცი საცვალი გამოგიცვალო, თორემ ავადმყოფობა მხოლოდ პერანგშიღა ზის, სხვაგან აღარსად...

- თავი დამანებე! არ მინდა! - ხელს იქნევდა აქეთ-იქით რასკოლნიკოვი, რომელიც ზიზღით უგდებდა ყურს რაზუმინის განგებ ოხუნჯურ ცნობას ტანისამოსის ყიდვის თაობაზე.

- არა, ძმაო, არ შეიძლება; მაშ, ეს წაღები რაზე დავიგლიჯე! - ატანდა ძალას რაზუმინი. - ნასტიუმუკა, ნუ გრცხვენიათ, მომეხმარეთ. ჰო, აგრე! - და, მიუხედავად იმისა, რომ რასკოლნიკოვი ეწინააღმდეგებოდა, საცვალი მაინც გამოუცვალა. რასკოლნიკოვი ისევ ბალიშზე მიეგდო და მთელი ორი წამი ხმას არ იღებდა.

„ნეტა არ დამეხსნებიან?“ - ფიქრობდა იგი თავისთვის.

- მერე, რა ფულით იყიდე ეს ყველაფერი? - ჩაკეითხა ბოლოს და თან კედელს დააშტერდა.

- რა ფულით? ეჰე, შენი საკუთარი ფულით. წედან არ იყო ვახრუშინისაგან კაცი, დედის გამოგზავნილი ფული მოგიტანა? იქნებ ეგეც გადაგავიწყდა?

- მახსოვს, მახსოვს... - ჩაილაპარაკა რასკოლნიკოვმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ. წარბშეჭმუხნილი რაზუმინი შეშფოთებული შეჰყურებდა.

ამ დროს კარი გაიღო და ვიღაც მაღალ-მაღალი, ჩასხმული კაცი შემოვიდა; რასკოლნიკოვს ეცნაურა იგი, თითქოს სადღაც ენახა.

- ზოსიმოვი! ძლივს არ გვადირსე თავი! - შეჰყვირა გახარებულმა რაზუმინმა.

IV

ზოსიმოვი იყო მაღალ-მაღლი, ჩასუქებული, ქერათმიანი კაცი. ლოყებგამობერილ, წვერგაპარსულ უფერულ სახეზე სათვალე ეკეთა; სიმსუქნისაგან გასიებულ თითზე ვეება ოქროს ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. ხნით ასე, ოცდაშვიდი წლისა იქნებოდა. ტანთ კობტად ეცვა - განიერი საზაფხულო პალტო და ბაცი შარვალი. საზოგადოდ ყველაფერი ახალთახალი და შნოიანი ეცვა; საცვლები საუცხოოდ და სუფთა ჰქონდა, საათზე თოქმა ოქროს ძეწკვი ეკიდა. მძიმე და უსიცოცხლო, მაგრამ თანაც თამამი მიმოხვრა, ეტყობოდა, განგებ ჰქონდა შეთვისებული. ყველაფერში ჩანდა, რომ

დიდკაცად მოჰქონდა თავი, თუმცა ძალიან ცდილობდა ეს დაემალა. მძიმე ხასიათის კაცად სცნობდნენ, მაგრამ ამბობდნენ, თავისი საქმე კარგად იცისო.

- მე, ძმაო, ორჯერ შემოგიარე... ხედავ, მობრუნდა, - შეჰყვირა რაზუმინინმა.

- ვხედავ, ვხედავ; სხვა, ახლა თავს როგორა გრძნობთ, ჰა? - ჩაეკითხა ზოსიმოვი რასკოლნიკოვს, თვალი თვალში გაუყარა, დივანზე ჩამოუჯდა ფერხითი და რამდენადაც შეიძლებოდა, გადაიშხლართა.

- სულ დაღვრემილია, - განაგრძობდა რაზუმინინი, - ეს იყო ახლა საცვლები გამოვუცვალე და კინალამ იტირა.

- ცხადია, ასე მოიქცეოდა; გამოცვლა მერეც შეიძლებოდა, თუ ახლა არ უნდოდა. მაჯა მშვენივრად უცემს. თავი ისევ გტკივათ ცოტათი, არა?

- კარგად ვარ, სრულიად კარგად! - უპასუხა რასკოლნიკოვმა ჯიუტად და გულმოსულად, თან უცბად დივანზე წამოიწია და თვალელები გააკვესა, მაგრამ მაშინვე ისევ ბალიშზე მიეგდო და კედლისაკენ გადაბრუნდა. ზოსიმოვი ყურადღებით აკვირდებოდა.

- ძალიან კარგი... ყველაფერი რიგზეა, - ჩაილაპარაკა მძიმედ ზოსიმოვმა, - ჭამა რამე? უთხრეს, რაც აჭამეს, და ჰკითხეს, რა ეჭმევასო.

- ყველაფერი... წვნიანი, ჩაი... სოკო და კიტრი, რასაკვირველია, არ უნდა აჭამოთ, არც ხორცი უნდა... მაგრამ ლაპარაკი რა საჭიროა! - და რაზუმინინს გადაჰხედა. - მიქსტურა აღარ უნდა, აღარც სხვა რამე, ხვალ კი შემოვივლი და ვნახავ, როგორ იქნება... დღესაც შემეძლო ბარემ... მაგრამ...

- ხვალ სადამოთი სასეირნოდ წავიყვან! - გადაწყვიტა რაზუმინინმა. - იუსუპოვის ბაღში, მერე კი იქიდან „პალე-დე-კრისტალში“ შევივლით.

- სჯობდა, ხვალ სულ ფეხი არ გაედგა, თუმცა... ცოტა... ვნახოთ რა იქნება.

- ეჰ, აფსუს, დღეს სწორედ ახალ ბინაზე გადასვლის გამო უნდა წავიქეიფოთ, სულ რაღაცა ორი ნაბიჯია აქედან. კარგი იქნებოდა, ესეც ყოფილიყო, თუნდაც დივანზე წამოწოლილიყო ჩვენთან. შენა, შენ ხომ იქნები? - მიმართა უცბად რაზუმინინმა ზოსიმოვს. - გესმის, მაშ, არ დაგავიწყდეს!

- იქნებ მოვახერხო, მაგრამ ცოტა გვიან კი. რაო, რა გექნება?

- არაფერი, ჩაი, არაყი, სელიოდკა. ტკბილ ნამცხვარსაც მოგვიტანენ, შინაურები იქნებიან.

- მაინც ვინ?

- ვინ და, აქაურები, თითქმის სულ ახლები, გარდა ბებერი ბიძაჩემისა, მაგრამ ისიც ახალი კაცია: რაღაც საქმეების გამო გუმინ ჩამოვიდა პეტერბურგს; ხუთ წელიწადში ერთხელ ძლივს ვნახავთ ხოლმე ერთმანეთს.

- რა მოხელეა?

- რა და, მთელი თავისი სიცოცხლე სამაზრო ფოსტის გამგეობაში გაატარა... პატარა პენსიას იღებს. სამოცდახუთი წლისაა, ლაპარაკად არც კი ღირს... მაგრამ მიყვარს კი. პორფირი პეტროვიჩი იქნება: აქაური ბოქაული საგამომძიებლო საქმეებისა... სამართლის მცოდნეა, თუმცა ხომ იცნობ...

- ისიც რაღაც ნათესავია შენი, არა?

- ჰო, მაგრამ მეტად შორეული; რატომ მოიღუშე? იმიტომ, რომ წალაპარაკდით ერთხელ? იქნებ აღარც კი მოხვიდე?

- ფეხებზედაც არა მკიდია...

- აგრე სჯობია. იქნებიან კიდეც - სტუდენტები, მასწავლებლები, ერთი მოხელე, ერთი მუსიკოსი, ოფიცერი ზამეტოვი...

- მითხარ, გეთაყვა, ან შენ ან მაგას, - რასკოლნიკოვზე ანიშნა ზოსიმოვმა, - რა საერთო გაქვთ ზამეტოვთან?

- ოჰ, ეს თქვენი უკადრისობა!.. ეს პრინციპები!.. თითქოს მთლად ამ პრინციპებზე იყო მართლა აშენებული: არსაით შენს ნებასა და სურვილზე მიბრუნ-მობრუნება არ შეგიძლია, ჩემი აზრით კი კარგი კაცია, შენი პრინციპი ეს არის. ამის მეტი სხვა არა მინდა რა ვიცოდე! ზამეტოვი საუცხოოდ ადამიანია.

- და ხელეზსაც საუცხოოდ ითბობს, არა!

- მერე რაო? ითბობს და ითბობდეს, მე რა! რა არის რომ ითბობს! - შეჰყვირა უცბად როგორღაც არაჩვეულებრივად გაბრაზებულმა რაზუმიხინმა, - მერე, გიქე განა, ხელეზს ითბობს-მეთქი? ის გითხარი მარტო, მისდათავად კარგია-მეთქი! მაგრამ თუ ყოველმხრივ გაქექე ხალხი, ბევრი გამოირჩევა განა კარგი? დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ თავიან-ფეხიანად შემწვარ ხახვადაც არავინ მიყიდოს, თუნდაც შენც დაემატებინეთ სართად.

- ეს ცოტაა; მე კი შენში თუნდა ორსაც მივცემდი...

- მე კი ერთის მეტს არ მივცემდი შენში! იხუმრე კიდეც, აბა! ზამეტოვი ჯერ ისევ ბავშვია, შეიძლება ყურებიც კი ავუწიოთ, იმიტომ რომ უნდა მივიზიდოთ და არა ხელი ვკრათ. კაცს კი ხელის კვრით ვერ გაასწორებ, მით უფრო ბავშვს. ბავშვთან მეტი სიფრთხილე გვმართებს მუდამ. ეჰ, თქვენ პროგრესული ჩურჩუტებო, რომ არა გესმით რა! ადამიანს პატივს არა სცემთ, თქვენს თავს თქვენვე შეურაცხყოფთ... მაგრამ თუ გინდა გაიგო, ჩვენ თითქოს საერთო საქმეც გაგვიჩნდა.

- სასურველია ვიცოდე.

- საიმისო არა არის რა, ისევ იმ მღებავის საქმე... გვინდა როგორმე ვიხსნათ! ვიხსნით კიდეც! ახლა საშიშიც კი აღარა არის. საქმე აშკარაა! ჩვენ მხოლოდ დავაჩქარებთ.

- რომელ მღებავზე ამბობ?

- როგორ, არ მიაძნია განა? არა? თუმცა, ჰო, თავი გიამბე მარტო... აი ის, ბებრუხანა რომ მოკლეს, მევახზე, მოხელის ქვრივი... იმ საქმეში ახლა მღებავიც გარის.

- ეგ მკვლელობა კი შენზე უწინაც ვიცოდი; მინდოდა კიდეც, როგორმე ნამდვილი შემეტყო... მეტადრე... ერთი შემთხვევის გამო... გაზეთებიდანაც მახსოვს! აი...

- ლიზავეტაც ხომ მოკლეს! - წამოაყრანტალა უცბად ნასტასიამ და რასკოლნიკოვს მიმართა. მთელი ეს ხანი ნასტასია ოთახში იდგა, კარზე მიყურადებული და ლაპარაკს უგდებდა ყურს.

- ლიზავეტა? - წაიდუღუნა რასკოლნიკოვმა ოდნავ გასაგონი ხმით.

- ჰო, ლიზავეტა! არ იყო, ვაჭრობდა? არ გახსოვს, განა? ქვევით დაიარებოდა ხოლმე, ერთხელ პერანგიც დაგიკერა.

რასკოლნიკოვი კედლისკენ გადაბრუნდა, გახუნებულ და ჭუჭყიან შპალერზე ერთგან მიხაკისფერხაზიანი თეთრი ყვავილი ამოირჩია და სინჯვა დაუწყო: რამდენი ფოთოლი ჰქონდა, როგორ იყვნენ დაკუწებულები, რამდენი ხაზი ჰქონდა გავლებული და სხვა... გრძნობდა, რომ ხელ-ფეხი მთლად მოუდუნდა, მაგრამ არც ცდილა განძრეულიყო და თვალს არ აშორებდა ყვავილს.

- მერე რაო, რას ამბობ მღებავზე? - რალაც განსაკუთრებული უკმაყოფილებით გააწყვეტინა ზოსიმოვმა ყბელობა ნასტასიას.

ნასტასიამ ამოიოხრა და გაჩუმდა.

- რაო და, მკვლელად ჩასწერეს! - განაგრძობდა ცხარედ რაზუმინი.

- საბუთი რამ იპოვეს, თუ?

- რის საბუთი, რას ამბობ! თუმცა საბუთი კი იყო ვითომ სწორედ, მაგრამ ამ საბუთს დამტკიცება არ უნდა? ესეც იმასა ჰგავს, პირველად... აი ისინი, რა ჰქვია... კოხი და პესტრიაკოვი რომ დაიჭირეს. ფუჰ! რა სულელურად იქცევინან, შორიდანაც კი გული მემღვრევა სწორედ! იქნებ დღეს პესტრიაკოვმაც შემოიაროს... მართლა, როდია, ეს ამბავი ხომ იცი, შენს ავადმყოფობამდე მოხდა, სწორედ წინა დღეს, კანტორაში რომ გული წაგივიდა; არ გახსოვს, მაშინ ლაპარაკობდნენ ამ ამბავზე...

ზოსიმოვმა ყურადღებით გადახედა რასკოლნიკოვს; მაგრამ ის არ განძრეულა.

- იცი რა, რაზუმინი? გიყურებ და ვფიქრობ: მართლა დიდი მოუსვენარი ვინმე ხარ, - შენიშნა ზოსიმოვმა.

- არა უშავს რა, დავიხსნით მაინც! - შეჰყვირა რაზუმინმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა. - ყველაზე მეტად, იცი, რა არის აქ საწყენი? ის კი არა, რომ სტყუიან; ტყუილი მუდამ ეპატიება ადამიანს; კარგიც კი არის იმიტომ, რომ სიმართლეს აჩენს ბოლოს. ის არის საწყენი, რომ სტყუიან და თავიანთ სიცრუეს თვითონვე სცემენ თაყვანს. პორფირი პეტროვიჩს პატივს ვცემ, მაგრამ... იცი, თავიდანვე რამ აუბნიათ გზა-კვალი? კარი დაკეტილი იყო და მეეზოვე რომ მიიყვანეს, მაშინ კი ღია დახვდათ: მამასადამე, კოხმა და პესტრიაკოვმა დახოცესო! აი, როგორა მსჯელობენ!

- ჰო, მაგრამ ძალიან ნუ ცხარობ; დაიჭირეს მხოლოდ; ან რა ექნათ... მართლა: ის კოხი ხომ მეც მინახავს; ბებრუხანასაგან გამოუსყიდველ გირაოებს ყიდულობდა ხოლმე, არა?

- ჰო, ვიღაც გაიძვერა! თამასუქებსაც ყიდულობს თურმე. მაგ საქმეებშია გართული. მაგრამ ჯანდაბამდის გზაც ჰქონია! იცი, მე რა მაბრაზებს? ის მაბრაზებს, რომ გონება მთლად დაჰშობიათ, ხავსი მოჰკიდებიან, გაბრიყვებულან!.. აქ კი, ამ საქმეში, შეიძლება სრულიად ახალთახალი გზა აღმოჩნდეს. მარტო ფსიქოლოგიური საბუთებიც კმარა, რომ დაინახოთ, როგორ შეიძლება ჭეშმარიტ კვალს მიაგნოს ადამიანმა. „ჩვენ აქ ფაქტები გვაქვს ხელთაო!“ მაგრამ საქმე ხომ მარტო ფაქტები არ არის; ნახევრად მაინც საქმე იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ მოიხმარს ფაქტებს!

- მერე, შენ კი შეგიძლია ფაქტების მოხმარება?

- არ იცი განა, რომ შეიძლება გაჩუმება, როცა გრძნობ, გუმანითა გრძნობ, რომ შეგიძლია საქმეს უშველო, ოღონდ... მაგრამ ეჰ! იცი კია დაწვრილებით, როგორ არის საქმე?

- ვიცი და რომ არა მითხარი რა იმ მღებავზე?

- კარგი მაშ, ყური დამიგდე: მესამე დღეს მკვლელობის შემდეგ, დილაადრიან, ჯერ ისევ კოხსა და პესტრიაკოვს რომ ჩასციებოდნენ ყველანი, - თუმცა თითოეულმა ნათლად დაამტკიცა თავისი ნაბიჯი; ნათელი საქმე თვითონ მეტყველებს! - უცბად მოულოდნელი ამბავი გამოცხადდა. ვიღაცა გლეხი დუშკინი, რომელსაც სწორედ იმ სახლის პირდაპირ სასმელების დუქანი ჰქონია, კანტორაში მისულა, მიუტანია კოლოფით ოქროს საყურეები და უამბნია: „გუშინწინ საღამოს, ასე ცხრის დასაწყისი იქნებოდა, მღებავმა მუშამ, სახელად მიკოლაიმ, რომელმაც წინა დღითაც შემოირბინა ჩემთან, მომიტანა ეს კოლოფი ოქროს საყურეებითა და თვლებით და გირაოში ორი მანეთი მთხოვა. როცა ვკითხე: ვინ მოგცა-მეთქი? - მითხრა, ქუჩის ქვაფენილზე ვიპოვეო. ამის მეტი მაშინ აღარა მიკითხავს რა, - ამბობს დუშკინი, - გამოვუტანე მანეთიანი ქალაღი - ესე იგი მანეთი - და მივეცი, იმიტომ რომ ვიფიქრე, მე არა, სულ ერთია, სხვას დაუგირავებს და შესჭამს, სჯობს, ისევ ჩემთან იდოს-მეთქი ნივთი: შენახული იქნება. თუ ხმა დავარდება და ვინმე მოიკითხავს, მეც გამოვაჩენ-მეთქი“. მაგრამ, რასაკვირველია, ჩმახავს, იმიტომ რომ ვიცი, ეს დუშკინი თვითონ იგირავებს და ნაქურდალს ინახავს; ამიტომაც იყო, რომ მიკოლაის სამთუმნიანი ნივთი მანეთად გამოაცალა ხელიდან და არა იმიტომ, რომ „გამოჩინა“. შეეშინდა და ის არის. თუმცა, ჯანდაბამდის გზა ჰქონია. ყური დამიგდე, რას ამბობს მერე დუშკინი: „ამ გლეხს, მიკოლაი დემენტიევს კი, პატარაობიდანვე ვიცნობ, ჩვენი გუბერნიიდან არის, ზარაის მაზრიდან, ჩვენ თვითონ რიაზანიდან ვართ. მიკოლა, მართალია, ლოთი არ არის, მაგრამ გადაკვრა კი უყვარს. ისიც ვიცოდი, რომ ისა და მიტრეი სწორედ იმ სახლში მუშაობდნენ, ღებავდნენ; მიტრეი და ის კი, ორივენი ერთი მხრიდან არიან. მიიღო თუ არა მანეთიანი, მაშინვე დაახურდავა, ზედიზედ ორი ჭიქა არაყი დალია, წაიღო ხურდა და წავიდა, მიტრეი კი მაშინ იმასთან არა ყოფილა. მეორე დღეს გავიგე, რომ ალიონა ივანოვნა და იმისი და ლიზავეტა ივანოვნა ცულით მოეკლათ. მე იმათ ვიცნობდი. სწორედ ამიტომ იყო, საყურეებზე ექვი შემეპარა, იმიტომ რომ ვიცოდი, განსვენებული გირაოთი ფულს ასესხებდა. წაველ მაშინვე და ვკითხე ჩუმად: მიკოლაი შინ არის-მეთქი თუ არა? მიტრეიმ მაშინ მითხრა, მიკოლაი ქეიფობს, გათენებისას მოვიდა მთვრალი, ასე ათი წამი იყო შინ და ისევ წავიდაო; ამის შემდეგ მიტრეისაც აღარ უნახავს, მარტო მუშაობს. სამუშაო კი სწორედ ერთ კიბეზე აქვთ, იმ სახლის მეორე სართულში, სადაც მკვლელობა მოხდა. ეს გავიგე, მაგრამ მაშინ არავის არ ვუთხარიო, - ამბობს დუშკინი, - ხოლო მკვლელობაზე რაც კი რამ შევძელი,

ყველაფერი გავიგე და ისევ ისე შეფიქრიალებული დავბრუნდი შინ. დღეს კი დილით, რვა საათზე, - ესე იგი მესამე დღეს, გესმის? - ვნახოთ, შემოვიდა მიკოლაი. გადაკრულშია, მაგრამ არც ისე, რომ ლაპარაკის გაგება არ შეძლებოდა. დაჯდა მერხზე და არის ჩუმად. სწორედ იმ დროს დუქანში მარტო ერთი კაცი იყო უცხო, მეორესაც იქვე მერხზე ეძინა, ნაცნობია ჩემი, და ორიც ჩვენი ბიჭი იყო. „მიტრეი ნახე-მეთქი?“ - ვეკითხები. „არაო, არ მინახავსო“. - „აქ არა ყოფილხარ-მეთქი?“ - „მესამე დღეა, არა ვყოფილვარო“. - „მერე, დღეს სად გეძინა-მეთქი?“ - „კოლომნის რიყეზეო“, - „საყურეები მაშინ ვინ მოგცა-მეთქი?“ - „ქვაფენილზე ვიპოვეო“, - თან ისე ამბობს ამას, თითქოს იგონებსო და პირდაპირ არ იყურება. „მერე, არა გაგიგია რა, იმ ღამეს და იმ დროს სწორედ იმ კიბეზე რა მოხდა-მეთქი?“ - „არა, არა გამიგია რაო“, - თვალები კი დააჭყიტა და მთლად გაფითრდა. ველაპარაკები ასე და ვნახოთ ქუდს ეცა, წასვლა დააპირა, აქ კი მოვიხდომე დამეჭირა: „მოიცა, მიკოლაი, არას დალევ-მეთქი?“ - თან ბიჭს თვალი ჩავუკარ, რომ კარი დაეჭირა, და დახლიდან გამოვედი; მაგრამ უცბად გამისხლტა, გავარდა ქუჩაში, მიუხვია შესახვევში და სადღაც გაქრა, თვალი ვეღარ მოვკარი. აქ კი მთლად დავრწმუნდი და გადავწყვიტე, ცოდვამ გააქცია-მეთქი...“

- ოღონდაც! - ჩაილაპარაკა ზოსიმოვმა.

- მოიცა! ბოლოს დაუგდე ყური! რასაკვირველია, მაშინვე მიკოლაის ძებნას შეუდგნენ; დუშკინი დაიჭირეს და გაჩხრიკეს. მიტრეიც დაიჭირეს. მთელი რიყე გადაჩხრიკეს და მხოლოდ ამ სამი დღის წინათ მოიყვანეს თვითონ მიკოლაი: - სკის საბაჟოს მახლობლად დაიჭირეს თურმე ბაკებში. მისულა იქ, შეუხსნია ვერცხლის ჯვარი გულიდან და ამ ჯვარში ჭრაქი მოუთხოვია. მიუციათ. რამდენიმე წამის შემდეგ დედაკაცი ძროხების მოსაწველად შესულა და ჭუჭრუტანიდან დაუნახავს, მიკოლაის ბოძზე სარტყელი ჩამოუბამს და მარყუჟი გაუკეთებია, შემდგარა კუნძზე და თავი თურმე მარყუჟში უნდა გაჰყოს. დედაკაცს უკივლია ამ დროს, ხალხი შემოცვივებულა. „ეჰე, ხედავთ, ვინა ბრძანებულხარო!“ - „ამა და ამ საპოლიციო უბანში წამიყვანეთ, ყველაფერში გამოვტყდებიო“, - უთქვამს. მოიყვანეს კიდეც, როგორც რიგი და წესი იყო, ამ უბანში. გამოჰკითხეს, ვინა ხარო, საიდან, რამდენი წლისა? - „ოცდაორისაო“ - და სხვა და სხვა. როცა ჰკითხეს: „შენ და მიტრეი რომ მუშაობდით, კიბეზე ხომ არავინ გინახავთ ამა და ამ დროსო?“ - უპასუხა თურმე: „იქნებ კიდეც გაიარა ვინმემ, მაგრამ ვერ შევნიშნეთო“. - ყვირილი ან სხვა რამ ხმაურობა ხომ არ გაგიგიათო?“ - „არა გაგიგია რა მაგისტანაო“. - „მერე, იცოდი შენ, მიკოლაიმ, რომ სწორედ იმ საღამოს და იმ დღეს ესა და ეს ქვრივი და მისი და მოკლეს და გამარცხვსო?“ - „არც არა ვიცოდი და არც არაფერი გამიგონიაო. პირველად ეს ამბავი აფანასი პავლიჩისაგან გავიგე მესამე დღეს, დუქანშიო“. - „მერე, საყურეები ვინ მოგცაო?“ - „ქვაფენილზე ვიპოვეო“. - „რატომ მეორე დღეს მიტრეისთან ერთად სამუშაოდ აღარ მიხვედიო?“ - „იმიტომ, რომ ვქეიფობდიო“. - „სადა ქეიფობდიო?“ - „აქა და აქაო“. - „დუშკინისაგან რად გაიქეციო?“ - „იმიტომ, რომ ძალიან შემეშინდაო“. - „რისი შეგეშინდაო?“ - „რისი და იმისი, რომ სამართალში მიმცემდნენო“. - „რად შეგეშინდა, თუკი დამნაშავედ არა თვლი თავსო?...“ არ ვიცი, გჯერა თუ არა, ზოსიმოვ, მაგრამ სიტყვასიტყვით ასე დაჰკითხეს თურმე, ნამდვილად ვიცი, სწორედ გადმომცეს! როგორ მოგწონს, ჰა? როგორა გგონია?

- არა, გასამტყუნებელი საბუთი კი მაინც არ არის.

- იმას ხომ არ ვამბობ, არ არის-მეთქი; გეუბნები მხოლოდ, კითხვებს როგორ აძლევდნენ, თავისი დანიშნულება როგორ ესმით! მაგრამ ეშმაკმა იცის იმათი თავი!.. სწურეს საწყალი, სწურეს და ბოლოს დაემორჩილა: „ქვაფენილზე კი არა, ბინაზე ვიპოვე, რომელსაც მე და მიტრეი ვღებავდითო“. - „როგორ იყო, როგორაო?“ - „როგორ იყო და ასე იყო: მე და მიტრეი მთელი დღე, რვა საათამდის, იატაკს საღებავს ვუსვამდით, და წამოსვლა რომ დავაპირეთ, აილო მიტრეიმ საღებავის წასასმელი და პირზე წამისვა; წამისვა საღებავი და გაიქცა; მე კი უკან გამოვეკიდე. მივდევ ასე უკან და ვყვირი. კიბიდან რომ ეზოს გასავლისკენ შევუხვიე, უცბად მეეზოვეს და ვილაც ბატონებს წავაწყდი, მაგრამ რამდენი იყვნენ, არ მახსოვს; მეეზოვემ შემომიკურთხა; მეორე მეეზოვემაც ლანძღვა დამიწყო, მეეზოვეს ცოლი გამოვიდა, იმანაც გაგვლანძღა; ეზოში ვილაცა კაცი და ქალი შემოვიდნენ, იმ კაცმაც შემოგვიკურთხა, იმიტომ, რომ მე და მიტკა გზაში გავიჩხირენით: მიტკას თმაში წავავლე ხელი და წავაქციე, მუშტით დავუწყე ცემა, მიტკამაც თმაში წამავლო ხელი და მუჯღლუგუნი დამაყარა, მაგრამ გაჯავრებით კი არა ვცემდით ერთმანეთს, სიყვარულითა ვცემდით, ვხუმრობდით. გამისხლტა მერე მიტკა და ქუჩაში გავარდა; მეც უკან გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიე და უკანვე დავბრუნდი მარტოკა ბინაზე, იმიტომ რომ მისალაგებელი იყო იქაურობა. შევკრიბე ყველაფერი და მიტრეის დავუწყე ცდა, იქნება მოვიდეს-მეთქი. ვნახოთ, უცბად დერეფანში, კარს უკან, კუთხეში, რაღაცა კოლოფს დავადგი ფეხი. ვხედავ, ქალაღმში რაღაცა არის გახვეული. გავშალე ქალაღდი და ვნახოთ, ყუთია კაუჭებიანი; ავხსენი კაუჭები, შიგ საყურეებია“.

- კარს უკან? კარს უკან ეგდო? კარს უკან? - შეჰყვირა უცბად რასკოლნიკოვმა როგორღაც შეშინებულმა, თან ამღვრეული თვალები რაზუმინის მიაშტერა და ხელზე დაყრდნობილმა მძიმე-მძიმედ წამოიწია დივანზე.

- დიახ... მერე, რაო? რა დაგემართა? შენ რამ შეგაკართო? - რაზუმინის წამოდგა.

- არაფერი! - ოდნავ გასაგონად უპასუხა რასკოლნიკოვმა და ისევ ბალიშზე მიესვენა, კედლისაკენ იბრუნა პირი. ერთხანად ყველა გაჩუმდა.

- ჩასთვლიმა უთუოდ და ნამძინარევმა წამოიძახა, - თქვა ბოლოს რაზუმინისმა და ზოსიმოვს გადახედა.

ზოსიმოვმა ოდნავ გააქნია თავი უარის ნიშნად.

- განაგრძე, აბა, რა იცი კიდეც, - შენიშნა ზოსიმოვმა.

- რაღა განვაგრძო! დაინახა თუ არა საყურეები, იმავ წამს ყველაფერი დაავიწყდა: მიტკაცა და ბინაც, - ეცა ქუდს და დუშკინისაკენ გაქანდა; მიიღო იმისაგან, როგორც იცი, მანეთი; მოატყუა, ქვაფენილზე ვიპოვეო, და მაშინვე დაიწყო ქეიფი. რაც შეეხება მკვლელობას, ისევ იმასვე იმეორებს, რაც უწინ უთქვამს: „არა ვიცი რა, არა გამიგია რა, მხოლოდ მესამე დღესღა შევიტყვეო“, - „მერე აქამდის რატომ არ გამოცხადდიო?“ - „მემინოდაო“. - „თავი რაღად გინდოდა ჩამოგებრჩოო?“ - „დარდისაგანაო“, - „რა დარდისაგანაო?“ - „იმ დარდისაგან, რომ სასჯელს გადამიწყვეტდნენო“. აი, ეს არის მთელი ამბავი. როგორა გგონია ახლა, რა შეიტყვეს და გაიგეს აქედან?

- აბა, რა ფიქრი უნდა, ავად თუ კარგად, კვალისათვის მიუგნიათ. ფაქტი ხელთა აქვთ. მაშ ხომ არ გაანთავისუფლებდნენ ამ შენს მღებავს!

- მერე, მკვლელად რომ პირდაპირ იმასა თვლიან! ეჭვიც კი აღარა აქვთ.

- სტყუი, ნუ ფიცხოზ. ეს საყურეები რაღაა? დამეთანხმე, რომ, თუ იმავე დღესა და იმავე საათს საყურეები ბებრუხანას სკივრიდან ნიკოლას აღმოაჩნდა, საიდანმე უნდა ჩაეგდო ხელთ თუ არა? ეს კი ძალიან დიდი რამ არის ასეთი გამოძიების დროს.

- საიდანმე უნდა ჩაეგდო ხელთ! - შეჰყვირა რაზუმინინმა. - მერე, შენ, როგორც ექიმი, რომელსაც გევალება და სხვებზე მეტი საშუალებაც გაქვს ხელთ ადამიანის ბუნების შესასწავლად, ნუთუ ყველა აქედან არ ხედავ, რა ბუნებისაც არის ეს ნიკოლაი? ნუთუ არ ხედავ, რომ, რაც კი გამომძიებელს უჩვენა, ყველაფერი ეს წმინდა სიმართლეა? ეჭვი არ არის, ისე ჩაუვარდა სწორედ ხელში, როგორც უჩვენა. უცაბედად ფეხი დაადგა კოლოფს და აიღო!

- წმინდა სიმართლეა! მაგრამ პირველად ხომ იცრუა, ხომ თვითონვე გამოტყდა!

- ყური დამიგდე, ყურადღებით მომისმინე: მეეზოვეც, კოხიც, პესტრიაკოვიც და მეორე მეეზოვეც, აგრეთვე პირველი მეეზოვის ცოლი და ის დედაკაციც, რომელიც თურმე მეეზოვის ოთახში იჯდა იმჟამად, აგრეთვე ნადვორნი სოვეტნიკი კრიუკოვი, რომელიც თურმე ის-ის იყო ეტლიდან გადმოხტა და ვიღაც მანდილოსანთან ერთად ხელიხელ გაყრილი ეზოში შემოდიოდა, - ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ნიკოლაის მიტრეი წაექცია ეზოს შემოსავალში და თურმე სთეთქავდა; მიტრეისაც თმებში ეტაცნა ხელი და მუჯღუგუნებით გვერდებს უხურებდა. გამვლელ-გამომვლელნი ლანძღვენ, აგინებენ, ისინი კი „პატარა ბავშვებივით“ (ასე ახასიათებენ თვითონ მოწმეები) ერთმანეთს აგორავებენ, ყვირიან, წივიან, იცემებიან, სასაცილოდ დათხუპნულები სიცილით იგუდებიან და ბავშვებივით ერთმანეთს ქუჩაში მისდევენ დასაჭერად. გესმის? ახლა იგულისხმე: მოკლულთა გვამები კი იქ, ზემოთ, ჯერ ისევ თბილები ყრია, ასე იპოვეს! როგორა გგონია ახლა, თუ მართლა იმათ დახოცეს, ან თუნდაც მარტო ნიკოლაიმ, და გაძარცვეს, სკივრები გატეხეს, ნება მომეცი მხოლოდ ერთ რასმე შეგეკითხო: სად ასეთი სულიერი განწყობილება, - ესე იგი ყვირილი, სიცილი, ბავშვური ცემა-ტყეპა და სირბილი ეზოს გასასვლელში, - და სად ცული, სისხლი, ბოროტი განზრახვა, სიფრთხილე და ძარცვა? ის არის, ათი თუ ხუთი წუთის წინ დაუხოცნიათ, - მოკლულთა გვამები ჯერ ისევ თბილი იყო, - გაუნებებიათ უცბად თავი მოკლულებისათვის, ბინა ღია დაუგდიათ და ბავშვებივით იქვე, მიწაზე, დაუწყიათ ბლარძუნი და მასხარობა, გამვლელთა ყურადღებას იპყრობენ, თუმცა კარგად იციან, რომ ეს-ეს არის კაცებმა აიარეს იქით. ამას ერთხმად ადასტურებს ათი მოწმე.

- რასაკვირველია, უცნაურია! რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ...

- არა, ძმაო, საქმე ეგ მაგრამ კი არ არის, ის არის, რომ თუ მართლა ნიკოლაის საყურეები აღმოაჩნდა და ეს ამტყუნებს, თუმცა ამას თავისი ახსნაც აქვს და საკამათოა, - ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მის გამამართლებელ და ამასთანავე უტყუარ საბუთებსაც. მერე, როგორა გგონია, ჩვენი მართლმსაჯულების ხასიათი რომ ვიცით, მისაღებად სცნობენ თუ არა ისეთ ფაქტს, რომლის საფუძველი დამყარებულია დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ შეუძლებლობაზე, მხოლოდ სულიერ განწყობილებაზე, ხოლო ნივთიერ გამამტყუნებელ საბუთებს, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, ამ ფსიქოლოგიური ფაქტის მიერ დარღვეულად მიიჩნევენ?! რასაკვირველია, არაფრის გულისთვის არ მიიჩნევენ, იმიტომ რომ კოლოფი უპოვეს

და მეორეც იმიტომ, რომ თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, „რასაც, ეჭვი არ არის, არ იზამდა, თუ თავს დამნაშავედ არ გრძნობდაო“. აი, რა არის უმთავრესი საკითხი და რისთვისა ვცხარობ! გაიგე!

- დიახ, მეც ვხედავ, რომ ცხარობ. მაგრამ მოიცა, დამავიწყდა მეკითხა: რითი დამტკიცდა, რომ კოლოფი და საყურეები სწორედ ბებრუხანას სკივრიდან იყო წამოღებული?

- ეგ კი დამტკიცებულია, - უპასუხა მოღუმულმა რაზუმინმა, თითქოს უხალისოდ, - კოხმა იცნო და დამგირავებელიც დაასახელა, რომელმაც ნამდვილად დაამტკიცა, რომ ის ნივთი მართლაც იმისი იყო.

- ეგ ცუდია. მაგრამ კიდევ ერთი: არავის უნახავს ნიკოლაი სწორედ იმ დროს, კოხი და პესტრიაკოვი რომ ზევით იყვნენ, და თუ უნახავთ, არ შეიძლება რითიმე დამტკიცდეს ეს?

- საქმეც ეგ არის, რომ არავის უნახავს, - უპასუხა გულნაკლულად რაზუმინმა, - კოხსა და პესტრიაკოვსაც კი არ დაუნახავთ, ზემოთ რომ აიარეს, თუმცა იმათ მოწმობას ახლა არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. „დავინახეთო, ამბობენ, რომ ბინა ღია იყო, რომ შიგ მგონი ვინმე მუშაობდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ და კარგად არ გვახსოვს, იყვნენ იქ იმჟამად მუშები თუ არაო“.

- ჰმ!.. ჩანს, მაშ ერთმანეთის ჟუპვისა და ხარხარის მეტი სხვა გასამართლებელი არა აქვთ რა. მართალია, თავისთავად ეგეც დიდი საბუთია, მაგრამ... ნება მომეცი, გკითხო: თვითონ შენ როგორა ხსნი ამ ფაქტს? რითი ხსნი ამ საყურეების პოვნას, თუკი ნამდვილად იპოვა, როგორც ამბობს.

- რითი ვხსნი? ასახსნელი მანდ არც კი რამეა; აშკარა საქმეა! გზა, რომლითაც საქმე უნდა გამოირკვეს, აშკარა და დამტკიცებულია. სწორედ კოლოფმა დაამტკიცა. ნამდვილ მკვლელს დაჰკარგვია საყურეები. მკვლელი მაღლა ყოფილა გამოკეტილი, კოხსა და პესტრიაკოვს რომ უბრაგუნებიათ კარი. კოხს სისულელე ჩაუდენია და ქვევით წამოსულა; ამ დროს მკვლელს უსარგებლია და თვითონაც ქვევით დაშვებულა, იმიტომ, რომ მეტი გზა არცა ჰქონდა. კიბეზე ცარიელ ბინაში დამალვია კოხს, პესტრიაკოვსა და მეზოვეს სწორედ იმ დროს, მიტრეი და ნიკოლაი რომ გამოცვივდნენ. ასე მდგარა კარს უკან, სანამ მეზოვე და ის ორნი მაღლა ადიოდნენ. ფეხის ხმა რომ მიწყნარებულა, გამოვარდნილა და მშვიდობიანად ჩამოუვლია კიბე სწორედ მაშინ, მიტრეი და ნიკოლაი რომ ქუჩაში გაცვივდნენ და ეზოს გასავალში აღარავინ იყო. იქნებ ვინმემ დაინახა კიდევ, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია: გამვლელ-გამომვლელი ცოტაა განა? კოლოფი კი ჯიბიდან ამოვარდნია სწორედ იმ დროს, კარს უკან რომ იყო დამალული, და ვერა შენიშნა რა იმიტომ, რომ იმისათვის არა სცხელოდა. კოლოფი აშკარად ამტკიცებს, რომ მკვლელი იქ ყოფილა დამალული. აი რაშია საქმე!

- ეშმაკობაა დიდი! არა, ძმაო, დიდი ეშმაკობაა! ყველაზე საოცარი, აბა, თუ გინდა, ეს არის!

- რათა მაინც, რათა?

- იმიტომ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა... თითქოს თეატრში ყოფილიყოს წარმოდგენილი.

- ეეჰ! - შეჰყვირა რაზუმინმა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ყველა აქ მოყოფათავის სრულიად უცნობი ადამიანი.

V

ეს იყო შუახნის, მაღალ-მაღალი, მედიდურად გაჭიმული, ფრთხილი და უკმაყოფილო გამომეტყველების კაცი, რომელიც შემოსვლისთანავე კარში შედგა განცვიფრებითა და შეურაცხმყოფელად მოავლო იქაურობას თვალი, თითქოს კითხულობს: „აქ სად მოვხვდით?“ უნდობლად და როგორღაც შემინებული, თითქმის ნაწყენი ათვალეირებდა რასკოლნიკოვის ვიწრო და დაბალჭერიან „კაიუტას“. ასევე განცვიფრებულმა გადახედა შემდეგ რასკოლნიკოსაც, რომელიც ტანგახდილი, დაუბანელი და თმააბურღნილი იწვა თავის ჭუჭყიან, ვიწრო დივანზე და უძრავად შეჰყურებდა და სინჯავდა შემოსულს. ისევე მძიმედ დაუწყო მერე თვალეირება დაუვარცხნელ, გაუპარსავსა და თმააწეწილ რაზუმინსაც, რომელიც თავის მხრივ უმოძრაოდ იდგა ერთ ადგილას და კადნიერად შეჰყურებდა პირდაპირ თვალებში. დაძაბულმა დუმილმა სულ რაღაც ერთ წამს გასტანა, მერე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სურათი მცირეოდნად გამოიცვალა. მოისაზრა უთუოდ ფრიად საგულისხმო გარემოებათა გამო, რომ გოროზი გამომეტყველებით ამ „კაიუტაში“ სრულიად ვერას გახდებოდა, შემოსული ვაჟბატონი ცოტა მორბილდა და თავაზიანად, თუმცა მაინც მცირედი სისატიკით, დაეკითხა ზოსიმოვს: - როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი, ბატონი სტუდენტი თუ ნასტუდენტარი აქ ცხოვრობს?

ზოსიმოვი მძიმედ შეირხა და შეიძლება ეპასუხნა, რაზუმინს რომ არ დაესწრო: - აგერ არის, დივანზე წევს! რა გნებავთ?

ამ მოურიდებელმა „რა გნებავთ“ -მა მთლად კბილი მოსჭრა მედიდურად გაჭიმულ ვაჟბატონს. ცოტა გაწყდა, კიდევაც არ იბრუნა პირი რაზუმინისაკენ, მაგრამ თავი შეიმაგრა და საჩქაროდ ისევ ზოსიმოვს მიუბრუნდა.

- აი, რასკოლნიკოვი! - წაიდუდუნა ზოსიმოვმა და ავადმყოფზე ანიშნა, მერე დაამთქნარა და რატომღაც ძალიან დიდხანს ჰქონდა უზომოდ დიდად პირი დაღებული. აიღო მერე და მძიმედ ჩაიყო ხელი ჟილეტის ჯიბეში, ვეება ოქროს საათი ამოიღო, გახსნა, გასინჯა და ისევ მძიმედ და ზანტად გააბრუნა უკანვე ჯიბეში.

თვითონ რასკოლნიკოვი კი გაჩუმებული იყო და გულადმა მწოლარე უაზროდ მისჩერებოდა შემოსულს. თვალი მოეშორებინა ამოჩემებული ყვავილისათვის შპალერზე და ძალზე ფერმკრთალი და ტანჯული სახით გამოიყურებოდა, თითქოს ეს არის საშინელი ოპერაცია გაუკეთებიათ ანდა უწამებიათო. მაგრამ შემოსულმა თანდათან მეტი ყურადღებით მიიზიდა, მერე გააკვირვა, უნდობლობა აგრძნობინა და ბოლოს თითქოს შეაშინა კიდევ. ზოსიმოვის სიტყვების შემდეგ კი: „აი, რასკოლნიკოვი“, უცბად წამოიწია, თითქოს წამოხტაო, დაჯდა ლოგინზე და სუსტი, მაგრამ გამომწვევი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა: - დიახ! მე ვარ რასკოლნიკოვი! რა გინდათ?

სტუმარმა ყურადღებით დახედა და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა: - პეტრ პეტროვიჩ ლუჟინი გახლავართ. იმედი მაქვს, ჩემი სახელი უცნობი არ უნდა იყოს თქვენთვის.

მაგრამ რასკოლნიკოვი სრულიად სხვას მოელოდა, ამიტომაც ჩაფიქრებულმა დაუწყო უაზროდ ყურება, თითქოს მართლა პირველად გაიგონა პეტრ პეტროვიჩის სახელიო, და პასუხს არ ამღევდა.

- როგორ, ნუთუ აქამდის არავითარი ცნობა არ მიგიღიათ შინიდან? - დაეკითხა პეტრ პეტროვიჩი ცოტათი აფხორილი.

რასკოლნიკოვს კვლავ პასუხი არ მიუცია. მძიმედ დაეშვა ბალიშზე, ხელები თავქვემ დაიწყო და ჭერს მიაშტერდა. ლუჟინს სახეზე შეჭირვება აღებქდა. ზოსიმოვიც და რაზუმიხინიც ახლა უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდნენ მას. ლუჟინმა, ეტყობა, ბოლოს უხერხულობა იგრძნო.

- მე კი მეგონა და ვფიქრობდი, - წაიდუღუნა მან, - რომ თითქმის ორი კვირის წინათ გამოგზავნილი წერილი უკვე...

- სულ ხომ აგრე არ იდგებით კარში? - გააწყვეტინა უცბად რაზუმიხინმა, - თუ სათქმელი და ასახსნელი გაქვთ რამე, დაჯექით, თორემ ნასტასია და თქვენ ორთავე ვიწროდ იქნებით მანდ. ნასტასიუშკა, მოეცა, გამოატარე! აგერ სკამი, შემოდით აქეთ!

რაზუმიხინმა სკამი ცოტა იქით გასწია, მუხლებსა და მაგიდას შუა პატარა ადგილი გაათავისუფლა და რამდენადმე დამაბული იცდიდა, რომ სტუმარი ამ ვიწროში „გამძვრალიყო“. ისე მოხერხებულად იყო ეს წუთი შერჩეული, რომ უარი ვედარ თქვა სტუმარმა და რის ვაივაგლახითა და წვალეებით საჩქაროდ გაძვრა, სკამს მიაღწია, დაჯდა და რაზუმიხინს ეჭვის თვალთ გადახედა.

- ნუ გერიდებათ, - წამოისროლა რაზუმიხინმა, - მეხუთე დღეა, როდია ავად არის, სამი დღე სულ ბოდავდა. ახლა კი გონს მოვიდა, მადიანადაც ჭამს. აი ეს ექიმია, ეს-ეს არის გასინჯა; მე კი როდიას ამხანაგი ვარ, მასავით ნასტუდენტარი, ახლა მას ვუვლი; ასე რომ ყურადღებას ნუ მოგვაქცევთ და ნუ მოგვერიდებით, თქვენი საქმე განაგრძეთ.

- გმადლობთ. იქნებ ჩემი აქ ყოფნით ან ლაპარაკით შევაწუხო ავადმყოფი? - მიმართა პეტრ პეტროვიჩმა ზოსიმოვს.

-აა-რა, პირიქით, გაართობთ კიდეც, - წაიდუღუნა ზოსიმოვმა და კიდეც დაამთქნარა.

- კარგა ხანია გონს მოვიდა, დილიდანვე უკეთ არის! - განაგრძობდა ისევ რაზუმიხინი, რომლის უბრალო, უბოდიშო მოქცევა გულლიაობისა და სიწრფელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რამაც თითქოს გაამხნევა პეტრ პეტროვიჩი, იქნებ იმიტომაც, ვინ იცის, რომ ამ დაგლეჯილმა და თავხედმა მოასწრო და სტუდენტად გააცნო თავი.

- დედათქვენმა... - დაიწყო ლუჟინმა.

- ჰმ! - შეიხმიანა ხმამაღლა რაზუმიხინმა. ლუჟინმა გაკვირვებით გადახედა.

- არაფერი, ისე მომივიდა. თქვით, თქვით...

ლუჟინმა მხრები შეიშმუშნა.

- ... დედათქვენმა ჯერ ისევ ჩემს იქ ყოფნისასვე დაიწყო თქვენთან წერილის წერა. რომ ჩამოვედი, რამდენსამე დღეს განგებ შევიგვიანე და არ მოვედი, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, წერილი უთუოდ მიღებული გექნებოდათ. მაგრამ ახლა, უნდა მოგახსენოთ, გაკვირვებული ვარ...

- ვიცი, ვიცი! - წამოიძახა უცბად რასკოლნიკოვმა და თან მოუთმენლობა და ჯავრი აღებეჭდა სახეზე, - ეს თქვენა ხართ სიძეკაცი? ვიცი, ვიცი!.. კმარა!

პეტრ პეტროვიჩმა აშკარად იწყინა, მაგრამ გაჩუმება არჩია. ცდილობდა მოესაზრა საჩქაროდ, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ერთ წუთს ასე გაჩუმებულები იყვნენ.

რასკოლნიკოვმა პასუხის დროს ცოტათი პირი იბრუნა ლუჟინისაკენ და დაუწყო კვლავ განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობითა და ყურადღებით სინჯვა, თითქოს წელან ვერ მოასწრო მთლად დათვალიერება, ან რაღაც ახალმა მიიპყრო უნებურად მისი ყურადღებაო. ბალიშიდანაც კი წამოიწია საგანგებოდ ამისათვის. თითქოსდა მართლაც ეტყობოდა პეტრ პეტროვიჩს ის განსაკუთრებული იერი, რომელიც შეეფერებოდა სიძეკაცის სახელს, ასე მოურიდებლად რომ უწოდა რასკოლნიკოვმა. ჯერ ერთი, ჩანდა, აშკარად ეტყობოდა, რომ სატახტო ქალაქში ნაადრევად ჩამოსვლით სავსებით ესარგებლნა და საპატარძლოს მოლოდინში გამოკობტავებულიყო და გალამაზებულიყო, რაც, უნდა ითქვას, გასაკიცხი და დასაძრახი სულაც არ არის. შეიძლება ძალზე გაზვიადებული თვითკმაყოფილება და სასიამოვნო ცვლილების შეგნება ეპატიებოდა ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამო, რაკი ამჟამად სიძეკაცად ითვლებოდა. თავით ფეხამდე ყველაფერი ახლად შეკერილი ჰქონდა და შნოიანად ეცვა, ოღონდ მეტად ახალთახალი იყო და აშკარად ამხელდა, რომ ყველაფერი ეს გარკვეული მიზნით შეეძინა. კობტა, კეწკეწი მრგვალი ქუდიც ამას მოწმობდა: დიდი პატივით ეპყრობოდა და მეტად ფრთხილად ეჭირა ხელში; წყვილი იასამნისფერი მშვენიერი ხელთათმანიც ამასვე ამტკიცებდა, - სხვა არა იყოს რა, თუნდა მარტო იმით, რომ ხელში ტყუილად ეჭირა გამოსაჩენად და არ ეცვა. ტანისამოსის ღია ფერიც ახალგაზრდათა შესაფერად ჰქონდა შერჩეული. ტანთ ეცვა მშვენიერი, ბაცი ყავისფერი საზაფხულო პიჯაკი, ღია ფერის მსუბუქი შარვალი, ასეთივე ჟილეტი, ახლად ნაყიდი წმინდა ტილოს საცვლები, ვარდისფერზოლებიანი ბატისტის ჰაეროვანი ყელსახვევი, ყველაფერი ისე ჰქონდა შეხამებული, კიდევ უხდებოდა. საკმაოდ კარგად შენახული, თითქმის ლამაზი სახე ორმოცდახუთი წლისაზე ნაკლებს აჩენდა. მოშავო ქილვაშები კატლეტებივით ჰქონდა ჩამოკიდებული და სუფთად გაპარსულ ნიკაპთან ლამაზად დახვეული. ოდნავ შეჭალარავებული და პარიკმახერთან დახუჭუჭებულ-დავარცხნილი თმაც კი სრულიად არ აჩენდა სასაცილოდ, როგორც ეს ემჩნევა ხოლმე თმადახუჭუჭებულ კაცს, რადგან იგი ყოველთვის ემსგავსება საქორწინოდ გამზადებულ გერმანელს. თუ მის საკმაოდ ლამაზსა და დარბაისლურ სახეს უსიამოვნო და შემაზიზღებელი რამ ემჩნეოდა, ეს ისევ სულ სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული. ბ-ნ ლუჟინის მოურიდებლად სინჯვას რომ მორჩა, რასკოლნიკოვმა გესლიანად ჩაიცინა, ისევ ბალიშზე დაეშვა და წინანდებურად ისევ ჭერში დაიწყო ყურება.

მაგრამ ბ-ნმა ლუჩინმა თავი შეიმაგრა. ეტყობოდა, გადაწყვიტა კიდეც, რასკოლნიკოვის ასეთი უცნაური ქცევისათვის ჯერხნობით სრულიად არ მიექცია ყურადღება.

- ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დამიხვდით, - დაიწყო კვლავ ლუჩინმა მცირე სიჩუმის შემდეგ. - რომ მცოდნოდა ავად იყავით, ადრეც შემოგივლიდით. მაგრამ ხომ იცით, რა არის? საშინლად ბევრი საქმე მაქვს!.. ერთი საქმე მაინც მეტად მნიშვნელოვანია, სენატში მაქვს. იმისას ხომ, რასაკვირველია, არას ვამბობ, რის თაობაზეც თქვენც იქნებით მიხვედრილი. თქვენებს, დედათქვენსა და თქვენს დას, ყოველ წუთს ველი...

რასკოლნიკოვი შეირბა, თითქოს უნდოდა, რაღაც ეთქვა: სახეზე მღელვარება დაეტყო. ლუჩინიც შედგა და დაუცადა, მაგრამ რაკი რასკოლნიკოვმა აღარა თქვა რა, ისე განაგრძო: - დიახ, ყოველ წუთს ველი... სახელდახელოდ ბინაც მოვუძებნე.

- სადა? - ჩაეკითხა სუსტი ხმით რასკოლნიკოვი.

- აქედან შორს არ არის, ბაკალეევის სახლში...

- ვოზნესენსკზე, - გააწყვეტინა რაზუმიხინმა, - ორსართულიანი სახლია ნომრებად. ვაჭარ უშინს აქვს აღებული. ვყოფილვარ.

- დიახ, ნომრებია...

- საძაგლობა რამ არის: ჭუჭყიანი, აყროლებული და მასთან საეჭვო ადგილიც; ეშმაკმა იცის, ვინ არა დგას იქ... თვითონ მეც რაღაც სახათაბალო საქმისათვის ვიყავი ერთხელ. ეს კია, იაფია, ჰო.

- მე, რასაკვირველია, მაგდენ ცნობას ვერ შევკრებდი, როგორც ახალი კაცი, - მიუგო ამრუზით პეტრ პეტროვიჩმა, - მაგრამ ორი ოთახია, სუფთა და პატარა, მასთან მოკლე ხნითა მაქვს დაქირავებული... რადგან ნამდვილი ბინა ჩვენთვის, - მიუბრუნდა რასკოლნიკოვს, - უკვე მოძებნილი მაქვს და კიდეც აკეთებენ: მანამდის კი თვითონ მეც ნომრებში ვარ ვიწროდ, აქედან ორი ნაბიჯია, ბე-ლიპევეხელისას, ჩემი ახალგაზრდა მეგობრის, ანდრეი სემიონიჩ ლებეზიატნიკოვის ბინაში. ბაკალეევის სახლიც იმან მირჩია...

- ლებეზიატნიკოვისა? - გაიმეორა მძიმედ რასკოლნიკოვმა, თითქოს იგონებს რასმეო.

- დიახ, ანდრეი სემიონიჩ ლებეზიატნიკოვისა, სამინისტროში მსახურობს. იქნებ იცნობთ?

- ჰო... არა... - მიუგო რასკოლნიკოვმა.

- უკაცრავად, ისე იკითხეთ, ვიფიქრე, იცნობდით. ოდესღაც მისი მეურვე გახლდით... მშვენიერი ახალგაზრდაა... თანაც ყველაფერს ადევნებს თვალს... მე კი მუდამ მოხარული ვარ ახალგაზრდებისა: თუ რამ ახალია ქვეყნად, არ გამოეპარებათ, იმათგან გაიგებს კაცი. - პეტრ პეტროვიჩმა ყველას იმედიანად გადახედა.

- ვითომ რა მხრივ? - ჩაეკითხა რაზუმიხინი.

- რა მხრივ და, საქმის სრულიად სერიოზული და არსებითი მხრივ, - დასძინა პეტრ პეტროვიჩმა, თითქოს გაეხარდა, რომ შეეკითხნენო. - უნდა მოგახსენოთ, აგერ თითქმის ათი წელიწადია, პეტერბურგში აღარა ვყოფილვარ. ეს ჩვენი ახალი ამბები, რეფორმები, იდეები, ყოველივე ეს პროვინციამდეც მოაღწევს ხოლმე, მაგრამ ადამიანმა რომ უფრო ნათლად და თანაც თავისი თვალთ დაინახოს, პეტერბურგში უნდა იყოს. დიახ, და ჩემი აზრით ის გახლავთ, რომ ყველაზე მეტს მაშინ გაიგებ და შეამჩნევ, თუ ჩვენს ახალ თაობას დააკვირდები. გამოგიტყდებით: გავიხარე...

- რამ გაგახარათ?

- თქვენი კითხვა ერთობ ვრცელია; რასაკვირველია, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მაინც მგონია, ახალ თაობას უფრო ნათელი შეხედულება აქვს, უფრო მეტი კრიტიკა და საქმიანობა შეუძლია...

- ეგ მართალია, - გამოსცრა კბილებში ზოსიმოვმა.

- სტყუი, საქმიანობა ნაკლებადაა, - მყის აუხირდა რაზუმინი. - საქმიანობა ადვილი შესაძენი როდია, ვისმე ციდან როდი უვარდება პირში. ჩვენ კი აგერ, თითქმის ორასი წელიწადია ყოველგვარ საქმეს გადაჩვეულნი ვართ... იქნებ იდეები მართლაც არის სადმე აქა-იქ გაფანტული, - მიმართა პეტრ პეტროვიჩს, - კეთილი სურვილიც არის, თუნდაც ბავშვური; იქნება პატიოსნებაც მოიძებნება სადმე, თუმცა ყოველ მხრივ ურიცხვი გაიძვერა გვახვევია, მაგრამ საქმიანობა მაინც არ არის არსად! საქმიანობა ჯერ ჩექმებით დააბოტებს.

- არ გეთანხმებით, - მიუგო აშკარა კმაყოფილებით პეტრ პეტროვიჩმა, - რასაკვირველია, გატაცება და შეცდომები მუდამ იქნება, მაგრამ არც აგრე სასტიკად უნდა მოვეპყრათ. გატაცება საქმის მხურვალე სიყვარულის მომასწავებელია და გვიჩვენებს, რამდენად შეუფერებელ გარემოებაში იმყოფება საქმე. თუ დღემდე ცოტა გაკეთებულა, იმიტომ, რომ დროც დიდი არა გვქონია. რაც შეეხება საშუალებას, ეს ხომ სახსენებელი არც კია. ჩემი აზრით, პირიქით, ზოგიერთი რამ კიდევ გაკეთდა: გავრცელდა, მაგალითად, ახალი, სასარგებლო აზრები, გავრცელდა წინანდელ საოცნებო, რომანულ თხზულებათა ნაცვლად ახალი და სასარგებლო თხზულებანი; მწერლობა თანდათან წელში მაგრდება, ვითარდება; ბევრი მავნე და სამარცხვინო ცრურწმენა ძირიანად აღმოიფხვრა... ერთი სიტყვით, თითქმის რომ სამუდამოდ ჩამოვცილდით წარსულს, რაც, ჩემი აზრით, მცირე საქმე არ არის...

- გაუზვიანებია! თავსა გვაცნობს, - წარმოთქვა უცბად რასკოლნიკოვმა.

- რა არის? - დაეკითხა პეტრ პეტროვიჩი, მაგრამ რასკოლნიკოვმა აღარა უპასუხა-რა.

- ყველა ეს მართალი გახლავთ, - საჩქაროდ ჩაურთო სიტყვა ზოსიმოვმა.

- ხომ მართალია? - განაგრძო პეტრ პეტროვიჩმა და თან სიამოვნებით გადახედა ზოსიმოვს. - დამეთანხმეთ, - მიმართა ახლა რაზუმინს, მაგრამ რაღაც გამარჯვებისა და უპირატესობის გრძნობით, კინაღამ არ დასძინა: „ყმაწვილოო“, - წარმატება, ანუ როგორც ამბობენ, პროგრესი, თუნდაც მეცნიერებისა და ეკონომიკური ჭეშმარიტების სახელით, ექვს გარეშეა...

- გაცვეთილი აზრია.

- არა, ბატონო, გაცვეთილი აზრი არ გახლავთ! დღემდე თუ მეუბნებოდნენ- „გიყვარდესო“ და მეც მიყვარდა, რა გამოდიოდა აქედან? - განაგრძობდა პეტრ პეტროვიჩი მეტისმეტი აჩქარებით, - გამოდიოდა ის, რომ ტანისამოსს შუაზე ვხევდი და მოყვასს ვუზიარებდი, და ანდაზისა არ იყოს: „ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“, ორივე ნახევრად შიშვლები ვრჩებოდით. მეცნიერება კი ამბობს[14]: უპირველეს ყოვლისა, შეიყვარე თავი შენი, რადგან ქვეყნიერებაზე ყველაფერი კერძო ინტერესზეა დამყარებულიო. თუ თავს არ დაივიწყებ, საქმესაც რიგზე მოაგვარებ და ტანისამოსიც მთელი შეგრჩებაო. ეკონომიკური ჭეშმარიტება კი დასძენს: რამდენადაც მეტია საზოგადოებაში რიგზე მოწყობილი კერძო საქმე და რამდენადაც მეტი ტანისამოსია მთელი, იმდენად თვით საზოგადოებაც და საზოგადო საქმეც მტკიცედ და უკეთ არის მოწყობილიო. მაშასადამე, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის ვიძენ რასმე, ამითი ვზრუნავ სხვებისათვისაც და ვცდილობ, მოყვასმა ჩემმა დაგლეჯილ ტანისამოსზე ცოტა რამ უკეთესი მიიღოს, მაგრამ კერძო წყალობითა და თანაგრძნობით კი არ მომდის ეს, საყოველთაო სიკეთეზეა ეს ჩემი მისწრაფება დამყარებული. უბრალო და მარტივი აზრია, მაგრამ, საუბედუროდ, დიდხანს არავის მოსდიოდა ფიქრად, რაღაც აღტაცებითა და ოცნებით იყო დაჩრდილული, თუმცა მის აღმოჩენას თითქოს დიდი მახვილი გონება არ უნდოდა...

- ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ, იცით რა, - გააწყვეტინა მოურიდებლად რაზუმიხინმა, - მეც დიდი მახვილი გონების პატრონი არა ვარ და სჯობს თავი დავანებოთ. განგებ დავიწყე ლაპარაკი, თორემ ყველა ეს ყბედობა და თავის მოტყუება, ეს დაუსრულებელი გაცვეთილი აზრები და სამი წლის განმავლობაში ურიცხვად გამეორებული ერთი და იგივე საბუთები და მოსაზრებანი ისე მეზიზღებინა, რომ, ღმერთმანი, მრცხვენია მაშინაც კი, როცა სხვები ლაპარაკობენ ჩემთან. თქვენ, რასაკვირველია, ისწრაფოდით როგორმე გაგეცნოთ ჩვენთვის თქვენი ცოდნა და აზრები. ეს მისატყვევებელიცაა და არცთუ გაგვიცხავთ. მე მინდოდა მხოლოდ გამეგო ახლა, - ვინ ბრძანდებით, იმიტომ რომ ამ ბოლო დროს იმდენი სხვადასხვა ჯურის მოხერხებული მწარმოებელი აეკვიატა საზოგადო საქმეს და ისე დაამახინჯეს თავის სასარგებლოდ ყველაფერი, რასაც გაეკარნენ, რომ მთელი საქმე გაასამაგლეს. ჰოდა, კმარა!

- მოწყალეო ხელმწიფევ, - დაიწყო ბატონმა ლუჟინმა წყენით, მაგრამ საკუთარი ღირსებით, - იქნებ გნებავთ, მოურიდებლად მითხრათ, რომ მეც...

- ოჰ, რასა ბრძანებთ, რას ბრძანებთ!.. ჰოდა, კმარა! - მოუჭრა მოკლედ რაზუმიხინმა, მიუბრუნდა ზოსიმოვს და შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო.

პეტრ პეტროვიჩი იმდენად გონიერი გამოდგა, რომ განმარტება მაშინვე დაიჯერა. მაინც ორი წამის შემდეგ წასვლა არჩია ისევ.

- იმედი მაქვს, ამჟამად დაწყებული ნაცნობობა, - მიმართა რასკოლნიკოვს, - თქვენი მოკეთების შემდეგ, უკვე თქვენთვის ცნობილ გარემოებათა წყალობით, შემდეგში უფრო განმტკიცდება... განსაკუთრებით გისურვებთ ჯანმრთელობას...

რასკოლნიკოვს თავი არც კი მიუბრუნებია. პეტრ პეტროვიჩმა სკამიდან წამოდგომა დააპირა.

- უთუოდ დამგირავებელმა ვინმემ მოკლა! - ამტკიცებდა ზოსიმოვი.

- უთუოდ, უთუოდ! - დაემოწმა რაზუმინი. - პორფირი თავის აზრს არავის უმჟღავნებს, მაგრამ დამგირავებლებს მაინც იბარებს დასაკითხავად.

- დამგირავებლებს იბარებს? - ჩაეკითხა ხმამაღლა რასკოლნიკოვი.

- ჰო, რა არის?

- არაფერი.

- მერე, საიდან პოულობს ამ დამგირავებლებს? - შეეკითხა ზოსიმოვი.

- ზოგი კოხმა უჩვენა; სხვების სახელი და გვარი ნივთების გასახვევ ქაღალდებზე ეწერა. ზოგი კი თვითონაც გამოცხადდა, რაკი გაეგოთ...

- ეტყობა, ძალიან გაქნილი და გამოცდილი ვიღაც ყოფილა! რა გამბედაობაა! რა მოხერხებაა!

-საქმეც ეგ არის, რომ არა ყოფილა გამოცდილი და! - გააწყვეტინა რაზუმინმა. - კიდევ ეგ გიბნევთ გზა-კვალს ყველას. მე კი ვამბობ: მოუხერხებელი და გამოუცდელი ყოფილა, პირველი ნაბიჯი იყო უთუოდ! თუ გაქნილსა და მოხერხებულ ადამიანს ვიგულისხმებთ, დაუჯერებელი რამ გამოვა. აქ კი, ეტყობა, გამოუცდელი ყოფილა, მაგრამ შემთხვევას უხსნია. შემთხვევა კი, ვინ იცის, რას არ იზამს ხოლმე! იქნებ დაბრკოლებაც კი გათვალისწინებული არა ჰქონია! მერე როგორ მოიქცა? რაღაც თუმნიანი და ორთუმნიანი ნივთები წაიღო, ჯიბეები იმითი გამოიტენა, ბებრუხანას სკივრში ურია ხელი, ჩვრები ამოუქოთა. იქვე კი, კამოდის ზედა უჯრაში რომ ნაღდი ფული იყო ას ორმოცდაათ თუმანზე მეტი და ბილეთები კიდევ სხვა, ეს ვერც შეუნიშნავს! გამარცვაც კი არ სცოდნია როგორ უნდა, მოუკლავს მარტო! გეუბნები, პირველი ნაბიჯი ყოფილა-მეთქი, პირველი; დაბნეულა! თავიც შემთხვევით დაუღწევია და არა ანგარიშით!

- თქვენ უთუოდ ამ დღეებში მოკლულ ბებერ ქვრივზე ბრძანებთ, არა? - ჩაეკითხა ზოსიმოვს პეტრ პეტროვიჩი, რომელიც უკვე ფეხზე იდგა ქუდითა და ხელთათმანებით ხელში და უნდოდა, წასვლის წინ კიდევ ეთქვა რამდენიმე ჭკვიანური სიტყვა.

ეტყობოდა, ძალიან ცდილობდა, კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა და ამიტომაც თავმოყვარეობამ გონიერებასა სძლია.

- დიახ. თქვენც გაიგეთ?

- როგორ არა, მეზობლად...

- მერე, დაწვრილებით იცით?

- არა, არ ვიცი, მაგრამ აქ სრულიად სხვა გარემოება, ანუ სხვა საკითხი იზიდავს ჩემს ყურადღებას. არას ვიტყვი იმაზე, რომ ამ ბოლო წლებში დაბალი წრის ხალხში დანაშაულობათა რაოდენობა თანდათან მატულობს; არას ვიტყვი არც იმაზე, რომ თითქმის ყველგან გამარცვისა და გადაწვის ხმები ისმის მხოლოდ. ყველაზე უცნაური ჩემთვის აქ ის არის, რომ ასევე მატულობს ბოროტმოქმედებათა რიცხვი მაღალ

წრეებშიაც. თითქმის იმავე თანდათანობითა და სისწრაფით. იქ ნასტუდენტარმა გაძარცვა შარაგზაზე ფოსტაო; აქ დაწინაურებული ხალხი ყალბ ფულსა სჭრისო; აგერ, მოსკოვში მთელი საზოგადოება აღმოაჩინეს, რომელიც უკანასკნელი სესხის ყალბ ბილეთებს ამზადებდა თურმე, და მთავარ მონაწილეთა შორის ერთი მსოფლიო ისტორიის ლექტორიც იყო; იქ ფულის გულისთვის თუ რაღაც საიდუმლო განზრახვით ჩვენს უცხოელ მდივანს კლავენ... ხოლო თუ აქაც ბებრუხანა მევახშე რომელიმე მაღალი წრის წარმომადგენელისაგან არის მოკლული, ვინაიდან გლეხებს არცა აქვთ ოქროს ნივთები და არც დაგირავება შეუძლიათ, მაშ რით აიხსნება ყველა ეს მაგალითი, თუ არა იმით, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებული ნაწილი თავგასული და უზნეოა?

- ეკონომიკური ცვლილება მრავალია... - შენიშნა ზოსიმოვმა.

- რით აიხსნება? - ჩააცვიდა რაზუმიხინი. - რითი და აი სწორედ ამ ჩვენი უსაქმურობით.

- ესე იგი, როგორ?

- არ გახსოვთ, რა უპასუხა თქვენმა ლექტორმა მოსკოვში მოსამართლეებს კითხვაზე, რატომ სჭრიდით ყალბ ბილეთებს: „ყველანი სხვადასხვა საშუალებით მდიდრდებიან, და მეც ასევე ჩქარა მოვინდომე გამდიდრებაო“. მისი სიტყვები დაწვრილებით ვერ მომიგონია, მაგრამ აზრი კი ეს იყო, - მინდოდა უშრომლად და მალე გავმდიდრებულიყავიო! ერთობ მივეჩვიეთ სხვის ხარჯზე, სხვისი ჭკუითა და შეწევნით ცხოვრებას, სხვის დაღეჭილ ლუკმასო. მაგრამ დარეკა ჟამმა და ყველამ ისე იჩინა თავი, როგორც უნდა ეჩინა.

- ეგ კარგი, მაგრამ ზნეობა? წესიერება და რიგიანობა...

- რისთვისა ზრუნავთ ნეტა? - ჩაერია მოულოდნელად რასკოლნიკოვი. ყველა ეს ხომ თქვენს თეორიას ეთანხმება!

- როგორ თუ ჩემს თეორიას?

- როგორ და ისე: განაგრძეთ, აბა, წელანდელი თქვენი მოძღვრება და ნახავთ, რომ ხალხის ხოცვაც შესაძლებელი შეიქნება...

- ღმერთმა დამიფაროს!- შეჰყვირა ლუჟინმა.

- არა, არა, აგრე არ არის!- ჩაერია ზოსიმოვი.

რასკოლნიკოვი გაფითრებული იწვა, ზედა ტუჩი საშინლად უცახცახებდა, ძლივსღა სუნთქავდა.

- ყველაფერს თავისი ზომა აქვს, - განაგრძობდა მედიდურად ლუჟინი, - ეკონომიკური იდეა მკვლელობას როდი აკისრებს ვისმე, ხოლო თუ წარმოვიდგენთ, რომ...

- მართალია, - უცბად ისევ გააწყვეტინა სიტყვა სიბრაზისაგან აცახცახებულმა რასკოლნიკოვმა და მის ხმაში მოისმა გესლიანი სიხარული, - მართალია, რომ თქვენს საპატარძლოს უთხარით... სწორედ იმ დროს, თანხმობა რომ გამოუცხადებია, ვითომ ყველაზე მეტად მოხარული ხართ იმის სიღარიბისა... იმიტომ, რომ უკეთესია ღარიბი

შეირთოს ადამიანმა, რათა შემდეგ სრული უფალი შეიქნეს ცოლისა და საბუთიც ჰქონდეს, დააყვედროს ხოლმე, ქმრისაგან ხარ გაბედნიერებულიო?..

- მოწყალეო ხელმწიფევ! - შეჰყვირა ადელვებულმა ლუჟინმა გაბოროტებით და მთლად ანთო, დაიბნა, - მოწყალეო ხელმწიფევ... აზრის აგრე დამახინჯება! მაპატიეთ, მაგრამ მოგახსენებთ, რომ თქვენამდე მოღწეული ანუ, უკეთ ვთქვათ, განგებ მოტანილი ხმა სრულიად მოკლებულია გონივრულ საფუძველს. და ეჭვიც მაქვს მიტანილი, ვისგანაც... ერთი სიტყვით... დედათქვენს უხარებია... თუმცა წინათვე შევამჩნიე, რომ ყველა სხვა ღირსებასთან, ცოტა არ იყოს, ატაცებული ადამიანია და ზედმეტად ემორჩილება გრძნობებს, მაგრამ მე მაინც ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე დაამახინჯებდა ფაქტს და ასეთი გარდაქმნილი სახით გაცნობებდათ... დასასრულ... დასასრულ...

- იცით რა? - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და ბალიშზე წამოიწია, თან ელვასავით ანთებული თვალი თვალში გაუყარა, - იცით რა არის?

- რა?

ლუჟინი შედგა და შეურაცხყოფელი, გამომწვევი სახით უცდიდა, რა იქნებოდა. რამდენსამე წამს ასე იყვნენ გაჩუმებულნი.

- რა და ის, რომ თუ კიდევ... გაბედავთ და... ერთ სიტყვას კიდევ დასძრავთ... დედაჩემზე... იცოდეთ, კიბიდან პანდურის კვრით ჩაგიძახებთ!

- რა დაგემართა? - შეჰყვირა რაზუმიხინმა.

- ხედავთ, თურმე როგორ ყოფილა საქმე! - გაფითრდა ლუჟინი და ტუჩზე იკბინა. - ყური დამიგდეთ, ბატონო, - დაიწყო მან მძიმედ, თავშეკავებით, მაგრამ მღელვარებისაგან სულს მაინც ძლივს იბრუნებდა, - წელანვე, პირველ შემოსვლისთანავე, შეგნიშნეთ, რომ მტრულად შემეგებეთ, მაგრამ განგებ დავრჩი, რომ უკეთ გამეგო საქმე. როგორც ავადმყოფს და ნათესავს, ბევრს გაპატიებდით, მაგრამ ახლა კი... არასოდეს... არასოდეს...

- მე ავად არა ვარ! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

- მაშ, მით უარესი...

- დამეკარგეთ აქედან!

მაგრამ ლუჟინი უკვე უიმისოდაც მიდიოდა, მაგიდასა და სკამს შუა მიძვრებოდა. რაზუმიხინი წამოდგა, რომ გაეტარებინა. ლუჟინს აღარავისთვის შეუხედნია, ზოსიმოვისათვისაც კი, რომელიც ანიშნებდა, ავადმყოფისათვის თავი დაენებებინა, და ისე გავიდა; გასვლისას ქუდიც მხართან მიიტანა, რომ არაფრისთვის მიეკარებინა. ოდნავ წახრილს ზურგზედაც კი ნათლად ეტყობოდა, თან რა საზარელი შეურაცხყოფა მიჰქონდა.

- ასე შეიძლება განა? - იმეორებდა რაზუმიხინი და თავს აქნევდა.

- თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ ყველამ! - შეჰყვირა აღშფოთებულმა რასკოლნიკოვმა, - რა გინდათ, არ დამეხსნებით? მე თქვენი არ მეშინია! აღარავისიც აღარ მეშინია! გამშორდით ყველა! მინდა მარტოდმარტო ვიყო, მარტო! მარტო!

- წავიდეთ! - უთხრა ზოსიმოვმა და რაზუმეხინს თავით ანიშნა.

- მერე? ასე უნდა დავტოვოთ განა?

- წავიდეთ!-გაუთქორა დაჟინებით ზოსიმოვმა და გარეთ გავიდა.

რაზუმეხინმა პატარა ხანს იფიქრა და თვითონაც გაედევნა.

- უარესი იქნებოდა, რომ არ გაგვეგონა მისთვის,- ეუბნებოდა კიბეზე ზოსიმოვი რაზუმეხინს, - ცუდია ასეთ დროს ავადმყოფის გაბრაზება...

- რა მოუვიდა?

- გარემოებას რომ ხელი შეეწყო, მეტი არა უნდოდა რა! წელან თითქოს... იცი რა: რალაც ფიქრი აწუხებს და მძიმედ სტანჯავს... მე ამის ძალიან მეშინია, დიახ!

- ამ ვიღაც პეტრ პეტროვიჩის ბრალი თუა! ლაპარაკიდან ეტყობა, ამის დას უნდა ირთავდეს, რის თაობაზეც წერილი როდიას სწორედ ავადმყოფობის წინ მიუღია...

- დიახ, დიახ, რაღა ახლა მოეხეტა? იქნებ საქმეც სულ მთლად ჩაგვიშალა, არა, შენიშნე, რომ ყველაფერს გულგრილად ეკიდება, ჩუმად არის, მაგრამ როგორც კი მკვლევლობას ახსენებენ, მაშინვე შფოთვას უმატებს ხოლმე...

- როგორ არა, როგორ არა, - უპასუხა რაზუმეხინმა, - შევნიშნე და აგრე! საშინლად უნდა ყველაფერი გაიგოს, მაგრამ თითქოს ეშინია კიდევ. ეს უთუოდ იმის გამოა, რომ ავადმყოფობის დღესვე შეუშინებიათ უბნის ზედამხედველის კანტორაში; გულიც შეჰკლონებია.

- აბა ერთი ამ საღამოს დაწვრილებით მიაშვე ეგ და მერე მეც გეტყვი რასმე. დიდად იზიდავს ეგ ჩემს ყურადღებას! ნახევარი საათის შემდეგ კიდევ შემოვივლი, ვნახავ... თუმცა ანთება არ ექნება...

- გმადლობ! მე კიდევ პაშენკასთან მოვიცდი და ნასტასიას დახმარებით ვუგდებ ყურს.

მოუთმენლად და წუხილით გადახედა ნასტასიას მარტოდ დარჩენილმა რასკოლნიკოვმა, მაგრამ ნასტასია არა ჩქარობდა წასვლას.

- ჩაის არ დალევ? - შეეკითხა იგი.

- მერე! მეძინება! თავი დამანებე...

რასკოლნიკოვმა ბრაზით იბრუნა კედლისაკენ პირი. ნასტასიაც მაშინვე გავიდა.

VI

მაგრამ გავიდა თუ არა ნასტასია, რასკოლნიკოვი მაშინვე წამოდგა, კარი გადარაზა, გახსნა რაზუმეხინის მოტანილი და მის მიერვე ისევ შეკრული ბოხჩა, ამოიღო იქიდან ტანისამოსი და ჩაცმა დაიწყო. უცნაური იყო სწორედ: თითქოს უცბად სავსებით

დამშვიდდა; აღარც წელანდელივით ბოდავდა, აღარც ის საზარელი შიში იპყრობდა, როგორც ეს ბოლო დროს დასჩემდა. ის იყო პირველი წამი რაღაც უცნაური და უცები დამშვიდებისა. ყოველი მოძრაობა ნათლად გარკვეული და ზუსტი ჰქონდა, ყველაფერში მტკიცე განზრახვა ეტყობოდა. „დღესვე, დღესვე!“ - დუდუნებდა თავისთვის. თვითონაც გრძნობდა, რომ ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ ძლიერმა სულიერმა განცდამ ძალა და რწმენა შესძინა; იმედი ჰქონდა, რომ ქუჩაში მაინც არ დაეცემოდა. ჩაიცვა ახლები, გამოეწყო და მაგიდაზე დადებულ ფულს გადახედა; ერთხანს დაფიქრებული იდგა, აიღო მერე ფული და ჯიბეში ჩაიღო. სულ ოცდახუთი მანეთი იყო. ჯიბეშივე ჩაიყარა რაზუმინის მოტანილი ხურდა - შაურიანები. ახსნა მერე ფრთხილად რაზა, გამოვიდა ოთახიდან, ჩამოვიდა კიბეზე და სამზარეულოს ღია კარს ჩუმად გახედა: ნასტასია, ზურგშექცეული და წაკუზული, დიასახლისის სამოვარში ცეცხლს აღვივებდა; არა გაუგია რა. მაგრამ ან კი ვინ მოიფიქრებდა, თუ ავადმყოფი სადმე წავიდოდა? ერთი წამის შემდეგ რასკოლნიკოვი უკვე ქუჩაში იყო.

სადამოს რვა საათი იქნებოდა, მზე ჩადიოდა. ჰაერი, წინანდებურად, შეხუთული იყო; მაგრამ რასკოლნიკოვმა ხარბად ჩაისუნთქა ქალაქის ეს მოწამლული, მტვრიანი და აყროლებული ჰაერიც. ცოტა არ იყოს, თავბრუ დაეხვა; რაღაც უჩვეულო ძალამ და მხნეობამ იფეთქა უცბად მის ანთებულ თვალეში და გამხდარ-გაყვითლებულ სახეზე. არ იცოდა და არც ფიქრობდა, საით უნდა წასულიყო; მაგრამ ერთი რამ კი: „რომ ყველაფერი ეს დღესვე უნდა გაეთავებინა, ერთბაშად, ახლავე; რომ უამისოდ არაფრის გულისათვის შინ აღარ დაბრუნდებოდა, იმიტომ რომ ასე ცხოვრება აღარ უნდოდა“, ეს კარგად იცოდა. მაგრამ როგორ და რით გაეთავებინა? ეს კი არ იცოდა და ამაზე არც უნდოდა ეფიქრა. რამდენჯერაც კი გაუელვებდა ფიქრი, იმდენჯერ ახლოს არ იკარებდა, სდევნვით: ფიქრი სტანჯავდა, არ ასვენებდა. გრძნობდა და იცოდა მხოლოდ ერთი რამ: ასე იქნებოდა თუ ისე, უთუოდ უნდა შეცვლილიყო ყველაფერი. „როგორც უნდა იყოს“, იმეორებდა მტკიცედ სასოწარკვეთილი.

მველი ჩვეულებისამებრ იმ გზით, წინათ რომ იცოდა გასეირნება, პირდაპირ სენის მოედნისკენ გასწია. მაგრამ ჯერ სენაზე არ გასულიყო, რომ საწვრილმანო დუქნის წინ, ქვაფენილზე, შავგვრემანი მეარღნე დაინახა. დამდგარიყო და გულისამაჩუყებელ რომანსს უკრავდა. წინ ედგა ასე, თხუთმეტი წლის გამოკოპწიავებული ქალი, ხელთათმანებით, მოკლე წამოსასხამით, ხაზარდიანი კაბით; თავზე ჩალის ქუდი ეხურა, რომელსაც ზედ ცეცხლისფრად მოელვარე ფრთა ჰქონდა მიკერებული; ყველაფერი ეს უკვე ნახმარი და ნათრევი იყო. მედუქნისაგან რაღაც ორკაპიკიანის მოლოდინში ქალი ჟღერიალა, თუმცა საკმაოდ მძლავრი და საამო ხმით დამდეროდა არღანზე რაღაც რომანსს. რასკოლნიკოვიც ორიოდე ყურისმგდებელს ამოუდგა მხარში, პატარა ხანს უსმინ, მერე ამოიღო ჯიბიდან შაურიანი და ქალს ჩაუდო ხელში. ქალმა იმავე წამს შეწყვიტა სიმღერა მაღალ და მგრძნობიარე ნოტზე, მეარღნეს შეუყვირა: „კმარაო!“ და ორთავემ ახლა მეორე დუქნისაკენ გასწია.

- გიყვართ თქვენ ქუჩის სიმღერა? - მიმართა რასკოლნიკოვმა იქვე, მის გვერდით, მეარღნესთან მდგომ ვიღაც ხნიერ გამვლელს, რომელსაც, ეტყობოდა, არავითარი საქმე არა ჰქონდა და ისე, ტყუილად დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა. გამვლელმა გაკვირვებით შეხედა. - მე კი მიყვარს, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი ისეთნაირად, გეგონებოდათ, ქუჩის სიმღერაზე კი არა, სხვა რამეზე ლაპარაკობსო, - მიყვარს, არღანზე რომ დამდერიან შემოდგომის ცივ, ბნელსა და ნოტიო ღამეში. კი, უთუოდ ნოტიო ღამეში, როცა გამვლელ-გამომვლელს, ყველას გაცრეცილი, მწვანე,

ავადმყოფური სახე აქვს; ან კიდევ უქარო ღამეში, როცა სველი თოვლი პირდაპირ ცვივა მიწაზე, გესმით? თოვლის ფიფქების კორიანტელში კი ფარნები ციალებენ.

- არ ვიცი... უკაცრავად... - წაიბუტბუტა რასკოლნიკოვის უცნაური შესახედაობითა და შეკითხვით გაკვირვებულმა გამვლელმა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

წავიდა პირდაპირ რასკოლნიკოვი და სენის მოედნის იმ კუთხეში გავიდა, სადაც მოვაჭრე ცოლ-ქმარი ელაპარაკებოდა მაშინ ლიზავეტას; მაგრამ ისინი ახლა აღარსად ჩანდნენ. იცნო ადგილი, შედგა, მიიხედ-მოიხედა და ალაფის დუქნის კარში უსაქმურად მდგომ წითელხალათა ახალგაზრდას მიმართა: - ამ კუთხეში ხომ ვიღაც ცოლ-ქმარი ვაჭრობს, არა?

- ყველა ჯურის ხალხი ვაჭრობს, - მიუგო ახალგაზრდამ და მედიდურად აათვალიერ-ჩაათვალიერა რასკოლნიკოვი.

- რა ჰქვიან კაცს?

- ისევ ის, რაც დაუნათლებიათ.

- იქნებ შენც ზარაისკიდანა ხარ? რომელი გუბერნიიდან?

ახალგაზრდამ კიდევ გადახედა რასკოლნიკოვს.

- ჩვენ, თქვენო ბრწყინვალეზავ, გუბერნიიდან კი არა, მაზრიდან ვართ, აქეთ-იქით ძმა დადიოდა ხოლმე, მე კი შინ ვიჯექი, ასე რომ, არა ვიცი რა... უკაცრავად კი, თქვენო ბრწყინვალეზავ.

- აი იქ, მაღლა, რა არის? სასადილოა?

- სასადილო კი არა, ტრაქტირია და ბილიარდიც აქვთ; პრინცესებიცა ჰყავთ... მერე როგორები!

რასკოლნიკოვი მოედანზე გადავიდა. იქ, კუთხეში, გლეხების ბრბო იდგა. შევიდა შუაგულ ბრბოში და პირდაპირ თვალებში დაუწყო ყველას ცქერა. რატომღაც უნდოდა, ყველას გამოლაპარაკებოდა. მაგრამ გლეხები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, რაღაცას ყაყანებდნენ აქა-იქ შეჯგუფულნი. იდგა პატარა ხანს ასე, იფიქრა, იფიქრა და პირდაპირ ქვაფენილს დაადგა, ვ-საკენ გასწია მარჯვნივ. გასცილდა თუ არა მოედანს, მაშინვე ქუჩის შესახვევში მოხვდა...

წინათაც ბევრჯერ უვლია ამ მოკლე შესახვევით, რომელიც პირდაპირ ზადის ქუჩაზე გადის. ამ ბოლო დროს ხომ უხშირა კიდევ ამ ადგილებში სიარულს, რომ გულამღვრეულს „უფრო მეტად შეჰზიზღებოდა ყველაფერი“. მაგრამ ახლა სულ არა უფიქრია რა, ისე მოხვდა ამ ქუჩაზე. აქ დგას ვეება სახლი, რომელიც მთლად სასმელი და სასაუზმო დუქნებითაა სავსე. ამ დუქნებიდან წამდაუწუმ გამორბოდნენ, ისე როგორც „სამეზობლოდ“ იციან ხოლმე გამოსვლა, თავშიშველა, კაბისამარა ქალები. ორ-სამ ადგილას შეჯგუფულიყვნენ ისინი ფილაქანზე, განსაკუთრებით იქ, საიდანაც სულ ორი-სამი საფეხური უნდა ჩაგველოთ, რომ სხვადასხვა, მეტად სამხიარულო ადგილას მოხვედრილიყავით. ერთ მათგანში იმჟამად სწორედ საშინელი ღრიანცელი და ბრაზაბრუხი იყო; უკრავდნენ გიტარას, ზედ დამღეროდნენ და მხიარულობდნენ. ქალების დიდი ჯგუფი ჩასავალთან შეკრებილიყო; ზოგნი კიბის საფეხურებზე

ჩამომსხდარიყვნენ, ზოგნი ქვაფენილზე, სხვები ფეხზე იდგნენ და ლაპარაკობდნენ იქვე, ქვაფენილზე ვიღაც მთვრალი ჯარისკაცი დაყიალობდა, პაპიროსს ეწეოდა, ხმამაღლა ილანძღებოდა. ეტყობოდა, სადღაც უნდოდა შესვლა, მაგრამ სად, ვეღარ გაეგნო. ერთი ვიღაც ჩამოფლეთილი მეორე ჩამოფლეთილს ეჩხუბებოდა, ვიღაცა გალექებული კიდევ მკვდარივით გამხლართულიყო შუაგულ ქუჩაში. რასკოლნიკოვიც ბლომად შეკრებილ ქალებთან გაჩერდა. ყველა ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა; ჩითის კაბები და უბრალო ფეხსაცმელები ეცვათ, თავზედაც არაფერი ეხურათ. ზოგიერთი ორმოც წელსაც იყო გადაცილებული, მაგრამ იყვნენ მათ შორის ჩვიდმეტი წლისანიც. თითქმის ყველას თვალები ჩალურჯებული ჰქონდა.

გაიტაცა როგორღაც რასკოლნიკოვი ამ სიმღერამ, ღრიანცელმა და ბრახაბრუხმა, ქვევიდან რომ ამოდიოდა... სიცილსა და წივილ-კივილში, ისმოდა, გიტარაზე როგორ გატაცებით გასწიოდა ვიღაცა სიმღერას და მის ხმაზე ერთი მოქეიფეთაგანი როგორ ფიცხლად უვლიდა ბუქნას და ქუსლების ბაკიბუქს შეწყობილად აყოლებდა. დაღვრემილი და დაფიქრებული უგდებდა ყურს რასკოლნიკოვი, ოდნავ წახრილი, ცნობისმოყვარეობით ჩაიცქირებოდა ფილაქნიდან ჩასავალ კარში.

ჩემო ლამაზო, მითხარო, ტყუილად რატომ მირტყამო!

გაჰკიოდა ვიღაც მომღერალი. რასკოლნიკოვს საშინლად მოუნდა გაეგო, რასა მღეროდნენ, თითქოს მეტი საქმე არა ჰქონდა რა.

„მოდი, ჩავალ, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - ხარხარებენ! მთვრალები არიან. მერე რა იქნება, მეც რომ დავთვრე?“

- არ ჩამობრძანდებით, საყვარელო ბატონო? - დაეკითხა ერთი იქ მდგომი ქალთაგანი, რომელსაც ჯერ კიდევ მთლად არ ჩახრინწოდა ხმა. ახალგაზრდა იყო და მთელ ჯგუფში ყველაზე ნაკლებ შეგეზიზღებოდა.

- შეხეთ, რა ლამაზია! - თქვა რასკოლნიკოვმა და წელში გასწორდა, პირდაპირ შეხედა.

ქალმა გაიღიმა; ქათინაური ეამა.

- თქვენ თვითონ მეტად ლამაზი ბრძანდებით, - მიუგო ქალმა.

- რა გამხდარია! - შენიშნა ბოხი ხმით მეორემ. - საავადმყოფოში ხომ არა წოლილხართ!

- გეგონებათ, გენერლის ქალები არიანო, ცხვირი კი ყველას პაჭუა აქვს! - გააწყვეტინა უცხად შესწრებულმა შეზარხოშებულმა და ჯუბაგადახსნილმა, ეშმაკურად მოდიმარე გლებმა. - ხედავთ, რას მხიარულობენ!

- მოსულხარ, გაიარე!

- გავივლი, თაფლო, გავივლი!

და ქვევით, დუქანში მოადინა ზღართანი.

რასკოლნიკოვი ისევ გზას გაუდგა.

- გესმით, ბატონო! - მიაყვირა ქალმა რასკოლნიკოვს.

- რა იყო?

ქალს შერცხვა.

- მე, კეთილო ბატონო, მუდამ მოხარული ვიქნები, თქვენთან ვატარო დრო, მაგრამ ახლა როგორღაც მრცხვენია. მაჩუქეთ, სასურველო, ექვსიოდე კაპიკი, რომ დავლიო რამე!

ამოიღო ჯიბიდან რასკოლნიკოვმა, რაც კი ამოჰყვა; სულ სამი შაური იყო.

- ოჰ, რა კეთილი ბატონი ყოფილხართ!

- რა გქვია?

- დუკლიდა. ასე მიკითხეთ.

- არა, რასა ჰგავს ეს, - შენიშნა უცხად ერთმა ჯგუფში მდგომთაგანმა და თან თავის ქნევა დაუწყო დუკლიდას, - არ ვიცი სწორედ, როგორ უნდა სთხოვო ვისმე ასე! მე, მგონი, სირცხვილით მიწაში ჩავძვრებოდი.

რასკოლნიკოვმა ცნობისმოყვარე თვალით გადახედა მოლაპარაკეს. ეს იყო ასე, ოცდაათი წლის, სახედალურჯებული და ზედატუჩშესიებული ჩოფურა ქალი. ლაპარაკობდა სრულიად დამშვიდებული და დინჯად ჰკიცხავდა.

„საიდან მახსოვს? - ფიქრობდა რასკოლნიკოვი და თან მიდიოდა, - სად წამიკითხავს, რომ ვიღაც სიკვდილმისჯილი ასე ფიქრობდა, თუ ამბობდა ერთი საათის წინ დასჯამდე: ვარჩევდი მთელი სიცოცხლე, გინდაც ათასი წელი, თუ საუკუნოდ განმარტოებულად მეცხოვრა ერთ თვალუწვდენელ კედელზე, ისეთ ვიწრო, მოუხერხებელ ადგილას, სადაც მხოლოდ ფეხის მოკიდება შეიძლებოდა, გარშემო კი უკუნი წყვდიადი, ქარიშხალი და უფსკრული ყოფილიყო, ან მხოლოდ უძირო ოკეანეთი მქონოდა გარშემორტყმული, ოღონდ სიცოცხლე შემრჩენოდა, არ მოვძვდარიყავ ახლავე! ოღონდ მეცოცხლა, რა გვარიც უნდა ყოფილიყო ეს ჩემი სიცოცხლეო!.. რა მართალია! რა ჭეშმარიტებაა, ღმერთო ჩემო! ფლიდი და სამაგელი რამ არის ადამიანი!.. და ასევე სამაგელია ისიც, ვინც მას ამისათვის სამაგელს უწოდებს“, - დასძინა ორი წუთის შემდეგ.

მეორე ქუჩაზე გავიდა: „ეჰე, ბროლის სასახლე!“

წელან არ იყო, რაზუმინინი ლაპარაკობდა „ბროლის სასახლეზე“. ჰო, მაგრამ მე რა მინდოდა აქ? ჰო, ჰო, უნდა წამეკითხა!.. ზოსიმოვმა თქვა, გაზეთებში წავიკითხო...

-გაზეთები ხომ გაქვთ? - იკითხა რასკოლნიკოვმა, შევიდა თუ არა ხალვათსა და სუფთად მოწყობილ, რამდენიმე ოთახიან ტრაქტირში. შიგ თითქმის არავინ ჩანდა. ორი თუ სამი კაცი ჩაისა სვამდა, შორეულ ოთახში კიდევ ვიღაც ოთხი კაცი იჯდა, შამპანურს შეეცქეოდნენ. რასკოლნიკოვს მოეჩვენა, მათ შორის ზამეტოვიც მგონი, არისო. მაგრამ შორიდან კარგად გარჩევა ძნელი იყო.

„არის და იყოს, რა ვქნა ახლა!“ - გაიფიქრა თავისთვის.

- არაყს ინებებთ? - დაეკითხა შესვლისთანავე მსახური.

-არა, ჩაი მომიტა. თან ამ ხუთიოდე დღის გაზეთები მოაყოლე, ფულს გაჩუქებ.

- ბატონი ბრძანდებით, ახლავე! აი, დღევანდლებიც. არაყსაც ხომ არ ინებებთ.

ძველი გაზეთებიცა და ჩაიც ორივე მალე მოუტანა. რასკოლნიკოვი ჩაუჯდა და დაუწყო ძებნა: „იზლერი[15] - იზლერი - აცტეკი - აცტეკი - იზლერი - ბარტოლა - მასიმო[16] - აცტეკი - იზლერი... ფუ, დალახვროს ეშმაკმა! რა ცნობებია: კიბიდან გადმოიჩეხაო - იქ ვილაც მდაბიო მოქალაქე ღვინოში ჩაიხრჩოო - რიყეზე და პეტერბურგის მხარეზე ცეცხლი გაჩნდაო[17] - კიდევ ცეცხლია პეტერბურგის მხარეზე - კიდევ იზლერი - იზლერი - მასიმო... ძლივს რა, აი ესეც“...

იპოვა ბოლოს, რასაც ეძებდა, და კითხვა დაუწყო. სტრიქონები სულ ერეოდა, მაგრამ მაინც ჩაიკითხა და ახლა გაზეთის სხვა ნომრებს დაუწყო ძებნა, რომ დამატებითი ცნობებიც შეეტყო. მოუთმენლობისაგან გულგადაღეულს ხელები უცახცახებდა, გაზეთებს რომ ფურცლავდა. უცებ ვილაც მიუჯდა გვერდით. შეხედა - ზამეტოვია, იგივე ზამეტოვი, ბეჭდებითა და ოქროს ძეწკვით გამოჭიმული, ხუჭუჭა თმაზე სურნელოვან საცხებელგადასმული, მშვენიერ ჟილეტსა და ცოტა გახეხილ სერთუკში გამოწყობილი. მხიარულად იყო, ყოველ შემთხვევაში, მხიარულად და გულკეთილად იღიმებოდა. ხორბლისფერი პირისახე შამპანურისაგან წამოსწითლებოდა.

- როგორ! აქა ხართ? - დაეკითხა გაკვირვებული ისეთი კილოთი, გეგონებოდათ, მთელი საუკუნეა ერთმანეთს იცნობენო. - გუშინ კი რაზუმიხინი მეუბნებოდა, ჯერ კიდევ გონს არ მოსულაო. უცნაურია! მე ხომ თქვენსა ვიყავი...

რასკოლნიკოვმა იცოდა, რომ უთუოდ მივიდოდა ზამეტოვი. გაზეთები გადააწყო და ზამეტოვს მიუბრუნდა. ტუჩებზე დაცინვის ღიმი უკრთოდა, რაღაც ახალი რამ მოუთმენელი ღელვა ეტყობოდა ამ ღიმილში.

- ვიცი, ვიცი, რომ იყავით, - უპასუხა, - გავიგე. წინდას მიძებნიდით თურმე... იცით რა, რაზუმიხინი გადარეულია თქვენთვის; ამბობს, რომ თქვენ მასთან ერთად ლავიზა ივანოვნასთან იყავით. აი იმასთან, გახსოვთ, მაშინ რომ გინდოდათ დახმარებოდით, პორუჩიკ პოროხს თვალით ანიშნებდით, ის კი, ვერ იქნა, დიდხანს ვერ მიგიხვდათ, გახსოვთ? არა, მიკვირს, როგორ ვერ მიხვდა - აშკარა საქმე იყო... არა?

- ო, რა ჭირვეული რამ არის!

- პოროხზე ამბობთ?

- არა, თქვენს მეგობარ რაზუმიხინზე...

- კარგად ცხოვრობთ, ბატონო ზამეტოვ, არა? რაც კი რამ მოსალხენი ადგილებია, ყველგან მუქტად დაბრძანდებით, ასეა ხომ? ვინ იყო, ახლა რომ შამპანურს გასმევდათ?

-ჰო, ეს ჩვენ... დავლიეთ... ჩამაცივდა, აღარ მომეშვა!

-საჰონორარო იყო, განა! ყველაფრით სარგებლობთ! - გაიცინა რასკოლნიკოვმა. - არა უშავს რა, კეთილო ბიჭო, არა უშავს რა! - დასძინა რასკოლნიკოვმა და ზამეტოვს მხარზე ხელი დაჰკრა, - მე ხომ თქვენს გასაბრაზებლად არ ვამბობ, „სიყვარულით,

ხუმრობით“ გეუბნებით, ისე როგორც თქვენი ხელოსანი იმართლებდა თავს, მიტკას რომ გვერდებს უთქვეფავდა! არ იცით, აი იმ ბებრუხანას საქმის გამო.

- მერე თქვენ რა იცით, განა?

- ვინ იცის, იქნება თქვენზე მეტიც ვიცოდე.

- რა უცნაური ხართ... ეტყობა, ჯერ ისევ ძალიან ავად უნდა იყოთ. ტყუილად გამოსულხართ გარეთ.

- როგორ, უცნაურად გეჩვენებით?

- დიახ. რა არის ეს, გაზეთებს კითხულობთ?

- დიახ.

- ბევრს წერენ ხანძარზე: სად ან ვის გასჩენია.

- არა, მე ხანძარზე არა ვკითხულობდი, - და როგორღაც მრავლისმეტყველად გადახედა ზამეტოვს; დაცინვის ღიმი ისევ შეუთამაშდა ტუჩებზე. - არა, ხანძარზე არა ვკითხულობდი, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან თვალს უშვრებოდა ზამეტოვს, - არა, გამოტყდით, საყვარელო ყმაწვილო, რომ გულით გენატრებათ გაიგოთ, რას ვკითხულობდი ახლა?

- სრულიადაც არა; ისე გკითხეთ. ნუთუ არ შეიძლებოდა მეკითხა? როგორ ყველაფერს...

- მოითმინეთ, თქვენ ხომ განათლებული, ლიტერატურაზე აღზრდილი კაცი ხართ, არა?

- გიმნაზიის მეექვსე კლასიდან ვარ, - მიუგო ზამეტოვმა რაღაც ღირსებით.

- მეექვსედან! ჩემო ბელურავ! თმახუჭუჭა, ბექდებიანო მდიდარო კაცო! ოჰ, რა საუცხოო ბიჭი ხართ. - რასკოლნიკოვმა ნერვიულად დაიწყო სიცილი, თან ზამეტოვს უყურებდა სახეში. ზამეტოვმა უცბად უკან დაიხია, მაგრამ წყენით არა სწყენია ისე, როგორც გაიკვირვა ნათქვამი.

- ფუჰ, რა უცნაური რამა ხართ! - გაიმეორა ზამეტოვმა მეტად სერიოზულად, - მგონია, ბოდავთ ისევ.

- ვბოდავ? სტყუი, ბელურავ!.. მაშ აგრე, უცნაური ვარ, ჰა? მგონი, ჩემზე გინდათ რაღაც გაიგოთ? ცნობისმოყვარეობა გაწუხებთ, ხომ?

- დიახ.

- აი, თუნდ ის, რას ვკითხულობდი ახლა, რას ვეძებდი? ხედავთ, რამდენი ნომერი მომიტანიხებია ერთად! საეჭვოა, არა? ჰა?

- იტყვით რაღა.

- გინდათ ხუთი ყური და თვალი გამოიბათ, არა?

- რა ხუთი ყური, არ მესმის სწორედ.

- არ გესმით, რა ყურები? გაგაგებინებთ, მაგრამ შემდეგ, ახლა კი, აი, ჩემო ძვირფასო, რას გამოგიცხადებთ... არა, გამოგიცხადებთ კი არა: „გამოგიტყდებით“... არა, არა, არც ასე მინდა: „ჩვენებას მოგცემთ, თქვენ კიდე ჩამომართმევთ“ - ხედავთ! გეტყვით, მაშ, რომ ვკითხულობდი... ჩემს ყურადღებას იპყრობდა, ვეძებდი... დავეძებდი... - რასკოლნიკოვმა თვალები მოჭუტა და პატარა ხანს შეიცადა; - ვეძებდი და იმიტომაც შემოველ აქ, რომ მოხელის ბებერი ქვრივის მკვლელობაზე გამეგო რამე, - წარმოთქვა ბოლოს თითქმის ჩურჩულით და თან პირისახე სულ ახლოს მიუტანა ზამეტოვს. ისიც პირდაპირ შეჰყურებდა, არ ინძრეოდა და თვალს არ აშორებდა. ყველაზე უცნაურად ის ეჩვენა მერე ზამეტოვს, რომ მთელი ერთი წუთი ასე გაჩუმებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს.

- მერე რა არის, რომ კითხულობდით? - შეჰყვირა უცბად მოთმინებიდან გამოსულმა და გაკვირვებულმა. - რა საქმე მაქვს! რა არის, თუ კითხულობდით?

- ეს ის ბებრუხანაა, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი ისევ ისე ჩურჩულით და უძრავად, ზამეტოვის შეძახილზე კი არც შერხეულა, - რომლის შესახებაც, გახსოვთ, კანტორაში ლაპარაკობდნენ და მე გული შემიღონდა. ახლა ხომ გესმით?

- მერე რა არის? რას ნიშნავს ეს „გესმით?“ - წარმოთქვა ზამეტოვმა თითქმის შეშფოთებულმა.

უძრავი და დაფიქრებული სახე უცბად ისევ შეეცვალა რასკოლნიკოვს და წედანდელივით ჩაბჭირდა სიცილისაგან, თითქოს თავის შემაგრება ვეღარ შეძლო. უმაღვე ნათლად გაახსენდა ის წუთი, კარს უკან რომ იდგა ცულით და რაზა სარეკელასავით ხტოდა; ისინი გარედან ილანძღებოდნენ და კარს ამტვრევდნენ, ის კი შიგნიდან იდგა და უცბად გულით მოუნდა დაეყვირა, გაელანძღა, ენა გამოეყო, გაებრაზებინა, ეცინა და ეხარხარა, გულიანად ეხარხარა!

- თქვენ ან გიჟი ხართ, ან არადა... - წარმოთქვა ზამეტოვმა და შედგა, თითქოს უცბად რაღაც აზრმა გაურბინა თავში.

- ან არადა, რა? რა, რა, ჰა? აბა, რა? მითხარით, რაღას უყურებთ!

- არაფერი, - უპასუხა გულმოსულმა ზამეტოვმა, - სისულელეა!

ორივენი გაჩუმდნენ. უეცარი, ნერვიული სიცილის შემდეგ რასკოლნიკოვი უცბად ფიქრებმა წაიღო, ისევ მოიწყინა. მაგიდაზე დაიხარა და თავით ხელს დაეყრდნო. ზამეტოვი თითქოს სულ დაავიწყდა. საკმაოდ დიდხანს იყვნენ ასე გაჩუმებულნი.

- ჩაის რისთვის არა სვამთ? გაგიცივდებათ, - უთხრა ზამეტოვმა.

- რაო? რაა? ჩაის?... ჰო, მართლა...

რასკოლნიკოვმა მოსვა ჩაი, პირში ჩაიღო პატარა ნაჭერი პური და უცბად, ზამეტოვს რომ შეხედა, თითქოს ყველაფერი გაახსენდა, გამოფხიზლდა. სახეზე იმავე წამს ისევ წინანდებური დაცინვა აღებეჭდა. ჩაის სმას განაგრძობდა.

- გამრავლდა მეტად ამგვარი ავაზაკობა, - შენიშნა ზამეტოვმა. - აი, დიდი ხანი არ არის, „მოსკოვის უწყებებში“ წავიკითხე, მთელი ჯგუფი დაიჭირეს ყალბი ფულების

მჭრელებისაო. მთელი საზოგადოება არსებულა. ქალაქის ყალბ ფულს სჭრიდნენ თურმე.

- ოო, ეგ დიდი ხანია იყო! ერთი თვეც არის, მახსოვს, წავიკითხე, - უპასუხა მშვიდად რასკოლნიკოვმა, - მაშ, თქვენი აზრით, ავაზაკები არიან ყველა ისინი? - დასძინა და გაიცინა.

- მაშ, ვინ არიან, თუ არა ავაზაკები?

- არა, არა! ბავშვები, ტუტუცები არიან და არა ავაზაკები! ორმოცი და სამოცი კაცი ამ მიზნისათვის შეერთებულა! განა ეს შესაძლებელია? აქ სამიცი კი ბევრი არის, იმიტომ რომ, როგორც თავის თავს, ისე უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს! თორემ საკმარისია, ერთ რომელიმეს სიმთვრალეში რამე წამოსცდეს და მორჩა, გათავდა, დალუპულია საქმე! ტუტუცები! ვიღაც-ვიღაცებს ქირაობენ, რომ კანტორებში ფული დაახურდავებინონ; ამისთანა საქმე განა ადვილად ენდობა ვისმე? ვთქვათ, მოახერხეს კიდეც და თითო მილიონი ყველამ დაახურდავა. მერე, მერე? მერე ხომ მთელი სიცოცხლე ერთიმეორისაგან უნდა იყვნენ დამოკიდებულნი?! არა, სჯობია ისევ თავი ჩამოიხრჩოს ყველამ! მაგრამ დახურდავებაც რომ ვერ მოახერხეს: დაახურდავა ერთმა კანტორაში, და, როგორც კი ხუთი ათასი მიიღო, ხელეები აუკანკალდა. ოთხი ათასი დაითვალა და მეხუთე კი დაუთვლელად მიიღო, რომ საჩქაროდ როგორმე ჯიბეში ჩაედო და მოეცოცხა. ჰოდა, ეჭვი ააღებინა. ამრიგად, ერთმა ყურყუტმა ყველა დალუპა. განა შესაძლებელია, ასე მოიქცეს ადამიანი?

- ისა, რომ ხელი აუკანკალდა? - ჩაეკითხა ზამეტოვი, - არა, ეგ შესაძლებელია, მაგაში კი დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება. ყოველთვის ვერ გაგიძლებს ნერვები.

- რაა? ამ დროს?

- მერე თქვენ კი შეძლებდით და შეიმაგრებდით თავს? მე კი ვერა! ათი თუმნის გულისათვის ასე გაწვირო თავი! ყალბი ფული და ისიც ბანკის კანტორაში მივიტანო, სადაც ვერავინ ვერაფერს გამოაპარებს ხალხს, - არა, არა, ვერ შევძლებდი, შევკრთებოდი. მერე თქვენ, თქვენ კი არ შევკრთებოდიტ განა?

რასკოლნიკოვს საშინლად მოუნდა ისევ „გამოეყო ენა“, დროდადრო ტანში ცივი ჟრუანტელი უვლიდა.

- მე აგრე როდი ვიზამდი, - დაიწყო რასკოლნიკოვმა შორიდან. - დავუწყებდი თუ არა დახურდავებას, პირველ ათასს ერთი ოთხჯერ მაინც გადავითვლიდი და ყველა ქალაქს ცალკე დავაკვირებოდი; დავუწყებდი თვლას და, როგორც კი ნახევრამდე ჩავიდოდი, ამოვიღებდი ერთ რომელიმე ხუთთუმნიანს და სინათლეზე დავუწყებდი სინჯვას, რამდენჯერმე გადავაბრუნ-გადმოვაბრუნებდი და კიდეც გავხედავდი, ყალბი ხომ არ არის-მეთქი? „მეშინია, - ვეტყოდი, ყალბი არ იყოს: ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალმაც აგრე დაკარგა-მეთქი ამ წინაზედ ოცდახუთმანეთიანი. და თან ისტორიას ვუამბობდი, თუ როგორ მოხდა ეს. მაგრამ დავუწყებდი თუ არა მესამე ათასს თვლას, ისევ მეორე ათასს მივუბრუნდებოდი და ვეტყოდი: უკაცრავად, მგონი, მეშვიდე ათი თუმანი კარგად არ დავითვალე, ეჭვი მაქვს-მეთქი, და ისევ მეორე ათასის თვლას შევუდგებოდი. ასე დავთვლიდი ყველა ხუთი ათასს. მაგრამ დავამთავრებდი თუ არა თვლას, მეხუთე და მეორე ათასიდან ისევ გამოვიღებდი თითო ქალაქს, სინათლეზე დავუწყებდი სინჯვას, და ვითომ დაეჭვებული

ვეტყოდი, - „გამომიცვალეთ-მეთქი, გეთაყვათ“, - ასე რომ სულ ოფლში გავღვრიდი კანტორის გამგეს და თვითონვე მოვანატრებდი, თავიდან როგორმე მოვეშორებინე. გავათავებდი, მივიდოდი კართან, მაგრამ არ გავიდოდი: შემოვბრუნდებოდი და ახლა სხვა რამ ცნობას მოვთხოვდი, - აი, როგორ მოვიქცეოდი!

- ფუჰ, რა საზარელ რამეებს ამბობთ! - შენიშნა ზამეტოვმა სიცილით. - სიტყვით ამბობთ აგრე, თორემ აბა საქმეზე მიდგეს, უეჭველია, თქვენც ისევე დაგემართებოდათ. აჰ, ჩემი აზრით, თავზეხელაღებულ, გამოჩრჩნილ კაცსაც კი გაუჭირდებოდა თავის დაჭერა, არამცთუ მე და თქვენ. შორს სად მივდივართ, აი, მაგალითიც: ჩვენს უბანში რომ ბებრუხანა მოკლეს. ეტყობა პირდაპირ, რომ თავზეხელაღებული ვინმე ყოფილა, შუადღისას ასეთი საქმე გაუბედნია, რაღაც სასწაულით გადარჩენილა მხოლოდ, მაგრამ ხელი მაინც აჰკანკალებია: გაქურდვა ვეღარ მოუხერხებია, ნერვებს ვეღარ გაუძლია, საქმიდან ჩანს...

რასკოლნიკოვმა თითქოს იწყინა.

- ჩანს, კი! მაგრამ, აბა, სცადეთ და დაიჭირეთ! - შეჰყვირა მან ნიშნმიგებით, თითქოს უნდა გული მოაყვანიხოსო.

- დიახაც, რომ დაიჭერენ! - უპასუხა ზამეტოვმა.

- ვინა? თქვენ? თქვენ დაიჭერთ? არ დაიღალეთ კია! ვიცი, როგორც ფიქრობთ გაგებას: ფულს ხარჯავს კაცი თუ არაო? აქამდის ფული არ ჰქონდა, ახლა კი, დახეთ, ფულის ხარჯვა დაუწყია, - მაშ, ვინ არის, თუ არა ისაო? იცით რა, თქვენ ასე თითისტოლა ბაღლიც კი მოგატყუებთ, თუ მოინდომებს!

- კიდევ ეგ არის, რომ თითქმის ყველანი აგრე შვრებიან, - შენიშნა ზამეტოვმა, - თავს გამოიმეტებენ, ეშმაკურად მოკლავენ და მერე კი დუქანში სადმე გაებმებიან მახეში. ფული ამხელს მათ სწორედ. ყველა ხომ თქვენსავით ეშმაკი და მოხერხებული არ არის. თქვენ, რასაკვირველია, დუქანში არ წახვიდოდით?

რასკოლნიკოვმა წარბები შეიკრა და ზამეტოვს ჩააშტერდა.

- მგონი, მადა გაგეხსნათ და გინდათ გაიგოთ, ახლა, ამ შემთხვევაში როგორღა მოვიქცეოდი, - დაეკითხა უკმაყოფილოდ რასკოლნიკოვი.

- მართალია, მინდა, - მიუგო მტკიცედ და დინჯად ზამეტოვმა. რაღაც მეტად დინჯად დაუწყო ყურება და ლაპარაკი.

- ძალიან გინდათ?

- ძალიან.

- კარგი მაშ, რაკი აგრეა. იცით, როგორ მოვიქცეოდი, - დაიწყო რასკოლნიკოვმა ისევ ისე ჩურჩულით, თვალი თვალში გაუყარა და სახეც ისე მიუახლოვა მის სახეს, რომ ზამეტოვი შეკრთა კიდევაც. - წავიღებდი ფულსა და ნივთებს, არსად თითქმის არ შევუხვევდი, მოვძებნიდი სადმე მივარდნილსა და ყრუ ადგილს, სადაც სულ ფიცრული ღობეები ან ბოსტანი, ან კიდევ სხვა რამ ამგვარი იქნებოდა. მოვინიშნავდი რომელიმე დიდ, - ასე, ფუთიანს ან ფუთ-ნახევრიან ქვას, სადმე ფიცრული ღობის კუთხეში, ავწევდი ამ ქვას და ქვეშ, ამოღრმავებულში, ჩავალაგებდი ნივთებსა და

ფულს. ჩავალაგებდი და ქვას ისევ ისე მივაგორებდი, როგორც უწინ იყო, თან ფეხით მივატკეპნიდი და გავეცლებოდი იქაურობას. ასე მექნებოდა შენახული წელიწადი, მეორე, მესამე, - სანამ ყველას მიავიწყებოდა. ეძებეთ მერე, რამდენიც გინდოდეთ! იყო და აღარ გახლავთ, რას იპოვნიდით!

- გიჟი ხართ მართლა, - უთხრა ასევე ჩურჩულით ზამეტოვმა და უცბად რატომღაც უკან გაიწია.

რასკოლნიკოვმა თვალები გააკვესა; საშინლად გაფითრდა; ზედა ტუჩი აუთრთოლდა, აუთამაშდა. მიიწია, რაც კი შეიძლებოდა ახლოს ზამეტოვისაკენ და ტუჩები აამოძრავა, მაგრამ არაფერს ამბობდა; ასე გაგრძელდა ნახევარ წუთს. იცოდა, რასაც სჩადიოდა, მაგრამ თავი ვერ შეემაგრებინა. მაშინდელ რაზასავით მძლავრად უხტოდა ტუჩებზე საზარელი სიტყვა და ამოთქმას ლამობდა; აი, საცაა, თავს ვეღარ შეიმაგრებდა და წარმოთქვამდა.- მერე, რას იტყოდით, ბებრუხანა და ლიზავეტა, ორივენი რომ ჩემი მოკლულები იყვნენ? - ჩაილაპარაკა უცბად და გონს მოვიდა.

ზამეტოვმა გაშტერებული სახით შეხედა და მიტკალივით გაფითრდა. ალმაცერმა ღიმილმა სახე დაუმანჭა.

- მერე ეგ შესაძლებელია, განა? - ჩაილაპარაკა ოდნავ გასაგონად.

გაბოროტებულმა რასკოლნიკოვმა მრისხანედ გადახედა.

- გამოტყდით, რომ დაიჯერეთ!.. ხომ? დაიჯერეთ, განა?

- სულაც არა! ახლა უფრო ნაკლებ, ვიდრე ოდესმე! - შესძახა საჩქაროდ ზამეტოვმა.

- ეჰე, ხომ დაგიჭირეს! დაგიჭირეს, ბელურავ, დაგიჭირეს! მაშ წინათ დარწმუნებული ყოფილხართ, რახან „ახლა უფრო ნაკლებ გჯერათ“, ხომ?

- აბა, რას ამბობთ, სულაც არა! - უარობდა დარცხვენილი ზამეტოვი. - ამიტომ მაშინებდით განა?

- არ გჯერათ, მაშ? რაზე გქონდათ ლაპარაკი მაშინ, კანტორიდან რომ გამოვედი? რად მეკითხებოდა პორუჩიკი პოროხი ისე ეჭვით, გულშეღონების შემდეგ, ჰა? შენ ეი, - დაუძახა ლაქიას და ქუდს დაავლო ხელი, წამოდგა, - რამდენი გერგება?

- ექვსი შაური, - უპასუხა ლაქიამ.

- აჰა, ეს აბაზიც შენი იყოს, არაყი გადაჰკარ. ხედავთ, რამდენი ფული მაქვს?! - და აკანკალებული ხელი, რომელშიაც ლურჯი და წითელი ქაღალდის ფული ეჭირა, ზამეტოვს გაუწოდა. - ხედავთ, ოცდახუთი მანეთია. მერე საიდან? ჰა? ან ეს ახალი ტანისამოსი საიდან გამიჩნდა? ხომ იცით, კაპიკი ფული არა მქონდა? იმედია დიასახლისს დაჰკითხავდით კიდევ... მაგრამ კმარა! Assez cause[18] ნახვამდის! მშვიდობით!..

რომ გამოვიდა, მთლად კანკალებდა რაღაც უცნაური, ისტერიული შეგრძნებისაგან, რომელიც ნაწილობრივ აუტანელ სიამოვნებასაც ჰგვრიდა, მაგრამ დაღვრემა და საშინელი დაღლილობა მაინც ეტყობოდა. სახეც როგორღაც დაჰლრეჯოდა, თითქოს ეს არის ბნედა დაჰმართვიაო. დაღლილობა და დაქანცულობა თანდათან უფრო

ერეოდა. საკმარისი იყო სულ უბრალო რამ ამაღელვებელი შეგრძნებისა და მიზეზის აჩენა, რომ ძალა უცბად გაორკეცებოდა, მაგრამ მიელოდა თუ არა შეგრძნება, მაშინვე ძალაც უმტყუნებდა.

მარტოდ დარჩენილი ზამეტოვი კი დიდხანს იჯდა დაფიქრებული იმავე ადგილას. რასკოლნიკოვმა მთლად შეუცვალა შეხედულება ერთ რამეზე და საბოლოო აზრი შეადგენინა.

„რეგვენია ილია პეტროვიჩი!“ - გადაწყვიტა ბოლოს ზამეტოვმა.

ის იყო ქუჩაში გასავალი კარი გამოალო რასკოლნიკოვმა, რომ უცბად წინ რაზუმინინი შეერეხა. ისე მოულოდნელი იყო მათი ეს შეხვედრა, რომ კინაღამ თავები არ შეარტყეს ერთმანეთს. რამდენსამე ხანს ზომავდნენ თვალით ერთიმეორეს. რაზუმინინი საშინლად იყო გაკვირვებული ამ მოულოდნელი შეხვედრით, მაგრამ უცბად ნამდვილი რისხვა აღებეჭდა თვალებში.

- აი, თურმე სადა ხარ! - დაიდრიალა რაზუმინინმა. - ლოგინიდან გამოგვექცა, ბატონო, მე კი იქ დივანქვეშაც ვეძებდი! ჩარდახშიაც ავედით. კინაღამ ნასტასიაც შემომელახა შენი გულისათვის... ამას კი, უყურებთ, სად არის? როდია! რას ნიშნავს ეს? მართალი მითხარი! გამოტყდი! გესმის!

- რასა და იმას, რომ თავი მომაბეზრეთ ყველამ და მინდა მარტო ვიყო, - მიუგო მშვიდად რასკოლნიკოვმა.

- მარტო? როცა ჯერ კიდევ სიარული არ შეგიძლია და ნაცრისფერი გამეფს, სულს ძლივს ითქვამ! ტუტუცო, მითხარი ახლავე, „ბროლის სასახლეში“ რას აკეთებდი?

- გამიშვი! - შესძახა რასკოლნიკოვმა და მოინდომა მხარი აექცია, გაეარა. მაგრამ რაზუმინინი გააბრაზა ამან და მაგრად ჩასჭიდა მხარში ხელი.

- გამიშვიო? შენ მიბედავ და „გამიშვიო“ მეუბნები? იცი მერე, რას გიზამ ახლავე? ჩაგავლებ ხელს, ამოგიდებ ილიაში და ისე წაგიყვან შინ და დაგამწყვდევ, გესმის!

- ყური დამიგდე, რაზუმინინ, - დაიწყო ჩუმად და სრულიად მშვიდად რასკოლნიკოვმა, - ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენს კეთილ ზრუნვას არ ვსაჭიროებ? ან რად გწადია კეთილისმყოფელობა გაუწიო იმას, ვინც... ამ შენს სიკეთეს არად აგდებს? დასასრულ იმას, ვისაც საშინლად ემძიმება ამ კეთილისმყოფელობის ატანა? მითხარ, რად მომძებნე თუნდ პირველი ავადმყოფობის დროს? იქნებ მოხარულიც კი ვყოფილიყავ სიკვდილისა! ან იქნებ საკმაოდ ნათლად არ დაგანახვე დღეს, რომ მტანჯავ, მაწვალე... მომაბეზრე თავი! ნეტა რად გინდა ადამიანის ასე დატანჯვა? გარწმუნებ, ყველაფერი ეს მხოლოდ ხელს უშლის ჩემს გამოკეთებას, იმიტომ, რომ ერთთავად მაღელვებს. აი ზოსიმოვი ხომ წავიდა წელან, რომ ტყუილად არ აველეღვებინე! ღვთის გულისათვის, შენც მომშორდი! ან რა უფლება გაქვს, რომ ძალად მიჭერ? ან იქნებ ვერა ხედავ, რომ სრულ ჭკუაზე ვარ და ისე გელაპარაკები? მასწავლე, გეთაყვა, რითი შეიძლება შენი დაყოლიება, რომ თავი დამანებო და ჩემს ზრუნვაზე ხელი აიღო? დეე, უმადური ვიყო, სულმდაბალი, ოღონდ თავი დამანებე, გევედრებით! მომშორდით, ღვთის გულისათვის! მომშორდით! მომშორდით!

სრულიად დამშვიდებულმა დაიწყო და წინდაწინვე უხაროდა, რომ მთელ თავის შხამს გადმოანთხევდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი ველარ შეიმაგრა, მთლად აენტო, გაცოფდა, სულს ძლივსლა იბრუნებდა, როგორც წელან ლუჟინთან მოუვიდა.

რაზუმინი ერთ წამს შედგა, ჩაფიქრდა და ხელი გაუშვა.

- მაშ, ეშმაკმაც წაგილოს! - უპასუხა წყნარად, დაფიქრებულმა, - მაგრამ მოიცა! - შეჭლიალა უცბად, როგორც კი რასკოლნიკოვი დაიდრა, - ყური დამიგდე. გეუბნები პირდაპირ, რომ ყბედები და ბაქიები ხართ ყველანი ერთიანად! თუკი რამ გტანჯავთ, გზა-კვალი გებნევთ. აქაც კი უცხო ავტორებს სძარცვავთ. არავითარი დამოუკიდებლობა თქვენს ცხოვრებას არ ეტყობა! სპერმაცეტული მალამოსაგან ხართ შექმნილი თითქოს, სისხლის მაგივრად შრავი გიდგათ ძარღვებში! არც ერთი თქვენგანის არაფერი მწამს! უპირველეს ყოვლისა, ცდილობთ, რომ არაფერში ადამიანს არა ჰგავდეთ. მო-ი-ცა! - დაუყვირა უარესად გაცეცხლებულმა, როცა ნახა, რასკოლნიკოვმა კიდევ დააპირა წასვლა, - ბოლომდის მომისმინე! იცი, რომ დღეს ახალ ბინაზე გადასვლის მიზეზით ცოტა უნდა წავიქეიფოთ? იქნება კიდევაც მოვიდნენ! შინ ბიძაჩემი დავტოვე, რომ იმას მიელო სტუმრები; ახლა შევირბინე კიდევაც. გესმის, მაშ, როდია! შენ რომ ასეთი ტუტუცი, საძაგელი, მტკნარი სულელი და უცხოურიდან ნათარგმნი არ იყო... ვაღიარებ, რომ ჭკვიანი ხარ, მაგრამ გესმის, ტუტუცი რომ არ იყო, შემოხვიდოდი ჩემსას და იმის მაგივრად, რომ ტყუილად წალები ცვითო, ლამაზად და სიამოვნებით გავატარებდით საღამოს. ორივე ერთია, რაკი გამოხვედი გარეთ, გამოხვედი! რბილ სავარძელს გამოგიტრევი, დიასახლისს აქვს... ჩაის დავლევდით, ვისაუბრებდით... არადა, ტახტზე წამოგაწვენი. სხვა არა იყოს რა, ჩვენთან იქნებოდი... ზოსიმოვიც მოვა. შემოივლი?

- არა.

- მიჰქა-რ-რ-ავ! - შეუყვირა მოუთმენლად რაზუმინმა, - რა იცი მერე? წინასწარ მაგის თქმა არ შეგიძლია! ამ საქმისა არაფერი გაგეგება... ბევრჯერ წავჩხუბებივარ ადამიანს, დავვილანძღავს ერთმანეთი, მერე ისევ უკანვე მიმირბენია... შენც შეგრცხვება და უკანვე დაბრუნდები! დაიხსომე მაშ: პოჩინკოვის სახლი, მესამე სართული... გესმის?

- იქნებ ცემის ნებაც მისცეთ ვისმე, ბატონო რაზუმინ, ოღონდაც იმ ვიღაცას მაღლი უქნათ.

- ვისი ცემისა? ჩემი! მარტო ასეთი ოცნებისათვისაც კი ცხვირს მოვამტვრევდი უთუოდ! დაიხსომე, მაშ, პოჩინკოვის სახლი, 47, მოხელე ბაბუშკინის ბინა...

- არ მოვალ, რაზუმინ, არა!

შემობრუნდა რასკოლნიკოვი და წავიდა.

- დავნაძლევდეთ, რომ მოხვალ! - მიაძახა უკან რაზუმინმა. - არ იზამ აგრე და... იცოდე, აღარაფრად აღარ ჩაგაგდებ! მოიცა, ზამეტოვი აქ არის?

- მანდ არის.

- ნახე?

- ვნახე.

- ელაპარაკე?

- ველაპარაკე.

- რაზე? თუმცა ეშმაკმა იცის შენი თავი, ნუ მეტყვი. პოჩინკოვის სახლი, 47, ბაბუშკინის ბინა, არ დაივიწყო!

რასკოლნიკოვი ბალის ქუჩამდე მივიდა და კუთხეში შეუხვია. რაზუმინინი დაფიქრებული გაჰყურებდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, შევიდა სახლში, მაგრამ შუა კიბეზე შედგა.

„ეშმაკმა იცის! - განაგრძობდა თითქმის ხმამაღლა, - თითქოს დალაგებით ლაპარაკობს, ისე კი... არა, მეც რომ ტუტუცი ვარ! განა შეშლილები კი არ ლაპარაკობენ ხოლმე გონივრულად? ზოსიმოვს კი, ვგონებ, სწორედ ამისი ეშინია, - და შუბლზე თითი დაიკრა. - მერე, რომ... არა, მარტო როგორ გავუშვი ახლა? ვინ იცის, თავიც დაიხრჩოს... ეჰ, შევცდი! არ შეიძლება!“

უკანვე გამოეკიდა, მაგრამ რასკოლნიკოვი უკვე სადღაც მიმალულიყო. რაზუმინინმა გადააფურთხა და ჩქარი ნაბიჯით ისევ „ბროლის სასახლისაკენ“ გასწია, რომ ზამეტოვისათვის მაინც გამოეკითხა ყველაფერი.

რასკოლნიკოვმა პირდაპირ - სკის ხიდისაკენ გასწია, შუა ხიდზე შედგა მოაჯირთან, ორივე ხელით დაეყრდნო და შორს დაიწყო ცქერა. რაზუმინინთან გამომშვიდობების შემდეგ ისეთი საშინელი სისუსტე იგრძნო, რომ აქამდე ძლივს მოაღწია. საშინლად მოუნდა, ქუჩაში სადმე დამჯდარიყო ან წამოწოლილიყო. წყალზე გადაყუდებული და გარინდებული გაჰყურებდა მზის ჩასვლას და წინ გადაშლილ სახლებს, რომლებსაც თანდათან ჩრდილი ჰფარავდა, ბინდბუნდი ეხვეოდა. შორს, სადღაც მაღლა მოჩანდა მხოლოდ ფანჯარა, რომელიც ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივით ერთ წამს ცეცხლივით გაელვარებულიყო. ძირს არხში კი წყალს მუქი ფერი ედებოდა. ყურადღებით აკვირდებოდა ამ წყალს რასკოლნიკოვი, მაგრამ აგერ თვალებში რაღაცა წითელი წრეები აებნა, სახლები, გამვლელ-გამომვლელნი, წყლის პირის ქუჩები და ეტლები, ყველაფერი აერ-დაერია, აუთამაშდა. უცბად შეხტა შემკრთალი; თითქოს რაღაც საძაგელმა, უცნაურმა სანახაობამ გამოარკვია და გულშელონებისაგან იხსნა. რასკოლნიკოვმა იგრძნო, რომ გვერდით, მარჯვნივ, ვიღაცა დაუდგა; შეხედა - დედაკაცია, მაღალ-მაღალი, თავშლიანი; გაყვითლებული, მოგრძო სახე და სმისაგან დაწითლებული, დასიებული თვალები აქვს. პირდაპირ უცქეროდა რასკოლნიკოვს, მაგრამ ეტყობოდა, ვერავის არჩევდა და ვეღარას ხედავდა. დედაკაცი უცბად მარჯვენა ხელით მოაჯირს დაეყრდნო, ასწია მარჯვენა ფეხი, გადასდო მოაჯირზე, მერე მარცხენა და არხში გადაეშვა. შეშხაპუნდა ჭუჭყიანი წყალი და მსხვერპლი ჩაყლაპა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ დამხრჩვალის ისევ ზემოთ ამოაგდო და წყნარად წაიღო ქვევითკენ; თავი და ფეხები წყალში ჰქონდა დამალული, წელი მოტიტვლებული, დაბლაკაბა კიდეც - ბალიშივით წყალს ზემოთ ამობერილი.

- დაიხრჩო! დაიხრჩო! - ყვიროდნენ აქეთ-იქიდან; ყველა მხრიდან ხალხი მორბოდა, სანაპიროს ქუჩები მაყურებლებით ივსებოდა, რასკოლნიკოვის გარშემოც ხიდზე ხალხი მოგროვდა, უკნიდან აწვებოდნენ.

- უი, ჩემს თვალებს, ეს ხომ ჩვენი აფროსინიუმკაა! - გაისმა სადღაც შორიახლოს მტირალი ხმით ქალის ყვირილი. - უშველეთ! ვინა ხართ ქრისტიანი! გამოიყვანეთ!

- ნავი! ნავი! - ყვიროდნენ ხალხში.

მაგრამ აღარც კი იყო საჭირო: ვიღაც პოლიციელს არხის პირად ჩაერბინა კიბით, გაეხადა შინელი, წაღები და წყალში შევარდნილიყო. დიდი შრომაც არ დასჭირვებია: დამხრჩვალის სულ ორიოდ ნაბიჯზე მიჰქონდა წყალს. სწვდა პოლიციელი მარჯვენა ხელით კაბაში, მარცხენა კი ამხანაგის მიერ ნაპირიდან მოწოდებულ ჭოკს მოჰკიდა და გამოათრიეს. დედაკაცი წყლის პირად ქვის ფილაქანზე დასდეს. მალე გონსაც მოვიდა, წამოიწია, დაჯდა და ფრუტუნსა და ცხვირის ცემინებას მოჰყვა; თან უაზროდ ისვამდა ხელს სველ კაბაზე, მაგრამ არას ამბობდა.

- გამომთვრალა და გახეთქილა, ჩემო ბატონო, გამომთვრალა! - გასწიოდა ისევ ის დედაკაცი, უკვე აფროსინიუმკას ახლოს. - წელანაც თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, თოკიდან ჩამოვხსენით. მე დუქანში წავედი, მაგას კი გოგო დავუყენე, ყური ეგდო. აბა უყურეთ, რა ცოდვა დატრიალდა! მუშა დედაკაცია, ჩვენსავით უბრალო, მეზობლად ვცხოვრობთ, ბოლოდან მეორე სახლია, აი, აქვე...

ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა, პოლიციელები კი ისევ დედაკაცს ეხვეოდნენ. ვიღაცამ კანტორა წამოიყვინა... რასკოლნიკოვი კი ყველა ამას გულგრილად და უგრძნობლად უყურებდა. უცბად შეეზიზღა კიდეც თითქოს. - „არა, არა, საძაგლობა... წყალში... არა ღირს, - დუდუნებდა თავისთვის. - არ იქნება, არა, - დასძინა, - რას ვუცდი, ნეტა! რაო, კანტორაო?... მერე, ზამეტოვი რატომ კანტორაში არ არის? ათ საათზე კანტორა ღიაა ხოლმე...“ - ზურგით მოაჯირს მიეყუდა და გარშემო მიიხედ-მოიხედა.

„მერე რაო! იქნებ აგრეც იყოს!“ - წარმოთქვა გადაწყვეტით, ხიდიდან დაიძრა და პირდაპირ კანტორისაკენ გასწია. გული დაჰხმობოდა, არას უგრძნობდა; ფიქრი კი სულ არ უნდოდა. სევდამაც გაუარა; წელანდელი მხნეობისა, შინიდან რომ გამოჰყვა, ნიშანიც აღარ უჩანდა, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა „ყველაფერი გაეთავებინა!“ მისი ადგილი სრულმა გულგრილობამ დაიჭირა.

„რა ვუყოთ, ესეც ხსნა არის! - ფიქრობდა იგი და ნელ-ნელა, ზღაზვნით მიდიოდა არხის პირას, - მაინც გავათავებ, იმიტომ, რომ ასე მინდა... მაგრამ განა მართლაც ხსნა არის ეს? ეჰ, სულ ერთია! ადლი მიწა და მორჩა! ბოლოც ასეთი უნდა! ნუთუ ბოლოა ეს? ვეტყვი თუ არა მათ ნეტა? ეჰ... ჯანდაბას! დავიღალე; მალე მაინც დავჯდე სადმე ან მივწვი! ყველაზე სამარცხვინო კი ის არის, რომ საშინელი ბრიყვული რაღაცაა. მაგრამ აღარც მაგას დავებებ. ფუჰ, რა სისულელე არ მომდის თავში...“

ასე პირდაპირ უნდა ევლო კანტორისაკენ და მხოლოდ მეორე შესახვევში შებრუნებულყო მარცხნივ: აქედან კი სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯი იყო, მეტი არა. მაგრამ მივიდა თუ არა პირველ შესახვევთან, შედგა, იფიქრა პატარა ხანს და უცბად სხვა მხარეს შეუხვია, რომ ორი ქუჩით შემოევლო, - იქნებ სრულიად უმიზნოდაც, მაგრამ იქნებ იმისათვისაც, რომ რამდენიმე წუთით კიდე შეეგვიანებინა და დრო მოეგო. მიდიოდა და მიწას თვალს არ აშორებდა. უცბად თითქოს ყურში ვინმემ ჩასჩურჩულაო, თავი აიღო მაღლა და დაინახა, რომ იმ სახლის ალაყაფის კართან დგას. იმ საღამოს შემდეგ ჯერ აქეთ არ გაუვლია.

რადაც დაუძლეველი და გაუგებარი სურვილი იტაცებდა იქით. შვიკა სახლში, გაიარა მთელი ეზოს შესავალი, მიუხვია მარჯვნივ და ნაცნობი კიბით მეოთხე სართულს აუყვა. ვიწრო და დაქანებულ კიბეზე საშინლად ბნელოდა. კიბის ყველა მოსახვევზე დგებოდა და ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდა იქაურობას. პირველი სართულის დერეფანში ფანჯრის ჩარჩო ჩამოეხსნათ. „მაშინ ასე არ იყო“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. აი, მეორე სართულის ბინაც, სადაც მაშინ მიკოლაშკა და მიტკა მუშაობდნენ: „დაკეტილია; კარიც ახლად შეუღებიათ; ეტყობა, აქირავებენ“. აი, მესამე სართულიც... აგერ მეოთხეც... „აქ არის!“ აღარ იცოდა, რა ექნა: კარი ყურთამდე ღია იყო, შიგნიდან ლაპარაკი ისმოდა; ამას კი სწორედ არ მოელოდა. პატარა ხანს შეეყოყმანდა, მაგრამ აიარა უკანასკნელი საფეხურებიც და ბინაში შევიდა.

აქაც აახლებდნენ ბინას; მუშაობდნენ. ცოტა არ იყოს, ეოცა თითქოს. რატომღაც, ეგონა, ვითომ ყველაფერს იმავ რიგად ნახავდა, როგორც მაშინ დატოვა იქაურობა; თვითონ მოკლულებიც კი იქვე იატაკზე ეგულეობდა. ახლა კი კედლები დაეშიშვლებინათ, აღარავითარი ავეჯი აღარ მოჩანდა. ეუცხოვა როგორღაც! მივიდა ფანჯარასთან და რაფაზე ჩამოჯდა.

სულ ორი კაცი მუშაობდა, ორივე ახალგაზრდა, რომელთაგანაც ერთი უფრო ახალგაზრდა იყო. ძველი, ყვითელი, დაგლეჯილი შპალერის მაგივრად კედელს ახალ, ლურჯყვავილებიან თეთრ შპალერს აკრავდნენ. რასკოლნიკოვს რატომღაც არ მოეწონა ეს და მტრულად დაუწყო ყურება, თითქოს ენანება, რომ ყველაფერი ასე შეუცვლიათ.

მუშებს, ეტყობოდა, დაჰგვიანებოდათ და საჩქაროდ ახვევდნენ ქალაქს. შინისაკენ ემზადებოდნენ. რასკოლნიკოვის შემოსვლას თითქმის ყურადღება არ მიაქციეს, რადაცაზე ლაპარაკობდნენ. რასკოლნიკოვმა გულხელი დაიკრიფა და ყური მიუგდო.

- მოვიდა დილაადრიან ჩემთან, - ეუბნებოდა უფროსი მუშა უმცროსს, - სისხამ დილით, მორთულ-მოპრანჭული. „რას მენაზეები-მეთქი, ვუთხარი, რას მეპრანჭები-მეთქი?“ - „მეო, ტიტ ვასილიჩ, მინდა დღეიდან შენი სურვილის მონა ვიყოვო“, მითხრა. ხედავ, როგორაა საქმე! ახლა ჩაცმული როგორ იყო, რომ იცოდე: ნამდვილი ჟურნალი გეგონებოდა!

- მერე, რა არის ეგ ჟურნალი თუ რადაცა, ჰა, მია? - დაეკითხა უმცროსი მუშა.

ეტყობოდა, „მია“ იმისი ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო.

- ჟურნალი, ჩემო ძმაო, ფერადი ნახატებია, აქაურ მკერავებს ფოსტით მოსდით ყოველ შაბათს უცხოეთიდან; შიგ, მამასადამე, ნაჩვენებია, კაცებს ან ქალებს როგორ უნდა ეცვათ. კაცებს სულ პალტოებითა და სერთუკებით ხატავენ, ქალებს კი ისე აჭრელებენ, ძმაო, თუნდ ქვეყნის სიმდიდრე გაიღო, მაინც ცოტაა!

- ჰეი, რას არ ნახავ ამ პიტერში! - შესძახა გატაცებით უმცროსმა მუშამ. - დედ-მამის მეტი ყველაფერია!

- მაგის მეტი, ჩემო ძმაო, ყველაფერია, - დაუდასტურა მცოდნე კილოთი უფროსმა.

რასკოლნიკოვი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, სადაც წინათ სკივრი, ლოგინი და კამოდი ედგა ბებრუხანას; ძალიან მომცროდ ეჩვენა უავეჯო ოთახი. შპალერი კი ჯერ

ისევ ძველი ეკრა; კუთხეში შპალერს მკაფიოდ აჩნდა, ხატები სად ესვენა. მიათვალა-მოათვალა და ისევ ფანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა. უფროსმა მუშამ გვერდზე გახედა.

- რაო, რა გინდათ? - დაეკითხა უცბად რასკოლნიკოვს.

პასუხის მაგივრად რასკოლნიკოვი დერეფანში გავიდა, წაავლო ზარს ხელი და ჩამოაწვარუნა. ისევ ის ზარი და იგივე ხმა იყო! ჩამოჰკრა მეორედ, მესამედ; თან ყურს უგდებდა, რაღაცას იგონებდა. თანდათან ცოცხლად და მკაფიოდ აგონდებოდა ის საზარელი, მტანჯველი გრძნობა. რამდენსაც ჩამოჰკრავდა, იმდენი შეკრთებოდა, მაგრამ სულ მეტსა და მეტს სიამოვნებას განიცდიდა.

- მაინც რა გინდათ? ვინა ხართ? - შეჰყვირა მუშამ და დერეფანში გავიდა.

რასკოლნიკოვი ისევ შიგნით შევიდა.

- ბინა მინდა ვიქირავო, - უპასუხა, - ვსინჯავ.

- ბინას ღამე ვინა ქირაობს; თანაც მეუზოვე უნდა ამოგეყვანათ.

- იატაკი კარგად გარეცხეთ? უნდა შეღებოთ, არა? - განაგრძობდა რასკოლნიკოვი, - სისხლი ხომ არსად ატყვია?

- რა სისხლი?

- აი, ბებრუხანა და იმისი და რომ დახოცეს. მთელი გუბე იდგა აქ.

- მერე რაო, შენ ვინა ხარ? - დაუყვირა შეშფოთებულმა მუშამ.

- მე?

- ჰო, შენ.

- გინდა გაიგო?... კანტორაში წავიდეთ და იქ გეტყვი, ვინცა ვარ.

მუშები გაშტერებული უყურებდნენ.

- დროა წავიდეთ, დავგვიანდით, წამო, ალიომკა, კარი უნდა დავკეტო, - უთხრა უფროსმა მუშამ, - წავიდეთ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა გულგრილად და წინ გავიდა, კიბეზე ნელა დაეშვა. - ჰეი, მეუზოვე! - გაჰყვირა ეზოს შესავლიდან.

სახლის მისავალთან, გარეთ, რამდენიმე კაცი იდგა და გამვლელ-გამომვლელს უყურებდა. ესენი იყვნენ, ორი მეუზოვე, ვიღაცა დედაკაცი, ხალათიანი მდაბიო მოქალაქე და კიდევ ორიოდე ვიღაცა. რასკოლნიკოვმა პირდაპირ ამათკენ გასწია.

- რა გინდათ? - გამოეხმაურა ერთი მეუზოვეთაგანი.

- კანტორაში იყავი?

- ეს არის, ახლა ვიყავი, რა გინდათ?

- არის ვინმე იქ?

- არიან.

- თანაშემწე იქ არის?

- იყო, მერე რა გინდათ?

რასკოლნიკოვს აღარა უთქვამს რა, იდგა მათ გვერდით და რაღაცას ფიქრობდა.

- ბინის სანახავად იყო, - მიუგო უფროსმა მუშამ, რომელიც ის-ის იყო ეზოდან გამოვიდა.

- რომელი ბინისა?

- აი, ჩვენ რომ ვმუშაობთ, იმისი, „სისხლი რად გადარეცხეთო? აქ ხალხი დახოცეს და მოველ, რომ ვიქირავო“. ზარსაც დაუწყო რეკვა, კინაღამ ჩამოწყვიტა. კანტორაში წავიდეთ, ყველაფერს დაგიმტკიცებთო, ჩამოგვეკიდა!

მეეზოვე გაკვირვებული და თან წარბშეკრული ათავალიერებდა რასკოლნიკოვს.

- ვინა ხართ თქვენ, არ იტყვიო? - შეუყვირა უფრო მრისხანედ.

- მე ვარ როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი, ნასტუდენტარი, შილის სახლში ვცხოვრობ, ქუჩის შესახვევში, აქედან შორს არ არის, 14 ნომერში, მეეზოვეს ჰკითხე... მიცნობს. - ყველაფერი ეს რასკოლნიკოვმა როგორღაც უსიცოცხლოდ წარმოთქვა, ჩაფიქრებულმა, არც კი შეუხედნია, ისე გაჰყურებდა ჩამობნელებულ ქუჩას.

- მერე, იმ ბინაში რა გინდოდათ?

- გავსინჯე.

- რა იყო გასასინჯი?

- წაიყვა და კანტორაში წარადგინე! - ჩაერია ლაპარაკში მოქალაქე და გაჩუმდა.

რასკოლნიკოვმა გადაუბღვირა მთქმელს, ყურადღებით შეხედა და ისევ ისე უსიცოცხლოდ და წყნარად წარმოთქვა: - წავიდეთ!

- წაიყვა და ის არის! - გაუმეორა გამხნევებულმა მოქალაქემ. - რათა და რისთვის მოვიდა. ან ფიქრად რა აქვს იქ გაიგებო.

- მთვრალია თუ რა არის, ღმერთმა იცის, - წაიბურტყუნა მუშამ.

- მაინც რა გინდათ? - დაუყვირა კვლავ გულმოსულმა მეეზოვემ. - რას ჩამოგვეკიდებინარ?

- შეგეშინდა განა, კანტორა რომ გიხსენე? - უპასუხა დაცინვით რასკოლნიკოვმა.

- რის შემეშინდა? რას ჩამციებინარ?

- წუპაკია ვიღაც! - შენიშნა დედაკაცმა.

- რას ელაპარაკები, - დაუყვირა მეორე მეეზოვემ, ზორბა ტანის კაცმა, რომელსაც ჯუბა გადაეღელა და ქამარზე გასაღებები ჰქონდაა ჩამოკიდებული. - წაეთრიე!.. მართლაც წუპაკია ვილაც... წაეთრიე!

მხარში ხელი ჩაავლო და ქუჩაში გაუძახა. რასკოლნიკოვმა წაიფორხილა, მაგრამ არ წაქცეულა, გასწორდა, ჩუმად გადმოხედა მაყურებლებს და გასწია.

- უცნაური ვილაცაა! - ჩაილაპარაკა მუშამ.

- სწორედ რომ ვეღარ იცნობ ხალხს, ისე გაუცნაურდა, - დაუდასტურა დედაკაცმა.

- მაინც ურიგო არ იქნებოდა, კანტორაში წაგეყვანათ, - დასძინა მოქალაქემ.

- არა ღირდა აყოლა, - გადაწყვიტა ზორბა მეეზოვემ. - ეტყობა, წუპაკი ვინმეა! თვითონვე აგვეკვიატა, ხომ ნახეთ, მაგრამ აბა აჰყოლოდით, თავიდან ვეღარ მოვიშორებდით... ვიცნობთ, რა შვილებიც არიან!

„წავიდე მაშ თუ არა?“ - ფიქრობდა რასკოლნიკოვი, შუაგულ ქუჩაში გზაჯვარედინზე იდგა და თან გარშემო იხედებოდა, თითქოს გადამწყვეტ სიტყვას მოელის ვინმესგანო. მაგრამ არსაიდან არავინ პასუხი არ გასცა. მისთვის ყოველივე უტყვი და მკვდარი იყო იმ ქვებივით, რომლებზედაც იგი ახლა იდგა. უცბად, ორასიოდე ნაბიჯზე იმ ადგილიდან, სადაც რასკოლნიკოვი იდგა, ქუჩის ბოლოში, ბინდბუნდში ბრბო შენიშნა, ხმაური და ყვირილი მოესმა... ბრბოს შუაში რაღაც ეტლი იდგა... ქუჩაში სინათლე გამოკრთა: „რა უნდა იყოს?..“ რასკოლნიკოვმა მარჯვნივ შეუხვია და ბრბოსაკენ გასწია. მაგრამ გესლიანად გაეცინა, თითქოს მიზნეზებს ეძებდა, თუმცა ნამდვილად გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ახლავე კანტორაში მივიდოდა და ყველაფერს გაათავებდა.

VII

ქუჩის შუაში ვილაცის მდიდრული ეტლი იდგა, რომელშიც წყვილი ლეგა ფიცხი ცხენი ება; შიგ მჯდომი არავინ ჩანდა, თვითონ მეეტლეც კოფოდან ჩამოსულიყო და გვერდით უდგა; ცხენები სადავეთი ეჭირა. გარშემო უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ყველაზე წინ პოლიციელები იდგნენ. ერთ მათგანს ხელში ეჭირა პატარა ანთებული ფარანი, რომლითაც ძირს დახრილი რაღაცას ანათებდა ქვაფენილზე, სწორე იმ ადგილას, სადაც ეტლის თვლები იყო. ყველა ლაპარაკობდა, ყვიროდა, ვიშვიშებდა: მეეტლე კი გაშტერებული იდგა და დროდადრო იმეორებდა: - რა უბედურებაა! ღმერთო, რა საცოდაობა მოხდა!

როგორც იყო, რასკოლნიკოვი გაძვრა ხალხში და დაინახა, რას შეეშფოთებინა და აელეღვებინა ასე ხალხი. ძირს ეგდო ცხენებისაგან გათელილი, გრძნობადაკარგული, ღარიბულად, მაგრამ „კეთილშობილურად“ ჩაცმული ადამიანი და სისხლში ცურავდა, პირისახესა და თავიდან სისხლი სდიოდა. სახე მთლად დაჭეჭილი და დამახინჯებული ჰქონდა, ეტყობოდა, სახუმაროდ არ იყო დაშავებული.

- რა მექნა უბედურს! - მოთქვამდა მეეტლე, - როგორ დამენახა! რომ გამომერეკა, ან არ დამეყვირა, კიდევ ჰო, თორემ სულ ნელა მომყავდა. ყველა ხედავდა, თორემ აი ხალხი; გამამტყუნონ, თუ ვტყუი. მოგეხსენებათ, მთვრალი სანთელს არ ანთებს!.. ვხედავ, ქუჩაზე გადადის, ბარბაცებს, ლამის არის დაეცეს, - დავუყვირე ერთხელ, მეორედ,

მესამედ და ცხენებიც შევაყენე; მაგრამ არ მოშორდა და პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა! განგებ ქნა, თუ ძალიან იყო მთვრალი, არ ვიცი... გაუხედნავი ცხენებია, ფრთხალები არიან, - გაიწიეს; გაიწიეს და დაიყვირა. დაიყვირა და უარესად დაფრთხნენ... ჰოდა, ასეთი უბედურებაც დატრიალდა.

- აგრე იყო, მართალია! - გაისმა ვიღაც მოწმის ხმა ბრბოში.

- მართალია, უყვიროდა, სამჯერ დაუყვირა, - დაემოწმა მეორე.

- სამჯერ დაუყვირა სწორედ, ყველამ გავიგონეთ! - დაიძახა მესამემ.

მაგრამ მეეტლე ძალიანაც არ იყო დანადვლიანებული და შეშინებული. ეტყობოდა, ეტლი ვინმე შეძლებული კაცისა იყო და უთუოდ დაბარებული ჰყავდა. უცდიდა სადმე. ამ უკანასკნელი გარემოების გამო პოლიციელებიც, რა თქმა უნდა, ძალიან ცდილობდნენ, როგორმე მოეგვარებინათ საქმე. დასახიჩრებული უნდა წაეყვანათ პოლიციის ნაწილსა და საავადმყოფოში. მაგრამ სახელი და ვინაობა არავინ იცოდა.

სწორედ ამ დროს რასკოლნიკოვი უფრო ახლოს მივიდა. ფარანმა უცბად გააშუქა დაშავებულის სახე: იცნო, ვინც იყო.

- მე ვიცნობ, მე ვიცნობ! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და წინ წაიწია, - სამსახურის გარეშე მყოფი მოხელეა, ტიტულიარნი სოვეტნიკი მარმელადოვი! აქვე ცხოვრობს, მახლობლად, კოზელის სახლში... ჩქარა, ექიმი! ფულს მე გადავიხდი!

ჯიბიდან ფული ამოიღო და პოლიციელს დაანახვა. რასკოლნიკოვი საშინლად იყო ადელვებული.

გაუხარდათ პოლიციელებს, რომ დაშავებულის ვინაობა შეიტყვეს. რასკოლნიკოვმა მაშინვე თავისი ვინაობაც აცნობა, მისამართი მისცა; ყოველმხრივ ცდილობდა, თითქოს მშობელი მამა ყოფილიყო, რომ გრძნობადაკარგული მარმელადოვი საჩქაროდ შინ წაეყვანათ.

- აი, აქვეა, მესამე სახლია, - ფაციფუცობდა იგი, - კოზელის სახლში დგას, მდიდარი გერმანელის სახლში... უთუოდ მთვრალი იყო და შინ მიდიოდა. ვიცნობ... ლოთია... ოჯახობა ჰყავს, ცოლი, შვილები, ქალიცა ჰყავს ერთი, საავადმყოფოში წაყვანას შინა სჯობია, აქვეა და ექიმსაც ალბათ იმავე სახლში ვიშოვით! მე მივცემ ფულს, მე გადავიხდი!.. რაც უნდა იყოს, სხვა არის, შინაურები მოუვლიან; მალე უშველიან, თორემ საავადმყოფომდის, ვინ იცის, კიდევ მოკვდეს...

შეუმჩნევლად პოლიციელს ფულიც კი ჩაუდო ხელში. აშკარა იყო და კანონიერიც: უფრო მალე დაეხმარებოდნენ. დაშავებული ასწიეს და წაიღეს. მალე დამხმარენიც გაუჩნდნენ. კოზელის სახლი სულ რაღაც ოცდაათი ნაბიჯით იყო დაშორებული. რასკოლნიკოვი უკან მისდევდა, ცალ ხელს ფრთხილად აშველებდა მარმელადოვის თავს, რომ არ განძრეულიყო, და გზას უჩვენებდა.

- აქეთ მოიყვათ, აქეთ! კიბეზე უნდა თავით ავიყვანოთ, მოაბრუნეთ... ჰო, აგრე, ფულს მე მოგცემთ, მე გადაგიხდით მადლობას, - ბუტბუტებდა რასკოლნიკოვი.

კატერინა ივანოვნა, როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებდა, ჩვეულებისამებრ, მაშინვე თავის ვიწრო ოთახში იწყებდა ხოლმე წინ და უკან, ფანჯრიდან ღუმელამდე,

გულხელდაკრევით სიარულს. ასე დადიოდა ხოლმე, თან თავის თავს ელაპარაკებოდა და ახველებდა. ბოლო დროს კი ლაპარაკსაც უხშირა თავის უფროს, ათი წლის ქალ პოლენკასთან. მართალია, პოლენკას ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ესმოდა, მაგრამ ის კი იგრძნო, რომ დედისათვის საჭირო იყო. თავის გონიერ დიდრონ თვალეხს ერთგულად გაადევნებდა ხოლმე დედას და ეშმაკურად თავს ისე აჩვენებდა, ვითომ ყველაფერი ესმოდა. პოლენკა ახლა უქეიფოდ მყოფ უმცროს ძმას ხდიდა ტანთ, რომ დაეძინებინა. სანამ პერანგს გამოუცვლიდნენ, რომელიც იმ ღამესვე უნდა გაერეცხათ, პატარა ჩუმად და უძრავად იჯდა სკამზე და წყვილად შეტყუპული შიშველი ფეხები წინ გაემვირა. გაებერა ტუჩები, დაეჭყიტა თვალეხი და გაუნძრევლად უგდებდა ყურს დედის ლაპარაკს პოლენკასთან, როგორც ჭკვიანმა ბავშვებმა იციან ხოლმე, სანამ ტანთ გახდიან და დასაძინებლად დააწვენენ. უფრო პატარა, ძონძებში გამოხვეული გოგო კიდევ ფარდასთან იდგა და თავის რიგს უცდიდა. კიბეზე გამოსასვლელი კარი ღია იყო, რომ სხვა მდგმურების ოთახებიდან გამომავალი თამბაქოს ბოლი ცოტათი მაინც გაფანტულიყო და საბრალო ჭლექიანი ქალი ხშირსა და მძიმე ხველას არ დაეტანჯა. კატერინა ივანოვნა თითქოს უარესად გამხდარიყო ამ ერთი კვირის განმავლობაში და ლაქები ლოყებზე უფრო წითლად და მკაფიოდ მოუჩანდა.

- არც დაიჯერებ და ვერც წარმოიდგენ პოლენკა, - ეუბნებოდა კატერინა ივანოვნა და თან ოთახში გადი-გამოდიოდა, - როგორ მხიარულად და მდიდრულად ვცხოვრობდით მამასთან; ამ ლოთმა კი როგორ დაგვლუპა ყველა, მეცა და თქვენც! მამაჩემი საერო პოლკოვნიკი იყო და თითქმის გუბერნატორიც; სულ რაღაც ერთი ნახიჯილა უკლდა, ასე რომ ყველანი დაიარებოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ: „ისე გთვლით უკვე, ივან მიხაილიჩ, როგორც ჩვენს გუბერნატორსაო“. როდესაც მე... ქხე! როდესაც... ქხე-ქხე-ქხე-ქხე!.. ო, დაწყევლილო სიცოცხლე! - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ, თან ნახველი გადმოაფურთხა და გულზე ხელი იტაცა, - როდესაც... ეჰ, უკანასკნელ ბალზე... თავად-აზნაურთა წინამძღოლისას... დამინახა კნეინა ბელემელნაიამ, რომელმაც შემდეგ დამლოცა, მამაშენზე რომ ვთხოვდებოდი, პოლია, - მაშინვე იკითხა: „ის ხო არ არის ეს მშვენიერი გოგონა, კურსის დასრულებისას რომ შალიანი ცეკვავდაო?..“ ეს გახეული რატომ არ დაგიკერებია; აიღებდი ნემსს და ახლავე ამოვლანდავდი, როგორც გასწავლე, თორემ ხვალ... ქხე! ხვალ... ქხე-ქხე-ქხე! უარესად გაგეხევა, - წამოიყვირა გულამოვარდნილმა. - ის-ის იყო მაშინ ჩამოვიდა პეტერბურგიდან კამერიუნკერი თავადი შჩეგოლსკოიც... იცეკვა ჩემთან მაზურკა და თურმე უნდოდა მეორე დღესვე ცოლობა ეთხოვა; მაგრამ მევე დავასწარ, მადლობა ვუთხარი მეტად თავაზიანად და გამოვუცხადე, რომ დიდი ხანია სხვას ეკუთვნოდა ჩემი გული. ეს სხვა კი მამაშენი იყო, პოლია. საშინლად ჯავრობდა მამაჩემი... მერე წყალი კი მზადა გაქვს? აბა, მოიტა პერანგი, წინდები სადღაა?.. ლიდა, - მიუბრუნდა პაწიას, - ამდამ ასე უპერანგოდ გეძინოს, როგორც იყოს... წინდებიც მანდვე დააწყე... ერთად დავრეცხავ ბარემ... ის დაბრანძული ლოთი რატომ აღარ მოდის ნეტა? პერანგი ლამის დასტამლად ექცეს, მთლად შემოეხევა... სჯობდა ერთად დამერეცხა, რომ ორ ღამეს არ მეწვალა! ღმერთო! ქხე-ქხე-ქხე-ქხე! კიდევ ამივარდა ეს ხველა! რა ამბავია? - შეჰყვირა და დერეფანში გამოჩენილ ხალხს გახედა, რომელთაც რაღაც მოჰქონდათ ოთახისაკენ. - რა არის? რა მოაქვთ? ღმერთო!

- სად დავაწვინოთ? - კითხულობდა პოლიციელი და თან გარშემო იყურებოდა, რომ გრძნობდაკარგული და გასისხლიანებული მარმელადოვი დაეწვინათ.

- დივანზე! დივანზე დააწვინეთ! აი ასე, თავი აქეთ უყავით, - უჩვენებდა რასკოლნიკოვი.

- ქუჩაში ეტლმა გადაუარა! მთვრალი იყო! - დაიძახა ვილაცამ დერეფნიდან.

კატერინა ივანოვნა გაფითრებული იდგა და ძლივსღა სუნთქავდა. ბავშვებიც შეშინებულნიყვნენ. პატარა ლიდამ მაშინვე პოლენკას მიაშურა ყვირილით, მოჰხვია ხელები და მთლად კანკალმა აიტანა.

დააწვინეს თუ არა მარმელადოვი, რასკოლნიკოვი მაშინვე კატერინა ივანოვნას ეცა.

- ღვთის გულისათვის, დამშვიდდით, ნუ შეშინდებით! - ეუბნებოდა სხაპასხუპით, - თურმე ქუჩაში გადადიოდა და ეტლმა გადაუარა; ნუ სწუხართ, მობრუნდება, მე ვუბრძანე, აქ მოეყვანათ... გახსოვთ, ერთხელ ვიყავი თქვენსა... მობრუნდება, ფულს მე გადავიხდი.

- ხომ აგიტანა წერამ! - შეჰყვირა სასოწარკვეთილებით კატერინა ივანოვნამ და ქმრისაკენ გაქანდა.

რასკოლნიკოვმა უმაღლესი შენიშნა, რომ კატერინა ივანოვნა სხვა სუსტ დედაკაცებს არაფრით ჰგავდა და მათსავით მაშინვე გული არ შეუღონდებოდა. უცბად თავქვემ ბალიში გაუჩნდა უბედურს, რაც სხვას არავის მოჰგონებია; კატერინა ივანოვნამ გახდა დაუწყო, თან სინჯავდა და გაფაციცებით დასტრიალებდა თავს, გულიდან ამოსახეთქად გამზადებულ ტირილს და აცახცახებულ ტუჩებს ძალით იმაგრებდა; თავი მთლად დავიწყებოდა.

რასკოლნიკოვმა კი ამ დროს კაცი გაგზავნა ექიმის მოსაყვანად, რომელიც იქვე, მეორე სახლში მდგარიყო.

- ექიმსაც დაუძახებენ, - უმეორებდა რასკოლნიკოვი კატერინა ივანოვნას, - ნუ სწუხართ, ფულს მე გადავიხდი. წყალი არ არის?... ხელსაწმენდი ან პირსაწმენდი იქნება, მომეცით ჩქარა; არავინ იცის ჯერ, როგორ არის დამავებული... დამავებულია და არა მკვდარი, მერწმუნეთ... ვნახოთ, ექიმი რას იტყვის!

კატერინა ივანოვნა ფანჯრისაკენ გაქანდა. აქ, კუთხეში, ჩამტვრეულ სკამზე, თიხის თასით წყალი ედგა, რომ ბავშვებისა და ქმრის საცვალი ღამე დაერეცხა. იქამდე მიაღწია ბოლო დროს მათმა გაჭირვებამ, რომ ოჯახის ყოველ წევრს მხოლოდ თითო ხელი საცვალიღა ჰქონდა. რაკი თვითონ სისუფთავის დიდი მოყვარული იყო, ამიტომ არჩევდა, ისევ ღამღამობით ეწვალა, ძალ-ღონე შეეღია და ისე ერეცხა ქმარ-შვილის საცვლები, ოღონდ ჭუჭყიანად არ ეტარებინა. ამიტომაც კვირაში ორჯერ, ზოგჯერ კი უფრო ხშირადაც სარეცხი ჰქონდა ხოლმე და სველ საცვლებს ღამევე აშრობდა შინ გაბმულ თოკზე, რომ დილით სუფთა საცვალი ჩაეცვათ. ტაშტს ხელი წაავლო და უნდოდა რასკოლნიკოვისათვის მიეტანა, მაგრამ კინაღამ იქვე დაეცა, ვეღარ შეძლო. რასკოლნიკოვმა უკვე იპოვა პირსახოცი, დაასველა წყლით და დაუწყო მარმელადოვს გასისხლიანებული სახის წმენდა. კატერინა ივანოვნაც იქვე იდგა, გულზე მიედო ხელი და ძლივსღა სუნთქავდა. ახლად მიხვდა რასკოლნიკოვი, რომ არ უნდა ამოეყვანინებინა სახლში მარმელადოვი. პოლიციელიც გამტვრეული იდგა.

- პოლია! - დაუძახა კატერინა ივანოვნამ, - ჩქარა, სონიასთან მიირბინე! თუ შინ არ დაგხვდეს, დაიბარე, მამა ცხენებმა გაიტანეს-თქო, და როგორც კი შინ მივა, მაშინვე წამოვიდეს... აბა, ჩქარა! აჰა, შალი მოიხვიე თავზე!

- ლაც სეგიძლიან, გაიქე! - მიაძახა უცბად სკამზე მჯდომმა პატარა ბიჭმა და გაჩუმდა, ფეხები ისევ წინ წამოეყო და პატარა თვალები დაეჭყიტა.

ოთახი ისე გაივსო ხალხით, ნემსი აღარსად ჩაიგდებოდა. პოლიციელები წავიდ-წამოვიდნენ; დროებით მხოლოდ ერთი დარჩა, რომელიც მოგროვილ ხალხს კიბიდან უკანვე ერეკებოდა. სამაგიეროდ, ლიპევეზხელის შიდა ოთახებიდან თითქმის ყველა მდგურმა აქ მოიყარა თავი. ჯერ კარში იყურებოდნენ, მერე კი უცბად იხუვლეს და ოთახში შემოცვივდნენ. კატერინა ივანოვნა გაცეცხლდა.

- ნეტავ მოსვენებით სიკვდილს მაინც აღირსებდეთ ადამიანს! - დაჰყვირა ოთახში შემოსულთ, - წარმოდგენაა, თუ რა არის? პაპიროსებიც რომ უჭირავთ ხელში! ქხე-ქხე-ქხე! არა, ქუდებითაც შემობრძანდით ბარემ... აგერ, აკი ჰხურავს კიდეც ერთს!.. გაეთრიეთ აქედან! მკვდრის პატივისცემა მაინც გქონდეთ!

ხველამ კინალამ დაახრჩო, მაგრამ გაჯავრებამ კი გასჭრა. ეტყობა, ეშინოდათ კიდეც კატერინა ივანოვნასი; მდგმურები ნელ-ნელა უკანვე გავიდნენ იმ უცნაური შინაგანი კმაყოფილებით, რომელიც თვით მახლობელთა შორისაც კი იჩენს ხოლმე თავს მოყვასთა მოულოდნელი უბედურების დროს და რომელიც უნებურად მუდამ თან სდევს ყოველ ადამიანს, თუნდაც გულწრფელად თანაუგრძნობდეს და ებრალებოდეს კიდეც უბედურების მსხვერპლი.

კარს უკან საავადმყოფოს ახსენებდნენ, თან იძახოდნენ, შინ არ უნდა მოეყვანათ და ხალხი არ შეეწუხებინათო.

- როგორ სიკვდილიც კი არ შეიძლება შინ? - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ და ის იყო კარს უნდა სცემოდა და გამოეღო, რა არის თავისი გულისწყრომა გადმოენთხია, რომ სწორედ ამ დროს თვითონ ქალბატონ ლიპევეზხელს შეეფეთა წინ. დიასახლისს გაეგო, უბედურება დატრიალდაო და მოდიოდა, რათა წესი და რიგი აღედგინა. ძალიან აშარი და ურიგო გერმანელი ქალი იყო ქალბატონი ლიპევეზხელი.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - გაჰკრა ხელი, - თქვენი ქმარი ცხენმა გათელა. საავადმყოფოში ჩქარა, დიასახლისი ვარ!

- ამალია ლუდვიგოვნა! გთხოვთ გაიხსენოთ, რას ამბობთ, - დაიწყო კატერინა ივანოვნამ მედიდურად (დიასახლისს მუდამ ამ კილოთი ელაპარაკებოდა, რომ მას თავისი ვინაობა არ დავიწყებოდა: ამიტომაც არც ახლა უნდოდა მოჰკლებოდა ამ სიამოვნებას), - ამალია ლუდვიგოვნა...

- წინათაც რამდენჯერ გითხარით, ამალია ლუდვიგოვნა აღარ დამიძახოთ-მეთქი; ამალია ივანოვნა და არა ლუდვიგოვნა!

- ამალია ლუდვიგოვნა ხართ და არა ამალია ივანოვნა, თანაც, რაკი იმ გაიძვერა მლიქვნელებს არ ვგავარ, როგორც ბატონი ლეებუზიატნიკოვია, რომელიც ახლა კარსუკან იცინის (ამ დროს კარსუკან მართლაც გაისმა სიცილი და წამოძახილი: „ეცნენ“), მუდამ ამალია ლუდვიგოვნას დაგიძახებთ, თუმცა ვერ გამიგია სწორედ,

რად არ მოგწონთ ეს სახელი. ხომ ხედავთ, რა დაემართა სემიონ ზახარიჩს; კვდება. გთხოვთ, ახლავე დაკეტოთ ეგ კარი და აღარავინ შემოუშვათ. სიკვდილი მაინც დააცადეთ მშვიდობიანად. გარწმუნებთ, უამისოდ ხვალვე თქვენს საქციელს გენერალ-გუბერნატორს ვაცნობებ. თავადი ჯერ ისევ ქალიშვილობისას მიცნობდა და სემიონ ზახარიჩსაც მოწყალედ ეპყრობოდა. ყველამ კარგად იცის, რომ სემიონ ზახარიჩს მრავალი მეგობარი და მფარველი ჰყავს, რომლებსაც, რაკი თავისი უბედური „სისუსტე“ იცოდა, კეთილშობილური სიამაყის გამო თვითონვე ჩამოშორდა, მაგრამ აი ახლაც (რასკოლნიკოვზე მიუთითა) ეს დიდსულოვანი ახალგაზრდა გვშველის, რომელსაც შეძლებაც აქვს და ნაცნობებიც ჰყავს; სემიონ ზახარიჩი პატარაობიდანვე იცნობდა. მერწმუნეთ, ამალია ლუდვიგოვნა.

ყველაფერი ეს სხაპასხუპით წარმოთქვა კატერინა ივანოვნამ, მაგრამ ხველამ შეაჩერებინა მჭევრმეტყველება. სწორედ ამ დროს მომაკვდავი გონს მოვიდა, ამოიკვნესა და კატერინა ივანოვნაც მაშინვე ქმრისკენ გაქანდა. გაახილა ავადმყოფმა თვალები და მის თავთან მდგომ რასკოლნიკოვს დაუწყო ცქერა, მაგრამ ვერ გამორკვეულიყო, ვერავის სცნობდა. ღრმად და მძიმედ სუნთქავდა; ტუჩიდან სისხლი სდიოდა; შუბლზე ოფლი მოსვლოდა. რასკოლნიკოვი რომ ვერ იცნო, შემფოთებულმა ახლა სხვა მხარეს დაიწყო ცქერა. ნაღვლიანი, მაგრამ სასტიკი სახით შესცქეროდა მას კატერინა ივანოვნა და თვალებიდან ლაპალუპით სდიოდა ცრემლი.

- ღმერთო ჩემო! გულმკერდი მთლად ჩანგრეული ჰქონია! როგორ სდის სისხლი! - ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა. - ეს ზედა ტანისამოსი უნდა გავხადოთ! სემიონ ზახარიჩ, მობრუნდი, აბა, თუ შეგიძლია, - ჩასძახა კატერინა ივანოვნამ.

მარმელადოვმა იცნო.

- მღვდელი! - წაიდუდუნა ხრინწიანი ხმით.

კატერინა ივანოვნა ფანჯრისაკენ მიდგა, შუბლით ჩარჩოს მიეყრდნო და სასოწარკვეთილმა წამოიძახა: - ო, დაწყევლილო სიცოცხლევ!

- მღვდელი! - ისევ გაიმეორა მცირე სიჩუმის შემდეგ მომაკვდავმა.

- წავიდნენ! - დაუკვირა კატერინა ივანოვნამ.

მარმელადოვმა ყვირილი გაიგონა და გაჩუმდა. მოკრძალებითა და სევდიანი თვალით ეძებდა ცოლს. კატერინა ივანოვნა ისევ დაბრუნდა და ქმარს თავით დაუდგა. მომაკვდავი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მცირე ხნით. მალე თვალი მოჰკრა პატარა ლიდოჩკას (ყველაზე ძალიან ეს უყვარდა), რომელიც კუთხეში ატუზულიყო და აცახცახებული, ბავშვურად გაკვირვებული შეჰყურებდა.

- ე... ე... - უჩვენებდა შემფოთებული მარმელადოვი ლიდოჩკაზე. უნდოდა რაღაც ეთქვა.

- რა იყო, რა გინდა? - შეუყვირა კატერინა ივანოვნამ.

- ფეხშიშველას! ფეხშიშველას! - დუდუნებდა გონებადაბინდული და ლიდოჩკას შიშველ ფეხებზე უჩვენებდა.

- გაჩ-უმ-დი! - დაუყვირა გაბრაზებულმა კატერინა ივანოვნამ, - კარგად იცი, რატომაც არის ფეხშიშველა!

- მადლობა ღმერთს, ექიმი მოვიდა! - შეჰყვირა გახარებულმა რასკოლნიკოვმა.

შემოვიდა ექიმი, მოხუცი გერმანელი, და გარშემო უნდობლად მიმოიხედა; მივიდა მერე ავადმყოფთან, მაჯა და თავი გაუსინჯა, კატერინა ივანოვნას დახმარებით სისხლში გასვრილი პერანგი გაუხსნა და გადაუწია გულიდან. გულმკერდი მთლად ჩარეგვილი ჰქონდა, მარჯვენა გვერდის რამდენიმე ნეკნი ჩამტვრეული. მარცხნივ, ზედ გულზე, ვეება შავი ჩაყვითლებული ლაქა ჰქონდა: ცხენს ფეხი ჩაეკრა. ექიმი მოიღრუბლა. პოლიციელმა უამბო, დაშავებული ეტლის თვალმა ჩაითრია და ასე ოცდაათ ნაბიჯამდე ათრია ქვაფენილზე.

- საკვირველია, ან კი როგორღა მოვიდა გონს, - წასჩურჩულა ჩუმად რასკოლნიკოვს.

- მაინც რას იტყვით? - დაეკითხა რასკოლნიკოვი.

- ახლავე მოკვდება.

- ნუთუ არავითარი იმედი არ არის?

- არავითარი! სულსა ლევს... თავიც საშინლად აქვს დაზიანებული... ჰმ!.. შეიძლებოდა სისხლი გამოგვეშვა... მაგრამ... უსარგებლოა. ხუთი ან ათი წამის შემდეგ მაინც უთუოდ მოკვდება.

- სჯობს, ისევ გამოუშვათ სისხლი!

- შეიძლება... მაგრამ გაფრთხილებთ კი, რომ სრულიად უსარგებლო იქნება.

სწორედ ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ხალხი გაირღვა და მოხუცი მღვდელი გამოჩნდა. ვიღაც პოლიციელი ქუჩიდანვე წასულიყო დასაძახებლად. ექიმმა მაშინვე ადგილი დაუთმო, თან მრავლისმეტყველად გადახედა. რასკოლნიკოვმა სთხოვა ექიმს, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო, ექიმმა მხრები შეიშმუშნა, მაგრამ დარჩა.

ავადმყოფს ყველა მოშორდა, აღსარებამ სულ ცოტა ხანს გასტანა. მომაკვდავს თითქმის არა ესმოდა რა. შეეძლო მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაც გაუგებარი სიტყვების უაზროდ წამოყვირება. კატერინა ივანოვნამ აიყვანა ლიდოჩკა, პატარა ბიჭიც სკამიდან ჩამოსვა, მიიყვანა კუთხეში, ღუმელთან, დაიჩოქა და ბავშვებიც თავის წინ დააჩოქა. ლიდოჩკა სულ კანკალებდა; პატარა ბიჭს კიდევ შიშველა მუხლის თავებზე დაეჩოქა, დინჯად იწერდა პირჯვარს და თავს მიწაზე ახეთქებდა, რაც, ეტყობა, განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა. კატერინა ივანოვნა ტუჩებს იკვნეტდა და ტირილს ძლივს იმაგრებდა; თვითონაც ლოცულობდა და თან ხანგამოშვებით ბავშვებს პერანგს უსწორებდა. დაჩოქილმა ლოცვის დროსვე ამოიღო თხელი ქალაღია კამოდიდან და პატარა გოგოს შიშველა მხრებზე წამოასხა. შიგნითა ოთახებიდან ცნობისმოყვარეებმა კარი ისევ შემოაღეს. დერეფანში კი თანდათან მატულობდა მაყურებლების რიცხვი, - მთელი კიბიდან იკრიბებოდნენ მდგმურები, მაგრამ ოთახის კარს აქეთ არ გადმოდიოდნენ. მთელ ოთახსა და დერეფანს პატარა ნამწვი სანთელი ანათებდა.

უცხად დერეფანში შეგროვილი ხალხიდან გამოძვრა პოლენკა, რომელიც დის დასამახებლად იყო წასული. რბენით დაღლილი სულს ძლივს ითქვამდა; თავშალი მოიხადა, მოძებნა დედა, მივიდა და უთხრა: „მოდის! ქუჩაში შემომხვდა!“ დედამ ესეც თავის გვერდით დააჩოქა. ბრბოდან წყნარად და მოკრძალებით გამოაღწია ახალგაზრდა ქალმა, რომლის მოულოდნელი გამოჩენაც აქ, სადაც სიღარიბე, სიკვდილი და სასოწარკვეთილება მეფობდა, უცნაურად ეჩვენა ყველას. იმასაც მონძები ეცვა, ყველაფერი გროშის ფასისა, მაგრამ ქუჩის გემოზე აჭრელებული, - თავისებურ სამყაროში ჩამოყალიბებული გემოვნების შესაფერისი და მის სამარაცხვინო მიზანს ამხელდა. სონია იქვე, დერეფანში, კართან შედგა დაბნეული; თითქოს აღარა ეყურებოდა რა და დაავიწყდა, რომ ათას ხელში გამოვლილი, დროისა და გარემოების შეუსაბამო ფერადი, გრძელშლიეფიანი, სასაცილო ხაზარდიანი კაბა ეცვა, რომელსაც კარი მთლიანად გადაეღობა; დაავიწყდა ისიც, რომ ხელში სამზიური ქოლგა ეჭირა, რომელიც ამ ღამეში სრულიად ზედმეტი იყო; ისიც, რომ ღია ფერის ფეხსაცმელი ეცვა და თავზე კიდევ არანაკლებ სასაცილო ჩალის მრგვალი ქუდი ეხურა, რომელსაც ცეცხლისფერი ფრთა ამკობდა. ბიჭურად გვერდზე მოგდებული ქუდიდან გამოიყურებოდა გამხდარი, ფერმკრთალი, შეშინებული, ნახევრად პირღია და თვალეგამტერებული, თავზარდაცემული სახე. სონია იყო ტანად მომცრო, მაგრამ საკმაოდ ლამაზი, ლურჯთვალემა თვრამეტი წლის ქერა ქალი. იგი ყურადღებით დაჰყურებდა ლოგინსა და მღვდელს. სწრაფი სიარულით დაღლილი ისიც ძლივსდა სუნთქავდა. ბოლოს ჩურჩულმა ბრბოში და ზოგიერთმა სიტყვამ ალბათ მის ყურამდეც მიაღწია. დაღუნა თავი, ზღურბლს გადააბიჯა და შიგნით შევიდა, მაგრამ იქვე კართან შედგა.

აღსარება და ზიარებაც დასრულდა. კატერინა ივანოვნა ისევ ქმართან მივიდა. მღვდელი ჩამოეცალა და წასვლისას რამდენიმე სანუგეშო სიტყვის თქმა დააპირა.

- ჰო, მაგრამ, ამათ რა ვუყო? - მკვახედ შეაჩერა გულმოსულმა კატერინა ივანოვნამ და ბავშვებზე მიუთითა.

- ღმერთია მოწყალე! მამაზეციერი არავის დაივიწყებს, - დაიწყო ისევ მღვდელმა, მაგრამ კატერინა ივანოვნამ მალე ისევ გააწყვეტინა.

- ჰმ! მოწყალე კი მოწყალეა, მაგრამ ჩვენთვის როდია!

- ცოდვაა, შვილო, მაგისი თქმა, ცოდვაა, - შენიშნა მღვდელმა თავის ქნევით.

- ეს, ეს კი არ არის ცოდვა? - დაიყვირა კატერინა ივანოვნამ და მომაკვდავზე მიუთითა.

- ვინ იცის, იქნება დაგთანხმდნენ კიდევ, ვინც უნებლიე მიზეზი გახდა თქვენი უბედურებისა და ზარალი ნივთიერად მაინც გიზღონ...

- ჩემი აზრი ვერ გაიგეთ! - შეჰყვირა აღელვებულმა კატერინა ივანოვნამ და ხელი გააქნია - რის ზარალი, რა უნდა მიზღონ? თვითონ ჩაუვარდა მთვრალი ცხენებს! რის ნივთიერი ზარალი?.. სარგებლობა და დახმარება კი არა, ტანჯვა მქონდა ამისაგან მხოლოდ. ლოთი იყო, სჭამდა ყველაფერს! ოჯახს ჰპარავდა და დუქანში მიჰქონდა! ჩემი თუ ბავშვების სიცოცხლე, ყველა სმას შეაღია! მადლობა ღმერთს, რომ კვდება! ნაკლები ზარალი გვექნება.

- სიკვდილის წინ უნდა ყველაფერი აპატიოთ, შვილო, შურისგება ცოდვაა!

კატერინა ივანოვნა ავადმყოფს დასტრიალებდა: ხან წყალს ასმევდა, ხან ოფლსა და სისხლს უწმენდდა, ხან ბალიშს უსწორებდა და თან მღვდელს ელაპარაკებოდა, ახლა კი აღმფოთებული უცბად მიუბრუნდა: - ეჰ, მამაო! სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები! აპატიოთო! იცით მერე, რომ არ გაესრისათ, მოვიდოდა დღეს გაღეშილი და მიეგდებოდა დასაძინებლად. ჭუჭყისაგან მთლად შეჭმული და დაძონძილი ერთადერთი პერანგი ძალით უნდა გამეხადა და გათენებამდე მისი და ბავშვების საცვლები მეჭეჭყა, მერე გამეშრო და ინათებდა თუ არა, დავმჯდარიყავი და მეკერებინა, რომ დილით სუფთა ჩამეცმია! აი, როგორ ვატარებ ღამეს!.. მაშ, რომელ პატიებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი! მაგრამ ესეც მიპატიებია!

საშინელმა ხველამ ლაპარაკი გააწყვეტინა. ცხვირსახოცი მიიშველა და ამონახველი განგებ მღვდელს გაუწოდა საჩვენებლად, თან მეორე ხელით ისევ მკერდი ეჭირა, ცხვირსახოცი მთლად სისხლით იყო მოსვრილი...

მღვდელმა თავი ჩალუნა, აღარა უთხრა რა.

მარმელადოვი სულს ებრძოდა: თვალს არ აშორებდა კატერინა ივანოვნას, რომელიც ისევ მის ლოგინთან დახრილიყო. სულ უნდოდა რაღაც ეთქვა; ერთხელ კიდევაც სცადა და დაიწყო ენის ცოდვილი, გაურკვეველად თქვა რაღაც, მაგრამ კატერინა ივანოვნა მიუხვდა, რომ პატიება უნდოდა ეთხოვა, და მაშინვე ბრძანების კილოთი შეუყვირა: - გა-ჩუმ-დი! არ მინდა!.. ვიცი, რაც გინდა თქვა!.. - და ავადმყოფიც გაჩუმდა. მაგრამ იმავე წამს თვალი მოჰკრა, რომ კარში სონია იდგა...

აქამდის არ შეუნიშნავს: კუთხეში იდგა მოფარებით.

- ვინ არის ეს? ვინ არის? - წარმოთქვა უცბად შემფოთებულმა ხრინწიანი ხმით და თან შეძრწუნებული გაჰყურებდა კარს, სადაც სონია იდგა; ადგომას ცდილობდა.

- იწ-ექ! ი-ი-წ-ექ! - დაუყვირა კატერინა ივანოვნამ.

მაგრამ მარმელადოვმა მთელი თავისი ძალ-ღონე იხმარა და ცალ ხელზე დაებჯინა, წამოიწია. ერთხანს უძრავად და უაზროდ გამტერებული შეჰყურებდა, თითქოს თავის ქალს ვერ სცნობსო. არცთუ ენახა სადმე ასე ჩაცმული. მაგრამ უცბად იცნო მოპრანჭული, მიწასთან გასწორებული და შერცხვენილი, მომაკვდავ მამასთან უკანასკნელი გამოთხოვების თავმდაბლად მომლოდინე. უსაზღვრო ტანჯვა აღებეჭდა სახეზე.

- სონია! შვილო! მაპატიე! - დაუყვირა და უნდოდა ხელი გაეწოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა, გადმოიწია და დივანიდან ძირს ბრაგვანი მოიღო, პირქვე დაეცა. ეცნენ მაშინვე და ისევ დააწვინეს, მაგრამ სულს ლევდა უკვე. სონიამ ოდნავ შეჰყვირა, მივარდა მამას, მოეხვია და ასე დარჩა დიდხანს. მის ხელში დალია სული მომაკვდავმა.

- ეგ არ გინდოდა! - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ. - რა ვუყო ახლა? რითი დავმარხო! ან ამათ ხვალ რა ვაჭამო?

რასკოლნიკოვი კატერინა ივანოვნასთან მივიდა.

- კატერინა ივანოვნა, - დაიწყო რასკოლნიკოვმა, - წარსულ კვირას თქვენმა ქმარმა მთელი თავისი ცხოვრება და გარემოება ამიწერა... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,

აღფრთოვანებითა და სრული პატივისცემით გიხსენებდათ. იმ დღიდან იყო, რომ მე და ის მეგობრები შევიქენით, როცა გავიგე, როგორი ერთგული და მოყვარული იყო იგი, განსაკუთრებით თქვენი, თუმცა ისეთი უბედური ზნე სჭირდა... ნება მიბოძეთ ახლა... დაგეხმაროთ... ჩემი განსვენებული მეგობრისადმი უკანასკნელი მოვალეობის მოხდით. აი, აქ... ორი თუმანია, ვგონებ, თუ რასმე დაგეხმარებათ... ერთი სიტყვით, შემოვივლი, შემოვივლი უთუოდ... იქნება ხვალაც შემოვიარო... მშვიდობით!

და ოთახიდან საჩქაროდ გარეთ გავიდა, ხალხი გაარღვია და კიბეზე დაეშვა, მაგრამ აქ უცბად წინ ნიკოდიმ ფომიჩი შემოეყარა, რომელსაც უბედურების ამბავი გაეგო და მოესურვებინა, თვითონ პირადად მოეხდინა საჭირო განკარგულება. კანტორაში მომხდარი ამბის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარსად შეხვედრიან, მაგრამ შეხვდა თუ არა, ნიკოდიმ ფომიჩმა მაშინვე იცნო.

- ოჰო, თქვენა ხართ? - ჩაეკითხა რასკოლნიკოსს.

- მიიცვალა, - უპასუხა რასკოლნიკოვმა, - ექიმიც იყო, მღვდელიც, ყველაფერი რიგზეა. საბრალო დედაკაცს ტყუილად ნურაფერზე შეაწუხებთ, ისედაც ჭლექიანია. თუ რითიმე შეგიძლიათ, ანუგეშეთ... თქვენ ხომ კეთილი ადამიანი ხართ, ვიცი... - დასძინა მან, ჩაიცინა და თან პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა.

- სისხლით როგორ მოსვრილხართ, - შენიშნა ნიკოდიმ ფომიჩმა, ფარნის სინათლეზე რომ სისხლის რამდენიმე ახალი ლაქა დაუნახა ჟილეტზე.

- დიახ, მოვისვარე... მთლად სისხლში ვარ! - უპასუხა რაღაც განსაკუთრებული კილოთი რასკოლნიკოვმა, გაიღიმა, დაუქნია თავი და კიბეზე დაეშვა.

კიბე მძიმედ და აუჩქარებლად ჩაიარა, მთლად აღზნებულმა. თითქმის აღარა ესმოდა რა, გრძნობდა მხოლოდ, რომ უცებ ტალღასავით მოაწვა რაღაც ახალი ძალა, - ძალა უძლეველი სიცოცხლისა, სწორედ ისეთი, როგორსაც სასიკვდილოდ დასჯილი იგრძნობს ხოლმე მოულოდნელი პატიების დროს. შუა კიბეზე მღვდელი წამოეწია; რასკოლნიკოვმა ჩუმად დაუკრა თავი და მღვდელი გაატარა, კიბის ბოლოში იყო უკვე ჩასული რასკოლნიკოვი, რომ უცბად ზემოდან აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა. ვიღაც მოსდევდა უკან. ეს იყო პოლენკა.

- არ გესმით? გამიგონეთ! - ეძახდა ზემოდან.

რასკოლნიკოვი მიბრუნდა, პოლენკამ ჩამოირბინა. ეზოდან სუსტი სინათლე შემოდიოდა. რასკოლნიკოვმა შენიშნა, რომ მის წინ, ერთი საფეხურით მაღლა, იდგა გამხდარი, მაგრამ სანდომიანი სახის გოგონა, რომელიც ბავშვური სიხარულით პირდაპირ შეჰყურებდა და შესცინოდა. რაღაც დაევალებინათ მისთვის და, ეტყობა, თვითონაც აღტაცებული იყო ამ დავალებით.

- მითხარით, რა გქვიათ? ან სადა ცხოვრობთ? - დაეკითხა აჩქარებული ხმით პოლენკა.

რასკოლნიკოვმა ორივე ხელი დაადო მხარზე, დაუწყო ცქერა და რაღაც ბედნიერება განიცდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ საშინლად ეამებოდა მისი ყურება.

- მაინც ვინ გამოგზავნათ?

- ვინა და ჩემმა დამ, სონიამ, - უპასუხა უფრო მხიარულად გოგონამ.

- მეც აგრე ვფიქრობდი, რომ უთუოდ სონია გამოგზავნიდათ.

- დედამაც მთხოვა, დედამაც, რომ მგზავნიდა, დედაც მოვიდა და მითხრა: „ჩქარა გაიქე, პოლენკაო!“

- მერე, გიყვართ თქვენი და სონია?

- ყველაზე ძალიან! - უპასუხა რაღაც განსაკუთრებული სიმტკიცით და ღიმილი უცბად დაუდინჯდა.

- მე, მეც გეყვარებით?

პასუხის მაგივრად ბავშვი რასკოლნიკოვისაკენ დაიხარა და ფუნჩულა ტუჩები საკოცნელად გაუწია. ჩხირივით გამხმარი მკლავები უცბად მაგრად შემოჰხვია პატარამ, თავი მხარზე დაადო და ნელა ატირდა; თან უფრო და უფრო მაგრად ეკვროდა რასკოლნიკოვს.

- მამა მებრალებს! - წამოიძახა პატარა ხანს უკან პოლენკამ და ნამტირალევი თვალები ჩამოიწმინდა. - ასე შემოგვეჩვია უბედურება, - დასძინა მოულოდნელად და ისე დინჯად, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე, „დიდებივით“ რომ მოინდომებენ ლაპარაკს.

- მამასაც უყვარდით?

- ყველაზე მეტად ლიდოჩკა უყვარდა, - განაგრძობდა პოლენკა ასევე დარბაისლურად, გაუღიმებლად, სწორედ ისე, როგორც დიდებს სვევიათ. - იმიტომ, რომ ყველაზე პატარაა და კიდევ იმიტომ, რომ ავადმყოფია; იმას ყოველთვის ტკბილედ მოუტანდა ხოლმე, ჩვენ კი წერა-კითხვას და საღმრთო სჯულს გვასწავლიდა, - დაამატა ისევ დინჯად პატარამ. - დედა კი არას გვეუბნებოდა, ვიცოდით მხოლოდ, რომ დედას მოსწონდა ეს, მამამაც იცოდა. დედას უნდა ფრანგული მასწავლოს. ჩემი წასვლის დრო არის უკვე.

- ლოცვაც ხომ იცით?

- როგორ არა, ყველამ ვიცით! დიდი ხანია; მე, როგორც დიდი, ცალკე ვლოცულობ ხოლმე, კოლია და ლიდოჩკა კი დედასთან ერთად ლოცულობენ ხმამაღლა; ჯერ „ღვთისმშობელო“ -ს წაიკითხავენ, მერე კიდევ ერთ ლოცვას „ღმერთო, შეუხდე სონიას“, მერე კიდევ სხვას: „ღმერთო, შეუხდე ჩვენს მეორე მამასაც“, იმიტომ რომ მეორე, უფროსი მამა, მკვდარი გვყავს, ეს კი სხვა არის; იმისათვისაც ვლოცულობთ.

- პოლენკა, მე როდიონს მეძახიან. ოდესმე ჩემთვისაც, „მონა როდიონისთვისაც“ ილოცეთ, - მეტი არა მინდა რა.

- მთელი ჩემი სიცოცხლე სულ თქვენთვის ვილოცავ, - წარმოთქვა მხურვალედ პოლენკამ და კვლავ გაიცინა, მოჰხვია ხელები და მაგრად აკოცა.

რასკოლნიკოვმა უთხრა თავისი სახელი და გვარი, მისცა მისამართი და დაჰპირდა, ხვალ უთუოდ შემოვივლიო. პატარა გოგონა მთლად აღტაცებული გაშორდა. მეთერთმეტე საათი იყო უკვე, ქუჩაში რომ გამოვიდა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ ხიდზე იდგა, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც წელან დედაკაცი გადავარდა წყალში.

„კმარა! - წარმოთქვა გადაწყვეტით, - შორს ჩემგან მოჩვენებავ, შიშო!.. სიცოცხლე არ გათავებულა! განა, აი, ახლა კი არ ვცოცხლობდი? ბებრუხანასთან ერთად ხომ არ მორჩა ჩემი სიცოცხლე! ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, - დროც იყო, მოესვენა! ახლა ჟამი დამიდგა გონიერებისა და სინათლისა... ძალისა და ნებისა... ვნახოთ, რა იქნება! ვინ ვის აჯობებს! - დასძინა დიდგულად, თითქოს რომელიმე ბნელეთის ძალას მიმართავს და საბრძოლველად იწვევსო. - მე არ ვიყავი, ერთი ფეხისდადგმა მიწაზე რომ ვთანხმდებოდი სიცოცხლეს!

„ვგრძნობ, ამჟამად სუსტად ვარ, მაგრამ... ავადმყოფობამ, ვგონებ, გამიარა. წელანვე ვიცოდი, რომ გამივლიდა, შინიდან რომ გამოვედი. მართლა: პოჩინკოვის სახლი აქედან სულ ორ ნაბიჯზეა. უთუოდ წავალ რაზუმიხინთან, რაც არის, არის. მერე, თუნდ სანაძლეოც მომიგოს!.. იმანაც გაიცინოს, არა უშავს რა!.. საქმე ძალაა, ძალა: უიმისოდ ვერას გახდები. ძალა კი ძალითვე შეიძინება; აი, ეს არის სწორედ, იმათ რომ არ იციან“, - დასძინა ამაყად და გასწია. ფეხებს ძლივს მიათრევდა. სიამაყე და თავის რწმენა თანდათან ემატებოდა; თითოეული შემდეგი წამი ახალსა და ახალ ცვლილებას ახდენდა მის არსებაში. რა მოხდა მაინც ასეთი, ასე რომ შესცვალა იგი? თვითონაც არ იცოდა. უცბად წყალწაღებულივით წარმოიდგინა, რომ „მასაც შეეძლო კვლავ ეცოცხლა და ბებრუხანასთან ერთად არ დაემარხა თავისი სიცოცხლე“. იქნებ ეს მისი დასკვნა ნაჩქარევად იყო, მაგრამ ამაზე ჯერ არ უფიქრია.

„არა, რომ ვთხოვე, ლოცვის დროს მომიგონე-მეთქი; - გაიფიქრა უცბად. - ჰო, მაგრამ... ისე... ყოველი შემთხვევისათვის“, - დასძინა და თავის ბავშვურ საქციელზე თვითონვე გაეცინა. თავს მშვენივრად გრძნობდა.

რაზუმიხინის ბინას ადვილად მიაგნო; პოჩინკოვის სახლში უკვე იცნობდნენ ახალ მდგმურს და მეეზოვემ მაშინვე უჩვენა გზა. შუა კიბეზევე სტუმრების ხმაური და ლაპარაკი მოესმა. კიბეზე გამომავალი კარი ყურთამდე იყო ღია; ყვირილი და კამათი ისმოდა. რაზუმიხინს საკმად დიდი ოთახი ჰქონდა, თხუთმეტიოდე სული სტუმარი ჰყავდა. რასკოლნიკოვი შესავალში შედგა. იქვე, ტიხარს იქით, დიასახლისის ორი მოსამსახურე გოგო ფუსფუსებდა: სამოვრებს დგამდნენ, სუფრაზე ბოთლებს აწყობდნენ, დიასახლისის სამზარეულოდან გამოტანილი ნამცხვრისა და საუზმეულობის თეფშებს ალაგებდნენ, რასკოლნიკოვმა შეგზავნა რაზუმიხინის დასაძახებლად. ისიც იმავე წამს აღტაცებით გამოეგება. პირველ შეხედვაზევე შეატყობდა ადამიანი, რომ უზომოდ ბევრი დაელია და ცოტა დამალულიყო კიდეც, თუმცა მას ვერასოდეს დათრობას ვერ შეამჩნევდა ადამიანი.

- გამიგონე, - დაიწყო საჩქაროდ რასკოლნიკოვმა, - მოვედი მხოლოდ გითხრა, რომ სანაძლეო მოვიგე. არავინ იცის, მართლაც, ვის რა შეემთხვევა. მაგრამ შემოსვლა არ შემიძლია: სუსტად ვარ, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ამიტომ გამარჯობა და მშვიდობით! ხვალ კი შემომიარე...

- იცი, რას გეტყვი, შინ მიგაცილებ! რაკი თვითონვე ამბობ, სუსტად ვარო, მაშ ცუდად ყოფილა საქმე...

- მერე სტუმრები? აი, ის ხუჭუჭთმიანი ვინ არის, აქეთ რომ გამოიხედა?

- ისა? ეშმაკმა იცის! ბიძაჩემის ნაცნობია უთუოდ, ან იქნებ თავისით მოვიდა, რა ვიცი... სტუმრებთან ბიძას დავტოვებ. ოჰ, რომ იცოდე, რა ძვირფასი კაცია. ვნანობ,

რომ ვერ გაიცნობ ახლა და მეც მინდა გავიარო, ცოტა გავგრილდე. კაი დროს მოხვედი სწორედ: ერთი-ორი წამი რომ კიდევ დავრჩენილიყავი, უთუოდ ჩხუბს ავუტეხდი ვისმე, ღმერთმანი! უცბად... ისეთ სისულელეს... გესმის? ვერ წარმოიდგენ, რარიგ შეუძლია ადამიანს ტყუილებში შესტოპოს. თუმცა, როგორ ვერ წარმოიდგენ? ჩვენ კი არ ვცრუობთ განა? დაე, იცრუონ; მერე მაინც აღარ იცრუებენ... პატარახანს დაჯექ, ზოსიმოვს დავუმახებ.

ზოსიმოვი მაშინვე რაღაც სხარბად ეცა რასკოლნიკოვს; ეტყობა, საგანგებო ცნობისმოყვარეობით ეპყრობოდა; მალე სახეც გაუნათდა.

- ახლავე დაიძინეთ, - გადაწყვიტა სახელდახელო გასინჯვის უმალ, - მაგრამ დაძინებამდე ერთი რამ უნდა დალიოთ. ხომ დალევთ? წელანვე მოგიმზადეთ... უბრალო ფხვნილია.

- ერთს კი არა, თუნდა ორს დავლევ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა.

ფხვნილი იქვე დაალევინეს.

- ეგ კარგია, რომ შენ გააცილებ, - შენიშნა ზოსიმოვმა რაზუმიხინს, - ხვალ რა იქნება, ვნახოთ, მაგრამ დღეს კი კარგად არის საქმე; წელანდელს აქეთ დიდი ცვლილება ეტყობა. კაცს სიბერემდე სწავლა არ მოსჭარბდებაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი...

- იცი, რა მიჩურჩულა ზოსიმოვმა, სახლიდან რომ გამოვდიოდით, - წამოროშა რაზუმიხინმა, როგორც კი ქუჩაში გავიდნენ. - მე შენ, ძმაო, ყველაფერს პირდაპირ არ გეტყვი, იმიტომ რომ ტუტუცები არიან. ზოსიმოვმა მიბრძანა, რომ გზადაგზა გეყბედო და შენც გაყბედო, მერე ყველაფერი ვუამბო, იმიტომ, რომ რაღაც აზრი აქვს... ვითომ... შეშლილი იყო, ან არადა მალე შეიშლები ჭკუიდან. აბა, წარმოიდგინე! ჯერ ერთი, შენ იმაზე ბევრად ჭკვიანი ხარ და, მეორე, თუ მართლა შეშლილი არა ხარ, შენთვის ორივე ერთია, რა აზრიც უნდა ჰქონდეთ შენზე, და მესამეც, ეს რაღაც ერთი მუჭა ხორცის გროვა - ხელობითაც დასტაქარი, ახლა სულით ავადმყოფობაზე გადარეულა; შენზე კი ეს აზრი შეადგენინა დღევანდელმა შენმა ლაპარაკმა ზამეტოვთან.

- ზამეტოვმა ყველაფერი გაიმბო?

- ყველაფერი, და მშვენივრადაც ქნა. ახლა ყველაფერი გავიგე და ზამეტოვმაც გაიგო... ჰოდა, ერთი სიტყვით, როდია... საქმე ის არის, რომ... მე ცოტა გადაკრულში ვარ... მაგრამ ეს... არაფერია... საქმე ის არის, რომ ეს აზრი... გესმის? მართლაც, დაეზადათ... გესმის? ესე იგი, აზრის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავდა, იმიტომ, რომ მტკნარი სისულელეა, განსაკუთრებით, რაც ის მღებავი დაიჭირეს, მას შემდეგ გამოეცალათ ფეხქვეშ ნიადაგი. მაგრამ რად არიან სულელები? ერთი-ორი კიდევ მივადე ზამეტოვს, - ჩვენ შორის კი დარჩეს, ძმაო; არც აგრძნობინო, რომ იცი რამე; როგორც შევატყვი, ძალიან იცის წყენა; ლავიზასთან იყო, მაგრამ დღეს, დღეს ყველაფერი გამოირკვა, უმთავრესად კი ეს ილია პეტროვიჩია! მაშინ თურმე ისარგებლა შენი გულშეღონებით კანტორაში, მერე კი თვითონაც შერცხვა; ვიცი...

რასკოლნიკოვი ხარბად უგდებდა ყურს. ნასვამი რაზუმიხინი სიმართლეს ფქვავდა.

- გული იმიტომ შემოდინდა, რომ ჰაერი იყო შეხუთული, ზეთის საღებავის სუნი იდგა საშინელი, - შენიშნა რასკოლნიკოვმა.

- რომ მიხსნის კიდევ! მარტო საღებავის სუნი როდი იყო მიზეზი: მთელი თვე ნიადაგი უმზადდებოდა ანთებას; თორემ ზოსიმოვი აქ არ არის! მაგრამ უნდა იცოდე, როგორ არის ის ბიჭი შეწუხებული, ვერ წარმოიდგენ! ამბობს, „მაგ კაცის ნეკად არა ვღირვარო“! ესე იგი, შენი ვითომ. ხანდახან მართლაც კეთილი გრძნობები აქვს, ძმაო, მაგრამ დღევანდელი „ბროლის სასახლის“ ამბავი არასოდეს დაავიწყდება. პირველად თურმე საშინლად შეაშინე, ცახცახი დააწყებინა! შენ ხომ თითქმის ისევ დაარწმუნე, რომ საზიზღარი სისულელე, თავში რომ ედო, მართალი იყო. მერე კი უცბად ენა გამოუყავი თურმე: „აჰა, რა მიირთვი! როგორიაო!“ მშვენიერი რამაა! ახლა ის მიწასთან არის გასწორებული! მართლაც რომ დიდი ოსტატი ხარ, ო, ღმერთმანი! აგრე უნდა! ეჰ, იქ არ ვიყავ, თორემ! ახლაც საშინლად მოგელოდი. პორფირსაც უნდა შენი გაცნობა.

- ოჰო... იმასაც?... მერე, შეშლილად რაღად მიცნეს?

- ესე იგი, შეშლილად კი არ გიცნეს. მე, ძმაო, ვგონებ, გადავაჭარბე... გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ ერთადერთი რამ იზიდავს შენს ყურადღებას, თუ ყველა გარემოებას გავითვალისწინებთ... აგრეთვე იმას, რომ ავადმყოფი ისე საშინლად აგაღელვებს მაშინ... ეჭვი არ არის... მაგრამ, ძმაო, მე ცოტა მთვრალი ვარ; იცი რა: იმას, ეშმაკმა იცის მისი თავი, რაღაც აზრი აქვს აკვიატებული... სულით ავადმყოფებზეა გადარეული. მაგრამ ღირს, განა, ყურადღებად...

ნახევარ წუთს ორივე გაჩუმებული იყო.

- ყური დამიგდე რაზუმბინ, - დაიწყო რასკოლნიკოვმა, - მიინდა პირდაპირ გამოგიტყდე: ეს არის, ძმაო, მკვდრიდან მოვდივარ, ერთი მოხელე გარდაიცვალა... მთელი ჩემი ფული იქ მივეცი... და გარდა ამისა, ისეთმა არსებამ მაკოცა სულ ამ რამდენიმე წუთის წინათ, რომ თუნდაც მართლა მომეკლას ვინმე, მაინც. ერთი სიტყვით, აქვე ვნახე მეორე არსება... ცეცხლივით ელვარეფრთიანი... მაგრამ ნეტა რას ვბოდავ: სუსტადა ვარ მეტად, მომეხმარე... აქვე კიბეა, ვგონებ...

- რა დაგემართა? რა იყო? - ეკითხებოდა შემფოთებული რაზუმბინი.

- თავი მიბრუნე ცოტათი, მაგრამ საქმე ეს როდია, სევდა მიპყრობს, როგორღაც გული მიკვნესის! თითქოს დედაკაცი ვიყო... მართლა! მაგრამ უყურე აბა, რა არის ეგ? უყურე! უყურე!

- რა არის?

- ვერ ხედავ განა? ჩემს ოთახში სანთელი მოჩანს, ხედავ? ჭუჭრუტანაში...

კიბის უკანასკნელ საფეხურთან იდგნენ უკვე, დიასახლისის კართან. ჩანდა მართლაც ქვევიდან, რომ რასკოლნიკოვის პატარა ოთახში სინათლე იყო.

- უცნაურია! იქნებ ნასტასიაა, - შენიშნა რაზუმბინმა.

- არასოდეს ამ დროს არ ყოფილა ჩემთან, რა უნდა, და მეორეც, უთუოდ დიდი ხანია სძინავს, მაგრამ... ჩემთვის სულ ერთია! მშვიდობით!

- რას ამბობ, რაო? შეგაცილებ, ერთად შევიდეთ!

- ვიცი, რომ ერთად შევალთ, მაგრამ მიხდა ხელი აქვე ჩამოგართვა, აქვე გამოგეთხოვო. მოიტა ხელი, ჰა, მშვიდობით!

- რა დაგემართა, როდია, რა იყო?

- არაფერი, წავიდეთ; მოწმე იყავი.

კიბეს შეუდგნენ და რაზუმბინმა გაიფიქრა, იქნებ ზოსიმოვი მართლაც არა ტყუისო. „ეჰ, გადავრიე მთლად ჩემი ყბედობით!“ - წაიდუღუნა თავისთვის. კართან ახლოს რომ მივიდნენ. ოთახიდან უცნობი ხმა შემოესმათ.

- რას ნიშნავს ეს? - წამოიძახა რაზუმბინმა.

რასკოლნიკოვმა პირველმა წაავლო ხელი კარის სახელურს, ყურთამდე გამოალო და ელდანაკრავივით შედგა.

დედა და და ჩამოსვლოდნენ, დივანზე ისხდნენ და საათ-ნახევარია უცდიდნენ. რად მოხდა ასე, რომ სულ არ მოელოდა მათ ჩამოსვლას, თუმცა დღესაც გაუმეორეს, რომ მოდიან და დღეს, არა ხვალ ჩამოვლენო? აგერ მთელი საათ-ნახევარია ერთმანეთს არ აცდიდნენ და ეკითხებოდნენ ნასტასიას ყველაფერს. ესეც დაწვრილებით უამბობდა. ასე რომ, უთქმელი თითქმის აღარც კი დარჩა რამე. შიშისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რომ გაიგეს, „დღეს გაგვექცაო“ და ისიც ავადმყოფი, სიცხიანიო! „ღმერთო, რა მოსვლია!“ გაიძახოდნენ ორივენი შეშინებულნი და, სანამ დაბრუნდებოდა, საშინლად იტანჯებოდნენ და ტიროდნენ.

დედა და და მაშინვე გახარებულები ეცნენ რასკოლნიკოვს, მაგრამ თვითონ მკვდარივით უძრავად იდგა; რაღაც უეცარმა აზრმა მეხივით დაჰკრა. ხელებიც კი ველარ აეწია, ვერ მოჰხვეოდა დედას. დედა და და ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, იცინოდნენ, სიხარულისაგან ტიროდნენ... მან გადადგა ნაბიჯი, მაგრამ წაბარბაცდა და გულწასულმა აიტაკზე მოადინა ბრაზხანი.

მაშინვე ერთი წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი შეიქნა... კარში მდგომი რაზუმბინი ოთახში შემოვარდა, დაავლო ავადმყოფს თავისი ღონიერი მკლავები და თვალის დახამხამებაზე დივანზე დააწვინა.

- არა უშავს რა, არა უშავს რა! - უყვიროდა დედას და დას, - გული შეუღონდა, სხვა არაფერი! ეს-ეს არის ექიმმა უთხრა, კარგად ხარ, არა გიჭირს რაო! წყალი მომაწოდეთ!.. აგერ, საცაა გონს მოვა, აი, მობრუნდა კიდეც!

და მაგრად მოუჭირა მკლავში ხელი დუნეჩკას, რომ დაენახებინა, „მართლა მობრუნდაო“. დედაც და დაც, ორივენი მოწიწებით და მადლობის გრძნობით შეჰყურებდნენ რაზუმბინს, როგორც განგებისგან მოვლენილს. გაგებული ჰქონდათ უკვე ნასტასიასაგან, თუ რა დიდი სიკეთე მიუძღოდა ავადმყოფ როდიას წინაშე ამ „მარჯვე ახალგაზრდა კაცს“, როგორც უწოდა მას იმავ საღამოს თვითონ პულხერია ალექსანდროვნა რასკოლნიკოვისამ დუნეჩკასთან გულითად საუბარში.

I

რასკოლნიკოვი წამოიწია, დივანზე დაჯდა. ხელით ანიშნა რაზუმინს, რომ უთავბოლო და მხურვალე ნუგეშის სიტყვები, რომელთაც რასკოლნიკოვის დედასა და დას ეუბნებოდა, შეეწყვიტა. ორივეს ხელი დაუჭირა და მთელი ორი წუთი ხან ერთს უყურებდა მდუმარედ და ხან მეორეს. დედას კიდევაც შეეშინდა. ეტყობოდა სახეზე რასკოლნიკოვს, რომ რაღაც გრძნობას მთლად გაეტანჯა, მაგრამ, ამავე დროს, უძრავი და თითქოს შეშლილის გამომეტყველება ჰქონდა. პულხერია ალექსანდროვნას ტირილი აუვარდა. ავდოტია რომანოვნა გაფითრებული იდგა; ხელი უკანკალებდა.

- შინ წადით... აი, ეს გამოგყვებათ, - ჩაილაპარაკა აჩქარებით რასკოლნიკოვმა და რაზუმინსზე მიუთითა. - ხვალამდის; ხვალ კი ყველაფერი გადაწყდება... დიდი ხანია, რაც ჩამოხვედით?

- დღეს სადამოთი, როდია, - უპასუხა პულხერია ალექსანდროვნამ, - მატარებელმა დაიგვიანა საშინლად. მაგრამ არა, როდია, ვერსად წავალ, თავს ვერ დაგანებებ! შენთან გავათევ ღამეს...

- ნუ მტანჯავთ, გეთაყვა! - შეემუდარა ალელვებული და ხელი გააქნია.

- მე ვიქნები როდიასთან, - წამოიძახა რაზუმინსმა, - არც ერთ წამს თავს არ დავანებებ; სტუმრების დარდი არა მაქვს, კისერიც უტეხიათ! ბიძაჩემი ჰყავთ პრეზიდენტად.

- ნეტა რითი შევიძლებ მადლობა გადაგიხადოთ, - დაიწყო ისევ პულხერია ალექსანდროვნამ და რაზუმინსს ხელი ხელზე მოუჭირა, მაგრამ რასკოლნიკოვმა ისევ გააწყვეტინა: - არ შემიძლია, არა, - გაიმეორა შემფოთებულმა, - ნუ მტანჯავთ! კმარა, წადით... არ შემიძლია!..

- წავიდეთ, დედა, ერთ წუთს მაინც გავიდეთ გარეთ, - წასჩურჩულა შეშინებულმა დუნია დედას, - ხედავთ, უარესად ვკლავთ.

- როგორ, ნუთუ სამი წლის უნახავ შვილს არ შემიძლია ვუცქირო მაინც! - მოჰყვა ტირილს პულხერია ალექსანდროვნა.

- მოიცათ, - გააჩუმა კვლავ რასკოლნიკოვმა, - აღარ მაცდით, აზრები მერევა... ლუჟინი ნახეთ?

- არა, როდია, მაგრამ იცის, რომ ჩამოვედით. გავიგეთ, მართლა, როდია, რომ ყოფილა კიდევ დღეს შენთან, - დასძინა პულხერია ალექსანდროვნამ მოკრძალებით.

- დიახ... მიყო წყალობა... მაგრამ დავემუქრე, დუნია, კიბიდან ჩაგიძახებ-მეთქი და გავაგდე...

- როდია, რას ამბობ! ნუთუ მართლა?.. ხუმრობ უთუოდ, - დაიწყო შეშინებულმა პულხერია ალექსანდროვნამ, მაგრამ უცებ შეწყვიტა, როცა დუნიას გადახედა.

ავდოტია რომანოვნაც მისჩერებოდა ძმას და უცდიდა, რას იტყოდა შემდეგ. ნასტასიას ადრევე ნათქვამი ჰქონდა, როდიასა და ლუჟინს ლაპარაკი მოუვიდათო,

მაგრამ რაზე, ეს ვერ გადასცა, რადგანაც თვითონაც ვერა გაეგო რა გარკვევით. ამიტომაც მოუთმენლად იცდიდნენ ორივენი, როდის გაიგებდნენ ნამდვილს.

- დუნია, - დაიწყო წვალეებით რასკოლნიკოვმა, - არ მინდა, ეს ქორწინება მოხდეს. გთხოვ, ამიტომ უარი უთხრა, როგორც კი ნახავ, აი, თუნდ ხვალვე, რომ მოგვწყდეს თავიდან!

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ძმაო, იფიქრე, აბა, რას ამბობ? - დაიწყო ფიცხად ავდოტია რომანოვნამ, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, - იქნებ, ახლა არ შეგიძლია, იქნება დაილაღე, - შენიშნა წყნარად დამ.

- იქნებ ვბოდავ? არა... ვიცი, ჩემი გულისთვის მისდევ ლუჟინს. მაგრამ არავისი მსხვერპლი არა მსურს. ამიტომ ხვალვე მისწერე, რომ ... უარს უცხადებ... მეც წამიკითხე დილით და მორჩა, გათავდა!

- არა, მე ეგ არ შემიძლია! - შეჰყვირა შეურაცხყოფილმა დამ, - რა უფლებით...

- დუნეჩკა, შენც ნუ ფიცხობ, კმარა, ხვალ ვილაპარაკოთ... ვერ ხედავ განა, რომ... - ეცა შეშინებული დედა ქალს. - სჯობს, ისევ წავიდეთ!

- ბოდავს! - შეჰყვირა გადაკრულმა რაზუმინმა, - თორემ როგორ გაბედავდა! ხვალ მთლად დაავიწყდება ეს სისულელე... დღეს კი მართლა პანლურით გაისტუმრა, აგრე იყო, მართალია. ისიც, რასაკვირველია, გაწყრა... მჭევრმეტყველებდა, თავს გვაცნობდა, რომ მცოდნე კაცია, მერე კი კუდი ამოიძუა და მიბრძანდა...

- მაშ ეს მართალია? - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ხვალამდის, ძმაო, - გამოეთხოვა თანაგრძნობით და, - წავიდეთ, დედა... მშვიდობით, როდია.

- გესმის, დაო, - მიაყვირა მიმავალს და უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, - იცოდე, არ ვბოდავ; სამაგლობა და საზიზღრობაა ეს ქორწინება. დეე, მე უკანასკნელი კაცი ვიყო, მაგრამ შენ კი ნუ იქნები. ორში ერთი უნდა იყოს... მართალია, გათახსირებული ვარ, მაგრამ ამისთანა დას მაინც დად აღარ ჩავთვლი, იცოდე. ან მე უნდა ვიყო, ან ლუჟინი! წადით...

- რაო, რა იყო, გადაირიე, თუ რა არის, მტარვალო! - შეუყვირა რაზუმინმა. მაგრამ რასკოლნიკოვს პასუხი აღარ მიუცია; იქნებ იმიტომაც, რომ აღარც შეეძლო. მიწვა დივანზე და დაუძლურებულმა პირი კედლისკენ იბრუნა. ავდოტია რომანოვნამ ყურადღებით გადახედა რაზუმინს; შავი თვალები ელვასავით გააკვესა. რაზუმინი შეკრთა ამ შეხედვაზე. პულხერია ალექსანდროვნაც ელდანაკრავით იდგა.

- არ შემიძლია და ვერც წავალ! - ეჩურჩულებოდა რაზუმინს მთლად სასოდაკარგული, - აქ სადმე დავრჩები... დუნია თქვენ გააცილეთ.

- არ შეიძლება, უარესს იზამს! - უპასუხა ჩურჩულითვე მოთმინებიდან გამოსულმა რაზუმინმა, - გარეთ მაინც გავიდეთ. ანასტასია, მოგვინათე! გეფიცებით, -

ეუბნებოდა ჩურჩულით კიბეზე, - წელან მე და ექიმიც კინალამ გაგვლახა! გესმით? თვითონ ექიმი! იმანაც ვედარა გააწყო რა, გაუგონა და წავიდა; მე კი ძირს დავრჩი, დიასახლისთან, რომ ყური მეგდო, მაგრამ რა? წამომდგარა, ჩაუცვამს ტანთ და გაპარულა. ახლაც უთუოდ ისევე იზამს, თუ გააბრაზებთ, ღამით კი ეს საშიშია, აიტებს რასმე... ვინ იცის...

- თანაც არც ავდოტია რომანოვნას შეუძლია, მარტოდ დარჩენა ნომრებში! იფიქრეთ! აბა, სადა ხართ ჩამომხტარი! ნუთუ იმ გაიძვერა პეტრ პეტროვიჩს უკეთესი ბინის დაქირავება არ შეეძლო? მაგრამ იცით რა, ცოტა გადაკრულში ვარ და იმიტომ... გავლანძღე; ყურადღებას ნუ მიაქცევთ...

- მაშ, აქაურ დიასახლისთან ჩავალ, - იმეორებდა თავისთვის პულხერია ალექსანდროვნა, - შევხვეწები, რომ მე და დუნიას ამაღამ სადმე კუთხეში გაგვათევინოს ღამე. არ შემიძლია, ასე მარტო დავტოვო, არ შემიძლია!

ლაპარაკობდნენ კიბეზე, სწორედ დიასახლისის კარის წინ და ნასტასიაც ქვევიდან უნათებდა გზას. რაზუმიხინი როგორღაც არაჩვეულებრივად იყო აღელვებული. ნახევარი საათის წინ რომ რასკოლნიკოვს მოაცილებდა სახლში, მართალია, ბევრსა ყბედობდა, მაგრამ ყოჩაღად იყო და თითქმის ფხიზლადაც, თუმცა საშინლად ბევრი ჰქონდა ამ საღამოს დალეული, ახლა კი როგორღაც აღტაცებული იყო და თითქოს ღვინოც უცბად გაორკეცებული ძალით მოეკიდა. იდგა ქალებს შუა, ეჭირა ორთავეს ხელი და საკვირველი გულახდილობით უმტკიცებდა და ურჩევდა, არ დარჩენილიყვნენ; თან ყველა თავისი საბუთისა და სიტყვის დასამტკიცებლად ორივეს ისე მაგრად უჭერდა ხელს, რომ თითქმის სტკენდა. ავდოტია რომანოვნას კი მოურიდებლად პირდაპირ თვალებით სჭამდა. მაგრამ რაზუმიხინი ამას ვერა გრძნობდა და თანდათან უფრო მაგრად იზიდავდა ახლოს. საკმარისი იყო ებრძანებინათ, პირდაპირ კიბიდან თავდაყირა დაეშვი ჩვენი გულისათვისო, და იმავე წამს აუსრულებდა თხოვნას, ერთ წამსაც არ შეეყოყმანებოდა, არ დაფიქრებოდა. მართალია, გრძნობდა პულხერია ალექსანდროვნა, რომ მეტისმეტად თავისებური და მოურიდებელი იყო რაზუმიხინი, მაგრამ როდიაზე ფიქრით შეშფოთებული არად აგდებდა ამას; თანაც ხედავდა, რომ ეს ახალგაზრდა განგებასავით იყო მათდა საშველად მოვლენილი. ამიტომ რაზუმიხინის უცნაურობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ავდოტია რომანოვნა, რომელიც დედისავე ფიქრს შეეწუხებინა, მართალია, მშიშარა ხასიათისა არ იყო, მაგრამ ახლა შეშინებული და გაკვირვებული შეჰყურებდა თავის ძმის მეგობარს და მის ცეცხლივით ელვარე თვალებს, მაგრამ ნასტასიას ნაამბობი იმდენ ნდობას უნერგავდა ამ უცნაური კაცისადმი, რომ არ შეშინებია და არ გაქცეულა, თუმცა გული ეუბნებოდა ასე მოქცეულიყო. ესმოდა თითქოს, რომ ახლა მისგან გაქცევაც აღარ შეეძლო. ათიოდე წუთის შემდეგ სრულიად დამშვიდდა, რადგან რაზუმიხინს ჩვეულებად ჰქონდა უცბად გამოეთქვა ყველაფერი და ამრიგად, მაშინვე აცნობდა ხოლმე თავს ყველას, რა კაციც იყო.

- დიასახლისთან? არ შეიძლება, სისულულეა! - შეჰყვირა რაზუმიხინმა, - მართალია, დედა ხართ, მაგრამ, თუ დარჩებით, მთლად გადაირევა, ვინ იცის, მერე საქმე რითი გათავდება! ყური დამიგდეთ, რას გეტყვით: როდისთან ახლა ნასტასია დარჩება, მე კი თქვენ მიგაცილებთ, იმიტომ რომ მარტო ქუჩაში თქვენი სიარული, ისიც ღამით, არ შეიძლება: ამაზე პეტერბურგში ცოტა არ იყოს... თუმცა ჯანდაბას... მერე აქ მოვირბენ და თხუთმეტი წუთის შემდეგ, გაძღვეთ პატიოსან სიტყვას, მოხსენებას

წარმოგიდგენთ, - როგორ იქნება, ან ეძინება თუ არა და სხვა. ყური დამიგდეთ! წავალ მერე შინ, - იქ სტუმრები მყვანან, ყველანი მთვრალეები, - და ზოსიმოვს წამოვიყვან - ექიმია; არასოდეს მთვრალი არ არის ხოლმე! მოვიყვან როდიასთან და ისევ თქვენსა მოვირბენ. მაშასადამე, საათის განმავლობაში ორჯერ მიიღებთ ცნობას, - ექიმისგანაც, გესმით? ის კი არა, რომ ჩემით გაცნობოთ რამე, არა, ექიმის ნათქვამს გაცნობებთ! თუ ცუდად იქნა, გეფიცებით, თვითონვე მოგიყვანთ; არადა, დაწეხით და დაიძინეთ. მე კი აქვე, დერეფანში, დავიძინებ, მთელი ღამე აქ ვიქნები, ვერას გაიგებს, ზოსიმოვსაც დიასახლისთან დავაძინებ, რომ თუ საჭირო იქნა, მალე მივაშველო. მითხარით, რა უფრო სჯობს ახლა როდიასთვის - თქვენ თუ ექიმი? ეჭვი არ არის, ექიმი მეტს დაეხმარება, ვიდრე თქვენ. მაშ, წადით შინ! დიასახლისთან კი არ შეიძლება; მე შემიძლია, მაგრამ თქვენ არა: შინ არ შეგიშვებთ... იმიტომ, რომ ტუტუცია... ავდოტია რომანოვნასა და ჩემზე იეჭვიანებს; ვინ იცის, იქნებ თქვენზედაც კი იფიქროს რამე... მაგრამ ავდოტია რომანოვნაზე უთუოდ იფიქრებს. დიდი უცნაური ხასიათისაა, მაგრამ მეც კაი ტუტუცი ვარ... რას დავეძებ! წავიდეთ! ხომ მენდობით? მენდობით თუ არა?

- წავიდეთ, დედა, - უთხრა ავდოტია რომანოვნამ, - აასრულებს უთუოდ, რასაც გვპირდება. ეს არ იყო ძმა რომ გამიცოცხლა, თუ მართლა ექიმსაც იქვე გაათევიანებს ღამეს, ამას ხომ სულ არა ემჯობინება, რა!

- აი, თქვენ... თქვენ... გაიგეთ ჩემი ნათქვამი, იმიტომ, რომ ანგელოზი ხართ! - შეჰყვირა ალტაცებულმა რაზუმინინმა. - წავიდეთ! ნასტასია, შენ კიდევ ახლავე ზევით ადი და არ მოშორდე, სანთელი არ გაუქრო, თხუთმეტი წუთის შემდეგ უკანვე დავბრუნდები...

მართალია, პულხერია ალექსანდროვნა არ დარწმუნებულა საბოლოოდ, მაგრამ აღარც წინააღმდეგობა გაუწია. რაზუმინინმა ორთავეს მკლავში ჩაავლო ხელი და კიბეზე ჩამოიყვანა. დედას მაინც როგორღაც აფიქრებდა რაზუმინინი: „მართალია, მოხერხებული და გულკეთილია, მაგრამ შეძლებს ნეტა დაპირების შესრულებას? გადაკრულშია!..“

- ოჰ, მესმის, თქვენ ის გაფიქრებთ, რომ გადაკრულში ვარ! - გააწყვეტინა ფიქრი რაზუმინინმა და თან ნაბიჯს უმატა, ასე რომ ქალები ძლივსღა მისდევდნენ, თუმცა თვითონ ამას ვერ ამჩნევდა. - სისულელეა! ესე იგი... მთვრალი ვარ, აღარა გამეგება რა, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის; ღვინისგან როდი ვარ მთვრალი. ისე, უცბად მეცა თავში, რომ დაგინახეთ... მაგრამ რას დავეძებთ! ყურადღებას ნუ მიაქცევთ; ვტყუი; არა ვარ ღირსი... ღირსი სრულიად ღირსი არა ვარ თქვენი!.. აი, მიგიყვანთ თქვენსა და იქვე, არხში, მთელ კასრ წყალს დავისხამ თავზე, მორჩა, უცბად გაივლის... ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ ორივენი!.. მაგრამ ნუ იცინით და ნუ ჯავრობთ!.. შეგიძლიათ ყველას გაუჯავრდეთ, მე კი არა! იმიტომ, რომ მეგობარი ვარ როდიასი და, მაშასადამე, თქვენი მეგობარიც! იმიტომ, რომ ასე მინდა... მე ამას წინათვე ვგრძნობდი... შარშანვე იყო როგორღაც ერთი ასეთი წუთი... მაგრამ არა, საიდან... როდესაც თითქოს უცბად ჩამომივარდით ციდან. მე კი შეიძლება მთელ ღამესაც არ დავიძინო... წელან ზოსიმოვს ეშინოდა, ჭკუიდან არ შეიშალოსო. აი, რატომაც არ უნდა გავაბრაზოთ...

- მაგას რას ამბობთ! - წამოიყვირა დედამ.

- ნუთუ ასე თქვა ექიმმა? - დაეკითხა შეშინებული ავდოტია რომანოვნა.

- თქმით კი თქვა, მაგრამ საქმე ასე როდი არის. ექიმმა წამალიც ისეთი გამოუწერა, ფხვნილი, თვითონა ვნახე... და თქვენც მოხვედით... ეჰ!.. ნეტავი ხვალ მაინც ჩამოსულიყავით! კარგია, რომ წამოვედით. ერთი საათის შემდეგ ყველაფერს თვითონ ზოსიმოვი მოგახსენებთ. ის როდია მთვრალი! მანამდე მეც გამოვფხიზლდები... მერე რად გამოვთვერი ასე, ჰა? იმიტომ, რომ კამათი ამიტეხეს წყეულებმა! დაფიცებული ვიყავ, აღარ ვიკამათებ-მეთქი!.. რაღაც სისულელეს რომავენ! კინაღამ ჩხუბიც მომივიდა! მერე ბიძა დავუტოვე თავმჯდომარედ და წამოველ... არ დაიჯერებთ: თხოულობენ, რომ ადამიანის პირადობა სრულიად წაიშალოს და აღტაცებულები არიან ამ თავისი სისულელით! ერთი სიტყვით, ადამიანი თავის თავს არ უნდა ჰგავდეს, სხვად უნდა იქცეს! ეს არის, მათი აზრით, უაღრესი პროგრესი! მაგრამ ნეტავი თავისი ჭკუით მაინც ცრუობდნენ, სხვებსა ჰბამავენ ისევ...

- მოითმინეთ, - გააწყვეტინა მოკრძალებით პულხერია ალექსანდროვნამ. მაგრამ ამ შენიშვნამ უფრო გააცხარა რაზუმინინი.

- მერე როგორა გგონიათ? - ყვიროდა რაზუმინინი და ხმას უფრო უმაღლებდა, - განა ამიტომ ვკიცხავ, რომ ცრუობენ? სისულელეა! მიყვარს კიდეც, როცა ცრუობენ! სიცრუე ადამიანის ერთადერთი უპირატესობაა სხვა ცხოველებთან განსახვავებით, იცრუებ - მართალს მიაგნებ! იმიტომაც ვარ ადამიანი, რომ ვცრუობ. არც ერთი ჭეშმარიტებისათვის ისე არავის მიუგნია, ერთი თოთხმეტჯერ მაინც არ ეცრუა; თოთხმეტჯერ კი არა, იქნება ას თოთხმეტჯერაც იცრუა, ვინ იცის; ეს კი საპატიო რამ არის. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩვენდა თავად, ჩვენი ჭკუით ცრუობაც არ შეგვიძლია! სიცრუე, რამდენიც გინდა, მაგრამ იცრუე შენებურად, აი, მაშინ შემიყვარდები და გაკოცებ. თავისებურად ცრუობა სხვისი მართლის გამეორებას მაინც სჯობია. იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანი ხარ, მეორეში კი მხოლოდ თუთიყუში! სიმართლე არსად გაგვექცევა. ცხოვრება კი გაგვიძწარდება, თორემ მაგალითები ბევრი ყოფილა. აბა ახლა, რანი ვართ ჩვენ ყველანი განურჩევლად! მეცნიერების, განვითარების, აზროვნების, გამოგონება-აღმოჩენის, იდეალების, სურვილების, ლიბერალობის, გონიერების, გამოცდილებისა და მრავალ სხვა განმანათლებელ ცოდნათა მხრივ მხოლოდ მოსამზადებელი კლასის გიმნაზიელებს ვგავართ! მოგვეწონა სხვისი ჭკუით ჩანჩალი და ლამის არის მთლად ზედ შეველიოთ, - ძვალსა და რბილში გაგვიჯდა! ასეა თუ არა? - ყვიროდა რაზუმინინი და თან ქალებს ხელს უჭერდა, - ასეა თუ არა?

- ოჰ, ღმერთო ჩემო, აბა, რა ვიცი, - უპასუხა წყნარად საბრალო პულხერია ალექსანდროვნამ.

- აგრეა, აგრე... თუმცა ყველაფერში არ გეთანხმებით, - მიუგო დინჯად ავდოტია რომანოვნამ და თან შეჰყვირა, ისე მაგრად მოუჭირა ხელი რაზუმინინმა.

- აგრეა, მაშ? თქვენ მეუბნებით, აგრეაო? მაშ თუ აგრეა, ამის შემდეგ თქვენ.....თქვენ...- შეჰყვირა აღტაცებულმა, - სიკეთის, სიწმინდის, გონიერებისა და... ყოველი სხვა ღირსების წყარო ხართ! მომეცით თქვენი ხელი, მომეცით... თქვენიც მომეცით. მინდა ამავე წამს მუხლმოდრეკით დაგიკოცნოთ ორთავეს ხელები!

და ჩაიჩოქა ფილაქანზე, რომელიც, საბედნიეროდ, ცარიელი იყო.

- მოითმინეთ, რას სჩადიხართ? - შეჰყვირა შემფოთებულმა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ადექით, ადექით! - იცინოდა და წუხდა დუნიაც.

- არაფრის გულისათვის, სანამ ორივენი ხელს არ მომცემთ! ო, აგრე; კმარა, აი ავდგები და წავიდეთ კიდეც! მეც ერთი უბედური რეგვენი ვარ, თქვენი უღირსი. მთვრალი ვარ და მრცხვენია... თქვენ წინაშე ფეხთქვეშ გაგება და პატივისცემა კი მოვალეობაა ყველასი, თუ რომ მთლად არ გაპირუტყვებულა ადამიანი!.. აკი ამიტომ მეც თაყვანსა გცემთ... აგერ, თქვენი ნომრებიც! არა, არ ტყუოდა როდიონი, პეტრ პეტროვიჩი რომ გამოაპანლურა წელან! არა, როგორ გაბედა და ასეთი ნომრები გიქირავათ? ეს ხომ თავის შერცხვენაა! იცით, რა ხალხი დაიარება აქ? თქვენ კი საპატარძლო ხართ! საპატარძლო ხართ, არა? იცოდეთ, მაშ, რომ უთუოდ მდაბალი კაცი ყოფილა თქვენი საქმრო!

- მოითმინეთ, ბატონო რაზუმიხინ, ნუ დაივიწყებთ, რომ...-დაიწყო პულხერია ალექსანდროვნამ.

- ჰო, მართალსა ბრძანებთ, დამავიწყდა, მრცხვენია, სწორედ! - მოიბოდიშა რაზუმიხინმა, - მაგრამ... მაგრამ... ამისთვის როდი უნდა გამიწყრეთ! იმიტომ, რომ გულწრფელად ვამბობ და არა... იმისათვის, რომ... ჰმ! ეს ხომ საძაგლობა იქნებოდა... ერთი სიტყვით, იმიტომ კი არა, რომ მე თქვენ... ჰმ! თუმცა აგრე იყოს, არ ვიტყვი; იმიტომ, რომ არ შემძლია!.. წელან ჩვენ ყველამ მაშინვე გავიგეთ, შემოვიდა თუ არა, რომ ჩვენი საზოგადოებისა არა ეცხო რა. იმიტომ კი არა, რომ პარიკმახერთან დაეხუჭუჭებინა თმა და ცდილობდა თავის გონებრივი ავლადიდება საჩქაროდ გამოეფინა! არა! იმიტომ, რომ დამზვერავი და ჩარჩია; იმიტომ, რომ ურისავით წუწურაქი და ოინბაზია, ეტყობა. გგონიათ ჰკვიანია? სულაც არა, ტუტუცია და ჩურჩუტი! აბა, რა თქვენი შესაფერია? ღმერთო ჩემო! ხედავთ, - და უცბად ნომერში ასასვლელ კიბესთან შედგა, - მართალია, ქალბატონებო, ახლა იქ, ჩემთან, ყველა მთვრალია, მაგრამ პატიოსნები არიან, თუმცა ვცრუობთ კიდეც ყველანი, მაგრამ ერთხელაც იქნება სიმართლესაც მივაგნებთ. იმიტომ, რომ პატიოსანსა და კეთილშობილ გზაზე ვდგავართ. პეტრ პეტროვიჩი კი... არ დგას კეთილშობილ გზაზე. თუმცა ახლა ყველა ისინი გავლანძღე, მაგრამ პატივს მაინც ვცემ; ზამეტოვს, მართალია, არა ვცემ პატივს, იმიტომ რომ ჯერ ლეკვია, მაგრამ მიყვარს კია! მიყვარს ის პირუტყვი ზოსიმოვიც, იმიტომ, რომ პატიოსანია და საქმეც ესმის... მაგრამ კმარა, ყველაფერი ვთქვი, ყველაფერი მეპატია, მეპატია განა? ასეა თუ არა? მაშ წავიდეთ. ვიცნობ ამ დერეფანსაც, ვყოფილვარ; აი აქ, მესამე ნომერში, აყალმაყალიც მოგვიხდა... თქვენ რომელში ხართ ჩამომხტარი? რომელი ნომერია? მერვე? აბა, კარი დაკეტეთ და არავის გაულოთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ ამბავს მოგიტანთ, ნახევარი საათის შემდეგ კი ზოსიმოვსაც თან მოვიყვან. თორემ აი, ნახავთ! მშვიდობით, მივრბივარ!

- ღმერთო ჩემო! დუნეჩკა, რა იქნება ნეტა? - დაეკითხა შემფოთებული და შემინებული პულხერია ალექსანდროვნა ქალს.

- დამშვიდდი დედა, - ანუგეშებდა დუნია და თან შლაპასა და წამოსასხამს იხდიდა, - ღმერთია შემწე. ტყუილად კი არ მოგვივლინა ეს კაცი, თუმცა ცოტა გადაკრულშია. გარწმუნებთ, შეიძლება სრულიად ვენდოთ ამ კაცს. ამას მოწმობს თუნდ მარტო ისიც, რაც დღემდე ჩვენი როდიასთვის სიკეთე უქნია...

- ეჰ, დუნეჩკა, ღმერთმა იცის, მოვა თუ არა! არა, როგორ დავთანხმდი და მარტო დავტოვე როდია!.. არ მეგონა სრულიად, თუ ასეთ ყოფაში ვნახავდი! როგორ სასტიკად მიგვიღო, თითქოს ეწყინაო ჩვენი ნახვა...

პულხერია ალექსანდროვნას თვალები ცრემლით აევსო.

- არა, დედა, აგრე არ არის, რიგიანად არც კი შეგიხედნიათ, ტიროდით სულ. საშინლად არის ავადმყოფობისაგან მოშლილი, იმიტომ მოგვეპყრო ასე.

- ოჰ, ეს ავადმყოფობაა, რომ დალუპვას მიპირებს! ნეტა რა იქნება, რა მოგველის! მერე როგორ გელაპარაკებოდა, დუნია! - თქვა მოკრძალებით პულხერია ალექსანდროვნამ და თან თვალებში ჩააკვირდა ქალს, რომ გაეგო, რასა ფიქრობდა. მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ დუნია ამართლებდა ძმას, მაშასადამე, აპატია. - დარწმუნებული ვარ, ხვალ გულს მოიბრუნებს, - დასძინა ისევ საცდელად, რომ ეთქმევინებინა რამე.

- მე კი მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ხვალაც იმასვე მეტყვის... - გააწყვეტინა ავდოტია რომანოვნამ. რასაკვირველია, ეს იყო თავი და თავი მიზეზი, იმიტომ რომ აქ ერთი ისეთი რამ საგანი იმალებოდა, რომლის თაობაზეც ახლა ხმის ამოდება ვერც კი გაეხდნა პულხერია ალექსანდროვნას. მივიდა დუნია და აკოცა დედას, დედამაც მაგრად ჩაიკრა გულში, ხმა არ ამოუღია. დაჯდა მერე და დაუწყო რაზუმინის მოუსვენრად ლოდინი. თან მოკრძალებით თვალყურს ადევნებდა თავის ქალს, რომელსაც ასევე გულხელი დაეკრიფა მოლოდინში და დაფიქრებული ოთახში გადი-გამოდიოდა წინ და უკან. ავდოტია რომანოვნას ჩვეულებად ჰქონდა ფიქრის დროს ასე სიარული ოთახში. ამიტომაც მუდამ ეშინოდა დედას, არ დაერღვია როგორმე სიჩუმე ამ დროს და ფიქრი არ შეემლევინებინა.

რასაკვირველია, სასაცილო იყო, რომ გადაკრულ რაზუმინის გულში ცეცხლებრ აღეზნო ავდოტია რომანოვნასადმი ვნება; მაგრამ ვინც კი ახლა თვალს მოჰკრავდა გულხელდაკრეფილ და დაფიქრებულ დუნიას, ყველა უთუოდ ადვილად აპატიებდა ასეთ გატაცებას, თუნდაც მხედველობაში არ მიეღოთ რაზუმინის განსაკუთრებული მდგომარეობა. შესანიშნავი რამ იყო ავდოტია რომანოვნა, - მაღალი, ტანადი, რწმენით სავსე, ეს ეტყობოდა თითოეულ მის მოძრაობასა და მოქმედებას, თუმცა მოხდენილობა და სინარჩარე სულაც არ აკლდა. სახით ძმას ჰგავდა; მაგრამ სილამაზით ესა სჯობდა, - მშვენიერი იყო. თმა ღია წაბლისფერი ჰქონდა, მმისაზე ოდნავ ბაცი; თვალები თითქმის შავი, ელვარე, ამაყი, ზოგჯერ კეთილად გამომეტყველი; ფერმკრთალი იყო, მაგრამ ავადმყოფური როდი ეთქმოდა ამ სიმკრთალეს; ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ნათლად აღბეჭდვოდა, ბაგე ცოტათი პატარა ჰქონდა, ქვედა ტუჩი, ნორჩი და წითელი, ნიკაპთან ერთად ოდნავ წინ წამოწეული. ეს ერთადერთი ნაკლი მისი მშვენიერი პირისახისა რაღაც საგანგებო გამომეტყველებასა და იერს აძლევდა, სხვათა შორის, თითქოს ზვიადობასაც. სახის გამომეტყველება მუდამ უფრო დარბაისლური ჰქონდა, ვიდრე მხიარული, მაგრამ რარიგ უხდებოდა ამ სახეს ღიმილი და უზრუნველი, მხიარული სიცილი! არც საკვირველი იყო, თუ ფიცხმა, გულახდილმა, უბრალო, პატიოსანმა და ბუმბერაზის ძალ-ღონით სავსე მთვრალმა რაზუმინმა, რომელსაც მანამდე არაფერი ამის მსგავსი არ შეხვედრია, პირველ ნახვაზევე დაკარგა ჰკუა. ამასთან, თითქოს განგებ მოხდაო, პირველადვე მიეცა შემთხვევა, ენახა სწორედ იმ დროს, როცა საყვარელი ძმის ნახვით იყო გახარებული. ნახა შემდეგ ისიც, როგორ შეუთამაშდა ქვედა ტუჩი

განრისხებულს, ძმამ რომ კადნიერად და მკაცრად უბრძანა, - და ველარ მოითმინა, გულს აჰყვა, დაემორჩილა.

მართალი იყო, წედან მთვრალმა რომ წამოროშა კიბეზე: რასკოლნიკოვის დიასახლისი პრასკოვია პავლოვნა უთუოდ დასწამებდა რაზუმიხინს ავდოტია რომანოვნას სიყვარულს და არამცთუ ამას, უთუოდ პულხერია ალექსანდროვნაზედაც მიიტანდა ეჭვს. მით უფრო, რომ ორმოცდასამი წლის პულხერია ალექსანდროვნას ჯერ კიდევ საკმაოდ შერჩენოდა წინანდელი სილამაზე და თავის წლოვანებასთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდაც ჩანდა, როგორც ეს საზოგადოდ ემჩნევა ხოლმე ფაქიზი სულისა და პატიოსანი გულის მქონე ქალებს, რომლებიც ბოლომდე ინარჩუნებენ ახალი შთაბეჭდილების ცხოველი განცდის უნარს. აქვე, სხვათა შორის, უნდა დავსძინოთ, რომ ეს თითქმის ერთადერთი საშუალებაა, რომ ადამიანს დროსაც შერჩეს სილამაზე. თმა უკვე შეთხელებოდა და გაჭალარავებოდა, თვალების გარშემო წვრილი ნაოჭი შეჰკვროდა, ლოყები ჩასცვივოდა და შეჰხმოვოდა მუდმივი ზრუნვისა და მწუხარებისაგან, მაგრამ სახეს მაინც არ დაჰკარგოდა თავისი მშვენიება. ეს იყო იგივე დუნეჰკას სახე, მხოლოდ იგი წლით უფრო ხნიერი, ქვედა ტუჩიც არ ჰქონდა მისებრ წამოწეული. პულხერია ალექსანდროვნა მგრძნობიარე იყო, მაგრამ გადაჭარბებულად არა, იყო მოკრძალებული და ადვილად დამთმობი, მაგრამ ესეც ისევე განსაზღვრულ ზომამდე: შეეძლო ბევრი რამ დაეთმო, ბევრში შერიგებოდა გარემოებას, თუნდ მისი რწმენის წინააღმდეგაც ყოფილიყო ეს, მაგრამ პატიოსნებისა და თავის წმინდა შეხედულებათა საზღვარს კი არასოდეს გადავიდოდა.

რაზუმიხინის წასვლის შემდეგ სულ ოცი წუთიც არ გასულიყო, რომ კარზე ვიღაცამ აჩქარებით მოაკაკუნა ორჯერ. რაზუმიხინი დაბრუნდა.

- არ შემოვალ, არა მცალია! - წარმოთქვა საჩქაროდ, როგორც კი კარი გაუღეს. - სძინავს მშვიდად და წყნარად; ღმერთმა ქნას, თუნდ ათი საათი იძინოს. ნასტასია უზის გვერდით. ვუბრძანე, არ მოშორდეს. ახლავე ზოსიმოვს მოვათრევე და ის მოგახსენებთ ყველაფერს. მერე კი თქვენც დაიძინეთ, თორემ ვხედავ, ძალიან დაღლილები ხართ.

თქვა და ისევე უკან გასწია.

- რა ცოცხალი და... ერთგული ახალგაზრდაა! - წამოიძახა უზომოდ გახარებულმა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ეტყობა, საუცხოო ადამიანი უნდა იყოს! - უპასუხა მხურვალედ ავდოტია რომანოვნამ და ისევე ოთახში დაიწყო წინ და უკან სიარული.

თითქმის ერთი საათის შემდეგ დერეფანში ისევ გაისმა ფეხის ხმა და კარის კაკუნი. ამჟამად დედა და ქალი სრულიად დაიმედებულნი უცდიდნენ რაზუმიხინს და აკი მართლა მოიყვანა ზოსიმოვი. მაშინვე დათანხმდა ზოსიმოვი, ქეიფისათვის თავი მიენებებინა და რასკოლნიკოვის სანახავად წასულიყო, ქალებთან კი უგულოდ გაჰყვა, მთვრალი რაზუმიხინისა არა სჯეროდა; მაგრამ თავმოყვარეობა მაშინვე დაიკმაყოფილა და დამშვიდდა, როგორც კი დარწმუნდა, რომ გრძნეული მისანივით მოელოდნენ. სულ რაღაც ათი წუთი დარჩა, რომლის განმავლობაშიაც თითქმის სრულებით დაამშვიდა და დაარწმუნა პულხერია ალექსანდროვნა. ელაპარაკებოდა არაჩვეულებრივი თანაგრძნობით, მაგრამ თავდაჭერითა და მეტისმეტი დარბაისლობით, როგორც ეს საყურადღებო კონსულტაციაზე შემშვენიის ოცდაშვიდი

წლის ექიმს; არც ერთი სიტყვით არ გადაუხვევია საგნისათვის და ოდნავადაც არ გაუმხელია სურვილი, მათ კერძო და პირად დამოკიდებულებას შეჰხებოდა. შესვლის უმაღლვე შენიშნა, რა უზომოდ მომხიბვლელი რამ იყო ავდოტია რომანოვნა, მაგრამ განგებ თვალს არიდებდა და, რაც ხანი იქ იყო, მხოლოდ პულხერია ალექსანდროვნას ელაპარაკებოდა. ყველაფერი ეს შესანიშნავ შინაგან კმაყოფილებას აგრძნობინებდა. თვითონ ავადმყოფზე კი ის აზრი გამოთქვა, რომ ამჟამად თითქმის კარგად არისო, რაც შეეხება ავადმყოფობას, მისი დაკვირვებით, გარდა ცუდი ნივთიერი მდგომარეობისა, რომელსაც უკანასკნელ თვეებში განიცდიდა ავადმყოფი, მას სხვა ზოგიერთი ზნეობრივი ხასიათის მიზეზიც აქვს, იგი „არის შედეგი მრავალი რთული, ზნეობრივი და ნივთიერი იდეებისა... და სხვა“. ზოსიმოვმა შენიშნა, რომ ავდოტია რომანოვნა განსაკუთრებული ყურადღებით უგდებდა ყურს ამ განმარტებას და უფრო ვრცლად იწყობდა ამიტომ ლაპარაკი. პულხერია ალექსანდროვნას შემფოთებულ და მოკრძალებულ შეკითხვაზე: ექვი ხომ არა გაქვთ მისი ჭკუიდან შემლისაო, სიცილით უპასუხა, რომ მისი სიტყვები გაუზვიადებით; რასაკვირველია, ავადმყოფს რაღაც აზრი აწუხებს, თითქოს მონომანია ეტყობა, - რასაც, როგორც ექიმი, დიდად ვადევნებ თვალყურს, - მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ავადმყოფი თითქმის დღემდე ერთთავად ბოდავდა, და... რა თქმა უნდა, მშობლისა და დის ჩამოსვლა საკეთილოდ იმოქმედებს, ძალ-ღონეს შეჰმატებს, გულიდან ფიქრს გადაუყრის, - „თუ, რასაკვირველია, ახალი რამ განსაკუთრებული არ შეემთხვევაო“, - დასძინა მან საგულისხმოდ. წამოდგა მერე, დარბაისლურად, გულთბილად გამოეთხოვა დედა-შვილს, რომლებმაც ლოცვა-კურთხევით, მადლობითა და მუდარით გამოისტუმრეს, ავდოტია რომანოვნამ ხელიც კი თავისით გაუწოდა და ზოსიმოვი სრულიად კმაყოფილი გაემართა შინისაკენ.

- ლაპარაკით ხვალ ვილაპარაკოთ; ახლა კი უნდა დაიძინოთ! ხვალ, დილაადრიან, თქვენსა ვარ, ავადმყოფის ამბავს მოგიტანთ, - დაუმატა რაზუმეიხინმა და ზოსიმოვს გაჰყვა.

- არა, რა მშვენიერი გოგონაა ეს ავდოტია რომანოვნა! - შენიშნა ნერწყვმორეულმა ზოსიმოვმა, ქუჩაში რომ გავიდნენ.

- რაო, მშვენიერიაო? შენ ამბობ მაგას! - შეჰღრიალა რაზუმეიხინმა, ეცა უცბად ზოსიმოვს და ყელში ხელი წაუჭირა. უყვიროდა და აჯანჯლარებდა კედელზე მიჭყლეტილს, -გესმის?

- გამიშვი, შე გადაარეულო! - ეუბნებოდა ზოსიმოვი და ცდილობდა თავი როგორმე გაენთავისუფლებინა. მაგრამ გაუშვა თუ არა რაზუმეიხინმა, ერთი კი შეხედა და უცბად გულიანად გადაიხარხარა. რაზუმეიხინი კი იდგა ჩუმად, დაფიქრებული და დაღვრემილი.

- რასაკვირველია, ვირი ვარ, - წაიდუდუნა მოქუშულმა, - მაგრამ შენც... არა ხარ ნაკლები...

- არა, ძმაო, მაგას კი სტყუი. მაგისტანა სისულელეს არასოდეს გულში არ გავიტარებ.

მიდიოდნენ ჩუმად და, რასკოლნიკოვის ბინას რომ მიუახლოვდნენ, მაშინდა დაარღვია სიჩუმე ძალზე დაფიქრებულმა რაზუმეიხინმა.

- ყური დამიგდე, - უთხრა ზოსიმოვს, - კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ყველა სხვა ნაკლთან, ვიცი, დიდი მუსუსი და თან საკმაოდ გაურჩეველი რამა ბრძანდებით, სუსტი და ნერვებაშლილი სადაგლობა ხარ, ჩასუქებულხარ ღორივით და არაფერს იკლებ, - აი, ამას კი ვეძახი საზიზღრობას, იმიტომ, რომ საზიზღრობამდის მიჰყავს ადამიანი. იქამდე ხარ განაზებული და გაფუფუნებული, გამოგიტყდები, მიკვირს და ვერ გამიგია, როგორღა ახერხებ, რომ ასე თავდადებით წამლობ ავადმყოფებს. ბუმბულსა და თივთიკზე გმინავს (ექიმს!), ღამლამობით კი ავადმყოფისათვის ძილს იფრთხრობ! სამი წლის შემდეგ უთუოდ აღარ იკადრებ ავადმყოფებისათვის ღამე ადგომას... მაგრამ ეშმაკმა იცის შენი თავი, საქმე ეგ როდია; აი, რა უნდა გითხრა: დღეს დიასახლისის ბინაზე უნდა გაათიო ღამე (ძლივს დავიყოლიე!), მე კი სამზარეულოში დავიძინებ. მშვენიერი შემთხვევა მოგეცემა, ახლო გაიცნო! მაგრამ ის კი არა, შენ რომ ფიქრობ! ნურც კი გაივლებ გულში...

- არც მიფიქრია.

- აქ, ძმაო, ჩუმი მოკრძალება, სიმორცხვე და დიდი უმანკობაა. ამასთანავე უყვარს ოხვრა და სანთელივით დნება! იხსენ როგორმე იმისაგან, გაფიცებ ქვეყნიერების ტარტაროზებს! მეტად მიმზიდველია!.. გეფიცები, გადაგიხდი!

ზოსიმოვმა უფრო გულიანად გადაიხარხარა.

- დახეთ ერთი, რა ამბავშია! კარგი, მაგრამ მე რას ვაქნევ?

- გარწმუნებ, ბევრი არა დაგჭირდება რა. როშე, რაც მოგესურვოს, ოღონდ გვერდით უჯექ და ელაპარაკე, ექიმიცა ხარ; აილე და რისამე წამლობა დაუწყე. გეფიცები, არ ინანებ. საკრავიც უდგას, ხომ იცი, ცოტა ვაბრაზუნებ; ერთი სიმღერა მაქვს იქ მისთვის ამოჩემებული, - წმინდა რუსულია: „ცხარე ცრემლად დავიღვრები“... ძალიან უყვარს რუსული სიმღერები, აკი ჩვენი ამბავიც სიმღერიდან დაიწყო. შენ ხომ ფორტეპიანოს მშვენივრად უკრავ, დიდი ოსტატი, რუბინშტეინი ხარ... გეფიცები, არ ინანებ!

- რაო, პირობა რისამე მიეცი, თუ როგორ არის შენი საქმე? იქნება ხელწერილიცა აქვს? ან ცოლად შერთვას დაჰპირდი, ეგებ...

- სულაც არა! არცთუ თვითონ არის ისეთი; საიდანღაც იყო, ჩეხაროვი ასჩენოდა, მაგრამ...

- არ არის და, თავი გაანებე, რაღას უცდი?

- არ შეიძლება აგრე მიტოვება!

- რატომ არ შეიძლება?

- რატომ და იმიტომ, რომ უხერხულია როგორღაც! აქ, ძმაო, რაღაც მიმზიდველი ძალაც არის!

- მაშ, რაღად მიიტყუე, თუ აგრე იყო?

- სულაც არ მიმიტყუებია; პირიქით; თვითონ მიმიტყუა ჩემი სისულელით და შემიძვია. მაგრამ იმისთვის ორივე ერთია, მე ვიქნები თუ შენ, ოღონდ გვერდით კი უჯდეს ვინმე და მისთვის ოხრავდეს! აქ, ძმაო... არ ვიცი, როგორ გითხრა, აი, გესმის,

მათემატიკა ხომ იცი, ახლაც კიდევ მეცადინეობ, ვიცი... აი თუნდა ინტეგრალური გამონაგარიშება ასწავლე; ღმერთმანი, არ გეხუმრები, ნამდვილს გეუბნები, ორივე ერთია იმისათვის: მთელ წელიწადს გაატარებს ოხვრასა და შენს ცქერაში. სხვათა შორის, ერთხელ მთელი ორი დღე, მაგალითად, პრუსიელთა პარლამენტზე ველაპარაკე (სხვაზე აბა, რაზე მელაპარაკა)? - ისიც იჯდა, ყურს მიგდებდა, ოხრავდა და დნებოდა! იცოდე კი, არ გაბედო და სიყვარულზე კრინტი არ დასძრა, თორემ მორცხვია მეტად და მაშინვე კანკალი აიტანს; აჩვენე მარტო, ვითომ ველარ დაგილწევია თავი, - და ისიც კმარა. მშვენივრად მოეწყობი; მოსვენებული იქნები, როგორც შენს სახლში, - იკითხე, წერე, წამოწექ, იჯექ, როგორც მოგესურვოს... შეიძლება აკოცო კიდევ, მაგრამ ფრთხილად კი...

- კარგი, მაგრამ რაში მჭირდება მე ის?

- ეჰ, აბა როგორ აგიხსნა! იცი რა: თქვენ ორივე ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს! წინათაც ვფიქრობდი ხოლმე შენზე... მაგის გარდა, ხომ ვიცი, ამითი გაათავებ საქმეს! ერთი არ არის შენთვის, ადრე იქნება თუ გვიან? აჰ, ძმაო, იმისთანა ბუმბულები გელის! მაგრამ მარტო ეს არის, განა! აჰ ძალაუნებურად ჩაგითრევს, აჰ არის დასასრული ქვეყნიერებისა, ლუზა სიცოცხლისა, წყნარი ნავსაყუდელი, დედამიწის გული, ქვეყნიერების სამვეშაპიანი საძირკველი, გემო ბლინებისა, მსუქანი ძეხვებისა, საღამოს სამოვრისა, ჩუმი ოხვრისა და თბილ-თბილი საწოლისა, - აი ხედავ, თითქოს მომკვდარხარ კიდევ, მაგრამ იმავე დროს ცოცხალი ხარ. ორნაირი ხეირი გაქვს ერთბაშად! მაგრამ, ეჰ, ზორბად შევტოპე, ძმაო, მგონი, ძილის დროა! ყური დამიგდე: ზოგჯერ დამდამობით ვიღვიძებ ხოლმე, ჰოდა, მაშინ ავდგები და მივალ, დავხედავ. მაგრამ არა უშავს რა, კარგად იქნება. ნურც შენ შეწუხდები ძალიან, მაგრამ თუ მაინც გინდა, ერთხელ შენც ახედე. ოღონდ იცოდე, შენიშნავ თუ არა, რომ ბოდავს, ან სიცხე აქვს, ან სხვა რამეს შეატყობ, მაშინვე გამაღვიძე. თუმცა, ვიცი, არა იქნებ არა...

II

დანადვლიანებულმა და დაფიქრებულმა გაიღვიძა რაზუმინინმა მეორე დღეს რვის ნახევარზე. ბევრი რამ ახალი და გაუგებარი აუჩნდა უცებ ამ დილით. წინათ არც კი უფიქრია, თუ ასეთ გუნებაზე გაიღვიძებდა ოდესმე. დაწვრილებით ახსოვდა ყოველივე, რაც კი გუშინ მოხდა, და ესმოდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი რამ დატრიალდა მის თავზე. განიცადა რაღაც ისეთი ახალი, რაც არ ჰგავდა მის ყველა სხვა წარსულ შთაბეჭდილებას. ნათლად გრძნობდა იმავე დროს, რომ შეუძლებელი იყო ამ ოცნების განხორციელება, - იქამდე შეუძლებელი, რომ შერცხვა კიდევ და მაშინვე შეუდგა უფრო არსებითად საზრუნავი საგნების გადაწყვეტას, რომლებიც „გუშინდელმა დაწყველილმა დღემ“ გაუჩინა.

ყველაზე მწარედ აგონდებოდა ის, რომ გუშინ მთვრალი იყო და „სიმდაბლე და სამაგლობა“ გამოიჩინა. ქალს პირში ულანძღა და უმაგა საქმრო მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც სულელური ეჭვიანობა შეეპარა, თუმცა არც მათი ურთიერთ დამოკიდებულება იცოდა და არც თვითონ კაცს იცნობდა რიგიანად. ან კი რა უფლება ჰქონდა, ასე აჩქარებითა და წინდაუხედავად გამოეთქვა თავისი აზრი? ან მსაჯულობა ვინ სთხოვა ან ნუთუ შესაძლებელია ავდოტია რომანოვნასთან ადამიანმა თავი უღირსად გაჰყიდოს ვისზედმე? ეჭვი არ არის, იმ კაცსაც თავისი ღირსებები ექნება. ნომრები? მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი სამაგელი რამ არის ეს

ნომრები? მეორეც, აკი თქვა, ბინასაც ვუმზადებო... ფუ! რა სიმდაბლე ჩაიძინა! ან რა თავის მართლებათა, რომ მთვრალი იყო? ეს ხომ უფრო სამარცხვინო გასამართლებელი საბუთია! აკი ნათქვამია: მთვრალი ფხიზელის მამხელიაო, და მართლაც ასე მოუვიდა: „გამოთქვა ყველაფერი, რასაც კი ჭუჭყიანი და მოშურნე გული ეუბნებოდა!“ მერე ეპატიება განა ამაზე ოცნება მას, რაზუმიხინს? ამ ქალთან შედარებით ვინ არის თვითონ, - ვიღაც ჭირვეული ლოთი და წუხანდელი მკვებარა? განა უგვანი და სასაცილო არ არის ორი ასეთი ადამიანის შედარება. ამ ფიქრმა საშინლად გააწითლა რაზუმიხინი. მოაგონდა უცბად, თითქოს განგებ, აგრეთვე ის, გუშინ რომ წამორღომა: დიასახლისი ავდოტია რომანოვნას სიყვარულს დამწამებსო... ამის გახსენება მისთვის უკვე აუტანელი იყო. მოიქნია მუშტი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სამზარეულოს ღუმელსა სთხლიშა, აგური გადმოაგდებინა და ხელი იტკინა.

„რასაკვირველია, -წაიბუტბუტა ერთი წუთის შემდეგ თავის უფრო მეტად დასამცირებლად, - ყველა ამ სამაგლობას ვედარასოდეს ვერ გამოვისყიდი... მაშასადამე, ფიქრიც მეტია ამაზე; უნდა მივიდე და... მოვალეობა შევასრულო მხოლოდ... ხმისამოუღებელივ... არც ბოდიში მოვიხადო, იმიტომ რომ ლაპარაკი უქმი იქნება... იმიტომ, რომ გაქრა ყველაფერი სამუდამოდ!“

მაგრამ ტანთ რომ იცვამდა, როგორღაც მეტი გულმოდგინებით გაისინჯა ყველაფერი. სხვა ტანისამოსი, მართალია, არა ჰქონდა და რომც ჰქონოდა, უთუოდ არც ჩაიცვამდა, - „განგებ არ ჩაიცვამდა“. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უხამს ადამიანად და ბელეშად დარჩენა შეუძლებელი იყო: არავითარი უფლება არა ჰქონდა, სხვებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, მით უმეტეს, რომ თვითონვე საჭიროებდნენ მის დახმარებას და თვითონვე ეძახდნენ. ამიტომაც ლამაზად გაიწმინდა ტანისამოსი ჯაგრისით. რაც შეეხება საცვლებს, ეს კი მუდამ რიგიანი ჰქონდა, რადგან, უამისოდაც მუდამ სუფთა საცვლები უყვარდა.

ამ დილით ლამაზად დაიბანა, ნასტასიას ჰქონდა საპონი, - ჩამოიბანა თმა და კისერი, განსაკუთრებით ხელები და როცა რიგი „ჯაგარზე“ მიდგა, აღარ იცოდა, რა ექნა, - ჩამოეპარსა თუ არა (პრასკოვია პავლოვნას მშვენიერი სამართლებელი ჰქონდა განსვენებული ზარნიცინისაგან დარჩენილი), მაგრამ გულმოსულმა უარი თქვა ამაზე. „დეე, ასე იყოს! თორემ რას ემგვანება? იფიქრებენ, გაპარსულა, რომ... უთუოდ იფიქრებენ! არაფრის გულისათვის ქვეყანაზე ამას არ ვიზამ!“

უმთავრესი კი ისაა, რომ მურდალი და მოუხეშავი რამ არის, ქცევაც ბრიყვული, დუქნური აქვს; ... მართალია, იცის, რომ ცოტათი რიგიანი ადამიანია... მაგრამ ამითი როგორ იამაყოს? როცა ყველა უთუოდ რიგიანი და პატიოსანი უნდა იყოს და ცოტა იმაზე უკეთესიც... იმიტომ, რომ (კარგად ახსოვს) მასაც ჩაუდენია ისეთი საქმეები... უპატიოსნო, მართალია, არასოდეს, მაგრამ მაინც! რა არ გაუვლია გულში! ჰმ!.. რა მერე? ყველა ეს ავდოტია რომანოვნას დაუყენოს გვერდით! დიახ, დიახ! განგებ ვიქნები ასეთი მურდალი და ბინძური, ჯანდაბას! უარესიც ვიქნები!..“

ასეთ ფიქრებში იყო გართული რაზუმიხინი, თავს რომ წაადგა ზოსიმოვი, რომელსაც პრასკოვია პავლოვნას სასტუმრო ოთახში ეძინა ღამით.

ზოსიმოვი ახლა შინ წასვლას აპირებდა, მაგრამ ჯერ ავადმყოფისათვის უნდოდა დაეხედა. მოახსენა რაზუმიხინმა, ავადმყოფს გულიანად ეძინაო. უბრძანა მაშინ

ზოსიმოვმა, არ გაეღვიძებინათ, ვიდრე თვითონ არ გამოიღვიძებდა, და დაპირდა, თერთმეტი საათისათვის შემოვივლიო.

- ეგ არის მხოლოდ, თუ შინ იქნება, - ფუჰ, დალახვროს ეშმაკმა! არ იცი, ავადმყოფს როგორ უწამლო, არ გემორჩილება! ისინი მოვლენ ნეტა, თუ ეს წავა იმათთან? - დასძინა ზოსიმოვმა.

- ისინი მოვლენ უთუოდ, - უპასუხა რაზუმინმა, - ოჯახის საქმეებზე მოილაპარაკებენ. მე მაშინვე წავალ. შენ კი, როგორც ექიმს, რასაკვირველია, მეტი უფლება გაქვს, აქ დარჩე, - მე რომელიღაც სულიერი მამა ვარ; მოვალ და მაშინვე წავალ, უამათოდაც ბევრი საქმე მაქვს.

- ერთი მაწუხებს მხოლოდ, - გააწყვეტინა მოღუშულმა რაზუმინმა, - გუშინ გადაკრულში რაღაც... სისულელეებზე ვეყებდე გზა და გზა... სხვათა შორის იმაზედაც, რომ შენ შიში გაქვს, ჭკუიდან არ შეიშალოსო.

- აკი ქალებთანაც იგივე წამოგცდა გუშინ.

- ვიცი, ვიცი, სისულელე ჩავიდინე! მცემე, თუ გინდა! როგორ არის საქმე, გქონდა მართლა რამ მიზეზი თუ არა?

- სისულელეა, რას ამბობ, რის მიზეზი! შენ თვითონ არ იყავი, რაღაც მონომანად დამიხატე, პირველად რომ მომიყვანე... გუშინ კი შენი ნაამბობით... ვიღაც მღებავზე უაღრესად გამიღვივე ეჭვი. არა, რა დროს იმაზე ლაპარაკი იყო, როცა, ვინ იცის, მიზეზად ისიც გაუხდა! გცოდნოდა, რომ კანტორაში ისეთი ამბავი შეემთხვა, ვიღაც საზიზღარმა ეჭვი მიიტანა... და შეურაცხყო! ჰმ!.. მაშინ ნებას არ მოგცემდი, რომ ისეთი რამეები გეამბუნა, მაგრამ რას იზამ, რომ არა ვიცოდი რა! რა ხალხია ეს მონომანები? ცვარს ზღვად აქცევენ, რწყილს აქლემს აშობინებენ... რამდენადაც ზამეტოვის გუშინდელი ნაამბობიდან მახსოვს, საქმე უკვე ნახევრად გამოირკვა ჩემთვის. ეგ რა არის! მახსოვს, ერთმა ჰიპოქონდრიით შეპყრობილმა ორმოცი წლის კაცმა როგორ გამოსჭრა რვა წლის ბავშვს ყელი, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ყოველდღიურ დაცინვას ვედარ გაუძლო! აქ კი ძონძებში გამოხვეულს ვიღაცა ბრიყვი და თავხედი უბნის ზედამხედველის თანაშემწე ეჭვით უყურებს. ახლა ავადმყოფობაც დაუმატეს. ჰიპოქონდრიით შეპყრობილს განა მეტიღა უნდა! მასთან თუ თავმოყვარეობაც დიდი აქვს! ვინ იცის, იქნებ ავადმყოფობის მიზეზი სულაც ეს გახდა! ეშმაკმა იცის!.. მართლა, კაი ბიჭია ეგ ზამეტოვი, მხოლოდ ცოტა, ჰმ!.. ტყუილად გვიამბო გუშინ ყველა ეს. საშინელი ყბედია!

- ვის უამბო? მე და შენ, სხვას ხომ არავის!

- პორფირისაც.

- მერე, რა არის, რომ პორფირისაც?

- მართლა, გაქვს რამე გავლენა დედასა და დაზე? ცოტა სიფრთხილით უნდა მოეპყრან დღეს...

- არა უშავს რა, გაუფრთხილდებიან! - მიუგო უგულოდ რაზუმინმა.

- რად აუთვალწუნებია ნეტა ლუჭინი? ეტყობა, ფულიანი კაცია და, ვგონებ, არც ქალს უნდა სძულდეს... თვითონ კი, მგონი, გახვრეტილი გროშიც არ მოეძებნებათ, არა?

- ნეტა რასა მცდი? - შეუყვირა გაბრაზებულმა რაზუმინინმა. - აქვთ თუ არა აქვთ, რა ვიცი აბა? ჰკითხე და გაიგებ, თუ გინდა...

- ფუი! რა სულელი რამა ხარ ზოგჯერ! გუშინდელი სიმთვრალე დღესაც მოგდევს... ნახვამდის! ღამის გათევინებისათვის პრასკოვია პავლოვნას მადლობა მოახსენე ჩემ მაგივრად, ჩაიკეტა, ბატონო, და დილით სალამზედაც პასუხი არ მომცა. თვითონ კი შვიდ საათზე წამოდგა, სამზარეულოდან დერეფნით სამოვარი შეუტანეს... არ იქნა, მის ხილვას ვერ ვეღირსე...

სრულ ცხრა საათზე რაზუმინინი ბაკალეევის ნომრებში გამოცხადდა, დედაც და დაც, ორივენი, დიდი ხანია მოუთმენლად ელოდნენ. შვიდზე თუ უფრო ადრე ამდგარიყვნენ. რაზუმინინი შევიდა მოღრუბლული და როგორღაც უხერხულად მიესალმა, რის გამოც იმწამსვე გაუწყრა, რასაკვირველია, თავის თავს. პულხერია ალექსანდროვნა მაშინვე ეცა, ორთავე ხელი დაუჭირა და ცოტას გაწყდა, არ დაუკონცა. რაზუმინინმა მორიდებით გადახედა ავდოტია რომანოვნას; მაგრამ მის ამაყ სახეზედაც ისეთი მეგობრული და გულითადი გრძნობა იხატებოდა, ისეთი მოულოდნელი პატივისცემა (დაცინვისა და სიძულვილის მაგივრად!), რომ ეწყინა კიდეც თითქოს: ლანძღვა-გინებით რომ შეჰკებებოდნენ, იქნებ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი, თორემ ახლა უფრო მეტად შერცხვა. საბედნიეროდ, სალაპარაკო საგანი უკვე მზადა ჰქონდა და ამიტომაც საჩქაროდ დაიწყო.

გაიგეს თუ არა, „ჯერ კიდევ არ გაუღვიძნია“, მაგრამ „ყველაფერი კარგად არისო“, პულხერია ალექსანდროვნამ მაშინვე განუცხადა: უკეთესიც არის, რომ ჯერ სძინავს, რადგან „ძალიან, ძალიან მინდოდა მანამდე ერთად მოგველაპარაკნაო“. სთხოვეს, ჩაი იმათთან დაეღია: რაზუმინინის მოლოდინში ჯერ არაფერი ეჭამათ. „ავდოტია რომანოვნამ ზარი დარეკა და ნომერში შემოვიდა ვიღაც დაბრანძული მსახური, რომელსაც ჩაის მოტანა უბრძანეს. შემოიტანეს, როგორც იყო, ჩაიც, მაგრამ ისე ურიგოდ გაწყობილი, რომ ქალებს შერცხვათ, გულმოსულმა რაზუმინინმა კი ერთი შეუყვირა მსახურს, მაგრამ მაშინვე მოაგონდა ლუჭინი და შერცხვა, გაჩუმდა. სიჩუმე მალე პულხერია ალექსანდროვნამ დაარვია, რადგან ზედიზედ დაუწყო გაბმით ყველაფრის კითხვა, რითაც დიდად გაახარა რაზუმინინი...

მთელი ორმოცდაათი წუთი ასე განუწყვეტლივ აძლევდა პასუხს კითხვებზე და უამბო ყველაფერი, რაც კი რამ უმთავრესი და საჭირო იცოდა როდიონ რომანოვიჩის ბოლო წლის ცხოვრებიდან. უამბო დაწვრილებით თვითონ ავადმყოფობის ამბავიც. თუმცა ბევრი რამ, რაც საამბობელი არ იყო, კიდეც გამოტოვა, მაგალითად, კანტორაში შენამთხვევი ამბავი და მთელი მისი სამწუხარო შედეგი. ყველაფერ ამას დედა და და ხარბად უსმენდნენ; მაგრამ როგორც კი იფიქრა, უკვე გავათავე და დავაკმაყოფილე ჩემი ყურისმგდებლებიო, გამოირკვა, რომ მათთვის ჯერ თითქოს არც შესდგომოდა ამბის თქმას.

- მითხარით, გეთაყვა, როგორა ფიქრობთ... მაგრამ მაპატიეთ, რომ აქამდე თქვენი სახელი არ ვიცი, - ჩქარობდა პულხერია ალექსანდროვნა.

- დიმიტრი პროკოფიჩი.

- იცით რა, დიმიტრი პროკოფიჩი, ძალიან მინდა გავიგო... საზოგადოდ... რა შეხედულებისაა როდია, ესე იგი რა უყვარს, მოსწონს და რა არა? მუდამ ასე ჭინჭილობს თუ არა? რა სურს და რა სწადია, ან რას ოცნებობს? რა უფრო მეტად მოქმედებს ახლა მასზე? ერთი სიტყვით, მინდოდა...

- ეჰ, დედა, განა შეიძლება ყველა მაგაზე უცხად პასუხის მოცემა! - შენიშნა დუნია.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ვიფიქრებდი, დიმიტრი პროკოფიჩი, თუ ასე ვნახავდი ჩემს შვილს.

- ეგ კი სრულიად ბუნებრივია, - უპასუხა დიმიტრი პროკოფიჩმა. - დედა, მართალია, არა მყავს, მაგრამ ბიძა ყოველ წელიწადს ჩამოდის ხოლმე და, წარმოიდგინეთ, თითქმის ვერასოდეს ველარა მცნობს, გარეგნობითაც კი, თუმცა გონიერი ადამიანია. ამ სამ წელიწადში ხომ, რაც ის არ გინახავთ, რაღა თქმა უნდა, დიდად გამოიცვლებოდა. აბა, რა გითხრათ? წელიწად-ნახევარია როდიონს ვიცნობ; ერთთავად დაღვრემილია, ქედმაღალი და ამაყი; ამ ბოლო დროს ხომ (იქნებ უფრო ადრეც) ეჭვი და იპოქონდრიაც შეეპარა. მაგრამ დიდსულოვანია და გულკეთილი. არ უყვარს გრძნობების გაზიარება, უფრო სისასტიკეს ჩაიდენს, ვიდრე გულს ვისმე გაუხსნის. ზოგჯერ სულ არა ეტყობა რა იპოქონდრიისა, მაგრამ გულცივია და იმ ზომამდე უგრძნობელი, თითქოს სრულიად საწინააღმდეგო თვისებები ახასიათებდეს. ზოგჯერ ხმას სულ ვერ ამოაღებინებ: არ სცალია ერთთავად, ვითომ ყველა ხელს უშლის, თვითონ კი ამ დროს წევს და არას აკეთებს. დამცინავი არ არის, იმიტომ კი არა, ჭკუა არ შესწევდეს, არა! გამოდის, თითქოს არ ეცალოს ასეთი უბრალო რამისათვის. ბოლომდე არასდროს არ იცის ყურის დაგდება, მის ყურადღებას არასოდეს მიიზიდავს ამჟამად საყოველთაოდ საყურადღებო საგანი, საშინლად დიდად აფასებს თავის თავს და, ვგონებ, საბუთიც აქვს ასე მოიქცეს. რა არის კიდევ?... მგონია, თქვენი ჩამოსვლა კარგად იმოქმედებს.

- ღმერთმა ინებოს! - შესძახა რაზუმიხინის ნათქვამით შეწუხებულმა პულხერია ალექსანდროვნამ.

რაზუმიხინმა ბოლოს უფრო თამამად შეხედა ავდოტია რომანოვნას. წინათაც ხშირად შეავლებდა ხოლმე ლაპარაკის დროს თვალს, მაგრამ თითო წამით მხოლოდ და მაშინვე ისევ არიდებდა. ავდოტია რომანოვნა ხან მაგიდას მიუჯდებოდა და ისე უსმენდა ყურადღებით, ხან წამოდგებოდა და ჩვეულებისამებრ კუთხიდან კუთხემდე გულხელდაკრეფილი სიარულს მოჰყვებოდა, თან ტუჩებს იკვნეტდა და დროდადრო კითხვებს აძლევდა, მაგრამ ისევ ისე სიარულში, ჩაფიქრებული. იმასაც ძმასავით ჩვეულებად ჰქონდა, ბოლომდე არ მოესმინა ლაპარაკი. ტანთ რაღაც შავი, მსუბუქი ქსოვილის კაბა ეცვა, ყელზე თეთრი ქალაღია ჰქონდა მოხვეული. რაზუმიხინმა მაშინვე ბევრი რამით შეატყო, რომ დედასა და ქალიშვილს სიღარიბე ეტყობოდათ. ავდოტია რომანოვნას რომ დედოფალივით მდიდრულად სცმოდა, მაშინ უთუოდ სრულებით არ ექნებოდა მისი რიდი, ახლა კი, როცა ასე ღარიბულად ჩაცმული და ასეთ დუხჭირ გარემოცვაში ნახა, უცხად შიში შეეპარა და ველარა გაეხედნა რა: ველარც ლაპარაკი, ველარც რისიმე ქმნა; ეს კი მეტად აწუხებდა, რადგან ისედაც არ ჰქონდა თავისი თავის იმედი.

- თქვენ ბევრი რამ საყურადღებო თქვით ჩემი ძმის ხასიათზე... თქვით მოურიდებლად, პირდაპირ. ეგ კარგია; მე კი მეგონა, კრძალვით ეპყრობოდით,

ყველაფერში ეთანხმებოდით, - შენიშნა ღიმილით ავდოტია რომანოვნამ. - იქნებ ისიც მართალი იყოს, რომ საჭიროა გვერდით უთუოდ ქალი ჰყავდეს, - დასძინა დაფიქრებულმა.

- მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ იქნებ მართალიც იყოთ. ეგ არის მხოლოდ...

- რა, რა არის?

- რა და ის, რომ არავინ უყვარს და შეიძლება არც არასოდეს შეიყვაროს, - მოუჭრა რაზუმინინმა.

- რაო, ვითომ არ შეუძლია სიყვარული?

- იცით რა, ავდოტია რომანოვნა, თქვენ თვითონაც საშინლად ჰგავხართ ძმას, თითქმის ყველაფრით! - წამოისროლა უცხად რაზუმინინმა, მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რაც ჰქონდა ძმის თაობაზე ნათქვამი, შერცხვა და გაწითლდა.

- როდიაზე შეიძლება თქვენ ორივენი სცდებოდეთ, - შენიშნა ცოტათი გულნაკლულად პულხერია ალექსანდროვნამ. - ახლანდელზე როდი რასმე ვამბობ, დუნეჩკა. რასაც პეტრ პეტროვიჩი ამ წერილში იწერება... და რაც მე და შენ გვექონდა გულში, იქნებ ტყუილი იყოს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, დიმიტრი პროკოფიჩ, რა ოცნების პატრონი და ჟინიანი, ახირებული რამ არის. მის ხასიათს მაშინაც კი ვერ ვენდობოდი ხოლმე, თხუთმეტი წლისა რომ იყო. ახლაც კი მჯერა, რომ შეუძლია ისეთი რამ უცნაური აუტეხოს თავის თავს, რაც არც ერთ სხვას ფიქრადაც არ მოუვა. ან კი რად გვინდა შორს წასვლა: იცით, ამ წლი-ნახევრის წინ როგორ გამაკვირვა და კინაღამ ჭკუიდან შემშალა იმ ამბავმა, რომ ამ ზარნიცინას, ესე იგი დიასახლისის ქალი უნდა შეერთო!

- დაწვრილებით იცით რამე ამ ამბისა? - ჩაეკითხა ავდოტია რომანოვნა.

- გგონიათ, ჩემს ცრემლებს შეუშინდებოდა და გამიგონებდა რჩევას? ან ჩემი ავადმყოფობა, დარდისაგან სიკვდილი, ან სიღარიბე და თხოვნა-მუდარა შეაყენებდა? - განაგრძობდა ფიცხად პულხერია ალექსანდროვნა. - ყველა ამ დაბრკოლებას გულდამშვიდებით გადალახავდა. მაგრამ ნუთუ, ნუთუ არ ვუყვარვართ?

- თვითონ არასოდეს უთქვამს რა ამ ამბისა, - უპასუხა ფრთხილად რაზუმინინმა, - მაგრამ ზარნიცინასაგან კი, რომელიც ასევე გულჩათხრობილია, ცოტა რამ მაქვს გაგონილი, და დიდად მაცოცხებს ისიც, რაც ვიცი და გამიგონია...

- მაინც, მაინც, რა იცით? - შეეკითხდნენ ორივენი ერთად.

- ისეთი არაფერი. ვიცი, რომ საქმე გათავებული ჰქონიათ, მაგრამ სიკვდილს უსწრია და თვითონ ქალბატონ ზარნიცინასაც არ სდომებია გული... გარდა ამისა, ამბობენ, ცუდი შესახედაობისა და თითქმის მახინჯი იყო... მასთან ავადმყოფიც... და უცნაური ხასიათისა... მაგრამ, ვგონებ, ზოგიერთი ღირსეზაც ჰქონია. ექნებოდა კიდევაც უთუოდ, თორემ გაუგებარია სწორედ... მზითვად სულ არა ჰქონია რა და არცთუ როდიონს ექნებოდა მზითვის ფიქრი... საზოგადოდ, ძნელია ასეთ საქმეზე მსჯელობა.

- დარწმუნებული ვარ, ღირსეული ქალი იქნებოდა, - შენიშნა მოკლედ ავდოტია რომანოვნამ.

- ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ გამეხარდა სწორედ, მისი სიკვდილის ამბავი რომ შევიტყვე. თუმცა არ ვიცი, რომელი რომელს დალუპავდა: ეს იმას, თუ ის ამას? - დაასკვნა პულხერია ალექსანდროვნამ და დაუწყო ისევ ფრთხილად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად როდიასა და ლუჟინს შორის გუშინ მომხდარი ამბის გამოკითხვა. ლაპარაკის დროს დუნეჩკას გადახედავდა ხოლმე, რაც აშკარად არ სიამოვნებდა ახალგაზრდა ქალს. პულხერია ალექსანდროვნას, ეტყობა, ყველაზე მეტად ეს ამბავი სწყინდა, არ ასვენებდა და შიშის ზარს სცემდა. რაზუმიხინმა ხელახლა დაწვრილებით უამბო, რაც კი მათ შორის მოხდა, და თანაც დასძინა, როდია მ ყველაფერი ეს განზრახ ჩაიდინა, ბრალი როდიას მიუძღოდა და ავადმყოფობით ვერ ეპატიებო.

- ეტყობოდა, ავადმყოფობამდე ჰქონდა ყველაფერი მოსაზრებული, - დაასკვნა რაზუმიხინმა.

- მეც აგრე მგონია, - უპასუხა გულმოკლულმა პულხერია ალექსანდროვნამ, მაგრამ საშინლად გაიკვირვა, რომ პეტრ პეტროვიჩზე რაზუმიხინმა იმჟამად ასე ფრთხილად გამოთქვა აზრი, თითქოს პატივსა სცემსო. ავდოტია რომანოვნაც ასევე გააოცა ამ გარემოებამ.

- ასეთი აზრის ხართ, მაშ, პეტრ პეტროვიჩზე? - ველარ მოითმინა და შეეკითხა პულხერია ალექსანდროვნა.

- თქვენი ქალის საქმროზე სხვა აზრისა არც შემიძლია ვიყო, - მიუგო მტკიცედ და ცოცხლად რაზუმიხინმა. - იმიტომ კი არა, ვითომ უბრალო ზრდილობა მალაპარაკებდეს ასე... არა... თუნდაც იმიტომ, რომ ავდოტია რომანოვნამ თვითონ ამოირჩია ის თავისი ნებით, ხოლო თუ გუშინ ასე ვლანძღავდი, იმიტომ, რომ თვით მე ვიყავი საზიზღრად მთვრალი... გონებადაბნეული; დიახ, გონებადაბნეული და მთლად გადარეული... დღეს კი მევე მრცხვენია ამისა! - რაზუმიხინი გაწითლდა და გაჩუმდა. ავდოტია რომანოვნაც აენტო, მაგრამ არაფერი თქვა, ხმა აღარ ამოუღია მას შემდეგ, რაც ლუჟინზე დაიწყეს საუბარი. პულხერია ალექსანდროვნა კი როგორღაც ყოყმანობდა, რაკი ქალი მხარს არ უჭერდა. როგორც იყო, გაბედა ბოლოს და ძლივს, ენის დაბმით, თან ერთთავად ქალს უყურებდა, რაზუმიხინს გაუმჟღავნა, რომ ერთი რამ გარემოება მეტად აფიქრებდა.

- ხედავთ, დიმიტრი პროკოფიჩ, - დაიწყო ძლივს, - დუნეჩკა, გინდა, ყველაფერი გულახდილად გავუმჟღავნო დიმიტრი პროკოფიჩს?

- რასაკვირველია, დედა, - დინჯად შენიშნა ავდოტია რომანოვნამ.

- საქმე, აი, მოგახსენოთ, როგორ გახლავთ, - დაიწყო საჩქაროდ პულხერია ალექსანდროვნამ, თითქოს თავისი დარდის გამოთქმის ნებართვამ უცბად ფრთები შეასხაო. - გუშინდელი ცნობის პასუხად, ჩამოსვლა რომ შევატყობინეთ, პეტრ პეტროვიჩს ბარათი გამოუგზავნია. დაპირების თანახმად, გუშინ თვითონ უნდა დაგვხვედროდა რკინიგზის სადგურზე, მაგრამ არ ისურვა და თავის მაგივრად ვილაც ლაქია გამოგზავნა, რომელმაც მოგვასწავლა, სად უნდა ჩამოვმხდარიყავით, თან დაებარებინა, მე ხვალ დილით, ესე იგი დღეს, გნახავთო. მაგრამ არც დღეს მოვიდა

და ამ დილით ეს ბარათი გამოგვიგზავნა... უმჯობესია, თვითონ თქვენვე წაიკითხოთ. არის აქ ერთი რამ, რაც დიდად მაფიქრებს... თორემ, აი, თვითონვე ახლავე ნახავთ... გთხოვთ, დიმიტრი პროკოფიჩი, პირდაპირ მითხრათ თქვენი აზრი, როგორ სჯობია მოვიქცეთ! თქვენზე უკეთ როდიას ხასიათი სხვამ არავინ იცის და ვერც უკეთეს რჩევას მოგვცემს ვინმე. მაგრამ გაფრთხილებთ ახლავე, რომ დუნეჩკამ უკვე მაშინვე ყველაფერი გადაწყვიტა. ეს არის მხოლოდ, მე არ ვიცი, როგორ მოვიქცე... ამიტომ გიცდიდით ასე მოუთმენლად.

რაზუმინინმა გადაშალა წინა დღის თარიღით დაწერილი ბარათი და შემდეგი ამოიკითხა: „მოწყალეო ქალბატონო, პულხერია ალექსანდროვნა! მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მოულოდნელ გარემოებათა გამო თქვენი დახვედრა რკინიგზის სადგურზე ვერ მომიხერხდა, რისთვისაც სამაგიეროდ გამოგიგზავნეთ ყოვლად მოხერხებული კაცი, რომელსაც ბინაზე უნდა მიეყვანეთ. ასევე ვერ მოვახერხებ სენატში ზოგიერთი საქმის გამო ხვალ დილით თქვენს ნახვას, და კიდევ, არ მინდა, ხელი შეგიშალოთ - ინახულოთ თქვენი შვილი და ავდოტია რომანოვნამ კიდევ - ძმა. მე კი მექნება პატივი, მოგესალმოთ ხვალ, საღამოს რვა საათზე, მაგრამ გადაჭრითა გთხოვთ, ჩვენს შეხვედრას როდიონ რომანიჩი არ დაესწროს, რადგანაც უმაგალითოდ და უზომოდ შეურაცხმყო გუშინ, ავადმყოფი რომ ვინახულებე. გარდა ამისა, მსურს ერთ საყურადღებო საგანზე პირადად თქვენი განმარტება და აზრი შევიტყო. მაქვს პატივი, ამასთანავე ადრევე გაუწყოთ, რომ თუ არ აასრულებთ ჩემს თხოვნას და როდიონ რომანიჩს შევხვდები თქვენსა, იძულებული ვიქნები, წავიდე მაშინვე და ნულარას დამემდურებით. ყოველივე ამას იმიტომ გწერთ, რომ ორი საათის შემდეგ, მე რომ ვიყავი სანახავად, როდიონ რომანიჩი უცბად კარგად გამხდარიყო და გარეთაც გამოსულიყო. მაშასადამე, შეუძლია თქვენთანაც მოვიდეს. ამას იმითი ვამტკიცებ, რომ ჩემი თვალით ვნახე ერთი დედაკაცის სახლში, რომლის ლოთი ქმარიც ცხენებს გაესრისათ და მოეკლათ. ვიცი აგრეთვე ისიც, რომ მოკლულის უზნეო და გაფუჭებულ ქალს თურმე ოცდახუთ მანეთამდე ფული მისცა, ვითომდა დასამარხად, რამაც, გამოგიტყდებით, დიდად და დიდად გამაკვირვა, რაკი კარგად ვიცოდი, როგორი წვალებით გქონდათ ეს ფული ნაშოვნი. ვუცხადებ რა ჩემს განსაკუთრებულ პატივისცემას ავდოტია რომანოვნას, გთხოვთ მიგულებდეთ თქვენს ერთგულ მსახურად.

პ. ლუჟინი“.

- მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, დიმიტრი პროკოფიჩი? - დაიწყო თითქმის ტირილით პულხერია ალექსანდროვნამ. - მითხარით, როგორ ვურჩიო როდიას, ნუ მოხვალ-მეთქი? ისე დაჟინებით თხოულობდა გუშინ, უარი უთხარით პეტრ პეტროვიჩსაო. ის კი გვიბრძანებს, თვითონაც ნულარ მიიღებთო! პირიქით, განგებ მოვა, რაკი გაიგებს და... ვინ იცის, მაშინ რა მოხდება?

- მოიქცეით ისე, როგორც ავდოტია რომანოვნას სურდეს, - მიუგო წყნარად და საჩქაროდ რაზუმინინმა.

- ეჰ, ღმერთო ჩემო! იცით, რას ამბობს... მაგრამ, ღმერთმა იცის, რას ამბობს, აზრი სწორედ ვერ გამიგია! ამბობს, უკეთესი იქნებაო, მაგრამ რის უკეთესი, არ ვიცი. საჭიროა უთუოდ, რომ დღეს საღამოს რვა საათზე როდიაც მოვიდეს და ერთმანეთს შეხვდნენო... მე კი მინდოდა, წერილი არ მეჩვენებინა და როგორმე ისე

მომეხერხებინა, რომ არ მოსულიყო, აი, თუნდ თქვენი დახმარებით... იმიტომ რომ ალელდება, გაცეცხლდება... ვერც ის გამიგია, ვინ ლოთი მომკვდარა, ან ქალი რა შუაშია აქ, ან როგორ შეეძლო თავისი ფული მთლად მიეცა... რომელიც...

- ასეთი ვაივაგლახით იშოვეთ, დედა, - დასძინა ავდოტია რომანოვნამ.

- გუშინ აღარა გაეგებოდა რა, - ჩაილაპარაკა ჩუმად დაფიქრებულმა რაზუმინინმა, - რომ იცოდეთ, ან იქ, დუქანში, რა ამბავი დაუწევია, თუმცა ჭკვიანურად კი მოქცეულა... ჰმ! ვიღაც მკვდარსა და მის ქალზე კი, მართალია, მეც მელაპარაკა გუშინ საღამოთი, შინ რომ მიმყავდა, მაგრამ ვერა გავიგე რა... თუმცა თვითონ მეც რომ აღარა გამეგებოდა რა...

- უკეთესია, დედა, როდიასთან ჩვენ წავიდეთ. იქ ვნახავთ, როგორ მოვიქცეთ. ამასთან, დროც არის, მეთერთმეტე საათია! - შეჰყვირა უცბად, თავის დიდებულ მინანქრიან ოქროს საათს რომ დახედა, რომელიც წვრილი ვენეციური ძეწკვით ჰქონდა ყელზე ჩამოკიდებული და ისე არ შეჰფეროდა მის დანარჩენ მორთულობას. „საქმროს ნაჩუქარია უთუოდ“, - გაიფიქრა რაზუმინინმა.

- ოჰ, დროა!.. დროა, დუნეჩკა! - დაფაცურდა მოუსვენრად პულხერია ალექსანდროვნა. - ვაითუ ახლა ისიც იფიქროს, ვითომ გუშინდელი ამბის გამო ვუწყრებით და იმიტომ არ მივდივართ აქამდე. ოჰ, ღმერთო ჩემო!

ამას ამბობდა პულხერია ალექსანდროვნა და თან საჩქაროდ წამოსასხამსა და ქუდს იხურავდა. დუნეჩკამაც ჩაიცვა. ხელთათმანები თითქმის მთლად დაგლეჯილი ჰქონდა, რაზუმინინმა შეამჩნია; მაგრამ ღარიბი ჩაცმულობა ორივე დედაშვილს რაღაც საგანგებო ღირსებას სძენდა, რაც საზოგადოდ ემჩნევა ყველას, ვინც კი იცის, როგორ ატაროს ღარიბული ტანსაცმელი. რაზუმინინი მოწიწებით უყურებდა დუნეჩკას და ამყობდა, რომ ეს ქალი უნდა წაეყვანა. „დედოფალი იგი, რომელიც წინდებს თვითონ იკემსავდა საპყრობილეში, - ფიქრობდა თავისთვის რაზუმინინი, - იმჟამად უფრო წააგავდა ჭემმარიტ დედოფალს, ვიდრე სასახლის დღესასწაულთა და წვეულებათა დროს“.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა პულხერია ალექსანდროვნამ, - რა მაფიქრებინებდა, თუ ჩემი საყვარელი შვილის, როდიას ნახვისა ასე შემეშინდებოდა? მეშინია, დიმიტრი პროკოფიჩ, მეშინია! - დასძინა და შემკრთალმა შეხედა.

- ნუ გეშინიათ, დედა, - დაამშვიდა დუნეჩკამ და დედას აკოცა, - სჯობს ისევ ნდობა და რწმენა იქონიოთ მისი.

- ეჰ, ღმერთო! მეც აგრე ვფიქრობ, მაგრამ მთელ ღამეს ძილი არ მომკარებია!

ქუჩაში გავიდნენ.

- იცი, დუნეჩკა, როგორც კი ჩამთვლიმა დილით, უცბად განსვენებული მარფა პეტროვნა გამომეცხადა... სულ თეთრები ეცვა... მოვიდა ჩემთან, დამიჭირა ხელი და ყვედრებით დამიქნია თავი, თითქოს რაღაცაში მამტყუნებდა... ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდეს? ეჰ, ღმერთო ჩემო, დიმიტრი პროკოფიჩ, იქნებ არ იცით, რომ მარფა პეტროვნა გარდაიცვალა?

- არა, არ ვიცი! ვინ მარფა პეტროვნა?

- უცბად გარდაიცვალა საწყალი! წარმოიდგინეთ...

- მერე, დედა, მერე, - ჩაერია დუნია, - ჯერ ხომ არც კი იცნობს მარფა პეტროვნას.

- ოჰ, არ იცნობთ? მე კი მეგონა, ყველაფერი იცით-მეთქი. მაპატიეთ, გეთაყვა, დიმიტრი პროკოფიჩ, თითქოს აღარა გამეგება რა, ისე ვარ გაბრუებული. გარწმუნებთ, რაღაც განგებად მიმაჩნიათ; ამიტომაც იყო, რომ წარმოვიდგინე, უთუოდ მარფა პეტროვნასაც იცნობს-მეთქი. გარწმუნებთ, შვილისაგან არ გარჩევთ... ნუ გამკიცხავთ, რომ ასე გეუბნებით. ოჰ, ღმერთო ჩემო, მარჯვენა ხელზე რა მოგსვლიათ ეგ? სად იტკინეთ?

- დიახ, რაღაცას მომიხვდა, - წაიდუდუნა ყურადღებით გაბედნიერებულმა რაზუმინინმა.

- მეტად გულახდილად ვიცი ზოგჯერ ლაპარაკი, ასე რომ ხშირად დუნია შემაყენებს და გამისწორებს ხოლმე... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ვიწროდ ცხოვრობს! მერე ის დიასახლისი იმასაც თუ ოთახად უთვლის? ნეტავი თუ გაიღვიძებდა? გამიგონეთ! ამბობთ, არ უყვარს გულის გადაშლაო, მაშ შეიძლება თავიც მოვაბეზრო ამ ჩემი წუწუნით, ჰა?... იქნებ მირჩიოთ, დიმიტრი პროკოფიჩ, როგორ ემჯობინება, რომ მოვექცე? სრულიად აღარა გამეგება რა, თავგზააბნეული დავიარები.

- ნუ დაუწყებთ რისამე დაჟინებით გამოკითხვას, თუ შეატყობთ, რომ იჭმუხნება; განსაკუთრებით ერიდეთ ჯანმრთელობაზე გამოკითხვას: არ უყვარს.

- ოჰ, დიმიტრი პროკოფიჩ, რომ იცოდეთ, რა ძნელია დედობა! აგერ კიბეც... რა სამაგელი რამ არის!

- დედიკო!.. როგორ გაფითრებულხართ, დამშვიდდით, ძვირფასო, - ამშვიდებდა დუნია და თან უაღერსებდა. - თქვენმა ნახვამ უნდა ბედნიერება აგრძნობინოს, თქვენ კი აგრე სტანჯავთ თქვენ თავს, - დასძინა დუნია და თვალები ცეცხლივით აენტო.

- მოითმინეთ, ჯერ მე შევიხედავ, გაიღვიძა თუ არა? - გააფრთხილა რაზუმინინმა.

ქალებიც ჩუმად გაჰყვნიენ უკან რაზუმინინს. მეოთხე სართულს რომ გაუსწორდნენ, შენიშნეს, დიასახლისის ოდნავ გამოღებულ კარის ჭუჭრუტანიდან ვიღაცის წყვილი შავი თვალი ყურადღებით სინჯავდა მიმავალთ. მაგრამ შეხედეს თუ არა ერთმანეთს დედა-შვილმა და დიასახლისმა, კარი უცბად ისე მაგრად მიჯახუნდა, პულხერია ალექსანდროვნამ ცოტას გაწყდა, არ შეჰყვირა შეშინებულმა.

III

- კარგად არის, კარგად! - მხიარულად ახარა შესულებს ზოსიმოვმა, რომელიც აგერ, ათი წუთია, მოსულიყო და გუმინდელივით კუთხეში იჯდა დივანზე.

რასკოლნიკოვი მეორე კუთხეში იჯდა პირდაპირ, ჩაცმულ-დაბანილი და დავარცხნილი, როგორც აქამდე დიდი ხანია არა ყოფილა. ოთახი უცბად გაივსო, მაგრამ ნასტასიამ მაინც მოახერხა შესვლა, აიტუზა კართან და ყური მიუგდო.

რასკოლნიკოვი, მართლაც, კარგად გამოიყურებოდა, მეტადრე გუმინდელთან შედარებით, მაგრამ ძალიან ფერმიხდილი, არეული და დაღვრემილი იყო. ერთი შეხედვით დაჭრილ ან ტკივილებით შეწუხებულ კაცს მოგაგონებდათ:

წარბეზმოდუმულს, ტუჩებმოკუმულს სახე ანთებიანს მიუგავდა. ლაპარაკით ცოტას, უგულოდ ლაპარაკობდა, თითქოს ძალას ატანს ვინმეო. მოძრაობის დროს კი დროდადრო რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა.

საკმარისი იყო, მხოლოდ ხელი ჰქონოდა შეხვეული, ან თითზე რამ ჩამოცმული, რომ თითდაწყლულეზულ ან ხელმოტეხილ კაცს დამსგავსებოდა.

დედისა და დის დანახვაზე ფერმიხდილი და დაღვრემილი სახე წამით თითქოს გაუნათდა, მაგრამ მის თვალებს ახლა წინანდელი მოწყენილობის მაგივრად რაღაც მძიმე ტანჯვა დააჩნდა. ნათელი გამომეტყველება მალე გაუქრა, მაგრამ ტანჯვა არა. ზოსიმოვიც ბეჯითად ადევნებდა თვალყურს, როგორც ავადმყოფის გატაცებით შემსწავლელი ახალგაზრდა ექიმი. ბოლოს გაკვირვებულმა შენიშნა, რომ დედისა და დის მოსვლამ კი არ გაახარა, უფრო დააფიქრა და გადააწყვეტინა, მხოლოდ ერთი-ორი საათით მოეთმინა როგორმე ეს ტანჯვა და თავი შეემაგრებინა. შენიშნა აგრეთვე, რომ თითოეული სიტყვა თითქოს რაღაც მის იარას ეხებოდა და ძლიერად სტკენდა. მაგრამ გაიკვირვა ისიც, რომ გუშინდელი მონომანი დღეს ასე მოხერხებულად იმაგრებდა თავს და გრძნობებს არვის უზიარებდა, გუშინდელივით ყოველ სიტყვაზე არა ბრაზობდა.

- დიახ, თვითონაც ვგრძნობ, რომ თითქმის კარგად ვარ, - თქვა რასკოლნიკოვმა და თან ალერსით გადაკოცნა დედაცა და დაც, რამაც პულხერია ალექსანდროვნას უცბად სახე მთლად გაუნათა, - მაგრამ გუშინდელივით როდი ვამბობ ამას, - მიუბრუნდა რაზუმინს და მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

- მე გამაოცა კიდეც, ისე კარგად დამიხვდა დღეს, - თქვა მოსულების დანახვით გახარებულმა ზოსიმოვმა, რომელსაც ამ ათი წუთის განმავლობაში, ეტყობოდა, ავადმყოფთან სალაპარაკო მასალა შემოლოვდა. - თუ ასე წავიდა საქმე, სამი-ოთხი დღის შემდეგ, იმედია, ისევე იქნება, როგორც ამ ერთი ან ორი თვის წინათ ყოფილა, იქნება სამი თვის წინათაც... უნდა იცოდეთ, რომ ეს სენი დიდი ხნის დაწყებულია... იქნებ გამოტყდეთ, რომ დანაშაული თქვენც მიგიძღვით? - დასძინა მან ფრთხილი ღიმილით, თითქოს ეშინია, კვლავ არაფრით ავადმყოფო.

- იქნება ეგრეც იყოს, - მიუგო გულცივად რასკოლნიკოვმა.

- იმიტომ ვამბობ, - განაგრძობდა წახალისებული ზოსიმოვი, - რომ თქვენი სავსებით გამოჯანმრთელება ახლა მხოლოდ და მხოლოდ თქვენზედვეა უმთავრესად დამოკიდებული. ახლა, როდესაც შეიძლება გულდამშვიდებით გელაპარაკოთ, მინდა გაგაგებინოთ, რომ თავდაპირველი მიზეზები, რომლებმაც თქვენი ავადმყოფობა გამოიწვია, უნდა როგორმე თავიდან აირიდოთ, რომ სრულებით განიკურნოთ, არადა შეიძლება უარესიც დაგემართოთ. რომელია და რა ხასიათისაა ეს მიზეზები, რასაკვირველია, მე არ ვიცი, მაგრამ თქვენ კი უთუოდ უნდა იცოდეთ. ვიცი, დიდად გონიერი ადამიანი ხართ და, მამასადამე, შენიშნავდით კიდეც, რა გაგიხდათ მიზეზად. ჩემი აზრით, თქვენი ავადმყოფობა უნივერსიტეტიდან გამოსვლას დაემთხვა. უსაქმოდ თქვენი დარჩენა არ შეიძლება. ამიტომაც შრომა და გარკვეული რამ მიზანი, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დაგეხმარებოდათ.

- დიახ, დიახ, სრულიად მართალს ამბობთ... აი, მალე უნივერსიტეტში შევალ ისევ და ყველაფერი გამოკეთდება...

თავისი გონივრული რჩევა, ცოტა არ იყოს, იმიტომაც დაიწყო ზოსიმოვმა, რომ დედისა და ქალის წინ თავი მოეწონებინა, მაგრამ საშინლად გაიკვირვა, როდესაც ლაპარაკი დაასრულა და შენიშნა, რომ რასკოლნიკოვს სახეზე დაცინვა დაეტყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით იყო. პულხერია ალექსანდროვნამ მაშინვე მადლობა გადაუხადა, განსაკუთრებით გუშინდელი ღამისათვის, რომ სასტუმროში მივიდა და შვილის მდგომარეობა აცნობა.

- როგორ, ღამითაც იყო განა თქვენსა? - დაეკითხა რასკოლნიკოვი, თითქოს შეაშფოთა ამ ამბავმაო. - ჩანს, მაშ, არც თქვენ გძინებიათ მგზავრობის შემდეგ?

- ეჰ, როდია, არაფერია, ორ საათამდე მხოლოდ, ამაზე ადრე შინაც არ ვიძინებდით არასოდეს.

- არ ვიცი სწორედ, რითი გადავუხადო მადლობა, - განაგრძობდა დაღვრემით თავჩაკიდული რასკოლნიკოვი. - ფულს, რა თქმა უნდა, თქვენთან ვერ ვახსენებ, - მაპატიეთ კი, რომ ეს წამომცდა (მიუბრუნდა ზოსიმოვს), - მაგრამ არ ვიცი სწორედ და ვერ გამიგია, თქვენი ასეთი ყურადღება რითი და როგორ დავიმსახურე? ვერ გამიგია... და... ცოტა მემძიმება კიდევ, იმიტომ რომ, გამოგიტყდებით, გაუგებარია.

- ნუ გაცხარდებით, - გაიცინა ძალდატანებით ზოსიმოვმა, - მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ჩემი პირველი ავადმყოფი ხართ: მორჩა და გათავდა. ის კი კარგად მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ექიმები საკუთარი ბავშვებით შეიყვარებენ ხოლმე პირველ ავადმყოფებს; ხშირად იმ ზომამდე, რომ მერე ვეღარც კი ივიწყებენ. მე ხომ ავადმყოფები ნაკლებადა მყავს!

- იმაზე ხომ სულ ვერაფერს ვიტყვი, - დასძინა რასკოლნიკოვმა და ხელი რაზუმინისაკენ გააშვირა, - შეურაცხყოფისა და წვალების მეტი ჩემგან არა მოაგონდება რა.

- ვერ უყურებთ ეშმაკს! რაო, რა ძალიან მოგლობია დღეს გული? - შეჰყვირა რაზუმინინმა.

ოდნავ მიხვედრილი და დაკვირვებული რომ ყოფილიყო რაზუმინინი, დაინახავდა, რასაკვირველია, რომ მგრძნობიარე განწყობილებისა არა იყო რა აქ, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო რამ ეძინებოდა ავადმყოფს. ავდოტია რომანოვნამ კი მაშინვე შენიშნა, რადგან ფხიზლად და შემფოთებით ადევნებდა ძმას თვალს.

- თქვენ კი, დედა, რა გითხრათ აბა, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი დილიდანვე გაზეპირებული გაკვეთილივით, - მხოლოდ დღეს წარმოვიდგინე, რარიგ დაიტანჯებოდით გუშინ ჩემს მოლოდინში, - თქვა ესა და უცბად დას გაუწოდა ღიმილით ხელი. მაგრამ გულითადი და წრფელი იყო ეს ღიმილი, ეს მისი გრძნობა. გახარებულმა და მადლიერმა დამაც მაშინვე მაგრად ჩამოართვა ხელი. გუშინდელი უსიამოვნების აქეთ ასე პირველად მიმართა დას რასკოლნიკოვმა. დედასაც მაშინვე აღტაცება და ბედნიერება დაეტყო სახეზე, რომ და-ძმა ასე უჩუმრად და საბოლოოდ შეურიგდა ერთმანეთს.

- აი, ამისათვის არის, რომ მიყვარს ეს ადამიანი! - წაიდუდუნა რაზუმინინმა, რომელმაც ყველაფრის გაზვიადება იცოდა, და მხნედ შემოტრიალდა სკამზე, - ზოგჯერ მოუვლის ხოლმე რაღაცა!..

„მერე ყველაფერი რა კარგად მოუვა ხოლმე“, - ფიქრობდა თავისთვის დედა. - „რა კეთილშობილური მიდრეკილება აქვს და როგორ უბრალოდ, გულისხმიერი სინაზით დაასრულა თავისი გუშინდელი წყენა დისა, მხოლოდ იმითი, რომ ხელი გაუწოდა და გულით გადახედა... რა საუცხოო თვალეები აქვს, რა მშვენიერი სახე!.. დუნეჩკასაც კი სჯობია თითქმის... მაგრამ, ოჰ, ღმერთო ჩემო, ტანთ როგორ აცვია!.. აფანასი ივანიჩს რომ დუქანში ვასია ბიჭი ჰყავს აქა-იქ სარბენლად, ამაზე უკეთ აცვია!.. მინდა, აი, გულით მენატრება, ვეცე ახლავე და გულში ჩავიკრა, დავკოეცნო... და ვიტყვი თან... მაგრამ რომ მეშინია, მეშინია... როგორ გამხდარა, ღმერთო ჩემო! აი, ხომ ალერსიანად ლაპარაკობს, მაგრამ მაინც მეშინია! რად მეშინია, ნეტა?“

- ეჰ, როდია, არ დაიჯერებ, - ჩამოართვა უცბად დედამ, - ან მე ან დუნეჩკა რა უბედურები ვიყავით გუშინ!.. ახლა, როცა ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა და ისევ ბედნიერები ვართ, შეიძლება გაიმბოთ კიდევ. წარმოიდგინე, მოვრბივართ გაცხარებულები, თითქმის პირდაპირ რკინიგზის ვაგონიდან, რომ გულში ჩავიკრათ და უცბად ეს დედაკაცი, - ჰო, აგერ, ისიც! - გამარჯობა, ნასტასია!.. - გვეუბნება უცბად, რომ ხურვებით ხარ ავად და ეს არის, სადღაც გაჰქცევიხარ ექიმს, სიცხიანი ქუჩაში გაპარულხარ და წამოსულან შენს სამებნელად. ვერ წარმოიდგენ, რა ყოფაში ვიყავით! წარმომიდგა უცბად, როგორ საზარლად დაილუპა პორუჩიკი პოტანჩიკოვი, ჩვენი ნაცნობი და მამაშენის მეგობარი, - შენ ის არ გახსოვს, როდია, - იმასაც ხურვება ჰქონდა, გავარდნილიყო შენსავით გარეთ და ჭაში კი ჩამხრჩვალყო. მეორე დღესლა ამოათრიეს მკვდარი. ჩვენ ხომ უაღრესად გავაზვიადეთ ყველაფერი. გვინდოდა პეტრ პეტროვიჩი მოგვეძებნა, რომ იმის შემწეობით მაინც როგორმე... იმიტომ რომ სრულიად მარტონი ვიყავით, - როგორღაც საცოდავად გააგრძელა ხმა, მაგრამ უცბად სულ მთლად ჩაუწყდა, რაკი მოაგონდა მაშინვე, რომ პეტრ პეტროვიჩის გახსენება სახიფათო იყო მეტად, თუმცა ახლახან ფიქრობდა, „ყველანი ისევ ბედნიერები ვართო“...

- დიახ, დიახ... რასაკვირველია, ყველაფერი ეს არაფერი სასიამოვნოა... - წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა, მაგრამ ისე დაფანტულად და უყურადღებოდ, რომ დუნეჩკამ გაკვირვებით შეხედა - რა უნდა მეთქვა კიდევ, - განაგრძობდა ჩაფიქრებული და ცდილობდა, მოეგონებინა, - ჰო, მართლა: არ იფიქროთ, გეთაყვა, დედა, და არც შენ, დუნეჩკა, ვითომ წამოსვლა და თქვენი ნახვა არა მდომოდეს და თქვენს აქ მოსვლას ვუცდიდი ვითომ.

- აბა, რას ამბობ, როდია! - შეჰყვირა ასევე გაკვირვებულმა პულხერია ალექსანდროვნამ.

- „რა, მოვალეობას ასრულებს და იმიტომ გველაპარაკება ასე, თუ რა არის? - გაიფიქრა დუნეჩკამ, - გვირიგდება და ბოდიშს იხდის ისე, თითქოს სამსახურს ასრულებდეს, ან გაზეპირებულ გაკვეთილს გვეუბნებოდეს“.

- ეს იყო გავიღვიძე და მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ ტანისამოსმა დამაგვიანა; დამავიწყდა, გუშინვე მეთქვა... ნასტასიასათვის... რომ სისხლი გამოერეცხა... ეს-ეს არის ჩავიცვი ტანთ.

- სისხლი! რის სისხლი? - შეჰყვირა გულგახეთქილმა პულხერია ალექსანდროვნამ.

- არაფერია... ნუ შეგეშინდებათ. გუშინ, სიცხიანი რომ დავეხეტებოდი, გასრესილ კაცს წავაწყდი ქუჩაში... ერთ მოხელეს და იმისგან მომეცხო....

- როგორ თუ სიცხიანი? ხსომებით რომ ყველაფერი მშვენივრად გახსოვს, - გააწყვეტინა რაზუმინმა.

- ეგ მართალია, - დაეთანხმა როგორღაც განსაკუთრებული მონდომებით რასკოლნიკოვი, - ყველაფერი მახსოვს, თითქმის დაწვრილებით, მაგრამ: რად მოვიქეცი ისე, სად ვიყავი, ან რას ვამბობდი, ამას კი კარგად ვერ აგიხსნით.

- ცნობილი მოვლენაა, - ჩაერთა ზოსიმოვი, - საქმეს სამაგალითოდ, ოსტატურად შეასრულებენ ხოლმე, მაგრამ მოქმედების საწყისი მოშლილი აქვთ და სხვადასხვა ავადმყოფურ შთაბეჭდილებაზე დამოკიდებული. ძილსა ჰგავს.

„ეს იქნებ სახეიროც იყოს, რომ შეშლილად მთვლის“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- საღი ადამიანებიც ხომ თითქმის ასევე იქცევიან, - შენიშნა დუნეჩკამ და შეწუხებული სახით გადახედა ზოსიმოვს.

- სრულიად სამართლიანი შენიშვნაა, - მიუგო ზოსიმოვმა, - ამ მხრივ, მართლაც, ყველანი შეშლილებივით ვართ თითქმის, იმ მცირე განსხვავებით მხოლოდ, რომ „ავადმყოფები“ რამდენადმე გვაჭარბებენ. ამიტომ საჭიროა, უთუოდ საზღვარი ვიცოდეთ. უნაკლო და ჰარმონიული კაცი მართლაც თითქმის სრულიად არ მოიძებნება; ასში და ათასში მხოლოდ ერთია ასეთი და ისიც მოიკოჭლებს.

„შეშლილის“ ხსენებაზე, მოუფიქრებოდა რომ წამოსცდა ზოსიმოვს თავის საყვარელ თემაზე ლაპარაკის დროს, თითქმის ყველამ შეიჭმუხნა სახე. რასკოლნიკოვი კი იჯდა ჩუმად, დაფიქრებული, თითქოს ყურადღებას არც კი აქცევდა, და უცნაური რამ ღიმი უკრთოდა მკრთალ ტუჩებზე. რაღაც ფიქრსა და საგონებელში იყო.

- მერე რაო, რას ამბობდი იმ გასრესილ კაცზე? გააწყვეტინე წელან! - შესძახა საჩქაროდ რაზუმინმა.

- რა იყო? - თითქოს გამოფხიზლდაო, - რა და ის, რომ... სისხლი მომეცხო, სახლში გადაყვანას რომ ვშველოდი.. მართლა, დედა, მიუტევებელი რამ ჩავიდინე გუშინ; თითქოს მართლაც ჩემს ჭკუაზე არა ვყოფილიყო. რაც ფული მივიღე თქვენგან, გუშინ სულ იმის ცოლს... მივეცი... ქმრის დასამარხად. საცოდავი ჭლექიანი ქვრივი... და სამი პატარა ობოლი ახლა მშვირები არიან... ცარიელ სახლში... ჰყავთ კიდევ ერთი ქალი... რომ გენახათ, იქნებ თქვენც კი მიგეცათ, ვინ იცის... მაგრამ ეს არის, მე არა მქონდა არავითარი უფლება მიცემისა, მით უფრო, რომ ვიცოდი კარგად, რა წვალებითა და ვაივაგლახით გქონდათ ნაშოვნი. ადამიანი რომ ვისმე ეხმარებოდეს, ჯერ უფლება უნდა ჰქონდეს ამისი, თორემ „Crevez chiens, si vous n'etes pas contents“ [19], - და გაიცინა. - ასეა, დუნია, თუ არა?

- სრულიადაც არა, - მიუგო მტკიცედ დუნია.

- ეჰა! ეტყობა შენც... განზრახვანი გქონია!.. - წაიბუტბუტა რასკოლნიკოვმა, თან თითქოს სიძულვილით და დაცინვით გადახედა და გაიღიმა. - საჭირო იყო, მომესაზრა... საქებარია; შენთვისვეა უკეთესი... მაგრამ მიაღწევ იმ საზღვრამდე, რომელსაც თუ გადააბიჯე, უბედური შეიქნები, არ გადააბიჯებ და იქნებ უარესიც

იყოს... მაგრამ ყველა ეს სისულელეა! - დასძინა გაბრაზებულმა, რომ თავს ნება მისცა და ამდენი ილაპარაკა. - მინდოდა მეთქვა მხოლოდ, დედა, რომ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, მორჩა და გათავდა, - დაასკვნა მკვახედ და სხარტად.

- კმარა, როდია, იცოდე, დარწმუნებული ვარ, რომ რასაც კი სჩადიხარ, ყველაფერი მშვენიერია! - უპასუხა გახარებულმა დედამ.

- არა, მაგას კი ნუ დაიჯერებთ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და თან პირი როგორღაც გასაღიმებლად დაედრიჯა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. მთელ ამ ლაპარაკს, შერიგებას, პატიებასა და დუმილს რაღაც ძალდატანება ემჩნეოდა. ამას ყველა გრძნობდა.

„მართლაცდა, თითქოს ეშინიათ ჩემი“, - ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და თან დედას და დას ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა. მართლაც, ასე იყო: რაც უფრო მეტად დუმდა პულხერია ალექსანდროვნა, იმდენად უფრო მეტად იპყრობდა შიში.

„შორიდან კი თითქოს მიყვარდნენ“, - გაუელვა თავში რასკოლნიკოვს.

- იცი, როდია, მარფა პეტროვნა ხომ გარდაიცვალა! - წამოიძახა უცბად პულხერია ალექსანდროვნამ.

- ვინ მარფა პეტროვნა?

- ოჰ, ღმერთო ჩემო, მარფა პეტროვნა სვიდრიგაილოვისა! გახსოვს, იმდენსა გწერდი იმაზე.

- ჰო-ო-ო! მახსოვს, მახსოვს... გარდაიცვალა? მართლა? - და შეხტა უცბად, თითქოს ახლა გაეღვიძაო. - ნუთუ მართლა? რითი მოკვდა, რა იყო?

- წარმოიდგინე, უცბად! - დაიწყო საჩქაროდ შვილის ჩაკითხვით გამხნეებულმა პულხერია ალექსანდროვნამ, - მერე სწორედ მაშინ, წერილს რომ გწერდი, თითქმის იმავე დღეს! წარმოიდგინე, მგონი, მიზეზად ის საზარელი კაცი გაჰხდომია. ამბობენ, საშინლად უცემია თურმე.

- როგორ, აგრე ცხოვრობდნენ განა? - დაეკითხა რასკოლნიკოვი დას.

- პირიქით, მოთმინებითა და ზრდილობიანად ეპყრობოდა ცოლს. ბევრ შემთხვევაში თითქმის უზომოდ უთმობდა ქალს, მთელი შვიდი წელიწადი... მერე კი უცბად დაკარგა მოთმინება.

- მაშ, არც ისე საზარელი ყოფილა, თუ შვიდი წელიწადი უთმენია. შენ, მგონი, ამართლებ კიდევ!

- არა, არა! სულაც არა. საშინელი ადამიანია! უსაზარლესი აღარც კი წარმომიდგენია, - უპასუხა აკანკალებულმა დუნია და წარბები მოლუშა, ფიქრმა მოიცვა.

- ეს იყო დილით, - დაიწყო ისევ საჩქაროდ პულხერია ალექსანდროვნამ. - უბრძანა თურმე მაშინვე მარფა პეტროვნამ, ცხენები შეებათ და სადილის შემდეგ ქალაქს დააპირა წასვლა, რადგანაც ამგვარი შემთხვევის დროს უთუოდ ქალაქისკენ გასწევდნენ ხოლმე. ამბობენ, მადიანად ისადილაო...

- ნაცემმა?

- ეს ჩვეულება კი, მართალია, მუდამა ჰქონდა... როგორც კი ისადილა, რომ არ დაეგვიანა, მაშინვე თურმე საბანაოდ წავიდა; თურმე ექიმობდა ბანაობით; ცივ წყალში ბანაობდა ყოველდღე. მაგრამ ჩავიდა თუ არა წყალში, მაშინვე წვეთი დაეცა და გაათავა.

- რასაკვირველია, აგრე მოუვიდოდა! - დაასკვნა ზოსიმოვმა.

- მერე, ძალიან სცემა?

- სულ ერთი არ არის განა, - გამოელაპარაკა დუნია.

- ჰმ! ნეტავი თქვენ, დედა, რომ ასეთ სისულელეზე ლაპარაკობთ, - როგორღაც უნებლიეთ შენიშნა გაბრაზებულმა რასკოლნიკოვმა.

- ეჰ, რა მექნა, აღარ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა, - ამოხდა გულიდან პულხერია ალექსანდროვნას.

- რა ამბავია, ყველას გეშინიათ ჩემი, თუ რა არის? - თქვა რასკოლნიკოვმა და უსიამოვნოდ გაიღიმა.

- მართლაც რომ აგრეა, ძმაო, - მიუგო დუნიამ და პირდაპირ და მკაცრად შეხედა. - დედა თითქმის პირჯვარს იწერდა შიშით, კიბეზე რომ ამოდიოდა.

რასკოლნიკოვს მთლად დაედრიჯა სახე.

- რა დაგემართა, დუნია! ნუ გაჯავრდები, გეთაყვა, როდია!.. აბა, რად ამბობ, დუნეჩკა! - დაუწყო ყვედრება ქალს. - მართალს გეუბნები, მთელი გზა სულ იმას ვოცნებობდი: ჩავალ, ერთმანეთსა ვნახავთ, ყველაფერს ვუამბობთ-მეთქი ერთმანეთს... ისე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მგზავრობა არც კი შემიტყვია! მაგრამ რას ვამბობ ან კი!.. მე ახლაც ბედნიერი ვარ... ტყუილად ვამბობ, დუნია, ვითომ... თუნდაც იმითი ვარ მარტო ბედნიერი, რომ შენ გხედავ, ჩემო როდია...

- კმარა, დედაჩემო, - წაიბუტბუტა შემკრთალმა რასკოლნიკოვმა და თან ხელი მოუჭირა, - მაგასაც მოვესწრებით!

უთხრა ეს და დაიბნა, უცბად გაფითრდა, ერთმა საზარელმა შეგრძნებამ, ამას წინათაც რომ ჰქონდა, სისხლი გაუყინა. აშკარად იგრძნო, რომ საზარლად იცრუა, არამცთუ დედათან ეღირსება ლაპარაკს, სხვასთანაც აღარავისთან ექნება ამას იქით სალაპარაკო. ისე მტანჯველი და ძლიერი იყო ამის შეგრძნება, რომ ერთ წამს სრულიად გაბრუებული იჯდა; წამოდგა მერე, აღარავისთვის შეუხედავს და ოთახიდან გასვლა დააპირა.

- რას სჩადიხარ? - შეუყვირა რაზუმინინმა და ხელი წაავლო.

რასკოლნიკოვი ისევ დაჯდა და დაიწყო ჩუმად აქეთ-იქით ყურება. ყველანი გაშტერებულიები შეჰყურებდნენ.

- ყველა აგრე რამ მოგაწყინათ! - წამოიძახა უცბად, - აგრე რას სხედხართ? რაღას უცდით! ვილაპარაკოთ... შეკრებილხართ და გაჩუმებულხართ... აბა, თქვით რამე!

- მადლობა ღმერთს! მე კი მეგონა, გუშინდელივით დაემართა-მეთქი! - დაიმშვიდა გული პულხერია ალექსანდროვნამ და პირჯვარი გამოისახა.

- რა დაგემართა, როდია? - დაეკითხა უნდობლად ავდოტია რომანოვნა.

- არაფერი, ისე, რაღაც მომაგონდა, - მიუგო და უცბად გაიცინა.

- თუ სასაცილო რამ იყო, კიდევ არაფერი, კარგია! თორემ მეც კი მგონია... - წაიდუდუნა ზოსიმოვმა და თან დივანიდან წამოდგა, - მაგრამ დროა წავიდე; იქნება კიდევ შემოვიარო... თუ აქ იქნებით...

გამოეთხოვა და წავიდა.

- რა საუცხოო კაცია! - შენიშნა პულხერია ალექსანდროვნამ.

- დიახ, საუცხოო, მშვენიერი, განათლებული და ჭკვიანი კაცია... - დაიწყო უცბად სხაპასხუპით და რაღაც უჩვეულოდ ცოცხლად რასკოლნიკოვმა. - არ მახსოვს კარგად, მაგრამ ავადმყოფობამდე სადღაც მინახავს თითქოს... მგონი სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს... აი, ესეც კაი კაცია! - ანიშნა რაზუმიხინზე. - მოგწონს, დუნია? - დაეკითხა დას და უცბად რაღაცაზე ისევ გაიცინა.

- ძალიან, - მიუგო დუნიამ.

- ფუ, რა ღორი რამა ხარ! - უსაყვედურა დარცხვენილმა და გაწითლებულმა რაზუმიხინმა და სკამიდან წამოდგა.

პულხერია ალექსანდროვნამ ოდნავ გაიღიმა, რასკოლნიკოვმა გადაიხარხარა.

- საით, საით?

- მივდივარ... საქმე მაქვს.

- არაფერი საქმეც არა გაქვს! აქაოდა, ზოსიმოვი წავიდა, შენც უნდა უთუოდ უკან გამოედევნო? ნუ წახვალ... რომელი საათია? თორმეტი არ არის ჯერ? რა მშვენიერი საათი გაქვს, დუნია! დაო, რას გაჩუმდით? ისევ და ისევ მე ვლაპარაკობ სულ!..

- მარფა პეტროვნას საჩუქარია, - უპასუხა დუნიამ.

- ძვირფასია თანაც, - დასძინა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ა-ჰ-ა! რა დიდია, ქალისას სრულიად არ ჰგავს.

- მე ასეთი მომწონს, - უპასუხა დუნიამ.

„მაშ, საქმროს საჩუქარი არ ყოფილა“, - გაიფიქრა რაზუმიხინმა და რატომღაც გაეხარდა გულში.

- მე კი მეგონა, ლუჟინის საჩუქარია-მეთქი, - შენიშნა რასკოლნიკოვმა.

- არა, ჯერ არა უჩუქებია რა, - აუხსნა დედამ.

-ა-ჰა-ა! გახსოვს, დედა, მეც მიყვარდა და მინდოდა შემერთო კიდეც, - დაიწყო უცბად რასკოლნიკოვმა და თან დედას დააშტერდა, რომელსაც ამ ამბის მოულოდნელმა გახსენებამ და ლაპარაკის კილომ მთლად თავგზა აუბნია.

- როგორ არა, ჩემო კარგო, მახსოვს!

პულხერია ალექსანდროვნამ დუნეჩკას და რაზუმიხინს გადახედა.

- ჰმ!.. ჰო! თუმცა რა გიამბოთ? თითქმის აღარა მახსოვს რა. ავადმყოფი გოგო იყო, - განაგრძობდა ისევ დაფიქრებული და თავჩაღუნული, - მთლად დასნეულებული; უყვარდა გლახაკთა განკითხვა და მონასტრებზე ოცნება; ერთხელ კინაღამ ცრემლად დაიქცა, რომ მიაშობდა ამას; დიახ, დიახ... მახსოვს... კარგად მახსოვს. გონჯი რამ იყო... მეტად. არ ვიცი სწორედ, რად შემვივარდა გული, იქნებ იმიტომაც, რომ ავადმყოფობდა... კოჭლი და კუზიანი რომ ყოფილიყო, მგონი, უფროც შემვივარდებოდა (გაიღიმა ჩაფიქრებულმა)... დიახ... რაღაც გაზაფხულის ბოდვა იყო...

- არა, ძმაო, ტყუილია, მარტო ბოდვას არ მიეწერება, - შენიშნა დუნეჩკამ.

ყურადღებითა და დაკვირვებით გადახედა რასკოლნიკოვმა დას, მაგრამ ვერა გაიგო რა, რა უთხრა. წამოდგა მერე ღრმად დაფიქრებული, მივიდა დედასთან, აკოცა, მობრუნდა და თავისსავე ალაგას დაჯდა.

- როგორ, ახლაც გიყვარს განა? - შეეკითხა გულაჩუყებული დედა.

- ვინა? ის? ახლაც მიყვარს? ჰო, მართლა... იმაზე მეკითხებით! არა, არ მიყვარს. თითქოს საიქიოს ამბავი იყოს ყველა ეს... ვინ იცის, როდის მომხდარი... ისედაც ეს ყველაფერი თითქოს სააქაოს არ ხდება.

კვლავ ყურადღებით გადახედა მათ რასკოლნიკოვმა.

- აი, თქვენც... თითქოს ათასი ვერსის მანძილიდან გიყურებდეთ... ეშმაკმა იცის, ან რად ვლაპარაკობთ ამას! ან რად კითხულობთ? - დასძინა გულმოსულმა და გაჩუმდა; თან ჩაფიქრებული ფრჩხილებს იკვნეტდა.

- რა სამაგელი ბინა გაქვს, როდია, კუბოს წააგავს სწორედ, - დაარღვია უცბად მძიმე სიჩუმე პულხერია ალექსანდროვნამ; - დარწმუნებული ვარ, შენი ავადმყოფობის მიზეზი სანახევროდ ეს ბინაც არის.

- ბინა?.. - მიუგო დაბნევით. - მართალს ამბობთ, მგონია... მეც ვფიქრობდი მაგას... მაგრამ რომ იცოდეთ, დედა, რა უცნაური აზრი გამოთქვით ახლა, - დასძინა უცბად და უცნაურად გაიღიმა.

ცოტა ხანს კიდეც, და მთელი ეს საზოგადოება, მახლობლები და ლაპარაკის ნათესაური კილო, იმ დროს, როცა ვერაფერზე შეძლეს საუბარი, უთუოდ სრულიად შესძულდებოდა სამი წლის უნახავ შვილს. მაგრამ იყო აქ ერთი ისეთი საქმეც, რომლის გადადება სხვა დროისათვის შეუძლებელი და მოუხერხებელი იქნებოდა. ასე გადაწყვიტა დილითვე, გაიღვიძა თუ არა. გახარებული ახლა ამ საქმეს, როგორც გამოსავალს, ისე ჩაეჭიდა.

- აი რას გეტყვი, დუნია, - დაიწყო დინჯად და მკაცრად რასკოლნიკოვმა, - გუშინდელის გამო, რასაკვირველია, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მოვალეობად ვთვლი გამოგიცხადო, რომ უმთავრესზე უკან არ ვიხევ. ან მე უნდა ვიყო, ან ლუჟინი. დეე, მე საზიზღარი ვიყო; შენ არ უნდა იყო ასეთი. ჩვენგან ერთი უნდა იყოს საზიზღარი. მაგრამ მისთხოვდები თუ არა ლუჟინს, იმ დღიდან დად აღარ ჩაგთვლი.

- როდია, როდია! ეს ხომ ისევ გუშინდელი ამბავია! - შესძახა შეწუხებულმა პულხერია ალექსანდროვნამ, - ან რად ეძახი შენს თავს საზიზღარს, მე ამის ატანა არ შემეძლია! გუშინაც ასე იყო.

- ძმაო, - მიუგო ასევე მტკიცედ და მკაცრად დუნია, - შემცდარი ხარ სწორედ. დიდხანს ვიფიქრე წუხელ და ნამდვილად დავრწმუნდი, რომ სცდები. საქმეც ის არის, რომ შენ გგონია, ვითომ მე ვიღაცის გულისთვის ვეწირებოდე მსხვერპლად. მაგრამ ტყუილია ეგ შენი ფიქრი; გათხოვებას ჩემი მძიმე მდგომარეობა მაიძულებს. ხოლო რაც შეეხება მახლობელთა და ნათესავების დახმარებას, რასაკვირველია, ვცდები, მაგრამ ჩემი გათხოვების უმთავრესი მიზეზი სრულიადაც ეს არ არის...

„ტყუის! - ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და თან სიბრაზისაგან ფრჩხილებს იკვნეტდა. - ამაყია და იმიტომ! არ უნდა გამოტყდეს, რომ კეთილისმყოფელობით მოსდის! თავმოყვარეა და ზვიადი! ო, ხასიათით მდაბალნო! სიყვარულითაც კი ისე გიყვართ, თითქოსა გძულდეთ... ო, როგორ... მძულხართ ყველანი!“

- ერთი სიტყვით, პეტრ პეტროვიჩზე იმიტომ ვთხოვდები, - განაგრძობდა დუნეჩკა, - რომ მინდა უარესს დავაღწიო თავი. გადაწყვეტილი მაქვს, პატიოსნად შევასრულო ყოველივე, რასაც კი ჩემგან მოელის; მაშასადამე, მოტყუება სულაც არა მაქვს ფიქრად... აგრე საეჭვოდ რისთვის იღიმები?

ავდოტია რომანოვნაც აენტო, თვალებში რისხვამ გაუელვა.

- ყველაფერს შეასრულებ? - დაეკითხა რასკოლნიკოვი და გესლიანად ჩაეცინა. - დიახ, გარკვეულ საზღვრამდე. თვით დანიშვნამ დამანახვა, რა შეიძლება მომთხოვოს. რასაკვირველია, თავის თავს დიდად და გაზვიადებულად აფასებს, მაგრამ იმედი მაქვს, მეც მაფასებს... კიდევ იცინი, რატომ?

- მაშ რაღად წითლდები? ვიცი, დაო, ცრუობ და ცრუობ განგებ, ქალური ჯიუტობით, რა არის, შენი გაიყვანო... ვიცი, ლუჟინის პატივისცემა არ შეგიძლია; ვნახე, რაც არის, და ველაპარაკე კიდევ. მაშასადამე, ფულისთვის ჰყიდი თავს და მდაბლად იქცევი. მიხარია, რომ გრცხვენია მაინც და წითლდები!

- სტყუი, არა ვცრუობ!.. - შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა დუნეჩკამ. - არასოდეს არ მივთხოვდები, თუ დარწმუნებული არ ვიქნები, რომ მაფასებს; არ მივთხოვდები არასოდეს, თუ ვნახავ, რომ პატივს არა ვცემ. ამაში კი, საბედნიეროდ, დავრწმუნდები უთუოდ და იქნება დღესვე. ასეთი ქორწინება კი არასოდეს ფლიდობა და სულმდაბლობა არ იქნება, როგორც იძახი! მაგრამ თუნდ აგრეც იყოს და ვცდებოდე, შებრალება არ უნდა იქონიო და აგრე უნდა მომეპყრა განა? რად ითხოვ ჩემგან გმირობას, როდესაც იქნებ შენც არა ხარ გმირი? ეს არის მხოლოდ დაჯაბნა და ძალადობა! თუ ვისმე დავღუპავ, იცოდე, მხოლოდ ჩემს თავს დავღუპავ, სხვას არავის... ჯერ ხომ არავინ მომიკლავს! ყელი არავისათვის გამომიჭრია!.. აგრე რად მიცქერი? რად გაფითრდი? რა დაგემართა, როდია? როდია, ძმაო!..

- ღმერთო ჩემო! გული არ შეუღონა! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

- არა, არა... სისულელეა... არაფერია!.. თავბრუ დამეხვა. გული როდი შემღონებია... გულის შეღონება რას მიქვია!.. ჰმ! დიახ... რა უნდა მეთქვა? დიახ: როგორ? დღესვე დარწმუნდები, დღესვე, რომ პატივისცემის ღირსია იგი და თვითონაც... პატივსა გცემს და გაფასებს... აგრე თქვი, ვგონებ, არა? დღესვეო განა? ან იქნებ ყური ვედარ მოვკარი კარგად?

- აბა, დედა, უჩვენე, რას იწერება პეტრ პეტროვიჩი, - მიმართა დედას დუნეჩკამ.

აკანკალებულმა დედამ წერილი გადასცა. ყურადღებით ჩამოართვა რასკოლნიკოვმა, მაგრამ ვიდრე გახსნიდა, ჯერ დუნეჩკას გადახედა გაკვირვებულმა.

- უცნაურია, - წარმოთქვა მძიმედ, თითქოს უცბად ახალმა რამ ფიქრმა გაუელვაო, - რისთვის ვიწუხებ თავს? რისთვის ვყვირი? გათხოვდი, ვისზედაც გინდოდეს!

ყველაფერი ეს თითქოს თავისთვის თქვა, მაგრამ ხმამაღლა და დას რამდენსამე ხანს გაშტერებული და დაფიქრებული უყურებდა.

გახსნა ბოლოს წერილი, ისევ ისე გაოცებულმა, და მძიმედ და ყურადღებით გადაიკითხა ორჯერ. განსაკუთრებით მოუსვენრობდა პულხერია ალექსანდროვნა. საზოგადოდ ყველა რაღაც საგანგებოს მოელოდა.

- მიკვირს სწორედ, - დაიწყო მცირე ფიქრის შემდეგ და წერილი დედას გაუწოდა, მაგრამ არავის კერძოდ ეს მისი სიტყვები არ შეეხებოდა, - კაცს საქმეები აქვს ნაკისრი, ვეჭილობს, ლაპარაკშიაც თავი ისე მოაქვს, ვითომ... რაღაც იყოს, ასე შეცდომებით კი წერს.

ყველა შეირხა; ამას სრულიად არ მოელოდნენ.

- ისინი ხომ ყველანი აგრე წერენ, - შენიშნა რაზუმიხინმა.

- როგორ, შენც წაიკითხე განა?

- დიახ.

- ჩვენ ვუჩვენეთ, როდია... რჩევას ვთხოვდით, - დაიწყო დარცხვენით პულხერია ალექსანდროვნამ.

- ნამდვილი რომ ვთქვათ, სასამართლოს ენით არის ნაწერი, - გააწყვეტინა რაზუმიხინმა. - დღემდე სულ ასე წერენ სასამართლოს ქაღალდებს.

- სასამართლოსი? დიახ, აგრეა! საქმიანობა ეტყობა... არ ითქმის, ძალიან უცოდინარი იყოს დამწერი, მაგრამ არც დიდი მცოდნე ჩანს; საქმის კაცია, ეტყობა!

- პეტრ პეტროვიჩი არც ძალავს, რომ სისხლის ფასად აქვს ანბანი ნასწავლი, პირიქით, თავიც კი მოაქვს, რომ გზა თვითონ გაუკაფავს, - შენიშნა ძმის შენიშვნით მცირედ ნაწყენმა ავდოტია რომანოვნამ.

- მოსწონს და საბაბიც აქვს, - წინააღმდეგი არა ვარ. შენ, ჩემო დაო, გეწყინა, მგონი, რომ მთელი წერილიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე და გგონია, ვითომ განზრახ

ვლასპარაკობდე ასეთ უბრალო რამეზე, რომ ჯიბრით მეტად გისაყვედურო. პირიქით, ნაწერის გამო აზრად მომივიდა ერთი მეტად საყურადღებო შენიშვნა. წერილში ერთ ადგილას ნათქვამი აქვს: „თქვენ მე ნურას დამემდურებითო“, რითაც მეტად ნათლად და აშკარად გემუქრებათ, რომ გაგშორდებათ იმავე წამს, როგორც კი თქვენთან მნახავს. მაშასადამე, გემუქრებათ პირდაპირ, რომ თუ არ გაუგონებთ, თავს დაგანებებთ, და ეს ახლა, როცა პეტერბურგში ჩამოგიყვანათ. როგორა გგონიათ: შეიძლება ისევე გეწყინოთ ლუჟინისაგან, როგორც ეს შეიძლება გწყენოდათ, ამას (რაზუმიხინზე აჩვენა), ან ზოსიმოვს, ან რომელიმე ჩვენგანს რომ მოეწერა?

- ა-არა, - მიუგო ცოცხლად დუნია, - მაგას მეც მაშინვე მივხვდი, რომ მეტად დაუფიქრებლად მოსვლია, მაგრამ იქნებ იმიტომაც, რომ წერა არ ემარჯვება... ეს შენ ნამდვილი თქვი, ძმაო. მე არც მოველოდი...

- სასამართლოს ენით არის გამოთქმული და ამიტომ შეიძლება ძალაუბნებურად უხეშად მოუვიდა. მაგრამ მოგიყვან სხვა მაგალითსაც ამ წერილიდან, რომელიც ჩემზე არის განგებ საზიზღრად მოჭორილი. გუშინ ფული გადავეცი ჭლექიან ქვრივს, საცოდავს, სიღარიბით შეწუხებულს „ვითომდა დასამარხად“ კი არა, როგორც ლუჟინი მწამებს, ნამდვილად დასამარხად, და თვითონ დედას და არა ქალს, რომელსაც „საზიზღარ ყოფაქცევისად“ გაცნობთ (და რომელიც მხოლოდ გუშინ ვნახე პირველად). აქ მე სხვას ვერასა ვხედავ, გარდა იმისა, რომ განზრახვა ჰქონია, რაც შეიძლება მეტი ჩირქი მოეცხო ჩემთვის და ერთმანეთს წავჩხუბებოდით. მაგრამ ეგ არის უბედურება, რომ ისევ სასამართლოს ენითვე აქვს ყველა ეს გამოთქმული და მასთან მიზანაც ერთობ აჩქარებითა და გულუბრყვილოდ გამჟღავნებული. ეტყობა, ჭკვიანია, მაგრამ გონივრულად რომ მოიქცეს კაცი, ამისათვის მარტო ჭკუა როდია საკმარისი. ყველა ეს მშვენივრად ახასიათებს იმის ადამიანობას... ამიტომ ვფიქრობ, არც შენ გაფასებს დიდად. მაგრამ, იცოდე, ყოველივე ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ რჩევა მოგცე... გულწრფელად მსურს შენთვის კეთილი.

დუნეჩკას აღარ უპასუხნია. წელანვე ჰქონდა ყველაფერი გადაწყვეტილი და საღამოსღა უცდიდა.

- მაშ, როგორ გადაწყვიტე, როდია? - დაეკითხა პულხერია ალექსანდროვნა წელანდელზე უარესად შეწუხებული, რომ ასე ს ა ქ მ ი ა ნ ი კილოთი იწყო ლასპარაკი როდიონმა.

- რაო, რა უნდა „გადაწყვიტო“?

- რა და ის, პეტრ პეტროვიჩი რომ იწერება შენზე: საღამოთი რომ მოვალ, როდია ნუ იქნება თქვენსაო. რას აპირებ... მოხვალ თუ არა?

- ეგ, რასაკვირველია, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ და არა მე. თუკი ასეთი წინადადება არ შეურაცხყოფთ არც თქვენ და არც დუნიას. მე კი მოვიქცევი ისე, როგორც თქვენთვის სამჯობინო იქნება, - მიუგო მან ცივად.

- დუნეჩკამ უკვე გადაწყვიტა და მეც ვეთანხმები, - დააჩქარა განმარტება პულხერია ალექსანდროვნამ.

- გადაწყვიტე, როდია, რომ უთუოდ შენც დაესწრო, ხომ მოხვალ? - დაეკითხა ავდოტია რომანოვნა.

- მოვალ.

- გთხოვთ, თქვენც მობრძანდეთ საღამოს რვა საათისათვის, - მიმართა ახლა რაზუმინს, - დედა, ამასაც ვთხოვ.

- საუცხოოა, დუნეჩკა, როგორც გადაწყვიტეთ, - დასძინა პულხერია ალექსანდროვნამ, - ისეც იყოს, ჩემთვისაც უკეთესია, აგრე სჯობია; პირფერობა და ცრუობა არ მიყვარს; სჯობს, ყველამ სიმართლე ვილაპარაკოთ... ახლა გინდ გაჯავრდი და გინდა არა, პეტრ პეტროვიჩ!

IV

გაიღო ამ დროს ჩუმად კარი და ოთახში შემოვიდა მოკრძალებით ვიღაც ქალი. ყველამ გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შეხედა. რასკოლნიკოვმა პირველი შეხედვით ვერც კი იცნო. ეს იყო სოფია სემიონოვნა მარმელადოვა. მართალია, გუშინ ნახა პირველად, მაგრამ ისეთნაირად მორთული და ისეთ დროსა და გარემოებაში, რომ სულ სხვად დაამახსოვრდა. ახლა ეს იყო უბრალოდ და ღარიბულად ჩაცმული ძალზე ყმაწვილი ქალი, ზრდილობიანი და წყნარი. მის ნათელ სახეს ოდნავ შეშინებული გამომეტყველება ემჩნეოდა. ტანთ ეცვა უბრალო საშინაო კაბა, თავზე ეხურა ძველი ყაიდის ქუდი; ქოლგა ეჭირა მხოლოდ გუშინდელივით. ოთახი რომ ხალხით სავსე დაინახა, შერცხვა, სულ დაიბნა, ბავშვივით მოიბუზა, მოინდომა თითქმის უკანვე გაბრუნებულიყო.

- ოჰ... თქვენა ხართ!.. - შესძახა მეტად გაოცებულმა რასკოლნიკოვმა და უცბად თვითონვე შეკრთა.

მოაგონდა მაშინვე, რომ დედამ და დამ ლუჟინის წერილიდან უკვე რაღაც იცოდნენ ვიღაც „საზიზღარი ყოფაქცევის“ ქალის ამბავზე. ეს-ეს იყო ახლა ილაშქრებდა ლუჟინის ცილისწამების გამო და ამბობდა, ერთხელ მეტად არ მინახავსო, და უცბად თვითონ კი გამოეცხადა. მოაგონდა ისიც, რომ „საზიზღარი ყოფაქცევისად“ მოხსენიების გამო არა გამოუთქვამს რა საწინააღმდეგო. ყოველივე ამან ბუნდოვნად გაუელვა თავში. მაგრამ კარგად დააკვირდა თუ არა, შენიშნა, რომ ეს დამცირებული არსება ისე იყო დამდაბლებული, უცებ შეებრალა კიდეც. ხოლო როდესაც შეშინებულმა ქალმა გაქცევა მოინდომა, მაშინ ხომ სიბრალულმა გული შეუკუმშა.

- სრულიად არ გელოდით, - გამოელაპარაკა საჩქაროდ რასკოლნიკოვი და თვალით შეაყენა. - დაბრძანდით, გეთაყვათ. კატერინა ივანოვნა გამოგზავნიდათ უთუოდ. მოითმინეთ, აქეთ კი არა, აი, აქ დაბრძანდით...

შემოვიდა თუ არა სონია, კართან მჯდომი რაზუმინისი მაშინვე სკამიდან წამოდგა, რომ გამოეტარებინა ქალი. რასკოლნიკოვმა ჯერ დივნის იმ კუთხეზე მიუთითა, სადაც ეს წუთია ზოსიმოვი იჯდა, მაგრამ მოაგონდა, რომ ეს დივანი მეტად შინაურული ადგილი იყო და ლოგინობას უწევდა. მაშინ საჩქაროდ რაზუმინისის სკამი შესთავაზა.

- შენ კიდეც აქ დაჯექი, - მიუბრუნდა რაზუმინს და ზოსიმოვის ადგილას დასვა.

დაჯდა, როგორც იყო, შიშისაგან აცახცახებული სონია და ორივე ქალს მოკრძალებით გადახედა. ეტყობა, თვითონაც ვერ გაეგო, რანაირად ამოუჯდა მათ გვერდით. მოისაზრა რა ეს თავისი უხერხულობა, ისე შეშინდა, რომ ისევ წამოდგა და მთლად შემკრთალმა ენადაბმით მიმართა რასკოლნიკოვს: - მე... მე... ერთი წუთით შემოვიარეთ; მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. კატერინა ივანოვნამ გამომგზავნა, სხვას, აბა, ვის გამოგზავნიდა... გთხოვთ დიდად, ხვალ დილით მიცვალებულის გასვენებასა... და წირვას დაესწროთ... მიტროფანიევსკის სასაფლაოზე... და მერე ჩვენსა... მობრძანდეთ მოსახსენებლად... გთხოვთ, პატივი გვცეთ... დიდად გთხოვთ.

სონიას ენა დაემა და გაჩუმდა.

- ვეცდები უთუოდ... ვეცდები... - უპასუხა ფეხზე მდგომმა რასკოლნიკოვმა, თან თვითონაც ენა ებოდა, - დაბრძანდით, გეთაყვათ, - სთხოვა უცბად, - მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს. იქნება ჩქარობთ, მაგრამ ორიოდ წუთი მაჩუქეთ როგორმე...

და სკამი მიუწია. სონია ისევ დაჯდა და ისევ ისე მოკრძალებითა და დაბნევით გადახედა ქალებს, მაგრამ მაშინვე თავი ჩაჰკიდა.

ფერმკრთალი სახე უცბად აენტო რასკოლნიკოვს; მთელი ტანით შეირხა; თვალები აუელვარდა.

- დედაჩემო, - უთხრა მტკიცედ და დაჟინებით, - ეს გახლავთ სოფია სემიონოვნა მარმელადოვა, ქალიშვილი იმ უბედური მარმელადოვისა, რომელიც გუშინ ჩემ თვალწინ გასრისეს ცხენებმა და რომელზეც უკვე მოგახსენეთ...

პულხერია ალექსანდროვნამ შეხედა სონიას და თვალები ოდნავ მოჭუტა. მართალია, ძლიერ შეაკრთო როდიას გამომწვევმა და თვალში ამოღებით ცქერამ, მაგრამ უარი მაინც ვერა თქვა ამ სიამოვნებაზე. დუნეჩკამ პირდაპირ დაუწყო დინჯად ყურება და სინჯვა საცოდავ ქალს. მოჰკრა თუ არა ყური სონიამ, როგორ აცნობდა მის ვინაობას რასკოლნიკოვი, ოდნავ მაღლა აიხედა, მაგრამ წინანდელზე უფრო შერცხვა და თავი ჩაღუნა ისევ.

- მინდოდა მეკითხა, - მიუბრუნდა საჩქაროდ რასკოლნიკოვი, - როგორ მოაწყეთ დღეს საქმე? ხომ არავის შეუწუხებიათ? პოლიციას ან სხვა ვისმე.

- არა, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა... აშკარა იყო, რამაც მოკლა; არავის შევუწუხებიათ. ეგ არის, ცოტა მდგმურები ჯავრობენ.

- რაო, რა გვინდაო?

- ამდენ ხანს მიცვალებული რად გისვენიათო... ცხელა ხომ ახლა, ჰაერი შეხუთულია, სუნი დაეცემაო... ისე რომ, დღეს საღამოთი სასაფლაოზე გადაასვენებენ ეკვდერში, ხვალამდე... კატერინა ივანოვნას პირველად არ უნდოდა, მაგრამ ნახა ახლა თვითონაც, რომ შეუძლებელია, და დასთანხმდა...

- მაშ, დღეს გადაასვენებენ?

- კატერინა ივანოვნა გთხოვთ, პატივი გვცეთ, ხვალ მობრძანდეთ წირვაზე და იქიდან კი შინ, მიცვალებულის მოსახსენებლად...

- როგორ, ეგეც მოახერხა, ხარჯი გაქვთ განა?

- დიახ, პატარა საუზმე მოუმზადა. დიდი მადლობელია თქვენი, რომ ისე გვიშველეთ გუშინ... უთქვენოდ უთუოდ დაუმარხავი დაგვრჩებოდა.

ტუჩებიც და ნიკაპიც უცბად სატირლად აუთამაშდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და თვალეზი ისევ ძირს დახარა.

ლაპარაკის დროს რასკოლნიკოვი ყურადღებით სინჯავდა სონიას, მის გამხდარ, ფერმკრთალ, ცოტა მოგრძო სახეს, ოდნავ წაწვეტებულ ცხვირსა და ნიკაპს. ლამაზი, მართალია, სულაც არ ეთქმოდა, მაგრამ ისეთი ლურჯი, ნათელი თვალეზი ჰქონდა, როცა გამოცოცხლდებოდა ხოლმე, ისე კეთილად გამომეტყველი უხდებოდა სახე, რომ უნებურად იზიდავდა ადამიანს. გარდა ამისა, სახესაც და გარეგნობასაც ერთი რამ თავისებურება ახასიათებდა: სულ მთლად პატარად, ბავშვად აჩენდა; მიხვრა-მოხვრაშიც კი რაღაც ბავშვური გამოკრთოდა, თუმცა თვრამეტი წლისა იყო უკვე.

- როგორ მოახერხა და მოაგვარა ყველაფერი კატერინა ივანოვნამ იმ რაღაც გროშებით, რომ საუზმესაც აპირებს? - დაეკითხა განგებ ლაპარაკის გასაგრძელებლად რასკოლნიკოვი.

-კუბო სულ უბრალო იქნება... აგრეთვე ყველაფერი, ასე რომ ძვირი არ დაგვიჯდება... წელან ყველაფერი ვიანგარიშეთ მე და კატერინა ივანოვნამ და გამოვიდა, რომ საუზმისთვისაც ეყოფა... ეს კი გულით უნდა კატერინა ივანოვნას. მოგეხსენებათ, არ შეიძლება... ანუგეშებს... ასეთი ხასიათისაა, თქვენც ხომ იცით...

- მესმის, მესმის... რასაკვირველია... რაო, ჩემს ოთახსა სინჯავთ? აი, დედაც ამბობს, კუბოსა ჰგავსო.

- გუშინ კი, მგონი, მთელი ფული ჩვენ გადმოგვეცით! - მიუგო პასუხად სონეჩკამ ჩქარ-ჩქარა, თითქმის ჩურჩულით, და უცბად ისევ ჩაღუნა თავი. ისევ აუთამაშდა ტუჩები და ნიკაპი. დიდი ხანია უკვე განცვიფრებული ათვალეირებდა რასკოლნიკოვის ღარიბულ მოწყობილობას, ამიტომაც უნებლიეთ აღმოხდა ახლა ეს სიტყვები. პატარა ხანს დუმილი ჩამოვარდა. დუნეჩკას როგორღაც თვალეზი გაუნათდა, პულხერია ალექსანდროვნამაც წყალობის თვალით გადახედა სონიას.

- როდია, - თქვა მან და წამოდგა, - დღეს, რასაკვირველია, ერთად ვისადილებთ. წავიდეთ, დუნეჩკა... შენ კი, როდია, ცოტას გაივლიდი, ჰაერს ჩაყლაპავდი, მერე დაისვენებდი, წამოწვებოდი და აღარ დაიგვიანებდი, სადილად დროზე მოხვიდოდდი... თორემ, მგონი, მეტად დაგღალეთ...

- დიახ, დიახ, მოვალ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და საჩქაროდ წამოდგა, - თუმცა საქმე მაქვს ცოტა...

- როგორ, ნუთუ ცალ-ცალკე ისადილებთ? - შეჰყვირა გაკვირვებულმა რაზუმიხინმა და თან რასკოლნიკოვს გადახედა. - მაგას რას ამბობ?

- არა, მოვალ; რასაკვირველია... მოვალ... მაგრამ შენ კი ერთ წუთს აქ დარჩი. თქვენ ხომ აღარ გჭირდებათ ახლა, დედა? ან იქნებ ძალათი გართმევთ?

- ოჰ, არა, არა! თქვენ, დიმიტრი პროკოფიჩი, თქვენც ხომ მობრძანდებით სადილად? გთხოვთ!

- მობრძანდით, გეთაყვათ, - შესთხოვა დუნია.

რაზუმინინმა მაღლობა გადაუხადა და მთლად გაუბრწყინდა სახე. ერთ წამს თითქოს ყველამ როგორღაც უხერხულობა იგრძნო.

- მშვიდობით, როდია, ესე იგი ნახვამდის. არ მიყვარს „მშვიდობით“ -ის თქმა. მშვიდობით, ნასტასია... ოჰ, კიდევ „მშვიდობითა“ ვთქვი.

პულხერია ალექსანდროვნას უნდოდა სონიასაც გამოსთხოვებოდა, მაგრამ ვეღარ მოახერხა რატომღაც და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

სამაგიეროდ, ავდოტია რომანოვნამ განგებ მოუცადა თითქოს რიგს და სონიას გვერდით გავლისას ყურადღებით, ზრდილობიანად დაუკრა თავი, გამოეთხოვა. სონეჩკა შეკრთა და შეშინებულმა როგორღაც აჩქარებით დაუკრა თავი. სახეზე რაღაც ტანჯვა გამოეხატა, თითქოს აუტანლად ემძიმა ავდოტია რომანოვნას ასეთი ზრდილობა და ყურადღება.

- დუნია, მშვიდობით! - მიაყვირა რასკოლნიკოვმა უკვე დერეფანში გასულ დას, - ხელი მომეცი!

- აკი ჩამოგართვი, დაგავიწყდა განა? - უპასუხა ალერსიანად დუნია და უხერხულად მოუბრუნდა.

- რა ვუყოთ მერე, კიდევ მომეცი!

მაგრად მოუჭირა თითებზე ხელი. დუნეჩკამ გაუღიმა, გაწითლდა, გამოსტაცა საჩქაროდ ხელი და დედას გაჰყვა მთლად ბედნიერი.

- მაშ, კარგი, - შესძახა სონიას უკან დაბრუნებულმა რასკოლნიკოვმა და ნათელი თვალებით პირდაპირ შეხედა, - მკვდრებს ღმერთმა განუსვენოს, ცოცხლებმა კიდევ იცოცხლონ! აგრეთა თუ არა? ხომ აგრეთა? ა?

სონია გაკვირვებული შეჰყურებდა რასკოლნიკოვის ასე უცბად გაბრწყინებულ სახეს. რამდენიმე წუთს ასე ჩუმად და დაკვირვებით უყურებდა რასკოლნიკოვიც. განსვენებული მარმელადოვის მაშინდელი ნაამბობი თავის ქალზე უცბად მთლიანად გაახსენდა...

- ღმერთო ჩემო, დუნეჩკა! - დაიწყო მაშინვე პულხერია ალექსანდროვნამ, როგორც კი ქუჩაში გავიდნენ, - წარმოიდგინე, ახლა თითქმის მევე მიხარია, რომ წამოვედით. როგორღაც მეშელავათა. აბა გუმინ, ვაგონში, რას ვიფიქრებდი, თუ ესეც კი გამახარებდა.

- გეუბნებით, დედა, ჯერ კიდევ ავად არის-მეთქი. ნუთუ ვერ ხედავთ? იქნება ჩვენზე ფიქრმა გასტანჯა და იმან გახადა ავად. ღმობიერად უნდა მოვეპყრათ და ბევრი, ბევრი რამ ვაპატიოთ.

- აი, შენ კი არ მოექეცი აგრე! - გააწყვეტინა მაშინვე მხურვალედ პულხერია ალექსანდროვნამ. - იცი რა, დუნეჩკა, გიცქეროდით ორივეს და დავრწმუნდი

სრულიად, რომ ზედგამოჭრილი ძმა ხარ; ისე სახით არა, როგორც ხასიათით: ორივენი მეღანქოლიკები ხართ, დაღვრემილები, ფიცხები, ორივენი ამაყები და დიდად თავმოყვარენი, მაგრამ დიდსულოვნები ამასთან... არა, შეუძლებელია ხომ, დუნეჩკა, რომ ეგოისტი იყოს როდია? არა?... მაგრამ იმას რომ წარმოვიდგენ, რა იქნება დღეს საღამოთი, გული ლამის ჩამწყდეს!

- ნუ სწუხართ, დედა, ის მოხდება, რაც მოსახდენია.

- დუნეჩკა! იფიქრე, აბა, რა გარემოებაში ვართ ჩაყენებული! პეტრ პეტროვიჩმა რომ უარი გვითხრას, რა უნდა ვქნათ? - წამოსცდა უცბად საბრალო პულხერია ალექსანდროვნას.

- რისი ღირსი უნდა იყოს, თუ აგრე იზამს! - მოუჭრა ზიზღით დუნეჩკამ.

- კარგი ვქენით, რომ წამოვედით, - დაიწყო საჩქაროდ პულხერია ალექსანდროვნამ, - თორემ სადღაც მიეშურებოდა; გაიაროს, დეე, ჰაერი ჩაყლაპოს... თორემ იმ ოთახში საშინელი შეხუთული ჰაერია... ან რითი სუნთქავს ნეტავი? აქ ქუჩაშიც კი ისეა დახშული ჰაერი, როგორც უფანჯრო ოთახებში... ღმერთო ჩემო, რა ქალაქია!.. მოეცა, გზა მიეცი, თორემ ზედ გადაგივლიან, რაღაც მოაქვთ! ფორტეპიანო გაატარეს, არა?... მართლად როგორ იკვრევიან ხელს... იმ ქალისა მეც ძალიან მეშინია...

- რომელი ქალისა, დედა?

- აი, იმისი, სოფია სემიონოვნასი, ახლა რომ ვნახეთ...

- რად გეშინია?

- რაღაც წინათგრძნობა მაქვს ასეთი. დაიჯერებ თუ არა, დუნია, არ ვიცი, მაგრამ შემოვიდა თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, თავიდათავი მიზეზი ეს უნდა იყოს-მეთქი...

- სულაც არა! - შეჰყვირა გულმოსულმა დუნია. - ოჰ, რას არ იტყვით, დედა! რის წინათგრძნობა! მხოლოდ გუშინ გაუცვნია ადამიანი და ახლა რომ შემოვიდა, ვეღარც კი იცნო უცბად.

- აი, ნახავ!.. საშინლად მაფიქრებს, თორემ შენც ნახავ! მერე რარიგად შევშინდი: მიყურებს, პირდაპირ მიყურებს და თვალეზიც ისეთი აქვს, თავი ძლივსღა შევიძაგრე, კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი, როდია რომ გვაცნობდა. უცნაურიც არის: პეტრ პეტროვიჩი ისეთ რამესა გვწერს იმაზე, როდია კი გვაცნობს, მერე ისიც შენა! ეტყობა, მაშ, ძვირფასია მისთვის!

- რა ვუყოთ, რომ იწერება! ჩვენზე კი არას ამბობდნენ და წერდნენ, დაგავიწყდა განა? დარწმუნებული ვარ, ეგ... მშვენიერი ადამიანი უნდა იყოს და ყველაფერი, რასაც ამბობენ, სისულელეა!

- ღმერთმა ქნას!

- პეტრ პეტროვიჩი კი საძაგელი ჭორიკანაა და სხვა არაფერი! - გააწყვეტინა უცბად დუნეჩკამ.

პულხერია ალექსანდროვნას მუხლები ჩაეკეცა. საუბარი შეწყდა.

- აი, რა საქმე მაქვს შენთან და რა უნდა გითხრა ... - მიუბრუნდა რასკოლნიკოვი რაზუმიხინს და ფანჯარასთან მიიყვანა.

- ვეტყვი, მაშ, კატერინა ივანოვნას, რომ მოხვალთ! - აჩქარდა სონია და თავი დაუკრა, რომ წასულიყო.

- ახლავე, ახლავე, სოფია სემიონოვნა, საიდუმლო არა გვაქვს რა, არას დაგვიშლით... ორიოდ სიტყვა კიდევ მქონდა სათქმელი... აი, რას ვეტყვი, - მიუბრუნდა უცბად ისევ რაზუმიხინს. - ხომ იცი აი ის... რა ჰქვია?! პორფირი პეტროვიჩს ხომ იცნობ?

- ვიცნობ და აგრე! ნათესავია. რა იყო? - ჩაეკითხა რატომღაც ცნობისმოყვარეობით აღტაცებული.

- იმ საქმეს... მკვლელობას, ის აწარმოებს განა? გუშინ არ იყო, ამბობდით?..

- მართალია... მერე? - რაზუმიხინმა უცბად თვალები დააჭყიტა.

- დამგირავებლებს თურმე ეკითხება და იბარებს. ჰოდა მეც მქონდა რაღაც დაგირავებული, მართალია, სათქმელად არა ღირს, მაგრამ ძვირფასია იმით, რომ საჩუქრებია: ერთია ბეჭედი, რომელიც დამ მაჩუქა აქ წამოსვლის დროს, და მეორე, მამისეული ვერცხლის საათი. მართალია, სულ ხუთ-ექვს მანეთზე მეტი არა ღირს, მაგრამ სახსოვარია და ამიტომ ძვირფასია ჩემთვის. ასე რომ, არ ვიცი, რა ვქნა ახლა? არ მინდა დამეკარგოს, განსაკუთრებით საათი, სული კბილით მეჭირა წელან, დუნეჩკას საათზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, დედას არა ეკითხა რა იმ საათისა. ერთადერთი ნივთია მამის შემდეგ დარჩენილი. ვიცი, უთუოდ ავად გახდება, რომ სადმე დამეკარგოს! ქალების ამბავი არ იცი! მასწავლე, როგორ მოვიქცე! ვიცი, პოლიციას უნდა გამოვუცხადო, მაგრამ არ შეიძლება განა, თვითონ პორფირი როგორმე ვნახო, ჰა? როგორ გგონია? საჩქაროდ როგორმე უნდა მოვახერხოთ, თორემ ნახავ, თუ სადილამდე არ მოიკითხოს დედამ!

- პოლიციაში კი არა, პორფირის მივმართოთ პირდაპირ! - შეჰყვირა როგორღაც არაჩვეულებრივი მღელვარებით რაზუმიხინმა. - როგორ მიხარია! ახლავე წავიდეთ, სულ რაღაცა ორიოდ ნაბიჯია, შინ იქნება უთუოდ!

- კარგი... წავიდეთ...

- თვითონაც ძალიან და ძალიან გაეხარებდა შენი გაცნობა! იმიტომ რომ სხვადასხვა დროს ბევრჯერ მილაპარაკნია შენზე... გუშინაც მქონდა ლაპარაკი. წავიდეთ!.. მაშ, იცნობდი ბებრუხანას? კარგია, კარგი... მშვენიერია, რა კარგად შეტრიალდა საქმე... ოჰ, მართლა... სოფია ივანოვნა...

- სოფია სემიონოვნა, - გაუსწორა რასკოლნიკოვმა, - სოფია სემიონოვნა, ეს ჩემი მეგობარია, გვარად რაზუმიხინი, საუცხოო კაცია...

- თუ წასვლა გინდათ სადმე... - დაიწყო დარცხვენით სონიამ, ისე რომ რაზუმიხინისთვის არც კი შეუხედნია, რის გამოც უფრო დაიბნა.

- და წავალთ კიდევ! - გადაწყვიტა რასკოლნიკოვმა. - სოფია სემიონოვნა, დღესვე შემოგივლით, მითხარით მხოლოდ, სადა ცხოვრობთ?

რასკოლნიკოვი, მართალია, დაბნეული არ ჩანდა, მაგრამ თითქოს ჩქარობდა და თვალს რატომღაც არიდებდა. სონიამ მისამართი მისცა და გაწითლდა. ყველანი ერთად გამოვიდნენ.

- არ ჰკეტავ ოთახს?! - დაეკითხა კიბეზე რაზუმიხინი.

- არასოდეს!.. თუმცა ორი წელიწადია აგერ, სულ მინდა კლიტე ვიყიდო. - დასძინა დაუდევრად. - ბედნიერია ხომ ის ხალხი, ვისაც დასაკეტი არა აქვს რა? - მიმართა სიცილით სონიას.

ქუჩაში ალყაფის კართან შედგნენ.

- მარჯვნივ გაუხვევთ, სოფია სემიონოვნა? მართლა, როგორ მიპოვეთ? - შეეკითხა ისე, თითქოს სულ სხვა რამ უნდა ეკითხა. უნდოდა სულ ნათელსა და წყნარ თვალებში ეცქირა სონიასათვის, მაგრამ როგორღაც ვერ ახერხებდა...

- აკი პოლექკასათვის გეთქვათ თქვენი მისამართი გუშინ...

- პოლექკასათვის? ჰო, მართლა... პოლექკა! პატარა გოგონა... თქვენი დაა? მას ვუთხარი მაშ?

- როგორ, აღარ გახსოვთ განა?

- არა, როგორ არა... მახსოვს...

- მე კი წინათაც მქონდა განსვენებული მამისაგან გაგონილი თქვენზე... მაგრამ მაშინ გვარი არ ვიცოდი, და არც თვითონ იცოდა... ახლა კი... გავიგე თუ არა გუშინ თქვენი გვარი... მოვედი და გიკითხეთ დღეს: ბატონი რასკოლნიკოვი აქ ცხოვრობს-მეთქი?... არ ვიცოდი, თუ თქვენც მობინავეების მდგმურად იდექით... მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ვეტყვი კატერინა ივანოვნას...

საშინლად იყო გახარებული სონია, რომ, როგორც იყო, გაშორდა; წავიდა თავჩალუნული, საჩქაროდ, რათა მალე მიჰფარებოდა თვალიდან და, რომ მოუხვევდა ქუჩას, მარტოდ დარჩენილს თავისუფლად გაეხსენებინა და მოესაზრებინა ყველაფერი, რაც კი რამ უთხრეს და ნახა. სხვა დროს არსად ასეთი რამ არ უგრძენია. მთელი ახალი სამყარო ჩაესახა სულში ბუნდოვნად და უხილავად. მოაგონდა ბოლოს ისიც, რომ თვითონ რასკოლნიკოვმა მოინდომა მისი ნახვა დღეს; იქნება დილითვე და ახლავც შეუაროს!

- მაგრამ დღეს ნუ, გეთაყვა, ნუ! - დუდუნებდა გულმილეული და ბავშვივით შეშინებული, თითქოს ვიდაცას ემუდარებო, - ღმერთო! როგორ? ჩემთან... იმ ოთახში?.. უნდა მნახოს... ოჰ, ღმერთო ჩემო!

ვერკი შენიშნა ამ დროს, როგორ გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ვიდაც უცნობი ვაჟბატონი და როგორ მისდევდა კვალდაკვალ. ის მოსდევდა ქუჩაში გამოსვლისთანავე. სწორედ იმ დროს, რაზუმიხინი, რასკოლნიკოვი და ის რომ ერთი წუთით ფილაქანზე შედგნენ ორიოდ სიტყვის სათქმელად, უცნობმა გვერდი აუქცია და საშინლად შეკრთა, მოულოდნელად სონიას სიტყვებს რომ მოჰკრა ყური: „გიკითხეთ: რასკოლნიკოვი აქ ცხოვრობს-მეთქი?“ საჩქაროდ გადახედა მაშინვე სამთავეს, განსაკუთრებით კი რასკოლნიკოვს, რომელსაც სონია ელაპარაკებოდა;

შეხედა მერე სახლს და დაიხსომა. ყოველივე ეს მოხდა უცხად, შეუმჩნეველად, ისე რომ არავის შეუნიშნავს; ცოტა გაიარა და ნაბიჯს უკლო, რომ სონიასათვის მოეცაძნა. უცნობი ხედავდა, რომ ისინი ქალს ეთხოვებოდნენ და ქალი სადღაც მარტო უნდა წასულიყო.

„მაგრამ საით წავა ნეტა? სადღაც მინახავს თითქოს, - ფიქრობდა უცნობი და თან სონიას სახეს იგონებდა... - უნდა გავიგო უთუოდ“.

მივიდა თუ არა ქუჩის შესახვევთან, უცნობი მეორე მხარეს გადავიდა, მოიხედა და დაინახა, რომ სონია უკვე უკან მოსდევდა იმავე გზით, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. მივიდა თუ არა შესახვევთან, სონიამაც იმავე ქუჩისაკენ შეუხვია. უცნობი მამინვე უკან გაჰყვა და თან მოპირდაპირე ფილაქნიდან თვალს არ აშორებდა. ასე, ორმოცდაათი ნაბიჯი რომ გაიარა, ისიც სონიას მხარეს გადავიდა, მიეწია და ხუთი ნაბიჯით უკან მიჰყვა ფეხდაფეხ.

ის იყო ორმოცდაათიოდე წლის, საშუალოზე მაღალი ტანის, საკმაოდ ჩასხმული, ბეჭგანიერი კაცი, ოდნავ დახრილი მხრებით, რაც, ცოტა არ იყოს, წელში წახრილს აჩენდა. ტანთ ეცვა ბატონკაცურად, მდიდრულად; ეჭირა ლამაზი ჯოხი, რომელსაც ფეხის ყოველ გადადგმაზე მიაკაკუნებდა ფილაქანზე; ახალთახალი, მშვენიერი ხელთათმანები ეცვა. საკმაოდ საამური, ფართო, ძვალმსხვილი პირისახე ჰქონდა, ფერიც სადი, არაპეტერბურგული. ხშირი ქერა თმა მხოლოდ აქა-იქ შესჭადარავებოდა; ნიჩაბივით ჩამოშვერილი ხშირი წვერიც თმაზე უფრო ქერა ჰქონდა. ცისფერი თვალები ცივად და ჩაფიქრებით იცქირებოდნენ; ალისფერი ტუჩები ამშვენებდა. ერთი სიტყვით, მეტად ჯანსაღად გამოიყურებოდა და თავის წლოვანებაზე ახალგაზრდა ჩანდა.

არხზე რომ გავიდნენ, ფილაქანზე მარტო ორნიღა დარჩნენ. შენიშნა ამ დროს უცნობმა, რომ სონია რატომღაც ჩაფიქრებული იყო, უგულისყურო. სონია მივიდა სახლთან, ალაყაფის კარი შეიარა, მარჯვნივ შეუხვია და დაადგა კიბეს, რომელიც მის ბინაში ადიოდა. „ეჰე!“ - წაიღუდუნა უცხად უცნობმა და კიბეზე აჰყვა. აქღა შენიშნა სონიამ, რომ უკან ვიღაცა მისდევდა. ავიდა სონია მესამე სართულზე, დერეფანი გაიარა და მე-9 ნომერს დაურეკა, სადაც ცარცით ეწერა კარზე: მკერავი კაპერ ნაუმოვი. „ეჰე!“ - ისევ გაიმეორა ამ უცნაური დამთხვევით გაკვირვებულმა უცნობმა და მე-8 ნომერს დაურეკა. ორივე კარი ერთიმეორეზე სულ რაღაც ექვსიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

-კაპერნაუმოვთან დგახართ ბინად? - დაეკითხა სიცილით უცნობი სონიას. - გუშინ ჟილეტი გადავაკეთებინე. მეც აქვე, თქვენ გვერდით, ქ-ნ რესლიხთან, ჰერტრუდა კარლოვნასთან ვდგავარ. როგორ მოხდა ეს!

სონიამ ყურადღებით გადახედა.

- მეზობლები ვყოფილვართ, - განაგრძობდა მხიარულად უცნობი. - მესამე დღეა სულ, რაც პეტერბურგში ვარ. ახლა კი მშვიდობით, ნახვამდის.

სონიას არა უთქვამს რა; გაუღეს კარი და მამინვე შევიდა. რატომღაც შერცხვა და თითქოს შეშინდა...

რაზუმიხინი საშინლად ღელავდა, პორფირისთან რომ მიდიოდნენ.

- საუცხოოა, ძმაო, საუცხოო, - იმეორებდა გზადაგზა, - მიხარია სწორედ! მიხარია!

„რა გიხარია ნეტა?“ - ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი.

- მე ხომ არც კი ვიცოდი, თუ შენც გქონდა რამე დაგირავებული ბებრუხანასთან. მერე... მერე... დიდი ხანია მას აქეთ? ესე იგი, დიდი ხანია, რაც ბებრუხანასთან იყავი?

„ეი, შე გულუბრყვილო ყურყუტო!“

- როდის?... - შედგა რასკოლნიკოვი ვითომ მოსაგონებლად. - ჰო, მგონი სამი დღის წინათ ვიყავი, ვიდრე მოკლავდნენ. მაგრამ ახლა ხომ ნივთების გამოსასყიდად არ მივალ, - დააყოლა საჩქაროდ, ნივთებზე რაღაც განსაკუთრებული ზრუნვით. - მე ხომ ვერცხლის მანეთის მეტი აღარა მაქვს... გუშინდელი დაწყევლილი სიცხისა და ბოდვის წყალობით!..

განსაკუთრებით საგულისხმოდ წარმოთქვა სიტყვა ბოდვა.

- ჰო, ჰო, - იმეორებდა რაზუმინი და თვითონაც არ იცოდა, რას უდასტურებდა, - აი, თურმე რათა გცემია ელდა მაშინ... იცი რა, მერეც, სიცხეშიც, ერთთავად რაღაც ბეჭდებზე და ძეწკვებზე ბოდავდი!.. დიახ, დიახ... ახლა კი გასაგებია, ყველაფერი გასაგებია.

„დახეთ ერთი! როგორ გასჯდომია ყველას ძვალ-რბილში ეს ეჭვი! აი, ეს კაცი თუნდა ჯვარს ეცმევა ჩემთვის და ამასაც კი სასიხარულოდ რჩება მეტად, რომ გამოირკვა, რათა ვბოდავდი ბეჭდებსა და ძეწკვებზე!.. ვერ უყურებთ, როგორ შეჰპარვია ყველას ეჭვი!..“

- მერე, შინ კი იქნება ნეტა? - დაეკითხა ხმამაღლა.

- შინ იქნება, შინ, - ჩქარობდა რაზუმინი, - საუცხოო ახალგაზრდაა, ძმაო, თორემ აი ნახავ! ტლანქია ცოტა, ისე საზოგადოებაში გამოსულია, მაგრამ სხვაფრივ ცოტა ტლანქია, ჭკვიანიც არის, ეგაა მხოლოდ, როგორღაც სხვანაირად აქვს ტვინი ნავარჯიშები... უნდო არის, სკეპტიკოსი, ცინიკოსი... უყვარს მოტყუება, ესე იგი მოტყუება კი არა, გასულელება კაცისა... მოგეხსენება, ძველი მეთოდია... მაგრამ საქმე ძალიან კარგად იცის. შარშან, მაგალითად, ერთი ისეთი მკვლელობა გახსნა, რომლის გზა-კვალიც მთლად დაბნეული იყო! ძალიან უნდა შენი გაცნობა, ძალიან.

- რაო, ვითომ, რად უნდა ძალიან?

- იმიტომ კი არა, რომ... გესმის რა, ამ ბოლო დროს, რაც ავადა ხარ, ბევრჯერ მქონია შენზე ლაპარაკი... ისიც მუდამ ყურს მიგდებდა... როდესაც შეიტყო, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე ხარ და არ შეგიძლია სწავლა განაგრძო, საშინლად ეწყინა და თქვა: აფსუსო! აქედან დავასკვენი, რომ... ამასთან ახლა ზოგი სხვაც იყო მიზეზი; გუშინ ზამეტოვი... გესმის, როდია, მგონი, გადაკრული რაღაცას გეყბუდებოდი გუშინ, შინ რომ მიმყავდი... მეშინია, ძმაო, არ გააზვიადო კი ახლა...

- ის ხომ არა, გიჟად რომ მთვლიან? ღა იცი, იქნებ მართალიც იყოს.

და ძალდატანებით გაიცინა.

- დიახ, დიახ... ესე იგი, ფუჰ, არა!.. ყველაფერი, რაც კი გითხარი (სხვაც ყველაფერი), სისულელეა მხოლოდ და მეტი არაფერი, სიმთვრალის ნაყოფია...

- რაო, რა ძალიან ბოდიშს იხდი! იცი, როგორ მომბეზრდა ყველაფერი ეს? - შესძახა რასკოლნიკოვმა გაზვიადებული და ცოტა არ იყოს ყასიდი გაბრაზებით.

- ვიცი, ვიცი, მესმის. მერწმუნე, მესმის. თქმისაც მრცხვენია...

- გრცხვენია და ნუ იტყვი მაშ!

ორივენი გაჩუმდნენ. რაზუმბინი თითქმის აღტაცებული იყო. რასკოლნიკოვს ეს ზიზღს აგრძნობინებდა. აწუხებდა და აღშფოთებდა ისიც, რაც ახლა პორფირიზე უამბო რაზუმბინმა.

„იმასაც უნდა, თავი სხვანაირად მოვაჩვენო, - ფიქრობდა და თან ფითრდებოდა, გული უცემდა, - მაგრამ ისე, რომ ნამდვილში ვერ გეარჩიოს. ვგონებ, უმჯობესი იქნება, სულ არა ვაგრძნობინო რა, არც თავი მოვაჩვენო. არა, არა, ეს უფრო საეჭვო იქნება... ეჰ, როგორც მომიხდება, ისე მოვიქცევი... ვნახოთ ჯერ... კარგია ნეტა, რომ მივდივართ, თუ არა? ისე ხომ არ გამოვა, ფარვანა თვითონ ეტანება სანთელს; გული როგორღაც ძლიერ მიჩქროლავს, აი, რა არის ცუდი!..“

- აი, ამ რუხ სახლში დგას, - გამოელაპარაკა რაზუმბინი.

„უმთავრესი კი ის არის, იცის თუ არა პორფირიმ, რომ გუშინ იმ კუდიანის ბინაზე ვიყავი... და სისხლზე ვეკითხებოდი მუშებს? უნდა უცხად როგორმე გავიგო ეს; შევალ თუ არა, სახეზე უნდა შევატყო; თო-რ-ემ... მოგვკვდები და გავიგებ კი უთუოდ!“

- იცი რა? - მიმართა უცხად ეშმაკური ღიმილით რაზუმბინს, - დილიდანვე შეგნიშნე, ძმაო, როგორღაც უჩვეულოდ დეღავ, მართალია თუ არა?

- როგორ თუ ვდეღავ? სრულიადაც არ ვდეღავ, - შეძრწუნდა რაზუმბინი.

- არა, ძმაო, კარგად გატყობ, წელანაც ისე იჯექ სკამზე და თრთოდი, არასოდეს ჩემს დღეში ისე არ მინახავხარ. უმიზეზოდ ძალიძალ ფეხზე დგებოდი. ხან თითქოს რაღაცას ჯავრობდი, ხან შაქარყინულივით დნებოდი. წითლდებოდი კიდეც; განსაკუთრებით მაშინ, სადილად რომ დაგპატიჟეს.

- სულაც არა; სტყუი!.. რაზე ამბობ მაგას?

- რაო, რა მოწაფესავით ცმუკავ! ფუჰ, აი ისევ არ გაწითლდა!

- რა ღორი რამა ხარ, ღმერთმანი!

- რისა გრცხვენია! რომეო! მოიცა, ერთი ვუამბო დღეს იქ. ხა-ხა-ხა! დედას კი ვაცივებ სწორედ... და კიდეც... სხვასაც.

- მოიცა, მოიცა, მოიცა, ეგ ხომ... აბა, რას ეგვანება... აბა, რას ჰგავს, ეშმაკმა იცის! - დაიბნა სულ მთლად რაზუმბინი, შიშმა აიტანა. - რას უამბობ, რას? მე, ძმაო... ფუჰ, რა ღორი რამა ხარ!

- გაზაფხულის ვარდი ხარ სწორედ! მერე რა გიხდება, რომ იცოდე, ჩემო ალაწოდა რომეო! მერე როგორ დაბანილხარ დღეს, ფრჩხილებიც რომ გამოგიწმენდია? სხვა დროს როდის გიქნია ასე?... ღმერთს გეფიცები, მგონი საცხებელიც კი წაგისვამს თმაზე! დაიხარე აბა!

- ღორო!!!

ისე გულიანად იცინოდა რასკოლნიკოვი, მნახველს ეგონებოდა, მართლა თავი ველარ შეუმაგრებიაო. ასე სიცილით შევიდნენ პორფირი პეტროვიჩის ბინაში. რასკოლნიკოვსაც სწორედ ეს უნდოდა; შიგნით ოთახებში გაიგონებდნენ, როგორ ხარხარით შევიდნენ და კიდევ როგორ იცინოდნენ დერეფანში.

- კრინტი არ დასძრა აქ, თორემ... თავს შუაზე გაგიხეთქავ! - წაიდუღუნა გაბრაზებულმა რაზუმინმა და რასკოლნიკოვს მხარში ხელი წაავლო.

V

რასკოლნიკოვი უკვე ოთახში შედიოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალით იმაგრებს თავს, თორემ ეს არის სიცილი წასკდებაო. უკან მიჰყვა მას სიბრაზისაგან ჭარხალივით გაწითლებული, უშნოდ აყუდებული და დარცხვენილი რაზუმინი. მართლაცდა, რაზუმინის გარეგნობა და სახის გამომეტყველება სრულიად ამართლებდა რასკოლნიკოვის სიცილს. უცნობმა რასკოლნიკოვმა თავი დაუკრა ოთახის შუაგულ მდგომ განცვიფრებულ სახლის პატრონს, ხელი გაუწოდა, ოდნავ მოუჭირა, მაგრამ ისეთი მოხერხებული ძალდატანებით, თითქოს ძალიან ცდილობს მხიარულება როგორმე შეიმაგროს და ორიოდე სიტყვა წარმოთქვას, რომ თავი გააცნოსო. მაგრამ მიიღო თუ არა ოდნავ სერიოზული გამომეტყველება და მოემზადა რაღაც ეთქვა, უცბად, ვითომდა უნებურად, ისევ რაზუმინის შეხედა და თავი ველარ შეიკავა, - გულიანად გადაიხარხარა. რაზუმინის არაჩვეულებრივი მრისხანე გამომეტყველება და მღელვარება მართლაც, მეტად ბუნებრივად აჩენდა ამ მხიარულებას. რაზუმინმა, თითქოსდა განზრახ, ხელი შეუწყო.

- ფუი, ჯანდაბას! - იღრიალა გაბრაზებულმა, ხელი გაიქნია და პატარა მრგვალ მაგიდას სთხლიშა, რომელზედაც ჩაის ცარიელი ჭიქა იდგა ლამბაქით. მაგიდა გადაბრუნდა, ნამსხვრევები წკრიალით მოეფინა იატაკს.

- სკამებს რაღას ემართლებით, ბატონებო, ხაზინა ხომ იზარალებს! - შესძახა მხიარულად პორფირ პეტროვიჩმა.

სცენა წარმოადგენდა შემდეგ სურათს: რასკოლნიკოვი იცინოდა, თუმცა სახლის პატრონის ხელი ისევ ეჭირა ხელში და დროს უცდიდა, რომ სწრაფად და ბუნებრივად დაეთავებინა სიცილი. მაგიდის გადაბრუნებითა და ჭიქის გატეხით უარესად დარცხვენილმა რაზუმინმა კიდევ გადახედა პირქუშად ჭიქის ნამსხვრევებს, გულმოსულმა მიაფურთხა, ფანჯრისაკენ იბრუნა პირი და იქ მდგომთ ზურგი შეაქცია. მეტად დაღვრემილი გამომეტყველება ჰქონდა და თითქოს ველარას ხედავდა. პორფირი პეტროვიჩიც იცინოდა და უნდოდა კიდევ ეცინა, მაგრამ, ეტყობა, მიზეზის გაგება სურდა. კუთხეში სკამზე იჯდა ზამეტოვი, მაგრამ დაინახა თუ არა შემოსულები, წამოდგა ესეც და გასაღიმებლად პირდაღებული რაღაც გაკვირვებითა

და უნდობლად შეჰყურებდა ყველაფერ ამას, განსაკუთრებით რასკოლნიკოს.
ზამეტოვის მოულოდნელად დანახვამ რასკოლნიკოვი გააკვირვა, არ ეამა.

„ესეც უნდა მოვისაზრო!“ - გაიფიქრა გუნებაში.

- ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, - დაიწყო ძალზე დარცხვენით, - რასკოლნიკოვი
გახლავართ.

- რას ბრძანებთ, ძალიან სასიამოვნოა, ისე მხიარულად ინებეთ შემოსვლა... როგორ,
სალმის მოცემაც აღარ უნდა თუ რა არის? - ანიშნა პორფირი პეტროვიჩმა
რაზუმიხინზე...

- ღმერთს გეფიცებით, არ ვიცი, რად გამიბრაზდა აგრე, ეს კი იყო მხოლოდ, გზაზე
ვუთხარი, რომეოს ჰგავხარ-მეთქი და... დავუმტკიცე კიდევაც; მეტი მიზეზი არ
მიმიცია.

- ღორო! - გადმოსძახა რაზუმიხინმა, ისეც ისე ზურგშექცეულმა.

- მაშ, მეტად საყურადღებო მიზეზი ჰქონია, რომ ერთ სიტყვას ასე გაუბრაზებია, -
გაიცინა პორფირიმ.

- აბა, ახლა შენ მოჰყევ, გამომძიებელო!.. ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! - გააწყვეტინა
რაზუმიხინმა. მაგრამ გაეცინა უცბად, გამხიარულდა და, ვითომდა აქ არაფერიაო,
პორფირი პეტროვიჩს მიმართა: - კმარა! ჩურჩუტები ხართ ყველანი, საქმეს შევუდგეთ:
აი, მეგობარო, როდიონ რომანიჩ რასკოლნიკოვი; ჯერ ერთი, გაგონილი ჰქონდა შენზე
და უნდოდა გაეცანი, და მეორეც, პატარა საქმე აქვს შენთან. ჰა! ზამეტოვიც აქ არის,
საიდან? როგორ? იცნობთ განა ერთმანეთს? დიდი ხანია?

„ეს რაღას ნიშნავს ნეტა!“ - შეფიქრიანდა რასკოლნიკოვი.

შეცბა თითქოს ზამეტოვიც, მაგრამ არც ისე ძალიან.

- გუშინ არ იყო, შენთან გავიცანით ერთმანეთი, - უპასუხა თამამად.

- მაშ, მშველებია და ზედმეტი ზარალი აღარ მომივა: წარსულ კვირას მეხვეწებოდა,
როგორმე გამაცანიო, ახლა კი უჩემოდ მოგიხერხებიათ... თამბაქო სადა გაქვს?

პორფირი პეტროვიჩი შინაურულად იყო ხალათში გამოწყობილი, ტანთ სუფთა
საცვლები ეცვა, ფეხთ - გაცვეთილი ტუფლები. ეს იყო დაახლოებით ოცდათხუთმეტი
წლის, ტანად საშუალოზე დაბალი, ჩასუქებული, საკმაოდ ღიპიანი,
წვერულვაშგაპარსული და თმაგაკრეჭილი, თავმრგვალი კაცი. მსუქან, მრგვალ და
ცოტათი ცხვირპაჭუა პირისახეს ავადმყოფური მოყვითალო ფერი დაჰკრავდა, მაგრამ
საკმაოდ მხნე და დამცინავი გამომეტყველება მაინც ნათლად ეტყობოდა. ცოტათი
იქნებ კეთილი გამომეტყველებისაც კი ყოფილიყო, რომ წყალწყალა, თეთრწამწამება
თვალები არა ჰქონოდა, ისე მოუსვენრად მოხამხამე, თითქოს ვიღაცას თვალს
უშვებო. ამ თვალთა გამოხედვა რაღაც უცნაურად არ ეხამებოდა მთელ მის
თითქოსდა ქალაჩუნურ გარეგნობას და უფრო დარბაისლურ იერს აძლევდა, რასაც
პირველი შეხედვით ვერ შეამჩნევდით.

გაიგო თუ არა პორფირი პეტროვიჩმა, რომ სტუმარს პატარა „საქმე“ ჰქონდა, სთხოვა მაშინვე, დივანზე დამჯდარიყო, თვითონაც მეორე ბოლოში გამოიჭიმა და სტუმარს შეაჩერდა ისე გულმოდგინედ, იმ იშვიათი და განსაკუთრებული ყურადღებით, რომელიც პირველად უნებურად შეაკრთობს ხოლმე ყველას, მით უფრო, თუ უცხოდ ხართ, და უმეტესად მაშინ, როდესაც თქვენი აზრით საამბოში ასეთი არაჩვეულებრივი ყურადღების ღირსი არც არის. რასკოლნიკოვმა მაინც მოკლედ და გარკვევით უამბო თავისი საქმე, კმაყოფილიც კი დარჩა თავის თავისა, რადგან თვითონ პორფირი პეტროვიჩის დათვალეირებაც მოასწრო საკმაოდ კარგად. არც პორფირი პეტროვიჩს მოუშორებია თვალი რასკოლნიკოვისათვის. რაზუმიხინიც პირდაპირ დაუჯდათ, და მოუთმენლად და ხარბად უგდებდა ყურს, როგორ უამბობდა რასკოლნიკოვი თან ხან ერთს, ხან მეორეს, რიგრიგობით, თვალს არ ამორებდა, რაც, ცოტა არ იყოს, ზომიერების საზღვარს არღვევდა.

„რეგვინი!“ - გაილანძლა გულში რასკოლნიკოვი.

- განცხადება უნდა შეიტანოთ პოლიციაში, - მიუგო საქმიანი კილოთი პორფირიმ, - რომ, შეიტყვეთ რა ესა და ეს ამბავი, ესე იგი, ბებრუხანას მკვლელობა, სთხოვთ აცნობონ გამომძიებელს, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი, რომ ესა და ეს ნივთი თქვენ გეკუთვნით და გსურთ გამოისყიდოთ... ან არადა... მაგრამ რა საჭიროა, დაგიწერენ.

- საქმეც ეგ არის, რომ ამჟამად ფული არა მაქვს, - უპასუხა რამდენადაც შეეძლო მეტი დარცხვენით რასკოლნიკოვმა, - ასე მცირეოდენიც კი, წარმოიდგინეთ... მინდოდა მხოლოდ გამომეცხადებინა ახლა, რომ ნივთები ჩემია, და გამომესყიდა შემდეგ, როდესაც ფული მექნებოდა...

- ეგ სულ ერთია, - მიუგო პორფირი პეტროვიჩმა, რომელმაც გულგრილად შეხედა უფულობის მომიზეზებას, - თუმცა შეგიძლიათ პირდაპირ მეც მომმართოთ მაგ თხოვნით, ესე იგი, რომ ესა თუ ის ნივთები თქვენია და ითხოვთ...

- უბრალო ქაღალდზე უნდა დაიწეროს? - გააწყვეტინა საჩქაროდ რასკოლნიკოვმა და ერთხელ კიდევ დაანახვა, რომ ფულის საქმე ყველაზე მეტად აფიქრებს.

- რასაკვირველია, უბრალოზე.

უცხად პორფირი პეტროვიჩმაც როგორღაც დაცინვით გადახედა, თვალი მოჭუტა და თითქოს ჩაუკრა კიდევ. მაგრამ იქნებ მოეჩვენა მხოლოდ რასკოლნიკოვს, იმიტომ რომ თვალის დახამხამებაზე მოხდა ეს. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამგვარი რამ უეჭველად იყო. თუნდ დაიფიცებდა კიდევ რასკოლნიკოვი, რომ პორფირი პეტროვიჩმა ნამდვილად ჩაუკრა თვალი, ეშმაკმა იცის, რა მიზნით.

„იცის!“ - გაუელვა უცხად გონებაში.

- უკაცრავად, რომ ასეთი უბრალო საქმისათვის გაწუხებით, - განაგრძო ცოტა დაბნევით რასკოლნიკოვმა, - ნივთები სულ ხუთ მანეთზე მეტი არა ღირს, მაგრამ მეძვირფასება, როგორც სახსოვარი და საჩუქარი. გამოგიტყდებით, შემეშინდა საშინლად, რომ გავიგე...

- კიდევ მაგიტომ შეხტი უთუოდ გუშინ, ზოსიმოვთან რომ წამოვროშე, პორფირი დამგირავებლებს ეკითხება-მეთქი! - ჩაურთო თითქოს განზრახ რაზუმინმა.

ეს კი სწორედ აღარ იყო მოსათმენი. რასკოლნიკოვმა ველარ შეიმაგრა თავი და ბრაზმორეულმა მრისხანედ გააკვესა თავისი ცეცხლებრ მგზნებარე შავი თვალები.

- შენ, ძმაო, მგონი, დამცინი? - მიმართა ვითომდა გულმოსულმა. - გეთანხმები, რომ მეტისმეტს ვზრუნავ ამ უბრალო ნივთებზე; მაგრამ ამისათვის არ შეიძლება ეგოისტად ჩამთვალოს ვინმემ, არც ხარბ ადამიანად, იმიტომ რომ ეს უბრალო ნივთები ჩემთვის ძვირფასია. აკი ახლა გეუბნებოდი, ვერცხლის საათი, რომელიც იქნება გროშად არა ღირს, ერთადერთი სახსოვარია-მეთქი მამისა. იცინე, რამდენიც გინდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, დედა ჩამომივიდა, - მიუბრუნდა უცბად პორფირს, - და რომ შეიტყოს, დაკარგული მაქვს, - შებრუნდა, - გარწმუნებთ, გული გაუსკდება. ქალების ამბავი არ იცით!

- სულაც არა, რას ამბობ აბა! იმ აზრით როდი გითხარი! პირიქით! - ყვიროდა გულნატკენი რაზუმინი.

„კარგად გამომივიდა ნეტა? ნამდვილსა ჰგავდა? ხომ არ გადავამლაშე? - ფიქრობდა მოუსვენრად რასკოლნიკოვი. - „ქალები“ რად ვახსენე?

- დედა ჩამოგივიდათ? - დაეკითხა რილასთვისაც პორფირი პეტროვიჩი.

- დიახ.

- როდის?

- გუშინ საღამოთი.

პორფირი გაჩუმდა, თითქოს რაღაცას საზრობსო.

- არაფრის გულისათვის ნივთები არ დაგეკარგებოდათ, - განაგრძობდა მშვიდად და გულცივად პორფირი პეტროვიჩი. - რამდენი ხანია აქ გიცდით.

და თითქოს არაფერიაო, მიუწია საფერფლე რაზუმინის, რომელიც პაპიროსის ფერფლს დაუდევრად ყრიდა ხალიჩაზე. რასკოლნიკოვი შეკრთა, მაგრამ პორფირი ჯერ ისევ რაზუმინის პაპიროსს უმარჯვებდა საფერფლეს, ვითომ არც კი უყურებდა რასკოლნიკოვს.

- რაო-ო? უცდიდი! მერე იცოდი განა, რომ ამასაც ჰქონდა იქ რაიმე დაგირავებული? - შეჰყვირა რაზუმინმა.

პორფირი პეტროვიჩმა პირდაპირ მიმართა რასკოლნიკოვს: - ორთავე თქვენი ნივთი - ბეჭედი და საათი - ქალაქში ჰქონდა გამოხვეული და ზემოდან ფანქრით გარკვევით წაწერილი, თუ ვისია ნივთები, ან რა თვესა და რიცხვში მიუღია გირაოდ...

- როგორ კარგად დაგხსომებიათ!.. - გაიღიმა უხერხულად რასკოლნიკოვმა და შეეცადა პირდაპირ თვალებში ეცქირა, მაგრამ ვერ მოითმინა და დასძინა უცბად: - მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ დამგირავებლები უთუოდ ბლომად იქნებოდნენ... ასე რომ, ყველა მათგანის დახსომება, ეჭვი არ არის, გაგიძნელებოდათ... თქვენ კი ასე მშვენივრად გახსოვთ ყველანი... და...

„სისულელეა! სუსტად ნათქვამი! ეს რაღა საჭირო იყო!“

- ახლა თითქმის ყველა დამგირავებელს ვიცნობთ უკვე. ეს იყო მხოლოდ, თქვენ არ ინებეთ აქამდე მობრძანება, - მიუგო პორფირიმ ოდნავ შესამჩნევი დაცინვით.

- ცოტა უქეიფოდ ვიყავი და იმიტომ.

- გაგებული მაქვს ეგეც. ვიცი ისიც, რომ რიღაცის გამო საშინლად იყავით ადელვებულები. ახლაც თითქოს გაფითრებული ხართ.

- სულაც არა... პირიქით, მშვენივრად ვარ! - მოუჭრა უცბად მკვახედ და გაჯავრებით რასკოლნიკოვმა.

ბოლმა თანდათან გულს უსიებდა, ველარც მალავდა.

„აი, სწორედ გაბოროტებულს წამომცდება რამ! - ისევ გაუელვა თავში. - რად მტანჯავენ ნეტა!..“

- უქეიფოდ ვიყავიო! - ჩაერია რაზუმინი. - გუშინდლამდის უგონოდ იყო თითქმის, ბოდავდა სულ... დაიჯერებ თუ არა, პორფირი, არ ვიცი, მაგრამ გეტყვი, რა ოინი გვიყო გუშინ: მე და ზოსიმოვმა ერთი წუთით თვალი მოვაშორეთ, ჩაეცვა, ბატონო, ტანთ, გაპარულიყო და, ვინ იცის, სად არ ეარნა შუალამემდე, ფეხზე კი ძლივს იდგა, ბურანში იყო! დიდებული ამბავია!

- ნუთუ მართლა ბურანში იყო? შეხეთ ერთი! - გააქნია თავი როგორღაც დედაკაცურად პორფირიმ.

- ეჰ, სისულელეა! ნუ დაუჯერებთ! მაგრამ თქვენ ხომ მაინც არ გჯერათ! - წამოსცდა როგორღაც გაბოროტებით რასკოლნიკოვს. მაგრამ პორფირი პეტროვიჩმა ყურადღება არ მიაქცია, ვითომ არც კი გაუგონია ეს უცნაური სიტყვები.

- მაშ, როგორ შეგემლო გარეთ გამოსვლა, თუ სიცხიანი არ იყავი და არა ბოდავდი? - ცხარობდა რაზუმინი. - რად გამოხვედი? რაო, რა გინდოდა?.. ან ისე ჩუმად რად გაიპარე? შენს ჭკუაზე იყავი, მაშ? უკვე პირდაპირ გეკითხები, რაკი ვიცი, ახლა აღარავითარი საფრთხე არ მოგელის!

- საშინლად მომაბეზრეს თავი გუშინ, - კადნიერად მიუბრუნდა უცბად რასკოლნიკოვი პორფირის, გამომწვევი ღიმილით, - და მეც გავექეცი; მინდოდა ახალი ბინა დამეჭირა, რომ ველარ ვეპოვნეთ და ფულიც ბლომად წავილე თან. თორემ აგერ, ბატონმა ზამეტოვმაც ნახა ფული. რას იტყვით, ბატონო ზამეტოვ, ჩემს ჭკუაზე ვიყავი გუშინ თუ არა, გაგვაგებინეთ ერთი?

მზად იყო, იმჟამად ძალივით მიეღხრჩო ზამეტოვი. საშინლად არ მოსწონდა, რომ ის ისე უცნაურად უყურებდა გაჩუმებული.

- ჩემი აზრით, ძალიან გონივრულად ლაპარაკობდით, პირიქით, ცოტა ეშმაკურადაც კი. ეგ არის მხოლოდ, გაბრაზებული იყავით მეტად, - მკვახედ განუცხადა ზამეტოვმა...

- მართლა, ნიკოდიმ ფომიჩმა მითხრა დღეს, - სიტყვა ჩაურთო პორფირი პეტროვიჩმა,
- თურმე გუშინ საღამოთი გვიან გნახათ ერთი მოხელის ბინაზე, რომელიც ცხენებს
გაესრისათ...

- ავიღოთ თუნდაც ეს მოხელე! - ჩამოართვა სიტყვა რაზუმიხინმა, - გიჟი არ იყავ, მაშ?
უკანასკნელი ფული ქვრივს მიეცი დასამარხად! შველა გინდოდა, კარგი! აიღებდი და
მისცემდი თხუთმეტს, ოცს! ერთი სამიოდე მანეთს მაინც დაიტოვებდი, თორემ აიღე
და მთლად ოცდახუთი მანეთი გადაუთვალე!

- იქნება სადმე განძი ვიპოვე, შენ ხომ არ იცი? ამიტომაც გავშალე ხელი გუშინ...
თორემ აგერ ბატონმა ზამეტოვმაც იცის, რომ განძი ვიპოვე! ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, -
მიუბრუნდა ათრთოლებული ტუჩებით პორფირის, - რომ ნახევარი საათია აგერ,
რადაცა უბრალო ყბედობით გაწუხებთ. ძალიან მოგაბეზრეთ თავი, არა?

- რას ბრძანებთ, პირიქით! პირიქით! რომ იცოდეთ, როგორ იზიდავთ ჩემს
ყურადღებას! მინდა სულ ასე გიცქიროთ და ყური გიგდოთ... უნდა გამოგიტყდეთ,
ძალიან მიხარია სწორედ, რომ ბოლოს ინებეთ და მობრძანდით...

- ჩაი მაინც დაგვალევინე! ყელი გაგვიშრა! - შეჰყვირა რაზუმიხინმა.

- საუცხოო აზრია! იქნება სხვებმაც ინებონ? არ გინდათ... არსებითი რამ სხვაც
წავუმძღვარო ჩაის?

- დამეკარგე!

პორფირი პეტროვიჩი გავიდა, რომ ჩაის მოტანა ებრძანებინა.

ფიქრების ქარიშხალი უბოხოქრებდა თავში რასკოლნიკოვს. საშინლად იყო
აღელვებული.

„არა, რომ არც კი ჰფარავენ და აღარც მერიდებიან! არა, რაო ვითომ? რად
ელაპარაკებოდი ჩემზე ნიკოდიმ ფომიჩს, თუ არც მიცნობდი? მაშ, აღარ მალავენ, რომ
ძალღებოვით ფეხდაფეხ დამდევენ! პირიქით, პირდაპირ პირში მაფურთხებენ! -
ფიქრობდა რასკოლნიკოვი და თან სიბრაზისაგან კანკალებდა. - დამარტყით, თუ
გინდათ, მაგრამ თავგობანას კი ნუ მეთამაშებით. ეგ ხომ უზრდელობაა, პორფირი
პეტროვიჩ, ხომ შეიძლება, ნებაც არ მოგცეთ!.. ავდგები და ყველაფერს პირდაპირ
მოგახლით პირში; აბა, მაშინ ნახავთ, როგორა მძულხართ!.. - და სული ძლივს
მოიბრუნა, - მაგრამ რომ მეჩვენებოდეს და ნამდვილი არ იყოს? ვაითუ
გამოუცდელობით ვბრაზობ და ამ ჩემს საძაგელ როლს ვერ ვასრულებ რიგზე? იქნება
არც კი აქვთ რაიმე განზრახვა? ისეთ უჩვეულოს არას ამბობენ, მაგრამ მაინც რაღაც
სხვა რამ არის ამ სიტყვებში... ყოველივე ამის თქმა, მართალია, შეიძლება, მაგრამ
მაინც რაღაც იმალება იმათში. რად მითხრა, ე რ თ ა დ ჰქონდა შეხვეულიო?
ზამეტოვმა რაღად დაამატა, ემმაკურადლაპარაკობდიო? ასეთი კილოთი რად
მელაპარაკებიან? დიახ... კილო აქვთ რაღაც საძაგელი... რაზუმიხინიც რომ იქვე იჯდა,
რატომ იმას არ ეჩვენა საეჭვოდ? მაგრამ ამ გულუბრყვილო მუტრუკს როდის რა
ეჩვენება ხოლმე საეჭვოდ! გამაცია კიდევ!.. თვალი ჩამიკრა პორფირიმ წელან თუ არა?
სისულელეა უთუოდ, თორემ რად ჩამიკრავდა თვალს? იქნება გაბრაზება უნდა ჩემი,
ან ნერვების აშლას მიპირებს? ან ყველაფერი ეს მეჩვენება, ან იციან? ზამეტოვიც კი
თავხედობს... მაგრამ თავხედობს განა? ეტყობა, წუხელ გადაუფიქრია. მეც წინათვე

ვიგრძენი, გადაიფიქრებს-მეთქი! პირველად არის აქ, მაგრამ პორფირი სტუმრად არც კი სთვლის, ზურგი შეუქცევია. ეტყობა, ძაღლმა ძაღლი იცნო. ჩემმა ამბავმა დაამეგობრათ უთუოდ! ჩვენს მოსვლამდისაც ჰქონდათ უთუოდ ლაპარაკი ჩემზე. ნეტავი ბინაზე იციან რამე თუ არა? ჩქარა მაინც გამოირკვეს!.. წელან რომ ვუთხარი, ბინის დასაჭერად გავიქეცი-მეთქი, არა უთქვამს რა, უყურადღებოდ დატოვა... მარჯვედ კი მომივიდა სწორედ: გამომადგება შემდეგ!.. ბურანში იყო!.. ხა-ხა-ხა-ხა! გუშინდელი საღამოსი ყველაფერი იცის! დედის ჩამოსვლა არ სცოდნია!.. იმ როკაპს რიცხვიც რომ მიუწერია ფანქრით!.. მიჰქარავთ, არ დაგნებდებით! ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებაა და არა ფაქტები! ფაქტი მოიტათ თქვენ, ფაქტი! ბინაც ვერაფერ ფაქტობას გაგიწევთ, იმიტომ, რომ უგონოდ ვიყავი. ვიცი, რასაც ვეტყვი... ბინისა ნეტა იციან რამე? არ წავალ, სანამ არ გავიგებ! რისთვის მოვედი? ეს კი იქნება ფაქტად გამოიყენონ, რომ ვბრაზობ! ფუჰ, რა ბრაზიანი რამა ვარ! მაგრამ იქნება კარგიც იყოს; ავადმყოფის როლია... უნდა გამიცნოს ვითომ. ეცდება, როგორმე ამრიოს, აზრები ამიბნის, რისთვის მოვედი?“

ყველა ამან ელვასავით გაურბინა თავში.

პორფირი პეტროვიჩი მალე მობრუნდა. როგორღაც უცბად გამხიარულდა.

- წუხანდელს აქეთ, რაც შენთან ვიყავი, ძმაო, სულ თავი მტკივა... რაღაც მოვეშვი სულ, - მიმართა უცბად მხიარული კილოთი რაზუმიხინს.

- არ ვიცი, მერე საყურადღებო რა იყო? მე ხომ გუშინ სწორედ გაცხარებული კამათისას გაგმორდით. ვინ აჯობა?

- რასაკვირველია, არავინ. მარადიულ საკითხებს შევეხეთ. ცაში ვნავარდობდით.

- წარმოიდგინე, როდია, რაზე გვქონდა წუხელ ლაპარაკი: არსებობს საზოგადოდ დანაშაული თუ არაო? ვერ წარმოიდგენ, რამდენი ვიყბედეთ და ვიცრუეთ!

- რა არის მერე გასაკვირველი? ჩვეულებრივი სოციალური საკითხია. - მიუგო დაბნეულად რასკოლნიკოვმა.

- არა, ასე როდი იყო საკითხი დაყენებული, - შენიშნა პორფირიმ.

- სულ მთლად ასე არ იყო. ეს მართალია, - დაეთანხმა მაშინვე რაზუმიხინი და ჩვეულებისამებრ გაცხარდა, - გესმის, როდიონ, ყური დამიგდე და შენი აზრი მითხარი. მინდა შენი აზრი შევიტყო. თავი გადავიკალ გუშინ, შენც მოგელოდი; ვუთხარი, მოვა-მეთქი... ლაპარაკი დაიწყო სოციალისტების შეხედულებიდან. ხომ იცი: დანაშაული წარმოადგენს პროტესტს სოციალური წესწყობილების უკუღმართობის წინააღმდეგ, არავითარი სხვა მიზეზი არ მოეძებნებაო!

- აი, იცრუე, - შეჰყვირა პორფირი პეტროვიჩმა. მას გამოცოცხლება დაეტყო. წარამარა იცინოდა, რაზუმიხინს რომ უყურებდა, და ამით უფრო უკიდებდა ცეცხლს.

- არავითარი სხვა მიზეზი არ მოიძებნება-მეთქი, დიახ! - გააწყვეტინა ცხარედ რაზუმიხინმა, - არა ვტყუი!.. გინდა იმათ წიგნებსაც გიჩვენებ: ყველაფერს იმითი ხსნიან, „წრემ იმსხვერპლაო“ - და სხვა არაფერი! აი, მათი საყვარელი სიტყვები! აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ნორმალურად მოწყობილ საზოგადოებაში დანაშაულთა ხსენებაც აღარ იქნება, რადგან უკმაყოფილების საბაზი მოისპობა და,

მამასადამე, ყველანი უცხად წმინდანები გახდებიან! ადამიანის ბუნებას კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ბუნება განდევნილია, მას უარყოფენ! მათი აზრით, კაცობრიობა კი არ განვითარდება ბუნებრივი, ცოცხალი, ისტორიული გზით და ბოლოს მიაღწევს ნორმალურ საზოგადოებრივ წყობილებას, პირიქით, სოციალური სისტემა წარმოიშობა ანაზღაურებად რომელიმე მათემატიკოსის თავიდან და მოაწყობს მთელ კაცობრიობას ისე, რომ ყველა უცოდველი და მართალი შეიქნება; ამისათვის არც ცოცხალი პროცესი და განვითარებაა საჭირო, არც ისტორიული გზა! ამიტომაც არის, რომ ასე ინსტინქტურად სძულთ ისტორია: „მასში სამაგლობისა და სისულელის მეტი არაფერიაო“. ამიტომაც, რომ სისულელით ხსნიან ყველაფერს! ამიტომაც ცხოვრების ცოცხალი მიმდინარეობა არ უყვართ: სული ცხოველი არ არის საჭირო! იმიტომ რომ ცოცხალი სული სიცოცხლეს მოითხოვს, ცოცხალი სული მექანიკას არ დაემორჩილება, ცოცხალი სული ეჭვს შეიტანს, ჩამორჩენილიაო! აქ კი, თუმცა უკვე მკვდრის სუნი უდის, შეიძლება იგი კაუჩუკიდანაც გაკეთდეს, - სამაგიეროდ, სიცოცხლე აღარ ექნება, ნებისყოფა არ ექნება, მონა იქნება, არ აჯანყდება! გამოდის, რომ ყველაფერი აგურის დაწყობასა და დერეფნებისა და ოთახების განლაგება-მოწყობაზე ყოფილა მხოლოდ დამოკიდებული ფალანსტერაში! ფალანსტერა კი მზადაა აქვთ, მაგრამ ადამიანის ბუნება რომ ჯერ კიდევ არ არის მზად, სიცოცხლე სწყურია, ჯერ სიცოცხლის პროცესი არ დაუმთავრებია, ადრეა სასაფლაოსაკენ მისი გასტუმრება! მართო ლოგიკით ადამიანის ბუნების ძლევა შეუძლებელია! ლოგიკა, ვთქვათ, სამ შემთხვევას გაითვალისწინებს, მათი რიცხვი კი მილიონია! მთელი მილიონი შემთხვევის მოწყვეტა და ყველაფრის მართო კომფორტის საკითხზე დაყვანა სისულელეა! რასაკვირველია, ამოცანის ყველაზე ადვილი გადაჭრაა! აქ ყველაფერი აშკარაა, ფიქრიც არ უნდა! უმთავრესი კი ის არის, რომ ფიქრი არ უნდა! სიცოცხლის მთელი საიდუმლო ორ ფურცელზე დაეტევა!

- აი ბატონო, მოხსნა გუდას პირი და ჰაიდა! უნდა გააკავოს კაცმა, - იცინოდა პორფირი. - წარმოიდგინეთ, - მიუბრუნდა რასკოლნიკოვს, - გუშინ საღამოსაც ასე ქნა; წინათვე პუნში დაგვალევინა ექვს კაცს, -წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა? არა, ძმაო, სტყუი: „წრე“ ბევრს ნიშნავს დანაშაულში; თორემ დაგიმტკიცებ კიდევ.

- მეც ვიცი, რომ ბევრსა ნიშნავს, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ორმოცი წლის კაცი რომ ათი წლის გოგოს აფუჭებს, - წრეა ამის მიზეზი თუ არა?

- რა არის მერე, კარგად რომ განვსაჯოთ, იქნება აგრეც გამოდგეს, - შენიშნა დინჯად პორფირიმ. - ძალიანაც შესაძლებელია, „წრის“ გავლენით ავხსნათ.

ცოტას გაწყდა, არ გადაირია რაზუმინი.

- კარგი, მაშ, გინდა ახლავე დაგიმტკიცო, - შეჰღრიალა რაზუმინმა, - რომ თეთრი წამწამები ივანე დიდის ზარის მიზეზითა გაქვს და დაგიმტკიცო აშკარად, პროგრესულად და ლიბერალური თვალსაზრისით? გინდა თუ არა? სანაძლეოს დავდებ, რომ დაგიმტკიცებ!

- დამიმტკიცე! ყურს დაგიგდებთ, ვნახოთ, როგორ დაამტკიცებ!

- სულ ასე გვაჩვენებს თავს! - შეჰყვირა რაზუმინმა, წამოხტა და ხელი ჩააქნია. - ღირს განა შენთან ლაპარაკი! განგებ იქცევი ასე, შენ კიდევ არ იცნობ, როდიონ! გუშინაც იმიტომ დაუჭირა იმათ მხარი, რომ გაესულელებინა ყველანი. მერე რას არ

ლაპარაკობდა, ღმერთო! ისინი კი სიხარულით ფეხზე ძლივს იდგნენ!.. ასე იცის მუდამ, მთელი კვირაობით გვატყუებს ხოლმე. შარშან, მაგალითად, არ ვიცი რისთვის, დაგვარწმუნა, ბერად მივდივარო და მთელი ორი თვე ასე გვატუტუცა! ამ წინაზე კიდევ გვარწმუნებდა, ცოლს ვირთავო, და საქორწინოდაც მოემზადა. წარმოიდგინე, ახალი ტანისამოსიც კი შეიკერა. ასე რომ კიდევ ვულოცავდით, მაგრამ რის ქორწილი, რის პატარძალი; მოგვაჩვენა!

- ეგ კი იცრუე! ტანისამოსი წინათ შევიკერე და ფიქრადაც სწორედ მაშინ მომივიდა, მომეტყუებინეთ.

- მართლა ეგრე თვალთმაქცობთ ხოლმე? - დაეკითხა დაუდევრად რასკოლნიკოვი.

- მაშ, გეგონათ არა? მოიცათ, თქვენც გაგაცურებთ - ხა, ხა, ხა! მაგრამ არა, მოიცათ, რა უნდა გითხრათ. ყველა ამ საკითხის, დანაშაულის, წრის, გოგოებისა და სხვათა გამო ახლა ერთი რამ მომაგონდა, - სახელდობრ, თქვენი ერთი წერილი. „დანაშაულის თაობაზე“, თუ როგორ ერქვა სახელად, აღარ მახსოვს, ორი თვის წინათ წავიკითხე „პერიოდი ჩესკაიარეში“.

- ჩემი წერილი? „პერიოდი ჩესკაიარეში“? - შეეკითხა გაკვირვებით რასკოლნიკოვი. - მართალია, ნახევარი წლის წინათ, უნივერსიტეტიდან რომ გამოვედი, ერთი წიგნის გამო წერილი დავწერე, მაგრამ მახსოვს, „ეჟენედელნაია რეჩს“ გადავეცი და არა „პერიოდიჩესკაიარეჩს“.

- „პერიოდიჩესკაიარეჩს“ კი დაიბეჭდა.

- მაგრამ „ეჟენედელნაია რეჩი“ ხომ დაიკეტა, იმიტომ აღარ დაბეჭდეს...

- ეგ მართალია, მაგრამ მერე „პერიოდიჩესკაიარეჩს“ შეუერთდა და ამიტომ თქვენი წერილიც ორი თვის წინათ იქ დაიბეჭდა. თქვენ კი არა იცოდით რა, განა?

მართლაც, არ იცოდა რასკოლნიკოვმა.

- მოითმინეთ, თქვენ ფულიც შეგიძლიათ მოსთხოვოთ წერილისა! რა უცნაური ხასიათისა ყოფილხართ! ასე განდგომილად როგორა ცხოვრობთ, რომ თქვენი ამბებისაც კი არა იცით რა. ეს ხომ ფაქტია.

- ყოჩაღ, როდია! არც მე ვიცოდი! - შეჰყვირა რაზუმიხინმა. - დღესვე შევირბენ სამკითხველოში და იმ ნომერს მოვითხოვ! ორი თვის წინათ იყო? რა რიცხვში? მაგრამ სულ ერთია, ვიპოვნი! ხედავთ, რა ამბავია! რა, რომ არც რასმე იტყვის!

- მერე საიდან გაიგეთ, რომ ჩემი იყო ეს წერილი? ქვეშ მარტო ერთი ასო ეწერა.

- შემთხვევით გავიგე ამ დღეებში, რედაქტორმა მითხრა; ნაცნობია ჩემი... ძალიან მიიზიდა ჩემი ყურადღება და იმიტომ.

- როგორც მახსოვს, მე ვეხებოდი დამნაშავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას თვითონ დანაშაულის ჩადენის დროს.

- დიახ, და ამტკიცებთ, რომ დანაშაულის ჩადენას უთუოდ თან სდევს ავადმყოფობა. ორიგინალურია მეტად ეს აზრი... მაგრამ ამან კი არა, სხვა აზრმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, იმან, რომელიც წერილის ბოლოშია, სამწუხაროდ, იგავით, ბუნდად

გამოთქმული... ერთი სიტყვით, თუ მოიგონებთ, ბუნდოვნად გაქვთ გამოთქმული აზრი, რომ არიან ქვეყნად ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ... ესე იგი, შეუძლიათ კი არა, სრული უფლება აქვთ, ჩაიდინონ ყოველგვარი უწესობა და დანაშაული, და ვითომ მათთვის კანონი არ არსებობს.

რასკოლნიკოსს გაეცინა, რომ ასე განზრახ დაამახინჯეს მისი აზრი.

- როგორ? რაო? უფლება აქვთ დანაშაული ჩაიდინონ? იმიტომ ხომ არა, რომ „წრემ გარყვნაო“? - დაეკითხა როგორღაც შემინებული რაზუმისხინი.

- არა, არა, იმიტომ არა, - უპასუხა პორფირი. - საქმე ისაა, რომ ამის წერილში მთელი ქვეყანა „არაჩვეულებრივ“ და „ჩვეულებრივ“ ადამიანებად არის დაყოფილი. ჩვეულებრივი ადამიანები მოვალენი არიან, კანონის მორჩილნი იყვნენ და არ დაარღვიონ იგი, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხალხს წარმოადგენენ. არაჩვეულებრივ ადამიანებს კი უფლება აქვთ, ყოველგვარი დანაშაული და უკანონობა ჩაიდინონ მხოლოდ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი ბუნებისანი არიან. ვგონებ, ასე გაქვთ, თუ არ ვცდები.

- როგორ, რას ამბობთ? შეუძლებელია! - ბუტბუტებდა რაზუმისხინი და ვერა გაეგო რა.

რასკოლნიკოსს კვლავ ჩაეცინა. მაშინვე მიხვდა, რაშია იყო საქმე და რა განზრახვაც ჰქონდა მის მოსაუბრეს. კარგად ახსოვდა წერილის შინაარსი და გადაწყვიტა გამოჰკამათებოდა.

- სულაც არ არის აგრე დაწერილი, - დაიწყო უბრალოდ და წყნარად. - მაინც გამოგიტყდებით, რომ თითქმის სწორად გადმოვეცით მისი შინაარსი, თუ გნებავთ, სახსრებით სწორადაც... (ემა თითქოს, რომ დაეთანხმა - სახსრებით სწორადაცო). ერთადერთი განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ საჭიროდ სულაც არა ვთვლი, ვითომ არაჩვეულებრივი ადამიანები უთუოდ მუდამ უნდა უწესობას ახდენდნენ, როგორც თქვენ ამბობთ. ჩემი აზრით, ასეთ წერილს არც დაბეჭდავდნენ. მე მხოლოდ გაკვრით გამოვთქვი, რომ „არაჩვეულებრივ“ ადამიანს უფლება აქვს... ესე იგი, ოფიციალური უფლება კი არა, თვითონ შეუძლია მისცეს თავს ნება, სინდისს გადაუხვიოს... ანუ გადალახოს ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი იდეის განხორციელება (ზოგჯერ მთელი კაცობრიობისათვის სასარგებლო) მოითხოვს ამას. თქვენ ამბობთ, ვითომ ჩემი წერილი გაუგებრად და ბუნდოვნად იყოს დაწერილი; მზად ვარ განგიმარტოთ, რამდენადაც კი შევძლებ. იქნებ არ ვტყუოდე, თუ მოგახსენებთ, რომ, ვგონებ, თქვენც სწორედ ეს გნებავთ; ინებეთ. ჩემი აზრით, თუ რაიმე მიზეზის გამო კეპლერისა და ნიუტონის აღმოჩენანი ქვეყნისათვის უცნობნი დარჩებოდნენ, თუ ერთის, ათის ან ასისა და მეტი ისეთი კაცის სიცოცხლე არ შეეწირებოდა მსხვერპლად, რომლებიც აბრკოლებდნენ და ხელს უშლიდნენ მათ გამოქვეყნებას, ერთსაც და მეორესაც უფლება ჰქონდათ და თითქმის მოვალენიც იყვნენ... მოეშორებინათ თავიდან ეს ათი და ასი კაცი, რომ ქვეყნისათვის თავისი აღმოჩენანი გაეცნოთ. აქედან, ყოველ შემთხვევაში, ის დასკვნა მაინც არასოდეს არ შეიძლება გამოვიტანოთ, ვითომ ნიუტონს ან კეპლერს უფლება ჰქონოდათ, მარჯვნივ და მარცხნივ განურჩევლად უდანაშაულო ხალხი ეჟლიტათ, ან ყოველდღე ბაზარზე ექურდბაცაცათ. გარდა ამისა, რამდენადაც მახსოვს, ის აზრი მაქვს გატარებული, რომ ყველანი... მაგალითად, თუნდაც კაცობრიობის კანონმდებლები და მომწყობლები, უძველესთაგან

მოკიდებული და შემდგომ, როგორც იყვნენ ლიკურგე, სოლონი, მაჰმადი, ნაპოლეონი და სხვანი, ყველანი ერთიანად დამნაშავენი იყვნენ თუნდაც იმით მხოლოდ, რომ ახალი კანონის გამოცემით ძველს არღვევდნენ, რომელიც წინაპართაგან იყო ნაანდერძევი და საზოგადოებისა და ხალხის მიერ პატივდებული. ახალი კანონისათვის ისინი ხშირად ღვრიდნენ ხოლმე სისხლს (ზოგჯერ სრულიად უდანაშაულოსაც), რაკი მოწინააღმდეგეს ძველი კანონი არ ეთმობოდა და მას მამაცურად იცავდა, თუ ამ გზით შეძლებდნენ თავისი გაეყვანათ. შესანიშნავია აგრეთვე, რომ ქვეყნიერების კეთილისმყოფელნი და კანონმდებელნი საშინელი სისხლისმსმელები იყვნენ თითქმის ყველანი; ერთი სიტყვით, აქედან ის დასკვნა გამომყავს, რომ არამცთუ დიდი ადამიანები, თვით ოდნავ ნიჭიერებიც კი, რომელთაც შეუძლიათ ახალი რამ თქვან და შექმნან, ბუნებით უთუოდ უნდა იყვნენ დამნაშავენი, - ცოტად თუ ბევრად, რა თქმა უნდა. უამისოდ უმეტესობის საერთო უღელსა და მდგომარეობას თავს ვერ დააღწევენ და გზას ვერ გაიკაფავენ. არსებულ მდგომარეობაში დარჩენა კი, რასაკვირველია, არაფრის გულისათვის არ შეუძლიათ, რადგანაც მათი ბუნება ამისი წინააღმდეგია და, ჩემი აზრით, ვალდებულნიც არიან, გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან. ერთი სიტყვით, ნათლად ხედავთ, რომ ჯერჯერობით აქ ახალი საიმისო არა არის რა. ამგვარი რამ ათასჯერ ყოფილა დაწერილიც და გამოთქმულიც. რაც შეეხება ჩემს დაყოფას ხალხისას ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ადამიანებად, ეს, გეთანხმებით, რამდენადმე ნებაყოფლობითია, მაგრამ მე ხომ ზუსტი ციფრები არ მომყავს. მე მხოლოდ ჩემი უმთავრესი აზრისა მჯერა. ჩემი აზრის თანახმად, ბუნების კანონით ხალხი საზოგადოდ ორ წყებად იყოფა: ერთია ჩვეულებრივი ხალხი, ესე იგი ის მასალა, რომელიც მხოლოდ თავის მსგავს შთამომავლობას იძლევა, მეორე კი - ის არაჩვეულებრივი ხალხი, რომელსაც უნარი თუ ნიჭი რამ აქვს მიმადლებული და თავის წრეში ახალი სიტყვის თქმა შეუძლია. რასაკვირველია, შეიძლება რამდენადმე კიდევ დანაწილდეს ეს ჯგუფი. მაგრამ ერთისა და მეორე წყების განმასხვავებელი ნიშნები საკმაოდ თვალსაჩინოა: პირველ წყებას ანუ მასალას შეადგენენ, საზოგადოდ, კონსერვატიული, წყნარნი და მორჩილნი. ჩემი აზრით, მათ სხვარიგად ცხოვრება არც შეუძლიათ, რადგანაც ეს არის მათი დანიშნულება და არცთუ რამ არის შეურაცხმყოფელი მათთვის აქ. მეორე წყებას შეადგენენ კანონის დამრღვევნი, ან ისინი, რომელთაც თავიანთი ნიჭის შესაბამისად მიდრეკილება აქვთ დანაშაულისადმი. მათი დანაშაული, რასაკვირველია, შეფარდებითი და მრავალგვარია; ისინი უმეტესად თხოულობენ, რომ უკეთესი მომავლისათვის აწმყო იქნეს დარღვეული. მაგრამ თუ იდეა ითხოვს, რომ მსხვერპლი შეეწიროს, ნება ეძლევათ, საკუთარი სინდისით სისხლიც კი დაანთხიონ, - ეგ კია მხოლოდ, თვითონ იდეისა და მისი მნიშვნელობის მიხედვით, - ეგ არ უნდა დაივიწყოთ. მხოლოდ ამ აზრით ვეხები ჩემს წერილში მათ უფლებას დანაშაულის ჩადენისას (ხომ გახსოვთ, იურიდიული საკითხიდან დაიწყო ჩვენი ლაპარაკი). მაინც დიდად საწუხარი აქ არა არის რა: ხალხის უმეტესობა არასოდეს აღიარებს მათ ასეთ უფლებას, სჯის სიკვდილით (მეტად თუ ნაკლებად) და ამით თავის კონსერვატიულ დანიშნულებას სამართლიანად ასრულებს; მაგრამ შემდგომი თაობები ამავე ხალხისა დასჯილებს ძეგლს უდგამენ და თავყანსა სცემენ (მეტად თუ ნაკლებად). პირველი წყება მუდამ აწმყოს უფალია, მეორე - მომავლისა. პირველნი ქვეყნიერების დაცვასა და გამრავლებას ემსახურებიან; მეორეებს - წინ მიჰყავთ ქვეყნიერება და გარკვეული მიზნისაკენ მიაქანებენ. პირველთაც და მეორეთაც ერთნაირი უფლება აქვთ არსებობისა. ერთი სიტყვით, ჩემი წერილის თანახმად, ყველას ერთნაირი უფლებები აქვს. და - „vive la guerre eternelle[20],“ - ვიდრე ახალ იერუსალიმამდე, რასაკვირველია.

- მაშ, გჯერათ მაინც ახალი იერუსალიმისა?
- მჯერა და მწამს, - უპასუხა მტკიცედ რასკოლნიკოვმა, რომელიც მთელი ამ გრძელი საუბრის დროს დაჰყურებდა ხალიჩის ერთ რომელიღაც წერტილს...
- ღმერთიცა გწ-წ-ამთ? ბოდიშს კი ვიხდი, რომ გეკითხებით.
- მწამს, - მიუგო რასკოლნიკოვმა და თავი მაღლა აიღო, პორფირის შეხედა.
- ლაზარეს აღდგენაც გწამთ?
- მწამს. მაგრამ რისთვის გინდათ, რად მეკითხებით?
- მართლა გწამთ? ნამდვილად?
- ნამდვილად.
- ხედავთ თურმე... არაფერი, ისე ვიკითხე. ბოდიშს ვიხდი. მაგრამ მოითმინეთ, ისევ წელანდელს დავუბრუნდები, მათ ხომ ყოველთვის არა სჯიან სიკვდილით; ზოგიერთები პირიქით...
- სიცოცხლეშივე იმარჯვებენ, არა? დიახ, დიახ, ზოგიერთები სიცოცხლეშივე აღწევენ მიზანს და მაშინ...
- თვითონ სჯიან სხვათ, არა?
- თუ, რასაკვირველია, საჭიროა; მეტწილად, მაინც ასეა ხოლმე საზოგადოად, მოსწრებულად მოგივიდათ ეგ სიტყვა.
- გმადლობთ, მაგრამ მითხარით, გეთაყვა: ეს არაჩვეულებრივი ხალხი ჩვეულებრივისაგან რით განირჩევა? დაბადებითვე დაჰყვებათ ხოლმე რამ ისეთი ნიშნები, თუ როგორ არის? ამას იმიტომ ვამბობ, რომ საჭიროა მეტი სიზუსტე, ასე ვთქვათ, მეტი გარეგანი გარკვეულობა: ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, როგორც პრაქტიკულსა და წესრიგის მოყვარულ კაცს, საშინლად მაწუხებს ეს; არ შეიძლება საგანგებო ტანისამოსი შემოვიღოთ, ან რაიმე დადი დავკრათ ხოლმე?.. იმიტომ რომ, დამეთანხმეთ, ვაითუ მონასტერი აირიოს, ერთმა რომელიმემ გადაწყვიტოს, მეორე წყებას ვეკუთვნის და დაიწყოს „ყველა დამაბრკოლებელ მიზეზთა გადალახვა“, როგორც თქვენ მოხდენილად ისურვეთ ბრძანება. მაშინ ხომ...
- ო, რასაკვირველია, ძალიან ხშირად ხდება! ეგ თქვენი შენიშვნა წელანდელზე უფრო მოსწრებულია...
- გმადლობთ...
- არა ღირს, მაგრამ მხედველობაში მიიღეთ, რომ შეცდომა პირველების, ესე იგი „ჩვეულებრივთაგან“ (როგორც ეს მე ვუწოდებ მათ, იქნება მეტად უხერხულადაც) არის მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით დაყოლილი აქვთ მორჩილება, ზოგიერთებს მაინც წარიტაცებს ხოლმე რაღაც, თავს მოწინავე ადამიანებად, ძველის „დამრღვევებად“ და „ახლის მთქმელებად“ მიიჩნევენ და ამას სრულიად გულწრფელად სჩადიან. ნამდვილად „ახლის მთქმელთ“ კი ვერ არჩევენ და სძულთ, როგორც ჩამორჩენილი და სამარცხვინო აზრების ხალხი. მაგრამ, ჩემი

აზრით, საშიში აქ არა არის რა, და არც ღირს საწუხრად, რადგანაც არასოდეს მათ მოქმედებას დიდი დღე არა აქვს. რასაკვირველია, ასეთი გატაცებისათვის შეიძლება ზოგჯერ ყურით ავუწიოთ და გავლახოთ კიდეც, რომ თავისი ადგილი არ დაივიწყონ. ამსრულებელიც კი არ არის აქ საჭირო, რადგანაც თვითონვე ხშირად უწევენ ერთმანეთს ასეთ სამსახურს; ზოგი თვითონვე ლახავს თავის თავს, ზოგიც სხვისი ხელით ილახება... სხვადასხვა სასჯელს დაიდებენ ხოლმე საჯაროდ, - რაც ჭკუის სასწავლებელიც არის და საუცხოოც. ერთი სიტყვით, თქვენ აქ საწუხი არა გაქვთ რა... კანონივე არსებობს ასეთი.

- ეგ მაინც კარგია, ცოტა დამამშვიდეთ ამ მხრივ; მაგრამ მითხარით, გეთაყვა: ბევრია ნეტა ისეთი, რომლებსაც ამ ჩვეულებრივი ხალხის ხოცვისა და ჟლეტის უფლება აქვს, ბევრია ეს „არაჩვეულებრივი ხალხი“? რასაკვირველია, დავემორჩილებოდი, მაგრამ თუ რიცხვმრავალნი არიან, მაშინ კი, გამოგიტყდებით, საშიში არის ცოტა, ტანში ჟრუანტელი მივლის როგორღაც!

- ნურც ამაზე შეწუხდებით, - განაგრძობდა იმავე კილოთი რასკოლნიკოვი. - საზოგადოდ, ახალი აზრის ხალხი კი არა, ოდნავ ისეთებიც კი, რომლებსაც რისამე ახლის თქმა შეუძლიათ, ერთობ ცოტანი იბადებიან. ასე, რომ გასაოცარიც კია, რად არის ასე. ერთია მხოლოდ ამკარა, რომ ყველა ამ წყებისა და რიგის ხალხის შთასახვა უთუოდ ბუნების რომელსამე გარკვეულ კანონს ემორჩილება. ეს კანონი, რასაკვირველია, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მჯერა, რომ არსებობს და თავის დროზე უთუოდ გამოირკვევა. ურიცხვი ხალხი, ანუ მასალა, მხოლოდ იმიტომაც ქვეყნად, რომ რაღაც საიდუმლოებრივი პროცესისა და გვართა და ჯიშთა ურთიერთშერევის წყალობით ბოლოს, როგორც იქნება, თუნდ ათასში ერთი, რამდენადმე დამოუკიდებელი ადამიანი წარმოშვას. უფრო მეტი დამოუკიდებლობის პატრონი კი ათი ათასში ერთი ძლივს იბადება (ამას ვამბობ მხოლოდ სანიმუშოდ, დასასურათებლად); ამაზე უფრო დამოუკიდებელი ბუნების პატრონი კი ასი ათასში ერთია. გენიოსი მილიონში ერთი იბადება, უდიდესი მსოფლიო გენიოსები კი, კაცობრიობის დამგვირგვინებლები, ხომ მილიონსა და მრავალ ათას მილიონშიაც ძლივს ჩნდებიან ხოლმე. ერთი სიტყვით, რომელ ჭურჭელში მზადდება და წარმოებს ყველა ეს, არ ჩამიხედა, მაგრამ გარკვეული რამ კანონი რომ უთუოდ უნდა არსებობდეს, უეჭველია; შემთხვევით ახსნა ამ ფრიად საყურადღებო გარემოებისა შეუძლებელია.

- ხუმრობთ ორივენი, თუ როგორ არის თქვენი საქმე? - შეჰყვირა ბოლოს რაზუმიხინმა.
- ან იქნებ ერთმანეთს ატყუებთ? დამსხდარან, ბატონო, და ერთმანეთს დასცინიან! ნუთუ არ ხუმრობ, როდია!

რასკოლნიკოვმა ჩუმად მიაპყრო თავისი გაფითრებული და მოწყენილი სახე, მაგრამ არა უთხრა რა. უცნაურად ეჩვენა რაზუმიხინს, რომ რასკოლნიკოვს ასეთი წყნარი და სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. პორფირი კი ასე დაუფარავად და უზრდელად, დაჟინებით გესლავდა.

- ეგ, ძმაო, თუ მართლა ამბობ და არა ხუმრობ... რასაკვირველია, აგრეა: ყველაფერი ეს არ ახალია, ძველია და ათასგზის წაკითხულსა და გაგონილს ჰგავს; მაგრამ ორიგინალური აქ მხოლოდ ის არის, - და მართლაც, ჩემდა დიდად სამწუხაროდ, მარტო შენ გეკუთვნის, - რომ სისხლის საქმეს სინდისით სწყვეტ, და, მაპატიე, ისეთი

ფანატიზმით, რომ... ეტყობა, მაშ, შენი წერილის უმთავრესი აზრიც ეს არის. სისხლის საქმის სინდისით გადაწყვეტა, ჩემო ძმაო... ჩემი აზრით, უფრო საშინელია, ვიდრე ოფიციალური და კანონიერი სისხლისღვრის ნებართვა...

- სრულიად მართალია, უფრო საშინელია, - დაეთანხმა პორფირი.

- არა, უთუოდ რამემ გაგიტაცა! შეცდომაა. წავიკითხავ... ეჭვი არ არის, გატაცებული ყოფილხარ! თორემ ვიცი, იმას ვერ იფიქრებდი... წავიკითხავ.

- წერილში მხოლოდ გაკვრითა მაქვს ყველა ეს გამოთქმული, - უპასუხა რასკოლნიკოვმა.

- ასე, მაშ, ასე, - იმეორებდა და სკამზე ვერ ისვენებდა პორფირი, - ახლა კი თითქმის ნათლად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უყურებთ დანაშაულს... მაგრამ მაპატიეთ, რომ ასე გაბეზრებთ თავს (თვითონვე მრცხვენია, რომ ასე გაწუხებთ!). იცით რა, წელან საკმაოდ დამამშვიდებელი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ამ ორ წყებას შორის ზოგჯერ აღრევაც მოხდეს, მაგრამ... აი, ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება მაინც მოსვენებას არ მამლევს! ვთქვათ, ახლა რომელიმე ვაჟკაცმა ან ჭაბუკმა წარმოიდგინა უცბად, რომ ლიკურგი ან მაჰმადი არის... მომავლისა, რასაკვირველია, და დაიწყო სხვადასხვა დაბრკოლებათა გადაღახვა... შორი მგზავრობა ან ლაშქრობა მომელის და ფულები დამჭირდებაო... და დაიწყო სალაშქროდ ფულების ძებნა?

ზამეტოვმა უცბად ჩაიფრუტუნა თავის კუთხეში, მაგრამ რასკოლნიკოვს არც კი შეუხედნია.

- გეთანხმებით, - უპასუხა მშვიდად რასკოლნიკოვმა, - რომ ასეთი შემთხვევა მართლაც შესაძლებელია. აკი ჭკუამოკლენი და პატივმოყვარენი გაებმებიან ხოლმე კიდეც, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

- აი, ხომ ხედავთ, როგორ უნდა იყოს, მაშ?

- როგორ და ისე, - გაეღიმა რასკოლნიკოვს, - ჩემი ბრალი ხომ არ არის. ასე არის და იქნება მუდამ. აგერ, აკი თქვა იმან (რაზუმინხინზე უჩვენა), რომ სისხლისღვრის ნებას ვიძლევი. რა არის მერე? საზოგადოება ხომ ყოველმხრივ უზრუნველყოფილია: საპატიმროებით, გადასახლებით, სასამართლო გამომძიებლებით, კატორღითა და სხვა, - რაღა გაწუხებთ მაშ? მოძებნეთ ქურდი!

- მერე, რომ ვიპოვოთ?

- იპოვით და გზაც იქითა ჰქონია.

- ლოგიკურად სჯით! მაგრამ იმისი სინდისის საქმე როგორღა უნდა იყოს?

- სინდისთან რაღა საქმე გაქვთ?

- როგორ თუ რა საქმე? კაცთმოყვარეობა მაიძულებს.

- ვისაც სინდისი აქვს და დანაშაულს შეიგნებს, დეე, იტანჯოს. მისთვის ეს იქნება სასჯელი.

- ნამდვილი გენიოსები კი, რომლებსაც უფლება აქვთ სხვათა ჟღერისა, რაო, ისინი არ უნდა იტანჯებოდნენ სულაც, არც მაშინ, სისხლს რომ დაანთხევინ? - დაეკითხა მოღუმებით რაზუმინი.

- უნდა აქ რა შუაშია? აქ არც ნებართვაა, არც აკრძალვა. დეე, იტანჯოს, თუ მსხვერპლი ებრალება... ტანჯვა და ტკივილი დიდი შეგნებისა და ღრმა ბუნების პატრონისათვის მუდამ სავალდებულოა. ჭეშმარიტად დიდი ადამიანები, ჩემი აზრით, უთუოდ უნდა გრძნობდნენ დიდ ნალველსაც ამ ქვეყნად, - დასძინა უცბად ისეთი დაფიქრებით, ლაპარაკის კილოს არც კი მიუდგა.

მალა აიხედა, ჩაფიქრებულმა ყველას გადაავლო თვალი, გაიღიმა და ქუდს დაავლო ხელი. ახლა უფრო დამშვიდებული იყო, ვიდრე წელან რომ შემოვიდა, და თვითონვე გრძნობდა ამას. ყველანი წამოდგნენ.

- ასე მაშ, გამლანძღეთ და გამიჯავრდით, თუ გინდათ, მაგრამ არ შემიძლია კიდევ ერთი პატარა კითხვა არ მოგცეთ (გაწუხებთ კი ძალიან), - დაასვენა პორფირი პეტროვიჩმა, - მინდოდა მხოლოდ ერთი პაწია იდეა კიდევ განგემარტათ, რომ არ დამვიწყებოდა...

- კარგით, მითხარით, აბა, ეგ თქვენი პაწია იდეა რომელიდაა. - რასკოლნიკოვი ფერმკრთალი და დაფიქრებული იდგა მის წინ.

- აი, არ ვიცი სწორედ... როგორ გამოვთქვა უფრო მოხერხებულად... ცოტა უცნაური იდეა... ფსიქოლოგიური ხასიათისა... აი, როცა წერილს წერდით, ეჭვი არ არის, ხე-ხე, უთუოდ თქვენ თავს ცოტათი მაინც „არაჩვეულებრივ“ და ახალი სიტყვის მთქმელ კაცადა თვლიდით, - ისე, რასაკვირველია, როგორც ეს თქვენ გესმით... აგრეა ხომ, ჰა?

- შეიძლება აგრეც იყოს, - მიუგო ზიზლით რასკოლნიკოვმა. რაზუმინი შეირხა.

- თუ ასეა, მაშ მითხარით ერთი: ნუთუ რაიმე გაჭირვების ან შევიწროების გამო ცხოვრებაში, ან კაცობრიობის სახეიროდ, გაბედავდით და გადალახავდით წინ ამართულ დაბრკოლებას?... აი, მაგალითად, მოჰკლავდით და გასძარცვავდით ვისმე?

და უცბად ისევ ჩაუკრა მარცხენა თვალი და ჩუმად გაიცინა, სწორედ ისე, როგორც წელან.

- გადავლახავდი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, თუნდ მომხდარიყო კიდევ ასე, თქვენ არ გეტყოდით, - მიუგო გამომწვევად და აშკარა ზიზლით რასკოლნიკოვმა.

- არა, ეს მხოლოდ იმიტომ მინდა შევიტყო, რომ თქვენი წერილის კარგად გაგება შეეძლო, მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით.

„ფუჰ, რა აშკარად და ურცხვად ცრუობს!“ - გაიფიქრა ზიზლით რასკოლნიკოვმა.

- ნება მიბოძეთ მოგახსენოთ მაგაზე, - მიუგო უგულოდ რასკოლნიკოვმა, - რომ არც მაჰმადად და არც ნაპოლეონად ჩემს თავს არა ვთვლი, არც მათ მსგავს სხვა ვინმედ. მაშასადამე, პასუხის მოცემაც არ შემიძლია თქვენს კითხვაზე, თუ როგორ მოვიქცეოდი.

- კარგით ერთი და, ვიღა არა თვლის ახლა რუსეთში თავს ნაპოლეონად? - წარმოთქვა უცბად მეტად მოურიდებლად პორფირი პეტროვიჩმა.

ამჟამად თვითონ ხმაზევე აშკარად ეტყობოდა, რომ გულში რაღაც ჰქონდა დაფარული.

- იქნებ ჩვენი ალიონა ივანოვნაც რომელიმე მომავალმა ნაპოლეონმა ასჩეხა ცულით წარსულ კვირას? - წამოიძახა უცბად კუთხიდან ზამეტოვმა.

რასკოლნიკოვი დუმდა და დაშტერებით შეჰყურებდა პორფირის, რაზუმიხინიც როგორღაც მოიღუპა. წინათაც თითქოს რაღაც ეჩვენა, მაგრამ გარკვევით არა. გაჯავრებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა. ერთ წამს ასე იყვნენ გაჩუმებულნი. რასკოლნიკოვი მობრუნდა. წასვლა დააპირა.

- როგორ, მიბრძანდებით კიდევაც? - მიეხმატკბილა პორფირი და ალერსით ხელი გაუწოდა. - ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას, ექვიც ნუ გექნებათ. დაწერეთ როგორც გითხარით და... მაგრამ უმჯობესია, თვითონ შემომიაროთ იქ როგორმე... ამ დღეებში... აი, თუნდ ხვალ. ასე, დილის თერთმეტ საათზე, უთუოდ იქ ვიქნები და ყველაფერს გავაკეთებ... ვილაპარაკებთ კიდევ... რაკი ყველაზე ბოლოს იყავით იქ, იქნება რამე გვითხრათ კიდევ!.. - დასძინა ვითომ გულკეთილად.

- როგორ, გინდათ ოფიციალურად დამკითხოთ? - დაეკითხა მკვახედ რასკოლნიკოვი.

- რათაო, რას ბრძანებთ? ჯერ ეგ საჭირო სრულიად არ არის. ჩემი ნათქვამი ვერ გაგიგიათ. იცით რა, არ გამომრჩენია არავინ, ვისაც კი რამე ჰქონდა დაგირავებული, რომ... არ მელაპარაკნა... ზოგს ჩვენებაც ჩამოვართვი... თქვენ კი, როგორც ბოლო მნახველი... მართლა, რა უნდა მეთქვა, ეს რა მომდის! - კარგია, მომაგონდა! - შეჰყვირა უცბად გახარებულმა და რაზუმიხინს მიუბრუნდა. - გახსოვს, იმ ნიკოლაშკათი კინალამ გამომაყრუე... მე კი არ ვიცი განა, ვიცი, - მიუბრუნდა რასკოლნიკოვს, - რომ სრულიად უდანაშაულოა, მაგრამ რას იზამთ, აგერ მიტკაც კი შევაწუხებთ... საქმე, აი, რაა: კიბეზე ავლისას... მითხარით, გეთაყვა: თქვენ მერვე საათზე იყავით, არა?

- მერვეზე, - უპასუხა რასკოლნიკოვმა, მაგრამ მაშინვე უკმაყოფილება იგრძნო, შეეძლო არც ეთქვა ეს.

- მერვე საათზე რომ აიარეთ, ხომ არ გინახავთ მეორე სართულის ღია ბინაში, აბა მოიგონეთ, ორი მუშა, ან ერთი რომელიმე მათგანი? იატაკს საღებავს უსვამდნენ, ხომ არ შეგინიშნავთ? ეს მათთვის მეტად საჭიროა!

- მღებავები? არა, არ მინახავს... - უპასუხა მძიმედ რასკოლნიკოვმა, თითქოს იგონებს რასმეო, და თან მთელი არსებით დამაბული ცდილობდა გამოეცნო, რას ნიშნავდა ეს ხაფანგი, ან ხომ არ გამოეპარა რა?... - არა, არ მინახავს და არც ღია ბინა შემინიშნავს... მეოთხე სართულზე კი მახსოვს (აქ მიუხვდა, რა ხაფანგსაც უგებდნენ და საშინლად გაიხარა), ვიღაც მოხელე გადადიოდა ბინიდან... ალიონა ივანოვნას პირდაპირ მდგომი... მახსოვს... ეს კარგად მახსოვს... რაღაც დივანი გამოჰქონდათ ჯარისკაცებს და კინალამ კედელზე მიმაჭყლიტეს... მღებავები კი არა, არ მახსოვს, რომ ყოფილიყვნენ... და არც ღია ბინა ყოფილა სადმე, ვგონებ. დიახ, დიახ, არა ყოფილა...

- შენ რაღა დაგემართა! - შეჰყვირა უცხად რაზუმინინმა, თითქოს ეგ არის გონს მოვიდა და მოისაზრაო, - მღებავები ხომ მკვლელობის დღეს მუშაობდნენ, ეს კი სამი დღის წინათ იყო იქ? რას ეკითხები, აბა?

- ფუჰ, ამერია! - შუბლში იტკიცა ხელი პორფირი. - ეშმაკმა იცის ამ საქმის თავი და ბოლო, ლამის არის ტვინი ვიღრძო! - მიმართა რასკოლნიკოვს, თითქოს ბოდიშს იხდისო. - მეტად საჭიროა ვიცოდეთ, მერვე საათზე იმ ბინაში ხომ არავის უნახავს ისინი. წარმოიდგინეთ, მეგონა, ვითომ თქვენც შეგეძლოთ რისამე თქმა ამაზე... მთლად ამებნა ყველაფერი!

- კიდევ ეგ არის, ყურადღება უნდა იქონიო, - შენიშნა კუმტად რაზუმინინმა.

დერეფანში იყვნენ უკვე, რაზუმინინმა რომ ეს უთხრა. პორფირი პეტროვიჩმა კარამდე მეტად ალერსიანად მიაცილა. რასკოლნიკოვიც და რაზუმინინიც ორთავ მოღუშულელები გამოვიდნენ ქუჩაში. რამდენსამე ხანს ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. რასკოლნიკოვმა ღრმად ამოისუნთქა...

VI

- ...არ მჯერა! და ვერც მირწმუნებია! - იმეორებდა შეფიქრიანებული რაზუმინინი და ცდილობდა ყოველმხრივ რასკოლნიკოვის მოსაზრებანი დაერღვია.

ბაკალეევის ნომრებს მიადგნენ უკვე, სადაც პულხერია ალექსანდროვნა და დუნია დიდი ხანია უცდიდნენ. აღელვებული და შემკრთალი იმით, რომ პირველად დაიწყეს ამაზე აშკარად ლაპარაკი, რაზუმინინი ცხარედ ლაპარაკობდა და გზადაგზა წამდაუწუმ ჩერდებოდა.

- ნუ გჯერა და ნურც დაიჯერებ! - ეუბნებოდა გულცივი და დაუდევარი ღიმილით რასკოლნიკოვი. - ჩვეულებისამებრ შენ ვერას ატყობდი, თორემ მე ყველა სიტყვას გავუგე ფარული აზრი.

- ეგ იმიტომ, რომ ეჭვიანი ხარ, უნდობი... ჰმ!.. მაგრამ გეთანხმები, უცნაური იყო პორფირის კილო და განსაკუთრებით იმ გაიძვერა ზამეტოვისა!.. მართალს ამბობ, რაღაცა იყო ისეთი, მაგრამ რა? რა უნდა ჰქონოდა?

- ღამე გადაუფიქრია.

- პირიქით, პირიქით! მართლა რომ ჰქონოდათ ასეთი უგუნური აზრი, მთელი ძალ-ღონით ეცდებოდნენ, როგორმე დაემალათ და არავისთვის რა გაეგებინებინათ, რომ უფრო მაგრად ჩაეჭიდათ ხელი... ახლა კი ეს უტიფრობა და გაუფრთხილებლობა!

- მართლა რომ ფაქტები ჰქონოდათ, ნამდვილი ფაქტები, ან რამდენადმე დასაბუთებული ეჭვი, რასაკვირველია, უთუოდ ეცდებოდნენ დაემალათ, რომ ამით მეტად მოეგოთ (თუმცა გაჩხრეკვით დიდი ხანია უთუოდ გამჩხრეკდნენ!). მაგრამ ეგ არის, რომ არც ერთი ფაქტი არ მოეძევათ, ყველაფერი მოჩვენებაა, საეჭვო; გუმანი აქვთ მხოლოდ, სხვა არაფერი, - ამიტომაც არის, რომ ცდილობენ უტიფრობით როგორმე გზა-კვალი ამიბნიონ. ან იქნებ ბრაზობს, რომ ფაქტი არა უჭირავს რა ხელში და იმიტომ ვეღარ შეიმაგრა თავი. ან იქნებ სხვა რამ განზრახვა აქვს... ეტყობა, ჭკვიანი

კაცია... იქნებ უნდოდა, შევეშინებინე, რომ რაღაც იცის... აქ, ძმაო, თავისებური რამ ფსიქოლოგიაა. თუმცა ყველა ამის ახსნა საძაგლობაა. თავი დამანებე!

- და მასთან შეურაცხმყოფელიც! მესმის, რაც გინდა თქვა! მაგრამ... რაკი ასე გულახდით ვლაპარაკობთ და არაფერს აღარა ვმაღავთ (საუცხოოა სწორედ, ძალიან მომწონს და მიხარია, რომ ბოლოს მაინც დავიწყეთ ლაპარაკი!), გამოგიტყდები ძმაო, რომ დიდი ხანია ვატყობდი მათ რაღაც ფარულ ეჭვს, გულში დამარხულს, სულ მცირეს. მაგრამ რად უნდა ჰქონოდათ ასეთი ეჭვი! როგორ ბედავენ! სადა აქვს ნეტა ფესვები ამ ეჭვს გადგმული? რომ იცოდე, როგორ ვბრაზობდი! როგორ: ღარიბი, ხელმოკლეობისა და იპოქონდრიისაგან დამონავეებული და შეწუხებული სტუდენტი, მძიმე ავადმყოფობის (არ დაივიწყო) წინა დღით, ავადმყოფობისა, რომელიც შეიძლება უკვე მორეული ჰქონდა, ეჭვიანი, თავმოყვარე და თავისი თავის ფასის მცოდნე, რომელსაც მთელი ექვსი თვე ადამიანი არ უნახავს თავის ვიწრო ოთახში, რომელსაც ძონძებისა და ძირებგაგლეჯილი წაღების გარდა არაფერი გააჩნია, ყოველგვარ შეურაცხყოფას ითმენს ვიღაც უბნის ზედამხედველის თანამემწისაგან; აქვე მოულოდნელად საიდანღაც ნადვორნი სოვეტნიკის ჩეზაროვის ვადაგასული თამასუქი უჩნდება, დაუმატე კიდევ აყროლებული საღებავის სუნი, ოცდაათი გრადუსი სიცხე, შეხუთული ჰაერი, ხალხის გროვა და მკვლელობის ამბავი ვიღაც ბებრუხანასი, რომელთანაც მხოლოდ წინა დღით იყო, ამასთან ცარიელი, გამოფიტული კუჭი!.. მითხარით, როგორ არ შეუღონებდა გულს! ყველაფერი კი ამაზე დაამყარეს! ეშმაკმა იცის იმათი თავი! მესმის, რასაკვირველია, საწყენია, მაგრამ შენს ადგილას რომ ვიყო, როდია, ყველას სასაცილოდ ავიგდებდი, ანდა უფრო უკეთესი: ყველას პირში მივაფურთხებდი, შევარცხვენდი, მერე აქეთ-იქით ყველას ალიყურს ვაჭმევდი, რაც, ჩემი აზრით, არასოდეს არ არის მეტი, და გავათავებდი, მორჩა. მიაფურთხე, ყურს ნუ უგდებ! გამხნევდი, არა გრცხვენია?

„კარგად აწერა, არა უჭირს რა“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- მივაფურთხო? ხვალ კი ისევ გამოძიება მოახდინონ! - ჩაილაპარაკა მწარედ რასკოლნიკოვმა. - ვიკადრო და ახსნა-განმარტება დავუწყო? იმასაც ვწუხვარ, რომ გუშინ თავი დავიმცირე და ზამეტოვს გამოველაპარაკე ტრაქტირში...

- ეშმაკმა იცის იმათი თავი! წავალ, პორფირს ვნახავ! ერთი ლამაზად შევახურებ ნათესაურად; დეე, ყველაფერი ამიხსნას, გამაგებინოს! ზამეტოვს კი, ვიცი, რასაც...

„ძლივს არ მიხვდა“! - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- მოიცა! - შეჰყვირა რაზუმინინმა და უცბად მხარში ხელი წაავლო, - მოიცა! ვიცი, იცრუე! მივხვდი! რის გამოცდა? რის გამოტეხვა? ამბობ, მუშებზე განგებ მკითხა, რომ ჩავეჭირეო? მაგრამ, იფიქრე, აბა: მართლაც რომ შენი ჩადენილი ყოფილიყო ეგ, წამოგცდებოდა განა, რომ ნახე, როგორ ღებავდნენ მუშები ბინას? პირიქით: იტყოდი უთუოდ, არავინაც არ მინახავსო, თუნდაც გენახა კიდევ! ვინ გიჟი იზამს მაგას, რომ თვითონვე გამოტყდეს თავისდა დასალუპავად?

- ვიტყოდი უთუოდ, ვნახე მუშებიცა და ბინაც-მეთქი, მართლა რომ მე ჩამედინა ის საქმე, - უპასუხა როგორღაც უგულოდ და დაუფარავი ზიზღით რასკოლნიკოვმა.

- რად უნდა გეთქვა მერე?

- რათა და იმიტომ, რომ მხოლოდ ხეპრე და გამოუცდელი ხალხი უარყოფს ხოლმე ყველაფერს გამოძიების დროს. ოდნავ განვითარებული და ნაცადი კაცი კი უთუოდ გამოტყდებოდა ყველა გარეგნულსა და უცილობელ ფაქტში; ეგ არის მხოლოდ, მიზეზსა და ნიადაგს სხვას მოუძებნის და ისეთ ელფერს მისცემს, რომ სულ სხვა მნიშვნელობას და სხვა სახეს მიაღებინებს. პორფირიც ამიტომ ფიქრობდა, ვითომ გამოვტყდებოდი, რათა სიმართლეს ჰგვანებოდა, მაგრამ სხვარიგად კი ავხსნიდი...

- მერედა, მაშინვე არ გეტყოდა განა, რომ ორი დღის წინათ მუშები სულაც არ იყვნენ იქ; მაშასადამე, შენ იქ სწორედ მკვლელობის დღესა ყოფილხარ, მერვე საათზე. და უბრალოზე დაგიჭერდა!

- დიახ, დიახ! ეგონა მოფიქრებას ვეღარ მოვასწრებდი, ვეცდებოდი ვითომ მხოლოდ დამაჯერებლად მელაპარაკა, ის კი დამავიწყდებოდა, რომ ორი დღის წინათ მუშები იქ არ იქნებოდნენ.

- ან კი რა დაგავიწყდება?

- მაგაზე ადვილი რა არის? მაგისტანა უბრალო რამეზე არ არის ხოლმე, რომ იბნევიან ეშმაკი ადამიანები? რაც უფრო ეშმაკია კაცი, მით უფრო ნაკლები ეჭვი აქვს, რომ უბრალოზე გამოიჭერენ. ამიტომაც ცდილობენ ხოლმე ეშმაკი ადამიანის უბრალოდ გამოტყვას. არც ისე ტუტუცია პორფირი, შენ რომ გგონია...

- საზიზღარი გაიძვერაა, თუ კი აგრეა!

რასკოლნიკოვმა ვეღარ შეიმაგრა თავი და გაეცინა. მაგრამ უცნაურად ეჩვენა მაშინვე, რომ ახლა ასე ხალისით უხსნიდა, მაშინ, როცა წელან დაღვრემითა და ზიზღით ელაპარაკებოდა ალბათ სხვა მიზეზის გამო.

„ეტყობა, მეც გამეხსნა გემო!“ - გაიფიქრა თავისთვის.

მაგრამ იმავე წუთს უცბად რაღაც მოუსვენრობა დაეტყო, თითქოს მოულოდნელმა და შემამფოთებელმა ფიქრმა გაუელვაო. მოუსვენრობა თანდათან ემატებოდა. ბაკალეევის ნომრების შესავალს გაუსწორდნენ უკვე.

- შედი, - უთხრა უცბად რასკოლნიკოვმა, - მეც ახლავე მოვალ.

- სად მიხვალ, რა დროსია, მოვედით კიდევაც!

- საქმე მაქვს, საქმე... ნახევარ საათში უთუოდ მოვალ... ასე უთხარი.

- შენი ნებაა, მაგრამ მეც გამოგყვები!

- როგორ, შენც გინდა მტანჯო! - შეჰყვირა ისეთი სიმწრითა და სასოწარკვეთილებით რასკოლნიკოვმა, რომ რაზუმინინი მთლად გაშრა. რამდენიმე ხანს გამტერებული იდგა ნომრების შესავალთან და გასცქეროდა, როგორ საჩქაროდ გასწია რასკოლნიკოვმა თავისი ქუჩის შესახვევისაკენ. გააღრჭიალა მერე კბილები, მოკუმშა მუშტები და დაიფიცა იქვე, რომ ლიმონივით გამოსწურავდა პორფირის, და საჩქაროდ ზემოთ გასწია, რომ ლოდინისაგან შეღონებული პულხერია ალექსანდროვნა დაემშვიდებინა.

თავის სახლს რომ მიუახლოვდა რასკოლნიკოვი, საფეთქლებზე ოფლი ჩამოსდიოდა და ძლივსდა სუნთქავდა. ავიდა საჩქაროდ კიბეზე, შევიდა თავის კარდაუკეტელ ოთახში და მაშინვე შიგნიდან გადარაზა კარი. მერე შემინებული და გადარეული მივარდა ოთახის იმ კუთხეს, საცა მაშინ ნივთები ჩაყარა და რამდენსამე წუთს გულდასმით ურევდა ხელს შპალერქვეშ ხვრელში. წამოდგა, რომ ვერა იპოვა რა, და მძიმედ, ღრმად ამოისუნთქა. წელანვე, ბაკალეევის ნომრებთან რომ მივიდნენ, წარმოუდგა უცბად, რომ შესაძლებელი იყო იქ ჩარჩენოდა რაიმე ნივთი, მეწკვი, ან ქალაღი, რომელზედაც ბებრუხანას ხელით იქნებოდა რამე წარწერილი, და მერე ეს მოულოდნელ გამამტყუნებელ საბუთად წარუდგებოდა წინ.

იღგა ასე ჩაფიქრებული და რაღაც უცნაური, დამამცირებელი და უგუნური ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე. დაავლო ბოლოს ხელი ქუდს და ჩუმად გამოვიდა ოთახიდან. აზრები ერეოდა. დაფიქრებული მიდიოდა ეზოს გასავალში.

- აგერ, თვითონ ისიც! - დაიძახა ვიღაცამ ხმამაღლა.

რასკოლნიკოვმა თავი ასწია.

მისი ოთახის წინ იღგა მეეზოვე და ვიღაც შუატანის კაცს უთითებდა რასკოლნიკოვზე. უცნობს, გარეგნობით მეშჩანს, ტანთ რაღაც ხალათის მსგავსი რამ და ჟილეტი ეცვა. შორიდან დედაკაცს წააგავდა. გაპოხილი ქუდი ეხურა, თავი ძირს ჩაეკიდა და თითქოს მთლად მოკუზულიყო. დანაოჭებული სახე უმტკიცებდა, რომ ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული. წვრილი, ჩამძვრალი თვალები კუმტად და უკმაყოფილოდ გამოიყურებოდნენ.

- რა იყო? - დაეკითხა რასკოლნიკოვი მეეზოვეს.

კაცმა როგორღაც გვერდზე გადახედა და ქვეშ-ქვეშად შეათვალიერა, მობრუნდა მერე ისევ მძიმედ და ეზოდან გარეთ გავიდა, არა უთქვამს რა.

- რა იყო მაინც! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

- რა ვიცი, ვიღაც იყო, გვითხულობდათ: აქა დგას ესა და ეს სტუდენტი, ვისთან ცხოვრობსო. ამ დროს თქვენც ჩამოხვედით, დავანახვე, აგერ ისიც-მეთქი, ის კი წავიდა. ხედავთ, მიდის.

მეეზოვეც გაოცებული იყო ცოტათი, იფიქრა კიდევ პატარა ხანს და ისევ თავის ოთახში შეძვრა.

რასკოლნიკოვი გამოუდგა მაშინვე მოქალაქეს და მალე დაინახა, რომ ქუჩის მეორე მხარეს მიდის თავჩაკიდებული, ისევ მძიმე ნაბიჯით, მიწას ჩაშტერებია, თითქოს რაღაცას საზრობსო. მალე კიდევ წამოეწია, მაგრამ რამდენიმე ხანს უკან მისდევდა; გაუსწორდა ბოლოს და მიმავალს გვერდიდან შეხედა სახეში. კაცმა მაშინვე შენიშნა, საჩქაროდ აავლ-ჩაავლო თვალი, მაგრამ ისევ ჩაჰკიდა თავი. ერთხანს ასე მიდიოდნენ ერთი-მეორის გვერდით. არც ერთს, არც მეორეს კრინტი არ დაუძრავს.

- თქვენა მკითხულობდით... მეეზოვესთან? - თქვა ბოლოს რასკოლნიკოვმა, რატომღაც ჩუმად, დაბალი ხმით.

კაცმა ხმა არ გასცა, არც კი შეხედა. ისევ გაჩუმდნენ.

- რასა ჰგავს... მოდიხართ, მკითხულობთ... ხმას კი აღარ იღებთ... რას ნიშნავს ეს?

რასკოლნიკოვს ხმა უწყდებოდა, სიტყვებს რატომღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გაურკვეველად ამბობდა.

ახლა კი ახედა კაცმა. ბოროტების მომასწავებელი, პირქუში იყო ეს შეხედვა.

- მკვლელი! - ჩაილაპარაკა უცბად წყნარად, მაგრამ მკაფიოდ უცნობმა.

რასკოლნიკოვი გვერდით მისდევდა. ფეხები მოეკვეთა, წელში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა, ერთ წუთს გულიც აღარ უცემდა თითქოს. მერე კი უცბად საშინელი ძალით დაუწყო ძგერა, თითქოს ეგ არის, უნდა გადმოვარდესო. ასე გაიარეს ერთად ასიოდე ნაბიჯი. არც ერთს ხმა არ ამოუღია.

კაცი სულაც არ უყურებდა.

- რას ამბობთ... რასა... ვინ არის მკვლელი? - წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა.

- ვინა და შენ, - გაუმეორა უფრო გარკვევით და მტკიცედ უცნობმა, მძულვარედ ისევ პირდაპირ შეხედა რასკოლნიკოვის გაფითრებულ სახეს, მიმქრალ თვალებს და პირზე გამარჯვების ღიმილი შეუთამაშდა.

გზაჯვარედინს მიადგნენ. უცნობმა მარცხნივ შეუხვია და უკანმოუხედავად გასწია, რასკოლნიკოვი იქვე შედგა და დიდხანს გაჰყურებდა მიმავალს. დაინახა, რომ ბოლოს შედგა უცნობი, ასე ორმოცდაათი ნაბიჯი რომ გაიარა, შემობრუნდა და გამოჰხედა რასკოლნიკოვს, რომელიც ისევ ისე უძრავად იდგა იმ ადგილას. რასკოლნიკოვმა გაარჩია თითქოს, რომ უცნობი წელანდელივით მძულვარედ, თუმცა კმაყოფილი ღიმილით იყურებოდა.

ნელი ნაბიჯით დაბრუნდა მუხლებაკანკალებული რასკოლნიკოვი თავის პატარა ოთახში, მოიხადა ქუდი, დადო მაგიდაზე და ათიოდე წამი უძრავად იდგა. წამოწვა მერე დაუძღვრებული დივანზე და სუსტად ამოიკვნესა. თვალები დახუჭული ჰქონდა. ასე იწვა ნახევარ საათს. არაფერს არ ფიქრობდა, მხოლოდ რაღაც უთავბოლო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები უტრიალებდა თავში. ხედავდა ბავშვობის დროს ერთხელ სადმე ნანახ სახეებს, რომლებსაც უთუოდ ვერასოდეს სხვა დროს ვერ მოიგონებდა. აგერ ვ-ს საყდრის სამრეკლო; აგერ რომელიღაც ტრაქტირის ბილიარდი და მის გვერდით ვიღაც ოფიცერი; სადღაც სარდაფიდან, თამბაქოს დუქნიდან, სიგარის სუნი მოსდის; აგერ სასმელის დუქანიც, ბნელი კიბე, ნარეცხით მოსვრილი და კვერცხის ნაჭუჭებით მოფენილი; საიდანღაც სადღესასწაულო ზარების რეკვა ისმის... საგნები ერთმანეთს სწრაფად ცვლიდნენ. ზოგიერთი მათგანი მოსწონდა კიდევ, უნდოდა დიდხანს ეცქირა, მაგრამ უცბად ისევ ქრებოდნენ. ისე კი რაღაცა აწვა გულზე, მაგრამ ძალიან არ ამძიმებდა. ხან კარგადაც გრძნობდა თავს... ცივი ჟრუანტელი მაინც უვლიდა, მაგრამ ესეც თითქოს ეამებოდა.

უცბად რაზუმინინის ჩქარი ნაბიჯი და ხმაც შემოესმა, მაგრამ მაშინვე თვალები დახუჭა, თავი მოიმძინარა. რაზუმინინმა კარი გამოაღო, რამდენსამე ხანს ასე იდგა კარში, თითქოს ყოყმანობსო. შევიდა მერე წყნარი ნაბიჯით და დივანთან მივიდა. რასკოლნიკოვს ნასტასიას ჩურჩული შემოესმა.

- ნუ გააღვიძებ, დეე იძინოს; მერე სჭამს.

- მართალს ამბობს, - უპასუხა რაზუმინმა.

ორივენი ფრთხილად გავიდნენ და კარი გაიხურეს.

განვლო კიდევ ნახევარმა საათმა, რასკოლნიკოვმა თვალი გაახილა, გადაბრუნდა ისევ გულაღმა, ხელები თავქვეშ დაიწყო...

„ვინ არის, ნეტა? საიდან გაჩნდა? ცამ შვა თუ დედამიწამ? სად იყო, ანდა რა ნახა? მაგრამ, ეჭვი არ არის, ყველაფერი უნახავს. სად იდგა ნეტა და საიდან იცქირებოდა? ან რაღა ახლა ამოდვრა დედამიწიდან? მაგრამ საიდან უნდა ენახა განა? ჰმ!.. - განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან თრთოდა, კანკალი იტანდა. - თუმცა ნიკოლაიმ რომ კარს უკან საყურის ბუდე იპოვა, განა ეს კი შესაძლებელია? რაღაც სულ იოტისოდენა წვრილმანი გამოგეპარება და უცბად ეგვიპტის პირამიდის ოდენა სამხილად გამოგეჭიმება! ბუზი გაფრინდა, იმან დაინახაო! ნუთუ მართლა შესაძლებელია?“

უცბად იგრძნო, რომ საძაგლად მოეშვა, მოდუნდა.

„უნდა მცოდნოდა, რომ ასე იქნებოდა, - ფიქრობდა მწარე ღიმილით. - ან კი როგორ გავბედე, ჩემი თავის ამბავი რომ ვიცოდი, როგორ ავიღე ცული და სისხლში გავისვარე ხელი. მაშინვე უნდა მცოდნოდა... მაგრამ განა არ ვიცოდი!..“ - წაიბუტბუტა სასოწარკვეთილმა.

ზოგჯერ რაღაც რამ ფიქრი მოუვლიდა და სულ მთლად დაეუფლებოდა: „ისინი სხვაგვარად არიან შექმნილნი, ვინც ნამდვილი მბრძანებელი უფალია და ვისთვისაც ყველაფერი ნებადართულია[21], აოხრებს ტულონს, პარიზში ხალხსა ჟლეტს, ეგვიპტეში მხედრობას ივიწყებს, ნახევარმილიონ ხალხს მოსკოვის ლაშქრობაში ღუპავს და მერე მოსწრებული კალამბურით თავს იძვრენს ვილნოში. მაგრამ სიკვდილის შემდეგ მასვე უდგამენ ძეგლებს, - მაშასადამე, მისთვის ყველაფერი ნებადართულია. არა, ეტყობა, ასეთ ადამიანებს მართლა ბრინჯაოს სხეული აქვთ!“

უცბად ერთმა გარეშე ფიქრმა ლამის გააცინა.

„ნაპოლეონი, პირამიდები, ვატერლოო და იქვე რეგისტრატორის საძაგელი წვნიკა ქვრივი, მევახზე ბებრუხანა, რომელსაც საწოლქვეშ წითელი სკივრი უდგას, - როგორი მოსანელებელია ეს თუნდაც პორფირი პეტროვიჩისათვის!.. როგორ უნდა მოინელონ!.. ესთეტიკა შეუშლით ხელს: „განა ნაპოლეონი ბებრუხანას საწოლქვეშ შეძვრებოდაო!“ „ეჰ, რა საძაგლობაა!..“

დროდადრო გრძნობდა, რომ თითქოს ბოდავდა, აღზნებული განწყობა ეუფლებოდა.

„ბებრუხანა სისულელეა! - ფიქრობდა ფიცხად. - იქნება მართლაც შეცდომა იყო, ამაში არაა საქმე! ბებრუხანა მხოლოდ აკვიატება იყო, სენი იყო, რომელიც მინდოდა საჩქაროდ გადამელახა... პრინციპი მოვკალი და არა ადამიანი! პრინციპი მოვკალი, მაგრამ არ გადამილახავს კია, გამოღმა დავრჩი... მარტო მოკვლა მოვახერხე! მაგრამ ესეც თურმე ვერ მოვახერხე... პრინციპი? რისთვის ლანძღავდა წედან ეს ტუტუცი რაზუმინინი სოციალისტებს? შრომისმოყვარე და ვაჭარი ხალხია: „საყოველთაო ბედნიერებას“ ემსახურებიან. არა, სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ მაქვს ნაჩუქარი, მეტს ვეღარ ვეღირსები: არა მსურს „საყოველთაო ბედნიერებას“ ვუცადო. მინდა

თვითონაც ვიცხოვრო, თორემ თუ ასე არ იქნა, სიცოცხლე არა ღირს. რას იზამ! არ მინდოდა მხოლოდ, მშიერი დედის წინ გამევილო ჯიბეში მაგრად დაბლუჯული მანეთით, რა არის „საყოველთაო ბედნიერებას“ ველი-მეთქი. „აქაოდა მეც ჩემი აგური მიმაქვს საყოველთაო ბედნიერების ასაშენებლად[22] და იმიტომ ვარ გულდამშვიდებული-მეთქი“. ხა, ხა, ხა! რისთვის გამიშვით მერე? მე ხომ ერთხელ ვცხოვრობ, მეც ხომ მინდა... ეჰ, ესთეტიკური ტილი ვარ და სხვა არაფერი, - დასძინა უცბად და შეშლილივით გაეცინა. - დიახაც რომ ტილი ვარ, - იმეორებდა როგორღაც ბოროტი კმაყოფილებით და ამ ფიქრს უკირკიტებდა, არ ეშვებოდა, - ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვფიქრობ, ტილი ვარ-მეთქი; მეორე იმიტომ, რომ მთელი თვეა აგერ ყოვლად მწყალობელ განგებას ვაწუხებდი, მოწმედ მოვუხმობდი, ვითომ ჩემს საკეთილდღეოდ კი არ ვჩადიოდი ამას, სხვა რამ საუცხოო მიზანი მქონდა, ხა, ხა, ხა! მესამე იმიტომ, რომ მინდოდა ასრულების დროს რაც შეიძლება სამართლიანად მოვქცეულიყავ, ზომა და ანგარიში დამეცვა. ავირჩიე განგებ ყველაზე უსარგებლო ტილი და გადავწყვიტე, მხოლოდ იმდენი წამომელო მოკვლის შემდეგ, რაც პირველ ხანად დამჭირდებოდა, მეტი არა (დანარჩენი, რასაკვირველია, ანდერძისამებრ მონასტერს მოხმარდებოდა, ხა, ხა, ხა!)... კიდევ იმიტომ ვარ ტილი, - დასძინა კბილების ღრჭიალით, - რომ ვინ იცის, იქნებ მე უფრო სამაგელი და საზიზღარი ვიყო, ვიდრე მოკლული. და წინათვე ვგრძნობდი, რომ მოკვლის შემდეგ ასე ვეტყოდი ჩემს თავს! დიახ, ნუთუ ამ საშინელებას შეედრება რამ! ოჰ, საზიზღრობავ! ოჰ, სამაგლობავ!.. ოჰ, როგორ კარგად მესმის ბუნება ხმალამოწვდილი ცხენოსანი „წინასწარმეტყველისა“: გიბრძანებს ალაჰი და ემორჩილე მას, შიშით მძრწოლვარე ქმნილება! მართალია, ათასგზის მართალია „წინასწარმეტყველი“, სადმე ქუჩაში რომ კარგა ლამაზ ბატარეასა დგამს, ბრალიანსა და უბრალოს ბრეს ადენს და განმარტების ღირსადაც კი არავისა თვლის! ემონე, შიშით მძრწოლვარე ქმნილება, მაგრამ ნუ ისურვებ ნურაფერს, იმიტომ რომ შენი საქმე არ არის ეგ!.. ოჰ, არაფრის გულისათვის ბებრუხანას არ ვაპატიებ!“

ოფლისაგან თმა მთლად დასველებოდა, მთრთოლვარე ტუჩები სიცხიანივით შეჭხმობოდა, მალლა ჭერს მიშტერებოდა.

„დედა, და, როგორ მიყვარდნენ! ახლა რაღად მძულან! დიახ, მძულან; მეჯავრებიან, ვერ ვიტან, ჩემს გვერდით რომ ვხედავ... მახსოვს, მივედი წელან და დედას ვაკოცე. ეხვეოდე და ფიქრობდე: რა იქნება, რომ გაიგოს... ვუთხრა განა? ჩემგან ესეც მოსალოდნელია... ჰმ! ისიც უთუოდ ასეთი უნდა იყოს, როგორც მე ვარ, - დასძინა ძალდატანებით, თითქოს ცდილობს გონს მოვიდეს, როგორმე ბოძვას თავი დააღწიოსო. - ოჰ, როგორ მძულს ახლა ბებრუხანა! მგონი, მეორედ მოვკლავდი, რომ გაცოცხლდებოდეს! საბრალო ლიზავეტა! საიდან გაჩნდა უბედური!.. მაგრამ უცნაურია სწორედ, რატომ იმაზე კი არას ვფიქრობ, თითქოს სულაც არ მომეკლას!.. ლიზავეტა! სონია! საბრალონი, უწყინარნი, უწყინარი თვალებით!.. რატომ არა ტირიან? რად არ კვნესიან?.. ყველაფერს სხვასა სწირავენ... მშვიდად, სათნოდ იყურებიან... სონია, სონია! უწყინარო სონია!..“

თითქოს ჩასთვლიმა, ეუცნაურა როგორღაც, რომ არ ახსოვდა, ქუჩაში საიდან გაჩნდა. გვიანი საღამო იყო. ბინდი ხშირდებოდა, სავსე მთვარე თანდათან მეტად აკაშკაშებდა არემარეს; მაგრამ ძალიან შეხუთული იყო ჰაერი. ხალხი გუნდ-გუნდად დადიოდა ქუჩაში. ხელოსანი და საქმის ხალხი შინისაკენ მიემშურებოდა, სხვები სეირნობდნენ. მტვრის, კირისა და დანაგუბები, აშმორებული წყლის სუნი ტრიალებდა.

რასკოლნიკოვი დაღონებული და დაფიქრებული მიდიოდა; იცოდა მშვენივრად, რომ შინიდან რაღაც განზრახვით გამოვიდა, რაღაც უნდა საჩქაროდ გაეკეთებინა, მაგრამ რა, აღარ ახსოვდა. უცბად შედგა და დაინახა, რომ ქუჩის მეორე მხრიდან ვიღაცა კაცი ხელს უქნევს. რასკოლნიკოვი შემობრუნდა და ქუჩის მეორე მხარეს გასწია, მაგრამ კაცი მაშინვე მიტრიალდა და წავიდა, თითქოს აქ არა ამბავიაო. მიდიოდა თავჩაკიდული, უკანმოუხედავად, თითქოს დაძახება აზრადაც არ მოსვლიაო.

„მართლაცდა, ვინ იცის. მეძახდა კი?“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, მაგრამ გაჰყვა მაინც. ასე ათ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, იცნო უცბად და შეშინდა. ეს იყო წელანდელი უცნობი მეშჩანი, ისევ ისე ხალათში გამოწყობილი და წელში მოკაკული. რასკოლნიკოვი შორიდან მისდევდა; გული საშინლად უცემდა. ქუჩის მოსახვევში შებრუნდნენ, მაგრამ უცნობს არ მოუხედავს. „იცის ნეტა, რომ უკან მივდევ?“ - ფიქრობდა რასკოლნიკოვი. მოქალაქე რომელიღაც დიდი სახლის ეზოში შევიდა. მივიდა საჩქაროდ რასკოლნიკოვი ალაყაფის კართან და ცქერა დაუწყო: მობრუნდება და დამიძახებს თუ არაო? მართლაც, გაიარა მთელი ეზოს შესავალი და ეზოში რომ გავიდა, მობრუნდა უცებ და კვლავ თითქოს ხელი დაუქნია. რასკოლნიკოვიც შევიდა მაშინვე ეზოში, მაგრამ მოქალაქე აღარა ჩანდა. ეტყობოდა, იქვე, პირველ კიბეზე შეეხვია. რასკოლნიკოვიც გამოუდგა მაშინვე. მართლაცდა, ორი კიბით მაღლა ვიღაცის ზომიერი, მძიმე ნაბიჯი ისმოდა გარკვევით. უცნაურია და კიბე თითქოს ეცნაურება! აგერ პირველი სართულის ფანჯრებიც; ფანჯრის შუშებში მთვარე მოწყენილად, იდუმალად აშუქებს; აგერ მეორე სართულიც. ეჰა! ის, ის ბინაა, მღებავები რომ მუშაობდნენ... რატომ მაშინვე არ იცნო? წინ მიმავალი კაცის ნაბიჯი შეწყდა: „ჩანს, სადმე შედგა ან მიიმალა“. აგერ მესამე სართულიც. კიდევ ავიდეს ზევით? რა სიწყნარეა, საშიშიც კია... მაგრამ წავიდა მაინც. საკუთარივე ფეხის ხმა აკრთობდა, აშინებდა. ოჰ, როგორ ბნელა! ეს უცნობი უთუოდ სადმე აქვე კუთხეში მიიმალა. ეჰა! ბინა მთლად ყურთამდე ღიაა. დაფიქრდა პატარა ხანს და შევიდა. დერეფანში საშინლად ბნელოდა, არავინ მოჩანდა, თითქოს ყველაფერი გაუზიდიათო. ნელ-ნელა, ფეხის თითებზე, შეიპარა სასტუმრო ოთახში, რომელიც მთვარის შუქით იყო გაკაშკაშებული. ყველაფერი წინანდებურად იყო მოწყობილი: სკამები, სარკე, ყვითელი, ვეება, მრგვალი, სპილენძივით წითლად გავარვარებული მთვარე პირდაპირ ფანჯრებში იყურებოდა. „მთვარის გამოა ასეთი სიწყნარე, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - უთუოდ რისამე ამოცნობას ფიქრობს“. იდგა ასე დიდხანს და უცდიდა, დიდხანს უცდიდა; მაგრამ რამდენიც მეტად ყურბობდა მთვარე, იმდენად მეტად უცემდა და სტკიოდა გული. ისევ სიჩუმე იყო ირგვლივ. უცბად რაღაცა ხმელი ტკაცუნის გაისმა, თითქოს კვარს რამე აახეთქესო, და სიჩუმე გამეფდა ისევ. გაღვიძებული ბუზი უცბად შუშას დაეტაკა და საცოდავად იწყო ბზუილი. ამ დროს სწორედ პატარა კარადასა და ფანჯარას შუა, კუთხეში, კედელზე ჩამოკიდებული სალოფი შენიშნა თითქოს. „რა უნდა აქ სალოფს? - გაიფიქრა, - წინათ რომ არ იყო...“ მივიდა ნელ-ნელა და შეატყო, რომ სალოფის უკან თითქოს ვიღაცა იმალება. გადასწია ფრთხილად სალოფი და დაინახა, რომ კუთხეში სკამი დგას და სკამზე კიდევ ბებრუხანა ზის, მთლად მოკრუნჩხული და ისე თავჩაკიდებული, რომ პირისახე ვერ გაარჩია, თუმცა ხედავს, ის არის. რამდენიმე ხანს ასე იდგა. „ეშინია!“ - გაიფიქრა. გამოაძრო მერე ნელა მარწყვიდან ცული და ერთხელ, მეორედ, მესამედ დაჰკრა თავის ქალაში. მაგრამ საოცარია, არც კი განძრეულა ბებერი, თითქოს ხისააო. შეეშინდა რასკოლნიკოვს, დაიხარა, ახლოდან შეხედა; მაგრამ ბებრუხანამაც უფრო დაბლა დასწია თავი, არ შეახედა. ჩაიკეცა მაშინვე იატაკამდე. ისე შეხედა სახეზე, შეხედა და მთლად გადაფითრდა: იჯდა ბებრუხანა და ჩუმად ხითხითებდა, თან

თავს იმაგრებდა, რომ რასკოლნიკოვს არ გაეგონა. მოეჩვენა უცხად, რომ საწოლი ოთახის კარიც ოდნავ გამოიღო და იქაც ისევე იცინოდნენ და ჩურჩულებდნენ. ბრაზმა აიტანა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჩასცხო და ჩასცხო ბებრუხანას ცული, მაგრამ სიცილი და ჩურჩული უფრო და უფრო მატულობდა საწოლ ოთახში და ბებრუხანაც გულიანად ხითხითებდა, მთელი ტანი უთახთახებდა. გაქცევა დააპირა, მაგრამ დერეფანი და კიბე უკვე ხალხით იყო გაჭედილი, ზევით, ქვევით, ყველგან ხალხი იდგა და იყურებოდა, - სულგანაბულნი რაღაცას უცდიდნენ, დუმდნენ... გული მთლად შეეხუთა, ფეხებს ველარა სძრავდა, თითქოს იატაკს მიეწებო... უნდოდა დაეყვირა და - გამოედვიძა.

მოითქვა ღრმად სული, მაგრამ უცნაურია, თითქოს ისევ სიზმარშია: კარი ყურთამდე ღია აქვს და ვიღაც უცნობი ყურადღებით აკვირდება.

თვალეები ჯერ მთლად არ გაეხილა, რომ უცხად ისევ მოხუჭა. გულადმა იწვა, არ ინძრეოდა. „სიზმარში ვარ ისევ თუ არა?“ - გაიფიქრა თავისთვის და თან ნელ-ნელა წამწამები მაღლა ასწია, რომ შეუმჩნევლად გაეხედა: უცნობი იქვე იდგა, თვალს არ აშორებდა. შემოდგა ბოლოს ფეხი, კარი ფრთხილად მიხურა, მივიდა მაგიდასთან, ერთ წამს შეიცადა, - თვალს კვლავ არ აშორებდა, - და დივანთან ჩუმად დაჯდა სკამზე... ქუდი იქვე გვერდით იატაკზე დადო, დაეყრდნო ორივე ხელით ჯოხს და ზედ ნიკაპი დაადო. ეტყობოდა, დიდხანს აპირებდა ასე ცდას. რამდენადაც კი შეეძლო გაერჩია თითქმის თვალმოხუჭულს, ნახა, რომ უცნობი საკმაოდ ხნიერი და ჩასხმული იყო. ქერა ხშირი წვერი ისეთი ღია ჰქონდა, ლამის ჭალარა გეგონებოდა.

ასე გაიარა ათმა წუთმა. ბინდდებოდა, მაგრამ ჯერ არა ბნელოდა. ოთახში სრული სიჩუმე იყო. კიბიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფანჯარაში მხოლოდ ხარაბუზა ეხლებოდა მინას და ბზუოდა. რასკოლნიკოვმა ველარ მოითმინა ბოლოს და წამოჯდა უცხად.

- მითხარით ერთი, რა გინდათ?

- განა არა, ვფიქრობდი, განგებ იმძინარებს-მეთქი თავს, - მიუგო უცნაურად უცნობმა და გულდინჯად გაიცინა. - ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: არკადი ივანოვიჩ სვიდრიგაილოვი გახლავართ...

ნაწილი მეოთხე

I

„ნუთუ ისევ სიზმარია?“ - გაიფიქრა ერთხელ კიდევ რასკოლნიკოვმა. ფრთხილად და უნდობლად ათვალთვლებდა მოულოდნელ სტუმარს.

- სვიდრიგაილოვი? სისულელეა! შეუძლებელია! - ხმამაღლა ჩაილაპარაკა ბოლოს გაოცებულმა.

მაგრამ რასკოლნიკოვის გაოცებამ სტუმარი სულ არ გააკვირვა.

- ორი მიზეზის გამო შემოგიარეთ: ჯერ ერთი, მინდოდა გამეცანით, რადგანაც დიდი ხანია ბევრი რამ მესმის თქვენზე საყურადღებო და საქებარი; მეორეც, ვოცნებობ, რომ

უარს არ მეტყვით და დამეხმარებით ერთ საქმეში, რომელიც თქვენს დას, ავდოტია რომანოვნას შეეხება. მართო მე, თუ თავდებობას არ გამოიწევთ, იქნებ ახლოც არ მიმიკაროს, - აზრი აქვს ასეთი ჩემზე შედგენილი, - თქვენი დახმარებით კი, პირიქით, იმედი მაქვს...

- ტყუილად გიფიქრიათ, - გააწყვეტინა რასკოლნიკოვმა.

- ნება მომეცით გკითხოთ, მხოლოდ გუშინ ჩამოვიდნენ, არა?

რასკოლნიკოვმა არ უპასუხა.

- დიახ, გუშინ; ვიცი. თვითონ მეც ხომ გუშინწინ ჩამოვედი. აი, მაშ, რას გეტყვით, როდიონ რომანოვიჩ; თავის მართლებას ზედმეტად ვთვლი, მაგრამ ნება მომეცით, გაგიცხადოთ: განა რის შემცოდვე ვარ, მართლაც, ან რა საიმისოდ გასაკიცხი ვარ მთელ ამ საქმეში, თუ, რასაკვირველია, საღად განსჯით და ცრუ შეხედულებებს არ აჰყვებით?

რასკოლნიკოვი ისევ ჩუმად ათვალიერებდა.

- ის, რომ უმწეო ქალს ჩემს სახლში ვდევიდი და „ბილწი წინადადებით შეურაცხვეფოფდი“, აგრეა თუ არა? (თვითონვე ვცდილობ დაგასწროთ), მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მეც ადამიანი ვარ et nihil humanum...[23] ერთი სიტყვით, მეც შემძლია შეეცდე და შემიყვარდეს ვინმე (რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელთ არ არის), მაშინ ყოველივე ეს ბუნებრივად აიხსნება. ე. ი. საკითხი რა არის: საზიზღარი ვარ, თუ თვითონ მე ვარ მსხვერპლი? მერე რომ მართლაც მსხვერპლი ვიყო? ამერიკასა და შვეიცარიასში რომ ვთავაზობდი გამომყოლოდა, იქნებ რა უფაქიზესი გრძნობით ვიყავ გამსჭვალული და ორთავეს ბედნიერება მეწადა!.. გონიერება ხომ ვნებას მორჩილებს; ვინ იცის, იქნება ჩემს თავს უარესადა ვლუპავდი!..

- საქმე ეგ სულაც არ არის, - გააწყვეტინა ზიზღით რასკოლნიკოვმა, - თქვენ საზიზღარი ადამიანი ხართ და, მართალი ხართ თუ მტყუანი, აღარ დაეძებენ, თქვენი ცნობა არა სურთ, გაგდებენ და თქვენც მიბრძანდით!..

სვიდრიგაილოვმა უცბად გულიანად გადაიხარხარა.

- თქვენი დაყოლიება... როგორც ჩანს, ძნელია მეტად! - მიუგო მან გულიანი სიცილით.

- მინდოდა როგორმე მეეშმაკნა, მაგრამ არ იქნა, მყისვე მიზანში მოხვდით!

- თქვენ ახლაც ეშმაკობას აპირებთ, ვგონებ.

- რა არის მერე? რა არის? - იმეორებდა ისევ ხარხარით სვიდრიგაილოვი, - ეს ხომ bonne guerre[24] არის, სრულებით დასაშვები ეშმაკობაა!.. მაგრამ მაინც გამაწყვეტინეთ: ასეა თუ ისე, მე ვადასტურებ, არავითარი უსიამოვნება თავს არ იჩენდა, რომ ზღაში ის ამბავი არ მომხდარიყო. მარფა პეტროვნა...

- ამბობენ, ვითომ მარფა პეტროვნასთვისაც თქვენ მოგელოთ ბოლო? - გააწყვეტინა უკმეხად რასკოლნიკოვმა.

- როგორ, ეგეც გაიგეთ განა? ანდა როგორ არ გაიგებდით... ამ თქვენს კითხვაზე კი, არ ვიცი სწორედ, რა პასუხი მოგცეთ. ერთს გეტყვით მხოლოდ, რომ სინდისი სრულიად დამშვიდებული მაქვს. ესე იგი, ნუ გეგონებათ, ვითომ ფიქრი რისამე მქონდეს.

ყველაფერი წესიერად და კანონიერად გამოიკვლიეს: საექიმო შემოწმებამ სიკვდილის მიზეზად წვეთის დაცემა აღიარა, რომელიც მამლარი სადილისა და ბოთლი ღვინის გამოცლის შემდეგ ბანაობას მოჰყვა შედეგად. რასაკვირველია, ამის მეტი სხვა არა აღმოუჩენიათ რა... ეგ არაფერი, მაგრამ ერთხანად სულ იმას ვფიქრობდი... მეტადრე ვაგონში: იქნებ ხელი შევუწყე-მეთქი... უბედურებას, მაგალითად, გაჯავრებით, ზნეობრივად ან სხვაფრივ როგორმე? მაგრამ დავრწმუნდი ბოლოს, რომ ეგეც არ ყოფილა.

რასკოლნიკოვს გაეცინა.

- ან კი რათა სწუხდებოდით!

- რას იცინით? იფიქრეთ აბა: სულ რაღაც ორჯერ დავარტყი მათრახი, ისე, რომ ნიშნებიც კი არ აღმოაჩნდა... ცინიკოსად ნუ ჩამთვლით, გეთაყვა, თვითონაც ვიცი, რომ სამაგლად მოვიქეცი, მაგრამ ვიცი ისიც, რომ მარფა პეტროვნას იქნებ სასიამოვნოდაც დარჩა, რომ ასე მოვიქეცი. თქვენი დის ამბავი უკვე მთლად მიიწურა, გათავდა. მესამე დღე იყო, მარფა პეტროვნა სულ შინ იჯდა. აღარ იცოდა, რისთვისდა წასულიყო ქალაქში, ისედაც, უნდა მოგახსენოთ, იქაც ყველას თავი მოაბეზრა (აი იმ წერილის კითხვით, ალბათ იცით?). და უცბად ცის მანანასავით ეს მათრახი მოევლინა! მაშინვე უბრძანა, კარეტა შეეხებოდა!.. არას ვიტყვი იმაზე, რომ ზოგჯერ საშინლად უნდათ ქალებს შეურაცხყოფილნი იყვნენ, თუმცა იმავე დროს თითქოს რისხვით არიან აღსავსენი. ყველას ექნება ნაცადი ასეთი შემთხვევა. მოსწონს საშინლად ადამიანს, შეურაცხყოფილი რომ არის, არ შეგინიშნავთ? განსაკუთრებით ქალებს. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ამით ირთობენ თავს.

რასკოლნიკოვს ერთხანად უნდოდა წამომდგარიყო და წასულიყო სადმე, საქმე ამით გაეთავებინა; მაგრამ რაღაც ცნობისმოყვარეობამ და თითქოს ანგარიშმა სძლიეს ერთ წამს.

- ჩხუბი და ცემა გიყვართ? - დაეკითხა იგი უგულისყუროდ.

- არც ისე, - მიუგო დამშვიდებით სვიდრიგაილოვმა. - მარფა პეტროვნასთან ხომ თითქმის არასოდეს მიჩხუბია. თანხმობითა და კმაყოფილებით ვცხოვრობდით, მუდამ მადლიერი იყო ჩემი. მთელი შვიდი წლის განმავლობაში მათრახი სულ რაღაც ორჯერ ვიხმარე (თუ ერთს კიდევ სხვა შემთხვევას არ ჩავთვლი, ცოტა არ იყოს, ფრიად საექვოს); პირველად ორი თვის შემდეგ იყო, ჯვარი რომ დავიწერეთ და სოფელში ამოვედით, მეორედ - ახლა, უკანასკნელად. თქვენ კი გეგონათ, ვინ იცის, რა მხეცი, ჩამორჩენილი, მონობის მოტრფიალე კაციო, ჰა? ხა-ხა-ხა!.. მართლა: არ გახსოვთ, როდის რომანოვიჩი, ამ რამდენიმე წლის წინათ როგორ შეარცხვინეს საჯაროდ და მწერლობაშიაც ერთი ვიღაც აზნაური - დამავიწყდა, რა გვარი იყო! - აი ის, გერმანელი ქალი რომ გალახა ვაგონში[25], არ გახსოვთ? მაშინვე იყო მგონი, იმ წელს, „საუკუნის სამაგელი ამბავი“ რომ მოხდა (აი ის „ეგვიპტის ღამეები“, საჯარო კითხვა, გახსოვთ? შავ-შავი თვალები! ეჰ, სადა ხარ, ოქროს ახალგაზრდობავ!). იცოდეთ, მაშ, ჩემი აზრი: გერმანელი ქალის გამლახველს არცთუ დიდად თანავუგრძნობ... იმიტომ, რომ არც არის თანავგრძნობის ღირსი! მაგრამ არ შემძლია აქვე არ შევნიშნო, რომ არიან ისეთი „გერმანელი ქალები“, თავისი საქციელით რომ მოთმინებიდან გამოგიყვანენ და რომლებთანაც დიდი პროგრესისტიც კი თავს ვერ

შეიმაგრებდა. ამ მხრივ საკითხს არავინ შეჰხებია მაშინ, თუმცა უმთავრესი და ჰუმანური სწორედ ეს არის! მართალს მოგახსენებთ!

თქვა თუ არა ეს, ერთხელ კიდევ გადაიხარხარა.

რასკოლნიკოვი მაშინვე მიხვდა, რომ ამ კაცს მტკიცედ ჰქონდა რაღაც გადაწყვეტილი და თავისი საქმე კარგად იცოდა.

- თქვენ უთუოდ რამდენიმე დღეა არავისთან გილაპარაკნიათ? - დაეკითხა რასკოლნიკოვი.

- აგრეა თითქმის. რა არის: გიკვირთ უთუოდ, რომ ასე ადვილად შეგეწყვეთ, არა?

- ეგ არა, მაგრამ ის კი მიკვირს, რომ აგრე ამლაშობთ.

- იმიტომ, რომ თქვენი უხეში კითხვები არ ვიწყინე? აგრეა თუ არა? მაგრამ... რად უნდა მწყენოდა? როგორც თქვენ მეკითხებოდით, მეც ისე გიპასუხებდით, - მიუგო გასაოცრად უბრალოდ. - საიმისოდ არა იზიდავს რა ჩემს ყურადღებას, გეფიცებით, - განაგრძობდა როგორღაც ჩაფიქრებით, - განსაკუთრებით ახლა, სულ არაფერი. თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ იფიქროთ, ვითომ გეპირფერებოდეთ, განგებ ვამბობდეთ, რაკი თქვენს დასთან მაქვს საქმე, მევე გითხარით ხომ. მაგრამ გამოგიტყდებით: საშინლად მოწყენილი ვარ! განსაკუთრებით ეს სამი დღე, ასე რომ, გამეხარდა კიდევ, რომ გნახეთ... ნუ გამიწყრებით კი, როდიონ რომანოვიჩ, მაგრამ თქვენ თვითონ მეჩვენებით საშინლად უცნაურად. როგორც გინდათ თქვით. გატყობთ, რაღაც გედარდებთ; ამ წუთას კი არა, საზოგადოდ ახლა... მაგრამ, კმარა, ჰო, აღარას გეტყვით, ნუ იღრუბლებით! განა ისეთი გაუთლელი დათვიცა ვარ, თქვენ რომ გგონიათ.

რასკოლნიკოვმა ქუშად გადახედა.

- იქნება დათვისა არც კი რამ გეცხოთ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა. - პირიქით, გეტყობათ, კარგი საზოგადოებისა ხართ და, თუ შემთხვევა მოგეცემათ, შეგიძლიათ რიგიანი კაციც იყოთ.

- არავის აზრს განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევ, - მიუგო გულგრილად და თითქმის ამაყად სვიდრიგაილოვმა, - ამიტომ ზოგჯერ უგვანობაც უნდა ვიკადრო, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ეს ეხერხება ადამიანს... მით უმეტეს, თუ ბუნებრივი მიდრეკილებაც გაქვს, - დასძინა და კვლავ გაიცინა.

- გაგონილი მაქვს, ბლომად გყავთ თურმე ნაცნობი და გავლენიან ხალხთანაც საკმაოდ დაახლოებული ხართ... მაშ მე, აბა, რაღად გინდივართ, თუ არა რამ განზრახვისათვის?

- ეგ მართალი თქვით, ნაცნობები ბლომად მყვანან, - ჩამოართვა სიტყვა სვიდრიგაილოვმა, მაგრამ უმთავრესზე კი პასუხი არ მისცა, - მხვდებიან კიდევ. აგერ სამი დღეა დავდივარ და ბევრს ვცნობ მათგანს; ბევრიც, მგონი, თვითონა მცნობს. რასაკვირველია, საკმაოდ ბატონკაცურად მაცვია და არც ღარიბი ვარ. ჩვენ ხომ საგლეხო რეფორმაც არ შეგვეხო: ტყეები და საძოვრები ყველა გვაქვს ისევ, შემოსავალს მუდამ იძლევა; მაგრამ... არ წავალ იქ; წინათვე მომბეზორეს თავი; სამი დღეა დავდივარ აგერ, მაგრამ არავის ვეცნაურები... ახლა ეს ქალაქი! მაინც როგორაა

შედგენილი, ერთი მითხარით! ქალაქი კანცელარისტებისა და ნაირ-ნაირი ჯურის სემინარიელებისა! მართლაცდა, ამ რვა წლის წინათ, აქ რომ ვეთრეოდი, ბევრი რამ არ შემინიშნავს... მარტოდმარტო ანატომიის იმედილა მაქვს ახლა, ღმერთს გეფიცებით!

- როგორ თუ ანატომიისა?

- აი, ამ თქვენს კლუბებს, დიუსოებს, პუანტებს,[26] ან თუნდ ამ პროგრესს რაც შეეხება, თავი დავანებოთ, შორს ჩვენგან, - განაგრძობდა იგი, ვითომც შეკითხვა არც გაუგონია.

- ან კი გაიძვერობა რა სახალისოა.

- როგორ, ეგეც იყავით განა?

- აბა, მაშ უამისოდ როგორ შეიძლებოდა? ამ რვა წლის წინათ მთელი ამხანაგობაც კი გვქონდა, მეტად რიგიანი; დროს ვატარებდით; იყვნენ პოეტები, კაპიტალისტები; ყველამ კარგად იცოდა თავის დაჭერა! მაინც ჩვენს რუსულ საზოგადოებაში ხომ ისაა უკეთესი ქცევისა, ვისაც ერთ დროს კაი სილა უგემია, - არ შეგინიშნავთ? მე სოფლად ჩამოვრჩი ყველაფერს, თორემ... მაინც ჩამაბრძანეს ციხეში ერთი ნეჟინელი ბერძნის ვალისათვის. სწორედ აქ უცბად მარფა პეტროვნა ამიჩნდა, შეევაჭრა და ოცდაათი ათას ვერცხლად გამომისყიდა (სულ კი 70.000 მემართა). შევერთდით კანონიერი ქორწინებით და დიდი ხვითოსავით მაშინვე სოფელში გამაქანა. ჩემზე ხომ ხუთი წლით უფროსი იყო. ძალიან ვუყვარდი. მთელი შვიდი წელიწადი სოფლიდან ფეხი არ გამომიდგამს. არ დაივიწყოთ, მთელი ეს ხანი ოცდაათი ათასის თამასუქი, საბუთის სახით, ჩემს წინააღმდეგ სხვის სახელზე ჰქონდა მარფა პეტროვნას; ასე რომ, ავჯანყდებოდი თუ არა, მაშინვე საპრობილეში ამომყოფინებდა თავს! იზამდა კიდეც! იმიტომ, რომ ქალებს დიდ სიყვარულთან ესეც ადვილად შეუძლიათ.

- თამასუქი რომ არ ყოფილიყო, მოუსვამდით?

- არ ვიცი, როგორ გითხრათ. ეს საბუთი თითქმის არას მიშლიდა. არსაით გული არ მიმიწევდა; საზღვარგარეთ კი ორჯერ თვითონაც მიმიპატიჟა მარფა პეტროვნამ, რაკი ნახა, რომ მოვიწყინე, მაგრამ რა! წინათაც ვყოფილვარ, და ყოველთვის გული არ მიდგებოდა. აგერ გარიჟრაჟია, ნეაპოლის ყურესა და ზღვას გაჰყურებ, მაგრამ არ გიტაცებს, მოწყენილი ხარ როგორღაც! ყველაზე სამაგლობა კი ის არის, რომ მართლა რაღაცაზე ნაღვლიანობ! არა, სამშობლოში სჯობია: აქ მაინც ყველაფერში სხვებს ამტყუნებ, თვითონ შენ კი მართალი ხარ. იქნებ ჩრდილოეთ პოლუსისაკენ წავსულიყავი სამოგზაუროდ, იმიტომ რომ j'ai le vin mauvais[27], და სმაც მეჯავრება. ღვინის მეტი კი სხვა ხსნა არ არის. ეგეცა ვცადე. რაო, რას ამბობენ, კვირას იუსუპოვის ბაღში ბერგი ვებერთელა აეროსტატით აფრინდება[28] და თანამგზავრებს ეძებსო, მართალია? თან ფულსაც თურმე ჰპირდება.

- რა იყო მერე, გაჰყვებოდი?

- მე? არა... ისე... - წაიდუღუნა სვიდრიგაილოვმა, თითქოს მართლაც დაფიქრდაო.

„რაო მართლა ასეა, თუ განგებ მაჩვენებს თავს?“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- არა, საბუთი ხელს არას მიშლიდა, - განაგრძობდა სვიდრიგაილოვი დაფიქრებული, - თვითონ არსად მივდიოდი სოფლიდან. გარდა მაგისა, წელიწადია აგერ, ჩემს დღეობაზე დამიბრუნა კიდეცა თამასუქი და თან საკმაოდ დიდი თანხაც დაამატა

საჩუქრად. იმას ხომ კარგა დიდი შეძლება ჰქონდა. „ხედავთ, აი როგორ გენდობით, არკადი ივანიჩო“, - მითხრა. არა გჯერათ, რომ ასე მითხრა? იცით რა: საუცხოო მეურნე შევიქენი; მთელ არემარეში მიცნობენ. წიგნებსაც ვიწერდი. მარფა პეტროვნა ჯერ მიწონებდა ამას, მერე კი შეეშინდა, წიგნებს არ დავეძალე.

- როგორც გატყობთ, ძალიან უნდა სწუხდეთ მარფა პეტროვნას დაკარგვას?

- მე? იქნება. რატომ, შეიძლება! მართლა, მოჩვენებისა გჯერათ რამე?

- რა მოჩვენებისა?

- რა მოჩვენებისა და ჩვეულებრივი მოჩვენებისა, სხვა, აბა, რომელია!

- თქვენ კი გჯერათ?

- თითქმის რომ არა, pour vous plaire...[29] ესე იგი, ის კი არა, რომ...

- რაო, გამოგეცხადებათ რამ ხოლმე, თუ როგორ არის?

როგორღაც უცნაურად გადახედა სვიდრიგაილოვმა.

- მარფა პეტროვნა მეწვევა ხოლმე, - ჩაილაპარაკა და როგორღაც უცნაურად, პირმოღრეცით გაიღიმა.

- როგორ თუ გეწვევთ?

- დიახ, აგერ უკვე სამჯერ იყო. პირველად დასაფლავების დღეს ვნახე, სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ ერთი საათი იქნებოდა გასული. ეს იყო სწორედ ჩემი აქეთ წამოსვლის წინა დღით. მეორედ გუშინწინ ვნახე, გზაში, სადგურ მაღაია ვიშერაზე, გათენებისას სწორედ; მესამედ კი ამ ორი საათის წინათ გამომეცხადა ჩემს ბინაზე, სადაც ამჟამად ვცხოვრობ; ოთახში მარტოდმარტო ვიყავი.

- ცხადლივი?

- სრულებით ცხადლივ. სამჯერვე ერთნაირად. მოვა, ერთ-ორ წუთს გამომელაპარაკება და ისევ გავა კარიდან. კარიდან გადის მუდამ. მესმის კიდეც თითქოს, როგორ მიდის.

- არა, რად წარმოვიდგინე ნეტა, რომ ასეთი რამ უთუოდ უნდა გემართებოდეთ! - ჩაილაპარაკა უცხად რასკოლნიკოვმა და მაშინვე გაიოცა, რომ ასე უთხრა. საშინლად იყო აღელვებული.

- აი, ხომ ხედავთ! ეგ იფიქრეთ მაშ? - ჩაეკითხა გაკვირვებით სვიდრიგაილოვი, - ნუთუ მართლა? კი გითხარით, ჩვენ შორის რაღაც საერთო არის-მეთქი, ჰა?

- არასოდეს ეგ არ გითქვამთ! - მიუგო მკვახედ და ცხარედ რასკოლნიკოვმა.

- არ მითქვამს?

- არა!

- მე კი მეგონა, გითხარით-მეთქი. წელან რომ შემოვედი და თვალმდახუჭული დაგინახეთ მწოლიარე, ვითომ გეძინათ, მაშინვე ჩემთვისა ვთქვი: „ის არის-მეთქი სწორედ!“

- რაო, ვითომ რას ნიშნავს ეგ? რასა გულისხმობთ? - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

- რასა? არ ვიცი სწორედ, რას... - წაიდუდუნა გულწრფელად და დაბნევით სვიდრიგაილოვმა.

ერთ წუთს ორივენი გაჩუმდნენ. ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

- სისულელეა ყველა ეს! - წამოიძახა გაბრაზებულმა რასკოლნიკოვმა. - მერე რას გეუბნებათ, რომ მოდის?

- მარფა პეტროვნა? წარმოიდგინეთ, სულ რაღაც წვრილმან სისულელეს, გაგიკვირდებთ პირდაპირ: ეგ არის, რომ მამრებებს! პირველად რომ გამომეცხადა (იცით, დაღლილი ვიყავი: ეს მიცვალებულის წირვაო, ეს სულთათანაო, მერე კიდევ ლოცვა, მიცვალებულის მოხსენიება და საუზმეო, ის იყო ძლივს მარტო დავრჩი კაბინეტში, სიგარას მოვუკიდე, ფიქრს მივეცი თავი), კარიდან შემოვიდა: „დღეს, არკადი ივანოვიჩ, ამ ფაცაფუცში სასადილო ოთახში საათი მოუმართავი დაგრჩათ, დაგავიწყდათო“. ამ საათს კი მთელი შვიდი წელიწადი მართლაც მე ვმართავდი სულ, მაგრამ დამავიწყდებოდა თუ არა, მაშინვე მომაგონებდა. მეორე დღეს უკვე აქეთ წამოვედი. გათენებისას სადგურზე გადავხტი, - მთვლემდა ღამე და დამტვრეული ვიყავი, თვალები ნამძინარევი მქონდა, - ყავა მოვითხოვე; ვნახოთ, უცბად მარფა პეტროვნა ჩემ გვერდით ჯდება და ხელში სათმაშო ქალაღი უჭირავს: „არ გინდათ, არკადი ივანოვიჩ, სამგზავროდ გიმკითხაოთო?“ მკითხაობა კი მართლაც საუცხოო იცოდა. არ ვაპატიებ არასოდეს ჩემს თავს, რომ არ ვამკითხვინე! შემეშინდა, გამოვექეცი და ამ დროს ზარიც დაირეკა. ვზივარ დღეს სამაგელი სადილის შემდეგ (სასადილოდან ამომიტანეს) კუჭდამძიმებული და სიგარას ვეწევი. ვნახოთ, უცბად მარფა პეტროვნა შემოდის, ახალ მწვანე ფარჩის კაბაში გამოწყობილი, უშველებელ ბოლოს მოაშრიალებს: „გამარჯობათ, არკადი ივანოვიჩ! ეს ჩემი კაბა როგორ მოგწონთ? ანისკა ხომ ასე ვერ შემიკერავსო“ (ანისკა სოფლის მკერავი ქალია, ბატონყმობის დროს მოახლედ ჰყოლიათ, მერე მოსკოვში მიუციათ სამკერვალოში, კარგი გოგონაა). დგას და ტრიალებს, კაბას მიჩვენებს. გავსინჯე კაბა და მერე ყურადღებით სახეში ჩავაცქერდი: „ნეტავი თქვენ, მარფა პეტროვნა, რომ ასეთი სისულელისათვის თავს იწუხებთ და ჩემთან მოდიხართ-მეთქი“. - „ეჰ, ღმერთო ჩემო, შეწუხებაც კი თურმე აღარ შეიძლებაო შენი!“ მე კიდევ გასაჯავრებლად ვეუბნები: „მარფა პეტროვნა, მინდა ცოლი შევირთო-მეთქი“. - „გასაკვირველი არა არის რა თქვენგან, არკადი ივანოვიჩ; ცოლი თითქმის არ დაგიმარხავთ ჯერ და უკვე მეორის შესართავად გამოეშურეთ. ნეტავი კარგი ვინმე მაინც აირჩიოთ, თორემ ვიცი, არც იმას, არც თქვენს თავს არას არგებთ, ხალხს გააცინებთ მარტოო“. და წავიდა კაბის ბოლოს შრიალით. სისულელეა ხომ? როგორ გგონიათ?

- ვინ იცის, იქნებ სულაც ტყუილთ? - მიუგო რასკოლნიკოვმა.

- მე იშვიათად ვტყუი, - უპასუხა ფიქრად წასულმა სვიდრიგაილოვმა, თითქოს ვერ გაიგო, რა უხეში იყო ეს კითხვა.

- მანამდის არ გინახავთ მოჩვენებანი?

- არა ერთხელ ამ ექვსი წლის წინათაც ვნახე. ფილკა ვინმე მყავდა, შინაყმა; ის იყო დავმარხეთ, მაგრამ დამავიწყდა და დავუყვირე: ფილკა, ჩიბუხი-მეთქი! შემოვიდა და პირდაპირ იქით გასწია, სადაც ჩიბუხები მელაგა ხოლმე. ვზივარ და ვფიქრობ:

„უთუოდ შური უნდა იძიოს-მეთქი“, იმიტომ რომ სიკვდილის წინ სწორედ დიდი ჩხუბი მოგვივიდა. „როგორ ბედავ, რომ იდაყვამოფლეთილი შემოდინხარ ჩემთან, მომშორდი, სამაგელო-მეთქი!“ მიბრუნდა, წავიდა და მეტჯერ აღარ მოსულა. მარფა პეტროვნასთვის მაშინ არა მითქვამს რა. მინდოდა, პანაშვიდი გადამეხდევინებინა, მაგრამ შემრცხვა.

- ექიმს ეჩვენეთ.

- ეგ კი უთქვენოდაც ვიცი, რომ კარგად ვერა ვარ, მაგრამ რათა და რა მიზეზით, ვერ გამიგია; ჩემი აზრით, მე თქვენზე ბარე ხუთჯერ ჯანმრთელად ვარ. იმას როდი გეკითხებოდით, გჯერათ თუ არა, რომ მოჩვენებები გამოეცხადება-მეთქი ადამიანს? გეკითხებოდით: თვითონ მოჩვენებათა არსებობა გჯერათ თუ არა-მეთქი?

- არა, არ მჯერა და არც დავიჯერებ! - შესძახა გაბრაზებით რასკოლნიკოვმა.

- როგორ იციან ჩვეულებრივად? - ბუტბუტებდა თითქოს თავისთვის სვიდრიგაილოვი და ოდნავ თავდახრილი გვერდზე იყურებოდა. - ამბობენ: „ავად ხარ და, მაშასადამე, რაც კი რამ წარმოგიდგება, ყველაფერი ეგ არარსებული ბოდვააო“. ნაღდი ლოგიკისა მაინც არა ჩანს რა აქ. ვეთანხმები, რომ მოჩვენებანი მართლაც ავადმყოფებს გამოეცხადებიან ხოლმე; მაგრამ რას ამტკიცებს ეს? იმას, რომ ავადმყოფებს მართლაც გამოეცხადებიან ხოლმე მოჩვენებანი და არა იმას, ვითომ ისინი სრულიად არ არსებობდნენ.

- რასაკვირველია, არა! არ არსებობენ! - გაიძახოდა თავისას რასკოლნიკოვი.

- არ არსებობენ? აგრე გგონიათ? - განაგრძო სვიდრიგაილოვმა და თან რასკოლნიკოვს მძიმედ შეხედა. - რა იქნება, რომ ასე წარმოვიდგინოთ (მიშველეთ, აბა): „მოჩვენებები სხვა სამყაროთა ნაწყვეტები და ნაგლეჯებია, მათი დასაწყისი. ჯანმრთელი კაცი, რასაკვირველია, არ საჭიროებს მათ ნახვას, იმიტომ რომ ნამდვილი შვილია იგი დედამიწისა და ცხოვრებაშიაც მხოლოდ ამქვეყნიურად უნდა ცხოვრობდეს, წესიერება არ დაირღვეს. მაგრამ თუ ოდნავ ავად გახდა და დაირღვა ნორმალური მიწიერი წესი მისი ორგანიზმისა, მაშინვე თავს იჩენს იმქვეყნიური არსებობაც, და რამდენადაც უფრო ძლიერ არის ავად ადამიანი, იმდენი უფრო მეტი საშუალება ეძლევა იმ ქვეყანასთან შეხებისა; სიკვდილის შემდეგ ხომ პირდაპირ იმ ქვეყნის მცხოვრები ხდება“. ამის თაობაზე დიდი ხანია ვფიქრობ. თუ საიქიოს ცხოვრება გჯერათ, მაშინ რაცა ვთქვი, ესეც დასაჯერია.

- არა, არ მჯერა საიქიოს ცხოვრება, - მიუგო რასკოლნიკოვმა.

სვიდრიგაილოვი დაფიქრებული იჯდა.

- რა იქნება, რომ იქ მართლა ობობებისა ან სხვა რამ მწერების მეტი არა იყოს რა, - წარმოთქვა უეცრად.

„ნამდვილად შეშლილია“, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

- მარადისობა ისე გვაქვს წარმოდგენილი, როგორც იდეა, რომლის გაგება შეუძლებელია; რაღაც რამ დიდად უშველებელია ვითომ! მაგრამ რაღა უთუოდ ასეთი უშველებელი რამ უნდა იყოს? ერთიც ვნახოთ, ყოველივე ამის მაგივრად იგი სოფლური აზნოს მსგავსი რაღაც პაწია გამჭვარტლული ოთახია, კუთხეებში კიდევ ყველგან ობობას ქსელებია გაბმული, აი თქვენი მარადისობა! იცით რა, ხშირად სწორედ ამ სახით წარმომიდგება ხოლმე მარადისობა.

- ნუთუ, ნუთუ მართლა ამაზე უფრო სამართლიანი და სანუგეშო სხვა აღარა წარმოგიდგებათ ხოლმე! - შესძახა გულმტკივნეულად რასკოლნიკოვმა.

- სამართლიანი? მერე ვინ იცის, იქნებ ეს არის სწორედ ყველაზე მეტად სამართლიანი; და იცით რა, მე განგებ ვიზამდი ასე! - მიუგო სვიდრიგაილოვმა და როგორღაც გაურკვევლად გაიღიმა.

რაღაც ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა უცბად რასკოლნიკოვს ამ საზიზღარი პასუხის გაგონებაზე. ასწია თავი სვიდრიგაილოვმა, რასკოლნიკოვს ჩაამტერდა და უცბად გადაიხარხარა.

- ეგ კი არა, აბა ეს იფიქრეთ, - შეჰყვირა უცბად, - ნახევარი საათის წინათ ერთმანეთისათვის ჯერ თვალი არ დაგვეკრა, მტრებად ვითვლებით, გადასაწყვეტი საქმე წინ გვიდევს კიდევ, და უცბად საქმეს თავი გავანებეთ და რაღაც სულ სხვა საუბარში გავვებით! არა, ტყუილი ვთქვი მაშ, რომ ჩვენ ორივენი ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა-მეთქი?

- კეთილი ინებეთ, გეთაყვა, - განაგრძობდა გაბრაზებული რასკოლნიკოვი, - საჩქაროდ გამაგებინეთ, რისთვის გამაპატიოსნეთ და ინებეთ მობრძანება... და... მეორეც... მეც მეჩქარება, არა მცალია, სხვაგან უნდა წავიდე.

- ინებეთ, ინებეთ ახლავ. თქვენი და, ავდოტია რომანოვნა, ლუჟინზე აპირებს, პეტრ პეტროვიჩზე, გათხოვებას?

- არ შეიძლება ჩემი დის საქმეს როგორმე მხარი აუქციოთ და მისი სახელი სრულიად არ ახსენოთ? მიკვირს სწორედ, როგორღა ბედავთ და ახსენებთ ჩემთან იმის სახელს, თუ მართლა სვიდრიგაილოვი ხართ?

- როგორ? იმისთვის მოვედი და არ ვახსენო?

- კარგით, მაშ ილაპარაკეთ, მაგრამ მალე კი.

- დარწმუნებული ვარ, ბატონ ლუჟინზე (ჩემი ცოლის ნათესავზე) უკვე თქვენს აზრს შეადგენდით, თუ რომ ნახევარი საათით მაინც ნახეთ როგორმე, ან ნამდვილი და სწორე რამე შეიტყვეთ მასზე. ავდოტია რომანოვნას შესაფერისი არ არის. ჩემი აზრით, ავდოტია რომანოვნა დიდსულოვნად და უანგარიშოდ სწირავს თავს... ოჯახს. ისე მაქვს გაგონილი, რომ თქვენც მეტად კმაყოფილი იქნებოდით, თუ ეს ქორწინება როგორმე ჩაიშლებოდა, ისე კი, რომ არავისი ინტერესები არ დარღვეულიყო. ახლა ხომ, პირადად გაცნობის შემდეგ, დიახაც დავრწმუნდი, რომ ასეა საქმე.

- თქვენი მხრივ ყველა ეს დიდი გულუბრყვილობაა; თუმცა უკაცრავად, გულუბრყვილობა კი არა, თავხედობაა, - მიუგო რასკოლნიკოვმა.

- ესე იგი, გინდათ თქვით, ვითომ ჩემთვისა ვზრუნავ? ნუ სწუხართ, როდიონ რომანოვიჩ! მართლა რომ ჩემთვის მინდოდეს რამე, ასე გამოტეხით როდი დაგიწყებდით ლაპარაკს; არც ისეთი ჩურჩუტი ვარ. მინდა ამის გამო ერთი ფსიქოლოგიური უცნაურობა გაგიმჟღავნოთ. წელან რომ ავდოტია რომანოვნას სიყვარულში ვიმართლებდი თავს, ვთქვი, თუ გახსოვთ, რომ მევე შევიქენ-მეთქი მსხვერპლი. იცოდეთ მაშ, რომ არავითარ სიყვარულს ახლა არა ვგრძნობ, არ-რა-ვითარს, ასე რომ მე თვითონ მეუცნაურება კიდევ, რადგან მართლაც ვგრძნობდი მაშინ რაღაცას...

- უსაქმურობისა და გარყვნილების წყალობით, - გააწყვეტინა რასკოლნიკოვმა.

- ეგ მართალია, გარყვნილი ვარ და უქმი, მაგრამ თქვენს დას იმდენი ღირსება აქვს, არ შეიძლება სულ არა მეგრძნო რა, გავლენა არ ჰქონოდა. მაგრამ სისულელეა ყველა ეს, თვითონაც ვხედავ ახლა.

- დიდი ხანია, რაცა ხედავთ?

- უწინაც მქონდა შენიშნული, მაგრამ საბოლოოდ ამ სამი დღის წინათ დავრწმუნდი, სწორედ მაშინ, პეტერბურგს რომ ჩამოვედი. მოსკოვში კი ისე ვფიქრობდი, ვითომ ავდოტია რომანოვნასთვის მოვდიოდი ბატონ ლუჟინის მეტოქედ.

- უკაცრავად, თუ გაგაწყვეტინებთ. არ შეიძლება, გეთაყვა, როგორმე შეამოკლოთ სათქმელი და პირდაპირ მითხრათ, რისთვის გარჯილხართ? მეჩქარება, სხვაგან ვარ წასასვლელი...

- დიდი სიამოვნებით. ჩამოვედი რა და თანაც პატარა... მოგზაურობა მოვიწადინე, მინდოდა წასვლამდე ზოგი რამ საქმე მომეგვარებინა. შვილები დეიდასთან დავტოვე; მდიდრად არიან, პირადად მე სულაც არ ვუნდივარ. ან რა მამა ვარ ნეტა! ჩემთვის მარტო ის წამოვიღე, რაც ერთი წლის წინათ მარფა პეტროვნამ მაჩუქა. ესეც მეყოფა. უკაცრავად, ახლავე საქმეს შევუდგები. მოგზაურობამდე, რომელიც შეიძლება მართლაც მოხდეს, მინდოდა ლუჟინის საქმეც გამეთავებინა. მართლა ისე ძალიან კი არა მძულს, მაგრამ მარფა პეტროვნასთან ჩხუბის მიზეზი კი ეგ იყო სწორედ. შევიტყვე, რომ ქორწინებას მარფა პეტროვნა უხერხებდა. მინდა ახლა ვნახო როგორმე ავდოტია რომანოვნა, თქვენი მეშვეობით, ან თუნდაც თქვენი დასწრებით, და ავუხსნა, ჯერ ერთი, რომ ბატონ ლუჟინისგან ცუდის მეტს კარგს არას ნახავს არასოდეს, და მეორე, ბოდიში მოვიხადო, რაც კი რამ უსიამოვნება მივაყენე. ამასთან, ნებართვა გამოვთხოვო, რომ ათასი თუმანი შევთავაზო და ამით ბატონ ლუჟინთან საქმის გაწყვეტა გავუადვილო, რასაც, დარწმუნებული ვარ, თვითონაც მოწადინებულია, ოღონდ ამისი საშუალება მიეცეს.

- მართლა რომ შეშლილი ყოფილხართ! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა იმდენად გაჯავრებულმა არა, რამდენადაც გაკვირვებულმა, - როგორა ბედავთ მაგას!

- განა არა, ვიცოდი, დაიყვირებდით; თუმცა, მართალია, მდიდარი არა ვარ, მაგრამ ჩემთვის ეს ფული სრულიად მეტია. თუ არ მიიღებს ავდოტია რომანოვნა, შეიძლება უფრო სულელურად მოვიხმარო. ეს ერთი. მეორე კიდევ აი რა: სინდისი სრულიად დამშვიდებული მაქვს: თუ შევთავაზე რამ, ანგარიში არა მქონია. გჯერათ, არ გჯერათ, თქვენი საქმეა, მაგრამ შემდგომში ორივენი დარწმუნდებით. უმთავრესი მიზეზი აქ ის არის მხოლოდ, რომ ვგრძნობ მართლა, რა დიდი უსიამოვნება და წუხილი

მივაყენე თქვენს დიდად პატივცემულ დას და მინდა გულწრფელად მოვიხანო; იმითი კი არა, ვითომ ფულით გამოვისყიდო ეს უსიამოვნება, არა, მინდა მხოლოდ სიკეთე რამ მოვუტანო; მართლა ხომ პრივილეგიად არა მაქვს გადაქცეული ავკაცობა და ბოროტება! ჩემს წინადადებაში რომ ანგარიშის რამ ნატამალი იყოს მართლა, ასე პირდაპირ როდილა შევთავაზებდი; და არც მხოლოდ ათას თუმანს, მაშინ როდესაც ხუთი კვირის წინათ ბევრად მეტი შევთავაზე. გარდა ამისა, შეიძლება ძალიან მალე ჯვარიც დავიწერო ერთ ქალზე. მაშასადამე, ამის შემდეგ აღარავითარ ეჭვს, ვითომ მე ვდევინიდე ავდოტია რომანოვნას, ადგილი აღარ ექნება. დასასრულ ვიტყვი, რომ ავდოტია რომანოვნა ლუჟინზე გათხოვებით იმავე ფულს მეორე მხრიდან მიიღებს... ნუ კი ჯავრობთ ამიტომ, როდიონ რომანოვიჩ, სჯობს დამშვიდებით მოისაზროთ და მოიფიქროთ ყველაფერი.

სვიდრიგაილოვი ამას ძალიან დამშვიდებით ლაპარაკობდა.

- გთხოვთ დროზე გაათავოთ, - უთხრა რასკოლნიკოვმა. - ყოველ შემთხვევაში, მიუტევებელი თავხედობაა ეს, სხვა არაფერი.

- სრულებითაც არა. მაშ ამის შემდეგ კაცს მარტოდენ ბოროტების უფლება ჰქონია ამქვეყნად, სიკეთისა კი არა, იმიტომ მხოლოდ, რომ რაღაც ფორმალური წესები მუდამ გადაეღობება ხოლმე წინ. სისულელეა. ვთქვათ, მოვმკვდარიყავი და ანდერძით დამეტოვებინა თქვენი დისათვის ეს ფული, ნუთუ მაშინაც არ მიიღებდა?

- შეიძლება, არ მიეღო.

- აბა, ეგ კი აღარა მჯერა. მაგრამ, დეე, აგრე იყოს; ეგ არის მხოლოდ, ათასი თუმანი კაი ფულია. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, ნათქვამი ავდოტია რომანოვნას გადასცეთ.

- არა, ვერ გადავცემ!

- თუ აგრეა, მაშ, ვეცდები, პირადად როგორმე ვინახულო და შევაწუხო მაშასადამე.

- რომ გადამეცა, მაშინ კი აღარ ეცდებოდით პირდად გენახათ?

- არ ვიცი სწორედ, როგორ გითხრათ. საშინლად მინდა ერთხელ მაინც ვნახო.

- იმედი ნუ გაქვთ.

- სამწუხაროდ, მაგრამ თქვენ მე არ მიცნობთ. ვნახოთ, იქნებ როგორმე დავახლოვდეთ.

- როგორ გგონიათ, რომ მოხერხდება ეს?

-რატო არა ვითომ? - მიუგო ღიმილით სვიდრიგაილოვმა, წამოდგა და ქუდს დაავლო ხელი, - მაინც არა მქონია აზრად ძალიან შემეწუხებინეთ. მოვდიოდი, მაგრამ დიდი იმედი არ მქონდა, თუმცა დილასვე ძალიან მიიპყრო ჩემი ყურადღება თქვენმა სახემ...

- სად მნახეთ დილას? - ჩაეკითხა შემფოთებული რასკოლნიკოვი.

- შემთხვევით შეგხვდით... მაგრამ მგონია მაინც მსგავსება ერთმანეთისა უეჭველად გვაქვს... არ კი შეწუხდეთ, თავის მობეზრება როდი მიყვარს. გაიძვერა მაცდურებთან მეგობრულადაც მიცხოვრია, ჩემს შორეულ ნათესავსა და წარჩინებულ მოხელე თავად სვირბეისთვისაც არ მომიბეზრებია თავი, ქ-ნ პრილუკოვასაც რაფაელის

მადონაზე ალბომში რაღაც ჩავუწერე, მარფა პეტროვნასთანაც შვიდი წელიწადი ფეხმოუცვლელად ვიცხოვრე, ვიაზემსკის სახლშიაც სენის მოედანზე[30] ძველად ბევრჯერ გამითენებია ღამე, ახლა კი შეიძლება ბერგსაც გავყვე აეროსტატით.

- ჰო, კარგი, ნება მომეცით გკითხოთ, მალე აპირებთ მაგ მოგზაურობას?

- რომელ მოგზაურობას?

- რომელსაც წელან ამბობდით... განა წელან არა თქვით.

- მოგზაურობა? ჰო, მართლა!.. მგონი გითხარით... აბა, ვინ იცის, ძნელი გადასაწყვეტია... რომ იცოდეთ, რას მეკითხებით! - დასძინა და უცბად ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ მაშინვე შეწყვიტა. - იქნება მოგზაურობის მაგივრად ცოლიც შევირთო, ვინ იცის; ქალს მირიგებენ.

- აქ?

- დიახ, აქ.

- ასე მალე როგორ მოახერხებ?

- მაგრამ ავდოტია რომანოვნას ერთხელ ნახვა მაინც ძალიან მინდა. არ გეხუმრებით; გთხოვთ. მშვიდობით, მაშ... ჰო, მართლა! კინაღამ არ დამავიწყდა! გადაეცით, როდიონ რომანოვიჩ, თქვენს დას, ავდოტია რომანოვნას, რომ მარფა პეტროვნამ ანდერძით სამი ათასი მანეთი დაუტოვა. ნამდვილად სარწმუნოა. სწორედ სსიკვდილამდე ერთი კვირის წინ ისურვა ეს ჩემთანავე. ორი-სამი კვირის შემდეგ ავდოტია რომანოვნამ შეიძლება ფულიც მიიღოს.

- მართალს ამბობთ?

- მართალს. გადაეცით. მშვიდობით, მაშ. მე ხომ თქვენს ახლოს ვდგავარ, აქვე.

გამოსვლის დროს სვიდრიგაილოვს წინ რაზუმხინი შეეჩეხა.

II

რვა საათი იყო უკვე თითქმის. ორივენი ბაკალეევის ნომრებისაკენ მიემშურებოდნენ, რომ ლუჟინზე ადრე მისულიყვნენ.

- ვინ იყო ეს? - დაეკითხა რაზუმხინი, როგორც კი ქუჩაში გავიდნენ.

- ვინა და ბატონი სვიდრიგაილოვი გახლდათ, მემამულე, რომლის სახლშიაც ჩემს დას მიაყენეს მაშინ შეურაცხყოფა, ბავშვების აღმზრდელად რომ იყო მათთან. ტრფიალი თურმე დაუწყო და ამაზე დაითხოვა ჩემი და მისმა მეუღლემ, მარფა პეტროვნამ, მერე თვითონვე მოუხადა მარფა პეტროვნამ ჩემს დას ბოდიში, ახლა კი უცბად მოკვდა. იმაზე იყო, წელან რომ ჩვენები ლაპარაკობდნენ. არ ვიცი, რათა, მაგრამ რაღაც საშინლად მეშინია ამ კაცისა. დაუსაფლავებია ცოლი და მაშინვე აქეთ წამოსულა. უცნაურია მეტად და რაღაცა აქვს გადაწყვეტილი... თითქოს იცის რაღაც კიდევ. დუნია როგორმე უნდა მოვარიდოთ... ეს უნდა მეთქვა შენთვის, გესმის?

-მოვარიდოთ! რა ვითომ, რას უზამს ავდოტია რომანოვნას? მაგრამ გმადლობ, როდია, რომ აგრე მეუბნები... მოვარიდოთ, მოვარიდოთ! სად ცხოვრობს ნეტა?

- არ ვიცი.

- რატომ არ ჰკითხე? მაგრამ არა უშავს რა, გავიგებ!

- შენ ნახე? - შეეკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ რასკოლნიკოვი.

- როგორ არა! დავიხსომე კიდეც; კარგად დავიხსომე.

- არა, მართლა დაინახე? კარგად გაარჩიე? - ეკითხებოდა დაჟინებით რასკოლნიკოვი.

- გეუბნები, კარგად-მეთქი. თუნდ ათას კაცში გავარჩევ. მაგ მხრივ არავინ გამომეპარება.

კვლავ გაჩუმდნენ.

- ჰმ!.. ეგ არის... - წაიდუდუნა რასკოლნიკოვმა. - იცი რა... მეგონა და ახლაც ასე მეჩვენება... რომ იქნებ მხოლოდ ფანტაზიაა.

- რაზე ამბობ? კარგად არ მესმის.

- აი, თქვენ ყველანი ამბობთ, - განაგრძო რასკოლნიკოვმა და დაღრეჯით გაიღიმა, - რომ ვითომ შეშლილი ვარ. ამიტომაც ვიფიქრე ახლა, იქნებ მართლა შეშლილი ვარ და მომეჩვენა-მეთქი მხოლოდ?

- აბა, რას ამბობ მაგას?

- ვინ იცის, იქნებ ნამდვილად შეშლილი ვარ და, რაც კი რამ მოხდა ამ დღეებში, ყველაფერი ეს სწეული ოცნების ნაყოფი იყო მხოლოდ!

- ჰე, როდია! მთლად აგიშალეს ნერვები!.. მაინც რაო, რისთვის იყო?

რასკოლნიკოვმა არა უპასუხა რა. რაზუმიხინი ერთ წუთს დაფიქრდა.

- ყური დამიგდე, გაიმბობ, - დაიწყო რაზუმიხინმა, - შემოგიარე წელან, მაგრამ გეძინა. ვისადილეთ. შემდეგ პორფირისთან ვიყავი. ზამეტოვიც იმასთან იყო ისევ. მიხდოდა დამეწყო, მაგრამ არა გამოვიდა რა. არ მოხერხდა რიგიანად ლაპარაკი. თითქოს არ ესმით და ვერ გაუგიათ, ისე უჭირავთ თავი, მაგრამ არ კი რცხვენიათ. მივიყვანე პორფირი ფანჯარასთან და დავუწყე ლაპარაკი, მაგრამ კიდეც არ მოხერხდა. ისიც საითლაც გვერდზე გაიყურებოდა, მეც. მივუტანე ბოლოს მუშტი ცხვირთან და დავემუქრე, ნათესაურად ამოგინაყავ-მეთქი ცხვირ-პირს. პასუხი არ გაუცია, გადმომხედა მარტო. მივაფურთხე მეც და წამოვედი. სისულელეა დიდი! ზამეტოვისათვის კი ხმაც არ გამიცია. მაგრამ იცი რა: წარმომიდგა, ვითომ უარესად წავახდინე საქმე; კიბეზე კი უცბად საუცხოო ფიქრმა გამიელვა: რა გვაწუხებს-მეთქი? მართლა რომ საფრთხე რამ მოგელოდეს, კიდეც ჰო, თორემ ახლა რა! ბრალი ხომ არ მიგიძღვის და რა გენაღვლება! ეშმაკსაც წაუღია; ჩვენვე სასაცილოდ ავიგდებთ მერე. მე კი შენს ადგილას უარესად ავუბნევდი გზა-კვალს და გადავრევდი. მაგათვე არ შერცხვებათ ბოლოს! მიაფურთხე და გაანებე თავი; მერე ცემასაც მოვასწრებთ, ახლა კი ვიცინოთ მხოლოდ!

- რასაკვირველია, აგრეა! - უპასუხა რასკოლნიკოვმა.

„მაგრამ ხვალ რაღას იტყვი ნეტა?“ - გაიფიქრა თავისთვის. უცნაურია სწორედ! აქამდე ფიქრად არ მოსვლია: „რას იფიქრებს რაზუმინი, როცა გაიგებს?“ რასკოლნიკოვი რაზუმინს დააკვირდა. მისმა ნაამბობმა პორფირისთან მისვლაზე ნაკლებად მიიზიდა მისი ყურადღება; ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა!..

დერეფანში ლუჟინს შეეჩხენენ; ის იყო მოსულიყო და ნომერს ეძებდა; სამივენი ერთად შევიდნენ, მაგრამ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, სალამი არ მიუციათ. ახალგაზრდა კაცები უწინ შევიდნენ, პეტრ პეტროვიჩმა კი განგებ, ზრდილობისათვის შეიგვიანა, ვითომ პალტოს იხდიდა შესასვლელში. პულხერია ალექსანდროვნა მაშინვე გარეთ გამოეგება. დუნია ძმას მიესალმა.

პეტრ პეტროვიჩი შევიდა და საკმაოდ თავაზიანად, თუმცა გაორკეცებული სიდარბაისლით მიესალმა ქალებს. მაგრამ ისე იცქირებოდა, დაბნეულია თითქოს და ჯერ ვერ გამორკვეულაო. შემკრთალმა პულხერია ალექსანდროვნამაც მაშინვე შემოუსხა სტუმრები მრგვალ მაგიდას, რომელზედაც ადულებული სამოვარი იდგა. დუნია და ლუჟინი ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ მაგიდის აქეთ-იქით. რაზუმინი და რასკოლნიკოვი პულხერია ალექსანდროვნას პირდაპირ მოხვდნენ - რაზუმინი ლუჟინისაკენ, რასკოლნიკოვი დისაკენ.

უცებ წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. პეტრ პეტროვიჩმა აუჩქარებლად ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო, რომელსაც, ეტყობა, ბლომად ჰქონდა სუნამო ნასხურები, და ცხვირი მოიხოცა; როგორღაც ნაწყენი, შეურაცხყოფილი ჩანდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, განმარტება მოეთხოვა. დერეფანშივე გაიფიქრა წელან: აღარ გაეხადა პალტო, პირდაპირ გაბრუნებულიყო და ამით სასტიკად დაესაჯა ორივე ქალი, ყველაფერი უცხად ეგრძნობინებინა მათთვის. მაგრამ ველარ გაბედა. არც ის უნდოდა, რომ მიზეზი არ გაეგო, რად არ შეასრულეს მისი ბრძანება: ჩანს, რაღაც ამბავი იყო და სჯობდა, ადრევე შეეტყო; დასჯას კი მუდამ შეძლებდა.

- იმედია, მშვიდობიანად იმგზავრებდით, - მიმართა ოფიციალური კილოთი პულხერია ალექსანდროვნას.

- მადლობა ღმერთს, არა უჭირდა რა, პეტრ პეტროვიჩ.

- სასიამოვნოა ძლიერ. თქვენ, ავდოტია რომანოვნა, ხომ არ დაღლილხართ?

- მე, როგორც ახალგაზრდას, არა მიშავს რა, მაგრამ დედა კი ძალიან დაიღალა, - უპასუხა დუნიამ.

- რა ვუყოთ, გრძელი გზები გვაქვს მეტად. დიდია ეგრეთ წოდებული „დედა რუსეთი“... მაგრამ არაფრის გულისათვის არ შემემლო გუშინ დაგხვედროდით, თუმცა გულით მინდოდა. იმედი მაქვს, საიმისოდ არა გაგიჭირდებოდათ რა?

- ოჰ, არა, პეტრ პეტროვიჩ, - დაიწყო რაღაც საგანგებო კილოთი პულხერია ალექსანდროვნამ, - საშინლად შევწუხდით. დროზე რომ ღმერთს დიმიტრი პროკოფიჩი არ მოევლინა, ვინ იცის, იქნებ სულაც დავკარგულიყავით. აგერ ისიც, დიმიტრი პროკოფიჩი რაზუმინი, - გააცნო ლუჟინს.

- პატივი მქონდა... გუშინ გამეცნო, - წაიდუდუნა ლუქინმა და როგორღაც უსიამოვნოდ გადახედა რაზუმიხინს, მერე მოიღრუბლა და გაჩუმდა. ეტყობა, თავაზიანი უნდა ყოფილიყო პეტრ პეტროვიჩი საზოგადოებაში, ყოველ შემთხვევაში თავაზიანობას ჩემულობდა, მაგრამ, როგორც ამ ჯურის ხალხს სჩვევია, იწყებდა თუ არა რასმე, მაშინვე ჰკარგავდა ყველაფერს და გუდურას უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე საზოგადოების გამართობელ, თავაზიანსა და ცოცხალ ვაჟკაცს. ისევ გაჩუმდნენ ყველანი: რასკოლნიკოვს ხმა სულ არ ამოუღია, ავდოტია რომანოვნას კიდეც დრომდე არ უნდოდა სიჩუმე დაერღვია. რაზუმიხინსაც არა ჰქონდა რა სათქმელი, ასე რომ პულხერია ალექსანდროვნა შეწუხდა და ბოლოს ისევ იმან დაიწყო.

- მარფა პეტროვნა გარდაიცვალა, შეიტყვეთ თუ არა, - დაეკითხა პეტრ პეტროვიჩს, რადგან ეს იყო ახლა მისი მთავარი სალაპარაკო საგანი.

- როგორ არა, შევიტყვე. მაშინვე შემატყობინეს და მოვედი კიდეც გაცნობოთ, რომ არკადი ივანოვიჩ სვიდრიგაილოვი ცოლის დასაფლავების უმაღვე საჩქაროდ პეტერბურგში წამოსულა. მე მაინც ასე მატყობინებენ.

- პეტერბურგს წამოსულა? - დაეკითხა შემფოთებით დუნეჩკა და დედას გადახედა.

- დიახ, პეტერბურგს, მაგრამ ეჭვი არ არის, უქმად არ იზამდა ამას, თუ მის ასე სასწრაფოდ წამოსვლას და წინასწარ გარემოებას გავითვალისწინებთ.

- ღმერთო! ნუთუ აქაც არ დაანებებს თავს დუნეჩკას? - შესძახა პულხერია ალექსანდროვნამ.

- ჩემი აზრით, არც თქვენ, არც ავდოტია რომანოვნას საიმისოდ შესაწუხი არა გაქვთ რა, თუ თვითონვე არ მოისურვებთ მასთან რაიმე საქმის დაჭერას. რაც შემეხება მე, თვალს ვადევნებ უკვე და დავეძებ, სად არის ჩამომხტარი...

- ეჰ, პეტრ პეტროვიჩ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემაშინეთ! - განაგრძობდა პულხერია ალექსანდროვნა. - ორჯერ ვნახე სულ, მაგრამ საზარელ ადამიანად მეჩვენა. დარწმუნებული ვარ, განსვენებული მარფა პეტროვნას სიკვდილის მიზეზიც ის იქნებოდა უთუოდ.

- ეგ კი ძნელი სათქმელია. ნამდვილი ცნობები მაქვს. არას ვიტყვი იმაზე, რომ იქნებ ხელიც შეუწყო ზნეობრივად, შეურაცხყოფით, და სიცოცხლე მოუსწრაფა; მაგრამ მისი საქციელისა და პირადობის ზნეობრივ დახასიათებაში კი გეთანხმებით. არ ვიცი, მდიდრად არის ახლა, ან დაუტოვა რამე მარფა პეტროვნამ თუ არა; ამაზე მალე ნამდვილ ცნობებს მივიღებ; მაგრამ თუ ფული ჩაუვარდა ხელში, ეჭვი არ არის, პეტერბურგში ძველ დროსა და ოინებს მოიგონებს ისევ. საშინელი გარყვნილი და ზნედაცემული კაცია და მასზე უარესი არც მეგულება ვინმე! საკმაო საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ვალიდან გამომხსნის გარდა მარფა პეტროვნამ კიდეც სხვამხრივაც იხსნა: მის მეცადინეობასა და ზრუნვას უნდა მიეწეროს, რომ ერთი ფრიად საზიზღარი საქმე რაღაცა მხეცური მკვლელობისა თავზე გადაივლო და ციმბირში არ მიბრძანდა, რაც, ეჭვი არ არის, უამისოდ არ ასცდებოდა. აი, როგორი კაცია, თუ მართლა ცნობა გსურთ.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

რასკოლნიკოვი ყურადღებით უსმენდა.

- მართალს ამბობთ, რომ ნამდვილი ცნობები გაქვთ ამაზე? - დაეკითხა დუნია დინჯად და მკაცრად.

- გეუბნებით მხოლოდ იმას, რაც განსვენებულ მარფა პეტროვნასაგან მქონდა საიდუმლოდ გაგონილი. მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ იურიდიულად ბნელი საქმე იყო მეტად. აქ ცხოვრობდა და, მგონი, კიდევაც ცხოვრობს ვინმე მევახშე უცხოელი ქალი რესლიხი, რომელიც მევახშეობის გარდა სხვა საქმეებსაც არიგებდა. აი, ამ რესლიხთან სვიდრიგაილოვს ჰქონია ადრევე რაღაც ახლო და საიდუმლო დამოკიდებულება. რესლიხთან ცხოვრობდა თურმე ვიღაც შორეული ნათესავი თუ დისწული, ასე თხუთმეტი თუ თოთხმეტი წლის ყრუ-მუნჯი ქალი, რომელიც თურმე საშინლად სძულდა რესლიხს. წარმოიდგინეთ, ხმელა ლუკმასაც კი აყვედრიდა და ერთთავად უღვთოდა სცემდა საცოდავს. ბოლოს დამხრჩვალ ნახეს ჩარდახში, მაგრამ დაამტკიცეს, რომ თავი მოეკლა. ჩვეულებრივი გამოძიების შემდეგ საქმე სრულიად გააუქმეს, მაგრამ დაასმინეს შემდეგში, რომ ბავშვი... სვიდრიგაილოვს ეწვალეზინა უმოწყალოდ. მართალია, გამოურკვეველი იყო ეს და ბნელი მეტად, მასთან, საშინელი ყოფაქცევისა და ვიღაც არასანდო სხვა გერმანელი ქალისაგან დანასმენი; თუმცა ნამდვილად არც კი დაუსმენია, ესეც ისევ მარფა პეტროვნას მეცადინეობითა და ფულის წყალობით, ხმა დავარდა მხოლოდ. მაინც დიდად საყურადღებო იყო ეს ხმა. რასაკვირველია, ავდოტია რომანოვნა, თქვენც გექნებათ გაგონილი ამბავი აგრეთვე შინაყმა ფილიპესი, რომელიც ამ ექვსი წლის წინათ, ჯერ ისევ ბატონყმობის დროს, მოკვდა იმათ სახლში და რომლის სიკვდილსაც უღმერთო ცემას ამიზეზებენ.

- პირიქით, გამიგონია, თვითონ ჩამოიხრჩო თავიო.

- დიახ, დიახ, მაგრამ ბატონი სვიდრიგაილოვის მუდმივმა დევნამ და წვალეზამ აიძულა, თავი მოეკლა.

- არ ვიცი სწორედ, - უპასუხა მკვახედ დუნია, - გამიგონია მხოლოდ რაღაც უცნაური ამბავი, რომ ეს ფილიპე იპოქონდრიკი იყო თურმე, რაღაც ფილოსოფოსად შერაცხული შინაურობაში; ამბობდნენ, „ბევრი იკითხა“ და ამისგან მოუვიდაო. დაცინვის მიზეზით მოუკლავს, ვგონებ, თავი და არა სვიდრიგაილოვის ცემისა და დევნის გამო. ჩემს იქ ყოფნის დროს კი კარგად ეპყრობოდა მუდამ შინამოსამსახურეებს, უყვარდათ კიდევ თითქმის, თუმცა, მართალია, ისინიც ამტყუნებდნენ, ფილიპე მისი მიზეზით მოკვდაო.

- ვხედავ, ავდოტია რომანოვნა, რომ თითქოს იმის გამართლებასა ცდილობთ, - შენიშნა ლუჟინმა და პირი ორაზროვანი ღიმილით დაეღრიჯა. - მართლა რომ ეშმაკი და მომხიბვლელი კაცია ქალებისათვის, რის სამწუხარო მაგალითსაც ასე უცნაურად წუთისოფელს გამოსალმებული მარფა პეტროვნა წარმოადგენს. მინდოდა მხოლოდ ჩემი რჩევით როგორმე დახმარება აღმომეჩინა თქვენთვის და დედათქვენისათვის, რაკი კიდევ აქვს, ეტყობა, რაღაც განზრახვა. რაც შემეხება მე, დარწმუნებული ვარ მტკიცედ, რომ მალე ისევ ვალეზით აივსება და დააპატიმრებენ. არასოდეს მარფა პეტროვნას არ ჰქონია განზრახვა, დაემტკიცებინა რამე მისთვის, რაკი შვილები ჰყავდა; ამიტომაც, თუნდ ჰქონდეს რამე დატოვებული, მცირედი და უსაჭიროესი რამ

იქნება, რაც, ეჭვი არ არის, წელიწადსაც არ გასტანს, იმისი ჩვეულება და ხასიათი რომ ვიცი.

- გთხოვთ, პეტრ პეტროვიჩი, სვიდრიგაილოვზე ლაპარაკს თავი დაანებოთ, - გააწყვეტინა დუნია, - მე ეს დარდებს მიშლის.

- ეს არის, ახლა ჩემთან იყო, - ჩაერია უცბად რასკოლნიკოვი, რომელსაც ამდენ ხანს ხმა არ ამოუღია.

თითქმის ყველა მხრიდან შეჰყვირეს; ყველამ მას მიმართა. პეტრ პეტროვიჩიც კი აღელდა.

- ამ საათ-ნახევრის წინ შემოვიდა, მეძინა, გამაღვიძა და გამომეცნაურა, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი. - საშინლად ცოცხლად და მხიარულად ეჭირა თავი და იმედი აქვს დიდი, რომ მე და ის უთუოდ ერთმანეთს შევეწყობით. სხვათა შორის, დუნია, ძალიან უნდა ერთხელ მაინც გნახოს როგორმე, რისთვისაც შუამავლობას მთხოვდა. შენთან რაღაც წინადადება აქვს; რა შინაარსისაა, მეც მითხრა. გარდა ამისა, შემატყობინა, რომ მარჯა პეტროვნას სიკვდილის წინ ერთი კვირით ადრე ანდერძით შენთვის სამასი თუმანი დაუტოვებია, რომელსაც, თუ ისურვებ, ძალიან მალე მიიღებ.

- მაღლობა ღმერთს! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ და პირჯვარი გამოისახა. - ილოცე, დუნია, იმისი სულისათვის!

- ეგ მართალია, - წამოსცდა უცბად ლუჟინს.

- მერე, მერე? რაო კიდევ? - აჩქარებდა დუნეჩკა.

- მითხრა კიდევ, რომ თვითონ დიდი სიმდიდრე არა აქვს. მამული ბავშვებს დარჩენია, რომლებიც ახლა დეიდასთან თურმე ცხოვრობენ. მითხრა, რომ ჩემ ახლოს სადღაც ჩამომხტარა, მაგრამ სად, არ ვიცი, არ მიკითხავს...

- რაო მაინც, რა წინადადება აქვს დუნეჩკასთან? - დაეკითხა შემინებული პულხერია ალექსანდროვნა. - გითხრა კი?

- როგორ არა, მითხრა.

- რაო, რა მინდაო?

- მერე გეტყვით, - რასკოლნიკოვი გაჩუმდა, ჩაის სმას შეუდგა.

პეტრ პეტროვიჩმა საათი ამოიღო და დახედა.

- უეჭველად უნდა წავიდე, საქმე მაქვს და აღარც თქვენ დაგიშლით, - დასძინა თითქოს ცოტა ნაწყენი კილოთი და წამოდგომა დააპირა.

- დარჩით, პეტრ პეტროვიჩი, აკი მთელ საღამოს ჩვენთან აპირებდით ყოფნას. მეორეც, თქვენვე იწერებოდით, დედასთან მაქვს რაღაც მოსალაპარაკებელიო.

- დიახ, აგრე გახლდათ, ავდოტია რომანოვნა, - მიუგო საგულისხმოდ პეტრ პეტროვიჩმა და ისევ ჩამოჯდა სკამზე, მაგრამ ქუდი კვლავ ხელში ეჭირა, - მართლაც მინდოდა მომელაპარაკნა როგორც თქვენთან, ისე დიდად პატივცემულ

დედათქვენთან და საკმაოდ საყურადღებო საგანზედაც. მაგრამ როგორც თქვენს ძმას არ შეუძლია ბატონ სვიდრიგაილოვის ზოგიერთ წინადადებაზე ჩემთან ლაპარაკი... ისე მეც არ მსურს და არ შემიძლია... სხვებთან... ზოგიერთი დიდად საყურადღებო საგნის თაობაზე საუბარი. ამასთან, ჩემი თავიდათავი და დაბეჯითებითი თხოვნაც რომ შესრულებული არ იქნა... - ლუჩინმა როგორღაც მწარე გამომეტყველება მიიღო და მედიდურად შეწყვიტა ლაპარაკი.

- თქვენი თხოვნა, რომ ჩვენს შეხვედრას ძმა არ დასწრებოდა, ჩემი სურვილით არ იქნა განგებ შესრულებული, - უპასუხა დუნია, - და აი, რად: იწერებოდით, ვითომ ძმამ შეურაცხყოფა მოგაყენათ; ამიტომაც გადაწყვიტე, ახლავე გამორკვეულიყო საქმე და შერიგებულიყავით. თუ მართლა შეურაცხგყოთ როდიამ, მოვალე იქნება და მოიხდის კიდეც ბოდიშს.

პეტრ პეტროვიჩმა მაშინვე თავი გამოიღო.

- არის, ავდოტია რომანოვნა, ისეთი შეურაცხყოფა, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია, რაც უნდა გულით გინდოდეთ. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, რომლის გადალახვაც სახიფათოა მეტად, იმიტომ, რომ აღდგენა წინანდელი განწყობილებისა შეუძლებელია მერე.

- ამას როდი გეუბნებოდით, - გააწყვეტინა ცოტა მოუთმენლად დუნია, - გაიგეთ კარგად, რომ მთელი ჩვენი მომავალი ახლა იმაზე არის დამოკიდებული, რამდენად მალე გამოირკვევა და გადაწყდება ეს საქმე. გეუბნებით პირდაპირ, რომ უამისოდ ვერ წარმომიდგენია. თუ რამდენადმე მაინც ძვირფასად მიგაჩნიათ ჩემი თავი, უთუოდ დღესვე უნდა გადაწყვიტოთ და გაათავოთ ყველაფერი, თუმცა ვიცი, შეიძლება ძნელიც იყოს ეს თქვენთვის. გიმეორებთ, რომ, თუ დანაშაული ძმას მიუძღვის, ბოდიშს მოიხდის.

- მიკვირს სწორედ, ავდოტია რომანოვნა, რომ ასე აყენებთ საკითხს, - უფრო და უფრო ცხარობდა ლუჩინი. - შეიძლება პირადად თქვენ დიდადაც გაფასებდეთ და ძალიან მიყვარდეთ, მაგრამ ამავე დროს თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი არ მიყვარდეს. თქვენგან ჩემი გაბედნიერება შეუძლებელ რამ მოვალეობას ვერ დამაკისრებს...

- ეჰ, თავი დაანებეთ, პეტრ პეტროვიჩ, წყენას, - გააწყვეტინა გულმოსულად დუნია, - დარჩით იმავე გონიერ და კეთილშობილ ადამიანად, როგორადაც დღემდის გიცნობდით და მსურს, ამას იქითაც გიცნობდეთ. მე თქვენ მოგეცით სიტყვა და ვკისრულობ თქვენს ცოლობას; მენდეთ მაშ, რომ ამ საქმეშიაც შევძლებ პირუთვნელად მსჯავრის დადებას. ჩემგან ნებაყოფლობითი მოსამართლეობა ამ შემთხვევაში ჩემი ძმისათვისაც ისევე მოულოდნელი ამბავია, როგორც თქვენთვის. დღეს, თქვენი წერილის შემდეგ რომ მოვიწვიე, დასწრებოდა ჩვენს შეხვედრას, ჩემი განზრახვისა არა შემიტყობინებია რა. გაიგეთ, რომ, თუ თქვენს შორის შერიგება არ მოხდება, ორში ერთი: ან ძმა, ან თქვენ უნდა აგირჩიოთ. თქვენგანაც ასეა საკითხი დაყენებული და ძმისგანაც. არ მსურს და არ უნდა მოვტყუვდე არჩევანში. ორში ერთს უნდა გამოვეთხოვო, თქვენთვის ძმას, ძმისათვის თქვენ. მინდა და გავიგებ კიდეც უეჭველად: ძმა არის მართლა ჩემი თუ არა? თქვენ კიდეც - ძვირფასი ვარ თქვენთვის და მაფასებთ თუ არა; მართლა ხართ ქმარი ჩემი თუ არა?

- ავდოტია რომანოვნა, - დაიწყო მობუზვით ლუჟინმა, - დიდმნიშვნელოვანია მეტად თქვენი სიტყვები, უფრო მეტს ვიტყვი, თითქმის საწყენიც კი, თუ ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებას ვიგულისხმებთ. არას ვიტყვი იმაზე, რომ მე და... თქვენი დიდგულა ძმა, ჩემდა სამწუხაროდ და გასაკვირვად, ერთმანეთს შეგვადარეთ. თქვენი ნათქვამიდან ის აზრი გამოდის, რომ შესაძლებლად ცნობთ თქვენი სიტყვაც დაარღვიოთ. მეუბნებით: „ან თქვენ, ან ისაო!“ მაშასადამე, მიმტკიცებთ ამითი, რამდენად არად მაგდებთ... ეს კი ჩვენს შორის დღეს არსებული დამოკიდებულებისა და... პირობის მიხედვით შეუძლებლად მიმაჩნია.

- როგორ! - აენტო დუნია, - გვერდით გიყენებთ იმას, ვინც დღემდის ჩემთვის ყველაზე უძვირფასესი იყო, მთელ ჩემს სიცოცხლეს შეადგენდა, და გწყინთ კიდევ, რომ ნაკლებ გაფასებთ?!

რასკოლნიკოვს ჩუმად და გესლიანად გაეღიმა, რაზუმიხინიც მთლად აიმღვრა; მაგრამ პეტრ პეტროვიჩმა არად ჩააგდო ეს სიტყვები; პირიქით, თანდათან მეტად ბრაზობდა და ცხარობდა.

- მომავალი ცხოვრების თანამგზავრის, მეუღლის სიყვარული ძმის სიყვარულს უნდა სჭარბობდეს, - წარმოთქვა დარიგების კილოთი, - ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გატოლება შეუძლებლად მიმაჩნია... მართალია, უარს ვიყავი წედან, თქვენს ძმასთან მომეცა განმარტება, თუ რისთვის მოვედი, მაგრამ მივმართავ მაინც დიდად პატივცემულ დედათქვენს და ვთხოვ ამიხსნას ჩემთვის მეტად საჭირო რამ. გუშინ თქვენმა შვილმა, - მიმართა პულხერია ალექსანდროვნას, - ბატონ რასუდკინის თანდასწრებით (თუ... აგრეა, ვგონებ? უკაცრავად, თქვენი გვარი დამავიწყდა, - დაუკრა თავაზიანად თავი რაზუმიხინს) შეურაცხმყო იმითი, რომ დაამახინჯა ჩემი აზრი, რომელიც, გახსოვთ, მაშინ გამოვთქვი თქვენთან კერძო ლაპარაკში, ყავის სმის დროს, რომ ცოლქმრობისათვის სჯობია ღარიბი ქალის შერთვა, რომელსაც მწარე ცხოვრება უკვე ნაცადი აქვს, ვიდრე კმაყოფილისა-მეთქი, რადგანაც ზნეობრივად ეს უფრო სასარგებლოა. თქვენმა შვილმა კი უაზროდ გააზვიადა ჩემი სიტყვები და რაღაც ბოროტი განზრახვა მომაწერა, რის საბუთადაც, ჩემი აზრით, თქვენი საკუთარი წერილი გამოიყენა. ბედნიერი ვიქნები, პულხერია ალექსანდროვნა, თუ საწინააღმდეგოს დამიმტკიცებთ და დამამშვიდებთ. მაცნობეთ, გეთაყვა, რა სიტყვებით გადაეცით მაშინ როდიონ რომანოვიჩს ეს ჩემი ნათქვამი?

- არ მახსოვს სწორედ, - დაიბნა პულხერია ალექსანდროვნა, - გადავეცი ისე, როგორც თვითონ გავიგე. მაგრამ როგორ გადმოგცათ როდიამ, ეგ აღარ ვიცი... იქნებ გააზვიადა რამე.

- თუ არ თქვენი ჩაგონებით, ის ვერ გააზვიადებდა.

- პეტრ პეტროვიჩ, - ღირსეულად წარმოთქვა პულხერია ალექსანდროვნამ, - თქვენი ნათქვამი რომ ცუდი აზრით არ აგვიხსნია არც მე და არც დუნიას, ამას ისიც ამტკიცებს, რომ აქა გვხედავთ.

- კარგია, კარგი, დედა! - შენიშნა მოწონების კილოთი დუნიამ.

- ეტყობა, აქაც მე ვყოფილვარ დამნაშავე! - იწყინა ლუჟინმა.

- ასე, პეტრ პეტროვიჩ, თქვენ სულ როდიონს ამტყუნებთ ყველაფერში, წელან კი თვითონ თქვენვე მოიწერეთ იმაზე ტყუილი, - დასძინა გამხნევებულმა პულხერია ალექსანდროვნამ.

- არ მახსოვს, რა მოვიწერე ისეთი.

- რა და ის, - დაიწყო მკაცრად რასკოლნიკოვმა, არ შეუხედაია კი ლუჟინისათვის, - რომ მოვიწერიათ, ვითომ გუშინ ფული დაშავებულის ქვრივისათვის კი არ მიმეცეს, როგორც ნამდვილად იყო, არამედ მისი ქალისათვის (რომელიც გუშინდლამდე თვალით არც კი მინახავს სადმე). მოსწერეთ ეს განგებ, რომ ერთმანეთში უსიამოვნება მოგვსვლოდა, და ქალის ყოფაქცევაც საზიზღრად დაუხასიათეთ, თუმცა ცნობით სრულებით არ იცნობთ. ყოველივე ეს კი ჭორი და საძაგლობაა.

- უკაცრავად, ბატონო ჩემო, - უპასუხა სიბრაზისაგან აკანკალებულმა ლუჟინმა, - იმიტომ შევეხე მხოლოდ თქვენს მოქმედებას და თვისებებს ისე ვრცლად წერილში, რომ ნათხოვარი მქონდა დედათქვენისგანაც და დისგანაც, მეცნობებინა, როგორ მდგომარეობაში გნახავდით, ან რა შთაბეჭდილებას მოახდენდით ჩემზე! რაც შეეხება წერილის შინაარსს, გეუბნებით: მიპოვეთ, აბა, თუნდ ერთი სტრიქონი, რომ მართალი არ იყოს. ტყუილია განა, რომ ფული მთლად დახარჯეთ? ან ის, რომ ოჯახში, რომელსაც უბედურება ეწია, უღირსი ხალხი არ არის?

- ჩემი აზრით კი, მთელი თქვენი ღირსებებით იმ უბედური ქალის ფრჩხილადაც არა ღირხართ, რომელსაც აგრე შეუბრალებლად ჰქოლავთ.

- მაშ არ მოერიდებდით და თქვენი დისა და დედის საზოგადოებაშიაც გარევედით?

- კიდევ მოვიქეცი აგრე, თუ მართლა გულით გინდათ გაიგოთ. დღეს სწორედ გვერდით მოვუსვი ერთსაც და მეორესაც.

- როდია! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

დუნეჩკა გაწითლდა; რაზუმინინმაც წარბები შეიჭმუხნა. ლუჟინმა გესლიანად და მედიდურად ჩაიციანა.

- კარგია, თქვენვე ხედავთ, ავდოტია რომანოვნა, - მიუგო ლუჟინმა, - შეიძლება შერიგება თუ არა? იმედი მაქვს, ახლა სამუდამოდ გამოირკვა და გადაწყდა საქმე. მე კი წავალ, რომ ნათესაური შეხვედრის სიამოვნებას და საიდუმლოების გამჟღავნებას ხელი არ შევუშალო (წამოდგა სკამიდან და ქუდი აიღო), მაგრამ მივდივარ იმ იმედით, რომ შემდგომში ასეთ მოულოდნელ შეხვედრასა და შეთანხმებას ადგილი აღარ ექნება. განსაკუთრებით კი ამას თქვენა გთხოვთ, დიდად პატივცემულო პულხერია ალექსანდროვნა, მით უფრო, რომ წერილი თქვენს სახელზე იყო გამოგზავნილი და არა ვისიმე სხვის სახელზე.

ცოტა არ იყოს იწყინა პულხერია ალექსანდროვნამ.

- რატომ აგრე მბრძანებლობას გვიპირებთ, პეტრ პეტროვიჩ. დუნეჩკამ არ იყო, გაიამბოთ, რატომ არ იქნა თქვენი თხოვნა შესრულებული: კეთილი განზრახვა ჰქონდა, ვგონებ, დუნეჩკას. მართლაცდა, წერილთაც ისე მწერთ, თითქოს მიბრძანებდეთ. ნუთუ ყოველი თქვენი სურვილი ბრძანებად უნდა მივიღოთ? მე კი, პირიქით, მოგახსენებთ, რომ ახლა უფრო მეტი თავაზიანობითა და ზრდილობით უნდა გვეპყრობოდეთ მგონი;

იმიტომ, რომ ყველაფერს თავი დავანებეთ, გენდეთ და აქ ჩამოვედით. მაშასადამე, უამისოდაც თქვენს სურვილსა და ბრძანებას ვერსად წაუვალთ თითქმის.

- სიმართლეს მოკლებულია ეგ ცოტა არ იყოს, პულხერია ალექსანდროვნა, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ნამდვილად იცით, რომ მარფა პეტროვნამ სამი ათასი მანეთი გიანდერძათ, რაც, ჩემი აზრით, მალე შეეცყო თქვენს კილოს, - დასძინა გესლიანად ლუჟინმა.

-ეგ თქვენი შენიშვნა მართლაც გამხელთ, რომ ჩვენი უსახსრობისა და უმწეობის იმედი გქონიათ, - უპასუხა გაცხარებით დუნია.

- ახლა ხომ მაინც აღარ შემიძლია მაგ იმედით ვიყო, განსაკუთრებით კი არ მსურს ხელი შეგიშალოთ, გაიგოთ, რა საიდუმლო წინადადებას გაძლევთ არკადი ივანოვიჩ სვიდრიგაილოვი თქვენი ძმის პირით; მით უფრო, რომ ვხედავ, თქვენთვის დიდი და მეტად სასიამოვნო მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

რაზუმინი თავს ძლივს იმაგრებდა სკამზე.

- ახლაც აღარ გრცხვენია, დაო? - დაეკითხა რასკოლნიკოვი.

- მრცხვენია, როდია, მრცხვენია! - მიუგო დუნია. - პეტრ პეტროვიჩ, გადით ახლავე აქედან! - მიმართა ლუჟინს ბრაზისაგან მთლად გაფითრებულმა.

არ მოელოდა, ეტყობა, პეტრ პეტროვიჩი ამას. დიდი იმედი ჰქონდა მეტად თავისი თავისაც და თავის მსხვერპლთა უმწეობისაც. არ დაიჯერა ახლაც კი. გაფითრდა, ტუჩები აუცახცახდა.

- ავდოტია რომანოვნა, იცოდეთ, თუ გავალ და მასთან ასეთი გზის დალოცვით, იფიქრეთ კარგად, აღარასოდეს უკან აღარ დავბრუნდები.

- რა თავხედობა და სამაგლობაა! - შეჰყვირა დუნია და საჩქაროდ ფეხზე წამოდგა, - არ მინდა, რომ დაბრუნდეთ უკან.

- ხედავთ, რო-გორ არ-რის საქმე! - შეჰყვირა ლუჟინმა, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე ვერ დაეჯერებინა, თუ საქმე ასე დაბოლოვდებოდა; ამიტომაც მთლად დაიბნა და აირია. - ხედავთ მაშ, რო-გორ არ-რის საქმე! მაგრამ იცით, ავდოტია რომანოვნა, რომ წინააღმდეგობაც შემიძლია!

- რა უფლება გაქვთ აგრე ელაპარაკოთ! - წაექომაგა ცხარედ პულხერია ალექსანდროვნა. - რა წინააღმდეგობა შეგიძლიათ? ან რა უფლება გაქვთ? როგორ არა, მივართმევთ კი თქვენისთანას ჩემს დუნიას?! მოგვშორდით, თავი დავანებეთ! ჩვენივე ბრალია, რომ უსამართლოდ მოვიქცით, ყველაზე მეტად კი ჩემი...

- მაშ, რა იყო, პულხერია ალექსანდროვნა, - ცხარობდა გაცოფებული ლუჟინი, - თქვენ არ იყავით, სიტყვა მომეცით, ხელ-ფეხი შემიკარით, ახლა კი უარს ამბობს... მაგას გარდა... ხარჯიც გამაწევინეთ?

იქამდის დამახასიათებელი იყო ეს საყვედური პეტრ პეტროვიჩისა, რომ შეკავებული ბრაზისგან გაფითრებულმა რასკოლნიკოვმა ვეღარ შეიმაგრა თავი და გადაიხარხარა. პულხერია ალექსანდროვნამ მთლად დაკარგა მოთმინება.

- ხარჯი გაგაწევინეთ? რა ხარჯი? იქნებ სკივრს გულისხმობთ, რომელიც ვიღაც კონდუქტორს ჩამოატანინეთ მუქთად? ღმერთო ჩემო, როგორ? ხელ-ფეხიც ჩვენ შეგიკარით! გონს მოდით, პეტრ პეტროვიჩ, რას ამბობთ? თქვენ შეგიკარით ხელ-ფეხი და არა ჩვენ!

-კმარა, გეთაყვა, დედა! - შესთხოვა ავდოტია რომანოვნამ. - პეტრ პეტროვიჩ, გვიყავით წყალობა, გაგვშორდით!

- წავალ, მაგრამ ერთს კიდევ გეტყვით უკანასკნელად! - შესძახა თითქმის გადარეულმა, - დედათქვენმა, ვგონებ, მთლად დაივიწყა, რომ თქვენი შერთვა გადავწყვიტე მაშინ, როდესაც მთელი ქალაქი თქვენზე განგაშებდა. არად ჩავაგდე საზოგადოების აზრი, თუმცა შემეძლო, რასაკვირველია, თქვენი ღირსების აღდგენისთანავე მომეთხოვა, რომ მაღლობა რითიმე გადაგეხადათ... მაგრამ ეს არ ვქენი... და აგერ, ახლად გავახილე თვალები! თვითონვე ვხედავ, რომ წინდაუხედავად მოვიქეცი მეტად, როდესაც საზოგადოების აზრი არად ჩავაგდე...

- თავი მოსძულეხარ, თუ რა არის ნეტა! - შეჰყვირა უცბად რაზუმინინმა და სკამიდან წამოხტა, რომ თავისებურად გასწორებოდა.

- სულმდაბალი და ბოროტი კაცი ყოფილხარ! - უთხრა დუნია.

- კრინტი, ხმა არ დასძრა! არ გაინძრე! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და რაზუმინინს გადაეღობა. მივიდა მერე სულ ახლო ლუჟინთან და წყნარად, მაგრამ გარკვევით შესძახა: - გადით ახლავე აქედან და კრინტი, ხმა აღარ დასძრათ, თორემ... სიბრაზისაგან დაღრეჯილი და გაფითრებული პეტრ პეტროვიჩი რამდენსამე წამს შეჰყურებდა რასკოლნიკოს, მერე მიბრუნდა და წავიდა. მაგრამ იშვიათად ვისმე გაჰყვოლია თან იმდენი ბოროტება და სიძულვილი, რამდენიც იმჟამად ლუჟინსა ჰქონდა გულში დამარხული რასკოლნიკოვზე. მხოლოდ და მხოლოდ მას ამტყუნებდა ყველაფერში. მაგრამ შესანიშნავია ის, კიბეზე რომ ჩამოდიოდა, კიდევ ჰქონდა იმედი, საქმე როგორმე ისევ გამოებრუნებინა. ქალებთან ხომ, ეჭვიც არ ეპარებოდა, „სულ ადვილად“ მოაგვარებდა ყველაფერს.

III

უმთავრესი ის იყო, რომ უკანასკნელ წუთამდე არ სჯეროდა, თუ საქმე ასე დაბოლოვდებოდა. თავს იდებდა, მედიდურობდა. არაფრის გულისათვის არ ეგონა, თუ ორი ყოვლად უმწეო და ლატაკი ქალი მის ბატონობას თავს დააღწევდა. მას ხელს უწყობდა მეტისმეტი პატივმოყვარეობა და ის თავწასული თვითრწმენა, რომელიც ამხელდა საკუთარი თავის გადაჭარბებულ სიყვარულს. არარაობიდან კაცად ქცეული პეტრ პეტროვიჩი ავადმყოფურად შესტრფოდა თავის თავს, დიდად აფასებდა თავის ნიჭსა და ჭკუას და ზოგჯერ, მარტოობისას, თავისი სახითაც კი ტკბებოდა სარკეში. მაგრამ ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე უყვარდა შრომითა და, კიდევ ვინ იცის, რა საშუალებით ნაშოვნი ფულები: მათი წყალობით იყო, რომ ტოლად და სწორად უხდებოდა ყველას, ვინც კი მასზე მაღლა იდგა.

ახლაც რომ ბოდმით აგონებდა დუნიას მასზე დაყრილ ჭორებს, პეტრ პეტროვიჩი გულწრფელად ლაპარაკობდა და ნამდვილად გრძნობდა გულისწყრომას, რომ სიკეთისათვის „მეტად უმადურად მოეპყრნენ“. თუმცა კარგად იცოდა ნიშნობის დროსვე, რა სისულელე იყო და უაზრო ყველა ეს ჭორი და მარფა პეტროვნამვე საჯაროდ უარყო ისინი, ქალაქმაც დიდი ხანია დაივიწყა, ყველა დუნიას ამართლებდა. თვითონაც უთუოდ უარს არ იტყოდა, ახლაც კი, რომ ყველაფერი ეს მაშინვე იცოდა. მაგრამ დიდად აფასებდა მაინც, რომ დუნიას შერთვა გადაწყვიტა, გაიტოლა და ამ ზომად მისი ამაღლება მოისურვა, რასაც გმირულ საქციელად უთვლიდა თავს. ასე გაამყდევნა თავისი საიდუმლოდ ნალოლიავეები აზრი და ვერ მიმხვდარიყო ვერასგზით, რატომ სხვებს არ უკვირდათ და არ ადიდებდნენ მის საგმირო საქციელს. მაშინაც, რასკოლნიკოვთან რომ შევიდა, ასევე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც კეთილისმყოფელი, მხოლოდ საამოსა და ტკბილ ქება-დიდებას მოისმენდა. აი, სწორედ ამიტომაც იყო, რომ ასე შეურაცხყოფილი და შერცხვენილი ჩადიოდა კიბეზე.

დუნია კი მართლაც საჭირო იყო მისთვის; უარის თქმა და განშორება მისი შეუძლებლად მიაჩნდა. დიდი ხანია, თითქმის რამდენიმე წელიწადი, ტკბილად ოცნებობდა ქორწინებაზე, მაგრამ ჯერ სულ ფულებს აგროვებდა და იცდიდა. იდუმალად ფიქრობდა ხოლმე კეთილზნიანსა და ღარიბ (უთუოდ ღარიბ), ძალიან ახალგაზრდა, მეტად ლამაზ, კეთილშობილსა და განათლებულ ქალზე, რომელსაც ცხოვრებაში ბევრნაირი უბედურება ექნებოდა ნაცადი; იგი უნდა ყოფილიყო დამფრთხალი, შეშინებული და სავსებით მისი მორჩილი; მთელი სიცოცხლე თავის მხსნელად ჰყოლოდა წარმოდგენილი, მხოლოდ ის მიეჩნია პატივისცემის ღირსად და თვალსა და წარბში ეცქირა მუდამ. ვინ იცის, რამდენი საამო სურათი შეუქმნია მის ოცნებას, როდესაც კი საქმისაგან მოცლილი ასე წასულა ტკბილ ფიქრებში! და აი, თითქმის უნდა შესრულებულიყო კიდევ ამდენი ხნის ოცნება: ავდოტია რომანოვნას სილამაზემ და განათლებამ უცბად მოხიბლა; მისმა უმწეო, გაჭირვებულმა მდგომარეობამ ხომ მთლად ფრთები შეასხა. ნამდვილმა თითქმის გადააჭარბა ნაოცნებარს: მის წინ წარსდგა ამაყი, მტკიცე ხასიათის, სათნო ქალი, რომელიც განათლებითა და აღზრდით მასზე ბევრად მაღლა იდგა (თვითონვე გრძნობდა ამას); და ასეთი არსება მზად იქნება მთელი თავისი სიცოცხლე მისი მონა-მორჩილი და უსაზღვროდ მადლობელი იყოს, მისი უზომო კრძალვა ჰქონდეს, თვითონ კი ამ დროს მისი ბატონი და მბრძანებელი გახდება! თითქოს განზრახო, საუბედუროდ, ეს რამდენიმე ხანს იყო, დიდი ფიქრისა და მოსაზრება-ლოდინის შემდეგ, ბოლოს გადაწყვიტა სხვა, უფრო დიდი საქმისათვის მოეკიდა ხელი და ნელ-ნელა მაღალ საზოგადოებაში გარეულიყო, რაზედაც დიდი ხანია სიამოვნებით ფიქრობდა. ერთი სიტყვით, გადაწყვიტა პეტერბურგში გადაეტანა თავისი მოღვაწეობა. იცოდა ისიც, რასაკვირველია, რომ ქალების დახმარებით „ძალიან“ ბევრის გაკეთება შეიძლება. განათლებული, მშვენიერი და სათნო ქალის მომხიბვლელობას შეეძლო განსაცვიფრებლად დაემშვენებინა მისთვის გზა, მიეზიდა საზოგადოება და განედიდებინა... ახლა კი ყველა ეს უცბად ირღვეოდა, სამუდამოდ ქარწყლდებოდა! ის საზიზღარი და მოულოდნელი გაყრა მეხივით მოევლინა. რაღაც საზიზღარი დაცინვა და სისულელე იყო! მხოლოდ ოდნავ გაცხარდა; ვერც კი მოახერხა სათქმელის თქმა; იხუმრა მხოლოდ, ცოტა გადააჭარბა და უცბად კი ასე გათავდა საქმე! დასასრულ თავისებურად კიდევ უყვარდა დუნია, ოცნებით თითქოს დაეუფლა კიდევ... არა! ხვალვე ისევ უნდა აღადგინოს როგორმე და გაასწოროს საქმე.

უმთავრესად კი - მოსპოს ეს დიდგულა ბიჭი, რომელსაც ჯერ რძე არ შეშრობია ტუჩებზე და მისი შერცხვენის უმთავრესი მიზეზი კი შეიქნა. ავადმყოფური გრძობით იგონებდა აგრეთვე უნებურად რაზუმინის... მაგრამ მალე დამშვიდდა ამ მხრივ: „ისღა მაკლია, რომ დამეტოლოს!“ მაგრამ ვისი ეშინოდა და ეფიქრებოდა ყველაზე მეტად - ეს ისევ სვიდრიგაილოვისა... ერთი სიტყვით, ბევრი რამ ჰქონდა საზრუნავი და თავსატეხი.

...

- არა, არა, ყველაზე მეტად მე ვარ დამნაშავე! - იმეორებდა დუნია და დედას ეხვეოდა, ჰკოცნიდა, - ფულეებს დავეხარბე, მაგრამ გეფიცები, ძმაო, არ ვიცოდი, თუ ასეთი უღირსი კაცი იყო. მცოდნოდა წინათვე, გარწმუნებ, ვერა წამიტყუებდა რა! ნუ გამამტყუნებ, ძმაო!

- ღმერთმა დაგვიფარა! ღმერთმა! - ბუტბუტებდა როგორღაც უაზროდ პულხერია ალექსანდროვნა, თითქოს ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, რა გადახდა თავს.

ყველას უხაროდა, ხუთი წუთის შემდეგ იცინოდნენ კიდევ. დროდადრო მხოლოდ დუნეჩკა ფითრდებოდა და იღრუბლებოდა, წარსულს რომ მოიგონებდა. პულხერია ალექსანდროვნას კი წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ საქმის ასე გათავებას გაიხარებდა; ლუჟინთან საქმის გაწყვეტა ჯერ ისევ დილით საშინელ უბედურებად მიაჩნდა. ყველაზე მეტად რაზუმინის იყო აღტაცებული. არ შეეძლო ჯერ კიდევ სავსებით ამ თავისი აღტაცების გამოხატვა, მაგრამ სიხარულისაგან მთლად ცახცახებდა და გრძობდა, რომ გულიდან მძიმე ლოდივით რაღაც მოეშვა. ახლა კი უფლება აქვს, მთელი თავისი სიცოცხლე იმათ შესწიროს, მათ ემსახუროს... ვინ იცის, კიდევ რა შეიძლება მოხდეს! ახლა უფრო დამფრთხალი იგერიებდა აზრებს, ეშინოდა ოცნებისა. მხოლოდ რასკოლნიკოვი იჯდა თავის ადგილას უძრავად, დაღვრემილი, დაბნეული. თითქოს ყველაზე მეტად იმას სურდა ლუჟინის განდევნა, ახლა კი აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა. დუნიას ეგონა, კიდევ გაჯავრებულია ჩემზეო, პულხერია ალექსანდროვნა კი შეშინებული თვალს არ აშორებდა.

- რაო, რა გითხრა სვიდრიგაილოვმა? - დაეკითხა დუნია და ახლოს მივიდა.

- ჰო, მართლა, მართლა! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

რასკოლნიკოვმა თავი მაღლა აიღო.

- უნდა უთუოდ ათასი თუმანი გაჩუქოს და თხოულობს ამასთანავე, რომ ჩემი თანდასწრებით ერთხელ უთუოდ გნახოს!

- ნახოს! არაფრის გულისათვის არ შეიძლება! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

- არა, ან კი როგორ უბედავს ფულის შეძლებას!

უამბო რასკოლნიკოვმა აგრეთვე სვიდრიგაილოვთან ნალაპარაკევიც, მაგრამ მოკლედ. გამოტოვა მარფა პეტროვნაზე ყველაფერი, რადგანაც არ უნდოდა მეტად გაეჭიანურებინა და ეზიზღებოდა კიდევ სხვა რაზედმე ლაპარაკი.

- მერე, რა პასუხი მიეცი? - შეეკითხა დუნია.

- ჯერ ვუთხარი, რომ არ გადმოგცემდი იმის სიტყვებს. მაგრამ მაშინ გამომიცხადა, ყოველწარად თვითონვე ვეცდები პირადად ვნახო. ირწმუნება, ვითომ მაშინდელი შენდამი ვნება ჟინი იყო მხოლოდ და ახლა აღარასა გრძნობს... არ უნდა მხოლოდ, რომ ლუჟინს გაჰყვე ცოლად... საზოგადოდ კი როგორღაც დაულაგებლად ლაპარაკობდა.

- თვითონ შენ როგორა გგონია, რითი ხსნი იმის ქცევას, ჰა, როდია? როგორ გეჩვენება?

- გამოგიტყდები, რიგინად ვერა გავიგე რა. ათას თუმანს გთავაზობს, თან კი იძახის, მდიდარი არა ვარო. ამბობს, მოგზაურობას ვაპირებო, ათი წუთის შემდეგ კი აღარა ახსოვს რა. უცხად ის მითხრა ახლა, ცოლს ვირთავ და საცოლევ აჩენილი მყავსო... რასაკვირველია, ცუდი რამ განზრახვა ექნება. მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია მეტად, ასე სულელურად დაეწყოს საქმე, მართლა რომ ცუდი რამ განზრახვა ჰქონდეს შენ მიმართ... მე, რასაკვირველია, შენ მაგივრად საბოლოოდ უარი ვუთხარი ფულის მიღებაზე. მაინც უცნაურად მეჩვენა მეტად და... თითქმის... შეშლილადაც. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, შემშლოდა. იქნება მოტყუება უნდა. მარფა პეტროვნას სიკვდილს, ვგონებ, საკმაოდ უმოქმედნია...

- ღმერთო, ულხინე! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ, - ღმერთს სულ იმისთვის ვილოცებ! არა, რა მოგვივიდოდა, დუნია, რომ ის სამი ათასი მანეთი არ გაგვჩენოდა! ღმერთო ჩემო! თითქოს ზეცამ გადმოგვიგდო. იცი, როდია, დღეს დილით სამი მანეთის მეტი კაპიკი აღარა გვქონდა და მე და დუნეჩკა საათის დაგირავებას ვაპირებდით, ოღონდაც იმისათვის არ გვეთხოვა, ვინემ თვითონვე არ მიხვდებოდა.

უცნაურად გააოცა როგორღაც დუნია სვიდრიგაილოვის წინადადებათ. იდგა ერთ ადგილას და ფიქრობდა ისევ.

- საზარელი რამა აქვს უთუოდ განზრახული! - ჩაილაპარაკა თავისთვის ჩურჩულით და გააცახცახა თითქოს.

რასკოლნიკოვმა შენიშნა, რომ დუნია მეტისმეტად იყო შეშინებული.

- მგონია, თავს ვერ დავაღწევ და ბევრჯერ ვნახავთ კიდევ ერთმანეთს, - უთხრა დუნიას.

- თვალი ვადევნოთ! მოვძებნი უთუოდ! - შესძახა ომახიანად რაზუმინინმა, - თვალს აღარ მოვაშორებ! როდია უკვე დამართო ნება. თვითონვე მითხრა წელან: „დას გაუფრთხილდიო“. თქვენ, ავდოტია რომანოვნა, თქვენც მამლევთ ნებას?

დუნია გაიღიმა და ხელი გაუწოდა, მაგრამ ფიქრი და ზრუნვა მაინც არ სცილდებოდა სახიდან. პულხერია ალექსანდროვნაც მოკრძალებითა და შიშით შეჰყურებდა; მაგრამ სამასმა თუმანმა მაინც დაამშვიდა თითქოს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე მხიარული და ცოცხალი ლაპარაკი გაჩაღდა. რასკოლნიკოვიც კი რამდენსამე ხანს ყურადღებით უსმენდა ყველას, თუმცა თვითონ არ ლაპარაკობდა. ყველაზე მეტს რაზუმინინი მჭევრმეტყველებდა.

- ან კი რისთვის უნდა წახვიდეთ ნეტა! - ეკითხებოდა აღტაცებული. - პაწია ქალაქში რა უნდა გააკეთოთ? მაშინ, როდესაც აქ ყველანი ერთიმეორისათვის საჭირონი ხართ;

რომ იცოდეთ, როგორ სჭირდებით ერთმანეთს! რამდენსამე ხანს მაინც... მეც მეგობრად ამიყვანეთ, შემიაძხანაგეთ და გარწმუნებთ, ისეთი საქმე დავიწყეთ, რომ... ყური დამიგდეთ, აბა, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ, - მთელ ჩემს პროექტს გაგაცნობთ! დილითვე მომივიდა ფიქრად, ჯერ რომ არა გადაწყვეტილიყო რა... მოგახსენებთ, საქმე რაშია: ერთი ბიძა მყავს (გაგაცნობთ; საუცხოო ხასიათისა და პატიოსანი ბერიკაცია!), რომელსაც ასიოდე თუმანი ფული აქვს მოგროვილი; თვითონ პენსიას იღებს, იმითი ცხოვრობს, არა უჭირს რა. მეორე წელიწადია აგერ, ჩამცივებია, ეს ფული გამოვართვა და ექვს-ექვსი პროცენტი სარგებელი ვაძლიო. ვიცი, რადაცა შვრება ასე: უნდა ვითომ დამეხმაროს. შარშან, მართალია, არ მინდოდა, არ გამოვართვი, მაგრამ წელს იმის ჩამოსვლას ველოდი. გადავწყვიტე გამოვართვა. თქვენც ას თუმანს ჩამოხვალთ სამასიდან და შევერთდებით; პირველ ხანებში მეტი არ გვინდა. მერე რა უნდა ვაკეთოთ?

და დაიწყო რაზუმბინმა თავისი პროექტის განმარტება, რომ თითქმის ყველა წიგნის გამომცემელსა და წიგნებით მოვაჭრეს არა გაეგება რა თავისი საქმისა და ამიტომაც მეტად ცუდი გამომცემლები არიან, რადგანაც ნამდვილი ფასი თავისი საქონლისა არ იციან. კარგი გამომცემები კი მშვენივრად იყიდება და სარგებელსაც საკმაოდ დიდს იძლევა. აი, სწორედ გამომცემლობაზე ოცნებობდა რაზუმბინი, რომელიც უკვე ორი წელიწადი იყო სხვებისთვის მუშაობდა ამ საქმეში და სამი ევროპული ენა საკმაოდ კარგად იცოდა, თუმცა, მართალია, სამი დღის წინ რასკოლნიკოვს შესჩიოდა, გერმანულში არა ვიცი რაო, რომ ამის რასკოლნიკოვისათვის ნახევარი სამუშაო და სამი მანეთი ბე აელეზინებინა. იცრუა მაშინ რაზუმბინმა, და რასკოლნიკოვმაც იცოდა კარგად, რომ ტყუოდა.

- რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი ცოდნითა და უნარით, როდესაც უმთავრესი საშუალება - საკუთარი ფულიც - გაგვაჩნია? - ცხარობდა რაზუმბინი. - რასაკვირველია, დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ ვიშრომებთ კიდეც, თქვენ, ავდოტია რომანოვნა, მე და როდიონი... ზოგიერთი გამოცემა მშვენიერ მოგებას იძლევა! უმთავრესი კი ის არის აქ, რომ გვეცოდინება, რა უნდა ვთარგმნოთ. ვთარგმნით კიდეც, გამოვცემთ კიდეც და ვისწავლით კიდეც! შემიძლია ახლა გამოგადგეთ რაშიმე, იმიტომ რომ გამოცდილება მაქვს. აგერ ორი წელიწადია გამომცემლებში დავმრწივარ სულ და ყველა მათი საიდუმლო და საქმე ვიცი; მერწმუნეთ, სასწაულს როდი ახდენენ! არა, გემრიელი ლუკმა ხელიდან რისთვის გავუშვათ? მე თვითონ ვიცი ახლა ორიოდ-სამი ისეთი თხზულება, რომლის დასახელებისათვის, მარტო რომ გადაითარგმნოს და გამოიცეს, ას-ას მანეთს სიამოვნებით გაიღებდა ყველა, ერთი კი ისეთი ვიცი, რომ იმის დასახელებაში ხუთასსაც არ დავთანხმდებოდი. მერე რა გგონიათ, რომ ვუთხრა ვისმე, იქნებ არც კი დაიჯერონ და საექვოდ გახადონ, იმიტომ რომ ბრიყვები არიან, სხვა არაფერი! რაც შეეხება ბექდვის, სტამბის, ქალაღდისა და გაყიდვის საქმეს, ეს კი მე მომანდეთ! ყველა ხვრელი და გზა ხუთი თითივით ვიცი, ვერავინ რას გამომაპარებს. ცოტათი დავიწყეთ, დიდი გახდება; ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების სახსარი ხომ გაგვიჩნდება და ჩვენსასაც დავიბრუნებთ.

დუნიას თვალები გაუბრწყინდა.

- ძალიან მომწონს, რასაც ამბობთ, დიმიტრი პროკოფიჩ, - მიუგო დუნიამ.

- მე, რასაკვირველია, არა გამეგება რა, - ჩაერია პულხერია ალექსანდროვნა, - იქნებ მართლა კარგი იყოს, მაგრამ, ღმერთმა იცის. ახალი და უცნობი საქმეა. რასაკვირველია, დროებით მაინც ჩვენი აქ დარჩენა საჭირო არის...

და როდიას გადახედა.

- შენ რაღას ფიქრობ, ძმაო? - შეეკითხა დუნია.

- ჩემი ფიქრით, აზრი მშვენიერია, - მიუგო როდიონმა. - ფირმის დაარსებაზე ფიქრი ჯერ, რასაკვირველია, ნაადრევია, მაგრამ ხუთი-ექვსიოდ წიგნი მართლაც შეიძლება სახეიროდ გამოცემულიყო. თვითონ მეც ვიცი ერთი თხზულება, რომელიც უეჭველად უცბად გავრცელდებოდა და გაიყიდებოდა. რაც შეეხება საქმის რიგზე წაყვანას, მაგას ხომ ეგ, ეჭვი არ არის, მშვენივრად მოახერხებს, რადგანაც საქმე კარგად ესმის... მაგრამ დრო ჯერ ბევრი გაქვთ, მორიგდებით...

- ვაშა! - შეჰყვირა რაზუმიხინმა. - მოიცათ, რა გითხრათ: აქვე, ამ სახლში, ამავე სახლის პატრონს ცალკე ბინა აქვს. ამ ნომრებთან საერთო არა აქვს რა; შესავალიც ცალკე აქვს. სამი ოთახია მოწყობილი, ფასიც ზომიერია. მოდით და პირველად ის იქირავეთ. საათს ხვალვე დაგიგირავებთ და ფულს მოგიტანთ; მერე კი ყველაფერი თავისთავად მოეწყობა... უმთავრესი კი ის არის, რომ სამთავენი ერთად იცხოვრებთ, როდიაც თქვენთან იქნება. რაო, რა იყო, საით გაემზადე, როდია?

- როგორ, წასვლას აპირებ უკვე, როდია? - ჩაეკითხა თითქმის შეშინებული დედა.

- ისიც ამ დროს! - შეჰღრიალა რაზუმიხინმა.

განცვიფრებული დუნიაც უნდობლად შეჰყურებდა ძმას. რასკოლნიკოვს ხელში ქუდი ეჭირა, წასასვლელად ემზადებოდა.

- რაო, რა იყო, მმარხავთ თუ სამუდამოდ მემშვიდობებით, - ჩაილაპარაკა როგორღაც უცნაურად.

თითქოს გაიღიმა კიდევ, მაგრამ არც ღიმილი იყო თითქოს ეს.

- მაგრამ, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელადაც ვხედავდეთ ერთმანეთს, - დასძინა მოულოდნელად.

გულში გაივლო ეს მხოლოდ ფიქრად, მაგრამ როგორღაც უნებურად წამოსცდა.

- რას ამბობ, რა დაგემართა? - შეჰყვირა დედამ.

- რაო, სად მიხვალ, როდია? - როგორღაც უცნაურად შეეკითხა დუნია.

- ისე, საჭიროა ჩემთვის, - მიუგო ბუნდოვნად, თითქოს ყოყმანობს და ვერ გაუბედნია, რა უნდა თქვასო; მაგრამ გაფითრებულ სახეზე ნათლად ეტყობოდა, რომ მტკიცედ ჰქონდა რაღაც გადაწყვეტილი.

- მინდოდა მეთქვა... აქ რომ მოვდიოდი... მინდოდა მეთქვა თქვენთვის, დედაჩემო... და შენთვისაც, დუნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ რამდენსამე ხანს ერთმანეთს არ ვინახულებთ, იმიტომ რომ ცუდად ვგრძნობ თავს, მოუსვენრად ვარ... მერე მოვალ, თვითონ მოვალ, როდესაც შესაძლებელი იქნება... მახსოვხართ და მიყვარხართ...

მაგრამ თავი დამანებეთ! დამტოვეთ მარტო! ასე გადავწყვიტე წინათვე... ნამდვილად გადავწყვიტე... რაც მომივა, დავიღუპები თუ არა, სულ ერთია, მინდა მარტოკა ვიყო, დამივიწყეთ სრულიად. უკეთესია... ნურც რისამე შეტყობას მოისურვებთ ჩემზე... როცა საჭირო იქნება, თვითონ მოვალ, ან... მოგიხმობთ. იქნებ ყველაფერი ხელახლა აღსდგეს!.. ახლა კი, თუ გიყვარვართ, თავი დამანებეთ, დამივიწყეთ... თუ არადა, ვიცი, შემძულდებით... მშვიდობით!

- ღმერთო! - შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამ.

დედასაც და დასაც, ორთავეს შიშის ელდა ეცათ; შეეშინდა რაზუმინსაც.

- როდია, როდია! შეგვირიგდი, წინანდებურად ვიცხოვროთ! - შესძახა საცოდავმა დედამ.

რასკოლნიკოვმა მძიმედ მიიბრუნა პირი კარისაკენ და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ დუნია წამოეწია.

- ძმაო, რად სტანჯავ დედას! - შესძახა მრისხანედ გამომეტყველი სახით.

ძმამ მძიმედ გადახედა.

- არა უშავს რა, მოვალ, ვივლი ხოლმე თქვენსა! - ჩაიდუღუნა დაბალი ხმით, თითქოს სრულიად არ ესმის, რას ამბობსო, და ოთახიდან გავიდა.

- უგრძნობელო, ბოროტო თავკერძავ! - შეჰყვირა დუნია.

- გადარეულია და არა უგრძნობელი! ნუთუ ვერ ხედავთ? თქვენ თვითონ ხართ უგრძნობელი ამის შემდეგ!.. - ჩასჩურჩულა აღელვებულმა რაზუმინმა თითქმის შიგ ყურში და ხელი მაგრად მოუჭირა ხელზე. - ახლავე მოვალ! - მიაძახა მიმკვდარებულ პულხერია ალექსანდროვნას და ოთახიდან გავარდა.

რასკოლნიკოვი დერეფნის ბოლოში უცდიდა.

- ვიცოდი, რომ გამოიქცეოდი უთუოდ, - უთხრა რაზუმინს. - დაბრუნდი და ნულარ მოშორდები... ხვალაც მაგათთან იყავ... სამუდამოდ. მე... ეგებ მოვიდე... თუ შესაძლებელი იქნება. მშვიდობით!

და ხელგაუწვდენლად გამორდა.

- მაინც სად მიხვალ? რა იყო? რა მოგივიდა? განა ასე შეიძლება!.. - ბუტბუტებდა თავგზააზნეული რაზუმინი.

რასკოლნიკოვი კიდევ შედგა.

- ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები: ნურასოდეს ნურას მკითხავ, სათქმელი არა მაქვს რა... ნულარც ჩემთან მოხვალ. იქნება ისევ მე მოვიდე აქ... თავი დამანებე... მაგათ კი ნუ მოშორდები. გესმის?

დერეფანში ბნელოდა; ლამპის გვერდით იდგნენ. ერთ წუთს ერთმანეთს გაჩუმებულები უყურებდნენ. მთელ სიცოცხლეში აღარ დავიწყებია რაზუმინს ეს წუთი. ცეცხლივით მგზნებარე თვალები რასკოლნიკოვისა თანდათან უფრო

ენტებოდა, თითქოს სულსა და გულში ჩაჰყურებდა რაზუმინს. შეკრთა უცბად რაზუმინი. რაღაც უცნაურმა აზრმა... თუ ეჭვმა გაიელვა მათ შუა. საზარელი, საზიზღარი იყო იგი და ორთავესათვის გასაგები. რაზუმინს მკვდრის ფერი დაედო.

- ახლა ხომ გესმის?! - დაეკითხა რასკოლნიკოვი უცბად და სახე ავადმყოფურად დაედრიჯა, - წადი, მიხედე, - დასძინა უცბად, მიბრუნდა საჩქაროდ და გასწია გარეთ.

აღარ ავწერ, რა ამბავი იყო იმ ღამეს პულხერია ალექსანდროვნასთან; როგორ დაბრუნდა რაზუმინი და ამშვიდებდა დედასა და დას; როგორ ეფიცებოდა, როდია ავად არის და მოსვენებაა მისთვის საჭიროო; როგორ აიმედებდა, რომ უთუოდ ყოველდღე ინახულებდა, საუკეთესო ექიმს უშოვიდა, კონსილიუმს დაანიშნინებდა, ყველაფერში ყურს უგდებდა... ერთი სიტყვით, იმ ღამიდან რაზუმინი მათი ნამდვილი შვილი და ძმა შეიქნა.

IV

რასკოლნიკოვი პირდაპირ არხისაკენ წავიდა, სადაც სონია ცხოვრობდა. სახლი სამსართულიანი იყო, ძველი, მწვანედ შეღებილი. მოძებნა მეუბოვე და გაიგო მისგან, სად იდგა მკერავი კაპერნაუმოვი. მოათვალთქა ეზოს ერთ კუთხეში ბნელი და ვიწრო კიბის შესასვლელი, ავიდა მეორე სართულზე და დახურულ დერეფანში გავიდა, რომელიც ეზოს მხრივ უვლიდა გარს სახლს. სანამდე ასე ეძებდა ბნელაში და ვერ გაეგო, საიდან უნდა შესულიყო კაპერნაუმოვთან, უცბად იქვე, სამ ნაბიჯზე, ვიღაცის კარი გამოიღო; რასკოლნიკოვი იმავ წამს ანგარიშმიუცემლად კარს ეცა.

- ვინ არის? - დაეკითხა შემფოთებული ვიღაც ქალი.

- მე ვარ, მე... თქვენთან, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და ვიწრო დერეფანში შეჰყო თავი. იქ, ჩამოგლეჯილ სკამზე, სანთელი იდგა მოღრეცილი შანდლით.

- თქვენა ხართ! ღმერთო! - შეჰყვირა სუსტი ხმით სონიამ და გაქვავებულივით დარჩა.

- საით უნდა გავიარო? აქეთ?

რასკოლნიკოვი ცდილობდა, არ შეეხედა და საჩქაროდ პირდაპირ ოთახში შევიდა.

სონიაც მაშინვე უკან შეჰყვა, შანდალი მაგიდაზე დადგა და მთლად დაბნეულმა და აღელვებულმა, ალბათ მისი მოულოდნელი მოსვლით შეშინებულმა, გაცეცხით დაუწყო ცქერა. უცბად გაწითლდა, ცრემლიც კი მოერია... ეზიზღებოდა კიდეც, რცხვენოდა და ეამებოდა კიდეც! რასკოლნიკოვი საჩქაროდ მიბრუნდა და მაგიდას მიუჯდა, ოთახს გადაავლო თვალი.

ეს იყო ერთადერთი საკმაოდ მოზრდილი, მაგრამ დაბალი ოთახი, რომელსაც კაპერნაუმოვები აქირავებდნენ. მარცხნივ, კაპერნაუმოვებისაკენ გასასვლელი კარი დაეკეტათ. მარჯვნივაც იყო კედელში გამოჭრილი კარი, მაგრამ დაგულული. იქ მეზობლები იდგნენ ცალკე ბინაში. უშნო იყო და ულაზათო სონიას ოთახი, ფარდულს წააგავდა. არხის მხარეს კედელს სამი ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ როგორღაც ისე ცერად სჭრიდა ოთახს, რომ ერთი კუთხე ოთახისა საშინლად იყო შევიწროვებული და წაგრძელებული, ასე რომ სუსტ სინათლეზე ვერც გაარჩევდით; მეორე კი უშნო იყო და ბლაგვი. არც ავეჯი ამშვენებდა ამ დიდ ოთახს. მარჯვნივ,

კუთხეში, საწოლი იდგა; მის გვერდით, კარის მახლობლად, სკამი. იმავე კედელთან, სადაც საწოლი იყო, კართან, რომლიდანაც მეზობლის ბინა იწყებოდა, უბრალოდ გათლილი, ლურჯსუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა; მაგიდას გვერდით ორი ჩალის სკამი ჰქონდა მოდგმული. პირდაპირ, მეორე მხარეს, ვიწრო კუთხესთან, ხის პატარა, უბრალო კამოდი თითქმის აღარც კი ჩანდა, ისე იკარგებოდა ამ დიდ, ცარიელ ოთახში. ეს იყო ოთახის მთელი მოწყობილობა. გაყვითლებული, გაჭუჭყიანებული და დაფლეთილი შპალერი კუთხეებში მთლად ჩაშავებულიყო. ეტყობოდა, ზამთარში აქ შმორის სუნი იქნებოდა. ყველაფერს სიღარიბე ეტყობოდა. საწოლთანაც კი ფარდა არ ჩანდა.

სონია გაჩუმებული შეჰყურებდა რასკოლნიკოვს, რომელიც ასე მოურიდებლად და ყურადღებით სინჯავდა ოთახს. ბოლოს კი შიშმა აიტანა თითქმის, ცახცახი დააწყებინა, თითქოს ეგ არის, თავისი ბედის გადამწყვეტი მსაჯულის წინ დგასო.

- გვიან მომიხდა შემოსვლა... თერთმეტი საათია ნეტა თუ არა? - ჩაეკითხა რასკოლნიკოვი, მაგრამ ისე, არ შეუხედაია.

- როგორ არა, - წაიდუღუნა სონიამ, - დიახ, დიახ! - დასძინა საჩქაროდ, თითქოს ამაში ჰპოვებდა ხსნას, - ეს-ესაა დიასახლისის საათმა დაჰკრა... მეც გავიგონე... როგორ არა, არის.

- მე თქვენთან უკანასკნელად მოვედი, - განაგრძობდა დაღვრებით რასკოლნიკოვი, თუმცა პირველად იყო მასთან, - იქნება მეტჯერ ველარცა გნახოთ.....

- როგორ... მიდიხართ სადმე?

- არ ვიცი სწორედ... ყველაფერი ხვალ...

- მაშ, ხვალ კატერინა ივანოვნასთან არ იქნებით? - ჩაეკითხა აკანკალებული ხმით.

- არ ვიცი, ყველაფერი ხვალ დილით გადაწყდება... მაგრამ საქმე ეგ როდია: მოვედი, რომ ერთი სიტყვა მეთქვა...

ჩაფიქრებულმა რომ გადახედა, მხოლოდ ახლა შენიშნა უცბად, რომ თვითონ იჯდა, სონია კი ისევ ფეხზე იდგა მის წინ.

- რასა დგახართ? დაჯექით, - უთხრა გამოცვლილი ხმით, წყნარად და ალერსიანად.

სონია დაჯდა. ერთ წუთს ალერსითა და თანაგრძნობით შეაცქერდა.

- რა გამხდარი ხართ! როგორი ხელი გაქვთ! თითქმის სინათლე გადის შიგ. თითებიც მთლად მკვდრისას მიგიგავთ.

და ხელი დაუჭირა. სონიამ ოდნავ გაუღიმა.

- მე მუდამ ასეთი ვიყავი, - უპასუხა.

- შინაც ასეთი იყავით?

- დიახ...

- რასაკვირველია, აგრეც იქნებოდა! - წარმოთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და უცხად სახის გამომეტყველება და ხმა გამოეცვალა ისევ. ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ.

- კაპერნაუმოვისაგან ქირობთ ოთახს?

- დიახ...

- ეს კარი იმათსა გადის, იქითა დგანან?

- დიახ... იმათაც ასეთი ოთახი უჭირავთ.

- ყველანი ერთად ცხოვრობენ?

- ერთად.

- თქვენს ადგილას ღამლამობით შემეშინდებოდა ამ ოთახში, - შენიშნა ისევ დაღვრემით.

- ბინის პატრონები კარგი მყავს, მეტად ტკბილი ხალხია, - მიუგო სონიამ, თითქოს ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა და ვერა მოუსაზრებია რაო, - მოწყობილობაც, ყველაფერი... იმათია. კეთილი ხალხია ძალიან, ბავშვებიც ხშირად დაიარებიან ჩემთან...

- ენაჩლუნგები?

- დიახ... თვითონ ენაჩლუნგია და კოჭლი. ცოლიც... არა, ენა კი არა აქვს ჩლუნგი, ლაპარაკის დროს სიტყვებსა ყლაპავს. მაგრამ კეთილი ადამიანია მეტად. თვითონ კაპერნაუმოვი შინაყმად ნამყოფია. შვიდი შვილი ჰყავთ. ენაჩლუნგი მარტო უფროსია, სხვები კი ისე, ავადმყოფები არიან... ენას არ უკიდებენ... მაგრამ თქვენ საიდან იცით? - დასძინა გაკვირვებულმა.

- მამათქვენმა მიაძხო მაშინ ყველაფერი. თქვენზეც ყველაფერი მიაძხო... მითხრა ისიც, როგორ წახვედით ექვსზე და ცხრაზე დაბრუნდით უკან! ან კატერინა ივანოვნა როგორ იდგა თქვენს ლოგინთან მუხლისთავეებზე დაჩოქილი.

შეკრთა სონია.

- დღეს თითქოს თვალითა ვნახე, - წაიბუტბუტა გაუბედავად.

- ვინ?

- მამაჩემი. ქუჩაში მივდიოდი იქ, კუთხეში; მეათე საათი იქნებოდა. ვნახოთ, თითქოს წინ მიდის. თითქოს ის იყო ნამდვილად. მინდოდა კატერინა ივანოვნასთან შემეველო, მაგრამ...

- სეირნობდით?

- დიახ, - მიუგო სწრაფად, კვლავ შემკრთალმა და თავი ჩაღუნა.

- კატერინა ივანოვნა თითქმის გცემდათ კიდევ, არა, მამასთან როცა იყავით?

- არა, არა, რას ამბობთ მაგას! - შესძახა თითქოს შეშინებულმა სონიამ.

- როგორ! გიყვართ, მაშ?

- კატერინა ივანოვნა? რო-გორ ა-რა! - საბრალოდ გააგრძელა სონიამ და საცოდავად დაიკრიფა გულხელი. - ეჰ! რომ იცნობდეთ კარგად. ბავშვივითა... მწუხარებისგან თითქმის მთლად შეშლილია. მერე, რა ჭკვიანი იყო... რა დიდსულოვანი... რა გულკეთილი! თქვენ, აბა, ან კი რა იცით... ეჰ!

ყველაფერი ეს სონიამ აღელვებულმა და სასოწარკვეთილმა წარმოთქვა ხელების მტვრევით. გაფითრებული ლოყები ერთ წუთს ისევ დაუწითლდა, თვალებში ტანჯვა გამოეხატა. ეტყობოდა, ბევრი რამ გაახსენდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, წაჰქომაგებოდა. რაღაც უზომოდ დიდი თანაგრძნობა აღებეჭდა უცბად მთელ სახეზე.

- მცემდა! რას ამბობთ! ღმერთო ჩემო, გცემდაო! თუნდაც ეცემა კიდევ, მერე რა? რა იქნებოდა ვითომ? თქვენ სულ არა იცით რა... ისეთი უბედური და საცოდავი რამ იყო, რომ! მასთან ავადმყოფიც... სიმართლის მაძიებელია და ის არის... წმინდაა ყველაფრით და სჯერა, რომ სამართლიანობა ყველგან უნდა იყოს დაცული... თუნდაც სტანჯეთ და აწვალეთ, არასოდეს უსამართლოდ არას ჩაიდენს. ვერ წარმოუდგენია, რომ უსამართლობა მართლაც არსებობს ქვეყნად, და იტანჯება... ბავშვია ნამდვილი, ბავშვი! მაგრამ სამართლიანი, სამართლიანი!

- თქვენ რაღა მოგელით?

სონიამ გაკვირვებულმა შეხედა.

- ახლა ხომ ყველა თქვენ დაგაწვავთ კისერზე. მართალია, წინათაც აგრე იყო და განსვენებულაც თქვენვე მოგმართავდათ ხოლმე ნაბახუსევი ფულისათვის, მაგრამ მაინც რა იქნება ახლა?

- არ ვიცი, - მიუგო ნაღვლიანად სონიამ.

- ძველ ბინაზედვე დარჩებიან?

- არ ვიცი, როგორ იქნება. სახლის პატრონისა მართებთ, მაგრამ დიასახლისს ეთქვა დღეს, მინდა დავითხოვო; ახლა კი კატერინა ივანოვნაც იმასვე ამბობს, რომ არც ერთ წუთს თვითონაც აღარ დარჩება იქ.

- მერე, რის იმედი აქვს, რომ ეგრე დიდგულად არის? თქვენი თუ?

- ოჰ, არა, ნუ იტყვით მაგას!.. ერთად ვცხოვრობთ, ერთნი ვართ, - აღელდა და გაცხარდა სონია, გეგონებოდათ, იადონი ან სხვა რამ პაწია ჩიტი გაბრაზდაო. - ან რა უნდა ქნას? მაინც რა უნდა ქნას? - ეკითხებოდა ცხარედ და აღელვებული. - რამდენი იტირა დღეს! საბრალო ლამის ჭკუიდან შეიშალოს, ვერ შენიშნეთ? გადარეულია მთლად; თან პატარასავით წუხს, რომ ხვალ ყველაფერი რიგზე იყოს, საუზმეც, ყველაფერი... თან ხელებს იმტვრევს, სისხლს იღებს, ტირის და თავს კედელს ახეთქებს, სასოება დაკარგული აქვს. მერე კი ისევ თავს ინუგეშებს, თქვენი იმედი აქვს: ამბობს, რომ დაეხმარებით, პატარა ფულს იშოვის სადმე სესხად, წავა თავის სამშობლო ქალაქში, მეც თან წამიყვანს, კეთილშობილ ქალთათვის პანსიონს გახსნის; მე მეთვალყურეობას მომანდობს და დავიწყებთ ახალ, მშვიდობიან ცხოვრებას; თან მეხვევა და მკოცნის, მანუგეშებს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ყველა ეს ნაოცნებარი ნამდვილივითა სჯერა! შეიძლება განა ასეთ ადამიანს ვინმე

შეწინააღმდეგოს? თვითონ კი მთელი დღე არ ისვენებს: რეცხავს, წმენდავს, აკერებს; სარეცხის ვარცლი თვითონ შემოათრია სუსტმა ადამიანმა, სულს ძლივს და იბრუნებდა და ლოგინზე მკვდარივით დაეცა. დილითაც ერთად ვიყავით სავაჭროდ. პოლექკასა და ლენას ფეხსაცმელები ვუყიდეთ, აღარა ჰქონდათ; მაგრამ ეგ არის, ფული დაგვაკლდა და საკმაოდ ბლომდაც, ანგარიშში მოვტყუვდით. მაგრამ კარგი ფეხსაცმელები ამოარჩია, გემოვნება აქვს ისეთი შესანიშნავი... თქვენ არ იცით... იქვე, ვაჭრებთან წასკდა ტირილი, რომ ფული დააკლდა... ოჰ, რა შესაბრალოსი იყო მაშინ.

- გასაკვირი არ არის ამის შემდეგ, რომ... აგრე ცხოვრობთ, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და მწარედ გაიღიმა.

- თქვენ კი არ გებრალეხათ განა? არ გებრალეხათ? - ჩააცივდა ისევ სონია, - თქვენ არ იყავით, არა გენახათ რა თვალით და უკანასკნელი ფული მიეცით. რა იქნებოდა მაშინ, ოჰ, ღმერთო ჩემო, ყველა ეს რომ თვალით გენახათ! მერე რამდენჯერ მიტირებია ცხარედ! აი, წარსულ კვირასაც კი! ოჰ! ერთი კვირის წინათ იყო სწორედ, მეტად სასტიკად მოვეპყარი! მერე რამდენჯერ მიქნია ასე. ოჰ, რომ იცოდეთ, რარიგ მტანჯავდა მთელი დღე ეს მოგონება!

სონია თითქმის ხელეხს იმტვრევდა, ისე წუხდა.

- როგორ, თქვენა ხართ სასტიკი?

- დიახ, მე, მე! მივედი მაშინ, - განაგრძობდა ტირილით, - და მეუბნება განსვენებული: „წამიკითხე რამე, სონია, თავი მტკივა, წამიკითხე... აი, წიგნიო“, რაღაცა წიგნი გამოერთმია ანდრეი სემიონიჩ ლეხეზიატნიკოვისათვის; აქ ცხოვრობს, ასეთ სასაცილო წიგნებს შოულობდა ხოლმე. მე კი ვუთხარი: „დროა წავიდეთ-მეთქი“. არ წავუკითხე. იმისთვის შევიარე, მინდოდა კატერინა ივანოვნასათვის საყელოები მეჩვენებინა; დალაღმა ლიზავეტამ იაფად მომიტანა მშვენიერი, ახალთახალი, ნაქარგი საყელოები და მაჯები. კატერინა ივანოვნას კი საშინლად მოეწონა; გაიკეთა და სარკეში ჩაიხედა: „სონია, მოდი, მაჩუქე, გეთაყვაო“, მთხოვა. გეთაყვაო, თან დააყოლა, ჩანდა, გულით უნდოდა. მაგრამ სად უნდა გაეკეთებინა ნეტა? მხოლოდ წარსული ბედნიერი დრო მოიგონა! იცქირება სარკეში და კოპწიაობს, არავითარი კაბა და სამკაული კი არა აქვს, აგრე უკვე რამდენი წელიწადია! და არცთუ ვისმე სთხოვს რასმე; ამაყია; თუ აქვს რამე, თვითონ გაიღებს ისევ. მაშინ კი მთხოვა უცბად, - ისე მოეწონა! მაგრამ დამენანა და არ მივეცი. „რად გინდათ-მეთქი, კატერინა ივანოვნა?“ ასე ვუთხარი სწორედ, რად გინდათ-მეთქი. არ უნდა მეთქვა ასე, არა! ისე შემომხედა და ჩაეთუთქა გული, უარი რომ ვუთხარი, შეგებრალეხოდით სწორედ... იმიტომ კი არა, რომ საყელო დაენანა, არა, იმიტომ, რომ უარი ვუთხარი. ოჰ, რა სიამოვნებით დავუბრუნებდი ყველაფერს უკან, როგორ სიამოვნებით ვიტყვი უარს ჩემს სიტყვებზე... ოჰ, მე... მაგრამ რა? თქვენთვის ხომ სულ ერთია!

- ლიზავეტა დალაღს იცნობდით?

- როგორ არა... თქვენც იცნობთ? - დაეკითხა როგორღაც გაკვირვებით სონია.

- კატერინა ივანოვნა ჭლექიანია, მძიმე ავადმყოფი, ჩქარა მოკვდება, - უთხრა რასკოლნიკოვმა მცირე სიჩუმის შემდეგ, კითხვაზე პასუხი არ მისცა...

- ოჰ, არა, არა! - სონია უნებურად ორთავე ხელით რასკოლნიკოვს ჩაეჭიდა, თითქოს ემუდარება, ნუ მოკვდებაო.

- ეგ ხომ უკეთესიც არის.

- არა, არ არის უკეთესი, სრულიადაც არა! - უაზროდ იმეორებდა შეშინებული სონია.

- მერე, ბავშვებს რაღას უზამთ? თქვენს მეტი გზა სადა აქვთ?

- ოჰ, არ ვიცი სწორედ! - შეჰკვივლა სასოწარკვეთილებით სონიამ და თავზე ხელი იტაცა. ეტყობა, წინათაც ბევრჯერ ეფიქრა ამაზე და ახლა მხოლოდ მოულოდნელად ისევ გაახსენა რასკოლნიკოვმა.

- მერე, რომ ახლაც, სანამ ჯერ კატერინა ივანოვნა ცოცხალია, ავად გახდეთ და საავადმყოფოში დაგაწვინონ, რა დღეში ჩაცვივიან? - ეკითხებოდა შეუბრალებლად რასკოლნიკოვი.

- ოჰ, რას ამბობთ, არა! ეგ არ იქნება!

და საზარლად შეშინებულს სახე დაედრიჯა.

- როგორ თუ არ იქნება? - განაგრძობდა მწარე დაცინვით რასკოლნიკოვი, - რითი ხართ უზრუნველყოფილი? რა ეშვებოდათ მაშინ? ხომ ყველანი უჭეროდ დარჩებიან, სამათხოვროდ ჩამოივლის ხველებით და თავს დაუწყებს კედელზე ხლას, როგორც დღეს სჩადის, ბავშვები კი ტირილთ გააყრუებენ იქაურობას... დაეცემა ბოლოს დაუძლურებული, პოლიციაში წაათრევენ, საავადმყოფოში დააწვენენ, წუთისოფელს გამოესალმება; ბავშვები კი...

- ოჰ, არა!.. ღმერთი არ ინებებს ამას! - აღმოხდა ბოლოს შეხუთული გულიდან სონიას. ყურს უგდებდა და მუდარით გაეშვირა რასკოლნიკოვისკენ ხელები, თითქოს ყველაფერი მასზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

წამოდგა ბოლოს რასკოლნიკოვი, ოთახში მოჰყვა სიარულს. ასე გავიდა ერთი წუთი. სონია თავჩაღუნული იდგა, საშინლად მოწყენილი, შეწუხებული.

- არ შეიძლებოდა განა გეგროვებინათ? შავი დღისათვის გადაგედოთ რამ? - შეეკითხა უცბად რასკოლნიკოვი.

- არა, - ჩაიჩურჩულა სონიამ.

- დიახ! მაგრამ გიცდიათ კი? - დასძინა თითქმის დაცინვით.

- მიცდია.

- ველარ შესძელით განა! ან კი რა საკითხავია!

და დაიწყო ისევ ოთახში სიარული. ასე განვლო კიდევ ერთმა წუთმა.

- ფულსაც ხომ ყოველდღე ველარ აიღებთ?

სონია უარესად შეკრთა და გაწითლდა, სახე მთლად აენტო.

- მართალია, - ჩაიჩურჩულა ძლივს წვალებით.

- პოლექკასაც იგივე მოელის უთუოდ, - დაასკვნა უცბად რასკოლნიკოვმა.

- არა, არა! შეუძლებელია, შეუძლებელია! - შეჰყვირა ხმამაღლა სასოებადაკარგულმა სონიამ, თითქოს ეგ არის უცბად ღრმად დასჭრესო, - ღმერთი, ღმერთი არ ინებებს ასეთ საშინელებას!..

- თუკი სხვებისას ინებებს ხოლმე!

- არა, არა! პოლექკას ღმერთი დაიფარავს!.. - იმეორებდა გონებადაბნეული.

- ჰო, მაგრამ ეგ ღმერთიც რომ არსად იყოს, - მიუგო როგორღაც გაბოროტებით რასკოლნიკოვმა და გაიცინა, სონიას გადახედა.

სონიას უცბად სახე საზარლად შეეცვალა; აუცახცახდა, კანკალმა აიტანა. საყვედურით აღსავსე თვალით გადახედა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ კრიჭა შეეკრა, ხელები თვალებზე მიიფარა და უცბად მწარე ქვითინი ამოუშვა.

- ამბობთ, კატერინა ივანოვნა ლამის შეიშალოსო. იმას კი აღარ ატყობთ, რომ თქვენც საცაა შეიშლებით ჭკუიდან, - მიუგო მცირე სიჩუმის შემდეგ რასკოლნიკოვმა.

ასე განვლო ხუთიოდე წუთმა. რასკოლნიკოვი ისევ ჩუმად გადი-გამოდიოდა წინ და უკან, სონიას არ უყურებდა. მივიდა ბოლოს ახლოს. თვალები ცეცხლივით უელავდა. ხელები მხარზე დააწყო და მტირალს პირდაპირ თვალებში ჩახედა. სახე ანთებოდა რასკოლნიკოვს, გამომეტყველება უძრავი და მძაფრი ჰქონდა, ტუჩები უთრთოდა... უცბად საჩქაროდ იატაკზე დაეცა და ფეხზე აკოცა სონიას. შეშინებული სონია უკან გაუხტა, როგორც შეშლილს. მართლაცდა, მთლად შეშლილივით იყურებოდა.

- რას შვრებით, რასა? მუხლს იდრეკთ ჩემ წინ! - წაიდუდუნა გაფითრებულმა და იგრძნო, რომ გული რაღაცამ საშინლად შეუხუთა, ატკინა.

რასკოლნიკოვი მაშინვე წამოდგა.

- შენ კი არა, ქვეყნის ტანჯვას ვეცი თაყვანი, - წარმოთქვა უცნაურად და ფანჯრისაკენ მიდგა. - ყური დამიგდე, - დასძინა ერთი წამის შემდეგ და მიუახლოვდა, - ერთ შეურაცხმყოფელს ვუთხარი წელან, რომ შენს ნეკადაც არა ღირს იგი... და რომ საკუთარ დას პატივი ვეცი დღეს და გვერდით მოგისვი.

- რა გითქვამთ ეგ, ღმერთო ჩემო! მერე, თქვენმა დამაც გაიგონა? - შეჰყვირა შეშინებულმა სონიამ, - ჩემთან ჯდომა პატივია! მერე, მე ხომ უპატიოსნო ვარ... ოჰ, რა გითქვამთ!

- უპატიოსნობისა და ცოდვისათვის კი არა ვთქვი ეგ შენზე, ვთქვი იმიტომ, რომ უზომოდ იტანჯები. თორემ შენ რომ დიდი ცოდვილი ხარ მართლა, ეს არავისთვის არ არის საეჭვო! - დასძინა თითქმის აღტაცებით. - ყველაზე მეტად კი იმითი ხარ ცოდვილი, რომ უბრალოდ მოიკალი და გაჰყიდე თავი. რასაკვირველია, საზარლობაა ეს! საზარლობაა! ეჭვი არ არის, რომ შენდაუნებურად ცხოვრობ ასეთ გარყვნილებაში, რომელიც ასე გეზიზღება, და იმავე დროს კარგად იცი (თუკი გაახილე თვალი), რომ ამით არავის რას შველი და ვერავის იხსნი! მითხარი, გეთაყვა, ისიც, - წამოიძახა თითქმის გაშმაგებულმა, - ასეთი გარყვნილება და სირცხვილი სხვა შენს წმინდა

გრძნობებთან ერთად როგორ თავსდება? ბევრად სამართლიანი და გონივრული არ იქნებოდა განა, გადავარდნილიყავი წყალში და თავი დაგეხრჩო უცხად!

- მერე, იმათ რა ეშველებათ? - ჩაეკითხა სუსტი ხმით სონია და ტანჯული გამომეტყველებით გადახედა, მაგრამ თითქოს არც გაიკვირვა ეს რჩევა. რასკოლნიკოვმა უცნაურად შეხედა.

მის სახეზე უცხად ყველაფერი ამოიკითხა და დარწმუნდა, რომ ასეთი ფიქრები სონიასათვის ახალი არ იყო. შეიძლება უწინაც ბევრჯერ უფიქრია სასოწარკვეთილს, უცხად როგორმე მოესპო სიცოცხლე, და ამიტომაც აღარ გაიოცა იგი. ვერ შენიშნა ისიც, რა უღვთო იყო რასკოლნიკოვის სიტყვები (საყვედურის აზრს ვერ მიუხვდა და ვერც ის გაიგო, რასაკვირველია, რა თავისებური შეხედულებისა იყო რასკოლნიკოვი მის სამარცხვინო ცხოვრებაზე). სამაგიეროდ, რასკოლნიკოვისათვის გაუგებარი არ დარჩა, რამდენად უზომოდ გაეტანჯა სონია თავის უპატიოსნო და სამარცხვინო მდგომარეობას. მაინც რა უნდა ყოფილიყო მიზეზი და რას უნდა შეეკავებინა, რომ აქამდის თავი არ მოიკლა? ხელს რა უშლიდა? - ფიქრობდა რასკოლნიკოვი. ბოლოსდა მიხვდა, რას წარმოადგენდნენ მისთვის საცოდავი პატარა ობლები და ნახევრად ჭკუიდან შეშლილი, საბრალო კატერინა ივანოვნა, რომელსაც ჭლექი სულს უხუთავდა და თავს კედელზე ახლევიებდა.

მაინც აშკარა იყო მისთვის, რომ სონიას ხასიათისა და თუნდაც შეგნების ადამიანს არაფრის გულისათვის არ შეეძლო ასე დარჩენილიყო. ვერ გაეგო, როგორ გაუძლო ამდენ ხანს და ჭკუიდან არ შეიშალა, ან წყალში არ გადავარდა? რასაკვირველია, ესმოდა კარგად, რომ სონიას მდგომარეობა შემთხვევითი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, არა ერთადერთი და გამონაკლისი. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევით ხასიათსა და შედარებით მეტ განვითარებას, აგრეთვე მის წარსულ ცხოვრებას, თითქოს პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე უნდა მოეკლა ამ საზიზღარ გზაზე. მაშ, რაღა აფერხებდა და აკავებდა? იქნებ გარყვნილება? მაგრამ, ეჭვი არ იყო, მხოლოდ ზერელედ შეჭხებოდა იგი. ნამდვილი გარყვნილება კი იოტის ოდენადაც არ მიჰკარებოდა მის გულს: ნათლად ხედავდა ამას; აშკარად თვალწინ ედგა...

„სამი გზა აქვს, - ფიქრობდა იგი, - ან წყალში გადავარდეს, ან საგიჟეთში მოხვდეს... ან არადა, გონების გამაბრუებელსა და გულის გამქვავებელ გარყვნილებას მისცეს თავი“.

ყველაზე საზარლად უკანასკნელი მიაჩნდა, მაგრამ უკვე სკეპტიკოსი იყო, დაეჭვებული, და როგორც ახალგაზრდა, განყენებული და სასტიკი, არა სჯეროდა, თუ უკანასკნელ გზას, გარყვნილებას, თავს დააღწევდა.

„მაგრამ ნუთუ მართალია, - შესძახა თავისთვის, - ნუთუ ეს ქმნილება, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია სულიერი სიწმინდე, ბოლოს შეგნებულად შთაინთქმება ამ გარყვნილების მყრალ მორევში? ნუთუ უკვე დაწყებულია ეს ჩათრევა და ამიტომაც ითმენს აქამდის. რომ ეს ბიწიერება საზიზღრად აღარ ეჩვენება. არა, არა, შეუძლებელია! - წამოიძახა ისევე, როგორც წელან სონია იმახდა პოლექკაზე. - არა, უთუოდ წყალში დახრჩობისაგან გადაარჩინა იმან, რომ ცოდვისა ემინოდა, ისინიც ებრალებოდა... მაგრამ აქამდის რომ ჭკუიდანაც არ შეშლილა!.. თუმცა ვინ ამბობს, არ შეშლილაო? ან ახლა კი თავის ჭკუაზეა? განა ასე ლაპარაკობს ვინმე? ნუთუ ჭკუამთელი ასე ილაპარაკებს? შესაძლებელია განა, აყროლებულ ორმოს თვალით დასცქეროდეს ადამიანი, შიგ ითრევდეს გარემოება, ის კი ხელებს იქნევდეს, ყურს

იყრუებდეს, როდესაც საფრთხეზე ელაპარაკებიან? იქნება სასწაულს ელის და იმიტომ იქცევა ასე? ასე იქნება უთუოდ. ნუთუ ყველა ეს არ ამტკიცებს შეშლილობას?“

ამ აზრს დაადგა, ყველაზე მეტად ეს მოეწონა, თან უფრო ღრმად ჩააკვირდა.

- მითხარი, სონია, ხშირად ლოცულობ? ძალიან გწამს ღმერთის? - ჰკითხა მან. სონია დუმდა; რასკოლნიკოვი გვერდით უდგა, პასუხს ელოდა.

- მაშ უღმერთოდ რა ვიქნებოდი, აბა? - უპასუხა საჩქაროდ და აელვარებული თვალები ჩააშტერა უცბად, ხელზე ხელი მოუჭირა მაგრად.

„ასეა სწორედ!“ - გაიფიქრა.

- მერე რასა გშველის ღმერთი, ჰა? - ჩაეკითხა კვლავ გამოსაცდელად.

სონია დიდხანს დუმდა, თითქოს ველარა უთხრა რა. სუსტი მკერდი მღელვარებისაგან უკანკალებდა.

- გაჩუმდით! თუ მეკითხებით! პასუხად არ ღირხართ!.. - შეჰყვირა უცბად სონიამ და სასტიკად და მრისხანედ გადახედა.

„ასეა სწორედ! ასეა!“ - იმეორებდა თავისთვის დაჟინებით რასკოლნიკოვი.

- ყველაფერშიაც მშველის! - ჩაილაპარაკა უცბად სონიამ და ისევ ჩაღუნა თავი.

„ესეც თქვენი თავის ხსნა! ესეც თქვენი განმარტება!“ - გადაწყვიტა რასკოლნიკოვმა თავისთვის და ხარბად დაუწყო სონიას ცნობისმოყვარე თვალთ სინჯვა.

ახალი რამ უცნაური, თითქმის ავადმყოფური გრძნობით აკვირდებოდა მის გაფითრებულ, გამხდარსა და უსწორო სახეს, მის წყნარ ცისფერ თვალებს, რომლებსაც ზოგჯერ შეემლოთ ასეთი სასტიკი გამომეტყველება მიეღოთ და მრისხანების ცეცხლი ეფრქვიათ; აკვირდებოდა მის პატარა, რისხვისა და ბრაზისაგან ჯერ კიდევ მოცახცახე ტანს და თანდათან უფრო უცნაურად და თითქმის შეუძლებლად ეჩვენებოდა ყველაფერი ეს. „ჰკუაარეულია, სალოსია!“ - იმეორებდა თავისთვის.

კამოდზე რაღაც წიგნი იდო. ყოველთვის, როგორც კი გვერდით გაუვლიდა, ხედავდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა; ახლა კი აიღო და დახედა. ეს იყო რუსულად თარგმნილი ახალი ალთქმა. წიგნი ძველი იყო, ნახმარი, ტყავის ყდა ჰქონდა.

- ვინ მოგვათ? - გასძახა ოთახის მეორე კუთხიდან.

სონია ისევ თავის ადგილას იდგა, მაგიდიდან სამი ნაბიჯით მოშორებული.

- სხვამ მომიტანა, - მიუგო სონიამ უხალისოდ, მისთვის არ შეუხედა.

- ვინ მოგიტანათ?

- ლიზავეტამ, მე ვთხოვე.

„ლიზავეტამ! უცნაურია!“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

ახლა როგორღაც ყველაფერი ეუცნაურებოდა სონიასი; თანდათან ყველაფერი აკვირვებდა. მიიტანა წიგნი სანთელთან და ფურცვლა დაუწყო.

- ლაზარეზე სადა სწერია აქ? - დაეკითხა უცბად.

სონია იატაკს ჩაჰყურებდა, ხმას არა სცემდა. მაგიდას გვერდით უდგა.

- ლაზარეს აღდგენაზე სადა სწერია? მიპოვე, სონია.

სონიამ გვერდზე გახედა.

- მანდ არა... მეოთხე სახარებაში ნახეთ... - ჩაიჩურჩულა მკაცრად შორიდან, ახლოს არ მიუწევია.

- მიპოვე და წამიკითხე, - შესთხოვა რასკოლნიკოვმა და მაგიდას მიუჯდა, იდაყვს დაეყრდნო, დაღვრემილად დაიწყო სადღაც განზე ცქერა, მოსასმენად მოემზადა.

„სამი კვირის შემდეგ მეშვიდე ვერსზე მობრძანდით! ვგონებ, იქ ვიყო, უარესი თუ არ გადამხდა“, - ბუტბუტებდა თავისთვის.

სონია გაუბედავად მიუახლოვდა მაგიდას; რასკოლნიკოვის უცნაური სურვილი ექჷვებოდა მეტად. წიგნი მაინც აიღო.

- განა არ წაგიკითხავთ? - შეეკითხა სონია და მაგიდის მეორე მხრიდან ქვემ-ქვემ გახედა. ხმა თანდათან სასტიკი და მრისხანე უხდებოდა.

- დიდი ხანია... როცა ვსწავლობდი! აბა, წამიკითხე!

- საყდარში? საყდარში აღარ გაგიგონიათ?

- არ... დავდივარ. შენ კი ხშირად დადიხარ?

- არა, - ჩაიჩურჩულა დაბალი ხმით სონიამ.

რასკოლნიკოვს გაეცინა.

- მესმის... მაშ არც მამის დამარხვას დაესწრები ხვალ?

- არა, წავალ. წარსულ კვირასაც ვიყავი... პანაშვიდი გადავახდევინე.

- ვისთვის?

- ლიზავეტასათვის. ცულით აჩეხეს საწყალი.

რასკოლნიკოვს თანდათან ნერვები ეშლებოდა, თავბრუ ესხმოდა.

- როგორ, მეგობრობდი განა ლიზავეტასთან?

- დიახ... მართალი ადამიანი იყო... იშვიათად... მოდიოდა კიდეც... ხშირად არ შეეძლო... ერთად ვკითხულობდით ხოლმე... და ვლაპარაკობდით. ღმერთს იხილავს იგი.

უცნაურად ეჩვენა რატომღაც ეს წიგნიდან ამოკითხული სიტყვები, მაგრამ უფრო მეტად ეუცნაურა ეს რაღაც საიდუმლო სიარული ერთმანეთთან ლიზავეტასი და სონიასი... სალოსებად ეჩვენებოდა ორივე.

„აქ მეც შევიშლები, სალოსი გავხდები! გადამდებია ეს სენი!“ - გაიფიქრა თავისთვის.

- წაიკითხე, რაღას უცდი! - შესთხოვა უფრო დაჟინებით და მოუთმენლად რასკოლნიკოვმა.

სონია ისევ ყოყმანობდა. გული ძლიერად უცემდა. წაკითხვას ვერა ბედავდა. რასკოლნიკოვი თითქმის ტანჯვით უყურებდა „საცოდავ შეშლილს“.

- რად გინდათ? ხომ არა გწამთ და?... - ჩაიჩურჩულა ოდნავ, თითქოს სუნთქვა ეკვრისო.

- წამიკითხე! აგრე მინდა! - ატანდა ძალას, - ლიზავეტას თუკი უკითხავდი!

სონიამ წიგნი გადაშალა, ლაზარეს აღდგენა მოძებნა. ხელები უკანკალებდა, ხმა უწყებოდა. უკვე ორჯერ სცადა დაწყება, მაგრამ ორჯერვე შეწყვიტა.

„იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიადო...“ - წარმოთქვა ბოლოს ძლივძლივობით, მაგრამ მესამე სიტყვაზევე ხმა აუკანკალდა, ჩაუწყდა, თითქოს მაგრად დაჭიმული სიმი ჩაწყდაო. გული შეუგუბდა, გული შეჭხუთა.

ესმოდა, რატომ ვერა ბედავდა სონია კითხვას, მაგრამ რამდენადაც აშკარა იყო მისთვის გაუბედაობის მიზეზი, მით უფრო დაჟინებითა და მოუთმენლად სთხოვდა წაეკითხა. ესმოდა კარგად ისიც, ყოველივე თვისის გამჟღავნება როგორ ემძიმებოდა სონიას. მიხვდა, რომ შეიძლება ეს იყო მისი დიდი ხნის საიდუმლო, ბავშვობის დროინდელი, როდესაც ჯერ ისევ საკუთარ ოჯახში ცხოვრობდა უბედური მამისა და მწუხარებისაგან გადარეული დედინაცვლის გვერდით, როდესაც დამშეულ ბავშვებს შორის მუდმივ საყვედურსა და ყვირილში ატარებდა თავის ყმაწვილქალობას. მაგრამ მიუხვდა იმასაც, რომ მიუხედავად უზომო შიშისა და მწუხარებისა, რომელსაც მთლად შთაენთქა იგი, მაინც გულით უნდოდა წაეკითხა, თუნდ უარესადაც დანაღვლიანებულიყო, უარესი საფრთხეც ასჩენოდა: წაეკითხა საკუთრივ მისთვის და უთუოდ ახლა, რომ მოესმინა, - „და მერე რაც უნდა მომხდარიყო!“.. ამოიკითხა რასკოლნიკოვმა ეს სონიას თვალეზსა და მის აღტაცებულ ღელვაში. სონიამ სძლია, როგორც იყო, მღელვარება, თავს ძალა დაატანა და დაიწყო იოანე მახარობლის მეთერთმეტე თავის კითხვა. ასე ჩაიკითხა მეცხრამეტე მუხლამდე: „და მრავალნი ურიათაგანნი მოსულიყვნენ მართასსა და მარიამისსა, რათა ნუგეშინი-ჰსცენ მათ ძმისა მათისათვის. ხოლო მართა, ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებოდა მას; ხოლო მარიამ სახლსა შინა ჰსჯდა. ჰრქვა მართა იესოს: უფალო! უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკვდარიყო ძმა იგი ჩემი. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ რაიცა იგი სთხოვო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმა“.

აქ კი შედგა ისევ, რადგანაც გრძნობდა წინათვე, რომ ხმა აუკანკალდებოდა, ჩაუწყებოდა...

„ჰრქვა მას იესო: აღსდგეს ძმა შენი. ჰრქვა მას მართა: უწყი, რამეთუ აღსდგეს აღდგომასა მას უკანასკნელსა დღესა. ჰრქვა მას იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მოღათუკვდეს, სცხონდესვე. და ყოველი, რომელი ცოცხალ-

არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე? ჰრქვა მას მართა: (თითქოს ტკივილით ითქვამს სულსაო, სონიამ გარკვევით და ხმამალა წაიკითხა, ვითომ თვითონვე აღსარებაზე ყოფილიყოს): „ჰე უფალო! მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისა, მომავალი სოფლადა“.

ერთ წამს შედგა, სწრაფად გადახედა მას, მაგრამ მალე ისევ სძლია თავს და კითხვა განაგრძო. რასკოლნიკოვი უძრავად იჯდა, უსმენდა, მაგიდაზე დაყრდნობილი სადღაც შორს გაიყურებოდა. ასე ჩაიკითხეს ოცდამეთერთმეტე მუხლამდე.

„ხოლო მარია, ვითარცა მოვიდა, სადა იგი იყო იესო, ვითარცა იხილა იგი, დაჰვარდა ფერხთა მისთა თანა და ჰრქვა მას: უფალო, უკეთუმცა აქა ყოფილიყავ, არამცა მომკვდარიყო ძმა იგი ჩემი. ხოლო იესო, ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ჰსტიროდეს, და მისთანა მოსრულნი იგი ურიანიცა ჰსტიროდეს, შეჰსძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით, და ჰრქვა მათ: სადა დაჰსდევით იგი? ჰრქვეს მას: მოვედ და იხილე. და ჰსცრემლოდა იესოცა. იტყოდეს უკვე ურიანი იგი: აჰა, ვითარ სამე უყვარდა იგი. ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თვალნი ბრმასა, ყოფად რაისამე, რაითამცა ესეცა არა მოკვდა?“

რასკოლნიკოვმა მოიხედა, აღელვებულმა თვალები სონიას მიაპყრო: ასე იყო მართლაც! ნამდვილი ციებიანივით ცახცახებდა სონია. რასკოლნიკოვი ელოდა კიდევ, რომ ასე დაემართებოდა უთუოდ; სონია მიუახლოვდა უკვე დიდებულისა და ჯერ არგაგონილი სასწაულის ამბავს და უცბად რაღაცამ აღაფრთოვანა. ხმა ზარივით დაეწმინდა. აშკარად ეტყობოდა, აღტაცება და სიხარული თანდათან მეტ ძალასა სძენდა. სტრიქონები ებნეოდა, თვალთ უბნელდებოდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა, წასაკითხი ზეპირად იცოდა. უკანასკნელი მუხლის წაკითხვის დროს: „რომელმან აღუხილნა თვალნი ბრმასა...“ - ხმას დაუდაბლა და ამით მხურვალედ გამოხატა საყვედური და გაკიცხვა ურწმუნო და დაბრმავებული ებრაელებისა, რომლებიც სულ ერთი წუთის შემდეგ დედამიწაზე დაემხობოდნენ, ატირდებოდნენ მწარედ და ირწმუნებოდნენ... „და იგიც, იგიც - დაბრმავებული, ურწმუნო - მოისმენს და ირწმუნებს. დიახ, ირწმუნებს! აი, ამ წუთას, ახლავე“, - ოცნებობდა სონია და სიხარულისაგან თრთოდა.

„ხოლო იესო, კვალადცა დანადგლიანებული, მოვიდა საფლავსა მას. ხოლო იყო მუნ ქვები და ლოდი ზედა ედვა მას. ჰრქვა მათ იესო: აღიღეთ ლოდი ეგრე. ჰრქვა მას მართა, დამან მის მკვდრისამან: უფალო, ჰყროდის-ღა, რამეთუ მეოთხე დღე არს“.

და სიტყვა მეოთხე საგანგებოდ მკაფიოდ წარმოთქვა: „ჰრქვა მას იესო: არა გარქვი შენ, ვითარმედ უკეთუ გრწმენეს, იხილო დიდება ღმრთისა. აღიღეს უკვე ლოდი იგი, სადა მდებარე იყო მკვდარი იგი. ხოლო იესო აღიხილნა თვალნი ზეცად და ჰრქვა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა. არამედ ერისა ამისათვის, რომელი გარემომადგეს მე, ვსთქვი, რათა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე. და ესე ვითარცა ჰსთქვა, ხმითა დიდითა ღაღად ჰყო: ლაზარე! გამოვედ გარე. და გამოვიდა მკვდარი იგი, (ხმამალა და აღტაცებით კითხულობდა ათრთოლებული სონია, თან ცივი ჟრუანტელი უვლიდა, თითქოს საკუთარი თვალთ უნახავს ყველაფერი); „შეკრული ხელით და ფერხით სახვეველითა და პირი მისი დაბურვილი იყო სუდართა. ჰრქვა მათ იესო: განხსენით ეგე და უტევით, ვიდოდეს.“

მრავალთ უკვე ურიათაგანთა, რომელნი მოსრულიყვნეს მარია მისსა და მართასსა, იხილეს რომელი იგი ჰქმნა იესო და ჰრწმენა მისა მიმართ“.

მეტი აღარ წაუკითხავს. აღარც შეეძლო წაეკითხა; დაკეცა წიგნი და საჩქაროდ სკამიდან წამოდგა.

- ეს არის სულ ლაზარეს აღდგენაზე, - წარმოთქვა აჩქარებითა და მკაცრად სონიამ და თავი გვერდზე მიიბრუნა, თითქოს შეხედვისა რცხვენოდა. ჯერ ისევ ცახცახი გაჰქონდა. კარგა ხანია მოღრეცილ შანდალში ჩადგმული ნამწვი ჩაქრობაზე იყო. ოდნავი შუქი ნამწვისა მკრთალად ანათებდა ღარიბ ოთახს და მკვლელსა და მეძავს, რომლებიც სამარადისო წიგნის კითხვაში ასე უცნაურად შეერთებულიყვნენ. ასე განვლო ხუთმა თუ ექვსმა წუთმა.

- მე შენთან მოსალაპარაკებლად მოველ, - ჩაილაპარაკა უცბად ხმამაღლა და დაღვრემით რასკოლნიკოვმა, წამოდგა და სონიასთან მივიდა. სონიამ ჩუმად შეხედა. სასტიკი იყო უზომოდ რასკოლნიკოვის გამომეტყველება და რაღაც უკიდურესი გადაწყვეტილების მამხილებელი.

- დღეს ჩვენებს, დედასა და დას, თავი დავანებე, - დაიწყო რასკოლნიკოვმა. - ყოველი კავშირი გავწყვიტე მათთან. უკან აღარ დავბრუნდები.

- რათაო, რისთვის? - ჩაეკითხა ელდანაკრავივით სონია. წელანდელმა მათთან შეხვედრამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა სონიაზე, თუმცა ჯერაც სავსებით ვერ გარკვეულიყო. თავზარდაცემულმა მოისმინა ახლა ეს ამბავი.

- ახლა მარტო შენღა მყევხარ, - დასძინა რასკოლნიკოვმა. - წავიდეთ... იმიტომ მოვედი. ერთნაირად ვართ დაწყევლილები, ერთად წავიდეთ კიდევ!

თვალეები ცეცხლივით ეგზნებოდა. „შეშლილივით იქცევა მართლა!“ - გაიფიქრა თავისთვის სონიამ.

- სად წავიდეთ? - ჩაეკითხა შიშით და უნებურად უკან დაიხია.

- რა ვიცი, სადა? ვიცი მხოლოდ, რომ გზა ერთი გვაქვს, ნამდვილად ვიცი, მორჩა, გათავდა! ერთი გვაქვს ორთავეს მიზანი!

შეჰყურებდა სონია და ვერა გაეგო რა. იცოდა მხოლოდ, რომ რასკოლნიკოვი უზომოდ იყო უბედური.

- ვერც ერთი მათგანი შენსას ვერას გაიგებს, თუნდ ელაპარაკო კიდევ, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი, - მე კი ყველაფერი გავიგე უკვე. ჩემთვის შენ საჭირო ხარ და იმიტომ მოვედი.

- არ მესმის მაინც... - ჩაიჩურჩულა სონიამ.

- მერე გაიგებ. შენც განა იგივე არ მოიმოქმედე? აკი შენც გადალახე... შესძელი გადაგელახა. თვითონ დალუპე შენი სიცოცხლე... (ეგ სულ ერთია!). შეგეძლო სულისა და გონებისათვის გეცხოვრა, ახლა კი სენაზე უნდა ამოგხდეს სული... მაგრამ ვერ შეძლებ ამას და მარტოდ დარჩენილი ჰკუდიდან შეიშლები ისევე, როგორც მე. ახლაც აგერ შეშლილსა ჰგავხარ; მამასადამე, ერთი გვქონია გზა! წავიდეთ!

- რათაო, რისთვის? - ჩაეკითხა კვლავ უცნაურად ადელვებული სონია.

- რათა და იმიტომ, რომ ასე დარჩენა არ შეიძლება, - აი, რისთვის! დრო არის, რიგზე მოისაზრო ყველაფერი და არა ბავშვით იტირო და იყვირო, ღმერთი არ ინებებსო! აბა, მართლაც რა იქნება, ხვალ რომ საავადმყოფოში წაგიყვანონ? კატერინა ივანოვნა შეშლილია, მალე ჭლექიც გადაიტანს, ბავშვებს, ბავშვებს რა ეშველება? ნუთუ გგონია, პოლექკა არ დაიღუპება? არსად გინახავს განა, ქუჩის კუთხეებში როგორა დგანან ბავშვები და მოწყალებას თხოულობენ? დიდებივე ჰგზავნიან მათ. მიკითხია ბევრჯერ, სადა და რა გარემოებაში ცხოვრობენ მათი დედები. ბავშვებს ბავშვებად იქ დარჩენა არ შეუძლიათ. შვიდი წლის ბავშვი უკვე გარყვნილია და ქურდი. მაგრამ ბავშვები ხომ ქრისტეს ხატებას წარმოადგენენ: „მათია სასუფეველი ღვთისა“ [31]. მანვე გვიბრძანა, გვიყვარდეს და პატივსა ვცემდეთ, ვინაიდან ისინი შეადგენენ მომავალ კაცობრიობას...

- რა ვუყო, რა ვქნა? - იმეორებდა სონია, თან ისტერიულად ტიროდა, ხელებს იმტვრევდა.

- რა ქნა? ის, რომ გაწყვიტო სამუდამოდ, რაც გასაწყვეტია და მორჩე: ტანჯვა კი თვითონ იკისრო! რაო? არ გესმის? მერე გაიგებ... თავისუფლება და ძალა, უმთავრესად ძალა, ძალა ყველა შიშით მძრწოლვარე ქმნილებაზე, მთელ ამ ჭიანჭველებით მოფუთფუთე ხალხზე!.. აი, მიზანი! დაიხსომე! ეს იყოს ჩემი დალოცვაც და დარიგებაც! იქნებ უკანასკნელადაც გელაპარაკებოდე. თუ ხვალ არ მოვიდე, ყველაფერს თვითონ გაიგონებ; მოიგონე მაშინ, რაც გითხარი. ოდესმე, შემდეგ, წლები და ხანი რომ გაივლის და ცხოვრებას გაიცნობ, გაიგებ იქნებ ჩემს ნათქვამს. მაგრამ თუ მოვალ ხვალ, გეტყვი, ვინ მოკლა ლიზავეტა. მშვიდობით!

შემინებული სონია კანკალმა აიტანა.

- მერე, განა იცით, ვინ მოკლა? - ჩაეკითხა შიშისაგან გაციებული, თან გადარეულივით შეჰყურებდა.

- ვიცი და გეტყვი კიდევ... მაგრამ მარტო შენ! იმიტომ, რომ შენ აგირჩიე. პატიებას კი არა გთხოვ, არა, ისე გეტყვი, უბრალოდ. დიდი ხანია, რაც აგირჩიე, რომ მეთქვა შენთვის, ეს იყო ჯერ ისევ მაშინ, მამაშენი რომ შენს ამბავს მიაშობდა და ლიზავეტაც ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მაშინვე ვიფიქრე. მშვიდობით, მაგრამ ხელს ნუ გამომიწვდი. ხვალამდის!

და გავიდა. როგორც შეშლილს, ისე უყურებდა სონია, მაგრამ თვითონაც შეშლილივით იყო; და თვითონვე გრძნობდა, რომ ასე იყო. თავბრუ ეხვეოდა. „ღმერთო! საიდან იცის, ვინ მოკლა ლიზავეტა? რას ნიშნავდა მისი სიტყვები? საშინელებაა ეს!“ მაგრამ ის ფიქრად სულაც არ მოსდიოდა. არა და არა!.. „ოჰ, უთუოდ უბედური უნდა იყოს მეტად!.. დედა და და მიუტოვებია. რისთვის? რა იყო? ან რა აქვს ნეტა განზრახული? რა უთხრა ეს? ფეხზე აკოცა და უთხრა... უთხრა (დიახ, ნათლად და გარკვევით უთხრა), რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია... ოჰ, ღმერთო!“

სონია მთელი ღამე ციებიანივით ბოდავდა. დროდადრო წამოხტებოდა მძინარე, ტიროდა, ხელებს იმტვრევდა; ხან კი ისევ მიემინებოდა მოუსვენრად, პოლექკა, კატერინა ივანოვნა, ლიზავეტა, სახარების კითხვა და სხვა ესიზმრებოდა...

ეზმანებოდა ისიც... თვალეზანთებული, ფერმიხდილი... როგორ ჰკოცნიდა ფეხზე და ტიროდა... ოჰ, ღმერთო!

კარს უკან, მარჯვნივ, იმ კარს უკან სწორედ, რომელიც სონიას ბინასა ჰყოფდა ჰერტრუდა კარლოვნა რესლიხის ბინისაგან, ოთახი ცარიელი იყო. ეს შუა ოთახი რესლიხის ბინას ეკუთვნოდა და ქირავდებოდა, რასაც მოწმობდა ალაცაფის კარზე და ფანჯრებზე გაკრული განცხადებები. დიდი ხანია სონია ცარიელად თვლიდა ამ ოთახს. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მთელი ეს ხანი ბ-ნი სვიდრიგაილოვი ცარიელ ოთახში იდგა თურმე კართან და სულგანაბული ყურს უგდებდა. გავიდა თუ არა რასკოლნიკოვი, ცოტა ხანს კიდევ იდგა და რაღაცას ფიქრობდა, შევიდა მერე თითის წვერებზე, ფრთხილად თავის ოთახში, რომელიც იქვე, ცარიელი ოთახის გვერდით იყო, აიღო სკამი და ცარიელ ოთახში შეიტანა უჩუმრად, კართან დადგა. ლაპარაკი მეტად საყურადღებო ეჩვენა და მოეწონა კიდევ, - იქამდის მოეწონა, რომ შემდეგისათვის სკამიც კი დაიმზადა, რათა მთელი საათი კიდევ ფეხზე არ მდგარიყო და მოხერხებულად მოწყობილს სიამოვნებით ესმინა ეს მოულოდნელი ამბები.

V

მეორე დღეს დილით, სრულ თერთმეტ საათზე, რასკოლნიკოვი პოლიციის ნაწილში მივიდა გამომძიებლის განყოფილებაში და სთხოვა, პორფირი პეტროვიჩისათვის მოეხსენებინათ. საშინლად გაიოცა, როცა დიდხანს აცდევინეს: თითქმის ათ წუთზე მეტი გავიდა, სანამ დაუძახეს. მისი ანგარიშით კი თითქოს იმავე წამს უნდა სცემოდნენ. იდგა მისაღებ ოთახში და გვერდით, ვინ იცის, ვინ არ უვლიდა; არავინ ყურადღებას არ აქცევდა. იქვე, გვერდით, ოთახში, რომელიც კანცელარიასა ჰგავდა, გადამწერლები ისხდნენ, მუშაობდნენ; ეტყობა, არც ერთ მათგანს აინუნში არც კი მოსდიოდა, ვინ ან რა იყო რასკოლნიკოვი. თვითონ კი მოუსვენრად და ეჭვის თვალით იყურებოდა გარშემო: გვერდით კაცი არ მიდგეს დარაჯად, ან თვალს ხომ არავინ მადევნებს, არსად გავიპარო? მაგრამ არაფერი ამგვარი არა ჩანდა რა: ხედავდა მხოლოდ საქმისა და წვრილმანი ზრუნვისაგან რეტდასხმულ მოსამსახურეებს და ვიღაც-ვიღაცა მიმსვლელ-მიმსვლელებს, რომლებსაც მასთან არა ესაქმებოდათ რა: ოთხივე მხარეს გზა ჰქონდა თავისუფალი, შეეძლო, საითაც უნდოდა, წასულიყო. თანდათან მეტად რწმუნდებოდა, რომ საიდუმლოებით მოცულ გუშინდელ კაცს, აჩრდილივით რომ აედევნა საიდანღაც, მართლაც რომ ენახა და სცოდნოდა რამე, უთუოდ ასე თავისუფლად დგომისა და ცდის ნებას აღარ მისცემდნენ. ან მოაცდევინებდნენ განა თერთმეტ საათამდის, რომ თავისი ნებით მოზრძანებულიყო გამოსაცხადებლად? აქედან გამოდიოდა, მაშასადამე, რომ ან იმ კაცს არა დაესმინა რა ჯერ, ან არადა... არა იცოდა და არცთუ ენახა რამე თავისი თვალით (ან კი როგორ უნდა ენახა?). მაშასადამე, გუშინდელი ამბავიც მხოლოდ მისივე, რასკოლნიკოვის სწეული ოცნების ნაყოფი იყო. ამას გუშინვე მიხვდა და თანდათან მეტად რწმუნდებოდა, როდესაც საშინლად შფოთავდა და ღელავდა. ახლა კი, როცა ყველა ეს მოფიქრებული ჰქონდა და ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა, უცბად იგრძნო, რომ კანკალებდა, რისხვითაც კი აივსო იმ ფიქრით, რომ საზიზღარი პორფირი პეტროვიჩისა ეშინოდა. ყველაზე მეტად კი ამ კაცთან ხელახლა შეხვედრა ესაზარლებოდა: უზომოდ სძულდა იგი, იქამდის უზომოდ, რომ ეშინოდა ამ ზიზღსა და სიძულვილს არ გაეცა. მაგრამ ძლიერმა ზიზღმა და გულისწყრომამ კანკალი უცბად გადაუგდო; ბოლოს გადაწყვიტა შესულიყო გულცივად, კადნიერად და

თითქმის სულ არ ამოედო ხმა, ეცქირნა მხოლოდ და ყური ეგდო, იოტის ტოლადაც არ აღელვებულყო. ახლა მაინც დაეძლია თავისი ჩვეულებრივი ავადმყოფური ბლიზიანობა. სწორედ ამ დროს პორფირი პეტროვიჩთან მიიხმეს...

აღმოჩნდა, რომ პორფირი პეტროვიჩი მარტო ყოფილიყო კაბინეტში. კაბინეტად ჰქონდა საშუალო, უბრალოდ მოწყობილი ოთახი; მუშამბაგადაკრული დივნის წინ დიდი საწერი მაგიდა იდგა, აქეთ - ბიურო, კუთხეში - კარადა და რამდენიმე სკამი. ყველა ეს სახაზინო ავეჯი იყო, ყვითლად გაკრიალებული ხისა. უკანა კედლის კუთხეში, ტიხრის უკან, კარი იყო გამოჭრილი და გამოკეტილი: იმას იქით კიდევ რაღაც სხვა ოთახები უნდა ყოფილიყო. შევიდა თუ არა რასკოლნიკოვი, პორფირი პეტროვიჩმა მაშინვე მიხურა კარი; მარტონი დარჩნენ. გარეგნულად მეტად მხიარულად და ალერსიანად დაუხვდა პორფირი სტუმარს, მოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ ნათლად შენიშნა რასკოლნიკოვმა, თითქოს როგორღაც აიბნა, - გეგონებოდათ, ეს არის, რაღაც საიდუმლოზე მიატანესო.

- ოჰ, უპატივცემულესო! ძლივს თქვენც... არ გხედავთ ჩვენთან... - დაიწყო პორფირი პეტროვიჩმა და ორთავე ხელი გაუწოდა. - დაბრძანდით, ჩემო კეთილო, გეთაყვა! იქნებ არ გიყვართ უპატივცემულესად რომ მოგიხსენიეთ და... კეთილო გიწოდეთ, - ასე tout court?[32] ფამილარობად ნუ ჩამითვლით, გეთაყვა... აი, აქეთ, დივანზე.

რასკოლნიკოვი დაჯდა, პორფირისათვის თვალი არ მოუშორებია.

„ჩვენთან გხედავთო“, ეს მობოდიშება, ფამილარობად ნუ ჩამითვლითო, ფრანგული „tout court“ და სხვა და სხვა - ყველა ერთად დამახასიათებელი რამ იყო უთუოდ. „შემოსვლისას ორთავე ხელი გამომიწოდა, მაგრამ აღარც ერთი არ მომცა, უკან წაიღო ისევ“, - გაიფიქრა რატომღაც ეჭვით. ორივენი გაფაციცებით ადევნებდნენ ერთმანეთს თვალყურს, მაგრამ შეხედავდნენ თუ არა, ელვის სისწრაფით ისევ არიდებდნენ მზერას.

- ეს განცხადება მოგიტანეთ... საათის თაობაზე... აი! კარგადაა დაწერილი, თუ გადაწერა დასჭირდება?

- რაო? განცხადებაო? ჰო, ჰო, ნუ სწუხართ. აგრეა, აგრე, - ჩაილაპარაკა პორფირი პეტროვიჩმა ისე, თითქოს სადღაც მიეჩქარებო, მერე გამოართვა და თვალი გადაავლო. - დიახ, ასეა. მეტი არა უნდა რა, - დასძინა ისევ ისე აჩქარებით და ქალღიმილი მაგიდაზე დადო.

მერე, ერთი წუთის შემდეგ, სხვა საგანზე ლაპარაკის დროს, აიღო ისევ და მაგიდიდან ბიუროზე გადადო.

- თქვენ, ვგონებ, მითხარით გუშინ, რომ გინდოდათ დაგეკითხეთ... ფორმალურად... რა ნაცნობობა მქონდა... მოკლულთან? - დაიწყო ისევ რასკოლნიკოვმა, - „რად ჩავურთე ნეტა ვგონებ-მეთქი? - გაიფიქრა უცბად, - მაგრამ რად ვწუხვარ ასე, რომ ვგონებ ჩავურთე?“ - გაუელვა მაშინვე ხელახლა.

და იგრძნო უცბად, რომ პორფირისთან შეხვედრამ პირველ სიტყვასა და შეხედვაზევე ეჭვები საზარლად გაუზარდა... და რომ ეს საშინლად სახიფათო იყო: ნერვები ეშლებოდა, თანდათანობით მეტად ღელავდა. „ცუდია! ცუდი!.. კიდევ წამომცდება რამე უთუოდ“.

- დიახ, დიახ, დიახ! ნუ სწუხართ! დრო დიდია, დიდი, - ბუტბუტებდა პორფირი პეტროვიჩი და თან მაგიდის წინ გადი-გამოდოდა, მაგრამ რატომღაც უაზროდ და უმიზნოდ, ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ხან ბიუროსთან, ხან ისევ მაგიდასთან; თან რასკოლნიკოვის ეჭვიან შეხედვასაც ერიდებოდა; ხან კი შედგებოდა ერთ ადგილას და დაჟინებით აშტერდებოდა, ჯიქურ. მეტად უცნაურად მოჩანდა დამრგვალებული და ჩასუქებული პორფირი, წარამარა სირბილის დროს რომ კედლებსა და კუთხეებს ბურთივით ასკდებოდა.

- მოვესწრებით, მოვესწრებით!.. პაპიროსს არ ეწევით? გაქვთ თუ არა? აი, ინებეთ, - განაგრძობდა პორფირი და თან პაპიროსს სთავაზობდა. - იცით რა, აქ მიგიღეთ, მაგრამ ჩემი ბინა აქვე, ტიხარს იქით არის... სახელმწიფოა, დროებით კი დაქირავებულ ბინაზე ვცხოვრობ. ზოგიერთი რამ შესაკეთებელი და შესასწორებელი იყო. ახლა თითქმის მზადაა უკვე... სახელმწიფო ბინა კარგი რამ არის, არა? როგორ გგონიათ?

- დიახ, დიახ, კარგი რამ არის, - უპასუხა რასკოლნიკოვმა და თითქმის დაცინვით შეხედა.

- კარგი რამ არის, კარგი რამ... - გაიმეორა კვლავ პორფირი პეტროვიჩმა, თითქოს უცბად სხვა რაღაზედაც ჩაფიქრდაო.

- დიახ, კარგი რამ არის! - შეჰყვირა თითქმის ბოლოს, ორ ნაბიჯზე გამოეჭიმა რასკოლნიკოვს და უცბად თვალები დააშტერა.

ეს მრავალგზისი სულელური გამეორება, რომ სახელმწიფო ბინა კარგი რამ არის, ეწინააღმდეგებოდა და არ უდგებოდა იმ დარბაისლურ და დაფიქრებულ, უცნაურ გამომეტყველებას, რომელიც ახლა აღბეჭდვოდა სახეზე პორფირის, სტუმარს რომ შეჰყურებდა.

ეს იყო მიზეზი, რამაც უარესად გააბოროტა რასკოლნიკოვი. თავი ველარ შეიმაგრა, რომ საკმაოდ წინდაუხედავად და მოურიდებლად არ დაეცინა.

- იცით რა, - შეეკითხა უცბად კადნიერად და ისე შეაცქერდა, თითქოს თავისივე კადნიერებით ტკებოდა. - არსებობს, ვგონებ, ერთგვარი იურიდიული წესი, ანუ იურიდიული ხერხი, ყველა გამომძიებლისათვის ერთნაირად საჭირო და სახელმძღვანელო, რომ ჯერ შორიდან და უბრალოდ დაიწყონ საქმე, თუნდაც საყურადღებო კითხვიდანაც, მაგრამ შორეულიდან, რა არის, ამით როგორმე გაამხნევონ ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაართონ ადამიანი, მიაძინონ მისი სიფრთხილე და მერე კი უცბად და მოულოდნელად მიახლოონ სახიფათო კითხვა. ასეა თუ არა? ვგონებ, ყოველგვარ წესებსა და დარიგებაში წმინდადაა იგი დაცული?

- აგრეა, აგრე... გგონიათ მაშ, სახელმწიფო ბინაზე განგებ დავიწყე ლაპარაკი, რომ... ჰა?
- პორფირი პეტროვიჩმა თვალი მოჭუტა, ჩაუკრა; რაღაც მხიარულმა და ცბიერმა იერმა გადაურბინა სახეზე, ნაოჭები გაეშალა, შუბლი გაეხსნა, თვალები მოეჭუტა და უცბად ნერვიულად და ხანგრძლივად ახითხითდა. მთელი ტანი უთახთახებდა და რასკოლნიკოვს შეჰყურებდა თვალებში. რასკოლნიკოვმაც ძალა დაიტანა და ოდნავ ჩაიცინა; მაგრამ დაინახა თუ არა ეს პორფირი, ისე ჩაბჭირდა უცბად, მთლად ჭარხალივით გაწითლდა. ველარ შეიმაგრა მაშინ თავი რასკოლნიკოვმა და უცბად დაკარგა მოთმინება და სიფრთხილე: შეწყვიტა სიცილი, მოიღუშა და დიდხანს

სიძულვილით უცქეროდა პორფირის, რომელიც თითქოს განგებ აღარ ათავებდა სიცილს. ორივე მხარეს აშკარა მოურიდელობა ეტყობოდა: გამოდიოდა, რომ პორფირი პეტროვიჩი პირდაპირ დასცინოდა თავის სტუმარს, რომელიც თავის მხრივ ზიზღითა და სიძულვილით ეგებებოდა ამ სიცილს; მაგრამ პორფირი ამას არადა აგდებდა. ეს კი დიდად საყურადღებო იყო რასკოლნიკოვისათვის: მიხვდა, რომ წელანაც პორფირი პეტროვიჩი სულაც არ ერიდებოდა და პირიქით, იქნებ თვითონ რასკოლნიკოვი გაება მახეში; რომ აქ აშკარად არსებობს რაღაც ისეთი, რაც მან, რასკოლნიკოვმა, არ იცის; რომ იქნება ყველაფერი მომზადებულია უკვე და ახლავე გამოირკვევა, მეხივით თავს დაატყდება...

ადგა ამიტომ და პირდაპირ საქმეს შეუდგა, ქუდს დაავლო ხელი: - პორფირი პეტროვიჩ, - დაიწყო მან გადაწყვეტით, მაგრამ საკმაოდ გულმოსულად, - გუშინ თქვენ სურვილი განაცხადეთ, რომ რაღაცა ჩვენებისათვის მოვსულიყავი (საგანგებოდ წარმოთქვა სიტყვა: ჩვენებისათვის). აგერ მოვედი. გთხოვთ ამიტომ, თუ გაქვთ რამე გამოსაკითხი, მკითხოთ, არადა, ნება მომეცით, წავიდე. არა მცალია, საქმე მაქვს... უნდა დავესწრო დასაფლავებას ცხენებისაგან გასრესილი იმ მოხელისა, რომელიც... თქვენც მოგეხსენებათ... - დასძინა, მაგრამ გაჯავრდა იმავე წამს, რომ ასეთი განმარტება გაუკეთა და მაშინვე კიდევ უფრო მეტად აეშალა ძარღვები. - ყველა ეს უკვე მომბეზრდა, გესმით თუ არა, მომბეზრდა დიდი ხანია... ერთი მხრივ თითქმის ამიტომაც ვიყავ ავად... ერთი სიტყვით, - შეჰყვირა თითქმის გულმოსულმა, რადგან იგრძნო, რომ ავადმყოფობაც უალაგოდ ჩაურია, - ერთი სიტყვით, ან ახლავ მკითხეთ, რაც გინდათ, ან არადა გამიშვით, ნულარ მაცდენთ... მაგრამ მკითხეთ, თუ კითხვა გინდათ, წესის მიხედვით! უამისოდ ნებას არ მოგცემთ. ახლა კი მშვიდობით, რადგან საქმე ჩვენ ამჟამად არა გვაქვს რა.

- ღმერთო! რას ამბობთ მაგას! რა უნდა გითხრათ, - აკაკანდა უცბად პორფირი პეტროვიჩი და კილოც, გამომეტყველებაც მაშინვე გამოეცვალა, იმავე წამს სიცილიც შეწყვიტა, - ნუ სწუხართ, გეთაყვა, ნუ, - აშოშმინებდა რასკოლნიკოვს, თან დროდადრო ისევ კედელ-კუთხეს ეხლებოდა და სთხოვდა დამჯდარიყო, - დრო ბევრი გვაქვს, რა გვეჩქარება. ყველაფერი ეს უბრალო რამ არის!.. პირიქით, ისე მიხარია, რომ ძლივს ჩვენკენაც გამოიარეთ... როგორც სტუმარს, ისე გიღებთ. ეს სიცილი კი, წყეული და შეჩვენებული, მაპატიეთ, როდიონ რომანოვიჩ, მაპატიეთ, ჩემო კეთილო! როდიონ რომანოვიჩი ბრძანდებით ხომ? აგრე გიქვიათ მამას, არა?.. ნერვები მაქვს აშლილი, საშინლად მოსწრებულად დამცინეთ, გამაცინეთ სწორედ! ზოგჯერ რომ სიცილი ამიტანს, მთელი ნახევარი საათი ბნედიანივით ვთრთი და ვკანკალებ... უბრალოზე ვიცი სიცილის ატეხა. მეშინია კიდევ, დამბლა არ დამეცეს სიმსუქნის გამო. დაბრძანდით, გეთაყვა, რასა დგახართ? გთხოვთ, გეთაყვა, თორემ მეგონება, გაჯავრდით...

რასკოლნიკოვი ჯერ ისევ განრისხებული და მოღუშული უგდებდა ყურს; დუმდა. დაჯდა ბოლოს, მაგრამ ქუდი აღარ დაუდვია.

- მე, იცით, როდიონ რომანოვიჩ, ერთი რამ უნდა გითხრათ ჩემს თავზე, ისე, დასახასიათებლად, - ეუბნებოდა პორფირი პეტროვიჩი და თან ოთახში დარბოდა, წელანდელივით პირდაპირ თვალებში შეხედვას ერიდებოდა. - მე უცოლშვილო, მარტო ვაჩი ვარ, ხალხში გამოუსვლელი და ყველასათვის უცნობი, თანაც უკვე ჩამოყალიბებული, ვედარაფერი შემცვლის, გვამი მომდგამს ასეთი... მერე არ

შეგინიშნავთ, როდიონ რომანოვიჩ, რომ როდესაც ჩვენში, რუსეთში, უფრო კი პეტერბურგის წრეებში, ორი ჭკვიანი, ჯერ კიდევ დაუახლოებელი ნაცნობი, მაგრამ ერთმანეთის პატივისმცემელი კაცი ერთად მოხვდება სადმე, აი, როგორც ჩვენ, მაგალითად, მთელი ნახევარი საათი ჩუმად სხედან, სალაპარაკო საგანს ვერ პოულობენ, ერთმანეთისა ერიდებათ. ყველას მოეპოვება სალაპარაკო საგანი, მანდილოსნებსაც, მაგალითად... მაღალი საზოგადოების კაცებსაც. c'est de rigueur[33], მაგრამ საშუალო წრის ხალხი კი, როგორც ჩვენ ვართ, დიდხანს ვერ პოულობს სალაპარაკო საგანს, ირცხვენს, მორიდებულია... ესე იგი, ის ხალხი, რომელიც მეტწილად გონებით მუშაობს. რად ხდება ასე, ჩემო ბატონო? საზოგადოებრივი ინტერესები არა გვაქვს, თუ რა არის, ან პატიოსნები ვართ მეტად და ერთმანეთის მოტყუება არ გვინდა? არ ვიცით. ჰა? როგორ გგონიათ? ეს ქუდი კი იქით გადადეთ, თორემ მგონია, ეს არის წასვლას აპირებს-მეთქი, უხერხულია სწორედ... მე, პირიქით, ისე მიხარია, რომ...

რასკოლნიკოვმა ქუდი დადო, მაგრამ ისევ ისე ჩუმად და მოლუშულად უგდებდა ყურს პორფირის უაზროსა და უთავბოლო ყბედობას. „რა უნდა ნეტა? მართლა ამ სულელური ყბედობითა სურს გამართოს, გამაბრუოს, თუ რა არის?“

- ყავაზე არა გთხოვთ, დრო არაა და არც ადგილი, მაგრამ ხუთი წუთით მეგობართან თავის გასართობად ლაპარაკი არ შეიძლება განა? - ფქვავდა დაულაღავად პორფირი. - იცით მერე, ამ სამსახურის მოვალეობამ... მაგრამ ნუ იწყენთ, ჩემო კეთილო, რომ სულ ასე წინ და უკან დავდივარ; ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, მეშინია, არა გაწყენინოთ რა, ჩემთვის კი სიარული მეტად საჭიროა... მინდა გიმნასტიკით დავიწყო წამლობა; ამბობენ, „სტატსკი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები“, თითქმის „ტაინი სოვეტნიკებიც“ კი ხალისიანად ხტებიანო თოკზე; ხედავთ, რასა შერება ჩვენს დროში მეცნიერება?... ასე მაშ... რაც შეეხება აქაური მოვალეობის შესრულებას, გამოძიება-ჩვენებასა და ყველა ამ ფორმალურობას... აი, ჩემო კეთილო, თქვენვე ინებეთ ახლა ჩვენებაზე ლაპარაკი... იცით, მართლა, რომ ზოგჯერ თვითონ გამომძიებელს ეს ამბები უფრო მეტად აუბნევს ხოლმე აზრებს, ვიდრე ჩვენების მიმცემს... ეს თქვენ, როდიონ რომანოვიჩ, სრულიად სამართლიანად და მოსწრებულად შენიშნეთ ახლა (არაფერი ამგვარი რასკოლნიკოვს არ შეუნიშნავს). იბნევი! იბნევი სწორედ! სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე მეორდება! აგერ, ახლა ცვლილებები შემოაქვთ და, მაღლობა ღმერთს, სახელით მაინც გამოვიცვლებით, ხე-ხე-ხე! რაც შეეხება ჩვენს იურიდიულ ხერხებს, - როგორც მოსწრებულად შენიშნეთ, - აქაც სრულიად გეთანხმებით. მითხარით, გეთაყვა, ვიღამ არ იცის ახლა, თუნდაც ბერყეტა გლეხი ავიღოთ, მაგალითად, რომ ჯერ გარეშე და უბრალო კითხვებით გაართობენ (როგორც თქვენ ინებეთ ბრძანება) და მერე უცბად მიახლიან პირში, დაარეტიანებენ, რომ გამოსტეხონ! ხე-ხე-ხე! დიახ, კარგად მოგივიდა ეგ შედარება! მაშ აგრე, გეგონათ, ბინაზე ლაპარაკით მინდოდა... ხე-ხე-ხე! ძალიან გყვარებით დაცინვა. მაგრამ კმარა, აღარას ვიტყვი! მაგრამ ეჰ, ერთი სიტყვა მეორეს იწვევს, აზრი - აზრს. მართლა, წელან თქვენვე ახსენეთ ფორმა, აი, ჩვენებზე რომ ლაპარაკობდით... აბა, ფორმა რას იზამს ან კი! ბევრ შემთხვევაში ფორმა მხოლოდ სისულელეა. ზოგჯერ ისე, მეგობრულად მოელაპარაკები და სამჯობინოც არის. ფორმა არსად გაგვექცევა, ნუ გეშინიათ; მაგრამ ან კი რა არის ფორმა, მითხარით, გეთაყვა? არ შეიძლება გამომძიებელი თითოეული ნაბიჯის გადადგმაზე ფორმით შევზღუდოთ. გამომძიებლის საქმე, მოგეხსენებათ, თავისუფალი ხელოვნებაა თითქმის, ან ამის მსგავსი რამ... ხე-ხე-ხე-ხე!

პორფირი პეტროვიჩმა ერთ წამს სული მოიბრუნა. ენას არ აჩერებდა, ლაქლაქებდა სრულიად უაზროდ, ხან შიგადაშიგ რაღაც საეჭვო სიტყვებს აპარებდა; მერე ისევ უაზრო ყბედობას მოჰყვებოდა. ახლა კი თავჩალუნული თითქმის დარბოდა ოთახში და მარდად აბიჯებდა თავის ჩასუქებულ ფეხებს. მარჯვენა ხელი წელზე შემოედო, მარცხენას ერთთავად აქეთ-იქით აქნევდა, მაგრამ ისე კი, ნალაპარაკების შინაარსს სრულიად არ შეეფერებოდა. რასკოლნიკოვმა უცბად შენიშნა, რომ ამ სირბილის დროს ერთი ორჯერ თითქოს კართან შედგა პატარა ხნით და ყური მიუგდო...

„ელის ვისმე ნეტა თუ რა არის?“ - გაიფიქრა თავისთვის.

- ამაში კი მართალი ხართ სწორედ, - განაგრძო კვლავ მხიარულად პორფირიმ და თან არაჩვეულებრივ გულმართლად დაუწყო ცქერა რასკოლნიკოვს (ეს იყო მიზეზი, რომ შეკრთა უცბად რასკოლნიკოვი, მყის მოემზადა), - მართალი ხართ სწორედ, რომ იურიდიული ფორმები ასე სასაცილოდ აიგდეთ, ხე-ხე-ხე! (ზოგიერთი, რასაკვირველია) ჩვენი ღრმა ფსიქოლოგიური ხერხიც სასაცილოა მეტად და თითქმის უსარგებლოც, თუ ფორმით შევზღუდეთ მეტად. დიახ... ფორმას ვეხები მაინც: ვთქვათ, ვინმე დამნაშავედ მიმაჩნია, ან ეჭვი მაქვს რომელიმე საგნის გამო ამა თუ იმ კაცზე მიტანილი... თქვენც ხომ ვექილად ემზადებით, როდიონ რომანოვიჩ?

- დიახ, ვემზადებოდი...

- აი, მაშ, მაგალითიც მომავლისათვის, - ესე იგი, ნუ კი იფიქრებთ, ვითომ გასწავლიდეთ! თქვენ არა ხართ, დანაშაულის თაობაზე ისეთ წერილებს რომ ბეჭდავთ! არა, ისე მსურს ფაქტის მაგვარი მაგალითი გაგაცნოთ, - ვთქვათ, აი მე რომ ახლა რომელიმე კაცს დამნაშავედა ვთვლიდე, მითხარით, გეთაყვა, რისთვის შევაწუხებ ადრევე, თუნდა გამამტყუნებელი რამ საბუთიც მქონდეს? მოვალე ვარ, ზოგიერთი მაშინვე დავაპატიმრო, მაგრამ ზოგი ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება დავაცალო კიდეც, ისეირნოს ქალაქში, ხე-ხე-ხე-ხე! მაგრამ ვხედავ, კარგად ვერ გაიგეთ ნათქვამი. ვეცდები, ნათლად დაგიხატოთ: ძალიან ადრე რომ ჩავსვა, მაშინ ხომ ზნეობრივ ნიადაგს გავუმტკიცებ, ხე-ხე-ხე! იცინით? (არც უფიქრია რასკოლნიკოვს; იჯდა ტუჩებმოკუმული და აღზნებული თვალები პორფირისათვის მიეპყრო). ზოგიერთზე მაინც ხომ ასეა ხოლმე სწორედ, იმიტომ, რომ ხალხი მეტად მრავალგვარია, პრაქტიკა კი ყველასათვის ერთი. აი, გამამტყუნებელ საბუთებზე ინებეთ ლაპარაკი; დიახ, მაგრამ ეს ეჭვი და გამამტყუნებელი საბუთებიც რომ ზოგჯერ მხოლოდ ორპირია, თითქმის ასეა მეტწილად. მე კი გამომძიებელი ვარ მხოლოდ, მამასადამე, სუსტი ადამიანი. არ დაგიმალავთ და ვიტყვი კიდეც, რომ მუდამ მინდა გამომძიება ზუსტად გამოანგარიშებულად წარმოვიდგინო, ვცდილობ, ისეთი მამხილებელი რამ საბუთი ვიპოვო, ორჯერ ორი რომ ოთხია, ამასა ჰგავდეს! პირდაპირსა და უეჭველ დამტკიცებასა ჰგავდეს! ადრე რომ ჩავსვა კი, - თუნდაც დარწმუნებულები ვიყო კიდევაც, რომ ის არის დამნაშავე, - ამითი იარაღს წავართმევ საკუთარ თავს, ველარ შევძლებ საქმის გამორკვევას, რატომ? იმიტომ რომ გარკვეულ მდგომარეობაში ჩავაყენებ და ფსიქოლოგიურად დავამშვიდებ; მაშინვე ხელიდან წამივა, გულს ჩაიხვევს: მიხვდება ბოლოს, რომ დაპატიმრებულია. ამბობენ, აგერ, სევასტოპოლში, ალმას შემდეგ, ჭკვიანი კაცები საშინლად იყვნენ შეშინებულები[34], ეგონათ, მოვა მტერი პირდაპირი იერიშით და უცბად აიღებს სევასტოპოლსაო; მაგრამ რომ ნახეს, მტერმა ალყა ამჯობინა, მაშინ კი გაიხარეს და დამშვიდდნენ, რადგანაც ალყის შემორტყმით, სულ ცოტა, ორ თვეზე ადრე ვერ აიღებდნენ. კიდეც იცინით, არ

გჯერათ კიდე? რასაკვირველია, თქვენც მართალი ხართ, მართალი! ყველა ეს კერძო შემთხვევაა, გეთანხმებით; წარმოდგენილი შემთხვევა მართლაც კერძო შემთხვევაა! მაგრამ აი, რა არის, ჩემო როდიონ რომანოვიჩ, ყურადღების ღირსი: ზოგადი შემთხვევა, რომელზედაც ყველა იურიდიული ფორმა და წესია გამოჭრილ-გამოანგარიშებული და სახელმძღვანელოდ ჩაწერილი, ნამდვილად არც კი არსებობს სრულებით; იმიტომ, მაგალითად, რომ როგორც კი რომელიმე საქმე ან დანაშაული მოხდება, მაშინვე კერძო შემთხვევად იქცევა იგი; მერე ისიც ზოგჯერ როგორ შემთხვევად; არაფრით წინანდელს არა ჰგავს. ზოგჯერ მეტად სასაცილო ამბები ხდება ხოლმე ასე. ავიღე, მაგალითად, და მარტოდმარტო დავტოვე რომელიმე ვაჟბატონი: არც დავაჭერინე, არც სხვაფრივ შევაწუხე როგორმე, მაგრამ იცოდეს კი, ან ეჭვი ჰქონდეს მარტო, რომ ყველაფერი ვიცი მისი, ყოველ ჟამსა და წუთს თვალყურს ვადევნებ, ერთთავად ვდარაჯობ, და ასე მყავდეს მუდამ ეჭვსა და შიშში, ღმერთს გეფიცებით, დაიბნევა და თვითონ მოვა, ან ჩაიდენს ისეთ რამეს, რაც ორჯერ ორია ოთხს ეგვანება, ესე იგი ანგარიშს სრულიად გამიმართლებს, - ეს კი სასიამოვნოც არის. შეიძლება ასე დაემართოს თვით ბრიყვ გლეხსაც კი, თორემ რაც შეეხება ჩვენს მოძმეს, თანამედროვე ჭკვიან ადამიანს, ის ხომ სულ თავს ვერ დააღწევს! მით უფრო, თუ განვითარება აქვს ისეთი. იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ადამიანის განვითარებასაც გაგება უნდა, რა მხრივ არის მიმართული. ახლა ნერვები! ეს კი დაგავიწყდათ! ხომ ყველას დასწეულელებული, აშლილი და დასუსტებული გვაქვს!.. ახლა ბალღამი და ნაღველი რამდენია დაგუბებული! ეს ხომ მართლაც მადანია თავისებური და უძირო! არა, ან კი რა მენაღვლება, თუ თავისუფლად დადის ქალაქში! დე, ისეირნოს, ვიდრე დრო აქვს. უიმისოდაც ხომ ვიცი, ჩემი მსხვერპლია და ვერსად წამივა! ან კი სად უნდა წამივიდეს, ხე-ხე-ხე! საზღვარგარეთ გამექცევა? საზღვარგარეთ პოლონელი გამექცევა, ის კი არა, მით უმეტეს, რომ იცის, თვალყურს ვადევნებ, ღონისძიება ნახმარი მაქვს. შუაგულ რუსეთში გადიხვეწება? იქ ხომ ნამდვილი რუსი მუტრუკები ცხოვრობენ; თანამედროვე განვითარების კაცი კი უფრო ადვილად საპატიმროს ირჩევს, ვიდრე რუს მუტრუკებისთანა უცხოელებთან ცხოვრებას, ხე-ხე-ხე! მაგრამ ყველა ეს გარეგანია და სისულელე. რა არის: გაიქცევა! ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა; უმთავრესი ეს როდია; იმიტომ კი არ გამექცევა, რომ არ შეეძლება; არა. ვერ გამექცევა ფსიქოლოგიურად, ხე-ხე-ხე! როგორ მოგწონთ ეს სიტყვა, ჰა? ბუნების კანონი შეუკრავს ხელ-ფეხს, თუნდაც გასაქცევი ადგილიც მოემბნებოდეს. არ გინახავთ, პეპელა როგორ ევლება თავს სანთელს? ისიც პეპელასავით ერთთავად ჩემ გარშემო იტრიალებს; თავისუფლება უარესად დაამწარებს, ფიქრი გასტანჯავს, ააბნევს, ობობასავით თავისთავად ქსელში გაებმის, გაწამდება და ჯვარზე ეცმება!.. კიდევ მეტი: თვითონვე გამიმზადებს ორჯერ ორი ოთხიას მაგვარ რამე მათემატიკურ ოინს, - ოღონდ ანტრაქტი გავუგრძელო... ისევ ისე ჩემ გარშემო იტრიალებს, თანდათან დამიახლოვდება და უცბად - თხლამ! პირდაპირ პირში ჩამივარდება, და მეც გადავყლაპავ; ეს კი მეტად სასიამოვნოა, ხე-ხე-ხე! ა რ გჯერათ?

რასკოლნიკოვს პასუხი არ გაუცია, იჯდა ჩუმად და უძრავად, გაფითრებული და ისევ ისე ღრმა ყურადღებით აკვირდებოდა პორფირის სახეს.

„კარგი გაკვეთილია! - ფიქრობდა და თან ცივი ჟრუანტელი უვლიდა. - ეს რაღაც გუშინდელ თავგობანას ჰგავს. ეჭვი არ არის, ამითი თავისი ძალის უსარგებლოდ დამტკიცება... და გამჟღავნება არ ენდომება... ჭკვიანია, არ იზამს ამას... სხვა რამ აზრი აქვს უთუოდ. მაგრამ რა აზრი ნეტა? ეჰ, სისულელეა, ძმაო, მაშინებ და ეშმაკობ,

გატყობ! ვიცი, დამამტკიცებელი არა გაქვს რა და არც გუშინდელი კაცი არსებობს! გინდა მხოლოდ გზა-კვალი ამიბნო, ამაღლვო და გამაბრაზო, და უცებ დამიჭირო. მაგრამ არა, სტყუი, ვერ მიიღებ, ჩაგემლება! მაგრამ რად შვრება ასე, რად მიკარნახებს? იქნებ ჩემი დასნეულებული ნერვების იმედი აქვს?.. არა, ძმაო, ვერ მოგართვი, მოტყუვდები, თუმცა თითქოს რაღაც გაგიმზადებია... აი, ვნახოთ ერთი, რა მოამზადე“.

მთელი თავისი ძალ-ღონე შემოიკრიბა, რომ მოსალოდნელ საზარელ უბედურებას შეჰგებებოდა. დროდადრო უნდოდა, პირდაპირ სცემოდა პორფირის და იქვე წაეხრჩო. რომ შედიოდა, მაშინვე ეშინოდა, ვაითუ ვერ მოვითმინო და გავბრაზდეო. გრძნობდა, რომ ტუჩები სიცხიანივით შეახმა, გული ძლიერად უცემდა, ტუჩებზე ქაფი გაშრობოდა. მაინც გადაწყვიტა, ჩუმიად ყოფილიყო, დრომდე კიდეც არა ეთქვა რა. მიხვდა, რომ ამჟამად ეს ყველაფერსა სჯობდა, რადგანაც არამცთუ თვითონ არა წამოსცდებოდა რა, პირიქით, მტერს უარესად გააბრაზებდა და იქნებ, ათქმევინებდა კიდეც რასმე. იმედი მაინც ჰქონდა ამისი.

- არა, ვხედავ, თქვენ ჩემი არა გჯერათ რა, გგონიათ, ვითომ განგებ გართობთ, - განაგრძო პორფირიმ და სიამოვნებისაგან თანდათან უფრო უმატა ხითხითსა და ოთახში სირბილს, - რასაკვირველია, მართალი ხართ; ისე ვარ ღვთისგანვე გაჩენილი, რომ სასაცილო აზრებს აღვუძრავ ხოლმე მაყურებელს; სასაცილო ვარ; მაგრამ, იცით, რას გეტყვით და გაგიმეორებთ კიდეც? ჩემო კეთილო როდიონ რომანოვიჩ, მაპატიეთ კი მე, მოხუცს, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა ხართ ჯერ და ამიტომაც ახალგაზრდათა ჩვეულებისამებრ ყველაზე მეტად ადამიანის გონებას აფასებთ. მახვილი გონება და განყენებული, გონივრული საბუთები ყველაზე მეტად გზიბლავთ. თქვენ ეს ავსტრიული ჰოფკრიგსრატივით მოგდით, რასაკვირველია, რამდენადაც კი სამხედრო საქმეებზე შემოძლია სჯა: ქალაქზე ნაპოლეონიც დაამარცხეს, ტყვედაც წაიყვანეს; ერთი სიტყვით, კაბინეტში შესანიშნავად, მახვილგონივრულად გამოიანგარიშეს და მოისაზრეს ყველაფერი, მაგრამ უცხად, ვნახოთ, გენერალი მაკი თვითონ დანებდა ნაპოლეონს მთელი თავისი მხედრობით, ხე-ხე-ხე! ვხედავ, ჩემო კეთილო, ვხედავ, როდიონ რომანოვიჩ, დამცინით კიდეც, რომ ერისკაცს მაგალითები სულ სამხედრო ისტორიიდან მომყავს. რა ვუყოთ, ჩემი სისუსტეც ეგ არის, სამხედრო საქმე და სამხედრო ამბების კითხვა მიყვარს... სწორედ რომ დაუდევრად მოვეპყარ ჩემს კარიერას. ჩემი საქმე სამხედრო სამსახური იყო და არა საერო. იქნებ ნაპოლეონი ვერ გავმხდარიყავი, მაგრამ მაიორი კი უთუოდ ვიქნებოდი, ხე-ხე-ხე! ასე, მაშ; ახლა კი ყველაფერს დაწვრილებით და პირდაპირ გეტყვით იმ კერძო შემთხვევისას: ადამიანის ბუნება და სინამდვილე, ბატონო ჩემო, დიდი რამ არის და ზოგჯერ უებრო და უეჭვო ანგარიშებსაც კი ძირფესვიანად რევს! ყური დამიგდეთ მოხუცს, მართალს ვამბობ, როდიონ რომანოვიჩ (ოცდათხუთმეტი წლის პორფირი პეტროვიჩი მართლაც მოხუცდა უცხად: ხმაც კი გამოეცვალა, როგორღაც მოიკაკვა), დამალვა არაფრისა მიყვარს... პირდაპირი კაცი ვარ თუ არა? როგორა გგონიათ? მგონი, პირდაპირი ვარ, რომ ამისთანა საქმეებს მუქთად გატყობინებთ და ჯილდოდ არასა გთხოვთ, ხე-ხე-ხე! აგრე, მაშ განვაგრძობ! გონების სისხარტე, ჩემი აზრით, დიდებული რამ არის, ბუნების მშვენიება და სიცოცხლის ნუგეშია, თან, ვინ იცის, რას არ მოიგონებს და შეთხზავს; ასე რომ, რომელიმე უბრალო გამომძიებელი აბა რას გახდება, მეტადრე, თუ თავისივე ფანტაზიით არის გატაცებული, იმიტომ რომ კაცია ისიც! მაგრამ ეგ არის, ადამიანის ბუნება იხსნის ხოლმე საბრალო გამომძიებელს! ამას კი სულაც არ

ფიქრობს „ყოველგვარ დაბრკოლებათა გადამლახველი“ და გონების სისხარტით გატაცებული ახალგაზრდობა (როგორც თქვენ ინებეთ გუშინ მოსწრებულად და მოხერხებულად თქმა). იცრუებს კიდევაც ადამიანი, ესე იგი, კერძო შემთხვევა, Incognito, იცრუებს მშვენივრად და ეშმაკურად; თითქმის გამარჯვებულად არის და შეუძლია თავისი სხარტი გონების ნაყოფით დატკბეს, მაგრამ ვნახოთ! ყველაზე საყურადღებო და სახიფათო ადგილას გული წაუვა უცხად. მართალია, ავადმყოფობასა და შეხუთულ ჰაერსაც უთუოდ აქვს ზოგჯერ გავლენა, მაგრამ მაინც! ეჭვი მაინც ააღებინა! სიცრუით მშვენივრად იცრუა, მაგრამ ბუნებას ველარსად წაუვიდა, თავი ვერ დაიჭირა. აი, სად უღალტა! ან კიდევ, ხალისობს თავისი სხარტი გონებით და ეჭვის მიმტანს გატუტუცებას დაუწყებს, გაფითრდება განგებ, მაგრამ ისე ბუნებრივად გაფითრდება, ისე დაამსგავსებს ნამდვილს, რომ აქაც ისევ ეჭვს ააღებინებს! მართალია, მოატყუებს პირველად, მაგრამ იმავე ღამეს ის სხვა ყველაფერს მოისაზრებს, რასაკვირველია, თუ მართლა ტუტუცი არ არის. ასე არ არის განა ყოველთვის! რა გინდათ: აღარ დააცდის, დაასწრებს, თვითონვე წაეჩრება, სადაც არ ჰკითხავენ, მალიმალ იმაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, რაც სათქმელი არ არის, და გაჩუმების მაგივრად სხვადასხვა მაგალითებსა და იგავებს მოგიყვანს, ხე-ხე-ხე! თვითონვე მოვა და გკითხავთ: რატომ აქამდის არ მოგყავართო? ხე-ხე-ხე-ხე! ასე შეიძლება დაემართოს მახვილი გონების პატრონს, ფსიქოლოგსა და ლიტერატორს! ნამდვილი სარკეა ბუნება, მასთან უზომოდ გამჭვირვალე! ჩაიხედე და დატკბი, მეტი რა გინდა! აგრე რამ გაგაფითრათ, როდიონ რომანოვიჩ, სული ხომ არ შეგიგუბდათ, ფანჯარას გამოგიღებთ.

- ოჰ, ნუ შეწუხდებით, თუ ღმერთი გწამთ, ნუ! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა და უცხად გადაიხარხარა, - გთხოვთ, ნუ შეწუხდებით.

პორფირი რასკოლნიკოვის პირდაპირ შედგა, პატარა ხანს შეიცადა და უცხად თვითონაც გადაიხარხარა. რასკოლნიკოვმა დივნიდან წამოიწია და ატეხილი სიცილი უცხად შეწყვიტა.

- პორფირი პეტროვიჩ! - შესძახა ხმამაღლა და გარკვევით, თუმცა მთლად კანკალებდა, ფეხზე ძლივს იდგა, - კმარა! ვხედავ და საკმაოდ ნათლადაც, რომ ბებრუხანას და მისი დის ლიზავეტას მკვლელობის ეჭვი ჩემზე მოგაქვთ. გიცხადებთ ჩემი მხრივ, რომ უკვე დიდი ხანია ყველა ამან საშინლად მომაბეზრა თავი. თუ გგონიათ, რომ გაქვთ რამ კანონიერი უფლება ჩემი დევნისა, მდევნეთ და დამაპატიმრეთ; მაგრამ პირში დაცივნისა და გატანჯვის ნებას კი არ მოგცემთ არაფრის გულისათვის...

ტურები უცხად აუკანკალდა, თვალეზი ბრაზისაგან აენტო, მანამდე შეკავებული, სუსტი ხმა გაუმაგრდა.

- არ მოგცემთ ნებას! - შეჰყვირა კვლავ და უცხად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდას მუშტი დაჰკრა, - გესმით, პორფირი პეტროვიჩ? არ მოგცემთ!

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მოგდით! - შესძახა თითქმის სრულიად დამფრთხალმა პორფირი პეტროვიჩმა. - ჩემო კეთილო, როდიონ რომანოვიჩ! საყვარელო! რა დაგემართათ?

- არ მოგცემთ-მეთქი ნებას! - შეჰყვირა ხელახლა რასკოლნიკოვმა.

- ჩუმად, ჩემო კარგო, ჩუმად! გაიგებენ, მოვლენ! იფიქრეთ, აბა, რა უნდა ვუთხრათ! - ჩასჩურჩულა გულგახეთქილმა პორფირიმ თითქმის ყურში.

- არ მოგცემთ ნებას, არა! - ეუბნებოდა კვლავ რასკოლნიკოვი. მაგრამ ახლა უკვე ესეც ჩურჩულით.

მიბრუნდა საჩქაროდ პორფირი, ფანჯარას ეცა, რომ გამოეღო.

- სუფთა ჰაერი შემოვუშვათ! წყალიც ჩაყლაპეთ ცოტა, გეთაყვა, თორემ ხომ გული გაიხეთქეთ აგრე! - და კარისაკენ გაქანდა, რომ წყლის მოტანა ებრძანებინა, მაგრამ იქვე, კუთხეში, წყლის გრაფინი აღმოჩნდა.

- დალიეთ, ჩემო კარგო, - ეჩურჩულებოდა და თან გრაფინს აწვდიდა, - იქნება გარგოთ...

შიში და თანაგრძნობა პორფირი პეტროვიჩისა ისე ბუნებრივი იყო, რომ რასკოლნიკოვი გაჩუმდა და გაორკეცებული ცნობისმოყვარეობით დაუწყო სინჯვა. წყალი მაინც არ დაუღევია.

- როდიონ რომანოვიჩ! საყვარელო! აგრე ხომ ჭკუიდან შეიშლებით, გარწმუნებთ! დალიეთ! ერთი ყლუპი მაინც დალიეთ!

ჭიქა მაინც ააღებინა. რასკოლნიკოვმა უცბად ტუჩებთანაც მიიტანა, მაგრამ მოაგონდა დროზე და ზიზღით მოიშორა, მაგიდაზე დადგა ისევ.

- დიახ, დიახ! აგრე ხომ ისევ ძველ სენს დაიბრუნებთ, - აკაკანდა როგორღაც მეგობრული თანაგრძნობით პორფირი პეტროვიჩი, თუმცა, ეტყობოდა, ჯერ ისევ დაბნეული იყო, - ღმერთო, მიკვირს სწორედ, როგორ არ უფრთხილდებით თავს? აგრე, გუშინ დიმიტრი პროკოფიჩიც იყო. გეთანხმებით, ცუდი ხასიათი მაქვს მეტად, გესლიანი; ამათ კი, ხედავთ, რა დასკვნა გამოიყვანეს! ღმერთო! მოვიდა გუშინ თქვენ შემდეგ, სადილს ვჭამდით, ილაპარაკა, ილაპარაკა, გავშტერდი სწორედ! ვიფიქრე... ეჰ, ღმერთო! თქვენგან იყო წამოსული? დაჯექით, გეთაყვა, დაჯექით, ღვთის გულისათვის!

- არა, ჩემთან არა ყოფილა! მაგრამ ვიცოდი, რომ წამოვიდა, და ისიც, თუ რად წამოვიდა, - მიუგო მკვახედ რასკოლნიკოვმა.

- იცოდით?

- ვიცოდი. მერე რაო, რომ ვიცოდი?

- რა და ის, ჩემო კარგო როდიონ რომანოვიჩ, რომ მარტო ეს არ ვიცი თქვენი გმირობისა; ყველაფერი გაგებულნი მაქვს; ვიცი, მაგალითად, როგორ მიხვედით ბინის დასაქირავებლად საღამო ჟამს, ბინდისას და ზარსა რეკავდით, სისხლზე ეკითხებოდით, მუშები და მეუზოვეები კინაღამ გადარიეთ და სხვ. მაშინდელი თქვენი სულიერი მდგომარეობა, რასაკვირველია, მესმის... მაგრამ ასე მაინც არ ივარგებს, ღმერთს გეფიცებით, ჭკუიდან შეიშლებით! მართალია, დიდად ხართ განრისხებული და გამწყრალი იმის გამო, რომ შეურაცხვეს, ჯერ პირველად ბედმა და მერე უბნის პოლიციელებმა, ამიტომაც აქეთ-იქით ეხლებით, რომ ყველა ალაპარაკოთ და ერთბაშად გაათავოთ საქმე, იმიტომ რომ მოგძულდათ ყველა ეს

სისულელე და ეჭვები. ასეა თუ არა? გამოვიცანი თუ არა? ეგ არის მხოლოდ, ასე მარტო თქვენ კი არა, რაზუმინსაც გადამირევთ; კარგად იცით, კეთილი კაცია მეტად, თქვენთვის მიზეზი სენია, იმისათვის - გულკეთილობა; გამოდის, რომ ადვილად იზიდავს ავადმყოფობას. მე თქვენ, ჩემო კარგო, რომ დამშვიდდებით, ყველფერს გიამბობთ... დაჯექით, ღვთის გულისათვის, დაისვენეთ, გეთაყვა, ფერი აღარ გადევთ, დაჯექით.

რასკოლნიკოვი დაჯდა, კანკალმა თითქმის გადაუარა. სიცხემ აიტანა ახლა. ღრმად განცვიფრებული ყურადღებით უგდებდა ყურს შეშინებულ პორფირი პეტროვიჩს, რომელიც ასე მეგობრულად უვლიდა. მაგრამ არა სჯეროდა არც ერთი მისი სიტყვა, თუმცა სურვილი დიდი ჰქონდა დაეჯერებინა. პორფირის მოულოდნელი სიტყვები ბინაზე მეხივით მოხვდა: „როგორც ეტყობა, მამ ბინის ამბავიც იცის, - გაიფიქრა უცბად, - და თვითონვე მიაგებობს!“

- დიახ, ასეთი შემთხვევა, ფსიქოლოგიური, ჩვენც გვქონდა სასამართლო პრაქტიკაში, ნამდვილი ავადმყოფური შემთხვევა, - განაგრძობდა სხაპასხუპით პორფირი, - ასევე დაიბრაღა ერთმა მკვლელობა და მერე ისიც რანაირად: მთელი ჰალუცინაცია შეაზავა, ფაქტები წარმოგვიდგინა, გარემოებაც გვიამბო, აგვრია, ყველას აუბნია გზა-კვალი და მერე? თვითონ კი, სრულიად რომ არა ჰქონია განზრახვა, ისე გამხდარა მიზეზი ერთი მკვლელობისა, და ისიც ნაწილობრივ, მაგრამ გაიგო თუ არა, რომ მკვლელობის საბაბი იმან მისცა, მაშინვე საშინლად დანაღვლიანდა და მოიწყინა, დაარწმუნა თავისი თავი, რომ მკვლელი ის იყო სწორედ! მაგრამ საქმე უმართებულესმა სენატმა გაარჩია, გაამართლა საცოდავი და სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გაგზავნა. მადლი უმართებულეს სენატს! ეჰ! ჰაი! ვინ იცის, ხურვებაც დაგემართოთ, აგრე თუ აღელდით ხოლმე და დამდამობით აქა-იქ ზარი რეკეთ, სისხლზე გამოძიება გამართეთ! მთელი ეს ფსიქოლოგია პრაქტიკითა მაქვს შესწავლილი. ასე ხომ შეიძლება ფანჯრიდან ან სამრეკლოდანაც გადავარდეთ; მეტად მაცთურია ასეთი შეგრძნება. ზარის რეკვაც... ავადმყოფობაა ყველა ეს, როდღონ რომანოვიჩ, ავადმყოფობა! გეტყობათ, ყურადღებას არ აქცევთ, არ ეპუებით... გამოცდილ ექიმს ეჩვენებოდით, რჩევა-დარიგებას ჰკითხავდით, თორე მე გაბერილი რას გიშველით!.. ბოდვა გაქვთ! ბოდვის მიზეზია ყველა ეს!..

რასკოლნიკოვს ერთ წამს თავბრუ დაეხვა.

„ნუთუ მართლა ახლაც ტყუის? - გაუელვა გონებაში, - შეუძლებელია, შეუძლებელი!“ იგერიებდა ამ აზრს, რადგანაც წინათვე იცოდა, იმ ზომამდე გაამძვინვარებდა და გააშმაგებდა, რომ ჭკუიდან შეშლიდა კიდევ.

- ვბოდავდი კი არა, მართალია, მართალი, ცხადლივ იყო! - შეჰყვირა გამწარებულმა და თან ცდილობდა გონება მოეკრიბა, პორფირის ხრიკების ფარული აზრი შეეტყო. - ცხადლივ იყო, ცხადლივ! გესმით?

- დიახ, მესმის და გავიგონე! გუშინაც აგრე მეუბნებოდით, არ ვბოდავო, და საგანგებოდ მარწმუნებდით კიდევ! მესმის ყველაფერი, რაც გინდათ მითხარით! ეჰ!.. მხოლოდ მომითმინეთ, როდღონ რომანოვიჩ, კეთილისმყოფელო ჩემო, გასინჯეთ თუნდ ეს გარემოება. მართლა რომ დამნაშავე ან როგორმე ჩარეული ყოფილიყავით ამ წყეულ საქმეში, განა აგრე დაიჟინებდით, არ ვბოდავდი და ცხადლივ ჩავდიოდი ყველაფერსო? ასე გაჯიუტდებოდით განა? პირიქით, ჩემი აზრით, სხვას ეცდებოდით.

მართლა რომ ბრალი რამ მიგიძღვოდეთ და დანაშაულსა გრძნობდეთ, სხვას იტყოდით: მართლა ვბოდავდიო, აგრეა თუ არა? აგრეა, არა?

რალაც ცბიერება ეტყობოდა ამ სიტყვებს. რასკოლნიკოვი მოერიდა მის წინ დახრილ პორფირის, დივნის ზურგს გაეკრა თითქმის და ჩუმი დაუწყო გამტერებულმა ყურება.

- ავიღოთ თუნდ ბატონი რაზუმიხინი. თავისით მოვიდა ჩემთან სალაპარაკოდ თუ თქვენი ჩაგონებით-მეთქი, გეკითხებით და მეუბნებით, ჩემი ჩაგონებით მოვიდაო, იმის მაგივრად, რომ დაგეფარათ და არ გეთქვათ! თქვენ კი არა მალავთ და იმეორებით, პირიქით, ჩემი ჩაგონებით მოვიდაო სწორედ!

არასოდეს რასკოლნიკოვს ფიქრად არ მოსვლია ეს. ტანში უცბად ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა.

- სტყუით სულ, - ჩაილაპარაკა მძიმედ და სუსტად, თან ტუჩები ავადმყოფური ღიმილით დაეღრიჯა. - გინდათ დამანახოთ მხოლოდ, რომ ყველაფერი იცით, წინათვე იცით ვითომ, რას გეტყვით, - ეუბნებოდა გულმოსული, მაგრამ გრძნობდა, რომ კარგად ვეღარ აეწონ-დაეწონა თავისი სიტყვები, - გინდათ შემამინოთ... ან არადა დამცინით მხოლოდ...

თან პირდაპირ უყურებდა, უცბად ისევე უსაზღვრო ბრაზითა და ზიზღით აევსო თვალები.

- სტყუით სულ, სტყუით! - შეჰყვირა ხმამაღლა. - კარგად იცით, რომ საუკეთესო თავის დასაღწევი საშუალება დამნაშავისათვის ის არის, მართალი ილაპარაკოს და... რამდენადაც შესაძლებელია არ დამალოს ის, რის დამალვაც საჭირო არ არის! თქვენი მე არა მჯერა რა!

- ხედავთ, რა უნდო რამა ხართ! - ჩაიხითხითა პორფირიმ, - თქვენთან, ჩემო კარგო, მორიგება მეტად ძნელია; რალაც სენი შეგპარვიათ. არ მენდობით, მაშ? მე კი გეტყვით, რომ მენდობით და გჯერათ კიდევაც, თუ სულ არა, ნახევრად მაინც; მაგრამ მოვახერხებ ისე, რომ ყველაფერს დამიჯერებთ, იმიტომ რომ მიყვარხართ და კეთილი მინდა თქვენთვის.

რასკოლნიკოვს ტუჩები აუკანკალდა.

- დიახ, სიკეთე მინდა თქვენთვის, - განაგრძობდა პორფირი, თან მეგობრულად მოჰკიდა მკლავში ხელი, - ამიტომ გთხოვთ, ყური უგდოთ თქვენს თავს. მეტადრე, შინაურებიც ჩამოგსვლიათ; ისინიც უნდა მოიგონოთ. მოსვენება და გართობა იმათთვის საჭირო, თქვენ კი აშინებთ მხოლოდ...

- ეგ რალა თქვენი საქმეა? საიდან იცით? რატომ იზიდავს ყველა ეს თქვენს ყურადღებას? ჩანს მაშ, თვალი გიჭირავთ ჩემზე და გინდათ გამაგებინოთ, რომ ასეა საქმე?

- თქვენ არ იყავით, ჩემო კარგო, თვითონ მითხარით ყველაფერი ეს? აღარც კი ამჩნევთ, აღელვებული როგორ გვაგებინებთ ყველაფერს წინათვე - მეცა და სხვებსაც. ბატონი რაზუმიხინისაგანაც, დიმიტრი პროკოფიჩისაგან, ბევრი საყურადღებო წვრილმანი შევიტყვე გუშინ. არა, აი, გამაწყვეტინეთ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ თქვენი

ექვიანობით საღი გონება და მახვილი მოსაზრებაც კი ლამის დაკარგოთ. ავიღოთ, მაგალითად, თუნდ იგივე ზარის რეკვა: ასეთი ძვირფასი რამ, ასეთი ფაქტი (მთელი ფაქტია ხომ!) მე, გამომძიებელმა, გულმართლად გაგიმჟღავნეთ, არ დაგიმალეთ! მაგრამ მაინც ვერასა ხედავთ. არა, ოდნავადაც რომ ეჭვი მქონოდა, ასე მოვიქცეოდი განა? პირიქით, ჯერ მივაძინებდი თქვენს ეჭვს, რომ ანდე არ აგელოთ, ვიცოდი რამე თუ არა ამ საქმისა; სხვას გაფიქრებინებდით განგებ; მერე კი უცებ მოგახლიდით კითხვას (როგორც თქვენა თქვით) და თავგზას აგიბნევდით: „მერე, ბატონო, რა საქმე გქონდათ-მეთქი მოკლულის ბინაზე ლამის ათსა თუ თერთმეტ საათზე? ზარს რად რეკავდით? სისხლზე რად ეკითხებოდით? ან მეუბოვეებს რისთვის იპატიჟებდით-მეთქი ზედამხედველებთან? აი, როგორ მოვიქცეოდი, მართლა იოტის ოდენა ეჭვიც რომ მქონოდა. როგორც წესი და რიგია, ჩვენება უნდა ჩამომერთმია, გამეჩხრიკეთ და იქნებ დამეპატიმრებინეთ კიდევ... ჩანს მაშ, ეჭვი არა მქონია, რაკი ასე არ მოვიქცევი! თქვენ კი საღი გონება სრულიად დაკარგეთ და, გიმეორებთ, ველარასა ხედავთ, გარშემო რა ხდება!

რასკოლნიკოვი მთელი ტანით შეხტა, შეთრთოლდა, ასე რომ, პორფირი პეტროვიჩმაც ნათლად შენიშნა ეს.

- სტყუით სულ! - დაუყვირა, - არ ვიცი, აზრად რა გაქვთ, მაგრამ სტყუით... წელან ამ აზრით როდი ამბობდით, ვერ მომატყუებთ... სტყუით!

- ვტყუი? - ჩამოართვა სიტყვა პორფირიმ, რომელიც ეტყობა ცხარობდა, მაგრამ მხიარულ, დამცინავ გამომეტყველებას ინარჩუნებდა და თითქოს სულაც არად აგლებდა, რა აზრისა იქნებოდა რასკოლნიკოვი. - ვტყუი?... მაშ წელან, აბა, როგორ მოვიქცევი (მე, გამომძიებელი); თვითონვე არ ჩაგაგდეთ გულისხმაში და მოგეცით საშუალება, რომ თავი როგორმე დაგეფარათ: „ეს ავადმყოფობაო, ეს ბოდვაო, ეს კიდევ ნაწყენი იყო და უბნის პოლიციელებმა შეურაცხვესო“. მაშ, რა იყო ყველა ეს? ჰა? ხე-ხე-ხე-ხე-ხე! თუმცა, - ვიტყვი ახლავე, - ყველა ეს ფსიქოლოგიური მოსაზრება, თავის მართლება და დამკრენა, ბევრს არას გამოგადგებათ, ორი მხარე აქვს და არ არის სანდო: „ავად ვიყავი, ვბოდავდი, არ მახსოვს, მეღანდებოდაო“, ყველა ეს, დიახ, მართალია, მაგრამ მითხარით, ჩემო კარგო, რაღა უთუოდ ეს გელანდებოდათ და არა სხვა რამე? ხომ შეიძლებოდა, სხვა რამე მოგლანდებოდათ, სხვაზე გებოდათ? ასეა თუ არა? ჰა? ხე-ხე-ხე-ხე!

რასკოლნიკოვმა ამაყად და ზიზღით შეხედა.

- ერთი სიტყვით, - დაიწყო ხმამაღლა და ზეზე წამოდგა, პორფირი ოდნავ მოიშორა, - ერთი სიტყვით, მინდა ვიცოდეთ: მანთავისუფლებთ ყოველგვარი ეჭვისაგან თუ არა? თქვით, პორფირი პეტროვიჩ, გარკვევით და გადაწყვეტით, თქვით ახლავე!

- ეს რა ხათაა! რა დაგემართათ, - შეჰყვირა მხიარული და ცბიერი გამომეტყველებით პორფირიმ, თითქოს აქ არა ამბავიაო. - ან რისთვის გინდათ, რისთვის? რად გინდათ, ამდენი რომ იცოდეთ, როდესაც ჯერ არავის არაფრით შეუწყუხებინართ! აგრე ხომ ბავშვმა იცის: გინდა თუ არა, ცეცხლი მომეცი ხელშიო! ან რისთვის წუხართ ასე? რას აგვკვიტებინართ, რა მიზეზია? ჰა? ხე-ხე-ხე!

- გიმეორებთ, - შეჰყვირა განრისხებულმა რასკოლნიკოვმა, - მეტი მოთმენა აღარ შემიძლია!..

- რის მოთმენა არ შეგიძლიათ! ამ გაურკვევლობისა? - გააწყვეტინა პორფირიმ.

- ნუ მშხამავთ! არ მინდა... გეუბნებით, არა მსურს-მეთქი!.. არ მინდა, არ შემოდლია!.. გესმით! გაიგეთ! - დაჰყვირა რასკოლნიკოვმა და მაგიდას ხელახლა დაჰკრა მუშტი.

- წყნარად, გეთაყვა, წყნარად! გაიგებენ! თავს გაუფრთხილდით. არ გეხუმრებით! - ჩაილაპარაკა ჩურჩულით, მაგრამ წელანდელივით შეშინებული, დედაბრული გამომეტყველება კი არ ეტყობოდა ახლა, პირიქით, უბრძანებდა პირდაპირ, წარბებშეკრული, თითქოს ეგ არის, უცბად დაარღვია საიდუმლო, ორაზროვანი მდგომარეობაო. თუმცა ეს იყო მხოლოდ ერთ წამს. გაცვებული უცბად ბრაზმა აიტაცა, მაგრამ უცნაურად დაემორჩილა ისევ ბრძანებას, ჩუმად ელაპარაკნა, თუმცა მის რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა, გაცოფებული იყო თითქმის.

- არ მოგცემთ ნებას აგრე მტანჯოთ! - დაიწყო რასკოლნიკოვმა წელანდელივით ჩურჩულით და თან ზიზღი ახრჩობდა, რომ უნდა უნებურად დამორჩილებოდა. - დამაპატიმრეთ, გამჩხრიკეთ, მაგრამ ისე, როგორც ფორმა და წესი მოითხოვს ამას; ასე თამაშის ნებას კი არ მოგცემთ არასოდეს! თუ გაბედავთ!..

- ფორმისათვის, აბა, როგორ სწუხართ, - გააწყვეტინა წელანდელივით ცბიერი ღიმილით პორფირიმ, თითქოს სიამოვნებს, რომ ასე აწვალეხსო, - მე, ჩემო კეთილო, ისე, შინაურულად, მეგობრულად მოგიწვიეთ ახლა.

- არა მსურს თქვენი მეგობრობა, რა თავში ვიხლი! გესმით! აი, ვიღებ ქუდსა და მივდივარ. აბა, ახლა რაღას იტყვით, თუ მართლა დაპატიმრება გინდათ?

დაავლო ქუდს ხელი და კარისაკენ გასწია.

- სიურპრიზი არ გინდათ ნახოთ? - ჩაიხითხითა პორფირიმ და მკლავში წაავლო კვლავ ხელი, კართან შეაყენა. თანდათან უფრო მხიარულდებოდა პორფირი პეტროვიჩი, თანდათან უფრო ხალისობდა, რასკოლნიკოვი კი ბრაზობდა, თავს ძლივსღა იმაგრებდა.

- რის სიურპრიზი? რას ამბობთ? - ჩაეკითხა უცბად და შეშინებულმა პორფირის დაუწყო ყურება.

- სიურპრიზი, დიახ, აი, აქ, კარს უკან რომ მიზის, ხე-ხე-ხე-ხე! (და თითი გადალობილის დაკეტილ კარზე მიაშვირა). - დაგკეტე, რომ არსად გამექცეს.

- რა არის? სადა? რა?..

რასკოლნიკოვი კართან მივიდა, უნდოდა გამოეღო, მაგრამ დაკეტილი დახვდა.

- დაკეტილია, აი, გასაღებიც!

და მართლაც ჯიბიდან გასაღები ამოიღო, დაანახვა.

- სტყუი სულ! - დასჭყივლა რასკოლნიკოვმა, - სტყუი, წყეულო! - და ეცა კარში გაჩხირულ პორფირის, მაგრამ პორფირის არ შეშინებია.

- მესმის ყველაფერი, მესმის! - მივარდა რასკოლნიკოვი. - სტყუი, მაბრაზებ განგებ, რომ გამოგიტყდე...

- მეტად, აბა, როგორღა უნდა გამოტყდეთ, კეთილო ჩემო, როდიონ რომანოვიჩი. მთლად გადაირიეთ თითქმის. ნუ ყვირით, თორემ ხალხს დავუმახებ!

- სტყუი, არა იქნება რა! დაუმახე! იცოდი, რომ ავად ვიყავი და გინდოდა გაგებრაზებინე, მოთმინება დამეკარგა და გამოვტეხილიყავი. აი, რა გქონდა აზრად! ფაქტები მოიტა, თუ გინდა, ფაქტები! ყველაფერი გაგიგე! ფაქტები, ვიცი, არა გაქვს, რაღაც უმნიშვნელო, ზამეტოვისეული გუმანი და ეჭვი გაქვს მხოლოდ!.. იცოდი ჩემი ხასიათი და გინდოდა გაგებრაზებინე და მერე უცბად გამოგეტეხე მღვდლებითა და დეპუტატებით... ვიცი, იმათ ელი, არა? რას უცდი, მაშ? სად არიან? მოიყვა!

- რის დეპუტატები, ჩემო კეთილო! რას არ იფიქრებს კაცი! ასე ხომ ფორმითაც არა გაკეთდება რა; როგორც გეტყობათ, საქმე არ იცით, ჩემო მეგობარო... ფორმა, აბა, სად გაგვექცევა, თორემ თვითონ ნახავთ!.. - ბუტბუტებდა პორფირი და ყური ფრთხილად კარისკენ ეჭირა.

სწორედ ამ დროს მეორე ოთახის კართან ხმაური გაისმა.

-აჰა, მოდიან! შენ დაიბარე! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა. - იმათ ელოდი! იცოდი, მოვიდოდნენ... მოიყვა, მაშ, მოიყვა ყველა: დეპუტატები, მოწმეები, ვინც გინდა. მოიყვა! მზადა ვარ! მზად!

მაგრამ აქ უცბად ისეთი უცნაური და მოულოდნელი რამ მოხდა, არც რასკოლნიკოვსა და არც პორფირი პეტროვიჩს არასოდეს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ.

VI

როცა კი შემდგომ მოიგონებდა ხოლმე რასკოლნიკოვი ამ წუთს, მუდამ ასე წარმოუდგებოდა იგი: კარს უკან ატეხილმა ხმაურმა უცებ საშინლად იმატა, კარი ოდნავ გამოიღო.

- რა ამბავია? - შეჰყვირა გაბრაზებულმა პორფირი პეტროვიჩმა. - ხომ გაგაფრთხილეთ...

ერთ წუთს პასუხი არსაიდან იყო, მაგრამ ეტყობოდა, კარს უკან რამდენიმე კაცი ვილაცას ხელს ჰკრავდა, არ უშვებდნენ.

- რა ამბავია, რა არის? - გაიმეორა შეშფოთებულმა პორფირი პეტროვიჩმა.

- პატიმარი ნიკოლაი მოიყვანეს, - გაისმა ვილაცის ხმა.

- საჭირო არ არის! არა! წაიყვანეთ! მოაცდევინეთ!.. რისთვის მოხეტებულა! რა უწესობაა! - შეჰყვირა პორფირიმ და კარს ეცა.

- დიახ, მაგრამ... - დაიწყო ისევ იმ ვილაცამ, მაგრამ შეწყვიტა.

სულ რაღაც ორმა წამმა განვლო ამ ჭიდილში, მერე უცბად, თითქოს ვილაცამ ვილაცას მაგრად ხელი ჰკრა და მოიშორაო, გაისმა ბრახუნი და პორფირი პეტროვიჩის კაბინეტში შემოვიდა ვილაც საშინლად გაფითრებული კაცი.

შესახედავად როგორღაც უცნაური გეჩვენებოდათ. პირდაპირ იყურებოდა, მაგრამ ვერავის ამჩნევდა თითქოს. თვალებში რაღაც გადაწყვეტილება ეტყობოდა, მაგრამ

მკვდრისფერი ედო, თითქოს ეგ არის, დასასჯელად მოიყვანესო. მიმქრალი, თეთრი ტუჩები ერთთავად უთრთოდა.

ხნით ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, უბრალო ტანისამოსი ეცვა; საშუალო ტანისას, გამბდარ-გამბდარსა და პირხმელს თმა მრგვლად ჰქონდა შეკრეჭილი. მოულოდნელად მისგან ხელნაკრავი კაცი ოთახში შემოჰყვა, მხარში სტაცა ხელი: ეს იყო მცველი. მაგრამ ნიკოლაიმ ხელი ჰკრა კვლავ, თავი გაინთავისუფლა.

კარში რამდენიმე ცნობისმოყვარე გამოჩნდა. ზოგიერთმა შიგნით შესვლაც კი მოინდომა. ყველა ეს თვალის დახამხამებაზე მოხდა.

- გასწი, ადრეა ჯერ! მოიცადე, დაგიძახებენ!.. ასე ადრე რად მოიყვანეთ? - ბუტბუტებდა გულმოსული და გზაკვალაბნეული პორფირი პეტროვიჩი. ნიკოლაი უცბად მუხლის თავებზე დაეცა.

- რაო, რა გინდა? - შეუყვირა გაოცებულმა პორფირიმ.

- დამნაშავე ვარ! ცოდვილი! მკვლელი ვარ! - წარმოთქვა ძლივს ქაქანით ნიკოლაიმ, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა კი.

ათიოდე წამი დუმილი იყო. ყველა გაშეშდა თითქოს. მცველმაც კი თოფნაკრავივით უკან დაიხია, აღარ მიჰკარებია, ნელ-ნელა კარისკენ მიიწია და უძრავად შედგა.

- რაო, რაო? - შეჰყვირა უცბად პორფირიმ, გონს რომ მოვიდა.

- მე... ვარ მკვლელი... - გაიმეორა ნიკოლაიმ წამიერი სიჩუმის შემდეგ.

- როგორ... შენ?... როგორ... ვინ მოკალი, ვინ?

ეტყობოდა, დაიბნა პორფირი პეტროვიჩი. ნიკოლაი კიდევ გაჩუმდა პატარა ხანს.

- ალიონა ივანოვნა და იმათი და, ლიზავეტა ივანოვნა, მე... მოკალი... ცულით. გონთ დამიბნელდა... - დასძინა უცბად და ისევ გაჩუმდა.

კვლავ მუხლის თავებზე იდგა.

რამდენსამე წამს პორფირი პეტროვიჩი გაოგნებული იდგა, თითქოს ნათქვამს უკვირდებო, მერე კი ისევ დატრიალდა და დაუპატიჟებელ მოწმეებს დაუტია. ყველანი უცბად მიიმალნენ, კარი ისევ მიიხურა. შეხედა მერე კუთხეში მდგომ რასკოლნიკოვს, რომელიც გაშტერებული შეჰყურებდა ნიკოლაის, და მისკენ გასწია, მაგრამ შედგა უცბად, უყურა ერთხანს, გადახედა ნიკოლაის, მერე ისევ რასკოლნიკოვს, ისევ ნიკოლაის და უცბად ისევ ნიკოლაის მივარდა.

- წინ რას მისწრებ მაგ შენი გონდაბნელებით? - დაუყვირა თითქმის გაბრაზებულმა. - ჯერ ხომ არ მიკითხია: გონთ დაგიბნელდა-მეთქი თუ არა... მითხარ: შენ მოკალი?

- მე ვარ მკვლელი, მე... ჩვენებას გაძლევთ... - გაიმეორა ნიკოლაიმ.

- ეჰ! რითი მოკალი?

- ცულით. წინათვე ვიშოვე.

- ეჰ, ჩქარობ! რატომ?

ნიკოლაიმ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა.

- მარტომ მოკალი?

- მარტომ. მიტკას აქ ბრალი არა აქვს.

- ნუ ჩქარობ, ნუ! მიტკას ნუ გადასწვდი! ეჰ!..

- მაშ, როგორ იყო აბა? კიბეზე როგორ ჩამოირბინე? მეეზოვეებმა რომ ორივე ერთად გნახეს?

- ეგ იმიტომ, რომ ეჭვი არ აელოთ... იმიტომ გავრბოდი მაშინ... მიტკასთან ერთად, - ააჩქარა წინათვე მომზადებულივით ნიკოლაიმ.

- აკი ვთქვი, აგრეა! - დაიყვირა გაბრაზებულმა პორფირიმ. - თავისას როდი ლაპარაკობს! - წაიდუდუნა ვითომდა თავისთვის და უცბად ისევ რასკოლნიკოს გადახედა.

ეტყობა, ისე გაიტაცა ნიკოლაიმ, რომ ერთხანს სრულიად დაავიწყდა რასკოლნიკოვი. ახლა კი მოაგონდა უცბად, შეკრთა...

- როდიონ რომანოვიჩ, ჩემო კარგო! მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, - მივარდა უცბად, - ვხედავ, ასე არ შეიძლება, მიბრძანდით, გეთაყვა!.. თქვენ აქ საქმე აღარა გაქვთ რა... მეც თვითონ... ხედავთ, რა სიურპრიზების მოწმე ვარ!.. მიბრძანდით, გეთაყვა!

და ხელში ხელი ჩასჭიდა, კარზე მიუთითა.

- თქვენ, მგონი, ამას არ მოელოდით, არა? - ჩაეკითხა რასკოლნიკოვი, რომელსაც ჯერ ვერა გაეგო რა გარკვევით, მაგრამ გული მაინც დიდი მიეცა, გამხნედა.

- არამცთუ მე, თქვენც არ ელოდით, ჩემო კარგო. დახეთ, ხელი როგორ გიკანკალებთ! ხე-ხე-ხე!

- თქვენ, თქვენ რა, ნაკლებ კანკალებთ, პორფირი პეტროვიჩ!

- მეც ვკანკალებ, დიახ; არ მოველოდი!..

უკვე კარში იდგნენ ორთავენი. მოუთმენლად ელოდა პორფირი, გასულიყო რასკოლნიკოვი.

- მაინც სიურპრიზს აღარ მიჩვენებთ? - ჩაეკითხა უცბად დაცინვით რასკოლნიკოვი.

- მელაპარაკება და შიშისაგან კი კბილს კბილზე აცემინებს, ხე-ხე-ხე! ოი, რა ქილიკოსი რამა ხართ! აბა, ნახვამდის!

- ჩემი აზრით კი, მშვიდობით!

- ეგ ღმერთმა იცის! ღმერთმა იცის! - ჩაიდუდუნა როგორღაც უკმაყოფილოდ დაღრეჯილმა პორფირიმ.

კანცელარიაზე რომ გაიარა, რასკოლნიკოვმა შენიშნა, რომ ბევრმა ყურადღებით გააყოლა თვალი. შესავალ დერეფანში, სხვათა შორის, შენიშნა იმ სახლის მეეზოვეებიც, რომლებსაც მაშინ იხმობდა ღამე, რომ უბნის ზედამხედველთან გაჰყოლოდნენ. იდგნენ და რაღაცას უცდიდნენ. მაგრამ ის იყო კიბეზე გამოვიდა, რომ უკანიდან უცბად ისევ პორფირი პეტროვიჩის ხმა შემოესმა. მობრუნდა და დაინახა, რომ გაცხარებული ქაქანით მისდევდა უკან.

- ერთი სიტყვა კიდევ, როდიონ რომანოვიჩ; არ ვიცი, ყველა ამის შესახებ ღმერთი რას ინებებს, მაგრამ ფორმის მიხედვით ზოგიერთი რამის გამოკითხვა მაინც საჭირო იქნება... მაშ, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, არა?

და პორფირი შედგა, გაუღიმა.

- ასე, მაშ, - დასძინა განმეორებით.

თითქოს უნდოდა, რაღაც ეთქვა კიდევ, მაგრამ ვეღარ მოეხერხებინა, კრიჭა შეჰკვროდა...

- მაპატიეთ, მართლა, პორფირი პეტროვიჩ, წელან... ცოტა არ იყოს, გავცხარდი, - დაიწყო თითქმის მთლად გამხნევებულმა რასკოლნიკოვმა. საშინლად უნდოდა როგორმე ნიშნი მოეგო პორფირისათვის.

- არა უშავს რა, არა უშავს რა, - ჩამოართვა მხიარულად პორფირიმ. - მეც, ცოტა არ იყოს, მეტი მომივიდა... დიდი გესლიანი ხასიათი მაქვს, ვნანობ, ვნანობ! მაგრამ აი, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს. თუ ღმერთი შეგვეწყვეა, იქნებ ძალიან ძალეც!..

- და საბოლოოდ გავიცნობთ ერთმანეთს, არა? - ჩამოართვა რასკოლნიკოვმა.

- დიახ, გავიცნობთ, - დაუდასტურა პორფირი პეტროვიჩმა და თან თვალი მოჭუტა, დაფიქრებით ჩააკვირდა რასკოლნიკოვს. - ახლა საით? დღეობაზე?

-არა, დასაფლავებაზე.

-ჰო, მართლა, დასაფლავებაზე! მაგრამ ჯანს უფრთხილდით, ჯანს...

- არ ვიცი სწორედ, მე რაღა გისურვოთ! - ჩამოართვა სიტყვა რასკოლნიკოვმა და კიბიდან კიდევ იბრუნა პირი პორფირისაკენ. - გისურვებთ მეტ გამარჯვებას, თუმცა ხომ ხედავთ, როგორი სასაცილოა ეს თქვენი თანამდებობა!

- რით არის სასაცილო? - მყის ყური ცქვიტა პორფირიმ, რომელიც აგრეთვე გაბრუნებას აპირებდა.

- აბა რა არის მაშ? ვინ იცის, ეგ საცოდავი მიკოლა როგორ არ სტანჯეთ და აწამეთ ფსიქოლოგიურად, თქვენებურად, რომ გამოტეხილიყო! დღედაღამ უთუოდ იმას ჩასჩინებდით „მკვლელი შენა ხარ, შენა ხარო!“, ახლა კი, როცა გამოტყდა, ისევ მოჰყვებით და სულს გაუმწარებთ: „არა, სტყუი, შენ არა ხარ! არ შეგეძლო მოკვლა! შენი არ არის ეგ სიტყვებიო!“ მაშ, რა არის ამის შემდეგ, თუ არა სასაცილო თქვენი თანამდებობა?

- ხე-ხე-ხე! შენიშნეთ მაშ, რომ ვუთხარი ნიკოლაის: „შენი სიტყვები არ არის მეთქი?“

- როგორ არ უნდა შემენიშნა!

- ხე-ხე-ხე! სხარტი გონებისა ხართ, სხარტი გონების! ყველაფერს შენიშნავთ ხოლმე! ცოცხალი გონებისა ხართ მეტად! მერე ისიც უთუოდ სასაცილო რამ მხარეს აღმოაჩინეთ და მყის ჩაეჭიდებით ხოლმე... ამბობენ მწერლებში მარტო გოგოლს ჰქონდა ამის ნიჭიო, არა?

- დიახ, დიახ, გოგოლს ჰქონდა.

- დიახ, გოგოლს... ვისურვებ კვლავ სიამით მენახოთ...

- მეც აგრეთვე...

პირდაპირ სახლში წავიდა რასკოლნიკოვი. ისე იყო თავგზააბნეული, რომ მთელი თხუთმეტი წუთი გაბრუებული იჯდა დივანზე, ვიდრე ცოტა გონს მოვიდოდა და აზრებს მოიკრებდა. ნიკოლაიზე ხომ სულ აღარ უფიქრია: გრძნობდა, რომ დამარცხდა; ნიკოლაის გამოტეხვა მეტად გასაოცარი და მწელად ასახსნელი რამ იყო, რის გაგებაც არაფრის გულისათვის არ შეეძლო ახლა. მაგრამ ეს აღიარება მაინც ფაქტი იყო, ნამდვილი ფაქტი. შედეგად მაშინვე ნათლად წარმოუდგა; ეჭვი არ ეპარებოდა, სიცრუე უთუოდ გამოაშკარავდებოდა და მაშინ ისევ ჩასჭიდებდნენ ხელს. მაინც იმ დრომდის თავისუფალი იყო და უნდა ცდილიყო, ეთავა რამე, რადგანაც საფრთხეს ვერასგზით თავს ვერ დააღწევდა.

რამდენად დიდი იყო ეს საფრთხე, თანდათან ირკვეოდა. გაიხსენა საზოგადოდ მთელი წელანდელი სცენა პორფირისთან და ერთხელ კიდევ შეაჟრჟოლა შიშის ზარისაგან. რასაკვირველია, ჯერ კიდევ სავსებით არ იცოდა, რა ჰქონდა აზრად პორფირის, ან რა ანგარიშით მოქმედებდა წელან ისე, მაგრამ ნაწილი პორფირის განზრახვისა უკვე გამომჟღავნდა და, რასაკვირველია, მასზე უკეთ ვერავინ გაიგებდა, თუ რა საზარელი რამ იყო იგი. ცოტა კიდევ და უეჭველად გასცემდა კიდევ თავის თავს. კარგად იცოდა პორფირიმ, რა ავადმყოფური ხასიათიც ჰქონდა რასკოლნიკოვს, თავიდანვე კარგად მიუხვდა და შესაფერისადაც შეუწონა მას თავისი განზრახვა. ეჭვი არ იყო, წელანაც საშინლად გაიფუჭა საქმე რასკოლნიკოვმა, მაგრამ ფაქტები მაინც ჯერ არსად ჩანდა; ყველა ეს კიდევ შედარებით საეჭვო იყო. მაგრამ ასეა ნეტა? რიგზე ესმის ყველაფერი? ხომ არა სცდება? რა უნდოდა დღეს პორფირის? ჰქონდა რამე მართლა მომზადებული? ან თუ ჰქონდა, სახელდობრ რა? ელოდა მართლა რასმე თუ არა? როგორ დაშორდებოდნენ ერთმანეთს, მოულოდნელად რომ ნიკოლაი არ ასჩენოდათ?

პორფირიმ მთელი თავისი განზრახვა გადაუშალა თვალწინ; დიდი გამბედაობა იყო იმის მხრივ, მაგრამ ასე კი მოიქცა, და თუ მართლა მეტი რამე იცოდა, ეჭვი არ არის (ასე ფიქრობდა რასკოლნიკოვი), არ დაუმაღავდა არც იმას. „სიურპრიზი“ რალა იყო ნეტა? დასცინოდა თუ რა? მართლა ნიშნავდა რასმე? მართლა ეცხო რამ ფაქტისა და ბრალდებისა თუ არა? გუშინდელი კაცი? სად დაიკარგა ნეტა? რატომ არსად ჩანდა დღეს? თუ მართლა რამ მოეძევება პორფირის, ეჭვი არ არის, გუშინდელ კაცთან უნდა ჰქონდეს კავშირი...

იჯდა დივანზე თავჩაკიდული, მუხლებზე დაყრდნობილს ხელები პირზე მიეფარებინა. მთელი ტანი ჯერ ისევ უკანკალებდა. წამოდგა ბოლოს, აიღო ქუდი, მცირე ხანს იფიქრა და კარისაკენ გასწია.

გრძნობდა ნამდვილად, რომ დღეს მაინც არა მოელოდა რა საშიში. უცბად რაღაც სიხარულიც კი იგრძნო: მოუნდა საჩქაროდ კატერინა ივანოვნასთან წასულიყო. დასაფლავებას, რასაკვირველია, ვერ მიუსწრებდა, მაგრამ მიცვალებულის შენდობა ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყო, იქ კი სონიასაც ნახავდა.

შედგა ერთ წამს, ფიქრმა წაიღო, ტუჩზე ავადმყოფური ღიმი შეუთამაშდა.

- დღეს! დღეს! - იმეორებდა თავისთვის. - დიახ, დღეს! ასე უნდა იყოს...

ის იყო უნდოდა, კარი გამოეღო, რომ თავისთავად გაიღო. შეაჭრჟოლა, უკან გახტა. კარი მძიმედ და წყნარად გაიხსნა უცბად. გუშინდელი კაცი გამოეცხადა.

კაცი შედგა, შეხედა ჩუმად რასკოლნიკოვს და ოთახში შევიდა. გარეგნობით პირწმინდად ისეთივე იყო, როგორც გუშინ ნახა, ტანზეც ისევე ისე ეცვა, როგორც გუშინ; ეს იყო მხოლოდ, სახე და გამომეტყველება გამოსცვლოდა; როგორღაც დაღონებული გამოიყურებოდა. პატარა ხანს ისე იდგა, მერე უცბად ღრმად ამოიოხრა. ისღა აკლდა ხელი ლოყასთან მიეტანა და გვერდზე გადაეგდო თავი, რომ მართლა დედაბერს დამგვანებოდა.

- რა გნებავთ? - დაეკითხა მიტკლისფრად ქცეული რასკოლნიკოვი.

უცნობი ჯერ გაჩუმდა, მერე უცბად ღრმად ამოიოხრა და მიწამდე თავი დაუკრა მდაბლად. ისე მდაბლად, რომ მარჯვენა ხელის თითები იატაკს შეახო.

- რაო, რა გინდათ? - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

- დამნაშავე ვარ, - უპასუხა წყნარად უცნობმა.

- რის დამნაშავე?

- იმისა, რომ ცუდი ვიფიქრე.

ორივენი ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

- მეწყინა. გახსოვთ, მაშინ რომ მობრძანდით, იქნებ ნაქეიფარიც იყავით, და მეეზოვეებს პოლიციაში იხმობდით, თან სისხლზედაც რაღაცას კითხულობდით, მეწყინა, რომ ისე გაგიშვეს და მთვრალად ჩაგთვალეს. იმდენად მეწყინა, რომ ძილი აღარ მომეკარა. მისამართი დავიმახსოვრე, მოვედით გუშინ და გიკითხეთ...

- ვინ მოვიდა? - გააწყვეტინა უცბად.

- მე, ესე იგი, მე შეურაცხველი ვიყავით.

- იმ სახლიდან ხართ, მაშ?

- დიახ, იქვე, ალაყაფის კართან ვიდექი მეეზოვეებთან, თუ დაგამახსოვრდით? საქმეც იქვე მაქვს, დიდი ხანია. ქურქი ვარ, ბეწვეულს ვკერავ; შინ ვიღებ საქმეს... მართლაც, ძალიან მეწყინა...

უცბად რასკოლნიკოვს მთლიანად გაახსენდა სამი დღის წინათ მომხდარი ამბავი; მოაგონდა ისიც, რომ მეეზოვეებს გარდა კიდევ ვიღაცა კაცები და დედაკაცები იდგნენ იქვე. მოაგონდა, ერთი მათგანი როგორ ურჩევდა, პოლიციაში წაეყვანათ. მთქმელის

სახე არ ახსოვდა და ვერ მოეგონა, მაგრამ ის კი გაახსენდა, რომ მიუბრუნდა კიდეც და რაღაც უპასუხა მაშინ...

აი, თურმე რითი დასრულდა გუშინდელი შიშის ზარი. ყველაზე საზარელი კი ის იყო, რომ ასეთი უბრალო გარემოების გამო, ცოტას გასწყდა, თავი არ დაიღუპა. მაშასადამე, ბინის დაქირავების და სისხლის თაობაზე გამოკითხვის მეტს ვერას ეტყოდა ეს კაცი. მაშასადამე, პორფირისაც ამ ბოდვისა და ფსიქოლოგიის მეტი სხვა არავითარი ფაქტი არა აქვს ხელთ. ერთიც და მეორეც ორი მხარეა ეჭვისა მხოლოდ, სხვა არაფერი. მაშასადამე, თუ სხვა რამ ფაქტი არ აუჩნდა (მათი აჩენა კი შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია...), ვერაფერს უზამენ. თუნდ დააპატიმრონ კიდეც, რითი უნდა გაამტყუნონ? მაშასადამე, პორფირისაც მხოლოდ ახლა შეუტყვია ბინის ამბავი, აქამდე არა სცოდნია რა.

- თქვენ უთხარით, მაშ, დღეს პორფირის... რომ მაშინ იქ ვიყავი? - შეჰყვირა უცბად რასკოლნიკოვმა.

- ვინ პორფირის?

- გამომძიებელს.

- მე ვუთხარი. მეუბოვეები არ წავიდნენ მაშინ, ავიღე და მე წავიდი.

- დღეს?

- ის იყო ვეუბნებოდი და თქვენც მოხვედით. გავიგონე ყველაფერი, როგორ გტანჯავდათ.

- საიდან? როგორ? როდის?

- იქვე, ტიხარს უკან ვიჯექი ერთთავად.

- როგორ? მაშ თქვენ იყავით ეგ „სიურპრიზი“? მერე, როგორ მოხდა, როგორ? მითხარით ერთი!

- ვნახე თუ არა, - დაიწყო მოქალაქემ, - რომ მეუბოვეები, თუმცა ვეუბნებოდი, მაგრამ არ მიდიოდნენ, იმიტომ, რომ გვიან არის და იქნებ გაგვიჯავრდნენ კიდეც, რა დროს მოსვლათ, მეწყინა და გადავწყვიტე, მაშინვე ყველაფერი გამეგო. გავიგე გუშინ და დღეს მიველი. პირველად მიველი - იქ არ იყო, ერთი საათის შემდეგ მიველი - არ მიმიღეს, მესამედ მიველი კიდეც და - მიმიღეს. მოვახსენე ყველაფერი, როგორც იყო. დაიწყო უცბად ოთახში სირბილი და გულში მუშტის ცემა: „რას მიშვრებით, თქვე ავაზაკებო? მცოდნოდა, ასე იყო საქმე, „კანვით“ მოვაყვანიებდიო!“ გავარდა მერე გარეთ, ვიღაცას დაუმახა და კუთხეში ეჩურჩულა, მერე ისევ ჩემთან შემოვიდა და გამოკითხვა და გინება დამიწყო. ბევრი მისაყვედურა; მოვახსენე ყველაფერი, რომ გუშინ ვერაფერი პასუხი ვერ მომეცით ჩემს სიტყვებზე და ისიც, რომ ვერც მიცანით. დაიწყო ისევ სირბილი მაშინ, გულში იცემდა, ჯავრობდა. მერე კი, რომ მოახსენეს თქვენზე, ნახვა უნდაო, მიბრძანა, მაშინვე ტიხარს უკან დავმალულიყავ და ვმჯდარიყავი გაუნძრევლად, - ხმა არ ამოიღო, რაც გინდა გაიგონო, და სკამი მომიტანა, დამკეტა; იქნებ დამჭირდე და დაგიძახო. მერე კი, ნიკოლაი რომ მოიყვანეს, თქვენს შემდეგ მეც გამომიშვა და მითხრა: კიდეც დაგიძახებ, გამოგკითხავო...

- ნიკოლაისაც შენთან დაჰკითხა?

- გაგიყვანათ თუ არა თქვენ, მეც მაშინვე გამომიყვანა და მერე ნიკოლაის დაუწყო დაკითხვა.

შედგა მოქალაქე, თავი კვლავ მდაბლად დაუკრა, თითი იატაკს შეახო.

- მაპატიეთ ბოროტი განზრახვა და დასმენა.

- ღმერთმა გაპატიოს, - მიუგო რასკოლონიკოვმა.

უთხრა თუ არა ეს, მოქალაქემ ერთხელ კიდევ დაუკრა თავი, მაგრამ ისე მდაბლად კი აღარ, და მძიმედ გავიდა ოთახიდან. „ყველაფერი ორ მხარეზე მეტყველებს ახლა, ყველაფერი“, - გაიმეორა რასკოლონიკოვმა და გამხნეებული ოთახიდან გავიდა.

„ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს“, - ჩაილაპარაკა და მწარედ გაეღიმა. შეეზიზღა და შერცხვა თავისი თავისა, რომ წედან ისეთი „სულმოკლეობა“ გამოიჩინა პორფირისთან.

ნაწილი მეხუთე

I

მეორე დილას, დუნეჩკასა და პულხერია ალექსანდროვნასთან საბედისწერო მოლაპარაკების შემდეგ, პეტრ პეტროვიჩიც თითქოს გამოფხიზლდა. მისდა საუბედუროდ და დიდად საწყენად, იძულებული იყო დაეჯერებინა და ნამდვილ, უკვე მომხდარ და გამოუსწორებელ ამბად ეცნო ის, რაც ერთი დღის წინათ შეუძლებელ და სრულიად წარმოუდგენელ რამედ მიაჩნდა.

თავმოყვარეობამოშხამულს მთელი ღამე რაღაც უღრღნიდა გულს. წამოდგა თუ არა ლოგინიდან, მაშინვე სარკეში ჩაიხედა. ეშინოდა, ღამე ნალველა ხომ არ ჩამექცაო? მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით საშიში არა ჰქონდა რა; პირიქით, ამ ბოლო დროს ცოტათი ჩასუქებულ თავის თეთრსა და კეთილშობილ სახეს რომ შეხედა, ერთ წამს იმედიც კი მიეცა, რომ სხვაგან სადმე იპოვიდა საცოლეს და იქნებ დუნეჩკაზე უკეთესსაც კი; მაგრამ გამოერკვა მაშინვე და გულიანად გააფურთხა გვერდზე, რის გამოც თავისი მეგობრისა და ერთად მცხოვრების - ანდრეი სემიონოვიჩ ლებეზიატნიკოვის ჩუმი დაცინვა გამოიწვია. შენიშნა პეტრ პეტროვიჩმა ახალგაზრდა მეგობრის ეს დამცინავი ღიმილი და გულში ჩაეჭრა, დაიხსომა. ამ ბოლო დროს ისეც ბევრჯერ აწყენინა, რაც კარგად ახსოვდა. უარესად იწყინა და გაბრაზდა, როცა მოისაზრა უცბად, რომ გუშინაც ტყუილუბრალოდ შეატყობინა ანდრეი სემიონოვიჩს თავისი მარცხი. ეს მეორე შეცდომა იყო გუშინ, რომელიც სიფიცხით ჩაიდინა გაჯავრებულმა და გაცხარებულმა... იმ დილითაც, თითქოს განგებო, უსიამოვნება უსიამოვნებას მოსდევდა. სენატშიაც რაღაც უსიამოვნება შეემთხვა იმ საქმის გამო, რომლისთვისაც დიდად ცდილობდა. ყველაზე მეტად კი აბრაზებდა სახლის პატრონი, რომლისგანაც ქორწინების მოლოდინში ბინა იქირავა და თავის ხარჯზე აკეთებინებდა ახლა: არ თანხმდებოდა ის ვიღაც გამდიდრებული გერმანელი ხელოსანი და სთხოვდა, წერილობით დადებული პირობის დარღვევისათვის ჯარიმა სავსებით გადაეხადა, თუმცა პირობა სულ რამდენიმე დღე იყო, დაეწერათ და პეტრ პეტროვიჩიც სრულიად გაახლებულ ბინას აბარებდა პატრონს. ასევე მოექცნენ

მაღაზიაში, სადაც სახლის მოწყობილობა იყიდა, მაგრამ ჯერ არ წამოედო; ბედ მიღებული ფულიდან არც ერთ გროშს უკან აღარ უბრუნებდნენ. „სახლის მოწყობილობისათვის ხომ არ შევირთავ საგანგებოდ ცოლს!“ - იმეორებდა კბილების ღრჭიალით გულმოსული პეტრ პეტროვიჩი და თან რაღაც იმედი არ სცილდებოდა კიდევ: „ნუთუ მართლა ყველაფერი სამუდამოდ გაქრა? ნუთუ ცდა ვერას გახდება?“ დუნეჩკაზე ფიქრი კვლავ გულს მაცდურად უღიტინებდა. დიდი ტანჯვით მოინელა ეს წამი და, რომ შეძლებოდა მხოლოდ ერთი ნატვრით გაეთავებინა რასკოლნიკოვი, პეტრ პეტროვიჩი ახლავე ინატრებდა.

„გარდა ამისა, შევცდი იმითაც, რომ ფული სრულიად არ მიმიცია მათთვის, - ფიქრობდა იგი დაღონებული, ლებეზიატნიკოვის პაწაწა ოთახში დაბრუნებისას, - ან რამ გამაკრიჟანგა ასე? ანგარიშიც კი არა მქონია რა, ისე მომიხდა როგორღაც! მინდოდა გაჭირვებაში მყოფოდნენ, რომ ღვთის განგებად ჩავეთვალე! იმათ კი, ხედავთ, რა ქნეს!.. ფუჰ!.. არა, მე რომ ერთი ას ორმოცდაათი თუმანი ფული მიმეცა მზითვისა და სხვადასხვა საჩუქრისათვის, გულის ქინძისთავების, ნაჭრების და კნოპისა თუ ინგლისური მაღაზიის სხვა ხურდა-მურდისათვის, მაშინ საქმე უკეთ იქნებოდა... და უფრო მტკიცედაც! ასე ადვილად უარს ვეღარ მეტყოდნენ მაშინ! თვითონ ხალხია ისეთი, არ შეინარჩუნებდნენ და მოვალედ ჩათვლიდნენ თავს, საჩუქარიც, ფულიც, ყველაფერი უკანვე დაებრუნებინათ. უკან დაბრუნება კი სამძიმოც იქნებოდა და დასანანიც. სინდისიც შეაწუხებდათ: როგორ გავაგდოთ კაცი, რომელიც აქამდე ასე გულუხვი და თავაზიანი იყო?.. ჰმ! შევცდი და ეგ არის!“ ერთხელ კიდევ გააღრჭიალა კბილები პეტრ პეტროვიჩმა. ტუტუცი უწოდა თავის თავს, რასაკვირველია, გუნებაში მხოლოდ.

ამ დასკვნის შემდეგ ერთიორად გაბოროტებული და გაბრაზებული დაბრუნდა შინ. მაგრამ კატერინა ივანოვნას ოთახში გაჩაღებულმა სამზადისმა უნებურად მიიპყრო მისი ყურადღება. ზოგი რამ გუშინაც ჰქონდა გაგონილი ამის თაობაზე, ახსოვს, ვითომ იმასაც პატიჟებდნენ; მაგრამ იმდენი რამ ჰქონდა თვითონაც საზრუნავი, რომ დანარჩენს როგორღაც ყურადღება აღარ მიაქცია. გამოჰკითხა საჩქაროდ ქალბატონ ლიპევეზხელს, რომელიც კატერინა ივანოვნას მაგივრად (სასაფლაოზე რომ იყო წასული) რიგს აძლევდა სუფრის გაშლაზე და შეიტყო, რომ ქელები საკმარისად რიგიანი უნდა ყოფილიყო, რომ მოწვეული ჰყავდათ თითქმის ყველა მდგმური და იმათგან ისეთებიც კი, რომლებსაც განსვენებული სრულიად არ იცნობდა; რომ მოეწვიათ აგრეთვე ანდრეი სემიონოვიჩ ლებეზიატნიკოვი, რომელთანაც ნაჩხუბარი იყო კატერინა ივანოვნა, და თვითონ პეტრ პეტროვიჩიც; რომ მას, პეტრ პეტროვიჩს, როგორც ყველაზე საპატიო სტუმარს, სხვებზე მეტად ელოდნენ. თვითონ ამალია ივანოვნაც დიდი პატივით იყო მიწვეული, თუმცა უსიამოვნება ჰქონდათ მუდამ ერთმანეთში; ამიტომაც საგანგებოდ ცდილობდა, ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. თან სიამოვნებას გრძნობდა და ამაყოფიდა, რომ, მართალია, სამგლოვიარო ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ მთლად ახლებსა და ფარჩეულობაში იყო გამოწყობილი და შეეძლო თავი საკმაოდ მოეწონებინა. ყველა ამ ფაქტმა და ცნობამ რაღაცა აზრი ჩაუსახა პეტრ პეტროვიჩს და ისიც, ფიქრში წასული, თავის, ესე იგი ანდრეი სემიონოვიჩ ლებეზიატნიკოვის, ოთახში შევიდა. როგორც შეიტყო, მოწვეულთა შორის რასკოლნიკოვიც უნდა ყოფილიყო.

რაღაც მიზეზით ანდრეი სემიონოვიჩიც მთელი დღე შინ იჯდა. უცნაური დამოკიდებულება ჩამოუვარდა პეტრ პეტროვიჩს ამ კაცთან, თუმცა ერთი მხრივ

ბუნებრივიც იყო ეს მათი დამოკიდებულება: პეტრ პეტროვიჩს იგი ეზიზღებოდა და სძულდა იმ დღიდანვე თითქმის, რაც მასთან დასახლდა, მაგრამ იმავე დროს თითქოს ეშინოდა კიდევ მისი. მარტო კრიჟანგობა და ფულის დაზოგვა არ იყო მიზეზი, რომ პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე მასთან ჩამოხტა, თუმცა უმთავრესი მიზეზი მაინც ეს იყო. იყო ამის გარდა კიდევ სხვა მიზეზიც, რომელმაც აიძულა ასე მოქცეულიყო. ჯერ ისევ პროვინციაში ჰქონდა გაგონილი, რომ მისი აღზრდილიანდრეი სემიონოვიჩი მოწინავე ახალგაზრდად და პროგრესისტად ითვლებოდა... რაღაც საკმაოდ საზღაპრო და დიდმნიშვნელოვან წრეებშიაც გავლენა ჰქონდა ვითომ. ამან დიდად გააკვირვა პეტრ პეტროვიჩი. სწორედ ეს ყოვლისმცოდნე, ყველას მოძულე და მამხილებელი მძლავრი წრეები აშინებდნენ პეტრ პეტროვიჩს და რაღაც გაურკვეველ შიშისზარსა სცემდნენ. რასაკვირველია, თვითონ მას, ისიც პროვინციაში, ვერასგზით ვერ წარმოედგინა, თუნდაც დაახლოებით, ამგვარი რამ. გაეგონა მხოლოდ სხვებსავით, რომ პეტერბურგში არიან ვიღაც პროგრესისტები, ნიჰილისტები, მამხილებლები და სხვა და სხვა, მაგრამ სხვებივით ისიც მხოლოდ აზვიადებდა და სასაცილოდ ამახინჯებდა მათ აზრსა და მნიშვნელობას. ყველაზე მეტად, რამდენიმე წელიწადია აგერ, ეშინოდა მხილებისა და გაკიცხვისა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მუდმივ შიშობდა და მოუსვენრობდა, როცა კი თავისი მოღვაწეობის პეტერბურგში გადატანაზე ოცნებობდა ხოლმე. ამ მხრივ პატარა ბავშვივით იყო დაშინებული. რამდენიმე წლის წინათ, პროვინციაში, თავისი საქმიანობის დასაწყისში, თვითონ იყო მოწმე ორი ისეთი შემთხვევისა, როდესაც სასტიკად იქნა მხილებული და გაკიცხული გუბერნიაში დიდმნიშვნელოვანი ორი გვამი, რომელთა კალთის ქვეშაც იმ დრომდის მფარველობას ჰპოვებდა იგი. ერთი მათგანისათვის საქმე როგორღაც დიდი დავიდარაბით გათავდა, მეორეს კი მთლად მოეჭრა თავი. აი, რატომ გადაწყვიტა პეტრ პეტროვიჩმა, პეტერბურგში ჩასვლისთანავე დაუყოვნებლივ გაეგო ყველაფერი და, თუ საჭირო იქნებოდა, ადრევე მოეგო ამ „მოწინავე ახალგაზრდობის“ გული. ამ მხრივ კი დიდი იმედი ჰქონდა ანდრეი სემიონოვიჩისა, რომ დაეხმარებოდა. რასკოლნიკოვთან ყოფნის დროს უკვე ასე თუ ისე ნასწავლი ჰქონდა: როგორ გაეთავისებინა სხვისგან განაგონი...

რასაკვირველია, მალე გაიცნო, რა პატარა, უბრალო კაცუნაც იყო ანდრეი სემიონოვიჩი. მაგრამ მაინც ვერ დააჯერა და დაამშვიდა ამ გარემოებამ. თუნდ დაეჯერებინა და დარწმუნებულიყო კიდევ, რომ ყველა პროგრესისტი მისებრ ჩურჩუტი იყო, მაინც ვერ დამშვიდდებოდა. ამასთანავე, მათ მოძღვრებას, აზრებსა და სისტემებთან (რომლებითაც ანდრეი სემიონოვიჩმა გააზრუა იგი) სულ არა ესაქმებოდა რა. პეტრ პეტროვიჩს თავისი საკუთარი მიზანი ჰქონდა: რაც შეიძლება მალე გაეგო, როგორ და რანაირად მოხდა აქ ყველაფერი? აქვს რამ ძალა ამ ხალხს თუ არა? არიან რითიმე მისთვის საშიშნი თუ არა? ამხილებენ, რომ დაიწყოს რამე, თუ არა? თუ ამხილებენ, სახელდობრ რისთვის? ან რისთვის ამხელენ ხოლმე ამჟამად? გარდა ამისა: არ შეიძლება როგორმე დაუახლოვდეს და ყინულზე გააცუროს, თუ აქვთ მართლაც რამე ძალა? საჭიროა ეს თუ არა? არ შეიძლება, როგორმე იმათი საშუალებით წინ წაიწიოს, საქმე გაიკეთოს? ერთი სიტყვით, მრავალი ასეთი კითხვა დაეებადა.

ანდრეი სემიონოვიჩი ლებეზიატნიკოვი იყო ტანდაბალი, გასაოცრად ქერა, გამხდარი, სურავანდიანი კაცუნა, ქილვამები კატლეტებივით ჰქონდა დაყენებული, რითაც მუდამ ამაცობდა. გარდა ამისა, თვალები თითქმის მუდამ სტკიოდა. გული ჩვილი

ჰქონდა და კეთილი, მაგრამ მეტად რიხიანი ლაპარაკი იცოდა, ზოგჯერ დიდგულადაც, რაც მის გარეგნობასთან შედარებით თითქმის მუდამ სასაცილოდ მოჩანდა ხოლმე. მაინც ამალია ივანოვნას მდგმურებში ყველაზე პატივცემულად ის ითვლებოდა, რადგანაც არა სვამდა და ოთახის ქირასაც დროზე იხდიდა მუდამ. მიუხედავად ყველა ამ თვისებისა, ანდრეი სემიონოვიჩი მაინც ცოტა ჩურჩუტი იყო. მაგრამ პროგრესსა და ამ „ახალ თაობას“ აჰკვიატებოდა საკუთარი სურვილითა და გატაცებით. ეს იყო იმ მრავალრიცხოვან უდღეურთაგან, რომლებიც რიგიანად ვერას შეისწავლიან ხოლმე, მაგრამ საიმდროოდ, მოდურ აზრებს კი უცბად შეითვისებენ, რომ იმავე წამს გააუგვანონ და დაამახინჯონ, რომ უცბად სასაცილო გახადონ ყველაფერი, რასაც კი ზოგჯერ გულწრფელად ემსახურებიან ვითომ.

მიუხედავად იმისა, რომ ლებეზიატნიკოვი მეტად გულკეთილი იყო, მაინც შესძულდა თავისი ძველი მეურვე და ახლა მასთან მცხოვრები პეტრ პეტროვიჩი. როგორღაც უნებურად უცბად შეძულდათ ერთმანეთი. თუმცა მიამიტი ვინმე იყო ანდრეი სემიონოვიჩი, მაგრამ მიხვდა მაინც ნელ-ნელა, რომ პეტრ პეტროვიჩი ატყუებდა და გულში სძულდა კიდეც იგი, რომ „სხვა იყო ნამდვილად და სხვად აჩვენებდა თავს“. სცადა ლებეზიატნიკოვმა და დაუწყო ფურიეს სისტემისა და დარვინის თეორიის გაცნობა, მაგრამ პეტრ პეტროვიჩი, განსაკუთრებით ბოლო დროს, რატომღაც დაცინვით უსმენდა ხოლმე და უკანასკნელად ჩხუბიც კი დაუწყო. საქმე ის არის, რომ ალლო აულო, რომ ლებეზიატნიკოვი მარტო უგვანი და ჩურჩუტი კი არა, მატყუარაც იყო და არავითარი გავლენით არ სარგებლობდა თავის წრეშიაც კი, მხოლოდ სხვებისაგან ჰქონდა ზოგიერთი რამ გაგონილი; გარდა მაგისა, თვითონ საპროპაგანდო საგანიც თითქოს არ იცოდა კარგად, როგორღაც ხშირად იბნეოდა; მაშასადამე, რის მამხილებელი უნდა ყოფილიყო! აქვე შევნიშნავთ გაკვრით, რომ ამ კვირანახევრის განმავლობაში, რაც ანდრეი სემიონოვიჩთან ცხოვრობდა, პეტრ პეტროვიჩი არ უარობდა და მუდამ ხალისით ისმენდა მის ზოგჯერ მეტად უცნაურ ქებას. ჩუმად იყო, მაგალითად, როდესაც ანდრეი სემიონოვიჩი ასეთ რამეს მიაწერდა, ვითომ პეტრ პეტროვიჩი ხელს შეუწყობდა სადმე მეშჩანის ქუჩაზე ახალი „კომუნის“ დაარსებას ახლო მომავალში, რომ, მაგალითად, დუნეჩკას ხელს არ შეუშლიდა, თუ ქორწინების შემდგომ პირველ თვეზევე საყვარელს გაიჩენდა; ან შვილებს არ მოანათვლინებდა და სხვა და სხვა. ჩვეულებისამებრ, პეტრ პეტროვიჩი არ ეწინააღმდეგებოდა და ნებას აძლევდა, ექო და ედიდებინა თუნდაც ასე, - იქამდის სასიამოვნო იყო მისთვის ქება.

პეტრ პეტროვიჩს რაღაცისათვის რამდენიმე ხუთპროცენტისანი ფასიანი ქაღალდი დაეხურდავებინა იმ დილით, მისჯდომოდა მაგიდას და ქაღალდის ფულისა და სერიების შეკვრებს ითვლიდა. ანდრეი სემიონოვიჩი კი, რომელსაც არასოდეს თითქმის არ მოეპოვებოდა ფული, ოთახში გადი-გამოდიოდა და ისე აჩვენებდა თავს, ვითომ გულგრილად და ზიზღით უყურებდა ამ ფულებს. მაგრამ ვერავინ დააჯერებდა პეტრ პეტროვიჩს, რომ ანდრეი სემიონოვიჩი მართლაც გულგრილად დაუწყებდა ცქერას ამდენ ფულს; ამიტომაც გულნატკენმა ანდრეი სემიონოვიჩმა გაივლო ფიქრად, იქნებ ასე ჰგონია პეტრ პეტროვიჩს და განგებ ამოალაგა მის წინ ამოდენა ქაღალდის ფული, რომ გაებრაზებინა და ეგრძნობინებინა თავისი ახალგაზრდა მეგობრისათვის, რა არარაობა რამ იყო იგი, ან ერთმანეთისაგან რით განსხვავდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ანდრეი სემიონოვიჩმა საყვარელ „კომუნაზე“ გაუბა ლაპარაკი, პეტრ პეტროვიჩი მაინც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ბრაზობდა კიდეც. ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები, რომლებიც აღმოხდებოდა ხოლმე პეტრ პეტროვიჩს საანგარიშოს ჩხაკუნში, მოურიდებელი და განზრახ უზრდელი დაცინვა იყო მხოლოდ. „კომუნური“ ანდრეი სემიონოვიჩი გუშინდელ განხეთქილებას აწერდა მაინც მის ასეთ სულიერ განწყობილებას და ნატრობდა, როგორმე მალე ლაპარაკი ისევ ამ საგანზე ჩამოეგდო; საპროპაგანდოდ უნდოდა თავისი პროგრესული აზრები ეთქვა ამაზე და პატივცემული მეგობარი ამით როგორმე ენუგეშებინა, რომ მისი მომავალი განვითარებისათვის „უეჭველი“ რამ სარგებლობა მოეტანა.

- რაო, ქელეხს მართავს მაშ ეგ ქვრივი? - ჩაეკითხა უცბად პეტრ პეტროვიჩი და სწორედ საყურადღებო ადგილას შეაწყვეტინა ანდრეი სემიონოვიჩს ლაპარაკი.

- ვითომდა არ იცით; გუშინ არ იყო, მე თვითონ გელაპარაკებოდით ამაზე და ჩემი აზრიც გამოვთქვი ყველა ამ ჩვეულების შესახებ?.. გარდა ამისა, გავიგე, თქვენც მიწვეული ხართ; თორემ არ იყო, თქვენ თვითონ ელაპარაკებოდით გუშინ...

- არ მეგონა სწორედ, თუ ეს ტუტუცი გლახაკი მთელ თავის ფულს, რომელიც ასეთივე ტუტუცისაგან... რასკოლნიკოვისაგან მიიღო, ქელეხს მოანდომებდა... გავკვირდი კიდევაც, რომ გამოვიარე ახლა: ისეთი სამზადისი აქვთ და ღვინოები!.. რამდენიმე კაცი მოუწვევიათ, ეშმაკმა იცის, რა ამბავია; - განაგრძობდა პეტრ პეტროვიჩი და თან რაღაც აზრით სულ ისევ ამ საგანს უტრიალებდა. - რაო? მეც მიმიწვიეს? - დასძინა უცბად და თავი აიღო მაღლა. - როდის, როდის? არ მახსოვს, სულ ერთია, არ წავალ. რა უნდა გავაკეთო? გუშინ ისე, გავლით, ვუთხარი ორიოდე სიტყვა, რომ, როგორც ღარიბ-ღატაკ ქვრივს მოხელისას, შეეძლო ერთდროულ დახმარებად წლიური ჯამაგირი მიეღო როგორმე. ამიტომ ხომ არ მიმიწვია ნეტა? ხე-ხე-ხე-ხე!

- არც მე ვაპირებ წასვლას, - უპასუხა ლებეზიატნიკოვმა.

- რასაკვირველია, ვერ წახვალთ! თქვენ არ იყავით, საკუთარი ხელით მიჰყებთ! ეჭვი არ არის, გერცხვინებათ და იმიტომ ვერ წახვალთ, ხე-ხე-ხე!

- ვინა, ვინ სცემა? ვისა? - გაწიწმატდა უცბად და გაწითლდა კიდეც ლებეზიატნიკოვი.

- ვინა და თქვენა კატერინა ივანოვნას, ამ ერთი თვის წინათ, ვგონებ! გავიგე, გუშინ მითხრეს... ესეც თქვენი რწმენა და აზრები! ქალთა საკითხსაც ხომ პატივი ეცით, ხე-ხე-ხე-ხე!

პეტრ პეტროვიჩი, თითქოს ნუგეშცემული, სანგარიშოს ჩხაკუნს მოჰყვა ისევ.

- ყველაფერი ეგ სისულელე და ცილისწამებაა! - აენტო ლებეზიატნიკოვი, რომელსაც მუდამ შიშის ზარს სცემდა ამ ამბის მოგონება, - და არც აგრე იყო საქმე! სხვანაირად გაგიგონიათ; ცილი და ჭორია! მე მხოლოდ თავს ვიცავდი მაშინ. თვითონვე მომვარდა გააფთრებული... კინაღამ ქილვაშები ჩამომაწიწვნა... მგონია, ყველას აქვს უფლება, თავი დაიცვას. გარდა მაგისა, არავის ნებას არ მივცემ ძალმომრეობისას... პრინციპულად. იმიტომ, რომ ეს თითქმის მტარვალობაა, დესპოტიზმია! რა უნდა მექნა მაშ; ვმდგარიყავი და მეცქირა? ხელი ვკარი მარტო, მოვიშორე.

- ხე-ხე-ხე-ხე! - დასცინოდა ღვარძლიანად ლუჟინი.

- ეგ იმიტომ მოგდით, რომ თვითონ ხართ გაბრაზებული და გულნატკენი... თორემ ყველა ის, რაც გაგიგიათ, სისულელეა და ქალთა საკითხს სრულებით არ შეეხება! არც საქმე გესმით რიგზე; მე კი ასე ვფიქრობდი, რაკი ქალი ყველაფრით თანასწორია კაცისა, ღონითაც კი (ხომ ამტკიცებენ), მაშასადამე, აქაც უნდა თანასწორი იყოს-მეთქი. რასაკვირველია, მერე გადავწყვიტე, ასეთი კითხვა სრულიად შეუძლებელია-მეთქი, ვინაიდან მომავალ საზოგადოებაში ჩხუბი არ უნდა იყოს... და მეორეც, სასაცილო და უცნაური იქნებოდა სწორედ, ჩხუბში ვინმეს თანასწორობის ძიება დაეწყო... არც ისეთი ტუტუცი ვარ... თუმცა, მართალია, ჩხუბი... შემდგომში აღარ იქნება, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ არის... ფუჰ... ეშმაკსა, თქვენთან მოლაპარაკე მართლა დაიბნევა! იმიტომ კი არ ვამბობ, არ დავესწრები-მეთქი ქელეს, რომ უსიამოვნება შემემთხვევა; არა, პრინციპის გულისათვის არ წავალ, რომ ასეთ სათაკილო და საზიზღარ ცრუმორწმუნეობას არ დავესწრო, აი, რატომ! თუმცა შეიძლებოდა წავსულიყავი კიდევ, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ დამეცინა... მაგრამ ვაი რომ მღვდლები არ ეყოლებათ. მღვდელი კი რომ ჰყავდეთ, უთუოდ წავიდოდი.

- ესე იგი, სხვისი პურმარილი სჭამოთ და იქვე შეუგინოთ? შეურაცხყოთ აგრეთვე ისინიც, ვინც მიგიწვიათ! ასეთია თქვენი აზრი თუ რა?

- სრულიადაც არა, წავალ იმიტომ, რომ შევეწინააღმდეგო და არა იმიტომ, რომ პურმარილი შევუგინო. ისიც ისევ სარგებლობის გულისათვის და სიკეთით. ამითი ისევ განვითარებისა და პროპაგანდის საქმეს მოვუმართავდი ხელს. ყველა მოვალეა განვითარებისა და პროპაგანდის საქმეს ემსახუროს და იქნებ ამით უკეთესი და სამჯობინოც იყოს, რამდენადაც მოურიდებლად იმოქმედებს. მე მხოლოდ იდეას მივაწვდი, თელს მოვაბნევე... მერე თვითონ გადაიქცევა ფაქტად. რითი ან როგორ შეურაცხვეყოფ განა? პირველად, მართალია, ეწყინებათ, მაგრამ მერე უთუოდ მიხვდებიან და დაინახავენ, რომ სარგებლობა მოვუტანე მხოლოდ. აი ჩვენშიაც ბევრს ამტყუნებდნენ ტერებიევას (კომუნაში რომ არის ახლა), ოჯახს რომ თავი დაანება და... მისწერა დედ-მამას, - აღარ მსურს ასეთი ცრუმორწმუნეობით ცხოვრება, სამოქალაქო ქორწინებით სხვას მივსდევო. ამბობდნენ, მეტად სასტიკად მოიქცაო. ხომ შეიძლებოდა, მამას ცოტა სხვარიგად მოპყრობოდა და რბილად როგორმე მიეწერაო. ჩემი აზრით კი, სისულელეა სულ ეს, პირიქით, საჭიროა პირდაპირი და მოურიდებელი მოქცევა, წინააღმდეგობაა საჭირო. აგერ, ვარენცმაც შვიდი წელიწადი ქმართან იცხოვრა, მაგრამ ორ-ორი ბავშვის პატრონმა უცბად ქმარს ასეთი წერილი მისწერა: „შევიგნე, რომ თქვენთან ბედნიერად ვერასოდეს ვიქნები. ვერასოდეს ვერ გაპატიებთ, რომ მომატყუეთ და არ შემატყობინეთ, თუ არსებობდა ქვეყნად სხვარიგი ცხოვრებაც, კომუნის წესით. მხოლოდ ამ ბოლო დროს შევიტყვე ეს ერთი დიდსულოვანი ადამიანისაგან, რომელსაც შევუერთდი და გადავწყვიტე ერთად დავაარსოთ კომუნა. გწერთ პირადად, რადგანაც არა მსურს უპატიოსნება ჩავიდინო და მოგატყუოთ. იყავით როგორც გერჩიოთ. ნუღარც ჩემი დაბრუნების იმედი გექნებათ. გვიანდაა. გისურვებთ ბედნიერად ცხოვრებას“. აი, ხომ ხედავთ, როგორ სწერენ ასეთ წერილებს!

- ეს ის ტერებიევას, რომ იძახდით, მესამედ იქორწინა სამოქალაქო წესითო?

- მხოლოდ მეორედ, თუ ნამდვილად გინდათ გაიგოთ! მაგრამ თუნდ მეოთხედ და მეთხუთმეტედაც იყოს, რა უშავს მერე! და თუ ოდესმე სანანურად მქონია, რომ დედ-მამა დამეხოცა, რასაკვირველია, ახლა მაქვს სანანურად. რამდენჯერ მიოცნებია

კიდეც, ცოცხლები რომ მყოლოდა, როგორ დავცხებდი პროტესტს! განგებ მოვაწყობდი ასე... ეგ რა არის კიდეც, ეჰ! ვუჩვენებდი მე იმათ! გავაკვირვებდი პირდაპირ! ვწუხვარ სწორედ, რომ არავინ მყავს!

- რომ გაგეკვირვებინათ! ხე-ხე-ხე! როგორც გნებავთ, თუნდა აგრე იყოს, - გააწყვეტინა პეტრ პეტროვიჩმა, - მაგრამ მითხარით ერთი: ამ განსვენებულის ქალს, გამხდარს, იცნობთ ხომ! მართალია მაშ, რასაც ამბობენ იმაზე? ჰა?

- რა არის მერე? ჩემი აზრითა და პირადი რწმენით, ეს სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა ქალისა. რატომაც არაო ვითომ? ესე იგი distinguons[35]. დღევანდელ საზოგადოებაში, რასაკვირველია, ასეთ მოვლენას ნორმალური არ დაერქმის, იმიტომ, რომ ძალდატანებითია იგი, მაგრამ მომავალში ნორმალური შეიქმნება სრულიად, ვინაიდან თავისუფალი იქნება. ახლაც კი უფლება ჰქონდა: ქალი იტანჯებოდა, ეს მისი სიმდიდრე და ფონდი იყო, მაშასადამე, უფლებაც ჰქონდა, როგორც სურდა, ისე მოეხმარა. რასაკვირველია, მომავალ საზოგადოებაში ფონდები საჭირო აღარ იქნება; მაგრამ დანიშნულება მისი შეიცვლება, რაციონალურად გარკვეული გახდება. რაც შეეხება პირადად სოფია სემიონოვნას, ჩემი აზრითა და შეხედულებით, ეს მისი საქციელი ენერგიული და გაბედული წინააღმდეგობაა დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილებისადმი, ამიტომაც ღრმად პატივს ვცემ მას; ვხარობ თითქმის, რომ ვუცქერი.

- მე კი მითხრეს, ვითომ სწორედ თქვენ გაგედევნოთ ამ ნომრებიდან!

ლებეზიატნიკოვი გაცეცხლდა, გამძვინვარდა.

- ეგეც ჭორია ისევ! - შეჰყვირა. - აგრე არ ყოფილა სულაც! გეუბნებით, არა-მეთქი! კატერინა ივანოვნამ იცრუა მაშინ, იმიტომ რომ ვერა გაიგო რა! სულაც არ ვცდილობდი, სოფია სემიონოვნას ავტორღიალებოდი! მინდოდა მხოლოდ გამევიტარებინა, სრულიად უანგაროდ, რომ პროტესტი გამოეცხადებინა... მე მხოლოდ პროტესტი მინდოდა გამომეწვია, თან თვითონ სოფია სემიონოვნასაც აღარ შეეძლო ნომრებში დარჩენა!

- კომუნაში ხომ არ იწვევდით?

- თქვენ კიდეც სულ იცინით და მასხრად იგდებთ ყველაფერს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მეტად უადგილოდ და უაზროდ, არა გესმით რა! კომუნაში ასეთი დანიშნულება არავისა აქვს. პირიქით, კომუნა არსდება იმიტომ, რომ ასეთი მოვალეობა არავისა ჰქონდეს. კომუნის დროს ყველაფერი ეს გამოიცვლება. რაც ახლა სისულელედ ითვლება, მაშინ გონივრული შეიქნება; რაც დღევანდელ გარემოებაში არაბუნებრივია, იქ სრულიად ბუნებრივ სახეს მიიღებს. იმაზეა ყველაფერი დამოკიდებული, რა გარემოებასა და ხალხში ტრიალებს ადამიანი. საზოგადოებაზეა ყოველივე დამოკიდებული; თავისთავად კაცი არარა არის. სოფია სემიონოვნასთან კი დღესაც კარგი განწყობილება მაქვს, რაც, ეჭვი არ არის, ამტკიცებს, რომ მტრად და შეურაცხმყოფლად არა მთვლის. დიახ! გინდა ახლა კომუნაშიაც შევიყვანო, მაგრამ სხვა პირობებით სულ! რა არის აქ სასაცილო? გვინდა საგანგებო კომუნა დავაარსოთ, მაგრამ უფრო ფართო მიმართულებისა, ვიდრე უწინდელ კომუნებს ჰქონდათ. იმიტომ, რომ უფრო თავისუფალი რწმენისანი ვართ და მეტსაც უარვყოფთ!

ჯერჯერობით კი სოფია სემიონოვნას განვითარებას განვაგრძობ ისევ. მშვენიერი, საუცხოო ბუნების ადამიანია სწორედ.

- მერე, სარგებლობთ თქვენც ამ მშვენიერი ბუნების ადამიანით, ჰა? ხე-ხე-ხე!

- სრულიადაც არა! არა და არა! პირიქით!

- აბა, მაგას კი ნუ იტყვით ტყუილად! ხე-ხე-ხე-ხე! ვერ ხედავთ, რა თქვა!

- მენდეთ-მეთქი! მითხარით ერთი, ან კი რისთვის დაგიმალავდით? პირიქით, მე თვითონ რაღაც უცნაურად მეჩვენება: როგორღაც მეტად უმანკოდ, მორცხვად არის ჩემთან, თითქოს ეშინიაო.

- თქვენ კი, რასაკვირველია, ცდილობთ განავითაროთ, ჰა?.. ხე-ხე-ხე! უმტკიცებთ, რომ მორცხვობა და სხვა ამგვარი მოკრძალება სისულელეა, არა?

- სულაც არა! სულაც არა! ოჰ, რა უხამსად და თითქმის - მაპატიეთ კი - სულელურად გესმით სიტყვა: განვითარება! სრულიად არა გესმით რა! ოჰ, ღმერთო, როგორი მოუმზადებელი ხართ ჯერ კიდევ! ჩვენ ვცდილობთ გავათავისუფლოთ ქალი, თქვენ კი სხვას ფიქრობთ სულ... უმანკობასა და ქალურ მოკრძალებას სრულიად არ ვეხები, როგორც ცრუმორწმუნეობრივსა და უსარგებლო საგნებს, მაგრამ შესაძლებლადა ვთვლი, უმანკო იყოს ჩემ წინაშე, რადგანაც ეს სრულიად მისი უფლება და ნებაა! რასაკვირველია, თვითონვე რომ მითხრას: „მინდა შენ მყავდეო“, ბედნიერად და გამარჯვებულად ჩავთვლიდი თავს, იმიტომ, რომ მომწონს ძალიან; მაგრამ ახლა ისე ვეპყრობი, რომ ჩემზე უფრო ზრდილობიანად და პატივით სხვა არავინ მოეპყრობოდა არასოდეს... მე მხოლოდ ვუცდი და ვიმედოვნებ, სხვა არაფერი!

- მაგასა სჯობს, აჩუქოთ რამე! დაგენამლევეებით თუნდაც, რომ ფიქრად არ მოგსვლიათ ეს.

- გეუბნებით, არა გაგეგებათ რა-მეთქი! რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაშია, მაგრამ საქმე მაინც სულ სხვანაირად არის! თქვენ გძულთ იგი. თქვენ ხედავთ მხოლოდ ფაქტს, რომელიც შეცდომით სიძულვილის ღირსად მიგაჩნიათ და ივიწყებთ იმას, რომ ადამიანის არსებას ღმობიერად და თანაგრძნობით უნდა მოპყრობა. არ იცით, რა ბუნების ადამიანია! მწყინს მხოლოდ, რომ ამ ბოლო დროს ნაკლებად კითხულობს და წიგნები აღარ მიაქვს ჩემგან. წინათ კი მიჰქონდა ხოლმე. დასანანია კიდევ, რომ, თუმცა ენერგია შესწევს და გადაწყვეტილი აქვს წინააღმდეგობა გასწიოს, - რაც არაერთხელ დაუმტკიცებია, - მაგრამ მაინც იმდენად დამოუკიდებელი და უარმყოფელი არ არის, რომ ყველა ცრურწმენასა და სისულელეს უცხად ჩამოშორდეს... მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საკითხი მაინც მშვენიერად ესმის. საუცხოოდ შეითვისა, მაგალითად, ის, რომ ქალს ხელზე არ უნდა ჰკოცნიდნენ[36], თუ არა სურთ შეურაცხყოფა და აგრძნობინონ, რომ მამაკაცის თანასწორი არ არის იგი. ამ საგანზე იქ უკვე გვქონდა საუბარი და მას ავუხსენი კიდევ. მუშათა ასოციაციაზეც საფრანგეთში ყურადღებით ისმენდა. ახლა იმაზე მაქვს საუბარი, შეიძლება თუ არა მომავალ საზოგადოებაში დაუკითხავად და თავისუფლად სხვის ოთახში შესვლა.

- ეგ რაღა არის კიდევ?

- ამ ბოლო დროს ლაპარაკი გვქონდა იმაზე: შეუძლია თუ არა კომუნის წევრს სხვა რომელიმე წევრთან, კაცი იქნება თუ ქალი, მუდამ ჟამს თავისუფლად შესვლა, რა დროც უნდა იყოსო, და გადავწყვიტეთ, რომ შეუძლია...

- მერე, იმჟამად რომ სწორედ საჭირო რამ მოთხოვნილება ჰქონდეს ერთი თუ მეორე, ხე-ხე-ხე!

ანდრეი სემიონოვიჩი გაჯავრდა კიდევ.

- თქვენ კიდევ მარტო ეგ დაწყველილი „მოთხოვნილებანი“ გახსოვთ! - შეჰყვირა ზიზლით. - ფუჰ, რა გული მომდის და ვნანობ, რომ ჩვენი სისტემის გაცნობის დროს უდროოდ დროს ვახსენე ეგ დაწყველილი მოთხოვნილებანი! ეშმაკმა იცის ჩემი თავი. თქვენთვის და ყველა თქვენი მსგავსისათვის თავსატეხი და გაურკვეველი სწორედ ეს არის, მაგრამ ყველაზე მეტად ამას გაჰკრავენ ხოლმე კბილს და მასხრად იგდებენ, ვიდრე საგანს ნამდვილად გაიცნობდნენ! თითქოს მართლა არა ტყუიან, თითქოს ამაცობენ კიდევ! ფუჰ! იმ აზრისა ვიყავი მუდამ და ვამტკიცებდი, განა არა, რომ ახლებს უკანასკნელად უნდა გავაცნოთ-მეთქი ასეთი რამ, როდესაც მთელი სისტემა უკვე შეთვისებული აქვთ და მტკიცედ არიან ამ მიმართულებაში გარკვეულნი. მაგრამ რაო მაინც, რასა ხედავთ სამარცხვინოდ თუნდ უწმინდურობის ორმოებში? მე პირველი ვარ მზად, რანაირიც გინდათ უწმინდურობის ორმოები ამოვწმინდო! აქ თავგანწირვაც კი არსად არის! აქ მხოლოდ კეთილშობილური და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაა და მუშაობა, რომელიც ბევრ სხვას არაფრით ჩამოუვარდება და ვიღაც რაფაელისა თუ პუშკინის მოღვაწეობაზე ბევრით მაღლა დგას, რადგან უფრო სასარგებლოა[37].

- და კეთილშობილურიც, განა, ჰა? ხე-ხე-ხე-ხე!

- რა არის კეთილშობილური? არც კი მესმის აზრი ასეთი სიტყვებისა, რომლებიც ვითომდა ადამიანის მოქმედებას გამოხატავს. „კეთილშობილურია“, „დიდსულოვანია“, - ყველაფერი ეს სისულელეა და ძველი ცრუმორწმუნეობრივი სიტყვებია, რომლებსაც მე უარვყოფ! ყველაფერი, რაც კი რამ სასარგებლოა კაცობრიობისათვის, კეთილშობილურიც არის უთუოდ, მე მხოლოდ სიტყვა სასარგებლო მესმის! იხითხითეთ, რამდენიც გნებავდეთ, მაგრამ ეს ასეა!..

პეტრ პეტროვიჩი გულიანად იცინოდა. უკვე გაათავა ფულის თვლა და ინახავდა, ნაწილი კი რაღაცისთვის ჯერ ისევ მაგიდაზე ჰქონდა გაშლილი. ეს „უწმინდურობის ორმოები“ უკვე რამდენჯერმე გახდომოდათ უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზად. მართლაცდა, სისულელე იყო ის, რომ ანდრეი სემიონოვიჩი ნამდვილად ჯავრობდა. პეტრ პეტროვიჩი კი გულს აყოლებდა მხოლოდ და თითქოს ერთობოდა. ახლა ხომ გულით უნდოდა გაებრაზებინა როგორმე ლებეზიატნიკოვი.

- ეგ სულ გუშინდელი მარცხის გამო ბრაზობთ და პირში მეხმით, - წამოსცდა ბოლოს ლებეზიატნიკოვს, რომელსაც მიუხედავად თავისი „დამოუკიდებლობისა“ და „პროტესტებისა“, მაინც ვერ მოეხერხებინა შეჰკამათებოდა პეტრ პეტროვიჩს და ძველი ჩვეულებისამებრ როგორღაც პატივით ეპყრობოდა.

- უმჯობესია მითხრათ, - ზვიადად გააწყვეტინა გულმოსულმა პეტრ პეტროვიჩმა, - შეგიძლიათ თუ არა... ან, უკეთ რომ ვთქვათ, მართლა ისე ხართ ზემოხსენებულ ახალგაზრდა სულიერთან დაახლოებული, რომ ახლავე, ამავე წუთს, აქ დამიძახოთ,

ოთახში? მგონი, ყველანი დაბრუნდნენ სასაფლაოდან... მესმის, ფეხის ხმა აირია... მინდოდა მენახა.

- რად გინდოდათ, რაო? - დაეკითხა გაკვირვებული ლებეზიატნიკოვი.

- ისე. მინდოდა. დღეს-ხვალ წასვლას ვაპირებ აქედან, მინდოდა მეთქვა რამე... მაგრამ, თუ გსურთ, თქვენც აქ იყავით მოლაპარაკების დროს. უმჯობესიც კია, თორემ, ღმერთმა იცის, რას არ იფიქრებთ.

- ან კი რა უნდა ვიფიქრო... ისე გკითხეთ მხოლოდ, მაგრამ თუ საქმე გაქვთ, მაგაზე ადვილი არა არის რა. ახლავე შევატყობინებ. თვითონ მე კი, გარწმუნებთ, არას დაგიშლით.

მართლაც, ხუთი წუთის შემდეგ ლებეზიატნიკოვმა ოთახში სონეჩკა შემოიყვანა. გაკვირვებული შემოვიდა სონეჩკა, ჩვეულებისამებრ მობუზული, მოკრძალებული. მუდამ აფრთხობდა და აშინებდა ახალ-ახალი ნაცნობები, ჯერ ისევ უწინ, ბავშვობისას, და ახლაც ხომ უფრო მეტად შიშობდა... პეტრ პეტროვიჩი „ალერსიანად და ზრდილობიანად“ შეეგება, თუმცა, ცოტა არ იყოს, მხიარულად და მოურიდებლად, რაც, პეტრ პეტროვიჩის აზრით, მის დარბაისლობასა და პატივცემულობას ასეთი ახალგაზრდა და რამდენადმე საყურადღებო არსების წინაშე დიახაც შეჰფეროდა. სცადა მაშინვე „გაემხნეებინა“ და პირდაპირ დაისვა მაგიდასთან. სონია დაჯდა, მიიხედა-მოიხედა, გადახედა ლებეზიატნიკოვს, ფულებს, რომლებიც ჯერ კიდევ მაგიდაზე ეწყო, მერე უცბად ისევ პეტრ პეტროვიჩს და თვალი აღარ მოუშორებია მისთვის, თითქოს მოაჯადოვებსო. ლებეზიატნიკოვმა კარისაკენ გასწია. პეტრ პეტროვიჩი წამოდგა, ანიშნა სონიას, რომ მჯდარიყო, და ლებეზიატნიკოვი შეაყენა კარში.

- რასკოლნიკოვი აქ არის? მოვიდა? - შეეკითხა ჩურჩულით.

- რასკოლნიკოვი? აქ არის. რა იყო? დიახ, აქ არის, შემოვიდა, თვალი მოვკარი... რა იყო?

- მაშ, თუ აგრეა, გთხოვთ, უთუოდ ჩვენთან დარჩეთ, მარტოკები არ დაგვტოვოთ... უბრალო რამ არის, მაგრამ ღმერთმა იცის, რას იტყვიან. არ მინდა რასკოლნიკოვმა გადასცეს რამე იქ!.. გესმით, რას ვგულისხმობ?

- მესმის, ჰო, მესმის! - მიხვდა უცბად ლებეზიატნიკოვი. - უფლება გაქვთ... თუმცა, რასაკვირველია, ჩემი აზრით, გადამეტებულია ეგ თქვენი შიში... მაინც უფლება გაქვთ; ინებეთ, დავრჩები. აი, აქ, ფანჯარასთან დავდგები, არას დაგიშლით... ჩემი აზრით, უფლება გაქვთ...

პეტრ პეტროვიჩი მობრუნდა, სონიას პირდაპირ დაჯდა დივანზე, ყურადღებით გადახედა მას და უცებ დარბაისლური, თითქმის სასტიკი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეუბნებოდა: „შენ თვითონ, ქალბატონო, არა იფიქრო რაო“. სონია შეკრთა.

- ჯერ ერთი, ბოდიში მომხადეთ, გეთაყვა, სოფია სემიონოვნა, დიდად პატივცემული დედათქვენის წინაშე... აგრეა, ვგონებ, არა? კატერინა ივანოვნა ხომ დედის ადგილასაა თქვენთვის? - დაიწყო დარბაისლურად, მაგრამ საკმაოდ ალერსიანად გამოკითხვა პეტრ პეტროვიჩმა. ეტყობოდა, მეტად მეგობრული რამ განზრახვა ჰქონდა.

- აგრე გახლავთ, დიახ, აგრე გახლავთ, - საჩქაროდ მიუგო შეშინებულმა სონიამ.

- აგრე მაშ, ბოდიში მომხადეთ, რომ ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არ შემძლია გეწვიოთ ბლინებზე... ესე იგი, ქელებში, თუმცა გულითა მთხოვა დედათქვენმა.

- დიახ... ახლავე ვეტყვი... ახლავე, - სონეკა საჩქაროდ წამოხტა სკამიდან.

- ჯერ კიდევ მაქვს სათქმელი, მოითმინეთ, - შეაყენა პეტრ პეტროვიჩმა და თან გაეღიმა, რომ სონეკა ასე უბრალოდ იქცეოდა, ზრდილობიანად თავის დაჭერა არ იცოდა, - გეტყობათ, ჩემო კარგო სოფია სემიონოვნა, არ მიცნობთ, რომ ფიქრობთ, ვითომ ასეთი უმნიშვნელო და უბრალო მიზეზისათვის, რომელიც მე მეხება მხოლოდ, შეგაწუხებდით და მოგიწვევდით. სულ სხვაა ჩემი აზრი.

სონიაც მაშინვე დაჯდა. მაგიდაზე გაშლილმა ლურჯმა და წითელმა ქაღალდის ფულმა ერთხელ კიდევ მოსჭრა თვალი, მაგრამ საჩქაროდ პირი იბრუნა და ისევ პეტრ პეტროვიჩს მიაშტერდა: საშინელ უზრდელობად ეჩვენა სონიას, განსაკუთრებით თავის მხრივ, რომ სხვის ფულს უყურებდა. პირველად პეტრ პეტროვიჩის ოქროს ლორნეტს დააშტერდა, რომელიც მას მარცხენა ხელში ეჭირა, მერე კი ლამაზ, ყვითელთვლიან ბეჭედს, იმავე ხელის შუათანა თითზე რომ ჰქონდა გაკეთებული პეტრ პეტროვიჩს, - მაგრამ ბეჭედსაც მოაშორა უცბად თვალი. აღარ იცოდა, საით ეცქირა და ისევ პირდაპირ თვალეში დაუწყო ყურება. პეტრ პეტროვიჩი მცირე ხანს დინჯად იჯდა და დუმდა, მერე კი დაიწყო: - გუშინ, გზად გავლის დროს, ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკე საბრალო კატერინა ივანოვნას. მაგრამ ეს ორი სიტყვაც საკმარისი იყო, რომ შემეტყო, რა არაბუნებრვია ამჟამად მისი ყოფა, თუ შეიძლება, რასაკვირველია, ასე ითქვას...

- დიახ... არაბუნებრივია, დიახ, - კვერი დაუკრა საჩქაროდ სონიამ.

- ანუ უბრალოდ და გასაგებად რომ ვთქვათ, ავად არის.

- დიახ, დიახ, ავად გახლავთ...

- ასეა, დიახ, ამიტომაც თანაგრძნობა და სიბრალოლი მაიძულებს, რამდენადაც კი ეს ჩემთვის შესაძლებელია, რითიმე დავეხმარო და ვანუგემო უბედური. რამდენადაც ვიცი, მთელი ოჯახი ახლა მთლად თქვენ გაწევთ კისერზე.

- ნება მიბოძეთ გკითხოთ, - წამოდგა უცბად სონია, - თქვენა ბრძანეთ გუშინ, რომ შეიძლება პენსია მიიღოთ? იმიტომ, რომ მეუბნებოდა, ვითომ თქვენ გეკისროთ პენსიის გამოთხოვა. მართალია?

- სულაც არა. პირიქით, თუ გნებავთ, სისულელეც კია. მე მხოლოდ ვუთხარი, შეიძლება დროებით ფულით დახმარება აღმოგიჩინოთ-მეთქი, როგორც სამსახურში მყოფი მოხელის ქვრივს, - თუ, რასაკვირველია, პროტექციას გაგიწევთ-მეთქი ვინმე, - მაგრამ განსვენებულ მამათქვენს არამცთუ საკმაო ხანი არ უმსახურნია, ბოლო დროს სულაც მიუწებებია თავი. ერთი სიტყვით, იმედი მეტად მცირედი არის, იმიტომ რომ ამის არავითარი უფლება არა აქვს. პირიქით... იმას კი, ხედავთ, პენსიაც დაზმანებია, ხე-ხე-ხე-ხე! ყოჩაღ, ქალო!

- დიახ, პენსია... იმიტომ, რომ ადვილად იჯერებს ყველაფერს და გულკეთილია მეტად; გულკეთილობით ყველაფერს იჯერებს და... და... და... გონებაც ისეთი აქვს. უკაცრავად, - მოიბოდიშა სონიამ და კვლავ წამოდგა, წასვლა დააპირა.

- მოითმინეთ, ჯერ კიდევ მაქვს სათქმელი.

- ჰოო, კიდევა გაქვთ, - წაიდუდუნა სონიამ.

- დაბრძანდით მაშ!

საშინლად შერცხვა სონიას და მესამედ დაჯდა ისევ.

- ვხედავ რა მის ასეთ მდგომარეობას და შეწუხებას, თავისი უბედური ობლებითურთ, მინდა, როგორც უკვე ვთქვი, რითიმე გამოვადგე და დავეხმარო, რამდენადაც კი ღონე შემწევს, რასაკვირველია. აი, თუნდა ხელის მოწერა ან ლატარია გავმართოთ... ან სხვა რამ ამგვარი, როგორც ყოველთვის მართავენ ხოლმე ამგვარ შემთხვევაში მახლობლები და ზოგჯერ გარეშე პირნიც: საზოგადოდ ყველანი, ვისაც კი დახმარება სურს. აი, ეს მინდოდა შემეტყობინებინა თქვენთვის. შეიძლება მოხერხდეს.

- დიახ, კარგია... ღმერთი გადაგიხდით მაგიერს... - ლულულუღებდა თავისთვის სონია და თან პეტრ პეტროვიჩს გამტერებული შეჰყურებდა.

- შეიძლება, მაგრამ... ამაზე შემდგომ ვილაპარაკოთ... ესე იგი, შეიძლებოდა დღესვე დაგვეწყო. აი, ვნახოთ სადამოზე ერთმანეთი და მოვილაპარაკოთ, როგორ დავიწყოთ საქმე. ასე, შვიდ საათზე შემომიარეთ აქ. იმედია, ანდრეი სემიონოვიჩიც ჩვენთან ერთად მიიღებს მონაწილეობას... მაგრამ... აქ არის გარემოება, რომელიც უთუოდ ახლავე უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომ იყო, რომ შეგაწუხეთ, სოფია სემიონოვნა, და მოგიხმეთ. სახელდობრ ის, რომ არ შეიძლება ფული კატერინა ივანოვნას გადაეცეს; დასამტკიცებლად დღევანდელი ქელებიც კმარა. ხვალისთვის ლუკმა პური და ფეხსაცმელი არ გააჩნია... დღეს კი იამაიკის რომს, მადერას, და-და-და... ყავას ყიდულობს, ხალხს უმასპინძლდება. გამოსვლისას ვნახე ყველაფერი ჩემი თვალით. ხვალ კი ყველაფერი ისევ თქვენ დაგაწვებათ კისერზე; ამიტომაც, ჩემი აზრით, ისე უნდა გაიმართოს ხელის მოწერა, რომ ფულისა იმ უბედურმა არა იცოდეს რა, თქვენ გეკითხებოდეთ მარტო. ასეა თუ არა?

- არ ვიცი სწორედ. ასე მხოლოდ დღეს მოიქცა... ერთადერთხელ თავის სიცოცხლეში... საშინლად უნდოდა შენდობა ეთქმევინებინა, პატივი ეცა... თორემ ჭკვიანია მეტად, მაინც, როგორც გენებოთ, დიდად და დიდად ვიქნები მეც... ისინიც, ყველანი მადლობლები... ღმერთი გადაგიხდით მაგიერს... ობლებიც...

ვეღარ დაათავა სონიამ და ტირილი დაიწყო.

- ასე, მაშ მხედველობაში იქონიეთ. ახლა კი გთხოვთ ინებოთ ჩემგან თქვენი ნათესავისათვის პირველ ხანად ეს მცირე წვლილი. დიდად და დიდად მსურს საიდუმლოდ დარჩეს, ვისგან არის, აი... მეც იმდენი გაჭირვება მაქვს ახლა, რომ მეტი არ შემიძლია...

პეტრ პეტროვიჩმა სონიას საგანგებოდ გაშლილი თუმნიანი გაუწოდა. სონიამ გამოართვა, უცბად მთლად აენთო, წამოხტა, რაღაც წაიბუტბუტა და საჩქაროდ გამოემშვიდობა, თავი დაუკრა. პეტრ პეტროვიჩმაც ერთი ამბით მიაცილა კარამდის.

აღელვებული და გატანჯული გავარდა ბოლოს სონია ოთახიდან და კატერინა ივანოვნასთან შემკრთალი და შემფოთებული დაბრუნდა.

მთელი ეს ხანი ანდრეი სემიონოვიჩი ხან ფანჯარასთან იდგა, ხან ოთახში დადიოდა; არ უნდოდა ლაპარაკი გაეწყვეტინებინა. მაგრამ გავიდა თუ არა სონია, მივიდა მაშინვე პეტრ პეტროვიჩთან და აღტაცებულმა ხელი გაუწოდა.

- გავიგონე ყველაფერი და დავინახე, - დაიწყო ანდრეი სემიონოვიჩმა და განსაკუთრებით უკანასკნელ სიტყვას გაუსვა ხაზი, - კეთილშობილურია, ესე იგი ადამიანურია ყველა ეს. გინდოდათ მადლობისათვის თავი დაგელწიათ, დაგინახეთ! თუმცა გამოგიტყდებით, პრინციპიალურად არ თანავუგრძნობ კერძო ქველმოქმედებას, იმიტომ რომ აღმოფხვრის ნაცვლად უფრო მეტად ავითარებს იგი ბოროტებას. მაინც არ შემიძლია არ გამოგიტყდეთ, რომ სიამოვნებით ვუმზერდი თქვენს მოქმედებას, - დიახ, დიახ, მომწონს, მომწონს.

- ეჰ, სისულელეა ყველა ეს! - ბუტბუტებდა პეტრ პეტროვიჩი, ცოტა არ იყოს აღელვებული, და თან რატომღაც აკვირდებოდა ლებეზიატნიკოსს.

- არა, არ არის სისულელე! გუშინ ისე შეურაცხვეს და გაგაჯავრეს, მაგრამ არად იჩნევთ ამას და სხვის უბედურებაზე ფიქრობთ კიდეც, ასეთი კაცი... ღირსია პატივისცემისა... თუმცა თავისი საქციელით სოციალურ შეცდომას უშვებს კიდეც! არც კი მოველოდი თქვენგან, პეტრ პეტროვიჩ, მეტადრე თქვენი შეხედულება რომ ვიცი! ო, როგორ გიშლით ხელს ეგ თქვენი შეხედულება! როგორ გაღელვებთ, მაგალითად, გუშინდელი მარცხი, - იმახდა გულკეთილი ანდრეი სემიონოვიჩი და პეტრ პეტროვიჩისადმი თანდათან ისევ მეტ პატივისცემასა და განწყობას გრძნობდა. - მაგრამ ანკი რად გინდათ უთუოდ კანონიერად იქორწინოთ, ჩემო უკეთილშობილესო და საყვარელო? რისთვის გჭირდებათ ეს კანონიერება ქორწინებისა? გინდათ მცემთ კიდეც, მაგრამ არ დავმალავ და გეტყვით პირდაპირ, მოხარული ვარ, რომ საქმე ჩაგეშალათ; რომ ჯერ კიდეც თავისუფალი ხართ და კაცობრიობისათვის სამუდამოდ არ დაიღუპეთ; მოხარული ვარ, მოხარული... ხედავთ, ვთქვი ყველაფერი, რაც კი სათქმელი მქონდა!

- იმიტომ, რომ არ მინდა თქვენმა სამოქალაქო ქორწინებამ რქები გამომაბას და სხვისი ბავშვები ვამრავლო; აი, რად მინდა კანონიერი ქორწინება, - უპასუხა ლუჟინმა ისე, მხოლოდ სიტყვის მასალად, რომ რაიმე ეპასუხნა. მეტად იყო რაღაცით გართული და ჩაფიქრებული.

- ბავშვები? ბავშვებს შეეხეთ? - შეხტა ანდრეი სემიონოვიჩი, თითქოს სამხედრო ცხენმა ბრძოლის საყვირს მოჰკრა ყურიო, - ბავშვების საკითხი სოციალური და უმთავრესი მნიშვნელობის საკითხია, თანახმა ვარ; მაგრამ ბავშვების საქმე სხვარიგად გადაწყდება. ზოგიერთები სრულიად უარყოფენ ბავშვებს, რადგან ესენი უდავოდ ოჯახის განმამტკიცებელი არიან. ბავშვებზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი ისევ დალატს, რქებს დავუბრუნდეთ! გამოგიტყდებით, ყველაზე სუსტი მუხლი ჩემთვის ეს არის. ეს საძაგელი, პუმკინისეული ჰუსარული სიტყვა მომავალი ლექსიკონიდან სრულიად გამორიცხული იქნება. ან კი მართლაც რა არის რქები?... ოჰ, რა შეცდომაა! რქები? რის რქები? სისულელეა! პირიქით, სამოქალაქო ქორწინებას სრულიად არ ეცოდინება ისინი! რქები მხოლოდ კანონიერი ქორწინების ბუნებრივი შედეგია, შესწორებაა მისი და პროტესტი. ასე რომ, ამ აზრით არც კია დამამცირებელი... და თუ

ოდესმე, ვთქვათ, გავსულელდი და ვიქორწინე კანონიერად, სასიხარულოდაც კი დამრჩება ეგ წყეული რქები და ვეტყვი ჩემს ცოლს: „მეგობარო, აქამდის მარტო მიყვარდი, ახლა კი პატივსა გცემ, იმიტომ რომ წინააღმდეგობა შესძელ!“ იცინით? ეგ იმიტომ, რომ ცრურწმენისათვის თავი ვერ დაგიღწევიათ! ეშმაკმა დალახვროს, ვიცი, რაც არის გაცრუებულ კანონიერ ქორწინებაში უსიამოვნო: სამარცხვინო და უგვან ფაქტს შედეგიც ასეთივე მოსდევს, აქ ორივენი დამცირებულნი არიან. მაგრამ თუ ხილულად და საჩენად ებმის ვისმე რქები, როგორც, მაგალითად, სამოქალაქო ქორწინების დროს, მაშინ მნიშვნელობა აღარა აქვს და რქებიც არ დაერქმის. პირიქით, თქვენი მეუღლე გიმტკიცებთ მხოლოდ, რომ პატივს გცემთ და იმდენად განვითარებულადა გთვლით, რომ არ ეწინააღმდეგებით მის ბედნიერებას[38] და ახალი ქმრისათვის შურს არ იძიებთ. ეშმაკმა დალახვროს, ვოცნებობ ხოლმე ხანდისხან: რომ გავთხოვდებოდე-მეთქი, ფუჰ! ესე იგი, ცოლს შევირთავდე (სამოქალაქო წესითა თუ კანონიერი წესით, ორივე ერთია), მგონია, თვითონ მივუყვანდი ჩემს ცოლს საყვარელს, რომ დაეგვიანებინა და დიდხანს არ გაეჩინა. „მეგობარო-მეთქი, - ვეტყოდი, - მიყვარხარ, მაგრამ მინდა პატივსაც მცემდე-მეთქი, - აი-მეთქი!“ ასე ვამბობ თუ არა?..

პეტრ პეტროვიჩი ყურს უგდებდა და ხითხითებდა, მაგრამ გატაცებით კი არა. თითქმის არ უსმენდა რიგიანად. სხვა რაღაცას ფიქრობდა. ასე რომ, ლებეზიატნიკოვმაც კი შენიშნა ბოლოს; ცოტა არ იყოს ღელავდა კიდეც პეტრ პეტროვიჩი და ხელებს ისრესდა, ფიქრს ეძლეოდა. ყველაფერი ეს მერე მოისაზრა და გაიხსენა ანდრეი სემიონოვიჩმა.

II

ძნელი იყო გამოცნობა იმისა, საიდან ჩაისახა კატერინა ივანოვნას არეულ თავში ამ უგუნური ქელეხის აზრი. მართლაცდა, ორ თუმანზე მეტიდან, რომელიც რასკოლნიკოვისაგან მიიღო ქმრის დასასაფლავებლად, თითქმის თუმანი ქელეხს მოანდომა. იქნებ მოვალედ სცნო თავი, „რიგზე“ ეცა პატივი განსვენებულის ხსოვნისათვის, რომ მდგმურებსა და, განსაკუთრებით ამალია ივანოვნას სცოდნოდა, „იმათზე ნაკლები კი არა, იქნებ უკეთესიც იყო“ განსვენებული და ამიტომაც არავის მათგანს, მამასადამე, არ შეეძლო „ცხვირი აეპრუწა“. ან იქნებ განსაკუთრებული ღარიბთა სიამაყე იყო მიზეზი, რომლის გამოც ბევრი თითქმის ხვრელში გაძვრება, უკანასკნელ პერანგს გაჰყიდის ხოლმე, ოღონდ საზოგადოებაში მიღებული წესი და ჩვეულება შეასრულოს და „არავისზე ნაკლებად“ არ გამოჩნდეს, არავინ „დასძრახოს“. ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ სწორედ ამ დროს მოუნდა კატერინა ივანოვნას თავის გამოჩენა, ახლა, როცა თითქოს ქვეყნად უპატრონოდ იყო დატოვებული, რა არის დაენახვებინა „ამ უგვანი და სამაგელი მდგმურებისათვის“, რომ იმასაც შეუძლია „სხვებს დაუხვდეს“, რომ მას სულაც არ ზრდიდნენ ასეთი ცხოვრებისათვის, აღზრდილია „პოლკოვნიკის კეთილშობილურ, თითქმის არისტოკრატიულ სახლში“ და სრულიადაც არ ამზადებდნენ იმისათვის, რომ იატაკი ეწმინდა და დამლამობით ბავშვების ჩვრები ერეცხა. ისე გაიტაცებს ხოლმე ზოგჯერ ეს გადაჭარბებული, ავადმყოფური სიამაყე და თავმომწონეობა ყველაზე ლატაკსა და დაბეჩავებულ ხალხს, რომ და დროდადრო თავდაუჭერელ, მძლავრ მოთხოვნილებად გადაექცევა ხოლმე. კატერინა ივანოვნა კი დაბეჩავებულთაგანი არ იყო: შეიძლებოდა გარემოებას მიწასთან გაესწორებინა იგი, მაგრამ ზნეობრივად მისი დაჯაბნა და

დამორჩილება მისი ნებისა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, არ ტყუოდა სონეჩკა, რომ ამბობდა, ჭკუიდან იშლებაო. დაბეჯითებით ამისი თქმა ჯერჯერობით, მართალია, არ შეიძლებოდა, მაგრამ ბოლო დროსა და ბოლო წელიწადს ისე გაიტანჯა საცოდავი, რომ შეუძლებელი იყო, გონება მთელი შერჩენოდა. ექიმების სიტყვით, ჭლექის უკიდურესად განვითარება დიდად უწყობს თურმე ხელს გონების შერყევას.

ღვინოები მრავლად და სხვადასხვა ღირსებისა, აგრეთვე მადერა, რასაკვირველია, არ ყოფილა; ეს მხოლოდ გაზვიადებული იყო, მაგრამ ღვინო კი ჰქონდათ; ჰქონდათ არაყი, რომი და ლისაბონის ღვინო, მაგრამ ყველაფერი დაბალი ხარისხისა, თუმცა საკმარისად კი. საჭმელებიდან კოლიოს გარდა, სამი-ოთხი თავი კიდევ სხვა იყო (სხვათა შორის, ბლინებიც). ყველა ეს ამალია ივანოვნას სამზარეულოდან მოჰქონდათ; გარდა ამისა, დაედგათ ორი სამოვარიც, რომ სადილის შემდეგ ჩაი და პუნში მიერთმიათ. საყიდლებზე კატერინა ივანოვნას ჰყავდა ვიღაცა საცოდავი პოლონელი მდგმური, რომელიც, ღმერთმა იცის, რისთვის ცხოვრობდა ქ-ნ ლიპევეხელთან. ჩამოვარდა თუ არა საყიდლებზე ლაპარაკი, მაშინვე განაცხადა სურვილი დახმარებისა და მთელი გუშინდელი დღე და ეს დილა თავპირის მტკრევით დარბოდა ენაგადმოგდებული, თითქოს განგებ ცდილობდა კიდევ დაენახებინა ყველასათვის, რომ რაღაცას აკეთებდა, და დაიღალა. სულ უბრალო რამეზედაც კი უთუოდ კატერინა ივანოვნასთან მივბოდა, სავაჭრო ქარვასლაშიც კი მოძებნა ერთხელ და ერთთავად „პანი ხორუნჟინას“ უძახდა. ამიტომაც ბოლოს სულ თავი მოაბეზრა, თუმცა თავად პირველად კატერინა ივანოვნა თვითონვე ამბობდა, თუ არა ეს „ღვთისნიერი“ ადამიანი, დავილუპებოდითო. ხასიათად ჰქონდა კატერინა ივანოვნას, ვინც უნდა ყოფილიყო, ქებით ცაში აყვანა, ვინ იცის, რა ღირსებას და თვისებას არ გამოუძებნიდა, ასე რომ ზოგიერთი სირცხვილითაც დაიწვოდა; თან თვითონაც გულწრფელად და გულმართლად იჯერებდა თავისსავე მოგონილს, მაგრამ უცბადვე გადაუდგებოდა, აზრს შეიცვლიდა და მზად იყო პანლურის კვრითა და ერთი ვაივაგლახით გაეგდო სწორედ ის კაცი, რომელსაც რამდენიმე საათის წინ თითქმის თავყანსა სცემდა. ბუნებით მხიარული და მშვიდობიანი ხასიათისა იყო, მაგრამ განუწყვეტელმა უბედურებამ იქამდე მწვავედ მოანატრა ყველასათვის უთუოდ მხიარული და მშვიდობიანი ცხოვრება, რომ სულ უბრალო რამ ცხოვრების ნაკლი, მცირედი მარცხიც კი უცბად მოკლავდა და ჩასთუთქავდა ხოლმე. ბრწყინვალე ოცნებისა და იმედების მოტრფიალე კატერინა ივანოვნა ბედს დაუწყებდა ჩივილსა და წყევლას; გაანჩხლებული ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, მიგლეჯ-მოგლეჯდა და თავს კედელს ახლიდა. ამალია ივანოვნასაც რატომღაც არაჩვეულებრივი ყურადღებითა და პატივით ეპყრობოდა ახლა კატერინა ივანოვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქელები აიტეხა და ამალია ივანოვნამაც გულით მოიწადინა ყველაფერში დახმარებოდა, ხელი წაეხმარებინა: იკისრა სუფრის გამლა, სუფრა-ხელსაწმენდებისა და ჭურჭლის თხოვება, თავის სამზარეულოში საჭმლის მომზადება და სხვ. კატერინა ივანოვნამაც ყველაფერი ამალია ივანოვნას მიანდო, თვითონ კი სასაფლაოზე წავიდა. მართლაც, ყველაფერი მშვენივრად იყო მომზადებული: სუფრა საკმაოდ სუფთად გაშლილი, ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, ჭიქები და ფინჯნები, - ყველაფერი, რასაკვირველია, აქეთ-იქიდან იყო მდგმურებში მოგროვებული და სხვადასხვანაირი, მაგრამ დროზე ელაგა თავთავის ადგილას. ამიტომაც კმაყოფილი ამალია ივანოვნა თითქმის ამაყად შეეგება დაბრუნებულებს, შავ კაბასა და სამგლოვიარო ლენტებიან ახალ თავსაბურში გამოწყობილი. მაგრამ როგორღაც არ მოეწონა ეს მისი თუნდაც დამსახურებული სიამაყე კატერინა

ივანოვნას: „მართლა თითქოსდა უამალია ივანოვნოდ სუფრას ველარავინ გაშლიდა!“ არც ახალლენტებიანი თავსაბური მოეწონა: „იქნება ამყობს ეს ტუტუცი გერმანელი დედაკაცი, რომ დიასახლისია და მადლის გულისათვის გვეხმარება დარიბ მდგმურებს? ჰმ, მადლის გულისათვის! გესმით! კატერინა ივანოვნას მამისას, რომელიც პოლკოვნიკი იყო და თითქმის უკვე გუბერნატორი, ზოგჯერ ორმოცი სულისათვის გაშლიდნენ ხოლმე სუფრას, ვიღაცა ამალია ივანოვნას, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ლუდვიგოვნას კი სამზარეულოშიაც არავინ შეუშვებდა იქ...“ კატერინა ივანოვნამ მაინც გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა დრომდე და გულისნადები არ გამოემჟღავნებინა, თუმცა ისიც გაივლო გულში, უთუოდ დღესვე მოეგონებინა ამალია ივანოვნასათვის, რა ადგილის ღირსიც იყო, თორემ, ღმერთმა იცის, როგორ გამოიღებს თავსაო. ჯერჯერობით კი მხოლოდ გულცივად მოეპყრო. მეორე უსიამოვნებამაც რამდენადმე ხელი შეუწყო მის გაჯავრებასა და წყენას: მდგმურებიდან პოლონელის მეტი, რომელმაც აქაც მოასწრო მოსვლა, თითქმის არავინ დასაფლავებდას არ დასწრებია; სადილზე კი მოვიდნენ მათგან თითქმის სულ უბრალონი და დარიბები, - ბევრი მათგანი მეტად უსიამოვნო შესახედავი იყო, სულ ვიღაც ოხრები მოგროვილიყვნენ. ვინც უფროსი და ღირსეული იყო უფრო, ისინი კი არსად ჩანდნენ, თითქოს პირობა შეუკრავთო. არ გამოცხადდა, მაგალითად, პეტრ პეტროვიჩ ლუჟინი, რომელიც ყველაზე დარბაისელი იყო მდგმურებში და რომელზეც გუშინ საღამოთივე თითქმის ყველას გამოუჭედა ყურები კატერინა ივანოვნამ: ამალია ივანოვნასაც, პოლექკასაც, სონიასაც და პოლონელსაც კი, რომ იგი უკეთილშობილესი, დიდსულოვანი კაცია, დიდი ნათესაობისა და ქონების პატრონი, მასთან მეგობარი მისი პირველი ქმრისა და მამის ოჯახშიაც დიდად მიღებული; რომ დაჰპირდა ვითომ, ყოველმხრივ ვეცდები და კარგ პენსიას გამოგიტხოვო. შევნიშნავთ აქვე, რომ თუ კატერინა ივანოვნა აქებდა ვისმე ან ნათესაობითა და კავშირით ან ქონებით, არასოდეს ამას ანგარიშით არ სჩადიოდა; გულმართლად და გულწრფელად უნდოდა მხოლოდ მეტი ღირსება და ფასი გამოემებნა ნაქებისათვის და ამით სიამოვნება ეგრძნო. „ამ საძაგელმა და თავლაფიანმა ლებეზიატნიკოვმაც ლუჟინს წაჰბაძა უთუოდ და იმიტომ არ მოვიდა; ნეტა ამას რაღა თავი მოაქვს? მადლის გულისათვის დავპატიჟე, რაკი პეტრ პეტროვიჩთან აქვს ბინა ერთ ოთახში და ნაცნობია მისი, უხერხული იყო ამის გამო არ დამეპატიჟნა“. არ მოვიდა აგრეთვე ერთი ამპარტავანი ქალბატონი თავისი „დამყავებული ქალითურთ“, რომლებიც სულ რაღაც ორი კვირას ცხოვრობდნენ ამალია ივანოვნას ნომრებში, მაგრამ რამდენჯერმე იჩივლეს თურმე, მარმელადოვების ოთახში ერთთავად ყვირილი და ვაი-ვაგლახიაო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განსვენებული მარმელადოვი ნასვამი დაბრუნდებოდა ხოლმე შინ. რა თქმა უნდა, ამალია ივანოვნასაგან ჰქონდა კატერინა ივანოვნას გაგონილი ეს, რადგანაც ჩხუბის დროს წაამახა: გაგრეკავთ ყველას სახლიდან, იმიტომ რომ „რიგიანსა და კეთილშობილ“ მდგმურებს, რომლების ფეხის ფოჩხილადაც არა ღირხართ, მოსვენება არა აქვთ თქვენგანაო. კატერინა ივანოვნამ ახლა განგებ გადაწყვიტა მოწვევა ამ დედა-შვილისა, რომლების „ფეხის ფოჩხილადაც ვითომ არ ღირდა იგი“. მით უმეტეს, რომ შეხვედრის დროს ის ქალბატონი ცხვირაწევით გაუვლიდა ხოლმე კატერინა ივანოვნას გვერდით. ამიტომაც მოინდომა კატერინა ივანოვნამ, - დეე, იცოდნენ, რომ აქ „იმათზე კეთილშობილურად გრძნობენ და ფიქრობენ ყველაფერს; ამიტომაც აღარ იგონებს სიავეს და იწვევენო“; თან უნდოდა ენახათ იმათაც, რომ კატერინა ივანოვნასაც უცხოვრია ერთ დროს ადამიანურად. განზრახვა ჰქონდა, ყველაფერი ეს პურის ჭამის დროს აეხსნა სუფრაზე და მოეხსენებინა ისიც, რომ მამა თითქმის გუბერნატორი ჰყავდა, გაკვრით ისიც

შენიშნა, რომ მათ არა ჰქონდათ რა, მაშასადამე, ტუჩასაპრუწი და სისულელე იყო, რომ შეხვედრის დროს პირს არიდებდნენ. არ მოვიდა აგრეთვე გაბლენძილი პოდპოლკოვნიკი (ნამდვილად მხოლოდ სამსახურიდან გადამდგარი შტაბსკაპიტანი), მაგრამ მიზეზი თურმე ის იყო, რომ გუშინდლიდან „ფეხზე“ ვერა დგებოდა. ერთი სიტყვით, მოვიდნენ მხოლოდ პოლონელი, გაქონილ ფრაკში გამოწყობილი ბაჯაჯღანა კანცელარისტი, რომელსაც ფერისმჭამელებით ჰქონდა სახე სავსე და რაღაც საშინელი სუნი უდიოდა, ერთი ყრუ და თითქმის მთლად უსინათლო მოხუცი, რომელსაც სადღაც ფოსტაში ემსახურნა ერთ დროს და არავინ იცოდა, როდის აქეთ ვიღაც ინახავდა ამაღლია ივანოვნასთან. მოვიდა აგრეთვე ერთი სამსახურიდან გადამდგარი ლოთი პორუჩიკი, ნამდვილად კი პროვიანტის მოხელე, რომელმაც უზრდელი და ბრიყული ხარხარი იცოდა, ამასთან, „წარმოიდგინეთ“, უყილეტოდ იყო! ერთი ვიღაც კიდეც ისე მიუჯდა სუფრას, რომ კატერინა ივანოვნას თავი არც კი დაუკრა, კიდეც ერთი ვიღაც, უტანისამოსობის გამო, საშინაო ხალათით გამოცხადდა, იქამდის უზრდელად, რომ ამაღლია ივანოვნამ და პოლონელმა, როგორც იყო, ძლივს გაიყვანეს გარეთ. მართალია, პოლონელმა მოიყვანა კიდეც ვიღაცა ორი სხვა პოლონელი, რომლებსაც არასოდეს ამაღლია ივანოვნასთან არ უცხოვრიათ და არცთუ ვისმე უნახავს აქამდის ნომრებში. ყველა ამან საშინლად იმოქმედა კატერინა ივანოვნაზე. „ვისთვის მომზადდა მაშ ყველაფერი ეს?“ კითხულობდა თავისთვის კატერინა ივანოვნა. უადგილობის გამო ბავშვებიც კი აღარ დასხეს საერთო სუფრაზე, რომელმაც უიმისოდაც მთელი ოთახი დაიჭირა. სადღაც კუთხეში გაუშალეს სკივრზე, ამასთან, ორივე დაბალ ხის სკამზე დაესხათ და პოლექკასათვის ჩაებარებინათ, როგორც უფროსისათვის, თვალყური ეგდო, ეჭმია და ცხვირი მოეწმინდა ხოლმე, როგორც ეს „კეთილშობილ ბავშვებს“ შეჰფერის. ერთი სიტყვით, კატერინა ივანოვნა ძალაუნებურად ყველას უნდა გაორკეცებული ამპარტავნობით შეჰგებებოდა. განსაკუთრებით სასტიკად აათვალთქვია ზოგიერთები და მერეღა სთხოვა მედიდურად, დამსხდარიყვნენ. კატერინა ივანოვნამ რატომღაც წარმოიდგინა, რომ ამაღლია ივანოვნას უნდა ეგო პასუხი, რომ ზოგიერთები არ მოვიდნენ და უცბად მეტად უდიერად დაუწყო მოპყრობა; ასე რომ, ამაღლია ივანოვნამ შენიშნა მაშინვე და იწყინა საშინლად. ეჭვი არ არის, ასეთ დასაწყისს სახეირო ბოლო არ ექნებოდა. დასხდნენ ბოლოს.

რასკოლნიკოვიც მაშინ მოვიდა სწორედ, სასაფლაოდან რომ დაბრუნდნენ. საშინლად გაეხარდა კატერინა ივანოვნას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის იყო ერთადერთი მისი „განათლებული სტუმარი“, რომელსაც „ორი წლის შემდგომ ადგილობრივ უნივერსიტეტში პროფესორის კათედრა უნდა დაეჭირა“, და მეორეც, იმიტომ, რომ მოვიდა თუ არა, პატივისცემით ბოდიში მოიხადა, ვერ მოვახერხე და დასაფლავებას ვერ დავესწარიო. ეცა მაშინვე რასკოლნიკოვს და გვერდით დაისვა მარცხნივ (მარჯვნივ ამაღლია ივანოვნა უჯდა). მიუხედავად იმისა, რომ სულ ფუსფუსებდა და თვალყურს ადევნებდა, საჭმელი დროზე ჩამოეტარებინათ და ყველას გასწვდომოდა, ამასთან, ხველაც წამდაუწუმ უვარდებოდა და უკრავდა სუნთქვას, ამ ორ უკანასკნელ დღეს რომ უარესად გამწვავებოდა, მაინც არ უსვენებდა და ერთთავად ჩურჩულით ელაპარაკებოდა რასკოლნიკოვს, უზიარებდა თავის გულისნადებს და წუხდა, რომ სამზადისმა ასე უმადურად ჩაუარა: არავინ რიგიანი არ მიუვიდა. შიგადაშიგ კი რისხვას მხიარული, თავშეუკავებელი სიცილიც მოსდევდა, მეტწილად მაშინ, როდესაც დამსწრე სტუმრებს და განსაკუთრებით დიასახლისს ეხებოდა ლაპარაკი.

- ყველაფერში ეს გუგულია დამნაშავე. გესმით, ვისზე გეუბნებით? დიასახლისზე! - და კატერინა ივანოვნა დიასახლისზე ანიშნებდა. - უყურეთ ერთი, თვალები როგორ დაუჭყეტია. გრძნობს, რომ იმაზე ვლავარაკობთ, მაგრამ ვერა გაუგია რა, თვალები გადმოუქაჩავს მხოლოდ ჭოტივით. ფუჰ! ხა-ხა-ხა-ხა! ქხი-ქხი-ქხი! არა, ვითომ ეს თავსაბური რიდასთვის წამოუცვამს? ქხი-ქხი-ქხი! ვერ შენიშნეთ, უნდა აჩვენოს ყველას, რომ ვითომ მფარველობას მიწევს და პატივსაც მცემს, რომ აქ არის. მე ვთხოვე, როგორც რიგიან ადამიანს, ხეირიანი ხალხი და განსვენებულის ნაცნობები მოეწვია, ამას კი, ხედავთ, ვინ მოუყვანია: მასხარები არიან ვიღაცა! ტინგიცები! შეხედეთ ერთი ამ ჩოფურას: ვიღაც ცინგლიანია! ახლა ეს პოლონუკები... ხა-ხა-ხა! ქხი-ქხი-ქხი! არავის არასოდეს თვალთ არ უნახავს აქ; არც მე დამიკრავს როდისმე თვალი; მითხარით, მაშ რისთვის მოვიდნენ? დიდი ამბით გამოგვჭიმოან გვერდით! პანე, ჰეი! - დაუყვირა უცბად ერთ რომელიღაცას, - ბლინები აიღეთ თუ არა? კიდევე აიღეთ! ლუდი დალიეთ, ლუდი! არაყი არ გინდათ? უყურეთ, უყურეთ, წამოფრინდა და თავს მიკრავს, უყურეთ: მშივრები არიან უთუოდ საცოდავები! არა უშავს რა, დეე ჭამონ! არ ყვირიან მაინც... მაგრამ ეგ არის, მეშინია, დიასახლისს ვერცხლის კოვზები არ გაუქრონ!.. ამალია ივანოვნა! - მიმართა უცბად თითქმის ხმამაღლა დიასახლისს, - გაფრთხილებთ წინათვე, თუ ვერცხლის კოვზები აგწაპნოთ ვინმემ, პასუხს არ ვაგებ სწორედ! ხა-ხა-ხა-ხა! - ჩაბჭირდა ისევ და რასკოლნიკოს დაუწყო კვლავ დიასახლისზე ლავარაკი; თან უხაროდა მეტად, რომ ასე მოიქცა. - ვერა გაიგო რა კიდევე, ვერა გაიგო რა! ზის პირდაღებული და იყურება: ჭოტია ნამდვილი, შავლენტებიანი ჭოტია! ხა-ხა-ხა-ხა!

სიცილი აქ ისევ საშინელ ხველად გადაექცა, ხუთ წუთს აღარ მოასვენა, დააოსა თითქმის. ცხვირსახოცზე სისხლის ნიშანი დატოვა, შუბლზე ოფლი დაასხა. კატერინა ივანოვნამ სისხლიანი ცხვირსახოცი ჩუმად რასკოლნიკოს დაანახვა და მცირე ხანს უკან ისევ გატაცებით დაუწყო ჩურჩული, ლოყებზე წითელი ლაქები უფრო ასწითლებოდა: - ყური დამიგდეთ, აბა; მივანდე ერთი რამ საგულისხმიერო დავალებს: დაეპატიჟნა ერთი მანდილოსანი თავისი ქალითურთ; მოგეხსენებათ, ვისზედაც ვამბობ? აქ ადამიანს ზრდილობა, თავაზიანობა და მოხერხება მოეთხოვებოდა, ეს კი ისე მოიქცა, რომ სულელმა, თავზვია და საძაგელმა პროვინციელმა, ვიღაცა მაიორის ქვრივმა, რომ ჩამოსულა და პენსიისათვის ყველა დაწესებულებას კარებს უტალახებს, ორმოცდათხუთმეტი წლისაა და მაინც უმარლითა და ლახუსტაკით იგლისება და ლოყებს იწითლებს (ვიღამ არ იცის)... ამისთანა საძაგელმა ქმნილებამ არამცთუ მოსვლა არ ინება, ისიც კი არ ისურვა, რომ, თუ არ მოვიდოდა, ეცნობებინა მაინც ვინმეს პირით და ბოდიში მოეხადა, როგორც ამას ჩვეულებრივი ზრდილობა მოითხოვს! არ მესმის სწორედ, პეტრ პეტროვიჩი რატომ აღარ მოვიდა? მაგრამ სონია სადღაა? სად წავიდა? აგერ ისიც, ძლივს არ მოვიდა? რა იყო, სონია, სად იყავი? უცნაურია სწორედ, რომ მამის დასაფლავებაზედაც კი რიგიანად არ იქცევი. როდიონ რომანოვიჩ, თქვენ გვერდით მიეცით ადგილი. აგერ, სონია, შენი ადგილი... აიღე, რაც გინდა. საწებლიანი აიღე, ეგ სჯობია. ახლავე ბლინებსაც მოიტანენ. ბავშვებს კი მისცეს? პოლეჩკა, ყველაფერი გაქვთ თუ არა? ქხი-ქხი-ქხი! კარგი, კარგი. ჭკვიანად იყავი, ლონია, შენ კი, კოლია, ფეხებს ნუ აქნევ; იჯექით, როგორც კეთილშობილ ბავშვებს შეჰფერით. რაო, რას ამბობ, სონეჩკა?

სონიამაც მაშინვე პეტრ პეტროვიჩის ბოდიში გადასცა; თან ცდილობდა ხმამაღლა ელაპარაკა, რომ ყველას გაეგონა. სიტყვებსაც განგებ სულ რჩეულს ხმარობდა, თავის მიერ გამოგონილსა და შელამაზებულს, რომ პეტრ პეტროვიჩის მხრივ მეტი პატივისცემა დაემტკიცებინა. დასძინა ბოლოს ისიც, რომ პეტრ პეტროვიჩი ცალკე ინახულებს, როგორც კი მოიცლის, და საქმეზე მოელაპარაკება: რა იღონონ და რა უშველონ შემდეგში მათ გაჭირვებას.

სონიამ იცოდა, რომ კატერინა ივანოვნას ეს დაამშვიდებდა და მის სიამაყესაც დააკმაყოფილებდა. რასკოლნიკოვს საჩქაროდ თავი დაუკრა, ქურდულად შეხედა ცნობისმოყვარე თვალით და გვერდით დაუჯდა. მაგრამ მერე სულ ერიდებოდა ცქერასაც და მასთან ლაპარაკსაც. თითქოს ცოტათი დაბნეული იყო, თუმცა კატერინა ივანოვნას ერთთავად თვალეში შეჰყურებდა, რომ ეამებინა. არც სონიას და არც კატერინა ივანოვნას შავები არ ეცვათ, - არ ჰქონდათ. სონიას რაღაც მუქი ყავისფერი კაბა ეცვა, კატერინა ივანოვნას კიდეც ერთადერთი თავისი შავოლღებიანი ჩითის კაბა. პეტრ პეტროვიჩის ბოდიში და ამბავი მართლაც რომ მალამოსავით მოხვდა კატერინა ივანოვნას. მოისმინა თუ არა სონიას ნათქვამი, მედიდურადვე იკითხა: როგორ ბრძანდება პეტრ პეტროვიჩიო? და მაშინვე თითქმის ხმამაღლა უჩურჩულა რასკოლნიკოვს, რომ სასაცილო იქნებოდა, ისეთი პატივცემული და დარბაისელი კაცი, როგორც პეტრ პეტროვიჩია, ასეთ „არაჩვეულებრივ ხალხში“ მოხვედრილიყო, თუმცა, მართალია, ჩვენი ოჯახის დიდი ერთგულია და განსვენებული მამაჩემის ძველი მეგობარია.

- აი, ამიტომ ვარ განსაკუთრებით მადლობელი თქვენი, როდღონ რომანოვიჩ, რომ ამ გარემოებაშიაც კი არ იუკადრისეთ ჩემი პურმარული და მობრძანდით, - დასძინა თითქმის ხმამაღლა, - მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ჩემი განსვენებული ქმრის საგანგებო მეგობრობამ გაიძულათ და შეგასრულებინათ სიტყვა.

ერთხელ კიდეც გადახედა ამაყად სტუმრებს და უცბად რაღაც განსაკუთრებული მზრუნველობით ხმამაღლა დაეკითხა მაგიდის ბოლოში მჯდომ ერთ ყრუანჩალა მოხუცს: „შემწვარს ხომ არ მიირთმევთ, ან ლისაბონის ღვინო მოგართვეს თუ არა?“ მოხუცმა დიდხანს ვერა გაიგო რა, რას ეკითხებოდნენ და არც პასუხი მისცა, თუმცა მეზობლებმა განგებ მუჯლუგუნების ცემა დაუწყეს, რომ, რა არის, მეტი ეცინათ. მოხუცი ისევ პირდაღებული იყურებოდა აქეთ-იქით, რამაც უფრო მეტად გაამხიარულა ყველანი.

- რა ყურყუტი რამ არის! უყურეთ, უყურეთ! ნეტა რისთვის მოუყვანიათ? რაც შეეხება პეტრ პეტროვიჩს, იმისი კი მუდამ იმედი მქონდა, - განაგრძობდა კატერინა ივანოვნა, - რასაკვირველია, არა ჰგავს... - უცბად ხმამაღლა და სასტიკად გაიხედა ამალია ივანოვნასაკენ, ისე რომ შეკრთა კიდეც ეს უკანასკნელი, - იმ ბოლოათრეულ მოპრანჭულებს, რომლებსაც მამაჩემის სახლში სამზარეულოშიც კი არ შეუშვებდნენ; განსვენებული ჩემი ქმარი კი, რასაკვირველია, მადლს დადებდა და მიიღებდა, ისიც იმიტომ, რომ გულკეთილი იყო უზომოდ.

- დიახ, გადაკვრა უყვარდა; ძალიან უყვარდა გადახუხვა! - წამოიძახა უცბად გადამდგარმა პროვიანტის მოხელემ და მეთორმეტე ჭიქა არაყი გადაუშვა.

- განსვენებულ ჩემს ქმარს, მართალია, სმა უყვარდა და ყველამ იცის ეს, - ეცა პირში უცბად კატერინა ივანოვნა მოხელეს, - მაგრამ გულკეთილი და კეთილშობილი იყო,

ოჯახიც უყვარდა და პატივსაც სცემდა. ერთი რამ სჭირდა ცუდი, რომ განურჩევლად ყველას ენდობოდა და ზოგჯერ ისეთ გარყვნილებთანაც სვამდა, რომლებიც მისი ფეხის ფრჩხილადაც არა ღირდნენ! წარმოიდგინეთ, როდის რომანოვიჩი, ჯიბეში თაფლის კვერის მამალი ვუპოვნეთ: სიმთვრალისაგან აღარა გაეგებოდა რა საცოდავს და ბავშვებს მაინც არ ივიწყებდა ხოლმე.

- მამალი? მამალიო? - შეჰყვირა კვალად ბატონმა პროვიანტის მოხელემ.

კატერინა ივანოვნამ პასუხი აღარ აღირსა. რაღაც ფიქრს მისცა თავი, ამოიოხრა.

- აი, თქვენც უთუოდ ისე ფიქრობდით, როგორც სხვები, რომ სასტიკად ვექცეოდი ვითომ, - განაგრძობდა კატერინა ივანოვნა რასკოლნიკოვთან ლაპარაკს, - მაგრამ კიდევ ეგ არის, რომ აგრე არა ყოფილა! განსვენებული პატივსაც მცემდა, დიდად პატივსაც მცემდა! კეთილი გულის პატრონი იყო! მეტად შესაბრალისიც ზოგჯერ! დაჯდებოდა კუთხეში და დამიწყებდა საცოდავად ყურებას. ისე რომ, შემებრალებოდა და მომინდებოდა ხოლმე, მომეალერსნა, მაგრამ ვფიქრობდი: „მოვუალერსებ, კვლავ დაითვრება-მეთქი“ და ამიტომ ვცდილობდი, ისევ სასტიკად შემემარებინა როგორმე.

- დიახ, ქოჩორსაც აგლეჯდით ხოლმე, დიახ! ბევრჯერ ყოფილა, - დაიღრიალა ისევ პროვიანტის მოხელემ და კიდევ გადახუხა არაყი.

- ზოგიერთ ტუტუცს დაქოჩვრა კი არა, კეტით მიბეგვაც ლამაზად მოუხდებოდა. მაგრამ განსვენებულზე როდი ვამბობ ამას! - გააწყვეტინა კატერინა ივანოვნამ.

წითელი ლაქები ლოყებზე თანდათან უდიდებოდა, გული ძლიერად უძგერდა. საკმაო იყო, ერთი წუთი კიდევ და ერთ ამბავს დააწევდა. ბევრი უკვე ხითხითებდა, ალბათ სიამოვნებდათ კიდევ. პროვიანტის მოხელეს მუჯღუგუნების ცემა და ჩურჩული დაუწყეს. ეტყობოდათ, უნდოდათ წაესისიანებინათ.

- ნ-ნ-ნება მო-მეცით გკითხოთ, რის შესახებ ბრძანებთ მაგას, - დაიწყო პროვიანტის მოხელემ, - ესე იგი, ვის... კეთილშობილ ვინაობას... შეეხეთ ახლა... მაგრამ რა საჭიროა! სისულელეა! ქვრივია, ქვრივი! მიპატიებია... მორჩა და გათავდა! შაბამ! - და ხელახლა გადაუშვა არაყი.

იჯდა ჩუმად რასკოლნიკოვი და ზიზღით უგდებდა ყურს, ჭამითაც ძალით ჭამდა და მხოლოდ ზრდილობის გულისათვის ეხებოდა ნაჭრებს, რომლებსაც კატერინა ივანოვნა ერთგულად სთავაზობდა. არ უნდოდა, ეწყენინებინა. სონიას კი ყურადღებით ადევნებდა თვალს. მაგრამ სონია მოუსვენრობდა და ღელავდა, რადგანაც მშვენივრად ხედავდა და გრძნობდა წინათვე, რომ პურის ჭამა მშვიდობიანად არ დასრულდებოდა, გულმოსული კატერინა ივანოვნა უთუოდ ჩხუბს ასტეხდა. იცოდა, სხვათა შორის, ისიც, რომ დედა და ქალი, რომლებიც კატერინა ივანოვნამ მოიპატიჟა და არ ეწვივნენ, სონიას გამო მოეპყრნენ ისე უზრდელად და ზიზღით. თვითონ ამალა ივანოვნასაგან გაიგონა სონიამ, რომ დედამ თურმე დაპატიჟებაც კი იწყინა და იკითხა კიდევ: „მითხარით, გეთაყვა, ჩემი ქალი იმისას გვერდით როგორ მოვუსვაო?“ გრძნობდა წინათვე სონია, რომ კატერინა ივანოვნა ყურს როგორმე მოჰკრავდა ამას. სონიას წყენა კი საკუთარ შეურაცხყოფაზე მეტად მიაჩნდა. იცოდა, რომ კატერინა ივანოვნა არაფრის გულისათვის ამის შემდეგ არ მოისვენებდა, „სანამ არ დაუმტკიცებდა ამ აფშლაკუნა დედა-შვილს, რომ

ორივენი“... და სხვა და სხვა. თითქოს განგებ მოხდაო, ვიღაცამ სუფრის მეორე ბოლოდან სონიას გადმოუგზავნა თევში, რომელზედაც ისრით განგმირული ორი გული იყო გამოყვანილი შავი პურის გულისა. ანთო მაშინვე კატერინა ივანოვნა და გაცეცხლებულმა ხმამალა შენიშნა, რომ გამომგზავნელი უთუოდ „მთვრალი ვირიაო“. ამალია ივანოვნამაც იგრძნო, რომ საქმე მშვიდობით არ გათავდებოდა და, კატერინა ივანოვნას მედიდური ქცევით შეურაცხყოფილმა, მოინდომა როგორმე გაერთო დამსწრენი, თან თავისი თავიც აემალლებინა და დაიწყო უცბად, რომ ვიღაცა მისი ნაცნობი, „აფთიაქში მსახური კარლი“, ღამე სადღაც მიდიოდა ეტლით და რომ „მეთლემ კინალამ მოქლა და რომ კარლმა ზალიან, ზალიან სთხოვა, არ მოექლა; რომ ბევრი იტირა, ხელები დაიქრიფა და შეშინდა, შიშისაგან კინალამ გული გაეგმირა“. მართალია, გაეღიმა კატერინა ივანოვნას, მაგრამ შენიშნა მაშინვე, რომ რუსულად ანგდოტების მბობას არ ურჩევდა. ამალია ივანოვნამ უარესად იწყინა და შენიშნა, რომ მისი „მამა ბერლინში ზალიან, ზალიან დიდი ქაცი ვიყო და ხელები სულ ჯიბეებში დაჰქონდა“. ვეღარ მოითმინა კატერინა ივანოვნამ და გულიანად გადაიხარხარა. ამალია ივანოვნამ სრულიად დაკარგა მოთმინება, თავი ძლივსღა შეიმაგრა.

- ხედავთ ბუკნაჰოტს! - დაუწყო ჩურჩული რასკოლნიკოვს თითქმის გამხიარულებულმა კატერინა ივანოვნამ, - უნდოდა ეთქვა, ჯიბეში ხელები ეწყო და ისე დადიოდაო, და მაგის მაგივრად სხვის ჯიბეში ჩააყოფინა ხელები, - ქხი-ქხი-ქხი! მერე, არ შეგინიშნავთ, როდიონ რომანოვიჩი, რომ ეს პეტერბურგში მცხოვრები უცხოელები, მეტადრე გერმანელები, რომლებიც საიდანღაც მოდიან ჩვენში, ყველანი ჩვენზე ჩურჩუტები არიან! არა, მითხარით, გეთაყვა, ვის რად უნდოდა, რომ გვიამბო „აფთიაქში მსახურ კარლს შიშმა გული გაუგმირაო“ და იმანაც (ლაჩარმა!) „გულხელი დაიკრიფა, იტირა და ძალიან სთხოვაო“, იმის მაგივრად, რომ მაშინვე გაექაჩა დამნაშავე. ოჰ, ჩურჩუტი! მერე ჰგონია, კარგი რამა თქვა ძალიან და არა ფიქრობს, რა ტუტუცია! ჩემი აზრით, ეს ლოთი პროვიანტის მოხელე ბევრად გონიერია. თვალთ მანცა ჩანს, რა შვილიც არის, ჭკუა სულ სმაში დაუკარგავს, ესენი კი გარეგნობით მუდამ დარბაისლობენ, სერიოზულად უჭირავთ თავი... ხედავთ, როგორა ზის, თვალეები გადმოუკარკლავს. ჯავრობს! ჯავრობს! ხა-ხა-ხა! ქხი-ქხი-ქხი!

გამხიარულებულმა კატერინა ივანოვნამ გატაცებით დაიწყო სხვადასხვა წვრილმანის მბობა და უცბად ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ პენსიით, რომელსაც გამოუთხოვენ უთუოდ, განზრახვა აქვს მის სამშობლო ქალაქ ტ...-ში კეთილშობილ ქალთათვის პანსიონი გახსნას. ამაზე არა ეთქვა რა ჯერ რასკოლნიკოვისათვის და ამიტომაც გატაცებით უამბო ყველაფერი დაწვრილებით. საიდანღაც უცბად ის „ქების ფურცელიც“ გაუჩნდა კატერინა ივანოვნას, რომელზეც ჯერ ისევ განსვენებულმა მარმელადოვმა უამბო მაშინ დუქანში, რომ მისმა მეუღლემ, კატერინა ივანოვნამ, „გუბერნატორისა და სხვა მაღალ გვამთა წინაშე“ იცეკვა შალით ინსტიტუტის დასრულების დროს. ქების ფურცელიც იმის დასამტკიცებლად დასჭირდა უთუოდ კატერინა ივანოვნას, რომ მართლაც უფლება ჰქონდა საკუთარი პანსიონი გაეხსნა: უმთავრესად კი იმიტომ ჰქონდა უთუოდ დამზადებული, რომ „მოპრანჭულ და აფშლაკუნა დედა-შვილისათვის“ საბოლოოდ დაეთხარა თვალეები, თუ მოვიდოდნენ, და დაემტკიცებინა, რომ კატერინა ივანოვნა კეთილშობილი, შეიძლება ითქვას, არისტოკრატიული ოჯახიდან იყო და ამასთანავე, პოლკოვნიკის ქალი, მამასადამე, ბევრად სჯობდა იმ ძალად დიდობის მაძიებელთ, რომლებიც ამ ბოლო დროს ასე

მომრავლდნენ. ქების ფურცელმა მართლაც მაშინვე ხელი-ხელ ჩამოიარა მთვრალ სტუმრებში, რასაც კატერინა ივანოვნამ წინააღმდეგობა სრულიად არ გაუწია, ვინაიდან შიგ ალნიშნული იყო en toutis lettres[39], რომ ნადვორნი სოვეტნიკისა და კავალერის ქალი იყო, მაშასადამე, თითქმის მართლაც პოლკოვნიკის ასული. აღფრთოვანებული კატერინა ივანოვნა მაშინვე დაწვრილებით მოუყვა, როგორ მშვენივრად და მშვიდობიანად მოეწყობოდნენ და იცხოვრებდნენ ტ...-ში; ელაპარაკა გიმნაზიის მასწავლებლებზე, რომლებსაც პანსიონში მიიწვევდა გაკვეთილების მისაცემად, აგრეთვე პატივცემულ მოხუც ფრანგ მანგოზე, რომელიც ჯერ ისევ კატერინა ივანოვნას ასწავლიდა ინსტიტუტში ფრანგულს, ახლაც ტ...-ში ატარებდა თავისი სიცოცხლის ბოლოს და უთუოდ ხელსაყრელ პირობებში დასთანხმდებოდა მის პანსიონში სწავლებას. ჯერი ახლა მიდგა სონიაზედაც, „რომელიც უთუოდ ტ...-ში გადასახლდებოდა კატერინა ივანოვნასთან და ყველაფერში დაეხმარებოდა!“ მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცამ ჩაიფრუტუნა სუფრის ბოლოში. კატერინა ივანოვნამ განგებ ყურადღება არ მიაქცია სიცილს, ვითომ არც კი გაუგონია, და ხმამაღლა და აღფრთოვანებით განაგრძობდა სოფია სემიონოვნას ნიჭიერების ქებას, „რომ წყნარი და მეტად მშვიდობიანი ხასიათისაა, მომთმენი, თავდადებული, კეთილშობილი და მასთან განათლებული“, და რომ იგი იქნება მისი თანაშემწე; თან ლოყაზე მოუსვა ხელი, წამოდგა და ორჯერ მაგრად აკოცა. სონია გაწითლდა; კატერინა ივანოვნას კი ტირილი აუვარდა და წაილაპარაკა უცბად, რომ „სუსტი ნერვები აქვს და მეტად მოშლილია, რომ დრო იყო, ჩაი მიერთმიათ, რადგანაც საუზმეულობა უკვე სულ მთლად გათავებული ჰქონდათ“. საბოლოოდ შეურაცხყოფილმა ამალია ივანოვნამაც გადაწყვიტა, უცბად ეცადა უკანასკნელი და კატერინა ივანოვნასათვის ეცნობებინა ერთი მეტად საყურადღებო და აზრიანი შენიშვნა იმაზე, რომ მომავალ პანსიონში განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლე ქალების საცვლების (დი ვეზე) სისუფთავეზე მიექციათ და „უთუოდ ჰყოლოდათ ერთი კარგი მანდილოსანი (დი დამე), რომელსაც საცვლებზე სჭეროდა თვალი“, და მეორეც, „არც ერთ ქალს ჩუმ-ჩუმად ღამღამობით არაფერი რომანი არ ეკითხა“. ნერვებმოშლილმა და დაღლილმა კატერინა ივანოვნამ, რომელსაც მეტისმეტად მოჰბეზრდა ქელები, მაშინვე მკვახედ „მოუჭრა“ სიტყვა ამალია ივანოვნას, რომ „სისულელეს რომავდა“ და არა ესმოდა რა; რომ საცვლებზე ფიქრი და ზრუნვა თეთრეულის ზედამხედველის საქმე იყო და არა კეთილშობილ ქალთა პანსიონის გამგე ქალისა; რაც შეეხებოდა რომანების კითხვას, ეს ხომ უზრდელობად ჩათვალია სულ და სთხოვა, გაჩუმებულიყო. ველარ მოუთმინა გაბრაზებულმა ამალია ივანოვნამ და შენიშნა, რომ „სიკეთე უნდოდა“ მხოლოდ, „თუ ურჩევდა“ და რომ „ბევრი სიკეთე უყო“ და ახლაც „რამდენი ხანია, სახლის ქირა არ მიუცია“. კატერინა ივანოვნამ მაშინვე „მიახალა“, რომ ტყუოდა, არაფერი „სიკეთე არ უყო“ და გუმინაც, მიცვალებული რომ ჯერ ისევ ესვენათ სახლში, ბინის გამო კინაღამ ყელი გამოაჭრევინა, ისე გასტანჯა. ამალია ივანოვნამ შენიშნა ამაზე, რომ „მანდილოსნები, რომლებიც მიიცვია, არ ეცვივნენ, იმიტომ, რომ ქეთილშობილები არიან და, მაშასადამე, არ შეუძლიათ არაქეთილშობილ მანდილოსნებს ეცვივნენ“. კატერინა ივანოვნამაც მაშინვე მოახსენა, რომ ის ვიღაც ტინგიცაა და, მაშასადამე, არც შეუძლია მსჯელობა, რა არის ჭეშმარიტი კეთილშობილება და რა არა. ამალია ივანოვნამ ვერ მოითმინა და უპასუხა, რომ მისი „ფატერი აუს ბერლინ“[40] ზალიან, ზალიან დიდი ქაცი იყო, ხელები სულ ჯიბეში დაჰქონდა, დადიოდა და ასე შვრებოდა; ფუჰ! ფუჰ!“ და რომ მთლად ცოცხლად წარმოედგინა თავისი მამა, წამოხტა მაშინვე, ჩაიწყო ჯიბეში ხელები, გაიბერა ლოყები და დაიწყო ფუჰ-ფუჰ-ის მსგავსად რაღაცის ძახილი. მდგმურებიც ყველანი გულიანად ხარხარებდნენ და

განგებ აქეზებდნენ ამალია ივანოვნას, რომ ერთმანეთისათვის წაესისიანებინათ და წაეკიდებინათ. ეს კი ველარ მოითმინა კატერინა ივანოვნამ და ამალია ივანოვნას ხმამაღლა „მიამახა“, რომ იქნებ მამა არც კი ჰყოლია სადმე; რომ ამალია ივანოვნა პეტერბურგელი ლოთი ჩუხონელია და წინათ უთუოდ მზარეულ დედაკაცად იყო ან უფრო საძაგელ რადმე ნაგდები. ამალია ივანოვნა ბრაზისაგან მთლად აილეწა და დასჭყვივლა, რომ იქნებ კატერინა ივანოვნას სულაც არა ჰყოლია მამა, თორემ იმას აუს ბერლინ ჰყავდა ფატერი, გრძელ სერთუკს იცვამდა ხოლმე და ასე შვრებოდა სულ: ფუჰ-ფუჰ-ფუჰ! კატერინა ივანოვნამ ზიზლით შენიშნა ამაზე, რომ მისი ვინაობა და პოლკოვნიკის ქალობა ყველამ იცის და ქების ფურცელშივე სწერია დაბეჭდილი ასოებით; რაც შეეხება ამალია ივანოვნას მამას (თუკი მართლა ჰყოლია), ვინმე მერძევე პეტერბურგელი ჩუხონელი იქნებოდა უთუოდ; ყველაზე ნამდვილი კი შეიძლება ის იყოს, რომ მამა სულაც არა ჰყავდა, რადგან დღემდე არავინ იცის, რა ერქვა მამას: ზოგი ივანოვნას ეძახის, ზოგი ლუდვიგოვნას. აქ კი გამძვინვარდა უცბად ამალია ივანოვნა, დაუწყო მაგიდას მუშტის ცემა და მოჰყვა კვილს, რომ ამალია ივანოვნაა და არა ამალია ლუდვიგოვნა, რომ მამამისს „იოჰანი ერქვა სახელად და ბურმანსტერი“ იყო, და რომ კატერინა ივანოვნას მამა „არასოდეს ბურმანსტერი არა ყოფილა“. წამოდგა მაშინ სკამიდან კატერინა ივანოვნა და სასტიკად, მაგრამ გარეგნულად დამშვიდებულმა შენიშნა (თუმცა სახე მთლად გაფითრებოდა სიბრაზისაგან და გულიც ძლიერად უცემდა), რომ თუ ერთხელ კიდევ გაბედავდა და „თავის ვიღაც საძაგელ ფატერს მის მამას შეადარებდა, მაშინვე თავსაბურავს მოჰგლეჯდა და ფეხქვეშ გაუთელავდა“. გაიგონა თუ არა ეს ამალია ივანოვნამ, იწყო გიჟივით ოთახში სირბილი და ყვირილი, რომ ის დიასახლისია და კატერინა ივანოვნას ახლავ „ბინიდან გააგდებდა“, და მაშინვე მაგიდიდან ვერცხლის კოვზებს დაუწყო ალაგება. შეიქნა ერთი ყვირილი, ბრაზუნნი, ვაი-ვაგლახი; ბავშვებმა ტირილი მორთეს. სონია მაშინვე კატერინა ივანოვნას ეცა, რომ დაეჭირა. მაგრამ სწორედ ამ დროს ამალია ივანოვნამ ყვითელი ბილეთი ახსენა. მოჰკრა თუ არა ყური ამას, ჰკრა ხელი კატერინა ივანოვნამ სონიას და ამალია ივანოვნასაკენ გაქანდა, რომ მუქარა შეესრულებინა. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და პეტრ პეტროვიჩ ლუჟინი გამოჩნდა. იდგა და იქ მყოფთ სასტიკად და ყურადღებით ათვალიერებდა. კატერინა ივანოვნამაც მაშინვე ლუჟინს მიაშურა.

III

- პეტრ პეტროვიჩ, - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ, - თქვენ მაინც დამიფარეთ! ჩააგონეთ როგორმე ამ ტუტუც ქმნილებას, რომ უფლება არა აქვს ასე მოეპყრას უბედურების დროს კეთილშობილ მანდილოსანს. ამისათვის სამართალია ქვეყნად... თვითონ გენერალ გუბერნატორს მივმართავ... და პასუხსაც აგებს უთუოდ... გაიხსენეთ მამაჩემის პურ-მარილი, ობლებს მფარველობა გაუწიეთ.

- მოითმინეთ, ქალბატონო... მოითმინეთ, - ირიდებდა პეტრ პეტროვიჩი, - მოგეხსენებათ, მამათქვენის ცნობა სრულიადაც არა მქონია... მოითმინეთ, ქალბატონო, მოითმინეთ! (ვიღაცამ ხმამაღლა გადაიხარხარა) ამალია ივანოვნასა და თქვენს გაუთავებელ ჩხუბში კი მონაწილეობის მიღება სულაც არა მსურს. ჩემი საქმისათვის გაიხელით... მსურს ახლავ, დაუყოვნებლივ, თქვენს გერს, სოფია... სემიონოვნას... ასეა, ვგონებ, არა? მოველაპარაკო. ნება მომეცით გავიარო...

პეტრ პეტროვიჩმა კატერინა ივანოვნას გვერდი აუარა და სონიასაკენ გასწია.

კატერინა ივანოვნა მეხნაკრავივით გაშეშდა, ადგილიდან ველარ დაიძრა. ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ თქვა პეტრ პეტროვიჩმა მისი მამის პურმარილზე უარი, რადგანაც თავისივე გამოგონილი წმინდად სჯეროდა. იწყინა და ელდასავით ეცა აგრეთვე გულცივი და თითქმის ზიზღის გამომხატველი კილო პეტრ პეტროვიჩისა. ნელ-ნელა ყველა გაჩუმდა, შემოვიდა თუ არა პეტრ პეტროვიჩი. გარდა იმისა, რომ მისი „საქმიანი და დარბაისლური გარეგნობა“ სრულიად არ შეეფერებოდა ამ შეკრებილობას, ეტყობოდა აგრეთვე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმისათვის გარჯილიყო და არაჩვეულებრივ რამ გარემოებას მოეყვანა; მაშასადამე, ახლავე რაღაც მოხდებოდა. სონიას გვერდით მდგომი რასკოლნიკოვიც მაშინვე გზიდან ჩამოეცალა, რომ გაეტარებინა. ეტყობოდა, პეტრ პეტროვიჩმა ვერც კი შენიშნა იგი. მაშინვე კარში ლებეზიატნიკოვიც გამოჩნდა. ოთახში, მართალია, არ შემოსულა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა და გაკვირვება აღბეჭდვოდა სახეზე; ყურს უგდებდა, მაგრამ, ეტყობა, დიდხანს ვერ გაარკვია აზრი.

- მაპატიეთ, რომ ლაპარაკს გაწყვეტინებთ, - შენიშნა პეტრ პეტროვიჩმა რატომღაც საზოგადოდ ყველას, - მაგრამ საყურადღებო საქმე მაქვს, მოხარულიც კი ვარ, რომ ხალხი ესწრება. ამალია ივანოვნა, გთხოვთ უმორჩილესად, როგორც დიასახლისის ბინისას, ყური დაუგდოთ, რა მაქვს სოფია ივანოვნასათვის სათქმელი. სოფია ივანოვნა, - მიმართა საშინლად გოცებულსა და შეშინებულ სონიას, - ჩემი მეგობრის, ანდრეი სემიონოვიჩ ლებეზიატნიკოვის ოთახში, თქვენი იქ ყოფნის შემდეგ უცბად გაქრა მაგიდიდან ასმანეთიანი ქაღალდის ფული. თუ რომ იცით რაიმე, ან მიჩვენებთ, სად არის ამჟამად იგი, სინდისსა და პატიოსნებას გეფიცებით და ვიმოწმებ აგრეთვე ყველას, ვინც კი ყურს გვიგდებს, რომ არ გამოვეკიდები და საქმეს ახლავე გავათავებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სასტიკი ღონისძიება ვიხმარო და მაშინ ნულარ დამემდურებით.

ოთახში სრული დუმილი ჩამოვარდა; ბავშვებმაც კი ტირილი შეწყვიტეს. სონია, მიტკალივით გაფითრებული, შეჰყურებდა ლუჟინს, ხმას არ იღებდა; თითქოს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს. რამდენიმე წამმა ასე განვლო.

- მაშ, აბა, რას იტყვით? - დაეკითხა ლუჟინი და თან ჩააკვირდა.

- არ ვიცი... არა ვიცი რა... - ჩაილაპარა ბოლოს სუსტი ხმით სონიამ.

- არა? არ იცით? - ჩაეკითხა განმეორებით ლუჟინი და რამდენსამე წამს კიდევ გაჩუმდა. - იფიქრეთ, აბა, მადემუაზელ[41], - დაუწყო ახლა სასტიკად, მაგრამ თითქოს ჯერ კიდევ რჩევით, - იფიქრეთ; თანახმა ვარ, კიდევ მოგცეთ დრო მოსაფიქრებლად. თორემ აი, მოგახსენებთ: დარწმუნებული რომ არ ვიყო, ეჭვი არ არის, ვერ გავბედავდი და ხელს ვერ დაგადებდით, რადგან ამგვარი პირდაპირი და საჯარო ბრალდებისა და ცილისწამებისათვის, თუნდ მხოლოდ შეცდომითაც მომსვლოდეს, მევე ვიქნებოდი პასუხისმგებელი. გამოცდილება ნებას არ მომცემდა ასე წინდაუხედავად მოქცეულიყავი. მეც ვიცი ეს. დღეს დილით ზოგიერთი საკუთარი საჭიროებისათვის რამდენიმე ხუთპროცენტიანი ქაღალდი დავახურდავე, ასე, სამი ათასი მანეთისა. ანგარიში ფულის ქისაში მიწერია. შინ რომ მოველი, - თორემ ანდრეი სემიონოვიჩიც მოწმეა ამისი, - დავითვალე ფული, გადავითვალე ორი ათას სამასი მანეთი, ჩავიწყე ქისაში და სერთუკის უბის ჯიბეში შევინახე. მაგიდაზე ხუთას მანეთამდე ქაღალდის ფული დამრჩა, იმათგან სამი ათათუმნიანი. სწორედ ამ

დროს თქვენც შემოხვედით (მევე მოგიხმეთ). მთელი ის ხანი რატომღაც საშინლად ალელვებული იყავით; სამჯერ კიდევაც წამოიწიეთ ლაპარაკის დროს და ჩქარობდით რატომღაც წასვლას, თუმცა ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაგვესრულებინა. ყველაფერ ამას ანდრეი სემიონოვიჩიც დაამოწმებს. არც თქვენ იტყვით უთუოდ უარს, რომ ანდრეი სემიონოვიჩის პირით მხოლოდ იმისთვის მოგიწვიეთ, რომ თქვენი ნათესავი ქალის, კატერინა ივანოვნას (რომელთანაც ქელებში ვერ მოვედი) ობლების უნუგეშო მდგომარეობაზე მოგველაპარაკნა და მათ სასარგებლოდ ლატარია, ხელის მოწერა ან სხვა რამ ამგვარი გაგვემართა. თქვენ მე მადლობა გადამიხადეთ და ცრემლებიც კი მოგერიათ (გიაშობთ ყველაფერს, როგორც იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაგახსენოთ ყველაფერი, და მეორეც იმიტომ, რომ დაგიმტკიცოთ, არა დამვიწყებია რა, ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს). ავიღე მერე მაგიდიდან თუმნიანი და გადმოგეცით თქვენი ნათესავისათვის, რომ პირველად როგორმე ხელი გაემართა. ყოველივე ეს ანდრეი სემიონოვიჩმაც დაინახა. მიგაცილეთ მერე კარამდის, - თქვენ ისევ შემკრთალი იყავით სულ, - უკან რომ მოვბრუნდი, ანდრეი სემიონოვიჩმა და მე სულ რაღაც ათიოდე წუთიღა ვილაპარაკეთ. ისიც წავიდა, მე კი მარტოკა დავრჩი და მაშინვე ფულს მივუბრუნდი, რომ დამეთვალა და, როგორც განზრახვა მქონდა, ცალკე გადამეწყო, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ერთი ასმანეთიანი აღარსად იყო. აბა, თქვენვე იფიქრეთ: ანდრეი სემიონოვიჩზე ეჭვის მიტანა არაფრის გულისათვის არ შემიძლია. რომ ვთქვა, ამისაც კი მრცხვენია. არც ანგარიშში მოვტყუვდებოდი, იმიტომ, რომ სულ რაღაც ერთი წუთის წინ, ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, სისწორით მქონდა შედგენილი. დამეთანხმეთ, რომ თქვენმა შეკრთომამ, წასასვლელად აჩქარებამ და იმ გარემოებამ, რომ ერთხანად ხელები მაგიდაზე გეწყოთ, აგრეთვე თქვენმა მდგომარეობამ და მასთან დაკავშირებულმა ჩვევებმა, ჩემდა უნებურად მაიძულეს ეჭვი თქვენზე მომეტანა; თუმცა, გამოგიტყდებით, სამართლიანია ეს ჩემი სასტიკი მოპყრობა! დავსძენ და გავიმეორებ კიდევ: მიუხედავად იმისა, რომ აშკარად დარწმუნებული ვარ, არა ვცდები, მაინც გაბედულია და სახიფათო ჩემი საქციელი. მაგრამ ხომ ხედავთ, ასე არ დავტოვე ეს საქმე; გეტყვით, რამაც მაიძულა: თქვენმავე დაუნახაობამ და უმადურობამ! როგორ? მევე მიგიწვიეთ, რომ თქვენი ღარიბი ნათესავისათვის გვეზრუნა რამე, გადმოგეცით ჩემი წვლილი და იქვე, იმავე წამს, მადლობის მაგივრად, ამითი მიხდით! უკაცრავად, მაგრამ ეს კი სწორედ გასაკიცხია და ჭკუის სწავლებაც საჭიროა. აბა, თვით განსაჯეთ; გარდა მაგისა, როგორც ნამდვილი მეგობარი, გთხოვთ (არც გეყოლებათ ამჟამად უკეთესი მეგობარი), გონს მოხვიდეთ და გამოტყდეთ! თორემ, იცოდეთ, არ დაგინდობთ! აბა, რას იტყვით?

- არაფერი არ ამიღია, - ჩაიჩურჩულა შიშისაგან ზარდაცემულმა სონიამ, - თუმანი თვითონ თქვენ მომეცით, აი, მიიღეთ.

ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, გახსნა გამონასკული კუთხე, ამოიღო შიგ გახვეული თუმნიანი და ლუჟინს გაუწოდა.

- დანარჩენ ათ თუმანში კი არ გინდათ გამოტყდეთ? - ჩაეკითხა საყვედურით და სასტიკად ლუჟინი. თუმნიანი არ გამოართვა.

სონიამ გარშემო მიხედ-მოიხედა. ყველანი საოცრად მკაცრად, ზიზღითა და დაცინვით უყურებდნენ... ბოლოს რასკოლნიკოვსაც გადახედა... იდგა კედელთან გულხელდაკრეფილი რასკოლნიკოვი და თვალეზგახედილი შეჰყურებდა სონიას.

- ოჰ, ღმერთო! - აღმოხდა გულიდან სონიას.

- ამალია ივანოვნა, პოლიციას უნდა შევატყობინოთ, გთხოვთ ამიტომ უმორჩილესად, მეუბნები და მიმართა წყნარად და ალერსით ლუჩინმა დიასახლისს.

- გოტ დერ ბარმჰერციგე! [42] განა არა, ვიცოდი, ქურდი იყო! - შემოჰკრა ხელი ხელს ამალია ივანოვნამ.

- იცოდით განა? - ჩაეკითხა საჩქაროდ ლუჩინი, - მაშასადამე, წინათვე გქონიათ რაღაც საბუთი, ასეთი აზრი შეგედგინათ. გთხოვთ, უპატივცემულესო ამალია ივანოვნა, თქვენ მიერ მოწმებთან წარმოთქმული სიტყვები არ დაივიწყოთ.

ყველა მხრიდან უცბად ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა. ყველა შეიძრა.

- რო-გო-რ-რ! - შეჰყვირა გონსმოსულმა კატერინა ივანოვნამ და, თითქოს დაბმული იყო და აეშვაო, ლუჩინს ეცა. - როგორ! ქურდობას აბრალებთ? სონიას? ოჰ, საზიზღრებო, გაიძვერებო! - და სონიას ეცა, გამხმარი ხელებით მაგრად მიიკრა გულზე.

- როგორ გაბედე, სონია, და გამოართვი თუმანი! ოჰ, ტუტუცო! მოიტა აქ! მოიტა ახლავ ეგ ფული! აჰათ!

გამოსტაცა სონიას თუმნიანი, დაკუმშა და პირდაპირ სახეში ესროლა ლუჩინს. დაკუმშული ფული თვალებში მოხვდა ლუჩინს და იატაკზე დავარდა. ამალია ივანოვნა იმავ წამს დასწვდა ფულს. პეტრ პეტროვიჩი განრისხდა.

- დაიჭით ეგ გიჟი! - შეჰყვირა.

კარში ამ დროს ლებეზიატნიკოვთან ერთად რამდენიმე ადამიანი კიდევ სხვა გამოჩნდა, მათ შორის პროვინციიდან ჩამოსული ორი მანდილოსანიც.

- როგორ! გიჟიაო? მე ვარ გიჟი? ტუტუცო, უგუნურო! - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ.

- შენა ხარ თვითონ უგუნური, სასამართლოს გაიძვერავ, სულმდაბალო! სონიამ და ამას ფული მოჰპაროს, გესმით! სონია ქურდიაო! თვითონვე მოგცემს, შე ვაგლახო, ფულს! - კატერინა ივანოვნას სიცილი აუვარდა. - არა, თუ გინახავთ ამისთანა ტუტუცი? - უჩვენებდა ყველას ლუჩინზე და აქეთ-იქით ეხლებოდა. - როგორ, შენც აგრე? - დაინახა უცბად დიასახლისი, - შენც იმასვე ამტკიცებ, მეძებვევ, რომ სონია ქურდია, შე პრუსიელო ჯოჯოვ! ეოჰ, თქვე უბედურებო, თქვენა! ოთახიდან ხომ ფეხიც არ მოუცვლია; გამოვიდა თუ არა შენგან, შე გაიძვერავ, მაშინვე აქ, გვერდით, მომიჯდა; ყველა მნახველია! აი, აქ, როდიონ რომანოვიჩის გვერდით დაჯდა!.. გაჩხრიკეთ! არსად გასულა, მაშ თანვე ექნება ფული! ნახე, გაჩხრიკე! მაგრამ, იცოდე, პასუხს აგებ, არ გაპატიებ, თუ ვერას უპოვი! თვით მოწყალე ხელმწიფესთან მივალ, ფერხთ ჩავუვარდები, ყველაფერს მოვახსენებ, ახლავე, დღესვე! ობლების პატრონი ვარ! მიმიშვებენ! გგონია, არ მიმიშვებენ? სტყუი, მიჰქარავ! მიმიშვებენ! მაჩვენებენ! როგორ? იმისი იმედი გქონდა, რომ უწყინარია მეტად? გეგონა, შეგრჩებოდა? სამაგიეროდ, მე ვარ ყოჩალი! ვერას მიიღებ! ეძებე, აბა! ეძებე! აჰა, ეძებე!

გაბრაზებული კატერინა ივანოვნა ძალზე ანჯღრევდა ლუჩინს, სონიასთან მიათრევდა.

- მზად ვარ და პასუხსაც ვაგებ... მაგრამ დაშოშმინდით, ქალბატონო, დაშოშმინდით. კარგად ვხედავ, რომ ყოჩალი ხართ!.. ეს... ეს... როგორ ახლა? - ბუტბუტებდა ლუჟინი, - პოლიციაც უნდა დაესწროს... თუმცა მოწმეები უიმისოდაც ბლომად არიან უკვე... მზადა ვარ, მზად... მაინც ძნელია მამაკაცისათვის... სქესი მაბრკოლებს... აი, ამალია ივანოვნა რომ დამეხმარებოდეს... თუმცა საქმის ასე გათავება მაინც შეუძლებელია... როგორ მოვიქცეთ?

- ვინ გინდათ! ვისაცა სურდეს, გაჩხრიკოს! - ყვიროდა კატერინა ივანოვნა. - სონია, ამოუბრუნე ჯიბეები! აჰა, აჰა! ახე, წყეულო, ამოსავარდნელო, ცარიელია თუ არა! აქ ცხვირსახოცი ედო, ჯიბე ცარიელია, ხედავ! აგერ, მეორე ჯიბეც. აჰა, ხედავ, ხედავ!

კატერინა ივანოვნამ გადმობრუნების მაგივრად ორივე ჯიბე კინალამ გამოჰგლიჯა. უცბად მარჯვენა ჯიბიდან რაღაც დაკეცილი ქალაქი ამოვარდა, შეითამაშა ჰაერში და ლუჟინის ფეხებთან დაეცა. ყველამ დაინახა; ბევრმა შეჰყვირა კიდეც. პეტრ პეტროვიჩი დასწვდა ორი თითით, აიღო გამოსაჩენად, რომ ყველას დაენახა და გაშალა. ეს იყო რვად შეკეცილი ასმანეთიანი ქალაქის ფული. პეტრ პეტროვიჩმა ხელი გარშემო ჩამოატარა, რომ ყველას დაენახა.

- ქურდო! გამშორდი სახლიდან! პოლიციას დამიძახეთ, პოლიციას! - შეჰკვივლა ამალია ივანოვნამ, - ციმბირში უნდა გაგრეკოთ! მომშორდით!

ყველა მხრიდან შეძახილები გაისმა. რასკოლნიკოვი ჩუმად იდგა და სონიას არ ამორებდა თვალს; იშვიათად ლუჟინსაც გადახედავდა ხოლმე. გამტერებული სონია ერთ ადგილას იდგა გონებადაბნეული; მაგრამ არ უკვირდა თითქოს. უცბად მთლად გაწითლდა, შეჰყვირა, პირზე ხელები მიიფარა.

- არა, მე არ მიქნია! მე არ ამიღია! არ ვიცი! - შესძახა მწარედ აქვითინებულმა და კატერინა ივანოვნასაკენ გაქანდა.

კატერინა ივანოვნამაც მაგრად ჩაიკრა გულში, თითქოს სურს, ასე დაიფაროს ყველასაგანო.

- სონია! სონია! არა მჯერა! ხედავ, არა მჯერა! - ყვიროდა კატერინა ივანოვნა (თუმცა აშკარა იყო) და თან ბავშვივით აქანავებდა, ხელებსა და პირს უკოცნიდა. - შენა და ფულს აიღებდი! რა ტუტუცი ხალხია! ოჰ, ღმერთო! ტუტუცებო, სულელებო, - უყვიროდა ყველას, - არ იცით, არა, რა გულის პატრონია, რა ქალია! ეს აიღებდა ფულს! უკანასკნელ კაბას გაიხდის, გაჰყიდის, ფეხშიშველა წავა და თქვენ მოგცემთ, რომ გიჭირდეთ, აი, რა ადამიანია! ყვითელი ბილეთიც იმიტომ მიიღო, რომ ბავშვები შიმშილით მეხოცებოდა, ჩვენთვის გაყიდა პატოსნება!.. ჰოი, ცხონებულო! საცოდავო! ხედავ ნეტავი? ხედავ? ეგეც შენი შენდობა! ღმერთო! რატომ არ დაიფარავთ, რაღასა დგახართ? როდიონ რომანოვიჩ! რატომ არ გამოესარჩლებით? თქვენცა გჯერათ თუ? ამის ფრჩხილადაც არ ღირხართ ყველანი, ყველანი! ღმერთო, რას უცდი, შენ მაინც რატომ არ დაიფარავ?

საბრალო ჭლექიანი ქვრივის, კატერინა ივანოვნას ტირილმა, ეტყობა, ყველაზე დიდი გავლენა იქონია. ჭლექისაგან ჩამომხმარსა და ტკივილებისაგან დაღრეჯილ სახეზე, ამ გამხმარსა და სისხლიან ტუჩებზე, ამ ჩახრინწიანებულ ხმასა და თითქოს ბავშვიურ სასოწარკვეთილ ტირილში, ამ ნდობით აღსავსე და ბავშვიურ სასოწარკვეთილ

მუდარაში იმდენი ტანჯვა იხატებოდა, ეტყობა, ყველამ შეიბრალა უბედური. პეტრ პეტროვიჩს მაინც მაშინვე შეეცოდა.

- ქალბატონო! ქალბატონო! - უმახოდა რიხიანად, - ეს გარემოება თქვენ სრულიად არ შეგეხებათ! ვერავინ ბრალს ვერ დაგდებთ, რომ ბოროტი რამ განზრახვა ან შეთანხმება გქონდეთ, მით უმეტეს, რომ თქვენვე გადმოუბრუნეთ ჯიბეები და აღმოაჩინეთ ფული; მაშასადამე, არც გცოდნიათ. დიდად და დიდად ვწუხვარ, თუ სოფია სემიონოვნაც გაჭირვებამ და სიღარიბემ აიძულა, მაგრამ აგრე რაღად უარობდით და არ გინდოდათ გამოტეხილიყავით, მადემუაზელ? სირცხვილისა გემინოდათ? პირველი შემთხვევა იყო? ან იქნებ დაიბენით? ადვილად მისახვედრია, რასაკვირველია... მაგრამ რად, რად სჩადიოდით ასე? ბატონებო! - მიმართა დამსწრეთ, - ბატონებო, მებრალება, თითქმის მზადა ვარ ვაპატიო ყველაფერი, თუმცა პირადად შეურაცხმყვეს. დეე, შემდგომში გაკვეთილად გექნეთ, მადემუაზელ, ეს შერცხვენა, - მიმართა სონიას, - მე კი აღარ გამოვეკიდები მეტად საქმეს და ამით გავათავებ. კმარა.

პეტრ პეტროვიჩმა გვერდზე გახედა რასკოლნიკოვს; ორთავემ ერთსა და იმავე დროს შეხედეს ერთმანეთს. რასკოლნიკოვს ცეცხლივით აღზნებულ თვალებში ეტყობოდა, რომ მზად იყო მტვრად ექცია, გაექრო იგი. კატერინა ივანოვნას კი თითქოს აღარა ესმოდა რა: გიჟივით ეხვეოდა და ჰკოცნიდა სონიას. ბავშვებიც გარს შემოჰხვეოდნენ. პოლექკა კი, რომელსაც, ეტყობა, კარგად ვერ გაეგო კიდევ, რაში იყო საქმე, ცრემლად დნებოდა, ქვითინით ოსდებოდა. ტირილისაგან დასიებული ლამაზი სახე სონიასათვის მიედო მხარზე.

- რა სიმდაბლეთა! - გაისმა უცხად ხმამაღლა კართან.

პეტრ პეტროვიჩმა საჩქაროდ მიიხედა.

- რა სიმდაბლეთა! - გაიმეორა ლებეზიატნიკოვმა და პირდაპირ ჩააშტერდა პეტრ პეტროვიჩს თვალებში.

შეკრთა თითქმის პეტრ პეტროვიჩი. ყველამ შენიშნა (მერე ამას იგონებდნენ ყველანი). ლებეზიატნიკოვმა ოთახში შემოდგა ფეხი.

- მერე, გაბედეთ და მოწმედაც დამასახელეთ? - შეეკითხა სასტიკად პეტრ პეტროვიჩს.

- რას ნიშნავს, ანდრეი სემიონოვიჩ? რაზე ამბობთ მაგას? - წაიბურტყუნა ლუჟინმა.

- რასა და იმას, რომ... ცილსა სწამებთ, აი, რას ნიშნავს ჩემი სიტყვები! - წარმოთქვა მხურვალედ ლებეზიატნიკოვმა და თან სასტიკად დაუწყო ყურება თავისი ბეცი თვალებით.

საშინლად იყო გაჯავრებული, რასკოლნიკოვი მაშინვე გატაცებით დააშტერდა, თითქოს სურს ყოველი სიტყვა აკრიფოს და აწონოსო. ხელახლა სიჩუმე ჩამოვარდა. პეტრ პეტროვიჩი დაიბნა თითქოს, პირველ ხანად მაინც.

- თუ რომ... - დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ენის მოკიდებით, - რა დაგემართათ? თქვენს ჭკუაზე ხართ?

- მე ჩემს ჭკუაზე ვარ, მაგრამ თქვენ, თქვენ... გაიძვერა ყოფილხართ! ოჰ, რა სიმდაბლეთა! ყველაფერი გავიგონე, რაც მოხდა; განგებ ვიცდიდი ბოლომდის, რომ

გამეგო როგორმე აზრი, მაგრამ, გამოგიტყდებით, აქამდისაც ვერ გამიგია რიგზე... რად ჰქენით ეს - არ მესმის.

- რაო, რა ვქენი ისეთი! გაათავებთ თუ არა მაგ სისულელის რომვას! ან იქნება გადაკრულში ხართ?

- იქნება თქვენა სვამთ, სულმდაბალო, დაცემულო, თორემ მე არა ვსვამ! არაყი ხომ არასოდეს გემოთი არ მინახავს, იმიტომ რომ წინააღმდეგია ჩემი რწმენის! წარმოიდგინეთ, თავისი საკუთარი ხელით მისცა ეს ასმანეთიანი სოფია სემიონოვნას, - თორემ მოწმე ვარ, დავინახე, შემძლია ფიცი მივიღო! თვითონ! თვითონ! - უმეორებდა ყველას ლებეზიატნიკოვი.

- ჭკუიდან ხომ არ შეიშალებთ, ღლაპო? - დასჭყვივლა ლუჟინმა, - თვითონ არ იყო, გამოტყდა თქვენს თვალწინ და ყველასთან, რომ თუმნიანის მეტი არა მიუღია რა ჩემგან. მითხარით მაშ, როგორღა მივცემდი?

- დავინახე, დავინახე! - ყვიროდა და უმტკიცებდა ლებეზიატნიკოვი, - თუმცა ჩემი რწმენის წინააღმდეგია, მზადა ვარ მაინც, როგორც გინდა ფიცი მივცე სასამართლოში, რომ ჩუმად შეაპარეთ ეგ ფული! ეგ არის მხოლოდ, ვიფიქრე მე ტუტუცმა, გულკეთილობით სჩადის-მეთქი ამას! კართან რომ ეთხოვებოდით, ჩუმად ჩაუდეთ მარცხენა ხელით ჯიბეში, მარჯვენათი კი ხელი ჩამოართვით. დავინახე, კი, დავინახე!

ლუჟინი გაფითრდა.

- რად სტყუით? - შეჰყვირა თავხედად. - ან არადა, ფანჯრიდან როგორ გაარჩევდით, ფული იყო თუ სხვა რამ! მოგელანდათ უთუოდ... თვალეზებადღეტილო, რაღაცას ბოდავთ!

- არა, არ მომლანდებია! მართალია, შორს ვიდექი, მაგრამ ყველაფერი დავინახე, ყველაფერი. ფანჯრიდან გარჩევა, მართალს ამბობთ, ძნელია, მაგრამ წინათვე ვიცოდი, რომ ასმანეთიანი იყო. ვინაიდან სონიას რომ თუმნიანი მიეცით, დავინახე, მაშინვე ასმანეთიანი\ აიღეთ! (დავინახე იმიტომ, რომ ახლო ვიდექი და აღარც მომიშორებია თვალი, რადგან მაშინვე გავიფიქრე ერთი რამ; ამიტომაც აღარ დამვიწყებია, რა გეჭირათ ხელში). დაკეცეთ და ხელში გეჭირათ ერთთავად. მერე ერთხანად დამავიწყდა თითქმის, მაგრამ რომ წამოდექით მერე, მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანეთ და კინაღამ ხელიდან გაგივარდათ. მაშინვე ისევ მომაგონდა, რადგანაც ხელახლა ვიფიქრე, უთუოდ ჩუმ-ჩუმად სურს, სიკეთე ჩაიდინოს-მეთქი. წარმოიდგინეთ, მაშინ კი ისევ თვალყურის დევნება დაგიწყე და დავინახე, რომ მოახერხეთ და ჯიბეში უჩუმრად ჩაუდეთ. გეუბნებით, დავინახე და ფიცსაც მივიღებ-მეთქი.

სულს ძლივს იბრუნებდა ლებეზიატნიკოვი. ყველა მხრიდან გაკვირვება და ძახილი გაისმა; ზოგან მუქარაც ისმოდა. ყველა პეტრ პეტროვიჩისაკენ იწევდა. კატერინა ივანოვნა ლებეზიატნიკოვს ეცა.

-ანდრეი სემიონოვიჩ, შევცდი, სულ სხვა აზრისა ვიყავი თქვენზე! მხოლოდ თქვენ დაიფარეთ, თქვენ! მარტო თქვენ ამოიღეთ ხმა! ობოლია, ღმერთმა მოგვივლინა თქვენი თავი! ანდრეი სემიონოვიჩ, გეთაყვათ, ჩვენო მფარველო!

აღარ ესმოდა თითქმის, რას სჩადიოდა, კიდევ დაუჩოქა.

- სისულელეა! - შეჰყვირა გაცხარებულმა ლუჩინმა, - სისულელეს რომავთ, ბატონო!.. „დამავიწყდა, მომაგონდა, მომაგონდა, დამავიწყდა!“ - რას ნიშნავს! ეტყობა, მაშ, განზრახ შემიპარებია, ჰა? რისთვის ან რა აზრით? რა მაქვს საერთო ამ...

- რისთვის? აქამდის მეც ვერ გამიგია, მაგრამ, რაც გიამბეთ, მართალია, ნამდვილი არის! არ ვტყუი იმიტომ, საზიზღარო და ბოროტო კაცო, რომ მახსოვს, მაშინვე ერთი რამ მომივიდა აზრად, იმ დროს სწორედ, ხელს რომ გართმევდათ და მადლობას გიხდიდათ. რად ჩაუდეთ ქურდულად, ჩუმიად ჯიბეში? სახელდობრ, რაღა უთუოდ ჩუმიად? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემგან დაგემაღათ, რაკი იცოდით, სხვა რწმენისა ვიყავი სრულიად და კერძო ქველმოქმედებას უარვყოფდი, როგორც უაზროსა და უქმს, რადგანაც არსებითად არარას შველის საქმეს? გადავწყვიტე ამიტომ, ვითომ ჩემი შეგრცხვათ, რომ ასეთ დიდ თანხას აძლევდით და თან გინდოდათ მოულოდნელად ისიც გაგეხარებინათ, უცხად რომ ჯიბეში ათთუმნიანს იპოვიდა (იმიტომ რომ, ვიცი, ზოგიერთ ქველმოქმედს საშინლად უყვარს ეს). ვიფიქრე აგრეთვე ისიც, ვითომ გინდოდათ გამოგეცადათ, - მოვიდოდა და მადლობას გადაგიხდიდათ თუ არა, რომ იპოვიდა! ან კიდევ მადლობას ერიდებოდით და გინდოდათ, მარჯვენას არ სცოდნოდა ვითომ, მარცხენა რას გასცემდა... ერთი სიტყვით, როგორღაც ამგვარად გინდოდათ მოგეწყოთ საქმე... ვითომ. ვინ იცის, რამდენი რამ ვიფიქრე. ბოლოს მაინც უზრდელობად მივიჩნიე საიდუმლოს გამჟღავნება. გადავწყვიტე შემდეგში მომესაზრებინა ყველაფერი. თუმცა მაშინვე ისიც გავიფიქრე: ვაითუ სოფია სემიონოვნამ ვერც კი შენიშნოს და დაჰკარგოს-მეთქი. გადავწყვიტე ამიტომ, დავბრუნებულიყავი ახლავე და მეთქვა, რომ ჯიბეში ათთუმნიანი ჩაუდეს. გზაზე მხოლოდ ქ-ნ კობოლიატნიკოვებისას შევიარე. „დადებითი მეთოდის საზოგადო დასკვნა“ [43] შევუტანე და ვურჩიე საგანგებოდ, რომ პიდერიტის წერილი წაეკითხათ (აგრეთვე ვაგნერისაც); მერე მოვედი აქაც, მაგრამ ხედავთ, რა ამბავი დამიხვდა! მითხარით ერთი, რა მომაფიქრებდა ყველა ამას, მართლა რომ ჩემი თვალით არ დამენახა, როგორ ჩაუდეთ ჯიბეში ათთუმნიანი?

როცა ანდრეი სემიონოვიჩმა დაასრულა თავისი გრძელი მსჯელობა და ასეთი ლოგიკური დასკვნით დააბოლოოვა, ძალიან დაიღალა, სახეზე ოფლი წურწურით სდიოდა. ვაი, რომ რუსულადაც კი ეძნელებოდა რიგზე ლაპარაკი (თუმცა არც სხვა რამ ენა იცოდა) და ამიტომ უცხად მოსწყდა, მოეშვა; თითქმის გახდა კიდევ ამ ვექილური ღვაწლის შემდეგ. მაინც მისმა სიტყვებმა ყველაზე დიდი გავლენა იქონია. ლაპარაკობდა ისეთი გატაცებით და რწმენით, ეტყობა, ყველა დააჯერა. იგრძნო პეტრ პეტროვიჩმა, რომ ცუდად იყო საქმე.

- რა საქმე მაქვს, რა იფიქრეთ და რა სულელური კითხვები დაგებადათ თავში, - შეჰყვირა. - არაფერსაც არ ამტკიცებს ეს! იქნება ძილშიაც დაგეზმანათ ყველაფერი. მორჩა და გათავდა! გიმეორებთ მაინც, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ სტყუით! სტყუით და ცილს მწამებთ რაიმე ბოროტი აზრით, იქნებ იმიტომაც, რომ თქვენი უღვთო სოციალური წინადადებანი უარვყავი, და ეს გაბრაზებთ!

მაგრამ ვერა უშველა რა პეტრ პეტროვიჩს ამრიგად თავის დამძვრენამ. პირიქით, ყველა მხრიდან დაცინვა და მუქარა გაისმა.

- ხედავთ, როგორ უნდა თავის დამკვრენა! - შეჰყვირა ლებეზიატნიკოვმა. - სტყუი! დაუძახე პოლიციას, მე კიდევ ფიცს მივიღებ! ერთი რამ ვერ გამიგია მხოლოდ: რა აზრით ჩაიდინა ეს სიმდაბლე! ოჰ, საცოდავო, სულმდაბალო ადამიანო!

- მე შემძლია ავხსნა, რადაც გაბედა და ჩაიდინა ეს, და თუ საჭირო იქნება, ფიციც მივიღო, - წარმოთქვა მტკიცედ რასკოლნიკოვმა და წინ წამოდგა.

ეტყობა, მტკიცედ ჰქონდა რაღაც გადაწყვეტილი, დამშვიდებით მოფიქრებული. ყველამ ნათლად დაინახა პირველი შეხედვითვე, რომ მას უნდა უთუოდ სცოდნოდა ნამდვილი მიზეზი და საქმეც საბოლოოდ გამოერკვია.

- ახლა კი ყველაფერი მესმის, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი და პირდაპირ ლებეზიატნიკოვს მიმართავდა. - თავიდანვე ეჭვი დამებადა, უთუოდ რამე საზიზღარი ოინია-მეთქი. ეჭვი შემეპარა იმ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებიც მე ვუწყი მხოლოდ და რომლებსაც ახლავე ავუხსნი ყველას: მიზეზიც ეს არის. თქვენ კი, ანდრეი სემიონოვიჩ, თქვენი ძვირფასი ჩვენებით საბოლოოდ გამირკვიეთ ყველაფერი.. გთხოვთ ყველას, ყური დამიგდოთ. ეს ვაჟბატონი (ლუჟინზე მიუთითა) ახლახან ერთ ქალს, სახელდობრ ჩემს დას, ავდოტია რომანოვნა რასკოლნიკოვას ირთავდა. მაგრამ პეტერბურგში რომ ჩამოვიდა, ამ სამიოდე დღის წინათ, პირველი ნახვისთანავე ჩხუბი მოგვივიდა და სახლიდან გავაგდე, რასაც ორი სხვა ადამიანიც დაამოწმებს. ამის გამო გაბოროტებულია საშინლად... სამი დღის წინათ სრულიად არა ვიცოდი რა, თუ აქ, თქვენთან ცხოვრობდა ნომრებში; იმავე დღეს, რა დღესაც ჩვენ ჩხუბი მოგვივიდა, მოწმე იყო იგი, როგორ გადავეცი კატერინა ივანოვნას, როგორც ჩემი განსვენებული მეგობრის მარმელადოვის ქვრივს, ცოტაოდენი ფული მიცვალებულის დასამარხავად. ამას კი აელო და მიეწერა დედაჩემისთვის, ვითომ ფული გადავეცი სოფია სემიონოვნას და არა კატერინა ივანოვნას, თან ისე საძაგლად დაესურათებინა... სოფია სემიონოვნა, რომ... ეჭვი მიეტანა, ვითომ რამ დამოკიდებულება მქონოდა სოფია სემიონოვნასთან. ყველაფერი ეს, თუ დაუკვირდებით, იმ განზრახვით ჩაიდინა მხოლოდ, რომ დედასთან და დასთან წავეჩხუბებინე და ჩაეგონებინა, რომ მათ უკანასკნელ გროშებს ასე უპატიოსნოდ ვხარჯავ. გუშინ საღამოთი მაგის თანდასწრებით აღვადგინე დედისა და დის წინაშე ჭეშმარიტება და დავუმტკიცე, რომ ფული დასასაფლავებლად გადავეცი კატერინა ივანოვნას და არა სოფია სემიონოვნას, რომელსაც სამი დღის წინათ არც კი ვიცნობდი და არც თვალთ მენახა. დავსძინე ამასთანავე ისიც, რომ პეტრ პეტროვიჩ ლუჟინი თავისი ღირსებებით ფრჩხილადაც არ ღირდა სოფია სემიონოვნასი, რომელსაც თითქმის მიწასთან ასწორებდა. ხოლო როდესაც მკითხა: მოუსვამდით თუ არა გვერდით სოფია სემიონოვნას თქვენს დასაო? ვუპასუხე, რომ უკვე მოვიქეცი კიდევ ასე იმავე დღეს. გულმოსულმა და გაბოროტებულმა, რომ ვეღარ მოახერხა ამრიგად ჩვენი წაჩხუბება, თავხედურად შეურაცხყოფა დაუწყო ჩემს დას. მაშინ კი საბოლოოდ გავწყვიტეთ მასთან საქმე და სახლიდან გამოვაპანლურეთ. ყველა ეს გუშინ საღამოთი მოხდა. გთხოვთ ახლა კარგად დამიგდოთ ყური: რომ მოეხერხებინა და დაემტკიცებინა, ვითომ სოფია სემიონოვნა ქურდი იყო მართლაც, მაშინ ხომ, ჯერ ერთი, დაუმტკიცებდა დედაჩემსა და ჩემს დას, რომ მისი ეჭვი სამართლიანი იყო; მაშასადამე, სამართლიანადაც გამწყრალი, რომ ჩემი და სოფია სემიონოვნა ერთიმეორის ღირსადა ვსცანი. აქედან მაშ მისი ჩემდამი წყრომაც სამართლიანი იქნებოდა, რადგან ჩემი დისა და თავისი საპატარძლოს პატიოსნებას იცავდა. მაშასადამე, შეეძლო ამრიგად ჩვენი ხელახლა წაკიდება და მათი გულის

მოგება, შერიგება. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ შურს იძიებდა და უნდოდა სამაგიერო როგორმე გადაეხადა პირადად ჩემთვის, რადგანაც ფიქრობდა, სოფია სემიონოვნას პატიოსნება და ბედნიერება ძვირფასი იყო ჩემთვის. აი, რა ანგარიში ჰქონდა! აი, როგორა ვხსნი ამ საქმეს! ეს იყო ერთადერთი მიზეზი, ამის გარდა სხვა არა ყოფილა რა!

ასე, თუ დაახლოებით ასე დაათავა რასკოლნიკოვმა სიტყვა, რომელსაც დამსწრენი ხშირად აწყვეტინებდნენ სხვადასხვაგვარი შემახილებით, თუმცა ყველა ყურადღებით უგდებდა ყურს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აწყვეტინებდნენ, მაინც დამშვიდებულად და მტკიცედ, გარკვევით წარმოთქვა ყოველივე. მისმა მკვეთრმა ხმამ, სასტიკმა სახის გამომეტყველებამ და რწმენით აღსავსე კილომ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება იქონია.

- აგრეა, სწორედ აგრეა! - ამტკიცებდა აღტაცებული ლებეზიატნიკოვი. - აგრე უნდა იყოს უთუოდ, იმიტომ რომ მეკითხებოდა, როგორც კი სოფია სემიონოვნა შემოვიდა ჩვენთან, აქ იყავით თქვენა თუ არა? „კატერინა ივანოვნას სტუმართა შორის თვალი ხომ არ მოგიკრავს რასკოლნიკოვისათვისო?“ ფანჯარასთან მიმიხმო და ისე მკითხა ჩუმიად. მაშასადამე, უნდოდა უთუოდ, რომ თქვენ აქა ყოფილიყავით! აგრეა სწორედ, აგრეა!

ლუჟინი ჩუმიად იდგა და ზიზღით იღიმებოდა. საშინლად იყო მაინც გაფითრებული. ეტყობა, ფიქრობდა, თავი როგორმე დაეძვრინა. იქნება სიამოვნებითაც მიეტოვებინა ყველაფერი და წასულიყო, მაგრამ ვაი რომ თითქმის შეუძლებელი იყო. ამით ხომ და დამტკიცებდა, რომ მართალი იყო, რასაც მასზე ამბობდნენ და სოფია სემიონოვნასაც ტყუილად ცილი დასწამა. თან ნასვამი ხალხიც მეტად ღელავდა. ყველაზე მეტს კი პროვიანტის მოხელე ყვიროდა და ლუჟინის წინააღმდეგ არასასიამოვნო ღონისძიებებს ურჩევდა, თუმცა გაგებით თითქმის აღარა გაეგებოდა რა, ისე იყო გაღიქებული. მაგრამ იყვნენ უფრო ფხიზლებიც; ყველა ოთახიდან თავი მოიყარეს. პოლონელებიც სამივენი საშინლად ცხარობდნენ და ერთთავად „ჰანე ლაიდაკ!“-ს უყვიროდნენ. გარდა ამისა, რაღაც სხვა მუქარასაც უთვლიდნენ პოლონურად. სონიაც დიდი ყურადღებით უგდებდა ყურს, მაგრამ ბურანში იყო თითქოს, ყველაფერი რიგზე ვერ გაეგო. მხოლოდ რასკოლნიკოვს არ ამორებდა თვალს, როგორც ერთადერთ თავის დამცველსა და მფარველს. კატერინა ივანოვნაც ძლივსლა სუნთქავდა, დაუძლურებულიყო. ყველაზე სულელურ მდგომარეობაში კი ამალია ივანოვნა იყო: იდგა პირდაღებული და ვერა გაეგო რა. ხედავდა მხოლოდ, რომ პეტრ პეტროვიჩი რაღაც მახეში გაება. რასკოლნიკოვმა კვლავ ითხოვა ლაპარაკის ნება, მაგრამ აღარ დაათავებინეს: ყველა ლუჟინისაკენ მიიწევდა ლანძღვითა და მუქარით. მაგრამ პეტრ პეტროვიჩი არ შეშინდა; რომ ნახა, სონიას ველარაფრით გაამტყუნებდა, წაგებული იყო საქმე, პირდაპირ ურცხვ ოინს მიმართა: - მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ; ნუ ახორხორდით, გამატარეთ! - ეუბნებოდა ლუჟინი და თან ბრბოს მიაღწევდა, - ნურც იმუქრებით, გეთაყვა; გარწმუნებთ, არა იქნება რა, ვერას იზამთ, მხდალი არ გახლავართ; პირიქით, თქვენვე აგებთ, ბატონებო, პასუხს, რომ ძალადობა იხმარეთ და ასეთი საქმე მიჩქმალეთ. ქურდი დაჭერილი მყავს და არც დავანებებ თავს. სასამართლოში ბრმები როდი არიან... და არც მთვრალეები. თავზე ხელაღებულ ორ უღვთოს, შფოთის ჩამომგდებსა და თავისუფალ მოაზროვნეს, რომლებიც პირადი ანგარიშითა და შურისძიებით მამტყუნებენ და თავიანთი სულელობით არცა ძალავენ ამას, როდი ვინმე რამეს დაუჯერებს... დიახ, გამატარეთ, გეთაყვა...

-ახლავე ხსენება ადარ იყოს თქვენი ჩემს ოთახში; გადადით, საცა გერჩიოთ! მორჩა, გათავდა ჩვენს შორის ყველაფერი! რომ მომაგონდება, როგორ თავგამოდებით ვუხსნიდი... აგერ ორი კვირაა!..

- ეგ ხომ, ანდრეი სემიონოვიჩი, მე თვითონ გითხარით წელან, გადავდივარ-მეთქი, თქვენ კი არ მიშვებდით. ახლა მხოლოდ იმასლა დავსძენ, რომ ტუტუცი ყოფილხართ. გისურვებთ, ეგ ტვინი და ბრუტიანი თვალები მოგერჩინოთ. გამატათ, ბატონებო!

და გაძვრა. მაგრამ აგრე არ უნდოდა მარტო ლანძღვა-გინებით გაშვება პროვიანტის მოხელეს: დაავლო მაგიდაზე ჭიქას ხელი, მოიქნია და პეტრ პეტროვიჩს ესროლა; მაგრამ ასცდა პეტრ პეტროვიჩს და ამალია ივანოვნას მოხვდა. შეჰკვივლა ამალია ივანოვნამ. პროვიანტის მოხელემ კიდევ თავი ველარ შეიმაგრა, წატორტმანდა და მაგიდის ქვეშ გასძვრა ბრაგვანი. პეტრ პეტროვიჩი თავის ოთახში შევიდა, ნახევარი საათის შემდეგ კი სულაც გადავიდა სახლიდან. ბუნებით წყნარმა და მოკრძალებულმა სონიამ ადრეც იცოდა, რომ მისი დაჩაგვრა ყველას ადვილად შეეძლო და არცთუ ვინმე გამოესარჩლებოდა, მაგრამ მაინც ეგონა უკანასკნელ წუთამდე, რომ ხიფათს როგორმე თავს დააღწევდა, თუ სიფრთხილით, მოკრძალებითა და მორჩილებით მოიქცეოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. რასაკვირველია, შეეძლო კიდევ მოეთმინა ყველაფერი, - თუნდ ეს შეურაცხყოფაც, მაგრამ პირველად მეტად ემძიმა იგი. მიუხედავად იმისა, რომ გაამართლეს და არ შერცხვა, მოვიდა თუ არა გონს და მოისაზრა თუ არა ყველაფერი, რაღაც უმწეობისა და შეურაცხყოფის გრძნობამ საშინლად შეუხუთა გული, ტირილი აუვარდა. ველარ გაუძლო ბოლოს, გავარდა ოთახიდან და შინისაკენ გაქანდა. ეს იყო თითქმის ლუჟინის წასვლის უმაღვე. ველარ მოითმინა ველარც ამალია ივანოვნამ, ჭიქა რომ მოხვდა და ყველამ სიცილი ატეხა, მოჰყვა კვილის და გაცოფებული მივარდა კატერინა ივანოვნას, როგორც ყველა ამ უსიამოვნების მიზეზს: - დამეკარგე ახლავე ბინიდან! ახლავე! ჰაიდა!

და დაუწყო ყველაფერს, რაც კი რამ მოხვდა ხელში კატერინა ივანოვნას ბარგიდან, ძირს, იატაკზე, გადმოყარა. უამისოდაც თითქმის მკვდარი და გულშეღონებული, გადაფითრებული კატერინა ივანოვნა წამოხტა მაშინვე ლოგინიდან (რომელზედაც დაუძღურებული დაეცა) და ამალია ივანოვნას ეცა. მაგრამ რას გახდებოდა? ამალია ივანოვნამ ბუმბულივით მოიშორა უცბად.

- როგორ! არ კმარა, რომ უღვთოდ დაგვწამეს ცილი, ეს სამაგელი ქმნილება კი მევე დამაცხრა! როგორ! ქმრის დასაფლავების დღეს და პურმარილის შემდეგ სახლიდან მითხოვენ, ობლებიანად ქუჩაში მაგდებენ! მერე სად წავიდე! - ქვითინებდა და გაჰკიოდა საცოდავი დედაკაცი. - ღმერთო! - შეჰყვირა უცბად და თვალები ცეცხლივით აენთო. - ნუთუ სამართალი არ არის! სხვა ვინლა უნდა დაიფარო, თუ არა ჩვენ, ქვრივ-ობლები? აბა, ვნახოთ, სამართალი თუ გამწყდარა ქვეყნად! მოვძებნი, ვპოვებ! მოიცა, შე უღმერთო, შენა! პოლექკა, ბავშვებთან იყავი, ახლავ დავბრუნდები. მომიცადეთ, თუნდ ქუჩაშიაც იყოს! ვნახავთ, არის ქვეყნად სამართალი თუ არა?

და თავზე ის მწვანე დრადედამის თავსახვევი მოიგდო, რომელზედაც მაშინ განსვენებულმა მარმელადოვმა უამბო რასკოლნიკოვს. კატერინა ივანოვნა გაძვრა ოთახში უწესრიგოდ მოხროვილ მთვრალ მდგმურებს შუა და ქვითინით ქუჩაში გავარდა, რომ სადღაც ახლავე, დაუყოვნებლივ, სამართალი ეპოვა. შემინებულმა

პოლექკამ ბავშვები კუთხეში მიყუჟა სკივრთან, მოჰხვია ორთავეს ხელები და მთლად აკანკალებულმა დედას დაუწყო ცდა. ამალია ივანოვნა კი გაცხარებული დარბოდა ოთახში, გაჰკიოდა, ყვიროდა და, რაც კი რამ მოხვდებოდა ხელში, ყველაფერს იატაკზე ყრიდა. მდგმურებიც ყველანი უთავბოლოდ გაჰკიოდნენ და ყვიროდნენ, ზოგი რას, ზოგი რას, - ზოგი მომხდარი ამბის შესახებ განაგრძობდა ლაპარაკს, ზოგიც ჩხუბობდა, ილანძღებოდა; სხვებმა კიდეც სიმღერა გააბეს...

- „ახლა კი დროა მეც წავიდე! - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - ვნახოთ აბა, სოფია სემიონოვნა, ახლა რას იტყვით!“

და სონიას ბინისაკენ გასწია.

IV

მხნე და თავდადებული ვეჟილობა გაუწია რასკოლნიკოვმა სონიას ლუჟინის წინააღმდეგ, თუმცა საკუთარიც ბევრი რამ ჰქონდა საფიქრელი და სატანჯველი. დილით გამოვლილი იმოდენა ტანჯვის შემდეგ გაეხარდა კიდეც, რომ შემთხვევა მიეცა, აუტანელი შთაბეჭდილებანი შეეცვალა, თუმცა გულით უნდოდა და, რასაკვირველია, პირადადაც დიდი მისწრაფება ჰქონდა, გამოსარჩლებოდა სონიას. გარდა ამისა, საშინლად აწუხებდა აგრეთვე სონიასთან შეხვედრაც: ხომ უნდა გამოეცხადებინა, ვინ მოკლა ლიზავეტა. ამიტომაც წინათვე გრძნობდა საშინელ ტანჯვას. მართალია, კატერინა ივანოვნადან გამოსვლისას გამომწვევად მიმართა გუნებაში სონიას: „ვნახოთ აბა, სოფია სემიონოვნა, ახლა რაღას იტყვითო?“ მაგრამ, ეტყობა, ლუჟინზე გამარჯვებით იყო გამხნევებული. ახლა კი უცნაური რამ დაემართა უცბად. მივიდა თუ არა კაპერნაუმოვის ბინამდე, უმაღ საშინელი შიში და დაუძლურება იგრძნო. ფიქრში წასული კარის წინ შედგა და ეკითხებოდა თავის თავს: „ვუთხრა თუ არა, ვინ მოკლა ლიზავეტაო!“ მაგრამ უადგილო და უცნაური ეჩვენა ეს კითხვა, რადგან იმავე წამს იგრძნო, არამცთუ არ შეიძლებოდა არ ეთქვა, რამდენიმე ხნით დაგვიანებაც კი შეუძლებელი იყო. არ იცოდა ჯერ კიდეც, რად არ შეიძლებოდა; ეს მხოლოდ იგრძნო, სხვა არაფერი, მაგრამ საშინლად კი დააუძლურა ამ მტანჯველმა შეგრძნებამ. მეტი რომ აღარ ეფიქრა და აღარ დატანჯულიყო, საჩქაროდ კარი გამოაღო და სონიას შეხედა. სონია იდაყვდაყრდნობილი მისჯდომოდა მაგიდას და სახეზე ხელები მიეფარებინა, მაგრამ დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი, საჩქაროდ წამოდგა და მიეგება, თითქოს ეს არის უცდიდაო.

- რა მეშველებოდა უთქვენოდ? - წარმოთქვა საჩქაროდ სონიამ, როგორც კი რასკოლნიკოვს შეეგება. ეტყობოდა, ესწრაფვოდა ამის თქმას. თითქოს ამიტომ უცდიდაო.

რასკოლნიკოვი მაგიდასთან მივიდა და იმ სკამზე ჩამოჯდა, რომლიდანაც ის იყო სონია წამოდგა. სონია კი ორი ნაბიჯის მოშორებით დაუდგა წინ, სწორედ ისე, როგორც გუშინ.

- რაო, სონია? - დაუწყო ლაპარაკი და უცბად იგრძნო, რომ ხმა აუკანკალდა, - მიხვდით ნეტავი, რომ წედან საქმე მთლად „საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მასთან დაკავშირებულ ჩვეულებებზე“ იყო აშენებული?

სონიას საშინელი ტანჯვა აღებეჭდა სახეზე.

- გემუდარებით მხოლოდ, გუშინდელივით არ მელაპარაკოთ! - გააწყვეტინა სონიამ. - ნუ დაიწყებთ, გეთაყვა, კმარა ისიც, რასაც ვიტანჯები...

და მაშინვე გაუღიმა: შეეშინდა, ვაითუ არ მოსწონებოდა ეს საყვედური.

- სისულელე ჩავიდინე და წამოველ მაშინვე. რა ამბავია იქ? ეს არის მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ ვფიქრობდი, აი, საცაა, თქვენ შემოივლიდით...

რასკოლნიკოვმა უამბო, რომ ამაღია ივანოვნამ ბინიდან დაითხოვა და კატერინა ივანოვნა კიდევ „სამართლის“ სამეზნელად გაიქცა სადღაც.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - შესძახა სონიამ, - წავიდეთ საჩქაროდ... - და წამოსასხამს წამოავლო ხელი.

- რა ერთსა და იმავეს გაიძახით! - შეჰყვირა რასკოლნიკოვმა. - თქვენ მხოლოდ ისინი გაგონდებათ! დარჩით ჩემთან!

- მერე... კატერინა ივანოვნა?

- კატერინა ივანოვნა, რასაკვირველია, გზას ვერ აგიქცევთ, თვითონვე შემოგივლით, რაკი სახლიდან გამოიქცა, - დასძინა უკმაყოფილოდ, - შინ რომ არ დახვდეთ, ხომ თქვენვე იქნებით დამნაშავე...

ძლივს, როგორც იყო, გადაწყვიტა და ჩამოჰდა სონია, მაგრამ იტანჯებოდა საშინლად. რასკოლნიკოვიც დუმდა, იატაკს დასცქეროდა, რაღაცას ფიქრობდა.

- ვთქვათ, ლუჟინმა არ ისურვა ამჟამად, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი, მაგრამ სონიას არ უყურებდა. - მაგრამ რომ მოენდომებინა, ან როგორმე ანგარიში ჰქონოდა და ჩვენ, მე და ლეზეზიატნიკოვი, არ შეგსწრებოდით, ხომ საპატიმროში გიკრავდათ თავს! ჰა?

- დიახ, - უპასუხა სუსტი ხმით სონიამ, - დიახ! - გაიმეორა დაბნეულმა, შეწუხებულმა.

- მე ხომ მართლაც შეიძლება არ შევსწრებოდი იმ დროს, ლეზეზიატნიკოვიც ხომ სულ შემთხვევით გაჩნდა იქ.

სონია დუმდა.

- მერე, რომ დაეპატიმრებინეთ, მაშინ რაღას იზამდით? გახსოვთ, გუშინ რა გითხარით?

სონიამ კიდევ არა უპასუხა რა. რასკოლნიკოვმა შეიცადა.

- მეგონა, კიდევ ისე მიყვირებდით, „ნუ მეუბნებით, გაჩუმდითო!“ - გაიცინა რასკოლნიკოვმა, მაგრამ როგორღაც ძალდატანებით. - რაო, ჩუმი ხართ ისევ? - დაეკითხა ერთი წამის შემდეგ. - უნდა ვთქვათ რამე თუ არა? აი, მაგალითად, საყურადღებოა ჩემთვის ვიცოდეთ, ლეზეზიატნიკოვისა არ იყოს, როგორ გადაწყვეტილით ერთ „საკითხს“ (რასკოლნიკოვი თითქოს იბნეოდა). ხუმრობა იქით იყოს. წარმოიდგინეთ, სონია, წინათვე გცოდნოდათ ლუჟინის ყველა განზრახვა, გცოდნოდათ (ესე იგი დანამდვილებით), რომ კატერინა ივანოვნაც და ბავშვებიც დაილუპებოდნენ ამის გამო; გცოდნოდათ, რომ თქვენც თან მიჰყვებოდით (თან მიჰყვებოდით-მეთქი გეუბნებით, იმიტომ რომ თქვენ თავს არაფრად სთვლით);

პოლექკაც... იმიტომ, რომ იმასაც იგივე გზა ელის. ასე მაშ: ყველა ეს რომ თქვენი გადასაწყვეტი იყოს, როგორ გადაწყვეტდით: უმჯობესი იქნებოდა, ლუჩინს ეცოცხლა და ყველა ეს სადაგლობა ჩაედინა, თუ კატერინა ივანოვნა მომკვდარიყო? გეკითხებით, რას გადაწყვეტდით?

სონიამ შეშფოთებულმა შეხედა რასკოლნიკოვს. რაღაც განსაკუთრებულ რამ განზრახვას ხედავდა ამ შორიდან ჩამოგდებულ ლაპარაკში.

- უკვე ვგრძნობდი, რომ რაღაც ამგვარს მკითხავდით უთუოდ, - მიუგო სონიამ და გამომცდელი თვალთ ჩააკვირდა.

- კარგი; დეე; მაგრამ მითხარით მაინც, როგორ გადაწყვეტდით?

- რად მეკითხებით იმას, რაც შეუძლებელია? - უპასუხა სონიამ ზიზლით.

- ჩანს, მაშ უმჯობესია, ლუჩინმა იცოცხლოს და ათასგვარი სადაგლობა ჩაიდინოს! თქვენ ამის გადაწყვეტაც კი ვერ გაგიბედიათ?

- ღვთის განგებისა რა ვიცი, აბა... მაგრამ რად მეკითხებით ისეთ რამეს, რაც შეუძლებელია? ან რასა ნიშნავს ეს ფუჭი კითხვები? როგორ შეიძლება, ან როგორ უნდა მოხდეს, რომ ყველაფერი ეს ჩემზე იყოს დამოკიდებული? ან მე ვინ დამაყენა მოსამართლედ, რომ გადავწყვიტო: ვინ იცოცხლოს და ვინ არა?

- უბედურებაც ეგ არის, როგორც კი ღვთის განგება ჩაერევა საქმეში, მაშინვე ველარაფერს გააწყობს კაცი, - წაიბუტბუტა დაღვრემით რასკოლნიკოვმა.

- პირდაპირა თქვით, რაცა გსურთ, უმჯობესია! - შეჰყვირა გატანჯულმა სონიამ, - როგორღაც იგავით მელაპარაკებით კიდეც... ნუთუ მარტო იმისათვის მოხვედით, რომ მტანჯოთ?

ველარ აიტანა და უცბად ქვითინი ამოუშვა მწარედ. რასკოლნიკოვი პირქუშად შეჰყურებდა. ასე განვლო ხუთიოდე წუთმა.

- შენ მართალი ხარ, სონია, - ჩუმად თქვა მან ბოლოს. უცბად სულ მთლად გამოიცვალა; მოჩვენებითი, კადნიერი კილო სადღაც გაუქრა. ხმაც კი უცბად მიუსუსტდა. - თვითონვე გითხარი გუშინ, რომ პატიების სათხოვნელად კი არა, ისე მოვალ და გეტყვით-მეთქი, ახლა კი ისევ დავიწყე, თითქოს პატიებას გთხოვ... ლუჩინსა და განგებაზე რომ გელაპარაკებოდი, ჩემთვის ვამბობდი... პატიებასა გთხოვდი, სონია...

უნდოდა გაეღიმა, მაგრამ რაღაც უძლური და დაუმთავრებელი აზრი გამოიხატა მის მკრთალ ღიმილში. თავი დაღუნა, ხელები პირზე მიიფარა.

მოულოდნელად გულში აღედრა უცნაური რამ გრძნობა მწვავე სიძულვილისა სონიასადმი. ამ შეგრძნებამ გააკვირვა და შეაშინა იგი. უცბად თავი აიღო და დაკვირვებით დააცქერდა სონიას: მის თვალეზში ამოიკითხა ტანჯვით სავსე, მზრუნველი თანაგრძნობა; ეს იყო სიყვარული; სიძულვილი ლანდივით გაუქრა. აქ სულ სხვა რამ იყო; ერთი გრძნობა მეორის ნაცვლად მოეჩვენა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ის წუთი დადგა.

რასკოლნიკოვმა ისევ აიფარა ხელები სახეზე და თავი ჩაჰკიდა. უცბად გაფითრდა, სკამიდან წამოდგა, სონიას შეხედა და უნებლიეთ, ხმისამოუღებლად გადაჯდა მის ლოგინზე.

საშინლად ჰგავდა ეს წუთი იმას, ცული რომ ყულფიდან გაათავისუფლა, ბებრუხანას ედგა უკან და იგრძნო, რომ „აღარც ერთ წამს დაგვიანება აღარ შეიძლებოდა“.

- რა დაგემართათ? - დაეკითხა საშინლად დამფრთხალი და შეშინებული სონია.

რასკოლნიკოვმა ველარაფრის თქმა ვერ შეძლო. ასე არ ფიქრობდა საქმის გამჟღავნებას; ამიტომ თვითონაც არ ესმოდა, რა ემართებოდა. სონია ჩუმად მივიდა, მიუჯდა გვერდით ლოგინზე და უცდიდა, თვალს არ აშორებდა, გული საშინლად უცემდა, ელეოდა. სულთქმა შეეხუთა. მიტკალივით გაფითრებულ რასკოლნიკოვს სონიასაკენ მიეღო პირი, ტუჩები როგორღაც უძლურად ედრიცებოდა; რაღაცის თქმას ცდილობდა. სონიას უცბად გული საშინელმა შიშმა გაუყინა.

- რა დაგემართათ? - გაუმეორა სონიამ და მოერიდა კიდევ თითქოს.

- არაფერია, სონია, ნუ გეშინია... სისულელეა! მართლაცდა სისულელეა, თუ რიგზე განვსჯით, - ბუტბუტებდა, თითქოს ბოდავს და არ ესმის, რას ლაპარაკობსო. - ეგ არის მხოლოდ, რისთვის მოვედი შენს სატანჯველად? - დასძინა უცბად, თან თვალებში შესცქეროდა. - მართლაცდა, რად მოვედი? სულ მაგას ვეკითხები ჩემს თავს, სონია...

იქნებ ამ თხუთმეტიოდე წუთის წინ მართლაც ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ ახლა კი აღარა ესმოდა რა, მთლად მოწყვეტილიყო და გრძნობდა მხოლოდ, რომ მთელი სხეული უცახცახებდა.

- ოჰ, როგორ იტანჯებით! - შესძახა სონიამ და თვითონაც ტანჯვა აღებეჭდა სახეზე.

- სისულელეა ყველაფერი!.. აი, რას გეტყვი, სონია (უცბად რაღაც უსასოოდ გაელიმა, წამიერად), - გახსოვს, გუშინ რომ უნდა მეთქვა შენთვის?

სონია მოუსვენრად უცდიდა.

- წასვლისას გითხარი, იქნება სამუდამოდაც გეთხოვები-მეთქი, მაგრამ თუ მოვალ, გეტყვი-მეთქი მაშინ... ვინ მოკლა ლიზავეტა.

უცებ მთელი ტანით კანკალი აუვარდა სონიას.

- და აგერ, მოვედი, რომ გითხრა.

- მაშ მართალს მეუბნებოდით გუშინ?.. - ძლივს ჩაილაპარაკა ჩურჩულით სონიამ. - მერე თქვენ საიდან იცით? - დაეკითხა უცბად, თითქოს ეს არის, გონს მოვიდაო.

სონია ძლივდა სუნთქავდა, თანდათან ფერი მისდიოდა, ფითრდებოდა.

- ვიცი.

ერთ წამს ჩუმად იყო სონია.

- იპოვეს ის, თუ როგორ არის? - დაეკითხა მოკრძალებით.

- არა, არ უპოვიათ.

- მაშ, თქვენ საიდან იცით? - ჩაეკითხა კვლავ ოდნავ გასაგონად, წამიერი სიჩუმის შემდეგ.

რასკოლნიკოვი მიუბრუნდა, ღრმად ჩააშტერდა სონიას.

- გამოიცან, აბა, - გაიმეორა წელანდელივით დაღრეჯილმა და უმწეოდ გაეღიმა.

უცხად ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა სონიას.

- რა არის... რა... აგრე რას... მაშინებთ? - ჩააილაპარაკა შეშინებულმა და ბავშვივით გაეღიმა.

- ეტყობა, მაშ, დიდი მეგობარი ვყოფილვარ იმისი... რომ ვიცი, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან ერთთავად სახეში შესცქეროდა, თითქოს თვალი ვეღარ მოუშორებიაო. - ლიზავეტას... მოკვლა არ უნდოდა... უცაბედად... მოკლა... ბებრუხანას მოკვლა უნდოდა... როდესაც ის მარტოკა იყო... და მივიდა... მაგრამ უცხად ლიზავეტაც შევიდა... აიღო და მოკლა.

განვლო კიდევ საშინელმა წამმა, ორივენი გაშტერებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

- ვერ მიხვდი, მაშ? - დაეკითხა რასკოლნიკოვი. ისეთ გრძნობას განიცდიდა, თითქოს თვალუწვდენელი სიმაღლიდან ვარდებო.

- ვერა, - მიუგო თითქმის ჩურჩულით სონიამ.

- კარგად შემომხედე, აბა.

უთხრა თუ არა ეს, ერთმა წინათ განცდილმა შეგრძნებამ ისევ გაუყინა გული: უცქეროდა, მაგრამ სონიას სახით უცებ თითქოს ლიზავეტას სახე გამოეცხადა. კარგად ახსოვდა ლიზავეტას სახის გამომეტყველება იმ დროს, ცულით რომ უახლოვდებოდა და ის კი ბავშვივით გულგახეთქილი სულ უკან-უკან იხევდა კედლისაკენ, წინ ხელგაწვდილი, სწორედ ისე, როგორც პაწია ბავშვებმა იციან: შეეშინდებათ რისამე, უცქერიან გაშტერებულნი და წინ ხელგაწვდილნი, თითქოს შემაშინებელ საგანს იგერიებენ, სატირლად ეშხადებიან. თითქმის იგივე დაემართა სონიასაც: შეშინებული და ღონემიხდილი რამდენსამე წამს გაშტერებული შეჰყურებდა, მერე უცხად მარცხენა ხელი გაიშვირა წინ, ოდნავ მიაბჯინა რასკოლნიკოს თითები გულზე და ნელ-ნელა ლოგინიდან წამოდგა, უკან-უკან დაიხია, სახე კი როგორღაც უძრავი ჰქონდა, გაშტერებული. უცხად სონიას საზარელი შიში რასკოლნიკოსაც გადაედო: ისეთივე შიში და გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, თითქმის ისევე ბავშვური შიშით იღიმებოდა.

- გამოიცან? - ჩასჩურჩულა ბოლოს.

- ღმერთო! - აღმოხდა უცხად საშინელი ოხვრა სონიას. ღონემიხდილი ლოგინზე დაეცა, პირი ბალიშებში ჩამალა; მაგრამ არ გასულა ერთი წამი, წამოდგა საჩქაროდ, მიიწია ახლოს, დაუჭირა ორთავე ხელი და მაგრად, მაგრად მოუჭირა თავისი წვრილი და სუსტი თითები, თან ისევ გაშტერებულმა დაუწყო ყურება. ამ სასოწარკვეთილი

შეხედვით თითქოს უნდოდა, რაიმე იმედი მისცემოდა კიდევ. მაგრამ იმედი აღარსად იყო; საექვო აღარა ჩანდა რა; ყოველივე ნამდვილი იყო! შემდეგშიაც კი, რომ მოიგონებდა ხოლმე ამ წამს, როგორღაც ეუცნაურებოდა და ჰკვირობდა: რად დაინახა მაშინ ისე უცხად, რომ აღარავითარი ეჭვი აღარ იყო? ხომ არ შეეძლო ეთქვა, მაგალითად, რომ წინათვე გრძნობდა რასმე ასეთს? ახლა კი რომ უთხრა რასკოლნიკოვმა, უცხად ეჩვენა, ვითომ წინათაც ამასვე გრძნობდა.

-კმარა, სონია, კმარა! ნუ მტანჯავ! - შეევედრა რასკოლნიკოვი.

ასე სულაც არ ფიქრობდა გამჟღავნებას, მაგრამ მოუხდა, რას იზამდა.

თავდავიწყებული სონია გიჟივით წამოვარდა და ხელების მტვრევით შუა ოთახამდე მივიდა, მაგრამ სწრაფად მობრუნდა და ისევ გვერდით მოუჯდა, ისე ახლოს, რომ მხარი მხარს მიადლო თითქმის. უცხად, თითქოს გაჰგმირა რამემო, შეხტა საშინლად, შეჰყვირა და მუხლის თავებზე დაეცა მის წინ.

- რა გიქნიათ ეგ, რა გიქნიათ! - წამოიძახა სასოწარკვეთილმა და წამოხტა, ყელზე შემოეხვია, მაგრად მიიხუტა გულზე.

რასკოლნიკოვმა უკან დაიწია, ნაღვლიანად გაუღიმა და შეხედა.

- უცნაური ხარ, სონია, მეხვევი და მკოცნი, როცა ასეთი საზარელი ამბავი გაგიმჟღავნე. ეტყობა, აღარა გესმის რა.

- ქვეყნად შენზე უბედური განაღა იქნება ახლა ვინმე! - შეჰყვირა გიჟივით და თავდაუჭერელი ქვითინი აუვარდა, აღარა გაუგია რა, რა უთხრა რასკოლნიკოვმა.

დიდი ხნის განუცდელი რამ გრძნობა ტალღასავით მოაწვა გულზე და უცხად საშინლად აუჩუყდა. ორად ორი ობოლი ცრემლი ჩამოეკიდა წამწამებზე.

- არ დამტოვებ, მაშ, სონია? - ეკითხებოდა და თან თვალებში შეჰყურებდა იმედიანად.

- არა, არა, არასოდეს! - შეჰყვირა სონიამ. - წამოგყვები ყველგან, საცა კი წახვალ! ოჰ, ღმერთო!.. ვაი, მე უბედურს!.. რატომ წინათვე არ გიცნობდი! რატომ აქამდე არ მოხვედი? ოჰ, ღმერთო!

- აი, აკი მოვედი.

- ახლავა? რა ვქნათ ახლა!.. ერთად ვიყოთ, ერთად! - იმეორებდა თავდავიწყებით და თან მაგრად იკრავდა გულში. - კატორღაშიც თან წამოგყვები.

რასკოლნიკოვი უცხად თითქოს მთლად აირია, გააჟრჟოლა, უწინდელი ზიზღით სავსეს ამაცი ღიმი შეუთამაშდა ტუჩებზე.

- მე ჯერ იქნებ არც კი ვაპირებ, სონია, კატორღაში, - უპასუხა.

სონიამ სწრაფად შეხედა.

ტანჯვით აღსავსე პირველი თანაგრძნობის შემდეგ მკვლელობის საზარელმა სურათმა კვლავ გაუელვა თვალწინ. რასკოლნიკოვის კილოგამოცვლილ სიტყვებში უცხად მკვლელის ხმა მოესმა. განცვიფრებული შეჰყურებდა. არა იცოდა რა ჯერ

კიდევ, რად, როგორ და რისთვის ჩაიდინა მკვლელობა. ყველა ეს კითხვა უცბად აღედგა ცნობიერებაში. ჯერაც ვერ დაეჯერებინა: „ის და მკვლელი! ნუთუ შესაძლებელია?“

- რა არის ეს! სადა ვარ ნეტა! - კითხულობდა გამტერებული და გონებააბნეული სონია.
- ან როგორ, როგორ გაბედეთ... თქვენ ასეთი საქმე?... რათა, რისთვის?

- რათა და იმისთვის, რომ გამემარცვა. კმარა, სონია! - უპასუხა როგორღაც გულნატკენმა და ღონემიხდილმა რასკოლნიკოვმა.

სონია თავზარდაცემული, გაბრუებული იდგა, მაგრამ უცბად შეჰყვირა: - მშიერი იყავი უთუოდ! გინდოდა... დედისათვის გეშველა, განა?

- არა, სონია, არა, - ბუტბუტებდა თავდახრილი რასკოლნიკოვი და თან პირს არიდებდა, - ისე არა მშიოდა... მინდოდა მართლა დედისათვის მეშველა, მაგრამ... არც ეს არის მართალი... ნუ მტანჯავ, სონია.

სონიამ ხელები გაასავსავა.

- მაშ, ნუთუ ყველა ეს მართალია! ღმერთო, მართალია ეს? ვინ დაიჯერებს?... როგორ მოხდა მაშ, რომ უკანასკნელ გროშს სხვას აძლევთ და მოკალით კი, რომ გაემარცვათ! ოჰ!.. - შეჰყვირა უცბად, - მაშ ის ფოლიც, კატერინა ივანოვნას რომ მიეცით... ის ფოლიც... ღმერთო ჩემო, ნუთუ ისიც...

- არა, სონია, - გააწყვეტინა საჩქაროდ, - ის ფული არ ყოფილა, დამშვიდდი! დედამ გამომიგზავნა ერთი ვაჭრის ხელით. ავად ვიყავი, რომ მივიღე, იმ დღეს სწორედ, რა დღესაც კატერინა ივანოვნას მივეცი... რაზუმინინმა ნახა... მიღებთაც იმან მიიღო ჩემ მაგივრად... ჩემი საკუთარი ფული იყო, ჩემი!

სონია ყურს უგდებდა გამტერებული და რაღაცის მოსაზრებას ცდილობდა.

- ის ფული კი... თუმცა არ ვიცი, ნამდვილად იყო კი ფული იქ, - დასძინა ჩუმად, თითქოს დაფიქრებულმა, - ყელიდან ჩამოვხსენი მაშინ მეშის ქისა... მთლად გატენილი... მაგრამ არ მინახავს, შიგ რა იყო, ვეღარ მოვასწარი ალბათ... ნივთები კი, სულ რაღაც ძეწკვები და მაჯის შესაკრავები იყო, - ეს ნივთები და ქისა სხვის ეზოში დავფალი, ვ-ს პროსპექტზე, ქვის ქვეშ, მეორე დღეს დილითვე... ახლაც იქ არის ყველაფერი...

სმენად გადაქცეული სონია გაფაციცებით უგდებდა ყურს.

- მერე, რათა... რათა თქვით მაშ: მინდოდა გამემარცვაო, და აღარა აიღეთ კი? - დაეკითხა საჩქაროდ, სწორედ, ისე, როგორც წყალწაღებული დაეჭიდება ხოლმე ხავსს.

- არ ვიცი... ვერ გადამიწყვეტია კიდევ - ავიღებ როდისმე იმ ფულს, თუ არა, - ჩაილაპარაკა ისევ ისე ჩაფიქრებულმა, მაგრამ გამოერკვა უცბად და გაეცინა. - ეჰ, რა სისულელე წამოვროშე?

სონიას უცბად ფიქრმა გაუელვა: „გიჟი ხომ არ არისო?“ მაგრამ იმავე წამს განდევნა ისევ: „არა, აქ უთუოდ სხვა რამ არის დაფარული“. მაგრამ რა, ვეღარ გაეგო რა საწყალს!

- იცი, სონია, - უთხრა უცბად როგორღაც აღტაცებულმა, - იცი, რას გეტყვი? მართლა რომ იმიტომ მომეკლა მხოლოდ, რომ მშიოდა, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი ხაზგასმით და თან უცნაურად, მაგრამ გულწრფელად შეჰყურებდა, - მაშინ ახლა... ბედნიერი ვიქნებოდი! იცოდე ეს!

- ან შენ რაო, რა გინდა ვითომ, - შეჰყვირა ერთი წამის შემდეგ თითქმის სასოწარკვეთილმა, - რა შეგემატა, თუნდ ახლავ გამოვტყდე, რომ ცუდად მოვიქეცი! შენ რას მოგიტანს ეს სულელური გამარჯვება ჩემზე? ოჰ, სონია, ნუთუ ამისთვის მოვედი ახლა!

სონიას უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გაჩუმდა.

- იმიტომაც გიწვევდი გუშინ, რომ მარტოდმარტო შენდა მყავხარ.

- სად მიწვევდი? - შეეკითხა სონია.

- რასაკვირველია, არა საქურდლად და ვისამე მოსაკლავად, ნუ სწუხარ, იმიტომ არა, - გაეცინა მწარედ, - სხვადასხვა ხალხი ვართ ჩვენ... იცი მერე, სონია, ახლა გავიგე და მივხვდი მხოლოდ: სად გიწვევდი გუშინ! გუშინ კი, რომ გიწვევდი, მეც არ ვიცოდი, არ მესმოდა, სადა. მარტო ერთისთვის კი მოველი, ერთსა გთხოვდი: თავი არ დაგენებებინა. მარტო არ დამტოვებ, არა, სონია?

სონიამ მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი.

- მაგრამ რად ვუთხარი ნეტა, რად გავუმხილე! - შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ერთი წამის შემდეგ და უსაზღვრო ტანჯვით დაუწყო ცქერა. - აი, ახლაც იმას ელი, რომ აგიხსნა, სონია! ზიხარ და მიცდი, ვხედავ ამას; მაგრამ რას გეტყვი განა? ვიცი, ვერას გაიგებ, გაიტანჯები მარტო... ჩემი გულისათვის! აი, კიდევ სტირი და მეხვევი, მაგრამ რად, რად მეხვევი? იმიტომ, რომ მევე ველარ ავიტანე და სხვას ავეკიდე: „შენც იტანჯე ჩემთან და მეც შელავათს ვიგრძნობ-მეთქი!“ მერე შეგიძლია განა შეიყვარო ასეთი ბედასლი ადამიანი?

- განა შენ კი არ იტანჯები? - შეჰყვირა სონიამ.

იმავე გრძნობამ კვლავ ტალღასავით დარია ხელი, ერთ წამს კვლავ აუჩვილა გული.

- სონია, იცოდე, ბოროტი გულისა ვარ; ბევრი რამ ამითი აიხსნება. იმიტომ მოველ, რომ ბოროტი ვარ. არიან ისეთებიც, რომლებიც არ მოვიდოდნენ. მე კი მშიშარა ვარ და... საზიზღარი! სულმდაბალი! მაგრამ... დეე! ყველა ეს კიდევ არაფერია... თქმა არის ახლა საჭირო და მე კი ვერ მომიხერხებია...

რასკოლნიკოვი შედგა, შეფიქრდა.

- ეეჰ, არა, სხვადასხვანი ვართ! - შეჰყვირა კვლავ. - ერთმანეთის ფარდი არა ვართ. მაგრამ რისთვის მოვედი, რისთვის? ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს!

- არა, არა, კარგია, რომ მოხვედი! - ეუბნებოდა სონია, - უმჯობესია, ვიცოდე! უმჯობესია ბევრად!

გულმტკივნეულად შეხედა რასკოლნიკოვმა.

- იქნება მართლაც აგრეა! - ჩაილაპარაკა, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, - ასე იყო, დიახ! აი, რა არის: მინდოდა ნაპოლეონი გავმხდარიყავი, იმიტომ მოვკალი... ახლა ხომ გესმის?

- არა, - მიუგო გულუბრყვილოდ და მოკრძალებით სონიამ, - მაგრამ... მითხარი! მივხვდები, ჩემებურად ყველაფერს მივხვდები! - ეხვეწებოდა სონია.

- მიხვდები? კარგი, მაშ, ვნახოთ!

რასკოლნიკოვი გაჩუმდა, კარგა ხანს რაღაცას ფიქრობდა.

- საქმე გეტყვი როგორაცაა: ერთხელ ჩემს თავს ასეთი კითხვა დავუსვი: როგორ მოიქცეოდა-მეთქი ჩემს ადგილას ნაპოლეონი, რომ სახელის შესაქმნელად ჯერ არც სადმე ტულონისა და ეგვიპტის ხსენება ყოფილიყო, არც მონბლანისა, რომ ამ უკვდავი საქმეების ნაცვლად ვიღაც სასაცილო რეგისტრატორის ნაქვრივალი ბებრუხანა ჰყოლოდა მხოლოდ, რომელიც უნდა მოეკლა და გაეძარცვა (რომ საქმე დაეწყო, სახელი შეექმნა, გესმის?), როგორ მოიქცეოდა ნეტა, გაბედავდა და იზამდა ამას თუ არა, რომ მეტი გზა არა ჰქონოდა-მეთქი? ხომ არ დაირცხვენდა, რომ ასეთი წვრილმანი რამ იყო და... ამასთან, ცოდვაც? ასე რომ დიდხანს ვიტანჯე, მეტად დიდხანს ამ „საკითხის“ გადაწყვეტაზე; ისე დიდხანს, რომ შემრცხვა კიდეც ბოლოს, როცა მივხვდი (როგორღაც უცხად), რომ დაირცხვენდა კი არა, ფიქრად არც მოუვიდოდა, თუ ეს წვრილმანი რამ იყო... პირიქით, ვერც მიხვდებოდა, რა იყო აქ დასარცხვენი! ეჭვი არ არის, თუ სხვა გზა არა ჰქონდა, მიაღრჩობდა ისე, ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდა, ხმასაც არ ამოაღებინებდა! და აი მეც... ფიქრიდან გამოვერკვიე... მივალრჩე ისევე... როგორც ამას ნაპოლეონი იზამდა. ასე იყო სწორედ ყველაფერი! გეცინება? დიახ, სონია, იქნება ისიც იყოს აქ ყველაზე მეტად სასაცილო, რომ შეიძლება ნამდვილად ასე მოხდა.

მაგრამ სონიას ფიქრადაც არ მოსვლია გაცინება.

- სჯობს, პირდაპირ მითხრათ... უმაგალითებოდ, - შესთხოვა უფრო მოკრძალებით და თითქმის ჩურჩულით სონიამ.

რასკოლნიკოვმა პირი იბრუნა, ნაღვლიანად შეხედა და ხელი დაუჭირა.

- მართალი ხარ, სონია, ყველაფერი ეს სისულელეა და ყბედობა მხოლოდ! ხედავ: კარგად იცი, დედაჩემს არა აქვს რა. დამაც შემთხვევით მიიღო განათლება, ახლა კი კარდაკარ უნდა იაროს აღმზრდელად. ერთადერთი ჩემი იმედი ჰქონდათ მხოლოდ. ვსწავლობდი, მაგრამ თავი ვეღარ შევინახე უნივერსიტეტში და იძულებული ვიყავი, დროებით თავი დამენებებინა. თუნდაც ასეც ყოფილიყო საქმე, მაინც შემემძლო ათი-თორმეტი წლის შემდეგ (თუ გარემოება ხელს შემიწყობდა) მასწავლებლის ან მოხელის ადგილი მეშოვნა, ასი თუმანი ჯამაგირი მექონოდა... (ლაპარაკობდა, თითქოს ზეპირად აქვს დასწავლილი). იმ დრომდის კი მუდმივი ზრუნვით და დარდით დედა მთლად ჩამოხმებოდა, ვეღარაფრით ვანუგეშებდი, დას კიდეც... ვინ იცის, უარესიც დამართვოდა!.. ან კი როგორ უნდა ამერიდებინა, ყველაფრისათვის ზურგი შემექცია, დედაც დამევიწყებინა, დის შეურაცხყოფაც მორჩილებით მომეთმინა? რისთვის? იმიტომ მხოლოდ, რომ ისინი დამემარხა და სამაგიეროდ სხვები - ცოლ-შვილი - შემემძინა და ისინიც ულუკმაპუროდ დამეტოვებინა, ღარიბ-ლატაკნი? და... აგერ, გადავწყვიტე, ბებრუხანას ფულები სწავლაზე მომეხმარა, დედა

არ შემეწუხებინა, უნივერსიტეტის შემდეგაც ფეხი როგორმე მომემაგრებინა, პირველ ხანებში, და ყველაფერი ეს ისე მომეწყო, რომ ფართო და დამოუკიდებელი გზა გამხსნოდა... აი... ხედავ, ეს იყო სულ... რასაკვირველია, ბებრუხანა რომ მოვკალი, ცუდი ვქენი... მაგრამ მორჩა, გათავდა!

როგორღაც ღონემიხდილმა დაათავა ლაპარაკი, თავი ჩაჰკიდა.

- ოჰ, არა, არა, არა! - იძახდა შეწუხებული სონია, - არ შეიძლება... ასე არ არის, არა!

- თვითონა ხედავ, რომ ასე არ არის!.. თუმცა მართალია ყველაფერი, რაც გითხარი!

- ოჰ, რის მართალი! ღმერთო!

- მე მხოლოდ ტილი მოვკალი, სონია, უსარგებლო, საძაგელი, მავნე.

- როგორ, ადამიანი ტილია?!

- ეგ ხომ მეც ვიცი, რომ ტილი არ არის, - მიუგო რასკოლნიკოვმა და რაღაც უცნაურად შეხედა, - მაგრამ ვტყუი, სონია, - დასძინა მაშინვე, - დიდი ხანია ვტყუი... ასე არ არის; მართალს ამბობ შენ. სხვა მიზეზი იყო აქ, სხვა მიზეზი! დიდი ხანია, სონია, აღარავისთან მილაპარაკვანია... თავი მტკივა საშინლად.

თვალეები ციებიანივით უელვარებდა. ბოდავდა თითქმის, ტუჩებზე მოუსვენარი რამ ღიმი უკრთოდა. უკვე ეტყობოდა, რომ სულიერი მღელვარებისაგან საშინლად დასუსტდა, ღონე გამოეცალა. მიხვდა სონია, როგორ იტანჯებოდა რასკოლნიკოვი. ამასაც თავბრუ დაეხვა. უცნაურია სწორედ, ისე ლაპარაკობდა, რომ გასაგები იყო ვითომ, მაგრამ... „მაგრამ როგორ, როგორ მოხდა! ოჰ! ღმერთო!“ სასოწარკვეთილი სონია ხელეხს იმტვრევდა.

- არა, სონია, ასე არ არის! - დაიწყო ხელახლა და თავი მაღლა ასწია უცბად, თითქოს ახალმა ფიქრმა გაუელვა და გამოაფხიზლავ, - ასე არ არის! უმჯობესია... იფიქრე (მართლაც რომ უმჯობესია!), იფიქრე, რომ თავმოყვარე ვარ, მოშურნე, ბოროტი, საძაგელი, შურისმაძიებელი, დიახ... და იქნება შეშლილიც (დეე, ყველა ერთად იყოს! შეშლილობას კი წინათაც ამბობდნენ, შევნიშნე!). მართალია, გითხარი წელან, უნივერსიტეტში თავის შენახვა ვედარ შევძელი-მეთქი, მაგრამ იქნებ შემეძლო კიდევ? დედა სწავლის ფულს გამომიგზავნიდა შესატანად, ჩაცმა-დახურვისა და ჭამა-სმისათვის კი მეც ვიშოვიდი უთუოდ, ვიმუშავებდი! გაკვეთილები ამიჩნდა; ათ-ათ შაურს იძლეოდნენ, ასე არა მუშაობს რაზუმინიხინიც! მაგრამ გავბოროტდი, აღარ ვინდომე. დიახ, გავბოროტდი (კარგი სიტყვაა სწორედ). ობობასავით ჩემს კუთხეში მივიყუჩე, მივიმალე. ხომ იყავი ჩემს სოროში, გინახავს ხომ?.. იცი მერე, სონია, რომ დაბალი და ვიწრო ოთახები სულსაც და გონებასაც ავიწროებენ! ოჰ, როგორ მძულდა ეს სორო! მაინც არ მინდოდა გამოვსულიყავი, თავი დამენებებინა. განგებ არ მინდოდა! მთელი დღეობით შინ ვიყავი, მაგრამ არას ვაკეთებდი, არა მინდოდა რა: არც სმა, არც ჭამა, ერთთავად ვიწექი. მომიტანდა ნასტასია - ვჭამდი, არადა - ვიყავი ისე უჭმელი მთელი დღე და ღამე. გაბოროტებული განგებ არ ვკითხულობდი ხოლმე საჭმელს! ღამდამობით სანთელი არ მენთო, ვიწექი ბნელაში და მუშაობა კი არ მინდოდა, რომ სანთელი მეყიდა. ჩემთვის სწავლა იყო საჭირო, წიგნები კი ყველა დავეყიდე. მაგიდაზე ნაწერებსა და რვეულებს დღემდე თითის სისქეზე მტვერი ადევს. მიყვარდა უფრო წოლა და ფიქრი. და მეც ვფიქრობდი ერთთავად... სიზმრებსაც სულ

უცნაურს ვხედავდი, სხვადასხვანაირებს, სათქმელად არც კი ღირს! მაგრამ მაშინვე მელანდებოდა, ვითომ... თუმცა არა, ასე არ იყო! ისე არ გიამბობ კიდეც! გესმის, რა არის: ვეკითხებოდი სულ ჩემს თავს: ისე სულელი რათა ვარ, რომ ვიცი, ყველანი სულელები არიან და მე კი მაინც არ ვცდილობ, გონიერება მოვიკრიბო-მეთქი? გავიგე მერე ისიც, სონია, რომ დიდხანს მომიხდებოდა მეტად ცდა, სანამ ყველანი ჭკუაზე მოვიდოდნენ. გავიგე კიდეც ბოლოს, რომ არასოდეს ეს არ მოხდებოდა; რომ ხალხი არც გამოიცვლებოდა! დიახ! ასეა სწორედ!.. კანონია მათთვის ასეთი... კანონი, სონია! ასეა, დიახ!.. ახლა კი ვიცი, რომ ის არის მათი მზრდნებელი და ბატონი, ვინც სულითა და ჭკუით ძლიერია! ვინც მეტს გაბედავს, სიმართლეს იმისკენ არის. ვინც მეტად აიგდებს ყველაფერს აბუჩად, კანონმდებელიც ის არის; ვისაც მეტის გაბედავა შეუძლია, ყველაზე მართალიც ის არის! ასე ყოფილა აქამდის, ასე იქნება ამას იქითაც! მარტო უსინათლო თუ ვერ გაარჩევს და ვერ დაინახავს ამას!

ეუბნებოდა რასკოლნიკოვი სონიას და თან სახეში შესცქეროდა, მაგრამ აღარ ედარდებოდა, გაიგებდა თუ არა ნათქვამს. გააცივა საშინლად. დაღვრემილი და როგორღაც უცნაურად აღტაცებული იყო (მართლაც რომ დიდი ხანია, არავისთან ელაპარაკნა!). მიუხვდა სონია, რომ რასკოლნიკოვს საშინლად ჰქონდა გული გატეხილი და ეს ბნელი რწმენაღა შერჩენოდა.

- მივხვდი მაშინ, სონია, - განაგრძობდა კვლავ გატაცებით, - რომ მის ხელთ არის უფლება მხოლოდ, ვინც დაეწოდება და აიღებს. ერთია მხოლოდ აქ საჭირო: გაბედოს კაცმა. ერთი აზრი მომივიდა მაშინ, ჩემს სიცოცხლეში პირველად, რომელიც უწინ ფიქრად არავის მოსვლია არასოდეს! დღესავით ნათლად წარმომიდგა უცბად, რატომ აქამდის არავის გაუბედნია და ყველა ამ სისულელისათვის ერთბაშად ბოლო არ მოუღია-მეთქი! და... აგერ, მოვისურვე გამეხვდა და მოვკალი... მე მხოლოდ გაბედავა მოვიწოდებ, სონია, მეტი არაფერი.

- ოჰ, გაჩუმდით, გაჩუმდით! - შეჰყვირა სონიამ და ხელი ხელს გაჰკრა. - ღმერთს გადაუდევით და აკი დაგსაჯათ კიდეც, ეშმაკი აგიძლოდათ!..

- მართალია, სონია, ბნელაში რომ ვიწექი ხოლმე და ერთთავად რაღაც მელანდებოდა, ეშმაკი მაცდენდა, არა?

- გაჩუმდით! ნუ იცინით, უღმერთოვ, არაფერი არ გაგეგებათ! ოჰ, ღმერთო! ვერას გაიგებს, ვერას!

- არა, სონია, არ ვიცი! მე თვითონ ვიცი, რომ ეშმაკი მაგულიანებდა. ჩუ, სონია, ჩუ! - გაუმეორა მოწყენით და მტკიცედ. - ყველაფერი ვიცი. ყველაფერი ეს ათასჯერ მაქვს ნაფიქრი და ნაჩურჩულევი, მარტო რომ ვიწექ ხოლმე ბნელაში... ვინ იცის, რამდენჯერ ჩემს თავსვე შევკამათებოდა თვით უმნიშვნელო წვრილმანებზეც კი; ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! ისე მომწყინდა, ისე მომბეზრდა მაშინ ეს ყბედობა, რომ მინდოდა ყველაფერი დამევიწყა და მერე ისევ ხელახლა დამეწყო, სონია, მინდოდა ყბედობისათვის თავი დამენებებინა! იქნება გგონია, ჩურჩუტით მოუფიქრებლად წავედი? ნუ იფიქრებ. პირიქით, წავედი როგორც ჭკვიანი და გონიერი და ამან დამღუპა სწორედ! ან იქნება გგონია, მაგალითად, რომ, რაკი კითხვა დავუწყე ჩემს თავს: მაქვს-მეთქი თუ არა ნება და უფლება, ამიტომ აღარ ვიცოდი, რომ უფლება არა მქონდა. ან რომ ვეკითხებოდი ჩემს თავს: ტილია ადამიანი თუ არა-მეთქი? აღარ ვიცოდი, რომ ტილი არ იყო ჩემთვის ადამიანი? ტილია მხოლოდ იმისათვის, ვისაც

ფიქრადაც არ მოსდის ამგვარი კითხვა და პირდაპირ მიდის... თუ ამდენი ხანი ვიტანჯე და ვფიქრობდი: მოკლავდა ნაპოლეონი თუ არა-მეთქი? ჩანს, ნათლად მიგრძენია, რომ ნაპოლეონი არ ვიყავი... ყველაფერმა ამან, ვინ იცის, როგორ დამტანჯა, სონია; მოვინდომე ამიტომ როგორმე თავი დამეღწია ამ უბედურებისათვის; მოვინდომე, სონია, მომეკლა პირდაპირ, დაუფიქრებლად, მომეკლა ჩემთვის, მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის! არ მინდოდა მეცრუა საკუთარი თავის წინაშე! იმიტომ კი არ მოვკალი, რომ დედისათვის მეშველა რამე, - არა, სისულელეა! არც იმისთვის, რომ ფული და უფლება ჩამეგდო ხელთ და კაცობრიობის კეთილისმყოფელი გავმხდარიყავი. არა, არა, სისულელეა! ისე მოვკალი, უბრალოდ: ჩემთვის მოვკალი, საცდელად! მერე კი, მართლა ვისიმე კეთილისმყოფელი შევიქნებოდი, თუ მთელი ჩემი სიცოცხლე იმას ვეცდებოდი, რომ ობობასავით ქსელში გამება ყველა და უკანასკნელი სისხლი გამომეწოვა, ამას სწორედ არ დაგიდევდით ალბათ იმჟამად!. არცთუ ფული მინდოდა მარტო, სონია, რომ ვკლავდი; იმდენად ფული არ მინდოდა, როგორც სხვა რამ... ახლა უკვე ყველაფერი ვიცი... გამიგონე: იმავე გზით რომ მევლო, იქნება აღარც გამემეორებინა ოდესმე მკვლელობა. სხვა რამ მინდოდა გამეგო საჩქაროდ, ტილი ვიყავი მხოლოდ, როგორც სხვანი, თუ მართლა ადამიანი? შევძლებდი დაბრკოლებათა გადალახვას თუ ვერა? გავბედავდი დავწოდებოდი და ამელო, თუ ვერა? მძრწოლვარე რამ ქმნილება ვიყავი, თუ უფლება მქონდა.

- უფლება, რომ ხალხი გეხოცა? - გაასავსავა ხელები სონიამ.

- ეეჰ, სონია! - შესძახა გაბრაზებულმა და უნდოდა რაღაცა საწინააღმდეგო ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა ზიზღით აღსავსე. - ნუ მაწყვეტინებ, სონია! მინდოდა მხოლოდ ერთი რამ დამემტკიცებინა შენთვის: რომ ეშმაკმა ჯერ მაცდუნა და მერეღა ამიხსნა მხოლოდ, რომ უფლება არ მქონდა, ასე მოვქეყულიყავი; რომ მეც ისეთივე ტილი ვიყავ სწორედ, როგორც სხვანი. სასაცილოდ ამიგდო, ერთი სიტყვით, და აი, მოვედი შენთან! მიმიღე სტუმრად! რომ მართლა ტილი არა ვყოფილიყავი, მოვიდოდი განა შენთან? ყური დამიგდე: ბებრუხანასთან რომ წაველ მაშინ, საცდელად მივედი მხოლოდ... დიახ, იცოდე, საცდელად!

- და მოკალით კია! მოკალით!

- დიახ, მაგრამ როგორ მოკალი? განა ასე კლავს ვინმე? განა ასე მიდიან მოსაკლავად, როგორც მე წაველ მაშინ? თორემ გიამბობ როდისმე, როგორ წავედი. მერე განა ბებრუხანა მოკალი? ჩემივე თავი მოვიკალ და არა ბებრუხანა! ასე დავლუპე ერთბაშად ჩემი თავი, სამუდამოდ!.. ბებრუხანა კი ეშმაკმა მოკლა და არა მე... კმარა, სონია, კმარა! თავი დამანებე! - შეჰყვირა უცბად აცახცახებულმა და მწარედ დაღონებულმა, - თავი დამანებე!

მუხლის თავზე დაეყრდნო, წაივლო თავში ხელები და მუხრუჭივით მოუჭირა.

- როგორ იტანჯები! - აღმოხდა გულიდან მწუხარებით სონიას.

- რა ვქნა ახლა, მითხარი! - დაეკითხა უცბად რასკოლნიკოვი და თავი მაღლაასწია. სასოწარკვეთილებისაგან საშინლად დაღრეჯილმა თვალი თვალში გაუყარა.

- რა ვქნა! - შესძახა სონიამ და წამოხტა უცბად. ნამტირალევი, ცრემლით სავსე თვალები უცბად როგორღაც გაუბრწყინდა. - წამოდექ! - უთხრა (მხარში ხელი

ჩაავლო. წამოდგა რასკოლნიკოვიც, გაკვირვებული შეჰყურებდა). - წადი ამავე წამს, დადექი გზაჯვარედინზე, თაყვანი ეცი და ეამბორე ჯერ მიწას, რომელიც შენ შეაგინე, მერე მთელ ქვეყანას, ოთხსაე მხარეს და ხმამაღლა უთხარ ყველას: „მე მოვკალი“ ღმერთი მაშინ კვლავ მოგანიჭებს სიცოცხლეს. წახვალ? წახვალ? - ეკითხებოდა აცახცახებული სონია და თან რასკოლნიკოვის ხელები დაებლუჯა მაგრად, თითქოს მუხრუქს უჭერსო, ცეცხლივით აღზნებული თვალებით შეჰყურებდა.

გაუკვირდა და ეოცა რასკოლნიკოვს სონიას ასეთი უცები აღტაცება.

- კატორლაზე მელაპარაკები, სონია? მევე დავასმინო ჩემი თავი? - შეეკითხა მოღუშვით.

- უნდა ტანჯვა იკისრო და ცოდვა მოინანიო, აი, რა არის საჭირო.

- არა! არ წავალ, სონია.

- მერე სიცოცხლეს როგორ აპირებ! როგორღა აპირებ სიცოცხლეს? - ეკითხებოდა სონია. - ნუთუ ეს შესაძლებელია კიდევ? როგორ უნდა ელაპარაკო დედას? (ოჰ, იმათ რაღა დაემართებათ!) მაგრამ რას ვამბობ ნეტა! ხომ უკვე მიატოვე დედაცა და დაც. თავი არ დაანებე განა? ოჰ, ღმერთო! - შეჰყვირა სონიამ. - მაგრამ ხომ თვითონაც კარგად იცი ეს! როგორ გინდა მაშ უადამიანოდ იცოცხლო! რა მოგელის!

- ნუ ბავშვობ, სონია, - უთხრა წყნარად რასკოლნიკოვმა. - რითი ვარ იმათთან დამნაშავე? რად წავიდე! რა უნდა ვუთხრა? ყველა ეს მხოლოდ აჩრდილია და მოჩვენება. თვითონ რომ მილიონობით სტანჯავენ ხალხს და თან ქველობადაც ითვლიან ამას, გაიძვერები და ფლიდები არიან ყველანი, სონია!.. არ წავალ. მერე რა ვუთხრა: რომ მოვკალი და ფულის აღება კი ვეღარ გავბედე, ქვის ქვეშ დავმალე-მეთქი? - დასძინა მწარე დაცინვით. - მაშინ ხომ თვითონვე დამიწყებენ დაცინვას: ჩურჩუტი ყოფილხარ, რომ არ აგიღიაო. მხდალი და ტუტუცი ყოფილხარო! ვერ გაიგებენ, სონია, რად ვქენი ეს, და არცთუ არიან ღირსნი გაიგონ. არ წავალ. ნუ ბავშვობ, სონია...

- გაიტანჯები, გაიტანჯები! - უმეორებდა სასოწარკვეთილი მუდარით სონია და თან ხელებს იწვდიდა რასკოლნიკოვისაკენ.

- იქნებ თვითონვე ტყუილად ვკიცხავ ჩემს თავს, - შენიშნა დაღვრემილმა და ფიქრში წასულმა, - იქნებ კიდევაც ადამიანი ვარ და არა ტილი და ავჩქარდი და ავჩქარდი მხოლოდ, თავი გავიმტყუნე? ჯერ ვიბრძოლებ კიდევ.

და მედიდურად როგორღაც გაიღიმა.

- როგორ? გინდა ასე იტანჯო მთელი სიცოცხლე?..

- მივეჩვევი... - ჩაილაპარაკა მოღუშულმა, დაფიქრებულმა. - გამიგონე, - დაიწყო ერთი წამის შემდეგ, - კმარა ტირილი, დროა საქმეს შევუდგეთ: მოვედი სათქმელად, რომ უკვე მეძებენ, მდევნაინ...

- ოჰ! - შეჰყვირა შეშინებულმა სონიამ.

- რაო, რა იყო, რად შეჰყვირე! შენ თვითონ გინდა კატორღაში წავიდე და შეგეშინდა კი? აი, რას გეტყვი მხოლოდ: არ დავნებდები. შევებრძოლები, ვერას მიზამენ. ნამდვილი სამხილებელი საბუთი არა აქვთ რა. მეგონა, გუშინ მთლად დავიღუპებოდი, მაგრამ დღეს უკვე გამოკეთდა საქმე. ყველა მათი საბუთი ორპირია და ორაზროვანი, პირდაპირ ხელს ვერ დამადებენ; პირიქით, შემიძლია ყველა მათი ბრალდება ისევ ჩემდა სასარგებლოდ გამოვიყენო, გესმის?.. და ასეც ვიზამ. იმიტომ, რომ ვისწავლე უკვე... მაგრამ დაპატიმრებით კი დამაპატიმრებენ. ერთ შემთხვევას რომ არ შეეშალა ხელი, იქნებ დღესაც დავეპატიმრებინე; თუმცა შეიძლება, კიდევაც დამაპატიმრონ... არა უშავს რა, სონია; ვიჯდები, გამომიშვებენ... იმიტომ, რომ არც ერთი დამადასტურებელი საბუთი არა აქვთ და არცთუ ექნებათ, გარწმუნებ. იმითი კი, რაც ხელთ აქვთ, კაცის დაღუპვა არ შეუძლიათ. კმარა, მაშ... მე მარტო შენ გეუბნები, რომ იცოდე... დედასა და დას ისე როგორმე დავარწმუნებ, რომ არ შეშინდნენ... და, მგონი, უზრუნველყოფილია უკვე... მაშასადამე, დედაც... მორჩა და გათავდა. ფრთხილად იყავი მაინც. მნახავ ხოლმე, ციხეში რომ ვიჯდები?

- ოჰ, რასაკვირველია, გნახავ!

ისხდნენ ორივენი ერთად, მოწყენილები, დახოცილები, თითქოს ქარიშხალს სადმე ზღვის უდაბურ ნაპირზე გაურიყნიაო. უცქეროდა რასკოლნიკოვი და გრძნობდა, რომ მეტად უყვარდა სონიას; ეუცნაურა უცბად და გრძნობდა, რომ მეტად უყვარდა სონიას; ეუცნაურა უცბად და ემძიმა, გული ეტკინა თითქმის, რისთვის უყვარდა იგი. დიახ, უცნაური იყო და საზარელი ეს გრძნობა! სონიასთან რომ მოდიოდა, გრძნობდა, რომ ის იყო ერთადერთი მისი იმედი, იმისი ხსნა; ეგონა, ცოტათი მაინც იგრძნობდა შვებას, ახლა კი, როცა უკვე მოინადირა სონიას გული, იგრძნო და მიხვდა უცბად, რომ წინანდელზე უფრო მეტად იყო უბედური.

- სონია, - შესთხოვა რასკოლნიკოვმა, - სჯობს, არა მნახო, ციხეში რომ ვიჯდები.

სონიას არ უპასუხია, ტიროდა. რამდენიმე წამმა ასე განვლო.

- ჯვარი არა გაქვს გულზე? - დაეკითხა ბოლოს სონია, თითქოს ეს არის, გაახსენდაო.

რასკოლნიკოვმა ჯერ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ.

- არა გაქვს განა? აჰა, დაიჭი ეს კვიპაროსის ჯვარი. მე მეორეს გავიკეთებ, სპილენძისას, ლიზავეტას ნაქონს. მე და ლიზავეტამ ჯვრები გავცვალეთ: იმან თავისი მომცა, მე ჩემი ხატი მივეცი. ახლა მე ლიზავეტასას ვატარებ, შენ ჩემი გქონდეს. დაიჭი, აჰა... ჩემია! გესმის, ჩემია! - შესთხოვდა სონია. - ერთად ვკისრულობთ ტანჯვას. ერთადვე ვზიდოთ ჯვარიც!..

- მოიტა! - უთხრა რასკოლნიკოვმა.

არ უნდოდა ეწყენინებინა, მაგრამ გაწვდილი ხელი იმავ წამს უკან წაიღო.

- ახლა არა, სონია! სჯობს, მერე იყოს, - დასძინა მაშინვე, რომ დაემშვიდებინა.

- მართალია, მართალი, მერე სჯობია, - გაიმეორე გახარებულმა, - ტანჯვას რომ შეუდგები, მაშინ გაიკეთე. მოხვალ, ჩამოგვიდებ, ვილოცებთ ორივენი და წავალთ.

სწორედ ამ დროს კარი ვიღაცამ სამჯერ დააკაკუნა.

- სოფია ივანოვნა, შეიძლება შემოვიდე? - მოისმა ვიღაცის ნაცნობი, ზრდილობიანი ხმა.

შემინებული სონია კარისაკენ გაქანდა. ოთახში ქერათმიანმა ლებეზიატნიკოვმა შემოჰყო თავი.

V

ლებეზიატნიკოვი შემფოთებული იყო.

- თქვენთან გეახელით, სოფია სემიონოვნა. უკაცრავად... განა არა, ვფიქრობდი, აქა გნახავდით უთუოდ, - მიმართა უცბად რასკოლნიკოვს, - ესე იგი, არა მიფიქრია რა... იმგვარი... მაგრამ მეგონა მაინც... კატერინა ივანოვნა ჭკუიდან შეგვეშალა, - მიახალა უცბად სონიას.

სონიამ შეჰყვირა.

- ესე იგი, ასეა ვგონებ. თუმცა... აღარ ვიცით, რა ვუყოთ! დაბრუნდა შინ, - მგონია, საიდანღაც გამოუგდიათ და უცემიათ კიდეც... ჩვენ მაინც ასე გვეჩვენა... სემიონ ზახარიჩის უფროსთან ყოფილა, შინ არ დახვედრია, - ვიღაც გენერალთან წასულიყო სადილად... წარმოიდგინეთ, ამდგარა და პირდაპირ იქით გაქანებულა, სადაც სადილად იყო... ესე იგი, მეორე გენერლისას, და წარმოიდგინეთ, როგორც ყოფილა, გამოუძახნია სემიონ ზახარიჩის უფროსი, მგონია, სუფრიდან აუყენებია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ახლა, რა ამბავი იქნებოდა. რასაკვირველია, გამოუგდიათ; კატერინა ივანოვნა კი გვიამბობს, ვითომ თვითონ გაულანძლავს და რაღაც უსვრია კიდეც. თუმცა შესაძლებელიც არის... რატომ არ დააჭერინეს, არ მესმის! ახლა ყველას უამბობს, ამაღია ივანოვნასაც, მაგრამ ვერა გაგვიგია რა, ყვირის და აქეთ-იქით ეხლება... ჰო, მართლა: იმახის და ყვირის, რაკი ყველამ თავი დამანება, წავიყვან ბავშვებს და ქუჩა-ქუჩა ვივლი არღნით, ვიმღერებ და ბავშვებსაც ვათამაშებ და ვამღერებო, ფულს ისე მოვკრებ, გენერალსაც ყოველდღე ფანჯრის წინ გავუვლ-გამოვუვლიო... „ნახონ დეე, მოხელის კეთილშობილი შვილები როგორ დამრწიან ქუჩა-ქუჩა და გლახაობენო!“. ბავშვებსაც სცემს ერთთავად, ისინიც ტირიან. ლენას „ხუტოროკის“ სიმღერას ასწავლის, ბიჭს - ცეკვას, პოლინა მიხაილოვნასაც; კაბებს ხევს, რაღაც ქუდებს უკეთებს მსახიობებივით; თვითონ ტაშტის წაღებას აპირებს, რომ მუსიკის მაგივრად აბრახუნოს... არავის არას უგონებს... როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ ახლა? შეუძლებელია ასე!

ლებეზიატნიკოვი კიდეც არ შეწყვეტდა უთუოდ ლაპარაკს, რომ სონიას, რომელიც სულს ძლივსდა იბრუნებდა, უცბად წამოსასხამისა და ქუდისათვის არ დაეგლო ხელი და ოთახიდან არ გავარდნილიყო. მირბოდა და თან იხურავდა ქუდს.

რასკოლნიკოვიც მაშინვე უკან გაჰყვა. რასკოლნიკოვს ლებეზიატნიკოვიც მიჰყვა თან.

- ჭკუიდან შეიშალა სწორედ! - ეუბნებოდა ლებეზიატნიკოვი რასკოლნიკოვს ქუჩაში, - მხოლოდ არ მინდოდა, სოფია სემიონოვნა შემემინებინა, იმიტომ ვეუბნებოდი:

„მგონია-მეთქი“, მაგრამ აღარავითარი ეჭვი არ არის. ამბობენ, ჭლექიანს ტვინზე მუწუკებს გამოჰყვრის ხოლმეო; ვაი, რომ მკურნალობისა არა ვიცი რა. მაინც ვეცადე დამერწმუნებინა როგორმე, მაგრამ ყურს აღარავის არ უგდებს.

- მუწუკებზე ელაპარაკებოდით?

- არა, მუწუკებზე კი არა. რას გაიგებდა, აბა! იმას ვამბობ: ადამიანი რომ დავარწმუნოთ, სატირალი არა გაქვს რაო, მართლაც გაჩუმდება, შეწყვეტს ტირილს. თქვენ, თქვენ როგორ გგონიათ, არ გაჩუმდება?

- მაშინ ხომ მეტად ადვილი იქნებოდა ქვეყნად ცხოვრება, - უპასუხა რასკოლნიკოვმა.

- მოითმინეთ, მოითმინეთ! რასაკვირველია, კატერინა ივანოვნას დარწმუნება ძნელი საქმეა; მაგრამ მოგეხსენებათ, რომ პარიზში უკვე სცადეს: შეიძლება თუ არა შეშლილების წამლობა მარტოდმარტო ლოგიკური ჩაგონებით. ერთმა ახლახან გარდაცვლილმა თვალსაჩინო მეცნიერმა და პროფესორმა დაიწყო შეშლილების ასე წამლობა. ძირითადი აზრი პროფესორისა ის არის, რომ შეშლილების ორგანიზმში არავითარი საიმისო ცვლილება არ არის ხოლმე; მაშასადამე, აქედან, შეშლილობა მხოლოდ ლოგიკური შეცდომაა მსჯელობისა, შემცდარი აზრია მხოლოდ. ნელ-ნელა შთაგონებით თურმე უმტკიცებდა ავადმყოფს და არწმუნებდა, რომ ის სცდებოდა და, წარმოიდგინეთ, ამბობენ, კარგ შედეგსაც აღწევდაო! მაგრამ რაკი ამავე დროს წყლითაც წამლობდა, ეჭვობენ, რომ შთაგონებას ჰქონდეს აქ მხოლოდ ძალა... ყოველ შემთხვევაში, ასეა საქმე...

დიდი ხანი იყო უკვე აღარ უგდებდა ყურს რასკოლნიკოვი. მივიდა თუ არა თავის სახლთან, დაუქნია თავი ლებეზიატნიკოვს და ეზოში შეუხვია. ლებეზიატნიკოვიც გამოფხიზლდა, მობრუნდა, შინისაკენ გაიქცა.

მივიდა რასკოლნიკოვი თავის ვიწრო ბინაში და შედგა შუა ოთახში. „რისთვის დაბრუნდა ნეტა?“ გადახედა ჩაყვითლებულ, აგლეჯილ შპალერს, სქლად ნადებ მტვერს, თავის ტახტს... ეზოდან რაღაც გამაყრუებელი, განუწყვეტელი კაკუნისმოდა: სადღაც ლურსმანს არჭობდნენ თითქოს... მივიდა ფანჯარასთან, შედგა თითის წვერებზე და დიდხანს ყურადღებით რაღაცას ათვალიერებდა ეზოში. მაგრამ ეზო ცარიელი იყო. არ ჩანდა, ვინ აკაკუნებდა. მარცხნივ, გვერდიდან მიდგმულ შენობაში, აქა-იქ ღია ფანჯრები მოჩანდა, ფანჯრებზე ნემსიწვერას ქოთნები იდგა. ზოგან საცვლები გამოეფინათ... ყველაფერი ეს ზეპირად იცოდა უკვე. მიბრუნდა, დივანზე დაჯდა.

არსად სხვა დროს არ უგრძვნია ასეთი საზარელი მარტოობა!

დიახ, იგრძნო ერთხელ კიდევ, რომ შეეძლო მართლაც შეეძლებინა სონია, და სახელდობრ ახლა, როდესაც უარესად გააუბედურა.

„რად მივიდა ნეტა და აატირა? რად უნდოდა, რომ იმისთვისაც მოეწამლა სიცოცხლე? ოჰ, სულმდაბლობავ!“

- დავრჩები მარტო! - წარმოთქვა უცბად გადაწყვეტით, - და აღარც ციხეში ივლის!

ხუთიოდე წუთის შემდეგ თავი მაღლა ასწია და უცნაურად გაიღიმა. უცნაური იყო სწორედ ეს აზრი: „იქნება მართლაც კატორღაში სჯობდეს“, - გაიფიქრა უცბად.

არ ახსოვდა, რამდენ ხანს იჯდა ასე გაურკვეველ ფიქრებში წასული. უცბად გაიღო კარი და შემოვიდა ავდოტია რომანოვნა. ჯერ კარში შედგა და ისე შეხედა ძმას, სწორედ ისე, როგორც სონიას შეხედა წელან რასკოლნიკოვმა; შევიდა მერე და სკამზე

დაუჯდა პირდაპირ, სწორედ იმ ადგილას, საცა გუშინ იჯდა. ჩუმად, როგორღაც უაზროდ შეხედა რასკოლნიკოვმა.

- ნუ გაჯავრდები, ძმაო, ერთ წუთს შემოველ მხოლოდ, - უთხრა დუნია.
ჩაფიქრებული იყო ავდოტია რომანოვნა, მაგრამ ნათელი და წყნარი თვალები უმტკიცებდნენ, რომ ესეც სიყვარულის გრძნობას მოეყვანა მასთან.

- ძმაო, ახლა ყველაფერი ვიცი უკვე, ყველაფერი. დიმიტრი პროკოფიჩმა მიაგზო და ამიხსნა ყველაფერი. ვიცი, გდევნიან და გტანჯავენ რაღაცა სულელური და საზიზღარი ეჭვის გულისთვის... დიმიტრი პროკოფიჩმა მითხრა, საშიში არა არის რა, ტყუილად წუხს ასეო. რასაკვირველია, კარგად მესმის, როგორ უნდა იყო ადელვებული და განრისხებული, ან როგორ იმოქმედებს შენზე სამუდამოდ. მეც სწორედ ამისი მეშინია. არ გამტყუნებ იმისთვის, რომ თავი დაგვანებე და არც შემიძლია გაგამტყუნო. მაპატიე ისიც, რომ მაშინ გისაყვედურე. მეც რომ ასეთი დიდი რამ მქონდეს საწუხრად, ვგრძნობ, ასევე მოვიქცეოდი, გავშორდებოდი ყველას. დედას ამაზე არაფერს ვეტყვი, მაგრამ დავაიმედებ კი შენი სახელით, რომ მალე მოხვალ. ნუ იწუხებ მისთვის, ნურას იდარდებ, მე დავამშვიდებ; მაგრამ ნურც შენ გასტანჯავ საწყალს და ერთხელაც არის, მოდი სანახავად: ნუ დაივიწყებ, რომ დედაა შენი! ახლა კი იმიტომ მოვედი, რომ მეთქვა (და ადგომა დააპირა), თუკი რაშიმე დაგჭირდები, როგორმე საჭირო ვიქნები... მთელი ჩემი სიცოცხლე შენი ჭირის სანაცვლო იყოს... შემატყობინე კი და მაშინვე მოვალ. მშვიდობით!

ევდოტია რომანოვნა საჩქაროდ მიბრუნდა და კარისაკენ გასწია.

- დუნია! - შეაყენა რასკოლნიკოვმა. - ეს დიმიტრი პროკოფიჩი, რაზუმინინი, კარგი კაცია ძალიან.

დუნია ოდნავ გაწითლდა.

- მერე! რა იყო, - დაეკითხა მცირე ხანს უკან.

- რა და ის, რომ საქმის კაცია, შრომისმოყვარე, პატიოსანი და მოსიყვარულე დიდად... მშვიდობით, დუნია.

დუნია მთლად აენტო, მერე კი შეშფოთდა უცბად.

- რას ამბობ, ძმაო, ნუთუ მართლა სამუდამოდ ვშორდებით ერთმანეთს... რატომ მეუბნები აგრე?

- სულ ერთია... მშვიდობით...

და ზურგი შეაქცია, ფანჯრისაკენ გასწია. მცირე ხანს კიდევ უცქირა შემფოთებულმა დამ და შეწუხებული გავიდა ოთახიდან.

არა, გულცივად როდი მოჰყრობია დას. პირიქით, იყო ისეთი წამიც (უკანასკნელად), როცა საშინლად მოუნდა მაგრად მოჰხვეოდა და გამოსთხოვებოდა, თითქმის ეთქვა კიდევ, მაგრამ ხელის გაწოდებაც კი ვერ გაბედა.

„ვინ იცის, შეკრთეს მერე, რომ მოიგონებს, როგორ მოვეხვიე და ვაკოცე; იტყვის, კოცნა მომპარაო!“ - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

„ეს კი აიტანს ნეტა? - დასძინა რამდენიმე წუთის შემდეგ თავისთვის. - არა, არა, ვერ აიტანს! ამისთანები ვერასოდეს ვერ იტანენ, ვერა!..“

სონია გაახსენდა.

ფანჯრიდან გრილმა ნიავმა დაჰბერა. გარეთ უკვე ისეთი კაშკაშა სინათლე აღარ იყო. რასკოლნიკოვმა დაავლო უცბად ქუდს ხელი და გარეთ გამოვიდა.

რასაკვირველია, არც შეეძლო და არც უნდოდა თავის ავადმყოფობაზე ეზრუნა. მაგრამ განუწყვეტელი შფოთი და საზარელი სულიერი ტანჯვა, ეჭვი არ არის, გავლენას იქონიებდა. თუ აქამდისაც ლოგინად არ ჩავარდა და მართლა ხურვება არ დაემართა, იმიტომ ისევ, რომ ეს შინაგანი შფოთი ამაგრებდა ხელოვნურად და გონებას არ აკარგვინებდა, თუმცა დროებითი იყო ეს მისი ასეთი მდგომარეობა.

უმიზნოდ დაეხეტებოდა. მზე ჩადიოდა. რაღაც განსაკუთრებული სევდა შეეპარა ამ ბოლო დროს. საგანგებო და მწვავე, მართალია, არა იყო რა ამ გრძნობაში, მაგრამ ატყობდა, სამუდამოდ შერჩებოდა იგი; რომ ამ მომაკვდინებელ, ცივ ნალველს თავის სიცოცხლეში თავს ვეღარ დააღწევდა. სადამოქამს ჩვეულებრივზე მეტად აწუხებდა ხოლმე ეს შეგრძნება.

- მოდი და ამ სულელურ, რაღაც მზის ჩასვლაზე დამოკიდებულ ფიზიკურ სისუსტეს გაუმაგრდი და სიტუტუცეს ნუ ჩაიდენ! არათუ სონიასთან, დუნიასთან ამოჰყოფ თავს! - წაიბუტბუტა ზიზლით.

უცბად ვიღაცამ დაუძახა. მიიხედა; ლებეზიატნიკოვი წამოეწია.

- წარმოიდგინეთ, თქვენსა ვიყავი, დაგეძებდით. შეუსრულებია, იცით, თავისი განზრახვა და ბავშვები წაუყვანია! მე და სოფია სემიონოვნამ რის ვაი-ვაგლახით ძლივს ვიპოვეთ. დაუჭერია ტაფა, უბრაგუნებს და ბავშვებს ათამაშებს. ბავშვები ტირიან. გზაჯვარედინზე, დუქნების წინ ათამაშებს. ბრიყვი ხალხი კი უკან დასდევს. წავიდეთ, გეთაყვათ.

- სონია რაღას შვრება? - შეეკითხა შემფოთებული რასკოლნიკოვი და საჩქაროდ გაჰყვა უკან ლებეზიატნიკოვს.

- თავის ჭკუაზე აღარ არის, ესე იგი, სოფია სემიონოვნა კი არა, კატერინა ივანოვნა. თუმცა სოფია სემიონოვნასაც აღარაფერი აკლია. კატერინა ივანოვნამ მთლად დაკარგა გონება. გეუბნებით, სულ შეშლილია ჭკუიდან. პოლიციაში წაიყვანენ უთუოდ. წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებს... არხთან არიან ახლა - სკის ხიდთან, იქვე, სოფია სემიონოვნას მახლობლად.

არხთან, ხიდის მახლობლად, სონიას ბინიდან სულ რაღაც ორი თუ სამი სახლის მოშორებით, ხალხი შეგროვილიყო, განსაკუთრებით გოგო-ბიჭები. კატერინა ივანოვნას ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმა ხიდიდანვე ისმოდა. მართლაც, ეს უცნაური სანახაობა ქუჩის ხალხს, ეჭვი არ არის, მიიზიდავდა. დრადედამის შალში გახვეული კატერინა ივანოვნა თავისი ძველი კაბითა და დაგლეჯილი ჩალის ქუდით, რომელიც გვერდზე მოჰქცეოდა სოკოსავით, მართლაც რომ მთლად შეშლილსა ჰგავდა. ძლივსღა სუნთქავდა. დატანჯული, ჭლექიანი სახე უფრო გასაცოდავებოდა (მით უმეტეს, რომ ქუჩაში და მზეზე ჭლექიანი უფრო შესაზარი სანახავია); მაგრამ არა

ცხრებოდა მაინც, არ უსვენებდა ბავშვებს, დასჭყიოდა, არიგებდა, ეხვეწებოდა და იქვე, ხალხის თვალწინ ასწავლიდა, როგორ უნდა ეცეკვათ და რა ემღერათ. უხსნიდა, რისთვის იყო ყველაფერი ეს საჭირო, ბრაზობდა, ბავშვებს რომ ვერა გაეგოთ რა, და სცემდა... მერე ამათ მოეშვებოდა და ახლა ხალხს მიმართავდა; შენიშნავდა თუ არა, რომ ცოტათი რიგიანად ჩაცმული გამგლეელი შეჩერდებოდა და დაუწყებდა ცქერას, იმავე წამს უხსნიდა, რომ გაჭირვებამ „კეთილშობილი, თითქმის არისტოკრატიული ოჯახის“ ბავშვები აქამდის მიიყვანა. მაგრამ გაიგონებდა თუ არა ბრბოში სადმე სიცილს ან დაცინვას, მაშინვე ამ თავხედებს უბრუნდებოდა და დაუწყებდა ლანძღვას. ზოგი მართლაც იცინოდა, ზოგი კი მხოლოდ თავს აქნევდა სიბრაღულით; ყველას უნდოდა, შეშლილისა და მისი გულგახეთქილი ბავშვებისათვის შეეხედა. ტაფა, მართალია, არსად ჩანდა, როგორც ლებეზიატნიკოვმა უთხრა რასკოლნიკოვს, მაგრამ გამხმარი ხელებით კი ტაშს აყოლებდა ტაქტს, პოლექკას ამღერებდა და ლენასა და კოლიას კიდევ ათამაშებდა; თან თვითონაც სიმღერაში ეშველებოდა, მაგრამ მაშინვე საშინელი ხველა უვარდებოდა ხოლმე და აწყვეტინებდა, რაც საშინლად აბრაზებდა, თავბედს აწყველინებდა და ატირებდა კიდევაც. ყველაზე მეტად კი კოლიასი და ლენას ტირილი და შიში აბრაზებდა. მართლაც, ქუჩის მომღერლებივით მოერთო ბავშვები. ბიჭს წითელი რაღაც ეცვა და თავზე წითელზოლებიანი თეთრი დოღბანდი ჰქონდა შემობორბლილი, - ოსმალთა იყო ვითომ. ლენასთვის ვერაფერი ეშოვა; რაღაც წითელი ჩაჩი ეხურა, განსვენებული სემიონ ზახარიჩის ნაქონი, რომელშიაც სირაქლემას თეთრი ფრთის ნაგლეჯი ჰქონდა გარჭობილი; ეს ფრთაც კატერინა ივანოვნას ბებიის ნაქონი იყო და სკივრში ჰქონდა შენახული, როგორც საგვარეულო რამ იშვიათი განძი. პოლექკას თავისი ჩვეულებრივი კაბა ეცვა. შეჰყურებდა საცოდავი მოკრძალებით დედას, არ შორდებოდა და ცრემლებს მალავდა. მიხვედრილი იყო, რომ დედა შეიშალა. აქეთ-იქით მოუსვენრად იყურებოდა. ქუჩამ და ხალხის ბრბომ საშინლად დააფრთხო და შეაშინა საბრალო. სონია უკან დასდევდა კატერინა ივანოვნას და ტირილით ემუდარებოდა, შინ დაბრუნებულიყო. მაგრამ კატერინა ივანოვნა არ უგონებდა.

- გაჩუმდი, სონია, გაჩუმდი! - უყვიროდა და თან სულს ძლივს იბრუნებდა, ახველებდა. - არ იცი, რასა მთხოვ, ბავშვი იყო თითქოს! ხომ გითხარი, არაფრის გულისათვის იმ ლოთ გერმანელ დედაკაცთან აღარ დავბრუნდები-მეთქი. დეე, ნახოს ყველამ, მთელმა პეტერბურგმა ნახოს თავისი თვალთ, როგორ თხოულობენ მოწყალეებს ბავშვები კეთილშობილი მამისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად იმსახურა და თითქმის სამსახურშივე დალია სული (კატერინა ივანოვნას ფანტაზიამ უკვე შეთხზა ეს და დაიჯერა კიდევ), დეე, დაინახოს იმ საძაგელმა გენერალმა. სულელი ხარ სწორედ, სონია: მითხარ, რა უნდა ვჭამოთ? კმარა, რაც გაწამეთ, აღარა მსურს! ოჰ, როდიონ რომანიჩ, თქვენა ხართ! - შეჰყვირა უცბად, დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი და მისკენ გაქანდა, - ჩააგონეთ როგორმე, გეთაყვა, ამ სულელს, რომ უკეთესს სხვას ვერას მოვისაზრებთ! ქუჩის მეარღნეებიც კი ლუკმას შოულობენ, ჩვენ ხომ უცბად გაგვარჩევს ყველა, ყველა გაიგებს, რომ კეთილშობილი ოჯახიდან ვართ ღარიბი ქვრივ-ობლები. ამ გენერალუკას ხომ უთუოდ ადგილიდან დაითხოვენ, თორემ ნახავთ! ყოველდღე ფანჯრების წინ გავუვლ-გამოვუვლით, ხოლო გამობრძანდება თუ არა ხელმწიფე, მაშინვე დავუჩოქებ და შევჩივლებ. ამათაც წინ დავიყენებ და ვუჩვენებ: „დაიფარე-მეთქი, მეფეო!“ ის არის მამა ობლებისა, მათი მოწყალე მფარველი და დაგვიფარავს კიდევ, თორემ აი, ნახავთ! გენერალს კი... ლენა! Tenez-vous droite![44] შენც, კოლია, ახლავე იცეკვებ. რასა სლუკუნებ? კიდევ დაიწყო!

აბა, ჰა, რისა გეშინია, ტუტუცო! ღმერთო ჩემო, რა უნდა ვუყო ნეტა, როდიონ რომანიჩ?
რომ იცოდეთ, რა უგუნურები არიან? ამათთან, აბა, რა გავაწყო?..

ასე ტირილით (რაც სრულიადაც არ უშლიდა სხაპასხუპით ლაპარაკს) უთითებდა
აქვითინებულ ბავშვებზე. რასკოლნიკოვი ცდილობდა ჩაეგონებინა, შინ
დაბრუნებულიყო, ისიც კი უთხრა, რომ ამცირებდა და არ შეჰფეროდა მას, როგორც
კეთილშობილ დედათა პანსიონის მომავალ გამგეს, მეარღნესავით ქუჩა-ქუჩა
სიარული...

-პანსიონისა, ხა-ხა-ხა! იმედიც კარგია! - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ და ისევ ხველა
აუვარდა. - არა, როდიონ რომანიჩ, გაქრა ოცნება! ყველამ თავი მიგვანება. ამ
გენერლუკას კი... იცით, როდიონ რომანიჩ, სამელნე ვესროლე, იქვე, ლაქის ოთახში
იდგა მაგიდაზე და ქალაღი გვერდით ედო, რომ ხელი მოეწერა ყველას, მოვაწერე
მეც, მივახალე სამელნე და გამოვიქეცი. ოჰ, საზიზღრები! თავში ქვა უხლიათ! ახლა
თვითონ მე ვაჭმევ პურს, არავის ქედს არ მოვუხრი! საკმაოდ ვტანჯეთ! (სონიაზე
მიუთითა) პოლექკა, მიჩვენე, რამდენი შეგვკრიბეთ! როგორ? ორი კაპიკი მარტო? ოჰ,
საზიზღრები! არას იძლევიან, გადმოუგდიათ ენა და უკან დაგვდევენ მხოლოდ! აი,
თუნდ ეს ყურყუტი რას იცინის! (და ვიღაცაზე უჩვენა ბრბოში). ეს სულ იმიტომ, რომ
კოლკამ ვერა შეიგნო რა, გამაწვალა! რაო, პოლექკა, რა გინდა? ფრანგულად
მელაპარაკე, *parlez-moi francais!*[45] აკი გასწავლიდი, რამდენიმე წინადადება აკი
იცოდი!.. აბა, უამისოდ როგორ გიცნონ, რომ კეთილშობილი ოჯახიდან ხართ და არა
უბრალო ქუჩის მეარღნეები; „პეტრუმკას“ ხომ არ ვითამაშებთ ქუჩაში,
კეთილშობილთა რომანსი ვიმღეროთ... დიახ! მაგრამ რა ვიმღეროთ? აზრს ნუ
მირევთ... ხედავთ, გავჩერდით აქ, როდიონ რომანიჩ, რომ ამოვირჩიოთ, რა
ვიმღეროთ, - ისეთი, რომ კოლკასაც შეეძლოს იცეკვოს... იმიტომ მოგვდის ასე, რომ
მოუმზადებლად გამოვედით; უნდა შევთანხმდეთ, კარგად გავივარჯიშოთ, მერე კი
ნევის პროსპექტზედაც გავალთ. იქ მეტია მაღალი საზოგადოების ხალხი და უცბად
შეგვნიშნავენ. ლენამ იცის „ხუტორიკი“, მაგრამ სულ „ხუტორიკი „ არ ივარგებს,
იმიტომ, რომ ყველა იმას მღერის თითქმის. უნდა კეთილშობილური რამ ვიმღეროთ.
აბა, რამე მოიგონე, პოლექკა, შენ მაინც დაეხმარებოდი დედას! მეხსიერება მთლად
დავკარგე, ვეღარა მომიგონია რა! „ხმალს დაჰყრდნობია ჰუსარი[46]“ ხომ არ გვემღერა
მართლა! ჰო, ფრანგულად ვიმღეროთ „*Cinq sous!*“[47] აკი გასწავლიდით, არ გახსოვთ?
უმთავრესი კი ის არის, მაშინვე გიცნონ, რომ კეთილშობილი აზნაურის შვილები
ხართ, უფრო ძლიერ იმოქმედებს ყველაზე... შეიძლებოდა „*Malborough s'en va-t-en
guerre!*“[48] გვემღერა კიდევ, მით უმეტეს, რომ საბავშვო სიმღერაა და ყველა
არისტოკრატიულ ოჯახში მიღებული. ბავშვებს აძინებენ ხოლმე ამ სიმღერით:
Malborough s'en va-t-en guerre Ne sait quand revienrda...[49]

- მაგრამ არა, „*Cinq sous*“ სჯობია! აბა, კოლია, დოინჯი შემოიყარე, შენც, ლენა, მეორე
მხარეს დაუარე; მე და პოლექკა კიდევ ვიმღერებთ და ტაშს დავუკრავთ!

Cinq sous, cunq sous, Pour monter notre meyage...[50]

ქხი-ქხი!-ქხი! (ხველამ კინაღამ დაახრჩო). აბა გაისწორე, პოლექკა, მხრები ჩამოგჩაჩვია,
- შენიშნა ხველის დროს. - განსაკუთრებით უნდა ცდილობდეთ, ზრდილობიანად
გეჭიროთ თავი, რომ ყველამ დაინახოს თქვენი კეთილშობილება. ხომ გეუბნებოდით,
ლიფი ცოტა გრძელი უნდა გამოიჭრას-მეთქი. აგრე იცი ხოლმე, სონია, სულ შენი
ბრალია: „მოკლე იყოსო და მოკლე“. აგერ თითქმის მთლად დავამახინჯეთ ბავშვი...

აბა, რა იყო, კიდევ ტირით ყველანი! რა იყო, თქვე ტუტუცებო! აბა, კოლია, დაიწყე! ჩქარა, ჩქარა-მეთქი, ჰა! ოჰ, რა საძაგელი ბავშვი ხარ!..

Cinq sous, cunq sous...

აი, კიდევ ჯარისკაცი! რაო, რა გინდა?

მართლაც, ბრბოში პოლიციელი გამოჩნდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაც ორმოცდაათი წლის დარბაისელი მოხელე, ვიცმუნდირში გამოწყობილი, ყელზე ორდენი ეკიდა (ემა ეს საშინლად კატერინა ივანოვნას და პოლიციელზედაც გავლენა იქონია), მიუახლოვდა და კატერინა ივანოვნას ხმაამოუღებელივ ხელში მწვანე სამთუმნიანი ქაღალდის ფული ჩაუდო. სახეზე ეტყობოდა მოხელეს, რომ გულწრფელად შეჰბრალებოდა. კატერინა ივანოვნამ გამოართვა და მეტად თავაზიანად დაუკრა თავი.

- გმადლობთ, მოწყალეო ხელმწიფევ, გმადლობთ, - დაიწყო მედიდურად, - მიზეზი, რომელმაც მოწყალების თხოვნა გაგვაბედინა... დაიჭი ფული, პოლექკა. ხედავ, აი, ასეთი კეთილშობილი და დიდსულოვანი ხალხი მუდამ მზად არის გაჭირვებულ, კეთილშობილ ქვრივს უბედურებაში დაეხმაროს. ხედავთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ წინა დგას კეთილშობილი, თითქმის არისტოკრატიული, დაობლებული ოჯახი... აი, ის გენერალი კი იჯდა და ტყის ქათმებს შეექცეოდა... ფეხები დამიბრაგუნა, რომ გავბედე და შევაწუხე... „თქვენო აღმატებულებაგ, ქვრივ-ობრები დაიფარეთ-მეთქი, - ვეუბნები, - იმიტომ, რომ სემიონ ზახარჩის იცნობდით, ვიღაც საზიზღარმა გაიძვერა კი სწორედ დასაფლავების დღეს მის უდანაშაულო ქალს ცილი დასწამა-მეთქი... კიდევ გამომეცხადა ეს ჯარისკაცი! დამიფარეთ! - შესძახა მოხელეს. - რა უნდა ნეტა ჩემგან, რომ თავს არ მანებებს! ერთს, როგორც იყო, გამოვექცით მეშჩანსკაიდან... მაინც რაო, რა გინდა, შე ტუტუცო!

- ისა, რომ ქუჩაში ასე სიარული აკრძალულია. ნუ იქცევით აგრე ურიგოდ.

- შენ თვითონ ურიგოვ და საზიზღარო! ერთი არ არის შენთვის, რა გინდა, არღნით დავდივარ ვითომ!

- არღნით სიარულსაც ნებართვა უნდა, თქვენ კი თქვენით დადიხართ და ხალხს აწუხებთ. სადა ცხოვრობთ?

- რაო, ნებართვაო! - შეჰყვირა კატერინა ივანოვნამ. - ეს იყო ქმარი დავმარხე, რის ნებართვას ავიღებდი!

- ქალბატონო, ქალბატონო, დამშვიდდით, - დაუწყო მოხელემ, - წავიდეთ, მე მიგიყვანთ... აჲ, ხალხში, სირცხვილია... ავად ხართ...

- მოწყალეო ხელმწიფევ, მოწყალეო ხელმწიფევ, არა იცით რა! - ყვიროდა კატერინა ივანოვნა. - ნევის პროსპექტზე წავალთ... სონია, სონია! სად არის ნეტა! ისიცა ტირის! რა იყო, რა დაგემართათ!.. კოლია, ლენა, სად მირბიხართ? - შეჰყვირა უცბად შეშინებულმა. - ოჰ, ტუტუცებო! ოლია, ლენა, საით?

ბრბოსაგან და შეშლილი დედისაგან დამფრთხალმა კოლიამ და ლენამ რომ ახლა ჯარისკაციც დაინახეს, რომელსაც მათი წაყვანა უნდოდა ვითომ სადღაც, უცბად ჩაავლეს ერთმანეთს ხელი და მოჰკურცხლეს. ტირილითა და წივილ-კივილით

გამოეკიდა უკან კატერინა ივანოვნა. საცოდავი და საზარელი სანახავი იყო ამ დროს, სირბილისაგან დაოსებული. სონია და პოლექკაც მაშინვე უკან დაედევნენ.

- დაიჭი, დააბრუნე! სონია! ოჰ, სულელი, უმადური ბავშვები!. პოლექკა! დაიჭი!.. თქვენთვის არ ვიკლავ თავს...

კატერინა ივანოვნამ უცბად რაღაცას წამოჰკრა ფეხი და დაეცა.

- დაიმტვრა, სისხლი წასკდა! ოჰ, ღმერთო! - შეჰკვივლა სონიამ და დასწვდა.

ყველანი მისცვივდნენ, გარს შემოერტყნენ. რასკოლნიკოვი და ლებეზიატნიკოვი ხომ ყველაზე უწინ მივიდნენ; მოხელემაც მაშინვე მიაშურა, პოლიციელიც უკან მიჰყვა ბუტბუტით და ხელი ჩაიქნია. იგრძნო, რომ ცუდად იყო საქმე.

- გასწით! მოშორდით! - ერეკებოდა ირგვლივ შეჯგუფულ ხალხს.

- კვდება! - ყვიროდა ვიღაცა.

- გაგიჟდა! - იძახდა მეორე.

- ღმერთო, უშველე! - ჩაილაპარაკა ვიღაცა დედაბერმა და პირჯვარი გამოისახა. - ის ბავშვები კი დაიჭირეს ნეტა? აგერ, მოჰყავთ. უფროსი ქალი წამოსწევიათ... ხედავთ, როგორი დაუდეგარები ყოფილან!

მაგრამ რომ დააკვირდნენ კარგად კატერინა ივანოვნას, ნახეს, კი არ დამტვრეულიყო, როგორც სონიას ეგონა, სისხლი ამოსდიოდა პირიდან და ქვაფენილი წითლად შეეღება.

- ეგ ვიცი, მინახავს, - ეუბნებოდა მოხელე რასკოლნიკოვსა და ლებეზიატნიკოვს, - ჭლექმა იცის: წასკდება ასე სისხლი და დაახრჩობს. ერთ ჩემს ნათესავ ქალსაც ასე დაემართა ამ წინაზე, თვითონ მე ვიყავ მნახველი. ჭიქა-ნახევარი სისხლი ამოუვიდა... რა უნდა ვუყოთ მაინც, ახლავე მოკვდება?

- აქეთ მოიყვათ, აქეთ! - ემუდარებოდა სონია. - აი, აქა ვცხოვრობ!.. აგერ, მეორე სახლია აქედან... ჩემთან წავიყვანოთ, ჩქარა!.. - შესთხოვდა ყველას. - ექიმი დავიბაროთ... ოჰ, ღმერთო!

მოხელის მეცადინეობით, როგორც იყო, მოეწყო საქმე; პოლიციელმაც კი ხელი წახმარა, რომ კატერინა ივანოვნა სახლში გადაეყვანათ. თითქმის მკვდარი შეიტანეს სონიასთან და ლოგინზე დააწვინეს. სისხლი ჯერ კიდევ სდიოდა, მაგრამ, ეტყობა, გონს მოდიოდა... სონიას გარდა, ოთახში შევიდნენ რასკოლნიკოვი, ლებეზიატნიკოვი, მოხელე და პოლიციელი, რომელმაც ხალხი გაფანტა, თუმცაღა ბევრი მათგანი კარამდის მიჰყვა მაინც. პოლექკამაც ლენა და კოლია შემოიყვანა, ხელი-ხელს ჩაეკიდნათ, ტიროდნენ შეშინებულნი და ცაბცახებდნენ. კაპერნაუმოვებიდანაც თითქმის ყველამ აქ მოიყარა თავი: თვითონ უცნაური გარეგნობის, კოჭლმა, დაკვლანჭულმა კაპერნაუმოვმა, ჯაგარა თმითა და ბაკენბარდებით, დამფრთხალმა ცოლმა და რამდენიმე პირდაღებულმა ბავშვმა. უცბად საიდანღაც სვიდრიგაილოვიც გაჩნდა. რასკოლნიკოვი გაოცებული შეჰყურებდა, ვერ გაეგო, აქ საიდან გაჩნდა, როცა ბრბოში არ დაუნახავს.

ექიმი და მღვდელი ახსენეს. მართალია, მოხელემ ჩასჩურჩულა რასკოლნიკოვს, რომ სრულიად მეტი იყო ახლა ექიმი, მაგრამ მაინც უბრძანა მოეყვანათ. ექიმის დასამახებლად თვითონ კაპერნაუმოვი გაიქცა.

კატერინა ივანოვნამაც სული მოიბრუნა ცოტა, სისხლის დენა აღარა ჰქონდა. ავადმყოფური, მაგრამ ღრმად გამსჭვალავი თვალით აკვირდებოდა გაფითრებულ და აცახცახებულ სონიას, რომელიც შუბლიდან ოფლს სწმენდდა ცხვირსახოცით. ითხოვა ბოლოს, წამოესვათ. ლოგინზე დასვეს, აქეთ-იქიდან ხელით ეჭირათ.

- ბავშვები სადღა არიან? - იკითხა სუსტი ხმით. - შენ მოიყვანე, პოლექკა? ოჰ, სულელეობო!.. რას გარბოდით... ოჰმე!

გამხმარ ტუჩებზე ჯერ ისევ ეცხო სისხლი. მიიხედ-მოიხედა, იქაურობა მოათვალიერა.

- აი, თურმე როგორა ცხოვრობ, სონია! არც ერთხელ არ ვყოფილვარ შენთან... ახლა კი გნახე...

მერე ტანჯვით სავსე თვალეზით დააშტერდა.

- მთლად გამოგწოვეთ, სონია, თუ რამე გქონდა... პოლექკა, ლენა, კოლია, მოდით აქ... აი, სონია, გებარებოდეს... მე კი, მორჩა, გავათავე... კმარა უკვე! ეჰ!.. დამაწვინეთ, მოსვენებით მაინც დავლიო სული...

ბალიშზე მიაწვინეს ისევ.

- რაო? მღვდელიო?... არ არის საჭირო... სადა გაქვთ ფული, რომ მისცეთ?... მე ცოდვა არა მაქვს რა!.. ისედაც უნდა მაპატიოს ღმერთმა... იცის, როგორც ვიტანჯებოდი!.. არ მაპატიებს და, არც არის საჭირო!..

თანდათან მოუსვენრად ბოდავდა. ხანდახან შეკრთებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა და მაშინვე სცნობდა ყველას, მაგრამ იმავე წამს გონებას ჰკარგავდა ისევ, ბოდვას იწყებდა. ძლივს სუნთქავდა, ხრიალებდა, ყელში თითქოს რაღაცა უბუყბუყებდა.

- ვუთხარი: „თქვენო აღმატებულებაგ!..“ - ბოდავდა და თან ყოველი სიტყვის შემდეგ აქოშინდებოდა: - ეს ამალია ლუდვიგოვნაც... ოჰ! ლენა, კოლია, დოინჯი გაიკეთეთ, ჩქარა, გლისე-გლისე, პა-დე-ბასკ! ფეხები ააბაკუნე... მოხდენილად იცეკვე.

Du hast Diamanten und Perlen...[51] - ჰაინეს ლექსის დასაწყისი.

მერე რაღაა? ვიმღეროთ, აბა...

Du hast die schönsten Augen, Mädchen, was willst du mehr?...[52]

როგორ არა! was willst du mehr, - იტყვის რაღა ყურყუტი!.. ჰო, მართლა, აი, კიდევ რა: შუადღის სიცხეში, დაღესტნის ველზე...[53]

ოჰ, როგორ მიყვარდა.. გაგიჟებით მიყვარდა, პოლექკა, ეს რომანსი! იცი, მამაშენი... ჯერ გათხოვებამდე მიმღეროდა ხოლმე... ოჰ, ბედნიერო დროვ!.. მოდი, ვიმღეროთ! აბა, როგორა მაშ, როგორა... დამავიწყდა... მომაგონეთ, როგორ უნდა?

ღელავდა საშინლად, ცდილობდა წამოეწია. ბოლოს, როგორც იყო, დაიწყო საშინელი ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმით, თან ყოველი სიტყვის შემდეგ სული უგუბდებოდა, ახველებდა, შიში ემატებოდა: შუადღის სიცხეში!.. დაღესტნის... ველზე!

მკერდში ტყვიითა!..

- თქვენო აღმატებულებავ! - შეჰკვივლა უცბად გულგამგმირავი ქვითინით, - ობლები დაიფარეთ, სემიონ ზახარიჩის პურ-მარილი გაიხსენეთ... თითქმის რომ არისტოკრატისა!.. ჰა! - შეხტა უცბად, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, და შეშინებულმა დაუწყო ყველას ყურება, მაგრამ მაშინვე იცნო სონია. - სონია, სონია! - დაუწყო წყნარად, ალერსიანად, თითქოს გაიკვირვა, რომ გვერდით ხედავდა, - სონია, საყვარელო, აქა ხარ შენც?

წამოსვეს ისევ.

- კმარა!.. დრო არის!.. მშვიდობით, ბედშავო!.. დაქანცეს, მოფეთქეს ჯანდაკი!.. ილაჯი გაუწყვიტეს! - შეჰყვირა სასოებადაკარგულმა მძულვარედ და ბალიშზე დაეცა.

მიეცა დავიწყებას ისევ, მაგრამ დიდი ხნით აღარა. გაფითრებულ-გაყვითლებული, გამხდარი სახე უკან გადაეგდო, პირი გაეღო, შეაქრჟოლა, ფეხები გასჭიმა. ერთი კიდევ ამოიქმინა ღრმად და სული დალია.

სონია პირდაპირ ზედ დაეცა მის გვამს, მოხვია ორთავე ხელი და მაგრად მიეკრა გამხმარ გულზე. პოლექკაც მაშინვე დედას ეცა და მწარედ აქვითინებულმა ფეხებზე დაუწყო კოცნა. კოლიამ და ლენამ უცბად ვერა გაიგეს რა, მაგრამ იგრძნეს, რომ მეტად საზარელი რამ მოხდა. ერთმანეთს მხარში ხელები ჩაავლეს, დააღეს პირი და ბღავილი მორთეს. ორივეს ქუჩის ტანისამოსი ეცვა ისევ: ერთს დოღბანდი ჰქონდა თავზე შემობორბლილი, მეორეს სირაქლემასფრთიანი ჩაჩი ეხურა.

მაგრამ როგორ მოხდა ნეტა, რომ „ქების ფურცელი“ უცბად კატერინა ივანოვნას გვერდით გაჩნდა, ლოგინზე? იქვე იდო, ბალიშთან. რასკოლნიკოვმა დაინახა.

რასკოლნიკოვი კუთხეში ფანჯარასთან მიდგა. ლებეზიატნიკოვიც მაშინვე გვერდით ამოუდგა.

- გათავდა! - უთხრა ლებეზიატნიკოვმა.

- როდიონ რომანოვიჩ, ორიოდე საჭირო სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი. - მიმართა უცბად სვიდრიგაილოვმა, რომელიც ახლა მიუახლოვდა.

ლებეზიატნიკოვიც მაშინვე თავაზიანად ჩამოეცალა. გაოცებული რასკოლნიკოვი უფრო შორს, კუთხეში გაიყვანა სვიდრიგაილოვმა.

- ყველაფერ ხარჯს, რაც კი დასასაფლავებლად იქნება საჭირო და სხვა, მე ვკისრულობ. იცით რა, ფული იყოს, თორემ... მე კი, გახსოვთ, გითხარით, მეტი ფული მაქვს-მეთქი. ამ ორ პატარა ბავშვსა და პოლექკას სადმე ობლების თავშესაფარ სახლში მივცემ გასაზრდელად და თითოეულს ათას ხუთას მანეთ ფულს შევუტან ბანკში, რომ სოფია სემიონოვნა მოსვენებული იყოს. იმასაც ხელს შევუწყო, რომ ამ გარყვნილების წუმპეს თავი დააღწიოს, იმიტომ რომ კარგი გოგოა! ასე მაშ, გადაეცით ავდოტია რომანოვნას, რომ იმისი ათასი თუმანი ასე მოვიხმარე.

- რა აზრი გაქვთ, რომ აგრე გაქველმოქმედდით? - ჩაეკითხა რასკოლნიკოვი.

- ე-ეჰ! უნდო კაცი ხართ! - ჩაიცინა სვიდრიგაილოვმა. - არ გითხარით, მეტი მაქვს-მეთქი ეს ფული. არაფერი, რა აზრი უნდა მქონდეს, ადამიანობა მაიძულებს; შეუძლებელი რა არის? ტილი ხომ არ იყო (და თითით ანიშნა იმ კუთხეზე, სადაც განსვენებული იწვა), ვიღაც მევახშე ბებრუხანასთანა. დამეთანხმეთ მაშ, რა უფრო სამართლიანია: „ის, რომ ლუჟინი ცოცხლობდეს და ვინ იცის, რა საძაგლობას არ სჩადიოდეს, თუ ეს კვდებოდეს?“ და რომ არ მეშველა, „პოლეჩკაც ხომ იმავე გზას დაადგებოდა...“

ეუბნებოდა სვიდრიგაილოვი და თან თითქმის მხიარულად, ეშმაკურად თვალს უშვრებოდა, არ აშორებდა. გაფითრდა რასკოლნიკოვი, გაიყინა უცბად, სონიასთან ნათქვამი თავისი სიტყვები რომ გაიგონა. საჩქაროდ უკან დაიწია და გამტერებულმა შეხედა სვიდრიგაილოვს: - საიდან იცით თქვენ? - ჩაიჩურჩულა ოდნავ. სულს ძლივსღა იბრუნებდა.

- მე ხომ აქვე ვცხოვრობ, კედელს იქით, ქალბატონ რესლიხთან. კაპერნაუმოვი აქეთა დგას, რესლიხი იქით, ჩემი ძველისძველი მეგობარია. მეზობელი ვარ.

- თქვენ?

- დიახ, მე, - განაგრძობდა სვიდრიგაილოვი და თან სიცილისაგან მთლად ირხეოდა, - და შემძლია დაგარწმუნოთ კიდევ, საყვარელო როდიონ რომანოვიჩ, - გეფიცებით პატიოსნებას, - რომ საშინლად მიიპყარით ჩემი ყურადღება. აკი გითხარით, კიდევ შევხვდებით-მეთქი ერთმანეთს, ხომ გიწინასწარმეტყველეთ, და აი, შევხვდით კიდევ. ნახავთ, როგორ შევეწყობით ერთმანეთს. ნახავთ, რომ ჩემთან ცხოვრება შესაძლებელია კიდევ...

ნაწილი მეექვსე

I

უცნაური დრო დაუდგა რასკოლნიკოვს: უცბად თითქოს ბურუსში გაეხვია, მძიმე, გაუსაძლისი მარტოობა დაეუფლა. შემდგომში რომ მოიგონებდა ხოლმე ამ დროს, რწმუნდებოდა, დროდადრო თითქოს გონთ უბნელდებოდა. ასე იყო თითქმის ბოლომდის, ვიდრე ეს უკანასკნელი უბედურებაც დაატყდებოდა თავს. დარწმუნებული იყო სავსებით, რომ ბევრ რამეში სცდებოდა მაშინ, მაგალითად, როდის რა მოხდა და სხვ. ეს იმითაც მტკიცდებოდა, რომ ბევრი რამ მხოლოდ სხვისი ნათქვამიდან გაიხსენა შემდეგ. ერთ გარემოებას, მაგალითად, მეორედ თვლიდა; მეორე მხოლოდ თავისი წარმოდგენით შექმნილი გარემოების შედეგად მიაჩნდა და სხვ. დროდადრო კიდევ რაღაც გასაოცრად მტანჯველი შფოთვა ეტყობოდა, რომელიც ხშირად საზარელ შიშად ექცეოდა. მაგრამ ახსოვდა ისეთი წამებიც, საათები და თითქმის დღეებიც, როდესაც სრულიად გულგრილად ეგებებოდა ხოლმე ყველაფერს, არაფერზე არა ფიქრობდა, არა აწუხებდა რა, - სწორედ ისე, როგორც ზოგიერთ მომაკვდავ ავადმყოფს დაემართება ხოლმე. საზოგადოდ კი, ამ ბოლო დროს თვითონვე ცდილობდა თითქოს, არ წარმოედგინა ნათლად, რა მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებით აწუხებდა ზოგიერთი არსებითი, საჩქაროდ გადასაწყვეტი ფაქტი.

მაგრამ ოჰ, რა მოხარული იქნებოდა, რომ ზოგიერთი რამ სრულიად დავიწყებოდა, საზრუნავი არა ჰქონოდა, თუმცა იცოდა კარგად, აუცილებლად დაღუპავდა ახლა ეს დავიწყება.

განსაკუთრებით არ ასვენებდა სვიდრიგაილოვი: შეიძლება ითქვას, მასზელა შეჩერდა. მას შემდეგ, რაც სვიდრიგაილოვის ნათქვამი მოისმინა სონიასთან, კატერინა ივანოვნას გარდაცვალების დღეს, იმ წამიდანვე თითქმის მთლად დაერღვა აზრთა ჩვეულებრივი მსვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად აწუხებდა ეს ახლად აჩენილი გარემოება, მაინც არა ჩქარობდა, გამოერკვია როგორმე საქმე. ხშირად, როცა სადმე ქალაქის მივარდნილ ადგილას მოხვდებოდა ხოლმე რომელიმე საცოდავ ტრაქტირში და მარტოდმარტო უჯდა მაგიდას ფიქრში გართული, თან ველარ მოეგონებინა, საიდან გაჩნდა აქ, უცბად სვიდრიგაილოვი გაახსენდებოდა: წარმოუდგებოდა ნათლად, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა შეთანხმებულიყო ამ კაცთან და საბოლოოდ გაეთავებინა საქმე. ერთხელ საბაჟოს იქით გავიდა სადღაც და წარმოუდგა, ვითომ სვიდრიგაილოვს ელოდა იქ. იქ ჰქონდათ ვითომ შესახვედრად დანიშნული ადგილი. მეორედ კიდევ, თურმე ჯაგებში სძინებოდა და გათენებისასლა გამოეღვიძა, მაგრამ არ ახსოვდა და ვერ გაეგო, როგორ მოხვდა იქ. მაინც კატერინა ივანოვნას გარდაცვალების შემდეგ, იმ ორ-სამ დღეს ორჯერ კიდევაც შეხვდა სვიდრიგაილოვს და ორჯერვე სონიასთან, რომელსაც სრულიად უაზროდ შეუვლიდა ხოლმე რამდენიმე წუთით. ერთმანეთს მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვით გამოეხმაურებოდნენ ხოლმე, უფრო კი ხმას არ იღებდნენ, თითქოს პირობა შეუკრავთ, დრომდე კრინტი არ დასძრანო. კატერინა ივანოვნა ჯერ ისევ კუბოში ესვენა. სვიდრიგაილოვი დასაფლავების საქმით იყო გართული. სონიასაც ერთთავად საქმე ჰქონდა. ბოლოს რომ შეხვდნენ ერთმანეთს, აუხსნა სვიდრიგაილოვმა, რომ კატერინა ივანოვნას ბავშვების საქმე რიგზე მოეწყო; რომ ნაცნობობით სამივე ობოლი რიგიან თავშესაფარ სახლებში მოათავსა; რომ ობლებისათვის გადადებული ფულიც ბევრს დაეხმარა, რადგანაც ობლებს, ვისაც ფული გააჩნია, უფრო ადვილად იღებენ ასეთ თავშესაფრებში, ვიდრე უმწეოსა და გლახაკებს. სონიაზეც უთხრა რაღაცა და დაპირდა, ამ დღეებში მე თვითონაც შემოგივლით როგორმეო; „მოლაპარაკება უნდოდა ვითომ რაღაც საქმის თაობაზე...“ ეს ლაპარაკი კიბესთან ჰქონდათ, დერეფანში. დაშტერებით უყურებდა სვიდრიგაილოვი რასკოლნიკოვს. უცბად გაჩუმდა ერთ წამს, ხმას დაუდაბლა და ჰკითხა: - რა იყო, როდიონ რომანიჩ, რა დაგემართათ? აგრე რამ შეგცვალათ? მართალია, მიცქერით და ყურს მიგდებთ, მაგრამ რას გეუბნებით, არ გესმით თითქოს. გამხნევდით. მოდით, მოვილაპარაკოთ; მაგრამ ვაი, რომ ჩემი თუ სხვისი საქმე ბევრი მაქვს; ეჰ, როდიონ რომანიჩ, - დასძინა უცბად, - ჰაერი უნდა ყველას, სუფთა ჰაერი... ყველაზე უპირველესად ჰაერი!..

სვიდრიგაილოვი უცბად ჩამოეცალა, რომ მღვდელი და დიაკვანი გაეტარებინა. პანაშვიდის გადასახდელად მოდიოდნენ. სვიდრიგაილოვის განკარგულებით, ყოველ დილა-სადამოთი პანაშვიდს უხდიდნენ მიცვალებულს. სვიდრიგაილოვი თავის გზას გაუდგა. რასკოლნიკოვიც ერთხანს კიდევ იდგა, რაღაცას ფიქრობდა, მერე კი ისიც მღვდელსა და დიაკვანს შეჰყვა სონიას ბინაში.

რასკოლნიკოვი კარში დადგა. დაიწყო პანაშვიდი წყნარად, მძიმედ, ნაღვლიანად. სიკვდილის შეგნება და შეგრძნება ბავშვობიდანვე მუდამ რაღაც იდუმალი საშინელებით ავსებდა; გარდა ამისა, დიდი ხანია აღარ მოესმინა პანაშვიდი. მაგრამ სხვა რამ იყო აქ კიდევ საზარელი, შემამფოთებელი. ბავშვებს გადახედა. ყველანი

კუბოს წინ იდგნენ დაჩოქილნი. პოლექკა ტიროდა. უკანიდან სონია ედგა და ჩუმად, მოკრძალებით ტიროდა, ლოცულობდა. „ამ რამდენიმე დღეში ხომ არც ერთხელ არ შემოუხედია ჩემთვის, არა უთქვამს რა“, - გაიფიქრა უცბად რასკოლნიკოვმა. კაშკაშა მზე ანათებდა ოთახს; საცეცხლურიდან კვამლი გორგლებივით ხვევა-ხვევით ადიოდა. მღვდელი „განუსვენე უფალო“ -ს კითხულობდა. რასკოლნიკოვმა მთელი პანაშვიდი მოისმინა. დალოცვისა და გამოთხოვების დროს მღვდელი როგორღაც უცნაურად იყურებოდა აქეთ-იქით. პანაშვიდის შემდეგ რასკოლნიკოვი სონიასთან მივიდა. სონიამ უცბად ორთავე ხელი დაუჭირა, თავი მხარზე მიადო. ამ უბრალო მეგობრულმა მოპყრობამ თითქმის გააკვირვა რასკოლნიკოვი; ეუცნაურა თითქოს: არავითარი ზიზღი და სიძულვილი, არც ხელის თრთოლა ეტყობოდა. ეს იყო რაღაც უსაზღვრო დამცირება თავისი თავისა. რასკოლნიკოვმა მაინც ასე გაიგო აზრი მისი მოქმედებისა. სონია არაფერს ეუბნებოდა. რასკოლნიკოვმა თანაგრძნობის ნიშნად ხელი მოუჭირა მაგრად და გავიდა. საშინლად ეძძიმა ეს რასკოლნიკოვს.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო იმავე წამს სადმე გადახვეწა და მარტოდმარტო დარჩენა, მთელი თავისი სიცოცხლე თავს ბედნიერად ჩათვლიდა. მაგრამ უბედურებაც ეგ იყო, რომ ამ ბოლო დროს ველარა გრძნობდა თავს მარტოდ, თუმცა სულ მარტო დაძრწოდა. დადიოდა ქალაქგარეთ, შარაგზაზედაც, ერთხელ სადღაც ჭალაშიაც კი ამოჰყო თავი; მაგრამ რაც უფრო მივარდნილი იყო ადგილი, იმდენად ძლიერად გრძნობდა ხოლმე ვიღაცის შემამფოთებელ სიახლოვეს. საზარელს, მართალია, არას აგრძნობინებდა ეს სიახლოვე, მაგრამ თავს საშინლად აძულებდა, ასე რომ, საჩქაროდ ისევ ქალაქში ბრუნდებოდა და ბრბოში შეერეოდა ხოლმე, სადმე ტრაქატირსა და სასმელების დუქნებს მიაშურებდა, ან „ტოლკუჩკაზე“ და სენის მოედანზე გავიდიოდა. აქ თითქოს უკეთესად, უფრო განმარტოებულად გრძნობდა თავს. ერთ დუქანში სადამო ჟამს მღეროდნენ: იჯდა მთელი საათი, ყურს უგდებდა სიმღერას. დაახსოვდა ისიც, რომ ესამოვნა ეს. ბოლოს უცბად საშინელი მოუსვენრობა დაეტყო, - თითქოს უცებ სინდისმა შეაწუხაო: „აი, ვზივარ და სიმღერას ვუგდებ ყურს, მაგრამ ასე უნდა ვიქცეოდე განა?! - იფიქრა თითქოს. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ მარტო ეს არ აწუხებდა; იყო რაღაც ისეთი, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვდა გადაწყვეტას, თუმცა არც მოსაზრება და არც სიტყვით მისი გადმოცემა არ შეეძლო, ყველაფერი ისე იყო ჩახლართული. „არა, ბრძოლა სჯობს ისევ, სჯობს ისევ პორფირი... ან სვიდრიგაილოვი... მალე მაინც მომეცეს მიზეზი... ან გამომიწვიონ, გამომიძახონ... დიახ! დიახ!“ - ფიქრობდა რასკოლნიკოვი. გამოვიდა დუქნიდან და თითქმის გაიქცა. დუნიასა და დედაზე გაფიქრებამ უცბად შიშისზარი დასცა. სწორედ ამ დილით იყო, ჯაგებში რომ გაეღვიძა, კრესტოვსკის კუნძულზე; გაყინულიყო, გაეციებინა, ამაგაგებდა. მაშინვე შინ წავიდა, რამდენიმე საათს გულიანად ეძინა, ციებამ გადაუარა; მაგრამ გვიან გაეღვიძა: ნაშუადღევის ორი საათი იყო უკვე.

მოაგონდა, რომ კატერინა ივანოვნას დასაფლავება ამ დღეს იყო სწორედ დანიშნული და გაეხარდა, რომ არ დაესწრო. ნასტასიამ საჭმელი მოუტანა; მადიანად და ხარბად შეუდგა ჭამას. თავს მსუბუქად გრძნობდა, შედარებით უფრო დამშვიდებული იყო, ვიდრე ამ რამდენიმე დღის წინათ. ასე რომ, გაიკვირვა კიდევ თითქმის თავისი საზარელი შიში. უცბად კარი გაიღო და ოთახში რაზუმინიჩინი შემოვიდა.

- ოჰო! სჭამს! მაშ ავად არა ბრძანდები! - შესძახა რაზუმინიჩინმა, აიღო სკამი და რასკოლნიკოვის პირდაპირ მიუჯდა მაგიდას.

რაზუმინი ადღევებული იყო, მაგრამ არც ცდილობდა დაემალა ღელვა. ლაპარაკებოდა აუჩქარებლივ. ხმას არ უმაღლებდა. ეტყობოდა, საგანგებო რამ განზრახვა ჰქონდა.

- ყური დამიგდე, რა გითხრა! - დაიწყო გადაწყვეტით, - ჩემთვის, რასაკვირველია, ერთი არის, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი, იმიტომ რომ აშკარად ვხედავ, ვერა გამიგია რა; ნუ იფიქრებ, გეთაყვა, ვითომ გამოსაკითხად და გამოსამიებლად მოვსულვარ. თავშიაც ქვა გიხლიათ! არა მსურს სრულიადაც! თვითონ რომ გამიმჟღავნო ახლა ყველაფერი და გადმომიშალო, რაც რომ საიდუმლო გაქვს, იქნება ზედაც არ შემოგხედო და ყურიც არ გათხოვო, ისე გაგმორდე. მოველ გასაგებად და ისიც ჩემთვის მხოლოდ: მართლა გიჟი ხარ თუ არა? გესმის, ხმა დადის შენზე (სად, რასაკვირველია, შენთვის სულ ერთია), ვითომ გიჟი ხარ, ანდა მიდრეკილი ხარ ამისკენ და შეიძლება მალე შეიშალო ჭკუიდან. გამოგიტყდები, აგრე ვფიქრობდი მეც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ვინ იცის, რა სისულელე და უმსგავსოება არ ჩაიდინე (რომლის ახსნაც ძნელია ერთობ), და მეორეც, იმის გამო, რომ დედასა და დას ისე მოეპყარ. მხოლოდ ფლიდსა და არამზადა ადამიანს ან შეშლილს შეეძლო ისე მოპყრობოდა, როგორ შენ მოეპყარ მაშინ; მაშასადამე, შეშლილი ხარ და სხვა არაფერი...

- დიდი ხანია, რაც ისინი ნახე?

- ეს არის ახლა. შენ კი მას შემდეგ აღარ გინახავს? მითხარი, გეთაყვა, სად დაეთრევი? სამჯერ ვიყავი შენთან. დედაშენი გუშინდლიდან ავად არის. შენს სანახავად წამოვიდა; არ უშვებდა ავდოტია რომანოვნა, მაგრამ არ გაუგონა: „თუ მართლა ავად არის და გონება შეერყა, ვინ უშველის სხვა, თუ არ დედაო?“ მოვედით ყველანი. რას ვიზამდით, მარტოს ხომ არ გამოვუშვებდით. გზაზე ვეხვეწებოდით, ვამშვიდებდით, ვიდრე შენი ოთახის კარს მოვალწევდით; შემოვედით, შინ არ იყავი. აი, აქ იჯდა დედაშენი მთელი ათი წუთი და გელოდა. ჩვენც თავზე ვადექით. წამოდგა მერე და თქვა: „თუ გარეთაც დაიარება და დედა კი დავიწყებული ჰყავს, მაშასადამე, უხერხულია და სამარცხვინო, მშობელი დედა კართან იდგეს და შვილის ალერსს მოწყალებასავით ელოდესო“. დაბრუნდა შინ და ჩაწვა ლოგინად; ახლა სიცხე აქვს: „კარგად ვხედავ, სატრფოსათვის დრო აქვს და მოცალეობა, დედისათვის კი არაო...“ ჰგონია, სოფია სემიონოვნა სატრფო იყოს შენი, თუ საყვარელი, არ ვიცი სწორედ. მე მაშინვე სოფია სემიონოვნასთან წავედი, იმიტომ, ძმაო, რომ მინდოდა ყველაფერი გამეგო. მივედი, ვნახოთ: კუბო დგას, ბავშვები ტირიან. სოფია სემიონოვნა სამგლოვიარო ძაძებს უკერავს. შენ იქ არსად ხარ. მივიხედ-მოვიხედე, ბოდიში მოვიხადე და წამოვედი; ყველაფერი ავდოტია რომანოვნას ვუამბე. ველაფერი ეს, მაშასადამე, სისულელეა, არავითარი სატრფო არა გყავს; თუ არის, ისევ შეშლილობაა მიზეზი. მაგრამ აი, ზიხარ და მოხარშულ ხორცს აძლები გულიანად, თითქოს სამი დღეა არა გიჭამია რაო. არა, მართალია, გიჟებიც მადიანად შეეცქევიან ხოლმე, მაგრამ ხმაც რომ არ გამცე, მაინც გატყობ, რომ... გიჟი არა ხარ! თუნდ დავიფიცებ. უპირველეს ყოვლისა, გიჟი არა ხარ. ეშმაკმა იცის თქვენი თავი! რაღაც საიდუმლოა მაშ აქ დაფარული; მე კი სულაც არ ვაპირებ თქვენს საიდუმლოებაზე თავი ვიმტვრიო. ისე შემოველ მხოლოდ, გასალანძლად, - თქვა მან დასასრულ და წამოდგომა დააპირა, - მინდოდა, გული მომეფხანა, თორემ ახლა კი ვიცი, რასაც ვიზამ!

- რაო, რას აპირებ მაინც?
- მერე შენი რა საქმეა, რასაც ვაპირებ?
- ვიცი, ადგები და გამოთვრები!
- საიდან... საიდან იცი?

რაზუმინი ერთ წამს გაჩუმდა.

- შენ მუდამ ჭკვიანი იყავი, არასოდეს შეშლილი არ ყოფილხარ, - დაიწყო უცბად ცხარედ. - ასეა, დიახ: გამოვთვრები! მშვიდობით! - და წასვლა დააპირა.

- გუშინწინ შენზე დას ველაპარაკე, რაზუმინი.

- ჩემზე? მაგრამ... სად ნახე განა გუშინწინ? - შედგა უცბად რაზუმინი, გაფითრდა თითქოს ცოტათი. ეტყობოდა, გულმა მძიმედ და მაგრად დაუწყო ცემა.

- აქ იყო, ჩემთან. მარტოდმარტო მოვიდა; იჯდა, მელაპარაკა.

- ავდოტია რომანოვნა!

- დიახ, ის!

- რაო მერე, რა უთხარი... ესე იგი, ჩემზე?

- ვუთხარი, რომ კარგი და პატიოსანი, შრომისმოყვარე კაცი ხარ. რომ გიყვარს იგი, მართალია, არ მითქვამს, იმიტომ რომ თვითონაც იცის.

- თვითონაც იცის?

- აი, კიდეც რა უნდა გითხრა! სადაც უნდა წავიდე და რაც უნდა დამემართოს, არ მოშორდე. შენ გაბარებ, მისი მფარველი იყავი. გესმის? ამას იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, გულით გიყვარს და მწამს შენი წრფელი გულის ამბავი. ვიცი ისიც, რომ იმასაც შეუძლია შეგიყვაროს; შეიძლება კიდეცა უყვარხარ. შენ გადაწყვიტე ახლა, რა არის სამჯობინო, - გამოთვრე თუ არა?

- როდკა... ხედავ... მაგრამ... აჰ, შე ეშმაკო! შენ სადღა აპირებ წასვლას? გესმის: თუ რომ საიდუმლოა ყველაფერი ეს, დეე! მაგრამ... გავიგებ მაგასაც... დარწმუნებული ვარ, დიდი რამ სისულელე იქნება, მარტოდმარტო შენგანვე დაწყებული. მაგრამ საუცხოო კაცი ხარ, საუცხოო!..

- ეს იყო მინდოდა მეთქვა, მაგრამ გამაწყვეტინე, რომ კარგად მოიფიქრე წელან, საიდუმლოს გაგებას არ ვეცდებიო. მოიცა ცოტა, თავს ნუ შეიწუხებ. თავის დროზე ყველაფერს გაიგებ. ერთმა მითხრა გუშინ, ჰაერი სჭირდება კაცსაო, ჰაერი! მინდა წავიდე ახლა და ვკითხო, ჰაერად რასა გულისხმობს.

რაზუმინი დაფიქრებული იდგა და რაღაცას საზრობდა.

„პოლიტიკური შეთქმულია უთუოდ! ვინ იცის, რას აპირებს? უეჭველია, ასეა! სხვანაირად არც შეიძლება... დუნიაშვილი იცის...“ - გაიფიქრა უცბად თავისთვის.

- ასე, მაშ, ავდოტია რომანოვნა დადის შენტან, - ჩაილაპარაკა ტკეპნით, - შენც ნახვა გინდა კაცისა, რომელსაც უთქვამს, ჰაერია მეტი საჭიროო... მაშასადამე, ეს წერილიც... უთუოდ იმასვე შეეხება, - დაასკვნა თითქოს თავისთვის რაზუმბინმა.

- რა წერილი?

- რაღაც წერილი მიიღო დღეს ავდოტია რომანოვნამ, რომელმაც ძალიან შეაშფოთა. ძალიან. თითქმის მეტისმეტადაც. მე შენზე დავუწყე ლაპარაკი, მთხოვა, გავჩუმებულიყავი. მერე... მითხრა, იქნება სულ მალე გავშორდეთ ერთმანეთსო; რაღაცისთვისაც მადლობას მიხდიდა მხურვალედ; შევიდა მერე თავის ოთახში და ჩაიკეტა.

- წერილი მიიღო? - დაეკითხა ფიქრში წასული რასკოლნიკოვი.

- ჰო, წერილი; როგორ, არ იცოდი განა? ჰმ!

ორივენი გაჩუმდნენ.

- მშვიდობით, როდიონ, ერთ დროს... ძმაო, მეც... მაგრამ მშვიდობით! ხედავ, ეს იყო მხოლოდ ერთ დროს... მშვიდობით. მაშ! დროა წავიდე. სმას არ დავიწყებ. საჭირო არ არის ახლა... მიჰქარავ!

რაზუმბინს სადღაც მიეჩქარებოდა; გავიდა გარეთ და თითქმის კარიც გაიხურა, რომ უცბად ისევ შემოაღო და უთხრა, თან სადღაც სხვა მხარეს იცქირებოდა: - მართლა! გახსოვს აი, ის მკვლელობა! აი ის, პორფირისა და ბებრუხანას საქმე! იცოდე მაშ, რომ უკვე იპოვეს მკვლელი. თვითონვე გამოტყდა და დასამტკიცებელი საბუთებიც წარმოადგინა. ერთი იმ მღებავთაგანი ყოფილა, გახსოვს, მაშინ რომ ისე ვესარჩლებოდი? არ დაიჯერებ, მთელი ის სცენა, სიცილი და ჩხუბი კიბეზე და ეზოში იმ დროს სწორედ, მეეზოვე და ის ორი მოწმე რომ ადიოდნენ, განგებ მოაწყო თურმე, რომ თვალები აება, ეჭვი არ აელეზინებინა. ვერ უყურებ, რა ეშმაკობა და მოხერხება ჰქონია იმ ლაწირაკს! ძნელია დასაჯერებლად, მაგრამ თვითონვე თურმე გამოტყდა და ახსნა ყველაფერი. არა, მეც რომ ისე მოვტყუვდი! მაგრამ ეს მხოლოდ გენიაა თვალთმაქცობისა და მოხერხებისა, გენიაა იურიდიულად თვალების აბმისა, - მაშასადამე, არც უნდა გიკვირდეს საიმისოდ! განა ასეთი რამ შეუძლებელია? რაც შეეხება იმას, რომ ვეღარ მოითმინა და გამოტყდა, ამას ხომ უფრო სარწმუნოდა ვთვლი. ნამდვილი სიმართლეა!.. არა, როგორ მოვტყუვდი მაშინ! თავგამოდებული ვუმტკიცებდი ყველას, მართალია-მეთქი!

- მითხარი, გეთაყვა, საიდან შეიტყვე, ან რისთვის იზიდავს შენს ყურადღებას ეგ საქმე?
- დაეკითხა რასკოლნიკოვი, რომელსაც, ეტყობოდა, მღელვარება ვერ დაეფარა.

- ამას უყურე ერთი! რისთვის იზიდავსო! მეკითხება!.. სხვათა შორის, პორფირისაგან გავიგე. თითქმის ყველაფერი იმისაგან შევიტყვე.

- პორფირისაგან?

- პორფირისაგან.

- რაო... რას ამბობს? - დაეკითხა შეშინებული რასკოლნიკოვი...

- მშვენივრად ამიხსნა ყველაფერი. ფსიქოლოგიურად ამიხსნა, თავისებურად.

- პორფირიმ აგიხსნა? თვითონ აგიხსნა?

- თვითონ. მშვიდობით! მერე ერთ რასმე კიდევ სხვასაც გიამბობ, ახლა კი საქმე მაქვს საჩქარო. იქ... ერთხანად ვიფიქრე... მაგრამ არა, მერე იყოს!.. რა საჭიროა, რომ დავითრო? ისედაც დამათვრე შენ. მთვრალი ვარ, როდკა! უღვინოდა ვარ მთვრალი, მშვიდობით. შემოგივლი, მალე შემოგივლი.

და გავიდა.

„ეს უთუოდ პოლიტიკური შეთქმულია, ეჭვი არ არის! - გადაწყვიტა საბოლოოდ რაზუმბინმა და მიმედ დაეშვა კიბეზე. - დაც ჩათრევი; ეს კი ძალიან შესაძლებელია, ავდოტია რომანოვნას ხასიათი რომ ვიცი. ერთმანეთს ხვდებიან!.. აკი ავდოტია რომანოვნაც გულისხმაში მაგდებდა... ბევრ იმის სიტყვას... გადაკვრით ლაპარაკსა და ეჭვებს ეტყობა ეს! მაშ, აბა, სხვა მხრივ რით აიხსნება ეს ჩახლართული საქმე? ჰმ! მე კი მეგონა... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მომივიდა ფიქრად. დიახ, გონთ დამიბნელდა, დამნაშავე ვარ მის წინაშე! მაშინ იყო, დერეფანში, სანათთან, გონთ რომ დამიბნელდა. უჰ! რა საძაგელი და საზიზღარი ფიქრი გავიტარე გულში!.. ყოჩად, ნიკოლკავ, რომ გამოტყდი... ეს წინანდელი რომ ახლა ყველაფერი მშვენივრად იხსნება! ეს მისი მაშინდელი ავადმყოფობა, უცნაური საქციელი, უწინაც კი, ჯერ ისევ უნივერსიტეტში, რა დაღვრემილი და მოღუშული იყო მუდამ... მაგრამ ეს წერილი რაღას ნიშნავს ნეტა? ამასაც უთუოდ რამე აზრი აქვს. ვისგან არის ნეტა? ეჭვი მაქვს, მაგრამ... ჰმ! არა, ყველაფერს შევიტყობ“.

მოისაზრა და გაიხსენა ყველაფერი დუნეჩკაზე და გული გაუყინა უცებ. დაიძრა და გაქანდა მაშინვე.

გავიდა თუ არა რაზუმბინი, წამოდგა მაშინვე რასკოლნიკოვი, მიბრუნდა ფანჯრისაკენ, ხან ერთ კუთხეს ეცა, ხან მეორეს, თითქოს დაავიწყდაო, რა ვიწრო იყო მისი პატარა ოთახი და... დივანზე დაჯდა ისევ. თითქოს ხელახლა დაიბადა. ჯერ კიდევე შეიძლებოდა ბრძოლა, მაშასადამე, ხსნაც შესაძლებელი იყო!

„დიახ, გამოსავალიც აღმოუჩნდა! თორემ მეტისმეტად იყო ყველაფერი დახშული, შებორკილი, სულს უხუთავდა და ტანჯავდა რაღაც, თავბრუ ეხვეოდა. მას შემდეგ, რაც მიკოლკას სცენა ნახა პორფირისთან, გრძნობდა, რომ სულთქმა დაეხშო. მიკოლკას შემდეგ, იმავე დღეს სონიასთან ისევ ისე ტანჯვა-წამება განიცადა; აქაც ისევ ვერ შეასრულა ბოლომდე თავისი განზრახვა, როგორც წინათ ფიქრობდა... დასუსტდა უცხად, მოუძღურდა ერთბაშად! აკი დათანხმდა კიდეც სონიას, თვითონვე დათანხმდა; დათანხმდა გული, რომ ასე მარტოდმარტო ამ საზარელი საიდუმლოთი ვერ შეძლებდა მართლაც სიცოცხლეს! სვიდრიგაილოვი? ის ხომ ამოცანაა სრული... მართალია, სვიდრიგაილოვიც მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ იმ მხრივ როდი. იქნება სვიდრიგაილოვთან დასჭირდეს კიდეც ბრძოლა, მაგრამ პორფირი სხვა საქმე იყო სულ.“

ასე, მაშ პორფირის თვითონ აუხსნია რაზუმბინისათვის, ფსიქოლოგიურად აუხსნია! ისევ თავის დაწყევლილ ფსიქოლოგიას სწვდა პორფირი?! განა იქნება, ერთი წამით მაინც დაიჯეროს პორფირიმ, რომ მიკოლკაა დამნაშავე, ისიც იმის შემდეგ, რაც მიკოლკას შემოსვლამდე მათ შორის ამბავი მოხდა, რომელსაც შეიძლება მხოლოდ

ერთადერთი ახსნა ჰქონდეს? შეუძლებელია (რამდენჯერმე გაახსენდა ამ დღეებში რასკოლნიკოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ის სცენა, რაც პორფირისთან მაშინ მოხდა; მაგრამ მთლიანად ყველაფრის მოგონება ვერ შეძლო). შიგადაშიგ ბევრი რამ ითქვა მაშინ, ისეთი კილოთი და სახით უთხრეს ზოგიერთი რამ ერთმანეთს და იმ ზომამდე მიაღწიეს, რომ ამის შემდეგ მიკოლკა (რომელიც პორფირიმ პირველი სიტყვიდანვე შეისწავლა) ვეღარ შეურყევდა უთუოდ პორფირის ძირითად აზრსა და შეხედულებას.

როგორია! რა ზომიხინსაც რომ ეჭვი შეჰპარვია! დერეფანში სანათთან მომხდარ სცენას უქმად არ ჩაუვლია მაშინ. აკი ამიტომ მაშინვე პორფირისთან გაქანდა... მაგრამ რად დაუწყო ნეტა ასე მოტყუება პორფირიმ? რა აქვს აზრად ნეტა, რომ განგებ თვალებს უხვევს რა ზომიხინს და მიკოლკაზე უთითებს? არა, უთუოდ განზრახვა რამ აქვს, უეჭველია, მაგრამ რა განზრახვა ნეტა? მართალია, იმ დილის შემდეგ კარგა დრომ განვლო, - თითქმის ძალიან დიდმაც, მაგრამ პორფირიზე არა ისმის რა.

რასაკვირველია, ეს უარესია...“ რასკოლნიკოვმა ქუდს ხელი დაავლო, ჩაფიქრებული ოთახიდან გამოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს პირველად იყო თავის გონზე. „საჭიროა სვიდრიგაილოვთან საქმე როგორმე გავათავო, და რაც შეიძლება მალე, - ფიქრობდა თავისთვის, - ისიც, მგონი, იმას ელის, რომ თვითონ ვეახლო“. უცბად ისეთი სიძულვილი იგრძნო მისმა დაღლილ-დაქანცულმა გულმა, რომ ადვილად შეეძლო რომელიმე იმათგანი - ან სვიდრიგაილოვი, ან პორფირი - მოეკლა კიდევ. იგრძნო აშკარად, რომ ახლა თუ არა, შემდეგში მაინც შეეძლო უთუოდ ასე მოქცეულიყო. „ვნახოთ, ვნახოთ“, - იმეორებდა თავისთვის.

მაგრამ ის იყო გამოალო დერეფნის კარი, რომ უცებ პორფირი შეეჩეხა წინ. პორფირი მასთან მოდიოდა. რასკოლნიკოვი ერთ წამს გაშეშდა თითქოს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთ წამს. უცნაურია, მაგრამ არც აგრერიგად გაჰკვირვებია და არც შემინებია, რომ პორფირი ეწვია. ცოტათი შეკრთა მხოლოდ, მაგრამ იმავე წამს თავი შეიმაგრა, მოემზადა. „იქნება გათავდეს როგორმე საქმე! მაგრამ ასე როგორ ამოიპარა კატასავით, რომ ვერა გავიგე რა? იქნება ყურს მიგდებდა?“

- არ მელოდით განა, როდიონ რომანიჩ! - შესძახა სიცილით პორფირი პეტროვიჩმა. - დიდი ხანია ვაპირებდი შემომეველო, ახლა გზად მოვდიოდი და გავიფიქრე, რატომ არ ვინახულო ხუთიოდ წუთით-მეთქი და შემოველი. გეტყობათ, სადღაც აპირებთ? არ დაგაგვიანებთ. პაპიროსს მოვწევ ერთს, თუ ნებას მომცემთ.

- დაბრძანდით, პორფირი პეტროვიჩ, დაბრძანდით, - სთხოვა რასკოლნიკოვმა ისეთი კმაყოფილი და მეგობრული კილოთი, რომ თვითონვე გაუკვირდებოდა უთუოდ, შორიდან რომ თვალი დაეკრა თავისი თავისათვის. უკანასკნელ ნარჩენს და ნალექს ეღებოდა ბოლო! ასე ემართება ხოლმე ხშირად კაცს: ნახევარ საათს უზომო შიშისზარი აიტაცებს ყაჩაღის წინაშე მდგომს, მერე კი თუნდ ყელში დანაც მიაჭირონ, აღარასა გრძნობს, შიში აღარა აქვს. დაუჯდა პირდაპირ პორფირის და უცქეროდა, თვალი არ დაუხამხამებია. პორფირიმ თვალი მოჭუტა, პაპიროსს დაუწყო მოკიდება.

„ილაპარაკე, ჰო, ილაპარაკე, - თითქოს მზად იყო ამოხდომოდა გულიდან რასკოლნიკოვს. - რაღას უცდი, რატომ არ იწყებ?“

II

- აი, ეს პაპიროსი! - დაიწყო პორფირი პეტროვიჩმა, როგორც კი მოუკიდა და შეისუნთქა, - მაწყინარია, ვიცი, ნამდვილად, მაგრამ თავი ვერ დამინებებია! ვახველებ, მაქოშინებს. იცით რა, მშიშარაცა ვარ. წავედი ამ წინაზე ბ-თან, - თითო ავადმყოფს სულ ცოტა ნახევარ საათსა სინჯავს; გაეცინა თითქმის, რომ შემომხედა. ყური დამადო, გამსინჯა, - თამბაქო გწყენთ, ფილტვები გაქვთ გაგანიერებულიო. მერე, როგორ დავანებო თავი? სამაგიეროს რას შევეჩვიო? უბედურება ის არის, რომ არა ვსვამ, ხე-ხე-ხე! კიდევ ეს არის უბედურება! ყველაფერი შედარებითია მხოლოდ, როდიონ რომანიჩ, შედარებითი!

„რას სჩადის ამას, წინანდებურ ხერხს მიმართა ისევ, თუ რა არის!“ - გაიფიქრა ზიზლით რასკოლნიკოვმა. უკანასკნელი შეხვედრის ამბავი მთლიანად გაახსენდა და იგრძნო, რომ მაშინდელივით რაღაც რამ გრძნობა მოაწვა გულზე.

- ამ სამი დღის წინათაც შემოგარეთ სადამოთი; თქვენ იქნებ არც კი იცით? - განაგრძობდა პორფირი პეტროვიჩი და თან ოთახს ათვალთქვებდა. - ამ ოთახში ვიყავი. დღევანდელივით გზად მივდიოდი; ვიფიქრე, მოდი შევუვლი, ვინახულე-მეთქი. შემოვედი, კარი ყურთამდე ღია იყო; მივიხედ-მოვიხედე, შევიცადე პატარახანს. მაგრამ მოსამსახურე გოგოს არც კი დავუცადე, წავედი. კარს არ ჰკეტავთ ხოლმე?

რასკოლნიკოვს თანდათან მეტად ეღუშებოდა სახე. პორფირი თითქოს მიუხვდა, რასა ფიქრობდა იგი.

- მოვედი ასახსნელად, როდიონ რომანიჩ, ასახსნელად მოვედი, ჩემო კარგო! მოვალე ვარ ყველაფერი განგიმარტოთ, - განაგრძობდა ღიმილით პორფირი პეტროვიჩი და თან მუხლის თავებზე ხელი დაიკრა ოდნავ. მაგრამ უცბად დინჯი გამომეტყველება და ზრუნვა აღებეჭდა სახეზე; ცოტათი თითქოს დანადვლიანდა კიდევ, რამაც გააკვირვა თითქმის რასკოლნიკოვი. არასოდეს ასეთი არ ენახა პორფირი პეტროვიჩი. - უცნაური ამბავი მოხდა, როდიონ რომანიჩ, უკანასკნელად ჩვენ შორის. მართალია, პირველადაც შეგვემთხვა უცნაური ამბავი, მაგრამ მაშინ... ახლა კი სხვა არის სულ. იცით რა: იქნება ძალიანაც დამნაშავე ვიყო თქვენ წინაშე: თქვენ მუხლები და ნერვები გიკანკალებდათ. მეც მუხლები და ნერვები მიკანკალებდა. იცით რა, ცოტა უწესოდაც კი მოვიქეცი მაშინ ორივენი, თავაზიანობა სრულიად დავკარგეთ. მაინც ხომ ჯენტლმენები ვართ; ყოველ შემთხვევაში ჯენტლმენები ვართ მაინც, ეს პირველი და უმთავრესია; კარგად გვახსოვდეს უნდა. გახსოვთ, სადამდე მივედი?... მთლად უზრდელობა იყო.

„რას ნიშნავს ეს, ვინ ვგონივარ ნეტა?“ - ეკითხებოდა გაკვირვებული რასკოლნიკოვი თავის თავს და გაშტერებული შეჰყურებდა პორფირის.

- გადავწყვიტე, რომ გულახდილად მოქმედება უმჯობესია ჩვენთვის, - განაგრძობდა პორფირი პეტროვიჩი და თან ოდნავ თავი გვერდზე გადაეგდო, დაბლა იხედებოდა, თითქოს აღარ უნდა, თავისი მსხვერპლი შეაკრთოს და წინანდელ ხრიკებს და ოინებს მიმართოსო. - დიახ, დიდხანს ასეთი ექვები და ასეთი ამბები შეუძლებელია. მაშინ კიდევ მიკოლკამ გაგვაწყვეტინა ლაპარაკი, თორემ, ვინ იცის, სანამდის მივალწევდით. ის წყეული მოქალაქე, წარმოიდგინეთ, ფიცრულს იქით მეჯდა. რასაკვირველია, თქვენ უკვე იცით ეს; მეც კარგად ვიცი, რომ იმ ამბის შემდეგ თქვენთან მოვიდა; მაგრამ თქვენ რაც გეგონათ, ტყუილი იყო: არავის დასაძახებლად არ გამგზავნია,

არავითარი განკარგულება არ მომეხდინა. იკითხავთ, რატომ არაო? როგორ გითხრათ: თვითონ მეც მაშინ თავგზა ამეხნა. ძლივს გავეცი განკარგულება, რომ მეეზოვეებისათვის დაეძახნათ (იმედია, შენიშნავდით, გარეთ იდგნენ). ერთმა ფიქრმა გამიელვა; მტკიცედ ვიყავი მაშინ დარწმუნებული, როდიონ რომანიჩი: თუნდ ერთი ხელიდან გამისხლტეს, მეორეს მაინც კუდში წავავლებ-მეთქი, მაინც არ გავუშვებ-მეთქი. მოუთმენელი ხართ მეტად და ფიცხი ბუნებისა, როდიონ რომანიჩი; თითქმის, უზომოდაც, თუმცა ხასიათი და გულიც სხვანაირი გაქვთ; იმედი მაქვს, ცოტაოდნად მივხვდი კიდეც თქვენს ხასიათს, თუმცა, რასაკვირველია, მაშინაც კი შემეძლო მეფიქრა, რომ მუდამ ერთნაირად არა ხდება, - წამოდგეს კაცი და უცებ ყველაფერში გამოგიტყდეს, ყველაფერი გაგიმჟღავნოს. მართალია, ასეც ხდება ხოლმე, განსაკუთრებით თავს რომ მოაბეზრებ და გაუჭირვებ საქმეს, მაგრამ იშვიათად. მეც შემეძლო, რასაკვირველია, მომეფიქრა ეგ. მაგრამ არა, მეწადა მაინც კვალს დავდგომოდი! თუნდაც სულ მცირე რამ კვალს, მაგრამ ისეთს, რომ ხელჩასაჭიდი ყოფილიყო, რომ საბუთად გამომდგომოდა, მარტო ფსიქოლოგიაზე არ ვყოფილიყავი დამყარებული. იმიტომ, რომ ვფიქრობდი, თუ ადამიანი დამნაშავეა, შეეტყობა და გამოაჩნდება როგორმე-მეთქი. შეიძლება სრულიად მოულოდნელმა რამ შემთხვევამ გასცეს-მეთქი. თქვენი ხასიათის იმედი მქონდა მაშინ, როდიონ რომანიჩი, ყველაზე მეტად ხასიათისა! დიდი იმედი მქონდა თქვენი, დიახ!

- რაო... ნეტა რას ამბობთ ახლა, - წაიბუტბუტა ბოლოს რასკოლნიკოვმა, მაგრამ თვითონაც ვერ მოესაზრა კარგად, რას ეკითხებოდა. „რაზე მელაპარაკება, - ეკითხებოდა თავის თავს დაბნეული, - ნუთუ მართლაც უდანაშაულოდ მცნობს?“

- რას ვამბობ? რასა და იმას, რომ წმინდა მოვალეობად ვცანი, მოვსულიყავი და ამეხსნა. მინდა, ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ, როგორ მოხდა ეს მაშინდელი გონთდაბნელების ამბავი. ბევრი კი გტანჯეთ, როდიონ რომანიჩი. მართლა ასეთი უღვთო და გულქვა კი არ ვარ. მესმის, რა ძნელია ყველა ამის ატანა გაწამებული, მაგრამ ამაყი გულისა და უფლების მოყვარე, მოუთმენელი კაცისათვის, განსაკუთრებით მოუთმენელისათვის! ყოველ შემთხვევაში, უკეთილშობილეს და თითქმის დიდსულოვან კაცადა გთვლით მაინც, თუმცა ყველა თქვენს შეხედულებას არ ვეთანხმები, რასაკვირველია; გიცხადებთ ამას პირდაპირ და წინდაწინვე, სრულიად გულწრფელად, რადგანაც არა მსურს მოგატყუოთ. გაგიცანით თუ არა, მაშინვე გული შემვარდა, თუმცა შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ კიდეც ჩემი სიტყვები. უფლება გაქვთ. ვიცი, რომ თავდაპირველად არ შეგიყვარდით როგორღაც, თუმცა არცთუ მაქვს რამე შესაყვარები. როგორც გინდათ, ჩათვალეთ, მაგრამ მინდა როგორმე გამოვისყიდო ის პირველი შთაბეჭდილება და დაგიმტკიცოთ, რომ მეც კაცი ვარ, მეც გული მაქვს და სინდისი, გულწრფელად გეუბნებით.

პორფირი პეტროვიჩმა ამაყად შეწყვიტა სიტყვა. რასკოლნიკოვმა უცებ რაღაც ახალი შიში იგრძნო. საშინლად შეაშინა უცხად იმ ფიქრმა, რომ პორფირი მას დამნაშავედ არა სთვლიდა.

- ყველაფრის რიგზე ხელმეორედ მბობა, როგორ დაიწყო მაშინ უცებ ეს, საჭირო არც კია, - განაგრძობდა პორფირი პეტროვიჩი, - პირიქით, ჩემი აზრით, მეტიც კია და ვერც შევძლებდი. როგორ ავხსნა აბა დაწვრილებით? პირველად ჯერ ხმა დავარდა. რა ხმები იყო, ან ვისგან და როდის... ან რა მიზეზით მოდგა თქვენზე ჯერი, ჩემი აზრით, ესეც მეტია. პირველად კი შემთხვევით დამეხდა აზრი, ერთი სრულიად

შემთხვევითი ამბის გამო, რომელიც ადვილად შეიძლება მომხდარიყო კიდევ და არც მომხდარიყო. მაგრამ რა შემთხვევისა? ჰმ! ესეც, მგონი, სათქმელი არ არის. ყველაფერი ეს, ხმებიცა და შემთხვევაც, ჩემთვის ერთ აზრად შედუღდა. გულახდილად გამოგიტყდებით, იმიტომ რომ, თუ გამოტყება, სჯობს ყველაფერში გამოტყდეს კაცი, - პირველად მე მოვიტანე თქვენზე გუმანი. ეს რაღაც ბებრუხანას ჩანიშნული ცნობები ნივთებზე და სხვანი, ყველაფერი ეს სისულელეა. ასეთი რამ ასობით იყო. შემთხვევა მომეცა აგრეთვე დაწვრილებით გამეგო ყველაფერი, რაც საპოლიციო უბანში შეგემთხვათ, შესანიშნავი სიზუსტითა და სისრულით, გასაოცრად წარმომიდგინეს მთელი სურათი, თუმცა შემთხვევით მოხდა ესეც და მთხრობელმა არც არაფერი იცოდა ჩემი ეჭვისა. ყველაფერი ეს ერთიმეორეს დაერთო, ჩემო კარგო როდიონ რომანიჩ! ან კი როგორ შეიძლება, გარკვეული რამ აზრი არ შემედგინა! ისე, როგორც ბაჭისაგან ცხენი არ წარმოსდგება, ასევე ასი ეჭვი დამამტკიცებელ საბუთს ვერ შექმნის, როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს. მაგრამ ამას მხოლოდ გონიერება გვკარნახობს, თორემ გრძნობა, გრძნობა სხვა რამ არის, ძნელად თავდასაჭერი. აბა, სცადეთ და დასძლიეთ; გამომძიებელიც კაცია მხოლოდ. მომაგონდა აქ თქვენი წერილიც, ჟურნალში დაბეჭდილი; გახსოვთ, პირველად რომ გნახეთ, დაწვრილებითა გვექონდა ლაპარაკი. მართალია, მაშინ დაგცინეთ თითქოს, მაგრამ მინდოდა საკამათოდ გამომეწვიეთ. გიმეორებთ, მოუთმენელი ხართ და ავადმყოფი მეტად, როდიონ რომანიჩ. გამბედავი რომ იყავით, თავზვია, დინჯი და... ბევრსა გრძნობდით, ბევრიც გეგრძნოთ უკვე, ყველაფერი ეს დიდი ხანია ვიცოდი. ყველა ეს ნაცნობია უკვე ჩემთვის და თქვენი წერილიც ისე წავიკითხე, ვითომ წინათვე მცოდნოდეს. უძილო ღამეებში მღელვარების დროს, გულისცემითა და უსასოო შთაგონებით ნაფიქრია ეს წერილი. ეს უსასოო, ამაყი აღტაცება ერთობ სახიფათოა ახალგაზრდისათვის! მაშინ დაგცინეთ, მაგრამ გეტყვით ახლა, რომ საშინლად მიყვარს ეს ახალგაზრდული სიფიცხე კალმისა. კვამლია, ჯანდი, მაგრამ ჯანღში სიმების წვრილი ისმის. წერილი თქვენი ფანტაზიის ნაყოფია და შეუსაბამო, მაგრამ დიდი გულწრფელობა, მიუდგომელი, ახალგაზრდული სიამაყე და სასოწარკვეთილი გამბედაობა ეტყობა; წერილი შემზარავია, მაგრამ კარგია. წავიკითხე მაშინ თქვენი წერილი და გადავდე... მაგრამ გადავდე თუ არა, მაშინვე ვიფიქრე: „ასე არ ჩაუვლის-მეთქი ამ კაცს!“ მითხარით მაშ ახლა, როგორ არ უნდა გავეტაცე შემდგომ ვითარებას, როცა დასაწყისი ასეთი იყო! ეჰ, ღმერთო, მაგრამ ვამბობ რასმე განა? ვამტკიცებ რასმე ახლა? მაშინ მე შევნიშნე მხოლოდ. რა არის-მეთქი აქ საიმისო, ვიფიქრე? არაფერია სრულიად, იქნება ნატამალიც კი არა იყოს-მეთქი რა. არც ასე გატაცება შემფერის-მეთქი, როგორც გამომძიებელს: აი, მიკოლკა ხელში მყავს და საბუთებიც საკმაოდ მაქვს, რაც გინდათ თქვით, საბუთი მაინც საბუთია! იმასაც თავისი ფსიქოლოგია აქვს; უნდა საფუძვლიანად შევისწავლო-მეთქი; იმიტომ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეა გადასაწყვეტი. რისთვის გიხსნით ყველაფერ ამას, იცით? იმიტომ, რომ იცოდეთ ყველაფერი და მაშინდელი გაბოროტებისათვის არ გამამტყუნოთ. ბოროტება არა მქონია გულში, გულწრფელად გეუბნებით, ხე-ხე-ხე! როგორ გგონიათ, არ გამიჩხრეკიხართ მაშინ? ვიყავი, ხე-ხე, ვიყავი, როცა თქვენ აქ იწეით, ლოგინში, ავადმყოფი. მართალია, ოფიციალურად და ჩემი სახით არა, მაგრამ ვიყავი კია. უკანასკნელ წვრილმანამდის ყველაფერი გავსინჯეთ ახალ კვალზე: მაგრამ umsknst![54] ვფიქრობდი: ახლა კი თვითონ მოვა და ძალიან ძალეც-მეთქი; უთუოდ მოვა, თუ დამნაშავეა-მეთქი. სხვა არ მოვა, მაგრამ ეს უთუოდ მოვა. გახსოვთ, რაზუმინინიც როგორ ვეღარ ითმენდა და ერთთავად გელაპარაკებოდათ, მოუსვენრობდა? ჩვენ მოვაწყეთ განგებ ასე, რომ აგველეღვებინეთ;

ამიტომაც განზრახ დავყარეთ ხმა, რომ რაზუმინის თქვენთან როგორმე წამოსცდენოდა და ეთქვა; იმიტომ რომ ვიცოდი, რაზუმინის ისეთი კაცია, ვერ მოითმენდა, ბრაზი დაახრჩობდა. ბატონ ზამეტოვსაც უცხად აელო ეჭვი თქვენი რისხვისა და მოურიდებელი გაბედულების გამო: როგორ შეიძლებოდა, აბა, ტრაქტორში პირდაპირ იმის წამოძახება: „მე მოვკალიო!“ გაბედულია მეტად და კადნიერი-მეთქი ეს საქციელი, ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ თუ მართლა დამნაშავეა, საშინელი თავზეხელაღებული ვინმე უნდა იყოს-მეთქი! ასე ვიფიქრე მაშინ. გიცდით, გიცდით მოუთმენლად, ზამეტოვისათვის კი პირში ბურთი ჩაგეჩარათ მაშინ და... საქმეც ეგ არის, რომ ეს წყეული ფსიქოლოგია ორმხრივია, ორაზროვანი! მაგრამ გიცდიდით მაინც. და ვნახოთ, უცებ, მადლობა ღმერთს, მოხვედით კიდევ! გულმა ფანცქალი დამიწყო. ოჰ! რისთვის მოხვედით მაშინ? სიცილი, სიცილი თქვენი, რომ შემოხვედით და ჩაბჭირდით, გახსოვთ? თითქოს სარკეში დამენახოს ყველაფერი, ისე მივხვდი მაშინვე; მაგრამ, ისე რომ არა მქონოდა თქვენი მოლოდინი, არც თქვენი სიცილი მეჩვენებოდა მაშინ საეჭვოდ. აი, რას ნიშნავს, კაცი რომ წინათვე მომზადებულია და ელის. ბატონი რაზუმინიც მაშინ, - ეჰ! ქვა, ქვა, მართლა, გახსოვთ ქვა, რომლის ქვეშაც ნივთებია დამალული? აი, თითქოს მართლა ვხედავდე სადმე ბოსტანში, - ბოსტანშიო, აგრე უთხარით, არა, ზამეტოვს და მეორეჯერ კიდევ მე მითხარით? რომ დავიწყეთ თქვენი წერილის გარჩევა და თქვენ გვიხსნიდით, ყოველი სიტყვა ორაზროვანი გვეჩვენა, თითქოს სხვა ეწერა შიგ და სხვა იგულისხმებოდა! ასე მივალწიე, როდიონ რომანიჩ, უკანასკნელ საზღვარს და გონს მოვედი. არა-მეთქი, - ვთქვი მაშინ, - რას ჩავდივარ! ასე ხომ, რომ მოვიწოდომო, სრულიად წინააღმდეგე შეიძლება დამტკიცდეს-მეთქი და უფრო ბუნებრივიც იქნება. ხედავთ, არ ვმალავ, ხომ უფრო ბუნებრივიც იქნებოდა. ვიტანჯებოდი თითქმის! „არა, სჯობს, ისევ როგორმე ნამდვილ კვალს მივაგნო-მეთქი!..“ - ვფიქრობდი... და აი, მოვკარი თუ არა ყური ზარის წკარუნის ამბავს, მაშინვე გული გამყინა, კანკალი დამაწყებინა თითქმის. ესეც კვალი-მეთქი! დიახ! აღარც კი რამ მიფიქრია, აღარ მინდოდა. თუნდა ათას მანეთს მივცემდი ჩემსას, რომ თვალი როგორმე დამეკრა თქვენთვის მაშინ, იმ მოქალაქეს რომ ას ნაბიჯზე მისდიეთ თითქმის, „მკვლელი“ რომ დაგიძახათ პირდაპირ და თქმით კი, მთელი ასი ნაბიჯი ისე იარეთ, ვერა გაუბედეთ რა!.. ნეტა ცივი ჟრუანტელი როგორ გივლიდათ? ის როგორღა იყო, რომ ავადმყოფი და სიცხიანი ზარს უწკარუნებდით, ჰა? თან კი ბოდავდით თითქმის. რაღა მაშ ამის შემდეგ საკვირველი, როდიონ რომანიჩ, რომ ისე მოგეპყართ და გეხუმრეთ მაშინ? მაგრამ თქვენ რაღა სწორედ მაშინ მოხვედით? ღმერთმანი, თქვენც ვილაცამ თითქმის ძალით, კისერში ცემით გამოგაგდოთ, მაგრამ მიკოლკამ გაგვაშველა... მიკოლკა ხომ გახსოვთ? კარგად დაგახსომდათ ხომ? ცის მეხი იყო თითქოს! ელდასავით მოულოდნელად აგვიჩნდა! მე, მე, როგორღა შევეგებე იმ მეხის ჩამოვარდნას, კარგად ნახეთ! ან კი საიდან დავუჯერებდი! თქვენ შემდეგაც დალაგებით მომიგო ბევრ ჩემს კითხვაზე, ასე რომ გამაკვირვა კიდევ, მაგრამ არც მაშინ დავუჯერე! აი, რას ნიშნავს აზრის სიმტკიცე, შეურყევლობა. არა-მეთქი, მორგენ ფრი! რის მიკოლკა, რას ბრძანებთ!

- ეს იყო რაზუმინისმა მითხრა, რომ ახლაც მიკოლკასა თვლით თურმე დამნაშავედ; თქვენვე თურმე არწმუნებდით რაზუმინის...

მაგრამ სული შეუფუბდა, ვეღარ დაათავა. საშინლად აღელვებული უგდებდა ყურს, როგორ უარყოფდა თავის ნათქვამს ის ადამიანი, რომელმაც ასე კარგად გაიცნო იგი,

რასკოლნიკოვი. მაგრამ ეშინოდა დაეჯერებინა და არცა სჯეროდა, რასაც ეუბნებოდა. ცდილობდა, პორფირი პეტროვიჩის ორაზროვანი სიტყვებიდან უფრო ნამდვილი რამ და საბოლოო გამოერკვია.

- ბატონმა რაზუმიხინმა თქვაო! - შეჰყვირა პორფირი პეტროვიჩმა, თითქოს გაეხარდა, რომ აქამდის ჩუმად მყოფმა რასკოლნიკოვმა ხმა ამოიღო, - ხე-ხე-ხე! აგრე უნდოდა რაზუმიხინს, საჭირო იყო მისი ჩამოშორება: როცა ორსა აქვს საქმე, მესამე არ უნდა ერეოდეს. ბატონი რაზუმიხინი კი ასე არ იქცეოდა, მასთან ის გარეშე კაცია. მოიბრბინა ჩემთან გაფითრებულმა... მაგრამ, ღმერთმა კარგად ამყოფოს, რა საჭიროა ისიც ჩავრიოთ! მიკოლკაზე გინდა გაიგოთ, რა კაციც არის, ესე იგი, რა აზრისა ვარ? ჯერ ერთი, ბავშვია, უწლოვანი, მაგრამ მშობარა როდია. ისე თითქოს ხელოვანს უფრო ჰგავს. მართლა, ნუ იცინით კი, რომ ასე გაცნობთ. მიაშიტია და ყველაფერი მასზე ადვილად მოქმედებს, შთაბეჭდილებას ტოვებს. გული აქვს ისეთი: ოცნებით ცხოვრობს. სიმღერა, ცეკვა, ზღაპრების მზობა, ყველაფერი დიდად ემარჯვება, როგორც გადმომცეს. ასე რომ, საიდან აღარ იკრიბებიან თურმე, რომ ყური დაუგდონ. სკოლაშიაც თურმე ხალისიანად დადიოდა, სიცილიც გულიანი იცოდა, უგრძნობლად დათრობაც, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გაფუჭებული იყო და გარყვნილი, ისე, ათასში ერთხელ როცა დააღვეინებდა ვინმე. აი, მაშინაც ქურდობა ჩაიდინა, მაგრამ თვითონ კი არა იცოდა რა ამისი; იმიტომ რომ, „ძირს ეგდო და ავიღე, რა ქურდობააო?“ ახლა ისიც იცით, რომ მწვალებელთაგანია თვითონ, - ესე იგი სექტანტი; ამ წინაზედაც ორი წელიწადი ვილაცა მოხუცთან გაუტარებია სოფელში სულის განსაწმენდად. ყველაფერი ეს მიკოლკასაგან და ზარაისკელებისაგან შევიტყვე. ეგ რა არის! უდაბნოში აპირებდა გაქცევას! ასეთი მისწრაფება ჰქონდა თურმე, ღამღამობით ღმერთს ლოცულობდა, ძველ, „ქემმარიტ“ წიგნებს თავდავიწყებით კითხულობდა. პეტერბურგმა თურმე ძლიერ იმოქმედა, განსაკუთრებით ქალებმა და ღვინომ. ადვილად იტაცებს ყველაფერი და ამიტომაც მალე დაივიწყა მოხუციცა და ყოველივე. ვიცი, მაგალითად, რომ აქ ერთმა მხატვარმა შეიყვარა, დადიოდა და სწავლობდა კიდეც, მაგრამ ეს შემთხვევა გამოუვარდა უცბად. დაფრთხა საწყალი, შეშინდა; თავი უნდა ჩამოეხრჩო! გაქცევა უნდოდა! რას იზამთ, როცა ჩვენი მართლმსაჯულების შესახებ ხალხში ასეთი წარმოდგენა გავრცელებული. ზოგიერთს მარტო ერთი სიტყვა „გასამართლებაც“ კი საზარლად ეჩვენება. ვისი ბრალია! ვნახოთ, ახალი სამართალი რას გვეტყვის. ღმერთმა ინებოს! ასეა საქმე; ახლა ისევ მოჰგონებია წმინდა მოხუცი დაპატიმრებულს; „დაბადებაც“ ისევ გაუჩენია. იცით, როდისონ რომანიჩ, ზოგიერთი მათგანისათვის „ტანჯვა“ რას ნიშნავს? სხვისი გულისათვის კი არა, ისე, უბრალოდ „ტანჯვის მიღება“, მეტადრე თუ ხელისუფლება მიაყენებს ამ ტანჯვას. ჩემს ხელში ერთი მეტად მშვიდობიანი პატიმარი იჯდა ციხეში მთელი წელიწადი; ღამღამობით სულ „დაბადებას“ კითხულობდა ღუმელზე დაწოლილი; ისე გაერთო კითხვაში და იქამდის გაიტაცა, რომ ერთხელ საიდანღაც აგური გამოაძრო და უფროსს ესროლა პირდაპირ, თუმცა იმას შეურაცხყოფა არა მიუყენებია რა მისთვის. მერე, იცით, როგორ ესროლა: მთელი არშინით შორს გადააგდო გვერდზე აგური, რომ ვნება არა მიეყენებინა რა მისთვის! მოგეხსენებათ, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამრიგად უფროსზე თავდასხმას: „გამოდის, მაშასადამე, რომ ნებაყოფლობით იკისრა ტანჯვა“. მიკოლკასაც უთუოდ ფიქრად ესა აქვს, სურს „ტანჯვა იკისროს“. ნამდვილად ვიცი, საბუთი მაქვს ამისა, რომ ასეა. მაგრამ თვითონ, რასაკვირველია, არ იცის, რომ მე ვიცი ეს. როგორ გგონიათ, ამათი წრის ხალხში კი არ არიან ოცნებით გატაცებულები? რამდენიც გინდათ. მოხუცის გავლენა ისევ დაეტყო,

განსაკუთრებით მას შემდეგ გაახსენდა, რაც თავის ჩამოხრჩობა განიზრახა. მაგრამ ბოლოს თვითონ მოვა, მიაშობს ყველაფერს. როგორ გგონიათ, შეიმაგრებს თავს? მოითმინეთ, უარს იტყვის ისევ! ყოველ საათს ველი, რომ მოვა და ჩვენებაზე უარს იტყვის. შემიყვარდა და დაწვრილებით ვირკვევ, რა ადამიანია. როგორ გგონიათ! ხე-ხე-ხე! ზოგიერთი მუხლის შესახებ ისე დალაგებით და გონივრულად მაძლევდა პასუხს, ეტყობოდა, საჭირო ცნობები მოეკრიბა და მომზადებულიყო; სხვების შესახებ კი სულ არა გაეგება რა და ვერცა გრძნობს, რომ არა იცის რა! არა, ჩემო კეთილო როდიონ რომანიჩ, მიკოლკა აქ არაფერ შუაშია! აქ უფრო ფანტასტიკური, ბნელი საქმეა, თანამედროვე შემთხვევაა, ადამიანს რომ გული აემღვრევა და წარმოუდგება, სისხლი „აახლებს“ კაცსაო; შემთხვევა, როდესაც კეთილმოწყობილ ცხოვრებას ითხოვენ და ქადაგებენ. მწიგნობრის ნაოცნებარია ეს, თეორიულად აღელვებული გულის ნაყოფია. ეტყობა, საცდელად გადაუწყვეტია და უცებ თითქოს მთიდან ან მაღალი სამრეკლოდან გადმოვარდაო, უგრძნია, რომ უნებურად ჩაუდენია დანაშაული. კარიც კი არ მიუხურავს, რომ შესულა, - დავიწყებია; მოკვლით კი ორი მოუკლავს, ისიც თეორიითვე. მოკლა, მაგრამ ფულის წაღება ვეღარ მოახერხაო; რაც წაიღო, ისიც ქვის ქვეშ დაფლა. არ იკმარა, რა ტანჯვაც კარს უკან დგომის დროს გამოიარა, გარედან რომ შესვლას ლამობდნენ, კარს ამტვრევდნენ და ზარიც წკარუნებდა, - არა, არ იკმარა ეს: სიცხიანმა, ბოდვის დროს, ერთხელ კიდევ მოინდომა ცარიელი ბინის ნახვა და ზარის წკარუნის გაგონება; უნდოდა, კიდევ გაეხსენებინა წარსული და ცივ ჟრუანტელს დაერბინა.. ეს არაფერი, ავად იყო და იმიტომ. რაშია საქმე: მოკლა, მაგრამ პატიოსან კაცადა თვლის თავს, ხალხი სძულს და ფერმკრთალი ანგელოზივით დაიარება, - არა, მეგობარო ჩემო, როდიონ რომანიჩ, რის მიკოლკა, რას ბრძანებთ!

მოულოდნელი იყო მეტად რასკოლნიკოვისათვის ეს სიტყვები, რადგანაც წინათ ნათქვამით პორფირი პეტროვიჩი თითქოს უარყოფდა მის დანაშაულს. უცბად მთლად აცახცახდა, თითქოს განგმირეს რითიმეო.

- მაშ... ვინ... ვინ მოკლა?... - ვეღარ მოითმინა და შეეკითხა სულშეგუბებული რასკოლნიკოვი.

პორფირი პეტროვიჩმა უცებ უკან გაიწია, სკამს მიაყრდნო ზურგი, თითქოს მოულოდნელი იყო მისთვის ეს კითხვა და გაიკვირვაო.

- როგორ თუ ვინ მოკლა? - გაიმეორა, თითქოს ყურს არ უჯერებდესო, - ვინა და თქვენ, როდიონ რომანიჩ! თქვენ მოკალით... - დასძინა თითქოს ჩურჩულით, მაგრამ სრულიად მტკიცე ხმით.

რასკოლნიკოვი დივნიდან წამოხტა, რამდენიმე წამს ასე იდგა, ისევ დაჯდა, ხმა არ ამოუღია. უცებ სახე აუთრთოლდა, დაემანჭა.

- ეგ ტუჩი რატომ მაშინდელივით აგითამაშდათ, - წაიბუტბუტა თითქოს თანაგრძნობით პორფირი პეტროვიჩმა. - თქვენ, ვგონებ, ცოტა ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი, როდიონ რომანიჩ, და ამიტომ გაიკვირვეთ, - დასძინა მცირე სიჩუმის შემდეგ პორფირიმ. - მოვედი სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი გითხრათ და გაგიმჟღავნოთ.

- ტყუილია. მე არ მომიკლავს, - ჩაიჩურჩულა რასკოლნიკოვმა შეშინებული ბავშვივით, დანაშაულზე რომ წაასწრებენ.

- არა, სწორედ თქვენ მოკალით, როდიონ რომანიჩ, თქვენა, სხვამ არავინ, - გაუმეორა მკაცრად და მტკიცედ პორფირიმ.

გაჩუმდნენ ორივენი, ასე იყვნენ დიდხანს, თითქმის ათ წუთზე მეტ ხანს. რასკოლნიკოვი მაგიდას დაეყრდნო, თმას იბურძგნიდა ჩუმად. პორფირი პეტროვიჩიც იჯდა წყნარად და უცდიდა. უცბად რასკოლნიკოვმა ზიზღით გადახედა პორფირის.

- ძველ ხრიკებს მიმართეთ ისევ, პორფირი პეტროვიჩ? მიკვირს, როგორ არ მოგწყინდათ?

- ეჰ, კმარა, გეთაყვა, ხრიკები რაღა საჭიროა? სხვა არის, რომ მოწმეები გვყავდნენ, თორემ ორნი ვსხედვართ მარტოდმარტო და ვჩურჩულებთ ჩვენთვის. კარგად ხედავთ, იმიტომ არა ვარ მოსული, რომ კურდღელივით წაგიგდოთ და დაგიჭიროთ. გამოტყდებით თუ არა, - ორივე ერთია ჩემთვის ამჟამად. ჩემდათავად მაინც დარწმუნებული ვარ.

- მაშ თუ აგრეა, რაღად მოხვედით? - დაეკითხა გაბრაზებული რასკოლნიკოვი, - გეკითხებით მაშინდელივით: თუ მართლა დამნაშავედა მთვლით, რატომ არ მიჭერთ?

- აი, ეგ მართლაც საკითხავია! ახლავე დაწვრილებით გიპასუხებთ: ჯერ ერთი, აგრე პირდაპირ თქვენი დაპატიმრება არაფერი სახეიროა ჩემთვის.

- როგორ თუ სახეირო არ არის? მოვალე ხართ, თუ მართლა დარწმუნებული ბრძანდებით...

- ეჰ, რა არის, რომ დარწმუნებული ვარ? ჯერ ეს მარტო ოცნებაა ჩემი. ან რა იქნება, რომ ჩაგსვათ და მოგასვენოთ? თქვენც იცით ეს, იმიტომაც ჩამციებხართ აგრე. მოგიყვანთ, მაგალითად, იმ მოქალაქეს, რომ პირში წაგიდგეთ, თქვენ კი ეტყვიან: „მთვრალი ხომ არა ხართ? ვინა გვნახა ერთად? მე შენ მთვრალად მეჩვენე და მართლაც მთვრალი იყავიო“. მითხარით ახლა, რა გითხრათ ამაზე მით უმეტეს, რომ თქვენ უფრო დაგეჯერებათ, ვიდრე იმას, იმიტომ, რომ იმის ჩვენებაში მარტო ფსიქოლოგიაა, სხვა არაფერი, - რაც იმის სიფათს სულ არ შეჰფერის, - თქვენ კი პირდაპირ გაამტყუნებდით, იმიტომ, რომ უბედურად სვამს და ყველამ იცის ეს. თვითონ მეც რამდენჯერ გამოგიტყდით, რომ ორმხრივია და ორაზროვანი ეს ფსიქოლოგია; ამასთან, მეორე მხარე უფრო მეტად საბუთიანი იქნება და სიმართლის მსგავსი, ამის მეტი კი თქვენს წინააღმდეგ სულ არა მაქვს რა. თუმცა ჩაგსვამთ მაინც და იმიტომაც მოვედი, რომ ყველაფერი წინდაწინ გამოგიცხადოთ, გამოგიტყდებით მაინც პირდაპირ, რომ ჩემთვის ეს სულაც არ არის სახეირო. მეორეც, კიდევ იმიტომ მოვედი, რომ... - დიახ, დიახ, რატომ?! (ჯერ კიდევ ვერ მოებრუნებინა სული რასკოლნიკოვს).

- იმიტომ რომ მოვალედ ვრაცხდი ჩემს თავს, ამეხსნა. არ მინდა საზიზღარ ადამიანად მთვლიდეთ, მით უმეტეს, რომ სრულიად გულწრფელად გეპყრობით. გინდათ, მენდეთ, გინდათ - არა. მესამე კიდევ, მოვედი მერჩია გულახდილად, რომ

გამოტეხილიყავით. თქვენთვისაც ბევრად სახეირო იქნება ესა და ჩემთვისაც: მძიმე ტვირთივით მომეშვება. მითხარით, გულახდილობაა ეს ჩემ მხრივ თუ არა?

რასკოლნიკოვი ერთ წამს ჩაფიქრდა.

- მოითმინეთ, პორფირი პეტროვიჩ, თქვენვე გამოტყდით, ფსიქოლოგიაზეა ყველაფერი ეს დამყარებულიო, და მათემატიკურად კი გადაგიწყვეტიათ საქმე. ხომ შეიძლება, თქვენ თვითონაც სცდებოდეთ ახლა?

- არა, როდიონ რომანიჩ, არ ვცდები! მიზეზი მაქვს, მაშინვე გამოვარკვიე ხომ; მაღლობა ღმერთს!

- რა მიზეზი გაქვთ?

- არ გეტყვით, როდიონ რომანიჩ, რა მიზეზი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფლება აღარა მაქვს, მეტ ხანს გაცალოთ; ჩაგსვამთ, მაშასადამე. იფიქრეთ აბა: ჩემთვის ახლა ორივე ერთია, თუ გეუბნებით, თქვენთვის გეუბნებით მხოლოდ. გეფიცებით, უმჯობესი იქნება, როდიონ რომანიჩ!

მწარედ გაეცინა რასკოლნიკოვს.

- ეს ხომ პირდაპირ უსირცხვილობაა და არა მარტო სასაცილო. თუნდაც მართლა დამნაშავე ვიყო (თორემ მე ხომ არ ვამბობ ამას), რაო, რისთვის მოვიდე და გამოგიტყდეთ, როდესაც თვითონვე ამბობთ, მოსასვენებლად ჩაგსვამთ ციხეშიო?

- ეჰ, როდიონ რომანიჩ, სიტყვას მუდამ როდი უნდა ენდოთ; იქნება მოსვენებაც არ იყოს, ვინ იცის? ეს ხომ მარტო თეორიაა და ისიც ჩემი საკუთარი; მე კი, აბა რად უნდა დამიჯეროთ. ვინ იცის, იქნებ ახლაც გიმალავთ რასმე. ხომ არ ავიღებ და ყველაფერს პირდაპირ არ გადაგიშლით. ხე-ხე-ხე! თუ იკითხავთ, თქვენთვის სახეირო რა არის, გეტყვით: იცით, რა შეღავათი მოგეცემათ, თუ გამოტყდებით? აბა იფიქრეთ, რა გარემოებაში მოხვალთ და გამოტყდებით! მაშინ, როდესაც სხვამ იღო თავს დანაშაული და საქმე არია. მეც, გეფიცებით ღმერთს, ისე მოვაწყობ „იქ“ საქმეს, ვითომ მოულოდნელი იყო სრულიად ეგ თქვენი გამოცხადება. ამ ფსიქოლოგიასა და ეჭვებს თქვენზე მთლად გავაუქმებ, არარად ვაქცევ. ასე რომ, თქვენი დანაშაული რაღაც გონების დაბნელებად ეჩვენებათ; და მართლაც ასეა სწორედ, სინდისის ქვეშ თუ ვიტყვით, პატიოსანი კაცი ვარ, როდიონ რომანიჩ, და შევძლებ კიდევ შევასრულო ჩემი სიტყვა.

ღუმდა რასკოლნიკოვი, ნაღვლიანად თავი ძირს დაეხარა; კარგა ხანს რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს გაეღიმა კიდევ, მაგრამ წყნარი იყო და ნაღვლიანი ეს მისი ღიმილი: - ეჰ, რა საჭიროა! - ჩაილაპარაკა მან, თითქოს აღარც კი უმაღლავს რასმე პორფირისო. - არა ღირს, არ მინდა ეგ თქვენი შეღავათი!

- აი, აი, მაგისი მეშინოდა სწორედ! - შესძახა თითქოს უნებურად, მაგრამ ფიცხად პორფირიმ, - მაგისი მეშინოდა სწორედ, რომ ჩვენს შეღავათს არ ინდომებდით.

ნაღვლიანად და დინჯად გადახედა რასკოლნიკოვმა პორფირის.

- ეჰ, ეგრე ნუ მოიძულებთ სიცოცხლეს! - განაგრძობდა პორფირი, - ჯერ კიდევ დიდი დრო გიდევთ წინ. როგორ თუ არ გინდათ შეღავათი! მოუთმენელი ხართ მეტად!

- რა მიდევს წინ?

- რა და სიცოცხლე! წინასწარმეტყველი ხომ არა ხართ, რა იცით აბა? ეძიეთ და ჰპოვეთ. იქნება განგებ შეგამთხვიათ ღმერთმა. ბორკილი ხომ სამუდამო რამ არ არის!..

- შელავათს მოგცემითო!.. - გაეცინა რასკოლნიკოვს.

- რაო, ბურჟუაზიული სირცხვილისა შეგეშინდათ? არა, ვინ ამბობს, შეიძლება შეგეშინდათ კიდეც, მაგრამ თვითონაც არ იცით, იმიტომ რომ ახალგაზრდა ხართ! თქვენ მაინც არ უნდა გეშინოდეთ და არცა გრცხვენოდეთ გამოტეხვისა და აშკარად აღიარებისა.

- ეჰ, რა თავში ვიხლი! - ჩაიბუტბუტა ზიზლითა და სიძულვილით რასკოლნიკოვმა, თითქოს ლაპარაკიც აღარ სურსო. მერე კვლავ წამოდგა, თითქოს წასვლა უნდაო სადმე, მაგრამ სასოწარკვეთილი დაჯდა ისევ.

- უბედურებაც ეგ არის! რა თავში იხლით! გული გაგტეხიათ და გგონიათ, ვითომ გატყუებდეთ; მითხარით, დიდი ხანია განა, რაც ცოცხლობთ? ბევრი რამ გესმით განა? გამოიგონეთ რაღაც თეორია და შეგრცხვით მერე, რომ არ გაგიმართლდათ, ორიგინალურად არ მოგივიდათ! მართალია, საზიზღრად მოხდა ყველაფერი, მაგრამ თქვენ მაინც უნუგეშოდ დაკარგული და გაფუჭებული არა ხართ. სულაც არა! დიდხანს მაინც არ იტყუებდით თავს! რა გგონიათ, როგორ ადამიანადა გთვლით? ისეთ ადამიანად, რომ თუნდ შიგნეულობაც გადმოეყრევიანებინათ თქვენთვის, მაინც ღიმილით შეეგებებოდით თქვენს მტანჯველს, ოღონდ რწმენა გქონოდათ ღვთისა ან სხვისა რისამე. ჰპოვეთ ეს რწმენა და შეძლებთ კიდეც ცხოვრებას. ჯერ ერთი, დიდი ხანია საჭირო იყო თქვენთვის, ჰაერი გამოგეცვალათ. რა გგონიათ, ტანჯვაც კარგი საქმეა. იკისრეთ, მამასადამე, სასჯელი და დაიტანჯეთ. შეიძლება მიკოლკაც არა ტყუოდეს, რომ ტანჯვა უნდა. ვიცი, არა გწამთ რა, მაგრამ ჭკუას ძალას ნუ ატანთ ტყუილად; მიენდეთ ცხოვრებას, მსჯელობას თავი დაანებეთ, ნუ სწუხართ, - პირდაპირ ნაპირზე გაგიყვანთ და ფეხზე დაგაყენებთ. რომელ ნაპირზე? რა ვიცი? მჯერა მხოლოდ, რომ დიდხანს იცოცხლებთ კიდეც. ვიცი, ახლა გაზეპირებულ დარიგებად ჩამითვლით ამ სიტყვებს, მაგრამ იქნებ მერე მომიგონოთ, დაგჭირდეთ როდესმე; იმიტომ გეუბნებით. კარგია კიდეც, ბებრუხანა მოკალით მარტო. თორემ სხვა რამ თეორია რომ მოგეგონათ, მაშინ ხომ მილიონჯერ უსაძაგლეს რასმე ჩაიდენდით! იქნება ღმერთსაც უნდა ვუმადლოდეთ, ვინ იცის: იქნება სხვა რამისთვისაც გფარვიდეთ. სულგრძელი იყავით და ნუ შეგეშინდებათ. შეგეშინდათ, რომ დიდი საქმე გედოთ წინ შესასრულებლად? არა, არა, სირცხვილია შიში. თუ ჩაიდინეთ ასეთი რამ, გამაგრდით კიდეც. სამართლიანობა მოითხოვს ამას. შეასრულეთ მამ სამართლიანობის მოთხოვნილება. ვიცი, რომ არა გწამთ რა და არა გჯერათ რა, მაგრამ გეფიცებით, ცხოვრება შეგამლებინებთ. შეგიყვარდებათ. ახლა მარტო ჰაერია თქვენთვის საჭირო, ჰაერი!

შეხტა თითქმის რასკოლნიკოვი.

- მერე ვინა ხართ, გეთაყვა, რომ ეგრე წინასწარმეტყველებთ? რა უფლებით მიწინასწარმეტყველებთ აგრე ბრძნულად და დიდებული სიმშვიდით?

- ვინა და გათავებული კაცი, სხვა არაფერი. კაცი, რომელსაც შეუძლია გრძნობაცა და თანაგრძნობაც, მასთან ერთად ცოდნაც აქვს ზოგიერთი რამისა, მაგრამ მისი საქმე მაინც წასულია. თქვენ კი სრულიად სხვა ხართ: თვითონ ღმერთს განუმზადებია თქვენთვის სიცოცხლე (თუმცა შეიძლება კვამლივით გაგეფანტოთ, არა გამოვიდეს რა). რა არის, რომ სხვა ჯურის ხალხში გადაინაცვლებთ? თქვენი გულის პატრონს, მე ვიცი, განცხრომა არ დაგნანდეთ! რა არის, რომ დიდხანს ვერავინ დაგინახავთ? დროს ხომ არა აქვს აქ აზრი, თქვენა გაქვთ, თქვენ თვითონ. გაბრწყინდით მზესავით და ყველა დაგინახავთ. მზე რის მზეა მაშ, თუ არ იმზევებს. რას იღიმებით ისევ: რაო, გიკვირთ, რომ ასეთი შილერი ვარ? თუნდაც სანადლეოს დავდებ, რომ გგონიათ, ვითომ განგებ გელაქუცებოდეთ! ვინ იცის, იქნებ მართლაც აგრე იყოს, ხე-ხე-ხე! სიტყვით ნურც კი მენდობით, როდიონ რომანიჩი, ნუ მენდობით ნურასოდეს, - ჩვეულება მაქვს ასეთი, თანახმა ვარ; მაგრამ იცით, რას გეტყვით: პატიოსანი ვარ თუ სულმდაბალი, თქვენც შეგიძლიათ განსაჯოთ, ვგონებ!

- დაპატიმრებას როდის მიპირებთ?

- ერთ-ორ დღეს კიდევ შეგიძლიათ ისეირნოთ. კარგად მოიფიქრეთ, ჩემო კარგო, ღმერთი ილოცეთ. მაგრამ გეფიცებით, თქვენთვისაც სახეიროა.

- ჰო, მაგრამ რომ გაგექცეთ? - დაეკითხა რაღაც უცნაური ღიმილით რასკოლნიკოვი.

- ეგ კი ტყუილია, ვერ გამექცევით. გლეხი კაცი გამექცევა, მოდის მიმდევარი ვინმე სექტანტი გამექცევა, - სხვისი აზრის მონა-მსახური, ვისაც საკმარისია მიჩმან დირკასივით თითი უჩვენო მხოლოდ, რომ სამუდამოდ დაიჯეროს და ირწმუნოს ყველაფერი, რასაც ისურვებ. თქვენ კი თავადაც არა გჯერათ თქვენი თეორია, - რიღას პატრონი გაიქცევით მაშ? ან რას გამორჩებით? გადახვეწა სამძიმოა, თქვენ კი უპირველესად სიცოცხლე, გარკვეული მდგომარეობა და შესაფერისი ჰაერი გჭირდებათ. მერე აიტანთ კი იმ ჰაერს? გაიქცევით, მაგრამ უკანვე დაბრუნდებით. უჩვენოდ ვერ გაძლებთ. ციხეში რომ ჩაგსვათ, იჯდებით ერთი თვე, ორი, სამი, მერე უცბად მოიგონებთ ჩემს სიტყვას და თვითონვე მოხვალთ, მაგრამ ისე, რომ თქვენთვისაც მოულოდნელი იქნება. ერთი საათის წინაც არა გეცოდინებათ რა, თუ მოხვალთ და გამოტყდებით.

დარწმუნებული ვარ თითქმის, რომ „ტანჯვას იკისრებთ“; მართალია, ახლა ჩემი არა გჯერათ, მაგრამ ვიცი, ამას გზას ვერ აუქცევთ. იმიტომ, რომ დიდი რამ არის, როდიონ რომანიჩი, ტანჯვა; ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რომ გავსუქებულვარ, რა ვუყოთ? მაგრამ ვიცი, ასეა! ნურც იცინით ამაზე. იმიტომ რომ ტანჯვასაც თავისი აზრი აქვს. მიკოლკა როდი ცდება. არა, როდიონ რომანიჩი, არ გამექცევით.

რასკოლნიკოვი წამოდგა და ქუდი აიღო. წამოდგა პორფირი პეტროვიჩიც.

- გასეირნებას აპირებთ? კარგი სადამო იქნება, ვგონებ, ეგ არის მხოლოდ, შეიძლება იწვიმოს. თუმცა კარგიც კია ერთი მხრივ, გააგრილებს...

პორფირი პეტროვიჩმაც ქუდს დაავლო ხელი.

- არ იფიქროთ, პორფირი პეტროვიჩი, - უთხრა მკაცრად და დაჟინებით რასკოლნიკოვმა, - ვითომ გამოგიტყდით დღეს. უცნაური კაცი ხართ და ამიტომ

გიგდებდით ასე ცნობისმოყვარეობით ყურს. მაგრამ არაფერში არ გამოვტყუილვარ... დაიხსომეთ ეს.

- რასაკვირველია, ვიცი, დავიხსომებ, - ხედავთ, როგორა თრთის; ნუ სწუხართ, გეთაყვა: იყავნ ნება თქვენი. ისეირნეთ ცოტა კიდევ; ბევრი კი გაწყენთ. ყოველ შემთხვევაში, ერთი პატარა თხოვნა მაინცა მაქვს თქვენთან, - დაუდაბლა ხმას პორფირი პეტროვიჩმა, - მართალია, უხერხულია ცოტა, მაგრამ მნიშვნელოვანი კია: თუ რომ, ვინ იცის (თუმცა არც მჯერა და ვერც შეასრულებთ), ჭკუაში დაგიჯდეთ ამ ორმოცი ან ორმოცდაათი საათის განმავლობაში სხვანაირად როგორმე, ფანტასტიკურად საქმის გათავება, - ესე იგი სასიკვდილოდ გაიმეტოთ თავი (მართალია, უგუნური მოსაზრებაა, მაგრამ მაპატიებთ), გთხოვთ, მაშინ ბარათი მაინც დატოვოთ, ასე ორიოდე სტრიქონი, როგორ იყო საქმე... და ქვაც მოიხსენიოთ შიგ: კეითლშობილური იქნება უფრო. ასე მაშ, ნახვამდის... კეთილ განზრახვას გისურვებთ!

პორფირი როგორღაც მოკაკული გავიდა, ცდილობდა, არ ეცქირა რასკოლნიკოვისათვის. რასკოლნიკოვი ფანჯარასთან მივიდა და მოუთმენლად დაელოდა, როდის გავიდოდა იგი ქუჩაში და მიეფარებოდა ცოტათი. მერე თვითონაც სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან.

III

რასკოლნიკოვი სვიდრიგაილოვისაკენ გაეშურა. რას ელოდა და რის იმედი ჰქონდა ამ კაცისაგან, თვითონაც არ იცოდა. მაგრამ, ეტყობოდა, რაღაც ძალა და უფლება კი ჰქონდა ამ კაცს მასზე. შეიგნო თუ არა ეს, ველარ მოისვენა ვერაფრით. ახლა ხომ დროც იყო მოახლოებული.

ერთი რამ აწუხებდა საშინლად გზაზე: იყო ნეტა სვიდრიგაილოვი პორფირისთან თუ არა?

რამდენადაც კი შეძლო და მოისაზრა, დარწმუნდა, რომ ჯერ არ უნდა ყოფილიყო! რამდენჯერმე კიდევ გაიხსენა პორფირისთან შეხვედრის ამბავი, მოისაზრა ყველაფერი და გადაწყვიტა კვლავ, რომ ექვი არ არის, არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ თუ არ ყოფილა ჯერ, წავა თუ არა? აი, რა აფიქრებდა ამჟამად.

ჯერჯერობით არ ეგონა, თუ წავიდოდა. მაგრამ რატომ? ახსნა და დასაბუთება ამისი, რასაკვირველია, არ შეეძლო, თუმცა, თუნდ შეძლებოდა კიდევ, საიმისოდ თავს არ გაიცხელებდა ამჟამად. ყველაფერი ეს ტანჯავდა, მაგრამ არც საიმისოდ თითქოს. უცნაური იყო სწორედ და არავინ დაიჯერებდა, რომ თავის ახლობელ და გარდაუვალ ბედისწერაზე ასე მცირედ ზრუნავდა. რაღაც სხვა რამ ტანჯავდა, გაცილებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო, - ისევ მას შეეხებოდა და არა სხვას, მაგრამ სულ სხვა რამ იყო და უმთავრესი ეს საგანი. ამასთან გრძნობდა საშინელ ზნეობრივ დაღლილობას, თუმცა იმ დილით გაცილებით უკეთ სჯიდა მისი გონება, ვიდრე ბოლო დღეებში.

მაგრამ ღირდა კი განა, - რაც მოხდა, იმის შემდეგ, - რაღაც ახალ, წვრილმან დაბრკოლებათა ძლევა? ღირდა, მაგალითად, ცდილიყო როგორმე, რომ სვიდრიგაილოვს პორფირი არ ენახა? ან გაეგო და შეეტყო, რას ფიქრობდა სვიდრიგაილოვი, ამაზე დრო დაეკარგა!

ეჰ, როგორ მოსწყინდა ყველაფერი ეს!

მიუხედავად ამისა, მაინც მიემუხრებოდა სვიდრიგაილოვისკენ; იქნებ იმიტომ, რომ ახალ რამეს ელოდა მისგან, მითითებისა და ხსნის იმედი ჰქონდა? წყალწაღებული ხომ ხავსს ეჭიდება მუდამ! ან იქნებ ბედისწერამ შეჰყარა ერთად? იქნებ მხოლოდ დადლილობა და სასოწარკვეთილება იყო ეს; იქნებ სვიდრიგაილოვს კი არა, სხვას ვისმე ეძებდა, მაგრამ ეს კი შერჩა ხელში. იქნებ სონიაც უნდოდა? მაგრამ რისთვის და რაღა ახლა? ნუთუ იმისთვის მხოლოდ, რომ აეტირებინა? არა, არა, სონია მხოლოდ ესაზარლებოდა ახლა: რაღაც უღმობელ განაჩენად და ურყევ გადაწყვეტილებად ეჩვენებოდა. ორში ერთი უნდა ყოფილიყო: ან სონიასაგან ნარჩევ გზას დასდგომოდა, ან არადა ჩამოსცილებოდა. განსაკუთრებით კი ახლა ეძნელებოდა მისი ნახვა. იქნებ უმჯობესი იყო, სვიდრიგაილოვი გამოეცადა ისევ: რა არის ეს? გამოუტყდა თავს, რომ ის მარლაც დიდი ხანია უკვე რიდაცისათვის თითქოს სჭირდებოდა.

მაგრამ რა უნდა ჰქონოდათ საერთო? ბოროტმოქმედებაც კი შეუძლებელი იყო ერთნაირი ჩაედინათ. იცოდა ამასთანვე, მეტისმეტად უსიამოვნო, გარყვნილი, ეშმაკი და მატყუარა უნდა ყოფილიყო, იქნება ბოროტიც კი. ასეთი ხმები დადიოდა სვიდრიგაილოვის შესახებ. მართალია, კატერინა ივანოვნას ბავშვებისათვის რაღაცას ზრუნავდა, მაგრამ, ვინ იცის, რისთვისა და რა აზრით? ერთთავად რაღაც გაუგებარი განზრახვა და პროექტები აქვს ამ კაცს.

კიდევ ერთი აზრი იყო, რომ არ აძლევდა მოსვენებას ამ უკანასკნელ დღეებში; თუმცა ცდილობდა, როგორმე განედევნა, იქამდის შეაწუხა! ფიქრობდა ზოგჯერ: სვიდრიგაილოვი გარს მივლის ერთთავად, აღარ მასვენებს; ჩემი საიდუმლო შეუტყვია; დუნიას მიმართაც რაღაც განზრახვა ჰქონდა. მერე, რომ ახლაცა ჰქნდეს? ეჭვი არ არის, ახლაცა აქვს. მერე ამ საიდუმლოს წყალობით რომ ხელში ჩაიჭიროს და დუნიას წინააღმდეგ იარაღად გამოიყენოს?

სიზმარშიაც კი საშინლად ტანჯავდა ზოგჯერ ეს აზრი, მაგრამ ასე ნათლად პირველად ახლა წარმოუდგა მხოლოდ, სვიდრიგაილოვთან რომ მიდიოდა. მარტო ეს ფიქრიც კი საშინლად აბრაზებდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ მისი მდგომარეობაც შეიცვლებოდა: მაშინვე უნდა გაემჟღავნებინა დუნეჩკასთვის საიდუმლო. იქნებ უნდა გამოტეხილიყო კიდევ, რომ დუნეჩკას არა ჩაედინა რა მოუფიქრებლად. წერილი რაღა იყო ნეტა? დღეს დილით მიუღია დუნიას რაღაც წერილი! ვისგან უნდა მიეღო? ვინა ჰყავს პეტერბურგში? (ლუჟინისგან თუ?) მართალია, რაზუმიხინი თვალყურს ადევნებს, დარაჯობს, მაგრამ არა იცის რა. იქნება საჭიროც იყოს, რაზუმიხინს გამოუტყდეს. მაგრამ შეეზიზღა იმავე წამს ეს ფიქრი.

მაინც საჭიროა, რაც შეიძლება საჩქაროდ ინახულოს სვიდრიგაილოვი, - გადაწყვიტა საბოლოოდ. მადლობა ღმერთს კიდევ, დაწვრილებით საქმის გაგება არ არის საჭირო, მხოლოდ არსი აინტერესებს მისი; მაგრამ მართლა რამ განზრახვა რომ ჰქონდეს და ხრიკებს უგებდეს დუნიას, - მაშინ...

იქამდის იყო ამ ერთი თვის განმავლობაში დადლილი და დაქანცული, რომ ამგვარი კითხვების სხვარიგად გადაწყვეტა სრულიად აღარ ეხერხებოდა: „მოვკლავ მაშინ“, - გაიფიქრა გულცივად სასოებადაკარგულმა. მძიმე რამ გრძნობამ საშინლად შეუხუთა გული; შედგა შუა ქუჩაში, მიიხედ-მოიხედა: რომელი გზით მიდიოდა და სად გაჩნდა? - სკის პროსპექტზე იყო, ორმოციოდე ნაბიჯზე სენიდან, რომელიც გამოველო უკვე.

მარცხნივ მეორე სართული სახლისა ტრაქტირს ეჭირა. ყველა ფანჯარა ყურთამდე გაეღო; როგორც ფანჯრებიდან მოჩანდა, ტრაქტირი ხალხით იყო გაჭედული. დარბაზში სიმღერები გაისმოდა, კლარნეტსა, ვიოლინოსა და ოსმალურ დოლზე უკრავდნენ. ისმოდა დედაკაცების წივილ-კივილი. ის იყო უნდოდა, უკანვე გამობრუნებულიყო, რადგან ვერ გაეგო, რისთვის შემოუხვია სკის პროსპექტისაკენ, რომ უცებ ტრაქტირის ერთ-ერთ შორეულ ღია ფანჯარაში სვიდრიგაილოვს მოჰკრა თვალი: ფანჯარასთან უჯდა ჩაის მაგიდას, ჩიბუხს ეწეოდა... საშინლად გააოცა და შეაშინა ამ გარემოებამ. ყურადღებით ადევნებდა თვალს სვიდრიგაილოვიც, მაგრამ გაოცებულმა რასკოლნიკოვმა შენიშნა, რომ იმას უნდოდა თითქოს ჩუმად წამომდგარიყო და მოესწრო, შეუმჩნევლად მოჰფარებოდა. რასკოლნიკოვმა მაშინვე განგებ მოარიდა თვალი, ვითომ თვითონაც არ შეუმჩნევიაო იგი, და ჩაფიქრებულმა სხვა მხარეს დაიწყო ყურება; ცალ თვალს კი მაინც არ აშორებდა. გული როგორღაც მოუსვენრად უცემდა. ასე იყო სწორედ: სვიდრიგაილოვს არ უნდოდა, რასკოლნიკოვს დაენახა. პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ცდილობდა დამალულიყო; მაგრამ გასწია თუ არა სკამი, უცბად შეამჩნია, რომ რასკოლნიკოვი თვალს ადევნებდა, ხედავდა. ამჟამად იგივე მოხდა მათ შორის, რაც პირველი შეხვედრის დროს, სვიდრიგაილოვი რომ მძინარეს წაადგა თავზე. სვიდრიგაილოვს ეშმაკურად გაეღიმა და პირის ნაპობი თანდათან გაეზარდა. ერთმაც იცოდა და მეორემაც, რომ ერთმანეთს ხედავდნენ, თვალყურს ადევნებდნენ. ველარ შეიმაგრა თავი ბოლოს სვიდრიგაილოვმა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

- კარგით, ჰო, შემოდით, თუ გინდათ; აქა ვარ! - გადმოსძახა ფანჯრიდან.

რასკოლნიკოვი ტრაქტირში შევიდა.

სვიდრიგაილოვი ერთფანჯრიან პაწია უკანა ოთახში იჯდა, რომლის გვერდითაც ვეება დარბაზში ოც პატარ მაგიდასთან ვაჭრები, მოხელეები და მრავალი სხვა ხალხი ჩარიგებულიყო და ჩაისა სვამდა. ისმოდა საშინელი ყვირილი და გამაყრუებელი სიმღერა. საიდანღაც ბილიარდის ბურთების კაკაკუკი მოდიოდა. სვიდრიგაილოვს გახსნილი შამპანურის ბოთლი და ნახევრად სავსე ღვინის ჭიქა ედგა მაგიდაზე. ოთახშივე იყვნენ პატარა მეარღნე ბიჭი და თვრამეტი წლის ახალგაზრდა გოგო, ჯანსაღი და ლოყაწითელა, ზოლებიან დაბლაკაბასა და ტიროლურ ქუდში გამოწყობილი. მიუხედავად იმ საზარელი ხმაურისა და გუნდური სიმღერისა, მეზობელ ოთახში რომ გაისმა, იგი მაინც დამღეროდა არღანზე საკმაოდ ხრინწიანი და დაბალი ხმით რაღაც ლაქიების სიმღერას...

- კარგი, ჰო, გეყოფათ! - გააწყვეტინა სვიდრიგაილოვმა, როგორც კი შევიდა რასკოლნიკოვი.

გოგომ მაშინვე შეწყვიტა სიმღერა და მოკრძალებით დაუწყო ლოდინი. თავის გართიმულ ლაქიურ სიმღერასაც როგორღაც დინჯად ამბობდა, მოკრძალებით, თითქოს პატივსა სცემდა სტუმარს.

- შენ, ეი, ფილიპე! ჭიქა მოიტა! - გასძახა ბიჭს სვიდრიგაილოვმა.

- ნუ შეწუხდებით, ღვინოს არ დავლევ, - უთხრა რასკოლნიკოვმა.

- როგორცა გსურდეთ, მაგრამ თქვენთვის არ მინდა. დალიე, კატია! დღეს მეტი არა მინდა რა, წადი!

გაუვსო ჭიქა და ყვითელი ქალაღდის ფული გაუწოდა. კატამ უცებ გადაყლურწა ღვინო, როგორც ეს საზოგადოდ ქალებს აქვთ ჩვეულებად, - ოც ყლუპს ისე დაღევენ, პირს არ მოაშორებენ ჭიქას, - გამოართვა ფული და ხელზე აკოცა სვიდრიგაილოვს, რომელმაც სრულიად არ იუარა ეს მისი საქციელი. გავიდა კატია, მეარღნე ბიჭიც თან გაჰყვა. ორივე ქუჩიდან შემოეყვანათ. ერთ კვირასაც არ გაეგლო სვიდრიგაილოვის პეტერბურგში ჩამოსვლიდან, მაგრამ მის გარშემო უკვე ყველაფერი მამაპაპურად იყო მოწყობილი. ტრაქტორის ლაქია ფილიპეც უკვე „ნაცნობი“ იყო, ცდილობდა ეამებინა ბატონისათვის. საერთო დარბაზში გამავალი კარი მაგრად გამოეკეტათ: სვიდრიგაილოვი ამ ოთახში ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში და ზოგჯერ მთელ დღეებს აქ ატარებდა. ტრაქტორი იყო ჭუჭყიანი, საძაგელი, საშუალოზე დაბალი ღირსებისა.

- თქვენთან მოვდიოდი, გეძებდით, - დაიწყო რასკოლნიკოვმა, - მაგრამ რად გამოვუხვიე უცბად სენის მოედნიდან - სკის პროსპექტისაკენ, არ ვიცი! არასოდეს აქეთ არ დავდივარ. შენიდან მარჯვნივ ვუხვევ მუდამ. მეორეც, თქვენი გზა აქეთ არც არის. მაგრამ შემოვუხვიე და აჰა თქვენც! უცნაურია!

- თქვით ბარემ პირდაპირ: სასწაული-თქო, რაღას ყოყმანობთ!

- არ ვამბობ იმიტომ, რომ შეიძლება მხოლოდ შემთხვევა იყოს უბრალო.

- ხედავთ, რა ზნე სჭირს საზოგადოდ ამ ხალხს! - გადაიხარხარა სვიდრიგაილოვმა, - არ გამოტყდება, თუნდაც სჯეროდეს კიდეც სასწაული! თვითონვე ამბობთ ხომ, „შეიძლება მხოლოდ“ შემთხვევა იყოსო. ვერ წარმოიდგენთ, როდიონ რომანიჩი, რა მხდალები არიან; ვერავის გაბედვით ვერ გამოუთქვამს საკუთარი შეხედულება! თქვენზე არ ვამბობ ამას. თქვენ გაქვთ კიდეც საკუთარი აზრი და არც შეუშინდით მას. ჩემი ყურადღებაც იმიტომ მიიპყარით სწორედ.

- სხვა არაფრით?

- ეგეც საკმარისია.

ეტყობოდა, სვიდრიგაილოვი შეფიქრიანებული იყო, მაგრამ ძალიან არა; ღვინო მხოლოდ ნახევარი ჭიქა დაელია, მეტი არა.

- ჩემი აზრით, თქვენ უფრო ადრე მოხვედით, ვიდრე შეიტყობდით, რომ მე, თქვენებურად რომ ვთქვა, საკუთარი აზრი მქონდა, - შენიშნა რასკოლნიკოვმა.

- მაშინ სხვა იყო. თვითონ იცის თავისი საქმე ყველამ. რაც შეეხება სასწაულს, ამაზე კი მოგახსენებთ, რომ ბოლო ორი-სამი დღე, ვგონებ, სულ გძინებიათ. თვითონ მე დაგინიშნეთ ეს ტრაქტორი. მაშასადამე, არავითარი სასწაული აქ არ არის, თუ პირდაპირ მოხვედით. მევე გასწავლეთ გზაც, საიდან და როგორ მოსულიყავით; დაგინიშნეთ ადგილი და დრო, როდის შეიძლებოდა ჩემი აქ ნახვა და სხვა, გახსოვთ თუ არა?

- დამავიწყდა სწორედ, - უპასუხა გაკვირვებულმა რასკოლნიკოვმა.

- მჯერა, რომ დაგავიწყდათ. განგებ ორჯერ გაგიმეორეთ. უნებლიეთ დაგხსომეზიანთ მისამართი. ამიტომაც ასევე უნებლიეთ გამოუხვიეთ აქეთ, თუმცა თქვენ ეს აღარ გახსოვდათ. მართალია, გეუბნებოდით მაშინ, მაგრამ იმედი არა მქონდა, თუ

დაიხსომებდით. ცუდად გიჭირავთ თავი, როდიონ რომანიჩ. აი, რა გითხრათ კიდევ: ვიცი, მაგალითად, ბევრია ისეთი ხალხი პეტერბურგში, რომლებიც სიარულის დროს თავის თავს ელაპარაკებიან. პეტერბურგი ნახევრად შეშლილთა ქალაქია. ჩვენ, რუსები, რომ მეცნიერებას მივსდევდეთ, ჩვენი მკურნალები, ვექილები და ფილოსოფოსები ძვირფას გამოკვლევებს მოახდენდნენ, ყველანი თავ-თავის დარგში. იშვიათია, იმდენი ბნელით მოცული, მძაფრი და უცნაური გავლენა ჰქონდეს რამეს ადამიანის სულზე სხვაგან, როგორც ეს პეტერბურგშია. მხოლოდ ამინდის გავლენა რაღა ღირს! მაშინ, როდესაც ეს ქალაქი მთელი რუსეთისათვის ადმინისტრაციულ ცენტრს შეადგენს და მისი გავლენა ყველაფერს უნდა ემჩნეოდეს. მაგრამ ახლა საქმე ეს როდია. რამდენჯერმე განგებ გადევნეთ შორიდან თვალი. შინიდან რომ გამოდიხართ, პირველად მაღლა გიჭირავთ თავი. მაგრამ გაივლით თუ არა ორიოდ ნაბიჯს, დაჰლუნავთ მაშინვე და ხელებს უკან იწყობთ. მართალია, პირდაპირ იცქირებით, მაგრამ, გეტყობათ, აღარც წინ და აღარც გვერდით ვეღარას ხედავთ. იწყებთ ბოლოს ჩიფჩიფს და ლაპარაკობთ თქვენთვის. ხშირად ხელსაც იშველიებთ, დეკლამაციას იწყებთ, ბოლოს დგებით შუაგულ ქუჩაში და ხართ ასე დიდხანს გაშტერებული. ცუდია მეტად ეს. შეიძლება სხვამაც შეგნიშნოთ ვინმემ, თვალი გადევნოთ. ეს კი, ეჭვი არ არის, ვერ არის კარგი. ჩემთვის, მართალია, სულ ერთია და ვერც მოგარჩენთ, მაგრამ ალბათ გესმით, რატომ გეუბნებით ამას.

- მერე იცით, რომ თვალყურს მადევნებენ? - შეეკითხა რასკოლნიკოვი და ღრმად ჩააკვირდა, თითქოს სცდისო.

- არა, არა ვიცი რა, - მიუგო გაკვირვებით სვიდრიგაილოვმა.

- არადა, თავი დამანებეთ მაშ, - წაიბუტბუტა მოღუშულმა რასკოლნიკოვმა.

- კარგი, დაგანებებთ თავს, მოგასვენებთ.

- უმჯობესია მითხრათ, თუ მართლა აქ დაიარებით სასმელად და თქვენვე დამინიშნეთ ორჯერ ეს ადგილი, რომ მოვსულიყავი, რატომ იმალებოდით და აპირებდით წასვლას, ქუჩიდან რომ ფანჯარაში ვიყურებოდი? ძალიან კარგად შეგნიშნეთ ეს.

- ხე-ხე-ხე! თქვენ? თქვენ რაღად მოიმინარეთ მაშინ თავი, ტახტზე რომ იწექით თვალედახუჭული და მე კიდევ კარში ვიდექი, მაშინ როდესაც სრულიადაც არ გეძინათ? მეც კარგად შეგნიშნეთ ეს.

- შეიძლება... მიზეზი მქონდა... თქვენ კარგად იცით.

- მეც შეიძლება ჩემი მიზეზი მქონდა, თუმცა თქვენ ეს არ იცით, რასაკვირველია.

რასკოლნიკოვი მარჯვენა იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, ნიკაპით თითებს დაებჯინა და ჩააკვირდა სვიდრიგაილოვს. ერთ წამს ასე უსინჯავდა პირისახეს, რომელიც უწინაც მუდამ დიდად ანცვიფრებდა. უცნაური იყო როგორღაც. ბერიკას წააგავდა: თეთრწითურ სახეზე ქერა წვერი და საკმაოდ ხშირი თმა ეყარა, ტუჩები დაწითლებოდა. თვალები მეტად ცრიაგი, ცისფერი ჰქონდა, გამოხედვა მეტად მძიმე და უძრავი. რაღაც იყო მის წლოვანებასთან შედარებით ამ მეტად ახალგაზრდა და ლამაზ სახეში საშინლად უსიამოვნო. ტანთ კოხტად და მდიდრულად ეცვა,

საზაფხულოდ, მსუბუქად; განსაკუთრებით თვალს იტაცებდა საუცხოო წმინდა ტილოს პერანგი. თითზე ვეება, ძვირფასთვლიანი ბეჭედი ჰქონდა წამოცმული.

- ნუთუ თქვენთანაც მომიხდება დავიდარაბა, - დაიწყო უცებ მოუთმენლად რასკოლნიკოვმა პირდაპირ ლაპარაკი, - თუმცა შეიძლება ყველაზე საშიშიც იყოთ, თუ ზიანს მოინდომებთ. ეგ არის მხოლოდ, აღარა მსურს მეტის მოთმენა. გიჩვენებთ ახლავე, რომ არც ისე ძვირად ვაფასებ ჩემს თავს, როგორც თქვენ ფიქრობთ. იცოდეთ მაშ! მოვედი პირდაპირ სათქმელად, რომ თუ ისევ წინანდელი განზრახვა გაქვთ ჩემი დის მიმართ და ფიქრობთ ისარგებლოთ იმითი, რაც იცით, მოგკლავთ უმაღლეს, ვიდრე ჩემს დაპატიმრებას მოახერხებდეთ. გეფიცებით, არა ვხუმრობ, და იცი ალბათ, რომ შევძლებ კიდევ, ჩემი სიტყვა შევასრულო. მეორეც, თუ გინდათ გამომიცხადოთ რამე, გამომიცხადეთ ახლა, თორემ დრო ძვირად გვიღირს და შეიძლება სულ მოკლე ხანში გვიანდა იყოს.

- რაო, საით ეჩქარებით აგრე? - დაეკითხა სვიდრიგაილოვი, თან ცნობისმოყვარეობით ჩააკვირდა.

- ყველას თავისი საქმე აქვს, - მიუგო მოუთმენლად რასკოლნიკოვმა.

- ეს არის ახლა თვითონვე მთხოვდით, გულახდილად ვილაპარაკოთო და პირველ კითხვაზევე პასუხს არ მაძლევთ, - შენიშნა ღიმილით სვიდრიგაილოვმა. - გგონიათ, ვითომ რაღაც დაფარული მიზანი მქონდეს, ყველაფერი საეჭვოდ გეჩვენებათ. თუმცა ეს სრულიად ბუნებრივია, თქვენი მდგომარეობა რომ ვიცი. მართალია, გულით მინდა დაგიახლოვდეთ, მაგრამ თქვენი დარწმუნება მეტად ძნელია, ვერა ვკისრულობ. გეფიცებით, იმად არა ღირს, და არცთუ მქონია განზრახვა, რაღაც განსაკუთრებული მეცნობებინა თქვენთვის.

- მაშ, რად დაგჭირდათ ნეტა? თქვენ არ იყავით, მელოლიავებოდით?

- რადა და ისე, როგორც ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი ადამიანი, დაკვირვებისათვის. თქვენი ფანტასტიკური მდგომარეობა მომეწონა! გარდა ამისა, თქვენ იყავით ძმა იმ არსებისა, რომელიც ისე საშინლად იპყრობდა ჩემს ყურადღებას. დასასრულ, თავის დროზე იმისგანვე მქონდა იმდენი რამ და ისე ხშირად გაგონილი თქვენზე, რომ არ შემეძლო ყურადღება არ მიმექცია. მით უმეტეს, რომ, ეტყობოდა, დიდი გავლენა უნდა გქონოდათ მასზე. ნუთუ ეს საკმარისი არ იყო? ხე-ხე-ხე! მაინც, გამოგიტყდებით, რთულია ერთობ ეგ თქვენი კითხვა და მეძნელება, პასუხი რომ სწორედ მოგცეთ. აი, მაგალითად, ხომ მოხვედით ახლა ჩემთან, ეჭვი არ არის, საქმის გარდა, კიდევ სხვა რამ ახლის გასაგებადაც? აგრეა ხომ, არა? აგრეა განა? - ეკითხებოდა დაჟინებით სვიდრიგაილოვი და თან ეშმაკურად უღიმოდა. - წარმოიდგინეთ, აქეთ რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ თქვენც ახალს რასმე მეტყოდით უთუოდ და როგორმე ვისარგებლებდი თქვენგან, გამომადგებოდა. აი, ხედავთ, რა სიმდიდრის პატრონები ვართ?

- როგორ თუ გამოგადგებოდათ?

- რა ვიცი, რა გითხრათ? მე კი ვიცი განა? ხედავთ, როგორ ტრაქტირში ვატარებ დროს; წარმოიდგინეთ, მაკმაყოფილებს; ესე იგი, კი არ მაკმაყოფილებს, მაგრამ ხომ უნდა ვიყო სადმე. აი, თუნდა ეს საცოდავი კატია ავიღოთ, მაგალითად, - ხომ ნახეთ?.. ნეტავი დიდი მჭამელი და პირის გემოს პატრონი მაინც ვიყო, თორემ აი, რის ჭამა

შემიძლია! (და მიუთითა იქვე, ოთახის კუთხეში, პატარა მაგიდაზე, სადაც თუნუქის სინით საზიზღარი ბიფშტექსი იდო). მართლა, ნასადილევი ხართ თუ არა? ერთი ბეწო ძლივს გავლექე. მეტი აღარ მინდა. ღვინოსაც სრულიად არა ვსვამ. შამპანურის მეტს სხვას ვერას ვეკარები და იმასაც მთელი საღამოს განმავლობაში ერთ ჭიქას ძლივს დავლევ, თავის ტკივილი მივარდება. ესეც წასახალისებლად მოვატანინე ახლა, რადგანაც სხვაგან ვაპირებ წასვლას და, როგორც მხედავთ, კარგ ქეიფზე ვარ ვითომ. იმიტომაც გემალეობდით წელან შეგირდით; მეგონა, ხელს შემიშლიდით (ამოიღო საათი, დახედა), მაგრამ არა უშავს რა, მგონია, ერთ საათს კიდევ შემიძლია თქვენთან ვიყო; ხუთის ნახევარია ჯერ. ნეტავი რამე შემეძლოს მაინც: ან მემამულეობა, მამობა, ულანობა, ფოტოგრაფობა, ჟურნალისტობა, ან კიდევ სხვა რამ... მაგრამ არაფრის ცოდნა არა მაქვს! ზოგჯერ საშინლად მწყინდება კიდევ. მართალს გეუბნებით, მეგონა ახალს რასმე მეტყოდით.

- მაინც რა ადამიანი ხართ და რად ჩამოხვედით აქ?

- რა ვარ და ვინა? მოგეხსენებათ: აზნაური ვარ, ორ წელიწადს ცხენოსან ჯარში ვმსახურობდი, მერე ისე დავეთრეოდი პეტერბურგში, მერე მარფა პეტროვნა შევირთე და სოფელში ვცხოვრობდი. აი, ჩემი ბიოგრაფია!

- მგონია, ქალაქსაც თამაშობდით?

- არა, რის ქალაქს. შულერმა რა თამაში იცის.

- როგორ, შულერობდით კიდევ?

- დიახ, ვშულერობდი კიდევ.

- მერე, არ მოგხვდებოდათ ხოლმე?

- რატომაც არა. რაო, რა არის?

- მაშასადამე, შეიძლებოდა ხმალშიაც გაგეწვიათ ვინმე... საზოგადოდ, ეს ახალისებს კაცს.

- არ აგიხირდებით და არც ნიჭი მაქვს ფილოსოფოსობისა. გამოგიტყდებით, უფრო ქალებისათვის ჩამოვედი აქ.

- მაშინვე, როგორც კი მარფა პეტროვნა დამარხეთ?

- დიახ, მაშინვე, - გაუღიმა გასაოცარი გულახდილობით სვიდრიგაილოვმა. - მერე რა არის? ვგონებ, ცოტა არ მოგეწონათ, რომ ქალებზე ასე ვამბობ. ცუდ საქმედ მიიჩნით.

- გარყვნილება?

გარყვნილებაო! ხედავთ, რას ამბობს! თუმცა რიგზე მოგიგებთ ყველაფრის პასუხს ჯერ საზოგადოდ ქალებზე; იცით რა, საერთოდ ყბედობის გუნებაზე ვარ! მითხარით, გეთაყვა, ან კი რად უნდა შევიკავო თავი? რად გავანებო თავი ქალებს, თუკი ესენი მაინც მიყვარან მარტო? ესეც საქმეა თუ არა.

- როგორ, მაშ გარყვნილების იმედი გაქვთ აქ მარტო?

- რა არის მერე ვითომ? რა გაგიხდათ ეს გარყვნილება. მაგრამ მომწონს მაინც, რომ პირდაპირ მეკითხებით. გარყვნილება მუდმივი რამ მაინც არის, ბუნებაზე დამყარებული, რომელსაც საერთო არა აქვს რა ოცნებასთან, მუდამ ღვივის სისხლში და ახალისებს ადამიანს, და რომლის ჩანელებაც ხშირაც მოხუცობის დროსაც კი საძნელოა. დამეთანხმეთ, რომ ესეც თავისებური საქმეა.

- მერე რა არის აქ სასიხარულო? სენია იგი მხოლოდ და მასთან საშიშიც.

- აი, საით გადაუხვიეთ! გეთანხმებით, რომ სენია იგი, როგორც ყველაფერი სხვა, ზომიერებას რომ გადასცდება, - აქ კი უთუოდ უნდა დაირღვეს ზომიერება, - მაგრამ, ჯერ ერთი, ყველას ერთნაირად არ გაიტაცებს ხოლმე, და მეორეც, ზომიერება და ანგარიში, თუნდ საძაგელიც ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭირო არის. რას იზამთ? ასე რომ არ იყოს, ხომ თავიც აღარ გვეცოცხლებოდა. თანახმა ვარ, რომ რიგიანი ადამიანი მოწყენილი უნდა იყოს ერთთავად, მაგრამ...

- მერე, თქვენ შეგეძლოთ განა თავი მოგეკლათ?

- რას ამბობთ, რას, - უპასუხა ზიზღით სვიდრიგაილოვმა, - ნუ მეტყვით, გეთაყვა, - დასძინა საჩქაროდ და სახე შეეცვალა, ყოყოჩობაც არ ეტყობოდა, რომელიც წინათ ცხადად იგრძნობოდა მის კილოში. - მართალია, სირცხვილიც კია, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ მეშინია სიკვდილისა და არ მიყვარს, როცა მასზე მელაპარაკებიან. იცით, რომ ცოტა მისტიკოსიც ვარ?

- ჰო, მართლა! მარფა პეტროვნას აჩრდილი აღარ გამოგცხადებიათ?

- კარგი, გეთაყვა, ნუ მომაგონებთ; რაც პეტერბურგში ვარ, აღარა; ეშმაკსაც წაუღია! - შეჰყვირა რატომღაც გაბრაზებულმა. - სჯობს ისევ ამაზე... თუმცა, ჰმ! დრო ცოტა მაქვს, არ შემიძლია დიდხანს დარჩენა თქვენთან! ვწუხვარ! შეიძლებოდა მეამბნა რამე.

- რაო, ქალი გელით ვინმე?

- დიახ, შემთხვევა მქონდა ისეთი მოულოდნელი... მაგრამ იმაზე არ ვამბობ.

- მერე ეს საძაგლობა არ მოქმედებს თქვენზე? თუ ძალა აღარ შეგწევთ, თავი შეიმაგროთ?

- როგორ? ძალასაც ჩემულობთ ვითომ? ხე-ხე-ხე! როგორ გამაკვირვეთ, როდიონ რომანიჩ, თუმცა წინათვე ვიცოდი, ასე იქნებოდა. თქვენ მიქადაგებთ გარყვნილებასა და ესთეტიკაზე! შილერი ხართ, იდეალისტი! რასაკვირველია, ყველაფერი ასეც უნდა იყოს, სხვანაირად რომ ყოფილიყო, უფრო გამაკვირვებდა, მაგრამ ვაი, რომ სინამდვილეში მაინც როგორღაც უცნაურად მეჩვენება... ეჰ, ვწუხვარ, რომ დრო ცოტა მაქვს, თორემ თქვენ თვითონ ძალიან საყურადღებო სუბიექტი ხართ! მართლა, შილერი გიყვართ? მე კი საშინლად მიყვარს.

- რა ბაქია რამა ხართ! - შენიშნა თითქმის ზიზღით რასკოლნიკოვმა.

- გეფიცებით, არა! - მიუგო ხარხარით სვიდრიგაილოვმა, - თუმცა არ აგიხირდებით, დაე, ბაქია ვიყო; მაგრამ მითხარით, გეთაყვა, რატომ არ დავიკვებო, თუ არავის არას ავნებს ეს კვებნა. შვიდი წელიწადი სოფლად ვცხოვრობდი მარფა პეტროვნასთან და ამ შვიდი წლის განმავლობაში ძლივს ერთხელ ჰკვიან კაცს შევხვდი, ესე იგი თქვენ;

მითხარით მაშ, რად არ გეყბედოთ, მით უმეტეს, რომ ჭკვიანიც ხართ და მეტად საყურადღებოც, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ნახევარი ჭიქა ღვინო მაქვს დალეული უკვე და ცოტა თავშიაც ამივარდა. უმთავრესი კი ის არის, რომ ერთი გარემოება იპყრობს მეტად ჩემს ყურადღებას, თუმცა თქმით არას ვიტყვი ახლა... საით? - დაეკითხა უცებ შეშინებული სვიდრიგაილოვი, - საით აპირებთ?

რასკოლნიკოვმა ადგომა დააპირა. უცბად როგორღაც სული შეეხუთა, ემძიმა და ეუხერხულა, რომ სვიდრიგაილოვთან მოვიდა. დარწმუნდა, რომ ცარიელი ბოროტება და არარაობა იყო სვიდრიგაილოვი.

- ეეჰ! დარჩით, დაჯექით, - სთხოვდა სვიდრიგაილოვი, - უბრძანეთ, ჩაი მაინც მოგართვან. კარგით, ჰო, აღარას გეტყვით; დარჩით, კრინტსაც არ დავძრავ ჩემზე. სხვა რამეს გიამბობთ. გინდათ გიამბოთ, თქვენებურად რომ ვთქვათ, როგორ „მიხსნა“ ქალმა? მით უმეტეს, რომ იგი იქნება თქვენი პირველი კითხვის პასუხი, რადგანაც ეს ჩემი მხსნელი - და იყო თქვენი. შეიძლება? თან დროც გავა.

- მიაბზეთ, მაგრამ იმედი მაქვს...

- ოჰ, არა, ნუ სწუხართ, გეთაყვა! იმიტომ, რომ ავდოტია რომანოვნა ჩემისთანა სამაგელსა და თავცარიელ კაცსაც კი მხოლოდ ღრმა პატივისცემას უწერგავს.

IV

- თქვენ უთუოდ გეცოდინებათ უკვე (თუმცა მევე გიამბეთ, მგონია), - დაიწყო სვიდრიგაილოვმა, - რომ ერთი დიდი ვალის გამო ციხეში ვიჯექი აქ და გადახდა კი არსაიდან არ შემეძლო. საჭირო არ არის, რასაკვირველია, გიამბოთ დაწვრილებით, როგორ გამომისყიდა მაშინ მარფა პეტროვნამ; იცით, როგორ გაგიჟებით შეუძლია ზოგჯერ ქალს სიყვარული? ეს იყო პატიოსანი, საკმაოდ გონიერი დედაკაცი (თუმცა სრულიად გაუნათლებელი). წარმოიდგინეთ, ამ ეჭვიანმა და პატიოსანმა დედაკაცმა დიდი გულხეთქებისა და საყვედურის შემდეგ გადაწყვიტა შეეკრა ჩემთან პირობა, რომელსაც მთელი ამ შვიდი წლის განმავლობაში ერთგულად ასრულებდა. საქმე ის არის, რომ ხნით ჩემზე ბევრად უფროსი იყო და პირშიაც მუდამ რაღაც მიხაკი ედო. იქამდის უსინდისო ღორი გამოვდექი და თან თავისებურად პატიოსანიც, რომ პირდაპირ გამოვუცხადე, სრული ერთგულება არ შემიძლია-მეთქი. ამ გულახდილობამ ხომ მთლად გადარია, მაგრამ ეს ჩემი უხეში და მოურიდებელი გულახდილობა თითქოს მოეწონა კიდეც: „ეტყობა, მაშ, მოტყუება არ უნდა, რომ წინათვე მატყობინებხო“, - ეჭვიანი დედაკაცისათვის კი უმთავრესი ეს არის სწორედ. დიდი ტირილისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ასეთი სიტყვიერი პირობა შეეკარით: პირველი, არასოდეს თავი არ დამენებებინა მარფა პეტროვნასათვის და სამუდამოდ მექმრო; მეორე, მის ნებადაურთველად არსად წავსულიყავი; მესამე, სამუდამო საყვარელი არ გამეჩინა; მეოთხე, ნებასა მრთავდა, ხანდახან მოახლე სოფლის გოგოებისათვისაც გადამევილო თვალი, მაგრამ ისე კი, რომ საიდუმლოდ სცოდნოდა უთუოდ მარფა პეტროვნასაც: მეხუთე, რომ ღმერთს დავეფარე და არაფრის გულისათვის ჩვენი წოდების ქალი არ შემეყვარებინა; მეექვსე, თუ ღმერთი გამიწყობოდა და ღრმად ვისიმე სიყვარული ჩამივარდებოდა გულში, უთუოდ მარფა პეტროვნასათვის გამენდო. ამ უკანასკნელის შესახებ კი მარფა პეტროვნა მუდამ საკმაოდ გულდამშვიდებული იყო. გონიერი დედაკაცი იყო და არც შეეძლო ეფიქრა,

რომ ჩემისთანა გარყვნილი და ნათრევი ვისმე ნამდვილად შეიყვარებდა. მაგრამ ვაი, რომ გონიერება და ექვიანობა ერთმანეთთან ვერ თავსდებიან! მაინც თუ გვინდა ადამიანზე მიუდგომელი აზრი ვიქონიოთ, საჭიროა წინათვე უარვეყოთ ზოგიერთი წინასწარშედგენილი შეხედულება ჩვენს გაშემომყოფ ხალხსა და საგნებზე. სხვებისაზე მეტად თქვენს აზრს ვენდობი და ვერწმუნები. შეიძლება ბევრი რამ სასაცილო და უაზრო კიდევ გსმენიათ მარფა პეტროვნაზე. მართალია, ზოგჯერ მეტად სასაცილო ჩვეულება ჰქონდა, მაგრამ გულწრფელად ვწუხვარ, რომ იმდენი უსიამოვნება და სიმწარე მივაყენე. ვგონებ, ესეც კმარა ქმრისაგან რიგიან oraison funebre[55] ნაზად მოსიყვარულე მეუღლისათვის ჩხუბის დროს თითქმის მუდამ ვდუმდი და აუღელვებლივ ვუგდებდი ყურს; ამიტომაც ეს ჩემი ჯენტლმენობა ყოველთვის აღწევდა მიზანს; მოქმედებდა და მოსწონდა ხოლმე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პირდაპირ თავს იწონებდა კიდევაც ჩემით, მაგრამ თქვენი და მაინც ვერ მოინელა. მერე როგორ მოხდა, რომ ასეთი მშვენიერება სახლში აიყვანა ბავშვების აღმზრდელად! ამას იმით ვხსნი, რომ მარფა პეტროვნა გულმხურვალე და აღტაცებული დედაკაცი იყო და თვითონვე შეუყვარდა უთუოდ თქვენი და, - დიახ, დიახ, ნამდვილად შეუყვარდა. შევხედე თუ არა პირველად, მაშინვე მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო. მერე რა გგონიათ? გადავწყვიტე, თვალი არ გამესწორებინა მისთვის. მაგრამ ავდოტია რომანოვნამ თვითონვე დაიწყო, - გინდ დაიჯერეთ გინდ არა - დაიჯერებთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მარფა პეტროვნა თვითონვე მეჩხუბებოდა ხოლმე პირველად, რომ კრინტს არა ვძრავდი თქვენს დაზე, როდესაც თვითონ ისე უზომო გატაცებით აქებდა ხოლმე ავდოტია რომანოვნას. ვერ გამიგია სწორედ, რა ჰქონდა აზრად, ან რა უნდოდა! რასაკვირველია, ჩემზეც ყველაფერი დაწვრილებით უამბო ავდოტია რომანოვნას. ერთი უბედური ჩვეულება ჰქონდა, უნდა უთუოდ ყველასათვის ეამბნა, თუ რამ საიდუმლო გვქონდა ოჯახობაში და ამასთან, ყველაფერი შეეჩვილა. როგორ შეიძლებოდა მაშ, ასეთი მშვენიერი ახალი მეგობრისათვის არ ეამბნა? პირიქით, ჩემ გარდა სხვა რამეზე აღარც კი რაზედმე ელაპარაკებოდა, ვგონებ. მაშასადამე, ავდოტია რომანოვნამ, ეჭვი არ არის, უკვე იცოდა ყველაფერი, რაც კი რამ ბნელით მოცული, საიდუმლო ზღაპრები იყო ჩემზე გავრცელებული... თორემ დაგენაძლევებით თუნდაც, რომ ზოგიერთი მათგანი თქვენც უკვე იცით.

- ვიცი, ვიცი, გამიგონია. ლუჟინი გამტყუნებდათ, მაგალითად, ვითომ ვიღაც ბავშვის სიკვდილის მიზეზი თქვენა ყოფილიყავით. მართალია თუ არა?

- კარგით, გეთაყვა, დაეთხოვეთ ამ საძაგლობას, - იუარა როგორღაც ზიზღით სვიდრიგაილოვმა. - თუ მართლა გინდათ გაიგოთ ეს მოჭორილი ამბავი, თვითონვე გაიმბობთ როდისმე, ახლა კი...

- ამბობენ აგრეთვე ვიღაც თქვენს ლაქიაზე, რომელსაც ვითომ თქვენ გახდომოდეთ მიზეზად...

- კარგით, გეთაყვა, კმარა! - გააწყვეტინა ისევ მოუთმენლად სვიდრიგაილოვმა.

- ეს ის ხომ არ არის, სიკვდილის შემდეგ რომ ჩიბუხის გასატენად გამოგეცხადათ... თქვენ არ მიაძებთ? - ღელავდა თანდათან რასკოლნიკოვი.

ყურადღებით გადახედა სვიდრიგაილოვმა. ეჩვენა რასკოლნიკოვს, თითქოს სვიდრიგაილოვს სწრაფად გადაურბინა სახეზე ღვარძლიანმა ღიმილმა, მაგრამ თავი

მაღე შეიმაგრა და მეტად ზრდილობიანად უპასუხა: - დიახ, ის იყო სწორედ. ვხედავ, რომ თქვენც თურმე მოუხიბლიხართ ამ ამბავს; მაშ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ. ეშმაკმა იცის ჩემი თავი! მართლაცდა, ზოგიერთს შეიძლება რომანის გმირად ვეჩვენო. თქვენვე განსაჯეთ, რამდენად დამავალა მარფა პეტროვნამ, რომ ამდენი საიდუმლოებრივი და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი ამბავი უამბო თქვენს დას. არ ვიცი, რასაკვირველია, რა შთაბეჭდილებას იქონიებდა თქვენს დაზე, მაგრამ ჩემთვის მაინც სახეირო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვძულდი ავდოტია რომანოვნას და თვითონ მეც მოქუშული ვიყავი და შესაზარი შეხედულება მქონდა, მაინც შევებრალე ბოლოს, შევებრალე, როგორც დაღუპული ადამიანი. ახალგაზრდა ქალს კი, თუ შეებრალა ვინმე, მშვიდობით, ყველაზე საშიში ეს არის მისთვის. მაშინვე უთუოდ „ხსნას“, მორჯულებას მოისურვებს და პატიოსანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზაზე დაყენებას ეცდება, - ვინ იცის, კიდევ რას არ იოცნებებს ამგვარად. მივხვდი, რასაკვირველია, მაშინვე, რომ ჩიტი თვითონვე აპირებდა კაკანათში გაბმას და მეც მოვემზადე. ვგონებ, როგორღაც იღრუბლებით, როდიონ რომანიჩ? როგორც უწყით, საიმისო არა მომხდარა რა, საქმე უბრალოდ გათავდა (ეშმაკმა იცის ჩემი თავი, რამდენსა ვსვამ!). იცით რა, თავიდანვე ვნანობდი მუდამ, რატომ მეორე ან მესამე საუკუნეში არ დაიბადა-მეთქი თქვენი და, ვინმე მთავრის, თავადის, ან მცირე აზიის მმართველის ასულად. ეჭვი არ არის, თამამად ეწამებოდა და ღიმილით შეეგებებოდა, როდესაც გახურებული შანთებით გულმკერდს დაუდაღავდნენ. თვითონვე მისცემდა განგებ მიზეზს, რომ ეწამებინათ; მეოთხე და მეხუთე საუკუნეებში კი ეგვიპტის უდაბნოში გადაიხვეწებოდა და მთელი ოცდაათი წელიწადი განდევილი იქნებოდა, ბალახის ძირებით, მოჩვენებებითა და სულიერი აღტაცებით ისაზრდოებდა. თვითონ სწყურია, ვისიმე გულისათვის ტანჯვა იკისროს; მაგრამ თუ ვერ ჰპოვა ვერსად, ფანჯრიდან გადავარდება. ყური მოვკარი, ვიღაც რაზუმინინზე ლაპარაკობდნენ. კარგი და გონიერი ახალგაზრდაა თურმე (გვარიც უმტკიცებს, სემინარიელი იქნება უთუოდ). დეე, მფარველობა გაუწიოს თქვენს დას. ერთი სიტყვით, გავიგე, ვგონებ, რა ბუნებისაც იყო თქვენი და; ვამაყობ კიდევ ამითი. მაგრამ, მოგეხსენებათ, პირველი ნაცნობობის დროს რატომღაც მსუბუქად და ტუტუცურად უჭირავს თავი ადამიანს: სცდება, სხვა არის და სხვად ეჩვენება ყველაფერი. ეშმაკმა იცის, რად არის ასე კარგი და მომხიბვლელი თქვენი და? ჩემი რა ბრალია! ერთი სიტყვით, მაშინვე თავდაუჭერელმა ვნებამ გამიტაცა. მაგრამ უმანკო არის და უბიწო, უმაგალითოდ უმანკო ავდოტია რომანოვნა. (გახსოვდეთ, რომ თქვენს დაზე გეუბნებით, როგორც ფაქტს. უმანკოა ავადმყოფურად, რამაც შეიძლება ავნოს კიდევ, თუმცა დიდი გონების პატრონია.) გვყავდა ერთი გოგო, სახელად პარაშა, შავთვალა პარაშა, იქვე, მეზობელი სოფლიდან სულ ახლახან შინამოახლედ მოყვანილი. ლამაზი იყო მეტად, მაგრამ საშინელი ტუტუცი და ჩურჩუტი. მოჰყვა ტირილსა და ღრიალს, მთელი სახლი თავზე დამახვია. ერთხელ, სადილის შემდეგ, განგებ მომნახა ავდოტია რომანოვნამ ბაღში, ხეივანში სეირნობის დროს და მომთხოვა, თან თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, რომ საცოდავ პარაშასათვის თავი დამენებებინა. ეს პირველად იყო თითქმის, რომ მე და ის მარტოდმარტო შევხვდით ერთმანეთს სალაპარაკოდ. რასაკვირველია, ბედნიერად ჩავთვალე თავი და სურვილი შევუსრულე, თანაც ისე მოვაჩვენე, ვითომ ძალიან შემკრთალი და დარცხენილი ვიყავი. ერთი სიტყვით, საკმაოდ კარგად ვითვალთმაქცე. აქედან დაიწყო ჩვენ შორის დაახლოება, საიდუმლო ლაპარაკი, დარიგება და რჩევა, თხოვნა-მუდარა, თითქმის ცრემლებიც კი, წარმოიდგინეთ,

ცრემლებიც კი! ხედავთ, ზოგიერთ ახალგაზრდა ქალს სადამდე ღრმად გაუჯდება ხოლმე პროპაგანდის ცეცხლი! მე, რასაკვირველია, ბედს დავაბრალე ყველაფერი და მოვაჩვენე, ვითომ გულით მწყუროდა სინათლის ხილვა, გამოკეთება; თან ქალის გულის დამმორჩილებელ უდიდეს საშუალებას მივმართე ბოლოს, საშუალებას, რომელსაც არასოდეს მოუტყუებია არავინ და რომელიც ყველა ქალს ერთნაირად იმორჩილებს; ცნობილია ეს საშუალება, - პირფერობა-მლიქვნელობა ჰქვია.

მლიქვნელობაზე ადვილი და პირდაპირობაზე ძნელი კი არა არის რა ამ ქვეყნად. თუ პირდაპირობაში იოტის ტოლა სიყალბე მაინც შეეპარა ადამიანს, მაშინვე ყველაფერი ირღვევა და იღუპება, აურზაური მოსდევს; მლიქვნელობაში კი თუნდ ყველაფერი ყალბი იყოს, მაინც საამო მოსასმენია იგი. რაგინდ უხამსი და მოურიდებელი იყოს მლქვნელობა, ნახევარი მაინც სიმართლედ ეჩვენება ადამიანს. ასეა ყველა წრისა და წოდების ხალხისათვის. მლიქვნელობით შეიძლება შეცდენა თვით ზეციური უმანკობისა. ჩვეულებრივსა და უბრალო ხალხზე ხომ, რაღა თქმა უნდა, ძალიან მოქმედებს. არ შემოიძლია ისე ამ ამბის გახსენება, რომ არ გამეცინოს, როგორ შევაცდინე ერთხელ ქმრისა და შვილების დიდად ერთგული ერთი კეთილი მანდილოსანი. რა მხიარულად და ადვილად მოხდა ყველაფერი! მანდილოსანი კი მართლაც რომ კეთილი და პატიოსანი იყო. მთელ ჩემ ხერხს, იცით, რა შეადგენდა? მისი უმანკობის წინაშე ერთთავად ქედს ვიხრიდი. მაგრამ ვმლიქვნელობდი და ვეპირფერებოდი უზომოდ, ისე რომ, როგორც კი ხელს ჩამოვართმევდი მაგრად, ან წყალობით შემომხედავდა, მაშინვე სასტიკად ვუსაყვედურებდი ხოლმე ჩემს თავს, რომ ძალით იყო ყველაფერი ეს გამოტყუებული; რომ თუ თვითონ არ ვყოფილიყავ ბიწიერი და გარყვნილი, ვერასგზით უამისოდ ვერ ველირსებოდი მის ყურადღებას; რომ გულუბრყვილობით მოსდიოდა ყველაფერი და ვერ მიხვდა ჩემს ვერაგობას მის მიმართ, რომ უნებლიეთ მნებდებოდა, თუმცა თვითონ ვერა გრძნობდა ამას და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, მივადწიე საწადელს, მაგრამ ქალბატონი მაინც დარწმუნებული იყო, რომ მოვალეობას პატიოსნად ასრულებდა და უნებლიეთ შეცდა. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაცხარდა, როცა ბოლოს გამოვუტყედი, რომ ისიც ჩემსავით სიამოვნებას ეძებდა. საბრალო მარფა პეტროვნაზედაც მეტად მოქმედებდა მლიქვნელობა და პირფერობა. რომ მდომოდა, რასაკვირველია, მის სიცოცხლითვე შემემძლო მომეხერხებინა, მთელი თავისი ქონება ჩემთვის გადმოეცა. (მაგრამ რამდენსა ვსვამ ღვინოს და ვყბედობ.) იმედია, არ გამიწყრებით, თუ გავიხსენებ, რომ იგივე დაემართა ავდოტია რომანოვნასაც. თვითონ მე ვიყავი ტუტუცი და მოუთმენელი, საქმე მევე გავაფუჭე. გჯერათ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ადრეც რამდენჯერმე (განსაკუთრებით კი ერთხელ) არ მოეწონა საშინლად ავდოტია რომანოვნას ჩემი თვალების გამომეტყველება! ერთი სიტყვით, თანდათან მძლავრად და მოურიდებლად იჩენდა თავს ცეცხლი, რომელიც ისე აშინებდა და ბოლოს კი შეეჯავრა კიდეც. დაწვრილებით ყველაფრის მბობა საჭირო არ არის; ერთმანეთს დავშორდით. მაგრამ კიდეც ჩავიდინე სისულელე. დავუწყე მოურიდებლად დაცინვა ამ პროპაგანდასა და რჩევა-დარიგებებს; პარაშაც და ბევრიც სხვა ისევ გავიხსენე, - ერთი სიტყვით, სოდომ-გომორი გავაახლე. ოჰ, ერთხელ მაინც რომ გენახათ, როდიონ რომანიჩ, როგორ ეღვზნება ზოგჯერ თვალები თქვენს დას! ეს არაფერი, რომ მთვრალი ვარ ახლა და მთელი ჭიქა ღვინო გამოვცალე; მართალს ვამბობ მაინც. გარწმუნებთ, ძილში მეზმანებოდა ხოლმე ეს მისი შემოხედვა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მისი კაბის შრიალსაც ვეღარ ვუძლებდი. გარწმუნებთ, მეშინოდა, ბნედა არ დამმართოდა; არ მეგონა, თუ გადავირეოდი ოდესმე ისე. ერთი სიტყვით, უნდა შევრიგებულიყავით, მაგრამ შეუძლებელი იყო უკვე. წარმოიდგინეთ, რა ვქენი, იცით?

ოჰ, როგორ გამოასულელებს ადამიანს გაბრაზება! ნურასოდეს სიბრაზეში ნურას იქმთ, როდიონ რომანიჩ! რაკი ვიცოდი, ავდოტია რომანოვნა ლატაკი იყო (უკაცრავად, ეს არ მინდოდა მეთქვა... მაგრამ ერთი არ არის განა, თუკი სხვა სიტყვაც იგივეს გამოხატავს?), ერთი სიტყვით, რაკი ვიცოდი, რომ თავისი შრომით ცხოვრობდა, - დედა და თქვენ ჰყავდით შესანახი (ფუი ეშმაკს, ისევ იღრუბლებით...), გადავწყვიტე, მთელი ჩემი ფული (სამი ათას თუმნამდე შემემლო) მიმეძღვნა, ოღონდ ჩემთან ერთად გამოქცეულიყო, თუნდაც აქ, პეტერბურგში. რასაკვირველია, შევფიცავდი აქ, რომ მუდამ მეყვარებოდა, ნეტარებაში მეყოლებოდა და სხვა და სხვა. წარმოიდგინეთ, იქამდე ვიყავი გადარეული, რომ ეთქვა: მოკალი ან მოწამლე მარფა პეტროვნა და შემირთეო, იმავე წამს შევასრულებდი! მაგრამ როგორ გათავდა ყველაფერი, თქვენ უკვე იცით. წარმოიდგინეთ მაშ, როგორ გადავირეოდი, როცა შევიტყვე, მარფა პეტროვნა საზიზღარსა და საძაგელ სასამართლოს მოხელეს, ლუჟინს ურიგებს ავდოტია რომანოვნასაო და კინაღამ ქორწილიც მოაწყო, - რაც იგივე იქნებოდა, ეჭვი არ არის, რასაც მეც ვთავაზობდი. ასეა თუ არა? ასეა ხომ? გატყობთ, როგორღაც ყურადღებით მისმენთ ძალიან... საუცხოო ყმაწვილო...

სვიდრიგაილოვმა მოუთმენლად მუშტი დაჰკრა მაგიდას. მთლად გაჭარხლდა. ნათლად შეატყო რასკოლნიკოვმა, რომ ერთმა ჭიქამ თუ ჭიქა-ნახევარმა შამპანურმა, რომელიც სვენებ-სვენებით დალია შეუმჩნევლად, ყლუპობით, საშინლად იმოქმედა სვიდრიგაილოვზე და გადაწყვიტა, ესარგებლა ამ შემთხვევით. საშინლად საეჭვოდ ეჩვენებოდა სვიდრიგაილოვი.

- ახლა კი დარწმუნებული ვარ სწორედ, რომ აქაც ჩემი დის გულისათვის ხართ ჩამოსული, - უთხრა პირდაპირ რასკოლნიკოვმა, რომ უფრო მეტად გაებრაზებინა იგი.

- ეჰ, კმარა, გეთაყვა, - თითქოს უცებ მოვიდაო გონს სვიდრიგაილოვი, - აკი გითხარით... და მეორეც, ვძულვარ თქვენს დას.

- ეგ მეც მჯერა, რომ სძულხართ, მაგრამ საქმე მაგაში როდია ახლა.

- მაგრამ მართლა კი ვძულვარ? (სვიდრიგაილოვმა თვალი მოჭუტა, დაცინვით გაუღიმა.) მართალი ხართ, არ ვუყვარვარ; მაგრამ ნურასოდეს ცოლ-ქმრისა და საყვარლებს შუა მომხდარ ამბებს თავდებობას ნუ გაუწევთ. არის მათ შორის ყველასათვის უცნობი რაღაც მისი, რომლის საიდუმლოც მხოლოდ იმ ორმა უწყის. თავდები ხართ იმისა, რომ ავდოტია რომანოვნა ზიზღით მეპყრობოდა?

- თქვენს ნათქვამში ახლაც აშკარად ვხედავ, რომ რაღაც საძაგელი განზრახვა გაქვთ დუნიას მიმართ.

- როგორ! წამომცდა რამე ისეთი განა? - გაიოცა ვითომ შიშით სვიდრიგაილოვმა, თან განზრახვის „საძაგლად“ მონათვლას არავითარი ყურადღება არ მიაქცია განგებ.

- არამცთუ წამოგცდათ, ახლაც კი მასვე იმეორებთ. მაინც რისი გეშინიათ? აგრე უცებ რამ შეგაშინათ?

- რაო, მეშინიაო? თქვენი ვითომ? თქვენ უნდა გეშინოდეთ ჩემი, cher ami[56], და არა მე თქვენი. რა სისულელეა... მაგრამ თავში შემიჯდა ვატყობ ღვინო. ცოტას გაწყდა, კინაღამ არ წამომცდა კიდევ. აღარ მინდა ღვინო! შენ, ეი, წყალი მომიტა!

დაავლო ბოთლს ხელი და მოურიდებლად ფანჯრიდან გადაუძახა. ფილიპე ბიჭმა წყალი შემოურბენინა.

- ყველაფერი ეს სისულელეა, - დაიწყო სვიდრიგაილოვმა, თან პირსახოცს ასველებდა და თავზე იდებდა, - შემძლია ერთი სიტყვით ჩაგაჩუმოთ და ყველა თქვენი ეჭვი დავარღვიო. იცით, მაგალითად, რომ ცოლს ვირთავ?

- თქვენ ეგ წინათაც მითხარით.

- გითხარით? დამავიწყდა. მაგრამ დაბეჯითებით თქმა კიდევ არ შემეძლო მაშინ, იმიტომ, რომ ჯერ საპატარძლოც არ მენახა; განზრახვა მქონდა მარტო. ახლა კი საქმეც გათავებულა, საპატარძლოცა მყავს; გადაუდებელი საქმე რომ არა მქონდეს, ავდგებოდი და პირდაპირ წაგიყვანდით, გაჩვენებდით, რადგან მინდა, რჩევა გკითხოთ. უკ, დასწყევლოს ეშმაკმა! ათი წამილა დამრჩენია. დახედეთ საათს; მაგრამ არა უშავს რა, გაიმბობთ, როგორ დავინიშნე, საყურადღებოა მეტად. საით? წასვლას აპირებთ კიდევ?

- არა, უკაცრავად, ახლა კი აღარ წავალ.

- სულ აღარ წახვალთ? ვნახოთ! წაგიყვანთ როდისმე და გაჩვენებთ, მაგრამ ახლა კი არა, სხვა დროს როდისმე. ახლა კი მალე გამოვეთხოვებით ერთმანეთს, მეჩქარება. თქვენ მარჯვნივ წახვალთ, მე მარცხნივ. რესლიხს იცნობთ? აი იმ რესლიხს, რომელთანაც ახლა ვცხოვრობ? აი იმას, გოგო რომ წყალში... ზამთარში, - გესმით? ხომ გესმით. იმან მომიხერხა ყველაფერი; მოგწყინდება, გაერთეო. მე კი დაღვრემილი, მოწყენილი ვარ მუდამ. გგონიათ, მხიარული ვარ? არა, დაღვრემილი ვარ: არავის არას ვავნებ, ვზივარ ჩემთვის კუთხეში, ისე გავა ზოგჯერ ორი-სამი დღე, ხმას არავის გავცემ. მაგრამ საშინელი გაიძვერა და ეშმაკია რესლიხი; ვიცი, რაც უდევს გულში: იცის, მომწყინდება, თავს გავანებებ, წავალ სადმე, ქალი მას დარჩება, ხელმეორედ გაასაღებს, სადმე ჩვენსავე წრეში ან ცოტა მაღალშია. მეუბნება, ერთი სამსახურიდან გადამდგარი, დამბლადაცემული მოხელე არისო, სამი წელიწადია სავარძელში ზის და ფეხს ვეღარ სძრავსო. ცოლიცა ჰყავს ამ მოხელეს, გონიერი დედაკაციაო. ვაჟი სადღაც გუბერნიაში მსახურობს, არას ეშველებათო. უფროსი ქალი გაუთხოვებიათ თუ არა, იმ დღიდან ამათ აღარ კითხულობს, თავისთან ჰყავთ ორი პატარა ძმისწული (თავისები არ ეყოფოდათ!) და უმცროსი ქალი, რომელიც დიდი ხანი არ არის, გიმნაზიიდან გამოიყვანეს, სწავლა არ დაასრულებინესო. ერთი თვის შემდეგ თექვსმეტი წლისა შესრულდება, მამასადამე, გათხოვებაც შეიძლება. ჩემზე ვითომ. წავედით; ოკ, რა სასაცილო იყო; გავეცანი: მემამულე ვარ-მეთქი, ქვრივი, ცნობილი გვარისა, კარგი ნათესაობისა და ნაცნობობის პატრონი, ფულიანი, - რა არის, რომ ორმოცდაათი წლისა ვარ და ის კი ჯერ თექვსმეტისაც არ არის? ვინ უყურებს ამას-მეთქი? როგორ გგონიათ, შეაცდენს ეს ადამიანს თუ არა? ხა-ხა-ხა! მოინადირებს ადამიანის გულს თუ არა? უნდა გენახათ, როგორ ველაპარაკებოდი დედასა და მამას! ფული უნდა გადაეხადა ადამიანს, რომ ვენახე იმ დროს. გამოვიდა ქალი და დაბლა თავდახრით სალამი მომცა. წარმოიდგინეთ, მოკლე კაბა ეცვა. გაუფურჩქნელი კოკორივით გაწითლებულიყო, ცისკარივით ანთებულიყო (რასაკვირველია, ნათქვამი ჰქონდათ). არ ვიცი, თქვენ რა აზრისა ხართ ქალებზე, მაგრამ ჩემი აზრით კი, ეს თექვსმეტი წლის ჯერ ისევ ბავშვური თვალები, ეს მოკრძალება და სირცხვილის ცრემლები სილამაზეზე უმჯობესია, თუმცა თვითონაც მშვენიერებაა უიმისოდაც.

ქერა, ლამაზი, ხუჭუჭა თმა, ფუნჩულა წითელი ტუჩები და პაწია ფეხები - მშვენიერებაა სწორედ!.. გავიცანით ერთმანეთი და გამოვუცხადე, რომ შინაური საქმეების გამო ვეჩქარები-მეთქი; აიღეს იმათაც და დაგვლოცეს ამას წინათ. მას შემდეგ მივალ თუ არა, დავისვამ მუხლებზე და მიზის ასე, ხელიდან აღარ ვუშვებ... გოგონა დილის ცისკარივით ფეთქავს, მეც ვკოცნი წამდაუწუმ; დედაც, რასაკვირველია, ასწავლის, ასე უნდა, ქმარი არისო. ერთი სიტყვით, სიტკბოებაა ნამდვილი! საქმროს მდგომარეობა უკეთესია ვგონებ, ვიდრე ქმრისა. აქ პირდაპირ la nature et verite[57] არის! ხა-ხა-ხა! ერთი-ორჯერ ლაპარაკიცა მქონდა, - გონიერი გოგონაა; ზოგჯერ ისე გადმომხედავს ქურდულად, ლამის დამწვას კაცი. იცით მართლა, სახე რაფაელის მადონას მიუგავს. სიქსტის მადონას ხომ სახე როგორღაც ფანტასტიკური აქვს, დაღვრემილი, არ შეგინიშნავთ? ასეთია სწორედ! დაგვლოცეს თუ არა, მეორე დღესვე ათას ხუთასი მანეთის საჩუქრები მივუტანე: ერთი სამკაული ბრილიანტისა, მეორე მარგალიტისა, ვერცხლის პატარა ყუთი, ასე ამოდენა. ყოველგვარი საჭირო მოწყობილობით სავსე; ასე რომ, თვით მადონასაც სახე გაუნათლდა. დავისვი გუშინ მუხლზე, მაგრამ, ეტყობა, ისე მოურიდებლად, ეტყობა, რომ აიტკრიცა მთლად და ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ არა თქვა რა, ცეცხლივით აენთო. ყველანი გავიდნენ, მე და ის კი მარტონი დავრჩით. უცბად მომხვია ყელზე (თვითონვე, პირველი იყო ეს), მომხვია ორთავე ხელი და დამიწყო კოცნა და ფიცილი, რომ მორჩილი იქნება მუდამ და კეთილი, რომ გამაბედნიერებს და მთელ თავის სიცოცხლესა და არსებობას მე მანაცვალეებს, ოღონდ სამაგიერო პატივს ვცემდე, სხვა „მეტი არა მინდა რა, არავითარი საჩუქრებიო!“ დამეთანხმეთ, რომ ამგვარი აღსარების მოსმენა თექვსმეტი წლის ანგელოზისაგან, რომელსაც ტანთ ჯერ ისევ თხელი და მოკლე კაბა აცვია და სირცხვილის ცრემლები ვეღარ შეუმაგრებია, სწორედ რომ მიმზიდველი და წამცდენელი არის. ხომ არის წამცდენელი? ღირს რადმე თუ არა? ჰა? ხომ ღირს? აბა... ჰო... კარგით, ყური დამიგდეთ... წავიდეთ ჩემს საპატარძლოსთან... მაგრამ ახლა კი არა!

- ერთი სიტყვით, თქვენ გხიბლავთ ეს საზღაპრო განსხვავება წლოვანებისა და განვითარებისა და სწორედ ეგ გალელვებთ, გაავხორცებთ! ნუთუ მართლა ცოლს ირთავთ?

- რატომ არაო, ვითომ! რაო? უეჭველად. თავის თავზე ყველა თვითონ ზრუნავს და ყველაზე მხიარულადაც ის ცხოვრობს, ვინც უკეთ ატყუებს თავის თავს. ხა-ხა-ხა! რაო, რა ამბავია, რომ ქველობის უღელს აგრე თავგამეტებით ეწევით? მაპატიეთ, ჩემო კარგო, ცოდვილი კაცი ვარ. ხა-ხა-ხა-ხა!

- მაშ, კატერინა ივანოვნას ბავშვები რომ დააბინავეთ... მაგრამ... ჰო, ვიცი, ვიცი, თქვენი საკუთარი ანგარიში გქონიათ... ახლა კი მესმის.

- ბავშვები საზოგადოდ მიყვარს, საშინლად მიყვარს, - გადაიხარხარა სვიდრიგაილოვმა. - თორემ, აი, ერთ მეტად საყურადღებო შემთხვევასაც გიამბობთ, რომელიც დღემდე გრძელდება. ჩამოველ თუ არა, პირველ დღესვე სხვადასხვა ბინძურ, მივარდნილ ადგილებსა და დუქან-რესტორანებს მოვედე, შვიდი წლის უნახავი ხარბად დავაცხრი ყველაფერს. რასაკვირველია, შემატყობდით, რომ ჩემ ძველ ამხანაგებთან და მეგობრებთან შეხვედრას არა ვჩქარობ. ვეცდები, რაც შეიძლება მეტ ხანს მოვერიდო. იცით რა: მარფა პეტროვნასთან, სოფელში, საშინლად მტანჯავდა მოგონებანი ამ იდუმალი ადგილებისა და კუთხეებისა, რომლებშიაც, ვინ

იცის, რა არ მოინახება მძებნელისათვის, ეშმაკმა იცის იმათი თავი! ხალხი ლოთობს, განათლებული ახალგაზრდობა აუსრულებელ ოცნებას გაჰყოლია, სხვადასხვა თეორიებისაგან მთლად დამახინჯებულა; საიდანღაც ურიები ჩამოსულან, ფულებს ინახავენ, სხვა ყველაფერი კი გარყვნილებას შთაუნთქავს. ჩამოვედი თუ არა, მაშინვე ნაცნობი სუნი მეცა, მაშინვე მეცნო ქალაქი. ვნახოთ, ერთხელ, რომელიღაც საცეკვაო საღამოს დავესწარ, - ჭუჭყი და ვაი-ვაგლახი იყო ყველგან (მე კი საშინლად მიყვარს ასეთი ჭუჭყიანი ადგილები), რასაკვირველია, თავდაუჭერელი კანკანი იყო გაჩაღებული, რაც ჩემს დროს არ იყო ხოლმე. ამაში დიდი წარმატება ეტყობა. შევხედე უცბად, ლამაზად ჩაცმული ცამეტი წლის გოგონა ვიღაცა ვირტუოზთან ცეკვავს; პირდაპირ სხვა უდგას წყვილად. მოშორებით კედელთან დედა ზის სკამზე. გენახათ ნეტა, რა კანკანია! რცხვენია, წითლდება გოგონა, ბოლოს შეურაცხყოფად მიიღო და ტირილი დაიწყო. ჩაავლო ვირტუოზმა ხელი, გაიტაცა და აპროწიალებს; ირგვლივ ყველანი ხარხარებენ - მიყვარს ამ დროს ახმაურებული, თუნდაც კანკანის მოცეკვავე საზოგადოება, ხარხარებენ, ყვირიან, ხმაურობენ: „აგრეც უნდა! აბა რად დაჰყავთ ბავშვები ასეთ ადგილებში!“ მაგრამ მე რა მრჯიდა, რა საქმე მქონდა: გონივრულად იქცევინ თუ უგუნურად, თვითონვე იხუგეშონ თავი! მე მაშინვე ჩემი ადგილი ამოვიღე ნიშანში, მივუჯექი დედას და გავუბი ლაპარაკი, რომ მეც ჩამოსული ვარ, რომ აქ ყველანი საშინელი ბრიყვები არიან, რომ ნამდვილ პატიოსან ხალხს ვერა სცნობენ და შესაფერად პატივს არ სცემენ; გავაგებინე, რომ ფული ბლომად მაქვს; ვთხოვე, ჩემი კარეტით მიგაცილებთ-მეთქი შინამდის; მივაცილე, გავიცანი (რადაც ერთი ბეწო ოთახი უჭირავთ მდგმურებისაგან ნაქირავები, ახალი ჩამოსულები არიან). გამომიცხადეს, რომ დედაცა და ქალიც, ორივენი ჩემს ნაცნობობას დიდ პატივად თვლიან; როგორც აღმოჩნდა, არაფერი თურმე არ გააჩნიათ, ღარიბები არიან; ჩამოსულან, რომ რომელიღაც დაწესებულებაში იშუამდგომლონ! მაშინვე დახმარება შევთავაზე, ფულით თუ ისე მიმსახურეთ-მეთქი. შევიტყვე, რომ შეცდომით წასულიყვნენ საღამოზე, - ჰგონებოდათ, ცეკვას ასწავლიანო; აღვუთქვი ქალის აღზრდაში დახმარება. ფრანგული და ცეკვა შეასწავლეთ-მეთქი. აღტაცებით შეეგებნენ, დიდ პატივად ჩათვალეს; დღემდე ნაცნობობა გვაქვს... გინდათ წავიდეთ როდისმე, მაგრამ ახლა კი არა.

- კარგით, გეთაყვა, მაგ თქვენ სამაგელსა და საზიზღარ ანეგდოტებს თავი დაანებეთ. გარყვნილი, მდაბალი, ავხორცი ადამიანი ხართ!

- შილერს დამიხედეთ, ჩვენს შილერს. *Ou va-t-ella la vertu se nicher!*[58] იცით რა, განგებ სულ ასეთ რამეებს გიამბობთ, რომ თქვენს შეყვირებას ვუგდო ყური. ვტკბები პირდაპირ!

- მე კი არ ვიცი განა, რომ სასაცილო ვარ ახლა? - ჩაიბუტბუტა გაბოროტებით რასკოლნიკოვმა.

სვიდრიგაილოვი ხმამაღლა ხარხარებდა; ბოლოს ფილიპეს დაუძახა, გაუსწორდა და წამოდგომა დააპირა: - ეჰე, კარგა მომკიდებია, *assez cause!*[59] - ჩაილაპარა, - ვტკბები, ვტკბები!

- რასაკვირველია, დატკბებით! - შესძახა რასკოლნიკოვმა და ესეც წამოდგა. - განა თქვენსავით ნათრევი და გარყვნილი კაცისათვის, რომელსაც ახლაც, ვინ იცის, რა უმსგავსი საზიზღრობა აქვს განზრახული, სასიამოვნო და დამატკბობელი არ უნდა

იყოს ასეთი ამბების მბოზა, მეტადრე ამ გარემოებაში და ისიც ჩემისთანა კაცის წინაშე... ცეცხლს უკიდებს.

- თუ აგრე ვიტყვით, თქვენც საკმაოდ დიდი ცინიკოსი ხართ, - მიუგო გაკვირვებით სვიდრიგაილოვმა და თან თვალიერება დაუწყო. - მასალას მაინც დიდს შეიცავთ. შეგიძლიათ ბევრი რამ შეიგნოთ... ბევრი რამ შეგიძლიათ იმოქმედოთ კიდევ. მაგრამ კმარა. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ასე ცოტა ვილაპარაკეთ, მაგრამ ვერსად წამიხვალთ... ცოტა დამაცადეთ მხოლოდ...

სვიდრიგაილოვი ტრაქტირიდან გავიდა. რასკოლნიკოვიც უკან გაჰყვა. არც ისე ძალიან იყო გადაკრულში სვიდრიგაილოვი; ერთი წამით აუვარდა მხოლოდ თავში, თანდათან ფხიზლდებოდა. რაღაცაზე მეტად იყო დაფიქრებული, იღრუბლებოდა. რაღაც მოლოდინი აღელვებდა საშინლად, აწუხებდა, მოსვენებას არ აძლევდა. ამ ბოლო წუთებში რასკოლნიკოვსაც როგორღაც სხვანაირად დაუწყო მოპყრობა, უფრო მეტად დასცინოდა და უხეშად ექცეოდა. ყველაფერი ეს შენიშნა რასკოლნიკოვმაც, შეშფოთდა. როგორღაც საეჭვოდ ეჩვენა სვიდრიგაილოვი და გადაწყვიტა, უკან გაჰყოლოდა.

ფილაქანზე ჩამოვიდნენ.

- თქვენ მარჯვნივ, მე მარცხნივ, თუმცა, როგორც გერჩიოთ, მაგრამ adieu, mon plaisir[60], მშვიდობით გვენახოს ერთმანეთი!

სვიდრიგაილოვმა მარჯვნივ, სენის მოედნისაკენ გაუხვია.

V

რასკოლნიკოვიც კვალდაკვალ მიჰყვა.

- რას ნიშნავს ეს? - შეჰყვირა სვიდრიგაილოვმა, უკან რომ მიიხედა და რასკოლნიკოვი დაინახა, - ხომ გითხარით...

- რას ნიშნავს და იმას, რომ აღარ ჩამოგეხსნებით.

- რაო, რაააო?

შედგნენ ორივენი და დაუწყეს ერთმანეთს თვალთ ზომვა.

- თქვენი ნაამბობიდან, რომელიც ახლა თქვენგან, თითქმის მთვრალისაგან, მოვისმინე, - მოუჭრა მკაცრად რასკოლნიკოვმა, - პირდაპირ და გადაჭრით დავასკვნე, რომ არამცთუ არ მიგიტოვებიათ თქვენი საზიზღარი განზრახვა ჩემი დის მიმართ, პირიქით, ახლა უფრო გაგიბამთ ქსელი. ვიცი, მაგალითად, რომ ამ დილით ჩემს დას ვილაცისაგან წერილი მიუღია. მოუსვენრობდით ერთთავად, სკამზე ძლივს იჯექით, თითქოს ეკლები ჩხვლეტენო... რასაკვირველია, შეგემლოთ გზადაგზა სადმე ცოლიც გეშოვნათ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მინდა, პირადად დავრწმუნდე...

მაგრამ შეძლებდა განა რასკოლნიკოვი გამოერკვია, რა უნდოდა სახელდობრ ახლა და რაში უნდა დარწმუნებულიყო პირადად?

- ხედავთ ამას! გინდათ ახლავე პოლიციას დავუმახო? - დაემუქრა სვიდრიგაილოვი.

- დაუმახო!

ერთ წამს კიდევ ერთიმეორის პიდაპირ იდგნენ. სვიდრიგაილოვს ბოლოს სახე შეეცვალა. რომ ნახა, მუქარამ ვერ შეაშინა რასკოლნიკოვი, უცებ მხიარული, მეგობრული სახე მიიღო.

- ვერ ხედავთ ამას! მე განგებ თქვენც საქმეზე კრინტი არ დავმარი, თუმცა ცნობისმოყვარეობა საშინლად მაწუხებს. ფანტასტიკური რამ არის. სხვა დროსთვის გადავდე, მაგრამ ვაი რომ, მკვდარსაც კი გააბრაზებთ, ისეთი ადამიანი ხართ... კარგი, მამ წავიდეთ, მაგრამ წინათვე გეტყვით: შინ მხოლოდ ერთ წუთს შევივლი, რომ ფული წამოვიღო; დავკეტავ მერე ბინას, დავიჭერ ეტლს და მთელი ღამით კუნძულებზე წავალ. მითხარით, აბა, რა გინდათ ჩემთან, სად უნდა მსდიოთ?

- მეც ბინაზე მივდივარ, მაგრამ თქვენსა როდი, სოფია სემიონოვნასთან ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ დასაფლავებას ვერ დავესწარი.

- როგორც გერჩიოთ, მაგრამ სოფია სემიონოვნა შინ არ არის. ბავშვები წაიყვანა ერთ ჩემ ძველ ნაცნობ მოხუც მანდილოსანთან, რომელიც ობოლთა სამადლო სახლების გამგედ ითვლება. მოვხიბლე სწორედ ეს მანდილოსანი, სამივე ბავშვისათვის რომ აღსაზრდელი ფული წარვუდგინე და თვითონ სამადლო სახლსაც შევწირე; ვუამბე ბოლოს სოფია ივანოვნას ამბავიც, თითქმის დაწვრილებით, არა დამიმაღავს რა. სამაგალითო მოქმედება იქონია. აი, ამიტომ ჰქონდა სოფია სემიონოვნას დღეს დანიშნული ვადა, - იმ სასტუმროში მისულიყო უთუოდ, სადაც დროებით არის ჩამომხტარი აგარაკიდან ჩამოსული ჩემი ნაცნობი მანდილოსანი.

- რა ვუყოთ მერე, მე მაინც შევალ.

- როგორც გინდოდეთ, რა მესაქმება, მხოლოდ ამხანაგად კი ვერ გამოგადგებით! აგერ, ახლავ შინ მივალთ. მითხარით, მართლა იმიტომ გეჩვენებით საეჭვოდ, რომ იმდენად ზრდილობიანი ვიყავი, აქამდე გამოკითხვით თავი არ შეგაბეზრეთ... ხომ გესმით, რაზედაც ვამბობ? არაჩვეულებრივ, უცნაურ ამბად გეჩვენებათ ეს; დაგენამლევებით თუნდაც, რომ ასეა! მოდი და ამას იქით თავაზიანი იყავი!

- კარიდან კი ჩუმ-ჩუმად ყური უგდეთ, ჰა!

- იმაზე ამბობთ, ჰო! - ჩაიცინა სვიდრიგაილოვმა. - გამიკვირდებოდა, რომ ყველა ამის შემდეგ უყურადღებოდ დაგეტოვებინათ. ხა-ხა-ხა! თუმცა, მართალია, ზოგიერთი რამ გავიგე კიდევ მაშინ... ის... რაღაცა რომ ჩაგედინათ და სოფია სემიონოვნას უამბობდით თვითონვე. მაგრამ მაინც რა არის, ვერ გამიგია. იქნებ იმიტომაც, რომ ჩამორჩენილი კაცი ვარ მეტად და აღარაფრის შეგნება არ შემიძლია. ამიხსენით, გეთაყვა! ახალი აზრებით გამანათლეთ.

- ვერაფერსაც ვერ გაიგებდით, სტყუით, სულ სტყუით!

- იმაზე როდი გეუბნებით, არა (თუმცა ზოგიერთი რამ გავიგონე კიდევ), აი, რომ ოხრავთ ერთთავად, იმაზე გეუბნებით! შილერისეული სული წამდაუწუმ გიწუხთ, გიღელავთ. ახლა კი მიბრძანეთ, კარიდან ყურს ნუ დაუგდებთო. წადით, რაკი აგრეა, და მთავრობას გამოუცხადეთ, რომ ამა და ამრიგად ესა და ეს შემემთხვა-თქო:

თეორიაში შევცდი ცოტათი-თქო. მაგრამ თუ დარწმუნებული ხართ, რომ კარიდან ყურისგდება არ შეიძლება და ბებრუხანების ჟუჟვა კი, რითიც მოგიხვდებათ, შეიძლება, ისიც საკუთარი სიამოვნების გულისათვის, საჩქაროდ როგორმე ამერიკაში მოუსვით... გაიქე, ყმაწვილო, ჩქარა! სანამ დრო კიდევ არის. გულწრფელად გეუბნებით. რაო, ფული არ გაქვთ! მე მოგცემთ.

- მაგაზე სულაც არა ვფიქრობ, - გააწყვეტინა ზიზღით რასკოლნიკოვმა.

- მესმის (თუმცა ნურც ძალიან შეიწუხებთ თავს: თუ გინდათ, ბევრს ნუღარ ილაპარაკებთ); ვიცი, მესმის, რაც გაიფიქრეთ: ზნეობრივი კითხვები ხომ არა? მოქალაქისა და ადამიანის მოვალეობა? გვერდზე მიაგდეთ; რაღად გინდათ? ხე-ხე-ხე! მეტადრე ახლა, იმიტომ რომ ჯერ ისევ მოქალაქე და ადამიანი ხართ? თუ აგრე იყო, რაღას ეჩრებოდით მაშ. არ უნდა მოგეკიდათ ხელი, რაკი თქვენი საქმე არ იყო. მაშ თავი მოიკალით; ან იქნებ, არც ეგ გინდათ?

- განგებ ცდილობთ, ვგონებ, გამაბრაზოთ, რომ მოგშორდეთ როგორმე, დაგეხსნათ ახლა...

- აი, სულელი! მოვედით კიდევ, გთხოვთ, ამობრძანდეთ კიბეზე. ხედავთ, აი, სოფია სემიონოვნასთან შესასვლელი კარი, არავინ არის! არა გჯერათ? ჰკითხეთ კაპერნაუმოვს! გასაღებს ამას აძლევს ხოლმე. აგერ თვითონ madame de კაპერნაუმოვისაც, ჰა? რა იყო? (ყრუ არის ცოტა) წავიდა? სადა? ახლა, ახლა ხომ გაიგონეთ? არ არის შინ და, ვინ იცის, გვიანობამდე არც დაბრუნდეს. წავიდეთ ახლა ჩემთან, აკი თქვით, წამოვალო? ესეც ჩემი ბინა. madame რესლიხი შინ არ არის. ერთთავად რაღაცას ხლაფორთობს, ცოდვილობს, მაგრამ კაი დედაკაცია, მერწმუნეთ... იქნება გამოგდგომოდით კიდევ, რომ ცოტა გონივრულად მოქცეულიყავით. აი, მიცქირეთ: ვიღებ მაგიდიდან ამ ხუთპროცენტთან ბილეთს (აგერ კიდევ რამდენი მაქვს!), ეს კი ზარაფთან დახურდავდება დღეს. ხომ ნახეთ? მეტ დროს ტყუილად აღარ დავკარგავ. დავკეტავ მაგიდას, ბინას და ისევ კიბეზე გავჩნდებით. გინდათ ეტლი, დავიჭიროთ? მე ხომ კუნძულებზე ვაპირებ. არ გინდათ, გავისეირნოთ? აი, ვიჭერ ამ ეტლს და ელაგინის კუნძულისაკენ მოვუსვამ. რა იყო, რაო? უარს ამბობთ? ვეღარ შესძელით? გავისეირნოთ, არა უშავს რა. ეტყობა, წვიმას აპირებს, მაგრამ არა უშავს რა, თავი გადავახურვინოთ...

სვიდრიგაილოვი უკვე ეტლში იჯდა. მოისაზრა რასკოლნიკოვმა, რომ ამჟამად მაინც მისი ეჭვი უსაფუძვლო იყო. იბრუნა პირი და ხმაამოუღებლოდ გასწია ისევ უკან, სენისაკენ. ერთხელ მაინც რომ მიეხედა უკან რასკოლნიკოვს, დაინახავდა უთუოდ, რომ არ გაეველო ეტლს სულ ასი ნაბიჯი, გადმოხტა სვიდრიგაილოვი, გაუსწორდა მეეტლეს და ფილაქანზე გაჩნდა. მაგრამ რასკოლნიკოვს აღარ დაუნახია, ქუჩის კუთხეს მოეფარა. ზიზღით გაექცა სვიდრიგაილოვს. „მეც ერთ წამს ვითომ რიდაცის იმედი მქონდა ამ საზიზღარი ბოროტმოქმედისა და ავხორცი, გარყვნილი გაიძვერასაგან!“ - შეჰყვირა უნებურად. თუმცა, მართალია, ეს თავისი მსჯელობა ცოტა არ იყოს აჩქარებითა და დაუფიქრებლად წარმოთქვა რასკოლნიკოვმა. იყო მთელ ამ გარემოებაში ისეთი რამ, რაც სვიდრიგაილოვს მცირედად მაინც ორიგინალურად თუ საიდუმლოდ აჩენდა. რაც შეეხებოდა მის დას, ამაში კი ნამდვილად დარწმუნდა, რომ სვიდრიგაილოვი არ მოასვენებდა. მაგრამ სამძიმო იყო მეტად და აუტანელი ყველა ამაზე ფიქრი!

დარჩა თუ არა მარტო რასკოლნიკოვი, არ გაუვლია ოცი ნაბიჯი, რომ ჩვეულებრივ ღრმა ფიქრში გაება. შედგა თუ არა ხიდზე, მივიდა მოაჯირთან და დაუწყო წყალს ყურება. სწორედ ამ დროს ავდოტია რომანოვნა წაადგა თავს.

ხიდზე შედგომისთანავე შეეჩება დას რასკოლნიკოვი, მაგრამ ვერ შეამჩნია, გვერდით გაუარა. დუნეჩკას აქამდე არსად უნახავს ძმა ქუჩაში ამ სახით; ამიტომაც შეეშინდა საშინლად. ავდოტია რომანოვნა შეჩერდა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა: ხმა გაეცა თუ არა? უცბად სენის მხრიდან ჩქარი ნაბიჯით მომავალ სვიდრიგაილოვს მოჰკრა თვალი.

ფრთხილად და უჩუმრად უახლოვდებოდა სვიდრიგაილოვი ავდოტია რომანოვნას. ხიდზე სულ არ შეუდგამს ფეხი, შორიახლო გაჩერდა ფილაქანზე და ცდილობდა, როგორმე არ დაენახა რასკოლნიკოვს. დუნეჩკას კარგა ხანია თვალი მოჰკრა, შორიდან ანიშნებდა რაღაცას. როგორც მიუხვდა დუნეჩკა, სვიდრიგაილოვი სთხოვდა, ხმა არ გაეცა ძმისათვის, თავი დაენებებინა, მას კი თავისკენ იწვევდა.

ასეც მოიქცა დუნეჩკა; ფრთხილად აუქცია გვერდი ძმას და სვიდრიგაილოვს მიუახლოვდა.

- წავიდეთ ჩქარა, - წასჩურჩულა სვიდრიგაილოვმა, - არ მინდა, ჩვენი ნახვის ამბავი როდიონ რომანიჩმა იცოდეს. ეს-ეს არის აქ, მახლობლად ვისხედით ერთად ტრაქტორში აქამდის, თვითონვე მომძებნა, ძლივს მოვიშორე. საიდანღაც ჩემი წერილის ამბავი გაუგია, რაღაცას ეჭვობს. რა თქმა უნდა, თქვენ არ ეტყოდით? მამ ვის უნდა ეთქვა?

- აგერ, ქუჩის კუთხესაც მოვეფარებით, - გააწყვეტინა დუნეჩკამ, - რას დაგვინახავს. გეუბნებით, ამას იქით არ გამოგყვებით. მითხარით, რა გაქვთ სათქმელი; ქუჩა არაფერს დაგვიშლის.

- ჯერ ერთი, ქუჩაში იმის თქმა შეუძლებელია; მეორე, უნდა მოუსმინოთ უთუოდ სოფია სემიონოვნას, და მესამე, უნდა გაჩვენოთ ზოგიერთი საბუთი... დასასრულ, თუ უარს იტყვით და არ შემოხვალთ ჩემთან, მაშინ მეც უარს ვიტყვი ყოველგვარ განმარტებაზე და უკანვე დავბრუნდები. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საიდუმლო თქვენი საყვარელი ძმისა ჩემს ხელთ არის სრულიად.

შედგა, შეყოყმანდა დუნეჩკა, გამსჭვალავი თვალი ღრმად დააშტერა სვიდრიგაილოვს.

- რისი გეშინიათ! - შენიშნა დამშვიდებულმა. - ქალაქია, სოფელი ხომ არ არის. სოფელშიაც კი თქვენვე მავნეთ მეტი, ვიდრე მე, აქ ხომ...- სოფია სემიონოვნაც გააფრთხილეთ თუ არა?

- არა, არა მითქვამს რა, ისიც კი არ ვიცი, შინ არის ახლა თუ არა? მაგრამ შინ იქნება უთუოდ, ერთი თავისი ნათესავი დამარხა დღეს, სტუმრად როგორღა წავიდოდა. მინდა, დრომდე არავის არ ვუთხრა ამაზე. იმასაც კი ვწუხვარ, რომ თქვენ გაგაგებინეთ. საკმარისია მცირედი გაუფრთხილებლობა და საქმე გაფუჭდება. აი, აქვე, ამ სახლში ვცხოვრობ, აგერ, მოვედით კიდეც. აი, ეს ჩვენი მეუზოვეა; კარგად მიცნობს ძალიან; თავს მიკრავს; ხედავს, რომ მანდილოსანი მომყვება და თქვენი სახეც, ეჭვი არ არის, დაახსომდება; გამოგადგებათ, თუ მართლა ეჭვი რამ გაქვთ ჩემზე და გეშინიათ. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მოურიდებლად გელაპარაკებით. მე თვითონ

მდგმურებისაგან ვეძიებოთ ოთახებს. სოფია სემიონოვნაც ჩემ გვერდით ცხოვრობს, კედელი გვეყოფს ერთიმეორისაგან. იმასაც ასე ჩემსავით მდგმურებისაგან აქვს ნაქირავები ოთახი. მთელი სართული ასეა თითქმის გაქირავებული, მდგმურებით არის სავსე. რისი გეშინიათ, ბავშვი ხომ არა ხართ? ან იქნებ ისე საშიში ვარ მართლა?

სახე თითქოს გასაღიმებლად დაეღრიჯა სვიდრიგაილოვს, მაგრამ სიცილისათვის სცხელოდა განა! გული ძლიერად უცემდა, სულთქმა უგუბდებოდა. განგებ ხმამაღლა ელაპარაკებოდა, რომ მღელვარება დაემალა როგორმე; თუმცა დუნიას არ შეუნიშნავს ეს მღელვარება; საშინლად გააბრაზა იმან, რომ სვიდრიგაილოვმა ეჭვი მიიტანა, ბავშვივით გეშინიათო, რომ ასე საშიში იყო ვითომ დუნიასათვის!

- ვიცი, მართალია... უპატოსნო კაცი ხართ, მაგრამ არ მეშინია თქვენი. გამიძეხით წინ, - მიმართა ვითომ დამშვიდებულმა, მაგრამ გაფითრებულ სახეზე მაინც ნათლად ეტყობოდა შიში.

სვიდრიგაილოვი სონიას ბინასთან შედგა.

- მოითმინეთ, ვკითხავ ახლა, შინ არის თუ არა... არა ყოფილა! ვწუხვარ! მაგრამ ვიცი, მალე დაბრუნდება უთუოდ. თუ წავიდა, ეჭვი არ არის, ერთ ჩემ ნაცნობ მანდილოსანთან წავიდოდა ობლების თაობაზე. დედა მოუკვდათ... მეც ჩავერიე ამ საქმეში. თუ სოფია სემიონოვნა ათი წუთის განმავლობაში არ დაბრუნდება, მაშინ თვითონვე გამოვგზავნი თქვენთან, გინდათ დღესვე; აგერ ჩემი ბინაც. აი, ჩემი ორი ოთახი. კარს იქით ჩემი დიასახლისი, ქალბატონი რესლიხი ცხოვრობს. ნახეთ ახლა, ჩემს საბუთებსაც გიჩვენებთ: ჩემი საწოლი ოთახიდან ეს კარი სრულიად ცარიელ გასაქირავებელ ოთახებში გადის. აგერ ეს ოთახებიც... ამას კი ცოტა მეტი ყურადღებით უნდა დააკვირდეთ...

სვიდრიგაილოვს ორი საკმაოდ მოზრდილი, მზად მოწყობილი ოთახი ეჭირა. დუნეჩკა უნდობლად იყურებოდა გარშემო, მაგრამ საეჭვო ვერა შენიშნა რა - ვერც მოწყობილობასა და ვერც ოთახების მდებარეობაში, თუმცა საგულისხმო ჩანდა ის, რომ სვიდრიგაილოვის ბინა, მაგალითად, ორ სრულიად ცარიელსა და გამოყრუებულ ბინას შუა იყო მოქცეული. შესასვლელიც პირდაპირ დერეფნიდან კი არა, დიასახლისის ორი თითქმის სრულიად ცარიელი ოთახიდან ჰქონდა. საწოლი ოთახიდანაც, როგორც თვითონ სვიდრიგაილოვმა უჩვენა, ასეთსავე ცარიელ ბინაში გადიოდა კარი, რომელიც მან გასაღებით გააღო. დუნია კარში შედგა, ვერ გაეგო, რისთვის უჩვენებდა სვიდრიგაილოვი ოთახებისა და ბინების მდებარეობას.

- აი, შეხედეთ ამ მეორე დიდ ოთახს. დაიხსომეთ, კარი გასაღებით არის დაკეტილი. კართან სკამი დგას, მთელ ორ ოთახში ერთადერთია ეს სკამი. მე მოვიტანე ჩემი ოთახიდან, რომ უფრო ხერხიანად მეგდო ყური. აგერ, იქ, კარს იქით, სოფია სემიონოვნას მაგიდა დგას. იქ იჯდა სოფია სემიონოვნა და ელაპარაკებოდა როდიონ რომანიჩს. მე კი აქ ვიჯექ ხოლმე სკამზე და ვუგდებდი ყურს; ასე იყო ორ ღამეს, ზედიზედ. როგორ გგონიათ, შემეძლო გამეგო რამე თუ არა?

- ყურს უგდებდით თქვენ?

- დიახ, ყურს ვუგდებდი. წავიდეთ ახლა ჩემთან, თორემ დასაჯდომიც კი არსად არის აქ.

ავდოტია რომანოვნა ისევ უკან გაიყვანა, თავის პირველ ოთახში, რომელსაც სვიდრიგაილოვი სტუმრის მისაღებად ხმარობდა. წაიყვანა, სთხოვა დამჯდარიყო და თვითონაც მაგიდის მეორე ბოლოში დაჯდა ერთი საჩენით მაინც მოშორებით, მაგრამ თვალეში ისევ ის ცეცხლი უღვიადა, რომელმაც ერთ დროს ისე შეაშინა დუნეჩკა. შეკრთა დუნეჩკა, ერთხელ კიდევ უნდობლად მიმოავლო თვალი იქაურობას. უნებურად მოუვიდა როგორღაც ეს; ეტყობოდა, არ უნდოდა, უნდობლობა ეჩვენებინა, მაგრამ განმარტოებითი მდებარეობა სვიდრიგაილოვის ბინისა საშინლად ეუცხოებოდა. უნდოდა ეკითხა, დიასახლისი მაინც შინ არის თუ არაო, მაგრამ არა ჰკითხა... სიამაყემ ნება არ მისცა. ამასთან, მეორე, კიდევ უფრო მძიმე სატანჯველი აწუხებდა, ვიდრე შიში. საშინლად იტანჯებოდა.

- აგერ თქვენი წერილი, - დაუწყო დუნეჩკამ და წერილი მაგიდაზე დაუდო. - ნუთუ მართლა შესაძლებელია, რასაც თქვენ იწერებით? თქვენ მანიშნებთ, ვითომ ჩემს ძმას როდიონს რაღაც დანაშაული ჩაედინოს. ეჭვი პირდაპირ არის გამოთქმული, ტყუილად უარს ნუღარ იტყვით. იცოდეთ, თქვენამდე მოვკარი ყური ამ სისულელეს, მაგრამ არა მჯეროდა და არცა მჯერა. სასაცილოა და საზიზღარი ეს ეჭვი. ვიცი ყველაფერი, რა მიზეზითა და როგორ მოიგონეს იგი. არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა გაქვთ უთუოდ. მაგრამ დამპირდით, დაგიმტკიცებთო, და დამიმტკიცე ახა! მაგრამ იცოდეთ წინათვე, არა მჯერა რა თქვენი! არა მჯერა!..

ყველაფერი ეს აჩქარებით, სხაპასხუპით წარმოთქვა დუნეჩკამ, ერთ წამს წამოწითლდა კიდევ.

- როგორ, არა გჯეროდათ და გაბედავდით, მოხვიდოდით მარტოდ ჩემთან? რისთვის მოხვედით მაშ? ნუთუ მარტო ცნობისმოყვარეობისათვის?

- ნუღარ მტანჯავთ, თქვით, თქვით!

- თქმა არ უნდა, გამბედავი ყოფილხართ მეტად. მეგონა, ღმერთს გეფიცებით, ბატონ რაზუმინსინს მოიყოლიებდით თან. მაგრამ არც თქვენთან, არც სადმე მახლობლად იგი არ ჩანდა, ვათვალისწინებდი; გაბედულია, გაბედული თქვენი საქციელი; ეტყობა, როდიონ რომანიჩს გაუფრთხილდით. მაგრამ რა, მარტო ეს? ყველაფერი ღვთაებრივი გაქვთ... რაც შეეხება თქვენს ძმას, რა გითხრათ ახა? ეს-ეს არის თვითონ ნახეთ. როგორ გეჩვენათ?

- იქნებ მარტო ამაზე ამყარებთ თქვენს ეჭვს?

- სულაც არა, პირიქით, საკუთარ მის სიტყვებზევე. აი აქ მოდიოდა ორ ღამეს ზედიზედ სოფია სემიონოვნასთან და უამბობდა. ხომ გიჩვენეთ კიდევ, სად ისხდნენ ხოლმე. აღსარება უთხრა მთელი. მკვლეელია იგი. იმას მოუკლავს მევახშე ბებრუხანა, რომელთანაც თვითონაც აგირავებდა ნივთებს; მოუკლავს აგრეთვე ბებრუხანას დალალი და, ლიზავეტა, რომელიც მოულოდნელად შემოსულა მკვლელობის დროს. მოუკლავს ორთავე, თან მიტანილი ცულით. მოუკლავს, რომ გაეძარცვა, და წაუღია კიდევ: ფული და რაღაც-რაღაც ნივთები... თვითონ უამბო ყველაფერი ეს სოფია სემიონოვნას, როგორც საიდუმლო, მაგრამ არც მკვლელობაში, არც სიტყვით, არც საქმით, არაფერში მონაწილე არ არის სოფია სემიონოვნა და ისევე საზარლად ეჩვენა და ეოცა ყველაფერი, როგორც თქვენ ახლა. ნუ გეშინიათ, არ გასცემს...

- შეუძლებელია, შეუძლებელი! - ბუტბუტებდა ტუჩებგაფითრებული, მომაკვდავივით გაცრეცილი დუნეჩკა; სული უგუბდებოდა; - შეუძლებელია, მიზეზი არ ჰქონდა, მიზეზი არავითარი... სიცრუე არის, სიცრუე!

-მიზეზიო? რომ გაძარცვა და ნივთები და ფული წაიღო? მართალია, თვითონ აღიარა, რომ არც ნივთებითა და არც ფულით არ უსარგებლია, წაუღია და სადღაც ქვის ქვეშ შეუნახავს. დღემდის იქ აწყვია თურმე, მაგრამ იმიტომ ალბათ, რომ ვეღარ გაბედა, ესარგებლა.

- როგორ, შესაძლებელია განა როდიონმა გაძარცვოს ვინმე! რომ ფიქრადაც კი გაივლოს გულში ამგვარი რამე! - შეჰკვივლა დუნია და სკამიდან წამოხტა. - ხომ გინახავთ და იცნობთ? ნუთუ შეუძლია იქურდოს?

ემუდარებოდა თითქოს სვიდრიგაილოვს; შიში მთლად დავიწყებოდა.

- აჰ, ავდოტია რომანოვნა, ათასი და მილიონი სხვა მოსაზრება და გარემოებაა მიზეზი. ქურდი რომ ქურდობს, თვითონვე იცის, რომ საზიზღარია; მაგრამ აი, მაგალითად, ერთ კეთილშობილ კაცზე მითხრეს, ფოსტა გაძარცვაო; ვინ იცის, იქნებ ეგონა კიდეც, რომ კაი საქმეს სჩადიოდა! ეჭვი არ არის, მეც თქვენსავით დაუჯერებლად მივიჩნევდი, სხვას რომ ეთქვა ვისმე. მაგრამ ჩემს საკუთარ ყურებს კი დავუჯერე! მიზეზიც ყველა აუხსნა სოფია სემიონოვნას, მაგრამ ქალი თავის ყურებს არ უჯერებდა პირველად; ბოლოს კი იძულებული იყო, საკუთარი თვალებისთვის დაეჯერებინა. თვითონ უამბო ხომ ყველაფერი.

- რა მიზეზები... მაინც?

- გრძელი საქმეა, ავდოტია რომანოვნა. როგორ აგიხსნათ, რა ვთქვა, თეორიაა თავისებური, რომელსაც მეც ვეთანხმები, მაგალითად, რომ კერძო ბოროტება გასაკიცხი არ არის, თუ მთავარი მიზანი საკეთილოა. კერძო რამ ბოროტება და სამაგიეროდ ასი კეთილი საქმე! რასაკვირველია, ისიც საწყენია მეტად თავისი ღირსების შემგნებ და უზომოდ თავმოყვარე ახალგაზრდისათვის, როცა იცის, მაგალითად, რომ სამი ათასი მანეთი საიდანმე გასჩენოდა, მთელ თავის მომავალ ცხოვრებას სხვარიგად მოაწყობდა, მაგრამ არსადა ჩანს ეს სამი ათასი. ამას მიუმატეთ ახლა შიმშილი, ვიწრო, დახშული ოთახი, სიღარიბე და სიტიტველე, თავისი დუხჭირი სოციალური მდგომარეობის მწვავე შეგნება, დისა და დედის გაჭირვებული მდგომარეობა... ყველაზე მეტად კი სიამაყე და თავმომწონეობა, მაგრამ, ღმერთმა უწყის, იქნება უიმისოდაც არ ასცდენოდა... არ ვამტყუნებ, არ იფიქროთ, გეთაყვა; რა ჩემი საქმეა. გარდა ამისა, საკუთარი პატარა თეორიაც ჰქონდა, რომლის ძალითაც მთელი ხალხი ორ ჯგუფად იყოფა: ერთია უბრალო მასალა, მეორე - საგანგებო, რჩეული ხალხი, რომლისთვისაც კანონი არ იწერება, პირიქით, თვითონ უწერს კანონებს დანარჩენებს, ესე იგი, ამ უბრალო მასალას. საიმისო არა არის რა, უბრალო თეორიაა: une gheorie comme une autre! [61] ნაპოლეონი გაიტაცა თურმე საშინლად, ესე იგი გაიტაცა იმან, რომ ბევრი გენიოსი კერძო ბოროტებას სრულიად არად დაგიდევს და დაუბრკოლებლივ არღვევს ყველაფერს. მოსჩვენებია, ვგონებ, რომ გენიოსია თვითონაც, - ერთხანად მაინც დარწმუნებული ყოფილა. საშინლად ბევრი იტანჯა და იტანჯება ახლაც იმის გამო, რომ თეორია შეთხზა, მაგრამ ვერ შეასრულა კი სინდისის ქენჯნის გარეშე, მაშასადამე, გენიოსი არცა ყოფილა. თავმოყვარე ახალგაზრდისათვის კი ეს დიდად დამამცირებელია, განსაკუთრებით ამ ჩვენს დროში...

- მერე, სინდისის ქენჯნა? მაშ მის ზნეობრივ გრძნობას, ჩანს, სრულიად უარყოფთ მაშ? მერე განა ასეთია როდიონი?

- ეჰ, ავდოტია რომანოვნა, ყველაფერი ბნელით არის რატომღაც ახლა მოცული, თუმცა წინათაც არ ყოფილა დიდი წესიერება. დიდი გაქანების ხალხია რუსი ხალხი, როგორც თვით მათი სამშობლო ქვეყანა, ამიტომ ფანტასტიკური და უწესრიგო; გაქანება კი უბედურებაა სწორედ, თუ რომ გენიოსობა არ ახლავს თან. არ გახსოვთ, თვითონ ჩვენც რამდენჯერ გვისაუბრია ამავე საგანზე იქ, სოფლად, ვახშმის შემდეგ რომ ბაღში, ტერასაზე ვისხედით ხოლმე ორად ორნი. თვითონ მეც განა ამიტომ არ მკითხავდით. ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ დროს ის კიდეც აქ იწვა ხოლმე მარტოდმარტო და თავისას ფიქრობდა. ჩვენში ხომ განათლებულ საზოგადოებას საიმისო რამ წმინდა გადმოცემანი არა აქვს, ავდოტია რომანოვნა: კარგია, თუ წიგნებიდან ვინმე რასმე შეადგენს თავისთვის... ან მატთანებიდან გამოჰკრებს რასმე. მაგრამ ესენიც მეცნიერები არიან მეტწილად, ისიც თავისებური ჩურჩუტები, ასე რომ საერო კაცს არც კი შეჰფერის. მაგრამ ხომ იცით, რა აზრისაც ვარ; არავის გადაჭრით არ ვამტყუნებ. თვითონ მე არას ვაკეთებ და არც ვცდილობ რამე გავაკეთო. თორემ კიდევაც რამდენჯერ გვექონია ამაზე ლაპარაკი. გახსოვთ, თქვენს ყურადღებასაც კი ვიზიდავდი ხოლმე ჩემი მსჯელობით, ვიყავი ასე ბედნიერი... ძალიან გაფითრებული ხართ, ავდოტია რომანოვნა!

- ეგ მისი თეორია მეც უკვე გაცნობილი მაქვს. ჟურნალში წავიკითხე; წერს ხალხზე, რომელსაც ყველაფრის ნება აქვს დართული. რაზუმინმა მომიტანა ჟურნალი.

- ბატონმა რაზუმინმა? თქვენი ძმის წერილი? ასეთი რამ დაუწერია? არ ვიცოდი სწორედ. საყურადღებო უნდა იყოს მეტად! რაო, საით, ავდოტია რომანოვნა?

- მინდა სოფია სემიონოვნა ვნახო, - მიუგო სუსტი ხმით დუნეჩკამ. - გზა საით არის? იქნება მოვიდა კიდეც. მინდა, უთუოდ ახლა ვნახო. დეე...

მაგრამ ვეღარ დაათავა ავდოტია რომანოვნამ, სუნთქვა შეეკრა.

-სოფია სემიონოვნა გვიანობამდის არ დაბრუნდება. ასე მგონია. ძალიან, ძალიან უნდა მოსულიყო, მაგრამ რაკი აქამდის არსადა ჩანს, დაიგვიანებს ეტყობა...

- როგორ! სტყუი მაშ! ვხედავ, ვხედავ... რომ იცრუე... ყველაფერში იცრუე!.. აღარ გენდობი! აღარ! - ყვიროდა გაბრაზებული, თავგზააბნეული დუნია.

თითქმის გულწასული დაეცა სკამზე, რომელიც საჩქაროდ მიაშველა სვიდრიგაილოვმა.

- ავდოტია რომანოვნა, რა დაგემართათ, გონს მოდით! აი, წყალიც. გადაყლაპეთ ცოტა...

სვიდრიგაილოვმა წყალი ასხურა ოდნავ. დუნეჩკა შეხტა, გამოერკვა.

- ძალიან იმოქმედა! - ბუტბუტებდა თავისთვის დაღვრემით სვიდრიგაილოვი. - ავდოტია რომანოვნა, დამშვიდდით! იცოდეთ, მეგობრებიცა ჰყავს თქვენს ძმას. ვუშველით, ვიხსნით როგორმე. გინდათ, საზღვარგარეთ წავიყვან? ფული მაქვს; სამ დღეში ბილეთს ვუშოვნ. რაც შეეხება იმას, რომ მკვლელობა ჩაიდინა, არა უშავს რა,

სამაგიეროდ, კეთილ საქმეებს ჩაიდენს, ყველაფერი ეპატიება; დამშვიდდით!
შეუძლია, დიდებული კაცი შეიქნეს. რაო, რა დაგემართათ? თავს როგორა გრძნობთ?

- ბოროტო კაცო! დამცინით კიდევ. გამიშვით...

- საით? საით?

- საით და მასთან! სად არის? იცით, სადაა? ეს კარი რაღად არის დაკეტილი? წელან აქედან შემოვდით, ახლა კი დაკეტილია. როდის მოასწართ დაკეტვა?

- მაშ ხომ საქვეყნოდ არ ვიყვირებდით, რაც გვქონდა სათქმელი. სრულიად არ დაგცინით; ეგ არის მხოლოდ, მომწყინდა ასე ლაპარაკი. რაო მაინც, სად აპირებთ აგრე წასვლას? ან იქნებ გინდათ გასცეთ? თქვენ მხოლოდ სიგიჟემდე მიიყვანთ. სხვა არაფერი, თავს გააცემინებთ. იცოდეთ, თვალყურს ადევნებენ, კვალი უკვე მიტანილი აქვთ. თქვენ მხოლოდ გასცემთ, გამომაყლავნებთ. მოიცათ: ეს არის ჩემთან იყო, ველაპარაკე; ხსნა ჯერ კიდევ შესაძლებელია. მოითმინეთ, დაჯექით, მოვიფიქროთ. მეც სწორედ ამიტომ მოგიხმეთ, მიხლოდა, თქვენთან ერთად მოგვესაზრა, გვეფიქრა რამე. დაჯექით!

- აბა, როგორ შეძლებთ ხსნას? რანაირად? განა შესაძლებელია?

დუნია დაჯდა. სვიდრიგაილოვიც გვერდით მოუჯდა.

- ყველაფერი ეს თქვენზეა დამოკიდებული, მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე, - დაიწყო თვალგაბრწყინებულმა სვიდრიგაილოვმა თითქმის ჩურჩულით, თან ენა ებმოდა, მღელვარებისაგან სიტყვები ერეოდა, პირში ეყინებოდა.

შეშინებულმა დუნამ საჩქაროდ უკან დაიწია. სვიდრიგაილოვიც მთლად ცახცახებდა.

- საკმარისია... ერთი თქვენი სიტყვა და ეშველება, ვიხსნით მაშინვე! მე... მე ვიხსნი. ფულიცა მაქვს, მეგობრებიცა მყავს. მაშინვე საზღვარგარეთ გავისტუმრებ. პასპორტსაც ავიღებ, ორს ავიღებ. ერთს მისთვის, მეორეს ჩემთვის. მეგობრები მყავს ისეთი; საქმის ხალხი: შეუძლიათ. გინდათ? თქვენც ავიღებთ პასპორტს... თქვენს დედასაც... რაზუმიხინი რად გინდათ? ისევე მიყვარხართ, როგორც უწინ... მიყვარხართ უსაზღვროდ. ნება მომეცით, კაბის კალთა დაგიკოცნოთ! მომეცით ნება! ვერ ამიტანია თქვენი კაბის შრიალი. მითხარით: ეს გააკეთეო, გავაკეთებ! ყველაფერს შეგისრულებთ, - შეუძლებელსაც კი. რაც თქვენა გწამთ, მეც ვირწმუნებ. ყველაფერს შეგისრულებთ, ყველაფერს! აგრე ნუ მიცქერით, ნუ მიცქერით აგრე! არ იცით, როგორა მკლავთ!.. - ლამის ბოდავდა სვიდრიგაილოვი. უცბად რაღაც დაემართა, თითქოს თავში დაჰკრა რამემო. დუნია წამოხტა, კარს ეცა.

- გამიღეთ! ახლავე გამიღეთ! - ყვიროდა და თან მაგრად აჩხაკუნებდა კარის სახელურს, - გამიღეთ-მეთქი! ნუთუ არავინ არის?

წამოდგა სვიდრიგაილოვი, გონს მოვიდა. აცახცახებულ ტუჩებზე დამცინავი, ბოროტი ღიმილი გამოეწურა.

- შინ არავინ არის, - შენიშნა წყნარად და მძიმე-მძიმედ სვიდრიგაილოვმა, - დიასახლისი სხვაგანაა, ტყუილად ყვირით და ღელავთ.

- გასაღები სადღაა? გამიღეთ ახლავე, სულმდაბალო კაცო!

- დამეკარგა, ვერ მიპოვნია!

- როგორ! ძალადობა გინდა იხმარო? - შეჰყვირა დუნია და მიტკალივით გაფითრებულმა კუთხეს მიაშურა, საჩქაროდ წინიდან იქვე მდგომი მაგიდა იფარა.

დუნია არ ყვიროდა, მაგრამ თვალი კი მრისხანედ გაეყარა თვალში თავისი მტანჯველისათვის და ყოველ მის მოძრაობას გაფაციცებით თვალს ადევნებდა. სვიდრიგაილოვიც აღარ იძროდა, ოთახის მეორე ბოლოში იდგა. გარეგნულად ცოტათი დამშვიდდა, თავი შეიკავა, დაიმორჩილა კიდეც. მაგრამ სახე წინანდელივით გაფითრებული ჰქონდა. დამცინავი ღიმი არ შორდებოდა ისევ.

- ეს იყო თქვით, „ძალადობაო“, ავდოტია რომანოვნა. თუ ძალადობაა, ღონისძიებაც ხომ ნახმარი მექნება. სოფია სემიონოვნა შინ არ არის; კაპერნაუმოვებამდის კიდეც ხმა ვერ მიაწევს, შორს არის, მთელი ხუთი ოთახია გადაკეტილი. დასასრულ, თვითონ მეც ერთიორად თქვენზე ღონიერი ვარ, მაგრამ რა საჭიროა. არც შედეგისა მეშინია: თქვენ ხომ ვერ იჩივლებდით და ვერ გასცემდით ძმას? არცთუ ვინმე დაგიჯერებდათ: რაო, არ იტყოდნენ, რად მიდიოდა მარტო ქალი მარტოხელა კაცის ბინაზეო? ასე რომ, თუნდ ძმაც გემსხვერპლათ, მაინც ვერას დაამტკიცებდით: ძნელია ძალიან, ავდოტია რომანოვნა, ძალადობის დამტკიცება.

- საზიზღარო ადამიანო! - წაიბუტბუტა განრისხებულმა დუნია.

- როგორც გერჩიოთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მე მხოლოდ მოსაზრება გამოვთქვი ჩემი. ჩემი პირადი რწმენით კი გეთანხმებით, მართალი ხართ: ძალადობა საზიზღრობაა! გითხარით მხოლოდ, რომ სინდისი აქ სრულიად არ იქნებოდა შელახული, თუნდაც... ნებაყოფლობით მოგესურვებინათ ძმის დახსნა, როგორც მე გირჩიეთ ეს. თქვენ მხოლოდ დაემორჩილებოდით გარემოებასა და ძალას, რაკი უამსიტყვაობა არ ხერხდება. იფიქრეთ, აბა, თქვენი ძმისა და დედის ბედი თქვენს ხელთ არის. მე მხოლოდ მონა ვიქნები თქვენი... მთელი ჩემი სიცოცხლე გემსახურებით... აი, აქ გიცდით, აქ... - სვიდრიგაილოვი დივანზე ჩამოჯდა, რომელიც რვა ნაბიჯის მოშორებით იდგა. დუნიას აღარავითარი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სვიდრიგაილოვს მტკიცედ ჰქონდა თავისი აზრი გადაწყვეტილი. გარდა ამისა, იცოდა ისიც, რა ხასიათისა იყო.

დუნია უცბად ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ასწია ჩახმახს და ასე ჩახმახაწეული რევოლვერი მაგიდაზე დადო. სვიდრიგაილოვი დივნიდან წამოხტა.

- ეჰე! ხედავთ ამას! - შეჰყვირა გაკვირვებულმა და ბოროტად გაეცინა. - ეს კი სრულიად ცვლის საქმის ვითარებას! თქვენვე მიადვილებთ საქმეს, ავდოტია რომანოვნა! საიდან ჩაიგდეთ ხელში რევოლვერი? იქნებ ბატონმა რაზუმისხინმა გიშოვათ? ჰე-ჰე! რევოლვერი ჩემია თითქოს! ძველი ნაცნობია! მე კი როგორ ვეძებდი მაშინ! ეტყობა, სროლის გაკვეთილებს სოფლად უქმად არ ჩაუვლია!

- შენი კი არა, მარფა პეტროვნასია, რომელიც შენვე მოჰკალი, ბოროტო! არაფერი გქონდა შენი, ყველაფერი იმისი იყო. მას შემდეგ სულ თან დამქონდა, რაც კი ეჭვი შემეპარა, რომ საზიზღრობა ჩაიდუ გულში. გაბედე, აბა, და გადმოდგი ნაბიჯი... გეფიცები, მაშინვე გაგათავებ!!

გამწარებულ და გაბრაზებულ დუნიას რევოლვერი მზად ეჭირა.

- მერე, ძმას რაღას უშვრებით? ცნობისმოყვარეობით გეკითხებით, ისე, - ჩაეკითხა სვიდრიგაილოვი, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

- დაასმინე, თუ გინდა! მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა! არა-მეთქი! გესვრი! შენვე მოწამლე ცოლი, ვიცი, შენ თვითონ მკვლელი ხარ!

- მტკიცედ ხართ დარწმუნებული, რომ მე მოვწამლე მარფა პეტროვნა?

- შენა, შენ! არ იყო, მეუბნებოდი, შხამზე მელაპარაკებოდი... ვიცი, განგებ წახვედი მოსატანად... მზადა გქონდა... შენა ხარ, შენა... ეჭვი არ არის, შენა ხარ მკვლელი... საზიზღარო!

- თუნდ აგრეც ყოფილიყო, რა არის განა? შენთვისვე ვაკეთებდი... მიზეზი მაინც შენ იყავი.

- სტყუი! სტყუი! მძულდი მუდამ...

- ეჰ, ავდოტია რომანოვნა! დაგვიწყებიათ, გეტყობათ, გახურებული პროპაგანდის დროს უკვე როგორ გიზიდავდით და ზედ მელეოდით, მეხრუკებოდით... თვალეზე გატყობდით, გახსოვთ, საღამო ხანზე, მთვარის შუქზე, ბულბულიც ტკბილად გალობდა?

- სტყუი! (რისხვისაგან თითქმის ცეცხლი სცვიოდა თვალეებიდან დუნიას), სტყუი, ცილისმწამებელო!

- ვტყუი? შეიძლება მართლაც ვტყუოდე. მაგრამ ქალეებს ამაზე ეთქმის რამე განა? (ჩაეცინა.) ვიცი, რომ მესვრი, კოხტა ნადირო! მესროლე, ჰა!

მიტკალივით გაფითრებულმა და ქვედა ტუჩაცახცახებულმა დუნიამ რევოლვერი მაღლა ასწია, ცეცხლისმფრქვევი დიდრონი შავი თვალეები ღრმად ჩაამტერა, დაუწყო ცდა, რას იზამდა. ჯერ ასეთი მშვენიერი არ სჩვენებია დუნია სვიდრიგაილოვს. სწორედ იმ წამში დუნიას თვალეებიდან განაკვესმა ცეცხლმა, რევოლვერი რომ მაღლა აზიდა, თითქოს მთლად დასწვა, გული ატკინა, შეჰხუთა. გადადგა წინ სვიდრიგაილოვმა ნაბიჯი და რევოლვერიც გავარდა. ტყვიამ თმასთან გაურბინა, კედელს ეცა უკან. შედგა სვიდრიგაილოვი, ჩუმად გაეცინა.

- თავში მიმიზნებს პირდაპირ... რა არის ეს? სისხლი!

ამოიღო ცხვირსახოცი და მოიწმინდა სისხლი, რომელიც მარჯვენა საფეთქელზე წვრილად ჩამოსწვეთავდა. ალბათ ოდნავ გაუკაწრა ტყვიამ კანი. დუნიამ რევოლვერი დაუშვა და რაღაც გაშტერებულმა თუ შეშინებულმა დაუწყო სვიდრიგაილოვს ყურება. ვერ გაეგო თითქოს, რა ქნა და რა ხდებოდა.

- რა ვუყოთ, აგიცდათ! მესროლეთ კიდევ, გიცდით, - უთხრა წყნარად, მაგრამ დაღვრემით სვიდრიგაილოვმა და ისევ ჩაეცინა; - კიდევ მოვასწრებ თქვენს დაჭერას, ვიდრე ჩახმახს ასწევდეთ!

დუნეჩკას შეაჟრჟოლა, საჩქაროდ ასწია ჩახმახი, რევოლვერი დაუმიზნა ისევ.

- დამანებეთ თავი! - შესთხოვა სასოწარკვეთილმა, - გეფიცებით, გესვრით კიდეც... მოგკლავთ...

- მესროლეთ, რა ვუყოთ... სამ ნაბიჯზედაც რომ ვერ მომახვედროთ, სასაცილოა სწორედ. მაგრამ რომ ვერ მომკლათ... მაშინ... -თვალეები აუელვარდა, ორი ნაბიჯი წადგა წინ სვიდრიგაილოვმა.

დუნეჩკამ ესროლა. მოუცდა!

- კარგად ვერ გაგიტენიათ. არა უშავს რა! ერთი სროლა კიდეც გაქვთ. გაასწორეთ, მოგიცდით.

სვიდრიგაილოვი დუნეჩკასაგან ორ ნაბიჯზე იდგა და ჯიუტი გადაწყვეტილებით უცქეროდა, ვნებით სავსე, გაცეცხლებული თვალებით. მიხვდა დუნეჩკას, რომ სვიდრიგაილოვი უთუოდ თავს შეაკლავდა, არ გაუშვებდა კია. „და, რასაკვირველია... ახლა უთუოდ მოკვლავდა ორ ნაბიჯზე!“

უცბად რევოლვერი გადაისროლა.

- გადააგდო! - წარმოთქვა გაცეცხლებულმა სვიდრიგაილოვმა და ღრმად ამოისუნთქა, სული მოიბრუნა, უცბად თითქოს რაღაც მოემვა გულიდან. მაგრამ მარტო სიკვდილის შიში არ უნდა ყოფილიყო, არცთუ უგრძობია იმჟამად იგი. ეს იყო უფრო მძიმე, გაურკვეველი, ნაღვლიანი რამ გრძნობა, რომელსაც უთუოდ თვითონაც ვერ განსაზღვრავდა სავსებით.

მივიდა სვიდრიგაილოვი დუნეჩკასთან და წყნარად მოხვია ხელი წელზე; წინააღმდეგობა, მართალია, არ გაუწევია დუნეჩკას, მაგრამ ხის ფოთოლივითა თრთოდა, მუდარით შეჰყურებდა. სვიდრიგაილოვს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ტუჩებს ვეღარ იმორჩილებდა.

- გამიშვი! - შესთხოვა მუდარით დუნეჩკამ.

შეკრთა სვიდრიგაილოვი: წელანდელს არა ჰგავდა ეს თხოვნა.

- არ გიყვარვარ მაშ? - დაეკითხა სვიდრიგაილოვი ჩუმი ხმით.

დუნეჩკამ თავი გაიქნია უარის ნიშნად.

- და... არც შეგიძლია? არასოდეს? - ჩასჩურჩულა სასოწარკვეთილმა.

- არასოდეს! - უპასუხა ისევე ჩურჩულით დუნეჩკამ.

ერთ წამს ჩუმად იყვნენ ორივენი. სვიდრიგაილოვის გულში ბრძოლა იყო, უსიტყვო, საშინელი. გამოუთქმელი იყო ის ტანჯვა, რა ტანჯვითაც სვიდრიგაილოვი შეჰყურებდა იმჟამად დუნეჩკას. უცბად ხელი მოაშორა, პირი იბრუნა, ფანჯრისაკენ გასწია.

გავიდა კიდეც ერთი წამი.

- აი, გასაღები! (ამოიღო პალტოს მარცხენა ჯიბიდან და თავის უკან დადო მაგიდაზე, დუნეჩკასკენ არ მიუხედნია). - აიღეთ და გასწიეთ საჩქაროდ!..

ფანჯარას თვალს არ აშორებდა.

მივიდა დუნია მაგიდასთან გასაღების ასაღებად.

- ჩქარა! ჩქარა! - გაიმეორა სვიდრიგაილოვმა ისევ ისე ზურგშექცეულმა, არ შეუხედავს, მაგრამ საზარელი რამ გაისმა ამ „ჩქარაში“.

მიხვდა დუნია, ეცა მაშინვე გასაღებს, გაქანდა კარისაკენ, გააღო საჩქაროდ და გავარდა გარეთ. თვალის დახამხამებაზე არხზე გაჩნდა გიჟივით, აღარა ახსოვდა რა თითქმის, თავდავიწყებული სკის ხიდისაკენ გარბოდა.

სამიოდე წამს ასე იდგა კიდევ ფანჯარასთან სვიდრიგაილოვი; შემობრუნდა ბოლოს მიმედ, მიმოიხედა ირგვლივ და შუბლზე ხელი გადაისვა. უცნაურმა ღიმმა სახე დაუღრიჯა. ეს იყო რაღაც საცოდავი, ნაღვლიანი, სუსტი, უსასოობის გამომხატველი ღიმილი. სისხლი თითქმის შეჰხმობოდა, ხელისგული მინც გასისხლიანებული ჰქონდა. გაბოროტებულმა დახედა როგორღაც სისხლს; მერე პირსახოცი დაასველა და საფეთქელი ჩამოიწმინდა. დუნიას მიერ კართან დაგდებული რევოლვერი უცხად თვალში ეცა. დასწვდა, აიღო. ეს იყო სამსროლიანი, ძველი სისტემის პაწია რევოლვერი; შიგ კიდევ იყო ორი ტყვია და ერთი ცარიელი კაპსულა. ერთხელ კიდევ შეიძლებოდა გასროლა. პატარა ხანს იფიქრა, ჩაიდო რევოლვერი ჯიბეში. აიღო ქუდი და ოთახიდან გავიდა.

VI

მთელი ის საღამო ათ საათამდე სხვადასხვა ტრაქტირებსა და დუქნებში გაატარა. სადღაც კატიასაც წააწყდა, რომელიც ახლა ლაქიების სხვა სიმღერას მღეროდა, ვიღაც „გაქნილმა და მტარვალმა“ როგორ დაუწყო კატიას კოცნა.

ასვა სვიდრიგაილოვმა კატიასაც, მეარღნესაც, მომღერლებსაც, ლაქიებსაც და ვიღაც ორ გადამწერელსაც. ეს ორი აიდევნა მხოლოდ იმიტომ, რომ ორთავეს მოღრეცილი ცხვირი ჰქონდათ, - ერთს მარცხნივ, მეორეს მარჯვნივ. ამან გააოცა სვიდრიგაილოვი. ამათვე წაიყვანეს ბოლოს სადღაც თავგასართობ ბაღში, სადაც მათ მაგივრად შესასვლელი ფასი და დანახარჯი ისევ სვიდრიგაილოვმა გადაიხადა. მთელ ბაღში ერთადერთი სამი წლის ნაძვი იდგა და კიდევ სამიოდე სხვა ბუჩქი. გარდა ამისა, გამართული იყო „ვაგზალი“, ესე იგი სასმელი განყოფილება; აქვე შეიძლებოდა ჩაის დალევაც. ერთ მხარეს კიდევ რამდენიმე მწვანე მაგიდა და სკამები იდგა. საზოგადოებას ამხიარულებდნენ საძაგელი მომღერლების გუნდი და ერთი ვიღაც ლოთი, ცხვირწითელა მიუნხენელი გერმანელი, ცირკის მასახარას მსგავსი, მაგრამ რაღაცაზე მეტად დაღონებული. გადამწერლებმა ვიღაც სხვა გადამწერლებს დაუწყეს ჩხუბი და ცემა. ბოლოს მსაჯულად სვიდრიგაილოვი აირჩიეს. მთელი თხუთმეტი წუთი არიგებდა და ასამართლებდა სვიდრიგაილოვი, მაგრამ ისე საშინლად ყვიროდნენ მოჩხუბარნი, შეუძლებელი იყო გაერჩია რამე ადამიანს. ჭკუასთან ახლო იყო უფრო ის, რომ ერთ მათგანს რაღაცა მოეპარა და იქვე ვიღაცა ურიასათვის მიეყიდნა კიდევ, მაგრამ ამხანაგისათვის დაემალა, წილი არ დაედო. ბოლოს გამოდგა, რომ ეს სადავო საგანი „ვაგზალიდან“ მოპარული ჩაის კოვზი იყო. მოიკითხეს მაშინვე და გახდა ერთი სახათაბალო საქმე. სვიდრიგაილოვმა კოვზის ფასი გადაუხადა პატრონს, ადგა და გამოვიდა ბაღიდან. საღამოს ათი საათი იქნებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვითონ წვეთი ღვინო არ დაელია. ეს იყო მხოლოდ,

„ვაგზალზე“ მოითხოვა ერთი ჭიქა ჩაი, მაგრამ ისიც მხოლოდ თავაზიანობის გულისათვის. სადამო კი ჩამოზნელებული და შეხუთული იყო. ათ საათზე უცებ მთლად მოიღრუბლა ცა, ატყდა ქუხილი, კოკისპირული წვიმა საშინელი ღვართქაფით მოდიოდა. წამდაუწუმ საზარლად ელავდა, თითო გაშუქებაზე ხუთ-ექვს ხაზს ავლებდა. მთლად გაზუნზლული და დამბალი მივიდა შინ, ჩაიკეტა კარი, გამოალო მაგიდის უჯრა, ამოიღო, რაც კი რამ ფული ჰქონდა, ორი-სამი ქალაღი დახია. ჩაიწყო ჯიბეში ფული, უნდოდა ვითომ ტანისამოსი გამოეცვალა, მაგრამ გაიხედა ფანჯარაში, მიუგდო ყური წვიმასა და ქუხილს, ხელი გაიქნია, დაიხურა ქუდი და გამოვიდა ოთახიდან, კარი არ დაუკეტია. პირდაპირ სონიასკენ გასწია. სონია შინ დაუხვდა.

მარტო არ იყო სონია; შემოესხა გარშემო კაპერნაუმოვის ოთხივე პატარა ბავშვი და ჩაის ასმევდა. პატივით მიიღო სვიდრიგაილოვი, განცვიფრებულმა აათვალიერა მისი გალუმპული ტანისამოსი, მაგრამ არა უთქვამს რა. შეშინებული ბავშვები იმავ წამს აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ.

სვიდრიგაილოვი მაგიდას მიუჯდა, სთხოვა სონიასაც - დამჯდარიყო. მოწიწებით მოემზადა სონია მოსასმენად.

- სოფია სემიონოვნა, შეიძლება ამერიკაში მომიხდეს წასვლა, - უთხრა სვიდრიგაილოვმა, - ამიტომ მოვედი, ზოგიერთი განკარგულება მომეცა. შეიძლება ვეღარც კი გნახოთ ამის მეტად. ის მანდილოსანი ხომ ნახეთ დღეს? ვიცი, რაც გითხრათ, ხელმეორედ მბობა საჭირო აღარ არის (სონია გაწითლდა, შეირხა). ვიცი, რა ჩვეულებაც აქვს ამ ხალხს. რაც შეეხება თქვენს დებსა და ძმას, სრულიად უზრუნველყოფილნი არიან და ფულიც შეტანილი მაქვს, ყველასათვის ცალ-ცალკე, ხელწერილით. მაინც, ყოველ შემთხვევაში, თქვენ გქონდეთ, აჰა, ხელწერილები! ასე მაშ, გათავებულა საქმე. აჰა, ეს სამი ხუთპროცენტიანი ქალაღიც თქვენ, სამი ათასი მანეთისა. თქვენი იყოს, საკუთრივ თქვენი, მაგრამ არავის არ უთხრათ, ჩვენ შორის დარჩეს. დაგჭირდებათ, იმიტომ, სოფია სემიონოვნა, რომ წინანდებურად ცხოვრება არ ვარგა და არცთუ იქნება საჭირო.

- ისე ვარ თქვენგან დავალებული და იმდენი სიკეთე გვიყავით მეც, ობლებსაც და განსვენებულსაც, რომ... აღარ ვიცი სწორედ, - დაუწყო საჩქაროდ სონიამ, - თუ აქამდისაც ვერ მოვახერხე და მადლობა ვერ გადაგიხადეთ... უმადურობად ნუ ჩამითვლით...

- კმარა, კმარა.

- ამ ფულისთვის კი დიდად გმადლობთ, არკადი ივანოვიჩ, აღარ მჭირდება. მარტოდმარტო თავს მუდამ შევინახავ; მაგრამ უმადურობაში კი არ ჩამომართვათ: თუ აღარ დაგიშლიათ, მაშინ ისევ...

- თქვენია, თქვენი, სოფია სემიონოვნა, ნუღარც მალაპარაკებთ მეტს, გეთაყვა, არა მცალია, მეჩქარება. თქვენ კი უთუოდ დაგჭირდებათ, იმიტომ, რომ როდიონ რომანოვიჩს ორი გზა აქვს მხოლოდ: ან ტყვია იკრას შუბლში, ან არადა ვლადიმირკას გზას გაუდგეს. (გიჟივით შეხედა სონიამ სვიდრიგაილოვს, კანკალი დაიწყო.) ნუ სწუხართ, ყველაფერი თვითონვე მითხრა და არცთუ ყბედი ვარ; არავის ვეტყვი. კარგად ურჩევდით თქვენც, გახსოვთ მაშინ, რომ თვითონ გამოცხადებულიყო და

გამოტეხილიყო. უფრო სახეიროა მისთვის. ვლადიმირკის გზით კი რომ მოუხდეს წასვლა, მაშინ ხომ თქვენც უკან გაჰყვებით უთუოდ? ასე არ არის განა? და თუ ასეა, ფულიც საჭირო იქნება. იმისათვის იქნება საჭირო, გესმით? ვითომ იმისთვის მიმიცია. ორივე ერთია. ამასთანავე ვიცი, ამაღია ივანოვნასაც დაჰპირდით, გადაგიხდითო ვალს, მე თვითონ გავიგონე. რატომ აგრე დაუფიქრებლივ კისრულობთ სხვადასხვა ვალდებულებას? კატერინა ივანოვნას ემართა იმისი ვალი და არა თქვენ; რას დაემბდით, მაშასადამე, რაც უნდა ექნა იმ გერმანელ ქალს. თუ ასე მოიქცევით, ამქვეყნად ცხოვრება ძნელი იქნება თქვენთვის. გარდა ამისა, თუ გკითხვით ვინმემ, - ხვალ ან ზეგ, - ჩემზე (თქვენ კი უთუოდ გკითხავენ), ნურას ეტყვით, თუ ვიყავი თქვენსა, ნურც ფულს უჩვენებთ ვისმე და ნურც ეტყვით, ვინ მოგცათ. ახლა კი მშვიდობით, ნახვამდის... (სკამიდან წამოდგა.) როდიონ რომანიჩს ჩემი სალამი. მართლა: დრომდე ფული თუნდ ბატონ რაზუმინისს მიაბარეთ. ხომ იცნობთ რაზუმინისს? რასაკვირველია, გეცოდინებათ. არა უჭირს რა, გვარიანი ბიჭია. ხვალვე წაუღეთ, ან... როცა დრო გქონდეთ. მანამდის კი კარგად მიძალეთ სადმე.

სონია სკამიდან წამოხტა, შეშინებული შეჰყურებდა. გულით უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც ეკითხა, მაგრამ ვერ გაეხედნა და არც იცოდა, როგორ დაეწყო.

- როგორ... როგორ აპირებთ ახლა ასეთ წვიმაში წასვლას?

- ჰმ, ამერიკაში წასვლას ვაპირებდე და წვიმისა კი შემემინდეს, ხე-ხე-ხე-ხე! მშვიდობით, სოფია სემიონოვნა, ჩემო კარგო! იცოცხლეთ, დიდხანს იცოცხლეთ, გამოადექით სხვას. მართლა... უთხარით ბატონ რაზუმინისს, რომ სალამს ვუძღვნი. აგრე უთხარით პირდაპირ: არკადი ივანოვიჩ სვიდრიგაილოვი გიძღვნით სალამს-თქო. არ დაგავიწყდეთ, უთუოდ უთხარით.

და გავიდა. სონია საშინლად გაოცებული და შეშინებული დარჩა. ბუნდოვანი, მძიმე რამ ეჭვი ჩაეჭრა გულში.

როგორც აღმოჩნდა, იმავე საღამოს, შუალამისას, ერთგან კიდევ სხვაგან ყოფილიყო მოულოდნელად. ჯერ კიდევ წვიმდა. თორმეტის ოცი წუთი იქნებოდა, რომ მთლად გაზუნზლული მიადგა თავისი საცოლის მშობლების ვიწრო ბინას, ვასილის კუნძულზე, მცირე პროსპექტის მესამე ხაზზე. როგორც იყო, ძლივს გააგონა; გაუღეს. პრველად დიდი ალიაქოთი გამოიწვია ასე უდროოდ მისვლამ, მაგრამ არკადი ივანოვიჩს, როცა კი მოესურვებოდა, სულ ადვილად შეეძლო ადამიანის მოხიბვლა; ასე რომ, თავდაპირველი ეჭვი კეთილგონიერი მშობლებისა, ვითომ გამომთვრალი იქნება არკადი ივანოვიჩი და აღარ ესმის, რას სჩადისო, მაშინვე გაქარწყლდათ. გულშემატკივარმა, კეთილგონიერმა დედამ დაუძლურებული მამა სავარძლით გამოაგორა არკადი ივანოვიჩთან და, ჩვეულებისამებრ, მაშინვე შორიდან დაუწყო რაღაც-რაღაცების გამოკითხვა (ასე იცოდა, არასოდეს პირდაპირ არ იკითხავდა არაფერს: მოჰყვებოდა ჯერ ხელების სრესასა და ღიმისს, მერე კი, თუ უნდოდა გაეგო, მაგალითად, როდის აპირებდა არკადი ივანოვიჩი ჯვრისწერას, დაუწყებდა ჯერ ცნობისმოყვარეობით პარიზისა და იქაური სასახლის ცხოვრებაზე გამოკითხვას და მერე ნელ-ნელა ვასილის კუნძულის მესამე ხაზსაც მიადგებოდა). სხვა დროს იქნებ პატივისცემასაც აგრძნობინებდა ხოლმე ყველაფერი ეს, მაგრამ ამჟამად მოუთმენლობა დაეწყო არკადი ივანოვიჩს და მოითხოვა, პირდაპირ საპატარძლო ეჩვენებინათ, თუმცა უთხრეს, დასადინებლად დაწვაო. საპატარძლო, რა თქმა უნდა,

მაშინვე გამოცხადდა. არკადი ივანოვიჩმა პირდაპირ განუცხადა, რომ ერთი ფრიად საჭირო საქმის გამო იძულებულია დროებით პეტერბურგიდან წავიდეს; ამიტომ ათას ხუთასი თუმანი მოუტანა სხვადასხვა ბილეთებით, როგორც საჩუქარი. მით უმეტეს, რომ წინათაც გულში ედო, ჯვრისწერამდე ეჩუქებინა რამე. რასაკვირველია, ასე უცებ პეტერბურგიდან წასვლასა და ამ საჩუქარს შორის, ისიც ასეთ ღვთისრისხვა ამინდში და შუალამისას, არავითარი ლოგიკური კავშირი არ მოიძებნებოდა, მაგრამ საქმე მაინც მშვიდობიანად გათავდა. სხვადასხვაგვარ ოხვრასა და ვაი-ვუისაც კი, აგრეთვე, გამოკითხვასა და გაოცებას უცებ როგორღაც უკლეს, დაწყნარდნენ; სამაგიეროდ, სულითა და გულით გადაუხადეს მხურვალე მადლობა, კეთილგონიერმა დედამ კი ცრემლიც დაღვარა. წამოდგა არკადი ივანოვიჩი, წასასვლელად მოემზადა; გაიცინა, საპატარძლო გადაკოცნა, ლოყაზე ხელი აუცაცუნა და ბეჯითად გაუმეორა, რომ უთუოდ მალე დაბრუნდებოდა. შეამჩნია საპატარძლოს, რომ რაღაც ბავშვური ცნობისმოყვარეობა და ამასთან, გაუგებრობა აღბეჭდვოდა სახეზე. აატარა ხანს კიდევ იფიქრა, ხელმეორედ გადაკოცნა და გაიფიქრა გულში, რომ საჩუქარს იმავე წამს უკეთილგონიერესი დედა უთუოდ ცხრაკლიტულში ამოაყოფინებდა თავს. გამოეთხოვა ბოლოს და გასწია; ყველა აღელვებული დატოვა. მაგრამ გულშემატკივარმა დედამ იმავე წამს ჩურჩულითა და სხაპასხუპით თავისებურად გადაწყვიტა, არკადი ივანოვიჩი დიდი გვარისა და საქმეების კაცია, მასთან მეტად მდიდარიც, - ღმერთმა იცის, გულში რა უდევს, უფიქრია და მიდის, მოეგუნება და ფულიც აჩუქა; გასაკვირველი, მაშასადამე, არა არის რა აქაო. უცნაურია, რასაკვირველია, რომ ისე დასველებული მოვიდა, მაგრამ ინგლისელები განა უფრო უცნაურად არ იქცევიან! საზოგადოდ, ეს მაღალი წრის ხალხი არაფერს ყურადღებას არ აქცევს, არას დაგიდევს, ვინ რას იტყვის და რას იფიქრებს. იქნება განგებაც სჩადის ამას, რათა უჩვენოს ყველას, რომ არავისი არ ეშინია. მაგრამ მთავარი ის არის, არავის არაფერი უთხრან, კრინტი, ხმა არ დასძრან, თორემ, ღმერთმა იცის, იქნებ რა ამბავია; ფული ახლავე ყუთში დამალონ და დაკეტონ მაგრად. კარგია, მართლა, რომ ფედოსია გოგო სამხარეულოში იჯდა და ვერა გაიგო რა; გაიძვერა რესლიხსაც ნურას გააგებინებენ, და სხვა, და სხვა, თორემ... ასე ისხდნენ ღამის ორ საათამდე და ჩურჩულებდნენ საიდუმლოდ. საპატარძლო კი ადრე წავიდა დასაძინებლად, გაკვირვებული და ცოტა დაღონებული.

შუალამე იქნებოდა სწორედ, სვიდრიგაილოვი რომ პეტერბურგის მხარეს - კოვის ხიდზე გადადიოდა. წვიმა შეწყდა, მაგრამ ქარი მაინც ძლიერად უბერავდა. ცოტათი თითქოს გააკანკალა, შედგა ერთ წამს, უცნაური ცნობისმოყვარეობით ჩაკვირდა მაღაია ნევის შავ წყალს. მაგრამ მალე სიცივე იგრძნო; წყალს მოშორდა, მიბრუნდა, პროსპექტისაკენ გასწია. ნახევარ საათამდე იარა ამ დაუსრულებელ პროსპექტზე, რამდენჯერმე კინაღამ კისერი წაიმტვრია ბნელაში, ხით დაფენილ ქუჩაზე, მაგრამ არ შედრკა მაინც, პროსპექტის მარჯვენა მხარეს გაფაციცებით რაღაცას ეძებდა. აქ, სადღაც, პროსპექტის ბოლოში, ერთხელ გავლისას ხის ვეება სასტუმრო შენიშნა, რომელსაც სახელად „ადრიანოპოლი“ უნდა რქმეოდა; ასე ახსოვდა. არ მოტყუვდა ანგარიშში: ამ მიყრუებულ ადგილას ისეთი უშველებელი და თვალსაჩინო რამ იყო ეს სასტუმრო, თუნდ ბნელაშიაც არ შეიძლებოდა არ შეენიშნა ადამიანს. ეს იყო ჩაშავებული ძველი ხის შენობა, ჯერ კიდევ აქა-იქ განათებული. თუმცა შუალამეს გადაცილებული იყო, ეტყობა, ხალხი კიდევ ირეოდა. სვიდრიგაილოვი შევიდა სასტუმროში და ვიღაც დაბრანძულ მსახურს ნომერი სთხოვა. მსახურმა აათვალიერ-ჩაათვალიერა, მხრები შეიშმუშნა და რომელიღაც შორეულ, ვიწრო და ჩახუთულ

ნომერში შეიყვანა, დერეფნის ბოლოს, კიბის ქვედა კუთხეში. სხვა თავისუფალი ნომერი არ ჰქონოდათ, ყველა დაკავებული ყოფილიყო. მსახური სვიდრიგაილოვს შეჰყურებდა, უცდიდა, ვნახოთ, რას მიბრძანებსო.

- ჩაი გაქვთ? - დაეკითხა სვიდრიგაილოვი.

- გვაქვს.

- კიდევ რა გაქვთ?

- შემწვარი ხბოს ხორცი, არაყი, საუზმე.

- მომიტა ხბოს ხორცი და ჩაი.

- მეტი მაშ, არა გინდათ რა? - შეეკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებით მსახური.

- არა მინდა რა!

დაბრანძული მსახური გულგატეხილი გაბრუნდა.

- კაი ადგილი უნდა იყოს უთუოდ, - გაიფიქრა სვიდრიგაილოვმა; - რატომ აქამდის არ ვიცოდი. მეც უთუოდ კაფემანტანიდან დაბრუნებულ მოქიფეს ვგავარ; იფიქრებენ, გზაზე შემთხვევია რამეო. საყურადღებოა მაინც, ვინა და რა ხალხი ათევს ღამეს აქ?

აანთო სანთელი, დაწვრილებით დაუწყო სინჯვა ნომერს. ნომერი გალიას ჰგავდა, ერთფანჯრიანი და მეტად დაბალი იყო. სვიდრიგაილოვი ძლივს იმართებოდა წელში. ტახტზე ჭუჭყიანი ლოგინი ეფინა. პატარა შეღებილი მაგიდა და ერთი სკამი შეადგენდა მთელ მოწყობილობას ნომრისას. მეტი ადგილი აღარც იყო. კედლები რაღაც ფიცრებისაგან უბრალოდ შეეკრათ; დაგლეჯილ-დაფლეთილსა და გამტვერიანებულ შპალერს ოდნავდა ეტყობოდა ყვითელი ფერი, ნახატი კი მთლად გაჰხუნებოდა, გადასცლოდა. ცალი მხარე კედლისა და ჭერისა ცერად იყო ჩამოკვეთილი, როგორც ეს საზოგადოდ ჩარდახში დატანებულ ოთახებშია. მაგრამ აქ ზედ ამ ჩამოკვეთილზე მაღლა სართულში კიბე აღიოდა. სვიდრიგაილოვმა დადგა სანთელი, დაჯდა, ფიქრს მისცა თავი. მაგრამ უცნაურმა და განუწყვეტელმა ჩურჩულმა, რომელიც მეზობელი გალიიდან გამოდიოდა და დროდადრო ყვირილით იცვლებოდა, უნებურად მიიპყრო მისი ყურადღება. არც ერთ წამს თითქმის არ შეწყვეტილა ეს ჩურჩული. ყური დაუგდო: ვიღაცა საშინლად ლანძღავდა და თითქმის ცრემლმორეული უსაყვედურებდა მეორეს, მაგრამ ხმა მარტო ერთისა ისმოდა. სვიდრიგაილოვი წამოდგა, მივიდა სანთელთან, ააფარა ხელი და იმავე წამს კედელზე ჭუჭრუტანა და სინათლე გამოჩნდა. მივიდა, ცქერა დაუწყო.

სვიდრიგაილოვის ნომერზე ცოტათი მოზრდილ ნომერში ორი კაცი ჩანდა. ერთი იმათგანი უსერთუკოდ იყო, თმახუჭუჭა, სახეგაჭარხლებული; იდგა სამჭევრმეტყველოდ გამზადებული: გალაჯულიყო, რომ წონასწორობა არ დაეკარგა, და გულში ხელის ცემით, პათოსით უსაყვედურებდა მეორეს, გლახა ხარ, ლატაკი და არავითარი „ჩინი“ არა გაქვს ჯერ; ტალახიდან და წუმპიდან ამოგათრიე და, როცა კი მოვინდომებ, მაშინვე პანლურს ამოგკრავო. მხოლოდ ღმერთია ყველა ამისი მოწმეო. საყვედურისა და მხილების საგნად გამხდარი მეგობარი კი იჯდა ჩუმად სკამზე და უგდებდა ყურს; სასაცილო სანახავი იყო: გეგონებოდათ, ცხვირის დაცემინება უნდა გულით, მაგრამ ვერ ახერხებსო. მხოლოდ ათასში ერთხელ გახედავდა ხოლმე ფიცხ

ორატორს ბენტერა ცხვარივით. აშკარა იყო, არავითარი წარმოდგენა და გაგება ნალაპარაკევისა არ ჰქონდა და აღარც კი რამ ეყურებოდა, ვგონებ. მაგიდაზე პატარა სანთლის ნამწვი ბჟუტავდა; იქვე ელაგა თითქმის ცარიელი არყის გრაფინი, ჭიქები, პური, კიტრები და ცარიელი ჩაის ჭურჭელი. აათვალიერა ყველაფერი ეს სვიდრიგაილოვმა, მოშორდა ჭუჭრუტანას და ისევ ტახტზე დაჯდა.

დაბრანძულმა მსახურმა ჩაი და ხბოს ხორცი შემოიტანა, მაგრამ ვერ მოითმინა და ჰკითხა კიდევ: „ხომ აღარა გინდათ რაო?“ სვიდრიგაილოვმა უარი უთხრა. მსახური გავიდა, აღარ შემობრუნებულა. სვიდრიგაილოვი ეცა ჩაის და ხარბად დაუწყო სმა, რომ გამთბარიყო როგორმე. ხორცისათვის კი ხელიც არ უხლია, მადა არ ჰქონდა სრულიად. ეტყობა, გააცევა. გაიხადა პალტო, ჟაკეტი, გაეხვია საბანში და მიწვა ლოგინზე. გულს აკლდა მხოლოდ: „უკეთესი იქნებოდა, ახლა ჯანსაღად ვყოფილიყავი“, - გაიფიქრა და ჩაეცინა. ოთახში ჰაერი შეხუთული იყო, სანთელი ოდნავ ბჟუტავდა, გარეთ ქარი ზუზუნებდა. სადღაც კუთხეში თავი ხრავდა რაღაცას; საზოგადოდ, მთელ ოთახში თავებისა და ტყავის სუნი იდგა. იწვა და თითქოს ოცნებობდა და ბოდავდა: ფიქრი ფიქრს მისდევდა. ძალიან უნდოდა, რასმე ჩასჭიდებოდა ოცნებით. „ფანჯრის ქვემოთ ბაღია უთუოდ, - ფიქრობდა თავისთვის, - ხეები შრიალებენ; ოჰ, რანაირად მეჯავრება ბნელ ღამეში ქარიშხლის დროს ხეების შრიალი, სამაგელი რამ გრძნობაა სწორედ!“ მოაგონდა მაშინვე, რომ წელან პეტრეს ბაღს რომ ჩაუარა, ზიზღით გახედა. მოაგონდა აგრეთვე - კოვის ხიდიც, მალაია ნევაც და იგრძნო, რომ წელანდელივით, როცა წყალს გადაჰყურებდა, სიცივემ აიტანა ისევ. „არასოდეს მყვარებია წყალი, ნახატზეც კი“, - გაიფიქრა და კვლავ გაიღიმა ერთ უცნაურ ფიქრზე: „თითქოს ახლა სულ ერთი უნდა იყოს ჩემთვის, კეთილმოწყობასა და ლაზათს აღარ უნდა დავეძებდე.. აჰ კი უცბად ნადირივით... როგორც იმათ იციან ხოლმე ასეთსავე შემთხვევაში, მოხერხებულ ადგილს დავუწყე ძებნა. არა სჯობდა განა, პირდაპირ პეტრეს ბაღისკენ გამეხვია! მაგრამ ბნელად მეჩვენა, შემცივდა, ხე-ხე-ხე! თითქოს სასიამოვნო რამეს ვეძებდი! მართლა, რატომ სანთელს არ ვაქრობ? (და შეუბერა, გააქრო). „მეზობლებიც მიყურდნენ, - გაიფიქრა მან, ჭუჭრუტანაში სინათლე რომ აღარ დაინახა. - აი, ახლა გაქვთ დრო, მარფა პეტროვნა, ბნელა, ადგილიც შესაფერია, დროც საგანგებო, შერჩეული. მაგრამ ვიცი, სწორედ ახლა არ ინებებს მობრძანებას...“

მოაგონდა უცბად რაღაცაზე, რომ ერთი საათის წინ, ვიდრე დუნეხას მიმართ თავის განზრახვას შეასრულებდა, რასკოლნიკოვს ურჩევდა, - რაზუმინს მიანდე, უპატრონებსო. „მართლაცდა, ჯიბრით ვუთხარი; მიმიხვდა რასკოლნიკოვი. დიდი ჯიბგირი კია ეს რასკოლნიკოვი! ბევრი რამ გამოუცდია! უარესი იქნება თავის დროზე, როცა ამ მიქარვებს დაანებებს თავს, ახლა კი უნდა სიცოცხლე, სწყურია მეტად. ამ მხრივ მაინც ყველა ამათგანი სამაგელია. თუმცა როგორც ერჩიოს, მე რა, ეშმაკსაც წაუღია“.

არ იქნა, ძილი არ მიეკარა. წელანდელი სახე დუნეხკასი ნელ-ნელა თვალწინ წარმოუდგა, უცებ ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. „არა, უთუოდ თავი უნდა დავანებო, - გაიფიქრა, როგორც კი გონს მოვიდა, - სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო. უცნაურია და სასაცილო სწორედ: არასოდეს არავინ საიმისოდ არ მძულვია, არავისი შურისძიება არ მდომებია; ეს კი ცუდი ნიშანია, ცუდი. დიახ. არც შეკამათება და გულისმოსვლა ვიცოდი, - ესეც ცუდი ნიშანია! მაგრამ რამდენ რამეს დავპირდი წელან. უჰ! შეიძლება მთლად მტვრად ვექციე...“ გაჩუმდა ისევ. კვლავ დუნეხკას სახე

წარმოუდგა თვალწინ. სწორედ ისე, როგორც რევოლვერის პირველად დაცლის შემდეგ იყო, შეშინებული, გაფითრებული; რევოლვერი ძირს დაეშვა, გამტერებული შეჰყურებდა, გაქვავებულიყო თითქოს. ასე რომ, სვიდრიგაილოვს თავისუფლად შეეძლო კიდევ ორჯერ ხელი ეტაცა მისთვის და ის არც კი გაინძრეოდა, თვითონვე რომ არ მოეგონებინა, მესროლეო. მოაგონდა, რომ შეებრალა თითქოს იმჟამად, გული რაღაცამ მძლავრად შეუხუთა... „ეჰ, რა ეშმაკად მინდა! ისევ და ისევ ფიქრები; უნდა ყველაფერი დავივიწყო, გავდევნო მთლად!“

ციების კანკალმა გადაუარა, ჩათვლიმა. უცხად თითქოს ხელ-ფეხზე რაღაცამ გადაურბინა საბანქვემ. შეხტა: „ფუჰ, დასწყევლოს ეშმაკმა! თავვია თუ რა არის! - გაიფიქრა - ხბოს ხორცი დამრჩა მაგიდაზე, იმის გამო იქნება...“ ჩათბუნებულს არ უნდოდა წამომდგარიყო, გაყინულიყო, მაგრამ კიდევ რაღაცამ გადაურბინა ფეხზე; უცხად საბანი გადაიხადა, სანთელი აანთო. ციებისაგან აცახცახებულმა ლოგინი გასინჯა, - არა ჩანდა რა. გადაბერტყა საბანი, უცებ ზეწარზე თავვი გადმოხტა. სვიდრიგაილოვმა დაჭერა მოინდომა, მაგრამ თავვი არ ემორჩილებოდა, ლოგინზე დაძვრებოდა, თითებქვემ უსხლტებოდა; ბოლოს ხელზე გადაურბინა და უცებ ბალიშქვემ შეძვრა. ბალიში მაშინვე იატაკზე გადაისროლა, მაგრამ იგრძნო იმავ წამს, რომ რაღაც შეუძვრა ილიის ქვემ, ტანზე აუცუცუნდა და უცებ პერანგქვემ ზურგში დაურბინა. ნერვებმა ცახცახი დაუწყო. გაელვიდა. ოთახში ბნელოდა, ტახტზე იწვა წედანდელივით საბანში გახვეული; ფანჯრის ქვემ ქარს გაჰქონდა ზუზუნით: „რა სამაგლობაა!“ - გაიფიქრა გაბრაზებულმა.

წამოდგა, ლოგინზე ჩამოჯდა, ზურგი ფანჯარას შეაქცია. „სჯობს, ისევ სულ არ დავიძინო“, - გადაწყვიტა გუნებაში. ფანჯრიდან სიცივე, ნესტი შემოდდიოდა. მჯდომარემ საბანი მიითრია, წამოისხა, შიგ გაეხვია. სანთელი არ აუნთია. არაფერზე არა ფიქრობდა და არცთუ უნდოდა ეფიქრა; მაგრამ ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ, უთავბოლოდ და უკავშიროდ სცვლიდნენ ერთიმეორეს. თითქოს ჩასთვლიმა კიდევ. სიცივე იყო მიზეზი, სიბნელიე, თუ ნოტიო ქარი, გარეთ რომ გაჰქონდა ფანჯრის ქვემ ზუზუნით და ხეებს არხევდა, ამრიალებდა, ძნელი იყო გამოსაცნობად. მაგრამ ასეთი ფანტასტიკური მიდრეკილება და სურვილი აღეძრა, - უცებ თვალწინ ყვავილები გადაეშალა. მშვენიერი აყვავებული სანახაობა წარმოუდგა; ნათელი, თბილი, თითქმის ცხელი, სადღესასწაულო სამების დღე. საუცხოო, მდიდრული სახლი სოფლად, ინგლისურ გემოვნებაზე აშენებული; სახლს გარშემო სულ სურნელოვანი ყვავილების კვლები აქვს შემოვლებული; შესასვლელი კარ-დერეფანი ვარდებითა და ხვეული მცენარეებით არის დაბურული. ნათელი, გრილი კიბე მშვენიერი ხალით არის მოფენილი. აქეთ-იქით იშვიათი ყვავილებია ჩარიგებული პირგანიერი ჩინური ლარნაკებით. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო წყლით სავსე ქილებმა ფანჯრებზე, თეთრი და ნაზი ნარგიზების თაიგულებმა, ამაყად აწვდილი ღიაძვანე ღეროებით, რომელნიც მძლავრ სურნელებას ჰფენდნენ აქაურობას. აღარც კი უნდოდა მოშორებოდა, მაგრამ აიარა კიბე და ვეება, მაღალ დარბაზში შევიდა. აქაც ყველგან, ფანჯრებთან, აივანზე გამავალ გაღებულ კარებთან, ირგვლივ ყველგან ყვავილები იდგა. ძირს, იატაკზე, ახლად მოცელილი სურნელოვანი ბალახი იყო მოფენილი; ღია ფანჯრებში სუფთა, მსუბუქი, გრილი ნიავი შემოდდიოდა; ფანჯრებთან ჩიტები ჭიკჭიკებდნენ; დარბაზის შუაში კი თეთრი ატლასით მორთულ მაგიდაზე კუბო იდგა. კუბოს გარშემო თეთრი ყანაოზი ეკრა, თეთრივე ნაოჭასხმული მარმამი ჰქონდა შემოვლებული. მთლად ყვავილებით იყო დაფარული შიგ მწოლიარე ახალგაზრდა

გოგონა, მარმარილოსავით თეთრი ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი; ტანთ თხელი თეთრი კაბა ეცვა, მაგრამ გაშლილი ქერა თმა სველი ჰქონდა; თავზე ვარდების გვირგვინი ედო. სასტიკად გამომეტყველი, გამხდარი სახე თითქოს მარმარილოსაგან იყო გამოკვეთილი, მაგრამ მკრთალ ტუჩებზე რაღაც არაბავშვური, უსაზღვრო მწუხარებისა და ჩივილის გამომეტყველი ღიმი ალბეჭდვოდა. იცნობდა სვიდრიგაილოვი ამ ბავშვს. არც ხატი მოჩანდა სადმე, არც სანთლები ენთო, არც ლოცვა ისმოდა. თავი დაეხრჩო საბრალოს! თოთხმეტი წლის იყო მხოლოდ, მაგრამ გული უკვე გატეხილი ჰქონდა და დაილუპა საშინელი შეურაცხყოფის გამო, რომელმაც მისი ნორჩი, ბავშვური შეგნება გააოცა, მოშხამა და უსაზღვრო სირცხვილით აავსო მისი ანგელოზებრივი სპეტაკი სული; გულიდან უკანასკნელი, სასოწარკვეთილებით აღსავსე გმინვა აღმოჰხდა, მაგრამ არავინ გაიგონა იგი, ურცხვად შეაგინეს, შებღალეს ბნელ ღამეში, სიცივეში, წვიმაში, როცა ასევე გმინავდა და ზუზუნებდა ქარი...

სვიდრიგაილოვი გამოფხიზლდა, ლოგინიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. მიუსვ-მოუსვა ხელი, იპოვა რაზა, ფანჯარა გამოაღო. ქარი გრიალით შემოვარდა ვიწრო ოთახში, სახეზე და პერანგისამარა გულმკერდზე ჭირხლი მოედო თითქოს. ფანჯრის ქვემოთ მართლაც ბალისმაგვარი რაღაც იყო, ეტყობა, ისიც ისევ თავგასართობი. დღისით უთუოდ აქაც სიმღერები და ჩაის სმა იქნებოდა გაჩაღებული. ახლა კი ხეებიდან და ჩირგვებიდან ფანჯარაში წვიმის წინწყლები ცვიოდა, ბნელოდა საშინლად, როგორც სარდაფში, აქა-იქ მხოლოდ ძლივს მოჩანდა შავ ლაქებად სხვადასხვა საგნები. სვიდრიგაილოვი წახრილი და ფანჯრის რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი გაჰყურებდა ამ წყვილიადს, მთელი ხუთი წუთი თვალს არ ამორებდა. უცბად ბნელში ზარბაზნის ხმა გაისმა, - ერთხელ, მეორედ.

„ოჰო, ნიშანს იძლევიან! წყალი მოდიდდება, ეტყობა, - გაიფიქრა სვიდრიგაილოვმა, - დილაზე დაბლობ ქუჩებსა და ადგილებს მოედება, სარდაფებში ჩადგება, თავგებს სულ ზევით მოიტვიტივებს და ხალხიც ლანძღვა-გინებით დაიწყებს ამ ქარსა და წვიმაში დაბლა სართულებიდან და სარდაფებიდან ზედა სართულებში ბარგი-ბარხანის აზიდვას. რომელი საათია ნეტა?“ ის იყო გაიფიქრა ეს, რომ უცებ, თითქოს იჩქარისო, სადღაც ძალიან ახლოს, კედლის საათის ხმა გაისმა: სამჯერ დაჰკრა. „ეჰე, ერთი საათის შემდეგ ინათლებს კიდევ! რაღას ვუცადო? წავალ, პეტრეს ბალისკენ გავწევ პირდაპირ. შევარჩევ წვიმისაგან მთლად დასველებულ რომელიმე მოზრდილ ბუჩქს, გავეხახუნები ოდნავ, თავს შევუშვერ და იმავ წამს მილიონი წინწყალი დამეპკურება თავზე...“ ფანჯარას მოშორდა, დაკეტა, სანთელი აანთო, ჟილეტი და პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და დერეფანში გავიდა, რომ სადმე ბუდრუგანა ოთახში ხარახურასა და სანთლის ნამწვებს შორის ჩამინებული სასტუმროს დაბრანძული მსახური მოეძებნა, ნომრის ფასი გადაეხადა და წასულიყო. „უკეთეს დროს ვეღარ ვიპოვი!“

დიდხანს იარა გრძელსა და ვიწრო დერეფანში, მაგრამ ვერავინ ნახა. ის იყო უნდა დაეყვირა და დაემახა ვისთვისმე, რომ უცებ ერთ ბნელ კუთხეში, ძველ კარადასა და კარს შუა რაღაც უცნაურ, თითქოს ცოცხალ საგანს მოჰკრა თვალი. დაიხარა, სანთელი მიანათა - ბავშვი გამოდგა: ეს იყო გაწუწული და სიცივით მომაგბაგე ხუთი წლის მტირალი პაწია გოგო. თითქოს არც კი შეეშინდა სვიდრიგაილოვისა, უცქეროდა გაკვირვებული თავისი დიდრონი შავი თვალებით და ხანდახან გულამოსკვნით სლუკუნებდა, ისე, როგორც ნამტირალევა ბავშვებმა იციან საზოგადოდ: გული უკვე

მოხებულნი აქვთ ტირილთ, მაგრამ შიგადაშიგ მაინც წაისლუკუნებენ უცბად. სახე მკრთალი, დაუძლურებული ჰქონდა; სიცივისაგან გაშეშებულიყო. „მაგრამ საიდან მოხვდა აქ? ეტყობა, აქ ყოფილა დამალული მთელი ღამე, არ სძინებია“.

სვიდრიგაილოვმა გამოკითხვა დაუწყო. ბავშვი უცებ გამოფხიზლდა, ტიტინს მოჰყვა სხაპასხუპით. რაღაცას ეუბნებოდა „დედილოზე“, რომ „დედილო სცემა“, რომ რაღაც ფინჯანი „გაუტექა“. შეუჩერებლივ ტიკტიკებდა ბავშვი. ამ ტიტინიდან გამოირკვა, ერთი სიტყვით, რომ დედას, ნიადაგ მთვრალ მზარეულ გოგოს, იქნებ იმავე სასტუმროში მომუშავესაც, არ ჰყვარებია ბავშვი და მუდმივი ცემა-ტყეპით მთლად დაუფრთხია საწყალი; ბავშვს დედისათვის ფინჯანი გაუტეხია და ისე შეშინებია, რომ საღამოსვე გამოქცეულა; დიდხანს იყო უთუოდ დამალული სადმე ეზოში, ბოლოს, წვიმამ რომ შეაწუხა და დაასველა, შემოიპარა აქ და კარადის უკან დაიმალა. აქ გაუტარებია მთელი ღამე სიცივესა და ბნელაში, ბევრი უტირია, უკანკალია და ახლაც იმისივე ემინია, რომ მაგრად მიტყეპენ ამისთვის. ხელში აიყვანა სვიდრიგაილოვმა, ნომერში შეიყვანა, დასვა ლოგინზე და გახდა დაუწყო. შიშველა ფეხზე ჩაცმული გაგლეჯილი ფეხსაცმელი მთლად დამბალი ჰქონდა, გეგონებოდათ, მთელი ღამე სადმე გუბეში დებულაო. გახდა ტანთ, ჩააწვინა ლოგინში და თავიან-ფეხიანად საბანში გაახვია. ბავშვმა მაშინვე ჩაიძინა. გაათავა თუ არა ყველაფერი, დაღვრემილი ფიქრებს მიეცა ისევ.

„რიღასთვის გადავიკიდე ნეტა! - გაიფიქრა გულმოსულმა. - რა სისულელეა!“ გაჯავრებულმა სანთელს ხელი წამოავლო, რომ წასულიყო, დაბრანძული სასტუმროს მსახური ეპოვა და გასცლოდა იქაურობას. „ეჰ, გოგონავ!“ - გაიფიქრა წყველა-კრულვით და კარი გამოაღო, მაგრამ მიბრუნდა ისევ, რომ დაეხედნა, ეძინა თუ არა, ან როგორ? მივიდა ფრთხილად, საბანი ასწია. თბილად ეძინა გოგოს. გამთბარიყო, ლოყები დასწითლებოდა. მაგრამ უცნაური იყო სწორედ: როგორღაც უფრო მეტი ჩანდა ეს სიწითლე, ვიდრე ჩვეულებრივი ბავშვური სიწითლეა. „ციებიანივით უხურს ლოყები“, - გაიფიქრა სვიდრიგაილოვმა. თითქოს მთელი ჭიქა ღვინო დაუღვევინებიათო. ლოყებიცა და ტუჩებიც ალისფერი გაჰხდომოდა. მაგრამ რას ნიშნავს ნეტა? მოეჩვენა უცებ, თითქოს გრძელი შავი წამწამებიც ოდნავ უხამხამებდა, ეშმაკურად თვალს უშვრებოდა; ვითომ ატყუებდა, არ ეძინა გოგონას. დიახ, დიახ, ასეა სწორედ: აგერ ტუჩი საღიმოდ აეწია, აუთრთოლდა, მაგრამ თავს იმაგრებს კიდევ. აგერ, თავსაც ვეღარ იკავებს, იცინის, აშკარად იცინის; რაღაც ურცხვი, გამომწვევი, არაბავშვური გამომეტყველება უკრთის სახეზე. ეს ხომ გარყვნილებაა, სახე კოჰწია, გარყვნილი ფრანგი ქალისა. ახლა უკვე მოურიდებლად მიშტერებია, უცინის, თავისთან იხმობს... რაღაც რამ უსაზღვროდ შეურაცხმყოფელი და საზიზღარი იყო ეს მისი სიცილი, ეს მისი თვალების გამომეტყველება, მთლად მისი სახე. „როგორ! ხუთი წლის გოგო! - წაიბუტბუტა ზარდაცემულმა სვიდრიგაილოვმა, - ეს ხომ... რას ნიშნავს ნეტა?“ აგერ, სულ მთლად იბრუნა იმისკენ პირი, სახეანთებული ხელებს აწვდის, უძახის... „ოჰ, წყეულო!“ - შეჰყვირა თავზარდაცემულმა სვიდრიგაილოვმა და ხელი შეუშალა... მაგრამ იმავე წამს გამოელვია.

იწვა ისევ ლოგინში, ისევ ისე საბანში გახვეული; სანთელი ჩამქრალიყო, ფანჯარაში დღე ნათელობდა.

„ჩანს, მთელი ღამე ვბოდავდი!“ - წამოიწია გაბოროტებულმა, იგრძნო, რომ მთლად მოშლილიყო; ძვლები საშინლად სტკიოდა. გარეთ სქელი ბურუსი იდგა; არაფრის

გარჩევა არ შეიძლებოდა. ხუთი საათი სრულდებოდა; ძილში გამოჰპარვოდა დრო! წამოდგა, თითქმის სველი ჟაკეტი და პალტო ჩაიცვა ისევ. ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოძებნა რევოლვერი, ამოიღო, კაპსული გაუსწორა. დაჯდა მერე, ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და სათაურ ფურცელზე, გამოსაჩენ ადგილას, მსხვილი ხელით რამდენიმე სტრიქონი ჩასწერა, გადაიკითხა, ჩაფიქრდა, მაგიდას დაეყრდნო. რევოლვერი და უბის წიგნაკიც იდაყვებთან ეწყო. იქვე, მაგიდაზე, ხელუხლებლად დარჩენილ ხბოს ხორცს გაღვიძებული ბუზები დაჰხვეოდნენ. დიდხანს უცქირა ბუზებს, ბოლოს თავისუფალი მარჯვენა ხელით ერთ ბუზს დაუწყო დაჭერა. დიდხანს ეცადა მის დაჭერას, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოახერხა. გამოერკვა ბოლოს, გონს მოვიდა, წამოდგა, ოთახიდან გამოვიდა. ერთი წამის შემდეგ ქუჩაში იყო უკვე.

ქალაქს ხშირი ბურუსი ეხვია. სვიდრიგაილოვმა გალიპული და ტალახიანი, ხით დაფენილი ქუჩით გასწია მალაია ნევისაკენ. ელანდებოდა, ვითომ იმ ღამეს მალაია ნევა ნაპირიდან გადმოსულიყო, მოელანდა პეტრეს კუნძული, სველი გზები, სველი ბალახი და ხეები, სველი ჩირგვები და ბოლოს თვითონ ის ჩირგვიც... გაბრაზებულმა სახლებს დაუწყო სინჯვა, რომ სხვა რამეზე ეფიქრა. არც გზად მიმავალი იყო ვინმე მთელ პროსპექტზე, არც მეეტლეები ჩანდნენ. მოწყენილად გამოიყურებოდა დარაბებდახურული ღია ყვითელი, ხის ტალახიანი სახლები. სიცივემ და ნესტმა ტანში დაურბინა, კანკალი დააწყებინა. იშვიათად აქა-იქ მწვანელიულობისა და საწვრილმანო დუქნების წარწერები მოჩანდა, თითქმის ყველას გულდასმით კითხულობდა. აგერ, ხით დაფენილი ქუჩაც გათავდა. ქვის დიდ შენობას გაუსწორდა. ტალახიანმა და გაყინულმა პაწია კუდამოდულებულმა ძაღლმა გზაზე გადაურბინა. ფარაჯაში გახვეულ ვიღაც უგონო მთვრალს პირქვე წაეყო თავი, ზედ ფილაქანზე გარდიგარდმო იწვა და ეძინა. გადახედა სვიდრიგაილოვმა და გასწია, გზას გაუდგა ისევ. მალლა აწოწილ ცეცხლის საზვერავ კომპს მოჰკრა თვალი მარცხნივ. „ეჰე! - გაიფიქრა, - აგერ ადგილი, პეტრეს ბაღში რა დამრჩენია? აქ ოფიციალური მოწმე მაინც მეყოლება...“ კინაღამ გააცინა კიდევ ამ ახალმა ფიქრმა. მაშინვე - სკის ქუჩისაკენ გაუხვია. აქ იყო სწორედ მაღალი სახლი ცეცხლის საზვერავი კომპით. ჩაკეტილ ალაყაფის კართან იდგა მხარმიყუდებული ჯარისკაცის ლეგა ფარაჯაში გახვეული პატარა ტანის კაცი, თავზე აქილევსის სპილენძის ჩაჩქანი ეხურა. ცივად გადახედა მთვლემარემ მისულ სვიდრიგაილოვს. სახეზე აღბეჭდვოდა ის მოზიზღარი სამარადისო ნაღველი, რომელიც ყველა ებრაელის სახეს დაღვივით აჩნია. ერთხანად სვიდრიგაილოვი და აქილევსი ჩუმად სინჯავდნენ ერთმანეთს. აქილევსს ბოლოს უწესო საქციელად ეჩვენა, რომ კაცი, ეტყობა, ფხიზლად იყო, მაგრამ სამ ნაბიჯზე უდგა, დამტერებული უყურებდა და თქმით კი არას ეუბნებოდა.

- მერე რა გინდათ აქა? - დაეკითხა დარაჯი, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

- არაფერი, გამარჯობა, ძმაო! - უპასუხა სვიდრიგაილოვმა.

- აქ ადგილი არაა.

- მე, ძმაო, უცხოეთში მივდივარ.

- უცხოეთში?

- ჰო, ამერიკაში.

- ამერიკაში?

სვიდრიგაილოვმა რევოლვერი ამოიღო, ჩახმახი ასწია, აქილევსმა თვალები დააბღვრიალა.

- აბა, აქ რა ადგილია, რასა ხუმრობთ?

- რაო ვითომ, რატომ არ არის ადგილი?

- იმიტომ რომ, არ არის.

- არა, ძმაო, სულ ერთია, კარგი ადგილია ძალიან. თუ გკითხონ, უთხარ, ამერიკაში წავიდა-თქო.

სვიდრიგაილოვმა რევოლვერი საფეთქელთან მიიტანა.

- არა, არა, არ შეიძლება, ადგილი არაა! - შეტორტმანდა აქილევსი, თვალები უარესად გაუფართოვდა.

სვიდრიგაილოვმა ჩახმახი დასწია...

VII

იმავე დღეს, საღამოთი, ასე, შვიდ საათზე, რასკოლნიკოვი დედისა და დის ბინას მიადგა, ბაკალევევის სახლში, რაზუმინინმა რომ ურჩია და დააყენა იქ. შესასვლელი ქუჩიდან ჰქონდა. მიდიოდა რასკოლნიკოვი, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, ყოყმანობდა რატომღაც: შევიდე თუ არაო? მაგრამ აღარც უკან დაბრუნდებოდა არაფრის გულისათვის; ასე ჰქონდა გადაწყვეტილი. „მაინც ხომ არა იციან რა ჯერ, - ფიქრობდა რასკოლნიკოვი, - მეც რაღაც უცნაურადა მთვლიან...“ სანახავად შესაზარი იყო მისი ტანსაცმელი: ჭუჭყიანი, წვიმისაგან დასველებული, დამონძილ-დაფხრეწილი, დაღლილობისაგან სახეც მთლად დაღრეჯილი, დამახინჯებული ჰქონდა. - უამინდობას, მთელი ღამის სულიერ ბრძოლას ემოქმედნა. მთელი ღამე მარტო გაატარა, ვინ იცის, სად, სამაგიეროდ, გადაწყვიტა, საბოლოოდ გადაწყვიტა.

კარზე დააკაკუნა, დედამ გაუღო. დუნეჩკა შინ არ იყო, მოსამსახურე გოგოც კი არსადა ჩანდა იმჟამად. განცვიფრებისა და სიხარულისაგან ჯერ მთლად ენა ჩაუვარდა პულხერია ალექსანდროვნას, სტაცა მერე ხელი და საჩქაროდ ოთახში შეიყვანა.

- ძლივს არ დაგკარი თვალი! - დაუწყო გახარებულმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

- ნუ გამიჯავრდები, როდია, რომ ასე სულელურად შეგეგებე; ვტირი; სიხარულისაგან მომდის, გგონია, მართლა ვტირი? მიხარია და იმიტომ, ჩვეულება მაქვს ასეთი სულელური; მაშინვე ცრემლები გადმომცვივა. მამაშენის სიკვდილის შემდეგ დამჩემდა ასე, ყველაფერზე ვტირი. დაჯე, ჩემო კარგო, დაიღლებოდი, გეტყობა, ოჰ, როგორ გათხუპნულხარ.

- წვიმაში ვიყავი გუშინ და იმისგანაა, დედა, ... - დაიწყო რასკოლნიკოვმა.

- ნუ, ნუ! - გააწყვეტინა პულხერია ალექსანდროვნამ, - გეგონა, გამოკითხვას დაგიწყებდი ძველებურად, დედაკაცურად? ნუ სწუხარ, არა. მესმის, ყველაფერი მესმის, შევეჩვიე, აქაურად როგორ მოვიქცე, და დავრწმუნდი, რომ ასე სჯობია, უფრო გონივრულია შენი მოსაზრების გაგება. მამასადამე, არც ანგარიშის მოთხოვნა

შემიძლია. ღმერთმა იცის, რა ფიქრი და აზრი, რა გეგმა გაქვს შედგენილი; ხელს ხომ არ წაგკრავ წარამარა, რას ფიქრობ-მეთქი? აი, მეც... ეჰ, ღმერთო! რას მივედ-მოვედები და კედელ-ყორეს ვეხლები... აგერ, შენ წერილს ვკითხულობ მესამედ, ჟურნალში რომ ყოფილა დაბეჭდილი; დიმიტრი პროკოფიჩმა მომიტანა. დავხედე თუ არა, განცვიფრებული დავრჩი: რა ჩურჩუტი ვარ-მეთქი, გავიფიქრე; აი, თურმე რასა ფიქრობს და რას საქმიანობს. სწავლულები მუდამ ასეთები არიან-მეთქი, იქნებ ახალი რამ აზრი უტრიალებდა-მეთქი იმჟამად თავში, მე კი ვტანჯავ და არ ვასვენებ. ვკითხულობ, ჩემო მეგობარო, მაგრამ ბევრი რამ, რასაკვირველია, არ მესმის და ვერ გამიგია; თუმცა ასეც უნდა იყოს: სად მე და სად შენი ფიქრი და აზრები?

- მიჩვენე, აბა, დედა.

რასკოლნიკოვმა გაზეთი აიღო, თავის წერილს ქურდულად თვალი გადაავლო. მართალია, უადგილო იყო ამჟამად და მის მდგომარეობას არ შეფეროდა ეს, მაგრამ უცნაური რამ სიტკბოება იგრძნო მაინც, როგორც ეს ემართება ავტორს, თავის პირველად დაბეჭდილ ნაწარმოებს რომ ხედავს; ოცდასამმა წელმაც თავისი გავლენა იქონია. მაგრამ მხოლოდ წამიერი იყო ეს გრძნობა. ჩაიკითხა თუ არა რამდენიმე სტრიქონი, უცებ საშინლად მოიღრუბლა, რაღაც საზარელმა ნაღველმა გული შეუხუთა. უკანასკნელი თვეების სულიერი ბრძოლა მთლად თვალწინ დაუდგა. გაბრაზებულმა ზიზღით გადაისროლა წერილი მაგიდაზე.

- მართალია, არა გამეგება რა, როდია, მაგრამ ვფიქრობ მაინც, რომ მალე უთუოდ, თუ პირველი არა, პირველთაგანი მაინც იქნები ჩვენს სწავლულებს შორის. ისინი კი ბედავდნენ და ფიქრობდნენ, რომ ჭკუიდან შეიშალე, ხა-ხა-ხა! ხომ არ იცი რა შენ - ნამდვილად ასე ფიქრობდნენ! ოჰ, უბედური ჭიკაყელები, რა გაეგებათ, დიდი გონება რა არის! მერე, დუნეჩკამაც რომ კინალამ დაიჯერა - როგორ მოგწონს ეს!

განსვენებულმა მამაშენმაც ორჯერ გაგზავნა ჟურნალში დასაბეჭდად, - ჯერ ლექსები (რვეული ახლაც შენახული მაქვს, გიჩვენებ როდისმე), მერე კი მთელი მოთხრობაც (მე თვითონ გამოვთხოვე ნებართვა, რომ გადამეწერა). როგორ ვლოცულობდით ორთავენი, რომ მიეღოთ და დაებეჭდათ, მაგრამ არ მიიღეს! მე, როდია, ამ ექვსიოდ-შვიდი დღის წინათ კინალამ თავი მოვიკალი, შენი პალტო რომ ვნახე, რომ ვნახე, როგორ ცხოვრობდი, რას სჭამდი, როგორ დადიოდი. ახლა კი ვხედავ, რომ ვცდებოდი, იმიტომ რომ ყველაფერს ადვილად იმოვი შენი ჭკუითა და ნიჭით, თუკი მოინდომებ. გეტყობა, მამ ჯერჯერობით ასე გინდა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით ხარ გატაცებული...

- დუნია შინ არ არის, დედა?

- არა, როდია. ხშირად სხვაგან დაიარება, მარტოსა მტოვებს. მაღლობა ღმერთს კიდევ, დიმიტრი პროკოფიჩი შემოდის ხოლმე, შენზე მელაპარაკება სულ. ძალიან უყვარხარ და პატივსა გცემს, ჩემო მეგობარო. დუნიაზე, რასაკვირველია, იმას არ ვიტყვი, ვითომ საკმაოდ არ მცემდეს პატივს. ხომ არ ვუჩივი. იმას თავისი ხასიათი აქვს, მე ჩემი; რაღაც თავისი საიდუმლოება გაუჩნდა; მე კი არა მაქვს რა თქვენგან დაფარული. რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ მტკიცედ, რომ გონიერია მეტად დუნია, ამასთანავე ჩვენც, მეცა და შენც, უყვარვართ... მაგრამ არ ვიცი სწორედ, რა აქვს აზრად. აი, შენ დიდად გამაბედნიერე, როდია, რომ შემოიარე და მნახე, ის კი სადღაც არის სასეირნოდ; მოვა, აგრეც ვეტყვი: შენი არყოფნისას როდია იყო აქ, სად

ბრძანდებოდი-მეთქი? ნურც ძალიან გამანებივრებ: შეგეძლოს - შემომიარე, არადა - ნუ შეწუხდები, მოვითმენ. ის ხომ მაინც მეცოდინება, რომ გიყვარვარ, ესეც კმარა ჩემთვის. უშენოდ შენს ნაწარმოებს ვიკითხავ ხოლმე, მოვისმენ, როგორ ექნებათ შენზე სხვებს ლაპარაკი, დროდადრო კი შენც შემომივლი, მეტი რა მინდა? აი, ახლაც იმიტომ მოხვედი, დედა გენუგეშებინა, კარგად ვხედავ ამას...

პულხერია ალექსანდროვნას უცებ ტირილი აუვარდა.

- კიდევ არ დავიწყე! ყურადღებას ნუ მომაქცევ, ჩურჩუტი ვარ, გამოთაყვანებული! ოჰ, ღმერთო ჩემო, რასა ვზივარ ნეტა? - წამოიძახა და წამოხტა, - ყავა ხომ მაქვს, რატომ არ გასმევ! ხედავ, რა არის ბებრუხანას თავკერძაობა! ახლავე, ახლავე!

- არა, დედა, თავი დაანებეთ, ახლავე წავალ. იმიტომ ხომ არ მოვედი. ყური დამიგდეთ, გეთაყვა.

პულხერია ალექსანდროვნა მოკრძალებით მიუახლოვდა.

- დედა, რაც უნდა მოხდეს და გაიგონოთ ჩემზე, რაც უნდა გითხრან, ისევ ისე გეყვარებით, როგორც ახლა, თუ არა? - დაეკითხა უცბად გულწრფელად, თითქოს სრულიად არ უფიქრია, რას ეუბნებაო.

- როდია, როდია, რა იყო, რა დაგემართა? ან კი როგორ მეკითხები ამას? ვინ რა უნდა მითხრას შენზე? მე არავის რას დავუჯერებ, ვინც გინდა მოვიდეს და მითხრას, მაშინვე გავაგდებ.

- მოვედი დამერწმუნებინეთ, რომ მუდამ მიყვარდით; ახლაც მოხარული ვარ დიდად, რომ დუნია არ არის შინ, - განაგრძობდა რასკონლიკოვი იმავე გატაცებით, - მოვედი მეთქვა პირდაპირ, რომ იქნებ უბედურიც იყოთ, მაგრამ იცოდეთ მაინც, რომ თქვენს შვილს ახლა ყველაზე მეტად თქვენ უყვარხართ, საკუთარ თავზე მეტადაც და ტყუილია ის, რასაც წინათ ფიქრობდით, ვითომ მკაცრი ვიყო და უგულო, არ მიყვარდეთ. იცოდეთ, მაშ, რომ არასოდეს თქვენს სიყვარულს გულიდან არ ამოვიღებ... კმარა მაშ; ჩემი ფიქრით, ასე უნდა მექნა, ასე დამეწყო...

პულხერია ალექსანდროვნა კი ჩუმად იკრავდა გულში და თან ტიროდა.

- რა იყო, რა დაგემართა, როდია? - შეეკითხა ბოლოს, - აქამდე მეგონა, ვითომ თავს გაბეზრებდით მხოლოდ, ახლა კი ყველაფრით ვხედავ, რაღაცა დიდი მწუხარება მოგელის, იმიტომაც დარდობ ეგრე. დიდი ხანი კია, როდია, ვგრძნობდი ამას. მაპატიე, რომ ლაპარაკი ჩამოგიგდე, მაგრამ ღამე ძილი გამკრთალი მაქვს, ერთთავად ამაზე ვფიქრობ. დუნიასაც არ სძინებია წუხელ, ბოდავდა, შენ გიგონებდა სულ. რაღაცას კი მოვკარი ყური, მაგრამ ვერა გავიგე რა. მთელი ეს დილა როგორღაც მოუსვენრად გავატარე, სიკვდილმისჯილივით დავდიოდი, ფეხი არ დამიყენებია, რაღაცას ვგრძნობდი წინათვე, აკი მოხვედი კიდევაც! როდია, როდია, საით მიდიხარ? სხვაგან აპირებ წასვლას, თუ როგორ არის?

- ჰო, დედა!

- აკი მეც აგრე ვფიქრობდი! შემიძლია მეც თან წამოგყვე, თუკი საჭირო იქნება. დუნიაც წამოგყვება; საშინლად უყვარხარ; დეე, სოფია ივანოვნაც წამოვიდეს, თუ

საჭიროა. ხედავ, სიამოვნებით წავიყვან, ვითომ ქალია ჩემი. დიმიტრი პროკოფიჩი ყველაფერში დაგვეხმარება, გვიშველის... მაგრამ... საით... აპირებ?

- მშვიდობით, დედა!

- როგორ! დღესვე მიდიხარ?! - შეჰყვირა შეშინებულმა, თითქოს ეს არის, ახლავე ჰკარგავს სამუდამოდ.

- არ შემიძლია, დროა, მიგვიანდება...

- არც ჩემი წამოსვლა შეიძლება?

- არა. მუხლი მოიყარე და ილოცე, ღმერთს შეავედრე ჩემი თავი. იქნებ გისმინოს.

- მოიცა, პირჯვარს გადაგწერ, დაგლოცავ! აი, ასე, ასე. ოჰ, ღმერთო, ამას რასა ჩავდივართ!

დიახ, უხაროდა, უხაროდა მეტად, რომ არავინ იყო შინ, რომ მარტოდმარტო დახვდა დედა. მთელი ამ საზარელი დროის განმავლობაში ახლავდა აუჩვილდა უცებ გული. დაეცა დედის წინ იატაკზე, უკოცნიდა ფეხებს და ერთმანეთს გადახვეულნი ტიროდნენ ორივენი. მაგრამ არა ჰკვირობდა ამას დედა, არას ეკითხებოდა ამჟამად. დიდი ხანია იცოდა, რომ შვილის თავს რაღაც საზარელი ამბავი ტრიალებდა და ახლა რაღაც საშინელი წამიც მოახლოებულიყო.

- როდია, ჩემო საყვარელო, ძვირფასო ჩემო პირმშოვ, - ეუბნებოდა ქვითინით დედა, - ისეთივე ხარ ახლა, როგორც პატარა იყავ, ასევე მოხვიდოდი ხოლმე, მეხვეოდი და მკოცნიდი; ჯერ ისევ საცოდავი მამაშენის დროს, ვინ იცის, რამდენჯერ გინაგუშებივართ ორივენი მარტო იმით, რომ ჩვენთან იყავი; იმისი სიკვდილის შემდეგ რამდენჯერ ასე გადახვეულებს გვიტირია მის საფლაფზე. ასე იმიტომ ვტირი ამდენი ხანი, რომ დედის გული წინათვე გრძნობდა უბედურებას. როგორც კი შემოგხედე პირველად, გახსოვს, იმ ღამეს, რომ ჩამოვედით, მაშინვე შეგატყვე და გულმა საშინლად დამიწყო ცემა. დღეს კი, გაგიღე თუ არა კარი და შემოგხედე, გავიფიქრე მაშინვე, ეგ არის უთუოდ დამდგარა-მეთქი ბედითი წამი. როდია, როდია, ახლავე ხომ არ მიდიხარ?

- არა!

- მაშ, მოხვალ კიდევ?

- მოვალ...

- როდია, ნუ გამიჯავრდები, ხომ ხედავ ვერაფრის კითხვას ვერ გიბედავ. ვიცი, რომ ნება არა მაქვს, მაგრამ ისე მითხარი მარტო ორი სიტყვა, შორს აპირებ წასვლას?

- ძალიან შორს.

- რაო, სამსახური რამ იშოვე, თუ სხვა წარმატებისთვის მიხვალ?

- რასაც ღმერთი ინებებს... ილოცეთ მხოლოდ ჩემთვის.

რასკონლიკოვმა კარისაკენ გასწია, მაგრამ დედამ მაგრად ჩასჭიდა ხელი, სასოწარკვეთილმა დაუწყო თვალებში ცქერა. შიშისაგან სახე მთლად დაეღრიჯა.

- კმარა, დედა, - უთხრა რასკონლიკოვმა და დაინანა დიდად, რომ მოვიდა სანახავად.

- სამუდამოდ ხომ არ მეთხოვები? ხომ არა? ხვალ ხომ კიდევ მოხვალ?

-მოვალ, მოვალ, მშვიდობით.

როგორც იყო გაუსხლტა ხელიდან.

თბილი, მოკრძალებული, საამური საღამო იყო. დილიდანვე მშვენიერი ამინდი იდგა. რასკოლნიკოვი თავისი ბინისაკენ მიეშურებოდა, უნდოდა, ყველაფერი მზის ჩასვლამდე მოეთავებინა, მანამდე კი აღარ უნდოდა შეხვედროდა ვისმე. ოთახში რომ ადიოდა, შენიშნა, ნასტასიამ სამოვრის დადგმას თავი დაანება, ყურადღებით გააყოლა თვალი. „ჩემსას ხომ არავინ არის ნეტა“? - გაიფიქრა გუნებაში. უცბად პორფირის სახე წარმოუდგა, შეეზიზღა საშინლად. მაგრამ მივიდა ოთახთან, გამოაღო კარი და დაინახა, რომ დუნეჩკა ელოდა. იჯდა მარტოდმარტო, ღრმად დაფიქრებული; ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, უცდიდა. რასკოლნიკოვი კარში შედგა. წამოდგა შეშინებული დუნია დივნიდან, ძმას გამოეჭიმა წინ. უძრავ თვალებში რაღაც შიში, ღრმა მწუხარება და ნალველი ეხატებოდა. შეატყო მაშინვე რასკოლნიკოვმა, რომ დუნეჩკამ უკვე ყოველივე იცოდა.

- როგორ მოვიქცე, მითხარი: შემოვიდე თუ წავიდე? - დაეკითხა უნდობლად დას.

- მთელი დღე სოფია სემიონოვნასთან ვიჯექი; ორთავენი დიდხანს გელოდით. გვეგონა, უთუოდ შემოვივლიდი.

რასკოლნიკოვი ოთახში შევიდა; დაუძღურებული სკამზე დაეშვა.

- სუსტად ვარ როგორღაც, დუნია; საშინლად დავიღალე; ამჟამად კი სწორედ გულით მინდოდა, კარგად ვყოფილიყავი.

როგორღაც უნდობლად გადახედა დას.

- მთელი ღამე სად იყავი?

- არ მახსოვს კარგად. ხედავ, დაო, მინდოდა საბოლოოდ გადამეწყვიტა საქმე; ამიტომაც ნევას არ ვცილდებოდი, გარს ვუვლიდი სულ; კარგად მახსოვს. იქვე მინდოდა გამეთავებინა ყველაფერი, მაგრამ... ვერ გავბედე... - ჩაიჩურჩულა დაბალი ხმით და ისევ ისე უნდობლად გადახედა დუნიას.

- მაღლობა ღმერთს! მერე როგორ გვეშინოდა მეცა და სოფია სემიონოვნასაც! ჩანს, მამ სიცოცხლისა ჯერ კიდევ გწამს რამე; მაღლობა ღმერთს, მაღლობა ღმერთს!

რასკოლნიკოვს მწარედ გაეღიმა.

- არა მწამდა, მაგრამ დედასთან ვიყავი ეს არის ახლა, გადავეხვიეთ ერთმანეთს და ვტიროდით; არა მწამს და არა მჯერა რა, მაგრამ მაინც ვთხოვე, ელოცნა ჩემთვის. ღმერთმა იცის, დუნეჩკა, როგორ ხდება ეს; მეც ვერა გამიგია რა.

- დედასთან იყავი? შენვე უთხარი? - შეჰყვირა შემინებულმა დუნამ. - ნუთუ გაბედე და უთხარი?

- არა, არ მითქვამს... სიტყვით; მაგრამ თვითონვე მიხვდა. ყური მოეკრა ღამე, როგორ ვბოდავდი თურმე. დარწმუნებული ვარ, თუ სულ არა, ნახევარს მაინც მიხვედრილია უკვე. არ ვიცი, იქნებ ცუდადაც ვქენი, რომ შევედი და ვნახე. არც კი ვიცი სწორედ, რისთვის შევედი. სულმდაბალი კაცი ვარ, დუნია, დაცემული!

- დაცემული, და ტანჯვას კი კისრულობ? შენით მიდიხარ ხომ?

- მივდივარ. აი, ახლავე. შერცხვენისათვის რომ თავი დამელწია, ამის გამო იყო, თავი დავიხრჩე კინალამ; მაგრამ ვიფიქრე, დუნია, თუ აქამდის მჯეროდა, რომ ძალა შემწევდა, ახლა რატომ უნდა შევუშინდე-მეთქი სირცხვილს, და გადავიფიქრე. სიამაყემ მძლია, დუნია?

- სიამაყემ, როდია.

თითქოს უცებ ცეცხლივით აენტო მისი ჩამქრალი თვალები; ეამა, რომ ჯერ კიდევ შერჩენოდა სიამაყე.

- როგორ გგონია, დაო, იქნება წყლისაც შემეშინდა, ჰა? - დაეკითხა როგორღაც საზარლად დაღრეჯილი და ღრმად ჩააშტერდა თვალებში.

- ოჰ, როდია, კმარა, გეთაყვა! - შესძახა მწარედ დუნამ.

ორიოდე წამს ასე იყვნენ გაჩუმებულნი. რასკოლნიკოვი თავგალუნული იჯდა, ძირს იცქირებოდა, დუნეჩკა მაგიდის მეორე ბოლოში იდგა, ტანჯვით შეჰყურებდა ძმას. რასკოლნიკოვი უცბად წამოდგა.

- დროა, დამაგვიანდება! მივდივარ, რომ გამოვტყდე ყველაფერში. მაგრამ არ ვიცი მაინც, რად, რისთვის უნდა გავწირო თავი!

დუნეჩკას მდულარე ცრემლები სცვიოდა.

- სტირი, დაო? შეგიძლია მაშ, ხელი მომცე მეგობრულად?

- როგორ? ეჭვობდი განა? - ჩაეკითხა განცვიფრებული დუნია და მაგრად მოეხვია ძმას, გულში ჩაიკრა.

- ნუთუ სანახევროდ მაინც არ იმსუბუქებ დანაშაულს, ტანჯვას რომ კისრულობ? - ეუბნებოდა დუნეჩკა და თან გულში მაგრად იკრავდა, ჰკოცნიდა.

- დანაშაულს? რის დანაშაულს! - შეჰყვირა უცებ აღშფოთებულმა რასკოლნიკოვმა. - დანაშაულია ის, რომ მაგნე და სამაგელი ტილი, მევახშე ბებრუხანა მოვკალ, ადამიანი, რომელიც არავის რად უნდოდა, ღარიბებს უკანასკნელ სისხლსა სწოვდა. მისი მოკვლა ხომ მაღლიც კი იყო! არა, დაო, არ მაწუხებს ეს დანაშაული და არცა ვფიქრობ მის შენანებას! რაო, რა არის ნეტა, რომ ყველა მხრიდან ერთსა და იმავეს შემომძახიან: „დანაშაულია, დანაშაულიო!“ ახლა ვხედავ ნათლად, რა სულმოკლეობასა და სისულელესაც ჩავდივარ, ვხედავ ახლა, როცა უკვე გადავწყვიტე ყველაფერი და ეს შერცხვენა ტყუილად ვიკისრე! მართლაც, მდაბალი ხასიათისა ვარ და უნიჭო,

იმიტომ ვკისრულობ, და კიდევ იმიტომ იქნებ, რომ სახეიროა ჩემთვის, როგორც... ის... პორფირი მირჩევდა!..

-ძმაო, აბა, რას ამბობ, რას! სისხლი ხომ დაღვარე, ერთი არ არის! - შეჰყვირა სასოწარჰვეთილმა დუნია.

-სისხლი, რომელსაც ყველა ღვრის მუდამ, - ჩამოართვა სიტყვა გაცეცხლებულმა, - რომელიც ნიაღვარივით და შამპანურივით იღვრება, რომლისთვისაც კაპიტოლიუმში გვირგვინით უმკობენ თავს და შემდეგ კაცობრიობის კეთილისმყოფლად აღიარებენ? აბა, ცოტა ღრმად დაუკვირდი, იფიქრე! თვითონ მეც მხოლოდ კარგი მინდოდა ხალხისათვის და უთუოდ ასობითა და ათასობით გავაკეთებდი კეთილ საქმეს, რომ ასე მარცხით არ გათავებულყო ყველაფერი, თუმცა სულელური აქ არა იყო რა... (მარცხის შემდეგ კი ყველაფერი სისულელედ გვეჩვენება) მინდოდა მხოლოდ ამ სულელობით მცირედი დამოუკიდებლობა და საშუალება მომეპოვებინა, პირველი ნაბიჯი გადამედეგა, თორემ მერე ყველაფერს გამოისყიდდა შეუდარებელი სარგებლობა... მაგრამ ვაი, რომ პირველ ნაბიჯსაც ვერ გავუძელი, იმიტომ რომ სულმდაბალი ვარ! აი, რა არის მიზეზი! მაინც უარვყოფ თქვენს აზრს და შეხედულებას: რომ გამემარჯვნა, მაშინ ხომ ყველა მომიწონებდა, გვირგვინით შემამკობდა, ახლა კი ხაფანგში უნდა გამაბან!

- ეგ ხომ, ძმაო, სხვა არის სულ! რას ამბობ, რას!

- ჰო, მესმის, რომ ესთეტიკური და მშვენიერი არ არის! მაგრამ არ მესმის სწორედ: ყუმბარებითა და ალყის შემორტყმით ხალხის ჟლეტა რითია ამაზე საპატიო? ესთეტიკური შიში ხომ პირველი ნიშანია უძლურებისა!.. არასოდეს ასე ნათლად და აშკარად არა მქონია ეს შეგნებული, როგორც ახლა, არც ჩემს უდანაშაულობაში ვყოფილვარ ასე დარწმუნებული! არასოდეს ასე დარწმუნებული არა ვყოფილვარ, არასოდეს ასე მძლავრად არ მიგრძვნიათ თავი, როგორც ახლა!..

მის მკრთალსა და ტანჯულ, დაუძლურებულ სახესაც კი სიწითლემ გადაჰკრა თითქოს. მაგრამ სწორედ ამ დროს მოულოდნელად დუნიას შეხედა და იმოდენა ტანჯვა ამოიკითხა მის სახეზე და თვალეზში, უნებურად გამოერკვა. იგრძნო, რომ ორი საბრალო ქალის - დედისა და დის - გაუბედურების მიზეზი ის გახდა მაინც...

- დუნია, საყვარელო! მაპატიე, თუ დამნაშავე ვარ (მაგრამ როგორ უნდა მაპატიო, თუ მართლა დანაშაული ჩავიდინე). მშვიდობით! კამათს ნუ მოვყვებით! დრო არის უკვე, დრო არის. არ გამომყვე, გემუდარები, უნდა სხვაგანაც შევიარო... წადი ახლავე და დედას მიხედე. გემუდარები! ჩემი უკანასკნელი და ყველაზე დიდი თხოვნა ეს არის, დაო! ნუ მოშორდები, საშინლად აღელვებული დავტოვე, ვაითუ ვერ აიტანოს: მოკვდება, ან ჭკუიდან შეიშლება. თვალს ნუ მოაშორებ, ყური უგდე! რაზუმინინიც თქვენთან იქნება; ნათქვამი მაქვს: ჩემთვის, დაო, ნუ იტირებ: ვეცდები, მხნედ ვიყო და პატიოსანი დავრჩე, თუმცა მკვლეელი ვარ, მართალია. იქნება ოდესმე მოგესმას რამე ჩემზე, არ შეგარცხვენთ, თორემ აი, ნახავთ; დავუმტკიცებ კიდევ ყველას... რომ... მაგრამ ჯერჯერობით კი მშვიდობით, - დასძინა საჩქაროდ, რადგანაც შეატყო კვლავ, რომ თვალეზში რაღაც უცნაური გამომეტყველება აღებეჭდა დუნიას ამ უკანასკნელ სიტყვებზე და დაპირების დროს. - რაო, რად სტირი? ნუ სტირი, გეთაყვა, ნუ სტირი; სამუდამოდ ხომ არ ვემშვიდობებით ერთმანეთს?.. ჰო, მართლა! მოიცა, დამავიწყდა!..

რასკოლნიკოვი მაგიდასთან მივიდა, სქელი, გამტვრიანებული წიგნი გადმოიღო, გადაშალა, ამოიღო ფურცლებს შუა ჩადებული, სპილოს ძვალზე ნახატი პატარა სურათი და ცქერა დაუწყო. ეს იყო მისი საპატარძლო, დიასახლისის შვილი, ის უცნაური ახალგაზრდა ქალი, რომელიც მონასტერში აპირებდა წასვლას, მაგრამ ხურვებამ იმსხვერპლა. ერთ წამს ყურადღებით და ღრმად ჩააკვირდა საცოდავის სწულს, გამომეტყველ სახეს, მერე აკოცა და დუნეჩკას გადასცა.

- აი, დაო, ვისთან მაქვს ბევრი რამ ამაზე ნალაპარაკევი, მარტოდმარტო ამან იცოდა ყველაფერი, - უთხრა დაფიქრებულმა. - ბევრი რამ გავუმჟღავნე საცოდავს იქიდან, რაც ისე საძაგლად ასრულდა. ნუ სწუხარ, - მიუბრუნდა დუნიას, - ეგეც შენსავით არ მეთანხმებოდა; მიხარია ამიტომ, რომ აღარ არის. უმთავრესი კი ის არის ახლა, რომ ყველაფერი სხვანაირად მოეწყობა, ორად გაიყოფა, - შეჰყვირა უცებ და დანალვლიანდა ისევ, - ყველაფერი, ყველაფერი... მერე, მე კი მომზადებული ვარ ამისათვის? მოწადინებული ვარ? ამბობენ, ვითომ ჩემთვისვე იყოს სინდისის განსაწმენდად საჭირო! რაო ნეტა, რისთვის და რა საჭიროა ეს უგუნურება? ვითომ რას შემძენს ეს მონანიება? ტანჯვისა და წვალეებისაგან გამოყრუებული და დაუძლურებული, სიბერის დროს, ოცი წლის კატორღის შემდეგ უკვე ვიგრძნობ, თუ რა არის? ან სიცოცხლე რაღად მინდა მაშინ? რისთვის ვთანხმდები ასეთ სიცოცხლეს? ოჰ, ვიცოდი სწორედ, დღესვე ვიცოდი გათენებისას, ნევას რომ გადავყურებდი, რა საძაგელი და საზიზღარი რამ ვიყავი!

ბოლოს ორივენი ერთად გამოვიდნენ. ძნელი იყო, მართალია, დუნიასათვის, მაგრამ მეტად უყვარდა ძმა! გაშორდნენ ერთმანეთს. ორმოცი ნაბიჯი არ გაველო ჯერ დუნიას, რომ მოიხედა, უნდოდა ერთხელ კიდევ დაეკრა თვალი ძმისათვის. ცოტათი კიდევ მოჩანდა. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა ქუჩის კუთხეს, რასკოლნიკომაც გამოიხედა; უკანასკნელად შეხედეს ერთმანეთს; მაგრამ შენიშნა თუ არა, რომ დუნიაც უცქეროდა, მოუთმენლად ჩაუქნია გაბრაზებულმა ხელი, რომ წასულიყო, და თვითონაც მაშინვე სწრაფად შეუხვია ქუჩის კუთხეში.

„ვგრძნობ, გაბოროტებული ვარ, - ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და სირცხვილით იგონებდა, როგორ გაუქნია გაბრაზებულმა დუნიას ხელი. - ვისი ბრალია, რისთვის ვუყვარვარ ან ერთს და ან მეორეს, თუკი ღირსიც არა ვარ! ოჰ, მარტო რომ ვიყო და არავის ვუყვარდე, არც მე მიყვარდეს და მყვარებოდეს ვინმე! მაშინ ხომ აღარც ეს ამბავი მოხდებოდა! საყურადღებოა მაინც, ნუთუ ამ ოცი თუ თხუთმეტი წლის განმავლობაში ისე მოვთვინიერდები და მოვტყდები სულიერად, რომ ყველას წინ მორჩილებითა და კრძალვით ვისლუკუნებ და ყოველ სიტყვაზე ყაჩაღი ვარ-მეთქი ვიძახებ? დიახ, დიახ, ასე უნდა იყოს სწორედ! ამიტომ არ უნდა გადამასახლონ განა? აზრად ეს აქვთ სწორედ... აგერ, ყველანი ქუჩა-ქუჩა დამრწიან; მაგრამ განა ყველა მათგანი ასეთივე საძაგელი და ყაჩაღი არ არის ბუნებით, ზოგი ჩურჩუტიც! მაგრამ აბა ერთი აგცდეს კატორღა, ყველა მაშინვე უსაზღვრო კეთილშობილური რისხვით აივსება! ოჰ, როგორ მძულან ყველანი“.

ღრმად ჩაფიქრდა: რანაირად მოხდება ნეტა, რომ ყველას წინ ქედს მოიხრის, მთელი შეგნებითა და რწმენით დაემორჩილება! მაგრამ რატომ არა? რასაკვირველია, ასეც იქნება. ოცი წლის განუწყვეტელი ტანჯვა ვერ შეძლებს განა ამას და ვერ მოდრეკს საბოლოოდ? წყალი რა არის, ისიც კი ქვასა ხვრეტს ბოლოს. მაგრამ რაღად უნდა

სიცოცხლე მერე? ან რისთვის მიდის ახლა, როცა კარგად ხედავს და იცის, ყველაფერი ასე იქნება? როცა მომავალს წიგნში ამოკითხულივით თვალთა ხედავს?“

უკვე მეასეჯერ ეკითხებოდა, ვგონებ, თავის თავს ერთსა და იმავეს გუშინდელს აქეთ, მაგრამ დაშლით მაინც არ იშლიდა, მიდიოდა.

VIII

ბინდბუნდი იყო, სონიასთან რომ შევიდა. მთელი დღე საშინლად აღელვებული ელოდა სონია. დუნია და ის ერთად უცდიდნენ. დილითვე მისულიყო დუნია, როგორც კი წინაღობით სვიდრიგაილოვის ნათქვამი სიტყვები მოჰგონებოდა, „სონიამ იცის ეს ამბავი“. არას ვიტყვით დაწვრილებით იმაზე, როგორ ტიროდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს მწუხარებას დუნია და სონია, ან რამდენად შეეწყვნენ ერთმანეთს. დუნია მაინც კმაყოფილი დარჩა და დიდად ანუგეშა იმ გარემოებამ, რომ ძმა მარტო არ იქნებოდა: სონიას ხომ მან თვითონ გაუმჯღავნა პირველად, უთხრა თავისი აღსარება; იმას მიმართა, როცა ადამიანის თანაგრძნობა დასჭირდა. ისევ წაჰყვებოდა ყველგან, საითაც კი ბედი უკრავდა თავს. მართალია, არა უკითხია რა ამაზე დუნიას, მაგრამ იცოდა, რომ ასე იყო. როგორღაც მოკრძალებითა და მოწიწებით ეპყრობოდა ამიტომ სონიას, ასე რომ თავდაპირველად თითქოს შეაკრთო კიდევ სონია მისმა ასეთმა ქცევამ. მზად იყო თითქმის ეტირა: პირიქით, სონია თვლიდა თავს უღირსად და პირდაპირ შეხედვასაც ვერ ბედავდა. მშვენიერი სახე დუნიასი, პირველად ნახვისას რომ ისე ყურადღებით და პატივისცემით გამოეთხოვა რასკოლნიკოვთან, სამუდამოდ აღებეჭდა სონიას და მისი ცხოვრების უმშვენიერეს და უტკბილეს მოჩვენებად გადაიქცა.

ველარ მოითმინა ბოლოს და გამოეთხოვა სონიას, რომ ბინაზე მოეცადა ძმისათვის. ეგონა, რომ ძმა ჯერ შინ მივიდოდა. დარჩა თუ არა მარტო სონია, მაშინვე საშინელმა ფიქრმა გაიტაცა, ვაითუ მართლა თავი მოიკლასო. დუნიასაც ამისი ეშინოდა. მაგრამ მთელი დღე ერთმანეთს არწმუნებდნენ მაინც, რომ შეუძლებელია, ასე მოქცეულიყო, არაფრის გულისათვის ამას არ იზამდა; ერთი სიტყვით, გულს უკეთებდნენ ერთმანეთს. ახლა კი, განშორდნენ თუ არა, ერთიცა და მეორეც მხოლოდ ამაზედა წუხდა, ამასლა ფიქრობდა. მოაგონდა სონიას, როგორ უთხრა გუშინ სვიდრიგაილოვმა, რომ რასკოლნიკოვს მხოლოდ ორი გზა ჰქონდა: ვლადიმირკა ან... იცოდა ისიც, რა თავმოყვარე, თავმომწონე, თავზვია და ურწმუნო იყო. „ნუთუ მარტო სულმოკლეობა და სიკვდილის შიში აიძულებს, იცოცხლოს?“ - გაიფიქრა ბოლოს სასოწარკვეთილმა. მზე უკვე ჩადიოდა. სონია მოწყენილი იდგა ფანჯარასთან, მაგრამ მეზობელი სახლის გაუღესავი ვეება კედლის მეტი სხვა არა მოჩანდა რა. ბოლოს, როცა დარწმუნდა თითქმის, რომ უკვე მკვდარი იყო უბედური, რასკოლნიკოვმა უცებ შეაღო კარი და შევიდა ოთახში.

სიხარულით შეჰყვირა სონიამ, მაგრამ შეხედა თუ არა და ჩააკვირდა თვალებში, ისევ გაფითრდა.

- ჰოდა! - დაიწყო რასკოლნიკოვმა და ოდნავ ჩაიციხა, - შენი ჯვრებისათვის მოვედი, სონია. შენ არ იყავი, თვითონ მირჩევდი, ჯვარედინ გზაზე დადექი და ქვეყანას გამოუტყდიო; ახლა კი საქმე რომ საქმეზე მივიდა, შეკრთი, შეგეშინდა?

განცვიფრებული უცქეროდა სონია. უცნაურად ეჩვენა როგორღაც რასკოლნიკოვის კილო; ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა; მიხვდა იმავე წამს, რომ კილოც და სიტყვებიც განგებ შეურჩია ასეთი. ლაპარაკითაც პირდაპირ არ ელაპარაკებოდა, კუთხეში იყურებოდა ერთთავად, თითქოს პირს არიდებოდა.

- გესმის, სონია, გადავწყვიტე, რომ ასე უფრო სახეირო იქნება. არის აქ გარემოება, რომელიც... მაგრამ გრძლად ლაპარაკი რა საჭიროა. იცი, მხოლოდ რა მაბრაზებს! უნდა ახლა ყველა ეს ტუტუცი ხალხი თვალდაჭყეტილი მე შემომყურებდეს და, ვინ იცის, რა სისულელეს არ მეკითხებოდეს. მეც უნდა პასუხი ვაძლიო; თან თითოთ უნდა ანიშნებდნენ ჩემზე ერთმანეთს... ფუჰ, იცი რა, პორფირისთან როდი მივალ; თავი მომაბეზრა. სჯობია, ისევ ჩემს მეგობარ პოროზს მივმართო; ნახე აბა, რა შთაბეჭდილებას იქონიებს ეს ჩემი მოულოდნელი გამოტეხვა. ცოტა დამშვიდებული უნდა ვიყო; მეტისმეტად ვბრაზობ ყველაფერზე ამ ბოლო დროს. არ დაიჯერებ: ეს არის, ახლა თითქმის მუშტი მოვუღერე დას, იმიტომ მხოლოდ, რომ გაბედა და უკანასკნელად შემომხედა მიმავალმა. უბედურება და ღორობაა ასეთი საქციელი! ოჰ, რას მივაღწიე! აბა, ჰა, ჯვრები სადა გაქვს?

როგორღაც ატაცებული იყო, მოუსვენრობდა; ვედარავისთვის ვერ მიეპყრო დიდხანს ყურადღება, აზრი აზრს უსწრებდა. ხელები ოდნავ უკანკალებდა.

სონიამ უსიტყვოდ ამოიღო ყუთიდან ორი ჯვარი, კვიპაროსისა და სპილენძისა, პირჯვარი გამოისახა, რასკოლნიკოვსაც გადასწერა და კვიპაროსის ჯვარი გულზე ჩამოჰკიდა.

- მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, ტანჯვას ვკისრულობ, ხე! ხე! თითქოს აქამდე ცოტა მეტანჯოს! კვიპაროსისა მდაბიო ხალხისაა; სპილენძისას - ლიზავეტასას შენთვის იღებ, მაშ? მიჩვენე, აბა! აგრე ჰქონდა გაკეთებული... მაშინ? მე ვიცი ორი ამისთანა ჯვარი, ერთი ვერცხლისა და მეორე ხატით. ბებრუხანას დავაყარე მაშინ გულზე. აი, ისინი უნდა მქონოდა ახლა მართლა და გამეკეთებინა... მაგრამ ვცრუობ სულ, საქმე კი მავიწყდება; დაბნეული ვარ როგორღაც!.. ხედავ, სონია, - იმიტომ მოვედი სწორედ, რომ გამეგებინებინა, რომ გცოდნოდა... მეტი არაფერი... იმიტომ მოვედი მარტო. (ჰმ! თუმცა მეგონა, მეტს გეტყოდი.) შენც ხომ სწორედ ის გინდოდა, რომ წავსულიყავი; აი, გადავწყვიტე მეც, რომ ციხეში ვიჯდე, ასრულდება შენი წადილი; რაღა გატირებს მაშ? შენცა სტირი? კმარა, გეყოფა; ოჰ, როგორ შემძიმება ეს ყველაფერი!

გრძნობა მაინც დაეხადა უკვე. გული ძლიერად შეუხუთა, სონიას რომ უცქეროდა: „ამას, ამას რაღა დაჰმართნია? - ფიქრობდა თავისთვის, - ამისი რაღა ვარ? რასა ტირის? რას მაშხადებს, თითქოს დედა იყოს ან დუნია? ძიძაობას თუ მიპირებს!“

- პირჯვარი გადაიწერე და ილოცე ერთხელ მაინც, - შესთხოვა სონიამ აკანკალებული ხმით, მოკრძალებით.

- ინებეთ, გეთაყვა, რამდენიც გინდა! თანაც გულით, სონია, წმინდა გულით...

თუმცა, ეტყობოდა, სხვა რაღაცის თქმა უნდოდა...

რასკოლნიკოვმა რამდენჯერმე გამოისახა პირჯვარი. სონიამ უცებ თავშალს დაავლო ხელი, წამოიხურა. ეს იყო მწვანე დრადედამის თავშალი, უთუოდ ის, რომელიც განსვენებულმა მარმელალოვმა „საგვარეულოს“ სახელით მონათლა. მაშინვე

გაიფიქრა ეს რასკოლნიკოვმა, მაგრამ აღარა ჰკითხა რა. გრძნობდა კარგად, რომ საშინლად დაბნეული იყო, შემფოთებული და თვითონვე შეეშინდა. ელდასავით ეცა უცებ ისიც, რომ სონიას თითქოს მასთან ერთად უნდოდა წასვლა.

- რა იყო! საით? დარჩი, შინ დარჩი! მარტო წავალ! - შეჰყვირა გულმოსულმა სულმოკლედ და თითქმის გაბოროტებულმა კარს მიაშურა. - ამაღა რა საჭიროა! - ბუტბუტებდა გასვლის დროს.

სონია შუაგულ ოთახში დარჩა; აღარც კი გამოსთხოვებია, დაავიწყდა იგი უკვე რასკოლნიკოვს. ერთი რამ მწვავე, გულისმომკვლელი ეჭვი არ ასვენებდა.

„ასე კია ნეტავ საქმე, ასეა ყველაფერი? - გაიფიქრა ხელახლა, კიბეზე რომ ჩადიოდა: - ნუთუ საქმის გამოკეთება აღარ შეიძლება... ნუთუ არ შეიძლება გადავიფიქრო და აღარ წავიდე? ყველაფერი შევცვალო ისევ?“

მაგრამ მიდიოდა მაინც. იგრძნო უცებ უკანასკნელად, რომ კითხვის დრო აღარ იყო. გამოვიდა თუ არა ქუჩაში, მოაგონდა, რომ სონიას არც კი გამოეთხოვა; რომ შუა ოთახში დარჩა მწვანე შალწამოსხმული, გამტერებული. რასკოლნიკოვის შემოტევით დაბნეულმა ველარც რისიმე თქმა მოასწრო, ველარც გაინძრა; მოაგონდა ესა და შედგა ერთ წამს. იმავე წამს რაღაც აზრმა გაუელვა უცებ და დასძლია კიდეც საბოლოოდ.

- რაო, რისთვის, რისთვის ვიყავი ახლა? ვუთხარი: საქმისათვის მოვედი-მეთქი, მაგრამ რა საქმისათვის? არაფერი საქმე არა მქონდა! იმისთვის ხომ არა, რომ გამომეცხადებინა, მივდივარ-მეთქი; რა არის მერე, რომ მივდივარ, რა საჭირო იყო! მიყვარს, თუ რა არის? ხომ არ მიყვარს? არ იყო, ახლაც ძალიან გავაგდე. მართლა ხომ ჯვრები არ მინდოდა? ოჰ, რა საზიზღარი და დაცემული რამა ვარ! არა, მინდოდა, რომ ეტირნა უთუოდ, მინდოდა შემეშინებინა, მენახა, როგორ დაიტანჯებოდა და ეტკინებოდა გული! უთუოდ უნდა მომემიზნებინა რამე, საქმე გამეჭიანურებინა, ადამიანისათვის შემეხედა კიდეც! არა, როგორ მქონდა იმედი ჩემი თავისა, ამდენს როგორ ვოცნებობდი მე გლახა, ბედასლი, არარაობა!

არხის პირად მიდიოდა ქუჩაზე, ცოტალა დარჩენოდა. მაგრამ მივიდა თუ არა ხიდთან, შედგა ერთ წამს და უცებ სენის მოედნისაკენ გაუხვია.

გაფაციცებით იყურებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, ყველა საგანს ღრმად აკვირდებოდა, მაგრამ ყურადღება აღარა ჰყოფნიდა, უცებ სადღაც ეფანტებოდა. „აი, ერთი კვირის ან ერთი თვის შემდეგ გამატარებენ მე პატიმართა დახურული ეტლით ხიდზე. ნეტავი დამახსომა, მაშინ როგორღა შევხედავ ამ არხს! - გაიფიქრა თავისთვის. - აი, დუქნის წარწერაც, როგორ ამოვიკითხავ მაშინ ამ ასოებს? აი, აქ ამხანაგობა სწერია; აი, დავიხსომებ ასო ა-ს და ერთი თვის შემდეგ შევხედავ სწორედ ამავე ასოს; როგორ შევხედავ ნეტა? რას ვიგრძნობ და რას ვიფიქრებ ნეტავი მაშინ? ღმერთო ჩემო, რა საძაგლობაა ყველა ეს ჩემი დღევანდელი... ზრუნვა! რასაკვირველია, ყოველივე ეს საყურადღებო უნდა იყოს... მისდაგვარად... (ხა-ხა-ხა-ხა! რას ვფიქრობ, რასა!) ბავშვივითღა ვარ, ვბაქიობ; რაო, რას ვირცხვენ თავს? ფუჰ, როგორ იკვრევიანებთან ხელს! აი, ამ გასიებულმა (გერმანელი იქნება უთუოდ), ხელი რომ მკრა, იცის ნეტა, ვისა ჰკრა ხელი? აგერ, დედაკაცს ხელში ბავშვი უჭირავს და მოწყალებისათვის ხელი გამოუწვდია; ჰგონია, იმაზე ბედნიერი ვარ. რა იქნებოდა, რომ მართლაც

გამეწოდებინა რამე. რასაკვირველია, ყურადღების მოსაქცევად. ეჰე, შაური საიდანღა ჩამრჩენია ჯიბეში! აჰა, დაიჭი, დედი... დაიჭი!“

- ღმერთი იყოს შენი მფარველი! - დაიწუწუნა მათხოვარმა. სენის მოედანზე გავიდა. არ ესიამოვნა საშინლად, ხალხი რომ ხვდებოდა, მაგრამ მაინც სწორედ იქით მიიწევდა, საითაც უფრო მეტი ხალხი მოჩანდა. ვინ იცის, რას რას არ მისცემდა ახლა, მარტოდ რომ ვისმე დაეტოვებინა; მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ არაფრის გულისათვის არც ერთ წამს მარტოდ დარჩენა არ შეეძლო. ხალხის ბრბოში ვიღაც მთვრალი კაცი უმსგავსოდ იქცეოდა, უნდოდა ვითომ ეცეკვა, მაგრამ ფეხზე ვეღარ დგებოდა, ხან აქეთ ეხლებოდა ხალხს, ხან იქით. ყველა იმას შემოეხვია გარს. რასკოლნიკოვიც გაძვრა ხალხში, რამდენსამე წამს უცქეროდა მთვრალს, მერე უცებ გადაიხარხარა. ერთი წამის შემდეგ აღარც კი ახსოვდა, თუმცა ისევ თვალთ ხედავდა მთვრალს. მოშორდა ბოლოს და უაზროდ გააგრძელა გზა, მაგრამ მივიდა თუ არა მოედნის შუაგულ, რაღაც შეგრძნებამ მთლად შთანთქა იგი ერთბაშად სულითა და ხორცით.

უცებ სონიას სიტყვები მოაგონდა: „დადექ ჯვარედინ გზაზე, მარჯვნივ და მარცხნივ ხალხს თავი დაუკარ, დედამიწას ეამბორე, იმიტომ რომ შესცოდე მის წინაშე, და მთელ ქვეყანას გამოუტყდი ხმამაღლა: მკვლელი ვარ-თქო!“ მოაგონდა ესა და კანკალმა აიტანა. ისე ძლიერად იმოქმედა ამ ბოლო დროის და განსაკუთრებით კი ბოლო წამების ნაღველმა და მწუხარებამ და იქამდე შთანთქა მთელი მისი არსება, რომ თითქმის მზად იყო, შეესრულებინა კიდევაც, მზად იყო ეს ახალი გრძნობა განეცადა. თითქოს რაღაცამ მოუარა, თითქოს ნაპერწკალივით გაჰკრა სულში და ცეცხლივით მოედო. უცბად სულ მოეშვა, მოდუნდა და ცრემლები წასკდა. დედამიწაზე დაეცა... დაიჩოქა შუაგულ მოედანზე, თაყვანი სცა დედამიწას და რაღაც სიამოვნებითა და ბედნიერებით ეამბორა ჭუჭყიან მიწას. წამოდგა მერე და ხელახლა თაყვანი სცა.

- ვერ უყურებთ, როგორ გამსკდარა! - შენიშნა ვიღაც ჯეელმა.

აქეთ-იქით სიცილი გაისმა.

- იერუსალიმში აპირებს, ძმებო, წასვლას, შვილებს, სამშობლოს ეთხოვება, ქვეყანას თაყვანსა სცემს, სატახტო ქალაქს, სანკტპეტერბურგსა და მის ნიადაგს ეამბორება! - დასძინა ვიღაც მთვრალმა მოქალაქემ.

- ჯეელია, ჯერ ახალგაზრდა! - ჩაერია მესამე.

- ეტყობა, კარგი ოჯახიშვილია! - შენიშნა ვიღაც დარბაისელმა.

- ახლა სწორედ ძნელია ცნობა, ვინ არის კარგი ოჯახიდან და ვინ არა.

ყველა ამ ლაპარაკმა ცოტა არ იყოს შეაკავა რასკოლნიკოვი და სათქმელად გამზადებული სიტყვები: „მე მოვკალო“ - პირზევე შეეყინა. მაგრამ გულდამშვიდებულმა მოისმინა ყველაფერი, წამოდგა და უკან არ მოუხედავს ისე, შესახვევით პირდაპირ კანტორისაკენ გასწია. გზად მხოლოდ რაღაც ეჩვენა თითქოს, მაგრამ არ გაჰკვირვებია; გრძნობდა წინათვე, რომ ასე იქნებოდა უთუოდ. სენის მოედანზე რომ მუხლი მოიდრიკა მეორედ და თაყვანი სცა დედამიწას, მარცხნივ, ასე ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, თვალი მოჰკრა უცებ სონიას. მოედანზე აშენებულ ხის

ფარდულებს მოჰფარებოდა, თვალს ადევნებდა; მაშასადამე, კვალდაკვალ მიჰყოლოდა, თან სდევდა თურმე ამ მწუხარე ჟამს! იგრძნო და გაიგო რასკოლნიკოვმა, რომ სონია ახლა სამუდამოდ მასთან იქნებოდა, თუნდ ჯოჯოხეთშიაც თან გაჰყვებოდა. უცებ გული მთლად გადმოუბრუნდა თითქოს... მაგრამ აი, მიაღწია, აი მიაღდა ბედის გადამწყვეტ ადგილს...

ეზოში საკმაოდ გაბედულად შევიდა. მესამე სართულზე უნდა ასულიყო. „სანამ ავალწევ“, - გაიფიქრა გუნებაში. ეგონა, ჯერ დიდი დრო ჰქონდა ვითომ, ბევრის მოფიქრება შეეძლო კიდევ.

მაშინდელივით ისევ ჭუჭყი და ნაგავი იყო ბურაოსავით დაგრეხილ კიბეზე, ისევ ნაჭუჭები ეყარა; სამზარეულოებიდან გამოსასვლელი კარებიც ისევ ყურთამდე იყო ყველა ღია. საშინელი მყრალი სუნი და ოხშივარი იდგა. მას შემდეგ აღარა ყოფილა რასკოლნიკოვი. მუხლები უდუნდებოდა, ეკეცებოდა, მაგრამ მიდიოდა მაინც. ერთ წამს შედგა, რომ სული მოებრუნებინა, გამხნევებულიყო, ვაჟკაცურად შესულიყო. „მაგრამ რისთვის? რათაო? რაო? - გაიფიქრა უცებ, თავის მოძრაობას რომ დაუკვირდა. - თუ მართლა აუცილებელია ეს, სულ ერთი არ არის განა? რამდენიც უფრო ცუდი იქნება, მით უმჯობესი“. მის ოცნებას ერთ წამს ილია პეტროვიჩ პოროხის სახე წარმოუდგა. „ნუთუ მართლა იმას წარვუდგე? არ შეიძლება სხვა იყოს? ან შეიძლება ნიკოდიმ ფომიჩს წარვუდგე? არა სჯობია, დავბრუნდე ახლავე და პირდაპირ უბნის ზედამხედველთან მივიდე ბინაზე? შინაურულად მაინც ჩაივლის... არა, არა. პოროხთან სჯობია, პოროხთან! სჯობია ერთად ვიწვნიოთ ყველაფერი...“

მთლად დაბნეულმა და აცახცახებულმა, როგორც იყო, გამოალო კანტორის კარი. იმჟამად თითქმის სულ არავინ იყო კანტორაში; იდგა ვიღაც მეეზოვე და კიდევ ერთი უბრალო კაცი. ყარაულს არც კი გამოუხედავს თავისი ფიცრულიდან. რასკოლნიკოვი მეორე ოთახში გავიდა. „იქნებ კიდევ შეიძლებოდეს, არა ვუთხრა რა“, - უტრიალებდა თავში. იქ ვიღაც სერთუკიანი გადამწერელი საწერად ემზადებოდა. კუთხეში კიდევ მეორე გადამწერელი ჯდებოდა. ზამეტოვი ჯერ არსად ჩანდა. არც ნიკოდიმ ფომიჩი ჩანდა, რასაკვირველია.

- არავინ არის? - დაეკითხა რასკოლნიკოვი საწერად გამზადებულ სერთუკოსანს.

- ვინა გნებავთ?

- აჰა! რამდენი ხანია, აღარსად რა ისმოდა თქვენი. უჩინრად, უხილავად... მაგრამ მაინც რუსული სული ტრიალებდაო... როგორ არის ზღაპრად ნათქვამი... დამავიწყდა! ჩემი სალამი! - შეჰყვირა უცებ ნაცნობმა ხმამ.

რასკოლნიკოვს კანკალი დააწყებინა. მის წინ პროხორი იდგა; უცბად გამოვიდა მესამე ოთახიდან. „ბედისწერაა უთუოდ, - გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, - თორემ რა უნდა აქ?“

- ჩვენთან ინებეთ? და საქმისათვის? - ეკითხებოდა ილია პეტროვიჩი (ეტყობოდა, მშვენიერ გუნებაზე იყო და ცოტათი აღტკინებულიც), - თუ საქმე რამ გაქვთ, ადრეა ცოტა, მეც თვითონ შემთხვევითა ვარ აქ... მაინც, თუკი რითიმე შემიძლია გემსახუროთ, მზად ვარ ახლავ. გარწმუნებთ, მართალს მოგახსენებთ... რა არის? როგორ გიწოდებენ, უკაცრავად...

- რასკოლნიკოვი ვარ.

- რასკოლნიკოვი! ნუთუ გგონიათ, რომ დამავიწყდა? ნურც აგრე გულმავიწყად მთვლით, გეთაყვა. როდიონ რო... რო... როდიონიჩ, აგრეა, ვგონებ, არა?

- როდიონ რომანიჩ.

- დიახ, დიახ, დიახ! როდიონ რომანიჩ, როდიონ რომანიჩ! ეგ მინდოდა სწორედ. რამდენჯერმე ვიკითხე კიდეც. გამოგიტყდებით, მას შემდეგ ბევრჯერ გულწრფელად ვინანე, რომ მაშინ ჩვენ ისე... მერე ამიხსნეს და შევიტყვე, თურმე ახალგაზრდა ლიტერატორი და მეცნიერი ყოფილხართ... პირველი ნაბიჯია თურმე... ო, ღმერთო ჩემო! მაგრამ რომელ ლიტერატორსა და სწავლულს არ უმოქმედია პირველად ასე თავისებურად! მეც და ჩემი ცოლიც - ორივე დიდად პატივს ვცემთ ლიტერატურას, ცოლს ხომ გატაცებით უყვარს!.. მწერლობაც და მხატვრობაც! საქმე კეთილშობილი ბუნებაა, თორემ ნიჭით, ცოდნით, გონებითა და გენიით ყველაფერი ადვილად მოიპოვება! ქუდი რა არის, ციმერმანთან ვიყიდი, მაგრამ ის კი, რაც ქუდქვეშ იფარება და ინახება, ყიდვით არ შეიძლება!.. გამოგიტყდებით, მინდოდა კიდეც მოვსულიყავი თქვენთან და ყველაფერი ამეხსნა, მაგრამ ვიფიქრე, ვაითუ... როგორ დამავიწყდა მართლა: რა გნებავთ, რისთვის გარჯილხართ? ამბობენ, თქვენები ჩამოგსვლიათ?

- დიახ, დედა და და ჩამომივიდნენ.

- მქონდა ბედნიერება და ვნახე კიდეც თქვენი და, მშვენიერი, განათლებული ქალია. გულწრფელად მოგახსენებთ, ვინანე, რომ მაშინ ისე გავცხარდი. მოხდა, რას იზამთ! მაშინ რომ თქვენი გულშეღონების გამო როგორღაც ისე შეგხედეთ, ბოლოს მშვენივრად აიხსნა! ფანატიზმის ბრალი იყო! მესმის თქვენი გულისწყრომა. იქნებ დედისა და დის ჩამოსვლის გამო ბინა გინდათ გამოიცვალოთ?

- ა-არა, მე მხოლოდ ისე... შემოველ მეკითხა. მეგონა, ზამეტოვს ვნახავდი.

- ჰო, მართლა! მგონი, დამეგობრებულხართ კიდეც, გავიგე. მაგრამ ზამეტოვი აქ აღარ არის, - ვერ მოუსწართ. დიახ, გამოვემშვიდობეთ ალექსანდრ გრიგორიევიჩს! გუშინდლიდან აქ აღარ ითვლება; წავიდა... და წასვლისას ყველასთან ჩხუბი მოუვიდა... მეტად უზრდელად მოიქცა... თავქარიანი ბიჭია, სხვა არაფერი; იმედს კი იძლეოდა; ხედავთ, რა ემართება ამ ჩვენს ბრწყინვალე ახალგაზრდობას! გამოცდა უნდა დაიჭიროს, თუ არ ვიცი, რა არის; ჩვენში ხომ მაინც აგრეა; ლაპარაკობენ, ბაქიაობენ და გამოცდაც მაგითი თავდება. თქვენ და ბატონი რაზუმიხინი კი, თქვენი მეგობარი, სხვანი ხართ სულ! თქვენი იდეალი სამეცნიერო ნაწილია და ვერცთუ რამ შეგიშლით ხელს! თქვენთვის ეს ცხოვრების მშვენიერებანი, შეიძლება ითქვას - nihil est![62] განდევილს და ბერს ემსგავსებით!.. თქვენთვის მხოლოდ წიგნი, ყურთ უკან გადებული კალამი და სამეცნიერო გამოკვლევანი არსებობს, - აი, რას ეტრფის თქვენი გონება! თვითონ მეც ცოტათი... ლივინგსტონის ნაწერები წაგიკითხავთ?

- არა.

- მე კი წამიკითხავს. თუმცა დღეს მეტად მომრავლდნენ ნიჰილისტები. არც ძნელი გასაგებია, ღვთის წინაშე; დრო არის ისეთი, ხომ! მე და თქვენ მაინც... თქვენ ხომ, რასაკვირველია, ნიჰილისტი არა ხართ! გულახდილად მიპასუხეთ! არა ხართ, ხომ?

- ა-არა.

- იცით რა, ნუ მომერიდებით, გულახდილად იყავით, მენდეთ, როგორც თქვენს საკუთარ თავს! სამსახური სხვა საქმეა, სხვა არის... გეგონათ, მეგობრობას ვიტყვოდი; არა, ვერ გამოიცანით! მეგობრობა კი არა, მოქალაქისა და ადამიანის გრძნობაა საქმე, საქმე კაცთმოყვარეობა და უზენაესის სიყვარულია. შეიძლება ოფიციალური პირი და თანამდებობის მქონე კაცი ვიყო, მაგრამ ვალდებული ვარ, მოქალაქისა და ადამიანის მოვალეობა არ დავივიწყო, ამაშიც ანგარიში ვაძლიო ჩემს თავს... აი, თქვენ ზამეტოვის ხსენება იწებეთ. ზამეტოვს მარტო აურზაურის ჩამოგდება შეუძლია უპატიოსნო სახლში, შამპანურის ან დონურის სმის დროს, ისე, როგორც ფრანგებმა იციან ხოლმე, - აი, რა არის თქვენი ზამეტოვი! მე კი იქნებ მაღალ გრძნობებსა და ერთგულებას გადავყევი, მასთან ხარისხიც მაქვს, ადგილიც მიჭირავს! ცოლ-შვილი მყავს. მოქალაქისა და ადამიანის მოვალეობას ვასრულებ. ის კი, ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვინ არის ნეტა? გეპყრობით ისე, როგორც განათლებით გაკეთილშობილებულ კაცს შეჰყვრის. აი, ეს ბებიასა და ძმებს ერთობ მომრავლდნენ[63].

რასკოლნიკოვმა კითხვის ნიშნად წარბები ასწია. ეტყობა, ეს-ესაა სუფრიდან ამდგარი ილია პეტროვიჩის სიტყვები უაზრო რახარუხად ეჩვენებოდა, ყურს არ უგდებდა. მაინც ზოგიერთი მათგანი ოდნავ შეიგნო უნებურად; უცქეროდა გაკვირვებული, მაგრამ არ იცოდა, საქმე რითი გათავდებოდა.

- აი, იმ თმაშეკრეჭილ ქალებზე მოგახსენებთ, - განაგრძობდა ყბედი ილია პეტროვიჩი, - ბებიასა და ძმებს ვეძახი, დიახ, და მგონია, ზედგამოჭრილი სახელია, უკეთესი არ შეიძლება. ხე-ხე-ხე! აკადემიაში მიალაჯუნებენ, ანატომიას სწავლობენ; მაგრამ, ვთქვათ, ავად გავხდი, მითხარით, გეთაყვა, ქალს მოვიწვევ განა საექიმოდ? ხე-ხე-ხე!

თავისი სიტყვამახვილობით მეტად კმაყოფილი ილია პეტროვიჩი გულიანად ხარხარებდა.

- მართალია, სწავლის წყურვილი დიდი აქვთ; მაგრამ ვინ უშლით, ბატონო, ისწავლონ, რამდენიც სურდეთ. ეს ცოდნის ბოროტად გამოყენება რაღაა? რად უნდა შეურაცხყო კეთილშობილი ადამიანები, როგორც ამას ეს უკეთური ზამეტოვი სჩადის? მითხარით, გეთაყვა, რად შეურაცხმყო, რად? აი, ეს თავის მოკვლაც მეტად გახშირდა, - წარმოიდგინეთ. ჯერ მთლად გაფლანგავენ თავიანთ ქონებას, მერე თავს იკლავენ. ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცებული... ყველა ასე შერება... აი, ამ დილითაც ვიღაც პროვინციიდან ჩამოსულს მოუკლავს თავი. სულ რამდენიმე დღის ჩამოსული ყოფილა. ნილ პავლიჩ, ნილ პავლიჩ! რა გვარია, წელან რომ გვატყობინებდნენ, პეტერბურგის მხარეს მოიკლაო თავი?

- სვიდრიგაილოვი, - უპასუხა ხრინწიანად და უნდოდა ვიღაცამ მეორე ოთახიდან რასკოლნიკოვი შეკრთა.

- სვიდრიგაილოვი! სვიდრიგაილოვს მოუკლავს თავი?! - შესძახა გაცხებულმა.

- როგორ? იცნობდით განა სვიდრიგაილოვს?

- დიახ... ვიცნობდი... დიდი ხანი არ არის, ჩამოვიდა.

- დიახ, დიახ, ახლახან ჩამოსულა, ცოლი მოჰკვდომია, თავაშვებული მოქეიფე ყოფილა და უცებ თავი კი მოიკლა. მერე ისიც რა სამარცხვინოდ, ვერ წარმოიდგენთ...

უბის წიგნაკში ჩაუწერია რამდენიმე სტრიქონი, რომ სადი გონებისამ მოიკლა თავი, არავინ იმის მკვლელობაში დამნაშავე არ არის. ამბობენ, ფულიც ჰქონია. თქვენ საიდანღა იცნობთ?

- მე... იქიდან... რომ... და მსახურობდა ჩემი იმათსა აღმზრდელად...

- ჰე-ჰე-ჰე... კარგია მაშ. შეგიძლიათ გვაცნობოთ რამე. თქვენ კი ვერ წარმოიდგენდით, არა?

- გუშინ ვნახე... ღვინოსა სვამდა... მაგრამ არა ვიცოდი რა.

გრძნობდა რასკოლნიკოვი, რომ უცებ თითქოს რაღაც დააწვა, რაღაცამ სული შეუხუთა.

- თითქოს ისევ გაფითრდით ცოტა. შეხუთული ჰაერი გვაქვს საშინლად...

- დიახ, მაგრამ დროა წავიდე, - წაიბუტბუტა რასკოლნიკოვი, - ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ.

- რას ბრძანებთ, გეთაყვა, ბრძანდებოდეთ, რამდენიც გსურდეთ! დიდად და დიდად მასიამოვნეთ, მოხარული ვარ მეტად...

ილია პეტროვიჩმა ხელიც კი გაუწოდა.

- მინდოდა მხოლოდ... ზამეტოვი მენახა...

- მესმის, მესმის, დიდად მასიამოვნეთ, დიახ!

- მეც... მოხარული ვარ ძალიან... მშვიდობით, ნახვამდის... - გაიღიმა რასკოლნიკოვი.

რასკოლნიკოვი გავიდა; ბარბაცებდა. თავბრუ ეხვეოდა. ველარა გრძნობდა, ფეხზე იდგა თუ არა. კიბეზე დაიწყო ჩასვლა, მარჯვენა ხელით კედელს ებჯინებოდა. ეჩვენა, ვითომ ვიღაც ილლიაში დავთარამოჩრილი ქვევიდან ამომავალი მეუზოვე დაეჯახა; რომ სადღაც ქვედა სართულში პატარა ძალი ყეფდა გამწარებული და ვიღაცა დედაკაცმა სუთი ესროლა და დაუყვირა. ჩამოვიდა ქვევით და ეზოში გავიდა. აქ ეზოში, ალყაფის კართან, მიტკალივით გაფითრებული სონია იდგა და გონებააზნეულივით შეჰყურებდა. რასკოლნიკოვი შედგა მის წინ. რაღაც უსასოო, ტანჯვით აღსავსე ტკივილი აღბეჭდვოდა სახეზე სონიას. უცბად ხელები გაასავსავა, რაღაც საზიზღარი, უაზრო ღიმი გაუკრთა რასკოლნიკოვს ტუჩებზე, შედგა პატარა ხანს, ჩაიცინა და უკანვე აბრუნდა კანტორაში.

ილია პეტროვიჩი რაღაც ქალაღებს ჩასცქეროდა. წინ ედგა სწორედ ის მეუზოვე, რომელმაც კიბეზე ავლის დროს ხელი ჰკრა რასკოლნიკოვს.

- აჰა! ისევ მობრუნდით! ხომ არა დაგავიწყდათ რა? რა იყო, რა დაგემართათ?

ტუჩებგაფითრებული რასკოლნიკოვი უმოძრაო სახით ნელ-ნელა უახლოვდებოდა მას, მივიდა მაგიდასთან, დაეყრდნო ხელით, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა; რაღაცას ლულლულეებდა უაზროდ.

- გული მიგდით, სკამი! აი, დაჯექით აქეთ! წყალი!

რასკოლნიკოვი სკამზე დაემვა, მაგრამ უცნაურად გაოცებულ ილია პეტროვიჩის სახეს მაინც თვალს არ აშორებდა. ერთ წამს ორივენი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, იცდიდნენ. წყალიც მოიტანეს.

- მე... - დაიწყო თითქოს რასკოლნიკოვმა.

- წყალი დალიეთ.

რასკოლნიკოვმა მოიშორა ხელით წყალი და წყნარად და გარკვევით დაიწყო: - მე მოვკალი მაშინ მოხელის ცოლი, მევახშე ბებრუხანა და მისი და ლიზავეტა. მოვკალი ცულით და გავძარცვე კიდევ.

ილია პეტროვიჩმა პირი დაალო. მაშინვე ყველა მხრიდან მისცვივდნენ, გარს შემოერთყნენ.

რასკოლნიკოვმა ჩვენება გაიმეორა.

ეპილოგი

I

ციმბირში, უდაბური და განიერი მდინარის პირად ქალაქია გაშენებული, რუსეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქში ციხეა, ციხეში საპატიმროა. აგერ ცხრა თვეა, საპატიმროში ზის კატორღაში გამოგზავნილი, მეორე ხარისხის პატიმარი როდიონ რასკოლნიკოვი. დანაშაულის ჩადენის დღიდან კი წელიწად-ნახევარია თითქმის გასული.

სასამართლოში საქმე დაუბრკოლებლივ წარმოებდა. დამნაშავე მტკიცედ და ნათლად იმეორებდა თავის ჩვენებას; გარემოებას არ რევდა და აბნევდა, ფაქტებს არ ამახინჯებდა, თავის სასარგებლოდ არაფერს იყენებდა, ყველაფრს დაწვრილებით იგონებდა. დაწვრილებით უამბო მკვლელობის პროცესი; აუხსნა საიდუმლო გირაოსი (რკინაგადაკრული ხის ფირფიტისა), რომელიც ბებრუხანას აღმოაჩნდა ხელში; უამბო დაწვრილებით, როგორ მოჰგლიჯა მკვდარს გასაღებები, აუწერა მათი მოყვანილობა, სკვირი, სადაც ბებრუხანას ნივთები ელაგა, და ან რითი ჰქონდა სავსე; ზოგიერთი ნივთი კი ცალ-ცალკე დაუსახელა; უამბო, როგორ ავიდა კოხი და უბრაზუნებდა, მერე სტუდენტი, გადასცა სიტყვასიტყვით ყველაფერი, რაც კი მათ ერთმანეთში ილაპარაკეს; როგორ ჩამოირბინა ბოლოს კიბე და მიკოლკასი და მიტკას ყვირილი მოესმა; როგორ დაიძალა ცარიელ ბინაში და მივიდა შინ. დასასრულ, უჩვენა ის ქვაც ვოზნესენსკის პროსპექტის ეზოში, რომლის ქვეშაც ქისა და ნივთები ჩაფლა. ერთი სიტყვით, საქმე მთლად გამოააშკარავა. განცვიფრდნენ გამომძიებელიცა და მოსამართლენიც, სხვათა შორის, იმის გამო, რომ ქისა და ნივთები ქვის ქვეშ შეინახა და არ ისარგებლა არაფრით; ყველაზე მეტად კი იმან გააკვირვათ, რომ არამცთუ არ ახსოვდა, რა და რა მოეპარა, რიცხვიც კი სწორედ ვერ დაასახელა, რამდენი ნივთი წაეღო სულ. ის გარემოება კი, რომ არც ერთხელ ქისაში არ ჩაეხედა და არ იცოდა, რამდენი იყო შიგ ფული, დაუჯერებლად მიიჩნიეს (ქისაში აღმოჩნდა სამას ჩვიდმეტი მანეთი ქალაღდის ფული და სამი ორშაურიანი; დიდი ხნით მიწაში დების გამო ზემოთა მსხვილი ქალაღდის ფული მეტად დაზიანებულიყო).

დიდხანს ცდილობდნენ გაეგოთ: რა მიზეზი იყო, რომ მარტო ამაში ტყუოდა დამნაშავე, სხვას კი ყველაფერს სისწორითა და ნებაყოფლობით უამბობდა. ბოლოს ზოგიერთებმა (განსაკუთრებით ფსიქოლოგებმა) დაადგინეს, რომ მართლაც, შესაძლებელი იყო, არ ჩაეხედა ქისაში და არ სცოდნოდა, რამდენი იყო შიგ ფული, ისე წაეღო და დაეფლა ქვის ქვეშ, მაგრამ დაასკვნეს იქვე, რომ მაშინ დანაშაული სრულ გონზე მყოფს არ უნდა ჩაედინა, მკვლელობისა და ძარცვის მონომანიით იყო უთუოდ ავადმყოფურად შეპყრობილი და, მაშასადამე, შემდგომ განაძარცვით სარგებლობა ფიქრადაც აღარ მოსვლია. სწორედ ამ დროს დროებითი შეშლილობის ახალმა თეორიამაც უსწრო, რომელსაც ჩვენს დროში ასე ხშირად მიმართავენ ხოლმე გასამართლების დროს. დაამტკიცეს აგრეთვე ისიც, რომ წინათვე იპოქონდრიით იყო შეპყრობილი, რაშიაც უმოწმეს ექიმმა ზოსიმოვმა, მისმა ზოგიერთმა ძველმა ამხანაგმა, დიასახლისმა და მოსამსახურე გოგომ. დაადგინეს ყველა ამის შემდეგ, რომ რასკოლნიკოვი ჩვეულებრივ მკვლელს, მძარცველსა და ყაჩაღს არაფრით არა ჰგავს, რომ მისი დანაშაული სხვა რამ გაუგებარი მიზეზით არის გამოწვეული. მაგრამ ყველა ამ აზრის მომხრეს აბრაზებდა ის გარემოება, რომ თვითონ დამნაშავე არაფრით არ ცდილობდა თავის მართლებას; საბოლოო კითხვაზე: რამ გაიძულა მაინც, რომ მკვლელობა ჩაიდინე და გამარცხე ადამიანიო, მოურიდებლად და აშკარად უპასუხებდა გამოტყუებით, რომ მიზეზი მისი გაჭირვებული მდგომარეობა და სიღარიბე იყო, რომ უნდოდა ცხოვრებაში გამოსასვლელად პირველ ხანს ხელი როგორმე გაემართა სამასიოდე თუმნით, რომელიც მისი მოსაზრებით უთუოდ აღმოაჩნდებოდა მოკლულს. მკვლელობა კი ქერქეტობამ და სულმოკლეობამ ჩაადენინა, რასაც ხელმოკლეობა და სხვადასხვა მარცხი უწყობდა ხელს. როცა ჰკითხეს, რაღამ გაიძულათ და რად გამოტყუდითო, უპასუხებდა პირდაპირ - გულწრფელმა სინანულმაო. ყველაფერი ეს თითქმის უხეშად იყო აღიარებული...

განაჩენი მაინც უფრო მოწყალე გამოდგა, ვიდრე მოლოდინი ჰქონდათ; იქნებ იმიტომაც, რომ თვითონ დამნაშავე ცდილობდა თითქოს თავის მართლების მაგივრად უარესად გამტყუნებას. გაითვალისწინეს აგრეთვე ყველა უცნაური და საგანგებო გარემოება საქმისა, მისი ავადმყოფობა და სიღარიბეც, ვიდრე დანაშაულს ჩაიდენდა. ის კი, რომ განაძარცვით არ ისარგებლა, ერთი მხრივ, დანაშაულის შენანებას მიაწერეს, მეორე მხრივ იმას, რომ მკვლელობის დროს თავის ჰკუაზე არ იყო უთუოდ. ლიზავეტას უნებლიეთი მკვლელობაც ამავე მოსაზრების მაგალითად გამოიყვანეს: კაცი ორ-ორ ადამიანს ჰკლავს და ივიწყებს იმავე დროს, რომ კარი ღია გდიაო! დასასრულ, დიდად დაეხმარა ის გარემოებაც, რომ თავისით მივიდა და თავს იდო დანაშაული სწორედ იმ დროს, როდესაც იმედგაწყვეტილ ურჯუკ ნიკოლას შემცდარმა ჩვენებამ საქმე საშინლად დახლართა და ნამდვილი დამნაშავის წინააღმდეგ არათუ საბუთი, აღარავითარი ეჭვიც არ ჰქონდათ (პორფირი პეტროვიჩმა შეასრულა სიტყვა); ყველა ამან დიდად შეუმცირა სასჯელი.

სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა რამდენიმე სხვა გარემოება, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწია დამნაშავეს. ნასტუდენტარმა რაზუმიხინმა გამოძებნა საიდანლაც ცნობები იმაზე, რომ დამნაშავე რასკოლნიკოვი უნივერსიტეტში ყოფნის დროს თავის უკანასკნელ ლუკმას მთელი ნახევარი წელიწადი ღარიბსა და ჭლექიან ამხანაგ სტუდენტს უზიარებდა თურმე. ამხანაგის სიკვდილის შემდეგ კი უვლიდა და პატრონობდა აგრეთვე მის დაძაბუნებულ მოხუც მამას (რომელსაც ავადმყოფი შვილი მხოლოდ თავისი შრომით ინახავდა თურმე ცამეტი წლიდან), მოათავსა ბოლოს

საავადმყოფოში და, რომ მოკვდა, დამარხა კიდეც. ყველა ამ ცნობამ დიდი გავლენა იქონია რასკოლნიკოვის მომავალ ბედზე. რასკოლნიკოვის დიასახლისმა (გარდაცვლილი საპატარძლოს დედამ), ქვრივმა ხარნიცინამაც უმოწმა მოსამართლეებთან, რომ წინანდელ სახლში ცხოვრების დროს რასკოლნიკოვმა ერთ ღამეს ორი პაწია ბავშვი გამოიყვანა ცეცხლმოკიდებული ბინიდან და დაწვას გადაარჩინა, თვითონ კი კინალამ შიგ დაიწვა. დაწვრილებით გამოიძიეს ეს შემთხვევა და დამტკიცდა, რომ მართალი იყო. ერთი სიტყვით, საქმე გათავდა იმითი, რომ დამნაშავეს მეორე ხარისხის სასჯელი გადაუწყვიტეს და მხოლოდ რვა წლით გაგზავნეს კატორღაში, რადგანაც თვითონ გამოცხადდა და აღიარა დანაშაული და რამდენიმე სხვა შემამსუბუქებელი გარემოებაც აღმოჩნდა.

პროცესი ჯერ ახალი დაწყებული იყო, რომ რასკოლნიკოვს დედა გაუხდა ავად. დუნია და რაზუმიხინმა შესაძლებლად სცნეს და მაშინვე პეტერბურგიდან სხვაგან წაიყვანეს, ვიდრე საქმე სრულებით გათავდებოდა. რაზუმიხინმა იქვე, პეტერბურგის მახლობლად ამოარჩია რკინიგზის პირას ერთი ქალაქი, რომ საქმის მსვლელობისათვის თვალყური ერთგულად ედევნებინა და ავდოტია რომანოვნას ნახვაც ხშირად შესძლებოდა. პულხერია ალექსანდროვნას სწეულება უცნაური იყო, როგორღაც ნერვები ჰქონდა აშლილი და ცოტათი თითქოს შეშლილსაც ჰგავდა. უკანასკნელად რომ ნახა ძმა დუნია და შინ დაბრუნდა, დედა უკვე ავად დახვდა: სიცხე ჰქონდა, ბოდავდა. მოილაპარაკეს იმავე საღამოს რაზუმიხინმა და იმან, რა ეთქვათ დედისათვის, თუ გამოკითხვას დაუწყებდა, და მოიგონეს საიდანლაც მთელი ამბავი, ვითომ რასკოლნიკოვი ვიღაცის მინდობილობით შორს, სადღაც რუსეთის საზღვარზე წასულიყოს, საიდანაც ბოლოს ფულიანი და ცნობილი კაცი დაბრუნდებოდა უთუოდ. მაგრამ ორივენი გააკვირვა მეტად იმ გარემოებამ, რომ არც მაშინ და არც შემდგომ პულხერია ალექსანდროვნას ამაზე სულ აღარა უკითხავს რა არასოდეს. პირიქით, თვითონვე შეედგინა საიდანლაც თავისი საკუთარი ამბავი, სად და რისთვის წავიდა იმისი შვილი ასე უცბად; ცრემლმორეული უამბობდა, როგორ მოვიდა გამოსათხოვებლად; ანიშნებდა, აგრძნობინებდა, რომ მარტოდმარტო იმან იცოდა ბევრი რამ საყურადღებო და საიდუმლო შვილზე, რომ როდიას მრავალი ძლიერი მტერი ჰყავდა და საჭირო იყო დამალვოდა. რაც შეეხება შვილის მომავალ ცხოვრებასა და ბედს, ეს თვითონაც უეჭველად სჯეროდა, რომ ბრწყინვალე მომავალი ექნებოდა, როგორც კი ზოგიერთი მტრული და ხელისშემშლელი გარემოება ასცილდებოდა; არწმუნებდა, სხვათა შორის, რაზუმიხინს, რომ თავის დროზე მისი შვილი სახელმწიფო მოღვაწე შეიქნებოდა; ამას უმტკიცებს უკვე დაბეჭდილი წერილი და მწერლობის ბრწყინვალე ნიჭიო. წერილს თვითონ თითქმის განუწყვეტლივ კითხულობდა, ზოგჯერ ხმამაღლაც და თითქმის ძილის დროსაც არ იშორებდა; მაგრამ კითხვით სრულიად არ კითხულობდა, სად იყო მისი როდია, თუმცა მარტო ის გარემოებაც საკმარის ექვს ჰბადებდა, რომ განგებ ერიდებოდნენ ხოლმე და კრინტს არა სძრავდნენ მასთან ამაზე. შიშიც კი შეეპარათ ბოლოს და ეუცნაურათ, რომ პულხერია ალექსანდროვნა დუმდა და არას კითხულობდა. არ ჩიოდა, მაგალითად, რომ წერილი არ მოსდიოდათ, მაშინ როდესაც უწინ, პატარა ქალაქში ცხოვრების დროს, ეს იყო მისი ერთადერთი სულისჩამდგმელი და მანუგემბელი, ერთთავად საყვარელ როდიას წერილს ელოდა ხოლმე. ვერაფრით აეხსნა ეს გარემოება და საშინლად წუხდა დუნია, ვაითუ საზარელ რასმე გრძნობს საბრალო დედა და ეშინია, ვეღარ უკითხავს რაო? დუნია მაინც ნათლად ხედავდა, რომ დედა უკვე სრულ ჭკუაზე აღარ იყო.

ერთ-ორჯერ თვითონაც ჩამოაგდო ისე ლაპარაკი, რომ არ შეიძლებოდა არ ეთქვათ, სად იყო მისი როდია; მაგრამ რაკი პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და ნათქვამი საექვოდ მიიჩნია, მოიწყინა საშინლად, დაღონდა, დიდხანს ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს ნახა დუნია, რომ მუდამ მოტყუება და სხვადასხვა მიზეზების გამოგონება ძნელი იყო, ამიტომაც გადაწყვიტა, ზოგიერთ საგანზე სულ არა ეთქვა რა; მაგრამ ამკარა ხდებოდა თანდათან, რომ საცოდავ დედას რაღაც საზარელი ეჭვი დაეხადა. მოიგონა დუნია მძის ნათქვამიც, რომ ძილში ბოდვის დროს დედას ყური ეგდო უნებურად, იმ დამეს სწორედ, სვიდრიგაილოვი რომ ინახულა; იქნებ მაშინ მოჰკრა რასმე ყური? ხშირად, რამდენიმე დღისა და კვირის დაღვრემილობის, ჩუმი ცრემლისა და დუმილის შემდეგ ავადმყოფი უცბად უცნაურად გამოცოცხლდებოდა ხოლმე და გაუთავებელ ხმამალლა ლაპარაკს დაიწყებდა, თუ რის იმედი და მოლოდინი ჰქონდა მომავალში შვილისაგან. უცნაური იყო ზოგჯერ ეს მისი ნაოცნებარი. ანუგემებდნენ, ყველაფერში კვერს უკრავდნენ (იქნებ თვითონაც გრძნობდა, რომ განგებ უკრავენ კვერს და აამებენ), მაგრამ მაინც არა ცხრებოდა და თავისას განაგრძობდა ხოლმე... დამნაშავის გამოტყუვის ხუთი თვის შემდეგ განაჩენიც გამოაცხადეს. როცა კი შესაძლებელი იყო, რაზუმიხინი მუდამ დადიოდა საპყრობილეში სანახავად. დადიოდა სონიაც. ბოლოს გამოეთხოვნენ კიდევ და განშორდნენ ერთმანეთს. დუნია ეფიცებოდა ძმას, რომ სამუდამო არ იყო ეს განშორება, რაზუმიხინიც იმასვე უმეორებდა. რაზუმიხინის ახალგაზრდა და ფიცხ თავში უკვე მტკიცედ შედგა პროექტი, როგორ მოეგროვებინათ სამ-ოთხ წელს ცოტაოდენი რამ ფული და გადასახლებულიყვნენ ციმბირში, სადაც ნიადაგი ყოველმხრივ მდიდარი იყო, ოღონდაც გამრჯე ხალხი და ფული აკლდა; როგორ დასახლებულიყვნენ იმ ქალაქში სწორედ, სადაც როდია იქნებოდა და... ახალ ცხოვრებას ერთად როგორ შესდგომოდნენ. გამოთხოვებისას ყველანი ტიროდნენ. უკანასკნელ დღეებში რასკოლნიკოვი ერთთავად დაფიქრებული იყო, დედის ამბავს კითხულობდა, საშინლად წუხდა. ისე წუხდა, რომ დუნია დააფიქრა ამ გარემოებამ. დედის ავადმყოფური მდგომარეობა რომ გაიგო, საშინლად დაიღვრიმა. სონიას როგორღაც ხმას არა სცემდა თითქმის, თუმცა სვიდრიგაილოვის ფულით უკვე მოემზადა საწყალი და პატიმართა იმ წყებასთან ერთად ეპირებოდა ციმბირში გამგზავრებას, რომელშიაც რასკოლნიკოვი ერია. არც რასკოლნიკოვსა და არც სონიას არასოდეს კრინტი არ დაუძრავთ ამაზე, მაგრამ ორივემ იცოდა, რომ ასე იქნებოდა უთუოდ. გამოთხოვებისას უცნაურად იღიმებოდა რასკოლნიკოვი, დუნია და რაზუმიხინი რომ ცხარედ უმტკიცებდნენ, ბედნიერად დავიწყებთ ცხოვრებას, როგორც კი კატორღიდან გამოხვალთ. წინათვე გამოთქვა შიში, რომ დედის ავადმყოფობა ალბათ მალე უბედურებით გათავდებოდა. გზას გაუდგნენ ბოლოს რასკოლნიკოვიცა და სონიაც.

ორი თვის შემდეგ დუნია რაზუმიხინს მისთხოვდა. ქორწილი ნაღვლიანი იყო. მიწვეულები იყვნენ, სხვათა შორის, პორფირი პეტროვიჩი და ზოსიმოვი. ბოლო ხანს რაზუმიხინს ყველაფერი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. დუნიასაც მუდამ სჯეროდა, რომ რაზუმიხინი მართლაც შეასრულებდა ყველა განზრახვას, რადგან მტკიცე და უდრეკი ხასიათისა იყო, უნივერსიტეტის ლექციებსაც ისევ ისმენდა, უნდოდა უთუოდ დაემთავრებინა კურსი; ორთავენი მომავლის გეგმას ადგენდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ხუთი წლის შემდეგ უეჭველად ციმბირში გადასახლდებოდნენ. მანამდის კი სონიას იმედი ჰქონდათ.

პულხერია ალექსანდროვნამ სიხარულით დალოცა ქალი და რაზუმინინი; მაგრამ ჯვრისწერის შემდეგ თითქოს უარესად დაღონდა, დანაღვლიანდა. ავადმყოფისათვის რომ როგორმე ესამოვნებინა, რაზუმინინმა, სხვათა შორის, უამბო სტუდენტისა და იმისი ძაბუნის მამის შემთხვევა, აგრეთვე, როგორ იხსნა როდიამ შარშან ორი ბავშვი ცეცხლიდან; როგორ დაიწვა ხელ-ფეხი და ავადაც იყო ამის გამო. ორივე ამბავმა დიდად გაახარა და აღაფრთოვანა გონებაშერყეული საბრალო პულხერია ალექსანდროვნა. ერთთავად ამაზელა ლაპარაკობდა და გარეთაც თითქმის ყველას უამბობდა (თუმცა დუნია მუდამ თან ახლდა ხოლმე). ქუჩაში იქნებოდა, მაღაზიაში თუ საზოგადო ეტლში, ვისაც კი მოახელებდა, ყველას მაშინვე თავის შვილზე დაუწყებდა ლაპარაკს, - თუ რა ღირსეული წერილი დაბეჭდა ჟურნალში, როგორ შველოდა ამხანაგ სტუდენტსა და იმის მამას, როგორ გადაარჩინა ბავშვები ცეცხლს, თვითონ კი დაშავდა და სხვა. ასე რომ, აღარც კი იცოდა დუნია, როგორ შეემაგრებინა დედა. გარდა იმისა, რომ საშიში იყო მისი ასეთი ავადმყოფური მდგომარეობა, კიდევ უარესი უბედურება მოელოდათ, თუ რომ ამ ლაპარაკის დროს რასკოლნიკოვის გვარი და საქმე მოგონებოდა ვისმე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ეთქვა რამე. გაიგო პულხერია ალექსანდროვნამ იმ ორი ბავშვის დედის მისამართი, რომლებიც ცეცხლში დაწვისაგან გადაარჩინა რასკოლნიკოვმა და უნდოდა უთუოდ ენახა. ბოლოს და ბოლოს, სულ უფრო იმატა მისმა მოუსვენრობამ. დაიწყებდა უცებ ტირილს, ხშირად ხდებოდა ავად და სიცხიანი რალაცებს ბოდავდა. ერთხელ დილით პირდაპირ გამოუცხადა ქალსა და სიძეს, რომ მისი ანგარიშით, დრო იყო როდიას დაბრუნებისა, რომ ახსოვს, გამოთხოვებისას თვითონ უთხრა, ცხრა თვის შემდეგ მომელოდეთო. დაუწყო სახლს დალაგება და მზადება დასახვედრად; გაუმზადა ოთახი (თავისი საკუთარი), დაწმინდა ავეჯი, დარეცხა ფანჯრის ფარდები და სხვა. დუნია შეფიქრიანდა, მაგრამ რას ეტყოდა, თვითონაც შველოდა კიდევ ოთახის დალაგებას, რომელშიაც ძმას უნდა ეცხოვრა ვითომ. დაუსრულებელ მხიარულ ოცნებასა და ტირილში მოუსვენრად გატარებული დღის შემდეგ ღამე ავად გახდა, სიცხე მისცა, ბოდვა დააწყებინა. ხურვება დაემართა. ორი კვირის შემდეგ კი სული დალია. ბოდვაში ნათქვამი სიტყვებიდან გამოირკვა, რომ უფრო საზარელი ექვი ჰქონდა შვილის ბედ-იღბალზე, ვიდრე ეგონათ.

დედის სიკვდილისა დიდხანს არა იცოდა რა რასკოლნიკოვმა, თუმცა ციმბირში მისვლისთანავე მიწერ-მოწერა გაიბა. მიწერ-მოწერა სონიამ გამართა, რომელიც ყოველ თვე ერთგულად გზავნიდა წერილს პეტერბურგში რაზუმინინის სახელზე, რასკოლნიკოვის ამბავს ატყობინებდა და იქიდანაც ასევე იღებდა პასუხს. თავდაპირველად როგორღაც უსიცოცხლოდ მიაჩნდათ დუნიასაც და რაზუმინინსაც სონიას წერილები და არ კმაყოფილდებოდნენ თითქოს, მაგრამ დარწმუნდნენ ბოლოს, რომ უკეთ წერა არ შეიძლებოდა, - რომ ასეც სრულად ჰქონდათ წარმოდგენილი მათი უბედური ძმის ბედი. სონიას წერილებში ამოიკითხავდით უბრალოდ და ნათლად აღწერილ ყოველდღიურ ცხოვრებას კატორღაში მყოფი რასკოლნიკოვისას. არ იყო აქ არც სონიას საკუთარი გრძნობები და იმედები მომავალზე, არც სხვა რამ ისეთი აღწერილი, რაც პირდაპირ არ შეეხებოდა დასჯილის ცხოვრებას. რასკოლნიკოვის სულიერი განწყობილების, შინაგანი განცდებისა და გრძნობების მაგივრად მხოლოდ მშრალ ფაქტებს ატყობინებდა და მის საკუთარ ნალაპარაკებს სწერდა. დაწვრილებით აცნობებდა მისი ჯანმრთელობის ამბავს, იმას, თუ რა მოისურვა ან სთხოვა და დაავალა ამა და ამ დროს ნახვისას, და სხვა. მას კი ყველაფერს დაწვრილებით ატყობინებდა. როგორც იყო, ბოლოს, ნათლად წარმოუდგათ და დაეხატათ, რა

ყოფაში იყო მათი უბედური ძმა. შეცდომა აქ შეუძლებელი იყო, რადგანაც საქმე ნამდვილ ფაქტებთან ჰქონდათ.

მაგრამ სანუგეშოს ვერას ჰპოვებდნენ ვერც დუნია და ვერც მისი ქმარი ამ ცნობებში, განსაკუთრებით თავდაპირველად. სონია სულ ერთსა და იმავეს იწერებოდა: რომ რასკოლნიკოვი დაღვრემილი იყო მუდამ, არას ამბობდა, არავითარ ყურადღებას აქცევდა იმ ამბებს, რომლებსაც სონია წერილების მიღებისთანავე ატყობინებდა; იშვიათად მხოლოდ დედის ამბავს თუ იკითხავდა; ბოლოს, როცა შეამჩნია სონიამ, რომ ისედაც მიხვედრილი იყო რასკოლნიკოვი ნამდვილს და დედის სიკვდილი შეატყობინა, ძალიან გააკვირვა, რომ ამანაც აღარ იმოქმედა თითქმის; პირველად მაინც ასე ეჩვენა სონიას. იწერებოდა, სხვათა შორის, თუმცა გარეგნულად დაფიქრებულია მეტად და გულს არავის უერთებს, ახალ ცხოვრებას მაინც უბრალოდ და პირდაპირ შეეგებაო; თავისი მდგომარეობა სავსებით შეგნებული აქვს; უახლოეს დროში არაფერს კარგს არ გამოელის, არავითარი იმედებით არ არის გატაცებული (როგორც ეს საზოგადოდ სჩვევიათ მის მდგომარეობაში მყოფთ) და არას ჰკვირობს თავისი ახალი, უცნობი ცხოვრებისასო. იტყობინებოდა, რომ ჯანსაღად იყო. სამუშაოზე თითქმის სულ მუდამ დადის, არ ცდილობს მოცდეს, მაგრამ არცთუ იხვეწება დიდად. საჭმელს იმდენად არ ეტანება, თანაც ისე ცუდია კვირა-უქმე დღის გარდა ეს საჭმელი, სიამოვნებით მიიღო ბოლოს ჩემგან ცოტაოდენი ფული, რომ ყოველდღე ჩაი მაინც ჰქონოდა; დანარჩენზე კი სთხოვა სონიას, არ შეწუხებულიყო, რადგანაც მისი ასეთი ზრუნვა თავს აბეზრებდა. ატყობინებდა გარდა ამისა, ატყობინებდა, რომ სატუსალოში საცხოვრებელი ბინაც საერთო ჰქონდა ყველას; მართალია, შიგნიდან არ უნახავს მათი ყაზარმები, მაგრამ, ეტყობა, ვიწროობა და უსუფთაობა უნდა იყოს; მაგრამ უბრალო ფიცრის ტახტზე სძინავს, რომელზედაც მხოლოდ ქეჩა უგია, - სხვა არაფერი მინდაო. მაგრამ წინასწარ შედგენილი გეგმისა და განზრახვის გამო კი არ ცხოვრობს ასე დაუდევრად და ღარიბად, არა, იმიტომ მხოლოდ, რომ თავის სიცოცხლეს არავითარ ყურადღებას არ აქცევსო. დაუფარავად სწერდა აგრეთვე სონია, რომ რასკოლნიკოვი პირველად არამცთუ ყურადღებას არ აქცევდა, სწყინდა თითქმის და ბრაზობდა კიდევ, რომ ინახულებდა ხოლმე; არას ელაპარაკებოდა, უკმეხად ექცეოდა, მაგრამ შემდგომში ნელ-ნელა ჩვეულებად და მოთხოვნილებად გადაექცა სონიას მისვლა. ასე რომ მოიწყინა კიდევ თურმე, როდესაც ერთხანად სონია ავად გახდა და რამდენსამე დღეს ვეღარ მივიდა სანახავად. მეტწილად უქმე დღეებში ხედავს, საპყრობილეს შენობის ალაყაფის კართან ანდა საყარაულოში, აქ გამოიხმობენ ხოლმე რამდენიმე წუთით; სამუშაო დღეს სახელოსნოებში ან აგურხანებში, ან მდინარე ირტიშის პირად აშენებულ ფარდულებში ხედავს ხოლმე. თავის თავზე კიდევ იმას იწერებოდა სონია, რომ ქალაქში ზოგიერთი ოჯახი კარგად იცნობდა თურმე და მფარველობას უწევდა; რომ ჭრა-კერვას მისდევს და, რაკი ქალაქში სხვა არავინ არის მკერავი, ბევრ ოჯახში მეტად საჭირო ადამიანი შეიქნა; იმას კი აღარ იწერებოდა, რომ სონიას წყალობით რასკოლნიკოვსაც მფარველობას უწევდნენ ციხის უფროსები, სამუშაოს უმსუბუქებდნენ და სხვა. ბოლოს მოვიდა იმის ამბავი (დუნიათ უკვე შენიშნა, რომ ბოლოს და ბოლოს სონიას წერილებს რაღაც განსაკუთრებული მღელვარება და შიში ეტყობოდა), რომ თურმე ყველას ერიდებოდა, სხვა პატიმრებს შესძულებოდათ, რომ მთელი დღეები ჩუმად იყო, და საშინლადაც დაკარგა ფერი. ბოლო წერილში კი ავადმყოფობის ამბავიც მოიწერა სონიამ, - სერიოზულად არისო ავად და პატიმართა საავადმყოფოში წევსო.

II

დიდი ხანია, ავად იყო რასკოლნიკოვი, მაგრამ კატორღის საზარელმა ცხოვრებამ, იქაურმა მუშაობამ, უხეირო საჭმელმა, გადაპარსულმა თავმა და დამონძილმა ტანისამოსმა კი არ გასტეხა, - არა! რა იყო მისთვის ყველა ეს ტანჯვა-წამება? არაფერი! პირიქით, მოხარულიც კი იყო: ფიზიკურად დაღლილს რამდენიმე საათი მაინც მოსვენებით ეძინა ხოლმე. ან ეს წყალ-წყალა, მატლებიანი შჩი რასა ნიშნავდა? სტუდენტობის დროს ხომ ბევრჯერ ესეც არ ჰქონია. ტანისამოსი თბილი და მუშაობისათვის შესაფერი ეცვა. ბორკილსაც თითქმის არა გრძნობდა. გადაპარსული თავისა და ტუსაღის ქურთუკისა შერცხვენოდა? მაგრამ ვისთან? სონიასთან? სონიას ხომ მისი ეშინოდა. მაშ რაღად უნდა შერცხვენოდა?

მერე რა არის? რცხვენოდა სონიასიც, რომელსაც სტანჯავდა ამის გამო და ზიზღითა და უხეშად ეპყრობოდა. მაგრამ ბორკილისა და გაპარსული თავისა კი არა რცხვენოდა; სიამაყე იყო მისი შელახული; ავადაც ამ შელახული თავმოყვარეობის გამო გახდა. ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდა, რომ შეძლებოდა თავის გულშიც ელიარებინა დანაშაული! მაშინ ყველაფერს აიტანდა უთუოდ: სირცხვილსაც, შერცხვენასაც. სასტიკი მსაჯულობა გააწევინა დაუნდობელ სინდისს, მაგრამ ვერავითარი საშინელი დანაშაული ვერ აღმოაჩინა, გარდა იმისა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მარცხი, რომელიც ყველას შეიძლება მოსვლოდა. რცხვენოდა იმისი, რომ ის, რასკოლნიკოვი, რატომღაც ტუტუცურად და სულელურად დაღუპა ბრმა ბედისწერამ და ახლა იძულებული იყო, რაღაც „უგუნურსა“ და უაზრო“ განაჩენს დამორჩილებოდა, თუ უნდოდა რამდენადმე მაინც დამშვიდებულიყო.

უსაგნო და უაზრო წუხილი აწმყოში, მომავალში კი მხოლოდ მსხვერპლი და მსხვერპლი, რომელიც არას შესძენდა, - აი, რა მოელოდა ამქვეყნად. რა არის მერე, რომ რვა წლის შემდეგ ოცდათორმეტი წლისა იქნება მხოლოდ და შეეძლება ახლად დაიწყოს ცხოვრება! რისთვის იცოცხლოს? რაო, რისი იმედი ჰქონდეს? რას უნდა ესწრაფოდეს? იცოცხლოს, იმიტომ იცოცხლოს მხოლოდ, რომ იარსებოს? მაგრამ უწინ კი არ იყო განა ათასჯერ მზად აზრისა და იმედის გულისათვის, წარმოიდგინეთ, ოცნებისათვისაც კი არსებობა მსხვერპლად შეეწირა. არასოდეს მარტო არსებობა არ აკმაყოფილებდა; მეტი სწადდა უფრო. იქნებ ესეც იყო მიზეზი მაშინ, რომ სხვებზე მეტუფლებიან ადამიანად სცნო თავი?

ნეტავი სინანული მაინც ერგუნებინა წილად ბედს, ის მხურვალე სინანული, რომელიც გულს მოსდრეკს, მიღს აკრთობს, რომლის გამოც ადამიანი საზარელ ტანჯვაშია და მარადეჟამს სახრჩობელას ხედავს თვალწინ. ოჰ, როგორ გაახარებდა ეს სინანული! ტანჯვა და ცრემლიც ხომ იგივე სიცოცხლეა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ არა ნანობდა თავის დანაშაულს.

ნეტა თავის სულელურ საქციელზე მაინც შეძლებოდა გაბრაზებულიყო, როგორც წინათ იცოდა ხოლმე გაბრაზება თავისი უმსგავსი ქცევის გამო, რამაც კატორღაში ამოაყოფინა თავი. მაგრამ უბედურებაც ეგ იყო, რომ ახლა, როცა საპატიმროში თავისუფლად მოიფიქრა და განსაჯა ყველაფერი, რაც კი რამ ჩაედინა, ისე უაზროდ და სულელურად როდიღა ეჩვენა თავისი საქციელი, როგორც მაშინ, იმ საბედისწერო ჟამს.

„რითია, რითი, - ფიქრობდა იგი, - ჩემი აზრი სხვების აზრსა და თეორიებზე სულელური, რომლებიც აგერ, ქვეყნის შექმნიდან დღემდე ერთმანეთში ირევა, ერთმანეთს ექიშება. საკმარისია, დავუკვირდეთ საქმეს დამოუკიდებლად და თავისუფლად, ყოველდღიურ გავლენებსა და შეხედულებათ ყურადღება არ მივაქციოთ და ვნახავთ, რომ ჩემი აზრი არც ისე უცნაური გვეჩვენება. ოჰ, ბრძენო კაცუნებო და სიტყვით უარმყოფელნო, რისთვის შემდგარხართ შუა გზაზე?

რითია, აბა, ჩემი საქციელი ასე საძაგელი? - ამბობდა ხოლმე თავისთვის. - იმითი, რომ ბოროტმოქმედებაა? მაგრამ რას ნიშნავს ბოროტმოქმედება? სინდისი დამშვიდებული მაქვს. რასაკვირველია, სისხლის დანაშაულია ჩადენილი; რასაკვირველია, დარღვეულია კანონი და დაღვრილია სისხლი, ჰოდა, მაშ ამ დარღვეული კანონის ფასად ჩემი თავი მიიღეთ... საკმარისია! ასე ხომ კაცობრიობის კეთილისმყოფელთა უმეტესობა, რომელთაც მემკვიდრეობით არ მიუღიათ უფლება და მერე ჩაუგდიათ იგი ხელში, მაშინვე, სამოქმედოდ გამოსვლისთანავე, უნდა დაესაჯათ სიკვდილით. მაგრამ მათ გადააბიჯეს თავიანთ საქციელს და მართლებიც დარჩნენ, მე კი ვერ გადავაბიჯე და დავმარცხდი, მაშასადამე, არც უფლება მქონდა, ასე მოვქცეულიყავი“.

ერთადერთი დანაშაული, რომელსაც რასკოლნიკოვი აღიარებდა, იყო ის, რომ ვერ გადააბიჯა თავის საქციელს და თვითონვე გამოტყდა დანაშაულში.

ტანჯავდა საშინლად ის ფიქრიც, რომ მაშინვე თავი არ მოიკლა. რად დაჰყურებდა მამ მდინარეს, თუ დანაშაულში გამოტყვას ირჩევდა? ნუთუ მართლა ასე უძლეველია სურვილი სიცოცხლისა? მაშ, სვიდრიგაილოვმა როგორ დასძლია იგი? აკი სიკვდილისა ეშინოდა?

დატანჯული ეკითხებოდა ხშირად ამას თავის თავს და ვერ გაეგო, რომ იქნება უკვე მაშინაც, მდინარეს რომ დასცქეროდა, იმასვე გრძნობდა, რომ სცდებოდა ღრმად და რწმენა ატყუებდა, ვერ გაეგო, რომ ეს წინათგრძნობა ცხოვრების გარდატეხის, მომავალი აღდგენისა და ცხოვრებაზე ახალი შეხედულების მომასწავებელი იქნებოდა.

მისი აზრით, მიზეზი უფრო სიცოცხლის ინსტინქტი უნდა ყოფილიყო, რომლის დაძლევა, რასაკვირველია, მას არ შეეძლო (თავისივე სისუსტისა და არარაობის გამო). უცქეროდა თავის კატორღელ ამხანაგებს და უკვირდა: როგორ ყველას უყვარდა სიცოცხლე, რა ძვირად აფასებდნენ ყველანი! ეჩვენა, ვითომ კატორღაში უფრო მეტად აფასებდნენ და უყვარდათ იგი, ვიდრე თავისუფლად ყოფნის დროს. ვინ იცის, რა საზარელი ტანჯვა-წვალება არა ჰქონდა ზოგ მათგანს გამოვლილი, მაგალითად, მაწანწალებს! ნუთუ მართლა ასე ძვირფასია მათთვის მზის სხივი, დაბურული ტყე, სადმე მივარდნილ ადგილას ცივ-ცივი ანკარა წყარო, რომელიც სამი წლის წინათ უნახავს სადღაც და საყვარელ არსებასთან შეხვედრასავით ოცნებობს იმის ნახვას; სიზმრადაც კი ერთთავად ეს წყარო, მის გარშემო მობიბინე მწვანე ბალახი და სადმე ჯაგნარში მხიარულად მოჭიკჭიკე ჩიტები ელანდება. რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ცხოვრებას, მით უფრო მრავლად ხედავდა ასეთ აუხსნელ მაგალითებს.

კატორღაში თავის გარშემო, რასაკვირველია, ბევრ რასმე ვერც კი ხედავდა და არცთუ უნდოდა შეენიშნა. ცხოვრობდა როგორღაც თვალეზახვეულივით, ემძიმებოდა და ეზიზღებოდა ყველაფრის ცქერა. მაგრამ ბოლოს ბევრმა რამემ გააკვირვა: უნებურად

შენიშნა ის, რასაც უწინ ვერა ხედავდა. საზოგადოდ კი, ყველაზე მეტად გააკვირვა იმ საზარელმა და გაუვალმა უფსკრულმა, რომელიც მასა და დანარჩენ კატორღელებს შორის იყო. თითქოს სხვადასხვა ეროვნებისა ყოფილიყვნენ. ერთმანეთს უნდობლად, მტრულად უყურებდნენ. იცოდა, რასაკვირველია, და ესმოდა, რა იყო საერთო მიზეზები ასეთი განცალკევებისა; მაგრამ უწინ ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასე ღრმად გაიდგამდა ფესვებს, ან თუ ეს ძალა ექნებოდა. კატორღაში იყვნენ პოლიტიკური დამნაშავე პოლონელებიც. ესენი ყველას ბრიყვებად და მონებად თვლიდნენ, მედიდურად უყურებდნენ. მაგრამ რასკოლნიკოს არ შეეძლო ასე ეცქირა: ხედავდა კარგად, რომ ბევრში ეს ბრიყვები იმ პოლონელებზე ჭკვიანები იყვნენ. იყვნენ ისეთი რუსებიც, რომლებსაც ასევე სძულდათ ეს ხალხი, - ერთი იმათგანი ოფიცერი იყო, ორიც სემინარიელი. რასკოლნიკოვი იმათ შეცდომასაც კარგად ხედავდა.

თვითონ რასკოლნიკოვი არავის უყვარდა, ყველა ერიდებოდა. ბოლოს შეიძულეს კიდევ. მაგრამ რისთვის? არ იცოდა. უფრო კი ისინი დასცინოდნენ, რომელთაც მასზე უფრო მძიმე დანაშაული ჩაედინათ.

- აზიზი ბატონი ხართ! - ეუბნებოდნენ. - რა შენი საქმე იყო ცული?

დიდმარხვის მეორე კვირას მთელი ყაზარმა საზიარებლად დადიოდა. დადიოდა ისიც და ლოცულობდა სხვებთან ერთად. რად და რა მიზეზით, თვითონაც არ იცოდა. ერთხელ უცებ ჩხუბი მოუვიდათ; ყველანი რასკოლნიკოს მიესივნენ გაცოფებულები: - უღმერთო ხარ! არა გწამს რა! - უყვიროდნენ გამხეცებულნი. - მოგკლავთ, გაგაქრობთ!

არასოდეს ღმერთზე და სარწმუნოებაზე ლაპარაკი არა ჰქონია მათთან, მაგრამ მაინც უნდოდათ მოეკლათ, როგორც უღვთო. რასკოლნიკოვი დუმდა, ხმას არა სცემდა. ერთი კატორღელი გაბრაზებული ეცა პირდაპირ რასკოლნიკოს, მაგრამ წარბი რა არის, წარბი არ შეუხრია, იდგა თავისთვის წყნარად და სიკვდილს მხოლოდ დარაჯმა გადაარჩინა, რომელიც მკვლელსა და რასკოლნიკოს შუა ჩადგა დროულად, თორემ უთუოდ სისხლი დაიღვრებოდა.

კიდევ ერთი რამ ვერ გაეგო რასკოლნიკოს: რატომ იყო, რომ სონია ყველამ შეიყვარა. თვითონ არაფრით ცდილა, თავი შეეყვარებინა: ხედავდნენ იშვიათად, ისიც მაშინ, ერთი წამით რომ მოვიდოდა სამუშაოზე რასკოლნიკოვის სანახავად. ცნობით კი ყველა იცნობდა უკვე, იცოდნენ ისიც, რომ მას გამოჰყოლოდა თან, იცოდნენ, სად და როგორ ცხოვრობდა. ფული არავისთვის მიუცია, საგანგებო რამ სამსახური არავისთვის გაუწევია. მხოლოდ ერთხელ, საშობაოდ, მოუტანა ყველა პატიმარს ღვეზელი და კალაჩები. მაგრამ ნელ-ნელა ერთმანეთს დაუახლოვდნენ: სონია უწერდა ნათესავებთან წერილებს და უგზავნიდა ფოსტით. ქალაქში ჩამოსული პატიმართა ნათესავებიც სონიასვე უტოვებდნენ მათთვის ჩამოტანილ ნივთებსა და ფულს. მათი ცოლები და საყვარლებიც კარგად სცნობდნენ სონიას და მუდამ მასთან დადიოდნენ. როგორც კი სამუშაოზე მოჰკრავდნენ თვალს რასკოლნიკოვთან მოსულს, ან სამუშაოდ გამოსულ პატიმართა ჯგუფს შეხვდებოდა შემთხვევით გზაზე, მაშინვე ყველა ქუდს უხდიდა, მოწიწებით თავს უკრავდა: „ჩვენო ნაზო, გულმემატკივარო სოფია სემიონოვნაო“, - ეუბნებოდნენ ხოლმე ეს მოუხეშავი, დალდასმული კატორღელები ამ გამხდარ-გამხდარსა და მომცრო ქმნილებას. სონიაც ყველას

ალერსიანად უღიმოდა და აძლევდა ხოლმე სალამს. უყვარდათ მისი ღიმილი, უყვარდათ მისი სიარულიც კი და დიდხანს გაჰყურებდნენ ხოლმე მიმავალს, თან აქებდნენ, ვინ იცის, რისთვის არა, - იმისთვისაც კი თითქმის, რომ ისეთი პატარა იყო. საექიმოდაც კი დადიოდნენ მასთან.

მთელი დანარჩენი დიდმარხვა და აღდგომა საავადმყოფოში გაატარა რასკოლნიკოვმა. გამოკეთებული იგონებდა მერე, რა სიზმრებს ხედავდა სიცხიანი, ბოდვის დროს. ეზმანებოდა ავადმყოფს, ვითომ მთელი ქვეყანა აზიიდან ევროპაში გადმოსულ რაღაც საშინელსა და უმაგალითო ჭირს უნდა გაეჟლიტა. ვითომ ყველანი გაწყდებოდნენ, გარდა ზოგიერთი რჩეულისა. გაჩნდნენ რაღაც ახალი მიკროსკოპული, თვალით უხილავი ტრიხინები, რომლებიც ადამიანის სხეულს ესეოდნენ. მაგრამ ეს უჩინარი არსებანი სულიერები იყვნენ ვითომ: გონებაც ჰქონდათ, ნებაც. ვისაც კი შეესეოდნენ ტანში, მაშინვე ჰკუიდან შლიდნენ. მაგრამ არასოდეს ხალხს ისეთი გონიერი და შეუცდომელი არ ეგონა თავი, როგორც ამ ჭირიანებს. არასოდეს თავისი განაჩენის, სამეცნიერო დასკვნებისა და ზნეობრივი რწმენის ასე მტკიცედ შემგნები არ ყოფილა კაცობრიობა. ჭირი ედებოდა მთელ სოფლებს, ქალაქებს, ხალხს და ჰკუიდან შლიდა ყველას. ყველანი შემფოთებულები იყვნენ, ერთიმეორისა აღარავის ესმოდა რა. ყველას ეგონა, ვითომ ის იყო ჭემმარიტების ერთადერთი წყარო და დასაბამი და დანარჩენთა შემყურე საშინლად იტანჯებოდა, გულში მუშტს იცემდა, ტიროდა, ხელებს იმტვრევდა. აღარ იცოდნენ, ვინ როგორ გაესამართლებინათ; ვერ შეთანხმებულყვნენ, რა იყო კეთილი, რა იყო ბოროტი. არ იცოდნენ, ვინ გაემტყუნებინათ, ვინ გაემართლებინათ. გაბოროტებულები ერთმანეთს ხოცავდნენ. ერთიმეორის წინააღმდეგ მხედრდებოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეზე ლაშქრობის დროს უცებ ერთმანეთსვე დაერეოდნენ, სჩებდნენ, ჰხოცავდნენ, ჰკბენდნენ და სჭამდნენ. ქალაქებში მთელი დღე ბუკსა და ნაღარას უკრავდნენ: იწვევდნენ ყველას, მაგრამ რისთვის და ვინ იწვევდა, არავინ იცოდა. ყველა საშინლად აღელვებული და შემფოთებული იყო, ჩვეულებრივი ხელობა ყველამ მიატოვა, ყველა თავის აზრსა და წინადადებას ურჩევდა, მაგრამ ვეღარ შეთანხმებულყვნენ. მიწათმოქმედება შეწყდა. აქა-იქ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა, თითქოს თანახმა იყო, ერთად რამე დაეწყოთ, ფიცს სდებდნენ, რომ არ დაშორდებოდნენ, მაგრამ მაშინვე ისევ სხვა რასმე იწყებდნენ, ამტყუნებდნენ ერთმანეთს, ჩხუბს უტეხდნენ და სჩებდნენ. გაჩნდა ცეცხლი, იწვოდა ყველაფერი, შიმშილი ჩამოვარდა. ყველაფერი ილუპებოდა. ჭირი თანდათან ვრცელდებოდა, მთელ ქვეყანას ედებოდა. დარჩა მხოლოდ რამდენიმე რჩეული, წმინდა ადამიანი, რომელთაც ქვეყანა უნდა განეახლებინათ ხალხის ახალი შთამომავლობით, დედამიწა განეწმინდათ, ცხოვრება კვლავ აღედგინათ, მაგრამ არსად რა ისმოდა ამათი, თვალთ არავის ენახა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს რჩეულები.

რასკოლნიკოვს ტანჯავდა ის, რომ ამ უაზრო ბოდვამ ასე ძლიერ იმოქმედა მის მეხსიერებაზე, ამდენ ხანს გამოჰყვა მისი შთაბეჭდილებანი. აღდგომის მეორე კვირა იყო უკვე, გაზაფხულის თბილი და მოკრიალებული დღეები იდგა; პატიმართა პალატაში რკინის გისოსებიანი ფანჯრები დააღეს (მათ ქვემოთ მუდამ მცველი დადიოდა). მთელი ავადმყოფობის განმავლობაში სონიამ მარტო ორჯერ ძლივს ნახა პალატაში; ყოველთვის ნებართვა იყო საჭირო, ეს კი ძნელად ხერხდებოდა. მაგრამ თვითონ საავადმყოფოს ეზოში ხშირად მოდიოდა ხოლმე საღამოობით, რომ ორიოდე წუთით ეცქირა პალატის ფანჯრებისათვის. ერთხელ, საღამო ჟამს, გულიანად ჩაეძინა

გამოკეთებულ რასკოლნიკოვს; რომ გაეღვიძა, გაიხედა და უცებ საავადმყოფოს ალაყაფის კართან სონიას მოჰკრა თვალი. იდგა და რაღაცას უცდიდა თითქოს. გულში უცბად რაღაცამ უჩხვლიტა რასკოლნიკოვს: შეერთა, საჩქაროდ მოშორდა ფანჯარას. მეორე დღეს აღარ მოსულა სონია, აღარც მესამე დღეს; შენიშნა რასკოლნიკოვმა, რომ რატომღაც მოუსვენრად ელოდა სონიას. ბოლოს საავადმყოფოდანაც გამოწერეს. რასკოლნიკოვმა საპყრობილეში შეიტყო პატიმრებისაგან, სონია თურმე ავად იყო, შინ იწვა, გარეთ არ გამოდიოდა.

მოუსვენრად იყო საშინლად რასკოლნიკოვი. წარმოიდგინეთ, საკითხავადაც გაგზავნა, როგორ არისო. მაგრამ გაიგო მალე, რომ საშიში არა იყო რა. თავის მხრივ სონიამაც რომ გაიგო, როგორ წუხდა და დარდობდა მასზე რასკოლნიკოვი, გამოუგზავნა ბარათი და ატყობინებდა, უბრალო გაციება იყო მიზეზი, ახლა კარგად ვარ და მალე უთუოდ გნახავო კიდევ სამუშაოზე. სონიას ბარათს რომ კითხულობდა რასკოლნიკოვი, იგრძნო, რომ გული რატომღაც ძლიერ უცემდა, თითქმის ტკივილს აგრძნობინებდა.

თბილი, მოწმენდილი დღე იდგა. დილაადრიან, ექვს საათზე, რასკოლნიკოვმა სამუშაოზე გასწია მდინარის პირას ქურახანაში, სადაც ალებასტრსა სწვავდნენ და ფქვავდნენ. სულ სამი მუშა წავიდა იქით. ერთმა იმათგანმა მცველი გაიყოლა და ციხეში დაბრუნდა, რომ რაღაც სამუშაო იარაღი წამოეღო; მეორემ შეშას დაუწყო პოზა და ქურაში შეყარა. რასკოლნიკოვი კი გამოვიდა ფარდულიდან, დაჯდა წყლის პირად დალაგებულ მორებზე და დაუწყო განიერსა და უდაბურ მდინარეს ყურება. მდინარის მაღალი ნაპირიდან ვრცელი მიდამო გადაშლილიყო, მდინარის გაღმდიდან, შორს, სიმღერა ისმოდა ოდნავ. იქ, თვალუწვდენელ მზიან მინდორში, აქა-იქ ოდნავ შესამჩნევ შავ წერტილებად ალაჩუხები მოჩანდა. იქ ყველგან თავისუფლება იყო, სხვა ხალხი ცხოვრობდა, აქაურებს არაფრით ჰგავდა; იქ დროც თითქოს გაჩერებულიყო, აბრაამისას მოგაგონებდათ; მინდვრად ფარა-ფარა საქონელი გაშლილიყო. იჯდა უძრავად რასკოლნიკოვი და თვალს არ აშორებდა ამ სანახაობას; ფიქრი და აზრი ზმანებდა გადაჰქცეოდა. თითქოს არაფერზე არა ფიქრობდა, მაგრამ რაღაც რამ ნაღველი დასწოლოდა გულზე, არ ასვენებდა, სტანჯავდა.

უცბად რასკოლნიკოვის გვერდით სონია გაჩნდა საიდანლაც. მივიდა ჩუმად და გვერდით მიუჯდა. ჯერ ისევ ადრე იყო: დილის ნიავი ცივად სისინებდა. სონიას ძველი ბურნუსი ეცვა და მწვანე თავშალი ეხვია; სახეზე ავადმყოფობა ეტყობოდა ისევ. გამხდარიყო, გაფითრებულიყო, გაცრეცილიყო. ალერსითა და მხიარულად გაუღიმა სონიამ რასკოლნიკოვს, მაგრამ ჩვეულებისამებრ ხელი მოკრძალებით გაუწოდა.

მუდამ ასე მოკრძალებით უწევდა ხოლმე ჩამოსართმევად ხელს, ზოგჯერ კი სულაც არ ართმევდა, ეშინოდა, ვაითუ არ მომცეს, მომიშროსო. მართლაც, თითქოს მუდამ ზიზხით ართმევდა ხოლმე რასკოლნიკოვი ხელს, გაბრაზებული ეგებებოდა, სდუმდა, ხმას არა სცემდა. მომხდარა ბევრჯერ ისეც, რომ შიშისაგან აკანკალებული სონია დიდად გულდაწყვეტილი და შეწუხებული დაბრუნებულა შინ. ამჟამად კი ხელიხელს აღარ აშორებდნენ ერთმანეთს. შეხედა უცებ რასკოლნიკოვმა, მაგრამ არა უთხრა რა, თავი ჩაჰკიდა, მიწას დააშტერდა. მარტონი იყვნენ, არავინ უყურებდათ. მცველიც საითკენღაც გაიყურებოდა იმჟამად.

თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, მაგრამ თითქოს რაღაცამ აიტაცაო, წამოხტა რასკოლნიკოვი და სონიას ჩაუვარდა ფეხებში. ტიროდა და ეხვეოდა მუხლებზე. პირველად საშინლად შეშინდა და გაფითრდა სონია; წამოვარდა ზეზე და აკანკალებული შეჰყურებდა. მაგრამ იმავე წამს მიხვდა ყველაფერს. თვალეზში უსაზღვრო ბედნიერება აღებეჭდა; მიხვდა, რომ რასკოლნიკოვს უსაზღვროდ უყვარდა, რომ ბოლოს ძლივს ეღირსა ამ ბედნიერ წამს...

ორთავეს უნდოდა ელაპარაკათ, მაგრამ არ შეეძლოთ, ცრემლები მორეოდათ. ორთავენი გაცრეცილები, გამხდრები იყვნენ. მაგრამ მათ ნაავადმყოფარსა და გაფითრებულ სახეებს ნათლად ემჩნეოდა მაინც განთიადი განახლებული ცხოვრებისა, სრული აღდგენისა. სიყვარულმა აღადგინა ორივე, ერთის გული მეორისათვის ცხოვრების ახალ, უშრეტ წყაროს წარმოადგენდა.

გადაწყვიტეს მოეთმინათ, მოეცადათ. შვიდი წელიწადი კიდევ უკლდათ; მაგრამ, ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ტანჯვა და რა უსაზღვრო ბედნიერება მოელოდათ! გრძნობდა რასკოლნიკოვი, რომ მთელი მისი არსება განახლდა, ხელახლა აღსდგა სასიცოცხლოდ, სონია ხომ, მხოლოდ მისით ცოცხლობდა მარტო.

დაკეტეს თუ არა იმავე დღეს, საღამოთი, ყაზარმები, რასკოლნიკოვი ტახტზე წამოწვა და დაიწყო სონიაზე ფიქრი. მოეჩვენა, ვითომ ყველა კატორღელი, მისი წინანდელი მტრები, ახლა უკვე სხვა თვალთ უყურებდნენ. თვითონვე გამოელაპარაკა ზოგიერთ მათგანს და იმათაც ალერსით უპასუხეს. გაიხსენა ყველაფერი ეს, მაგრამ ხომ ასეც უნდა ყოფილიყო: ახლა ხომ ყველაფერი უნდა შეცვლილიყო?

რასკოლნიკოვი სონიაზე ფიქრობდა. მოიგონა, როგორ ტანჯავდა და აწვალებდა ხოლმე საცოდავს; მოაგონდა მისი გამხდარი, გაფითრებული სახეც, მაგრამ სრულებით არა ტანჯავდა ეს მოგონებანი: ალბათ იმიტომ, რომ იცოდა, თავისი უსაზღვრო სიყვარულით სრულიად გამოისყიდდა ამ ტანჯვას.

ან კი მართლაც რა იყო ყველა ეს წარსული ტანჯვა! დანაშაულიც, განაჩენიცა და სასჯელიც, ყველაფერი ეს რაღაც უმნიშვნელო და უცნაურ, გარეშე მოვლენად მიაჩნდა, თითქოს მას არც კი შეჰხებოდეს. არც შეეძლო ამ ღამეს დიდხანს რამეზე ეფიქრა, აზრი რამეზე შეეჩერებინა. ვერც რას გადაწყვეტდა ახლა შეგნებულად; ყველაფერს მხოლოდ გრძნობდა. კამათისა და მსჯელობის ნაცვლად ცხოვრებას უნდა შესდგომოდა, მის შეგნებას სულ სხვა რამ უნდა შეემუშავებინა.

ბალიშქვეშ სახარება ედო. უნებურად ხელში აიღო. ეს წიგნიც სონიასი იყო, სწორედ ის, საიდანაც მაშინ ლაზარს აღდგენა წაუკითხა. პირველ ხანებში ეგონა, ვითომ სონია კატორღაში რელიგიით თავს მოაბეზრებდა, სახარებითა და სხვა ამგვარი წიგნებით მოსვენებას აღარ მისცემდა. მაგრამ მისდა განსაცვიფრებლად არც ერთხელ ამაზე ხმა არ ამოუღია სონიას, არასოდეს სახარება არ შეუთავაზნია. თვითონვე მოსთხოვა ავადმყოფობის წინ რასკოლნიკოვმა და სონიამაც მოუტანა. მაგრამ აქამდე ხელში არც აუღია.

არ გადაუშლია ახლაც კი, მაგრამ ერთმა აზრმა გაუელვა უცბად: „ნუთუ ახლა მისი რწმენა ჩემიც არ შეიქმნება? მისი გრძნობანი და მისწრაფებანი მაინც...“

სონიამაც მთელი ის დღე აღელვებულმა გაატარა, საღამოთი კი უქეიფოდ შეიქნა ისევ. მაგრამ ისე ბედნიერი იყო და თან ისე მოულოდნელი იყო ეს ბედნიერება, რომ

შეეშინდა თითქმის ამ თავისი ბედნიერებისა. შვიდი წელიწადი, მხოლოდ შვიდი! პირველ ხანებში ორივე ისე თვლიდა ამ შვიდ წელიწადს, როგორც შვიდ დღეს. არც კი იცოდა რასკოლნიკოვმა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა ეს ბედნიერება, მთელი შვიდი წელიწადი კიდევ რამდენი უნდა ეწვალ-ეტანჯნა... მაგრამ აქ უკვე ახალი ამბავი იწყება, ამბავი ადამიანის თანდათანობით აღდგენისა, თანდათანობით გარდაქმნისა და ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისა, სრულიად ახალი და უცნობი ნამდვილი ცხოვრების გაცნობისა. ეს შეადგენს საგანს ახალი მოთხრობისას, - ამ მოთხრობას კი ამით ვათავებთ.



